

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი



**Arnold Chikobava Institute of Linguistics
Tbilisi Ivane Javakhishvili State University**

**Институт языкознания имени Арнольда Чикобава
Тбилисский государственный университет имени
Иванэ Джавахишвили**

Arn. Chikobava

**Works
I**

А. С. Чикобава

**Труды
I**

Tbilisi 2010 Тбилиси

არნოლდ ჩიქობავა

შრამები

I

თბილისი
2010

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო ს ა ბ ჯ ო

ი. აბდულაევი (მაჰაჩყალა), **ნ. ანდულაძე** (თბილისი), **ა. არაბული** (თავმჯდომარე, თბილისი), **შ. აფრიდონიძე** (თბილისი), **ე. ბაბუნაშვილი** (თბილისი), **გ. ბედოშვილი** (თბილისი), **ბ. ბერსიროვი** (მაიკოპი), **ი. ბრაუნი** (პოლონეთი), **ჰ. გამნათოვი** (მაჰაჩყალა), **თ. გამყრელიძე** (თბილისი), **გ. გოგოლაშვილი** (თბილისი), **ტ. გურიევი** (ვლადიკავკაზი), **კ. ვამლინგი** (შვედეთი), **ნ. თაოვი** (ნალჩიკი), **ა. თიშაევი** (გროზნო), **მ. კუმანოვი** (მოსკოვი), **ნ. მაქავარიანი** (თბილისი), **ფ. ოზდოევა** (ნაზრანი), **ე. ოსიძე** (თბილისი), **ს. პაოვი** (კარაჩაევსკი), **თ. უთურგაიძე** (თბილისი), **ბ. უტიე** (საფრანგეთი), **კ. ჰ. შმიდტი** (გერმანია), **ი. ჩანტლაძე** (თბილისი), **ა. ჭინჭარაული** (თბილისი), **ლ. ჭკადუა** (სოხუმი), **ზ. ჭუმბურიძე** (თბილისი), **რ. ჯანაშია** (თბილისი), **ა. ჰარისი** (აშშ)

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა

ც. ბარამიძე, **ლ. ეზუგბაია**, **გ. კვარაცხელია**, **მ. სუნიშვილი**, **მ. ქურდიანი**,
ვ. შენგელია (მთავარი რედაქტორი), **მ. ჩუხუა**

ტომის რედაქტორი **ა. არაბული**

Editorial Council

I. Abdulaev (Makhachkala), **N. Andguladze** (Tbilisi), **Sh. Apridonidze** (Tbilisi), **A. Arabuli** (Chairman, Tbilisi), **E. Babunashvili** (Tbilisi), **G. Bedoshvili** (Tbilisi), **B. Bersirov** (Maikop), **I. Brown** (Poland), **I. Chantladze** (Tbilisi), **H. Gamzatov** (Makhachkala), **Th. Gamkrelidze** (Tbilisi), **G. Gogolashvili** (Tbilisi), **T. Guriev** (Vladikavkaz), **A. Harris** (USA), **R. Janashia** (Tbilisi), **M. Kumakhov** (Moscow), **N. Matchavariani** (Tbilisi), **E. Osidze** (Tbilisi), **F. Ozdoeva** (Nazran), **B. Outtier** (France), **S. Pazov** (Karachaevsk), **K. H. Schmidt** (Germany), **Kh. Taov** (Nalchik), **A. Tchintcharauli** (Tbilisi), **L. Tchkadua** (Sokhumi), **Z. Tchumburidze** (Tbilisi), **A. Timaev** (Grozny), **T. Uturgaidze** (Tbilisi), **K. Vamling** (Sweden)

Editorial Board

Ts. Baramidze, **M. Chukhua**, **L. Ezugbaia**, **M. Kurdiani**, **G. Kvaratskhelia**,
V. Shengelia (Editor-in-chief), **M. Sukhishvili**

Editor of the volume **A. Arabuli**

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ISBN (მრავალტომეული)
ISBN (ტომი I)

ვინის¹ რეფლექსები ფერეიდნულში

მოვლენა, რომელზედაც ქვემოთ იქნება ლაპარაკი, განეკუთვნება ფერეიდნულს, ე. ი. იმ ქართველთა თანამედროვე თქმას², რომელნიც მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში კახეთიდან ფერეიდანში იქნენ გადასახლებულნი.

თანამედროვე სამწერლო ქართულში ვინით აღნიშნული ბგერის³ და აგრეთვე ვი-კომპლექსის რეფლექსები შეადგენს ამ მოვლენის შინაარსს.

¹ ასე ვუწოდებთ მოხსენებას სიმოკლისათვის; ნამდვილად კი თანამედროვე სამწერლო ქართულში ვინით აღნიშნულ ბგერათა გარდა ვი-კომპლექსის რეფლექსებთანაც გვექნება საქმე (მოხსენება წაკითხულია ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების აწ. 20 მაისის სხდომაზე).

² „თქმა“ — აქ (და სხვაგანაც ქვემოთ) აღნიშნავს ამა თუ იმ ენობრივი კონტინგენტისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა კრებულს; როგორც ცნება, იგი გაცილებით უფრო ფართე მოცულობისაა, ვინემ „თქმა“ — აღებული ვიწრო მნიშვნელობით: — ენათმეცნიერების საკლასიფიკაციო იერარქიის ერთ-ერთი საფეხურის აღსანიშნავად, — სადაც იგი გვაროვნული ცნებაა ქცევის მიმართ და სახეობითი — კილოკავისათვის (კილოკავი — თქმა — ქცევა).

ფერეიდნულის კვალიფიკაცია, როგორც კილოსი თუ კილოკავის კახურისა და ინგილოურის შესწავლამდი (უკანასკნელის პრელიმინარი მიმოხილვალა ბატ. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს თხზულებაში „საინგილო“ [ძველი საქართველო, ტ. II, ტფილისი 1911-18, გვ. 225-237]. ხოლო პირველი სრულებით შეუსწავლეღია) — ნადრეგად მიგვაჩნია: ამიტომ ვხმარობთ მარტივ სახელწოდებას: „ფერეიდნული“.

ჩვენ შეძლება გვექონდა პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს დავალებით გავცნობღით ფერეიდნულს — 1922 წლის შემოდგომაზე ფერეიდნიდან ჩამოსული ქართველის ბ. სეაქოლ-ხან ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს საშუალებით.

რომელიმე ცოცხალი თქმის თავისებურებათა სავსებით გათვალისწინებისათვის ერთი პირის გამოყენება დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება, თუმცა კოლექტივისათვის დამახასიათებელი ტიპური მომენტების გადმოცემა ინდივიდის მიერ სავსებით შესაძლებელი და მოსალოდნელია (თუ კი თქმა გარეშე ზეგავლენათა წყალობით ენობრივ ფორმებში რჩევას არ იჩენს, — რასაც ფერეიდნულში ადგილი არა აქვს). და ამას უნდა დაემატოს ის სასიამოვნო გარემოება, რომ ბატ. ს. ი ო ს ე ლ ი ა ნ ს ენობრივ მოვლენათა დაკვირვების მშვენიერი უნარი აღმოაჩნდა, ასე რომ ზედმიწევნით გადმოგვეცემდა ხოლმე იმასაც კი, თუ რომელსამე სოფელში მისი სოფლისათვის ჩვეული სიტყვახმარების გარდა სხვანაირსაც ექნებოდა ადგილი.

³ უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა — „ბგერების“: ფონეტიკური ზედმიწევნისილობის თვალსაზრისით ამ ასოთი აღინიშნება საკმაოდ განსხვავებული ბგერები მეტნაკლები დენტო- და ბილაბიალობისა.

არა მარტო ფერეიდნულში, არამედ სხვა ქართულ თქმებშიაც ამ ასოთი აღნიშნულ ბგერასთან ფონეტიკურ მოვლენათა მთელი რიგი (თუ ბგერებთან?) არის დაკავშირებული. თავისებური რეფლექსით არის იგი წარმოდგენილი თითქმის ყოველს ქართულს თქმაში. თქმის გარეგნულობის ცვლაში მისი როლი მნიშვნელოვანია. სხვადასხვა თქმებში (ინგილოურში¹, მთიულურში², გურულში³, გომარულში⁴ და საფიქრებელია კახურშიც) ამ ბგერასთან დაკავშირებული ფონეტიკური მოვლენების სხვადასხვაობის ახსნა უნდა ვეძიოთ ან მისი ბუნების თავისებურებაში სხვადასხვა თქმების მიხედვით ან სხვა ზოგადი ენობრივი ფაქტორების (მახვილი, მეტყველების რითმი, ტონი და სხვ.) მოქმედებაში.

საფიქრებელია ეს ფონემა თითოეულს თქმაში სპეციფიკურ მოდიფიკაციას იძლეოდეს. ასეა თუ ისე, ამ ბგერის ბუნების გარკვევა თითოეული თქმის ნიადაგზე მორიგი და მიუცილებელი სადიალექტოლოგიო საქმეა.

მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებამდე ის ბგერები, რომელსაც დღეს **მინი** და **მინ**-კომპლექსი გადმოგვცემს, აღინიშნებოდა **მინით**, **ჟ**-თი (**ჟ**-ბრჯგუთი) და **ჟ**-ით. იმ დროინდელი ფონეტიკური სინამდვილე რამდენად სწორად გადმოიცემოდა ამ ნიშნებით — საკითხია, რომლის გარკვევას არც ჩვენი პირდაპირი მიზანი მოითხოვს და არც შესაძლებლობა უწყობს ხელს. ერთი რამ მაინც ცხადია: ამ სამი ასოს ხმარების გარჩევა იმ ხანებში (და უფრო ადრეც) გაცილებით უფრო არეული იყო, ვინემ ძველს ქართულში. ამ უკანასკნელში, მეცხრე-მეათე საუკუნის ძველებს თუ ავიღებთ, — ამ ასოთა ხმარება საკმაოდ გარკვეულია. დაწერილობის ურყევობას თუმცა იქაც არა აქვს ადგილი (განსაკუთრებით ეს **შ**-ისა და **ჟ**-ის ხმარების შესახებ ითქმის); მართლწერის ტრადიციით გამომუშავებული ჩარჩოები არც იქ არის გარდუვალნი, მაგრამ **ჟ**-ბრჯგუსი⁵ და **მინის** გა-

¹ იხ. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ზემოხსენებული თხზულება „საინგილო“.

² მთიულურს გასული წლის ზაფხულში ადგილობრივ ვსწავლობდი.

³ რამოდენადაც ზოგადი შთაბეჭდილება ამის თქმის უფლებას გვაძლევს.

⁴ როგორც ეს ბატ. ვ. თოფურიას მიერ გასული წლის ზაფხულს გომარეთში წარმოებული სადიალექტოლოგიო მუშაობიდან გამოირკვა.

⁵ „**ჟ**-ბრჯგუ“-ს ნაცვლად შეიძლებოდა გვეხმარა ტერმინი „**შ**-მოკლე“; მართლაც იგი სრული ხმოვანი არ არის, უფრო სუსტი, „მოკლე“ ვითომ, ვინემ **შ**-მარცვლოვანი; მაგრამ ამ ტერმინს ერთი უხერხულობა ახლავს თან: ცნობიერებაში იგი იწვევს მისი ანტიპოდი-კორელატის — „**შ**-გრძელის“ არსებობის დაშვებას. — შეიძლებოდა გვეხმარა: „**შ**-უმარცვლო“, მაგრამ ეს ტერმინიც ამ ბგერის გარკვეულს გაგებაზე, მისი ფონეტიკური ბუნების წინასწარ განსაზღვრულ კვალიფიკაციაზე იქნებოდა დამყარებული, და ამდენადვე უხერხულიც. — სანამ ამ ბგერის ბუნება ზედმიწევნით არ არის გათვალისწინებული, მანამდე უფრო სასურველად უნდა მივიჩნიოთ იმის ფორმალური კვალიფიკაცია, ე. ი. ისეთი, რომელიც ჰერ კიდევ გამოსარკვევი მოვლენის **a priori** დაფასებას თვით ტერმინში არ აღნიშნავს.

რჩევა მკვეთრად არის წარმოდგენილი: მათი ხმარების აღრევის შემთხვევებს არა ვხვდებით.

წინასწარ იმის თქმა — ძველს ქართულში ამა თუ იმ ძირში **ვინი** იხმარება თუ **ჟ-ბრჯგუ** — შეუძლებელია (ამისთვის მათი ცოდნაა საჭირო), მხოლოდ ზმნებში შეიძლება აღინიშნოს ზოგიერთი შემთხვევები, სადაც **ვინის** თუ **ჟ-ბრჯგუს** „აბორიგენობა“ გარეგნულადაც შეიმჩნევა. აქვე მოვიყვანო მეტყველების სხვადასხვა ნაწილებში **ვინი**ან თუ **ჟ-ბრჯგუ**იან ძირებს (და ფუძეებს), ხოლო ცალკე გამოვყოფთ ზმნებს, რომლებშიაც **ვინი**-ცა (და **ჟ-ბრჯგუ**-ც) ძირეული (თუ ფუძისეული) ყველა ნაწარმოებ ფორმებში ინახება.

რასაკვირველია, ამ ექსკურსს პრაქტიკული მიზანი აქვს: გასაგები გახადოს ფერეიდნულის მიმოხილვის დროს — შესატყვის შემთხვევებში — ძველს ქართულში რა გრაფემები უნდა ხმარებულყო: — და მხოლოდ! — საფუძვლების მიხედვით მოვლენათა სისტემატიკის პრეტენზიები მას არა აქვს. იმავე დროს იგი სანიმუშო ხასიათს ატარებს: მოვლენათა წყება სისრულით როდია წარმოდგენილი (განსაკუთრებით ზმნებში), არამედ მხოლოდ ტიპური ნიმუშებია მოყვანილი.

I. მეტყველების სხვადასხვა ნაწილებში: 1) **ვინის** ხმარების შემთხვევებია ძველს ქართულში:

ა) ვინი ძირეული: ქვა, ყველი, ხვალ, შვილი (**ab**: შვა), პირველი, რვა, ქველი, მცველი, შეცვალება (ძირი: „ცვ“), წვალება, საზღვარი.

ბ) ვინი ფუძისეული: იხილვებოდი, განაბრწყინვებს, განიკითხვენ, განურისხველობა, უცოდველი, საფარველი, მზიდველი, შემწირველი, უნერგველი, საკრველნი, აღუძრველად, მოსასრველ (ყველა ამ შემთხვევებში **ვინის** ფუძისეულობა აწმყოში ნათლად ჩანს — იხ. ქვ.).

2. **ჟ-ბრჯგუს** ხმარების შემთხვევები (ძირეული **ჟ-ბრჯგუ**): ძუალი, ჯუარი, ყუავილი, საყუარელი (და ამავე ძირისგან წარმოებულ სიტყვებში), კუამლი, მოძღუარი (წინამძღუარი), გუამი, ზღუა, მარცუალი, მწუანე, ცუარი, ბღუარი (= სამხრეთი), თუალი, მაყუალი, ძღუან, უკუე; შიშუელი, სახუეველი, მწუერვალი (წუერი), გუერდი, მეზუერე, ნაკუერცხალი, საშუებელი (შუება), განრღუეული, ქუეწარმავალი, შემთხუევა, მარჯუენე, გუემა, კუეთა, ჩუენება (შეჩუენება, მოჩუენება და სხვ. ამავე ძირისაგან), ხუეტა, ყუედრება, ჩუენ, თქუენ...

II. ვინი და ჟ-ბრჯგუ ზმნებში: 1) სახელზმნის დაბოლოება **ა-**ნი უფრო ხშირად ემატება ფუძისეულ (სუფიქსალ) **ვინს**, — ასე რომ ძველს ქართულში, სახელზმნის ბოლოს თუ **wa-**კომპლექსი მოისმის უმეტეს შემთხვევაში

მთხვევაში **ჰა**-თი იქნება წარმოდგენილი¹; ეს ფუძისეული **ჰ**ინი აწმყო დროის სუფიქსს „**ჰმ**“-ს განეკუთვნება: იგი ნათლად ჩანს აწმყო დროის მესამე პირის **ს**-ან — დაბოლოების წინ; ეს **ჰ**ინი დაცულია აწმყოს ფუძისაგან ნაწარმოებ ყველა ფორმებში (მაგალ., ნამყო უსრულში, აწმყო დროის მიმღობაში).

მაგალ.: კრძალვა (ჰკრძალავს), კითხვა (ჰკითხავს), მარხვა (ჰმარხავს), ცოდვა (სცოდავს), ლოცვა (ჰლოცავს), კლვა (ჰკლავს), რისხვა (ჰრისხავს), ძრვა (სძრავს), წყლვა (სწყლავს), ბურვა (ჰბურავს), მართვა (ჰმართავს), ელვა (ელავს), ცვა (იცავს), ურვა (ურავს: აქედან: მოურავი), ნერგვა (ჰნერგავს), ზრუნვა (ჰზრუნავს), კრვა (ჰკრავს), სლვა (ვალს — უწესო ზმნა).

2) ნამყო სრულის მესამე პირის დაბოლოება **ჰ** (სადაც იგი იხმარება) ემატება როგორც ფუძისეულ **ჰ**-ბრჯგუს (უფრო მეტია ასეთი შემთხვევა), ისევე **ჰ**ინსაც (ძირეულს): პირველს შემთხვევაში მეორე პირის დაბოლოება (-ი, -ა, -ე) ემატება ამ **ჰ**-ბრჯგუს (მოართუ-ა (მესამე პირი), მოართუ-ი (მოართვ — მეორე პირი); — მეორე შემთხვევაში კი ძირეული **ჰ**ინი მეორე პირის ბოლოკიდურს (**Auslaut**) წარმოადგენს (შვა — ჰშევ). ნამყო სრულისაგან ნაწარმოებ ფორმებში კონფუქციისა და ბრძანებითში იგივე **ჰ**-ბრჯგუ ან **ჰ**ინი გვაქვს იმისდა მიხედვით, თუ რა გვქონდა ნამყო სრულში.

მაგალ. **ა**) თქუა (ჰთქუი = ჰთქვ)², ჰრქუა (ჰრქუი = ჰრქვ), აცუა (ეცუა), აღიქუა, მიიქუა, აღიქუი, მიიქუი = აღიქვ, მიიქვ, მიუშუა (...მი-უშვ), მოართუა (...მოართვ), ესუი (...ესვ), განიძარცუა (განიძარცუე), და-ირლუა (დაირლუე?).

ბ) იშვა (იშევ), დადვა (დასდევ), გამოჰყვა (გამოჰყევ), დაიცვა (დაი-ცევ);

კონფუქციის: თქუას, აცუას, მოართუას, მიუშუას... — ერ-თის მხრით, და იშვას, დადვას, გამოჰყევს, დაიცვას — მეორეს მხრით.

3) მრავლობითი რიცხვის პირველი პირის პრეფიქსი წარმოდგენილია ძველს ქართულში „**ბჰ**-თი“: გუყვანდა ჩუენ, გუცეს, მო-გუქონდა, მოგუთხოვა, მოგუანიჭა, მოგუაქცინე, გუაუწყეს, გუასწავებნ, გუამხილებს... და სხვ.

¹ ზოგიერთს შემთხვევაში სახელზმნის დაბოლოება **ჰ**-ნი ფუძისეულ **ჰ**-ბრჯგუსაც ემატება; აღვნიშნავთ ორს შემთხვევას: სიტყუ-ა, ნერწყუ-ა; — აწმყოში: იტყუს (იტყუის), ჰნერწყუს (ჰნერწყუი): ეს ფუძისეული **ჰ**-ბრჯგუ მესამე პირის **ს**-ან დაბოლოებას არ უძღვის წინ!

² ძველს ქართულში გვაქვს: ჰთქუ; აქ „**ჰ**-ბრჯგუ ვაქვს მონაცვლეობას უნდა ეწეოდეს. ანალოგიური შემთხვევა: აცუ, ბრძანებ. = ნამყო სრულ. მეორეს პირს (ჯუარს აცუ) (იხ. ქვ. ვაქვს ხმარებისათვის).

4) **ჟ**-ბრჯგუს ხმარებისათვის უნდა შევნიშნოთ აგრეთვე, რომ იგი გვხვდება ძველს ქართულში თანხმოვანთა შორის, რომლის შესატყვის შემთხვევებში თანამედროვე სამწერლო ქართულში ან **ვ**ინი იხმარება (**ვ**ინად შეუცვლიათ), ანდა სრულიად გამოვარდნილა. **ვ**ინით შეცვლის შემთხვევები გვაქვს უმთავრესად სიბილანტი **ს**ანისა, ლიკვიდთა **ლ**ასისა და **რ**აეს, დენტალთა **ღ**ონის და **თ**ანის და ნაზალი **ნ**არის წინ; დაკარგვის შემთხვევები კი თითქმის ყოველთვის ლაბიალთა ან ბილაბიალთა წინ გვხვდება.

ამჟამად თანხმოვანთა შორის **ვ**ინით წარმოდგენილი **ჟ**-ბრჯგუ გვაქვს ძვ. ქართულში: ვარსკულავი, სიკუდილი, მეექუსე, მოგუთა, რიცხუთა, უკუდავება (მომკუდარი), მწიკული, კიცუსა, ლახურითა, უკუღვევლსა, მოძღურებად, ძღუნის, წულილად, პირუტყუთა, ჯურელსა, ქურივი, ღუწოლა (იღუწის), ათრუამეტი, ითქუნეს, გაქუნდა, მისწუდენ, განირყუნი, დაშურა, მიხუდების, კუნესინ, გურწამს, გუდევნიდა, შეგუკრიბნა, შეგუქმნა და სხვ.

ძველი ქართულის **ჟ**-ბრჯგუ დაკარგულა სიტყვებში: მოართუმიდეს, ჯუარცუმული, თქუმა (გულისთქუმა), სუმა, ზაკუვა, გუმერა, შეარწყუვილის, კუმევა (საკუმეველი) და სხვ.

5) იქ, სადაც ამჟამად **ვ**ინ-კომპლექსი გვაქვს, ძველს ქართულში ხ მ ი - რ ა დ¹ **ვ**ე გვაქვს, მაგალითად: იჭვ, ჯაჭვ, ლელვ, რიცხვ (ურიცხვ), წვმა, მღვმე, მშვლობა, განღვძება, ნესტვ, განტვნვა, საყვრი, სხვლი, მღოგვ, ხვთქი, თთვსად, ცვლი, საკვრველი, სხვთ, სარცხვნელად, კვრიაკე (ნასესხე-ბია), თვნიერ, მახვლი, გვრგვნი, თვსი, დაიმკვდრა, იტყვს, მიემთხვა, თქვს, გვთხრა, გვსწავიეს, გვლხინს, აღცვოდიან, შეცვვეთ, გვხილავს, გვბრწყინდეს, იტყვედ, გვღირს, შეგვყვანებს²...

საფიქრებელია, რომ ეს ვე აღნიშნავდა ბგერას, რომლის გენეტიურ კომპონენტად **ჟ**-ბრჯგუს გარდა **ინ**იც იყო; ეს ცხადია ისეთ სიტყვებში, სადაც ჩვენ ვიცით, რომ ფუძისეულ **ჟ**-ბრჯგუს ფორმანტი **ინ**ი ემატება; მაგალ. ლელუ, ჯაჭუ, იჭუ (წრფელობითი ბრუნვა) + სახელობითის დაბოლოება **ინ**, ვიღებთ: ლელვ (**ab**: ლელუ+ი), ჯაჭვ (**ab**: ჯაჭუ+ი), იჭვ (**ab**: იჭუ+ი); სიტყვაში: სხვთ — ფუძისეული **ჟ**+მოქმედებითის დაბოლოება — **ინ**: სხუ+ით=სხუით>სხვთ.

ეგვე შეიძლება ითქვას ნესტვ, მღოგვ, იტყვს, თქვს; გვსწავიეს, გვძლავს, გვლხინოს და მსგავს სიტყვათა შესახებ, რომელთა გენეზისში **ჟ**-ბრჯგუს **ინ**ი ერთვის...

¹ სახელდობრ, როდის იხ. ქვ. უფრო დაწვრილებით.

² მაგალითები ამოღებულია უდაბნოს მრავალთავიდან (სახელ. უნივ. სიძვ. მუზ. ხელთნაწ. № 1147) და ე. წ. „სვანური მანუსკრიპტი“-დან (იმავე მუზეუმის ხელთნაწ. № 19).

ამიტომაც შეუძლებლად არ ვთვლით ისეთივე შინაარსი მიეცეს ჯდეს იმ სიტყვებშიდაც, სადაც ჯდეს გენეზისი არ შეიძლება იქნეს გათვალისწინებული, მაგრამ სადაც თანამედროვე ქართულში „**მ**“ იხმარება: ასეთებია, მაგალითად: ცული, საყური, სხული, თუსი, სირცხული, გჯრჯჯინი და სხვ.¹

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ქართულის ძეგლებში ჯდეს ხმარება მხოლოდ ასე არ არის გამოყენებული. აღნიშნის სახარებაში, მაგალითად, ამ ასოთი ხ შ ი რ ა დ ჟ-ბრჯგუ აღინიშნება; ამის ნიმუშებია მართვენი (ნაცვლად: მართუენი), მოხვედ (ნაცვ.: მოხუედ), უჩვენე (ნაცვ.: უჩუენე), წინასწარმეტყველი (ნაცვ.: წინასწარმეტყუელი), ქვეშე (ნაცვ.: ქუეშე), საყვარელი (ნაცვ.: საყუარელი), შემთხვევად (ნაცვ.: შემთხუევად), თვალნი (ნაცვ.: თუალნი) და სხვ. იმავე ძეგლში იგივე სიტყვები ჟ-ბრჯგუდაც არის დაწერილი, და უფრო ხშირადაც კი. აღსანიშნავია, რომ თვით უდაბნოს ხელთნაწერშიც, რომელიც ამ ჯდეს ხმარებაში საკმაო გარკვეულობას იჩენს, რამოდენსამე სიტყვაში **ჯ**დეთი ჟ-ბრჯგუ არის აღნიშნული: მაგალ. დათვებითა, იღჯწიდა (იღჯწინ), სიკვდილისა, მოაკვდინეს (მკვდარ), გჯჩვენა, დაიმჯვეს.

ასე რომ **ჯ**დეთი ჟ-ბრჯგუს აღნიშვნა არა მარტო აღნიშნის სახარებას ახასიათებს, არამედ ანალოგიურ მოვლენას ადგილი აქვს სპორადიულად მაინც სხვა ძეგლებშიაც.

მაგრამ უფრო საყურადღებო ის არის, რომ ჟ-ბრჯგუს ვხვდებით მაგალ. აღნიშნის სახარებაში იქ, სადაც **ჯ**დე იყო სხვა ძეგლების მიხედვით მოსალოდნელი. — ამის ნიმუშია: დაუჯურდებოდა, უჯურდა, დაკურგებული, მახული, სიტყუს გება, იტყუთ, თქუ (ეს უკანასკნელი სხვა ძეგლებშიაც ჩვეულებრივია).

ეს უკანასკნელი გარემოება მნიშვნელოვანია **ჯ**დეს ფონეტიკური რაობის გამოსარკვევად. ზემოთ ჩვენ შეგნებულად გვერდს ვუვლიდით ამ საკითხს და მხოლოდ დაწერილობის წესებზე ვმსჯელობდით. ჩვენს მიზანს, რასაკვირველია, არ შეადგენს **ჯ**დეთი გადმოცემული ბგერის რკვევა, მაგრამ ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმა მაინც შეიძლებოდა:

ჟ-ბრჯგუს ნაცვლად **ჯ**დეს ხმარება შეიძლებოდა ორთოგრაფიული რყევისათვის მიგვეწერა: მწერალი იღგა ერთი ორთოგრაფიული „შკოლის“ ნიადაგზე, მაგრამ მეორის გავლენასაც განიცდიდა! ამის დაშვება გულისხმობს იმის აღიარებასაც, რომ არსებობდა ისეთი შკოლა, რომელიც **ჯ**დესასოს ჟ-ბრჯგუს აღსანიშნავად ხმარობდა. პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ სვანეთში ნაპოვნი ერთი ძეგლის დაწერილობა ასეთ შესაძლებლობას უჭერს მხარს². იქ ჟ-ბრჯგუ სისტემატიურად არის **ჯ**დეს-ასოთი გადმოცემული.

¹ რაც შეეხება ძირულ და ფუძისულ **მ+ი** (**მი**-კომპლექსს), იგი უცვლელად რჩება და თ ი თ ქ მ ი ს არასოდეს ჯდეთი არ გადმოიცემა.

² პირადადაც პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე ს ასეთი შესაძლებლობისათვის არა ერთხელ მიუქცევია მასთან მომუშავეთა ყურადღება.

თუ **ვ**ე-ასოთი **შ**-ბრჯგუს აღნიშვნა დაწერილობის ტრადიციას, მკო-ლის უზუსტს მიეწერება, **ჟ**-ბრჯგუს ხმარება იქ, სადაც „**ში**“ არის მოსა-ლოდნელი (უკურდა, მახული) შეიძლება და დიალექტოლოგიურ, ე. ი. შემოტანილ ფორმად ჩაგვეთვალა. მართლაც ისეთი ფორმები, როგორცაა საკურველი, მე გამიგონია შიგნი კახეთის მკვიდრის გამოთქმაში, და ბატ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს გადმოცემით ქართლში (ლიახვის ხეობაში) სწორედ ასე-თი ფორმები იხმარება.

მაშასადამე, შეუძლებელი არ არის, რომ ძველი ქართულის ხმარების პერიოდშიც რომელსამე კილოში ყოფილიყო ფორმებიც: უკურდა, მახული და სხვ.

მაგრამ აქ კითხვა იბადება: სხვადასხვა დაწერილობის ტრადიციებს რა ჰქონდათ საფუძვლად? რაზედ შეიძლება და ყოფილიყო დამყარებული წესი **ვ**ე-ასოთი **ჟ**-ბრჯგუს აღნიშვნისა? ხომ არ გვაფიქრებინებს ეს, რომ რომელსამე კილოში **ვ** ე თ ი და **ჟ** - ბ რ ჯ გ უ თ ი გა დ მ - ც ე მ უ ლ ი ბ გ ე რ ე ბ ი ი მ დ ე ნ ა დ ე მ ს გ ა ვ ს ე ბ დ ე ნ უ რ თ ი - ე რ თ ს, რომ შეუძლებელი არ იყო ამ ბგერათა ნიშნების შენაცვლება (და ამ ნიადაგზე ჩაეყარა საფუძველი **ჟ**-ბრჯგუს **ვ**ე-ასოთი აღნიშვნას), — ხო-ლო სხვა კილოში, რომელიც აგრეთვე იღებდა მონაწილეობას სამწერლო ენის შემუშავებაში, ამ ორი ასოთი აღნიშნული ბგერები საკმაოდ განსხვა-ვებული იყვნენ იმისათვის, რომ ერთმანეთში მათი შენაცვლება შეუძლებე-ლი გამხდარიყო?!

რასაკვირველია ამის დაშვება იმის დაშვებასაც გულისხმობს, რომ ის კილო, რომლის ნიადაგზე შესაძლებელი გახდა ამ ორი ასოს აღრევის (ან შენაცვლების) თავიდან აცილება (თუ კი ასეთი კილო არსებობდა) — უფ-რო მეტს როლს თამაშობდა სამწერლო ენის შექმნაში და ამდენადვე ამ ასოთა განსხვავებული ხმარება დამწერლობის ძველთა მთელს რიგში და-ამკვიდრა!

ვე-**ჟ**-ბრჯგუს ხმარების ახსნის დროს ორთოგრაფიულ ტრადიციასზე დაყრდნობა ანდა მათი განსხვავებულობის გამართლება რეალურ-ფონეტი-კური ბაზისის მიხედვით შეიძლება იქნეს სხვადასხვა მოსაზრებებით შემაგ-რებული. მაგრამ ჩვენ აქ იმით-ღა დავკმაყოფილდებით, რომ აღვნიშნავთ: **ჟ**-ბრჯგუ პლუს **ი** ძველს ქართულში ჩვეულებრივად გადმოიცემის **ვ**ე-ასო-თი, — ამ უკანასკნელის შესატყვისი ბგერის რაობას კი განზე ვტოვებთ.

თვით ამ ექსკურსს, როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, მიზნად აქვს გამოსავალი წერტილი მოგვცეს ფერეიდნულისათვის, როცა შე-სატყვისს შემთხვევებთან მოგვიხდება საქმის დაჭერა. ამ გრძელი ფაქტიუ-რი წინასიტყვაობის გამართლებას ის გარემოება იძლევა, რომ ფერეიდნუ-ლის მოვლენებში გარკვევა — ძველი ქართულის დაუხმარებლივ — თით-ქმის შეუძლებელია, **ვ**ინის და **ჟ**-ბრჯგუს განსხვავებულობის დაშვების და

განსხვავებულობათა არსებობის შემთხვევათა გაუთვალისწინებლად ფერეიდნულის ფონეტიკური სინამდვილის ის მხარე, რომელიც ჩვენ აქ გვინტერესებს, — სრულებით გაუგებარი იქნებოდა.

გამოვიდეთ ძველი ქართულის **ჰინის** და **ჟ-ბრჯგუს** განსხვავებულობიდან; ფერეიდნულში ასეთი სურათი გვემლება:

I. იქ, სადაც ძველს ქართულში **ჟ-ბრჯგუთა**, ე. ი. **ჟა** კომპლექსი გვაქვს, ფერეიდნულში **ონია**.

მაგალ. **ა)** ნომენებში: ცხორი (ნაცვ.: ცხუარი < ცხოვარი), თოლი (ნაცვ.: თუალი), სხო (ნაცვ.: სხუა), სიტყო (ნაცვ.: სიტყუა), ძოლი (ნაცვ.: ძუალი), ჯირკოლი (ნაცვ.: ჯირკუალი), ხორბალი (ნაცვ.: ხუარბალი), ხონჯარი (ნაცვ.: ხუნჯარი¹), ხოვი (ნაცვ.: ხუავი), ჭორტლი (ნაცვ.: ჭუარტლი), მწოვე (ნაცვ.: მწუავე), წოდი (ნაცვ.: წუადი): — ორსავე უკანასკნელში წუა — ფუძეა; მარცოლი (ნაცვ.: მარცუალი), ზოვი (ნაცვ.: ზუავი), მწონე (ნაცვ.: მწუანე)...

ბ) ზმნებში: შათოლესო, ჩამოვთოლე (**ab**: თოლ —), ამწონდების (**ab**: მწონე), უყორდაო (შამიყორდაო), ცორცავსო (ცუარცავს < ცუარცუავს > ცარცუავს), მიხოლ (ახოლ); მოგოწყდეს, გოქ, დოგოყარეს, გოწუხეს, გოძლევდეს, გადაგოჯდევინა, გოლონა, დოგოჯდა (**ჟა**-ს **ონად** გადასვლის შემდეგ **ან** პრევერბის **ონთან** ასიმილაცია მოხდა: პრევერბების ასიმილაცია ჩვეულებრივია!) წოგორთო, გამოგორთო, გოგოთავებინეთ, დოგოცალეო, დოგოტყუვლონ, გოყრიან, მოგოშელიაოს (=მოგუაშველოს), გოპატივე; გამომართო, წამართო, წაურთომყე (წაურთუამყე), თქო (ეთქო), ერქო, გამოლუშოთ, ჩაიცო, დაიწო („წუა“-საგან!).

II. იქ, სადაც ძველს ქართულში „ვა-კომპლექსი“ გვაქვს, — ფერეიდნულშიაც „ვა-კომპლექსია“²; მაგ. ჰყვანდა, მოიყვანეთ, წუგუყვანა (=წარგუყვანა), ავიყვანე, ჰგვანდა, დოგვარდა, წგანან, საწუხვარსაყე, ცოდვა, რვანი (II რუა, იხ. ქვ.), ქვა (II ქუა, ქუები, იხ. ქვ.), ხვალ (II ხუალ, იხ. ქვ.), დეედაყე, დოუდა, ენახვა, დენახვაყე, აძლივაყე, გააკურვა, დაწვა („წოლა“-საგან!) — სახელზმნებში, სადაც დაბოლოება **ანი** ფუძისეულ (სუფიქსალ) **ჰინს** ემატება: თიბვა, გალევვა, მორწყვა, გაკითხვა, დაწერვა (აქ **ჰინი** ანალოგიის გზით მივიღეთ), წყელვა-ქოლვა, წუხვა („**ჰინი**“ ანალოგიას მიეწერება), ჯოცვა, ჩმახვა, წაგრვა, (შა)კრვა, კერვა, შაბერვა, ყინვა, დაყირვა (II ყურილი), ფრინვა, პარვა...

შენიშვნა. სამ სიტყვაში, სადაც ძველს ქართულში „ვა კომპლექსია“,

¹ ეს სიტყვა დადასტურებული არაა, მაგრამ საფიქრებელია, რომ მასში „**ჟა**“ იყო, ისევე როგორც სიტყვებში თ უ ა ლ ი, ს ი ტ ყ უ ა, ძ უ ა ლ ი, სადაც თანამედროვე სამწერლო ენა „**ჰა**“-ს ხმარობს.

² ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ეს ვინი წმინდა დენტი-ლაბიალია! ეს **ჰინი** დენტი-ლა-ბილაბიალობის სხვადასხვა გრადაციებს იძლევა ფერეიდნულში.

ფერეიდნულში ასეთივე კომპლექსის გვერდით გვაქვს **ჟბ** კომპლექსიც (**ჟ** მახვილიანი+ა): 1) რვა და რჟანი; ქვა და ქჟას თავზე; 3) ღღეს—ხჟალ („ხვალ“-ის გვერდით).

ამ შემთხვევაში საინტერესოა: 1) ის, რომ ძირეული ვინის ნაცვლად მახვილიანი უნი გვაქვს, პირველს უკანასკნელი შეენაცვლა და 2) ის, რომ მახვილიანი უნი+ბ უცვლელი რჩება, **ონად** არ გადადის. მახვილის ტარების პოტენცია სიმპტომია იმის, რომ უნი წარმოადგენს სრულ ხმოვანს, რომელიც მარცვალს ქმნის; — ფაქტი, რომ მარცვალ-მქმო უნი+ბ **ონად** არ გადადის, არკვევს (ჩვენი აზრით) იმ უნის (ბრჯგუს) ბუნებას, რომელსაც+ბნი გვაძლევს **ონს**; ცხადია, ის მახვილის ტარების შემძლე არ უნდა ყოფილიყო, მას მარცვლის შედგენა არ შეეძლო — იგი უმარცვლო იყო.

III. ძველს ქართულში, სადაც **ჟმ**-კომპლექსი გვაქვს, ფერეიდნულში სამი რეფლექსია: **ე** (ჩვეულებრივი), **ე** (იშვიათი)¹ და **ო** (ზოგიერთს პირობებში — იხ. ქვ.).

მაგალ. **ჟმ** > **ე**: შეეშელნენ (გეეშელნესყე, შუელ-ა ფუძისაგან!), მამ-შელებელი; ამოსეს (ნაცვ.: ამოსუეს); მაჩენეთ (ეჩენებოდა) ნაცვ. მაჩუნეთ (ეჩუნებოდა), თქეს (ნაცვ.: თქუეს), გაწყეტილიყნეს (წყეტა, გადაწყეტილი, გასაწყეტელი); წოგორთეს (ნაცვ. წაგუართუეს) (წაართესყე), გამართეს; იწების (ნაცვ.: იწუების), დაყედრა (ნაცვ.: დაყუედრა), უსტენს (ნაცვ.: უსტუნს), დაარკვენ (ნაცვ.: დაარკუევნ), დაისენა (ნაცვ.: დაისუნენა), გავკეთოთ (ნაცვ. გავკუეთოთ), გაგიკეთო (ნაცვ.: გაგიკუეთო), მოგეცითო (ნაცვ.: მოგუეცითო); — შენიარი (ნაცვ.: შეუნიერი), სუყელა (ნაცვ.: სუყუელა), ღედი (ნაცვ.: ღუედი), ქეშაგები (ნაცვ.: ქუეშაგები), ქევრი (ნაცვ.: ქუევრი), ნაკერცხალი (ნაცვ.: ნაკუერცხალი), წეტი (ნაცვ.: წუეტი), კენა (ნაცვ.: კუენა), წეთი (ნაცვ.: წუეთი), ყერები (ყერული), თავქე, თავქეები (ნაცვ.: თავქუე), წერი (ნაცვ.: წუერი) (წერთეთრები = მოხუცები), ფესები (ნაცვ.: ფესუები), კერცხი (ნაცვ.: კუერცხი), თე (თთუე > თუე), მტერი (ნაცვ.: მტუერი), გერდი (ნაცვ.: გუერდი).

ჟმ > **ე**: ჩონ (იშვიათად), თქენთან, თქენ (იშვიათად); ჩვეულებრივად ჩონ (ნაცვ.: ჩუნენ), (თ)ქენ (ნაცვ.: თქუნენ); გეზიდნა (ნაცვ.: გუეზიდნა).

ჟმ > **ო**: გოდოგოკიდნენ (ნაცვ.: გადაგუეკიდნენ), გობარა (ნაცვ.: გუებარა), დოგოჭირა (ნაცვ.: დაგუეჭირა), მოგოყვანა (ნაცვ.: მოგუეყვანა), გომინიანო (ნაცვ.: გუეშინიანო), დოგოცა (ნაცვ.: დაგუეცა), დოგოცემიან, გორგების (ნაცვ.: გუერგების), გოგოქცესო (ნაცვ.: გაგუექცესო > გაგოქცესო > გოგოქცესო), გოსმისო (ნაცვ.: გუესმისო), გოხეწა (ნაცვ.: გუეხეწა), მოგოტანა (ნაცვ.: მოგუეტანა), მოგოკრა (ნაცვ.: შეგუეკრა), მეხზოვის

¹ შეიძლება გვეხმარა **ო**-ასოც, მაგრამ ვარჩიეთ **ე**, რადგან შესატყვისი ბგერა უფრო **ე**-სკენ არის გადახრილი, და არა **ო**-სკენ.

(ნაცვ.: მოეხუევის > მეეხოვის), დაიხოვენ, დემეხოვენეს; დაჩოულია (ნაცვ.: დაჩუეულია); (ქომოთ¹).

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ჩვეულებრივად: თანხმოვანი+შ-ბრჯგუ+მ > თანხმ.+მ; სხვა რეფლექსებს, — (ქ-ს), ო-ნს, — ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ გვაქვს 1) ბუშ—კომპლექსი, რომელიც ძალიან ხშირად გე-ს გო-ს გვაძლევს, 2) ხუე > ხო-ს (არა ყოველთვის) და ჩუე > (ჩო), ჩონ (ორს შემთხვევაში ორს სიტყვაშია); მაგრამ საინტერესო ის არის, რომ გუე, ხუე კომპლექსი ყოველთვის კი არ გვაძლევს (გე) გო-ს, (ხე) ხო-ს, არამედ შემთხვევათა ერთს წყებაში მათი რეფლექსიც გე-ა (ერთხელ-და გვაქვს ხე), ხოლო მეორე წყებაში — ბო.

რეფლექსების მიხედვით სათანადო მაგალითების კლასიფიკაცია მოვლენის გამორკვევას ხელს შეუწყობს:

გ უ ე კომპლექსი: I: გერდი, მოგეციო. II: გეზიდნა, III: შოგოკრა, გოსმისი, გოხეწა, გობარა, დოგოჭირა, გოდოგოკიდნენ, მოგოყვანა, გოგო-ზიდნა, გომინია, დოგოცემიან, გორგების, გოგოქცესო, გომოგოგებნეს, მოგოხუნეს.

ხ უ ე კომპლექსი: I: მაველებს, გოხეწა, მოხედით, მოვხეტო (დახეტა, მახეტონ), II: მეეხოვის (დაიხოვენ, დემეხოვენეს).

ჩ უ ე კომპლექსი: I: მაჩენეთ (ეჩენებოდა), II: ჩონ, დაჩოულია.

ამ მაგალითების მიხედვით ვრწმუნდებით, რომ თითოეულ კომპლექსს გუე-ს, ჩუე-ს (გარდა ხუე- კომპლექსისა) რეფლექსის სახით მოეპოვება ე, ე და ო; ე-რეფლექსი ჩვეულებრივია; განსხვავებულია ორი უკანასკნელი: ე და ონი.

ამ ორში ჩვენ უნდა გვქონდეს მოვლენის განვითარების ახალი საფეხური; ასე რომ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ წინათ ყველგან იყო ე და ახლა იწყება ამ რეფლექსის ცვლა: ე არის გარდამავალი საფეხური, ო-ნ კი ის ახალი, რომელსაც ცვლილმა რეფლექსმა მიაღწია.

ამასთანავე იბადება კითხვა: 1) როგორი შეიძლება იყოს ამ ე-რეფლექსის ბედი მომავალში და 2) რატომ დაიწყო ეს პროცესი გ, ხ-დან უმთავრესად, ე. ი. უკანაენის მიერთა რიგიდან. რაც შეეხება პირველს კითხვას, მოსალოდნელია, ე-რეფლექსი ე-ს გზით ო-ნისკენ გაემართოს, ხოლო მეორეს საპასუხოდ შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს წინა თანხმოვნის უკანაენისმიერთობა არის ხელსაყრელი ლაბიალი ხმოვნის (ო-ნის) განვითარებისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: შემთხვევათა დიდ უმეტესობაში გუე > გო-ს იქ, სადაც იგი ბოლოდან მესამე მარცვალს შეადგენს:

¹ აქ ალბათ იყო ქემოთ (შეად. თავქე, ნაცვ.: თავქუე) და შემდეგ მოხდა ასიმილაცია მ-ნისა ო-ნთან.

გუე- მესამე მარცვლისა ბოლოდან არასოდეს არ იძლევა გე-ს, მაშინ, როდესაც **გუე** მეორე მარცვლისა ხან **გე**-ს იძლევა, ხან **გო**-ს. უკანანის მიერ **განთან ე**-ნის **ო**-ნად გარდასვლას ხომ არ უწყობდა ხელს ეს მდგომარეობა? და ხომ არ იყო ამ პროცესისათვის ხელსაყრელი ექსპირაციის მეტი ინტენსივობა (*resp.* მახვილი) ბოლოდან მესამე (დინამ.), ხშირად მეორე და პირველ მარცვალზედაც (ტონური?!) (რასაც ფერეიდნულში ადგილი აქვს)?!

შენიშვნა. უე-კომპლექსის მიმოხილვას სანამ მივატოვებდეთ, საჭიროდ ვთვლით სინამდვილის სწორი გადმოცემისათვის შევნიშნოთ აქვე, რომ **უე** კომპლექსი დღემდის შენახულა ორ სიტყვაში (რომელიც ჩვენ შეგვხვდა!): შიშუელი, ტიტუელი (მაგრამ ამ უკანასკნელისაგან ნაწარმოებ ზმნებში გვაქვს: გატიტლდა, გაშიშლდა)!

ხომ არ არიან ესენი გადაშენებული კომპლექსის უკანასკნელი მოპიკანელნი? ხომ არ არის ამაში გადმოცემული პროცესის არიერგარდი, რომელიც ძველს *status quo*-ს იცავს, მაშინ როდესაც მისი ავანგარდი უკვე **ე**-ნისა და **ო**-ნის მდგომარეობას უახლოვდება!¹).

IV. **ვე** კომპლექსი² ძველი ქართულისა წარმოდგენილია ფერეიდნულში **ვე**-თი: მაგალ. ყველი, ქართველი, ფრინველი, ჭინჭველა, საკირველი, სანახველად, დასველება, დაშორება, მომკვლელი; გაათრივეს, გააკოლვენ, დაინიშნვენ, შადკმაზავენ, დოუკრვენ, მორწყვენ, ლეწვენ, წამოყვეს...

V. **უი** (ვ) ძველი ქართულისა ფერეიდნულში წარმოდგენილია **ინით** ან **უნით** (თუ როდის, იხ. ქვემოთ).

უი(ვ) > ი: მაგალ.: წიმა, შილი (ნაცვ.: შუილი), წისქილი, სირცხილი, სხილი (მოსხილო), ფქილი, სტირი (ნაცვ. სტუირი), კირია (ნაცვ. კურია!), ყმაწილი, პირიტყი, ჭკიანი, საკირველი, ძირი (ნაცვ. ძური, ძირფასი), ცხირი, (ნაცვ. ცხური), კირისთავი (ნაცვ. კურისთავი), კიცი (ნაცვ. კიც ან კაცი), ძარლი, ცერცი (ნაცვ. ცერცვ), ჩილი (ნაცვ. ჩჩული), ლელი, ჯიჭინი (ნაცვ. ჯჯვინი), ხინჭა (ნაცვ. ხვნჭა წყლის კენჭი), იხი (ნაცვ. იხვ), ჭიხინი, პეში (ნაცვ. პეშვ), წინტილი (ნაცვ. წწნტილი), ყირვა (ნაცვ. ყურვა = ყურილი), ყითელი (ნაცვ. ყუთელი), ღიძლი (ნაცვ. ღძლი), ფირტი (ნაცვ. ფირტვ = ფილტვ), ნაძი (ნაცვ. ნაძვ), ქიშა (ნაცვ. ქშა), ფეტი (ნაცვ. ფეტვ), ფესი (ნაცვ. ფესვ), ტინი (ნაცვ. ტვნი „ქალას ტინი“), ნესი (ნაცვ. ნესვ), ნერწყვი (ნაცვ. ნერწყვ), კირტი (ნაცვ. კურტი), თავი (ნაცვ. თავვ), ვიტყი, იტყიან (შეად. პირიტყი), გამაართი, გამოგართით, წავართით, გაკირდა, გაკირვებული, შახიდიყე (ნაცვ. შახვდიყე), ჩაცივდებიან (ნაცვ.

¹ სიტყვაში „ქვეყანა“ „შბრჯუ“ არ იკარგება: ეს სიტყვა აქ ტფილისში აქვს შეთვისებული მოსაუბრეს; ფერეიდანში კი „ღუნისას ახმარებენ“.

² მხედველობაში გვაქვს „ვე“ კომპლ. თანხმოვნის შემდეგ.

ჩაცვდებიან), დავცივდით, ოუცივდით, ჰქიან, ვთქით, თქიანყე, მოვსწყითოთ, გოუშითყე, გამიშისყე, გამაალიძა, ქითინებს, გამაარკივა (ნაცვ. გამოარკვა), ფშინავს (ნაცვ. ფშუნავს), ყირის (ნაცვ. ყურის), უსტინა (ნაცვ. უსტუნა); გიან (ნაცვ. გვან), თითან (თუთან), -თის (ნაცვ. -თუს).

უი > უ: მაგალ.: ღუგუკლდა (= დაგკლდა), ღუგუწყოფ (= დაგწყობ), წუგუყვანა (= წაგყვანა), გუთხრეს, გუნდოდაო, მოგუვიდა, გულბდეს, გუგულეს, მუგუცია, მოგუგზანეს, მუგუკლეს (= მოგკლეს), გუგუხარდა (= გაგხარდა), გუნახავო (= გუნახავო), მოგუგონა, დოგუჭიროს (= დაგჭიროს), გუგუგია (= გაგვგია), გუგუშით (= გაგუშით), გუღა (= გვღა), გუნდოდა, ღუგუგდეს (= დაგვდეს), მუგუტანეს (= მოგტანეს), მუგუშელიაოთ (ნაცვ.: მოგუშელიაოთ, ნაცვ.: მოგუშელიაოთ = მოგუშელოთ!), მუგუგ (= მოგვგა!), ღუგუკარგავს (= დაგკარგავს), წუგუტომ (= წაგუტომეია!), მოგოხუნეს (= მოგუხუნეს: ერთი მაგალითიდაა!), ქუსლი (ნაცვ. =ქუსლი. დების ქმრები ერთი მეორისათვის).

ერთი შეხედვით, თითქოს **გუი (გვ)**, როგორც მრავლობითი რიცხვის პირველი პირის პრეფიქსი, იძლევა ასეთ რეფლექსს (**გუ-ს!**), რასაც თითქოს მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ სიტყვაში თავგ (=თავგუი) (ე. ი. სადაც **გუი**—პრეფიქსი არ არის) **გუი > გი:** თავი. მაგრამ ასეთი ახსნის დაშვება პრინციპიალურად შეუძლებელია: იგი მიგვიყვანდა ისეთ შეუსაბამო დებულებამდე, თითქოს ფონეტიკური მოვლენა სახეს იცვლიდეს იმისდა მიხედვით, თუ რა მორფოლოგიურ კატეგორიასაც შეეხება იგი! ფონეტიკას არ შეუძლია დაუშვას ასეთი გარჩევა, და ამის საფუძველი ის არის, რომ ფიზიოლოგიური ბაზისი, რომელზედაც დამყარებულია ფონეტიკური ცვალებადობის ფაქტი, **მექანიკური ბუნებისაა და არა ტელეოლოგიურის.** ეს მექანიკური პრინციპი თავს იჩენს, გამოუკლებლივ აშკარავდება ყველგან, სადაც ამისთვის საჭირო პირობები აღმოჩნდება. სწორედ ამიტომ წარმოადგენს ფონეტიკა საენათმეცნიერო დისციპლინათა შორის ისეთს, რომელსაც ყველა სხვაზე მეტად ახლავს საბუნებისმეტყველო დისციპლინის ხასიათი; ფაქტების გენერალიზაცია, ერთს ფორმულაში მოცემა მრავალი ფაქტების შესახები წესის — ამ დისციპლინის ობიექტის ფიზიოლოგიური რაობის მექანიკური პრინციპებიდან გამომდინარეობს.

თვით ფერეიდნულში, და აგრეთვე მთიულურში, ჩვენ გვაქვს იმის დამადასტურებელი ფაქტი, რომ ფონეტიკური ცვლილების შედეგად ორი განსხვავებული სინტაქსური ფორმის აღრევას ეძლევა დასაბამი: **ოვი-კომპლექსი**, მაგ. ზმნებში **> ოი** (მოვიტანე > მოიტანე), | პირი ამრიგად ემსგავსება მეორეს, გარეგნული განსხვავება მათ შორის იკარგება, მაგრამ ამის წინ არ ჩერდება ფონეტიკური მოვლენის კანონზომიერება! ამიტომ მიგვაჩნია ჩვენ **პრინციპიალურად** დაუშვებლად, რომ **გუი**, როგორც პრეფიქ-

სი, გვაძლევდეს **გუ**-ს, ხოლო **გუი**, როგორც დაბოლოება, გვაძლევდეს **გი**-ს¹.

სხვა შემთხვევებში: (ხუი > ხუ მოგეხუენეს), ქუსლი (=ქუსლი) პრეფიქსებთან საქმე არ გვაქვს! — არა პრეფიქსალობა, არამედ სიტყვის ბოლოდან დაშორება არის პირობა, რომ **გუი**, **ხუი**, **ქუი** — კომპლექსები **გუ**, **ხუ**, **ქუ** — კომპლექსებში გადავიდეს და ზემოხსენებული პრეფიქსის სიტყვაში ადგილმდებარეობა სავსებით აკმაყოფილებს ამ პირობას!

ამ განსხვავებული რეფლექსის შესახებ ჩვენ აგრეთვე ვფიქრობთ, რომ იგი ახალი ფონეტიკური ცვლელადობის დასაბამი უნდა იყოს; ამისდამიხედვით პროცესი ჩვენ ასე წარმოგვიდგენია: **გუი (ისევე როგორც სხვა თანხმოვანი+უ+ი) გვაძლევდა ბი-ს და ეს „ბი“ ვითარდება უკვე გუ-დ**.

საინტერესო აქ ის არის, რომ ეს პროცესი იწყება ბოლოდან დაშორებულ (მეორე—მესამე) მარცვლებში და ბოლო მარცვალში ჯერ კიდევ არ მოქმედებს; საინტერესოა ისაც, რომ ეს პროცესი სწორედ „გი“—კომპლექსიდან დაიწყო: ყველაზე მეტს შემთხვევას მასთან აქვს ადგილი, მაგრამ სხვა უკანა ენის მიერნიც **ხ**, **ქ** ებმებიან ამ პროცესის ფერხულში; და კიდევ უფრო საინტერესო ის არის, რომ **გი (ხი, ქი) (გუ, ხუ, ქუ) არსებითად** ისეთსავე ცვლილებას წარმოადგენს, როგორც **გე (ხე) < გო (ხო)**.

უკანასკნელს შემთხვევაში **ქი** თუ **ჩნად** იცვალა, პირველში **ინი** უნად გადავიდა: ორსავე შემთხვევაში ხმოვნის არტიკულაცია (თუ შეიძლება ასე ითქვას) ორი ნაბიჯით წინ იწევს, ორი საფეხურით გადაინაცვლებს წარმოების ადგილს. ხმოვანთა რიგის განწესება — წარმოების ადგილის მიხედვით ამას ნათელს ჰყოფს: **ა—ე—ი—ო—უ**² (**გე > გო; || გი > გუ**).

VI. **ჭი**—კომპლექსი ძველი ქართულისა ფერეიდნულშიაც იმავე სახით არის წარმოდგენილი, მაგალ.: იყვისყე, ჩოუწვინო, შვილი, უშვილო, წყვილი, აწვიეს, მალვით, ფარვით, პარვით და სხვ.

VII. თანხმოვანთა შორის მოქცეული **ჭი**-ბრჯგუცა და **ჭი**-ინიც ძველი ქართულისა ფერეიდნულში ერთგვარად არის წარმოდგენილი: ორივე დაკარგულა.

მაგალითად: გყვანდა (ნაცვ.: გუყვანდა), თრამეტი (ნაცვ.: თურამეტი, ათრვამეტი), მოგწყურდა (ნაცვ.: მოგუწყურდა), მოგთხოვა (ნაცვ.: მოგუთხოვა), თექსმეტი (ნაცვ.: (ა)თექუსმეტი), მოკდა (ნაცვ.: მოკუდა), მოგცა (ნაცვ.: მოგუცა), ღრიან (ნაცვ.: ღურიან), დათს (ნაცვ.: დათუს), დოგჯერდეს (ნაცვ.: დაგუჯერდეს), შოგჭიდეთ (ნაცვ.: შეგუჭიდეთ), დოგხდება

¹ სამწუხაროდ, „თაგი“-ს მსგავსი მაგალითები მე არ შემხვდა მეტი; ისეთი სიტყვები, როგორცაა ჩირგვ, მოგვ, ბლაგვ ბატ. ს. ი. ო. ს. ე. ლ. ი. ა. ნ. ი. ს. თ. ვ. ი. ს. უცნობი აღმოჩნდა.

² ფერეიდნულში დარჩენილი შემთხვევები იშვიათად, ნამდვილად (ძვ. ქართ. იშვიათად, ნამდვილად) ჩვენ ისეთსავე ნამთად მიგვაჩნია, როგორც შიშუელი, ტიტუელი.

(ნაცვ.: დაგუხუდება), შოგპირდა (ნაცვ.: შეგუპირდა)¹, გაშიშლდა, გატიტლდა და სხვ.

იყნეს (ნაცვ.: იყენეს), გამაძცლის (ნაცვ.: გამოიძცლის), სლა, წასლა, მოსლა (ნაცვ.: სგლა < სლვა).

თავი რომ მოგუყაროთ ყველაფერს ზემოთქმულს, მივიღებთ:

1) უა კომპლექსი ძველი ქართულისა ფერეიდნულში წარმოდგენილია **ა**-ნით.

2) თანხმოვანთა შორის, და აგრეთვე წინათანხმოვანისა და მომდევნო **ე, ი** ხმოვნებს შორის **ჟ**-ბრჯგუ იკარგვის.

შენიშვნა: ამ ცვალებადობის შემდეგ საფეხურად უნდა მივიჩნიოთ: **ჟ**-ბრჯგუს დაკარგვის შემდეგ მიღებული **გე, გი**-ს, **ხე, ხი**-ს (**ქი**-სა და **ჩე**-ს) კომპლექსების გარდასვლა **გო, გუ**-დ, **ხო, ხუ**-დ (**ქუ**-და და **ჩო**-დ). პროცესი იწყება სიტყვის ბოლოდან დაშორებულს მარცვლებში, მაშინ როდესაც პირველი მარცვალი ბოლოდან — ასეთი გარდასვლის არც ერთს შემთხვევას არ იძლევა.

3) ძველი ქართულის **ჰ**-ინი წინათანხმოვანსა და მომდევნო **ა, ე, ი** ხმოვნებს შორის ფერეიდნულში ყველგან დაცულია.

4) ძველი ქართულის იგივე **ჰ**-ინი თანხმოვანთა შორის იკარგვის.

ფერეიდნულში ამ მოვლენის გათვალისწინება ნათელს ჰფენს უწინარეს ყოვლისა ინგილოურს; **პრინციპიალურად** ანალოგიურ მოვლენებს აქვს იქ ადგილი; მოვიყვანთ ნიმუშებს: I) გელ (= გუელი), გერც (= გუერც), კერცხ (= კუერცხი), სტენა (= სტუენა), საკეს (= საკუესი), შენიერ (= შეუნიერი), წერ (= წუერი), ხეტა (= ხუეტა)... II) კშც (=კვცი), კურშშტავ (= კურისტავი), ტჷნ (= ტვნი), ყმაწულ (ყმაწული), შუნდ (= შვნი), წჷმა (= წვმა), შულ — შელი № B), წაჷყონი (= წაუყვანია)... ჰუთქომ (= უთქუამს), თორიალება (= თუალიერება) და სხვ.²

— აქ იგივე პროცესია, რაც ფერეიდნულში, მხოლოდ უფრო შორს წასული (ნაწილობრივ მაინც). **უშ** აქ **ე**-ს კი არ გადაძლევს, არამედ **ა**-ს (თუ მივიღებთ პროფ. ა. შანიძის შენიშვნას)³, **უი** კი **ჟ**-ს, ესე იგი ფერეიდნულთან შედარებით ერთი ნაბიჯით წინ არის გადაწეული არტიკუ-

¹ ამ ოთხს მაგალითში: დოგჯერდეს, შოგჰიდეთ, დოგხდება, შოგპირდა პრევერბალი **ა, ე**-ს ლაბიალობისკენ გადახრა: **ა**-ნად ქცევა დაკარგული **ჟ**-ბრჯგუს კომპენსაციას უნდა წარმოადგენდეს; სხვა ახსნა ძნელი მოსაძებნია.

² ეს მაგალითები მოგვყავს ბ. მოსე ჯანაშვილის თხზულებიდან **საინგილო** (მასალები): ძველი საქართ., ტ. II, გვ. 181 და შემდეგ. გრამატიკულ მიმოხილვაში ავტორი აღნიშნავს: „წ=ე, ო, უ, ვ“; „ჟ=ი, ვი, უ, ა, ო“. და მოგვ. იხ. იქვე გვ. 229.

³ "Кстати звук ö (франц. eu) он (ე. ი. ბ. მ. ჯანაშვილი) передает через ъ, а не Ѱ. — იხ. მ. ჯანაშვილის თხზულების რეცენზია Зап. Вост. Отд. Имп. Рус. Арх. общ. გვ. 344...

ლიაცია: ე—ნ—ს აღწევს, და ი — პროპორციულად უ—ს.

და ამას უნდა დაემატოს: ის რომ 1) ვ-ინისა და უ-ბრჯგუს რეფლექსები აქ განსხვავებული არ არის (იგივე მოვლენა ფერეიდნულში უკვე გვხვდება — თანხმოდანთა შორის) და 2) უ-ბრჯგუ (ვ-ინის) დაკარგვა, როგორც სიტყვის შიგნით, ისე ბოლო მარცვალში, კვალს სტოვებს მეზობელ ბგერაზე (ხმოვანზე) — დოტაციის სახით: ექს (= ექუსი), გრემა (= გვრემა), ლედ (= ლედვ), ნეს (= ნესვ), ფურტ (= ფირტვ)!..

ფერეიდნულის მოვლენებში გარკვევის დროს ჩვენ გამოსავალ პუნქტად ძველი ქართული გვქონდა, და ეს სასარგებლო აღმოჩნდა! თანამედროვე ქართულში ვ-ინით (თუ ვნ-კომპლექსით) გადმოცემული ბგერების რეფლექსების სხვადასხვაობა მხოლოდ ძველი ქართულის ნიადაგზე ხდებოდა და გასაგები. რას ნიშნავს **ის გარემოება, რომ ძველს ქართულში იქ გვაქვს ვ-ინი¹, სადაც იგი ფერეიდნულსაც დაუცავს და უ-ბრჯგუ იქ, სადაც იგი ფერეიდნულშიაც მოსალოდნელი იყო?** ხომ არ შეიძლებოდა აქიდან ძველი ქართულისათვის რაიმე დასკვნის გაკეთება? — ჩვენის აზრით, ძველის ქართულის ნიადაგზე ფერეიდნულის მოვლენათა წყების გაგების შესაძლებლობა ერთს რასმე მაინც მოწმობს: **ვ-ინი და უ-ბრჯგუ ძველი ქართულისა მარტო ორთოგრაფიული ტრადიციით კი არ განსხვავდებოდა, არამედ ამ გრაფემებით რეალურად განსხვავებული ბგერები აღინიშნებოდა.** იყო თუ არა ვ-ინი წმინდა დენტი-ლაბიალი (ან უ-ბრჯგუ სავსებით ბილაბიალი), ანდა იყო ეს ვ-ინი ყველა პირობებში თანაბრად გადახრილი დენტი-ლაბიალობისაკენ, — ამის თქმა ძნელია, მაგრამ **მათი საკმაო ფონეტიკური განსხვავებულობა** — ჩვენ უდავოდ მიგვაჩნია: რეფლექსების განსხვავებულობა ფერეიდნულში გვაიძულებს ასეთი დასკვნა გავაკეთოთ.

რა მიმართებაში იმყოფებოდა დღევანდელი ფერეიდნული (ე. ი. ყოფილი გარე-კახური) ძველს ქართულთან? განა მათ შორის გენეტიური კავშირი არსებობდა? ამის მტკიცება დღეს შეუძლებელია, მაგრამ როგორც შესაძლებლობა — ძნელი გამოსარიცხავია.

ყოველს შემთხვევაში ამასთანავე ერთი რისივე თქმა შეიძლება: თუ გარე-კახური არ იყოს კილო, რომელიც საფუძვლად დაედვა ძველს ქართულს, — ის კილო (თუ კილოები), რომელთა ნიადაგზედაც დამუშავდა მეცხრე-მეათე საუკუნის კლასიკური ქართული — ფერეიდნულის წინაპარ, გარე-კახურთან ერთად მტკიცედ განასხვავებდა ვ-ინს და უ-ბრჯგუს.

¹ მხედველობაში არ ვიღებთ მას თანხმოდანთა შორის!

დასკვნები და დებულებები:

1) თანამედროვე სამწერლო ქართულში **გ**-ინითა (და ნაწილობრივ **ვი**-კომპლექსით) გადმოცემულ ბგერებთან სხვა და სხვა ქართულს თქმებში (მთიულურში, ფერეიდნულში, გურულში და სხვ.) დაკავშირებულია ფონეტიკურ ცვალეზადობათა მთელი რიგი.

2) სხვა და სხვა მდგომარეობაში მათი რეფლექსები მნიშვნელოვან როლს თამაშობს თქმათა გარეგნობის ცვლაში.

3) თქმების მიხედვით ამ რეფლექსების განსხვავებულობის ახსნა უნდა ვეძიოთ ან ბგერის თავისებურებაში (თქმებისდამიხედვით) ან სხვა ზოგადი ენობრივი ფაქტორების (მახვილი, მეტყველების რითმი, ტონი და სხვა) მოქმედებაში.

4) თანამედროვე სამწერლო ქართულში **გ**-ინითა და **ვი**-კომპლექსით გადმოიცემა ძველი ქართულის როგორც **გ**-ინი და **ვი**-კომპლექსი, ისევე **ჟ** (ე. წ. **შ**-ბრჯგუ) და **ჰ**; **გ**-ინის და **ჟ**-ბრჯგუს ხმარება ძველს ქართულში მკვეთრად არის განსხვავებული; სამაგიეროდ **ჟ**-ბრჯგუს და **ჰ**-ეს შენაცვლება ხშირია; **ჰ**-ეთი აღნიშნული ბგერის გენეტიურ კომპონენტებს შეადგენს **ჟ**-ბრჯგუ+**ი**, რაც ცხადად ჩანს იმ შემთხვევებიდან, სადაც ფუძისეულ **ჟ**-ბრჯგუს ფორმანტი **ი**-ნი ემატება, და ორივეს ნაცვლად **ჰ** იწერება; **ჰ** (ე. ი. **ჟი**) და **ვი** კომპლექსის ხმარება ძველს ქართულში ისევე განსხვავებულია, როგორც **ჟ**-ბრჯგუსი და **გ**-ინის.

5) ძველს ქართულში ამ ნიშანთა ხმარების განსხვავებულობის ნიადაგზე თუ დავდგებით და ფერეიდნულის ბგერით სინამდვილეს გავითვალისწინებთ, აღმოჩნდება შემდეგი:

ძველი ქართულის

a) თანხმოვ.+**ჟ**-ბრჯ.+**ა** წარმოდგენილია ფერეიდნულში:
თანხმოვ.+**ა** (**უა**-ს ნაცვ. **ა**).

b) თანხმოვ.+**ჟ**-ბრჯ.+**ე** წარმოდგენილია: თანხმოვ.+**ე**
(**უე**-ს ნაცვ. **ე**).

c) თანხმოვ.+**ჟ**-ბრჯ.+**ი** წარმოდგ.: თანხმოვ.+**ი** (**უი**-ს ნაცვ. **ი**).

შენიშვნა. **გუე, გუი** (გვ) კომპლექსი, საერთოდ, (**ხუე, ხუი, ქუი**-კომპლექსები ნაწილობრივ) წარმოდგენილია — **გო, გუ** (**ხო, ხუ, ქუ**) კომპლექსებით. ამას ადგილი აქვს ბოლოდან დაშორებულს მარცვლებში (მეორეში ხშირად და მესამეში ყოველთვის), მაშინ როდესაც ბოლოდან პირველ მარცვალში ასეთი გადასვლის არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს.

საფიქრებელია, ამაში მოცემული იყოს ახალი პროცესი, — **ჟ**-ბრჯგუს დაკარგვის შემდეგ **ჰ, ი**-ნის **ი**-ნად და **შ**-ნად გარდასვლისა, და ამგვარად ხმოვანთა არტიკულაციის ორი საფეხურით წინ გადაწევისა.

d) თანხმოდ. + **ჟ**-ბრჯ. + თანხმოდ. წარმოდგენილია თანხმოდ. +
თანხმოდ. (**ჟ**-ბრჯუ დაიკარგა).

6) ისეთსავე პირობებში **ვ**-ინი (და **ვი**-კომპლ.) ძველი ქართულისა წარმოდგენილია **ვი**-ნით (და **ვი**-კომპლექსით) (ე. ი. **ვა, ვი, ვი** თანხმოდ. შემდეგ უცვლელად რჩება); მხოლოდ: თანხმოდანთა შორის **ვ**-ინი ძველი ქართულისა ისეთივე რეფლექსით არის წარმოდგენილი, როგორც **შ**-ბრჯუ: იგი იკარგვის (ცხადია, თანხმოდანთა შორის იგი **შ**-ბრჯუს დაემსგავსა და მისი ბედიც გაიზიარა).

7) ფერეიდნულის ზემოაღნიშნული მოვლენის ნიადაგზე გასაგები ხდება შესატყვისი შემთხვევები ინგილოურში, მხოლოდ იქ პროცესი უფრო შორს არის წასული: 1) თანხმოდ. შემდეგ **ში** კომპლექსი იქ **ჩ**-ს გვამლევს და **ში** — **ჩ**-ს, და 2) **ვინისა** და **ჟ**-ბრჯუს რეფლექსები განსხვავებული არ არის.

8) ძველი ქართულის ნიადაგზე ფერეიდნულის მოვლენების გაგების შესაძლებლობის ფაქტი და **ჟ**-ბრჯუსი და **ვინის** რეფლექსების სხვაობა მოწმობს, რომ ძველს ქართულში **ვ**-ინისა და **ჟ**-ბრჯუს განსხვავებულობას რეალურ-ფონეტიკური საფუძველი ქონდა.

მაისი, 1923 წ.

ტფილისი

ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების „წელიწდეულის“

წინასიტყვაობა

წინამდებარე ტომი ჟურნალისა ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების პირმშო შვილია.

ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება იმ ძალუმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეს ემსახურება, რომელთაც უყენებს კავკასიის ენობრივი სინამდვილე საენათმეცნიერო აზროვნებას.

წარმოშობა-მედგენილობით უწინარესად ქართული, მიზნებისა და საკვლევი ობიექტების თვალსაზრისით საზოგადოება გაცილებით უფრო ფართო ხასიათისაა: ქართულსა და მის მონათესავე მეგრულ-სვანურს გარდა სხვა კავკასური ენები ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყვნენ. და თუ ქართული მაინც პირველ რიგში მოგვევლინება, ამის გამართლება ჩვენი მუშაობის პირობების გარდა იმაში არის მოცემული, რომ ხანგრძლივი, ძეგლებში ასახული ისტორიული წარსულის მქონე ენა შედარებით-ისტორიული შესწავლისათვის გაცილებით უფრო მეტს დასაყრდენს იძლევა, ვიდრე მწერლობის არამქონე ენები.

წინ დიდი მუშაობა გვიძევს, და ამ მუშაობის პროცესში ყოველთვის უნდა გვახსოვდეს შემდეგი:

1. ინდო-ევროპული ენათმეცნიერების სახით ჩვენს წინ არის მტკიცედ ჩამოყალიბებული საენათმეცნიერო დისციპლინა, მკვიდრად აგებული გარკვეულ მეთოდოლოგიურ საფუძველზე: შედარებით-ისტორიული ძიების გზა ინდო-ევროპული ენათმეცნიერების ის მონაპოვარია, რომელზედაც დამყარება ყოველი ენის შესწავლისას აუცილებელია; ექსპერიმენტული და ზოგადი ფონეტიკა კი ძლიერი დამხმარე საშუალებაა ამ შედარებით-ისტორიული მეთოდით მუშაობისას; ამ მხრივაც ინდო-ევროპეისტიკა ჩვენი ავტორიტეტიანი მასწავლებელი და მწვრთნელი უნდა იყოს.

მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება, რამდენადაც საქმე კავკასურ ენათა სინამდვილის მეცნიერულ (resp. ენათმეცნიერულ) ცნებებში აკინძვას შეეხება. **ინდო-ევროპული ენათმეცნიერების მეთოდების უყოყმანო მიღება ინდო-ევროპეისტიკის ცნებათა უკრიტიკოდ გადმონერგვას სრულიადაც არ ნიშნავს;** ცნება სინამდვილის სქემაა; განსხვავებული სინამდვილე განსხვავებულ შინაარსს აძლევს ცნებას, ე. ი. ახალ ცნებას იძლევა, თუნდაც რომ მის აღსანიშნავად ძველი ტერმინი იყოს გამოყენებული.

კავკასურ ენათა აგებულება არა ერთ მნიშვნელოვან პუნქტში განსხვავდება ინდო-ევროპული ენების აგებულებისაგან; ეს გვაძლავს სათანადო დასკვნების გაკეთებას; ჩვენ ამით არ ვამბობთ, რომ ცნებები აქ სრულიად სხვა სახით აიგება; მაგრამ იქ, სადაც ტიპოლოგიური თავისებურება

იჩენს თავს, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ სრული შეგნებით განვითავისუფლოთ თავი არსებული ტერმინოლოგიური ტრადიციებისაგან და სინამდვილის შესაფერი ცნებებისა და მათი აღმნიშვნელი ტერმინების ჩამოყალიბებას არ დავერიდოთ.

2. კავკასურ ენათა შესწავლას ორმაგი ინტერესი აქვს; ჯერ თავისთავადი, თვით ამ ენათა ბუნებისა და მათი ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით და მეორეც, ზოგადად, ენათმეცნიერების თვალსაზრისით: ენობრივი აზროვნების ვარიაციები ძნელად თუ არის სადმე ასეთი მრავალფეროვნებით გადაშლილი, ხოლო ამ ენათა ბგერითი მხარე ისეთი სიმდიდრითა და სირთულითაა აქ წარმოდგენილი, თითქოს ადამიანის სამეტყველო ორგანოთა საარტიკულაციო შესაძლებლობათა ამოწურვას ცდილანო.

მაგრამ უდიდესი სიძნელეც ახლავს თან ამ ენების შესწავლას; ქართულს გარდა არც ერთს საკუთრივ კავკასურ ენას ისტორია, დამწერლობის ძეგლებში მოცემული, არ მოეპოვება; ამ თანდაყოლილ „ცოდვას“ გერავითარი „მადლი“ ვერ გამოისყიდის; ამ დანაკლისის მთლიანად ანაზღაურება შეუძლებელია; ამ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლაც სპეციფიკურ ჩარჩოებშია ამიტომაც გამომწყვდეული და პერსპექტივებიც საკმაოდ შემოფარგლული. ასეთ პირობებში **არსებული შესაძლებლობის** ამოწურვისათვის ერთადერთი საშუალებაა: ენის ისტორიის ტვირთი „ენის გეოგრაფიას“ უნდა დააწვეს... ისტორიის მქონე ენისათვისაც ენის გეოგრაფია, ე. ი. დიალექტებში მოცემული ფაქტები, უდიდესი საშუალებაა ენის ისტორიის მკვდარი სინამდვილის გასაცოცხლებლად; ცხადია, ამ ისტორიის გარეშე იგი თავის ცხოველმყოფელ გავლენას ისე ძლიერად ვერ გამოაჩენს; ასე რომ, ისტორიის ტვირთს გეოგრაფია მთლიანად ვერ ზიდავს, მაგრამ თუ ვისმე შეუძლია მოგვცეს ამ ისტორიის თუნდაც ნაწილობრივი კომპენსაცია, — ეს მხოლოდ მას, ამ „გეოგრაფიას“...

ეს კი ნიშნავს: ყოველი კუთხური თავისებურება: — ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ-ლექსიკური... — ყველა კავკასური ენების მიხედვით უნდა იქნეს ამოწურული; **ეს არ არის საკმაო კავკასურ ენათა** შესწავლისას, მაგრამ ეს არის **აუცილებელი** მინიმალური პირობა მათი შესწავლისათვის: ეს დესკრიპტული მომენტი უსათუოდ უნდა იყოს შესრულებული პირველ რიგში.

და თუ ჩვენ მოვიგონებთ, რომ ყველაზე უკეთ „დამუშავებულის“ ქართული ენის შესწავლა ჯერ კიდევ დასაწყისშია და ქართულის კილოთა საკმაო ოდენობა პრელიმინარად შესწავლილიც არ არის, თუ ჩვენ მოვიგონებთ, რომ მთის კავკასურ ენათა რაოდენობაც კი არ არის სათანადო ზედმიწევნობით დადგენილი, არა თუ მათი კილოები შესწავლილი, — ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ რამდენი რამ გვაკლია ჩვენ, რაოდენი სამუშაოა წინასწარ გასაკეთებელი, რომ ელემენტარი განზოგადების მეცნიე-

რული უფლება გვქონდეს; თაობათა მუშაობა აქ საჭირო; ინდივიდუალურ შრომას, რაც უნდა დიდმნიშვნელოვანი იყოს იგი, ვერ ძალუძს იმის გაკეთება, რაც მთელი დასების ფართო კოლექტიური შეთანხმებული მუშაობის პროცესში უნდა იქნეს მიღწეული.

თეორიებით დაწყება ვერასოდეს მოგვცემს ჩვენ კავკასურ ენათა მეცნიერულ სახეობას, არამედ მხოლოდ მკითხაობას; ამიტომაც ამ მუშაობაში ჩვენი გზა არის და უნდა იყოს გზა მკვიდრი პოზიტიური შესწავლისა, ფაქტების შეგროვებისა და მათი ურთიერთობის თანდათანობით რკვევისა...

* * *

„წელიწდეული“-ს ბეჭდვა მეტად გაჭიანურდა; ტექნიკური პირობები წარმოუდგენლად მიძიმე აღმოჩნდა; მარტო ჯარ-ასოს უქონლობამ რამოდენიმე თვით შეგვაწყვეტინა მუშაობა; ამიტომაც 1924 წლის აპრილს წამოწყებული ბეჭდვა მხოლოდ მიმდინარე 1925 წ. თებერვალში დასრულდა; ვერ განხორციელდა ამიტომაც საზოგადოების საბჭოს სურვილი: 1923 წლის „წ ე ლ ი წ დ ე უ ლ ი“ გამოგვეცა 1924 წლის შემოდგომამდე, 1924 წლისა კი 1925 წლის დასაწყისამდე; იძულებული გავხდით ერთი წიგნი 1923 და 1924 წლის „წ ე ლ ი წ დ ე უ ლ ა დ“ ჩაგვეთვალა და მასში საზოგადოების ორივე წლის სხდომათა ოქმები მოგვეთავსებია.

ჟურნალის ბეჭდვა რომ კიდევ უფრო არ გაჭიანურებულიყო, ხელი ავიღეთ საბიბლიოგრაფიო მასალებისა და რეცენზიების ჟურნალში მოთავსებაზე და მზა-მზარეული მასალა განზე გადავდევით; ვგრძნობთ, რომ ჟურნალს ამით მეტად საჭირო განყოფილება აკლია, მაგრამ ეს ნაკლი გამოსწორებული იქნება შემდეგი ტომიდან.

ამავე მიზეზებისა გამო მოგვიხდა საზოგადოების სხდომათა ოქმების (ზოგიერთის გარდა) ძალზე შემოკლება, თუმცა ნათლად გვქონდა ისიც გათვალისწინებული, რომ საზოგადოების მუშაობის ეს მხარე რაც შეიძლება მეტის სისრულით უნდა ყოფილიყო ჟურნალში წარმოდგენილი.

რაც შეეხება გარეგნულ მხარეს, ზოგი ნაკლი თავიდან ვერ ავიცილეთ; კორექტურული შეცთომები გაიპარა... ასოები და ნიშნები ზოგჯერ არაა გამოსული...

მასალათა განრიგებაში თითქოს დარღვეულია ერთგვარი შეფარდება: წერილებთან შედარებით სადიალექტოლოგიო მასალებს (ვევსურულის სახით) მეტად დიდი ადგილი უკავია: მაგრამ ამას არ დავერიდეთ, ვინაიდან აღნიშნული მასალები მეტად მნიშვნელოვან ქართულ კილოს ეკუთვნის და მათი მთლიანად მოთავსება აუცილებელი იყო, წერილების მოთავსება კი მასალების შემდეგ ტექნიკური მიზეზების გამო შეუძლებელი აღმოჩნდა...

რედ.

**ყე ნაწილაკი ფერედნულში და მისი
მნიშვნელობა გრამატიკა-ლოლიკის
ურთიერთობის თვალსაზრისით¹**

-ყე ნაწილაკი ფერედნულში ორი სრულებით განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელია. ერთს შემთხვევაში იგი წარმოადგენს თანდებულს, რომელიც მოითხოვს ნათესაობითსა ან მიცემით ბრუნვას და მნიშვნელობით უდრის თანამედროვე სამწერლო ქართულის **-გან (resp. -დან)** თანდებულს (უფრო ხშირად), ხანდისხან კი **-კენ** თანდებულს; უკანასკნელს შემთხვევაში იგი გენეტურად უკავშირდება გარე-კახურისა და ინგილოურის **-ყი||-ყენ** თანდებულს, რომელიც თავის მხრით სამწერლო-ქართულის **-კენ** თანდებულის შესატყვისია, როგორც ფონეტიკურად, ისე მორფოლოგიურ-სინტაქსურადაც.

მაგალითი: **I. -ყე** ფერედნულში: ნათეს. ბრ. (= -გან, -დან): 1. გამაართიო — დადექარიაო (= საჩუქარი) ემის კვლისაჲო; 2. ისანისაჲე ქაღაზი მოუვიდა; 3. თოფის კმა მოდიოდა ბიჭებისაჲო; 4. თავრობისაჲე რაქთენი (= რამოდენიმე) ეაზაჲი შუგვიდეს; 5. გერივაც (= კვლავაც) ქართველობისაჲე კელს არ ვიღებთ...

II. -ყე — ფერედნ. მიც. ბრ. (= -დან): 1. დაღებმა (= ავაზაკებმა) დოგოარეს თოფი სანგარებსაჲე; 2. ერთი ქართველი თბილისსაჲენაო ჩამოსული; 3. შამნუნი (= მადლობელი) ვარ მიწასაჲე თა ასიშანამდი (= ცამდი); 4. ჩავიყავ, ამოდლე ჯიბესაჲე ფული; 5. ხუთი საათი რო დამესაჲე გავაო...

III. -ყე ფერედნ.: მიც. ბრ. (= -კენ): ცხორები გამორეკეს ბიჭებმა, რო თებსაჲე გევეზარნეთე...

IV. -ყე თანდებული გარე-კახურისა და ინგილოურში: ნათეს. ბრ. (= -კენ): გარე-კახურში: 1. ბაზრისჲენ მოდიხარ? 2. იმერელი კიდე ამბობს: მე შენე ვარო; 3. კახეთისაჲე იყავით? 4. გოგლა საგარეჯოსაჲე წავიდა; 5. გზა სოფლისაჲე მიდის; 6. აწუერისაჲენ რო ომი იყო²...

ინგილი.: აქათჲენ წავაღ (იხ. მ. ჯანაშვილი, „საინგილო“, ძველი საქართველო, ტ. II, გვ. 183).

მეორე შემთხვევაში კი **-ყე** სპეციფიკური ნაწილაკია, რომელიც დაერთვის ზმნებს და აქვს გარკვეული სინტაქსური მნიშვნელობა: აი ნიმუშიც: 1. თა (= ვიდრე) სადილობამდი ვიშუღლეთ (= ვიომეთ, ვიჩხუ-

¹ წაკითხულია მოხსენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1924 წ. 8 იანვარს. გამოქვეყნდა ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდულში, I-II, ტფ. 1923-1924, გვ. 32-68.

² გარე-კახურის მაგალითები მომყავს ჩემ მიერ 1923 წლის ზაფხულს გარე-კახეთში ჩაწერილი მასალებიდან.

ბეთ) და დავიჭირეთუე დაღიები; 2. მოვინახეთუე¹ მეთოფეები; 3. იმის უკან ის კაცები აღარ მოკლათუე; 4. ცუქებს აუწითუე და გავრეთუე თქენ მამულებსაუე; 5. წამოხტეს ჯიღინები, წამოუდგეთუე, დაუყარეთუე, ორი მოვკალით; 6. იმათაც იცოდეს, რომ იმ ღამით დევნიდითუე; 7. ზოგისა ქულაჯა წველოუე. ზოგისა ტუძანა; 8. ჩონი ქართუელები ცოტანი იქნეს თა ჯარი ძეგსწოუე სიბაქსაუე; 9. ქურთებს რა დურბინი დეუბაუე (= დურბინით დაეწყეთთ ყურება), სოფლის მეთოფეები დეენახაუე, ეთქოუე...

სუფიქსად ამ ნაწილაკის ჩათვლა ძნელია; უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ: I. ცოცხალ კილო-თქმათა მთელს რიგში (მაგალ. ქართლურსა, გურულსა და თუმ-ფშავ-ვესურულში) და სამწერლო ენაში შესატყვისის შემთხვევებში იგი არ იხმარება; II. თანაბარ პირობებში თვით ფერედნულისათვის მისი ხმარება სავალდებულო არ არის; მ ა გ ა ლ ი თ .:

1. ცხენები გამოიყვანეთ (ჩვენ), სოფლის ქუჩებზე გამოუხამეთუე; 2. მუშები შაქუჩე და დაუენეუე მუშაობაზე; 3. ანგარიში მივეუე და დაუენეუე მუშაობაზე; 4. ერთ რეალსაც (= აბაზსაც) ნუ მისცემთ და გარეკენითუე; 5. შემოუდგეთ, დავიჭირეთუე დაღიები; 6. ცხენებს მოუწყეთ, ვარბინეთუე; 7. ცხენმა თავი აიღოს და გაიქცისუე; 8. ემეებმა იფიცინათუე; 9. ვერძინ ვერ გაიარისუე იქებში; 10. ფული დააქუჩიან და მისცინან...

ორივე ზემოხსენებული გარემოება განსაკუთრებით აადვილებს ამ ნაწილაკის შემცველი კომპლექსის დაშლას და მისი ამ კომპლექსიდან გამოცალკევებას; ამიტომაც ცნობიერებაში იგი განფასდება, როგორც საკმაოდ თავისთავადი ნაწილაკი, რომელიც ზმნას ორგანიულად კი არ შესისხლხორცებია, არამედ მექანიკურად ეკვრის, და რომელიც ზმნის აგებულების აუცილებელ ელემენტს არ წარმოადგენს.

ამასთანავე მის თავისთავადობას ისიც უწყობს ხელს, რომ ეს ნაწილაკი ფერედნულში მთელს მარცვალს შეადგენს; საკმარისია შევადაროთ ფერედნულის მაგალითები ინგილოურისას, სადაც **-ჟე**, საფიქრებელია, მახვილის ზეგავლენით, შეკვეცილია და **ჟარის** სახითაა წარმოდგენილი, რომ ნათელი გახდეს, თუ რა როლს თამაშობს თავისთავადობის ელფერის შენარჩუნებაში ის გარემოება, რომ ფერედნულში იგი მთელი მარცვალის სახით არის წარმოდგენილი.

მ ა გ ა ლ .: ინგილოურიდან: 1. აი რას გიჩევეუ, კიდემ დაიწო მონადირემ (მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, *op. cit.* გვ. 161); 2. ზუზუებით ზეს მოგიტანე (*ibid.*, გვ. 141); 3. რაღა ჰუმ ექნასუ! გაჰჭირებიაუ თავ, ზატარხალ მიუციაუ (*ibid.*, გვ. 147).

ფერედნულიდან: 1. რა მისოლთ საქართუელოჩი, უნდა გამოოროთოუე და მისცეთუე ემ ჩონ კაცებს; 2. ორ-სამი ცხენი სიბაქელთი წვეუვანაუე ქურთებს...

ფერედნულის გარდა **-ჟე** ნაწილაკი მოეპოვება დასავლურ კილო-თქმათაგან: რაჭულს, ლეჩხუმურსა და იმერულს **-ჟეს** სახით (ქვემო იმე-

¹ მოვინახეთუე... ჳინი აქ უფრო ბილაბიალია, ვინემ დენტო-ლაბიალია, მრავალფეროვნების თავიდან ასაცილებლად ორივე სახის ბგერა ფერედნულის მაგალითებში ჳინით იქნება გადმოცემული; მათ განსხვავებაზე ფერედ. ფონეტიკური მიმოხილვისას შეჩერდებით.

რულში -**კეს** სახით უფრო!); აღმოსავლურში კი იგი გვხვდება: ინგილოურში (**კარის** სახით — იხ. ზემოთ), ქიზიყურში, კახურში (საკმაოდ იშვიათად -**ყეს** და -**კეს** სახით), მთიულურსა და მოჯურში; მთიულურში, კერძოდ იგი მეტად იშვიათია და -**კეს** სახით გვხვდება, უპირატესად ზმნის ზოგიერთ ფორმებთან (იხ. ქვემოთ)¹.

ამ ნაწილაკის გენეზისი ბ. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს აზრით უკვლასიტყვისაკენ ადის (იხ. მისი *op. cit.* გვ. 234); ფერედნულში მართლაც გვხვდებით „სუ-ყელა“-სიტყვას, ფერედნულისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური წესის² მიხედვით: უე > ე: სუ-ყელა < სუ-ყულა < სულ ყელა. ასე რომ, ამ გზით -**ყე** ნაწილაკის მიღება შეუძლებელი არ არის, თუმცა ხაზ-გასმით უნდა აღინიშნოს შემდეგი: ასეთი ნაწილაკების ეტიმოლოგიის ძიება, ე. ი. მკვდარი ფრაგმენტის გაცოცხლება, მეტად საინტერესო და იმავე დროს სახიფათო საქმეა, მით უფრო, რომ ასახსნელად წამოყენებული ჰიპოთეზა უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია შემოწმებულ იქნეს, და ამიტომაც, თუნდაც რომ მცთარი იყოს, შეიძლება დიდ ხანს იარსებოს, სანამ ახალ ფაქტებთან შეუთანხმებლობა მას ბოლოს არ მოუღებს.

რაც შეეხება ამ ნაწილაკის მნიშვნელობას, ბ. ვუკ. ბ ე რ ი ძ ე შენიშნავს: „ყე (რაჭ., ზ. იმერ.) წინადადებაში შემასმენელს შემდეგ დაისმის დამატების მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად, — **частица в предложении следует за сказуемым для выражения дополнения во множественном числе.**

მაგ.: ვუთხარიყე — я сказал им; ვუთხარით — мы сказали ему; ვუთხარიყე — мы сказали им“³.

ასეთსავე განმარტებას აძლევდა პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე ც ამ ნაწილაკს საუნივერსიტეტო ლექციებზე.

სხვა შეხედულებათაგან შემდეგს აღვნიშნავთ: ნაწილაკების მიმოხილვისას აკად. მარი ბ რ ო ს ე ს -**ყეც** აქვს მოხსენებული; იგი მას მიაჩნია -**კი** ნაწილაკის ვულგარ ფორმად; ახალს აღთქმაში იგი სრულებით არ იხმარებაო, ხოლო ძველში მისი მაგალითები მოიპოვება თუ არა, არ ვიცო; მისთვის ცნობილი ყოფილა მხოლოდ ა ნ ტ ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ს გრამატიკაში ხმარებული ორიოდ შემთხვევა და აგრეთვე გოდ. ფ ი რ ა ლ ო -

¹ ფერედნულის მაგალითები მოგვყავს ჩვენ მიერ (ფერედნიდან ჩამოსული ქართველის სემფოლ-ხან იოსელიანის თქმის მიხედვით) 1923 წლის შემოდგომას ჩაწერილი მასალებიდან. რაჭულისა და იმერულის, აგრეთვე მთიულურისა და ქიზიყურის შესახებ ვემყარებით საკუთარ დაკვირვებას; მოჯურისა და შიგნი კახურის შესახებ ცნობები მომაწოდა საენათმეც. საზოგადოების წევრმა სოლ. იორდანიშვილმა; ლეჩხუმურის შესახებ — საპროფეს. მოსამზად. დატოვებულმა გიორგი ჯაკობიამ; ორივეს მადლობას ვუძღვნი.

² იხ. ბენ. ჩიქობავა, **ვინის** რეფლექსები ფერედნულში, „ჩვენი მეცნიერება“, № 2, გვ. 78.

³ იხ. „სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“, *Материалы по яфетическому языкознанию*, VI, СПб. 1912, გვ. 54.

ვის თვით-მასწავლებლიდან ერთი შემთხვევა (ამაზე იხ. ბოლოს); ორივე-დან სათანადო ფრაზებიც აქვს მოყვანილი¹.

დაახლოვებით ასეთივეა პროფ. დ. ჩუბინოვის განმარტება, რომელსაც იგი თავის ლექსიკონში იძლევა: „ყე, ზ. ზ. დიად, რასაკვირველია, და, конечно (იხ. ქართ.-რუსული ლექსიკონი, გვ. 1374).

ორივე განმარტება შეუფერებელია.

„ვეფხის-ტყაოსნის“ გამომცემელი ბ. იუსტ. აბულაძე და ბ. დავ. კარიჭაშვილი ტექსტისთვის დართულს ლექსიკონში შემდეგნაირად განმარტავენ ამ ნაწილს². ბ. იუსტ. აბულაძე წერს: „ყე არის ნაწილაკი, რომელიც იხმარება ზმნის ფორმის შემდეგ მიცემითი ბრუნვის არსის ნაცვალთა — „თქვენ“ „მათ“-ის ნაცვლად, ასე რომ **ყე** ამ ორის(?) პიროვნებითი არსის ნაცვლის ნამდვილი ექვივალენტია. „მონაწყე მოართმიდეს“ მონანი მათ მოართმევდენ ისრებს; წამალსაყე მოგიტანდეს (თქვენ) — ისინი წამალს მოგიტანდენ. — **ყეს** ხმარობენ ზმნის ისეთ ფორმაში, რომელიც მოითხოვს არსის ნაცვალთა „თქვენ“, „მათ“ მიცემითი ბრუნვის მნიშვნელობით. მოგწერეყე—თქვენ (გწერ-მე!). (იხ. „ვეფხის-ტყაოსანი“, ი. აბულაძის რედაქტორობით, ლექსიკონი, ტფილისი, 1914, გვ. 223).

ბ. დ. კარიჭაშვილი წერს: „ეს სიტყვა (ე. ი. **-ყე** ა. ჩ.), რომელსაც ცალკე მნიშვნელობა არა აქვს, იხმარება ზმნასთან, როდესაც ქვემდებარე მრავლობითს რიცხვშია“ (იხ. „ვეფხის-ტყაოსანი“, დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1920, გვ. 315).

ბ. ი. აბულაძე თუმცა **-ყე** ნაწილაკის ფუნქციის ნაწილსა აღნიშნავს (მიგვითითებს მრავ. რიცხ. მიცემ. ბრუნვაში დასმულ არსის ნაცვალზე), მაგრამ სავსებით მართებულად, ბ. დ. კარიჭაშვილის განმარტება კი სრულიად შეუფერებელია: არც კილოებში სადაც ეს ნაწილაკი ამ უამად იხმარება, არც დამწერლობის ძეგლებში (XI საუკუნიდან მოყოლებული) ეს ნაწილაკი ქვემდებარის მრავლობითობას არსად არ აღნიშნავს³.

ამ ნაწილაკის ის განმარტება, რომელსაც ბ. ვუკ. ბერიძე იძლევა, არსებითად სავსებით სწორად უნდა იქნეს მიჩნეული. ასეთი მნიშვნელობა

¹ კი, vulg. ყე, n'est pas employé une seule fois dans le N. T., je ne sais s'il y en a des exemples dans la Bible; pour ყე, il me paroît plus vulgaire, et je n'en ai vu des exemples que dans Phiralof et Antoni. (იხ. L'Art Libéral ou Grammaire Géorgienne, p. 278, Paris, 1834, ლითოგრ. გამოც. — მაგალითები **-ყე** ნაწილაკის ხმარებისა იქვე, გვ. 279).

² მათთვის ეს საჭირო იყო, ვინაიდან „ვეფხის-ტყაოსანში“ ორჯერ გვხვდება ამ ნაწილაკის ხმარება; ეს ადგილები იხ. ბოლოს.

³ როგორც პროფ. ა. შანიძემ გადმოცა "Melanges Charles de Harlez"-ში ყოფილა მოთავსებული ცნობილი რომანისტის Hugo Schuchardts წერილი სათაურით „Georgische -ყე“ (pp. 278-280); სამწუხაროდ, ტფილისში იგი არ აღმოჩნდა, და ამ საკითხზე მუშაობისას მით ვერ ვისარგებლეთ.

აქეს ამ ნაწილაკს რაჭულში, გარეკახურსა და ქიზიყურში, აგრეთვე ინგილოლურში (ვემყარები ბ. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს მასალებს. იხ. ზემოხსენებული ნაშრომი).

ფერედნულისათვისაც ასეთი გაგება ძირითადად უნდა ჩაითვალოს, მხოლოდ აქ კანონზომიერ ხმარებასთან ერთად შეუსაბამოსაც ვხვდებით.

სათანადო მასალების კლასიფიკაციას ჩვენ მართებულად ხმარების შემთხვევებიდან ვიწყებთ, ე. ი. ისეთებიდან, სადაც ეს ნაწილაკი მიგვითითებს მრავლობითი რიცხვის სახელობითი ან მიცემითი ბრუნვით გადმოცემულ ობიექტზე.

მოვლენათა ანალიზისას ჩვენ შეგნებულად გავურბით „დამატება“-ტერმინის ხმარებას: ზმნის სპეციფიკურ თვისებათა გამო ქართულში დამატება არც ასე ადვილი გამოსაცნობია და საკმაოდ ძნელია მისი გარჩევა ქვემდებარისაგან. მოვლენაში გარკვევისას ისეთ ტერმინზე დამყარება, რომელიც *ad hoc* თვით გამოსარკვევია, ისედაც რთულ საკითხს მხოლოდ ბუნდოვანებას შესძენდა.

ამიტომ მეთოდოლოგიურად მიზანშეწონილი და აუცილებელი არის მოვლენის კვალიფიკაციამდი ისეთ რამეს დავემყაროთ, რაც უფრო გარკვეული სახის მქონეა და ჩამოყალიბებული; ასეთ დასაყრდენად გვაქვს გამოყენებული ტერმინები: *ობიექტი*, *სუბიექტი* აზრის თვალსაზრისით; მათ ვუწოდებთ: ლოლიკურ ობიექტსა და ლოლიკურ სუბიექტს (სიმოკლისათვის პირველს აღვნიშნავთ **LO**, მეორეს: **LS**).

ამას ორი უხერხულობა სდევს. ერთი: ცნება ობიექტისა ფორმალ ლოლიკას არ გააჩნია; გნოსეოლოგიაში კი მით აღინიშნება — აზრის საგანი და არა ის ობიექტი, რომლისაკენაც მიმართულია მოქმედება; და მაინც, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ვიხმართ **LS**ის გვერდით **LO**ი, ვგულისხმობთ: პირველში: „მოქმედების შესაძლებლობათა და ყოფის მოდიფიკაციათა ერთობლივობას“, ხოლო მეორეში: ამ „სუბიექტის მოქმედების კორელატს, რისკენაც ეს მოქმედება მიიმართება, სუბიექტის აქტივობის საბოლოო მიზანს“:

ზოგს შემთხვევაში აზრის თვალსაზრისითაც კი ძნელია იმის გარკვევა, რა არის **Si** და რა არის **Oi** (მაგალითად, ასეთ წინადადებაში: ექიმს ავადყოფობა შეეუარა; მელას ტუზა შემოეუარა...): ამაშია მეორე უხერხულობა. აქ ენობრივი კონსტრუქციით განსაზღვრულ წარმოდგენათა ურთიერთობა აზრის ფსიქოლოგიას იმდენად თავისებურ ხასიათს აძლევს, რომ ზენობრივი, ობიექტურ-ლოლიკური ანალიზი ძნელდება.

მაგრამ შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში აზრის კატეგორია შეუდარებლად მკაფიო და მყარია, ვინემ მისი ენობრივი გამოხატულება; ეს კი გამოწვეულია იმით, რომ აზრის უშუალო დასაყრდენი რეალობაა, სინამდვილე, ენისა-კი ცნობიერება, — წარმოდგენები.

ამ გვარად, ჩვენი გამოსავალი იქნება **S**ი და **O**ი აზრის თვალსაზრისით, რომელსაც აღვნიშნავთ **LS**ისა და **LO**ის საშუალებით¹ (ქვემდებარესა და დამატებას კი აგრევე სიმოკლისათვის ყველგან აღვნიშნავთ: **GrS**, **GrO**).

ამ თვალსაზრისით: I. **-ჟე** ნაწილაკი ფერედნულში აღნიშნავს **LO**ს, რომელიც მრავლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვით არის გადმოცემული. მაგალ.: 1. იმაშინ ავიუვანეთუე დალიები და წამოყელით დაწანს (ავიყვანეთუე — ვინ? დალიები). 2. დილობის ჩონც დაჭუჭდიო და ესენი კი გა-ურეკეთუე (გავრეკეთუე — ვინ? ესენი). 3. ცაიუვანეთუე ბიჭები... 4. ოცი, ოცდახუთი წურთეთრები (= მოხუცები) ავიუვანეთუე და წაველით ეახალების უფროსთან... 5. ორი ესეები და ორი ჩონც გავუვანეთუე სანჯარნი... 6. შენა ცხენები შაკმაზე და მაიუვუე... 7. შამოუდექით, დავაჭინეთუე დალიები, თხუთმეტნი იესეს... 8. მეტობა ცხენები თოვლზე გავიხიდეთუე...

II. **-ჟე** ნაწილაკი ფერედნულში აღნიშნავს **LO**ს, რომელიც მრავლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვით არის გადმოცემული; მაგალ.: 1. ცუმათ ძრიალ გამიამხანავდეს; ამოიდე ერთი ნამაი (= კარგი) წინდა, ვანატოვეე (= ვაჩუქე), მივეე (მივეყე — ვის? მათ). 2. დოურივეეე უქილის პატრონებს (დოურივეყე — ვის? პატრონებს). 3. თქენეე მამხუნი (= მადლობელი) ვართო — ხალათს მოგცემეო... 4. მეთოფეებს მივაბარეე... 5. ანგარიში მივეე (მუშებს), რე კარები აკეთონო... 6. ცაბ, მოუტავე ერთი ნაწილი ხილიო... 7. ესეები, ჩამოიდე ისფანსა თუ არა, რაქთენი ფული გამაართიე... 8. შენც უნდა ჰირობა მისცეე, რე გულით დადგენ... 9. იქით თოფი გოუსწორავე: თუ არ გააღეთო, დაგწვეტეო... 10. ამაილო რაქთენი ფული — ჩოუყარავე ემეებსა... 11. ბადტა უორები (= ქალიშვილები) მისცავე ვაზირ-უოზირებს... 12. რაც რე შაკეიფეთუე: კარი გააღეთო, არ გულებდეს... 13. ჩონც ექით გამოდმანსავე დავაურეთუე (მათ)... 14. ჩონც ის ცხორები და კაცები ვანატოვეთუე... 15. რე მიხლათ საქართველოჩი, უნდა გამოართოთუე და მისცეთუე ცემ ჩონც კაცებს... 16. დავინახეთ, რე ანქით თოფები დააურესეე (მათ)... 17. წამაღწეონიანეე მოკობრებსაო (= ყაჩაღებს), ვერ მიდგომიანეე... და სხვა მრავალი.

ზემოაღნიშნულ ორ კატეგორიას² გარდა ფერედნულში შემთხვევათა საკმაო რიცხვი გვაქვს, სადაც **-ჟე** ნაწილაკს თავისი ძირითადი მნიშვნე-

¹ „ლოლიკური ობიექტი“, ვითარცა ტერმინი, გვხვდება აკად. ნ. მარის „ტაბულაში“ (იხ. მაგალ. ტაბულა XVI, XX...), პროფ. ი. ყიფშიძის „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკაში“ (იხ. მაგალ., გვ. 85); სამწუხაროდ, ორსავე შემთხვევაში სათანადო განმარტების გარეშე.

² **-ჟე** ნაწილაკის მნიშვნელობის განხილვა დავიწყეთ ამ ორი კატეგორიიდან არა იმიტომ, რომ ისტორიულადაც ასეთი გამოყენება იყოს უწინარესი, არამედ მხოლოდ სისტემატურობისათვის; ისტორიულად, პირიქით, საფიქრებელია, იგი პირველად მრავლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვით გადმოცემულ **LS**ს აღნიშნავდა (იხ. ბოლოს — დამწერლობის ძეგლებიდან მაგალითები), შემდეგ იმავე ბრუნვით გადმოცემულ **LO**ს, და, დასასრულ, მრავლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვით აღნიშნულ **LO**ს.

ლობა აღარ გააჩნია; აზრის მიხედვით იგი აღნიშნავს „ხოლმე“-ს; ასეთია, მაგალითად: 1. იმითი ჰასილეები (= დიკები) თოვლის ქემ მაჭყვებისეე (= მოჰყვება ხოლმე); 2. გაინ ავდექიეე (= ვდებობდი ხოლმე); 3. ჩონ ვიტყიეე (= ვიტყვით ხოლმე); 4. დამით მიხისხისესეე (= მიხისხისებს ხოლმე)...

-ყე ნაწილაკის მნიშვნელობის დაბნელების მომასწავებელ შემთხვევათა კატეგორიაში უფრო საგულისხმოა მეორე ჯგუფი, სახელდობრ, სადაც **-ყე** ნაწილაკი ე. წ. აწმყო მრავალგზითან¹ ან პერმანსივთან გვხვდება; ამ ფორმაში მოქცეულ ზმნებთან **-ყის** ხმარების შემთხვევები იმდენად მრავალ

¹ ორიოდ სიტყვა ამ ტერმინისათვის: „მრავალგზითი“; ძველი ქართულის სამი ფორმაცნობილი ამ სახელწოდებით: ე. წ. I. აწმყო მრავალგზითი (3 პ. მხოლ. და მრავ. რიცხვ.: იხარებნ, გმობნ, სთხოვნ... იხარებედ, გმობედ, სთხოვედ), II. ნამყო უსრული მრავალგზ. (3 პ. მხოლ. და მრავ. რიცხვ.: იხარებდის, გმობდის, სთხოვდის... იხარებდიან, გმობდიან, სთხოვდიან) და III. ნამყო სრული (აორისტი) მრავალგზითი – ყველა პირებისა: სთხოვის, სთხოვი, ვსთხოვი... სთხოვიან, სთხოვით, ვსთხოვით...

ამ სამ ფორმათაგან მხოლოდ უკანასკნელი, ისიც ხანდახან შეიძლება გადმოგვემდეს „მრავალგზის განმეორებულ“ მოქმედებას; რაც შეეხება ნამყო უსრულს — იგი დასრულებულ მოქმედებას არ აღნიშნავს და, ცხადია, „მრავალგზისობა“ მის მიმართ შეიძლება ნიშნავდეს მოქმედების სიხშირესა, მის ჩვეულებრივობას. ეგვე ითქმის, და კიდევ უფრო, აწმყოს შესახებ: მრავალგზისობაზე ლაპარაკი აქ შეუძლებელია: აწმყო დრო, როგორც ასეთი, თავის შინაბუნებით იმ თავითვე გამოიცხადებს მოქმედების დასრულებულობის (და, მაშასადამე, მისი მრავალგზის განმეორების) შესაძლებლობას. პროფ. ა. შანიძე საფუძვლიანად შენიშნავს: „ნამყო მრავალგზითი... გამოხატავს... ისეთ მოქმედებას, რომელიც ყოველთვის ჩვეულებრივია და მარად და მარად დამახასიათებელი მოქმედი პირისათვის“... („პრეფ. ქართ. ზმ.“ გვ. 6, შენ. 2): ამიტომაც და ზემოხსენებულის მიხედვით გაცილებით უფრო შესაფერი იქნებოდა შერჩენოდა მას უფრო შესაფერისის გამოხატვამდი სახელწოდება პერმანსივი, პროფ. ა. შანიძისავე მიერ პირველად ნახმარი მის ნაშრომში (რუს.). აქვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ზემოხსენებულ შენიშვნაში პრ. ა. შანიძის მიერ რამდენადაც საფუძვლიანად არის გამოაშკარავებული „მრავალგზითი“-ტერმინის შეუფერებლობა, იმდენადვე სადაოა მტკიცება: „ნამყო მრავალგზითი, კაცმა რომ თქვას, განსაზღვრული დრო არ არის: იგი გამოჰხატავს ხოლმე მოქმედებას არა რომელსავე დროში განსაზღვრულს (ნამყოსა, აწმყოსა თუ მყობადში), არამედ ისეთს, რომელიც ყოველთვის ჩვეულებრივია და მარად და მარად დამახასიათებელია მოქმედი პირისთვის“ (idid). — წინადადებაში, „მზე ანათებს“, „ცეცხლი წვავს“ — ანათებს, წვავს სწორედ ისეთ მოქმედებას აღნიშნავს, რომელიც „ყოველთვის ჩვეულებრივია და მარად და მარად დამახასიათებელი მოქმედი პირისათვის“ (ამ შემთხვევაში მზისა და ცეცხლისათვის): მაგრამ იგი ამიტომ დროულობას არ ჰკარგავს. რატომ? — იმიტომ რომ მის გვერდით არის ფორმები: ანათებდა, წვავდა; ანათა, წვა... და სხვა. ეს ფაქტიური მხარისათვის; თეორიულადაც სავსებით დასაშვებია და წარმოსადგენი ისეთი მდგომარეობა, რომ „ყოველთვის ჩვეულებრივი მოქმედება“ თავს იჩენს სწორედ მაშინ, როცა მის შესახებაა ლაპარაკი (-აწმყოში) ან თავი უჩენია ლაპარაკამდი (-ნამყოში) და სხვ.

ძველს ქართულში ამ სამი, თავში მოყვანილი, განსხვავებული ფორმის ხმარება უკვე გვაძლევს დროის მხრით იგინი გავარჩიოთ. რამდენად საქმე ძველ ქართულს შეეხება, აქ საქმის დაწვრილებითი განხილვა სრულებით უადგილო იქნებოდა, — აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ყველა ზემო თქმულის გამო, ქვემოთ ნახმარი იქნება „პერმანსივი“.

ფერედნულში ორს ასეთ ფორმას ვხვდებით: ე. წ. ნამყო სრულსა და უსრულს (აწმყო არ შენახულა); მათ ვუწოდებთ: პერმანსივ პრეტერიტ პირველს და პერმანსივ პრეტერიტ მეორეს.

ვალრიცხოვანია, რომ მათი ცალკე მიმოხილვა საჭიროდ მიგვაჩნია. მოვიყვანოთ ჯერ მაგალითები: **I.** პერმანსივი პრეტერიტი პირველი: 1. იქ (ს)წარსეთში თქვიაქი (= ობიუმი) მოიზიდო; 2. იქ დილას სქე დავლიო; 3. (ცხენმა) თავი აიღის და გაიქცის; 4. ვერძინ ვერ გაიარის იქები; 5. სამჯელ ავღიო, რომ წავიდე, არ გამიძის... 6. ეძებმა იფიცინო, როგორ ვაფი (= ამბავი) ჩონ არ გუგუგია... 7. იძებმაც თქინო რო... 8. იმ დღეს თავჯრმა (= ვაჭარმა) რო ჰარ (= დღიური გასამრჯელო) მისცის, დღეს ორი იქთინი მისცა; 9. ცოტ-ცოტა ქადასებნი ევარა, ჩავიარო ვირნი, წვალი მუადევი და ცოტა მლაშე იფიც; 10. რამდა რო დედაკაცი იფიცო, მანქინო და წავიდიანო; 11. ჯერსე ათასი თოფის კმა მოიძის; 12. ძალით გავჩავინო სამუშაოთ (ქმარი), ...სადილსე შამოიძის და და უთხრის ვეინის ყორსა: დღეს საქმე არ ჩამივარდა; ზოგს დღეს რო ემუშავის, საღამოს ემ ვეინის (= ხელმწიფის) ყორმა ჰკითხის... ემამ უამბის... რო შაიტვის, მანბარის რო... 13. ესეები მოიდიანო ვირუელად ჯაუჯაქს, ღამით დადვინო, დილობით ჩამოიდიანო სიბაქს, მეორე დღეს გადვიდიანო ხუღრუს, ათ ვერსსე სამი სადილი და ვახშამი ჭამიან და წავიდიანო...

II. პერმანსივი პრეტერიტი მეორე: ეს ვეინის ყორი ასწავლიდის, რო...

თუ რით აიხსნება უპირატესად ამ ფორმებთან **-ყი** ნაწილაკის უმართებულოდ ხმარება, ძნელი სათქმელია; შევნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: პერმანსივებში რელატიურ ზმნებს საცხებით ეგუება დამატება სახელობითსა თუ მიცემითში¹; რაკი **-ყი** ნაწილაკი ფერეადნულში არა მარტო მიცემითი ბრუნვით გადმოცემულ **LO**ზე მიგვითითებს, არამედ სახელობითის საშუალებითაც გადმოცემულზე, ეს უსათუოდ ხელს შეუწყობდა, რომ პერმანსივთან **-ყი** ნაწილაკი ხშირად ხმარებულყო. ხშირად ხმარებული მართებული შემთხვევების მიხედვით ხმარების წესის განზოგადება, ე. ი. სხვა შემთხვევებისთვის გამოყენება ხომ ანალოგიურ წარმოებად არის ცნობილი. ენობრივ ფორმათა მრავალგვარობის ერთგვარობამდი დაყვანაში ანალოგიის როლი განსაკუთრებულია. ამ შემთხვევაშიაც მისი როლი შეუძლებელია უგულებელყოფილ იქნეს. მართლაც, პერმანსივთან ჩვენ მოგვეპოება **-ყი** ნაწილაკის მართებულიად ხმარების შემთხვევები. მაგ.: 1. წავიდის, მიწხედისე ამალებს (= მუშებს)... 2. უთხრინო (იმათ) ცოტა კი იუბულეთო... 3. ალეები (= ჯოხები) ჩოუვარინო იმ კაცებს... 4. რომელმაც რო ნამა (= კარგად) ვერ აჭამისე (იმათ), წავიდის, შაფიელის იმ ორი უფროსს, ციმათ გამოვჩავინო სუთი ცხენიანი, გადავდევინო ას თუშანი, დაბლა, მკტი... 5. მამულები დავარავინო, ბენი ჩავადინო და მისცინ... 6. ვარები უდელსაეუ გამოუ-

¹ ისევე, როგორც შესატყვისის ნამყო სრულსა ან უსრულში; თუ ზმნა თვისი აგებულებით მოითხოვს ობიექტს, თავისთავად ცხადია, არც რიცხვს, არც სახეს მისი შეცვლა არ ძალუძს.

შიანე, გაუდიანე¹.

ამგვარად, **-ყე** ნაწილაკი ფერედნულში ცოცხალია; უმეტესს შემთხვევაში გარკვეული სინტაქსური მნიშვნელობის მატარებელია; მიგვითითებს **LO**-ზე მრავლობითი რიცხვის სახელობითს ან მიცემითში²; მაგრამ მისი ხმარების აღრევა უკვე დაწყებულია და მნიშვნელობით იგი ჩამოქვეითებულია „ხ ო ლ მ ე“-მდი; ეს უკანასკნელი მისი მნიშვნელობა პერმანსივთან სრულებით იჩქმალება, ვინაიდან „ხოლმე“-ს მნიშვნელობა თან ახლავს პერმანსივს.

-ყე ნ ა წ ი ლ ა კ ი **LS** ის ა ღ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ი ს რ ო ლ შ ი . შემოთხვევაში ნიმუშები რომ მოგვყავდა, შეგნებულად ავუარეთ გვერდი მაგალითების ერთს კატეგორიას; მათი ნ ი მ უ შ ე ბ ი ა :

1. ხალღი გაკირდა, რა ცუდით რაგო ჩამოურეკიაეუ ცხორიო, გზანი დღიებს რა ან წოურთომეუ; 2. ჩონებს ორ-სამი ტეივა კერაეუ, ძალა მეეტანაეუ იმათ ჩადრებთან (= კარვებთან), ორი ჩობან ცხორი წვერთოეუ, თერთმეტი ბანტიარი დეეჭირაეუ გზანი და ემეეუნაეუ; 3. გამეეჭადაეუ ზირტებილოს ეარა-ეურთოი, ეედუღაეუ, ისი დეედვაეუ თავე, თავი რა შეეკრაეუ, იმაშინ თოლეუბი ემეხიდა, ჰუმეუ (= გონზე) მოსულეეეაეუ; 4. დამით ბეჭებს ანა ჰქონიოეუ ჰური, ემეეღოეუ ხუთი ლიტრა ფქილი, წვეღოეუ წეაროზე სუფრათ და მეეხილაეუ, მეეტანაეუ, ეეენტოეუ (ცეცხლი), ჩარსანგეუბი („ოთხი ქვა“)³, დეეცხლაეუ, ფათირი (= ვმიადი) დეეკრაეუ, ის ეჭამაეუ...

სანიმუშოდ ესეც კმარა. **LO**ი მრავლობითი რიცხვის სახელობითსა თუ მიცემითს ბრუნვაში ამართლებდა **-ყეს** ხმარებას იმ შემთხვევაში, სადაც იგი მართებულად იყო ნახმარი. სად არის აქ მოყვანილ მაგალითებში ეს **LO**ი მრავლობითი რიცხვისა? „ბეჭებს ანა ჰქონიოეუ ჰური = ბეჭებს არა ჰქონოდათ პური; აქ მაგალითად, **LO**ი „პ უ რ ი“ მხოლოდობითს რიცხვშია, მრავლობითს რიცხვში კი **LS**ია: არ ჰქონოდათ პური — ვის? — ბეჭებს. „ემეეღოეუ ხუთი ლიტრა ფქილი, წვეღოეუ წეაროზე სუფრათ და მეეხილაეუ, მეეტანა-

¹ საინტერესოა, რომ მთიულურშიც **-ყე** ნაწილაკის ნაშთები **-კეს** სახით საკმაოდ ხშირად შენახულა პერმანსივ პრეტერიტ პირველთან. ჩემ მიერ შეკრებილ მასალებში აღმოჩნდა სულ 11 შემთხვევა **-კეს** ხმარებისა. მათში მხოლოდ ერთს შემთხვევაში მოეპოვება მას გამართლება, დანარჩენებში იგი „ხოლმე“-ს მნიშვნელობის მატარებელია. ამ ათიდან მას ხუთს შემთხვევაში, ე. ი. ყველა შემთხვევათა თითქმის 50%-ში, პერმანსივთან ვხვდებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ პერმანსივი თვისი შინაარსით „ხოლმე“-ს აზრსაც იტევს (აშენის = აშენებდა ხოლმე, მიუტანის = მიუტანდა ხოლმე) ცხადი ხდება, რომ ყე || კე სახეებით მოკლებულია ასეთ შემთხვევებში ყოველგვარ სინტაქსურ ფუნქციას.

² საჭიროა აღინიშნოს, რომ ხშირად მრავლობითად აღიარებულია „კრებითი“ სიტყვები: აქ აზრის მიხედვით, და არა გრამატიკულად, არის გამართლებული **-ყეს** ხმარება; მაგალ.: 1. წაველ თავრობასთან, წვეშულლეყე, რო თუ გინდოდაყე... 2. აძლივაყე (ხალხს) ერთი გირვანქა ფშატი ორი ლირაზე... 3. მაჰენდენს თავის ქულფათმა (= ოჯახმა, შინაურებმა), რო მამა ცოცხალი მოუვიდაყე (აქ მრავლობითად გაგებულ სიტყვას შემასმენელიც მრავლობითში აქვს; მაჰენდენს ქულფათმა); 4. მუშა შეაქუჩა და დაყენაყე ფეის თხრაზე...

³ პურის გამოსაცხობად იხმარება.

ნაყე...“ = ამოვლოთ (ბიჭებს) ხუთი ლიტრა ფქვილი, წაელოთ წყალზე, მოეზილათ, მოეტანათ... აქ ყველგან LOი მხოლოდობით რიცხვშია, LSი კი — მრავლობითში: ვის ექნა ეს? — ბიჭებს. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლებოდა; ზოგიერთებს კიდევ მოვიყვანთ ქვემოთ.

ორში ერთი: ან -**ყე** ნაწილაკის ხმარება აქ უმართებულოა და ეს ნაწილაკი მხოლოდ გარკვეული სახის ლოლიკურ ობიექტზე მიგვითითებს, ან იგი მართებულია და მაშინ -**ყე** ნაწილაკი ლოლიკური ობიექტის გარდა ლოლიკური სუბიექტის გარკვეული სახეების აღსანიშნავდაც იხმარება.

ამ ნაწილაკის ხმარება აქ უმართებულო არ არის; ამას ცხადყოფს დამწერლობის ძეგლებში შენახული -**ყე** ნაწილაკის ხმარების შემთხვევები: იქ თითქმის მხოლოდ ასეთ შემთხვევებში ვხვდებით მის ხმარებას; მაგალითებში, როგორცაა, აქუსყე (მათ), ჰწწამსყე (მათ), ჰნებავსყე (მათ), ეგულუბისყე (მათ), აწყე (= აძსყე მათ), ეღვაყე, ექმნაყე და სხვ.¹, ეს ნაწილაკი მიგვითითებს ლოლიკურ სუბიექტზე, რომელიც მრავლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვით არის გადმოცემული.

ეს გვაფიქრებინებს, რომ ფერეიდნულის ზემოაღნიშნულსა და მსგავს მაგალითებში -**ყე** მართებულად არის ხმარებული; მაშასადამე ეს ნაწილაკი იხმარება ლოლიკური სუბიექტის აღსანიშნავდაც, როცა იგი მრავლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვით არის გადმოცემული. ეს კი ნიშნავს: **მიცემითი ბრუნვით გადმოცემული ლოლიკური სუბიექტი ენობრივად (resp. გრამატიკულად) სუბიექტი კი არ არის, არამედ ობიექტი², ანუ: LOი და LSი ზემოაღნიშნულს შემთხვევაში ენის თვალსაზრისით ურთიერთს ეთანაბრება, თანაბრად განფასდება.** ეს დებულება ძალის მქონეა იმ შემთხვევაშიც, როცა LOი თუ LSი გადმოცემულია არა მრავლობითი, არამედ მხოლოდობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვით: სინტაქსური კონსტრუქცია არ იცვლება რიცხვების მიხედვით.

შემდეგს მაგალითებში ერთსა და იმავე ზმნასთან გვაქვს ეს ნაწილაკი: ერთს შემთხვევაში იგი LOით არის გამოწვეული, მეორეში LSით; ორივე მრავლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვით არის გადმოცემული.

¹ ესა და მსგავსი მაგალითები იხ. ბოლოს. — ინგილოურშიდაც, ვემყარებით ბ. მ. ჯანაშვილის დასახელებულ ნაშრომს, — LSის აღსანიშნავად -**ყე** ნაწილაკის ხმარება გაცილებით უფრო ხშირია, ვინემ LOის აღსანიშნავად.

² უფრო სწორად რომ ვთქვათ, იგი განფასებულია ისევე, როგორც ლოლიკური ობიექტის აღმნიშვნელი სიტყვა.

LO.

1. მე უთხარეე ამხანაგებს.
უთხარეე — ვის? მათ
(ამხანაგებს) = LO.
2. იმათ დოუწერეე, რა ნუ
აღონებენე.
დოუწერეე — ვის?
მათ = LO.
3. ქართველებმა ეს ფული
ან მისცესეო ჩონ გავ-
ზანელიებს.
მისცესე — ვის? მათ
(გავზანელიებს) = LO.
4. ჩონც ზინობა გოუგზავ-
ნეუე.
გოუგზავნეთე — ვის?
მათ = LO.
5. ერთი ბატკანიც დოუკ-
ლაე (სტუმრებს).
დოუკლაე — ვის? მათ
(სტუმრებს) = LO.
6. ცემათ საუხმე აჭამაე.
აჭამაე — ვის? „ცე-
მათ“ = LO.
7. ქართველებს ფული გა-
მოერთმისეო.
გამოერთმისეო — ვის?
მათ (ქართველებს) = LO.
8. ანც რა კი ან უყავითე
(მეთოფეებს).
უყავითე — ვის? მათ
(მეთოფეებს) = LO.

LS.

1. გამიგიაო, სხილ ხალღებსაე,
რა უთქომეე.
უთქომეე — ვის? მათ
(ხალღებს) = LS.
2. თილიფანით დეეწერაე, რა
დღესეე ორმოცდაათი ეაზადი
წავიდეს სოფელსათი.
დეეწერაე — ვის?
იმათ = LS.
3. ცხენიანი და მეთოფეც
მეცაე (ფერეიდნელთ).
მეცაე — ვის? მათ
(ფერეიდნელთ) = LS.
4. კანც გეეეგზავნაე მარ-
ტოფი (ქურთებს).
გემეეგზავნაე — ვის?
მათ (ქურთებს) = LS.
5. ჩონებსაც ერთი იმათი
მეეკლაე.
მეეკლაე — ვის? მათ
(ჩონებს) = LS.
6. (ბიჭებს) ფათირი ეჭამაე.
ეჭამაე — ვის? მათ
(ბიჭებს) = LS.
7. ჩემთი გეეერთოე ბახ-
ტიარებს ათასი თუმანი.
გემეერთოე — ვის? მათ
(ბახტიარებს) = LS.
8. ქართველებს... ვაკაცობა
უქნიაე.
უქნიაე — ვის? მათ
(ქართველებს) = LS.

აქ მოყვანილი მაგალითებიდან ნათელია, რომ ყოველ წყვილში „იმათ“ = სიტყვა აზრის თვალსაზრისით პოლარია: ერთგან იგი რეალ ობექტს აღნიშნავს, რეალი სუბექტის მოქმედების შემწყნარებელია, მეორეგან კი თვით ამ მოქმედების წყარო, თუ შეიძლება ითქვას, *causa efficiens*ია, ენობრივად კი იგი თანაბრად არის განფასებული ცნობიერ-

ბის მიერ. ორივეგან თანაბრად ობიექტია: **-ჟე** ნაწილაკის განურჩევლად ხმარება ორსავე შემთხვევაში ამის საუკეთესო დამამტკიცებელია.

აზრისა და მისი აღმნიშვნელი სიმბოლოს, მეტყველების დისპარმონია განსაკუთრებით შორს მიდის უკანასკნელს მაგალითში: „აწ წა კი აწ უჟაუთუჟე (ჩონ — მათ) = LOი — „მათ“ — გრამატიკულადაც ობიექტია, კორელატ ფრაზაში კი: „ქართულებს ვაჟკაცობა უქნიაჟე“: უქნიაჟე — ვის? მათ (ქართველებს): LSი გრამატიკულად ობიექტია, მიუხედავად იმისა, რომ ფრაზის შინაარსი სწორედ იმაზე მიგვითითებს, რომ იგი რეალურად მოქმედია: უქნიაჟე ქართულებს: „უქნია“ — ზმნის შ ი ნ ა ა რ ს ი (= აზრი) ქართველების სუბიექტობაზე მიგვითითებს. მისი ფორმა კი — ობიექტობაზე: „უქნია“ — ზმნის შინაარსი მქნელის ობიექტად ყოფობას გამოირიცხავს, ფორმა კი სუბიექტობას!

LSისა და GrOის პოლარობა საკმაოდ განელეზულია ზოგიერთ, ამ მხრივ საკმაოდ საინტერესო შემთხვევაში; მაგ.: 1. რადგანაც მე მიუყვანდიჟე, შენ აღაწ წაუჟანენო (გარე-კახურიდან) ან 2. უნდა მეუყვალდიჟე ავაზაკებს (იქიდანვე); პირველს მაგალითში LSი არის „მათ“: მიგვყვანდიჟე — ვის? ავაზაკებს: ვინ? — მე = LOი. მაგრამ ორსავე შემთხვევაში, განსაკუთრებით მეორეში, LSის სუბიექტობა, აქტივობა მკრთალია: ცხადია, ეს გამოწვეულია სათანადო ზმნის თავისებური აგებულებით: მისი საშუალებით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს LSი თვითონ კი არ არის აქტიური, არამედ მას განეკუთვნება მოქმედება, „უკავშირდება თითქოს გარედან“. LSის ასეთი დასუსტება აზრის მხრით უსათუოდ ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო, რომ ასეთი სუბიექტის გრამატიკულად ობიექტად გაგება გაადვილებულიყო.

-ჟე ნაწილაკის პრინციპული მნიშვნელობა. ფაქტი LSის გრამატიკულ ობიექტად მოვლენისა მეტად საგულისხმოა. მას აქვს პრინციპული და მეთოდოლოგიური მნიშვნელობა არა მარტო ფერედნულისა და საზოგადოდ ქართულისათვის, არამედ „ზოგადი ენათმეცნიერების“ ზოგიერთი ძირითადი საკითხების თვალსაზრისითაც.

„მეცნიერებათა წინსვლა მათს გამიჯვნაშია მიზნისა და საშუალების მხრივო“, — ამ ელემენტარი ჭეშმარიტების შესახებ დღეს აღარავინ დაობს. ვითარცა ნორმას, მას ყველა აღიარებს; მაგრამ მასში მოცემული პრინციპის ხორცშესხმა მეცნიერულ სინამდვილეში გაცილებით უფრო ძნელია, ვინემ პრინციპის აღიარება, და იქ, სადაც ეს ყველაზე უფრო საჭიროა, საუკუნეთა მემკვიდრეობა და ისტორიულად განმტკიცებული ინერცია უფრო ძალუმი, ვინემ საჭირო თვალსაზრისის რეალიზაციის ცდა.

გრამატიკა და ლოლიკა დასაბამითვე ძნელად დასაცილებელი „თანამეინაჟენი“ აღმოჩნდენ. ამას ღრმა მიზეზები ჰქონდა. აზრის, როგორც ლოლიკის შესასწავლი საგნის, მხილება მეტყველება. ამიტომაც აზრის

ანალიზის დროს მეტყველებას ემყარებოდენ; ამით დასაბამი მიეცა ლოლიკის კატეგორიათა გრამატიკულ ინტერპრეტაციას.

და, წინაუკმო, გრამატიკაში თავი წამოყო „ლოგისტიკამ“. ენობრივი სინამდვილის სქემატიზაცია და გრამატიკის შენობის აგება ლოლიკის ცნებებით იწყეს.

ამ აღრევას უსათუოდ შეუწყო ხელი იმ ისტორიულმა ფაქტმა, რომ ლოლიკის და გრამატიკის დისციპლინა ისეთ ენებზე მოლაპარაკე ერთა წიაღში წარმოიშვა და ვითარდებოდა, სადაც „ენობრივი აზროვნება“ ყველაზე ნაკლებ წინააღმდეგება ხოლმე ლოლიკის სტრუქტურას, ყველაზე უფრო ეგუება მას. ამ დისციპლინათა წარმომშობი წიაღი თუნდაც ერთ-ერთ სემურსა ან რომელსამე კავკასიურ ენაზე მოსაუბრე ერი რომ ყოფილიყო, მეტად საეჭვოა, რომ ლოლიკა-გრამატიკის გამიჯნა (თუ კი, საერთოდ, ეს ორი დისციპლინა ჩამოყალიბდებოდა) ასე ძნელი ყოფილიყო...

უსათუოდ გაზვიადებულად, მაგრამ ჭეშმარიტებასთან ნაწილობრივ მაინც ახლოს მყოფად უნდა მივიჩნიოთ Mauthner-ის აზრი, როცა იგი ამბობს: „არისტოტელეს ლოლიკა სხვა არაფერია, თუ არ ბერძნული ენის ერთი საინტერესო თვალსაზრისით განხილვა. არისტოტელეს სასაუბრო ენა ჩინური ან დაკოტაური რომ ყოფილიყო, ის იძულებული იქნებოდა შეექმნა სრულებით სხვა ლოლიკა“¹.

თანამედროვე ლოლიკოსი ასეთ აზრს უსათუოდ უარყოფს; ლოლიკა ენის მიხედვით არ იცვლება: ჩინური და დაკოტაური ენით იგივე სინამდვილე აღინიშნება, რასაც ყოველი სხვა ენა გადმოგვცემს. თვით გადმომცემი საშუალებისდაკვალობაზე შეიძლება მეტყველის ცნობიერებაში სხვადასხვა პროცესს ექმნეს ადგილი, მაგრამ ეს მეტყველების, თუ გნებავთ, აზროვნების ფსიქოლოგიას შეეხება, და ამა თუ იმ შემთხვევაში მის თავისებურებას იწვევს, მაგრამ აზრი ერთი და იგივე იქნება: მას განსაზღვრავს ერთი და იგივე სინამდვილე. ამგვარად: თანამედროვე ლოლიკა ვერ გაიზიარებს Mauthner-ის აზრს, მაგრამ ლოლიკის ისტორია ნაწილობრივ მაინც უსათუოდ გაამართლებს მას.

საშუალო საუკუნეთა სქოლასტიკის ბრძმედში გატარებულ ევროპულ აზროვნებას ძვალ-რბილში გაუჭდა აზროვნების ის ცოდვები, რომელიც მეცნიერებამ ჩაიდინა მაშინ, როცა იგი ჯერ კიდევ ნორჩი იყო.

და რაზომ დიდი იყო აღრევა აზრის (როგორც ლოლიკის ობიექტის) წინადადებასთან (როგორც მის აღმნიშვნელ სიმბოლოსთან) ჩანს იქიდან, რომ ჩვენს დროშიაც კი, როგორც Wundt-ის სიტყვებიდან ჩანს, ზოგიერთ

¹ "Die ganze Logik des Aristoteles ist nichts, als eine Betrachtung der griechischen Sprache von einem interessanten Standpunkte aus. Hätte Aristoteles Chinesisch oder Dakotaisch gesprochen, er hätte zu einer ganz anderen Logik gelangen müssen". Mauthner, "Beiträge zu einer Kritik der Sprache", Stuttgart-Berlin. 1902. Bd. III, S. 4.

ლოლიკოსს მსჯელობაში სუბიექტსა და პრედიკატს გარდა — კავშირი (Kopula) მსჯელობის მესამე შემადგენელ ნაწილად მიაჩნია¹.

იგივე Wundt იშინებდა, რომ არისტოტელე კიდევ არჩევდა მსჯელობათა ორ სახეს: ისეთებს, რომელნიც მხოლოდ სუბიექტისა და პრედიკატისაგან შედგებოდა, ისეთებისგან, რომელთაც მესამე შემადგენელ ნაწილად კავშირი უჩნდებოდათ, — მაშინ, როდესაც Boethius-იდან დაწყებული საშუალო ლოლიკა სუბიექტს, პრედიკატსა და Kopulas მსჯელობის არსებით შემადგენელ ნაწილად თვლიდაო²... ასეთ შემთხვევაში მსჯელობის ტიპური მაგალითად ცნობილი ყოფილა Homo justus est (Homo — Subject; justus — Praedicat; est — Kopula)³. ცხადია, აქ წინადადების ანალიზი აზრის ანალიზის მაგიერ გვევლინება: ლოლიკა — მეცნიერება ამით, ცხადია, ვერაფერს მოიგებდა.

იმავე სინამდვილის მეორე მხარედ უნდა იქნეს მიჩნეული ის არასანუგეშო სურათი, რომელსაც გრამატიკა წარმოადგენდა და ნაწილობრივ ახლაც წარმოადგენს. წინადადების ნაწილების აღსანიშნავად ლოლიკის ცნებათა Subjectის და Praedicatis (ქვემდებარე-შემასმენლის) ხმარება იქაც კი, სადაც ეს საკლასიფიკაციო ფაქტების მიმართ აშკარა ძალადობას წარმოადგენს, ბრუნვათა მონათვლა მნიშვნელობის მიხედვით — აი ორიოდ სანიშნავად უბედურება იმ მრავალ უბედურებათაგან, რომელიც გრამატიკას ლოლიკასთან აღრევის გამო მემკვიდრეობად ერგო ისტორიისაგან⁴.

ექვ ხმარების წესმა ცხადყო, რამდენად შეუფერებელია ლოლიკის

¹ "Manche Logiker betrachten die Kopula neben Subjekt und Prädikat als einen dritten Bestandtheil des Urteils". Wundt, Logik, Bd. I, Dritte Auflage 1906, Stuttgart, გვ. 153.

² "Wenn auch Aristoteles selbst noch zwei Arten der Urteile unterschied, solche, die nur aus Subjekt und Prädikat bestehen, und solche, bei denen als dritter Bestandteil die Kopula hinzutrete, so hat doch die Schullogik mindestens seit Boethius begonnen Subjekt, Prädikat und Kopula, als die drei wesentlichen Bestandteile hinzustellen", იხ. Wundt, op. cit. გვ. 154.

ასეთი Schullogikის მშვენიერ ილუსტრაციად უნდა ჩაითვალოს გ. სტრუვეს „ლოლიკა“, სადაც ვკითხულობთ: "Суждение (judicium) есть обозначение признаков данного предмета. В суждении три составные части или члена (partes constitutivae): во-первых, предмет, признак которого обозначается; во-вторых, признак данного предмета, и, наконец в третьих, отношение между признаком и предметом. Первая часть суждения называется подлежащим или субъектом суждения (subjectum judicii). Вторая — сказуемым суждения (praedicatum judicii). Третья, наконец, связкою или отношением (copula sive relatio judicii)". "Элементарная логика", გვ. 37. გამოსულია ეს სახელმძღვანელო 1904 წ. (С.-П.Б.), ხოლო მისი ავტორი სახელმძღვანელოს უბრალო შემდგენელი კი არ არის, არამედ, როგორც წიგნზე წარწერიდან ჩანს: "доктор философии Иенскаго и Московскаго Университетов, заслуж. ордин. Профессор Императорскаго Варшавскаго Университета, почетный член Московскаго Психологическаго Общества".

³ რომ Kopulas არსებობა აქ ლათინური ენის თვისებით აიხსნება და არა აზრის ბუნებით, აშკარავდება არაბულით, სადაც იგივე აზრი ორი სიტყვით გადმოიცემა: „აკცი სამართლიანი“:

⁴ არ არის გამორიცხული აგრეთვე შესაძლებლობა, რომ ფსიქოლოგიური ცნებებით ენობრივი სინამდვილის შესწავლის ცდა გრამატიკას ახალ საფრთხეებს განუმზადებს.

ცნებები გრამატიკის შენობის ასაგებად: ლოლიკა ხედავს სუბექტს იქ, სადაც ენისთვის მხოლოდ ობექტი ა. უკეთ რომ ვთქვათ, ობექტი კი არა, არამედ ლოლიკური ობექტის ექვივალენტი ფორმა! ინდო-ევროპულ ენებში ლოლიკის და გრამატიკის ცნებათა შორის, დიდ წილ შემთხვევაში მაინც, პარალელიზმი არსებობს. ეს ქმნის შესაძლებლობას ერთს სინამდვილეში გამოუმთავრებული ცნება — მეორეში იქნეს გადატანილი: ლოლიკის გრამატიკული ინტერპრეტაცია, გრამატიკის ლოლიკური გაგება ამ ნიადაგზე აღმოცენდება.

ჩვენში ეს პარალელიზმი მეტად არსებით პუნქტებში ირღვევა: ვგულისხმობ ე. წ. ქვემდებარის და **LS**ის ურთიერთობას: ამით ცხადი ხდება პარალელისტურ ნიადაგზე აღმოცენებულ ცნებათა ჩვენი ენის შესწავლისას გადმონერგვის უვარგისობა: — ამ გარემოების მხილებაშია — **ყე** ნაწილაკის მნიშვნელობა გრამატიკა-ლოლიკის ურთიერთობის თვალსაზრისით.

აქვე ირკვევა მეორე გარემოებაც. მიუხედავად იმისა, რომ მეტყველება — აზრის სიმბოლოა (და მაშასადამე დამოუკიდებელი არ არის: აზრის გარეშე იგი წარმოუდგენელია — ნორმალურს პირობებში, რასაკვირველია!), ამ სიმბოლოს საკუთარი ლოლიკა აქვს, აზრის ლოლიკისაგან განსხვავებული, იგი რამდენადმე მაინც თავის თავადი, იმანენტური ყოფის მატარებელია. ამ იმანენტური ყოფის დასაყრდენი არის ფორმა: აზრის თვალსაზრისით მოქმედი, აკტივი, როგორც ვნახეთ, ფორმის იმანენტურმა ლოლიკამ შემწყნარებელ საგანს — პასივს, გაუთანასწორა! **Ergo**: იმანენტური ყოფის მატარებელი ფორმის შესწავლის დროს ცნების აგებას საკლასიფიკაციო პრინციპად ფორმალური მომენტი უნდა დაედოს¹.

როცა **ყე** ნაწილაკი **LO**ს აღნიშნავს — მისი შესატყვისი არც კილოებს (იგულისხმება ისეთები, რომელთაც ეს ნაწილაკი არ გააჩნიათ), არც სამწერლობო ენას არ მოეპოვება. მაგალითად: ფერეიდ.: 1. მე რეზანის კაცებს უთხარე (მდრ. ლიტერატ.: „მე რეზანის კაცებს ვუთხარი“); 2. თა ის იყო, ქართულებს ვერ აწუხებდესეუ (= „სანამ იგი იყო, ქართველებს“).

¹ ამით რიგი პრინციპული საკითხებისა ისმება, მაგრამ მათ განხილვაში აქ ვერ შევალთ; მათ სხვა დროს დავუბრუნდებით.

ქართული ზმნების თავისებურებათ ინდო-ევროპულთან შედარებით მშვენიერი შენიშვნებით ახასიათებს პროფ. ა. შანიძე (მდრ. „პრეფიქსები ქართულ ზმნებში“, გვ. 69 და შემდ.), თუმცა გასაგები მიზეზების გამო ამაზე დიდხანს არ ჩერდება (ეს არც იყო საჭირო მისი მთავარი მიზნისთვის!). მხოლოდ სათანადო შემთხვევებში **LO**ი მკვეთრად არ არის გამოცალკევებული იმ შემთხვევებში, როცა ლოლიკისა და ენის ურთიერთობაში კოლიზია იქნეს თავს: ე. ი. როცა **LS**ი — ენობრივად „ობექტად“ არის განფასებული. მაგრამ ეს გადმოცემას უფრო შეეხება, ვინემ აზრს, რომელიც უდავოდ უნდა იქნეს მიჩნეული.

ვერ აწუხებდენ“¹).

ხოლო როცა ეს ნაწილაკი LSით არის გამოწვეული, მის შესატყვისად **თან**-სუფიქსი გვევლინება. მაგალით.: ფერედ. 1. ნუ გეშინიავე, დედაკაცებთან საქმე არა გოქ (= ნუ გეშინია**თ**...); 2. ტანისამოსი გეშეცვალავე (= ტანისამოსი გამოეცვალა**თ**); 3. რაღა რა ჰქონდავე დაღიებს, ისიც ჰაქიმმა მაიტანა (= რაც რომ ჰქონდათ დაღიებს...).

ამას თავისი ისტორია აქვს; ცნობილია, რომ ძველს ქართულს შესატყვისს შემთხვევაში **თან**-სუფიქსი არ მოეპოება. მაგალით.: 1. ვითარცა იხილეს სარკინოზთა მათ. ცუცხლი. იგი. შექმინა შიშითა დიდითა (იხ. Keimena, გამოც. პროფ. კ. კეკელიძის მიერ, ტფილ. 1918, გვ. 29): სარკინოზთ შექმინდა! 2. გხედავ თქვენ რ გნებას სქენად (ib. გვ. 35): თქვენ გნებას! 3. თანა ჰქვანდა მათ. ერთი. მენათუვათაგანი (ib. გვ. 38): ჰქვანდა მათ! 4. და უკვრდა უღმრთთ მათ. სიმძნც იგი (ib. გვ. 38): უკვრდა მათ! 5. მტერთა მათ. ღმრთისათა შეუუარდა იგი (ib. გვ. 40): მტერთა შეუუარდა!

და ეს გასაგებიცაა: **თანი** სუბიექტური სუფიქსისა მრავლობითი რიცხვის პირველისა და მეორე პირის, ხოლო აღნიშნულ შემთხვევებში, როგორცაა: გნებას თქვენ, ჰვაგდა მათ, უკვრდა მათ, შეუუარდა მტერთა — „თქვენ“, „მათ“, „მტერთა“ ენობრივად სუბიექტი კი არ არის, არამედ ობიექტი.

მაშასადამე, კითხვა იბადება: რას უნდა მიეწეროს თანამედროვე სამწერლობო ქართულში **თან**-სუფიქსის ხმარება მრავლობითს რიცხვში იქ, სადაც იგი ძველს ქართულში არ იხმარება? ორი შესაძლებლობაა: I. ან გამოიცვალა კონსტრუქცია: LSი გრამატიკულადაც სუბიექტად იქმნა მიჩნეული ევროპული ენის ზეგავლენითა თუ სხვა მიზეზის გამო, და მაშინ ეს ენის ყოფაში თვალსაჩინო გარდატეხაა: **თანი** უწინდებურად სუბიექტურ სუფიქსად რჩება, მხოლოდ სუბიექტის გაგება შეიცვალა: სუბიექტად ის არის მიჩნეული, რაც ძველი ქართულისათვის ობიექტი იყო. ან არადა II: **თან**-სუფიქსს მიეცა ახალი მნიშვნელობა: ის ობიექტური სუფიქსის ფუნქციით აღიჭურვა, წინადადების ელემენტის გაგება კი უცვლელად დარჩა.

ამ საკითხის გადაწყვეტა ამჟამად ძნელია: მას სჭირდება ისტორიული განხილვა და გენეტურად გამოწვლილვა; ქართულ სამწერლობო ენასა და ცოცხალ თანამედროვე კილოებში საამისო მასალის შეგროვება-დამუშავებამდე ამ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა ნაადრევი იქნებოდა.

¹ გამონაკლისს შეადგენს ის შემთხვევები, როცა LOად არის თქვენ სიტყვა; მაგალით.: „უნდა გითხრა შენ“, მაგრამ: უნდა გითხრა**თ** თქვენ; ასევე: უნდა გადმოგცეთ, მოგიტანო**თ**, გაუწყობ... (მღრ. ძველი ქართულის: „ხოლო მე გაუწყობ თქვენ“. Keimena, გვ. 32). ამას ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით.

ამ თავითვე ერთი რისამე აღნიშვნა შეგვიძლია და საჭიროც არის: გარე-კახურში ჩვენ გვაქვს უტყუარი ნიშნები იმისა, რომ **თან-სუფიქსი** — **ობდექტური სუფიქსის ფუნქციას იძენს**: არამართო იქ აქვს მას ადგილი, სადაც მას ვხვდებით სამწერლობო ქართულში (ე. ი. როცა **LS**-ი, ენობრივად **O**-ი, მრავლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვით არის გადმოცემული), არამედ იქაც, სადაც ენობრივადაც და ლოლიკურადაც ობდექტი მრავლობ. რიცხვის მიცემითი ბრუნვით გადმოიცემა; მაგალითად: 1. იმათ ეუბნება**თ**, ძმებს ეუბნება**თ** ის დევი; 2. მეძრე უთხრა**თ** იმათ...; 3. მიუაშველე ხანჯალი და მოკვალა, [იგი] იმათ ატყუებ**თ**, ამხანაგებს...; 4. ჩამაგდო ძირსა და დაუძახა**თ** იმათ ნაცარქექამ...; 5. ერთ ალაგას... ცხრა ძმანი დევებია — იმათ გაუამხანაგდა**თ** ნაცარქექამ...; 6. რა დაინახა ჩანახან-ხეშვიფემ ანთებული თივი ძირები, იქ მოვიდა: მეღიას ჩირადნებიაო! მეძრე დაუხვდა**თ** (იმათ) მეღია თავმოწონებუღი...; 7. იმან ჰკითხა**თ** ჩიტებს: რისი გამოხადეღიაო...; 8. ახლა ჰატარამ უთხრა**თ** (ძმებს): მოდი... მეც წავალა...; 9. მაინც ახში დამაღლა**თ** იმ ჰატარამ ძმამ დიდ ძმებს, კიდე აუიღინა**თ**...; 10. ჰკითხულობს და იზონა და უთხრა**თ** (მათ, ძმებს) რა სად არი თქვენი უმცროსი ძმაო; იმათ უთხრეს: სადაა, არა გვევა, მოგვიკვდაო; უთხრა**თ** რა (ძმებს) აბა საფლავი მახვენეთო...

ყველა ამ შემთხვევებში **თანის** ნაცვლად **-ყე** შეგვიძლია ვიხმაროთ: იმათ ეუბნება**თ** = იმათ ეუბნება**ყე**; იმათ უთხრა**თ** = იმათ უთხრა**ყე**; იმათ დაუძახა**თ** = იმათ დაუძახა**ყე**; იმათ გაუამხანაგდა**თ** = იმათ გაუამხანაგდა**ყე**; იმათ დახვდა**თ** მეღია = იმათ დახვდა**ყე** მეღია... და სხვ.

გარე-კახურში გრამატ. **O**-ის, ხოლო **LS**-ის აღსანიშნავად, ისევე, როგორც სამწერლობო ენაში **თან** სუფიქსი იხმარება: უწერია**თ**, უკზავნია**თ**, უკეთებია**თ**... ასეთ შემთხვევებში **თანი** **-ყეს** მაგიერობას ეწევა ყველაგან; იმავე გარე-კახურში **თანი** **-ყეს** ფუნქციას იძენს მაშინაც, როცა ეს უკანასკნელი **LS**-ს მიცემ. ბრუნვაში აღნიშნავს... მას **-ყე** ნაწილაკის ორივე ფუნქცია მოეპოვება: აღნიშვნა **GrO**-ისა, ხოლო **LS**-ისა (მიცემითში) და **GrO**-ისა = **LO**-ისა იმავე ბრუნვაში.

ამ შემთხვევაში შეიძლებოდა ეს მოვლენა იმ ტენდენციის განვითარებად მიგვეჩნია, რომელსაც სამწერლობო ქართულშიც ვხვდებით სპორადულად (უნდა გითხრა**თ**, გაუწო**თ**, გიხივლო**თ**... იხ. ზემ.), სადაც **თანი LS = GrO**-ზე მიგვითითებს...

გარე-კახურისათვის ამ მოვლენის ახსნა ადვილია, თუ მოვიგონებთ, რომ **-ყე** ნაწილაკი იქ ცოცხალია და იხმარება, თუმცა იშვიათად, მაგრამ კანონზომიერად. მას მნიშვნელობა შეუნახავს, ხმარება კი იშვიათი გამხდარა; უნდა ვიფიქროთ, რომ იგი საკუთარი უძლურებისა და „გახუნების“, ე. ი. შინაგანი მიზეზებისა გამო კი არ ისპობა, არამედ სხვა გარეშე პირობების ზეგავლენით.

საფიქრებელია, რომ ქართლურის ზეგავლენამ მოუსწრაფა მას სიცოცხლე და უღებს მას ბოლოს.

არ არის ამიტომ გასაკვირი, თუ ამ ობიექტურ ნაწილაკს შეჩვეულმა ფსიქიკამ მოსპობის გზაზე დამდგარი ნაწილაკის ფუნქცია თან-სუფიქსს გადაულოცა იქაც კი, სადაც ქართული ან სამწერლობო ენა ჯერ კიდევ არ მოიხმარს ამ უკანასკნელს.

ასე რომ თან-სუფიქსის გაობიექტურება გარე-კახურში ადგილი გასაგებია, მაგრამ რას ემყარება სამწერლობო ქართულით მოსაუბრე, როცა იგი **L**ურ და **Gr**ულ ობიექტთან იმავე თანს მოიხმარს (უნდა გითხრათ, გაუწუო...): ხომ არ თამაშობს აქ რაიმე როლს ის ფაქტი, რომ ქართულ კილოთა შორის **-ყე** ნაწილაკის მქონე კილოთა ტერიტორია არა ნაკლებ ვრცელია, ვინემ იმ კილოებისა, რომელთაც იგი არ გააჩნიათ?

ამ საკითხს აქ ღიად ვტოვებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სუბიექტური თან-სუფიქსის ხმარება სცილდება „წესიერ“ ფარგლებს. 1. იგი უკვე ყველგან გვხვდება იქ, სადაც **LS**ი ხოლო **GrO**ი მრავლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვითაა აღნიშნული, რასაც ძველს ქართულში ადგილი არ ქონდა, და 2. სამწერლობო ენის ზოგიერთს შემთხვევაში („თქვენ“ ობიექტთან), ხოლო გარე-კახურში სხვაგანაც იგი მიუთითებს **LO**ის (=GrOის) აღმნიშვნელ მიცემით ბრუნვაზე მრავლობით რიცხვში: აქ უკვე მისი ფუნქციები პრინციპულად **-ყე** ნაწილაკის ფუნქციებს ჰფარავს.

ამასთან დაკავშირებით, რაკი ობიექტური ფუნქციების მიღებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ქართული სამწერლობო ენისებრ მოვლენას სვანურშიდაც ვხვდებით; მაგალითად:

ნაწ	{	ნამწყრა = ჩვენ გვიკურთხები	{	ნაწრა = ჩვენ გვიშრი
		გუთიწირა		გუთიწრა
სგპ	წიმწგრაწ = თქვენ გიკურთხები	სგპ	წიწრაწ = თქვენ გიშრი	
ეწაწწს	წომწგრაწ = იმათ უკურთხები	ეწაწწს	წოწრაწ = იმათ უშრი ¹	

ფრიად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არც სვანურში, არც ქართულში მრავლობითი რიცხვის პირველ პირთან თ-სუფიქსი (ან მისი როლის შემსრულებელი **წ**- სვანურში) არ იხმარება: გვიკურთხები, გვიშრი... გვიწყრა, გვიკითხავს (შდრ.: გვიკურთხები, უკურთხები; გიშრი, უშრი... გვიკითხავს, უკითხავს...). **-ყე** ნაწილაკიც არ იხმარება, როცა **GrO** = **LS**ი მრავლობითი რიცხვის პირველ პირშია დასმული: „ჩონ გუგუგია“ (= გაგვი-

¹ მაგალითები სვანურიდან ბალს-ზემოურის მიხედვით მოგვყავს.

გია), გუწუწია — და არა: გუგუგიაყუ, გუწუწიაყუ... ეს ასეც უნდა იყოს: როგორც ქართულში, ისე სვანურში რელატიურ ზმნებში მრავლ. რიცხვის პირველ პირში — სათანადო პ რ ე ფ ი ქ ს ი („გუ“-, „ნი“-) აღნიშნავს მრავლობითობას: მიკურთხებია მე — გვიკურთხებია ჩვენ, მიმზგრა მი — გუმიმზგრა (ნიმზგრა) ნაძ, — ასეა რომ ამ პირში ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად სუფიქსი სრულებით არ არის საჭირო.

სამაგიეროდ, მრავლობითი რიცხვის მეორე და მესამე პირები პ რ ე ფ ი ქ ს ი ს მხრივ მხოლოდობითი რიცხვისაგან არ განირჩევა, და ეს კი ენას უტოვებს შესაძლებლობას გამოიყენოს სუფიქსალი წარმოება:

	მიკურთხებია (მე)	გუმიკურთხებია (ჩვენ)
მაგრამ:	გიკურთხებია (შენ)	გიკურთხებია-თ (თქვენ)
	უკურთხებია (მას)	უკურთხებია-თ (მათ)
	მიმზგრა (მი)	გუმიმზგრა (ნიმზგრა) ნაძ
	ჯიმზგრა (სი)	ჯიმზგრა-ხ (სგა)
	ხომზგრა (ეგას)	ხომზგრა-ხ (ეგარს)

რომ სუფიქსალი წარმოება სათანადო პირებში პ რ ე ფ ი ქ ს ე ბ ი ს განსხვავებულობაზეა დამყარებული, ცხადი ხდება მეგრულის შემწეობით: აქ ობიექტური პრეფიქსის მხრით (რელატ. ზმნებში) მხოლოდობითის პირველი პირი არ განირჩევა მრავლობითისაგან, ამიტომაც ობიექტის მრავლობითობას ს უ ფ ი ქ ს ი აღნიშნავს (ისევე, როგორც მრავლ. რიცხვის მეორესა და მესამე პირში): პირველი პირი — მეორე და მესამისაგან არაფრით განსხვავდება:

მა მიკურთხებუ	(მე მიკურთხებია)
სი გვიკურთხებუ	(შენ გვიკურთხებია)
თის უკურთხებუ	(მას უკურთხებია)
ჩქი მიკურთხებუნა	(ჩვენ გვიკურთხებია)
თქვა გვიკურთხებუნა	(თქვენ გვიკურთხებიათ)
თინენს უკურთხებუნა	(იმათ უკურთხებიათ).

(მეგრულის შესახებ იხ. ქვემოთ). სვანურში სხვა გარემოებათ ახლა ვერ გამოვუდგებით, მხოლოდ ერთს თავისებურებას მივაქცევთ ყურადღებას: ობიექტური ნაწილაკის ფუნქციებს იქ მრავლობითი რიცხვის მესამე პირის სუბიექტური სუფიქსი **ხანი** იღებს (და არა პირველისა და მეორე პირის **ღონი**, როგორც ქართულში **თან**). თვითონ სვანურში ამ სუფიქსის ბუნებისათვის ეს დამაფიქრებელი მოვლენაა და კითხვას ჰბადებს: როგორია ამ **ხან-სუფიქსის** გენეზისი? —

ამ საკითხის განხილვაში აქ ვერ შევალთ.
 ორიოდ სიტყვა მეგრულის შესახებაც.

აქ: **A) LS = GrO**თან მრავლობით რიცხვში სუბექტური სუფიქსი ყველა პირში გვაქვს:

მა მიჭარუ (მე მიწერია) — ჩქი მიჭარუნა(ნ) (გვიწერია)

სი გიჭარუ (შენ გიწერია) — თქვა გიჭარუნა(ნ) (გიწერიათ)

თის უჭარუ (მას უწერია) — თინენს უჭარუნა(ნ) (უწერიათ)¹.

აქაც, როგორც სვანურში მრავლობითი რიცხვის მესამე პირის სუფიქსია გამოყენებული (და არა პირველისა და მეორესი); ამ მხრივ მეგრული და სვანური ერთ ჯგუფს ჰქმნის.

B) LO (= GrO) სუფიქსით აღინიშნება იმ შემთხვევაში, როცა მას ქართულ სამწერლობო ენაშიც ვხვდებით:

1. გიზაგადუქ სი (გეუბნები შენ)

გიზაგადუთ თქვა (გეუბნებით თქვენ)

2. ზჭარუნქ სი (გწერ შენ)

ზჭარუნთ თქვა (გწერთ თქვენ) და სხვა.

-ყე ნაწილაკი და კილოები. ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა, რომ **-ყე** ნაწილაკი დამახასიათებელია კილო-თქმათა მთელი წყებისათვის. ენის აგებულებაში ასეთი ნაწილაკის არსებობა იმდენად დამახასიათებელია, რომ შეიძლება ყველა ცოცხალი ქართული თქმა-კილოები დაგვეყო მის მქონედ და არამქონედ²; საინტერესო ის არის, რომ ამ უკანასკნელთა შორის ერთ წრეს ქმნიან: ქართლური და თუშ-ფშავ-ვევსურული — აღმოსავლეთში, გურული — დასავლეთში, ხოლო მეორე მხარეზე დგანან: რაჭულ-ლეჩხუმურ-იმერული (დასავლეთში) და ფერეიდნული, ინგილოური, კახურ-ქიზიყურ-მთიულურ-მოკვეური.

ხომ არ გვაფიქრებინებს ეს, რომ **-ყე** ნაწილაკების მქონე ტომები ერთს — ტერიტორიალურად უწყვეტ ზოლს წარმოადგენდნენ და ამ ზოლში შემოიჭრა ქართლური (მაშინ, როდესაც თუშ-ფშავ-ვევსურული **-ყე** კილოთა ჩრდილოეთით დარჩა მოქცეული)?

ესა და მსგავსი საკითხები უწინარეს ყოვლისა ისტორიულისავე საფუძვლების მიხედვით უნდა **წყდებოდეს**: ენობრივი არგუმენტი აქ გადამჭრელი ვერ იქნება (თუმცა ასეთი **საკითხის დასმა** ისტორიის მიმართ — ენობრივ მოვლენასაც შეუძლია); ამ შემთხვევაში ასეთ შესაძლებლობაზე მივუთითებთ მხოლოდ იმისთვის, რომ მის ნიადაგზე გასაგები იქნებოდა,

¹ შტრ. Проф. I. Кипшидзе. Грамматика Мингрельского (иверского) языка. С-Петербург, 1914, გვ. 80, 85, 87...

² საერთოდ, შესასწავლი სინამდვილის კლასიფიკაცია შეიძლება ყოველი ნიშნის მიხედვით; მხოლოდ ბუნებრივი და ვარგისი იქნება იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკლასიფიკაციო ნიშნად არსებითი და არა მეორე ხარისხოვანი ნიშანია წამოყენებული. **-ყე** ნაწილაკის არსებობა, ყოველ შემთხვევაში, მეორე ხარისხოვან ნიშნად არ ჩაითვლება: ეს სხვათა შორის.

რით აიხსნება ის, რომ ერთი და იგივე ენობრივად მნიშვნელოვანი მოვლენა თავს იჩენს ისეთ დაშორებულ კუთხეებში, როგორცაა საინგილო და რაჭა, მაშინ როდესაც კახეთის მეზობელ ქართლს იგი არ გააჩნია¹.

* *
*

დასასრულ: ერთი გარემოებაც. **-ყო** ნაწილაკი დადასტურებულია ლიტერატურაში XI საუკუნიდან; იგი გვხვდება დავით აღმაშენებლის მიერ შიო მღვიმისადმი ბოძებულ ანდერძში: შემდეგ XIII საუკუნეში — დავით ნარინის სიგელში; ნერსე დიდი მთავარ ეპისკოპოსის წინასწარმეტყველებაში (XIII ს.); „ვისრამიანი“; „ვეფხისტყაოსანში“, დაბეჭდილ ბიბლიაში და სხვ.; ყველგან სპორადულად (გარდა დავით ნარინის სიგელისა (ერთ გვერდზე 3-ჯერ); ხოლო უნივერსიტეტის სიძველეთსაცავის ხელნაწერში №52, რომელიც XII-XIII საუკუნისა უნდა იყოს, იგი საკმაოდ ხშირია, შეიძლება ითქვას, სისტემატურადაც იხმარება².

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი: 1) ...თუთ აღრითგან მამაობისა ეწერა**ყო** საეპისკოპოსოდ (დავით აღმაშენებლის ანდერძი შიო-მღვიმის მონასტრისადმი, — თ. ყო რ დ ა ნ ი ა, ისტორ. საბუთები, გვ. 186).

2) ...ჰაგრევე მიუბოძე დაფლული და რისაც ნადირობით გამოჩნდეს**ყო** და მოკლავი ესე ...მისი ნადირობაი არ ჰქონდეს**ყო**, მის ტუისა [მცველთა უხუცესი და ტუის მცველნი ვითა წესია [ესე გადა]ჰდევდენ გარეთ, მიგან ნუ ჩაუდგებიან და იგი დაურეკებლობასა ნუ იკადრებენ თუ კაცი მოკლან, ცეცხლის შეუდებლობაი და მოურბეველობაი, ვითა გიორგი მუფისაგან ბოძებულსა სიგელსა მიგან ეწერია**ყო**, ჰაგრე იყოს... (სიგელი მეფისა დავით IV რუსუდანის ძისა ნარინად წოდებულისა, — საქართვ. სიძველენი, ტ. II, გვ. 6).

3) ...განხვიდეთ სარწმუნოებისაგან და მამათმთავარნი თქუცნნი არღანა გესვას**ყო** ჟამთა გრძელთა... (წინასწარმეტყველება ნერსე დიდისა სომეხთა ჰემმარიტისა მის მთავარეპისკოპოსისა, — თ. ყო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, წ. I, გვ. 341).

4) „ჰქონდა**ყო** სუაშიადი მოაბადისი დიდებულთა და იტეოდეს“... („ვისრამიანი“, გვ. 25).

5) „რამეთუ ისრაელი ცხონდების უფლისა მიერ მაცხოვარებითა საუკუნოთა, არა ჰრცხუნეს**ყო**, არცაღა ჰკდემეს ვიდრე საუკუნედმდე მერმე რამეთუ არღა მერმე ჰკდემეს**ყო**, დაღათუ საცდურისათუც კერწათსა ჰკდემა**ყო**

¹ კერძოდ — ქართლისა და კახურის მიმართ მთიულურის ორიენტაციის გარკვევისას სხვა გარემოებათა გვერდით **-ყო** ნაწილაკის ვითარებაც უმნიშვნელო არ იქნება, რაზედაც თავის დროზე გვექნება ლაპარაკი.

² ეს გარემოება აღნიშნული აქვს პროფ. კორნ. კეკელიძეს (იხ. მისი: „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I, ტფილისი, 1923, გვ. 325).

წირველ... (დაბეჭდ. დაბადება, ესაია, თავი 8, 17-18, ტფილისი, 1884).

- 6) „ცხენთა მათთა ნატყრფალნი მზესა შუქთა წაუხმიდეს,
მიჰპოცდეს და მიესროდეს, მინდოწს სისხლსა მოასხმიდეს,
რა ისანნი დაუღიუნეს, მონანი^ჲ მოართმიდეს...“

(„ვეფხისტყაოსანი“, ხანა 42, გამოც. ი. აბულაძის, 1914).

„გავსოვს ოდეს ჰაი ზმიდი, ცრემლნი შენი ველთა ჰბანდეს
შეკურნალნი და დასტაქარნი წამალსა^ჲ მოგიტანდეს...“

(*ibidem*, ხანა 446).

7) ..აქუს^ჲ ბოლოდ უკმოთა ასოთა მექონთა სახელთა... (ღრამმატიკა ანტონ კათალიკოზისა, გვ. 9, სტრ.8, ზ.).

...ზმნათა ...ერთისაგან ეწარმოების^ჲ ძირისა (*ibid.* გვ.135, d, სტ. 24, ზ.).

...დაეკუს^ჲ კიდურთა ვმოყანთა ჰსზობად... (*ibid.* გვ.134, a, ტრ. 18, ზ.)¹.

„უკმსუე“: ...„ზეწირ სწავლად უკმს^ჲ მოწაფეთა“... „ზეწირ უკმს^ჲ გამოხატვად გონებასა სწავლის შინათასა“... ანტონ კათალიკოზის გრამატიკიდან — 1754 წლისეული ვერსიით — (იხ. А. Цагарели: О граммат. литературе грузин. яз." С-Петербург, 1873, გვ. 243, 25).

8) ერთ ფრაგმენტალ ხელნაწერში — არა უადრეს მე-18 საუკუნისა, რომელიც სულ 17 გვერდს შეიცავს და სათაურად აქვს „ანდერძი“ ხოლო შინაარსით სახარების თარგმანებას წარმოადგენს, რამოდენიმევერ გვხვდება -^ჲ ნაწილაკი: მაგალითად: გაქუსეე (ოთხვერ), აქუნდაეე (ერთხელ), აქუნდესეე (ორვერ), გწწამსეე (ორვერ), ჰწწმენაეე (ორვერ), და თითოვერ: ჰწწამსეე, გესმისეე, გესმაეე, გიძლავსეე, ენებაეე².

საინტერესოა ორი ფორმა, რომელსაც იქვე ვხვდებით: გიხილავსთ, გენებოსთ...

დასასრულ, ზემოხსენებულ ხელნაწერში, №52, გვხვდება შემდეგი

¹ აქვე აღვნიშნავთ, სხვათა შორის, რომ ანტონ კათალიკოზი თავის „ღრამმატიკაში“ ორ ადგილას იხსენიებს -^ჲ ნაწილაკს: ერთხელ იმ ნაწილაკების გვერდით, რომელნიც „ზმნისა ზედა დაიდებინა“, ასეთებია: წარ-, უკუ-, შე-, მი-, აღ-, შთა-, ... -ცა, -მცა, -ლა, -სამე და სხვა. მათ რიგშია -^ჲ; მაგალითისათვის ნაჩვენებია: დავიწყებეს — დავიწყებესეე; განმარტება მოცემული არაა (იხ. ქართული ღრამმატიკა, თბილისი 1885, გვ. 98-99); მეორეგან — „მამრავლე“ ფორმანტთა შორის -^ჲ არის ნახსენები -ან, უწს გვერდით; მაგალითისთვის მოყვანილია „უყუარსეე“ (*ibid.* გვ. 171).

ფრიად საყურადღებოა, რომ ინგილოურში -^ჲ ნაწილაკის შესახებ H. Schuchardtი შენიშნავს: თანისა და წარის გვერდით ინგილოურს მე-2 და მე-3 პირის ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად უარიც აქვსო; მაგალ. მო-გ-ცა-ყ, მი-ს-ცა-ყ“... (იხ. მისი: "Ueber den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen, Wien, 1895, S. 86). სამწუხაროდ, ეს გამოკვლევა ხელში ჩაგვივარდა მაშინ, როცა წერილის სათანადო ადგილი დაბეჭდილი იყო და ამიტომ იგი შესაფერ ადგილას ვერ გამოვიყენეთ.

² ეს ხელნაწერი გადმომცეს სტულდ. სტულდ. სოლ. იორდანიშვილმა და ნიკ. ბერძენიშვილმა, რისთვისაც მათ მადლობას ვუძღვნი.

შემთხვევები:

1) აქუსე: 14b, ზ. 14¹; 476, ქ. 9; 64a, ქ. 1; 78a, ზ. 16; 81b, ქ. 6; 100b, ქ. 2; 118a, ზ. 7; 119b, ქ. 7; 126b, ქ. 10; 154a, ქ. 3; — გაქუსე: 40a, ზ. 18; 40b, ზ. 6; ქ. 16; 41a, ზ. 1; 42b, ქ. 9; 47a, ქ. 2; 75a, ქ. 11; 96b, ქ. 17, 13; 102b, ზ. 12; 119a, ზ. 8; 121b, ზ. 17; 123b, ზ. 8; — გქონანე: 132a, ქ. 7; — გაქუნდაე: 119a, ქ. 14; 132a, ქ. 7; — გაქუე: 92b, ზ. 9, ქ. 14; — აქუნდაე: 8b, ქ. 13; 13a, ზ. 11; 57b, ქ. 13; 59a, ზ. 14; 93b, ზ. 3; 114a, ზ. 2; 117b, ქ. 11, 8; 138a, ზ. 17; ქ. 7; 146a, ზ. 10; — აქუნდესე: 64b, ზ. 18, 19; 75a, ქ. 1; 77b, ქ. 14; 78a, ზ. 2, 13; 97b, ზ. 2; 118a, ქ. 15; 126a, ქ. 5, ზ. 15; — გაქუნდაე: 75a, ზ. 10; 75b, ქ. 5; — გაქუნდესე: 84a, ქ. 7; 106a, ქ. 10, 6; 123b, ქ. 18, 2; — გაქუნდესე: 84a, ქ. 7; — გაქუნდესე (მე): 61a, ზ. 15.

2) ჰრწამსე: 41a, ქ. 12; 51b, ქ. 11, ზ. 14; 119b, ქ. 14, 10; 141b, ქ. 13; — გრწამსე: 20a, ზ. 4; 33a, ზ. 12; 33b, ზ. 3; 40a, ზ. 19; 40b, ზ. 10, ქ. 13; 41a, ქ. 12; 65b, ქ. 15; 80a, ქ. 4, 7, 8; 80b, ქ. 11; ზ. 1; 123a, ზ. 13, ქ. 11; — ჰრწამანე: 72a, ქ. 7; 125a, ქ. 17; 126a, ქ. 17; — ჰრწამანესე: 88a, ქ. 17; — გრწამანე: 41a, ზ. 10; 73b, ზ. 14; 82b, ქ. 5; — გრწამანესე: 20a, ქ. 19; — გრწამანესე: 46a, ქ. 17; 86a, ქ. 10; 114a, ზ. 6, 8; — გრწამანესე: 98b, ზ. 9; 107a, ქ. 10; 109a, ქ. 15; — ერწამანე: 110b, ზ. 5.

3) ეგულეობსე: 106b, ზ. 14; — გეგულეობსე: 107b, ქ. 15; 116a, ქ. 13; 119a, ზ. 3; 122a, ზ. 3; 122b, ზ. 10; 123a, ქ. 6; — ეგულეობდაე: 102b, ქ. 14; 105b, ქ. 5; 120b, ქ. 6; — ეგულეაე: 63b, ზ. 8; 116a, ზ. 18; — ჰეულაესე: 44a, ზ. 10; 127b, ქ. 17.

4) ჰნეზესე: 54b, ქ. 12; 134b, ქ. 18; — გნეზესე: 40b, ზ. 15, ქ. 10; 52a, ქ. 8; 65b, ქ. 10, ზ. 19; 73a, ქ. 15; — ენეზესე: 12a, ქ. 18; 43a, ზ. 9; 121b, ზ. 10; 141a, ქ. 8; 147a, ზ. 2; — ენეზესე: 25a, ზ. 10.

5) აცე (= აძსე): 116b, ზ. 3; — გაცე (= გაძსე): 102a, ქ. 3; — გიცე (= გიძსე): 58b, ქ. 3; 59b, ქ. 2; 61a, ქ. 12; 10, 7; 65b, ზ. 18; 66a, ქ. 18; 98a, ზ. 19; 105b, ქ. 8; 106a, ზ. 9; 106b, ქ. 9; 116b, ქ. 6; 120a, ქ. 3; 150a, ქ. 11.

6) ესმაე: 9a, ზ. 9; 65a, ქ. 10; 121a, ზ. 3; — გესმაე: 40a, ზ. 17; 40b, ზ. 4; 116a, ზ. 7; 113b, ზ. 13; 118b, ზ. 14; — გესმაე: 112a, ქ. 14.

7) გეკრესე: 37b, ზ. 13, ქ. 5, 3; 38b, ზ. 16; 39a, ზ. 2, ქ. 3; 57a, ზ. 5, 12; 122a, ზ. 3; — უკრესე: 55b, ქ. 2.

8) ეღაე: 48a, ქ. 1; 87a, ზ. 15; 129b, ზ. 17; 136a, ქ. 13.

9) გეუარესე: 110a, ზ. 10; — გეუარესე: 65a, ქ. 1; 65b, ზ. 10.

10) ექნაე: 38b, ზ. 13.

11) გოდლაესე: 120a, ქ. 10.

¹ ციფრი პირველი აღნიშნავს — ხელნაწერის ფურცელს, a — პირველ გვერდს, b — მეორე გვერდს, მეორე ციფრი — სტრიქონს, ზ.=ზევიდან, ქ.=ქვევიდან.

- 12) გიღირსეუ: 84a, ქ. 9; — გიღირდაეუ: 113b, ქ. 12.
- 13) უკმდაეუ: 12a, ზ. 16.
- 14) გეცნაეუ: 108a, ქ. 9; (ორჯერ).
- 15) გიხილაესეუ: 108a, ქ. 6.
- 16) უხნდაეუ: 44a, ზ. 13.
- 17) გეგნებოსეუ: 113a, ქ. 4; — ევნოეუ: 61b, ზ. 5.
- 18) გეშინინეუ: 44a, ქ.10; — შეეშინაეუ: 44a, ქ. 11.
- 19) დაგემთხვოსეუ: 84a, ქ. 10.
- 20) დაგიწერბოსეუ: 123a, ქ. 6.
- 21) გიხაროდენეუ: 146a, ზ. 9.

ეს დამწერლობაში დადასტურებული შემთხვევები **-ჟე** ნაწილაკის ფუნქციის გარკვევისათვის არაფერს ახალს არ იძლევა; მხოლოდ ერთი რამ ირკვევა: **-ჟეს** გამოყენება $LS = GrO$ ის მრავლობითობის აღსანიშნავად წინ უსწრებს მის გამოყენებას $LO = GrO$ ის მრავლობითობის აღსანიშნავად; ეს უკანასკნელი სახე პირველისაგან უნდა იყოს განვითარებული: გარდამავალ საფეხურებად ამ მხრივ უსათუოდ გამოსადეგი უნდა ყოფილიყო მაგალითები, როგორიცაა: გეშინინეუ, გიხაროდენეუ, დაგემთხვოსეუ, დაგიწერბოსეუ...

სამაგიეროდ, ამ ნაწილაკის ხშირი ხმარება საგულისხმოა სხვამხრივ: მისი საშუალებით შეიძლება ითქვას, გადამწერი თუ ავტორი რომელ კილოთა წარმომადგენელი **ვერ იქნებოდა**, და თუ ამას დაუმატებთ, რომ გადამწერთაც კი (არა თუ ავტორებს) ნაწარმოებში შეჰქონდათ მათი თქმისათვის დამახასიათებელი მოვლენები, უსაფუძვლო არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ასეთ ძეგლებს ქართულის ისტორიული დიალექტოლოგიისათვისაც გარკვეული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა — დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი. 1. ფერედნულში ორი განსხვავებული **-ჟე** ნაწილაკია: ერთი **-ჟე** თანდებულია; როგორც ასეთი ნომენტან იხმარება: მნიშვნელობით უდრის **-გან** თანდებულს, იშვიათად — კენს; მოითხოვს ნათესაობითსა ან მიცემითს ბრუნვას. მეორე **-ჟე** ზმნასთან იხმარება და აქვს სპეციფიკური სინტაქსური ფუნქცია.

2. ზმნასთან **-ჟე** ნაწილაკი ახასიათებს ფერედნულს გარდა: ინგილოურს, ქიზიყურს, კახურს, მთიულურსა და მოხეურს, ერთის მხრით, ხოლო იმერულ-რაჭულ-ლეჩხუმურს — მეორე მხრით; იგი წარმოდგენილია აქ ზოგჯერ **-კე**'ს სახითაც.

3. ფერედნულში ამ ნაწილაკის ხმარება შემთხვევათა მთელს რიგში არეულია; მაშინ მისი მნიშვნელობა „ხოლმე“-თი განისაზღვრება; სადაც მართებულად იხმარება, მიგვითითებს მრავლობითი რიცხვის სახელობითისა ან მიცემითი ბრუნვით გადმოცემულ ლოლიკურ ობიექტზე.

4. მართებულად ხმარების შემთხვევებში ზემოაღნიშნულს გარდა მას იწვევს ლოლიკური სუბიექტი, როცა იგი მრავლობითი რიცხვის მიცემითი

ბრუნვით არის აღნიშნული; ამ ნაწილაკის ხმარება ამტკიცებს, რომ ასეთი ლოლიკური სუბექტი ენობრივად განფასებულია, როგორც ობექტი.

5. ლოლიკური სუბექტის გრამატიკულ ობექტად განფასების ფაქტი მნიშვნელოვანია ლოლიკა-გრამატიკის ურთიერთობის თვალსაზრისით; ამით ისიც ირკვევა, თუ რამდენად შეუფერებელია ქართულის და მისი ტიპის ენათა შესწავლისას გრამატიკული შენობის აგება ლოლიკის ცნებებით.

6. ლოლიკური სუბექტის = გრამატიკული ობექტის მიერ გამოწვეული **-ყე** ნაწილაკის შესატყვისად თანამედროვე სამწერლობო ქართულში **თან-სუფიქსი** გვაქვს; სათანადო შემთხვევებში ძველი ქართული ამ სუფიქსს არ ხმარობს, რადგანაც იგი მრავლობითი რიცხვის პირველისა და მეორე პირის სუბექტური სუფიქსია და, როგორც ასეთი, ძველს ქართულში კანონზომიერად მიგვითითებს გრამატიკული სუბექტის და არა ობექტის მრავლობითობაზე.

თანამედროვე სამწერლობო ქართულში **თან-სუფიქსის** ასეთი გამოყენება ან იმის მაჩვენებელია, რომ 1. ლოლიკურად სუბექტი, ხოლო გრამატიკულად ობექტი, ენამ გრამატიკულადაც სუბექტად მიიჩნია, რაიც თვალსაჩინო გარდატეხა იქნებოდა ენობრივ აზროვნებაში, ანდა იმის, რომ 2. სუბექტური **თან** სუფიქსი ობექტური სუფიქსის ფუნქციებს იღებს.

7. ისტორიულისა და შედარებით-დიალექტოლოგიური ძიების გარეშე ამ საკითხის გადაჭრა ნაადრევია; საფიქრებელია კი, რომ სუბექტური სუფიქსის გაობექტივებასთან უფრო გვაქვს საქმე, ვინემ გრამატიკული სუბექტის გაგების შეცვლასთან. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს: **a)** ის, რომ, გარე-კახურში **თან-სუფიქსით LOის=GrOის** მრავლობითობის აღნიშვნის შემთხვევები გვაქვს, და **b)** აგრეთვე ის გარემოება, რომ სამწერლობო ენაშიდაც ისევე, როგორც მეგრულში, თუნდაც ერთს შემთხვევაში, მაგრამ მაინც სუბექტური სუფიქსი აღნიშნავს ლოლიკურადაც და გრამატიკულადაც ობექტის მრავლობითობას.

8. **GrOის** მრავლობითობას სვანური აღნიშნავს მრავლობითი რიცხვის მესამე პირის სუბექტური **ხან-სუფიქსით**, ხოლო მეგრული იმავე რიცხვისა და პირის **ა(ნ)**-სუფიქსით.

9. **-ყე** ნაწილაკის, როგორც ენობრივად მნიშვნელოვანი მოვლენის, ხმარება ქართულ თქმათა კლასიფიკაციისას ფრიად საგულისხმოა; ამასთანავე იგი საქართველოში დამკვიდრებისას ქართველ ტომთა ტერიტორიალური განწესრიგების საკითხს სვამს.

10. **-ყე** ნაწილაკი XI-XII საუკუნიდან დამწერლობის ძეგლებშიც დადასტურებულია; ამ მხრივ იგი არ არის უმნიშვნელო ქართული ისტორიული დიალექტოლოგიისათვისაც.

P.S. წერილი უკვე აწყობილი იყო, როდესაც პეტროგრადის უნივერსიტეტის თანამშრომლის ბ. კარპეზ დონდუასაგან მივიღეთ Hugo Schuchardt-ის პატარა წერილი სათაურით: "Georgische -qe"¹, რომელიც ჩვენი თხოვნით პატივცემულ კ. დონდუას მთლიანად გადმოეწერა².

Schuchardt-ის მოყავს ამ ნაწილაკის შესახებ არსებული შეხედულებანი პროფ. დ. ჩუბინოვის, აკად. მ. ბროსესი, შანშოვანის და საბა-სულხან ორბელიანისა, რომელნიც -ჟე ნაწილაკს დამადასტურებელი ნაწილაკის მნიშვნელობას აძლევენ და სამართლიანად შენიშნავენ: რომ -ჟე ნაწილაკს სრულიად სხვა მნიშვნელობაც აქვს, ვინემ დამადასტურებელ ნაწილაკს და არც ის არის შეუძლებელი, რომ მას ასეთი მნიშვნელობა სინამდვილეში არასოდეს ქონოდეს, და მისი ასე გაგება შემდეგი დროის გაუგებრობის ნაყოფი იყოს³.

Schuchardt-ი ეხება ამ ნაწილაკის გაგებას ერთ ხელთნაწერ ქართულ გრამატიკაში, რომელიც „გასული საუკუნის“ (XVIII?) მეორე ნახევარს ეკუთვნის, შედგენილია კაპუცინთა მისიონერის მიერ და ჰქონია Emilio Tezal, რომელსაც Schuchardt-ისათვის გადაუცია; Schuchardt-ი შენიშნავს, რომ იტალიელს -ჟე ნაწილაკი ვერ გაუგია.

იმ მაგალითების მოყვანის შემდეგ, რომელიც „ქილილა და დამანაში“, აგრეთვე „ვისრამიანსა“ და ანტონ კათალიკოზის გრამატიკაშია მოყვანილი, Schuchardt-ი დაასკვნის: ეს -ჟე იგივე ნიშანი უნდა იყოს მრავლობითისა, რომელიც ინგილოურში დავადასტურეთ; აქვს თუ არა მას გენეტური კავშირი სვანურის მრავლობითობის ხ-ნიშანთან, მრავლობითის ნომინალ და ვერბალ ჯე-ნიშანთან ჩერქეზულში და აბხაზურის ნომინალ -khua და ვერბალ -kh — ნიშანთან, — ამის გადაწყვეტას მე ვერ ვბედავ⁴.

ა. ჩ.

¹ ამ წერილის უქონლობა, როგორც სამწუხარო გარემოება, ჩვენ სათანადო ადგილას აღვნიშნეთ (იხ. ზემოთ, გვ. შენიშვნა 1).

² ამისათვის ბ. კარპ. დონდუას დიდ მადლობას ვუძღვნი.

³ "Es steht mir nun fest dass -qe noch eine ganz andere Bedeutung hat, als diese affirmative, ja ich halte es nicht für unmöglich, dass es die etztrw überhaupt nicht wirklich besessen hat, sondern nur einem alten Missverständiss verdankt". — "Melanges Charles de Harlez", გვ. 279.

⁴ "Dieses -qe ist gewiss nichts anderes, als jenes Pluralzeichen -q" welches ich in der ingilischen Mundart nachgewiesen habe (Ueber den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen S. 86). Ob es mit dem swanischen Pluralzeichen -χ (s. ebenda S. 41, 42, 49, 55) und dies etwa wiederum mit dem beim Nomen und Verb sich findenden tscherkessischen Pluralzeichen -ჯე (s. ebenda S. 7) und dem nominalen — khua — verbalen — kh — des abchasischen (s. ebenda S. 4) verwandt ist, wage ich nicht zu entscheiden", ibid. გვ. 280.

ზოგადი თვალსაზრისისათვის

(პრინციპული შენიშვნები)

თანამედროვე ენათმეცნიერება სხვა არაფერია, თუ არ მეცნიერული გრამატიკა და საენათმეცნიერო თეორია. პირველი შეისწავლის ენის სინამდვილეს გარკვეულს მომენტში (აღწერითი გზით) ან მისი განვითარების სივრცეში შედარებით-ისტორიული მეთოდით; მეორე იხილავს იმ მოვლენათ, რომელნიც ენათა ცხოვრებაში ზოგადნი არიან.

ამდენადვე პირველი ინდივიდუალი ბუნებისაა: არსებობს ცალკე აღებული ენის (ან ენათა მთელი ჯგუფის) გრამატიკა, მაგრამ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს გ რ ა მ ა ტ ი კ ა ს ა ე რ თ ო დ, ზოგადი (ასეთი რამ ან იქნებოდა ანტიმეცნიერული, თუ იგი მართლა გრამატიკად მოგვევლინებოდა, ან იქნებოდა მეცნიერული, მაგრამ მაშინ გრამატიკა არ იქნებოდა). მეორე, პირიქით, გენერალური ბუნებისაა; საკითხები, როგორცაა: რა არის ენა, როგორი გზით წარმოიშობა და ვრცელდება ენაში თავისებურება, რა არის ფორმა, წინადადება, არსებობს თუ არა ბგერათა ცვალებადობაში კანონზომიერება და სხვ., თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ნაწილობრივ მაინც, მეტაფიზიკურ საკითხს ენის წარმოშობის შესახებ, ესა და მსგავსი საკითხები მნიშვნელოვანია ყოველი ენის შესწავლისას, ხოლო მათი გარკვევა ენათა ერთი ჯგუფის მიხედვითაც არ შეიძლება იქნეს უმნიშვნელო სხვათათვის.

როგორც გრამატიკის, ისე საენათმეცნიერო თეორიის თ ა ნ ა მ ე დ - რ ო გ ე მ დგომარეობა საგნებით განისაზღვრება თითოეული მათგანის ისტორიით და კერძოდ იმ საკვლევი მასალის სინამდვილით, რომლის მეცნიერულმა დამუშავებამაც ენათმეცნიერებას საფუძველი ჩაუყარა. ენათმეცნიერების ისტორიულს ვითარებაში პოულობს ახსნას ის გარემოება, რომ გრამატიკის ნაწილები (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, სემასიოლოგია...) მეცნიერულად დ ა მ უ შ ა ვ ე ბ ი ს მხრით არსებითად განსხვავდებიან ურთიერთისაგან, ხოლო მათი ურთიერთობა საკმაოდ მოუწყობელია; ფონეტიკა ყველაზე უფრო დამუშავებული ნაწილია ინდო-ევროპულ ენათა გრამატიკებში, მაშინ როდესაც სინტაქსი უძველეს ხანებში მოცემულ ფორმულებში ტრიალებს და პირვანდელ ჩარჩოებს ვერ გასცილებია. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში წამოყენებული ფორმულა გრამატიკის ლოლიკა-ფსიქოლოგიისაგან გამიჯნისა ხორცშესხმას თითქმის ვერ ეღირსა, და **Steinthal**ის რეცეფტით ნაგულისხმევი წამლობა დასრულებულ-

ლად ვერ ჩაითვლება. კერძოდ, სინტაქსი დღესაც შენდება ისეთი მეცნიერული მასალით, რომელიც ენის სინამდვილის წიაღში კი არ არის მოპოვებული, არამედ სხვა სამყაროდან არის მოტანილი; მასში დღესაც ის ძირითადი ცნებანი მოიხმარებიან, რომელნიც მეცნიერული აზროვნების იმ ხანაში მუშავდებოდნენ, როდესაც ენის შესახებ მოძღვრება საფუძვლიანად იყო არეული აზრის შესახებ მოძღვრებასთან და ცნებათა დიფერენციაციაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა.

თანამედროვე ენათმეცნიერება იმ გარდახალისების შედეგია, რომელიც ტრადიციულს გრამატიკაში შედარებითა და ისტორიულმა მეთოდმა შეიტანა. ამ მეთოდის გამოყენებამ გამოიწვია გრამატიკის არსებითი რეკონსტრუქცია: ფონეტიკის სახით მას შეეძინა უდიდესი საკვლევი იარაღი, თვალსაჩინოდ ფერი იცვალა იმ ნაწილმა, რომელიც ამ უამად მორფოლოგიის სახელით არის ცნობილი, იშვა სემასიოლოგია. ბუნებრივად ეწოდა ამიტომაც ამ მეთოდების პიონერებს **Bopp-Grimms** თანამედროვე გრამატიკისა და მით ენათმეცნიერების მამათმავრების საპატიო სახელი.

ინდო-ევროპულ ენათა სინამდვილე განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო განახლებული დისციპლინის ფართო განვითარებისათვის: სანსკრიტ-ავესტა-ბერძნულ-ლათინურ-გუთური თვალუწვდენელ სარბიელს წარმოადგენდა როგორც შედარებითისა, ისე ისტორიული თვალსაზრისის გაშლისათვის: რამოდენიმე ათასი წლის მწერლობითი ძეგლები მოუთხრობდნენ აქ მკვლევარს თავის ისტორიულ ყოფას სხვადასხვა ეპოქაში. **Bopp-Grimms** მიერ ნაჩვენებ და ნაწილობრივ კიდევ გათელილ გზას მეცნიერთა მთელი თაობები მიჰყვა: ჩამოყალიბდა კლასიკური სახით ინდო-ევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკა; ხოლო არა ნაკლებ საგულისხმო და მნიშვნელოვანი ის არის, რომ მკვეთრი სახე მიიღო თვით მეთოდმა; მისი საიმედო დასაყრდენი ფონეტიკა გახდა: შესატყვისობათა ძიებისას მისი სიტყვა იყო გადამწყვეტი.

ამიერიდან სხვა ენების კვლევისას სარბიელზე გამოვიდა იგივე მეთოდი იმავე საკვლევი იარაღით ხელში.

შედარებით-ისტორიული მეთოდით მოცემულ აზროვნების ტრიუმფს ერთი ფსიქოლოგიურად ბუნებრივი, ხოლო მეცნიერული მეთოდოლოგიის თვალსაზრისით არასასურველი შედეგი მოჰყვა: ვგულისხმობთ გატაცებას შედარებით და თვით მეთოდის გარდაფასებას (**Ueberschätzung**).

ენათა ისტორიის ოკეანეში გამარჯვებული მეთოდი ეთნიურ ერთეულთა, ერთა ისტორიის ბნელი საკითხების სარკვევად მოიმარჯვეს: ლინგვისტური პალეონტოლოგია ამის შედეგია. თვით ენათმეცნიერების სფეროში იმავე გატაცების შედეგად უნდა ჩაითვალოს პრაენის რეკონსტრუქციის ცდა. ინდო-ევროპულ ენათა კვლევის წიაღში გაჩენილი მისწრაფება დოგმატურად იქნა გადატანილი სხვა ენათა კვლევისას. უკვე დაისვა საკი-

თხი სემური პრაენის შესახებ, ინდო-ევროპულ და სემურ ენათა ნათესაობისათვის, ხოლო ქამური ოჯახის წამოშველებით პრაპრაენის საკითხსაც მიაღწიეს.

ეს მოვლენა ნორმალურად ვერ ჩაითვლება: 1. რ ე კ ო ნ ს ტ რ უ ქ - ც ი ი ს საკითხს გრამატიკა (და მით ენათმეცნიერება) ფიქციათა სფეროში გადაჰყავს: საენათმეცნიერო აზროვნების შედეგთა შორის დადებით ცოდნას სავსებით ჰიპოთეტური ხასიათის „ცოდნა“ ერევა; გრამატიკის ზოგადი მეცნიერული სტრუქტურისათვის ეს მხოლოდ მავნებელია, მისი მეცნიერული დონის დამამდაბლებელია; 2. პ რ ე ს ტ ო რ ი უ ლ ი ს ა კ ი - თ ხ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ზრუნვით კი ენათმეცნიერებას ეუფლება ისეთი პრობლემები, რომელნიც მისი ძირითადი მიზნის გარეშე იმყოფებიან. ამ გზაზე შედგომით ენათმეცნიერება ჰკარგავს თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ი დისციპლინის ხასიათს, იგი ისტორიის *ancilla* ხდება.

ენა, ზოგადად, სიმბოლოთა სისტემაა; ის, რისი სიმბოლოც იგი არის, ცნობიერების მდგომარეობაა; დანაწევრებულ ბგერებში მოცემულ სიმბოლოთა სამყარო ენათმეცნიერების საგანია, ამით უკვე განისაზღვრება ენათმეცნიერების ბუნება: იგი თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ი მეცნიერებაა; როგორც ასეთი, იგი იკვლევს ამა თუ იმ ენის სინამდვილეს, ამუშავებს ენის გრამატიკას; ემყარება ენის უკვე შემუშავებულ თეორიას და იმავე დროს შეაქვს მასში შესწორებანი იმისდამიხედვით, თუ რას იძლევა პრინციპულად ახალს შესასწავლი ობიექტი.

მისი ცნებები მისი სინამდვილის სქემაა; იმიტომაც ვერ იქნება იგი სხვა ბუნების, ვინემ თვით სინამდვილე: გრამატიკა ვერ დაამუშავებს თავის საგანს ლოდიკისა და ფსიქოლოგიის ცნებებით ისევე, როგორც ფიზიოლოგია ვერ დაემყარება ანატომიის ცნებებს.

ამგვარად: დანაწევრებული ბგერითი სინამდვილის მისივე ბუნებრივი საზომით შესწავლა გრამატიკისა და მასთან ენათმეცნიერების თ ა ვ ი ს - თ ა ვ ა დ ო ბ ი ს აუცილებელი პირობაა. ამით ისიც არის ნათქვამი, რომ მისი მიზანი წმინდა თეორიული ბუნებისაა: საშკოლო გრამატიკის საჭიროებათ იგი ისევე ვერ დაექვემდებარება, როგორც — **Benfey**-ს მოხდენილი შენიშვნის არ იყოს¹, — უმაღლესი მათემატიკა ვაჭრობა-მრეწველობაში აუცილებელ ბუხჰალტერიას.

თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ო ბ ა ა რ ნ ი შ ნ ა ვ ს დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო - ბ ა ს: ენათმეცნიერება ვერ იქნება დამოუკიდებელი სხვა მეცნიერებათაგან ისევე, როგორც ქიმია ვერ იქნება დამოუკიდებელი ფიზიკისაგან; ეს არც სასურველი იქნებოდა. პირიქით, მას უფრო, ვინემ სხვა რომელსამე მეცნი-

¹ შდრ. *Geschichte der Sprachwissenschaft, München 1869*, გვ. 1.

ერებას, აქვს მრავალი შესახები პუნქტები მეზობელ დისციპლინებთან, როგორცაა ლოლიკა, ფილოლოგია, ისტორია, ეთნოგრაფია, ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია. ამას განსაზღვრავს მისი საგნის ბუნება: მაშასადამე, ამ დამოკიდებულებას იგი გვერდს ვერ აუხვევს. მაგრამ სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ მისი მიზანი და აქედან გამომდინარე თვალსაზრისი გარკვეულად იქნეს ჩამოყალიბებული; წინააღმდეგ შემთხვევაში რთულ დამოკიდებულებათა ქსელში მიიჩქმალება მისი თავის თავადობა.

დამოუკიდებელი თვალსაზრისით კვლეული ენობრივი სინამდვილე ამა თუ იმ ენის გრამატიკას მოგვცემს; ამით პირველი საფეხური განვლილია; ენის სქემა სათანადო გრამატიკულ ცნებებში მოცემულია: ენის სიმბოლიკის აზრთან ურთიერთობის საკითხი ენათმეცნიერების მეორე და უფრო მნიშვნელოვანი საკითხია: სხვადასხვა ენის სტრუქტურის დამახასიათებელი თავისებურებანი ერთ აღმნიშვნელთან უნდა იქნენ შეთანაბრებული, ერთი საზომით განზომილნი: ამა თუ იმ ენის წყობის გარკვევა მის მიმართებაში აზრთან ენათმეცნიერების უმაღლესი მიზანია.

კავკასიის სინამდვილის მიმართ ენათმეცნიერება ნაწილობრივ მაინც თავისებურ მდგომარეობაშია; ე. წ. კავკასურ¹ ენათა დიდი წილი მწერლობას მოკლებულია ან იყო მოკლებული დღემდე: უმწერლობო ენა ვერასოდეს ვერ მისცემს შედარებით მეთოდს იმ გასაქანს, რასაც იგი ჰპოვებდა ინდო-ევროპულ ენათა შესწავლისას. შედარებითი მეთოდი ისტორიული თვალსაზრისის რეალიზაციის საშუალებაა და არა პირიქით. მხოლოდ ისტორიულს პერსპექტივაში გაშლილი სინამდვილე წარმოადგენს მდიდარ ნიადაგს შედარებითი მეთოდის ბრწყინვალე გამარჯვებათათვის. იქ, სადაც ისტორია არ მოიპოვება, შედარებითი მეთოდის როლი ვიწროდ განსაზღვრულია. ამიტომაც: 1. „თანდაყოლილ ცოდვათა“ გამო კავკასურ ენათა შესწავლა იმ სახით ვერასოდეს ჩამოყალიბდება, როგორც ინდო-ევროპულ ენათა შესახებ მოძღვრება, და 2. შედარებითი მეთოდით გატაცება აქ გაცილებით უფრო საზიანო იქნებოდა, ვინემ იმავე ინდო-ევროპულ ენათა შესწავლისას: მას შეეძლება მხოლოდ ჰიპოთეზათა ქსელში გაგვანვიოს. მეცნიერებისათვის ჰიპოთეზა სასარგებლოა (და ზოგჯერ, მიუცილებელიც, ე. წ. სამუშაო ჰიპოთეზა), თუ კი უდავო ფაქტების გაშუქებას ემსახურება,

¹ ამ სახელწოდებით ქვემოთ ყველგან აღინიშნება სპეციალური კავკასური ენები: ქართულ-მეგრულ-სვანური, აფხაზური და ყაბარდოს ანუ ჩერქეზეთის, ჩაჩნებისა და დაღესტნის ენები; კავკასიაში წარმოდგენილი სხვა ოჯახთა ენები (მაგალ. აზერბაიჯანელითა, ოსური, სომხური, ქურთებისა...) კავკასურში, ცხადია, არ იგულისხმება.

მაგრამ ჰიპოთეზებისაგან აგებული შენობა უკვე არ არის მეცნიერება, არამედ პრინციპულად იგივე მეტაფიზიკაა, რომლის დაძლევა საკუთარ სფეროში მაინც ყოველი კერძო მეცნიერების პირდაპირი ვალია; ეს იგივე პოეზიაა „ცნებებში ჩამოყალიბებული“, როგორც ახასიათებდა ერთი მოაზროვნე მეტაფიზიკას; ცნებებში ჩამოყალიბებული პოეზია მაინც პოეზიაა და არა მეცნიერება.

ამრიგად: ინდო-ევროპულ ენათა ნიადაგზე შედარებითი მეთოდით გატაცება ენათმეცნიერებას თავის თავადი მეცნიერული დისციპლინის ხასიათს უკარგავს, ჩვენს სინამდვილეში იგი მას საერთოდ მეცნიერულ ხასიათს დაუკარგავდა.

კავკასურ ენათა შესწავლას (განსაკუთრებით ეს ქართულ-მეგრულ-სვანურის შესახებ ითქმის) იმ თავითვე თან სდევდა ერთი უცნაურობა: კვლევის პირველსავე „დღეებში“ მათი „ნათლისღება“ ხდებოდა: შედეგიც დამახასიათებელი მოჰყვებოდა ხოლმე: იგი ხან ინდო-ევროპულ ოჯახს განეკუთვნებოდა, ხან თურანულს; ხან სემურთან მონათესავე აღმოჩნდებოდა, ხან კიდევ, სამწუხაროდ, იშვიათად, დამოუკიდებელ ერთეულად შეიმცნობოდა; ევროპის მეცნიერთა ასეთი მოპყრობა საგნისადმი გასაგებია: კავკასური ენები საგანგებოდ, თავისთავად, მათი ყურადღების საგანი საერთოდ არ ყოფილა, ზოგად მიმოხილვათა დროს კი ეს მონათესავე სქემატიურობისათვის აუცილებელი იყო; არც იმის თქმა შეიძლება, რომ მაინცდამაინც ძნელი ყოფილიყოს: ყველა ჰპოულობდა თავისი თეორიის განმამტკიცებელ საბუთებს...

როცა ერთი ენის ნიადაგზე წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტა მის ფარგლებში ვერ ხერხდება და მონათესავე ენობრივი ერთეულის დახმარებაა საჭირო, გენეტური ურთიერთობის საკითხი უსათუოდ მნიშვნელოვანია: იგი გვიჩვენებს, თუ საითკენ უნდა იქნეს მიმართული შედარებითი მეთოდის მძლე იარაღი საკითხის გამოსარკვევად; ამდენადვე წმინდა ენათმეცნიერული თვალსაზრისით იგი, საერთოდ, ფასეულია.

მაგრამ ენათმეცნიერებისათვის უცხოა და შეუფერებელი, თუ ენათა გენეზისი ერთა ურთიერთობის კვლევას ისახავს მიზნად: ენათმეცნიერი ასეთ შემთხვევაში ისტორიკოსად იქცევა, რომელსაც ხელში ხშირად მეტად საეჭვო იარაღი უკავია, რამდენადაც ენობრივი ნათესაობა ვერც ლოლიკურად და ვერც ფაქტიურად ეთნიური ნათესაობის აუცილებელ მხილებად ვერ ჩაითვლება.

იმ შემთხვევაშიდაც, როცა ენობრივი ურთიერთობის საკითხი საენათმეცნიერო მიზნებისათვის გამოიყენების, მეთოდოლოგიურად აუცილებელ წინამძღვრად უნდა იქნეს მიჩნეული ფაქტი ნათესაური ურთიერთობის არსებობისა.

როცა ურთიერთობის ეს უდაო ფაქტი მოიპოვება, შეიძლება მაზე დაყრდნობა და საენათმეცნიერო ამოცანებისათვის გამოყენება. ინდო-ევროპულ ენებში ეს საკმაოდ ადვილი იყო: არ იყო საჭირო **Bopp**-ის გენიალი ინტუიცია, რომ სანსკრიტის ბერძნულ-ლათინურთან ნათესაობა შეემჩნია; მას გაცილებით უფრო ჩვეულებრივი მოაზროვნე **William Jones**-იც ნათლად ხედავდა.

არსებითად სხვაა მდგომარეობა ჩვენში; ურთიერთობის საკითხი პირველი გაცნობითვე აქ არ იჭრება (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ქართულ-მეგრულ-სვანურის ურთიერთობას და აგრეთვე აფხაზურის მიმართებას (ყაბარდოს სხვა ენებთან); ბევრს ენას დღემდე დამწერლობა არ გააჩნდა, ენათმეცნიერება ვერასოდეს იხილავს მათ ისტორიულ სახეობას; მისი დღევანდელი სახის შეცნობაც თითქმის მთლიანად მომავლის საქმეა.

ურთიერთობის¹ საკითხი აქ დასაყრდენად გამოსადეგი ფაქტი კი არ არის, არამედ საკვლევი პრობლემა, და წინასწარ მისი გადაწყვეტა მხოლოდ საზიანო შეიძლება იყოს. ინტუიცია, თუნდაც გენიალი მოაზროვნისა, შემცდარ აზრს წარმოშობს, თუ გარკვეული ფაქტის სახით აზროვნებას მტკიცე დასაყრდენი არ მოეპოვება. საეჭვო ღირსების მშვენიერ თეორიას კი ჭეშმარიტების პაწია მარცვალი სჯობია.

ამგვარად: ენათმეცნიერება ვერ იქნება მეზობელ დისციპლინებისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ იგი უსათუოდ უნდა იყოს თავის თავადი.

მისი თავისთავადობის საფუძველი და საკმაო პირობა მისი ძირითადი მიზანია (დანაწევრებულ ბგერებში მოცემული მეტყველების ანალიზი და ამ მეტყველების სტრუქტურის აზრისადმი მიმართების ძიება) და ამ მიზნით განსაზღვრული თავალსაზრისი.

საენათმეცნიერო კვლევათა მიღწევების გამოყენება სხვა დისციპლინათა პრობლემების სარკვევად არ უნდა იყოს ენათმეცნიერების საპროგრამო მიზანი. სადაც ეს მოხდება, იქ უკვე ენათმეცნიერება არ არის.

თავისთავადობის განმტკიცება უწინარეს ყოვლისა მის ცნებათა საკვლევი სინამდვილის ბუნებისამებრ ჩამოყალიბების აუცილებლობას გულისხმობს. ამით უნდა იქნეს დაძლეული სხვა დისციპლინებთან მჭიდრო ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენებული ცნებათა აღრევის არასასურველი მოვლენები.

ენათმეცნიერება წმინდა თეორიული დისციპლინაა. პრაქტიკული მიზანი ვერც ერთს მის ნაბიჯს ვერ შებორკავს.

¹ ვგულისხმობთ, როგორც ამ ენათა ჯგუფების „შიგნი“ ურთიერთობას, ისე მათ ნათესაურ დამოკიდებულებას სხვა ოჯახებთან თუ ჯგუფებთან.

კავკასური ენების შესწავლისას ყველა ეს გარემოებანი განსაკუთრებით საფულისხმოა; მათი თავისებურება უსათუოდ მოითხოვს ამას. შედარებითი მეთოდის გამოყენებისათვის, როდესაც ენათა დიდი წილი ისტორიული თვალსაზრისით განხილვას ვერ დაექვემდებარება, აქ გაცილებით უფრო ვიწროა ასპარეზი, ვინემ, მაგალ., ინდო-ევროპულ ენათა შესწავლისას; ამ თვალსაზრისის გამოყენებაც ვერასოდეს მიგვიყვანს ისეთ შედეგებამდე, როგორც მან ინდო-ევროპულ ენათა სფეროში მოგვცა.

გენეტური ურთიერთობისა და მასთან დაკავშირებული საკითხები კავკასურ ენათა მიმართ მათი საფუძვლიანი პოზიტიური შესწავლის შემდეგ უნდა დაისვას და არამც და არამც იმ თავითვე. საამისო თეორიის წამოყენებით მუშაობის დაწყება ენათა მეცნიერული შესწავლისათვის მეთოდოლოგიურად აუცილებელი სრულიადაც არ არის, ხოლო საკითხის სპეციფიკური სიძნელის გამო წინასწარ აღიარებულ თეორიას ყალბი პერსპექტივების შექმნადა შეუძლია: „ინდო-ევროპულ თეორიისაკენ“, და არა პირიქით, უნდა იყოს ჩვენი გზა, — ამას გვიკარნახებს მეცნიერული მეთოდოლოგიის ანბანი.

1924 წ. 27 მარტი

ტფილისი

გრძელი ხმოვნები მთიულურში¹

უწინარეს ყოვლისა „მთიულურისათვის“, ვითარცა ტერმინისათვის, ჩვენ შეუფერებლად მიგვაჩნია ამ თავითვე ვილაპარაკოთ მთიულურ კილოზე, კილოკავზე, თქმასა თუ ქცევაზე. ენა, კილო, კილოკავი, თქმა, ქცევა მიმართებითი ცნებებია. ამ მიმართების ქსელისა და მისი შემქმნელი კომპონენტების გარკვევა წინ უნდა უძღოდეს ამა თუ იმ თქმის² ასე თუ ისე კვალიფიკაციას³. ამიტომაც „მთიულური“ აქ მხოლოდ მიგვითითებს იმ თქმაზე, რომელიც მსჯელობის საგანს შეადგენს, და სრულებით არას ამბობს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს იგი: არის კილო, კილოკავი თუ სხვა რამ.

წინასწარვე უნდა მიექცეს ყურადღება მეორე გარემოებასაც: თქმის შესწავლისთვის აუცილებელი პირობაა თქმის თავისებურებათა გარკვევა, მაგრამ „თავისებურება“ გულისხმობს რაღაცას, რასთან შედარებით ესა თუ ის მოვლენა მიიჩნევა განსხვავებულად, თავისებურად. მაშასადამე, იბადება საკითხი: რა უნდა იქნეს გამოყენებული შესადარებლად ამა თუ იმ თქმის თავისებურების, როგორც ასეთის, აღსანიშნავად. — ცო-

¹ წაკითხულია მოხსენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1923 წლის 11 მარტს.

² ვიღებთ ამ სიტყვას არა როგორც სპეციფიკურ საენათმეცნიერო ტერმინს (რომლითაც აღინიშნება კილოკავის მიმართ სახეობითი ცნება, ხოლო ქცევის მიმართ გვაროვნული ცნება), არამედ როგორც სიტყვას, რომელიც აღნიშნავს გარკვეულ ენობრივ თავისებურებათა კრებულს; მხოლოდ ასეთი მნიშვნელობა ეძლევა ამ სიტყვას ქვემოთ ყველგან.

³ ამა თუ იმ თქმის თავისებურებათა აღნუსხვა, ამ მხრით მისი ბუნების გარკვევა, არის აუცილებელი პირობა, მაგრამ იგი სრულებით არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ამა თუ იმ თქმის „ნათლისღებას“ ექნეს ადგილი, ეწოდოს მას კილო თუ კილოკავი.

რომ ვიცოდეთ, თუ რა არის მთიულური, უნდა ვიცოდეთ, რას წარმოადგენს თუშური, ფშაური, ხევსურული, მოხეური, ინგილოური, კახურ-ქიზიყური და ქართლური; უნდა გვქონდეს გათვალისწინებული ის თავისებურებანი, რომელთა მატარებელნიც ივინი არიან; და როდესაც თითოეული მათგანის სახე იქნება დამოუკიდებელივ გამორკვეული, მაშინ ბუნებრივად გადაწყდება მათი ურთიერთობის საკითხიც, თითოეული მათგანი მიიღებს შესაფერ სახელწოდებას და დაიკავებს ენობრივს იერარქიაში სათანადო ადგილს, უკეთ რომ ვთქვათ, თვით ეგენი შექმნიან ამ იერარქიას.

სანამ ეს არ მომხდარა, კუთხური თქმის ასე თუ ისე მონათვლა მოვლენის ნაადრევ კვალიფიკაციად უნდა ჩაითვალოს, კვალიფიკაციად, რომელსაც საეგებისო ხასიათი და ჰიპოთეტური ღირებულება აქვს.

ცხალ მეზობელ თქმებს (რამდენადაც საქმე ჩვენს სინამდვილეს შეეხება) ვერ დავემყარებთ, რაკი მათ შესახებ სათანადო ცნობები არ მოგვეპოვება¹.

ერთადერთი შესაძლებლობა ამ მხრივ ლიტერატურულ ენასთან შედარებაა. მართალია, სამწერლობო ენა ყოველთვის ხელოვნურია; თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქართული სამწერლობო ენის ხელოვნურობას ამ შემთხვევაში მოსალოდნელი დადებითი თვისება — ფორმათა ერთგვარობა, — შედარებით ნაკლებად ახლავს, და ამდენადვე მისი ხელოვნურობა სავსებით ვერ უზრუნველყოფს ფორმათა გამოკვეთილობას, — მაგრამ მისი ფორმები, მიმართებით მაინც, საკმაოდ მკვიდრია იმისათვის, რომ შედარებისთვის გამოსავალ პუნქტად გამოგვადგეს, — ხოლო მისი ხელოვნურობა იმდენად თვალსაჩინო, რომ ბუნებრივ თქმასთან ერთ სიბრტყეზე მისი მოთავსება სათაკილო იყოს; სათაკილო, რამდენადაც ბუნებრივი თქმის ხელოვნურ ქმნილებასთან შედარება მეთოდოლოგიის წინაშე გარკვეული სახის შეცოდებაა, მაგრამ ცოცხალ თქმათა შესწავლის პირველ საფეხურებზე მაინც მდგომარეობა გვაიძულებს ამ საშუალებას მივპყროთ, რაკი სხვა დასაყრდენი არ მოგვეპოვება. ამ ორი აუცილებელი წინასწარი შენიშვნის შემდეგ შეგვიძლია პირდაპირ საგანზე გადავიდეთ.

მთიულურის შესწავლის დროს იმ მოვლენის გათვალისწინება, რომელზედაც ქვემოთ იქნება საუბარი, პირველ რიგში უნდა იყოს დაყენებული: ჯერ ერთი იმიტომ, რომ, როგორც ფონეტიკური მოვლენა, მიღებული ტრადიციით თქმის სხვა მხარეთა გარკვევას წინ უნდა უძღოდეს და ეს ბუნებრივიცაა, რამდენადაც ფონეტიკა ენობრივ მოვლენათა გარეგნულ აგებულებას, ბგერებში მოცემულს, არკვევს, და მეორეც იმიტომ (და ეს უფრო საყურადღებოა), რომ ამ მოვლენის გათვალისწინება ზოგი სხვა მოვლენის გარკვევის შესაძლებლობას გვაძლევს.

¹ პროფ. ა. შანიძის მიერ ჯერ კიდევ 10 წლის უკან იყო წარმოებული საფუძვლიანი მუშაობა მთის თქმათა შესასწავლად, დიდძალი მასალებიც იქნა შეგროვებული თუშ-ფშავ-ხევსურულისა და მოხურისათვის, ნაწილობრივ მთიულურისათვისაც; სამწუხაროდ მოკლე სქემატური მიმოხილვის გარდა, რომელიც პეტრ. უნივ. ქართ. სტუდ. სამეც. წრის მიერ გამოცემულს კრებულში (ტფილისის 1915 წ.) არის მოთავსებული, ამ მასალათა ვრცლად დამუშავებული სახით გამოქვეყნება, — რასაც შეეძლო დიალექტოლოგიის საქმე ჩვენში საგრძნობლად წინ წაეწია, — ჯერჯერობით ვერ მოხერხდა... ინგილოურის შესახებ მასალები შეგროვილია და ლექსიკონითურთ გამოცემულია (იხ. მ. ჯანაშვილი, საინგილო, ძველი საქართველო, ტ. IV), მაგრამ არც იგია დამუშავებული. ხოლო ყველაზე უფრო ვრცელი თქმანი, ქართლური და კახური, ჯერ კიდევ *terra incognita* წარმოადგენენ, და მათ შესახებ მხოლოდ აპრიორი ხასიათის დედუქტიური მსჯელობაა შესაძლებელი.

სანიმუშოდ მოყვანილი მაგალითებიდან ცხადი გახდება, თუ რა სახისაა ეს მოვლენა; (ჯერ მოგვყავს ისეთი წინადადებანი, რომელნიც ერთი პაუზის ფარგლებს არ სცილდებიან, შემდეგ ისეთებიც, რომელნიც პაუზათა მეტს ოდენობას შეიცავენ და ბოლოს გაბმული თქმა): 1. გლეხებმა არ ვიცოდით...¹. 2. ეჯიფი დაჯდება ნუფესთან... 3. გაიმართება თამაშობა... 4. ეს სხლის ხეები სუ(ლ) იქიდან არი მოტანილი... 5. მთორიან ღამეში ათი თუთხმეტი ერთად დადიოდა... 6. დაბრძანდა ჯარის რქაზედა... 7. ჩაებმისან ერთმანერთსა და დაიწკებენ... 8. სამი ბოჭკა ღვინო მოიტანე... 9. კვირანცხოვლობას დაუწერე ჯორი... 10. ის მაშინვე გაუება ქალის მყურებსა... 11. მეძრე ივლის თავისუფლად... 12. იმას უნდა ტანისამოსი... 13. ეს ვიშოვე... 14. იქ უარა... 15. მაშინ კიდევ არაფერი... 16. იმას არ იცოდა... 17. ვგ არი... 18. ქერზე სორავიანი არაარის რა... 19. აქ წიფელი იყო... 20. მგელი ესლაც იცის... 21. ოცი წელიწადი იქნება... 22. კარგი სკურები განლაგს... 23. მე მაშინდელი არა ვარ... 24. იქიდაძეც მავგენარადა...

ერთ პაუზაზე მეტის შემცველი წინადადებანი: 25. რაც ვიცოდი, ვგუც დამავიწყდა მეტი სიბერითა... 26. თუკი მოდიოდეს, ბევრი გვქენებოდა... 27. კაკავიდან/მ ვეზიდებოდით ჰურსა, ქალაქიდან/მ ვეზიდებოდით ჰურსა... 28. სახეჯელს გაავორებენ, წვეთი აღარ გაავა, დაიტკეპნება... 29. თუ რამ ვიცი, ესლა გეტყვი... 30. შენ დაგზატყებენ, შენ იმას დაზატყებ... 31. გავიკეთოთ იმის არაეი, გამოგვადოთ... 32. იმას არც წისქვილი ქონია, არც საქონელი ეოლია... 33. იქ ბრუნავ(ს) წისქვილები, იქ მიიქვთ იმათა... 34. როცა მოდის ნეფიონი, მყრები მღერობენ... 35. მეძრე თამაშობა და გარმონი რა დაუკვრენ ქალები... 36. ხელსაკვლეს უნა დაეარო ფული: შეძლების კოლხედა... 37. სანამ მეორე ხარჯს არ ვიქამთ, ზირს არ მოიპარსავს კაცი, ვერ იმღერებს, ვერც ითამაშებს... 38. როგორც კაკალი გავორდება, ვგრე მიგორავს მყარი... 39. ის მყრები რა წავლენ ქალისა, დარჩება ბიჭის მყრები...

დასასრულ ერთი ტიპის გაბმული თქმის ნიმუშები: 1. რამდენი კაცი ვართ, | იმდენი ჰური უნდა ავიღოთ | მოვეკრიფოთ | გავაკეთოთ იმის არაეი | გამოგვადოთ | ვიუიღოთ საკლავი, | შევეხვეწნეთ ღმერთსა, | მაძრე წავალთ ვანაში | ეს სამკლის სახთა... ანდა კიდევ: 2. ღმერთო უმეფე | ლომისავ მთორ მოწამეო | ამ საკლავის ზატონსა შენი წყალობა მიეცი | ამრეველე კაცითა, | საქონლითა | შაძმლებინე შენი სამსახური | თავისთვინა კარგი ცხოვრება | მიეც მრევალი ჰური | კაცი | ცხოვი | სარხო | საცხოვრისი...

ხმოვანთა გამოთქმის ეს თავისებურება გავრცელებისა და ხმარების მხრივ დიდს მერყეობას განიცდის; ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მის ხმარებას უფრო ვხვდებით 1. ადგილმდებარეობის მხრით სამხედრო გზას დაშორებულ კუთხეებში, როგორცაა მაგ. ჯადა, ლაკათვევი; საერთოდ ზემო მთიულეთში უფრო, ვინემ ქვემოში²; ფასანაურს ქვემოთ კი

¹ აქ და ქვემოთ სათანადო შრიფტისაგან განსხვავებით პირობით გამოყენებულია „შავი“ და ჩვეულებრივი „თეთრი“: პირველი უფრო ძლიერი „ტონური ხმის ამალღები-სათვის“, მეორე — უფრო სუსტისათვის.

² ზემო მთიულეთის ადმინისტრატული ცენტრია მლეეთე, ქვემოსი კი ფასანაური.

ე. წ. ჯანდოს ჯეგსა და ჭართალში, როგორც დაკვირვებიდან გამოიკვია, მას სრულებით არა აქვს ადგილი¹; 2. **სქესის მხრივ** ქალებში; 3. **ასაკის მხრივ** მოხუცებსა და ნაწილობრივ ბავშვებში (თუმცა სხვა ასაკშიაც არა იშვიათია მისი ხშირი ხმარება, ხოლო მოხუცებსა და ბავშვებში ხშირად სულ არ ჩანს: მნიშვნელობა აქვს სხვა პირობებს); 4. **სოციალური მდგომარეობის მხრივ** ისეთ ელემენტებში, რომელნიც უფრო მჭიდროდ არიან ოჯახის კერასთან დაკავშირებული და არ უხდებათ სხვა ენობრივ კორპორაციაში ყოფნა. — ასე რომ, სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებში, ჯარში ნამყოფ ახალგაზრდებსა და „ბარში“ ნაცხოვრებ ან თუნდაც იქ სისტემატურად სამუშაოდ მავალ პირთა გამოთქმაში ამ მოვლენას სპორადიული ხასიათი აქვს. თვით ამ კონტიგენტშიაც, სადაც ამ მოვლენას ვხვდებით, მის ხმარებას სისტემატური ხასიათი არა აქვს: ხან წამოჰყოფს თავს ფრაზათა მთელს რიგში, ხან კი არა ჩანს; მისი ხმარების შემთხვევების განსაზღვრა ძნელია — შეიძლება მხოლოდ ზოგადად იყოს ნაჩვენები ის პირობები, რომელნიც უფრო ხელსაყრელია მისი გამოვლენისათვის: ასეთია „ჩვეულებრივი“ მეტყველება, ე. ი. ის შემთხვევები, როდესაც მეტყველების პროცესი არაცნობიერ სფეროს განეკუთვნება; მაშინ იგი სავსებით ავტომატურ ხასიათს იღებს და ცნობიერების ნათელ წერტილს მხოლოდ თქმის შინაარსი, აზრი ფლობს, ე. ი. ის მთავარი წარმოდგენანი, რომელნიც თქმის პროცესს გეზს აძლევენ, მას წარმართვენ. ამას კი ადგილი აქვს: ყოველდღიურ საუბარში თავისი წრის პირთან ან რისიმე მბობის დროს. „თავის წრის პირთან“ მეტქი, ვინაიდან უცხოთან ლაპარაკის დროს, თუ კი ეს „უცხო“ ცოტა მოსარიდებელი პერსონაა, მოსაუბრე ძალაუნებურად ყურადღებას აქცევს თავის ლაპარაკს: ამის გამო თქმის პროცესიც შეგნებულად წარმოებს, მისი ბუნებრივი სახე შებღალულია; ამავ საფუძვლის გამო ჩვეულებრივი თქმის გამოვლენისათვის მეტად ხელსაყრელია დავა-კამათი, გაგულისებულის ლაპარაკი, ლანძღვა და აყალმაყალი: მეტყველების გარეგნულ მხარეზე მაშინ არავინ ფიქრობს და ეს კი მშვენიერ შესაძლებლობას ბადებს, მეტყველება თავისი ბუნებრივი სა-

¹ გამონაკლისს უნდა შეადგენდეს არაგვის მარცხენა ნაპირას გუდამაყრის გასწვრივ მივარდნილ ხევში მდებარე ორი სოფელი **ქვემო მთიულეთისა: ვაშლობი და ჭუღისი**; როგორც გადმომცეს, ეს მოვლენა აქ მეტი სიცხადით არის შენახული, ვინემ თვით ზემო მთიულეთის რომელსამე ადგილას; ეს შეუძლებელი არ არის, ვინაიდან ამ სოფლის მოსახლეობას უმეტესად შეადგენენ თურმე ამ ორმოცდაათიოდე წლის უკან მღეთედან გადმოსახლებული ბურღულები (გვარია); ბუნებრივია მათ შეენახათ ეს თავისებურება. სამწუხაროდ ეს შევიტყე უკვე მაშინ, როცა ანანურს ვუახლოვდებოდი, — გადმომცეს მეურმეებმა. უკან დაბრუნება უკვე აღარ შეიძლებოდა უსახსრობის გამო, და, ამნაირად, მომესპო საშუალება პირადად შემემოწმებინა გადმონაცემის სისწორე.

ხით მიმდინარეობდეს. საწინააღმდეგო შემთხვევები, კი ე. ი. ისეთები, როდესაც ავტომატური პროცესი მასზე ყურადღების მიქცევით ცნობიერ პროცესად იქცევა ხოლმე, — მაგალ., როცა ვინმე საკარნახოდ ანაწევრებს თავის მეტყველებას ცალკე ფრაზებად და მათ ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობს, — ყველაზე ნაკლებ არის ხელსაყრელი ჩვენთვის საინტერესო ფაქტის „გამოსაჩინებლად“.

გავრცელებისა და ხმარების ეს თავისებურებანი მოწმობენ, რომ საქმე გვაქვს მოვლენასთან, რომელიც გადაშენების გზაზეა შემდგარი: მხოლოდ სპეციფიკურს პირობებში შეუნახავს იგი თქმას. გადაშენების მიზეზების ზედმიწევნით გამორკვევა არც ისე ადვილია. ზოგიერთი მოსაზრებები გვაფიქრებინებს მხოლოდ, რომ იგი თქმის „შინაგანვითარებით“, ასე ვთქვათ, იმანენტური მიზეზებით კი არ არის გამოწვეული, არამედ სხვა ცოცხალ თქმათა ზეგავლენით, მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, „ბარის“, რომელთანაც მთიულეთს მჭიდრო ეკონომიური კავშირი აქვს.

რას წარმოადგენს ეს გადაშენების გზაზე შემდგარი მოვლენა? — მას, მგონი პირველად, ყურადღება მიაქცია მთის თქმებზე მუშაობის დროს ა. შ ა ნ ი ძ ე მ. 1913 წლის საზაფხულო მივლინების ანგარიშში იგი წერს: "Главною особенностью мтиульского говора является присутствие в нем долгих гласных, чего нет ни в одном из обследованных мною говоров"¹... და ქვემოთ, როცა იგი მუშაობის შედეგებზე წერს: "Собран значительный материал для характеристики пяти говоров грузинского языка, приютившихся в горах: хевсурского, хевского, тушинского, пшавского и мтиульского. Последний со своими долгими гласными, чего впрочем нет в Гудамакарском его подговоре, занимает особое место, а четыре остальных составляют одну группу, которую я по историко-этнографическим соображениям называю пховским наречием грузинского языка"², ხოლო ორი წლის შემდეგ თავის გამოკვლევაში „ქართული კილოები მთაში“ იგი ამბობს: „გრძელი ხმოვანი დამახასიათებელია საზოგადოდ მთიულურისა (გუდამაყრულში, რომელიც კილოკავია მთიულურისა, ეს თვისება არ არის). ის თითქმის ყოველთვის მეორე მარცვალზეა ბოლოდან, შენ გენაცვალე, ხეესუნნი მოდიოდეს და ქეუბნე-ბოდეს და სხვ.“³.

ამგვარად: 1. ეს მოვლენა განფასებულია, როგორც გრძელი ხმოვანი, 2. იგი აღიარებულია მთიულურის მთავარ თავისებურებად (გუდამაყრულის გამორიცხვით) და 3. ნაჩვენებია მისი ადგილი: მეორე მარცვალში

¹ იხ. "Отчет о летней командировке 1913 г. в Душет. и Тианетский уезды Тифлиской губ. для изучения грузинских говоров. Изв. Акад. Наук, 1913 წ. გვ. 1071.

² იქვე, გვ. 1074.

³ იხ. „კრებული ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით“. — პეტრ. უნივ. ქართ. სტუდ. სამეც. წრის გამოცემა, — ტფილისი, 1915, გვ. 193.

ბოლოდან („თითქმის ყოველთვის“): უკანასკნელი ამ დებულებათაგანი სავსებით შეეფერება სინამდვილეს; გამართლება მოეპოვება ამ „თითქმის“საც. ქვემოთ იქნება აღნიშნული, სახელდობრ, რა შემთხვევებში. მეორე დებულებას ესაჭიროება დამატებითი განსაზღვრა იმ მხრივ, რომ ეს „გრძელი ხმოვნები“ გარდა გუდამაყრულისა (სადაც იგი ბ. აკ. შ ა ნ ი ძ ი ს ჩვენებით არ მოიპოვება) არ გვხვდება აგრეთვე ჯანდოს ჯევსა და ჭართალში, ე. ი. ფასანაურს ქვემოთ არაგვის მარჯვენა ნაპირას, ხოლო მარცხენა ნაპირას უნდა იყოს შენახული მხოლოდ ვაშლობსა და ჯუღისში (როგორც ზემოთ იყო აღნიშნული).

რაც შეეხება თვით მოვლენის კვალიფიკაციას, იგი შეიძლება იქნეს სწორად მიჩნეული, რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც ჩ ვ ე ნ მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ა შ ი მ ი ვ ი ღ ე ბ თ მ ხ ო ლ ო დ ა კ უ ს ტ ი კ უ რ შ თ ა ბ ე ჭ დ ი ლ ე ბ ა ს. მართლაც, ხმოვანი გრძლად გვესმის. მაგრამ „გრძელი ხმოვანი“ ფონეტიკურად სრულიად გარკვეული ტერმინია; იგი აღნიშნავს ცნებას, რომლის შინაარსი უწინარეს ყოვლისა ხმოვნის რაოდენობით მხარეს აღნიშნავს; ეს რაოდენობითი მომენტი ამა თუ იმ სიტყვაში გარკვეული ხმოვნისთვის უცვლელი ოდენობაა (— თავისთავად იგულისხმება იმავე სიტყვის სხვა ხმოვნებთან გარკვეულს პროპორციულს მიმართებაში მყოფი: მეტყველების დროს თუ სიტყვისათვის განწესებული ხანგრძლივობა არტიკულაციისა იცვალა, იცვლება გრძელი ხმოვნის ხვედრიც, მაგრამ ოდენობითი მიმართება სხვა ხმოვნებთან უცვლელი რჩება!); გრძელი ხმოვანი გვხვდება როგორც სიტყვის შიგნი, ისე თავსა თუ ბოლოში. — ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია, მთიულურში გრძელი ხმოვნები არა გვაქვს. და ამას მოწმობს: 1. ის, რომ ეს „გრძელი ხმოვანი“ ცალკე აღებულს სიტყვაში (თუ იგი ფსიქოლოგიურ შემასმენელს არ წარმოადგენს და ამ მხრივ, როგორც წინააღმდეგა, არ განფასდება) არ გვხვდება, 2. ის გარემოება, რომ მას ადგილი არა აქვს ლექსში და 3. ისიც, რომ, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ცხადად ჩანს, ლაპარაკში იგი გვხვდება სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალზე (მაგ. დაკავშირება ჩვენ იმას!) და, მაშასადამე, მოვლენა დაკავშირებულია არა სიტყვის რომელიმე ხმოვანთან და განსაზღვრულია არა მისი რაოდენობითი ბუნებობით, არამედ მისი ადგილმდებარეობით სიტყვაში (და ფრაზაშიც, თუ სიტყვა ერთმარცვლოვანია. — იხ. ქვ.); — ამ გარემოებათაგან კი გამომდინარეობს ის სინამდვილით გამართლებული დასკვნა, რომ ერთი და იგივე ხმოვანი გარკვეული სიტყვისა შეიძლება იყოს „გრძელიცა“ და „არაგრძელიც“ იმისდა მიხედვით: 1. გვხვდება იგი ბოლოდან მეორე მარცვალში თუ არა, 2. გაბმულს საუბარსა თუ ცალკე სიტყვაში და 3. პროზასა თუ ლექსში. ასეთი მოვლენების შეთავსება ხმოვნის სიგრძის არსებობასთან შეუძლებელია.

ნამდვილად მთიულურის ე. წ. გრძელი ხმოვანი წარმოდგენს ტონის მოდულაციაზე დამყარებულ ტონურ მახვილს (Tonakzent).

აქვე გვინდა, გაკვირვებით აღვნიშნოთ ზოგადი ფიზიოლოგიური თვისებანი: გრძელი ხმოვნისა, დინამურისა და ტონური მახვილისა¹. გრძელი ხმოვანი, როგორც ზევითაც იყო აღნიშნული, ბგერის რაოდენობით მომენტს გადმოგვცემს: ფიზიოლოგიურად მას ქმნის სათანადო არტიკულაციის ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ბ ა. დინამური მახვილი არტიკულაციის ინტენსიური მოქმედების ფუნქციაა; როცა გრძელი ხმოვანი დინამურ მახვილს ატარებს, მაშინ ადგილი აქვს ინტენსიურ არტიკულაციას პლუს სიმთა ხანგრძლივი უღერა. რაც შეეხება ტონურ მახვილს, იგი წარმოთქმის გარკვეული ტონური მოდულაციის ნიადაგზე წარმოიშობა; მისი მატარებელი ხმოვანი ტონით განსხვავებულია; ფიზიოლოგიურად მას ახასიათებს ხმის სიმთა მეტი დაჭიმულობა და შედარებით სწრაფი უღერა, ორი მოვლენა, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული.

დინამური მახვილის მატარებელი ხმოვანი ტონებრივად არ განსხვავდება უმახვილო ხმოვნისაგან: არტიკულაციის ინტენსივობა ტონს არ ცვლის; ტონური მახვილის მატარებელი ხმოვანი გამოირჩევა უმახვილო ხმოვანთაგან ტონის სიმაღლით, — განსხვავდება ქვალიტატურად...².

ტონურ მახვილს თან ახლავს აგრეთვე შემდეგი თავისებურება: იგი ყველაზე ძლიერ ერთს რომელსამე მარცვალში აშკარავდება; ამით იგი ემსგავსება დინამურ მახვილს; მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელი გულისხმობს მეორე, უფრო ნაკლებ თვალსაჩინო მახვილს (Nebenakzent): (რეალურად, ეს სხვა არაფერია გარდა მახვილიანი ხმოვნის მახლობელი ხმოვნების შედარებით მეტი სიძლიერე, ასე ვთქვათ, სამახვილო ექსპირაციის რადიაცია); ეს თვისება უფრო ახლავს თან ტონურ მახვილს; ტონური გრადაციულობა — ტონის მინიმალობიდან კულმინაციამდე — აქ უფრო მდიდრად არის წარმოდგენილი, ხოლო საფეხურებს შორის განსხვავება კი უფრო სუსტია, რადგანაც ტონურ მახვილს შედარებით ნელი — „გაბმითი“ არტიკულაცია და მუსიკალური რითმი ახასიათებს. ერთი ტონური მახვილის სხვადასხვა საფეხურთა განწესრიგება პაუზის ფარგალში ხდება. ქვემოთ განხილული იქნება როგორც გრადაციათა მიმართულება, ისე ტონ-

¹ შეიძლება ამ უკანასკნელის ნაცვლად გვეხმარა: ხმის ტონური ამაღლება, მაგრამ ვერ ერთი, ეს უფრო უხერხულია სახმარად, და მეორეც, მასში არ არის აღნიშნული ის მომენტი, რომ აქ მოცემულია იმავე კატეგორიის მოვლენა, რომელსაც აღვნიშნავთ სიტყვით „დინამური მახვილი“.

² შდრ. დინამური მახვილის შესახებ: O. Jespersen, *Lehrbuch der Phonetik*, Leipzig und Berlin, 1913, გვ. 119 და შემდ. — ტონური მახვილის შესახებ, *ibid.* გვ. 225 და შემდ., აგრეთვე მისივე *Phonetische Grundfragen*, Leip. u. Berlin, 1904, გვ. 65 და შემდ.; — ამას გარდა, Wundt: *Völkerpsychologie*, B. II., *Die Sprache*, Leipz. 1912, გვ. 419.

ნური მახვილის (უკეთ ვთქვამთ — ტონური მოდულაციის) მიმართება პაუზათა სინშირესთან...

ახლა კი, როცა ე. წ. გრძელი ხმოვანი ტონურ მახვილად მივიჩნიეთ, აღვნიშნავთ გაკვრით იმასაც, რომ მოვლენის ასეთი კვალიფიკაცია გასაგებად ხდის, რატომ არ შეიძლებოდა მას ადგილი ჰქონოდა ცალკე აღებულ სიტყვასა და ლექსში: იმიტომ, რომ პირველში (ცალკე სიტყვაში) მას არ ექნებოდა „ფონი“, რომელზედაც ტონის მოდულაციას გაშლა შეეძლებოდა. ხოლო მეორეში — ლექსში — ის რითმი, რომელიც ამ ტონური მახვილის მატარებელ წინადადებას თან ახლავს, ლექსის რითმულობას ვერ შეეგუებოდა და დისონანსს შექმნიდა; მართალია, ჩვენ გვაქვს ზოგ ჩაწერილ ლექსში რამოდენიმე ტაეპი — ტონური მახვილის მატარებელი, როგორც მაგალითად:

„ ოსეთს იყრება ლაშქარი	„ ვარჩივნეთ ქალი და რძალი
„ სალბი ¹ უდგება წინაო	„ სალბის მივართოთ წინაო!
„ გადვიდეთ მთიულეთშია	„ ეგ ბურღულებმა გაიგეს
„ ნალორევეს ² დავდვით ბინაო	„ წელზე შაიბეს რკინაო
„ პირველად ჯადა გაგტეხოთ	„ შვიდი ათასი კაცისა
„ სალბის მივართოთ წინაო	„ შვიდნილა წავლენ შინაო!“

აქ, ჩაწერის საჭიროებისათვის, მთქმელი გაბმით როდი ამბობდა, არამედ ყოველ ფრაზას პაუზა მოსდევდა; პაუზით დაყოფილი ფრაზები უკვე ჩვეულებრივი პროზის ხასიათს იღებდა და თქმაშიაც წამოჰყოფდა თავს ტონური მახვილი... ლექსის ჩვეულებრივ თქმაში კი ამას ადგილი არა აქვს, როგორც ეს ჩანს ამ მაგალითებიდან:

„ ლომისას ჯაჭვნი ჰკიდიან	ფშავეთით გამოტანილი ³
„ არავინ იცის ვისია	შავგვრემანის ყმისია
„ ქალი მივიდა შასტირა:	დაექსენ ჯანგმა შაჭამოს
„ ეს ჯაჭვი ჩემი ძმისია	— ლომისის საკადრისია!

მოვლენის კვალიფიკაციის შემდეგ მორიგ საკითხად მიგვაჩნია მისი ხმარების წესი და გამოვლენა სხვადასხვაგვარ წინადადებაში.

ზევით უკვე იყო აღნიშნული, რომ ეს ტონური მახვილი „თითქმის ყოველთვის“ მეორე მარცვალში გვხვდება. ამას ესაჭიროება ორი **კორექტივი**: 1. ტონური მახვილი შეიძლება იქნეს ბოლოდან მესამე მარცვალზე, თუ ვინიცობა პირველ მარცვალს ბოლოდან შეადგენს ა (ა < არის), როგორც მაგალითად... 1. ჩემი ცხენი წითელია... 2. ეგ თავიანთ ნებაა... 3. უფროსია შიო გიგოზედა... იმის ნაგებია... 4. მუხებია, ეს კი არ არის მუნა... 5. სიმინ-

¹ სალბი კაცის სახელია.

² ნალორევი (< ნაღვარევი) ადგილის სახელია.

³ ზოგი ვარიანტი: „ლაშქრიდან გამოტანილი“.

დი თუ ჯმელია... ძალიან სწმენდას წისქვილსა... 6. თავისგან აღებუღია... სუ(ღ) გაფუჭებულია, კაცო! 7. ჩვენში ეგეთი წესია... 8. მაშინ გამოჩნდება... ვინც მსმელია... 9. ეგ მაგათია... 10. მეორე ხარჯია მაშინისა და სხვა.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს ხდება ან იმიტომ, რომ დაბოლოება ია ორ მარცვლად არ მიიჩნევა, ასე რომ მახვილი მაინც მეორე მარცვალს უწევს ფაქტიურად; ანდა იმიტომ, რომ ა (< არის) სიტყვის ორგანულ ნაწილად არ არის აღიარებული მთქმელის ცნობიერების მიერ და მახვილის ადგილმდებარეობაზე გავლენას ვერ ახდენს; საქმის ნამდვილ ვითარებასთან უფრო ახლოს ჩვენ პირველი მოსაზრება მიგვაჩნია.

II. მეორე კორექტივი კი შემდეგში მდგომარეობს: ტონური მახვილი შეიძლება იყოს სიტყვის უკანასკნელ მარცვალზე და ეს იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო სიტყვა ერთ მარცვლოვანია; მაგალითად: 1. მეძრე აღარა იქნება! 2. ხე იქნება, თუ კაცი იქნება... რა დახედება გამოხადევი აღარაშია... 3. ნინია შენ ტყუილს არ გეტყვის... 4. შენ წყარუაში იყავი... 5. თავის ზრისოდში რამდენმა იყო... და ეს გასაგებობა, რადგანაც ტონური მახვილის მქონე წინადადებას მუსიკალობა ახასიათებს და ტაქტებად იყოფა, და თითოეული მათგანის ფარგალში სიტყვათა წყება მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფება, ერთს მთლიანობას ქმნის და მახვილის ადგილს, როგორც ერთი სიტყვის ფარგალში გამოძენის. ასე რომ ფონეტიკურად აქაც მახვილი ისევე მეორე მარცვალზეა ბოლოდანი.

ტონური მახვილის მატარებელი წინადადება მუსიკალობით დახასიათდება; მაგრამ იმისდამხედვით, თუ როგორ წინადადებასთან გვაქვს საქმე, მახვილი და მისი საფეხურების გრადაციების მიმართულება თავისებურ სახეს იღებს. ყველა წინადადებანი ამ მხრივ შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: 1. წინადადებანი, რომელთა საზღვარი პაუზით თავდება, ერთ პაუზიანი წინადადებანი, თუ შეიძლება ითქვას (ე. ი. მარტივი წინადადება) და 2. წინადადებანი, რომელთა გამოთქმაში ერთზე მეტს პაუზას შევკვებებით.

პირველი ამათვანი ტონებრი მოდულაციისა და ტონური ხასიათის მიხედვით ორნაირი შეიძლება იყოს. a) ერთცენტრიანი და b) ერთზე მეტცენტრიანი, იმისდა მიხედვით არის მასში ტონური სიმალლის მაქსიმუმის მატარებელი სიტყვა ერთი თუ მეტი; უკანასკნელს შემთხვევაში წინადადებაში ადგილი აქვს რამოდენსამე (ერთზე მეტ) კულმინაციას (თუ შეიძლება ასე ითქვას); პირველ შემთხვევაში ერთი კულმინაცია და მოიპოვება. თუ მას ადგილი აქვს წინადადების თავში (პირველ სიტყვაში), შემდეგი სიტყვები დამავალი ტონების მატარებელნი არიან; პირიქით, თუ იგი წინადადების ბოლოშია, აღმავალისა; შეიძლება იგი წინადადების შუაში იყოს და მაშინ აღმავლობას აქვს ადგილი კულმინაციამდე და დამავლობას მის შემდეგ. მაგალითები ცხადყოფენ ამას.

მოვიყვანოთ ჯერ ერთბაუზიანი, მრავალცენტრიანი წინადადების ნიმუშები. 1. გლქსებმა არ ვიცოდით... 2. ეჯიფი დაჯდება... 3. გაიმართება თამაშობა... 4. ეს სახლის ხეები სუ(ლ) იქიდან არი მოტანილი... 5. დაბრძანდა ჯარის რქაზედა... 6. ის მაშინვე გაუგება ქალის მაურებსა... ის ღირებულება, რომელიც აქვს მთქმელის ცნობიერების თვალსაზრისით ამა თუ იმ სიტყვით აღნიშნულ წარმოდგენას, განსაზღვრავს მახვილის კულმინაციის ადგილს; მაგალითად, ამ წინადადებაში: ეჯიფი დაჯდება აზრის მხრით ორსავე სიტყვას თანაბარ ღირებულებას აძლევს მთქმელი: მას ჰსურს მსმენელის წინაშე ხაზგასმით აღნიშნოს როგორც ის, რომ ეჯიფი (და არა სხვა ვინმე) დაჯდება, აგრეთვე ისიც, რომ ეჯიფი დაჯდება (და არა დაწვევა, ვთქვათ). ამ წინადადებაში: გლქსებმა არ ვიცოდით, ის გარემოება, რომ საუბარი გლქსებმა შეეხება და მათ და მიმართ მტკიცდება არცოდნა, ამ ორისავე გარემოების აღნიშვნის საჭიროებას მთქმელი თანაბრად გრძნობს.

ამ წინადადებაში აზრისათვის მთავარი მნიშვნელობის მქონე ორი წარმოდგენა (ანუ მთლიანი წარმოდგენის ორი მხარე) ორი სიტყვით იყო გადმოცემული... მაგრამ ამ სუბიექტურის თვალსაზრისით მთავარი მხარეების გარდა შეიძლება მეორეხარისხოვან წარმოდგენებსა და მათ აღმნიშვნელ სიტყვებსაც ჰქონოდა ადგილი წინადადებაში: ამ შემთხვევაში — მნიშვნელოვნად მიჩნეული წარმოდგენის აღმნიშვნელი სიტყვა არის საკულმინაციო, მისი განმსაზღვრელი სიტყვები კი ამ კულმინაციის „რადიაციას“ განიცდიან, ე. ი. მახვილის ახლოს ყოფნით მათი ხმოვნების ელფერი იცვლება, თუმცა მახვილს კი არ ატარებენ; მაგალითად, შემოთმოდგენილი შემთხვევები: 1. დაბრძანდა ჯარის რქაზედა... 2. ის მაშინვე გაუგება ქალის მაურებსა: აქ „ჯარის“, „ის“, „მაშინვე“, „ქალის“ სიტყვები კულმინაციას არ შეიცავენ, მხოლოდ მის ზეგავლენას განიცდიან...

ავიღოთ ერთბაუზიანი ერთცენტრიანი წინადადებანი:

1. ეს ვიშოკე... 2. იქ ეჯარა... 3. მაშინ კიდევ არაფერი... 4. მემრე ივლის თავისუფლად...

ანდა: 1. იქიდა მეც მაგდენა რაა... 2. მეელი ახლაც იცის... 3. მაშინდელი არა ვარ.

ან კიდევ: 1. წიფელი(ი ი)ეო... 2. ოცი წელიწადი იქნება... 3. კარგი სუეუბი გახლავს... ეს შემთხვევები **პრინციპულად** არ განსხვავდება სათანადო შემთხვევებისაგან დინამური მახვილის ხმარების დროს: ე. წ. ლოდიკური მახვილი იქაც თავს იჩენს იმ სიტყვის მახვილიან მარცვალში, რომელსაც იგი ხვდება: აქაც ტონური მახვილი აძლიერებს საკულმინაციო სიტყვის მეორე მარცვალს; ეს ნათელი განდება ორივე გვარის მახვილის ხმარების უბრალო შედარებიდან:

1. იქ ეჯარა — იქ ეჯარა... 2. მაშინდელი არა ვარ — მაშინდელი არა ვარ... 3. აქ წიფელი(ი ი)ეო — აქ წიფელი იეო...

სამახვილო მარცვალი ორსავე შემთხვევაში ძლიერდება. მხოლოდ დინამური მახვილის დროს მისი ადგილი სხვაა (მესამე მარცვალი ბოლო-

დან, თუ სიტყვა ორ მარცვლიანზე მეტია), ტონური მახვილის დროს კიდევ სხვა; თუმცა შეიძლება მათი ადგილი შეგვხვდეს: ორმარცვლიან სიტყვაში. მაგალითად:

მკელი ახლაც იცის... მკელი ახლაც იცის...

ეს უკანასკნელი შემთხვევა ააშკარავებს იმ განსხვავებას, რომელიც ამ ორი ტიპის მახვილის ხმარებას შორის არსებობს და რჩება მაშინაც, როცა ორივე ერთსა და იმავე მარცვალზე შეიძლება მოხდეს: ტონური მახვილის დროს დამავლობა (თუ აღმავლობა) თანდათანობითა, ტონურ საფეხურებს შორის გარდასვლა თითქმის შეუმჩნეველად მიმდინარეობს. მაშინ როდესაც დინამური მახვილის ხმარებას ეს არ ახასიათებს. პირველის მუსიკალ თანდათანობას იქ ვერ ვხვდებით, იქ მეტი „მოსხლეტილობა“, და გარდასვლაც უფრო თვალსაჩინოა.

ყველა ზემოხსენებულ წინადადებათათვის ზოგადი ის იყო, რომ ყველა ისინი ერთ-პაუზიანი იყვნენ; ამ მხრივ მათთან მჭიდრო კავშირში იმყოფება კითხვითი წინადადება.

ჩვეულებრივს ჩვენს მეტყველებაში (ე. ი. დინამური მახვილის ხმარების დროს) კითხვით წინადადებას ახასიათებს სპეციფიკური კითხვითი ინტონაცია: წარმოებს ხმის აწევა იმ სიტყვამდე, რომელსაც ეხება კითხვა უმთავრესად, მასში აღწევს კულმინაციურ წერტილს და შემდეგ ეშვება¹. ცხადია, თუ ეს საკულმინაციო სიტყვა წინადადების ბოლოშია, საქმე გვექნება ჩვეულებრივს აღმავალ ინტონაციასთან; ეს ითქმის ტონური მახვილის ხმარების შემთხვევების შესახებაც. მხოლოდ ორი განსხვავებით: 1. კითხვითი ინტონაცია აქ ჩვეულებრივს აღმავალ ინტონაციას **აძლიერებს**: ამით იგი აღმავალი ინტონაციის მატარებელი **მოთხრობითი** წინადადებისაგან განიირჩევა და 2. ტონური მახვილის ხმარების დროს საერთო წესი ძალაში რჩება და საკულმინაციო სიტყვის მეორე მარცვალზე (ბოლოდან) უწევს ინტონაციის ინტენსივობის მაქსიმუმი; ამით იგი განსხვავდება **დინამური** მახვილის მატარებელი კითხვითი წინადადებისაგან, სადაც ინტონაცია უკანასკნელ მარცვალში აღწევს კულმინაციას; ავიღოთ სათანადო მაგალითები: აღმავ. ინტონაცია მოთხრობ. წინადადებაში.

1. ზემო სოფელში ბრძანებულხარ.

2. ზემო სოფელში ბრძანებულხარ?: აღმავალი ინტონაცია კითხვ. წინადადებაში — (ტონური მახვილით).

3. ზემო სოფელში ბრძანებულხარ? — (დინამური მახვილით).

სხვა შესაძლებლობათა განხილვაში აქ არ შევდივართ; ვიტყვით მხოლოდ, რომ **საზოგადოდ** ტონური მახვილისა და კითხვის ინტონაციის კულმინაცია ერთს სიტყვაში იყრის თავს, ერთმანეთს ხვდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კითხვის ინტონაცია განსაზღვრავს ტონის განწესრიგებას წინადა-

¹ იხ. ამის შესახებ Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, Москва. მე-2 გამოცემა, 1920, გვ. 340.

დებაში, ტონური მახვილის კულმინაცია მას მისდევს. მოგვყავს მაგალითები:

შესაწყვარი არ იცით განა?... ამ სოფელსა სწერ?... შენ მარტო ბრძანდები?...
იმკრეთიდან ბრძანდები?...

ერთ პაუზიან მოთხრობით და კითხვით წინადადებათა გარდა გვაქვს მეტი პაუზების შემცველი წინადადებანიც; მათზე ჩვენ ვჩერდებით არა იმიტომ, რომ ისინი ტონური მახვილის გამოყენების ახალ სახეს გვაძლევენ, არამედ იმიტომ, რომ ყველაზე ხელსაყრელ ნიადაგს წარმოადგენენ ამ ტონური მახვილის გამოვლენისათვის: განსაკუთრებით ეს ითქმის პირობითი წინადადებისა და შედგენილ წინადადებათა შესახებ, სადაც რისიმე ჩამოთვლას აქვს ადგილი, აგრეთვე პერიოდებზედაც.

ყველა ამ შემთხვევებში მეტი გასაქანი აქვს ტონური მახვილისათვის დამახასიათებელ აღმავლობა-დამავლობასა და რითმს, ტაქტს, პერიოდებით მეტყველება ხომ ამ მხრივ ყველაზე მეტს განწყობილებას ბადებს ტონური მახვილის ხმარებისათვის.

მოგვყავს რამოდენიმე მაგალითი:

1. ის მაყრები რო წავლენ ქალისა, დარჩება ბიჭის მაყრები... 2. როცა ის გაცვდება, სატრიალები, გამოუცვლით... 3. სანამ სახთოს არ ვიქამთ, სათიბათ ვერ გავალთ... 4. თავის ტკივილი აქვისო, სიცხე აქვისო, ზირიდან მწვანე წყალს აძაღბინებსო და გაფარდება სულიო... 5. სინამ მქორე ხარჯს არ ვიქამთ, ზირს არ მოიპარსავს კაცი, ვერც იმღერებს, ვერც ითამაშებს... 6. მქორე გაუღენ ბანზედა: მთვრალი კაცები, ბატარძალი, დედაკაცები.

მთიულურის შესახებ მახვილის მხრივ ჩვენი წარმოდგენა სწორი არ იქნებოდა, თუ ჩვენ ვიფიქრებდით, რომ ტონური მახვილი იხმარება მასში; ზევით უკვე იყო აღნიშნული, რომ ტონური მახვილის ხმარება სისტემატიური ხასიათის **სრულებითაც** არ არის, რომ განსაკუთრებული პირობებია საჭირო მის გამოსავლენად, რომ იგი გადაშენების გზაზეა შემდგარი. საფიქრებელია, რომ მხოლოდ იგი იხმარებოდა წინად. ახლა კი თვით იმ პირობა თქმაშია, რომელნიც მას ხმარობენ, მის გვერდით დინამური მახვილიც წამოჰყოფს თავს; დიდი წილის საუბარში მას ვერ ვხვდებით¹: აქ ჩვენ მოვიყვანთ ჩვეულებრივი საუბრის ნიმუშს, სადაც ორივე გვარის მახვილი ჩანს.

¹ საინტერესოა ის შემთხვევა, როცა ის სპორადიულად გვხვდება; მაგალ. 1. ოს ე ბ ი ა მ ბ ო ბ დ ე ნ... 2. მ ა ნ დ ო ს ე ბ შ ი ბ ე ვ რ ი წ ა ი ლ ო... 3. ე გ ი ქ ნ ე ბ ა თ ა მ ა რ დ ე დ უ ფ ლ ი ს ა გ ე ბ უ ლ ი... 4. უ ბ ე დ უ რ ე ბ ა მ ა - ე რ გ ო, ხ ი ზ ა ნ ი ა მ ო უ წ ყ დ ა... ასეთმა შემთხვევებმა მართლაც შეიძლება მოახდინოს შთაბეჭდილება, რომ აქ ხმოვნის სიგრძესთან გვაქვს საქმე, რადგანაც ტონური მახვილის არც ერთი სხვა ატრიბუტი მათ არ გააჩნია, მაშინ როდესაც ეს მოვლენა მარტივად აიხსნება. აღსანიშნავია, რომ სპორადიული მოვლენა თავს იჩენს უმეტესად „ე ბ“ზე; — ეს კი („ე ბ ი — თუ — ე ბ ა“ს ფორმით) უფრო ხშირად გვხვდება მეორე მარცვლად არსებითი სახელისა და ზმნის დაბოლოებაში: — ცხადია, იგი იქნებოდა ტონური მახვილის მატარებელი: ამრიგად ხშირად ხმარებულ ფორმასა და მახვილს შორის მჭიდრო ასოციაციური კავშირი დამყარდა; სადაც ასეთი მჭიდრო ასოციაცია არ იყო, ტონური მახვილი გადაშენდა, აქ კი ჯერ კიდევ ცოცხლობს.

„მემრე თქვეს | ეს რა ამბავია: რატომ არ შენობს ან კაცი, ან ცხორი ან საქონელი | ადგენ მამრე | დადგეს ფიხნისა შექნები | დაბრძანეს შუაში ჯვარი | მისცეს ცეცხლი | უნდა დაწონ ჯვარი | ამოფრინდა ჯვარი | დაბრძანდა ჯვარის რქა-ზედა | გამოლაღეს იმისი ემანი | როცა ის ჯვარი გაიტაცეს, ხალხიც თან გააყოლეს | შვიდი ათასი | წამობრძანდა | წამოასხნა თავის ემანი | დაწნა ერთი კოჭლი ქალი | მოსემსახურედ | არ წამობრძანდა სანამ ის ქალი არ მოუყვანეს...

მთიულურში დღეს დინამური მახვილი იმარჯვებს; წინად იქ ტონური უნდა ყოფილიყო; სხვაგან რომელი იხმარებოდა, ამჟამად ძნელი სათქმელია, მაგრამ რომ მთიულური არ წარმოადგენს უნიკუმს, ამას მოწმობს ის, რომ ანალოგიურ მოვლენას უნდა ჰქონდეს ადგილი როგორც ამას პროფ. ა. შანიძე აღნიშნავს ზემო რაჭულშიც (გლოლა-ჭიორა-ღების თქმაში); არა ასე მკაფიო და განსაზღვრული ბუნების, მაგრამ არსებითად იმავე მოვლენას უნდა ჰქონდეს ადგილი ფერედნულში (რომელსაც, როგორც ამ მხრივ, ისე სხვა მოვლენებშიც მთიულურთან შედარებით მეტი სირთულე ახასიათებს); შეიძლება მოგვეგონებია აგრეთვე გურულიც, სადაც მას თქმის სწრაფი ტემპი ერთვის, და აგრეთვე ქართველი ისრაელების თქმაც (მხედველობაში მყავს ქუთათური ისრაელები), ასე რომ, უკვე ამჟამად ვერ ჩაითვლება უდავოთ პროფ. ა. შანიძის აზრი, რომელიც იმავე „კრებულშია“ გამოთქმული: „მთიულური განსაკუთრებით დგას არა მარტო ფხოურის ჯგუფისაგან, არამედ სხვა ქართული კილოებისაგანაც (გარდა ზემო რაჭულისა, უმთავრესად გლოლა-ჭიორა-ღების კილოსი) რადგანაც მასში დაცულია გრძელი ხმოვნებიო“¹. ასეთი აზრი წარმოშვა, ცხადია, მოვლენის სხვანაირმა დაფასებამ. რისიმე თქმა გადაჭრით და ქართულს კილოებში წინად არსებული მდგომარეობის შესახებ დასკვნების კეთება, სანამ ბარის კილოები, როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთ საქართველოშია შეუსწავლელია, მეტად ნაადრევად უნდა ჩაითვალოს; ერთი რამ ახლაც ცხადია: ზოგს ქართულს კილოებში ტონური მახვილი შესაძლებელია ყოფილიყო, ზოგან კი დინამური; მათი ერთდროულად არსებობაც გამორიცხულად ვერ ჩაითვლება.

და რომ ეს საზოგადოდ შეუძლებელი არ არის, ჩანს იქიდან რომ, როგორც **Wundt** აღნიშნავს — „ბევრს ზემოსა და საშვალო გერმანულს დიალექტებში — როგორცაა შვაბური, ფრანკული, რადნული, — უპირატესად არის წარმოდგენილი გარკვეული ხასიათის ტონური მოდულაცია და ამის შესატყვისად ტონური მახვილი, მაშინ როდესაც ქვემო გერმანულს მთლიანად წმინდა დინამური მახვილი ახასიათებს“².

¹ იხ. „კრებული“, გვ. 191.

² Auf deutschem Sprachgebiet zeigen viele ober- — und mitteldeutsche Dialecte, wie das Schwäbische, das Fränkische, das Rheinische eine sehr ausgeprägte Tonmodulation und dementsprechend auch Tonakzente, indes im Niederdeutschen durchweg die rein dynamische Betonung vorherrscht... იხ. Volkerpsychologie, B. II, მესამე გამოცემა, 1912 წ. გვ. 420.

ანალოგიური მდგომარეობაა სლავურ ენებშიც: „ექსპირატორული (ანუ დინამური) მახვილი“ ახასიათებს: ველიკორუსულს, უკრაინულს, პოლონურს, ჩეხურსა და ბოლგარულს, „მუსიკალური (ანუ ტონური) მახვილი“ კი სერბო-ხორვატულსა და სლოვენურს¹.

P. S. დამატებით უნდა აღვნიშნო პროფ. Hugo Schuchardt ის აზრი ამ საკითხის შესახებ. ცნობილი რომანისტი სხვათა შორის, ქართულში მახვილის საკითხსაც ეხება და აღნიშნავს: „რაკი სიძლიერის მხრით მახვილთა შორის განსხვავება სუსტია, იმ თავითვე მოსალოდნელი იყო დიალექტური რყევა. მართლაც, ჩვეულებრივი ქართულისაგან განსხვავებულ პაროქსიტონით ხმის აწევას (**paroxytone Betonungsweise**) ვხვდებით ილ. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ — მოწვევსთან საუბარში“ (იხ. "Ueber das Georgische", Wien, 1895, გვ. 13-14).

Schuchardt ის აზრში განსაკუთრებით საინტერესოა ის, თუ როგორ წარმოუდგენია მას ამ სახით მახვილი: „იმ შემთხვევაში, როცა მახვილი განსაზღვრულ ადგილზე არის, წერს იგი, თავის სახეობის მიხედვით იგი უნდა იყოს ან განსაკუთრებული, ანდა უნდა იქნეს დაგრძელებული ის ხმოვანი, რომელსაც იგი ჰხვდება².

ამ მოვლენის ახსნისას **Schuchardt** მეზობელთა (მაგ. ოსთა) გავლენასაც არ ივიწყებს. ამას რომ თავი დავანებოთ, საკითხია, იყო თუ არა მართლაც მოწვევე ილიას მოსაუბრე, და თუ კი, ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მოწვევეთა თქმაშიც მთიულურის ეს მოვლენა გასული საუკუნის მესამოცე წლებში ცოცხალი იყო?!

ვინც უნდა ყოფილიყო ილიას მოსაუბრე, საინტერესო ფაქტად მაინც ის ჩაითვლება რომ „მგზავრის წერილებში“ ეს ხმის აწევის ადგილები (ორიოდე შემთხვევის გამოკლებით) სწორედ ისეა წარმოდგენილი, როგორც მას დღესაც ვხვდებით მთიულურში.

¹ იხ. О. Брок. Очерк физиологии славянской речи, СПб, 1910, გვ. 202-203.

² ..."In denjenigen Fällen, wo der Akzent auf der regelrechten Stelle steht... muss er seiner Art nach ein besonderer oder der von ihm betroffene Vocal ein gedehnter sein" (იხ. მისი "Ueber das Georgische", Wien 1895, გვ. 14).

გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად¹

(უშუალო დაკვირვებანი)

1. წინასწარი შენიშვნები.

1929 წლის ზაფხულს მთიულურზე მომიხდა ადგილობრივ, მთიულეთში, მუშაობა, ხოლო იმავე წლის შემოდგომას შემთხვევით შეძლება - მომეცა ფერეიდნიდან მოსული ქართველის ს ე ა ფ ო ლ - ხ ა ნ ი ო ს ე - ლ ი ა ნ ი ს საშუალებით ფერეიდნულს გავცნობოდი². აღნიშნულ პირთან პირველსავე შეხვედრისას ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა საინტერესო გარემოებამ: ფერეიდნელის საუბარში მთიულურის დამახასიათებელი არა ერთი არსებითი ფონეტიკური და მორფოლოგიური მოვლენა იჩინდა ხოლმე თავს. ფერეიდნელი ქართველების წინაპრები კახეთის და ქიზიყის მკვიდრნი რომ უნდა ყოფილიყვნენ, ეს ისტორიულად ცნობილი იყო. მაშასადამე, საკითხი ისმებოდა: თანამედროვე კახურს აღმოაჩნდება თუ არა ის თავისებურებანი, რომელნიც მთიულურს ახასიათებდნენ და რომელნიც ფერეიდნელის მიხედვით ქიზიყ-კახეთში, საერთოდ, და, კერძოდ, გარე-კახეთშიც იყვნენ მოსალოდნელი?

ამგვარად, გარე-კახურის შესწავლა ორმაგად საინტერესო იყო. ჯერ ერთი, თავისთავად, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ბარის თქმისა, და მეორე სხვა თქმებთან მიმართების თვალსაზრისით: აქ, კერძოდ, მთიულურის განფასებისა და სხვა თქმათა შორის მისთვის ადგილის მიჩენის თვალსაზრისით.

ასე რომ, როდესაც საზაფხულო მივლინებათა საკითხი დაისვა ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებაში და ამა თუ იმ კუთხეში წასვლაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ჩემთვის ბუნებრივი იყო სამუშაოდ გარე-კახეთის არჩევა. სათანადო თანხის მიღების შემდეგ საზოგადოების მივლინების თანახმად კახეთისაკენ გავემართე 1923 წ. 23 ივლისს. მცოდნე პირთა რჩევით სოფ. გ ი ო რ გ ი - წ მ ი ნ დ ა მ ქონდა არჩეული მუშაობისათვის ბაზად; აქ უნდა ჩამეტარებინა მუშაობის არსებითი

¹ წაკითხულია მოხსენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1924 წ. 1 აპრილს. გამოქვეყნდა ტფილისის უნივერსიტეტის რექტორის, პროფ. ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ კრებულში — „არილი“, ტფ. 1925, გვ. 57-88.

² ორსავე კილოზე მუშაობის მოწყობა პროფ. ა. შანიძის ინიციატივას ეკუთვნის.

ნაწილი და შემდეგ სხვა პუნქტებში მეწარმოებინა მუშაობა შემოწმების მიზნით. ადგილის არჩევანი სავსებით მიზანშეწონილი ვერ აღმოჩნდა; დამოკიდებული ვიყავ საგარეჯოზე და იქ მიხდებოდა უფრო ხშირად ყოფნა და მუშაობა; ეს სოფელი კი ნაკლებ იყო საინტერესო ჩემი მიზნებისათვის; ინტელიგენციის სიჭარბე, თეატრ-სამკითხველო-შკოლის, — ე. ი. თანამედროვე სამწერლობო ენის — ზეგავლენა, ტფილისთან მჭიდრო კავშირი (სააგარაკო პუნქტად ითვლება გარე-კახეთში და ზაფხულობით ხალხი ბლომად ადის ტფილისიდან) — ყოველივე ეს საინტერესო თავისებურებათა მიჩქმალვასა და გადაშენებას უფრო შეუწყობდა ხელს, ვინემ მათ მკაფიოდ გამოვლენას. ამას ისიც დაემატა, რომ ზაფხულში სოფლის ცხოვრების პირობის გამო ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, სოფლის ორგანული ფენი, მიწის მუშა, სავსებით გართული იყო საკუთარ ჭაბან-წყვეტაში¹...

ასე რომ, გიორგი-წმინდა-საგარეჯოში ყოფნა მთლიანი და გაბმული - სასაუბრო მასალების შეგროვების მხრივ ფრიად უმნიშვნელო აღმოჩნდა, სამაგიეროდ დაკვირვების ობიექტად გამოყენებულ იქნა ცოცხალი საუბარი და გათვალისწინებულ იქნა ამის მიხედვით მთავარი თავისებურებები. მუშაობის არსებითი ნაწილი მაინც ორს პატარა სოფელში ან თოკსა და მარია-ჯვარში ჩავატარე; ესენი მდებარეობენ გიორგი-წმინდასა და თოხლიაურს შუა და მთელს გარე-კახეთში ძალზე მივარდნილ სოფლებს წარმოადგენენ; აქ თითქმის მთელი კვირა ვიმუშავე; პროზაული მასალები ბლომად ჩავწერე (ლექსები ხომ საგარეჯოშიაც საკმაოდ მქონდა შეკრებილი). აქ ჩაწერილი მასალები საინტერესოა არა მარტო ენობრივად, არამედ სიტყვიერების თვალსაზრისითაც.

დიალექტოლოგიის თვალსაზრისით აქ მეტად საგულისხმო მოვლენა იქნა დადგენილი: სახელდობრ: სუბექტური თ სუფიქსის ობიექტური -**ყი** ნაწილაკის ფუნქციებით აღჭურვა; მაგალითად: „იმან უთხრა**თ** ჩიტებს“ = „იმან უთხრაყე ჩიტებს“; „იგი ეუბნება**თ** ძმებს“ = „იგი ეუბნებაყე ძმებს“².

მთავარი მოვლენების გათვალისწინებისა და სათანადო ტექსტების შეკრების შემდეგ შემოწმების მიზნით წავიმუშავე თითო-ორ-ორი დღით

¹ სადიალექტოლოგიო მუშაობისთვის ზაფხული აღმოსავლეთ საქართველოში ნაკლებ ხელსაყრელია, ვინემ დასავლეთისაში; ამ უკანასკნელში სიმინდის მოყვანაა უმთავრესი საზრუნავი და სოფლებს აგვისტოს ნაწილი მაინც ჰრჩებათ თავისუფალი; აღმოსავლეთ საქართველოში კი ივლისის შუა რიცხვებიდან განუწყვეტლივ წარმოებს გაცხარებული მუშაობა: ჯერ მკა მიდის; მკას ლეწვა მოსდევს; ლეწვას — თიბვა; და ეს ორი უკანასკნელი პროცედურა აგვისტოს დამლევამდე ატანს; ვენახი ხომ მუდამ ყურადღებას საჭიროებს... სექტემბრიდან სიმინდის მოწვევა იწყება, მერე — რთველი და ასეა შუა შემოდგომამდის.

² უფრო დაწვრილებით ამის შესახებ ქვემოთ.

ნინოწმინდასა, პატარძელსა და ხაშმში, შემდეგ თოხლიაურში; სხვაგან შემჩნეული ძირითადი მოვლენები ყველგან იქნა დადასტურებული; თოხლიაურიდან აველ სოფ. თარეჭში; ეს პატარა სოფელი მდებარეობს ცივის ფერდობზე, თოხლიაურიდან ოთხიოდე ვერსის მანძილზე; მოსახლეობა, სულ 27 კომლი, შედგება მთიულ-გუდამაყრელთა და ფშაველთაგან, რომელნიც ამ 50-ოდე წლის წინად გადმოსახლებულან მთიდან... დასასრულ, ერთი დღით ვიმგზავრე ქიზიყს, წნორში, რათა ზოგადი წარმოდგენა მქონოდა ქიზიყურზე გარე-კახურთან შედარებით. ერთი დღის ინტენსიურმა მუშაობამ საშუალება მომცა მორფოლოგიურ და ფონეტიკურ თავისებურებათა მთელი რიგი აღმენუსხა; თითქმის ყველა იგინი ახასიათებს გარე-კახურსაც, გარდა 3 ბგერისა; ეს ბგერა გარე-კახურს არ გააჩნია¹.

საერთოდ, მივლინებაში დავეყვანე ორმოცდასამი დღე; ტფილისში დავბრუნდი 5 სექტემბერს; სულ ჩაწერილ იქნა 163 გვ. (რვეულის ზომისა) მასალა პროზად და 145-ისა ლექსად.

მასალათა შეგროვების გარდა ყურადღებას ვაქცევდი ადგილობრივ სახუროთმოძღვრო ძეგლებსა და სიძველეებს. საგარეგოს მიდამოებსა და გიორგი-წმინდაში არა ერთია პატარა ეკლესია, სალოცავები; ერთი დიდი ეკლესიაც არის — პეტრე-პავლესი, რომელსაც კარგი ჩუქურთმები აქვს; მაგრამ წარწერები არ მოეპოვება: მე კი არსებითად ეს მაინტერესებდა; არ მოეპოვება წარწერები არც ე. წ. ყოვლად წმინდას, რომელიც ხაშმის მახლობლადაა, არც სამების ტაძარს, რომელიც პატარძელს რამოდენიმე ვერსით ჰშორავს, თუმცა ადგილობრივ კი მარწმუნებდენ, წარწერები იქ ბლომად მოიპოვებო.

წარწერები, სადაც იყო, გადმოვიღე [მანავში ციხის მახლობლად ეკლესიაზე, გიორგი-წმინდაში, ერთს ეკლესიასა და იქვე კოშკზე, ნინო-წმინდის ცნობილ ტაძარზე², და აგრეთვე პატარძელში, ორს ეკლესიაზე: ღვთის მშობლისა და წმ. თომას სახელობისაზე]; პატარძელში დავათვალიერე ორი დიდი კოშკი: ერთი სოფელში, მეორეც მის გარეთ; აგრეთვე ძველი აკლდამები, რომელთათვისაც, სამწუხაროდ, სპეციალისტებს აქამომდე ვერ მოუცლიათ.

¹ ზემოხსენებული სოფ. თარეჭის მკვიდრთ დღემდე შეუნახავთ ვარ-ბგერა იმ სახით, როგორაც იხმარება იგი მათ ადრინდელ სამშობლოში; მთაში.

² ამ ტაძარზე, როგორც ცნობილია, მოიპოვება უცნობი წარწერა; მის შესახებ სარ. კაკაბაძე ერთს თავის მოხსენებაში, რომელიც საისტორიო საზოგადოებაში წაიკითხა, ამბობდა, რომ უძველესი ქართული წარწერა უნდა იყოსო: მეოთხე საუკუნისა ქრ. შემდეგ. ამ წარწერის ქართულობა, საეჭვოა, რომ ოდესმე დამტკიცდეს. ადვილად შეიძლება იგი იყოს გაკეთებული იმ ოსტატების (თუ ხუროთმოძღვრების) მიერ, რომელთაც ტაძრის აგებაში მიიღეს მონაწილეობა, და უცხონი იყვნენ.

აღსანიშნავია ერთი პატარა ფაქტი: წმ. თომას სახელობის ეკლესიაზე პატარძელში კედელში ჩასმულ მარმარილოს ფიჯარზე ყოფილა მშვენიერი მხედრული წარწერა; მისი ერთი ნაწილი ამჟამად გაფუჭებულია: ამოუმტვრევიათ; ადგილობრივ გადმომცეს, რომ წარწერაზე მოხსენებული ყოფილა გვარი და სახელი აღმაშენებლის — ვინმე ენაგელისა (ენაგელები ახლაც არიან პატარძელში); სხვა გვარის პირებს თითქოს შურის გამო გაეფუჭებინათ წარწერა; ცნობა საეჭვოა, მაგრამ თუ ეს მართლაც ასე იყო და ენაგელთა გვარის ამოშლა ჰქონდათ მიზნად, შეიძლება ითქვას, რომ მიზნისთვის ვერ მიუღწევიათ: „ენაგელი“ ახლაც იკითხება წარწერაში¹...

ამის გარდა, ხუთვერსიანი რუკის მიხედვით შევამოწმე ჩემი მუშაობის რაიონისა და მახლობელი ადგილების საკუთარი სახელები, რომელიც კი იყო რუკაზე აღნიშნული; ზოგი ისეთი რამაც იქნა დადასტურებული, რაც რუკაზე არ არის მოხსენებული; გასწორებულ იქნა არა ერთი შეცდომა, ხანდისხან არა უმნიშვნელო, როგორც მაგალითად: **Манани** (უნდა იყოს მანავი), **Костане** (უნდა იყოს **Костапе**: კოსტაფე; ახლა ამბობენ: კოდტაფე); სრულებით არ არის აღნიშნული თარქი; ნინო-წმინდა ნაჩვენებია პატარძელთან, ბერთუბანი კი საგარეჯოსთან; უნდა იყოს კი პირიქით: ნინო-წმინდა საგარეჯოს აკრავს, ბერთუბანი კი — პატარძელს...

II. ენობრივი მიმოხილვა.

შესავალი. ამა თუ იმ ენობრივი კონტინგენტისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა მიმოხილვა, შეიძლება წარმოებდეს ან იმ გრამატიკული კატეგორიების მიხედვით, — რომელთა სფეროსაც ესა თუ ის თავისებურება განეკუთვნება, — ანდა პროცესობრივად.

¹ სიძველეთა დათვალიერებისას თან მქონდა დოც. ლ. მელიქსეთ-ბეგის „არქეოლოგიური მოგზაურობა გარე-კახეთსა და ჭერემის ხეობაში“ (იხ. „სახალხო საქმე“ 1920 წლის №№ 927, 933, 945, 950, 951, 964, 974); გიორგი-წმინდის ეკლესია-კოშკისა, სამების მონასტრისა, ყოვლად წმინდისა და პატარძელის სახუროთმოძღვრო ძეგლების გარდა ყველა ჩემ მიერ დათვალიერებული ძეგლები აქ აღწერილია დეტალურად, ისტორიული მიმოხილვითურთ; წარწერებიც გადმოღებულია, თითქმის სავსებით სწორად. ეს წერილი ფრიად სასარგებლო აღმოჩნდა ჩემთვის; როგორც მათი გადმოცემისა, ისე პირადად მოწოდებული, ჩემთვის საჭირო ცნობებისათვის გარე-კახეთის შესახებ სასიამოვნო მოვალეობად ვთვლი დოც. ლ. მელიქსეთ-ბეგის განსაკუთრებული მადლობა ვუძღვნა.

პირველს შემთხვევაში ბრუნვება-უღვლილება, სინტაქსური შეხამება-ნი, სემასიოლოგია... იქნება ცალკე ერთეულად მიჩნეული და, მაშასადამე, ცალკე იქნება განხილული, მაგალითად, ბრუნვება-უღვლილებისა, ხარისხთა წარმოებისა და ქვემდებარე-შემასმენელს შორის არსებულ ურთიერთობაში შემჩნეული თავისებურებანი. მეორე, ე. წ. პროცესობრივი მიმოხილვისას მთავარი ყურადღება ექცევა იმ პროცესებს, რომელთა შედეგადაც დადასტურებული თავისებურება გვევლინება. ვთქვათ, რომელიმე **ოვი** კომპლექსი ფონეტიკურის კანონზომიერებით არის წარმოდგენილი **ოი**-ს სახით; ამ პროცესის აღნუსხვა ხდება ენობრივი სინამდვილის მთელს სივრცეზე იმისდა მიუხედავად, გვაქვს ეს კომპლექსი სახელსა თუ ზმნაში, თუ მეტყველების სხვა რომელსამე ნაწილში: თავისებურებათა სისტემატიკისას პრინციპად აღებულია თვით **პროცესი**, რომელიც მოვლენის თავისებურებას განსაზღვრავს და არა **სინამდვილის** (ამ შემთხვევაში ენობრივის) ის ნაწილი, სადაც იგი თავს იჩენს.

ამ ორთაგან უფრო მოხერხებულად და არსებითად უფრო მიზანშეწონილად ჩვენ მიმოხილვის მეორე წესი მივიჩნით, თუმცა არ შეიძლება არ იყოს აღნიშნული, რომ ერთს შემთხვევაში პირველი თვალსაზრისიცი მიუცილებელი ხდება: სახელდობრ, მაშინ, როცა ინდივიდუალ მოვლენასთან გვაქვს საქმე, ისიც ისეთთან, რომელიც რომელსამე ერთს მორფოლოგიურ კატეგორიას ახასიათებს; ასეთია, მაგალითად, ზმნისართი **მანდ**, ანდა სახელინაცვალი **ეი, ეგ** და სხვ.

თვით პროცესობრივი თვალსაზრისით განსახილველ მოვლენათა წყება ერთგვარი როდია: აქ პირველ რიგს უმთავრესად **ფიზიოლოგიური** ფაქტორით გამოწვეული მოვლენები იკავებს, მათ **ფსიქიური** გამოწვეულებები მოსდევს.

1. პირველი თავის მხრივ ან ფაქტების თვალსაჩინო ოდენობას ეხება, ანდა ინდივიდუალური ფაქტების ფარგლებს არ სცილდება, ე. ი. პირველში პროცესის შედეგი მასიურია, მეორეში კი არა; ეს **შედეგისდა** მიხედვით; **გენეზისის** მიხედვით კი პირველში — ბგერათა ცვლილებასთან (**Lautwandel**) გვაქვს საქმე, მეორეში — ბგერათა მონაცვლეობასთან (**Lautwechsel**).

2. ფსიქიური ფაქტორით გამოწვეულ მოვლენის შესახებ როცა ვლაპარაკობთ, უმთავრესად ანალოგიური წარმოება გვაქვს მხედველობაში, მაგრამ ცხადია, რომ იმავე ფაქტორთან გვაქვს საქმე ე. წ. ხალხურ ეტიმოლოგიასა და განსაკუთრებით კი სემასიოლოგიურ მოვლენებში. უკანასკნელ შემთხვევაში შედეგი ინდივიდუალ ფაქტშია მოცემული; მაგრამ ანალოგიურმა წარმოებამ შეიძლება რომელიმე მორფოლოგიური კატეგორიის წარმოებაშიდაც იჩინოს თავი, და მაშინ შედეგის გამოვლენა ფაქტთა მთელს წყებას ეხებოდეს იქნება.

გრამატიკული კატეგორიების მიხედვით დავალაგებთ მოვლენებს თუ პროცესების მიხედვით, მიზანი ერთი და იგივეა: დიალექტიზმად მიჩნეული მოვლენების **სისტემატიზაცია**; ეს პირველი საფეხურია, უწინარესი და აუცილებელი. მოვლენათა სისტემატიზაციით ფაქტები სათანადო სახით უკვე მოცემულია. უფრო არსებითია მეორე მომენტი: სახელდობრ, ამ ფაქტების **დაფასება**. ესა თუ ის დიალექტური მოვლენა **ნეოლოგიზმია** თუ **არქაიზმი**? ამ თვალსაზრისით უნდა განფასდეს მოცემული მასალა. ამით სადიალექტოლოგიო მუშაობა სრულდება.

ამ თვალსაზრისით დამუშავებულ დიალექტიზმებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სათანადო ენის ისტორიისათვის; იგი აუცილებელი და ძვირფასი დამხმარე საშუალებაა ენის ისტორიის მოვლენებში გარკვევისას, როცა ასეთი ისტორია დაწერილობის ძეგლებშია მოცემული; მაგრამ მეორის მხრით, თვით დიალექტიზმების კვალიფიკაცია არქაიზმად თუ ნეოლოგიზმად ენის ისტორიის ფაქტების ცოდნას გულისხმობს; სათანადო ფაქტები მაინც უნდა იყოს წინასწარ დადგენილი იმისთვის, რომ მათი საშუალებით დიალექტიზმები განვადგინოთ და ამის შემდეგ კი შეგვეძლოს ენის ისტორიის ფაქტების სათანადო ინტერპრეტაცია. **Do ut des**-ის პრინციპი მშვენივრად გამოხატავს დიალექტიზმებისა და ენის ისტორიის ფაქტების ურთიერთობას, როგორც ერთის, ისე მეორის შესწავლის დროს.

რამდენადაც საქმე ჩვენს სინამდვილეს ეხება, მდგომარეობა უნუგეშოა; სასურველი და აუცილებელი აქ მეტად დაშორებულია შესაძლებლისაგან, ვინაიდან არც ქართული ენის ისტორიაა საკმაოდ შესწავლილი, და არც ცოცხალ „თქმათა“ სინამდვილეა გათვალისწინებული თუნდაც ფაქტების მხრით. ამდენადვე ამ თვალსაზრისით ამა თუ იმ თქმის სინამდვილის განხილვა შეუძლებელია; ადგილ-ადგილ ჩვენ მაინც ვეცდებით მის გამოყენებას, და მაშინ გამოირკვევა ერთი საინტერესო გარემოება: ესა თუ ის მოვლენა, თანამედროვე სამწერლობო ენის თვალსაზრისით თავისებურებად მონათლული და შესაძლოა უმართებულოდაც („უწესოდ“) მიჩნეული, ენის ისტორიით ზურგამაგრებული პირველადი სახის მოვლენაა, ხოლო სამწერლობო ენის ეს, საზომად გამოყენებული სახე თვითონ არის მიღებული ენის ევოლუციის პროცესში. ასე, მაგალითად: დიალექტურ **„ნაშხირ“**-ში სამწერლობო **„ნ ა ხ შ ი რ ი“**-ს თვალსაზრისით მეტათეზისთან გვაქვს საქმე, მაშასადამე, მეორად მოვლენასთან; მაგრამ საკმარისია მოვიგონოთ მეგრ. **„ნო-შქ(ვ)ერი“** (= ნახშირი), სვან. **„შიხ“**, რომ ნათელი გახდეს, რომ დიალექტურ **„ნ ა შ ხ ი რ“**-ში უნდა იყოს პირველადი სახე დაცული, მეტათეზისთან კი საქმე გვაქვს სამწერლობო ფორმაში: **„ნ ა ხ შ ი რ ი“**; ასეთსავე მოვლენებს წარმოადგენს გარე-კახური თა (= მთა), ტერი (= მტერი), ტრედი (= მტრედი), ხარე (= მხარე), შვილდი (= მშვილდი),

(მათ შესახებ იხ. ქვევით)¹.

რამდენადაც საქმე გარე-კახურის მასალების მიმოხილვას შეეხება, ვეცდებით ზემოთქმულის თანახმად ჯერ განვიხილოთ პროცესებისდა მიხედვით უმთავრესად ფიზიოლოგიური ფაქტორით გამოწვეული ზოგადი თუ ინდივიდუალური მოვლენები, შემდეგ ფსიქიურით გამოწვეულნი; და ბოლოს განცალკევებით მდგომი მოვლენები გრამატიკული კატეგორიების მიხედვით. ხოლო თუ კი ერთი თვალსაზრისით განხილული მოვლენა სხვა თვალსაზრისით გახდება ყურადღების საგანი, მაშინ მხოლოდ მივუთითებთ იმ პროცესზე, რომლის გამოვლენის კერძობითი სახეც ამა თუ იმ შემთხვევაში გვექნება.

III. ენობრივი თავისებურებანი.

ბ გ ე რ ი თ ი შედგენილობა. საყურადღებოა ბგერები **ფ**, **ც**; ყრუ **ღ** და **ვ**ინით აღნიშნული ბგერა (ზედმიწვენილობას თუ დავიცავთ: ბგერები); **ჭ**არი გარე-კახურს აღარ მოეპოვება, მაგრამ რომ იგი ჯერ კიდევ XVII საუკუნის დასაბამს უფლებამოსილი ბგერა უნდა ყოფილიყო, ამკარავდება ფერეიდნულით: იქაური ქართველების თქმაში იგი დღემდის შენახულა².

ა) **ფ** გვხვდება ხმოვნებს შემდეგ, როგორც, მაგალითად: „მოიტანე ფარჩა... დაგვალეგინეთ ღვინო... წინეთ რუფ გეეკეთებინათ... თან ყრუცა ვარ... ვმუშაობთ ბართაჲ, ნიჩბითაჲ, ნამგლებითაჲ... იმ ამხანაგ

¹ რას უნდა ეწოდოს თავისებურება? რამდენად მისაღებია ამ შემთხვევაში სამწერლობო ენის აღება საზომად? ამ საკითხს გაკვრით შევეხეთ წერილში: „გრძელი ხმოვნები მთელურში“ (ტფილ. უნივერს. მოამბე, ტ. IV, გვ. 333-334); მაგრამ იგი საგანგებო განხილვას საჭიროებს... 1. „დიალექტური თავისებურების“ ე. ი. სადიალექტოლოგიო სამყაროს განმსაზღვრელი პრინციპის საკითხი; 2. ამ თავისებურებათა სათანადოდ აღნუსხვისათუ აღნიშვნის და 3. დადასტურებულ თავისებურებათა სისტემატიზაციის მეთოდიკის საკითხი დიალექტოლოგიის პრინციპულ საკითხებად უნდა ჩაითვალოს. ზემოთ ზოგიერთი მოსაზრებები იყო გამოთქმული უმთავრესად უკანასკნელი საკითხის გამო. სისტემატურად მათ განხილვას სხვა დროს დავუბრუნდებით.

² ერთგვარ უცნაურობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ქიზიყურში **ჭ**არ-ბგერა დღემდის ცოცხალია, მაშინ, როდესაც არც ერთს ბარის კილოს აღმოსავლეთ საქართველოში ეს ბგერა არ გააჩნია; შეიძლება ამიტომაც ფერეიდნელის **ჭ**არი ქიზიყურისასთან დაგვეკავშირებინა გენეტურად; მაშინ, რასაკვირველია, ფერეიდნელის **ჭ**არი გარე-კახურში ისტორიულად ჯარის არსებობის საბუთად აღარ გამოდგებოდა... მაგრამ რომ ფერეიდნელს არ უნდა ჰქონდეს მართო ქიზიყურთან კავშირი, ამას სხვათა შორის ისიც მოწმობს, რომ ფერეიდნელ ქართველთა სოფლის სახელებში გვხვდება: „თელავი“, „მარტყოფი“...

ქვად მისცა... წკებლად აილო“... და სხვ. ყველგან უმარცვლოა. იგივე ბგერა ოდნავ განსხვავებული ელფერიტ სისტემატურად გვევლინება ობიექტურ პრეფიქსად მესამე პირისა და სუბიექტურ პრეფიქსად მეორისა (O_3 და S_2); დამატებითი ელფერი, რომელიც მას თან ახლავს აქ, ხშირად ჰაეს აკუსტიკურ შთაბეჭდილებას სტოვებს.

თუ წინა სიტყვა ხმოვნით ბოლოვდება, ეს **ა** მას მჭიდროდ ეკვრის, და ორი სიტყვა ფონეტიკურად თითქმის განუყოფელ მთლიან კომპლექსს წარმოადგენს; მაგალითად: „საჩუქრათაქონდა მიცემული... გაიხედა, თავი ფული (= თავისი ფული) შიგამდევს... დობტურის ფულ უარს არვინაფოფს... რასადტოკამ? შენ თორმეტ მილიონსაფზღავ... არც რასაფჰამთ მშვირები“... და სხვ.

საკუთარი ინდივიდუალობის მკრთალი გამოაშკარავებით, ოდნავ ჰაეს-საკენ გადახრილი ჩანს იგი მაშინ, როდესაც **ს**ან ბგერის დასუსტების (იხ. ქვემოთ) ერთ-ერთ ფაზას გადმოვცემს. (ამის შესახებ **ს**ან ბგერასთან დაკავშირებულ ცვლილებათა მიმოხილვისას გვექნება საუბარი).

ბ ე ბგერა დადასტურებულია მხოლოდ სიტყვის თავში, ე. ი., როგორც თავიძური ბგერა; მაგალითად: „ბე, რას შვრებით... ბე, შვილო... ბემ კაცს ეცვალა ფერი“...

ასეთ პირობებში იგი სპეციფიკურ მოვლენად ვერ ჩაითვლება; რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს იგი არსებითად არაფრით განირჩეოდეს იმ ბგერისაგან, რომელიც, მაგალ. გერმანულს **aber**-ში **a**-ს უძღვის წინ; ამდენადვე იგი ზოგადი ფონეტიკური საფუძვლის მქონეა.

ც მოიპოვება „ყრუ ღონის“ ორიოდ შემთხვევა¹; მაგალ.: „რად დაუსხია თეთრი თმა შენთვის... რად გაუშვი ის თევზიო“... აქ **თან** ბგერა არ არის, ხოლო **ღონი** იმდენად თავისებურია, რომ მისი განსხვავება აუცილებელი ხდება; იგი ყოველთვის სიტყვის ბოლოშია, ისიც ბრუნვაში, სადაც ძველი ქართული მუდამ **ღონს** ხმარობს, ხოლო თანამედროვეში **თანის** თუ **ღონის** ხმარება საცილობელი გამხდარა („კაცად, რკინად, ქვად“... და სხვ.)².

ძ ასოთი აღნიშნული ბგერა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს კბილ-ბაგეობითად, თუ იგი ხმოვანთა შორის არის მოქცეული (ისიც არა ყოველთვის); მაგალ.: „გვივი, ივანე, ევა“... და სხვა. სხვა პირო-

¹ იგულისხმება, რასაკვირველია, ჩემი დაკვირვების არე და არა მთელი გარე-კახურის სინამდვილე, სადაც, ალბათ, ყრუ ღონის გაცილებით მეტ ოდენობას აქვს ადგილი.

² ყრუ ღონის ბუნების ანალიზი მკვეთრად არის ჩამოყალიბებული პროფ. გ. ახვლედიანის მიერ (იხ. მისი: „ყრუ **mediae** ქართულში“ ტფ. 1920. გვ. 3-7). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მიმართულებითს (**resp.** ვნებითს) ბრუნვაში თვით გარე-კახურში ჩვეულებრივია დაბოლოება **თანი** და არა **ღონი**, თუნდაც ყრუ; შესაძლოა, ეს **თანი** ამ ყრუ ღონის მემკვიდრე იყოს...

ბებში კი, ესე იგი: 1. როცა იგი ხმოვანსა და თანხმოვანს შუაა მოქცეული (მაგალ.: -ავს, -ივს...) ანდა 2. პირიქით, თანხმოვანსა და ხმოვანს შუა მაგალ., ქვა, -ქვი-, ან 3. როცა იგი თავკიდურია და ხმოვანი მოსდევს („ვა, ვი, ვე“...) ან 4. ბოლოკიდურია და ხმოვანი უძღვის („-ავ, -ივ, -ევ“...), — იგი უფრო წყვილბაგეობითია, ვინემ კბილბაგეობითი. მანთან და ბანთან სუბსტიტუცია, შკოლის გავლენის გარეშე მყოფ პირთა წერა¹ ამის საუცხოვო დამამტკიცებელია.

სიტყვებში: „ჯვარი, თვლა, გაგზავნეს, იპოვნეს“... სწორედ ასეთი წყვილბაგეობითი ბგერა გვაქვს, კომპლექსები კი **ავ, ოვ** შეგვეძლო დიფტონგებად გავგვეგო.

ამ ბგერასთან მოვლენათა მთელი წყებაა დაკავშირებული; ბგერით ცვლილებათა მიმოხილვას აქედან ვიწყებთ.

1. ვა[უა] > ო. უფრო ხშირად ამას ადგილი აქვს სიტყვის ბოლოში, თუმცა გვხვდება სიტყვის შიგნით; მაგალითად: „ჩაიცო; თქო; დასო, დაისო; წამოუსო; წაართო; ჩამართო; მიართო; შაუშო; გემეშო; ერქო; ამოწო“; ფ რ ა ხ ე ბ შ ი: „ცოლად დაისო... ნამგალი წამოუსო... აღარ შაუშო შინ... მელიამ თოხლი მიართო... ალექსა ერქო... დევები ამოწო... წვადებს ჰწომს“; ამ შემთხვევაში **ო** შეიძლება ნამყო სრულიდან იყოს გადმოსული (დაწო < დაწვა); ასეთი ახსნა ვერ მიეცემა შესომდას [< (სუამდა): საქონელი წყალს არ სომდა], ხოვი (< ხუავი: ჩვენი ხოვი მეტია)].

ამ ჩვეულებრივად ხმარებულ ფორმებს გარდა ვხვდებით სხვანაირსაც; მაგალ.: „თქვა (სთქვა-ც), წვადი, ქვაბი“ და სხვ.

ფერედნულისათვის დამახასიათებელი მტკიცე ნორმები² გარეკახურს არც ამ შემთხვევაში, არც ვინთან დაკავშირებულ სხვა მოვლენებთან არ მოეპოვება, იგი ამ მხრივ მთიულურსაც ჩამოუვარდება, რომელიც თავის მხრივ აგრეთვე შორს არის ფერედნულის მკვიდრი კანონზომიერებისაგან: სხვა კილო-თქმათა და სამწერლობო ენის ზეგავლენას უნდა მიეწეროს ეს.

2. ოვა > ოა > უა; ოა > უა; ოვე > ოე > უე; სათანადო მაგალითები ბლომად არის: „წამუალო; გადმუარდა; გამუართმეგო, მათხუე, მუახერხე; საძუარზე; მოვიბუე; წამუელი; მუელ“; ამ მაგალითებში **ოვა** კომპლექსი ჯერ **ოა**-დ არის ქცეული; ზოგიერთი მაგალითები ამ ფაზაში იჭერს მოვლენას: „გადმოარდა, ამოარდა; გამოაცხოთ ჩვენ; ამოაო“... ეს **ოა** კიდევ **უა**-დ ქცეულა.

¹ ე. ი. როცა ვინმე ანბანს ისწავლის და შეეცდება მწიგნობრული ცოდნის გარეშე თავისი მეტყველება დაანაწევროს და ანბანით გადმოგვეცეს, ვერ არჩევს ვინსა და უნს, განსაკუთრებით, სადაც ვინით აღნიშნული ბგერა წყვილბაგეობითობისკენ იხრება.

² შდრ. ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ვ ი ნ ი ს რ ე ფ ლ ე ქ ს ე ბ ი ფ ე რ ე ი დ ნ უ ლ შ ი, „ჩვენი მეცნიერება“ № 2-31, 923, გვ. 77-82.

თავდაპირველადი **ოა** კომპლექსის **უა**-დ ქცევის მაგალითებია: „ამუ-აძრო“ (ებლაჭუჭა და ვერ ამუაძრო), მუახლე (< მოახლე), სანადირუები (< სანადიროები)...

ბოლოკიდური **ოა > უა**-ს მაგალითი მრავლად არის საკუთარ სახელებში მოცემული: „ზაჭრუა, შაჭრუა, ვასუა, გიგუა, ვანუა, ლადუა, გაბრუა || გაბუა, სერგუა, სიკუა, თედუა, მიტრუა, ლენტუა, სანდრუა, ნატუა“ და სხვ. საკუთარ სახელებში ამის სრული ანალოგია აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კილო-თქმებშიაც არის წარმოდგენილი, მაგალ., მთიულურში.

3. ოგი > ოი: „ამოიყარე (თუ-მე-შენი ჯავრი არ ამოიყარე), მოიგეო (თუ-მე-სანაძლეო არ მოიგეო), მოიწეო (რას მოიწეო მე და უკეთესი ლუკმა შენა ხარო), მოიკითხოთო (როგორ უნდა მოიკითხოთო ჩვენაო), ამოიღებ (მე ამოიღებ მალლიდამო), წამოისხამდი (წამოისხამდი ძველ ნაბადსა, დავიჭირამდი ჯოხსა...), გამოიტანე (მე ჩემი ძმებიდან დავით გამოიტანე), გამოიქეცი (ავდექი და გამოიქეცი იქიდგან), მოიყვანეო (ეს ისეთი მოიყვანეო-მე-), მოიგონო (ახლა შენ უთხარ, მანამდი მე მოიგონო), მოიშორე (მე აქიდან მოიშორე), მოიქცევი (რო მომწერენ, მე ეგრე მოიქცევი), მოიცლი (ამ კვირია მე ვერ მოიცლი), მოიპარსამ (განა მე კი ვერ მოიპარსამ!), მოიფიქრო (შეიძლება მე არ მოიფიქრო), მოიპარეო (ვერ იტყოდა, საჭმელია და მოიპარეო), გამოიარე (ბაქოში გამოიარეო-მე-)“. ყველა ზემო ჩამოთვლილ მაგალითებში პირველი პირია მოცემული: გარეგნულად იგი მეორე პირისაგან უკვე აღარ განირჩევა.

ამავე მოვლენას ვხვდებით მაგალითებში: „მოიდნენ, ჩამოიდნენ, გამოიდნენ“ და სხვა მაგვარ ფორმებში, აგრეთვე რუსული ფორმით ხმარებულ გვარში ნაცვალთი (< ნაცვალთი=ნაცვლიშვილი: „საათი გიგო ნაცვალთისა იყო“).

ამ კანონზომიერს გარდა შეხვდებით აქა-იქ ჩვეულებრივ ფორმებს: „მოვიდა, მოვიტანე“ და სხვ., განსაკუთრებით იქ, სადაც სამწერლობო ენის თუ სხვა კილოს ფორმები მძლავრობენ, მაგრამ მაინც ზემორე აღნიშნული მოვლენა იმდენად მკვიდრად ბუდობს გარე-კახურში, რომ არ შეიძლება თვალში არ ეცეს კაცს, ხშირად ინტელიგენტთა გამოთქმაშიაც.

ეს ფრიად დამახასიათებელი მოვლენა, როგორც საკუთარი დაკვირვებიდან ვიცი, გარე-კახურს გარდა მოეპოვება მთიულურს, ფერეიდნულს და ქიზიყურს¹.

4. ავ > ამ. მაგალ.: „გძინამთ, გლვიძამთ, შინჯამდა, უჭირამ, მოუბარამ“: აქა და მსგავს შემთხვევებში ჯერ **ავ > ამ**, სანის დაკარგვა კი შემდეგ უნდა მომხდარიყო: უჭირავს > უჭირამს > უჭირამ... ამას გვაფიქრებინებს

¹ საფიქრებელია იგი შიგნი-კახურშიც იყოს; ქართლურს იგი არ გააჩნია.

ის მაგალითები, სადაც ავ ქცეულა ამ-ად, სან დაბოლოება კი არის: მაგალით.: „ნახამს, ლოკამს, ლანძლამს, ხოცამს, კრეფამს“ („კრეფს > კრეფავს (ანალოგიით) > კრეფამს), დამალამს, გამააჭყიტამს“ (ისეთივე პროცესია, როგორც „კრეფს“ ზმნაში) „ხნამს, ყლაპამს, დაფლევამს, დკერამს, ელამს, ბზინამს, დაგჩაგრამს; მომკლამო, დასწყევტამ, დამნიშნამ, მოგილაღამ, გავტეხამ, დაგკრამ, ვნაყამ, ვთესამ, გავთიბამ, ტოკამ, შავწირამ; ვლობამდი, წნამდა, იწერამდენ“ (< იწერავდენ: „წერავს“ „წერს“ ფორმის ნაცვლად ანალოგიური წარმოებაა და ისეა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში, რომ სამწერლობო ენაშიაც კი ლამობს შემოჭრას; პრესაში უკვე არ არის იშვიათი მისი ხმარება) „გლუბამდენ; მართამენ, ლეწამენ, ხამშამენ, გადადრეკამენ, დადკარგამენ...; ამსებს, ავამსოთ, ამსილა“ და სხვა; უკანასკნელ შემთხვევებში მანი უკვე ფუძისეულად არის მიჩნეული, ასე რომ გვაქვს არა მარტო: „სამსე“, არამედ „უმსებს“: მაგალით.: („რო აუმსო, დაუმსო ორივე მეშოკი“)...

3 ნიშნით აღნიშნულ ბგერებს გარდა გარე-კახურის თავისებურებათ განსაზღვრავს სანის დასუსტება, თუ შეიძლება ითქვას, მთელი ენობრივი ფრონტის გასწვრივ; ეს დასუსტება თავს იჩენს: 1. ძირისეულ ელემენტში უპირატესად ზოგიერთ თანხმოვანთა წინ: თანისა, ტარისა, ნაწილობრივ კანისა და პარის წინ; 2. მორფოლოგიურ ელემენტებში: ბრუნვებში (ნათესაობითსა და მიცემითს ბრუნვებში, როგორც მხოლოობითის, ისე მრავლობითის რიცხვისა); უღვლილებაში (თუ მას წინ თანხმოვანი მიუძღვის და ზოგჯერ მაშინაც, როცა წინ ხმოვანი მიუძღვის).

ამ დასუსტების ორი საფეხური შეიძლება იქნეს განსხვავებული: ზოგჯერ იგი ძეს სახით არის შენახული, ოდნავი ასპირაციით, ზოგჯერ კი ნულამდი ჩამოსულა, უკვალოდ გამქრალა, ყოველ შემთხვევაში აკუსტიკურად მისი შემჩნევა არ ხერხდება: მაგალით.:

ძირისეულ ელემენტებში:

ს > ძ: „კოძტაფე¹ (ჩვენი კოძტაფე!), ძტუმარი (მე ძტუმარი ძალიან მიყვარს), ძტანცია (ძტანცია საგარეჯო უფრო ახლო არი), ოძტატი (ოძტატი არის... მე ოძტატიშვილი ვარ: — ოძტატიშვილი გვარია), კომბოძტო (კომბოძტო(ს) მოჭრისა არ იყოს), სუძტი (სუძტი ისე არ არის),

¹ კოძტაფე — საკუთარი სახელია გორისა, საგარეჯოს ახლოს, მდ. იორთან; გენერალური შტაბის ხუთვერსიან რუკაში, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, შეცდომით არის შეტანილი Костанелს სახით: н-ის მაგივრადაა ნახმარი; მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „კოძტანე“ კი არ არის, არამედ „კოსტანე“: ე. ი. ამ რუკის შედგენისას „ტ“ კომპლექსი ჯერ კიდევ მკვიდრი იყო, სანის დასუსტება შემდეგი დროის ამბავია, რუკის შედგენის დრო კი არის terminus ante quem non სანის დასუსტებისათვის.

დადტური (დადცეს დადტური), ქრიდტიანი (ნეტავი ვინმეა ქრიდტიანი გამოჩდესო... მე რო ერთი ვინმე ქრიდტიანი გამოვაჩინო), დოდტოლლი (დანიშნა ის ქალი დოდტოლლიმ), ნედტორა (ნედტორას სახში წავიდა), ჩუდტი (ბალდის ჩუდტსა ჰკერამ), მანიფედტი (მანიფედტი გამოუშო იმანაც)“.

ს > 0 (ნულად ქცეულა, არ ჩანს): „ტროდ (რო დააყენა ტროდზე სალდასტები), ტუმარი (ტუმარო, შინ შემობძანდი, ტუმარს ეგ არ ეკადრება)“; ამავე ფუძისა: „გადტუმრა (მიდცა ხემწიფემ საჩუქარი და გადტუმრა), ტრაყნიკი (ილაურ ხომ იცნობდი ზაქრუას, ტრაყნიკი რომ იყო), ტაქანი (სამი ტაქნიანი არი შედედებული), კვირიტავი (ტარს კვირიტავი გამოსძვრა), კამი (კამი იქითყე წამოუღე), პიჩკა (პიჩკა, მარილი გასასყიდი!)“...

საინტერესოა სიტყვა: სალდასთი || (სალდასთი || სალდათი); ეს სიტყვა თითქმის ყველგან ასე იხმარება: **ა || ს**-ის გაჩენა ამ სიტყვაში ანალოგიას უნდა მიეწეროს: **თ || ტ**-ს წინ ნაგულისხმევია იგივე ბგერა, რამც **სტ, სთ** კომპლექსებში **ს**ანის დასუსტების შემდეგ მივიღეთ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ამ სიტყვის „პირვანდელი“ სახის აღდგენასთან უნდა გვექნდეს საქმე (სალდასთი); პროცესი ასე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი: აწინდელი: სალდათი < სალდათი < სალდასთი...

სტ, სთ კომპლექსებში **ს**ანის დასუსტება ერთგვარი არ არის: ეს ზემოთაც აღვნიშნეთ; ბუნებრივია, რომ ზოგან ჯერ კიდევ იყოს შენარჩუნებული პირვანდელი სახე; მაგალითად, „სტუმარი“ სიტყვა სამსავე მდგომარეობაში შემხვედრია: „სტუმარი, დტუმარი, ტუმარი“; რასაკვირველია, არა ერთისა და იმავე პირის გამოთქმაში; ამ გვარად, ამ სიტყვის ვითარებაში პროცესის სრული სახეა ჩვენ წინ გადაშლილი: სრული **ს**ანი მის ერთ გამოსავალ წერტილს შეადგენს, ნული დასასრულს¹.

რაც შეეხება **ს**ანის დასუსტებას ნათესაობითისა და მიცემითი ბრუნვების დაბოლოებაში, პროცესის დაწყებისათვის ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო ის შემთხვევები, როცა თ ვ ი ს, თ ა ნ თანდებულები ემატებოდა სიტყვას: აქ იმავე **სთ** კომპლექსს ვდებულობდით, როგორც ზემოხსენე-

¹ **სტ** კომპლექსს გარდა რამოდენსამე შემთხვევაში თ ი თ ქ ო ს **შტ** კომპლექსიც იზიარებს მის ბედს; მაგალითად: დ ტ რ ა დ ი, მ უ დ ტ ი, მ უ დ ტ ა რ ი, გ ვ ი რ დ ტ ა (დ ტ რ ა დ ი არ უწერია... ე რ თ ი მ უ დ ტ ი შ ე მ ო დ კ ა რ!.. მე ხ ო მ ძ ვ ე ლ ი მ უ დ ტ ა რ ი ვ ა რ. გ ვ ი რ ი დ ტ ა და ა ყ ა რ ე...). თუნდაც რომ აქ თავდაპირველად **შ**ინი ყოფილიყო, მაინც საფიქრებელია, რომ **ა** **შ**ინისაგან კი არ მიგვიღია, არამედ **ს**ანისაგან: **შ**ინი **ს**ანით იყო შეცვლილი მაშინ, როცა ამ უკანასკნელმა მოგვცა კანონზომიერი რეფლექსი; ასე გაგებას გვაძლავს ქართლური, სადაც სათანადო შემთხვევებში **ს**ანია: მ უ ს ტ ი, გ ვ ი რ ი ს ტ ი... ჩემი ყურადღება ამაზე ბ. ვ ა რ. თ ო დ უ რ ი ა მ მიაქცია, რისთვისაც მადლობას ვუძღვნი...

საინტერესოა ამ წერილის ერთი ამწყობთავანი ქრისტეფორე ლ ა ზ ა რ ი შ ვ ი - ლ ი ს მიერ წერილის აწყობის დროს მოწოდებული ცნობა: „ერთი ჩემი ამხანაგი შიგნი-კახეთიდან მუდამ ამბობდა: ტადტი (ნაცვლად ტაშტი-სა), აგრეთვე: დამტავერენიეო (= удостоверение)“.

ორს შემთხვევაში ს კ კომპლექსი შ კ -ს გვაძლევს: ზ ა კ უ შ კ ა, ქ ვ ე შ - კ ნ ე ლ ი.

ბულ შემთხვევებში გვქონდა; მაგალითად: „ძმადთან, გრიშადთან, ნიკადთან; ხელმწიფედთან, ტანისამოდთან, ბატიდთვინ, წამლიდთვინ, რიდთვინაც, არაფრიდთვინა“; ყველგან **სანი** დედ ქცეულა; ხოლო მაგალითებში, როგორცაა „თავიდთვინ, წყლიდთვინ, იმითანა“, **სანი** სრულიად დაკარგულა.

სან მორფოლოგიური ელემენტის დაკარგვისათვის, — განსაკუთრებით ეს ნათესაობითი ბრუნვის შესახებ ითქმის, — ხელისშემწყობი უნდა ყოფილიყო ის შემთხვევები, როცა ნათესაობითს ბრუნვაში დასმული სიტყვა რომელიმე სიტყვის მუდმივ განმსაზღვრელად გამოდიოდა; ასეთი შეხამება იგივე კომპოზიტია; ასეთია, მაგალითად, მამიდა < მამის და; დეიდა < დედის და. **სან** დაბოლოება სიტყვებში (მამის და, დედის და) ორი წარმოდგენის (მამისა და დის, დედისა და დის) მიმართებას გამოხატავდა; ჩვეულებრივი განსაზღვრისაგან ეს სინტაქსური შეხამება მით განსხვავდებოდა, რომ მასში მოცემული შინაარსი ახალ საგანს აღნიშნავდა: ორი წარმოდგენის მიმართებით მესამე, — გარეშე წარმოდგენა, — აღინიშნებოდა. როცა ეს ახალი წარმოდგენა (**Tanteli**) ასოციატურად მჭიდროდ დაუკავშირდა მთელ შეხამებას („მამის და“) შუამავალი წარმოდგენები დამოუკიდებლად უკვე აღარ შეიმცნობოდა და, ცხადია, არც მათი მიმართების აღმნიშვნელი მორფოლოგიური ელემენტი იყო საჭირო; ამგვარად, ფსიქოლოგიურად სავსებით შემზადდა ნიადაგი ამ მორფოლოგიური ელემენტის დაკარგვისათვის: კონსტრუქცია მოკვდა და მასში შემავალი ბგერათა კომპლექსი ისეთსავე უტყვ სიმბოლოდ იქცა აღსანიშნავი საგნისათვის, როგორც, მაგალითად, სიტყვებში: ქვა, მთა...¹

ამით იმის თქმა, რასაკვირველია, არ გვინდა, რომ გარე-კახურშიაც ნათესაობითისა (და მიცემითი) ბრუნვის **სანი** ამ ნიადაგზე ქრება; აქ მართო ფსიქიური ფაქტორის მოქმედებასთან არა გვაქვს საქმე, მაგრამ უდავოა, რომ იგი უწყობს ხელს ფიზიოლოგიური ფაქტორის გამოვლენას.

პრინციპულად ასეთი ხელისშემწყობი პირობები უნდა ვიგულისხმოთ შეხამებაში: „ფეხი ცერი“ (= ფეხის ცერი), „დევი და“ (= დევის და), „არხი პირზე“ (= არხის პირზე), „რკინი კუნძი“ (= რკინის კუნძი), „სანთლი ცული“ (= სანთლის ცული), „წისქვილი ქვები“ (= წისქვილის ქვები)... და სხვა, სადაც ნათესაობითი ბრუნვით მსაზღვრელია გადმოცემული

მაგრამ მოვლენა რომ ასეთი პირობის გარეშეც მძლეა, ჩანს მიცემითის **სანის** დაკარგვისაგან: „კენჭ ვესვრი... ქვებ დაარბენინებს... წითელ გადალაჯებს... ძირ ჩამიშვიო... ქალ გაუხარდა... წავალ, ხალხ ჩამაურბენ... იმ ამხანაგ ქვად მისცა.. იმოდენა ფულ მოგცემ... ტყეში საქონელ უდექ... ის ეშვ დაუქნევსო... ქედნებ შეატყობინა... სატკივარ გავაქარვებო.. ეს ხმალ (= ხმალს) დაადეო. ცეცხლ გაჭმეო“... და სხვა მრავალი.

საინტერესოა ის შედეგი, რომელსაც ვიღებთ **სანის** დედ ქცევის შემ-

¹ კომპონენტ წარმოდგენათა ამ სიკვდილისა და ამის შემდეგ მთელი შეხამების მექანიკურად გამართვების ნათელ მაგალითს წარმოადგენს: თაყვანისცემა < თავყვანის-ცემა; წარღვნა < წყალ-რღვნა...

დეგ, როცა მას ფუძისეული ხმოვანი უძღვის წინ; **ნათესაობ.** ბრუნ.:ნიკოდ (= ნიკოს) ღობემდი გადალობე!.. ილოდ (= ილოს) გვერდზე აქ სახლი... სოფოდ (= სოფოს) მაგივრად მოსულა... ვერ მოურგიდი სიკოდ ხარ (= სიკოს ხარს)... **მიცემით** ბრუნ.: კოკად (= კოკას) გაუტეხამო... ჩვენ ტერტერად (= ტერტერას) ქორწილი აქო... აბრამ წირვად (= წირვას) წაბძანდა... მინად (= მინას: საკუთ. სახელია კაცისა) ვერ მიუდგები: ჩოდარი კაცია... მუთაქად (= მუთაქას) გამოგიტან... ცად (= ცას) ფრინველს ვერ გაუვლია... შვილი მამად (= მამას) მოერევა... დედად (= დედას) თვალეზი დათხარეს... ერთ ქვად (= ქვას) მოგაწვდიო.. ქა სიცოცხლით გამოძღები, საიქიოდ (= საიქიოს) ცხონებთა¹...

სანის დასუსტების შემდეგ მიცემითი ბრუნვა ხშირად, ნათესაობითი კი ხანდახან, სახელობითს დაემსგავსა; მაგალითად: „იმ ამხანაგ (= ამხანაგს) ქვად მისცა“ და: „ერთ ქვად (= ქვას) მოგაწვდიო“: პირველი **ქვად** — სახელობითია, მეორე კი — მიცემითი; ორივე ერთი სახისაა. ეს აღრევა ენას არ აშინებს...

სანის ზოგადი დასუსტების შედეგად უნდა მივიჩნიოთ ისეთი ფორმების არსებობა, როგორცაა „ჰყავ, მყავ (= ჰყავს, მყავს), აქვს, აქ (= აქვს), ვავ (= ვავს), არა უშავ (= რა უშავს), მითქომ (= მითქვამს), შაუბამ (= შაუბამს)“... აქ თითქმის ყველგან თანხმოვნების შემდეგ იკარგება სანის; მაგრამ გაცილებით უფრო დამახასიათებელია და სანის მომავალი ვითარებისათვის საგულისხმო რამოდენიმე შემთხვევა სანის დასუსტება-დაკარგვისა ზმნებში ხმოვნის შემდეგ: „აძოებდე (= აძოებდეს), გააფუჭე(დ) (= გააფუჭეს მათ), გადაუწყვიტე (= გადაუწყვიტეს მათ), შაჭამო (= შაჭამოს მან)“, „ეს წყარო ახლა გააფუჭე(დ)“... „ამორჩეულმა კაცებმა გადაუწყვიტე... ის უნდა აძოებდე... უნდა ისეც შაჭამო“...

ეს მაგალითები გვაფიქრებინებს, რომ გარე-კახურში სანის დასუსტება მომავალში უფრო ფართო ხასიათს მიიღებს, თუ რასაკვირველია, რომელიმე ახალი ფაქტორი მას წინ არ გადაეღობა².

ფიზიოლოგიურსავე ნიადაგზე წარმოიშვა, ალბათ, შემდეგი მოვლენები, რომელნიც მასურ ხასიათს არ ატარებენ და რომელთა გამოვლენას

¹ მიცემითის სანის დასუსტება-დაკარგვა თითქმის ყოველთვისაა მოსალოდნელი, თუ ორი დამატებაა მიცემითში.

² სანის დასუსტება ახასიათებს ნაწილობრივ მთიულურს, აგრეთვე გომარულსა და, საერთოდ, ქართლურს, თუმცა არც ისე ფართო მასშტაბით, როგორც გარე-კახურს. გომარულისა და ქართლურის შესახებ ვემყარები ბ. ვ. ა. რ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა. ს. ცნობებს, რომელნიც მან შეკრიბა აღნიშნულ თქმებზე მუშაობისას.

1924 წლის შემოდგომას მივიღე ქიზიყური ტექსტები, ჩაწერილი იმავ წლის ზაფხულს სტუდ. მ. ი. ა. შ. ვ. ი. ს. მიერ; მათში სანის დასუსტება გაცილებით უფრო შორს არის წასული; იქ მოიპოვება სანის დასუსტების ყველა ის სახეები, რომელიც გარე-კახურში გვხვდება; ხოლო მისგან განსხვავებით მასურად არის წარმოდგენილი სანის დასუსტება-დაკარგვა ხ მ ო ვ ნ ე ბ ი ს შემდეგაც. არის ცნობები, რომ ამ მხრივ შიგნი-კახურის ვითარება ქიზიყურისებრია.

ჩვენ ვხვდებით თითო-ოროლა შემთხვევაში:

1. ბგერათა კომპლექსის გამარტივება თანხმოდანთა ჯგუფიდან ერთი რომელიმეს დაკარგვით: იკარგვის უპირატესად **რ**, **ლ**; მაგალით.: **რ**: „საბძანებელი“ (< საბრძანებელი), ფთა (< ფრთა), მასკვლავი (< ვარსკვლავი), დავიხჩოთ (< დავიხჩოთ)... **ლ**: საპანე (< საპალნე), სახში (< სახლში), ხემწიფე (< ხელმწიფე)...

სამწერლობო „გ ა უ ჩ ნ დ ა“ ფორმასთან შედარებით გარე-კახური გ ა უ ჩ ნ დ ა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს აქაც **-ჩნდ** კომპლექსის გამარტივებასთან გვქონდეს საქმე, ნამდვილად კი გარე-კახურ გ ა უ ჩ ნ დ ა-ში არქაული ფორმაა შენახული, სამწერლობო ფორმის **ნარი** კი შემდეგშია განვითარებული. მართლაც **ჩდა**-ში ძირეული ხომ **ჩ**—ა; ეს მტკიცდება მეგრულით: ძვ. ქართ. **ჩ-ას იგი**, — მეგრ. **ჩქუ თინა**: ქართული **ჩ**—ს კანონზომიერ შესატყვისად მეგრულში გვაქვს **ჩქ**, რაიცა შეეხება „ჩ ე ნ ა“ მასდარს, მისი **-ნა** ისეთივეა, როგორც გვაქვს ზმნებში: **დგას—დგენა, რბის—რბენა** და სხვა. მართალია, ძველს ქართულში **ჩას** ზმნის permansiv-ში მოსალოდნელი **ჩან**-ს გარდა **ჩანნ**-ც გვხვდება (მაგ. „ოდესმე მცოვანი ჩანნ და ოდესმე ჭაბუკი“)¹, მაგრამ ეს კანონზომიერ ფორმად ვერ ჩაითვლება ისევე, როგორც „წერნ“ („ოდესმე წიგნთა წერნ“)² და მსგავსი უსწორო ფორმები. ამიტომაც ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია აკად. ნ. მ ა რ ი ს შეხედულება: „ჩ ა ს — ა რ ქ ა უ ლ ი ფ ო რ მ ა ა ო“ (იხ. მისი: Древнегрузинско-русский словарь к 1—2 главам Евангелия Марка, СПб, 1913, გვ. 30), ხოლო მიუღებლად ვთვლით პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს აზრს, როცა იგი ამბობს: „ჩ ა ს ფ ო რ მ ა უ ფ - რ ო ვ უ ლ გ ა რ ი ზ მ ი ა, ვ ი ნ ე მ ა რ ქ ა ი ზ მ ი ო“³.

ზემოთ აღვნიშნეთ თანხმოდანის გამოვარდნა სიტყვის შიგნით; ბოლო-კიდურთაგან **ლასისა, რაესი** და **მანის** დაკარგვის შემდეგი შემთხვევები უნდა გვქონდეს: „სუ“ (< სულ), „როგო“ (< როგორ), „თორე“ (< თორემ).

თანამედროვე სამწერლობო ქართულის თვალსაზრისით თავკიდურ თანხმოდანთა დაკარგვის შთაბეჭდილებას სტოვებს სიტყვები **თა** (= მთა), **ტერი** (= მტერი), „**ტრედი**“ (= მტრედი), „**ხარე**“ (= მხარე), „**შვილდი**“ (= მშვილდი); ნამდვილად კი, ამ სიტყვებს თავკიდური **მანი** არ უნდა ჰქონოდა: **თა**—ფერედნულშიაც უმანოდაა; რაც შეეხება დანარჩენებს, ზოგი მათგანი ნასესხები სიტყვის სახით არის წარმოდგენილი მეგრულში (**ტერი**), ზოგსაც კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი მოეპოვება იქ

¹ კიმენი, პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს გამოცემა, ტფილისი, 1918, გვ. 129, სტრ. 34.

² იქვე, გვ. 128, სტრ. 1.

³ იხ. მისი: „ს უ ბ ი ე ქ ტ. პ რ ე დ ი ქ. მ ე ო რ ე პ ი რ ი ს ა და ო ბ ი ე ქ - ტ უ რ ი პ რ ე დ ი ქ ს ი მ ე ს ა მ ე პ ი რ ი ს ა ქ ა რ თ უ ლ ზ მ ნ ე ბ შ ი“, ტფილისი, 1920, გვ. 17, შენიშვნა 1.

(**შქელი, ხუჯი**) და არც ერთს მათგანს თავიკიდური მანი არ გააჩნია. ეს კი ნიშნავს: ამ სიტყვებს გარე-კახურში კი არ დაუკარგავს თავიკიდური მანი, არამედ იგი სამწერლობო ქართულს გაუჩნდა; ასე რომ, თანამედროვე სამწერლობო ქართულის თვალსაზრისით დიალექტური ნეოლოგიზმი ნამდვილად ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით საყურადღებო არ-ქაიზმია.

2. გამარტივების საწინააღმდეგო პროცესია მოცემული თანხმონების განვითარების შემთხვევებში სიტყვის შიგნით: „ხმიანდი“ (**ნარი** განვითარებულია **ღონის წინ**), „ფშველი“ („შველი“-ს ნაცვლად), „მწვრილი“ („წვრილი“-ს ნაცვლად), „მძვალი“ („ძვალი“-ს ნაცვლად); არის სიტყვა: „მწვეარი“ (სამწერლობო „წვეარი“-ს ნაცვლად). ამ უკანასკნელს სიტყვაში უნდა გვქონდეს არა ფონეტიკურად განვითარებული თავიკიდური მანი, არამედ სამიმლეობო მან-ფორმანტი, ასეთი შემთხვევებისთვის ხმარებული, თავისებური — „არ“ სუფიქსით: **მ-წვე-არ-ი**: „ვინც ეწვეა ხოლმე“. ასეთი წარმოება ხშირია ქართულში, შდრ. **მ-გედ-არ-ი, მ-დევ-არ-ი, მ-კბენ-არ-ი, მ-კუდ-არ-ი...** და სხვა. ამგვარად, „მწვეარ“ სიტყვაში მანი ფონეტიკურად განვითარებული როდია, არამედ კანონზომიერი ფორმაა, სამწერლობო „წვეარ“-ს კი თავიკიდური მანი ისევე აქვს დაკარგული, როგორც სიტყვაში **„ფრინველი“** (< მ-ფრინვ-ელი-ი = ის, რაც ფრინავს; — ძველს ქართულში ეს ფორმა ჩვეულებრივია).

3. ასიმილაციის მაგალითებია: ა) თანხმონებში—ნაწილობრივისა: „ახტქმა“ (< ალტქმა), „ხთის“ (ლთის < ღვთის < ღმრთის), „შაყნები“ (< საყნები); პირველ ორ სიტყვაში მჟღერი ღანი ყრუ მფშვინავი თანის მეზობლობაში დაყრუვდა; უკანასკნელში კი სიბილანტი სანი უნთან საკოორდინაციოდ შინად იქცა; ბ) ხმონებში: სრული ასიმილაციის ნიმუშებს გვაძლევს პრევერბები; მაგალითად: „მუუგზავნეს“ (< მი-უგზავნეს), „მუ-უტანეს“ (< მი-უტანეს), „მუ-ულალა“ (< მიულალა), „მუ-უკიდა“ (< მო-უკიდა)¹.

4. დისიმილაციას ვხვდებით მაგალითებში: „არალი“ („არარის“-ის ნაცვლად), „ოროლი“ („ორორი“-ს ნაცვლად) და „არაფელი“ („არაფერი“-ის ნაცვლად); სამსავე შემთხვევაში პროგრესულია; სპეციფიკურ გარე-კახური იგი არ არის; სხვა თქმებშიაც ვხვდებით ამავე სიტყვებში ასეთსავე მოვლენას.

5. ვხვდებით შემდეგი ბგერების შენაცვლებას (სუბსტიტუციას): ლასისა ნართან: „ნიტრა“ (= ლიტრა); ვინისა მანთან: „მითომ, მასკვლავი“ (= ვითომ, ვარსკვლავი); ჟანისა ჭანთან: „დავბატიჯოთ“ (= დავბატიყოთ),

¹ პრევერბების ასიმილაცია გარე-კახურსა და ფერეიდნულში განსაკუთრებულ განხილვას საჭიროებს.

„ჯორდანია“ (= ჟორდანია); აქ შენაცვლების შესახებ ვლაპარაკობთ, ვინაიდან **ჟ**ანს **ჯ**ანი მხოლოდ ამ სიტყვებში სცვლის და არა საერთოდ; **თანისა** **ც**ანთან: „ციკანი“ (= თიკანი); **განისა** **ქ**ანთან: „კარქი“ (= კარგი); **დონისა** **ტ**ართან: „იმტელი, რამტელიმე“; „იმოთენა, რამთენი, იმთენი“; **ნარისა** **ლ**ასთან: „იმტელი, რამტელიმე“ (= იმდენი, რამდენიმე); **მანისა** **ნ**ართან: „ნეფე“ (= მეფე)...

6. ბგერათა გადასმის (მეტათეზის) ნიმუშებია: „სურიელი“ (< სულიერი), „ძრიან“ (< ძრიალ < ძრიელ < ძლიერ)¹; „მემრე“ (< მერმე); „ლურვერი“ (< რევილვერი); ყველა დასახელებულ შემთხვევებში **ლ**ასი და **რ**აე იცვლიან ადგილს; ცალკე ბგერათაგან ამათ გარდა შემდეგთა მეტათეზი გვაქვს: **მანისა** და **ბანისა**: „გამბული, დამბული, მევემბები“ — ბმა მასდარიდან; ეს სხვა თქმებშიაც გვხვდება; **სანისა** და **ხანის**: „სხნა, მოსხენ, გასხნილია“ — ხსნა მასდარიდან; ესეც ჩვეულებრივია აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოებში; პირიქით: **ხანისა** და **სანის**: „მასხარა“ (= მასხარა); **ხანისა** და **შინის**: „შხირად“ (ხშირად); **მანისა** და **ნარის**: „ნიმუტი“ (მინუტი: ნასესხები სიტყვა); **რ**აესი და **ნარის**: „მოიკვდანურა“ (= მოიკვდარუნა: „მკვდარი“-საგან); მეტათეზიანი ფორმა: „გაუჯვარდი (< გაუჯვარდი: ქართლშიაც ჩვეულებრივია); **მანის** მეტათეზი უნდა გვქონდეს „შაკმაზა“ სიტყვაში „შეკაზმას“ ნაცვლად; ხოლო ისეთი ფორმების მიღება, როგორცაა „ავანტყოფი“, „ბლერტა“ (= ბერტყა), „ბლარტი“ (= ბარტყი) შეიძლება აიხსნას მეტათეზისა და ასიმილაციის შეერთებული მოქმედებით: **ავათყოფი** > **ავამყოფი** > **ავამტყოფი** > **ავანტყოფი**; პირველად — **თანისა** და **მანის** მეტათეზი: ავათყოფი > ავამყოფი; შემდეგ ყრუ **ყ**არის მეზობლობაში მფშვინავი წინაენისმიერი **თანის** წინაენისმიერსავე ყრუ უფშვინვო **ტ**არად ქცევა, ე. ი. ნაწილობრივი ასიმილაცია: ავამყოფი > ავამტყოფი; და ბოლოს: წინაენისმიერი **ტ**არის ზეგავლენით წყვილბაგეობითი ნაზალი **მანი** ნაზალი წინაენისმიერი **ნ**არით შეიცვალა: ავამტყოფი > ავანტყოფი... **ბერტყა** > **ბყერტა** > **ბლერტა**: **ყ**არის მეტათეზის შემდეგ მიღებულ ფორმაში: ბყერტა, მყდერი **ბანის** ზეგავლენით ყრუ **ყ**არი იცვალა უკანაენისმიერ მყდერ **ღ**ანად: ბლერტა...

¹ **რ**აესა და **ლ**ასის მეტათეზი დადასტურებულია ჯერ კიდევ მათე საუკუნის ძეგლებში; 968 წლით დათარიღებულ იოანე ოქროპირის ცხოვრებაში (საისტ.-საეთნოგრ. საზოგად. მუზ. ხელნაწ. №3124) ვხვდებით შემდეგ ფორმებს: ძრიელად მიჰმართის მათ, გვ. 45v... განგაძრილო შენ, გვ. 56v... ძრიელნი ძრიელად განიკითხნენ, გვ. 76v... ყოველნი ვნებანი დათრგუნნა ძრიელად, გვ. 30r... აღდეგფერჯთა შენთა ზედა, განძრიელდი, გვ. 35r... იხილა ჩემი უძრულებად, გვ. 190v... მონაზონთა უძრულთათჳს, გვ. 194v... განკურნა უძრული იგი, გვ. 210v.

ანალოგიური პროცესი უნდა გვქონოდა მესამე შემთხვევაში: **ბარტი > ბყარტი > ბლარტი**.

ყველა ზემოხსენებულ მოვლენებს ზოგადი საფუძველი ჰქონდა: ეს იყო მეტყველების ფიზიოლოგია; ანალოგიურ წარმოებათა განხილვით ჩვენ მეტყველების ფსიქოლოგიური ყოფის სამყაროში გადავდივართ. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აქვე შევნიშნავთ, რომ „ფსიქიური“ არ ნიშნავს აუცილებელი „ცნობიერს“ (ქვეცნობიერიც ხომ ფსიქიურია!); პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ანალოგიურს წარმოებაში გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა ასოციაციათა მექანიკა, რომლის მოქმედება ისევე არაცნობიერია, როგორც ფიზიოლოგიური მექანიკა რომელიმე სან-ბგერის ჰაედ ქცევისა. ამდენადვე უნდა ითქვას: Lautwandelისა და Lautwechselის მოვლენებისაგან ანალოგიური წარმოება განსხვავდება **არა პროცესის ბუნების** მიხედვით: ამ მხრივ ორსავე შემთხვევაში მექანიზმიც, **არამედ იმ სინამდვილის მიხედვით**, სადაც თავს იჩენს ეს მექანიზმი. ერთს შემთხვევაში ეს სინამდვილე ბგერათა წარმოების ფიზიოლოგიაა, მეორეში კი ენობრივ წარმოდგენათა სფერო. რასაკვირველია, ასეთი გავებით ანალოგიურ წარმოებასა და სხვა ფონეტიკურ ცვალებადობათა შორის პრინციპული ზღვარი მოხსნილია¹.

ანალოგიური წარმოების ნიმუშებს ბლომად გვაწვდის ზმნა; ზმნის აგებულებასთანვე არის დაკავშირებული ანალოგიური წარმოება სინტაქსის სფეროში — წინადადებაში.

ანალოგია ზმნის სხვადასხვა კატეგორიებში: „წერვა“ (მასდარი: ნა-წარმოებია „კითხვა, ფარვა, მართვა“ და მაგვარების ანალოგიით); **ნამყო წინარეწარსულში**, კითხვაზე: რა ექნა მას? იხმარება ფორმები „გეელეწნა, დეეთესნა, მეეპარნა, შეენახნა, ენახნა, გეეთიბნა, დეეწერნა, ეცემნა, გემე-ეცვალნა, შეეყარნა, შეეჭამნა, დეეჭირნა, დეეთხოვნა, დეელიგნა; — მეეტაცნა, შეეყლაპნა, ეთხლიშნათ, გადაეწყვიტნათ, დაეცარცვნათ, დეეღლიგნა; გენახნა, მოგემართნა, გეშველნა, გამერეკნა, დამეშალნა, დემეყარნა, გე-ეწვალნა“: ყველგან **ნარი** ბოლოკიდური **ანის** წინ უადგილოა ახალი ქართული სამწერლობო ენის ნორმების თვალსაზრისით. (უნდა ყოფილიყო: გაეელეწა, დაეთესა, მოეპარა, შეენახა... და სხვ.); უადგილოა **ნა** დაბოლოება ასეთ შემთხვევაშიც: „დეეძახნა, აეკიდნა“, სამწერლობო ენაში ხმარებული ფორმების ადგილას: დაეძახებინა, აეკიდებინა... ნამყო სრულ მეორეში: კითხვაზე: რა უქნია? ზმნის დაბოლოებად გვევლინება **ნია**, მაგალითად:

¹ საკითხი „ცნობიერისა“ და „არაცნობიერი მომენტის“ შესახებ მეტყველებაში თეორიული ენათმეცნიერების ერთ ძირითად საკითხთაგანია; მასზე შეჩერება აქ შეუძლებელია; სხვა დროს საგანგებოდ დავუბრუნდებით.

„მისესხნია, დაუხეთქნია, შემიხვევნია, გვიქეიფნია, შეუჭამნია, დაუბნევნია, უდავნია, დაგილევნია, უყიდნია, უწვიმნია, მტკივნია, უხეჩნია“ (უნდა ყოფილიყო: მისესხებია, დაუხეთქებია, მტკივებია... შემიხვევია, შეუჭამია, დაუბნევია და სხვ.). ანდა კიდევ: „გადაუზომნიათ, დაუხურნია, დამიხარჯნია, გაუბედნია, გამირეკნია, დაუნახნია, მიუმართნია, დაუკარგნიათ, მიკითხნია“ (უნდა ყოფილიყო: გადაუზომავთ, დაუხურავთ, დამიხარჯავს, გაუბედავს, გამირეკავს... და სხვ.).

ნამყო წინარეწარსულის **ნა**-თი დაბოლოებული ფორმა: „გველეწნა, დეეძახნა“... ორი ფორმის მაგივრად გვევლინება: **გაელეწა**-ტიპისა და **დაეძახებია**-სი; ნამყო სრული მეორის **ნა**-თი დაბოლოებული ფორმა: „მისესხნია, დაუბნევნია, გაუბედნია“... ეწევა ჩვენს მაგალითებში სამი სახის მაგივრობას: **მისესხებია, დაუბნევია** და **გაუბედავს**-ის. პროცესის შედეგი აშკარაა: წარმოების სხვადასხვაგვარობა, დაბოლოებათა მრავალფეროვნობა ერთფეროვანი ხდება“, აგრეთვე ცხადია, რომ ეს პროცესი ანალოგიური წარმოების გამოვლენაა: წარმოების ერთი სახის ანალოგიით არის ნაწარმოები სხვადასხვა სახეები. რომელია ეს სახე? შემომოყვანილი გარეკახურის ნიმუშებისდაგვარი წარმოება აქვს ზმნებს, როგორცაა: გ ზ ა ვ ნ ა, დ ე ვ ნ ა, თ მ ე ნ ა... და სხვ.: უ გ ზ ა ვ ნ ი ა — ე გ ზ ა ვ ნ ა, უ დ ე ვ ნ ი ა — ე დ ე ვ ნ ა, უ თ მ ე ნ ი ა — ე თ მ ი ნ ა... მაგრამ ასეთი ზმნები არც ისე მრავალრიცხოვანია, რომ სხვადასხვა სახის წარმოებათა შორის ამ ტიპის წარმოებით შექმნილ ასოციატურ მექანიკას დანარჩენი სახის წარმოებათათვის „გადაეწონა“ და თვით გაბატონებულიყო. რამ მიანიჭა **ნა**რიან ფორმას აგეთი უპირატესობა? შეიძლებოდა ერთი გარემოება მოგვეგონებინა: ნამყო წინარეწარსული, ვითარცა დრო, შედარებით ახალი ფორმაციისაა; ჯერ კიდევ ძველი ქართულის სინამდვილეში ამ ფორმით გამოიხატებოდა მოქმედებითში აღებული სა თ ა ნ ა ო, ს ა ზ ე დ ა ო და ს ა ს ხ ვ ი ს ო ქცევათა¹ ზმნების ვნებითი ფორმა: მან **მინწერა** მას, **დანაწერა** მას, **დახუწერა** მას: ვნებითში: იგი მი/და-**ხეწერა** მას... ამ ფორმის ქცევა გარდამავალი ზმნების ნამყო წინარეწარსულად შემდეგი დროის საქმეა²; ახალი შინაარსის მიღების შემდეგაც, ყოველს შემთხვევაში ძველი ქართულის სიგარცეზე, ამ ფორმას შერჩა სხვათა შორის ვნებითი გვარის ზმნების ერთი თავისებურება: ნამყო სრულისა და მისი თემიდან ნაწარმოებ ყველა დრო-

¹ ვსარგებლობ ამ შემთხვევაში სიმოკლისათვის პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ ქცევათა კლასიფიკაციისათვის ხმარებული ტერმინებით, როგორც ეს იყო წარმოდგენილი 1925 წლის 13 იანვარს ქართ. საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე წაკითხულს მოხსენებაში: „ქართული ზმნების ქცევისათვის“.

² რთული და მეტად საინტერესო ისტორიაა ამ ფორმაში ქცევის მომენტის უკან დახევა და დროულობის წინარიგში წამოწევა, კერძოდ, მისთვის ნამყო წინარეწარსულის შინაარსის მიცემა. ამაზე სხვა დროს.

ებში ვნებითი გვარის ზმნებს მრავლობითი რიცხვის სამსავე პირში ინფიქსური **ნარი** მოეპოვება¹; იგინი **და-იწერნეს**, თქუენ **დაიწერენით**, ჩუენ **დავიწერენით...** იგინი — დაეწერნეს მათ, დაგეწერნეს თქუენ, დაგუეწერნეს ჩუენ... ვნებითების მრავლობითის წარმოება **ნარით** უკვე გადაშენდა, მაგრამ შეუძლებელი არ არის ვნებითის ეს **ნარი** ანალოგიურად გადასულიყოს მხოლოდობით რიცხვიც და იყოს შენახული გარე-კახურის ზემოხსენებულ **ნარიან** ფორმებში... შემდეგ კი ნამყო წინარეწარსულიდან ასეთი წარმოება ნამყო სრულ მეორეშიც გადასულიყოს ანალოგიურად. თუმცა ასეთი ახსნის დროს გაუგებარია ერთი გარემოება: რით აიხსნება, რომ მთიულურში, რომელსაც არქაული ფორმები საერთოდ უფრო მეტად ახასიათებს, გარე-კახურთან შედარებით, ზემოხსენებულ დროთა წარმოებისას **ნარიანი** ფორმის ასეთ მიმდღავრებას ადგილი არა აქვს და გარე-კახურის ეს მოვლენა უფრო ნეოლოგიზმად ჩანს, ვინემ არქაულ ყოფაში ფეხგადგმულ მოვლენად?!

აქვე დავსძენთ, რომ სამწერლობო ქართულშიაც ჩანს ამ ორი დროის დაბოლოებათა ხმარებაში რყევა, — ალბათ, კილოთა ზეგავლენით, — და უმართებულო წარმოებას ხშირად წააწყდებით მწიგნობრულად გაწვრთნილ პირთა მეტყველებასა და წერაშიც; მოსალოდნელია ამ მხრივ ანალოგიური წარმოების ფართოდ გავრცელება.

სინტაქსის სფეროში ანალოგიის ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ ქვემდებარის დასმა მოთხრობითში, სახელობითის ნაცვლად: „წავიდა ნაცარქექიამ ისევ იმ ხის ქვეშ... მაშინ გაუჯვარდა ქმარმა... იმ ქაჩალმა გამოიდა გარეთ... დევებმა შეფიქრიანდნენ“. — სამწერლობო ქართულის ნორმების მიხედვით ქვემდებარე ნამყო სრულით (ან მისგან ნაწარმოები დროით) გადმოცემულ შემასმენელთან სახელობითშია, თუ ზმნა საშუალო ან ვნებითი გვარისაა, — და მოთხრობითში, თუ ზმნა მოქმედებითი გვარისაა; მაგრამ ცოცხალ თქმებში: არა მარტო გარე-კახურში, არამედ მთიულურსა, ფერეიდნულსა და აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის სხვა კილო-თქმებში უკვე ვხვდებით საშუალო და ვნებითი გვარის ზმნებთან ქვემდებარეს მოთხრობითს ბრუნვაში: ამ ბრუნვის ხმარების სიხშირე ქვემდებარის როლში მის მიერ შექმნილ ასოციატურ ხლართს უპირატესობას ანიჭებს ცნობიერებაში და ბადებს მიდრეკილებას „შეუფერებელ“ პირობებშიაც იგი იქნეს ხმარებული². საინტერესოა ამ მხრივ გარდამავალი საფეხური; მაგალითად:

¹ ამ **ნარის** ახსნისათვის იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე: „ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი პ რ ე ფ ი ქ ს ი მე ო რ ე პ ი რ ი ს ა და ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი პ რ ე ფ ი ქ ს ი მ ე ს ა მ ე პ ი რ ი ს ა ქ ა რ თ უ ლ ზ მ ნ ე ბ შ ი“; ტფილ. 1920, გვ. 8, შენიშვნა.

² ტფილისის სომხობის ქართულ საუბარში მოთხრობითი ბრუნვის ხმარებას შევხვდებით აგრეთვე შემასმენელთან აწყო დროში; მე გამიგონია ასეთი ფრაზა: „ხალხმა რას იტყვის?!“ (= ხალხი რას იტყვის?!) და მაგვარები...

„იმათაც ადგნენ, წაიღეს, იხახიან... ადგა იმ ხელწიფემ და მიდცა კარგი ტანისამოსები... ადგნენ ამ ჩიტებმა და მიდცეს ერთი ვირი... მოქუჩდენ ჩიტებმა და უთხრეს... წამოხტა ღვედელმა და დაიწყო ღრიალი... მივიდა მეცხვარემა, დაუგდო ყური“... აქ თითოეულ ქვემდებარესთან ორი შემასმენელია: ერთი საშუალო გვარის ზმნით გადმოცემული, მეორე — მოქმედებითისით; ზოგადი ქვემდებარის ბრუნვად კი მოთხრობითია აღებული. ასეთი შემთხვევები მეტად ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ ახალი კონსტრუქციის უცნაურობა მეტყველის ცნობიერებას შეუმჩნევლად შეჰხიზნეოდა და სამოქალაქო უფლებები მოეპოვებინა¹.

მოვლენათა სისტემატური მიმოხილვის დასრულებამდე საჭიროდ ვთვლით აღნიშნულ იქნეს ისეთი დიალექტიზმიც, რომელიც წარმოშობით არა მარტო ფსიქიურ სამყაროს განეკუთვნება, არამედ, წარმოშობის მომენტში მაინც, — ცნობიერიცაა: ასეთებად ჩვენ ე. წ. ხალხური ეტიმოლოგიის ნიმუშები მიგვაჩნია: გააზრიანების საშუალებით უცნობის ნაცნობად ქცევა საფექტებელია, რომ შეუცნობლად როდი ხდება, არამედ ადგილი აქვს გამააზრიანებელი სიტყვის შერჩევას, და ეს კი ცნობიერების წილის გარეშე ვერ მოხდება; სამწუხაროდ, ჩემ მიერ ჩაწერილ მასალებში სათანადო მაგალითები მცირეა; მოგვყავს შემდეგი: „ჯაშუში მატარებელზე ვიყავი“ (= ჯავშნოსან მატარებელზე!); უფრო ნაცნობი სიტყვა „ჯაშუში“ გამოყენებულ იქნა უცნობი სიტყვის „ჯავშნოსანი“-ის დასამახსოვრებლად.

განსახილველად გვჩნება ცალკე მორფოლოგიური კატეგორიის მიხედვით შემჩნეული თავისებურებანი; ზმნაში აღსანიშნავია შემდეგი: **1.** მრავლობითი რიცხვის მესამე პირის დაბოლოებად უპირატესად **ნენ**-ს ვხვდებით: „გახდნენ, წავიდნენ, აკეთებდნენ“ და სხვ. შესაძლოა **ენ** დაბოლოების წინ ჩასმული „**ნ**“ ვნებითის ინფიქსური **ნ**არის ანალოგიით იყოს გაჩენილი; **ნ**არის ვნებითის ნიმუშები ღღემდის შერჩენია აქა-იქ გარე-კახურს: „გავიპარენით, დავილუპენით, დავიმაღენით, ვეწვალენით, გავეცალენით“.

2. გარე-კახურს საკმაოდ გარკვეულად შეუნახავს ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა და სუბიექტური მეორისა; ასეთ პრეფიქსად გამოყენებულია **მ**, რომელსაც ხშირად **ჰ**აეს ელფერი გადაჰკრავს, ხან კიდევ მეზობლობის ზეგავლენით **ს**ანისაკენ გადახრის აკუსტიკურ შთაბეჭდილებას სტოვებს; ამ პრეფიქსის გამოთქმისას დასაყრდენს წინა ხმოვანი წარმოადგენს, რომელზედაც არის მახვილი და რომელსაც იგი მჭიდროდ ეკვრის; როცა ზმნის ფორმა პრევერბიანად იხმარება, პრეფიქსი გარეშე დახმარებას არ საჭიროებს: იგი ფონეტიკურად ამ პრევერბს ეკედლება;

¹ ეს ანალოგიური წარმოება კილოების მიხედვით საფუძვლიანად აქვს განხილული ვარ. თ ო ფ უ რ ი ა ს; იხ. მისი: „სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით“, „ჩენი მეცნიერება“, 1923 წ. №1, გვ. 113-121.

თუ კი ზმნას პრევერბი არ გააჩნია, წინა სიტყვის ემფატურ დაბოლოებას უკავშირდება და შედეგად ორი სიტყვის ფონეტიკურ გაერთიანებას ვიღებთ; მაგალითები: **სუბიექტ. პრეფ. მეორე პირისა:** „ველარაფხედამ თვალეზიდგან?... თუ შენ არ გადფუჭდებო... არ დამკარგო ბეწვი... მანდ რათაფზიხარო?... რასაფწევხარო?... სამტროთ მოდინხართ თუ სამოყვრო-თო?“ **ობიექტ. პრეფიქ. მესამე პირისა:** „ცრემლი ჩამოფარდა (მას)... ლინეიკით მოყავთ ხემწიფის ქალი... პირს სიცილი წამვარდება... მოაკლამენ მაგასაო... დამხურეს ქვაბს ზარფუსი¹... სამი შოლტი ტყავი აძფრესო... ერთმა ქალმა ჩამოაძახა... ცხვრებმა ამოკრეს რქა... თარხანის ცხენს გად-მახვდა... ცხვარ (= ცხვარს) დაადევს... ის ქვაბებიც ბიჭს დაარჩა... შამხვდა ისევ ის ღვდელი... პატარა ძმამ დამძალათ დიდ ძმებს... ხელში მიმ(პ)ცა ქოროღლის ერთი თმა... თავი დღეში არამცმია იმ მეწისქვილეს იმითანა ტანისამოსი... ღმერთი ქადა პურსაფურისო... იმათ შვილი არაფყანდათ... ნაცარსაფქეჭამს... მელია გოდორსაფწნამდა... წველსაფჭამს² გოგო... სისხლსაფლოკამს... ბედსაფწევო... სახლსაფ ხედამენ... სხვასაფძინა-მო...“

ორიოდე შემთხვევაში პრეფიქსული **ფ** ფუძისეულ თანხმოვანს უძღვის წინ და თავკიდურად გვევლინება პაუზის შემდეგ, ასე რომ შეუძლებელი ხდება წინა სიტყვასთან ფონეტიკური გაერთიანება: მაგალ.: „შამფური უჭირამ, მკრა ღვდელს“... „დილითაო მოდიოდა ის ფუტკარიო, მთვლიდაო და სალამოთი მოდიოდაო, მთვლიდაო“ ასეთ შემთხვევაში პრეფიქსი **ჭ**აეს ჩამოგავს.

სპორადულად **ფ** პრეაფიქსის ნაცვლად ვხვდებით **ჭ**აეს ან **ს**ანს: „მიჰყიდა ის სიზმარი... ესე მიჰყვეს, ესე მიჰყვეს, რო... ფრინველი კაკალსა სჭამდაო... ტარს კვირიტავი გამოსძვრა.. რასაც შესთხოვ, ყველაფერი გამ-მუაო... ბუდე ქვეშა სძინამ იმ ბიჭს“...

ცალკე განხილვას საჭიროებს მაგალითები, როგორცაა: „ერთ ალაგასაო ორი ცხვარი მაფწავლესო... ჭკუას ი(მ)წავლიან რადა... შენი შვილი მაფწავლეს წამლათაო“; აქ ფუძედ — „წავლა“ არის მიჩნეული; ეს ნათლად ჩანს შემდეგი ფრაზიდან: „ე, შე ოხერო წავლაო!..“

ვინაიდან ჯერ კიდევ მეთე საუკუნეში ამ სიტყვაში **ს**ანი ფუძისეულად გვევლინება, უფრო საფიქრებელია, აქ ფუძისეული **ს**ანის დაშლასთან გვექონდეს საქმე, ვინემ არქაული ფუძის შენახვასთან; ამ დაშლის გარდამავალ საფეხურად უნდა გვექონდეს ფორმა: **მაფწავლებელი:** „საგარეჯოს მაფწავლებლები იყვნენ ცხრაას ოთხში“... ამ დაშლისათვის ხელსაყრელი იქნებოდა ერთის მხრით **ს**ანის ზოგადი დასუსტება გარე-კახურში, რაზე-

¹ ლითონის დასახურავი (სპარსულ).

² წველი — მაწონი.

დაც უკვე გვქონდა ზემოთ ლაპარაკი, და მეორეს მხრით ისეთი ფორმები, სადაც ფუძისეულ თავკიდურ წილს **ი** პრეფიქსი უძღვის; მაგალითად: „არ მომწონსო... მომწია (შვილდს) და ცოტათ მოხარა... ამწონამს, დილით რო წავა... ნაღს გადაწია... ჯვარი დაწერეს... წყალს დაწაფებია... დაწყველის აბა რა იქნება“... და სხვა.

მეორე პირის სუბიექტისა და მესამე პირის ობიექტის აღმნიშვნელ პრეფიქსზე ჩვენი წარმოდგენა სრული არ იქნებოდა, თუ არ აღვნიშნავდით, რომ არის ამ პრეფიქსების „უადგილო“ ხმარების შემთხვევები; მაგალითად: „მემრე სთქო ნაცარქექიამ... უნდა დიდი ხე მოსჭრას... გააჭრეს შუაზე ვაშილი“... აქ პრეფიქსი არ არის საჭირო; პირიქით, იგი აკლია მაგალითებში: „ამასა ყვანდა ორი ძროხა... სად მიდიხარ, ძმობილო?“...

3. ზმნის სხვა მნიშვნელოვან თავისებურებად მიგვაჩნია მრავლობითი რიცხვის პირველი და მეორე პირის სუბიექტური **თან** სუფიქსის ხმარება ლოდიკური ობიექტის აღსანიშნავად, თუ ეს ობიექტი მრავლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვით არის გადმოცემული; აგრეთვე **-ყე** ნაწილაკის ხმარება; ეს უკანასკნელი საკმაოდ იშვიათად, მაგრამ გარკვევით მიგვითითებს მრავლობითი რიცხვის მიცემითს ბრუნვაში დასმულ ლოდიკურ სუბიექტზე, რომელიც გრამატიკულად ობიექტად არის განფასებული, ანდა იმავე რიცხვის იმავე ბრუნვით გადმოცემულ ლოდიკურ ობიექტზე, რომელიც გრამატიკულადაც ობიექტია, ე. ი. დამატება¹.

-ყე ნაწილაკის ეს ორი ფუნქცია სავსებით აქვს აღებული თავისთავზე **თან** სუფიქსს ზემოხსენებულ შემთხვევაში; მაგალითად: „ნაცარქექიამ ჰკითხათ ჩიტებს (= ჰკითხაყე ჩიტებს)... პატარა ძმამ უთხრათ დიდ ძმებს (= უთხრაყე დიდ ძმებს)... მელიამ უთხრათ დევებს... პატარ ძმამ დაძალათ დიდ ძმებს (= დაძალაყე დიდ ძმებს)... იგი ატყუებთ იმათ (= ატყუებსყე იმათ: **სან** სუფიქსის გამოვარდნით)...ნაცარქექია იმათ გაუამხანაგდათ (= გაუამხანაგდაყე)... ნაცარქექიამ იმათ დაუძახათ (= დაუძახაყე)... იმათ ეუბნებათ ის დევი (= იმათ ეუბნებაყე)“...

-ყე ნაწილაკის ხმარების მაგალითები: 1. **-ყე** ნაწილაკი მიგვითითებს მრავლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვით აღნიშნულ **ლოდიკურ სუბიექტზე**: „რადგანაც მე მიყვანდიყე (იმათ), შენ აღარ წავიყვანენო... უნდა მეგვეკალიყე ყაჩაღებს“...

2. **-ყე** ნაწილაკი **ლოდიკურ ობიექტზე** მიგვითითებს: „უნდა გიჩილოყე (თქვენ)... მე წამუალ, გიშველიყე (თქვენ)... ხალხს ხუთასი დესეტინა

¹ -ყე ნაწილაკის შესახებ უფრო ვრცლად: ა. ჩიქობავა, „-ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოდიკის ურთიერთობის თვალსაზრისით“, „ქართ. საენათმეცნ. საზოგ. წელიწდეული“, ტ. I-II, ტფილისი, 1925 წ., გვ. 32-68.

მამული უყიდევ“... აგრეთვე: „დაგახრჩობყე, დაგჭრიყე (ვის, რას?), გამოვართმეყვე, გადადრეკამენყე, დაურიგებენყე, გთხოვეყ“ და სხვა... დამატება აქ ყველგან მრავლობითი რიცხვის მიცემითს ბრუნვაშია; არის შემთხვევები, იშვიათად, ამ ნაწილაკის ხმარებისა, როცა იმავე რიცხვის სახელობით ბრუნვაშია მოცემული დამატება: „ერთი თოკით ხელები უკან შაიკართო, უნდა წაგასხაყეო ხემწიფეთანა“... წაგასხათ = ვინ? — თქვენ.

იგივე ნაწილაკი **-კე**¹-ს სახითაც იხმარება: მაგალითად: „ოცი ლიტრა მივეცითკე მეურმეებს... გადაწყვეტით გეუბნებითკე... გავგზავნეკე ყანდაურას (ბიჭები) და უთხარიკე... სუ დავაჭერინებკე, რაც არიან... თუ მოგიტანიათ, წაიღეთ, თუ არა და, — არაფერს გაძლევკე ჩემი ნებით“...

ამის გარდა ზმნაში გვხვდება: 1. ფორმები: „მოგვამზადევი, დავკარგევიტ“; ხშირი არაა; 2. ერთი შეხედულობით — ნეოლოგიზმი, არსებითად კი — არქაული სწორი ფორმა: „მოვაწყე, დავაწყე, გამოვაცხე“ (მესამე პირი: მან მოაწყო, გამოაცხო; სამწერლობო: „მოვაწყვე, გამოვაცხვე“ თვით არის დიალექტიზმი და ნეოლოგიზმი); 3. არქაული: „გადაანარჩომა, დაინარჩომა“ („გადაარჩინა და დაინარჩუნა“-ს ნაცვლად); 4. უნა უნდას ნაცვლად; უფრო ხშირია: უნდა ხოლო მეორე და პირველი პირი თითქმის მუდამ გინდა, მინდას სახით არის წარმოდგენილი; 5. აწმყო ღროის **-ავ** სუფიქსის **-ამად** ქცევაზე უკვე გვქონდა ლაპარაკი და აქ არ შევჩერდებით.

სახელებში საყურადღებოდ ვთვლით შემდეგს: 1. ნაწევრადობის აღსანიშნავად **ნა**-თავსართის ხმარება ორ შემთხვევაში: ნაოთხალი: „ნაოთხალ კაპიკათ უყიდა“; ასეთი წარმოება ჩვეულებრივია მეგრულისათვის: „ნაოთხალი“, ნახუთალი, ნამშვალი“... და სხვა; აგრეთვე: ნასამედი: „ერთი ნასამედი მიაქვ“...

2. სადაურობის სუფიქსად ქართულში გვაქვს: **ელი** და **ური**¹; პირველი, თუ საქმე გონიერ არსებას შეეხება, მეორე დანარჩენს შემთხვევაში; მაგალ.: „მევენახე კახელი, მეურნე ქართელი“; მაგრამ: „ღვინო კახური, ხილი ქართული“; გარე-კახურში პირველ შემთხვევაშიდაც **-ური** სუფიქსის ხმარებას ვხვდებით; მაგალითად: „ღვინო-კაცი ყვანდა, თოხლიაურული იყო... ორი კაცი წავიდა: ერთი გარეჯული და ერთი გიორგი-წმინდული... ერთი გარეჯული ღვდელი იყო, ორიც ნინო-წმინდური“...

ინდივიდუალ მორფოლოგიურ მოვლენათაგან აღვნიშნავთ შემდეგს: 1. ჩვენებითი სახელინაცვალი: **ე, ეგ, ი**; „ე კაცი“ = ეს კაცი; „ი კაცი“ = ის კაცი; ეს მოგვაგონებს ძველი ქართულის რიგს: **ესე-ეგე იგი**-ს, რომლის

¹ იხ. А. Ш а н и д з е, «Два чано-мингрельских суффикса в грузинском и армянском языках»: Зап. Вост. Отд. Арх. Общ. Петрогр. 1916, стр. 365.

შესატყვისი ზმნისართი: **აქ, -მანდ, -იქ**, აგრეთვე გარე-კახურშიც იხმარება. 2. გან თანდებულის ნაცვლად ხშირია -დამ: „ქვემოდამ, ზეიდამ, საბძანებელიდამ, ცეცხლიდამ, ქვაბიდამ...“ და სხვა. 3. -კენ თანდებული კი წარმოდგენილია მომეტებულად ყე || ყენის სახით: „გზა სოფლისაყე მიდის... ქვეითყე გაიარე... გაიწი შენყე... ახლა კიდენ ბიჭისაყე მიიწევს... ისევე მგლისყენ გამოიქცა... თავი საქათმესყე მიყავიო“... 4. თორემ კავშირის ნაცვლად ჩვეულებრივია: თორო.

სინტაქსის სფეროში უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იქცევენ მართივინადადების კონსტრუქციის თავისებურებანი.

ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობაში შემდეგი მოვლენა აღსანიშნავი:

1. ზმნის ფუძის შეცვლა, როცა დამატება მრავლობითშია: „წაასხი ჩვენი ჯორ-აქლემები... ისინი შენ ცოლად დაისხიო... ირემი ჩაყარეს ქვაბში“... (იხ. ქვ.).

2. შემასმენლის შეთანხმება ქვემდებარესთან აზრის მიხედვით: „ხალხი წვანან... ირემი ჩაყარეს ქვაბში (იგულისხმება ნაჭრები)... სამმა ყაჩაღმა მამიტაცეს შინიდამ... ჭამეს ირემი ყველამ... ჯოხმაც და თოკმაც თავი გაანებეს ... მოიდნენ ქოროლლი თავის ამხანაგებით“...

აზრის-შინაარსის მიმძღავრება ფორმაზე განსაკუთრებით თვალსაჩინოა ფრაზაში: „შაჭამეს ცოლ-ქმართ... ცოლ-ქმარნი გალალეს“: **ცოლ-ქმარი** გაგებულია მრავლობითად; ეს წარმოდგენა შესაძლებლობას ბადებს შინაარსით „მრავლობითმა“ სიტყვამ შესაფერისი ფორმაც მიიღოს, მრავლობითის დაბოლოება გაუჩნდეს: მივიღეთ: **ცოლ-ქმარნი**... ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე სიტყვაში: **სასაფლაოები**: „შენ სასაფლაოებზე წადიო... სასაფლაოებთან მივიდა“... **სასაფლაო** ჰგულისხმობს მრავალ საფლავს, იგი კრებითი სიტყვაა; და აზრის ტენდენციას ემორჩილება ენა, როცა სიმრავლის აღმნიშვნელ სიტყვას მრავლობითი რიცხვის დაბოლოებით ამკობს. ენობრივი მომენტი აქაც დაძლეულია აზრის მომენტის მიერ.

3. თავისებურია რთული შემასმენლის სახელადი ნაწილის ქვემდებარესთან შეთანხმება რიცხვში; მაგალითად: „დაგწყევლისო: ცოდვანი ვართო (უნდა ყოფილიყო: ცოდვა ვართო)... მოიდნენ დევები, არიან დაღონებულები... დევები გახდნენ დაღონებულები ძალიან“... შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ძველს ქართულში წრფელობითს ბრუნვაში იყო, თანამედროვე სამწერლობოში — სახელობითშია; ორსავე შემთხვევაში არ ეთანხმება რიცხვში ქვემდებარეს: ამდენადვე გარე-კახურის მაგალითები ფრიად საგულისხმოა: იგი მოასწავებს, რომ სახელადმა ნაწილმა შედარებით წინანდელ მდგომარეობასთან გაითავისუფლა თავი; მას საშუალება აქვს დამოუკიდებლად შეუფარდდეს ქვემდებარეს რიცხვში, და ეს კი ნიშნავს, რომ შედგენილი შემასმენლის მთლიანობა ირღვევა...

4. აღნიშვნის ღირსია ერთი მაგალითი, სადაც დამატების როლს მთელი „ფრაზა“ ასრულებს: „ახლა ჩაკიდა იმან ყლაპი ხარ ყლუპი არა ხარ“... ეს არ არის დამატებითი დამოკიდებული წინადადება, არამედ მხოლოდ დამატება; დამატებად (მისი გამოვლენა შესაძლო გახდა, რაკი მთელი გამოთქმა „ყლაპი ხარ ყლუპი არა ხარ“ საკუთარი სახელია (ზღაპრის გმირისა); მაგრამ ეს სახელი ორი წინადადებისგან შედგება, პირვანდელი ფორმა ყველა შემადგენელ ნაწილებს შეუნახავს და ამიტომაც არის საყურადღებო მისი გამოსვლა დამატების როლში.

5. საშუალო გვარის ზმნებთან ქვემდებარის დასმა მოთხრობითს ბრუნვაში ანალოგიურ წარმოებასთან დაკავშირებით იყო გათვალისწინებული (გვ.) და აქ მას არ დავუბრუნდებით.

სხვა სახის სინტაქსურ მოვლენებში თვალსაჩინოა:

1. ორმაგი უარყოფის ხმარება ერთმაგის გვერდით: მას იწვევს სურვილი უარყოფის გაინტენსივებისა: მაშასადამე, ფსიქოლოგიური მომენტი¹; მაგალითები: 1. **ერთმაგი უარყოფისა:** „იმაზე მეტი არავინ ჰყავთ... მთვლიდა, ხო არაფერი დააკლდაო... აღარც მოსულა და აღარც რაო; ველარას უშველიან“... 2. **ორმაგი უარყოფისა:** „სხვა ვერვინ ვერ აგიყვანსო... ხმა არვინ არ გასცა, არც გლიმი, არც სალამი მისცეს, არც არაფერი, არც კაცმა, არც დედაკაცმა და არც არავინ... არავინ არ იყო... ვერავინ ვერ ნახა“...

2. ჩვეულებრივია გამოთქმები: „ურემი წავიღე, ურემი მოიტანე (მე)“... გვაქვს ფრაზა: „მიუტანეს ფაიტონი და ცხენები“...

3. დავპატიჟე ზმნა მოითხოვს მიცემითს ბრუნვას და არა სახელობითს: მაგალითად: „დაპატიჟეს ხალხსა... მოდი, ერთი ხემწიფეს დავპატიჟოთო... აბა ერთი ჩემს ცოლსა დავპატიჟოთო“...

4. ეშინია ზმნა მოითხოვს ნათესაობითს **-გან** თანდებულით; ესევეა მთიულურში, ფერედნულში; ყველგან საქმე გვაქვს არქაულ კონსტრუქციასთან: ძველს ქართულში ეს ზმნა მხოლოდ ასეთ სინტაქსურ შეხამებას ეგუება; მაგალითად: „არა შევმინდები სიტყუათაგან შენთა“ (სვანური მანუსკრიპტი, უნივერსიტ. სიძველ.-საცავის ხელნაწერი, №19, გვ. 194 v.)... „არცა პირისაგან მთავართაჲსა მეშინის“ (იქვე, გვ. 355 r.)... „ცნა ოწ ვდ ფდ შეშინდა მისგწ“ (იქვე, გვ. 399 v.) და ეს ბუნებრივია: აქ ხომ ენით ნაწარმოები ვნებითი გვაქვს, და ზმნა მოითხოვს ნათესაობითს **-გან** თანდ-

¹ ორმაგი უარყოფის საკითხი ქართულში სამწერლობო ენის მასალების მიხედვით ისტორიულად და თანამედროვე ცოცხალ კილო-თქმათა მასალების გამოყენებით გრცლად გაშუქებულია ვარ. თოფურიას წერილში: „ორმაგი უარყოფა ქართულში“, იხ. „ქართ. საენათმეცნ. საზოგად. წელიწადეული“, ტ. I-II, ტფილისი, 1925, გვ. 74-117.

ბულით ისევე, როგორც ზმნები: ეს მა მას იგი მისგან, ე ბ რ ძ ა ნ ა მას იგი მისგან... ე კ რ ძ ა ლ ა მას იგი მისგან... და სხვა. მაგალითები გარე-კახურიდან: „შიში არა გვჭონდეს არაფრისაგანაო... გეშინოდეს ამისგანაო... ცხვარსა ძალისგან ეშინია, მგლისაგან ეშინია, ბალახი რომ არის, იმისგანაც ეშინია... ღობტურისგან ეშინია (ბავშს) ძრიან“.. და სხვა.

5. მსგავსი კონსტრუქცია აქვს **რცხვენია** ზმნას, მაგალითად: „მე კი მრცხვენოდა დედაკაცებისაგან და იმას კი უხაროდა“... შეიძლება ესეც არქაიზმი იყოს; ყოველ შემთხვევაში ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ჯევესურული, სადაც ეს ზმნა აგრეთვე ნათესაობითს მოითხოვს **-გან** თანდებულობით: „შდრ. „ქალს ტიტველი გულ-მუცლებისგან რცხვენია ხალხში“...¹

6. არქაულ **-მცა** ნაწილაკს შერჩენილი აქვს თავისი სინტაქსური ძალა ფრაზაში: „შენამც ჩაგვარდნია, ცხრა მთას უკან ცხრა დევი რომ არის, იმათი დის სიყვარულიო“. **-მცა** ნაწილაკის სინტაქსური ფუნქცია იმაში გამოიხატება, რომ მოთხრობითი კილოს ამა თუ იმ დროს სათანადო კონდიტცივის შინაარსს აძლევს². ჩვენს შემთხვევაში **-მცა** თავის ფუნქციას ასრულებს: „შენამც ჩაგვარდნია... სიყვარული“ = შენ ჩაგივარდეს... სიყვარული. ყურადღებას იქცევს მხოლოდ „ჩაგვარდნია“ — იგი ნამყო სრულ მეორეშია დასმული ნამყო სრული პირველის ნაცვლად, როგორც იქნებოდა, ძველს ქართულში რომ ყოფილიყო („შენამც ჩაგივარდა“...); მაგრამ ამ ფორმის ხმარება ნამყო სრული პირველის მაგივრად ხალხში ჩვეულებრივია: „პური მიჭამია“, „საქმე გამიკეთებია“...³ და მაგვარი გამოთქმები ხშირად იხმარება: „პური ვჭამე“, „საქმე გავაკეთე“-ს ნაცვლად.

7. სისტემატურად იხმარება გამოთქმები, როგორცაა: „შაქარა მოდის — ეგეც თავის ურემია... ვასუა და თავისი ძმა ჩხუბობდნენ... გაავდარდება?! ვინ იცის, თავისი ნებაა. ყმაწვილი ვისია? — ვისია და თავისია, კაცო!.. თავის ნება როდია... ქუდი ვისია? — ვისია და თავისია!..“. თანამედროვე სამწერლობო ქართული ასეთ შემთხვევაში **„მის“**-სიტყვას იხმარდა: „შაქარა მოდის, ეგეც მისი ურემია... ვასუა და მისი ძმა ჩხუბობდნენ...“ და სხვა. ძველს ქართულში ამ მხრივ ერთგვარობა არ არის: იხმარება როგორც **„თავისი“** (= თვისი), ისე **„მისი“**. „თავისი“ მსგავს შემთხვევებში იხმარება მთიულურში, ფერეიდნულში, მგონი ქიზიყურშიც. **„მისი“**

¹ ბეს. გაბუური, „ვეესურული მასალები“, პროფ. ა. შანიძის რედაქციით, იხ. „ქართ. საენათმეცნ. საზოგ. წელიწდეული“, ტ. I-II, ტფილ. 1925, გვ. 216, შნშგ. 1.

² იხ. ამის შესახებ: ა. შანიძე: „-მცა ნაწილაკი ძველს ქართულში“, „პრომეთე“, №1, ტფილ. 1918 წ.

³ საინტერესოა ის მნიშვნელობის ნაუხანსი, რომელიც ამ ფორმას ასეთ შემთხვევებში თან ახლავს; ამ ორი დროის შენაცვლების შესაძლებლობაც საგულისხმოა თითოეული მათგანის შინაარსის გასარკვევად...

და „თავისი“-ს შორის გარკვეული ფსიქოლოგიური განსხვავება არსებობს: ორივე აღნიშნავს საგნის განკუთვნებას მფლობელისადმი, მხოლოდ სხვადასხვანაირად: პირველში, -**მისი**, — საორიენტაციო პუნქტი მეტყველია; ამ პუნქტიდან რისიმე მფლობელი აღინიშნება მესამე პირის ნაცვალსახელით: **იგი**; საგნის განკუთვნება ამ თვალსაზრისით ხდება: ესა და ეს იმისაო. მეორეში კი, -**თავისი**, — მეტყველი, როგორც საორიენტაციო პუნქტი არა ჩანს: მეტყველება მფლობელის თვალსაზრისით აშუქებს სინამდვილეს და აღნუსხავს: ესა და ეს თავისია, ე. ი. მფლობელისააო.

ჩვენი ყურადღების გარეშე რჩება სემასიური მოვლენები; იგინი მეტად საინტერესო არიან, მაგრამ უწინარესად არა როგორც დიალექტიზმი, არამედ ზოგადად, წარმოდგენათა ისტორიული ყოფა-ცხოვრების გასათვალისწინებლად. რამდენადაც კერძო სადიალექტო თავისებურებანი იჩენენ მათში თავს, იმდენად იგინი უკვე ლექსიკის სფეროს განეკუთვნებიან და ჩვენი ახლანდელი მიმოხილვის საგანს არ შეადგენენ; მათ შევხებით მაშინ, როცა მთიულურისა და გარე-კახურის ურთიერთობაზე, ერთის მხრით, გარე-კახურისა და ფერეიდნულისაზე, მეორეს მხრით, მიდგება საქმე; ამის შესახებ მთიულურისა და ფერეიდნულის მიმოხილვაში.

დასასრულ, გარე-კახურის მეტყველების ნიმუშად მოგვყავს სამი ზღაპარი.

1. ობოლი და ქოსა.

იყო და არა იყო რა, ხთის უკეთესი რა იქნებოდა? იყვნენ ერთი ობოლი და ქოსა. შაიყარნენ წისქვილში ერთად. მაილაპარაკეს; პური ჰშიოდათ ძრიან და მოდი ერთი ხმიანდი¹ გამოაცხოთო. ქოსამ უთხრა, რომ — აო ცომი ჩემი იყოსო და საფანელი² შენიო. ქოსამ თავიდან (?) ამოიღო ერთი პატარა გუნდა, ზილა, ზილა ობლისა და გამოიყვანა ობლისა დიდი ხმიანდი. გამოაცხეს ხმიანდი და ამოიღეს ცეცხლიდან: გაბლერტეს და მიაყუდეს კედელზე. მიაყუდეს და უთხრეს ერთმანეთს: „თითო ტყუილი ვთქოთო და ვინც კაი ტყუილი თქოსო, ხმიანდი იმას დარჩესო“. ობოლმა უთხრა ქოსას: „აბა ახლა შენა თქვი ტყუილიო“.

ქოსამ უთხრა, — ქოსამ დაიწყო ტყუილი რა! — მამაჩემს შვიდი ბატი ჰყვანდა და აღზევანში წავიდა მარილზეო და შვიდი ბატიმთვინ აეკიდნა მარილიო. წამოსულიყო; ერთ ალაგას ბატები საძუარზე გაეშვაო, და პური საჭმელად დაესვენებიაო. ერთი ბატი მგელს დეეჭირნა და გვერდები გემეჭამნაო. დარჩა მამაჩემი დაღონებული, რომ ერთი ბატის საპალნე ვის აკვიდო, ვის წავადებინოო. დაჯდა, იფიქრა მამაჩემმა... მემრე

¹ „ხმიანდი — აუფუვარი პური“.

² „საფანელი — მოსაზელი ფქვილი“.

გამოჭრა ერთი წნელი და ბატს გამოუხლართა გვერდებში და აჰკიდა იმ ბატს თავის საპალნე, სახში მათანინა იმ ბატს თავის საპანე.. მოიდა სახლშიო... და ეხლა ქოსამ უთხრა ობოლს: „შენა თქვიო!“

ეხლა დაიწყო ობოლმა: „მამა ჩემსაო ბევრი ფუტკარი ჰყვანდაო; დილითაო, მიდიოდა ის ფუტკარიო, მთვლიდაო და საღამოთი მოდიოდაო, მთვლიდაო: ხო არაფერი დააკლდაო. ერთ დროსაო, რო მოიდა ფუტკარი, დათვალა, ერთი ფუტკარი დააკლდა... წავიდა მამაჩემი, ეძება, ეძება... ის ფუტკარი დევეჭირნათ და გუთანში შეებათო. გემევეშო ის ფუტკარი (მამაჩემს)¹; დასიებოდაო კისერიო ძალიან უდიურათ²; მამაჩემმა გაუჩრა იმ ფუტკარს კისერიო; იმ ფუტკარის კისერზე ამოიდა ერთი დიდი კაკალიო, იმაზე შამოჭდა ფრინველიო და იმ კაკალსა სჭამდაო. მამაჩემმა ერთი ბელტი წამოუსვაო და იმ კაკლი კენძერზე სამი დესეტინა მიწა გაიმართაო... ვხნამდით, ვთესამდით იმ კაკლი კენწერზედაო... ყანა გვედგაო... ერთ დროს მუშა წავასხითო და ყანას ვმკიდითო კაკლის კენწერზედ(ა)ო. ზაკუშობამდი ყანა მკეს მუშებმაო და მერე მამაჩემმა უთხრა მუშებსაო: „თქვენ პური ჭამეთო და ერთი ყანას შამოუვლიო“. მამაჩემმა ნამგალი თან გაიყოლა ხელშიო. ყანას რო შემოუარა, ყანიდამ ერთი კურდღელი გამუარდაო... წამოუსო მამა ჩემმა იმ კურდღელს ნამგალი და ნამგალი (ფეხში) შეერჭო. დარბის ის კურდღელი ყანაშია; სანამ მუშები ჭამენ, იმ კურდღელმა ყანა სულ მომკოო. მუშებმა პური ჭამეს, ადგენ, ააკრეს ძნაო და წამოიდნენ შინაო. მემრე დაწერა ობოლმა ერთი ქალაღი და დააგლო ძირს. ქოსამ აიღო და მიაწოდა ობოლს: „აბა, ობოლო, ეს ქალაღი წაიკითხეო! რა მწერია შიგო?“ წაიკითხა ობოლმა და უთხრა რო: „ქოსას ნეხვი და ობოლს კვერიო“... და დაინარჩომა ობოლმა კვერი.

გიორგი სამუნაშვილი, 30 წლისა, (ნასალდათარი)
სოფ. მარიამ-ჯვარი

2. ნაცარქექია³.

იყო და არა იყო რა! იყო ერთი ნაცარ-ქექია. ჰყავ იმას ცოლი ლამაზი; სუ ერთავად ნაცარს ქექავს, ცოლს თავს ვერ ანებებს. ამ ცოლს რო მეეწყინა, ბურთი კარში გაუკრა და გაგზავნა კარში: აღარ შაუშო შინ. მემრე რო მეეწყინა (ნაცარ-ქექიას) და უთხრა ცოლსა: „მაინც შინ აღარ მი-

¹ ფრჩხილებში ჩასმულია ჩვენ მიერ აზრის ნათელსაყოფად ჩამატებული სიტყვები.

² „ძრინ რო დაიკისრებოდა, საბოლოოთ არ შამებოდა უღელში“.

³ მოგვყავს ეს ზღაპარი იმ წმინდა ენათმეცნიერული ინტერესის გამო, რომელიც მას აქვს. ვერავითარ სხვა მოთხოვნის მას ვერ წაუყენებთ... **ა. ჩ.**

„ობო; ერთი კვერცხი მამაწოდო და ერთი გუდა ნაცარიო!“ მამაწოდა...
წავიდა...

ერთ ალაგას ერთ წყლი პირას ცხრა ძმანი დევებია; იმათ გაუამხანაგდათ, ძმათ შავიდა იმათთან. მემრე უთხრა რო: აბაო, ვინცაო ქვას წყალს ვერ გაადენსო, იმან აიკიდოს კაცი და გაიყვანოს წყალში(ო). იმ ამხანაგ ქვად მისცა, თითონ კვერცხი უჭირამ და ქვათ ატყუებს იმას! იმან ქვას წყალი ვერ გაადინა, ნაცარ-ქექიამ კვერცხს წყალი გაადინა... იმათ ეუბნებათ, ძმებს ეუბნებათ, ის დევი: „ეს ისეთი ღონიერი მოიყვანეო (მე), რომ ქვას წყალი გაადინაო!“.

ერთი ღორი ჰყავ გარეული, გადაკიდებული იმ ცხრა ძმათ და ვერ მოკლეს, ძრიან ეშინიათ იმათ! წავიდნენ ცხრანი ერთ მხარეს, და ის ნაცარქექია მარტოკა ცალ ხარეზე წავიდა, საითაჲ ღორია!.. წავიდა ის ღორი ჰყვილით, რო უნდა ეშვის ქნევით მოკლას ნაცარქექია და შაჭამოს. იმის ჰყვილმა ნაცარქექია ერთ წიფელზე შეაგდო. ემ კაცს ეცვალა ფერი, რო ი ღორი შეახტა და კბილით დეეკიდა. ჩამოიდა ნაცარქექია მემრე და ხანჯლით მოკლა ღორი.

ჩამაგდო ძირსა და დაუძახათ იმათ; რო მოიდნენ, მემრე უთხრა: „ემის კაცები ხართო, ეს ვერ მოკალითო?! ერთი სილა ვკარიო და სადა სწყვიტაო, მემრე მივაშველე ხანჯალიო და მოვკალიო!“ — იმათ ატყუებთ, ამხანაგებთ!.. ატყუებთ იმათ და მემრე უთხრა: „ე ღორიო ცხრათ გაგჭრათო თუ ათათაო, რო წავიღოთ ბინაშიო? — აიკიდეთ და წაიღეთ! მე დაღლილი ვარო, თორე მე წავიღებდიო! თუ არ შეგრცხვებათ, მე წავიღებო!“ აჰკიდა ერთს და წაადებინა.

მიიტანეს შინ; ლამაზათ პური აჭამეს ნაცარქექიას... მემრე უთხრათ იმათ: „შინ უნდა წავიდეო!“... მემრე წავიდა და ხემწიფეს უთხრა: „დევები ჯავრი გჭირო, რას მომცემო, რომ ისინი გადავაბა და მოგილალო(ო), რას მომცემ საჩუქრათაო“. ხემწიფემ უთხრა: „თუ იმათ მომილალო, იმოდენა ფულ მოგცემ, რომ სიკვდილამდი გეყოსო!“ უთხრა ხელმწიფესა: „შენ ისეთი თოკი მომეციო, რომ ცხრანივე ერთ თოკში გადავაბაო!“ მემრე მივიდა დევებთან და უთხრა „დადექითო და ერთი თოკით ხელები უკან შაიკართო, უნდა წაგასხაყო ხელმწიფეთან(ა)ო!“ შაკვრევიანა ხელები, მათყუა და მუულალა ხელმწიფეს. აჩუქა ხელმწიფემ ბევრი ფული, წამოიდა ნაცარქექია, მოიდა შინ და იცხოვრა თავითვინ! იშოვნა თავი ტყუილობით სარდო!

გათავდა!

შაქრო მექვევრიშვილი, 35-მდე წლისა

სოფ. ანთოკი

3. * *

იყო და არა იყო რა! ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი ხემ-
წიფე. იმათ შვილი არაფერად¹. გაგზავნეს აქეთ-იქით ეზირ-ვეზირი —
ესე რო სალდათები, რა! დახვდათ ერთი საწყალი კაცი. მემრე ამ კაცმა
ჰკითხა ამ ეზირ-ვეზირებს: „საით მიხვალთ, როგორ არი თქვენი საქმე?“
იმათ სიტყვა არ გამოუჩინეს, იმ ეზირ-ვეზირებმა. მაინც გაიგო იმ საწყალ-
მა კაცმა, რითვინაც იყვნენ გაგზავნილები: „თქვენაო შვილოსნობი წა-
მლითვინა ხართ წამოსულიო. ერთი ვაშლი დგა არხი პირზე; ერთი წითე-
ლი ვაშლი აბიაო, ერთი თეთრი; თეთრს შეჭამს, თეთრი შვილი გაუჩნდე-
ბაო, წითელს შეჭამს, წითელი შვილი გაუჩნდებაო“.

მემრე გაქანდა ერთი ცეტი² ვეზირი, მოწყვიტა, თეთრი ხელში დაი-
ჭირა, წითელი წყალმა წაიღო. მოუტანა ხელმწიფეს ეს თეთრი ვაშლი; გა-
სჭრეს(!) შუაზე; შაჭამეს ცოლ-ქმართ. მერე გაუჩნდათ თეთრი შვილი; დაუ-
ძახეს სახელი დომტოლი. მერე ის წითელი ვაშლი ერთმა მეწისქვილი
ცოლმა შაჭამა. ისინიც უშვილოები იყვნენ, გააჭრეს(!) შუაზე, შეჭამეს;
ეყოლათ წითელი შვილი; დაუძახეს სახელი ქოროლი.

ვისაც წლით ემატებოდა, იმათ დლით ემატებოდათ, იმ ბიჭებს. ხემ-
წიფე წავიდა სანადიროთ; დაინახა ის წითელი შვილი; იმ მეწისქვილეს
უთხრა: „შენ ვინ მოგცა ეგ წითელი შვილი, შენ უშვილო იყავო“. წაართო
და წამოიყვანა შინ, სახლში.

იმ ბიჭებმა გავიდენ კალოზე; ნარდი-კოჭობას თამაშობენ, — აი,
ბურთაობა რო იციან ბავშვებმა! — ერთმა ბებერმა³ ამოიარა, წყალზე მი-
დიოდა; უთხრა დომტოლიმ რომა, ქოროლიო, კენჭ ვესვრი, კოკაა გაუ-
ტეხამო, — ერთი ფოთოლი გათავდა?! ე! შე ოხერო წავლაო!⁴, — იმ ძმამ
უთხრა, ქოროლიმ, არაო, დაგწყევლისო, ცოდვანი ვართო!“ არ დაიშა-
ლა, ესროლა კენჭი და კოკა გაუტეხა; იმ ბებერმა უთხრა: „დაგწყევლო,
როგორ არ დაგწყევლო, შენამც ჩავგარდნია ცხრა მთას უკან ცხრა დევი
რო არის, იმათი დის სიყვარულიო“.

ის ბიჭი იქვე გახდა ავათ და ნასლინკით მაიტანეს შინ. მოღალეს
დოხტურები და ვერ მაარჩინეს ის ბიჭი. ისევ იმ ბებერმა იკისრა მორჩენა
იმ ბიჭისა. უთხრა იმ ბებერმა, რომაო ერთი ქილა ერბო მომიტანეთო, ერ-
თი თეთრი პურიო! ერთი ხელადა ღვინოო“. პური გატეხა: „პურო,
თერთრი ხარ, თერთრი ხარ, მაგრამ ცხრა მთას უკან რომ ცხრა დევის და

¹ მომთხრობს მეტად ეჩქარებოდა და ცდილობდა მალე გაეთავებინა; ლოდიკური
ნახტომები გადმონაცემში ამით აიხსნება.

² „ცეტი — უჭკუო“.

³ ბებერი = დედაბერი.

⁴ ეს ლირიკული წიაღსვლა ჩაწერას შეეხება.

არის, იმითანა არა ხარო“. მემრე ამააწო ერბოს პური და თქო: „ერბო! ყვითელი ხარ, ყვითელი ხარ, მაგრამ ცხრა მთას უკან ცხრა დევის და რომ არის, იმითანა ვერა ხარო!“ ახლა ღვინო დაასხა: „ღვინო! წითელი ხარ, წითელი ხარ, მაგრამ ცხრა მთას უკან ცხრა დევი და (რომ) არის, იმითანა მაინც ვერა ხარო!“ მემრე ის ბიჭი გახდა კარგათ, წინეთ რო იყო, ისე გახდა სალლამათი, — კარგათ რა! ქოროლლიმ უთხრა მამას: „მამო! ისეთი შვილდ-ისარი უნდა გამიკეთოო, მე ვერ გავტეხოო, ვერ მოვხაროო!“ მემრე წავიდა, გააკეთებინა მამამ ორმოცდაათფუთიანი შვილდ-ისარი, მოიტანა, მოაწია და ცოტათ მოჰხარა. უთხრა რომა: „ეს გატყდება მალეო!“ წავიდა მამა და გააკეთებინა ოთხმოცდაათფუთიანი შვილდ-ისარი... — „ამას არა უშავ რაო!“ ჩემემშვიდობნენ დედ-მამას, გზას გაუდგენენ, — თავის ძმები, რა: — ქოროლლი და დოატოლლი.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, იბო(ვ)ნეს იმ დევის სახლი. ქალმა დაუძახა: სამტროთ მოდინხართ თუ სამოყვროთაო?“ — „სამტრო რა გვაქ, სამოყვროთ მოვდივართო!“ მივიდნენ და იმ ქალმა დაარიგა (ერთი თმა ამაიძრო და ხელში მიიღვა ქოროლლის!): „ჩემი ძმები მოვლენო. სანთლი ცულ მოგცემენ, რკინი კუნძ მოგიგდებენო; პური წყლი ქვებს მოგცემენ, ხეზე აგაგზავნიანო! ეს თმა დაადე იმ რკინი კუნძსაო და უთხარო: „გასკდი, თორო დაგკრამო! ოთხად გასკდებაო!...“ ერთი პური წყლი ქვებს (დაგადგმენ) თავზე (წყლით სავსეს) და ხეზე აგაგზავნიან: თუ ერთი წვეთი ჩამოვარდა, შავჭამენ ჩემი ძმებიო!“ მოიდნენ დევები. სანთლი ცული მისცეს და რკინის კუნძი მიუგდეს; დაუდო თმა, დაუქნია ცული და უთხრა: „გასკდი, თორემ დაგკრამო!“ — ის რკინა ოთხათ გასკდა. მერე აგაგზავნეს ხეზე; დაადგეს პური წყლის ქვაბი წყლით სამსე. ავიდა ხეზე; დაინახა დედ-მამის საბძანებელი, შავი აქ ჩამოფარებული; ცრემლი ჩამოვარდა, რო დაინახა თავი დედ-მამის საბძანებელი. დევებმა უთხრეს, რომა წვეთი ჩამოვარდაო და უნდა შავჭამოთო. მაიყვანეს მეცრემლე და გაშიჩქეს. ცრემლი იყო. ჩამოიდა ის ბიჭი, დანიშნა ის ქალი — დოატოლლიმ. გათენდა მეორე დილა; სანადიროთ წავიდნენ და ქალს უთხრეს: „ყველა ოთახებში შახედე ის შენი ქმარიო და იმ ოთახში არ შახედოო, საცა ის დევი-აო დამბული ჯაჭვითა“. — დევი იყო რა გადაკიდებული იმ ქალზე: უნდა მეეტაცნა! — ყველა ოთახებში შახედეს; — „ამ ოთახში არ იქნება შახედვაო!“ ბიჭმა არ დაუჯერა. შახედეს იმ ოთახში, რომელშიაც დევი ება. უთხრა იმ დევემა: „წყალი შამამიტანეო!“ შუტანა წყალი, და დალია და დაისუნთქა, და ის ბიჭი კოჭებში გაიჭედა. აწყვიტა ჯაჭვი და წაიყვანა ი ქალი იმ დევემა.

ძმამ ქოროლლიმ გაიგო ტყეშია, სანადიროდ რომ იყვნენ, რომ რაცლა ამბავი მოხდა ჩვენს სახლშიო. მოიდა ის ბიჭი, დაიარა სახლი და თვისი ძმა დაინახა, რო მაღლა კოჭებშია გაჭედლილი! ჩამაიყვანა თავი ძმა,

და მერე მოიდენ ის დევები, არიან დაღონებულები! გათენდა მეორე დილა და უთხრა, ქოროლლიმ, რომო ეს ჩემი ძმა შამინახეთო! ცხრა თვე, ცხრა კვირა, ცხრა დღე, ცხრა ნიმუთი და ცხრა საათი მამიცადეთო! თუ არ მოიღე ამ ხანშია, ჩემი ძმა შაჭამეთო!“

გააწია, გამაემშვიდობა და წავიდა ის ბიჭი. გააწია, იარა, იარა და ნახა, რომ ერთი კაცი ხნამს და რამდენი ბელტიც გადაბრუნდება, სულ ყლაპამს. „ბიჭო, ეს რასა შვრებო?“ — „ქოროლლიმო სანთლი ცულით რკინის კუნძი დახეთქაო!“ უთხრა, რომო „მეც შენი ძმა უნდა ვიყოო!“ გზაზე წავიდნენ ისევ ისე თავი რძლი მოსანახათ.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ნახეს ერთი კაცი წყალს დააწაფებია, არხს: „ყლაპი ხარ, ყლუბი არა ხარო და ყლუბი ხარ, ყლაპი არა ხარო!“ მემრე ქოროლლიმ უთხრა: „რას შვრებო, კაცო? მაგოდენა წყალი როგო უნა დადილიო?“ იმან უთხრა: „ეს რა არიო?! ქოროლლიმ სანთლი ცულითო რკინის კუნძი დახეთქაო!“ — „მე ვარ ის ქოროლიო!“ — „მეც შენი ძმა უნდა ვიყოო!“ — სამნი გახდნენ.

წავიდნენ. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ნახეს, ერთ კაცს წისქვილი ქვები შაუბამ და კურდღლებსა იჭერდა. ქოროლლიმ უთხრა: „ეს რას შვრებო?“ იმათ უთხრა: „ეს რა არიო, ქოროლლიმო სანთლი ცულითო რკინის კუნძი დახეთქაო!“ — „მე ვარ ის ქოროლიო!“ — „მეც შენი ძმა უნდა ვიყოო!“ — ადგნენ და წავიდნენ, — ოთხი გახდნენ, — გზაზე. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ნახეს, ერთ ტერტერას საყდარი წამოუკიდნია, საცა გორა მათწონება, გაიტანს და ლოცულობს. ქოროლლიმ უთხრა: „ცე, რას შვრებო?“ — „ეს რა არიო! ქოროლლიმო სანთლი ცულითო რკინი კუნძი დახეთქაო!“ — „მე ვარ ის ქოროლიო!“ — „მეც შენი ძმა უნდა ვიყოო!“ — გააწიეს და წავიდნენ გზაზე. — „სად იწავლე, ბიჭო“¹ —

მერე ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ნახეს, ერთ კოშკში ბოლი ამოდის; ძალიან მშვივრები არიან, ერთი ირემი მოკლეს, ჩაყარეს ქვაბში, ხარშამენ... ბელტიყლაპია დაუყენეს, თვითონ სანადიროდ წავიდნენ. ქოროლლიმ დაარია ბელტიყლაპია, რო აქედანო დევი ამოაო; რამდენიც გითხრას, ჩამოყარეო (ხორცი), იმდენი ქაფი ჩაასხიო. ამოიდა დევი, უთხრა: „ჩამოყარეო, თორე ამოალ და შენც შეგჭამო და მაგასაცაო!“ აილო და ჩაასხა ხორცი წვინანათ. ცარიელი ქვაბი დადგა. მოიდნენ ქოროლი თავის ახმანაგებით, მოიტანეს ირემი, ჩაყარეს ქვაბში; ყლაპი ხარ ყლუბი არა ხარ დაუყენეს: მზარეულათ დააყენა ქოროლლიმ! წავიდნენ ისევ ისე სანადიროთ; ის ბელტიყლაპია გაიყოლიეს თან... მერე იმასაც უთხრა, რომო, რო ამოიდეს დევიო, ქაფი ჩაასხი პირშიო! ამოიდა დევი, დაუძახა: „ჩამოყარე თორეო, ამოვალ, შენც შეგჭამო და მაგასაცაო!“ ადგა, აილო და ჩაუსხა

¹ დამსწრის რეპლიკაა ზღაპრის მომთხრობის მიმართ.

ხორციანათ. — მოიდნენ საღამოთი, ქვაბი ცარიელი დაფხვდათ. ჩაყარეს ახალი ირემი და დაუყენა ქვებ რომ დაარბენებდა და კურდღლებ რომ იჭერდა ის! იმანაც შედგა ქვაბი და ხარშამს. ისინიც სანადიროდ წავიდნენ. ამოიდა დევი, დაუძახა: „ჩამოყარეო თორე შენც შეგჭამო და მაგასაცაო!“ აილო და ჩაასხა იმანაც... მაიტანეს ახალი ირემი, ტერტერა დაუყენა და უთხრა, რომე, რომ ამოიდესო, ქაფი ჩაასხი ხოლმეო! ისინი სანადიროდ წავიდნენ ისევ ისე. ტერტერა უდგა ქვაბს. ამოიდა დევი და უთხრა, რომ: „ჩამოყარეო, თორე შენც შეგჭამო და იმასაცაო“. აილო და ჩაასხა იმანაც.

მოიდნენ, ჩაკუწეს, ირემი, დაუდგა ქოროლი და გაგზავნა სანადიროთ. მოსაქაფი რომ გახდა და ამოიდა დევი. უთხრა რომო „აილე, პატარა ბიჭო, და ჩამასხიო! თორე ამოალო, შენც შეგჭამო და მაგასაცაო!“ აილო მოქაფა და ქაფი ჩაასხა; კიდევ უთხრა: „ჩამასხი, თორემ ამოვალ, შენც შეგჭამ და მაგასაცო!“ კიდევ მოქაფა და ჩაასხა. წამოიდა ი დევი მალა და რომ უნა ის ბიჭიცა და ის ხორციცა შეჭამოს!.. ამოიდა; რომ განახევრდა სანარტყლემდი, ესროლა შვილდ-ისარი, აკუწა და ჩაყარა ისევ კოშკში.

მემრე ქალ გაუხარდა, რომ ჩემი მაზლი მოსულაო... მოიდნენ ცარიელები და ჭამეს ირემი ყველაყამ! გათენდა მეორე დილა და ჩაჰკიდა ქოროლიმ ბელტიყლაპია კოშკში: ცეცხლის ალი ამოდიოდა! ბელტიყლაპიამ დაიყვირა, დავიწვიო და ამაიყვანა ისევ ისე. ახლა ჩაჰკიდა ყლაპი ხარ ყლუბი არა ხარ... უთხრა იმანაც, დავიწვიო და ამაიყვანა ისევ ისე. მემრე წისქვილი ქვებს რომ დაარბენებდა, ახლა ის ჩაჰკიდა. იმანაც უთხრა, დავიწვიო; ამაიყვანა ისევ ისე. ახლა ტერტერა ჩაჰკიდა; იმანაც უთხრა, დავიწვიო, ამაიყვანა ისევ ისე. თითონ ჩეეკიდა. იმათ უთხრა, რომე: „რამთენი დავიძახო, დავიწვი, იმთენი ძირ ჩამიშვითო!“... ჩავიდა მემრე რძალთან. მერე ქალს უთხრა, რომ: „შენ წი მეებო, მე უკან მევემბებო!“ იმ ქალმა უთხრა: „არაო, გილალატებენო, შენ წინ მეემბი, მე უკან მევემბებო!“ ბიჭმა დაძალა და უკან მეება. მემრე აიყვანეს ქალი, ჩააჭრეს თოკი და ჩავარდა ბიჭი ისევ ისე. იმ ქალმა უთხრა: „ერთი-ორი სიტყვა მათქმევიენტო და მერე საცა გინდა წამიყვანეთო!“ მიბრუნდა და უთხრა ქოროლის: „ხომ გითხარ, რომა გილალატებენო! ჯერ ერთი ესო და მერე ისო, რომ სამი თხა გამაირბენსო: ერთი შავიო, ერთი თეთრიო და ერთი წითელიო. წითელ გადაალაჯებ, მალა დედამიწის ზურგზე ამაიყვანსო. შავზე გადაალაჯებ, გვერდ-გვერდ წავიყვანსო მიწაში, თეთრ გადააჯდებო, კიდევ ქვეშკნელს გაიყვანსო!“ იარა-იარა, ვერ დაიჭირა ის წითელი თხა, გადაალაჯა თეთრ თხას და ქვეშკნელს გაიყვანა.

წყლი ძვირობა იყო. ერთი ბებერი ვარცლში ჩაფსმას აპირობდა და პურის მოზელას. ბებერს უთხრა, რომო საწყლე არა გაქო? ერთი ნიტრა მისცა. „სხვა არა გაქ რაო?“ „არაო, მიწაშიაო, ქვევრის ჭურჭლები მიყრი-აო!“ ამაძრო ორი ქვევრი და წაილო წყალზე. მიიტანა; მაიტანა პური,

მოარეცხინა ვარცლი, გამააცხვეს პური და ჭამეს. იმ ბებერსა ჰკითხა, რომა აქ ისეთი არავინ არიო, რომ დედამიწის ზურგზე ამომიყვანოსო. იმან უთხრა, რომაო, ეგეთი არავინ არიო. ხვალ ხელმწიფემ ქალი უნა მაიყვანოსო, გველშაპმა უნა შაჭამოსო და ყველაყამ თითო კოკა წყალი უნა ავამსოთო! თუ გიშოვნის, ის გიშოვნის ვისმე, სხვა ვერავინ ვერ აგიყვანსო.

წავიდა, დაინახა, რო ლინეიკით მოყავთ ხელმწიფის ქალი; მივიდა, უთხრა: „შენ კალთაზე დავიძინებო, რო წამოიდესო ზევიდან გველშაპიო, სამი სიტყვა მითხარიო; თუ გავიგონე, გავიღვიძებ, თუ არა და სამი ისეთი სილა გამარტყი, სამი პირი ტყავი გამძვრესო!“

სამი სიტყვა უთხრა, ვერ გაიგონა; მერე ერთი სილა გაართყა, გაიღვიძა ქოროლიმ! ესროლა ისარი, მოკლა გველშაპი, შაქნები დააყენა ლეშისა! წავიდა ის ბიჭი, გაიხადა ტანისამოსი, ძველი ტანისამოსი ჩაიცვა, ჩაჯდა თონეში და ნაცარსადქეჭამს. იმ ქალმა უთხრა მამას... — მამამ უთხრა: „შვილო! ხალხი უნა შეეყაროო, რომელმაც მაკლა ის, ხელი დაადევო!“ — შაყარეს ხალხი, არავინ არ იყო, ვერ იპოვნა... აუარ-ჩაუარა იმ ქალმა, ვერავინ ვერ ნახა... ბოლოს უთხრა: „აღარავინ არიო, ერთი ბიჭი არიო, ნაცარსადქეჭამსო“.

„მოიყვანეო!“ — უთხრა მამამ. იმ ბიჭსა კურდღელი ჰყავ. მივა ი ქალი, უნდა ჩაუჯდეს კალთაშია, გამააჭყიტამს კურდღელი, გაქანდება ი ქალი... ქალმა უთხრა მამას: „ეს არიო, მაგრამ რაღაცა ჰყავ და მაშინებსო!“ უთხრა მამა: „დახუჭე თვალებიო და ჩაუჯექ კალთაშიო!“ „არაო“, — უთხრა ქოროლიმ, — „შენ დაო და მე ძმაო! ცოლ-ქმრობა არ იქნებაო!“ — აბა რა გინდაო“, ჰკითხა ხემწიფემ. „მე არაფერი არ მინდა, დედამიწაზე ამიყვანეო!“ უთხრა იმ ხემწიფემ: „მე ვერ აგიყვანო, აი ერთი ფაშკუნძი¹ არის, იმასა არწივი უჭამს შვილებსაო; იმას თუ მოუკლამ, აგიყვანს დედამიწის ზურგზედაო. თუ არადა, არაო!... მალლიდამ არწივი მოდის, ფაშკუნძი საჭმელზეა წასული: უნა შვილები დაუყლაპოს. დაუჭირა შვილდ-ისარი და მოკლა არწივი. ფაშკუნძი მოიდა და... ბუდე ქვეშა სძინამ იმ ბიჭს. მერე უნა შეეყლაპნა ი ბიჭი ფაშკუნძს, მაგრამ შვილებმა უთხრეს: „არა, არაო, არწივისაგან მაგან გადაგვარჩომაო!“ დაუქნია ფრთები და ჩირდილო დააყენა იმ ფაშკუნძმა. მერე გემეღვიძა იმ ბიჭსა. „რა გინდაო?“ — ჰკითხა ბიჭსა. „შენი არაფერი მინდაო, მალლა დედამიწის ზურგზე ამიყვანეო!“ — „წადიო, ხემწიფესაო ცხრა საპანე ღვინო გამართვიო, ცხრა კამეჩიო, ცხრა საცალო პურიო, მაიტანე, დამაწყე ზურგზედა და ზედ დაჯექო, რამთენიც ფთა დავიქნიოო, იმთენი კამეჩი ჩამიგდეო, იმთენი საცალო პური ჩამაყარეო, იმთენი საპანე ღვინო ჩამასხიო“.

დედამიწი ზურგ რო მიატანა, ხორცი დააკლდა, ხორცი გამაიჭრა და ჩაუგდო. აიყვანა მალლა დედამიწი ზურგზე და უთხრა. „გაიარეო!“ გაიარა და ჩაიკოჭლა. ამიძრო ერთი ბუმბული და უთხრა: „მისგ-მოისვიო და მო-

¹ „ფაშკუნძი — ფრინველია“.

გირჩებაო!“ მემრე უთხრა: „წადიო და ხეს მეეჭიდეო, მოახვიე ხელეზიო, რომ ჩემმა ქარმა ისევ უკან არ გადაგიტანოსო: მე უნა წავიდეო!“ წავიდა ისა, და ქოროლლი წამოიდა აქეთ. პატარა ბიჭები მღერიან გზაზე, გაიგონა:

„ჰალალ მე, დალალ მე!

ჩვენ ტერტერა ქორწილი აქო!“

ტერტერამ უნა ჯვარი დაიწეროს. იმან უთხრა: „რას ამბობთ, ქაჯანო!“ — „რა ვი ძიო, ერთმა ტერტერამ ჯვარი უნა დაიწეროსო“.

წავიდა ქოროლლი, მივიდა იქ, საცა ჯვარს იწერამდენ. პური ჭამაზე სხედან. მივიდა და უთხრა: „ცოტა პური მამეციტო, ღვინო მამეციტო, რო დავლოცო ნეფე-დედოფალიო!“

რო ჭამა პური, დაიძახა: „ფურსაო თუ ხარსაო?“ ქალმა დაიძახა: „ფურის რა ბრალია, ხარსაო!“ — დაუჭირა შვილდ-ისარი და მოკლა ტერტერა, გამაიყვანა ქალი.

ცხრა თვეც გავიდა, ცხრა დღეც, ცხრა საათიც, ცხრა ნიმუტი-ლაა! დანებსა ლესამენ დევეები: უნდა დაკლან ის ბიჭი, დოღტოლლი და შეჭამონ. გაისროლა ქოროლლიმ შვილ-დისარი, და ზედ იმათ რკინის კალოზე დაჯდა ისარი. მაიცადეს იმათ, არ დაკლეს ის ბიჭი, არ შეჭამეს.

მიიყვანა ქოროლლიმ ქალი, გადაიხადეს ქორწილი და ქალი დოღტოლლის დარჩა. გათავდა.

შაქრო ნარეკლიშვილი, 21 წლისა,
სოფ. ანთოკი

ARNOLD TSCHIKOBAWA

Gare-Kachetien in dialektologischer Hinsicht

(C r u n d t h e s e n u n d S c h l ü s s e)

I. Die Systematik der dialektischen Eigentümlichkeiten bildet die erste Stufe in der Forschung jeder beliebigen Mundart und sie ist entweder den grammatischen Kategorien nach denen die betreffenden Eigentümlichkeiten angehören oder auf Grund von Vorgängen, deren Ergebnisse sie bilden, durchzuführen.

Der Hauptvorzug der zweiten Art, nebst anderen, besteht darin, dass mit der Klassifikation der Eigentümlichkeiten auch ihre Erklärung, resp. gentische Beschreibung gegeben ist.

II. Das Verteilen der systematisierten Eigentümlichkeiten in Neologisme und Archaisme stellt die zweite und viel bedeutendere Stufe dar; es ermöglicht die gewonnenen Ergebnisse für die Erklärung der Tatsachen der betreffenden Sprachgeschichte zu verwerten.

Im allgemeinen waren wir leider gezwungen auf die Durchführung dieser These zu verzichten und nur ausnahmsweise konnten wir einiges dazu beitragen.

III. In der Fülle der Eigentümlichkeiten, die die Gare-Kachetische Mundart so reichhaltig im Gebiet des Laut-Wandels und -Wechsels, der Analogiebildung, der Morphologie und der Syntax kennzeichnen, wird man Folgendes als das Hauptsächlichste anerkennen:

a. Im Gebiet des Lautwandels: 1. die mit **w** (georg. ვ) in Verbindung stehenden Wandlungen: **wa** > **o**; **oa** > **ua**; **owe** > **oe** > **ue**; **aw** > **am** und **insbesondere die mit ausführlicher Gesetzmässigkeit durchgeführte: owi** > **oi**; 2. die Abschwächung des **S**-Lautes sowohl in der Wurzel, als auch in morphologischen Elementen; sie kommt in zwei Abstufungen vor: 1. statt **s-j** (georg. ო); 2. statt **S-O** (Null). Dieser Vorgang findet noch in der Gegenwart statt.

b. Im Gebiet der Morphologie und der Syntax: 1. den Gebrauch des **j** (georg. ი), als Subjektpräfix der 2. und Objektpräfix der 3. Person, wenn das Objekt mittels Dativ wiedergegeben ist; 2. den Gebrauch der Partikeln **-qe** || **-ke**, um durch den Dativ Pluralis (üblicher) oder durch den Nominativ Pluralis (seltener) wiedergegebene grammatische Objekte zu bezeichnen; 3. die Verwendung statt **-qe** || **-ke** des Subjektsuffix der 1. und 2. Person Pluralis **th** (georg. თ), (obwohl sie selten vorkommt).

IV. Von besonderer Wichtigkeit zur Frage der Stellung der Gare-Kachetischen Mundart unter anderen ost-georgischen ist: 1. die Abschwächung des **S**-Lautes; 2. die Wandlung **owi** > **oi** und 3. der Gebrauch von **-qe** || **-ke**.

ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენისათვის¹

1923 წელი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ქართველ-თმეტყველებისათვის: ქართული მწერლობის ხნიერობა თვალსაჩინოდ გაიზარდა, ქართული ენათმეცნიერების წინ ახალ პრობლემათა წყება გადაიშალა, და ზოგი ძველი საკითხი და მისი გადაწყვეტა ახალი გაშუქებით მოგვევლინა.

საქმე ეხება ეგრეთ წოდებულ ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებს; იგინი დაცულია პალიმფსესტებში; პირველთა აღმოჩენა ეკუთვნის პროფ. ივ. ჯავახიშვილს, მეორისა კი — პროფ. აკ. შანიძეს.

ჯერ კიდევ 1920 წელს თავის გამოკვლევაში „პრეფიქსები ქართულს ზმნებში“ პროფ. აკ. შანიძემ ქართული ზმნის სტრუქტურის ერთი ძირითადი და რთული თავისებურება გააშუქა. საკმაო ზედმიწევნობით გამოიკვია, რომ: 1) „ძველს სალიტერატურო ქართულში (იგულისხმება X-XI ს. სამწ. ენა ა. ჩ.) მესამე პირის დამატების აღსანიშნავად მიცემით დამატებიან ზმნას აქვს პრეფიქსი, რომლის ბგერითი სახე სხვადასხვა ფონეტიკური პირობების მიხედვით არის **ჰ(—) || ს(შ)** (იხ. „პრეფ. ქართ. ზმნ.“ გვ. 83) და 2) იმავე ძველ სალიტერატურო ქართულში მეორე პირის სუბიექტის გამოსახატავად ზმნას აქვს ისეთივე პრეფიქსი: **ჰ(—) || ს(შ)**; ესე იგი: ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა მიცემით დამატებიან ზმნებში ფონეტიკურად იგივეა, რაც სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა საზოგადოდ. — ორსავე შემთხვევაში **ამ პრეფიქსის ძირითადი სახე არის ჰაე; — ხმოვნების წინ იგი სრულიად იკარგვის, ხოლო თანხმოვანთა ერთი კატეგორიის ე. წ. მამის ბგერების წინ** (ჰ, ყ, ლ, ხ, კ, გ, ქ, ს, ზ, შ, ჟ, ნ, რ, ლ, ვ, მ, პ, ბ, ფ) **მას თავისი სახე შენარჩუნებული აქვს, ე. წ. დედის ბგერების წინ** (ტ, დ, თ, წ, ძ, ც, ჯ, ჭ, ჩ) **ასიმილაციის გამო გვევლინება სანის ან შინის სახით.**

პროფ. აკ. შანიძის იმავე გამოკვლევაში გათვალისწინებული იყო აგრეთვე ამ პრეფიქსის ვითარება კილოებში: პრეფიქსის ძირითად სახეებს და მათ ვარიაციებს კილოებმა შეჰმატეს: **ა, ხ, ჯ, ზ, ჟ.**

ყურადღება მიაქცია მკვლევარმა ფორმებს: „ხარ, ხუალ“; მათ შესახებ იგი წერს: „**ხანი**, როგორც სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა (ზმნებში: „ხარ, ხუალ“) ძირითადი კილოს კუთვნილება არ არის; იგი ნა-

¹ გამოქვეყნდა სამეცნიერო-პოპულარულ კრებულში „ჩვენი მეცნიერება“, №3-4 (15-16), ტფ. 1925, გვ. 65-84.

სესხები უნდა იყოს რომელიმე სხვა კილოსაგან, რომელსაც ხანის პრეფიქსად ხმარება ახასიათებდა ალბათ არა მარტო ორ ზმნაში, არამედ სხვა ზმნების უღვლილებათაშიც, საზოგადოდ“ (Op. cit. გვ. 130).

მანვე აღნიშნა, რომ მცხეთის ჯვრის საყდრის და ბოლნისის სიონის წარწერებში რომ გვხვდება ფორმები: 1) მეოხ ხეყავ (ჯვრის საყდ.) 2) შეხეწიე და 3) შეხუაბთ (ორი უკანასკნ. ბოლნის.), — ამათში მოცემულია ნაშთის სახით ხანი, როგორც ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა (ხმოვნის წინ). (იხ. „ნაშთები მესამე პირის ობიექტ. პრეფიქსი. ჯმარებისა ჯმოვნის წინ: ტფ. უნივერს. მოამბე, ტ. II, გვ. 262-281).

იმავე წერილში ავტორმა მოგვცა „ხერთვის“ სიტყვის ეტიმოლოგიური ანალიზი და ხანი მიიჩნია აგრეთვე ობიექტურ პრეფიქსად (ხ-ერთვის: იგი მას...).

„ყველა ეს ფორმები: ხარ, ხერთვის, ხეყავ, შეხეწიე და შეხუაბთ ერთიმეორეს მჯარს უჭერენ და ამყდავენ, რომ ერთსა და იმავე დიალექტურ წრეს ან კილოს ეკუთვნისო“, წერდა პროფ. ა. შანიძე 1922 წელს (იხ. ზემოხსენ. წერილი: ტფ. უნივერს. მოამბე, ტ. II, გვ. 281).

რამოდენისამე თვის შემდეგ კი 1923 წლის დამდეგს პროფ. ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა პალიმფსესტების რიგი, სადაც ამ ხანის ხმარებას უკვე სისტემატური ხასიათი აქვს, ხოლო იმავე გაზაფხულში პალიმფსესტების რევიზიისას პროფ. ა. შანიძე წააწყდა ჰაემეტობით დახასიათებულ ერთ ძეგლს¹.

ტერმინი „ხანმეტი“, „ჰაემეტი“ სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით ამ ძეგლების დაფასების ნაყოფია. პრეფიქსული ხანი თუნდაც მეცხრე-მეათე საუკუნის სამწერლობო ქართულის თვალსაზრისით უადგილოა, „მეტი“, აგრეთვე ჰაეც შემთხვევათა მთელს რიგში: ხმოვნების, „დედის“ ბგერების წინ და სხვ. (იხ. ქვ.).

„ხანმეტი“-ტერმინით ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში გიორგი მთაწმინდელი აღნიშნავდა ისეთ ძეგლებს, როგორებიც პროფ. ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა; ეს პირველად გამოარკვია პროფ. ა. შანიძემ (იხ. მისი „ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნეში“: ტფ. უნივერს. მოამბე, ტ. II, გვ. 398 შმდ.).

მოგვყავს ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების ნიმუშები:

| ხ ა ნ მ ე ტ ი : ...ნოჲ ოჲკოჲჲ ხზროჲნავთ და ხიტყჲთ რაჲ ვჰამოთ. ანოჲ რაჲ ვსოჲათ. ანოჲ რაჲ შევიმოსოთ. რ(ადმეთუ) ამას ყოველსა წარმართნი ხეძიებედ (ტფ. უნივერს. მოამბე, ტ. II, გვ. 375).

¹ მანვე აღნიშნა ჰაემეტობის ნაშთები ადიშის სახარებაში (იხ. მისი „ჰაემეტობა ადიშის სახარებაში“: ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, ტ. II, გვ. 417 და შმდ.).

...ოკოვეთოკ არა ხისმინოთ ჩემი... არა აღხილოთ ტვრთი და შეხვლოდით ბჰეთა ი(ერუსალემ)მისათა დღესა შაბათთა... სა აღხოვაგზნე ცეცხლი ბჰეთა (ი ქ ვ ე, გვ. 373).

...სადა იგი მატლი მათი არა დახესროვლების და ცეცხლი არა დახემრტების რ(ამმეთუ) ყ(ოვე)ლი ცეცხლითა დახიმარილოს (იქვე, გვ. 381).

...რაოდენად ხოვფროს მამამან თქოვენმან ზეცათამან მოგცეს კეთილი (ი ქ ვ ე, გვ. 377)... ხოვმოხბეს არს შენდა ერთითა თოვალთა შესლვად სასოვფეველსა (ი ქ ვ ე, გვ. 381).

II ჰ ა ე მ ე ტ ი: და მოილო შვიდი იგი პოვრი და ჰმადლობდა და განტეხა და მიჰსცემდა მოწაფეთა მისთა რ(ამთ)ა დაჰოვონ ხ(ოლო) მათ დაჰოვგეს ერთსა მას და ჰაქოვნდა თევზი მცი(რ)ედ და იგიც აკოვრთხა და ჰოვბრძანა მათ (ტ ფ. უ ნ ი ვ. მ ო ა მ ბ ე, ტ. III, გვ. 379).

და აღვიდა მათ თანა ნავსა და დაჰცხრა ქარი იგი და ჰოვმეტ(ეა)სად დაჰოვკრდებოდა მოწაფეთა მისთა (ი ქ ვ ე, გვ. 378).

...შევიდა სადა იგი ჰიდვა მკოვდარი... (იქვე, გვ. 377).

...ჰოვმოხბ(ეა)ს არს შენდა... (ი ქ ვ ე, გვ. 370)¹.

ხანმეტ და ჰაემეტ ძეგლებს პრეფიქსის ხმარებაში მეცხრე-მეათე საუკუნის ძეგლებთან შედარებით შემდეგი რამ ახასიათებს:

1. პრეფიქსი აქ ერთი სახისაა: ხანი—ხანმეტში, ჰაე—ჰაემეტში; მომდევნო ბგერასთან ასიმილაციას ადგილი არა აქვს, — მაშინ როდესაც მეცხრე-მეათე საუკუნის ძეგლებში პრეფიქსის ძირითადი სახე ჰაე ხან—შინადაც არის წარმოდგენილი (იხ. ზემოთ).

2. ხმოვნების წინ არა მარტო ხანი, არამედ ჰაეც შენახულა², — მეცხრე-მეათე საუკუნის ძეგლებში ხმოვნების წინ ჰაე იკარგვის.

3. როგორც ხანი, ისე ჰაე პრეფიქსების სახით გვევლინებიან ვნებითი გვარის ზმნებში; — ამას მეცხრე-მეათე საუკუნის ძეგლებში ადგილი არა აქვს (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

4. ხანი—ხანმეტებში, ჰაე—ჰაემეტებში წინ დაერთვის ხარისხის აღმნიშვნელ უნს ზედსართავ სახელებში; მეცხრე-მეათე საუკუნის ძეგლებში ასეთ შემთხვევაში მხოლოდ უნი გვაქვს:

¹ წარმოდგენილი ტექნიკური სილუხჭირის გამო ქარაგმებიანი სიტყვები იძულებული გავხდით სრულად დაგვეწერა: ასეთ შემთხვევაში ფრჩხილებშია ჩასმული სათანადო ნაწილი; ფრჩხილებში მოქცეული ეა (ეა) კიდევ იმავე მიზეზით მერვე ენის აღნიშვნის მოვალეობას კისრულობს!

² აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჰაე ჰაემეტში ხშირად იკარგვის ხმოვნების წინ; ეს „უწესობა“ ააშკარავებს, რომ აღმოჩენილი ჰაემეტი ძეგლი იმ ხანისაა, როცა ჰაეს ხმარება უკვე შეირყა: მზადდება ნიადაგი შემდეგი დროის სამწერლობო ფორმებისათვის. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე: „ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“; ტ ფ. უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს მ ო ა მ ბ ე, ტ. III, გვ. 354-363.

ამგვარად: **ხანს**—ხანმეტში, **ჰაეს**—ჰაემეტში იწვევს: 1. დამატება მას, მათ: **O₃**; 2. ქვემდებარე შენ, თქუენ: **S₂**; 3. ვნებითი გვარის ზმნის ყველა პირი და 4. შედარებითი ხარისხი ზედსართავი სახელებისა.

უკანასკნელ ორს შემთხვევაში მეცხრე-მეათე საუკუნის ქართულს პრეფიქსი არა აქვს; ეს გარემოება ფონეტიკურ ნიადაგზე აიხსნება; შედარებითი ხარისხის ფორმანტი თავში **უნი**; ვნებითის მწარმოებელი კი **ინი** და **ენი** (იზოვა, დაიწერა, იკლა; ეპოვა, დაეწერა, ეკლა...); ცხადია, ჰაემეტის **ჰაე**-პრეფიქსი აქ ხმოვნის წინ ისევე დაიკარგებოდა, როგორც იკარგება იგი ხმოვნების წინ, როცა მეორე პირის სუბექტურ ან მესამე პირის ობექტურ პრეფიქსად გვევლინება. ასე რომ ხანმეტის **ხანისა** და ჰაემეტის **ჰაეს** ფუნქციათა სიჭარბე მეათე საუკუნის სინამდვილესთან შედარებით მხოლოდ მოჩვენებითია: ხმოვნების წინ რომ, **ჰაე**-პრეფიქსი არ დაკარგულიყო, მეათე საუკუნეში პრეფიქსი **ჰაე** ოთხსავე შემოხსენებულ შემთხვევაში გვექნებოდა. მორფოლოგიური სტრუქტურა არ შეცვლილა; განსხვავებულიობა ფონეტიკურმა მომენტმა გამოიწვია.

ზოგიერთი შენიშვნები ამ განსხვავებული სახეობისათვის. შედარებითი ხარისხის წარმოებისას **ხ || ჰ**-ეს ხმარების გარკვევა ხანმეტში — დაკავშირებულია ამ ხარისხის მწარმოებელი ფორმანტების გენეზისის გარკვევასთან; შეიძლება თავკიდური **ხუ || ჰუ** მესამე პირის ნაცვალსახელის ფორმადი აღიოდეს; დაბოლოებაში კი ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება გვექნდეს; მაშინ: შედარებითი ხარისხის ფორმა იქნებოდა სინთეტური მთლიანობა, რომლის ერთი ელემენტი, — თავკიდურა, — იგი-ს აზრს ატარებდა, დაბოლოება კი აღნიშნავდა, რასთან შედარებით იყო იგი მეტი „ქვალიტატურობის“ მატარებელი¹.

ეს ყველაფერი ჰიპოთეტურია და საეგებისო. უფრო სარწმუნოდ კი მიგვაჩნია შემდეგი: შედარებითი ხარისხის თავკიდურში გამოყენებული ძირი უნდა იყოს ორგანულად დაკავშირებული ან იდენტური იმ ელემენტთან, რომელიც პრეფიქსად არის გამოყენებული ზმნებში (**O₃** და **S₂**): მათი ბედის ერთნაირობა გვაფიქრებინებს ამას. მაგრამ თვით ამ ფორმანტის გენეზისი ამყამად ჩვენ არ გვაინტერესებს. ამიტომაც მასზე აქ არ შეგჩერდებით.

ვნებითი გვარის ზმნის **ხ || ჰ**-ესათვის საჭიროა შევნიშნოთ შემდეგი. ზმნაში **ხ || ჰ**-ეს იწვევს ან ქვემდებარე შენ, თქუენ, ან დამატება — მას, მათ, — ე. ი. იგი არის ან სუბექტური პრეფიქსი მეორე პირისა ან ობექტური მესამისა.

საკითხავია, ვნებითის **ხანი** სუბექტურია თუ ობექტური? როგორც ხანმეტში — **ხანი**, ისე ჰაემეტში — **ჰაე** ყველა პირებში გვხვდება; ეს გვაძლევს დავასკვნათ, რომ იგი სუბექტური პრეფიქსი არ უნდა იყოს; თვით სვანურში, სადაც **ხან** — სუბექტური პრეფიქსის სახითაც გვევლი-

¹ შლრ. მეგრული კონსტრუქცია: ჯამი უმაღალაში, ქუაში უმანგარაში: „ხისა უმაღლესი“, „ქვისა უმაგრესი“.

ნება, მას ადგილი აქვს პირველსა და მეორე პირში, მაგრამ მესამე პირში — არა: მი ხუარი, სი ხარი, ეჯა არი... ახლად აღმოჩენილ ძეგლებში **ხ || ჰ** პრეფიქსი ვნებითი გვარის ზმნებში მესამე პირშიაც გვხვდება: ხიყო, ხიყოვნეს... ხიპოვა... აქ პრეფიქსის სუბექტურობა გამოირიცხულია; გვრჩე-ბა მეორე შესაძლებლობა: **ხ || ჰ** ვნებითში ობიექტური ჩამომავლობისაა.

როგორ ავხსნათ ეს ფაქტი? არის ორი შესაძლებლობა:

1. ვნებითი გვარის ზმნები, როცა **ენით** იწარმოება, მოითხოვს დამატებას მიცემითში: დაეკლა იგი მას, დაეწერა იგი მას ზედა, ეწოდა იგი მას, ებრძანა იგი მას... ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა აქ, როგორც ყოველ მიცემით დამატებიან ზმნასთან, საერთო წესით გამართლებულია. უნდა დავუშვათ, რომ ვნებითის **ინით** წარმოების შემთხვევებში **ხ || ჰ** — პრეფიქსი **ენით** წარმოებული შემთხვევების ანალოგიით არის გადმოღებული: ხეწერა, ხეკლა, ხეპოვა-ს ანალოგიით: ხიწერა, ხიკლა, ხიპოვა...¹

2. მეორე შესაძლებლობა უფრო რთულია და ნაკლებ მოსალოდნელი. მაინც არსებობს ისეთი გარემოება, რომელიც მისი გათვალისწინების საჭიროებას გვიკარნახებს.

საქმე შემდეგშია: მეცხრე-მეათე საუკუნის ძეგლებში მესამე პირის დამატებას შეუძლია გამოიწვიოს ობიექტური პრეფიქსი **ჰ || ხ || უ** მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიცემითს ბრუნვაშია დასმული, ხოლო თუ სახელობითს ბრუნვაშია — პრეფიქსს არ იწვევს: მან **ხ**თხოვა მას იგი, მაგრამ: მან **კ**ლა იგი²; მეორე და პირველი პირის დამატება კი სათანადო ობიექტური პრეფიქსებით (**გ, მ**) არის წარმოდგენილი, იქნება იგი მიცემითს ბრუნვაში თუ სახელობითში: იგი **გ**ლავს შენ, **მ**ლავს მე; მან **გ**ლა შენ, **მ**ლა მე...

კითხვა იბადება: ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ თავდაპირველად ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ჩნდებოდა მაშინაც, როცა დამატება მესამე პირისა **სახელობითს** ბრუნვაში იყო, და რომ ამ მხრივ მესამე პირი არ იღვა განცალკევებით პირველი და მეორე პირისაგან?! ხანმეტის **ხანი**, ჰაემეტის **ჰაე** **ინით** ნაწარმოებ ვნებითი გვარის ზმნებში (შენი-მუსრა იგი, ხიპოვა იგი...) მაშინ იქნებოდა მოქმედებითი გვარის ფორმიდან ვნებითში მექანიკურად გადმოსული?!

ამის საწინააღმდეგოდ თითქოს ყველაზე უფრო ის ლაპარაკობს, რომ ახლად აღმოჩენილ ძეგლებში დამატება მესამე პირისა სახელობითს ბრუნვაში არ იწვევს ობიექტურ პრეფიქსს, და ბუნებრივია, თუ ვიტყვით: **ხ || ჰ** — პრეფიქსი რომ ყოფილიყო გამოწვეული მესამე პირის დამატებით სახელობითს ბრუნვაში, იგი უწინარეს ყოვლისა მოქმედებითი გვარის ზმნაში უნდა გვეჩვენა და არა ვნებითისაში. მაგრამ ეს არგუმენტი აბსო-

¹ ასე ხსნის ამ მოვლენას პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე; იხ. მისი „ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა. ქართ. ენ. ისტორიისათვის“: ტფ. უნივერსიტეტი, ტ. III, გვ. 359.

² იხ. ამის შესახებ ვრცლად ა. შ ა ნ ი ძ ე სუბ. პრეფ. მეორე პირისა და ობიექტ. პრეფ. მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილ. 1920, გვ. 24 და შემდ.

ლუტური არ არის; ჩვენ გვაქვს შემთხვევები, როცა მოვლენის პირველადი სახე დაიკარგა, ხოლო სეკუნდარი შენახულ იქმნა; მაგალითად, ჩვენ ახლა ვამბობთ და ვწერთ: იგინი იყვნენ; **ნარი** ამ ფორმაში **მექანიკურად** არის გადმოსული მოქმედებითი გვარისაგან, როცა დამატებად იყო მრავლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვა **ნი**—დაბოლოებით წარმოებული: მათ ყვეს იგი, მაგრამ: მათ ყვენს იგინი... აქიდან: იგინი იყვენს მისა მიერ (თანამედრ. იყვენ)¹. უკანასკნელს შემთხვევაში („მათ ყვენს იგინი“) **ნარი** ამჟამად არ იხმარება; ახლა ჩვენ ვწერთ და ვამბობთ: მათ ყვეს იგი, იგინი; ამისდამიუხედავად, მოქმედებითი გვარის გარკვეულს ფორმაში წარმოშობილი ეს **ნარი**, ვნებითში **მექანიკურად** გადაბარგებული, შეენახა ენას ამ უკანასკნელს ფორმაში: იყვენ, — სეკუნდარ შემთხვევაში, ხოლო პირველად მის „სამშობლოში“ იგი მოისპო.

ამგვარად, შეუძლებელი არ არის **ხ || ჰ** სახელობით დამატებიან ზმნებში მოქმედებით გვარში დაკარგულიყო, ხოლო ვნებითს იგი შეენახა.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიგონოთ ორი მეტად საინტერესო გარემოება, რომელიც ა. შ ა ნ ი ძ ი ს ხსენებულ გამოკვლევაში მოიპოვება:

1. ჩვენ ვხვდებით მეცხრე-მეათე საუკუნეში სახელობით დამატებიან ზმნებს, რომელთაც ობიექტური პრეფიქსი მოეპოვებათ; მკვლევარის აზრით ეს ზმნები თავდაპირველად მიცემით დამატებიანი ყოფილან; ამას ცხადყოფს ვნებითის წარმოება **ენის** საშუალებით, რაც მიცემით დამატებიანი ზმნების თვისებაა. დროთა ვითარებაში მათ სინტაქსური კონსტრუქცია შეცვლიათ, მორფოლოგიური აგებულება კი შეუნახავთ; ასეთია ზმნები: დაჰბადა, აღჰმართა, დაჰფლა, განჰმართა, მოჰმზადა, დაჰბურა, დაჰბეჭდა, დაჰმარხა, ჰმართა, დაჰნერგა, ჰგონა, დაჰქსნა, სთესა, დასთხია²... რაც უნდა ყოფილიყო თავდაპირველად, ფაქტი ის არის, რომ ახალ კონსტრუქციაში ძველი აგებულება შერჩა ზმნას (თუნდაც დამწერლობაში): სახელობით დამატებიანს გააჩნია ისეთი თვისება, რომელიც მხოლოდ მიცემით დამატებიანს შეჰფერის.

2. უფრო საგულისხმოა მეორე ფაქტი; აწმყო დროში ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა მოეპოვება ზმნას **უსათუოდ** მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ნამყო სრულშიაც მოითხოვს დამატებას მიცემითში; ხოლო თუ იგი მოითხოვს დამატებას მიცემითში მხოლოდ აწმყო დროში, მაშინ ობიექტური პრეფიქსი შეიძლება იყოს ან არა: აქ ორი ტიპის ზმნები გვაქვს; **ჰყოფს** ტიპისა, რომელსაც აქვს ობიექტური პრეფიქსი და **ქადაგებს** ტიპისა, რომელსაც პრეფიქსი არა აქვს³.

ზედმიწვენილობა რომ დავიცვათ, ორივე ფაქტიდან ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: დამატების ქონა მიცემითს ბრუნვაში **არ არის არც აუცილებელი და არც საკმაო პირობა** ობიექტური პრეფიქსის გაჩენისათვის.

¹ იხ. ა. შანიძე, *ო. ც. გვ.* 12 შენიშვნა.

² იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ხსენებული ნაშრომი, გვ. 74-83.

³ ორივე ტიპის ზმნების მაგალითი და მათი განხილვა იხ. იქვე, გვ. 85-105.

რომ **აუცილებელი** არ არის, ეს ჩანს „დაჰბადა“ — ტიპის ზმნებისაგან: მხოლოდ ვნებითში მიცემით დამატებიანობა საკმაო აღმოჩნდა მოქმედებითში სახელობით დამატებიან ზმნას ობიექტური პრეფიქსი გასჩენოდა; რომ იგი **საკმაო** არ არის, ამას მოწმობს „ქადაგა“ — ტიპის ზმნები: აწმყოში დამატება მიცემითშია, — ობიექტური პრეფიქსი კი ზმნას არ მოეპოვება.

რას ნიშნავს ეს გარემოება? მხოლოდ იმას, რომ **მიცემით დამატებიანსა და სახელობით დამატებიან ზმნებს შორის გარდუვალი ზღვარი არ არსებობს.**

ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები უფრო ბლომად რომ გვექონოდა და მათში „დაჰბადა“ და „ქადაგა“ ტიპის „ანომალიები“ რომ აღმოჩენილიყო, ვნებითის ხანის ახსნის მეორე შესაძლებლობა არც ისე უსაფუძვლო იქნებოდა¹.

ამჟამად კი ეს მეორე შესაძლებლობა მხოლოდ შესაძლებლობაა, რომლის საწინააღმდეგოდ მეტი მოსაზრების მოყვანა შეიძლება, ვინემ სასარგებლოდ; მაგრამ საკითხად იგი მაინც რჩება, — პირველი შესაძლებლობა კი, როგორც უფრო ბუნებრივი და მარტივი, უფრო დასაშვებად უნდა ჩაითვალოს.

რომელ შესაძლებლობასაც არ დავუშვებთ, ანალოგიის მომენტს ვერ გამოვრიცხავთ. და ეს კი ნიშნავს: ხან პრეფიქსის ლიტერატურული ფიქსაცია მაშინ უნდა მომხდარიყო, როცა მისი ხმარება რაციონალ საფუძველს მართო არ ემყარებოდა: მექანიკურ-ანალოგიური წარმოება იყო უკვე ფეხგადგმული... აქიდან კიდევ ზოგიერთი დასკვნების გაკეთება შეიძლებოდა ამ პრეფიქსის ბუნებისა და ისტორიული ჰასაკის შესახებ, მაგრამ ეს ძალიან შორს წავიყვანდა.

დავუბრუნდეთ სხვა მორიგ საკითხებს. ერთი ასეთი საკითხია აღმოჩენილი ძეგლების დათარიღება.

რაც შეეხება ამ ძეგლების „ხნიერობას“, პროფ. ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ხანმეტ ტექსტებს VI საუკუნისად სთვლის, პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე ს ჰაემეტი ძეგლი VIII საუკუნისად მიაჩნია. პირველი — ძეგლების პალეოგრაფიულ თავისებურებებს ემყარება: ჯდეს, ყარისა და განსაკუთრებით ბანის თავმეკრულობას; პროფ. ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი მცხეთის ჯვრის ქობულსტეფანეს წარწერის პალეოგრაფიულ თავისებურებათა გამო დაასკვნის: „ქობულ-სტეფანეს მცხეთის ჯვრის წარწერაში ბ უკვე ოდნავ თავგახსნილია; ეს წარწერა, როგორც გამოირკვა, მე-VII ს. შუა წლებს ეკუთვნის. მაგრამ რათგან ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბანს თავი პირველად ამ წარწერის ამოკვეთის დროს გაეხსნა და თანაც ვიცით, რომ ამგვარი პროცესი დამწერლობაში თანდათანობით ხდება და მისი და-

¹ ახლად აღმოჩენილ ტექსტებში მოიპოვება ორიოდ მაგალითი, ამ მხრივ ფრიად საინტერესო, როგორც მაგალითად: მიხიყვანის (მან იგი). იხ. ტ ფ. უ ნ ი ვ ე რ ს. მ ო ა მ ბ ე, ტ. II, გვ. 380, ასეთ შემთხვევებს სხვა დროს დავუბრუნდებით.

საწყისი უფრო ხელნაწერებშია საძებნელი, ვიდრე ეპიგრაფიკაში, ამიტომ უფრო სწორე იქნებოდა დაგვესვენა, რომ **ბანს** თავი უნდა VI ს. უკანასკნელ მეოთხედსა და VII საუკუნის პირველ ნახევარს შორის ხანაში გახსნოდა (იხ. მისი „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“: ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, ტ. II, გვ. 334).

ამრიგად: რაკი თავშეკრული **ბანის**ათვის *terminus post quem non* VII საუკუნის პირველი ნახევარია, და რაკი აღმოჩენილ ტექსტებში **ბანი** თავშეკრულია¹, ტექსტები VI საუკუნისად უნდა მივიჩნიოთო (იხ. აღნიშ. წერილი: იქვე, გვ. 343)².

მრავალ საკითხთა შორის, რომელთა დასმა ასეთი ძეგლების აღმოჩენით აუცილებელი ხდება, ამთავითვე ყურადღებას იქცევს ხანმეტობის „სა-

¹ პროფ. ი. ვ. ჯავახიშვილი აღნიშნავს იმასაც, რომ გადარეცხა-გადაფხეკის გამო **ბანი** ზოგჯერ თავგახსნილის შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ პალიმფესტად ქცევამდი **ბანი** მაინც თავშეკრული უნდა ყოფილიყო (იხ. იგივე წერილი, გვ. 343).

² VII საუკუნის პირველი ნახევრის თუნდაც წარწერის, მაგრამ მაინც ერთადერთი **ბანის** თავგახსნილობა ძნელი საფიქრებელია იმის ურყევ საბუთად გამოდგეს, რომ ამის შემდეგ თავშეკრული **ბანი** აღარ გვექნებოდა. სამწუხაროდ, პალეოგრაფიკა-ეპიგრაფიკას სინამდვილის ისეთ სფეროსთან არა აქვს საქმე, სადაც ინდივიდუალი ფაქტის ანალიზი ზოგადი წესის გამოყვანის შესაძლებლობას ეჭვმიუტანლად იძლეოდეს. ასე რომ, დათარიღების საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება.

ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ ჯვარცმოდან 974 წლით დათარიღებულ ძეგლშიაც („დავითნი“ — ტფილ. უნივერ. სიძველ. საცავის ხელნაწ. №38) ვხვდებით სავსებით თავშეკრულ **ყარებს**, **ბანებსაც** — საკმაო ხშირადაც, მაგრამ ამავე ძეგლის ერთ ნაწილში, რომელიც განსხვავებული ხელით არის დაწერილი, ასეთი **ბანი**, **ყარი** არ მოიპოვება: ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ ძეგლში სხვაგანაც თავშეკრული **ყარი**, **ბანის** წერა ანაქრონიზმის წარმოდგენს და ამასთანავე ნორმალი განვითარების საფეხურების მხილვად ვერ ჩაითვლება.

ეს შენიშვნები დაწერილი გვქონდა, როცა მოქ. სარგის კაკაბაძის აზრს გავეცანით. პატივცემული ისტორიკოსი შემოსენებული „დავითნის“ მაგალითებს ემყარება და დაასკვნის: „ეს გარემოება (ე. ი. რომ თავშეკრული **ყ**, **ზ**, **ბ** გვხვდება — ა. ჩ.) ცხადად ამტკიცებს, რომ საკითხი ხსენებული ასოების მოხაზულობის ისტორიულად განვითარების შესახებ ჯერ კიდევ საჭიროებს ახალ დაკვირვებებს და მასალებს... (იხ. მისი „საისტორიო ძიებანი“, ტფილ. 1924, გვ. 5).

968 წლით დათარიღებულ იოანე ოქროპირის ცხოვრებაში, რომელიც საისტორიო საზოგადოების მუზეუმში მოიპოვება (№ 3124), ნუსხური ისეთი გარკვეული სახით არის ჩამოყალიბებული, რომ ბუნებრივად გვაფიქრებინებს: მისი წინამორბედი მთავრული განვითარება ამ დროს უკვე კარგა ხნის დასრულებული უნდა ყოფილიყო. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ „დავითნის“ ხსენებულ შემთხვევებზე დამყარება არ შეიძლება. თავშეკრული მთავრული **ყ**, **ზ**, **ბ**-ის წერა ჩვენ ახლაც შეგვიძლია, მაგრამ ამას ხომ არავითარი მნიშვნელობა არ ექნება ამასთანავე მოხაზულობის ისტორიის გამოსარკვევად!

დაურობის“ და მისი ჰაემეტობასთან ურთიერთობის საკითხი. აღვნიშნავთ აქ აკად. ნ. მარრის, პროფ. ივ. ჯავახიშვილისა და პროფ. აკ. შანიძის შეხედულებებს.

აკად. ნ. მარრის შესახებ აქ მხოლოდ იმდენად შეიძლება იყოს ლაპარაკი, რამდენადაც საღვთო წერილის ქართულად თარგმნის შესახებ გამოთქმულმა მისმა აზრებმა შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დატოვოს, თითქოს აკად. ნ. მარრის ნაწერები ხანმეტობის ინტუიტიური ანტიციპაცია იყოს მოცემული¹. პროფ. ივ. ჯავახიშვილი ზემოხსენებულ წერილში დაწვრილებით იხილავს აკად. ნ. მარრის შეხედულებებს ამ საკითხის შესახებ და სხვათა შორის სამართლიანად შენიშნავს, რომ აკად. ნ. მარრს არა ერთხელ გამოუთქვამს ამ საკითხის შესახებ ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი. იგი ჩერდება აკად. ნ. მარრის აზრზე; მისი მიხედვით: „**V-VI ს. ქრ. შემდეგ სომხეთში ჯერ კიდევ ცხოვრობდნ სვანები**, აქ პირველად იაფეტურ ენაზე აღმოცენდა ქრისტიანული მწერლობა; რაც უფრო ძველია ტექსტი, მით უფრო ბევრია მასში „სვანიზმები“ და კითხვაც კი არის დასმული, ხომ არ ითარგმნა საღვთო წერილი პირველად „სვანურ“ ენაზე, რომელიც მხოლოდ შემდეგ თანდათანობით დაუახლოვდა ქართველთა მშობლიურ ენას, თუმცა მაინც მრავალი ირაციონალი მოვლენა შეგვიჩვენებს, რომელიც სვანურს ეკედლებაო“. ამაშია მოცემული აკად. ნ. მარრის სვანურობის თეორიის დედააზრი 1915 წლის ვერსიით².

ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით პროფ. ივ. ჯავახიშვილი კატეგორიულად უარყოფს, რომ აღნიშნულ პერიოდში სომხეთში სვანებს ეცხოვროს ან იქ სვანური ლაპარაკი ყოფილიყოს (იხ. მისი დასახელ. წერილი, გვ. 357-359). ისტორიის საბუთი უპირდაპირდება ფილოლოგიური ანალიზით შთაგონებულ ინტუიტიურ დაშვებას; ასეთ შემთხვევაში ისტორიის სიტყვა გადამწყვეტი უნდა იყოს; ამდენადვე პროფ. ივ. ჯავახიშვილის პოზიცია ურყევეა³.

მაგრამ კითხვა იბადება: რომელ „სვანებზე“ ლაპარაკობს აკად. ნ. მარრი? არიან თუ არა ეს ცხენისწყლისა და ინგურის ხეობათა თავში მცხოვრები „ტომი“? „სვანიზმები“, „სვანური ენა“ აკად. ნ. მარრს ბრჭყალებში აქვს მოქცეული; ცხადია, აქ ერთგვარ რყევას აქვს ადგილი. ბუნებრივად მიგვაჩნია ამიტომაც გავითვალისწინოთ მისი შეხედულება

¹ ასე უყურებს საქმეს მაგალ. დ-რი R. Blacke-ი. იხ. ტფ. უნივერს. მოამბე, ტ. II, გვ. 361.

² იხ. "Яфетические названия деревьев и растений". И. А. Н. 1915 г. გვ. 945.

³ მეტად საინტერესოა, რომ ერთი წლის შემდეგ აკად. ნ. მარრი თავის ზემოხსენებულ შეხედულების სრულიად უარყოფელ გარემოებას თვითვე აღნიშნავს: "Со II-го века до Р. Хр. римские и греческие писатели знают сванов там же: приблизительно в тех же пределах, где застаем и мы"...იხ. მისი: К дате эмиграции Мосохов из Армении в Сванию: Изв. А. К. Н. а. у. к., 1916, Петроград, გვ. 1682.

ორი წლის შემდეგ; ეს მით უფრო საჭიროა, რომ, ჯერ ერთი, მას არ შეხება პროფ. ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი და, მეორეც, რაც არსებითია, აქ საკმაოდ განსხვავებული აზრია გამოთქმული; მასთანვე უფრო გარკვეული მხედველობაში გვაქვს აკად. ნ. მ ა რ რ ი ს: **Грузинская поэма: "Витязь в Барсовой Шкуре" Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема** (Изв. Рос. Акад. Наук, Петроград, გვ. 415-506).

აქ მესხებზეა ლაპარაკი. ამ ტომის ისტორიული ბედის გათვალისწინებასთან დაკავშირებით ახალი პერსპექტივაა გადაშლილი. ბიბლიის მოსოხი, ასურელთა და ქალდეების მუშეები კავკასიაში შემოდიან იმ გზით, სადაც შემდეგ მესხეთი გვქონდა. მათ ჩრდილოეთით კავკასიონის ქედისთვის მიუღწევიათ და კიდევ გადასცილებიან მას. ჩრდილო-დასავლეთით მესხებს შავი ზღვის ნაპირებისთვის მიუღწევიათ. — ეს „აბასხებია“, შემდეგ ქართულს გამოთქმაში აბხაზად, აფხაზად ქცეული. „აბხაზთა“ აღმოსავლეთით, — წერს აკად. ნ. მ ა რ რ ი, — იგინი შეერივნენ სონებს ანდა მოვიდნენ რა მათთან შერევის შემდეგ სამხრეთიდან, დამკვიდრდნენ სონების ანუ სვანების სახელით. ორი საემიგრაციო ტალღის მოცილების შემდეგ, რომელმაც შეადგინა აფხაზეთი ანდა დამკვიდრდა სვანეთში, მესხები ანუ მოსოხები დიდხანს განაგრძობდნენ სამხრეთშიც ყოფნას. მათი მოსახლეობა შევიწროვდა სამხრეთით და თანდათანობით იგინი იკავებენ მტკვრის ზემო აუზს, მესხეთად წოდებულს... მესხეთში დარჩენილ ამ მესხებზე აგრეთვე მოახდინა გავლენა სონთა მეგრულ-ჭანურმა ტომმა, რომელნიც (სონები) შეერივნენ მათ და შექმნეს სონმესხთა ნარევი ტომი, რომელსაც აგრეთვე სომეხს უძახოდნენ. შემდეგში ქართველებმა ეს სახელი გადაიტანეს არმენებზე“...¹.

მაშასადამე, გამოდის, რომ: 1. სონი — მეგრულ-ჭანური ტომია; მესხი პლუს სონი გვაძლევს სონს ანუ სვანს, თანამედროვე სვანეთის მკვიდრს; იგივე მესხი პლუს სონი გვაძლევს „სომეხს“. არა ჩანს აქ ნათლად, მესხების ემიგრაციული ტალღა სვანეთისკენ მოძრაობისას შეერია სონებს, თუ ეს შერევა მოხდა მესხების წინანდელ ადგილსამყოფელში; და თუ ეს უკანასკნელი შესაძლებლობაა სწორი, რატომ ეწოდა მას ერთს შემთხვევაში სვანი, მეორეში კი სომეხი?!

და, ალბათ, ეს ბუნდოვანობა გამოწვეულია მით, რომ აქ ისტორია

¹ "Восточнее от абхазов они смешались с сонами или, явившись с юга по смешении с ними, осели под названием сонов или сванов. По отделении двух эмиграционных волн, образовавших Абхазию или осевших в Свани, месхи или мосхи продолжали еще долго пребывать и на юге. Постепенно границы их южного расселения с'узились и сосредоточились по верхнему бассейну Куры, в области называвшейся грузинами Месх-ет-и... На этих месхов тоже повлияло мегрело-чанское племя сонов, которые смешались с ними и образовали смешанное племя сон-месхов, называвшееся также сомехами. Название "Сомех" грузинами впоследствии было перенесено на армян"... Изв. Акад. Наук, 1917, გვ. 439-40.

ისტორიული ფაქტების მიხედვით კი არ იწერება, არამედ ტერმინების ფილოლოგიურ ანალიზზე დაყრდნობით ხდება ისტორიულს სინამდვილეში ჰიპოთეტური ფაქტების ინტროექცია!

ყოველს შემთხვევაში ამ ჰიპოთეზის იმანენტი ლოლიკა გვაგვალებს გავაკეთოთ სათანადო დასკვნა: თუ მესხეთში „სომხური“ ენა იყო (და არა სვანური, როგორც ფიქრობდა აკად. ნ. მარრი ორი წლით ადრე), საღვთო წერილიც ამ „სომხურზე“ უნდა ეთარგმნათ. აკად. ნ. მარრიც პირდაპირ ამბობს: „საღვთო წერილი პირველად სონ-მესხურსა ანუ „სომხურ“ ენაზე ითარგმნაო; მაშინ ეს სომხური ენა ჯერ კიდევ იყო თავისთავადი, თუმცა არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ქართულის სასაუბრო ენა (речь) უკვე ახდენდა მასზე გარკვეულ გავლენასო“... (ИЗВ. Акад. Наук, 1917, გვ. 446).

ეს ერთი შეხედვით თითქოს ეგუება აკად. ნ. მარრის მიერ 1913 წელს გამოთქმულ აზრს, როცა იგი წერდა: „საღვთო წერილი ითარგმნა „სომხურ“ კილოზე... რომელიც ან V საუკუნეშია მთლიანად სვანური ენის კილოდ უნდა მივიჩნიოთ ან, თუ კი ის იყო ამ ხანებში გაქართულებული, მასში ყოველ შემთხვევაში მრავლად უნდა ვიგულოთ სვანური ენის იმ კილოს ნაშთები, რომელიც ოდესღაც ძირითადი იყო სომხეთში“ (Xp. Вост. II 23-24).

ამგვარად, აქაც „სომხურზე“ ლაპარაკი, ისევე, როგორც ოთხი წლის შემდეგ გამოსულს ნაწარმოებში. მხოლოდ ამ „სომხურზე“ წარმოდგენა განსხვავებულია: 1913 წლის „სომხური“ საუკეთესო შემთხვევაში სვანურის კილოა (ან სვანიზმების მატარებელი-დაა!), 1917 წლის სომხური კი „ლიგატურაა“: მასში მესხური და სონური შედის, და რაც უფრო საყურადღებოა, იგი უკვე **ენად** იხსენიება და არა კილოდ, როგორც ეს 1913 წელს იყო. არაფერია ნათქვამი მისი სვანურობის შესახებ.

ამრიგად: 1913 წელს „სომხურის“ განმარტება ხდება სვანურის საშუალებით. 1915 წლის ვერსია მხოლოდ სვანურობაზე ლაპარაკობს („V-VI ს. ქრ. შემდეგ „სომხეთში“ სვანები ცხოვრობდნენ...“): ალბათ „სვანურ **ენაზე**“ ითარგმნაო. 1917 წელს კი სომხურ **ენაზე** თარგმნაა მოთხრობილი, სვანურობის არაფერი ისმის.

სინამდვილის ასე გაგება აკად. ნ. მარრის მხრივ ბუნებრივია: „სომხური“ ხომ სონურისა და მესხურის (უკეთ ვთქვათ: სონთა და მესხთა) შერევის შედეგია; სონები — მეგრულ-ჭანური ტომია; მისი შერევით მიღებულ „ლიგატურაში“ სვანიზმი **მხოლოდ** იმ შემთხვევაში აღმოჩნდება, თუ მეორე კომპონენტი — მესხი დახასიათდება **ასეთი** რითიმე, თუ იგი თან ატარებს მას. ასე რომ „სომხურის“ შედგენილობის ახალი გაგება **a priori** გამორიცხავს სვანურობაზე ლაპარაკის შესაძლებლობას. მართალია, იმავე სონთა და მესხთა შერევამ მოგვცა სვანები, მაგრამ სვანთა გენეზი-

სის ასეთი გაგებით უკვე ითქვა ის, რომ სვანური სხვის გასარკვევად აღარ გამოდგება; თვით მისი გარკვევა სხვა ცნების ნიადაგზე უნდა მოხდეს: ეს ცნებაა მესხი, კომპონენტი როგორც სვანის, ისე „სომეხის“.

ასე რომ: 1917 წლის ვერსია ახალი ფაზაა აკად. ნ. მარის შეხედულებაში: 1913-სა და 1915 წელს სვანური იყო მიჩნეული იმ გარკვეულ ოდენობად (ა), რომელსაც გასაგები უნდა გაეხადა გაურკვეველი იქსი (x) — „სომხური“; 1917 წელს სვანური თვით არის გასარკვევი იქსი (x), ხოლო მის ამოსაცნობად აკად. ნ. მარის წამოშველებული ყავს მესხური: ამის საშუალებით უნდა გაიშალოს როგორც სვანური: — იქსი (x), ისე „სომხური“: — იგრეკი (y). მაშასადამე, მომავალში მოსალოდნელი იყო, რომ ლაპარაკი იქნებოდა „სომხურობაზე“ და მით „მესხურობის“ შესახებ¹. ამიტომ სრულიად გაუგებარია, როდესაც დ-რ ბ. ლეკის ცნობასთან დაკავშირებით აკად. ნ. მარის ამბობს: „...თუ ჯერ კიდევ VIII საუკუნეში ტექსტი იყო ნახევრად სვანურ თქმაზე შედგენილი, რა ენაზე უნდა ყოფილიყო იგი დაწერილი V-VI საუკუნეშიო?“² (იხ. ივ. ჯავა -

¹ ჩვენ გვერდს ვუვლით აქ საკითხს, თუ რამდენად გარკვეული ოდენობაა თვით ეს მესხური. ვერ შევჩერდებით აქ იმაზეც, თუ რამდენი, იაფეტიდოლოგიისათვის დამახასიათებელი პრინციპული თვისება ამკარავდება ამ კერძო საკითხის ბედში.

² მესხსა და სომეხს აკად. ნ. მარის უბრუნდება სხვათა შორის ერთ-ერთ თავის გამოკვლევაში: *Астрономические и этнические значения двух племенных названий армян (Записки Восточного Отделения, т. XXV)*. აქ სომხური ენის ანალიზთან დაკავშირებით მესხიცა და სომეხიც ფრიად განსხვავებული გაგებით არის წარმოდგენილი... "Термин someq... с в а н о м е с х, не что иное, как сибилантная разновидность hay-hayk-а хай (о) хаика, будучи гибридным в составе so- (son) эквивалента термина hay (< haun) и meq... эквивалента термина hayk" (გვ. 242). და კიდევ: "Есть еще название армян — грузинское: someq, также этнический термин, но сугубый по составу. Каждое независимое название по природе принадлежит одному из племен входивших в племенной состав армянского народа" (ibid. გვ. 240). ასე რომ: წინანდელი მეგრულ-ჭანური ტომი „სონი“ აქ შეუთანაბრეს hay-ს, „მესხი“ — hayk-ს. უკანასკნელთა შესახებ ვტყობილობთ, რომ „ივინი დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის მქონე ერს წარმოადგენდენ, არა ნაკლებს, ვინემ რასები ანუ ურარტუ. ...რომ ეს ერი იყო თავისთავადი; წარმოშობით იყვნენ იაფეტიდები და ქართველებს ენათესავებოდენ იმდენად, რამდენად უკანასკნელნიც იაფეტიდებს წარმოადგენენ... მესხების ქართველიზაცია მოხდა საშუალო საუკუნეებში (ibid. გვ. 239). ერთადერთი დასკვნა, რომლის გამოტანა მიუდგომელ მკითხველს შეუძლია, არის ის, რომ ახალი გაგებით თეორია მეტს როლს აკუთვნებს ამ მესხს. სხვაფრივ კი ეს მესხი რჩება მეტაფიზიკურ რაობად, სუბსტანციად, რომლის არც ერთი ატრიბუტი ჩვენ არ ვუწყით, გარდა იმისა, რომ ის იყო დიდ-მნიშვნელოვანი იაფეტური ტომი თუ ერი, ე. ი. პოზიტიურად რომ „ვთარგმნოთ“: ეს სუბსტანცია არის ნაწილობრივი გამოვლენა იმ მეორე უფრო ზოგადი სუბსტანციისა, რომლის ატრიბუტები კიდევ უფრო ძნელი გასათვალისწინებელია... და ეგრე ad infinitum.

ჩვენთვის აქ განსაკუთრებით ის არის საინტერესო, რომ ქართული სამწერლობო ენის გაჩენის შესახებ ახალ გაგებასთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი.

ხ ი შ ვ ი ლ ი ს ზემოხსენებულ გამოკვლევაში: ტ ფ. უ ნ. მ ო ა მ ბ ე, ტ. II, გვ. 361).

ამით აკად. ნ. მ ა რ რ ი უბრუნდება შეხედულების იმ ფაზას, როცა „სომხური“ სვანურის ნიადაგზე იყო ახსნილი; მაგრამ ამით უარყოფს მეორე უფრო ახლობელ საფეხურს, სადაც თვით სვანური მესხურამდი იყო დაყვანილი. საეჭვოა, რომ თეორიის ასეთი დაუდევრობა მის მეცნიერულ ღირებულებას რასმე ჰმატებდეს...

თავი რომ დავანებოთ აკად. ნ. მ ა რ რ ი ს შეხედულების ამ სხვადასხვაობას, ტერმინოლოგიურ ბუნდოვანობას და შინაგან წინააღმდეგობას, მთავარი აზრი შეიძლება შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ: საღვთო წერილის თარგმნა არ მომხდარა პირდაპირ იმ ენაზე, რომლის ორგანული განვითარება IX-X საუკუნის ძველი ქართულია; იყო რაღაც კილო (თუ ენა?), შემდეგში გაქართველებული, რომლის მწერლობით იყო გაშუამავლებული უცხოდან თარგმნა. აკად. ნ. მარრის შეხედულებათა ოდისეაში **ეს აზრი** არ იცვლება. რომელი იყო ეს კილო? ამაზე პასუხის გაცემით კი იწყება აზრთა კალეიდოსკოპური ცვალებადობა: ეს ხან „სომხური“ კილოა სვანური ენისა, ხან თვით სვანურია, ხან კიდევ სომხური ენა, მესხურისა და სონურის შერევით წარმომდგარი...

სანამ პროფ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს შეხედულების მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, ერთის აღნიშვნა მაინც საჭიროდ მიგვაჩნია: ხანმეტობასთან დაკავშირებით როცა სვანიზმებზეა ლაპარაკი, პრეფიქსებში მზგავსებას გარდა, განსხვავებაც არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი: ხანმეტ ტექსტებში, ისევე როგორც სვანურში, **ხანი** არის ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა; პირველი პირის ობიექტიც ორსავე შემთხვევაში **მანი**თ აღინიშნება; მეორე პირისა კი ხანმეტში, ისე, როგორც ძველსა და ახალს ქართულში, **განია**, სვანურში კი **ჯანი**: **გადმოღების** თვალსაზრისით ეს მნიშვნელოვანი განსხვავებაა...

პროფ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი თავის საკუთარ გაგებას უპირდაპირებს აკად. ნ. მ ა რ რ ი ს შეხედულებას; მისი აზრი მარტივი და მკაფიოა: **ხანი** დიალექტიზმი კი არ არის, არამედ ზოგადი ქართული მოვლენა: იგი ახასიათებდა საერთოდ ქართულს მისი კილოკავებითურთ¹; ხანმეტ

¹ სხვათა შორის, პროფ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი სვანურს კილოკავად იხსენიებს (იხ. მისი წერილი, ტ ფ. უ ნ ი ვ. მ ო ა მ ბ ე, ტ. II, გვ. 360). მაგრამ არა თუ კილოკავად, არამედ კილოდაც მისი აღიარება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა დასაშვები, თუ მის კორელატად ავიღებდით „ზოგად ქართულს“ მასში მეგრულ-ქანურის ჩარეცხვით, ხოლო მისი მოთავსება თანამედროვე ცოცხალ კილოებთან (მაგალ. ხევსურულთან, ინგილოურთან, ფერეიდნულთან...) ერთ სიბრტყეზე ენათმეცნიერების თვალსაზრისით სრულებით დაუშვებელი რამ არის.

ძეგლებში მოცემულია უძველესი ფორმაცია იმ ენის, რომელსაც ჩვენ დღემდე ძველი ქართულის სახელით ვიცნობდით. არც მორფოლოგიურად (პრეფიქსების გამოკლებით), არც სინტაქსურად დღემდის ცნობილი ძველი ქართულისაგან ეს **ხანმეტი** ძეგლების ენა არ განირჩევა; ცხადია, პრეფიქსების მხრივ განსხვავება ენის ფონეტიკურ ცვალებადობას მიეწერება; ევოლუციის პროცესში **ხან** პრეფიქსი **ჰაედ** იქცა, **ჰაეს** დიფერენციაცია კი IX-X საუკუნის ძეგლებში გვაქვს მოცემული: **ჯერ ხანი, მერე ჰაე, მერე ამის დიფერენციაცია; განვითარება გარდატეხის გარეშე**: — აი პროფ. ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს შეხედულების დედა-აზრი (იხ. მისი წერილი, ტფ. უნივერ. მოამბე, ტ. II, გვ. 360-367).

უდიდესი არგუმენტი პროფ. ი. ვ. ჯავახიშვილის აზრის **სასარგებლოდ** ის არის, რომ პრეფიქსებს გარდა, სხვა მხრივ ხანმეტ ტექსტებს მართლაც არავითარი **თვალსაჩინო** განსხვავება არ ახასიათებს IX-X საუკუნის ძეგლებთან შედარებით, — უდიდესი არგუმენტი მის **წინააღმდეგ** კი ის არის, რომ სრულებით გაუგებარია: როგორ მოხდა, რომ ფონეტიკურმა ცვალებადობამ თავი იჩინა მხოლოდ გარკვეულს გრამატიკულს კატეგორიაში — პრეფიქსებში, და არ შეეხო სხვა ელემენტებს?! ფონეტიკური ცვალებადობის ძირითადი თვისება სწორედ ის არის, რომ მისთვის არ არსებობს ფუძე, ძირი, ფორმანტი, ესა თუ ის გრამატიკული კატეგორია, არამედ მხოლოდ ბგერა: თუ ცვლილების პროცესი დაიწყო, იგი უკან არ დაიხვეს ამა თუ იმ კატეგორიის წინ და ყველგან იჩენს თავს¹.

და კიდევ: როგორ მოხდა, რომ **ხანი** პრეფიქსებში ყველგან გადაგვარდა **ჰაედ**, ხოლო ორს შემთხვევაში: „**ხარ**“ და „**ხუალ**“ ზმნაში „გაქვავდა“ და დღემდის მოაღწია?!

ამას გარდა: ცნებისათვის „საერთო ქართული“. საფიქრებელია, რომ მასში პრ. ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი გულისხმობს „პრაქართულს“, ე. ი. იმ ზოგად ენობრივ სხეულს, რომლის დიფერენციაციაა გადაშლილი ჩვენს წინ ქართული ცოცხალი კილოების, მეგრულისა და სვანურის სახით.

სვანურში გვაქვს **ხან** პრეფიქსი, ხევსურულშიაც იჩენს იგი თავს საგანგებო პირობებში. გვაქვს თუ არა უფლება აქიდან დავასკვნათ, რომ **ხან** პრეფიქსი „პრაქართული“ მოვლენაა? პროფ. ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი დადებითად უპასუხებს ამ საკითხზე: ფაქტი ხანმეტი ტექსტების არსებობისა სწვეტს მისთვის ამ საკითხს (იხ. ხსენებ. წერილი, გვ. 363, 364).

¹ ეს გარემოება აღნიშნა კიდევ პრ. ა. შ ა ნ ი ძ ე მ თავის წერილში „ჰამეტი ტექსტები და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“, ტფ. უნივერ. მოამბე, ტ. III, გვ. 354. — გარე-კახურსა და ქიზიყურში, მაგალ., ჩვენ გვაქვს ამაჟამად სანის დასუსტება მთელს ენობრივ ფრონტზე.

მაგრამ შეიძლება ხანმეტობის ხანზე დამყარება? იგი ხომ პრობლემაა და არა ფაქტი, **რამდენადაც მისი გენეზისის საკითხი ისმება!** სამსჯავროს წინაშე დგას იგი; და განაჩენის გამოტანისას ბრალდებული თვით ხომ ვერ მისცემს ხმას? მას შეუძლია მხოლოდ ჩვენება მისცეს, და ეს ჩვენება როდია სავსებით გარკვეული: თუ მივიჩნევთ ხან პრეფიქსს ზოგად ქართულ მოვლენად, დავუშვებთ, რომ ამ ზოგად სამემკვიდრეო ქონებას წარმოადგენს იგი უძველესს სამწერლობო ქართულში, — ხანმეტში, ჩვენ წინ აღიმართება ის ორი საკითხი, რომელზედაც ზემოდ არის ლაპარაკი; მათ აუხსნელად ხანმეტობიდან ჰაემეტობაში გადასავალი გზა დახშულია. ხანმეტის ჩვენების ის ინტერპრეტაცია, რომელსაც პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი - შ ვ ი ლ ი იძლევა, ამრიგად, ჩიხით თავდება.

ხანმეტობის ჩვენების გარეშე კი საკითხის გადაწყვეტისას მხოლოდ ცოცხალ ენობრივ მოვლენებსღა უნდა დავემყაროთ: გვრჩება ქართული ცოცხალი კილოები, მეგრული, სვანური. და თუ სვანურის ხანი და ხევსურულის სეკუნდარი, განსაკუთრებულს პირობებში ფონეტიკური გზით მიღებული ხანი ჰბადებენ ფსიქოლოგიურ დისპოზიციას ხან-პრეფიქსი პრაქტულად („ზოგად ქართულ მოვლენად“) დავსახოთ, არავითარს შემთხვევაში არ უნდა იყოს უგულვებელსყოფილი ის ფაქტი, რომ ხანი არ არის არც ერთს აღმოსავლურსა თუ დასავლურს ქართულს ცოცხალ კილოებში და მით უმეტეს, მეგრულში.

ამრიგად ხანის „ზოგად ქართულ მოვლენად“ გამოცხადება დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება.

სხვანაირად უყურებს საქმეს პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე. მისი აზრით „განსხვავება ხანმეტსა და ჰაემეტ ძეგლებს შორის იმდენად ქრონოლოგიური არ არის, რამდენად დიალექტური. ისინი იმდენად სხვადასხვა ეპოქას არ ეკუთვნიან, რამდენად სხვადასხვა კილოს. ხანმეტი ტექსტი ერთ კილოზეა დაწერილი და ჰაემეტი მეორეზე. ის გარემოება, რომ ჩვენამდე მოღწეული ხანმეტი ტექსტები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ჰაემეტ ტექსტებს და უცილობლად ძველია მათზე, რა თქმა უნდა, თავისთავად ჯერ კიდევ არ სწყვეტს საკითხს იმის შესახებ, თითქოს ქართული ლიტერატურა პარალელურად არ არსებობდა ჰაემეტ კილოზედაც; ან კიდევ რომ ხანმეტი ლიტერატურა საზოგადოდ უეჭველად ხნიერი იყოს ჰაემეტზე“¹.

ჰაემეტ ძეგლებში ჩვენ გვაქვს **ხარ** და არა „ჰარ“: ხანმეტი ფორმა და არა ჰაემეტი; ეს მოწმობს, ჩვენის აზრით, რომ **ლიტერატურულად** არა

¹ იხ. პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს ზემოხსენებული წერილი: ტ ფ. უ ნ ი ვ. მ ო ა მ ბ ე, ტ. III, გვ. 361.

მარტო აღმოჩენილი ძეგლის მიხედვით, არამედ საერთოდ, ხანმეტი უსწრებს ჰაემეტს, იგი უფრო ხნიერია ჰაემეტზე, ვინაიდან ძნელი დასაშვებია, რომ ჰაემეტ კილოს ხანმეტისაგან **მწერლობის გარეშე** ესესხა ეს ფორმა.

ამას გარდა პროფ. ა. შანიძის შეხედულებას, საერთოდ მრავალმხრივ მკვიდრ ნიადაგზე მდგომს, მძიმე ტვირთად აწევს მოვალეობა ახსნას: ერთი კილოს (ხანმეტის) ნიადაგზე აღმოცენებული მწერლობა, როცა მეორე კილოს (ჰაემეტის) წიაღში შობილმა შესცვალა, რად არ იჩინა თავი განსხვავებამ პრეფიქსებს გარდა სხვა ელემენტებში: მაგალითად, სუფიქსებში (როგორც ზმნის, ისე სახელის), სინტაქსში, და სხვ. ნუთუ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მხოლოდ ამ პრეფიქსების მხრივ არსებობდა მათ შორის განსხვავება?!

აკად. ნ. მარრის, პროფ. ივ. ჯავახიშვილისა და პროფ. აკ. შანიძის შეხედულებათ ზოგადად რომ გადავავლოთ თვალი, ერთი გარემოება მიიქცევს ყურადღებას: როგორც აკად. ნ. მარრი, ისე პროფ. ა. შანიძე მიუხედავად მრავალმხრივი განსხვავებისა **ქართული სამწერლობო ენის წარმოშობის** საკითხში „დიალექტურ“ თეორიას იცავენ (თუ შეიძლება ასე ითქვას): აკად. ნ. მარრი დედუქტიურად, ზოგადი მოსაზრებებით, ლექსიკური მასალის ანალიზით მიდის ამ აზრამდე და, მიუხედავად იმისა, რომ მრავალს ერთმანეთის საწინააღმდეგო კონკრეტ შინაარსს სდებს საკითხის გადაწყვეტისას, ზოგად ფორმულას მაინც უცვლელად სტოვებს; მისი დასაყრდენი თითქმის მხოლოდ ლექსიკა იყო ხანმეტ ძეგლების აღმოჩენამდე¹.

პროფ. ა. შანიძე კი სადისერტაციო გამოკვლევის („პრეფიქსები ქართულს ზმნებში“) გამოქვეყნებიდან (და უფრო ადრეც) მოყოლებული ნაშთების ანალიზით მიემართება იმ შეხედულებისაკენ, რომელიც მან ჩამოაყალიბა ჰაემეტი ძეგლის გამოცემის განმარტებაში; ესეც დიალექტური თეორიაა, მიღებული ინდუქტიური გზით, მორფოლოგიურ ანალიზზე დაყრდნობით.

განსაკუთრებით საინტერესო კი ის არის, რომ თუმცა სხვადასხვა

¹ „ხანმეტ ძეგლების აღმოჩენამდე“ იმიტომ ვამბობთ, რომ „მესხურის“ გაგება იაფეტური თეორიის „განვითარებასთან“ (უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა ევოლუციასთან) დაკავშირებით იძლევა ახალ შესაძლებლობას ძველი ფორმულების ახალი შინაარსით ასავეხად. იხ. შენიშვნა 2, გვ. 77 და, თუმცა დ-რ R. Blake-ის წერილთან დაკავშირებით აკად. ნ. მარრის მიერ გამოთქმულ აზრს „არქაული“ მოტივები ეტყობა, მაინც შიში გვებადება — ვაი თუ ახალი თეორიული ექსტაზის კულმინაციამ შეუსაბამოდ ჩათვალოს ეს ძველი გაგება: წარსულის უარყოფა იაფეტოლოგიაში განვითარებად იწოდება.

დროს, მაგრამ უსათუოდ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი „დიალექტური თეორიის ამ წარმომადგენლებს ლეონტი მროველის ცნობა აგონდებათ, — რომ „უწინ ქართლოსიანთა ენა იყო სომხური და შემდეგ შეიქმნა ქართულიო“; და, თუმცა გაკვრით, მაგრამ მაინც ორივე მკვლევარი ამ ცნობის გააზრიანებას ცდილობს.

პროფ. ა. შანიძე წერს: „...შეიძლება აიხსნას ის უცნაური ანაქრონისტული ადგილი ლეონტი მროველის ისტორიულს ნარკვევში, სადაც ვკითხულობთ: „აქამდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს, ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხუნი ნათესავნი ქართლს შინა, მაშინ ქართულთაც დაუტევეს ენა სომხური და ამით ყოველთა ნათესავთაგანი შეიქმნა ენა ქართული“ (მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება გვ. 12-13). ეგების ამ სიტყვებით ყრუდ იყოს გადმოცემული ისტორიული ფაქტი, რომ პირველად ქართული სამწერლობო ენა გაჩნდა სომხეთის (ხანმეტი) კილოზე, ხოლო შემდეგ ეს კილო მიტოვებულ იქმნა და მის ნაცვლად ქართლის (ჰაემეტი) კილოზე განაგრძო ლიტერატურული განვითარება“ (იხ. ზემოხსენ. წერილი, უნივერს. მოაბმე, ტ. III, გვ. 361).

აკად. ნ. მარრი კი წერს: „მეხუთე საუკუნის სომეხთა მეტყველება რომ მიგვეჩინა მთლიანად სვანურის კილოდ, ...მაშინ ძალაუწებურად მოგვაგონდებოდა ქართულ მათიანეთა ცნობილი ჩვენება, რომელსაც უარყოფენ როგორც შეუსაბამო მტკიცებას. სწორედ ქართულ მათიანეთა ერთ-ერთ ვერსიაში ამტკიცებენ, რომ ქართველები ლაპარაკობდნენ სომხურად (по сомехски), შემდეგ კი ამეტყველდნენ ქართულად. მეცნიერული კვლევა-ძიების აღნიშნულ მსვლელობასთან დაკავშირებით ეს ნიშნავდეს იქნება (это значило бы), რომ თავდაპირველად ქართველების საეკლესიო-სამწერლობო ენად ქართველთათვის იყო სომხური, ე. ი. „სომეხის“ (sic) სვანური ენა; გარკვეული მომენტიდან დაწყებული მათ ეკლესიის სალიტერატურო ენად აქციეს თვისი მშობლიური ქართული ენა¹.

¹ იხ. მისი: "Из поездок в Сванию", Х р и с т и ა ნ ს კ ი й В о с т о к, ტ. II, ნაკ. I, გვ. 24. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აკად. ნ. მარრი ერთს შედარებით უფრო ახალ თვის ნაშრომში ქართული მემათიანის ზემოხსენებულ აზრს სხვანაირად აფასებს: მემათიანემ არ იცოდა ის რთული პროცესი ტომთა მეტისაციისა და გადასხვაფერებისა, რომელმაც სომეხ-სახელწოდების წარმოშობა განსაზღვრა და ამ ნიადაგზე წარმოიშვა ის თქმულება, რომ პირველად ქართველები „სომხურად“ ლაპარაკობდნენ და შემდეგ იწყეს ქართულად ლაპარაკი (იხ. მისი: Астрономические и этнические значения двух племенных названий армян, Записки Восточного Отделения, т. XXV, გვ. 243).

მეხს-სახელწოდების ახალმა გაგებამ აკად. ნ. მარრს ახალი თვალსაზრისი გამოუმუშავა „სომეხზე“; ამან კი გამოიწვია მემათიანის ცნობის დაფასება, როგორც გაუგებრობაზე აღმოცენებულის.

„დიალექტურ“ თეორიას უპირდაპირდება პროფ. ივ. ჯავახიშვილის **„უნიტარი“**, თუ შეიძლება ითქვას, თეორია.

ამჟამად ძნელია გადაჭრით თქმა, რომელი მათგანი უკეთ ხსნის არსებულ სინამდვილეს; ხანმეტი და ჰემეტი ძეგლები სამწუხაროდ მხოლოდ განსაზღვრული ოდენობისდა არის ჯერჯერობით აღმოჩენილი. მაინც შეიძლება ერთი რისამე აღნიშვნა: ხანმეტობის გენეზისის ახსნას დიალექტური თეორიის ნიადაგზე უფრო ნაკლები დაბრკოლებები ელობება; ხანმეტი სამწერლობო ქართულის შემდეგი ევოლუცია კი უნიტარი თეორიის სასარგებლოდ ლაპარაკობს; სხვანაირად რომ ვთქვათ: დიალექტური თეორია (უმთავრესად, პროფ. ა. შანიძის აზრი გვაქვს მხედველობაში) ძლიერია, რამდენადაც იგი **ხანს** დიალექტური წარმოშობისად მიიჩნევს, **ხანის** „გაჩენას“ დიალექტს მიაკუთვნებს, მაგრამ სუსტი, რამდენად მის „დაკარგვას“ აგრეთვე დიალექტურ ნიადაგზე ხსნის: ჰემეტზე გადასვლა იგი იძულებული ხდება გარდატეხით ახსნას, რომელიც სამწერლობო ენამ განიცადა. ეს გარდატეხა კი ენას არ ეტყობა. გარდატეხის უარყოფიდან გამოდის „უნიტარი“ თეორია; დღემდე არსებული ფაქტები უსათუოდ ლაპარაკობენ პროფ. ივ. ჯავახიშვილის აზრის სასარგებლოდ; მაგრამ როდესაც ამ ფაქტიდან მკვლევარი დასკვნას აკეთებს, არც ოდესმე გვქონია დიალექტიზმთან საქმეო, ძნელი დასაძლევია ხდება დაბრკოლებათა რიგი.

დიალექტური წიაღიდან სამწერლო ენაში დამკვიდრებული **ხანი** (აღბათ მაშინ, როცა ეს დიალექტი განსაკუთრებულ როლს თამაშობდა სამწერლობო ენის შექმნაში) — სამწერლობო ენიდან **ჩამოშორებულ** იქნა ისე, რომ თვით ეს ენა არ შეცვლილა; ასეთია ის შთაბეჭდილება, რომელიც იბადება ზოგიერთ გარემოებათა გათვალისწინებით. ამით ნავარაუდევია შემდეგი ხანებისათვის უცხო მორფოლოგიური ელემენტის ჩამოცილება, ე. ი. რეფორმის გატარება ამ პრეფიქსის მიმართ, რადგანაც იგი მეტად ეუცხოვებოდა შემდეგს ხანებში გაბატონებულ კილოთა თვისებას. მაგრამ ასეთი შემარიგებელი ვაგებაც იძულებულია მთელ რიგს კითხვებზე გასცეს პასუხი: მართლა რეფორმა, ე. ი. შეგნებული ჩარევა მოხდა თუ არა? შეიძლება ეს არ მომხდარა? **ხანს** ჰქონდა თუ არა ხანმეტში თავისი სრული ფონეტიკური ღირებულება ან შეიძლება იგი განსხვავებული სახისა იყო? და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რატომ შეგვრჩა ჩვენ „ხარ“ და „ხუალ“ („ხვალ“) ზმნებში **ხანი** დღევანდლამდე **არა მარტო სამწერლობო ქართულში, არამედ ყველა ქართულ ცოცხალ კილოებში**, რაიც განსაკუთრებით აძნელებს მის ახსნას, რანაირი თვალსაზრისითაც არ უნდა მივუღვეთ საკითხს...

არა ერთი კერძო საკითხი, რომელიც აღმოჩენილი ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტის განხილვისას იბადება, აღუნიშვნელად რჩება აქ. იგინი საგანგებო განხილვას მოითხოვენ.

მაგრამ ის ორიოდვე საკითხიც, რომელიც იმ თავითვე დაისვა, არ შეიძლება გადაჭრილად ჩაითვალოს; არც ერთს დღემდე წამოყენებულ თეორიას არ ძალუძს იგი დამაკმაყოფილებლად ახსნას. მასზე სწორი პასუხის გაცემა მომავლის საქმეა.

მაგრამ როგორადაც არ უნდა გადაწყდეს ეს და სხვა ამასთან დაკავშირებული საკითხები, ის მაინც ფაქტია, რომ ხანმეტისა და ჰაემეტი ძეგლების აღმოჩენა ქართველთ-მეტყველებისათვის ეპოქის შემქმნელია.

1924 წ. 16 ოქტომბერს

ტფილისს

Н. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка. Материалы по яфетическому языкознанию, XII. Ленинград, 1925. 8° XXIV+30+216¹.

რ ე ც ე ნ ზ ი ა

ეს პირველი მეცნიერული გრამატიკაა ქართული ენისა, არა მხოლოდ ძველი-სამწერლობისი, არამედ საერთოდ ქართულისაც.

ქართული ენა ტიპოლოგიურად ძირითადად განსხვავდება ინდო-ევროპულ ენათაგან, არსებითად — სემიტურთაგან. არა ერთი სხვა ენა ემსგავსება ამ შემთხვევაში ქართულს; მრავალი ენა თავისი აგებულებით კიდევ უფრო შორდება ინდო-ევროპულს; ასეთი ენები ბლომად მოიპოვება არა მარტო აზიის სხვადასხვა კუთხესა და ავსტრალია-აფრიკა-ამერიკაში, არამედ ჩვენს მეზობლადაც, — კავკასიაში. მაგრამ მათ შორის ქართული (თითქმის) უნიკუმია: ის არის ტიპოლოგიურად თავისებური და იმავე დროს ისტორიის მქონე ენა; წერილობით ძეგლებშია წარმოდგენილი ეს ისტორია; აკად. ნ. მარის სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართული სამწერლობო ენის ისტორია „გადაშლილია სივრცეზე არა ნაკლებ თოთხმეტი საუკუნისა“².

ძველი-ქართული ანუ კლასიკური სამწერლობო ქართული მეთორმეტე საუკუნის წინააღმდეგე ძეგლების ენაა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ენას ქართველური (და არა მხოლოდ ქართველური) ენათმეცნიერებისათვის: შედარებით-ისტორიული ძიებისას ქართველურ ენათა წიაღში მის მაგივრობის გაწევა არაფერს შეუძლია.

ამით უკვე განსაზღვრულია ის პრინციპული მნიშვნელობა, რომელიც ძველი სამწერლობო ქართულის გრამატიკის გამოსვლას აქვს.

სამი მთავარი ამოცანა აღიმართება ქართული ენის გრამატიკის ავტორის წინაშე: ერთი — ტექნიკური; ორი — პრინციპული; პირველი —

¹ გამოქვეყნდა კრებულში: მიმომხილველი (საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო), 1. ტფ., 1926, გვ. 285-330.

² „Грузинский представлен не только диалектически в живых говорах, ... но и исторически, на протяжении по крайней мере четырнадцати веков в многочисленных письменных памятниках...“ იხ. Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка... СПб. 1908, გვ. 10.

როდია სპეციფიკურ-ქართული, მეორე ნაწილობრივ მაინც ქართულით არის გამოწვეული, მესამე — მთლიანად ქართულის კუთვნილება; იგულისხმება: **1. მასალათა სიმრავლის მოვლა;** ძველი-ქართული მდიდარია წერილობითი ძეგლებით; მათი უმრავლესობა შესწავლილი არ არის; მეცნიერულად გამოცემული ძეგლების რიცხვი კი თითზე ჩამოითვლება; ამიტომ ეს ტექნიკური ამოცანა მიძიება და არც თუ ადვილად მოსაგველი.

2. ზოგად მეთოდოლოგიურ მოთხოვნილებათა დაცვა და გატარება; გრამატიკის მეცნიერულ ემანსიპაციასთან დაკავშირებით ეს საკითხი მწვავედ დგას ინდო-ევროპულ ენათმეცნიერებაში; ქართულში მისი სირთულე და სიმწვავე საკმაოდ ნათელი იქნება თუ მოვიგონებთ, რომ ქართულის მეცნიერული გრამატიკა დღემდე არც დაწერილა, ხოლო ის, რაც დაწერილია, ჰერმანისა და ვოლფიუსის ხანის მეთოდოლოგიურ წინამძღვრებს ემყარებოდა და ხსენებული საკითხის სიმწვავეს არც კი გრძნობდა. სანიმუშოდ ვასახელებთ: მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციას, ქვემდებარე-დამატების კვალიფიკაციას... **3. ქართულის აგებულების სპეციფიკურ სიძნელეთა დაძლევა:** ეს ნიშნავს: უნდა შუქი მოეფინოს იმ ძირითად თავისებურებათ, რომელნიც ქართულს ახასიათებენ და სხვა ენათგან განსხვავებენ, ასე მაგალითად: ზმნათა უღვლილების ზოგადი პრინციპები... მოქმედებითი, საშუალო და ვნებითი გვარის ზმნათა ურთიერთობა... გარდამავალ ზმნებთან ქვემდებარისა და დამატების ბრუნვათა საკითხი: რატომ არის კალატოზი (სახელობ.) აშენებს სახლს (მიცემ.), მაგრამ: კალატოზმა (მოთხრ.) ააშენა სახლი (სახელობ.)... რას წარმოადგენს თვით ეს მოთხრობითი ბრუნვა... და სხვა.

უკანასკნელი ორი ამოცანა, როგორც ითქვა, პრინციპული ხასიათისაა: ერთი მათგანი: ზოგად მეთოდოლოგიურ-პრინციპული, მეორე, თუ შეიძლება ითქვას: სპეციფიკურ-პრინციპული, რამდენადაც სათანადო პრინციპები განსაკუთრებული ქართული ენობრივი სინამდვილის გასაგებად მოიხმარებიან. ერთიცა და მეორეც გულისხმობს საენათმეცნიერო მსოფლმხედველობას, ამ პრინციპების ჩამოყალიბებულობაზე დამკვიდრებულს.

აკად. ნ. მარის ხსენებული გრამატიკის განხილვისას ჩვენი ყურადღება ამ მომენტებს ექნება მიპყრობილი...

„ძველი სამწერლობო ქართულის გრამატიკა“ აკად. ნ. მარისა გარკვეული თვალსაზრისით არის დამუშავებული, სახელდობრ, იაფეტიდოლოგიურის, ვიტყვით ჩვენ, რომ იაფეტიდოლოგია მეტად ფართო ცნება არ იყოს. ამ თვალსაზრისის გამომუშავებისას გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო აკად. ნ. მარის ერთი ზოგადი თეორიული წინამძღვარი: ქართველური ენები ენათესავებიან სემიტურ ენებს: ქართველური პლუს ზოგიერთი სხვა ენები წარმოადგენს ერთ შტოს: იაფეტურს; იაფეტური კორელა-

ტია სემიტურის: ისინი შეადგენენ ერთი ენობრივი ოჯახის ორ შტოს¹. ნათესაობის ეს ჰიპოთეზი იყო ის თეორიული მალლობი, რომლიდანაც დასცქეროდა აკად. ნ. მარი ქართველური ენების სინამდვილეს და სათანადოდ ამუშავებდა მას. უშუალოდ ჩანს ეს ისეთ დებულებებში, როგორცაა 1. რომ ქართულში ძირები სამთანხმოვნია... 2. ძირითადია სამი ბრუნვა; ორივე ეს დებულება სემიტური ენებისაა... მაგრამ ამით როდი თავდება ჰიპოთეზის მნიშვნელობა; როგორც აკად. ნ. მარი ამბობს, მხოლოდ ამ ნათესაობის ჰიპოთეზზე „დაყრდნობით შესაძლებელი გახდა ვსწვდომოდით, ბოლოსდაბოლოს, ქართული ენის აგებულებას და გაგვეხსნა რთული, თითქოს, გადაუწყვეტარი (неразрешимый) საკითხები ქართული გრამატიკისა, ასე მაგ. ქართული ზმნების უღვლილება“. (იხ. **Основные табл.** გვ. 7).

არის ერთი დიდმნიშვნელოვანი დებულებაც აკად. ნ. მარის პრინციპულ მოსაზრებათა შორის: ის ზმნების ფუძეთა ბუნებას ეხება და ამბობს: ზმნათა უღვლილებისას ფუძე არ არის ეთრნაირი: აწმყოსა და მის ჯგუფში, ე. წ. პირველ ჯგუფში, იგი **აქტიურია**, აორისტსა და მის ჯგუფში ფუძე **პასიურია**. რა იწვევს ერთს შემთხვევაში აქტიურობას, მეორე შემთხვევაში — პასიურობას, — იქნება მოხსენებული ქვემოთ. აქ კი აღვნიშნავთ, რომ ამასთან შეთანხმებულია მეორე დებულება: რომ მოთხრობითი ბრუნვა თვისი ბუნებითა და აგებულებით არის მიცემითი...

აორისტის ფუძის პასიურობა და მოთხრობითის მიცემითობა, ორივე ერთად მოწოდებულია გადასწყვიტოს ქვემდებარის პრობლემის ურთულესი ამოცანა: რატომ არის გარდამავალ ზმნებთან ქვემდებარე მოთხრობითში: რატომ ვამბობთ: **მან** ააშენა **იგი**? — „ააშენა“ — თვისი ფუძით პასიურია და ამიტომ ბუნებრივია თუ მასთან ქვემდებარედ **მან** გვევლინება, მიცემითი ბრუნვა, ბრუნვა „ვნებითობის“, როგორც მას აკად. ნ. მარი უწოდებს.

ეს შეხედულება ყველაზე მნიშვნელოვნად შეიძლება მივიჩინოთ; იგი ზმნის ისეთ თვისებას ააშკარავებს, რომელიც შესიტყვებათა (**Wortzusammensetzung**, — ძირითადი სინტაქსური ერთეული) მექანიკას განსაზღვრავს. ეს შეხედულება გატარებულია „ჭანური ენის გრამატიკაში“ (1910 წ.), რომელიც აკად. ნ. მარს ეკუთვნის და „მეგრული ენის გრამატიკაში“ (1914 წ.), რომელიც განსვ. პროფ. ი. ყიფშიძის მიერ არის დაწერილი და მთლიანად იმეორებს აკად. ნ. მარის ყველა პრინციპულ დებულებებს.

¹ შემდეგში იაფეტური მიჩნეულ იქნა თავისთავად ოჯახად, რომელიც სემიტურ ოჯახს ენათესავება. „შემდეგში“ ეს იაფეტური სხვა ოდენობად იქცა, მაგრამ ეს ამჟამად საინტერესო არ არის.

პოსტულატი ძირთა სამთანხმოვნინობის შესახებ აგრეთვე დიდად საყურადღებოა: მის გამოყენებას ჩვენ წავაწყდებით როგორც ფონეტიკის, ისე მორფოლოგიის ყოველ კუნჭულში.

ფუძეთა პასიურობა თუ აქტიურობა და ძირთა სამთანხმოვნინობა პირველ რიგში უნდა იქნენ განხილული. დავიწყოთ უკანასკნელით.

1. ძირთა სამთანხმოვნინობა

აკად. ნ. მარი წერს: „В корнеслове грузинский язык роднит с семитическими и то основное положение, что коренными служат лишь согласные, и то характерное явление, что **грузинские корни трехбуквенны**¹, или что бывает реже, **двухбуквенны**“ (იხ. Основ. таб. გვ. 2; — ხაზი ჩვ. — **ა. ჩ.**)².

რით ავხსნათ ის შემთხვევები, სადაც ძირში სამი თანხმოვანი არა ჩანს; ეს მეორადი მოვლენაა, ამბობს აკად. ნ. მარი: „Отступления от этой нормы в сторону единства или множества объясняются позднейшею историею грузинских звуков: В одних случаях присутствие двух тождественных согласных, сливающихся в один, сводило трехбуквенность на двухбуквенность (sic!) или при наличии в корне слабых согласных, постепенно исчезавших, число коренных уменьшалось также до двух, даже до одного согласного, а иногда устранялся и этот последний представитель корня, ославляя на лицо лишь один гласный элемент, в других случаях удвоение твердых согласных..., а также вовлечение согласных форматив в корень, вrostание их в коренные, увеличивало число коренных до 4-х или даже более согласных“ (იქვე, გვ. 2, შენიშ. 1).

სამზე ნაკლები თანხმოვანი თუა ძირში, ეს იმიტომ, რომ დაიკარგა; სამზე მეტს თუ შეიცავს ძირი, ეს იმიტომ, რომ არაძირეული ელემენტი ძირს შეერთო, შეექსოვა; უნდა იყოს ყველგან სამი თანხმოვანი; თუ არ არის, უნდა გავხადოთ... ითქვა, გაკეთდა. არაბულში სამთანხმოვნინობის ნიმუშად მიჩნეულია **კოლ** (კათალა-ზმნისაგან: = „მოკლა“), აკად. ნ. მარმა მისი როლი დააკისრა ქართულში **ქმნ** კომპლექსს (ქმნა-ზმნისაგან!).

აი სანიმუშო შემთხვევები სამთანხმოვნინ ძირთა:

კრბ (კრებ-ს — კრიბ-ა) იხ. Граммат. древнелитератур. груз. яз., § 178, გვ. 146;

¹ ასოსა და ბგერის ურთიერთობის შესახებ აქ აკად. ნ. მარი გავრცელებულ შეუსაბამობას იმეორებს; შემდეგ მან ეს გამოასწორა; ორი წლის შემდეგ „ჭანური ენის გრამატიკაში“ ის წერს: „Приходится отказаться не только от термина „трехбуквенный“, совершенно устаревшего (ხაზი ჩვენია ა. ჩ.), но и от более реального — „трехзвучный“, чтобы не вводить путаницы в совершенно ясное дело“ (Грамм. чан. яз. გვ. 7, შენიშვნა 1). ოღონდაც!

² საერთოდ, „ძირითად ტაბულებზე“ დაყრდნობა სავსებით შესაძლებელია, რამდენადაც „გრამატიკა“ ჰგულისხმობს მასში მოცემულ მასალას და თვით წარმოადგენს „ტაბულებში“ წარმოდგენილი პრინციპების ხორცშესხამას.

ანდა: **ტყვ** (<წყვ) >წყ (>ცხ) >ც; „ეს ძირი სამი სახეობით არის წარმოდგენილი; აღნიშნავს — ცოდნას“ (იქვე, § 238, გვ. 202).

ანდა: **კლვ** (<კვლ) — აორ. : ვ-კალ

ხრვ (<ხვრ) — „ვ-ხარ (იქვე, იხ. გვ. 158); მათ ასეთი განმარტება უძღვის: Слабые пустые корни с перемещенным на 3-ье место в (sic!), в аористе бесследно исчезающим“. შდ. § 188, В, а, გვ. 154, სადაც აგრეთვე ვ'ს გადასმის შესახებაა ლაპარაკი.

ანდა: **სკმ** (სუამ-ს), **ცკმ** (ი-ცუამ-ს), **დგმ** (დგამ-ს)... ამათ კი შემდეგი განმარტება მოსდევთ: ...первые (ე. ი. სკმ, ცკმ), сливая с в (ვ) характер а в о, скрывают коренной согласный в этом гласном, напр. სტვ — п р я с т ь — სტო (<სტვა) п р я л, вязал“ (იქვე, § 177, გვ. 145).

ანდა ძირები: **კდმ** || **კდბ**, **კვდმ** || **კვდბ**, **დგმ** || **დგბ**; მიმატების ნიშნით შეერთებული **მ ბ** ფუნქციონალი ბგერაა, როგორც იქვეა განმარტებული (იქვე, გვ. 145).

ანდა: **ვსნ**, **ხრწ-ნ**, **ფრქცვ-ნ**: ვ-ვსენ, ვ-ხრწენ, ვ-ფრქვენ: ამ ძირების შესახებ ვკითხულობთ: сильные корни с последним коренным или функциональным н (იქვე, § 189, а, 3, გვ. 156-157...).

§ 244, გვ. 208 ვკითხულობთ: „...ზ есть эквивалент народного ყ, наличного напр. в гур. ყი-ს с и д и т. Это ყ в свою очередь остаток корня народного **ჟდბ** || **ჟდნ** (ჟდება, ჟდანა), эквивалента 'др.'-лит. (**კდბ** || **კდნ**...).

აქ იმავე ზმნის ერთ-ერთმა დერივატმა ფორმამ ავტორს საშუალება მისცა ძირეული სამი თანხმოვანი გამოეძებნა. რა საშუალებით, ეს სხვა საქმეა; ამის შესახებ ქვემოთ.

მაგრამ არის შემთხვევა, სადაც ზმნა ასეთ შესაძლებლობას არ იძლევა; იქ ავტორი **ადადგენს** დაკარგულ ძირს; აი ამის ნიმუში: „Корень *чбл...> ბლ может терять третий коренной л, как теряет его შბლ>შბ р о ж д а т ь, д е л а т ь и тогда от спирантного вида корня „творить“, „делать“ остается лишь один губной согласный б“ (§ 161, გვ. 127). მაშასადამე **ბ** არის ნაშთი სამთანხმოვნიანი ძირის, რომელიც „ქმნა“ს აღნიშნავდა.

ძირის სამთანხმოვნიანობა რეგულატიური პრინციპია. რა ღირებულება აქვს მას? რად უნდა ყოფილიყო თავდაპირველად ძირი სამთანხმოვნიანი? რა აპრიორი აუცილებელი პირობა იყო ის, რომელსაც უნდა დაეკანონებინა სამი თანხმოვნის ხმარება, და არა ოთხის ან ორის? ასეთი რამ არ არსებობს. ძირი მორფოლოგიური ანალიზის შედეგად მიღებული ხელოვნური ერთეულია. მისთვის სავსებით საკმარისია ერთი მარცვალი; ამ უკანასკნელისთვის სრულიად არ არის საჭირო სამი თანხმოვანი, ორიც სავსებით საკმარისი იქნებოდა. ჩვენ ოდნავადაც არ გვსურს აპრიორ სამთან-

ხმოვნიანობას აპრიორი ორთანხმოვნიანობა დავუპირიდაპიროთ. მეცნიერული აზროვნება შორს ვერ წავა აპრიორი მსჯელობით. და თუ მაინც ორთანხმოვნიანობის რეზონი გავხაზეთ, ეს იმისათვის, რომ გვეთქვა: სამთანხმოვნიანობა ფატალურ აუცილებლობას როდი წარმოადგენს, მისი მაგივრობა თავისუფლად შეუძლია გასწიოს ორთანხმოვნიანობასაც¹; ორთანხმოვნიანობა არა ნაკლებ საფუძვლიანი იქნება, თუ მეტი არა.

სამთანხმოვნიანობის ღირსების გასათვალისწინებლად ის მაგალითებიც საკმარისია, რომელიც ზემოთ მოვიხსენეთ. არას ვიტყვიტ *ზლ და მაგვარი ძირების შესახებ; ასეთი ზმნა არ არსებობს, იგი აღდგენილია; მასთანადამე, მისი ჰიპოთეტურობა ავტორისთვის ფაქტია, მის რეალობას ავტორიც არ იცავს. აქ შემოწმება შესაძლებლობათა ფარგლებს ვერ გასცილდება. ავიღოთ სხვა მაგალითები **კლვ, ხრვ, სჰვ, ცჰვ, დგვ, ჯღვ || ჯღვ (ჟღვ || ჟღვ), კჰვ || კჰვ; ჯსნ, ხრწნ, ფრცქჰნ...** მათი სახელზმნები: კლვა, ხრვა, სჰვა, ცჰვა, (სუმა, ცუმა), დგმა, ჯღმა, კჰდმა (კუდმა), ჯსნა, ჯრწნა, ფრცქჰნა (ფრცქჰნა) ზოგიერთის გამონაკლისით მართლაც სამ თანხმოვანს შეიცავენ... ეგევე ითქმის გდგვღვ ძირის შესახებ (იხ. § 207, გვ. 169), მაგრამ მხოლოდ ერთის შეხედვით. უკანასკნელი თანხმოვანი თითქმის ყველგან არის ნაშთი იმ სუფიქსისა, რომლის საშუალებით ეს ზმნები აწმყოს აწარმოებენ: კლვა<*კლ-ავ-ა: კლავს; ხრვა<*ხრავ-ა²: ხრ-ავ-ს; სუმა<*სუ-ამ-ა: სუ-ამ-ს-; ცუმა<*ცუ-ამ-ა: იცუ-ამ-ს; დგმა<*დგ-ამ-ა: დგ-ამ-ს; ჯსნა<*ჰს-ენ-ა³: *ჰს-ენ-ის (<ჰსნის); ხრწნა<ხრწ-ენ-ა: *ხრწ-ენ-ის (>ხრწნის); ჯღმა, კუდმა-ში კი **-ომ** ისეთივე სუფიქსია, როგორც **-ოლ** ზმნებში: ბრძ-ოლ-ა; ძრწ-ოლ-ა; სრ-ოლ-ა... რა უფლება გვაქვს აწმყოს სუფიქსების ეს თანხმოვნები ძირს მივაკეროთ? ისინი აორისტის ჯგუფში ხომ სრულებით არ ჩანან: კლავ-ს — კლ-ა; ხრავ-ს — ხრ-ა; სუამ-ს — სუ-ა; იცუამ-ს — იცუ-ა; დგამ-ს — დგ-ა; (ჰსნის, ხრწნის თვით არის აორისტ-პერმანსივის ფორმა და ორსავე ჯგუფში ერთი და იგივე ფუძე აქვს...); ჯღვ-ის — ჯღ-ა...

¹ ქართველურ ენათა მიმართ ორთანხმოვნიანობას იცავდა მიხ. წ ე რ ე თ ე ლ ი ერთ-ერთ თავის წერილში. ისიც უნდა ითქვას, რომ მას მეტი საფუძვლები გააჩნდა თავის დებულებისთვის, ვინემ აკად. ნ. მ ა რ ს. სამწუხაროდ, ეს წერილი ხელთ არა გვაქვს და მის სათანადოდ გამოყენების შესაძლებლობასაც მოკლებული ვართ.

² სხვათა შორის ავტორი ამბობს: კლვ<კვლ, ხრვ<ხვრ; ვ ბოლოში მოექცა შემდეგაო... ეს იმ შემთხვევაში იქნებოდა მართალი, თუ აწმყოს სუფიქსი ფრინ-ავ-ს, გორ-ავ-ს, ფარ-ავ-ს და მაგვარებში ა ვ კ ი არ იქნებოდა, არამედ „აღ“ ან „არ“, ხოლო „ვ“ ძირეული... ასეთი უცნაური დაშვებისათვის არავითარი საბუთი არ მოიპოვება; თანამედროვე კ ვ ლ ა თითონ არის ვ ს გადასმის შემდეგ მიღებული *კლავა > კლვა > კვლა...

³ ჰსნის, ჰმნის“ში -ე ნ ფორმანტის არსებობა აღნიშნული იყო ვარ. თ ო - ფ უ რ ი ა ს მიერ მის ერთ-ერთ მოხსენებაში ქართ. საენათმეცნიერო საზოგადოების სხდომაზე.

ქართულ ზმნებში ძირი აორისტის პირველსა და მეორე პირში უნდა ვეძიოთ: ჰ-კუედ... ს-დეგ... ჰ-სუ... ჰ-კალ... ი-ცუ... და სხვ. შეიძლება თვით ამ ყველაზე სადა ფორმების ანალიზმა მათშიც აღმოაჩინოს ფორმანტები და ისიც არ დაუტოვოს მთლიანად ძირს, მაგრამ ძირისათვის ამაზე მეტის განკუთვნიების უფლება არავითარ შემთხვევაში არა გვაქვს: ძირი ხომ ანალიზის გზით მიღებული მინიმალური, უცვლელი ერთეულია; მაქსიმალური სიმარტივე მოეთხოვება მას... ამიტომ არ შეგვიძლია ვთქვათ: აწმყოში უნდა ვეძიოთ ძირი, აორისტში მესამე თანხმომავნი იკარგებაო... ვერ ვიტყვით ამას იმიტომ, რომ ეს „დაკარგვა“ ეხება აწმყოს ყველა ფორმანტს, იქნება ეს **ებ, ობ; ემ, ოფ; ავ, ამ**, თუ სხვა რამ... არც ერთი მათგანი არა ჩანს აორისტში; მასასადავ, მათი უჩინარქმნა ფონეტიკურ ნიადაგზე კი არ ხდება, სამთანხმომავნი ძირი, აწმყოში დაცული, ფონეტიკურ ნიადაგზე კი არ მარტივდება აორისტში, არამედ, პირიქით, აორისტის მარტივი კომპლექსი რთულდება აწმყოში ახალი სუფიქსის დართვით; აქ მორფოლოგიური პროცესია „გართულების“, მარტივ კომპლექსზე, ძირზე ახალი ფორმანტის დართვის და არა ფონეტიკური პროცესი სამთანხმომავნი კომპლექსის გამარტივების... ამიტომ მიგვაჩნია შეუწყნარებლად აკად. ნ. მარის აზრი, როცა ის ამბობს: „კლვ, ხრვ სუსტი ცარიელი ძირებია მესამე ადგილზე გადასმული **ვ**თი, რომელიც აორისტში უკვალოდ იკარგებაო“ (გვ. 154).

ეს მით უფრო შეუწყნარებელია, რომ თვით აკად. ნ. მ ა რ ი ამბობს:

„В 3-ьем лице аориста действ. залога корень появляется в наилучшей сохранности. Из трех лиц именно 3-ье в аор. — самое простое образование...“ (§ 177, გვ. 145). მართალია, იგი აქვე დასძენს: „გამოსავალ წერტილად ღროთა წარმოებისას ეს ფორმა არ გამოგვადგებაო. მაგრამ იმის თქმა ხომ არ შეიძლება: მართალია, ეს ყველაზე მარტივი წარმონაქმნია (**самое простое образование**), მაგრამ ძირისთვის სხვა უფრო რთული კომპლექსი უნდა ვეძიოთ... ადვილი წარმოსადგენია, რა უცნაური შინაარსი მიეცემოდა მაშინ **ძირ**-ცნებას...“

რამდენად უკუღმართია სამთანხმომავნიანობის პრინციპი, ჩანს შემდეგიდან:

კვდ+ბ-ში **ბ** ფუნქციონალ ელემენტად არის აღიარებული და საცვებით მართებულად: კუდ-ებ-ის (აწმყო) — კუდ-ა (<*კუედ-ა); ეს **ბ** (<ებ) აწმყოს მაწარმოებელი სუფიქსია... მაგრამ: **ჭდა**ში **ბ** ძირის სალაროშია გადარიცხული. რა უფლებით? ჯდ-ებ-ის: — ჯდა (<*ჯედა); კუდ-ებ-ის: კუდა... ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივე **-ებ** ფორმანტია და მისგან მომდინარე **ბ**; ერთს შემთხვევაში ეს **ბ** ფუნქციონალ ელემენტად არის მიჩნეული, მეორეში არა... სრულიად ასეთივე ამბავი ხდება მეორე შემთხვევაში: **კსნ, ხრწ-ნ, ფრცქვ-ნ**... ერთი და იგივე **ნ** ორ შემთხვევაში ძირში არ შედის, ფუნქციონალური ელემენტია, **კსნ**ში კი ფუნქციონალური არაა, ძირში შე-

დის... ჰემმარიტად, მეტი უსამართლობა (ამ ბ, წის მიმართ) წარმოუდგენელია... ამ უსამართლობის წყაროა დოგმატი ძირის სამთანხმოვნიანობისა: **უნდა** იყოს სამი თანხმოვანი; არის ოთხი: მაშასადამე, მეოთხე უნდა გამოეყოს, როგორც ფუნქციონალი ელემენტი... (კუდ+ბ... ხრწ+ნ...); არის ორი; **უნდა** მოიძებნოს მესამე... და იგივე ფუნქციონალი ელემენტი ცხადდება ძირისეულად...

თვით იმ **ქმნ** ძირმა, რომელიც აკად. ნ. მ ა რ ს სამთანხმოვნიანი ძირის ნიმუშად აქვს წამოყენებული, მესამე თანხმოვანი (ნ) ანექსიის გზით მოიპოვა: ფუნქციონალი ელემენტი **ნ** (<ენ) **ქმ** ძირის კუთვნილებად გამოაცხადეს.

ფუნქციონალი ელემენტების ასეთი ბედი საკმაოდ ცხად ჰყოფს, თუ რა მეცნიერული ღირებულებისაა ძირთა სამთანხმოვნიანობა, როგორც რეგულატიური პრინციპი ქართულ სიტყვათა ანალიზისას.

სემიტურ ენებიდანაა გადმონერგული ეს პრინციპი. ქართულში ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხებულა მისი გამართლება. ყოველ შემთხვევაში აკად. ნ. მ ა რ ს სათანადო ცდა სანუგეშო პერსპექტივას არ იძლევა.

ზედმეტი არ იქნებოდა ორიოდ სიტყვა გვეთქვა იმის შესახებაც, თუ რამდენად აბსოლუტურია ამ პრინციპის მნიშვნელობა თვით სემიტური ენების სინამდვილეში და რას გვაგალებს მისი იქაური ვითარება ქართველურ ენებში, თუ უკანასკნელთა ნათესაობა სემიტურ ენებთან დამტკიცებული იქნება.

ცნობილი სემიტოლოგი ა. კ რ ი მ ს კ ი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ არაბულში სამთანხმოვნიან ძირებში თუ პირველი ორი თანხმოვანი ერთნაირია და მხოლოდ მესამე განასხვავებს მათ ურთიერთისაგან, დიდ წილ შემთხვევებში ეს ძირები ერთი ზოგადი იდეის სხვადასხვა ნაშანსებს აღნიშნავენ ხოლმე. მაშასადამე, ძირითადი ზოგადი იდეის აღმნიშვნელი პირველი ორი თანხმოვანია, მესამის დანიშნულებაა ამ იდეის დიფერენციაციის აღნიშვნა. ამიტომ ა. კ რ ი მ ს კ ი ს შესაძლებლად მიაჩნია ასეთი დასკვნა გააკეთოს: ალბათ, წინარესემიტური ძირები თავდაპირველად მხოლოდ ორი თანხმოვნისაგან შედგებოდაო (იხ. **Семитские языки и народы Теодора Нельдеке в обработке А. Крымского. Труды по Востоковедению, вып. V, Москва, 1903, გვ. 3-4, შენიშვნა 6**).

C. Brokelmannი, პირიქით, იმ აზრისაა, რომ უარყოფილ უნდა იქნეს შეხედულება (Mayer Lambertის პოსტულატი!) თითქოს ყველა სამთანხმოვნიანი ძირების ორთანხმოვნიანებამდის დაყვანა შეიძლებოდესო (იხ. **Grundriss der vergleichenden Grammatik der semitischen Sprachen. Berlin, 1908, Bd. I, გვ. 285**).

Marcel Cohen's სამთანხმოვნიანობა, მართალია, მიაჩნია სემიტურის ყველაზე დამახასიათებელ ნიშნად, აღნიშნავს, რომ იგი დაუცავს ყველაზე

კონსერვატულ ენას — არაბულს, მაგრამ შესაძლებლად სთვლის, რომ ეს თავისებურება სემიტურ ენებს ქამიტურის დაცილების შემდეგ შეეძინათ: საფიქრებელია, იგი ქამიტურ-სემიტური ზოგადი პერიოდიდან არ მომდინარეობდესო... „არსებობენ სემიტურის მონათესავე ჯგუფები, რომელთაც ან მრავლად (ეგვიპტურსა და განსაკუთრებით ბერბერულს) გააჩნიათ ორთანხმოვნიანი ძირები ანდა ნორმალურად აქვსთ ორთანხმოვნიანი ტიპი, ჩაუტავენ რა ხმოვანს, რომელიც არ არის ნახევარი ხმოვნის ბგერინაცვალის (კუმიტური)“...¹ ზოგს სემიტურშიაც სუსტდება სამთანხმოვნიანობაო...

ამრიგად, Cohen-ი მაინც აღნიშნავს, რომ ყველა სემიტურ ენებში როდია მტკიცედ დაცული და გატარებული სამთანხმოვნიანობა. და რაც უფრო მნიშვნელოვანია: არსებობს სემიტურის მონათესავე ენები, რომელთაც სამთანხმოვნიანობა არ ახასიათებს. მაშასადამე: თუნდაც რომ დამტკიცდეს ქართველურ ენათა ნათესაობა სემიტურებთან, მაინც ღიად დარჩებოდა საკითხი სამთანხმოვნიანობის შესახებ, მაინც არ იქნებოდა სავალდებულო იმ თავითვე გადმოგვეჩვენა ეს დოგმატი ქართველურ ენათმეცნიერებაში: აკი სემიტურის მონათესავე ქამიტური ენები: ეგვიპტური და ბერბერული, რომლებშიაც ორთანხმოვნიანი ძირები მრავლად არის წარმოდგენილი, ხოლო კუმიტურის ჩვეულებრივი ტიპია ორთანხმოვნიანი ძირი... ქართველური ენები ყოველ შემთხვევაში ხომ ვერ დაიჩემებენ მეტს სიხლოვეს სემიტურ ენებთან, ვიდრე ქამიტურნი...

სამთანხმოვნიანობის შესახებ ჩვენი ზოგადი დასკვნა ასეთი იქნება: **სემიტურ ენებთან ქართველური ენების ნათესაობის აღიარებიდან შინაგანი აუცილებლობით სრულიადაც არ გამომდინარეობს საჭიროება ქართველურ ენებშიაც ძირთა სამთანხმოვნიანობის პრინციპი წამოვყენოთ. ამის აპრიორული აუცილებლობა არ არსებობს. ა პოსტერიორი კი ამ პრინციპის გამოყენების ცდა (აკად. ნ. მარისა) გვარწმუნებს, რომ ამ დოგმატური პრინციპის გატარება შეიძლება მხოლოდ ფაქტებზე ძალადობის საშუალებით.**

2. აორისტის პასივობა

დებულება აორისტის ფუძის პასივობისა და აწმყოს აქტივობის შესახებ აკად. ნ. მარმა პირველად „ჭანური ენის გრამატიკაში“ წამოაყენა და გაატარა. მარტივია ეს შეხედულება და ამიტომ სიცხადისათვის ზედმეტი არ იქნებოდა მისი აქ მოხსენება: აორისტის ფუძე პასიურია, აწმყოს კი აქტიური (იხ. გვ. 47). რატომ? იმიტომ რომ აორისტის ფუძე შედგება ძირი-

¹ „Il est assez probable que la trilitéralité générale ne date pas de la période chamito-sémitique... Les groupes apparentés ou bien ont en abondance (égyptien et surtout berbère) des racines à deux consonnes, ou bien ont normalement (couchitique) un type à deux consonnes encadrant une voyelle qui n'alterne pas avec semi-voyelle“... (Les langues du monde, Paris, 1924, გვ. 92).

საგან პლუს ი(<ვი), მეშველი ზმნის მიმღობა ვნებითი გვარისა; აწმყოს ფუძეს კი შეადგენს ძირი პლუს ამ resp. აფ ან უმ resp. უფ, მეშველი ზმნის მიმღობის ფორმა მოქმედებითი გვარისა (იხ. იქვე: გვ. 43). ფუძეს აბასიურებს თუ ააქტიურებს მეშველი ზმნის მიმღობა: თუ იგი ვნებითი გვარისაა — ფუძეც პასიურია, თუ იგი მოქმედებითისაა, ფუძეც აქტიურია. ამიტომ არის აორ.: ბჭარ-ი პასიური კონსტრუქციის, ხოლო აწმყ.: ბჭარ-უმ აქტიურისა... ჭანურში ასე მარტივია საქმის ვითარება იმიტომ, რომ იქ ყველა ზმნები იულვლება ნართაული მეშველი ზმნის შემწეობით.

ქართულში მდგომარეობა გაცილებით უფრო რთულია, პრინციპი მაინც უცვლელი რჩება. „Аорист и производное от него сослагательное д. залога в основе пассивного происхождения, и в этой особенности ключ понимания грузинского спряжения (ხაზი ჩვენია, — ა. ჩ.), она придает своеобразный характер всему строю грузинской речи.

Форма аориста д(ейст.). залога у всех без исключения глаголов воспринимается, как пассивное образование“ (§ 178, გვ. 146) და აქიდან გამომდინარეობს, რომ „аорист и производное от него сослагательное по природе своих основ — объективного строя“ (§ 198, გვ. 163).

ამ ფაქტის ზოგადი თეორიული დასაბუთება შეიძლება დავინახოთ შემდეგ სიტყვებში, სადაც ლაპარაკია ზმნის „პირველყოფილი მდგომარეობის“ შესახებ: „В глаголах действия производитель (субъект) являлся страдающим, работающим (?!), а произведение (объект) состоянием покоя, потому первоначально субъект (логический субъект) выражался падежом страдания || действия (прямой винит. || дательн.), а объект (логический объект) — падежом состояния (прямой именит.). Впоследствии такое положение сбытовалось чисто формально в пассивной конструкции“ (§ 210, გვ. 174).

აორისტის პასიურობა სწვეტს ამნაირად მოთხრობითის საკითხს; ზემოხსენებულს გარდა ეს ჩანს შემდეგ ადგილიდან: „Форма аориста дейст. залога... пассивное образование... Естественно поэтому, что и при аористе и производном от него времени — сослагательном логический субъект стоит в Дат. падеже, именно Д. втором сპასალარ-მან (იგულისხმება ფრაზა: სპასალარმან კრიბა ლაშქარი — ა. ჩ.), а логический объект — в Имен. падеже — ლაშქარი“ (§ 178, გვ. 146).

რის მეოხებით ხდება აორისტის ფუძე პასიურად? რა გამოხატავს ამ პასიურობას? ამის პასუხად მოვიყვანოთ შემდეგ ადგილს: „Аорист имеет всегда и в действительном залоге ту или иную форму страдательного залога, именно —

I. Или это грузинский характер аориста страд. залога — ე, самостоятельно, или в составе наращенного вспомогательного, звучащего так же ე (<ევ) (ვ-ხუეჴ-ე).

II. Или это... усвоенный грузинским сванский характер аориста страд.

залога — ა : (ვ-კალ).

III. Или это основа в форме причастия страдат. залога с характером о (ვ-კრბ-ე)“ (§ 179, გვ. 146-147, ნიმუშები ჩვენ მოგვყავს, — ა. ჩ.).

ჭანურში ზმნის ძირს მეშველი ზმნის **ვნებიის** მიმღეობა დაერთვოდა აორისტში და ის ხდიდა ფუძეს პასიურად; ქართულში ამას ადგილი აქვს მხოლოდ ზმნათა ერთ (პირველ: I) ჯგუფში, ისიც ნაწილობრივად. მეორე (II) ჯგუფი სვანური ვნებიის ფორმანტით იწარმოება, მესამეში კი (III) თვით ფუძე ატარებს „ვნებიითი გვარის მიმღეობის ფორმას“.

აწმყოს ფუძე აქტიურია; აწმყოს გააქტიურებას იწვევენ: 1. მრავლობითის მაჩვენებელი ელემენტები და 2. მეშველი ზმნის მიმღეობის ფორმები.

„Глагольные основы, получаемые с помощью показателей множественности, служат для указания действительности значения, выражаемого корнем“ (§ 148, გვ. 122). მრავლობითობის ასეთი მაჩვენებლებია: ტ, ნალ, ვლმ, ბაფ, ს (იქვე); ამათგან **ტ, ს** იშვიათად იხმარება, **ლ** — ნასახელართა მხოლოდ ერთ კატეგორიას ახასიათებს, ხოლო **ფ** — განსაკუთრებულ ზმნებს (იქვე). ჩვეულებრივ ხმარებულია ვლმ, ბ და ნ (§ 149, გვ. 123). საგულისხმოა შემდეგი გარემოება: მრავლობითობის მაჩვენებელი **ბ** გამოიყენების აწმყოს ფუძის საწარმოებლად (საერთოდ აწმყოს ჯგუფს არ სცილდება!), „არქაული **ნ** კი აწმყოს ფუძისა (აწმყო, ხალხ. აწმყო = პერმანსივი, ნატვრითი) და აორისტის ფუძისათვის, რომელთაც გარდამავალი და ორმაგად გარდამავალი (კაუზატიური) მნიშვნელობა აქვს...“ (§ 149, გვ. 123).

მეშველ ზმნებში აკად. ნ. მარი არ ჩევეს ორნაირებს: ისეთებს, რომელნიც თავისთავადაც აწარმოებენ დროებს (არის, ვიყავ), და ისეთებს, რომელნიც ზმნასთან შერთულან, ცალკე არ არსებობენ. პირველთ იგი ნათლავს სახელწოდებით: განცალკევებითი (раздельный), მეორეთ ნართული (наращенный) მეშველი ზმნა.

ჩვენთვის საინტერესოა სწორედ ეს უკანასკნელები; ასეთებია:

1. Спирантный вид грузинского корня **სვ** с у щ е с т в о в а т ь, б ы т ь, именно ვ (<*ჰვ). От спирантного вида **ვ** (<*ჰვ) образуется: а) основа по трем главным типам грузинского спряжения 1) ავ (<*ჰავ), 2) ევ (<*ჰევ) и 3) ვი (<*ჰვი) и б) аористная основа по типу страдательного залога — *ჰევ; последняя с потерей и последнего коренного появляется в виде — ე, редко с удержанием его в виде ევ... (§ 152, გვ. 124).

2. Спирантный вид грузинского корня **შბ** п р о и з в о д и т ь, делать, именно ბ (<*ბ) (§ 157, გვ. 125).

ვ<*ჰვ არის თურმე გამარტივებული სახე *ჰვლ ძირისა: აქიდანაა თურმე ველ(<ჰველ) არსებულის (сущий) მნიშვნელობით და იგი აწარმოებს

მოქმედებითი გვარის მიმღობებს; მაგალ. ფრ-ნ (ფრენა), მისი პასიური ფუძე არის ფრინ-, აწმყოს მიმღობა კი: ფრინველი (§ 158, გვ. 126)¹.

თუ **ვ<*ჰვ** სამთანხმოვნიან **ჰვლ'**ამდი ავთორიეტ ყურით, სამართლიანობა მოითხოვს ასევე მოვექცეთ მის მოძმე **ბ'**საც. ნემესიდა აქაც არ იგვიანებს და ჩვენ კვითხულობთ:

„В параллель корню *ჰვლ>ვლ ბ ы т ь, спирантному виду сибилантного სვლ, в роли наращенного вспомогательного со значением дел а т ь имеется (!) корень *чбл (ყვლ)>ბლ, спирантный вид сибилантного შბლ р о ж д а т ь, т в о р и т ь, д е л а т ь. Твердый б в этом корне при стечении с согласным смягчается в ვ и тогда бл, звуча ვლ, как звучит შბლ в том же положении, совпадает с корнем ვლ ბ ы т ь“ (§ 160, გვ. 126).

თუ ***ვლ'**საგან **-ველ** მივიღეთ, **ბლ'**საგან ვღებულობთ მიმღობებს:

a) მოქმედებ. — **-ობელ** (<*ობელ) ან **-ველ**.

b) ვნებ. — 1. ნიშანდობლივ უ'თი — **-ვულ**.

2. „ **ი** — **-ობილ**² (< *ობილ||ყოფილ) ანუ

— **ვილ** (§ 160, გვ. 127).

ამით არ ამოიწურება ამ მეშველ ზმნათა ამბავი: ***ჰვ'**საგან (= ყოფნა) **ვ** გვაქვს, ***შ'**საგან (= ქმნა) — **ბ**; მაგრამ თითოეულ მათგანს შეიძლება ჰქონდეს მესამე თანხმოვანიც: ***ჰვ<*ჰვლ**; **ვბ<*ვბლ**... აი ამ **ვბლ'**ს ლ შეიძლება წს ბგერინაცვალი იყოს ***შლ<*შბლ<ყფნ**; (***ჰვლ'**ს ლ არ არის წსაგან მიღებულთ)³. ყოველივე ამიდან ავტორი ასეთ დასკვნას აკეთებს: (***ჰვლ** ძირი ყოფნას აღნიშნავს, ***ვბნ** ძირი კეთება, ქმნას; ერთმანეთს უპირდაპირდება ვ, ლ (პირველის) და ბ, ნ (მეორის); პირველს მედიალი ხასიათი აქვს, მეორეს ტრანსიტიული; ამიტომ, როდესაც ეს ელემენტები

¹ არა იაფეტიდოლოგიურად მოაზროვნე ამ ველ'ს ***ჰველ'**იდან კი არ გამოიყვანდა, არამედ: ***ავ-ელ'**იდან; ცალკე ეს **-ველ** არსად მოიპოვება; ფრინველ' და მსგავს შემთხვევაში, მართალია, ასეთი ფორმანტი არის, მაგრამ ის ხმოვნის ამოვარდნის გზითაა მიღებული ***ფრინ-ავ-ელ'**იდან; აწმყომი რომ **-ავ** არ გვქონოდა, არც მიმღობაში გამოჩნდებოდა „ვ“; ჩხრეკს: მჩრეკ-ელი; მდრეკ-ელი... ასე რომ, ვისაც კეთილი საქმე სურს მოიმოქმედოს **-ავ** და **-ელ** ელემენტების გენეალოგია უნდა ეძიოს, არა თუ დააბნელოს საკიხი რაღაც მითითური ველ<*ჰველ'ით.

² **ობელ**, **ობილ** როდია პირველადი მონაცემი, რომ ჩვენ შევძლოთ მათზე დაყრდნობით მათი შემცველი ფორმები (მაგალ. მგმ-ობელ-ი, გმ-ობილ-ი) გავიგოთ; ისევე, როგორც ველ (<*ავ-ელ), ესენიც იშლებიან **ობ-ელ** და **ობ-ილ'**ად, და კვლავ ეს ელემენტებია (**ობ**, **ელ**, **ილ**) საკვლევი. ჰიპოთეტური **ბლ-ძირის** მიმღობად მათი მიჩნევა მეთოდოლოგიურად დაუშვებელია (ამაზე ქვემოთ), ფაქტიურად კი ეს მეტი არაფერია, თუ არ „ამაობება ამაობათა“.

³ რატომ ***ჰვლ'**ს ლ არ შეიძლება იყოს აგრეთვე წსაგან მიღებული — საილუმლოგებაა, რომლის საწვდომად თვით წიგნში არაფერია მოცემული.

ენამ მრავლობითობის მაჩვენებლად გამოიყენა, ის ძირები, რომელთაც ბ, ნ დაირთეს, ტრანსიტიული შინაარსით აღიჭურვნენ, ხოლო რომელთაც ვ, ლ — გარდაუვალი მნიშვნელობა მიიღეს (იხ. § 161, გვ. 127).

მაგრამ ეს ცოტაა: ბ, ნს ფონეტიკური ვარიაციაა ფ, ლ (ესენიც ტრანსიტიულობის ემანაციას ატარებენ); ვსაგან აგრეთვე ფონეტიკურად მივიღეთ მ (რომელსაც მემკვიდრეობით გამოჰყვა ინტრანსიტიულობა!) (იქვე, § 161).

საბოლოო ანგარიშში: მატრანსიტივებელნი

აღმოჩნდნენ: **ბ, ფ; ნ, ლ.**

მედიალნი

„ **ვ, მ; ლ.**

ლ მედიალიც არის (თუ პირველადია) და ტრანსიტიულიც (თუ: ლ<ნ!).

მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ აწმყოს ფუძის მაწარმოებელთა შორის არის კატეგორია ე. წ. მრავლობითობის მაჩვენებელთა; ესენია ვ||მ, ბ, ნ (აგრეთვე: ფ<ბ; ლ<ნ და ტ, ს...), რომელნიც ფუძეს ტრანსიტივობას ანიჭებენ.

გამოდის, რომ ნართაულ მეშველ ზმნათაგან მიღებული ელემენტები და ე. წ. მრავლობითობის მაჩვენებელნი ერთურთს ხვდებიან; ავტორიც აღნიშნავს ამას (§ 162) და ასე განმარტავს: „Это созвучие не случайное совпадение. Оно коренится в генетическом родстве тождественных звуков, восходящих со своими ныне расходящимися значениями „делать“ и „множество“ к одному семантическому прототипу, т. е. корню, знаменующему одно общее понятие, напр. „рождение“ (> „размножение“): „племя“ > „дети“ || „производство“ > „делание“ и т. п.“ (§ 162, გვ. 128).

სრულებით ბუნებრივი იქნებოდა თუ აქიდან ასეთ დასკვნას გამოვტანდით: მრავლობითობის მაჩვენებელიც და ნართაულ მეშველ ზმნათა „ძირებიც“ (თუ ძირის ნაშთები!) თუ **ფაქტურად** ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან, და **გენეტურადაც** ზოგადი წყაროდან მომდინარეობენ, აღარც **ფუნქციურად** გაირჩეოდნენ იქნება: ერთსაც და მეორესაც თანაბარი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ერთს მეორის მონაცვლეობა უნდა შეეძლოს; მოკლედ რომ ვთქვათ, მათი გარჩევისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს.

მაგრამ... **„ფაქტიური მდგომარეობა** (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**)¹ კი ისეთია, რომ აღნიშნული თანბერობანი (**созвучие**) ხელს უშლიან ყველა ამ თანაბრად ნართაული ელემენტების განაწილებას სხვადასხვა ჯგუფებს შო-

¹ საინტერესოა ეს თქმა: „Фактическое же положение таково...“, პეტიტით მიმატებული; ისე გამოდის, თითქოს ფაქტიური მდგომარეობა კი არ იყოს ის, რასაც მეცნიერული აზროვნება ეძიებს, არამედ ის ნორმები, რომლებიც რომელიმე ჰიპოთეზის თვალსაზრისით სავალდებულოდ არის მიჩნეული... თუ ფაქტიური მდგომარეობა ასეთია, რალა აზრი აქვს იმ „არაფაქტურს მდგომარეობას“, რომელზედაც ზევით იყო ლაპარაკი.

რის კუთვნილებისამებრ“... (გვ. 128) ძნელდება იმის გარკვევა, ...**ებ** რომელიმე ზმნისა ნართაული მეშველი ზმნის **ბ**დან მომდინარეობს, თუ მრავლობითობის ფუნქციური **ბ** ელემენტია, განხმეირებული.

ამით შეიძლება დამთავრებულად ჩავთვალოთ აორისტისა და აწმყოს ფუძის დახასიათება; რასაკვირველია, ჩვენ გარდამავალი ზმნები გვანტერესებს, სწორედ ისინი, რომელთაც აორისტში „მან“ აქვსთ ქვემდებარედ. საბუთების რიგია მოყვანილი აორისტის ფუძის პასიურობისა და აწმყოს ფუძის აქტიურობის ნათესლაყოფად. განვიხილოთ იგინი.

პირველი საკითხი, რომლის გარკვევა ამთავითვე აუცილებელია, არის შემდეგი: რა აზრით არის ნახმარი აქ „პასიური“? რას ნიშნავს: — „ფუძე პასიურია“?

თანამედროვე გრამატიკულ ტერმინოლოგიაში „პასიური“ გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია: იგი „აქტიურის“ ანტიპოდი; მაგრამ ამ მნიშვნელობას ამ ტერმინს ვერ მივაკუთვნებთ: ეს იქნებოდა ანაქრონიზმი: აკი ავტორი თვითონ ამბობს, რომ ასეთი „პასიური“ კონსტრუქცია აორისტისა დანალექია პირვანდელი მდგომარეობის; მაშინ ზმნა ჯერ კიდევ არ იყო; იყვნენ ელემენტები, და ამ ელემენტების სხვადასხვანაირი განრიგება გამოხატავდა მოქმედებას თუ მდგომარეობას (იხ. § 210, გვ. 174). ცხადია, მაშინ ჯერ იდევ არ იყო ჩამოყალიბებული ჩვენებური კატეგორია „აქტიურისა“; და მაშასადამე, არ იქნებოდა მისი დერივატი „პასიური“. ასე რომ „პასიურს“ თანამედროვე შინაარსი ვერ განეკუთვნება.

გამოვიდეთ უარყოფითი განსაზღვრიდან: „პასივი“, ე. ი. არატრანსიტივი; ამ უკანასკნელთა შორის გვექნება: 1. აღწერითი ფორმები: კლულ არს, — იყო, — იყოს; წერილ — არს, — იყო, — იყოს... ან 2. ვნებითები **ი, ე** პრეფიქსით, ან **ნ** (<ენ) || **დ**(<ედ) სუფიქსით ნაწარმოებნი: და-ი-წერა; და-ი-კლა; და-ე-წერა; და-ე-კლა; გან-კაც-ნ-ა; გან-მრავლ-და-ა... ან 3. რელატიური ფორმები ტრანსიტივებისა (როგორც ეს გვხვდება დრო-კილოთა მესამე ჯუფტში: უ-წერ-ი-ეს/ა; უ-კლ-ავ-ს) ან მედიებისა: უ-დგა-ს; ჰ-რწამ-ს...

ამათგან პირველი უნდა მოიხსნას, რადგანაც აორისტი არ არის აღწერითი ფორმა: ესენი კი აღწერითნი არიან და აორისტის ბუნების გასათვალისწინებლად ვეღარ გამოგვადგებიან.

ვნებითები **ი, ე** პრეფიქსით, თუ **ნ** || **დ** სუფიქსით ნაწარმოებნი აგრეთვე გამოუსადეგარია: ყოველი მათგანი უკვე გულისხმობს იმ ფორმის არსებობას, რომლის ბუნება ჩვენთვის პრობლემად ქცეულა: კლა — იკლა; უ/ა-წერა — ეწერა... განამრავლა — განმრავლა...

ეგების უკანასკნელმა ჯგუფმა გვიშველოს: მიწერია, მიკლავს; მიდგას; მ-რწამს... ეგების ამათ მაინც გაგვაგებინონ, რა შინაარსი უნდა ჰქონდეს ტერმინს „პასიური“, როცა იგი: დაწერა, მოკლა'ს მიმართ არის ნახმარი; ასეთი იმედი მით უფრო საფუძვლიანია, რომ ავტორი ერთ აღვი-

ლას ასეთ რასმე ამბობს: „...аорист и производное от него сослагательное по природе своих основ объективного строя... Что же касается прошедшего совершенного, давнопрошедшего и прошедшего сослагательного, в действительном залоге они — явно объективного строя, а в страдательном — описательны“ (§ 195, გვ. 163). „კლა“ — აორისტია; ის ობიექტური კონსტრუქციის ყოფილა; მიკლავს, — ნამყო სრულია: — ისიც ობიექტური კონსტრუქციისაა. შეიძლება ამ ტიპის საშუალებით მაინც გავიგოთ, თუ რა შინაარსის მატარებელია „პასიური“, როცა ამბობენ: „კლა“ პასიურიაო!

მით უმეტეს, რომ რეალი სუბიექტი¹ ორსავე შემთხვევაში „ერთს“ ბრუნვაშია: მიცემითში: მას უკლავს (**მას** — მიცემითი პირველია), მან კლა (**მან** — მიცემითი მეორეა). მაგრამ ეს საბუთი საბუთი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ დაამტკიცებდნენ, რომ „მან“ მართლაც მიცემითია... მაგრამ ეს ხომ ჯერ კიდევ დასამტკიცებელი თეორემაა და არა აქსიომა... ამას გარდა, ჩვენ მაინც გვრჩება თვალსაჩინო განსხვავება: არ შეიძლება ერთ სიბრტყეზე მოთავსება „კლა“-სი და „უკლავს“ (ან თუნდაც „პრწამს“-)ის, არ შეიძლება ორივეს **ობიექტურად** მონათვლა, რადგანაც პირველს არა აქვს ის, რაც მეორეს ხდის ობიექტურად: **გ**-კალ; **მი**-კლავს, **მ**-რწამს-ს; პირველში რეალი სუბიექტი ქვემდებარეა და **გ**-სუბიექტური პრეფიქსით არის წარმოდგენილი, მეორეში კი რეალი სუბიექტი დამატებაა და **მი**-ობიექტური პრეფიქსით არის აღნიშნული... ამას გარდა, თუ „კლა“ ობიექტურია, რადაა მაშინ „**მი**-კლა, **გ**-კლა...“ **მი**-კლავს, **მ**რწამს'ის კორელატი კონსტრუქციის მხრით სწორედ ეს „**მი**-კლა“ არის, იგია ობიექტური, და არა „კლა“.

რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ, **როცა ამბობენ, აორისტი თვისი კონსტრუქციით „პასიურია“ და „ობიექტურიო“, ამ სიტყვებს არა აქვსთ ის მნიშვნელობა, რომელიც მათ უნდა ჰქონდესთ, ისინი სხვა მნიშვნელობას ატარებენ, საკუთარი მნიშვნელობისაგან განსხვავებულს, მაგრამ სრულიად გაურკვეველს.**

ყოველ კვალიფიკაციას მხოლოდ იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადც გასაგებს ხდის გაუგებარს. როცა ვინმე ამბობს: „ხილი შექარავით ტკბილია“, ამ თქმას: „შექარავით ტკბილია“ იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამოდენადც ეს ხილი მართლაც აღმოჩნდება „შექარავით ტკბილი“. წარმოვიდგინოთ, რომ ეს ხილი სრულიადაც არ არის ტკბილი (არც შექარავითი, არც თავლივით...), არამედ სხვა გემო აქვს, ტკბილი კი არა, სხვანაირი, რადაც უცნაური, ძალიან თავისებური (და იმავე დროს გამო-

¹ თუმცა აქ ენობრივი მომენტი უპირდაპირდება რეალს მომენტს, მაგრამ მაინც შეგნებულად ვუხვევთ გვერდს გამოთქმებს, როგორიცაა: „გრამატიკული ქვემდებარე“, „გრამატიკული დამატება“; ეს იქნებოდა აუტანელი ტავტოლოგია: დამატება და ქვემდებარე შეიძლება იყოს მხოლოდ გრამატიკული.

ურკვეველი!); რა აზრი აქვს მაშინ იმის თქმას: „ეს შექარივით ტკბილია“; ან კიდევ მეტი: რა უფლება გვაქვს ვიხმაროთ ასეთ შემთხვევაში სულ სხვა შინაარსის მქონე სიტყვა...

აორისტი „პასიურია“ და „ობიექტური“... ოღონდ არა ჰგავს არც ერთი ტიპის პასივს (თუ რელატივ-მედიებს), არა აქვს არავითარი ობიექტური პრეფიქსი.

ამიტომ უქმი სიტყვაა და შეუფერებელი აქ „ობიექტური წყობილება“, „პასიური კონსტრუქცია“. ამიტომ ვალდებული ვართ ვთქვათ: აორისტი არ არის არც პასიური, არც ობიექტური, ის სხვანაირია, თავისებური, გაურკვეველი ჯერ კიდევ. ყოველ შემთხვევაში, აკად. ნ. მარის სათანადო შეხედულებათაგან სხვანაირი დასკვნა ვერ გაკეთდება.

აორისტის ფუძის პასივობას იწვევს ან 1. ე ან 2. ა ან და ი (იხ. ზემოთ). მაგალ. ვ-ქმენ; ვ-ხუეჭ-ე; ვ-კალ; ვ-კრიბ-ე¹.

პირველი მათგანი (ე) ან თვით არის აორისტის ვნებითის დამახასიათებელი ნიშანი, ანდა მიღებულია ევსაგან, რომელიც აგრეთვე შეიძლება იყოს ეს სახით წარმოდგენილი.

მაგრამ საიდან ჩანს, რომ ე ვნებითის აორისტის დამახასიათებელია? ამის დასაბუთებას ვერსადა ვპოვებთ... პირიქით, ჩვენ ვიცით, რომ „ე“ აქტიურობის მატარებელია, მაგალ. კრებს, გლევს და მსგავს ზმნებში (იხ. § 178); მართალია, ავტორი ანსხვავებს ამ ორ ეს; იგი ამბობს:

„Один е — огласовка основы настоящего времени, другой е — огласовка основы аориста.

е в основе наст. вр., постоянный, представляет грузинский природный гласный характер причастия действ. залога.

е в основе аориста то беглый, то постоянный, представляет грузинский природный гласный характер пассивного аориста и сосл., где е < აე < აი (-ი характер страдательн. залога)“ (§ 182, გვ. 148-149).

მაგრამ ამ დებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება ძალა, თუ წინასწარ იქნება დამტკიცებული, რომ ეს ე მართლაც აისაგან არის მიღებული, და ამ უკანასკნელის ი მართლაც პასიურობის აღმნიშვნელია; სანამ ეს არ მომხდარა, ეს „ახსნა“ დასაყრდენად არ გამოდგება...

პასიურობის აღნიშვნა ევალება აგრეთვე ევს, ნართაული მეშველი ზმნისაგან მიღებულს: *ჰევ — აორისტული ფუძის სახით (იხ. § 152). მერე საიდან ვიცით, რომ ეს ევ (თუ: *ჰევ) აორისტის ფუძეა, ისიც ვნებითი გვარის ტიპისა?

¹ მაგალითები შერჩეულია ჩვენ მიერ; სათანადო ადგილას ამ შემთხვევაში და საკმაოდ ხშირად, სხვაგანაც, დებულებებს სანიმუშო მაგალითები თან არ ახლავს, რაიც ფრიად უხერხულია ავტორის შეხედულებათა გათვალისწინებისათვის.

ან საიდანა ჩანს, რომ იყო ***ჰვ** მეშველი ზმნა? მივის, მესვა — ზმნა მართლაც არსებობს, მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ შეიძლებოდა „ხატისა და მსგავსებისაებრ მისა“ სპირანტული ***ჰვ** ძირის არსებობა დაფუძვით? რატომ უნდა გამოეყენებინათ მაინც და მაინც სპირანტული ***ჰვ** ძირი (მასთან არც არსებულ!) მეშველ ზმნად და არა თვით სიბილანტი **სვ** ძირი, რომელიც უვნებლად გადაურჩა ამ ბეგარას.

ანდა თუნდაც რომ დაფუძვით **ჰვ** ძირის არსებობა, საიდანა ჩანს, რომ მას ექნებოდა აორისტის ფუძე, ისიც ვნებითი გვარის ტიპისა? სხვა რომელ საშუალო გვარის ზმნას (ისიც „არსებობა“-ს მნიშვნელობით) აქვს მეორე, აორისტის ჯგუფის დრო-კილო?¹

ამას გარდა, როგორ შეიძლება ***ჰვ** ზმნას, რომელიც არსებობას აღნიშნავს, „ვნებითი გვარის ტიპის“ აორისტი ჰქონდეს? საშუალო ზმნას — ვნებითი? ისიც როდის? როდესაც მსგავსი კატეგორიები არც კი არსებობდნენ.

პირდაპირ უნდა ითქვას: ეს ***ჰვ** (ისევე როგორც ***ჰვლ** და მისი თანამომე **ბ<ბლ**) თავისუფალი შემოქმედების ნაყოფია, რომლის შემეცნებითი ღირებულება ნულს უდრის; იმავე ***ჰვ**საგან **ავ**ც არის გამოყვანილი, **ვო**ც, **ევ**ც და ***ჰევ**ც: „ქართული უღვლილების სამი ტიპის მიხედვით“, როგორც ავტორი გვეუბნება (§ 152), თითქოს იმ ფრიად არაახლოებელ ხანაში „ქართული უღვლილების სამივე ტიპი“ არსებულყო; ავტორს ავიწყდება (თუ ივიწყებს), რომ ***ჰვ** ზმნამ კი არ გამოიმუშავა უღვლილების სამივე ტიპის ფორმები, პირიქით, ეს უღვლილების ტიპები ავტორს ამ რეალი ელემენტების: **ავ**, **ევ**, **ვო**ს მიხედვით აქვს ჩამოყალიბებული.

არა ნაკლებ საინტერესოა შემდეგი: **ევ** (<***ჰევ**) ორგან არის სცენაზე გამოყვანილი: ერთგან ის გვერდს უმშვენებს **ავ**სა და **ვო**ს, მეორეგან — აორისტული ფუძეა ვნებითი გვარისა... და მერე რისთვის? რათა მისი საშუალებით შემდეგ „ახსნილ იქნას“, როგორც აწმყოს **ევ** (ვთქვათ: ვლევან: ვძლევ)², ისე აორისტის **ევ**: (<ვაქევ)...ნუ თუ ამ ***ჰვ** ძირს ნატვრის თვალისგან ყოველგვარი საჭიროების დაკმაყოფილება შეუძლია? პასუხი, რასაკვირველია, იქნება დადებითი, თუ მოვიგონებთ, რომ საქმე გვაქვს ვარსკვლავიან ძირებთან, „აღდგენილებთან“. ჭეშმარიტად: იშვიათად თუ უნახავს ენათმეცნიერებს ამ ცოდვილი ვარსკვლავის ასეთი თავისებური გამოყენება!

¹ თვით „მესვა“, „გესვა“... ავტორს ნამყო უსრულად მიაჩნია (და მხოლოდ ფრჩხილებში მიუმატებია: (აორ.) (იხ. § 212, გვ. 176), მაგრამ ეს ხომ რელატიური ფორმაა და არა აბსოლუტური. დგას, წევს, ზის... არც ერთს არა აქვს აორისტი; დადვა, დაწვა — დგების, წვებისის რიგისაა.

² შეიძლება აქ იგულისხმებოდეს: ვ-ფარ-ევ-დ-ი, რომელსაც ნამყო უსრულში ვხვდებით.

მწუხარებით უნდა აღინიშნოს, რომ აორისტის ე'სი, თუ ეგ'ის საკითხი ყოველივე ამის შემდეგ ადგილიდან არ დაძრულა: ჩვენ ისევ გვაქვს მარტივი ფაქტი: ეგ (>ე) აორისტი და ეგ აწმყოში, ხოლო მათი ახსნისაგან ახლაც ისევე შორსა ვართ, როგორც ვიყავით ავტორის შეხედულებათა გათვალისწინებამდის.

ყოველ შემთხვევაში, ეგ ე'ს პასიურობა ოდნავადაც არ მიიჩნევა დამტკიცებულად¹. ავიღოთ ა: ისიც აღიარებულია ვნებითური აორისტის დამახასიათებლად (სვანურად!), მაგრამ აწმყოშიც ა გვაქვს (ვ-კალ: ვ-კლ-ავ<*ვ-კალ-ავ). და აი ავტორიც ასეთ განმარტებას იძლევა: „в основе настоящего времени представляет усвоенный из шипящей группы (мегрельского и чанского языков) гласный характер причастия д. залога.

ა в основе аориста представляет усвоенный из спирантной ветви (см. спирантный слой сванского языка) гласный характер пассивного аориста“ (§ 182, გვ. 148).

ე. ი. ვ-კალ'ში ა სვანურით მომდინარეობს, ვ-კალ-ავ'ში კი მეგრულ-ჭანურით? რატომ არა პირიქით? საბუთი? ე უნდა იქნეს ნაგულისხმევი აწმყოში, რათა შესაძლებელი გახდეს სათანადო თემის აქტიურად გამოცხადება (ეს ხომ „სხვა“ ე'ა და არა ის ე, რომელიც აორისტს პასიურად ხდიდა!), ა სვანური ვნებითი აორისტისა ასევე უნდა იქნეს ნაგულისხმევი აორისტში! დიახ, უნდა, საჭიროა (წინააღმდეგ შემთხვევაში აორისტის პასივობისა და აწმყოს აქტივობის საკითხი გართულდებოდა!); მაგრამ ის, რაც არის (ფაქტური) და ის, რაც უნდა იყოს (ნორმატული), იდენტური როდია. ამდენადვე ა'ს პასიურობა ისევე დაუმტკიცებელია, როგორც ეგ'ს პასიურობა.

უფრო საგულისხმოა ა, როგორც პასიურობის მატარებელი: ვ-კრებ: — ვ-კრებ-ე... მაგრამ აქაც დაბრკოლებებია; ჯერ ერთი: თუ „ვკრიბე“ პასიურია, რადაა ვკერბ (შევეკერბ); მეორეც, და ეს უფრო საყურადღებოა, თუ ა აპასიურებს ფუძეს, რიდას მაქნისია ე: ვ-კრიბ-ე: ის ხომ პასიურობის ფუნქციის მატარებელია. ამის შესახებ გვეუბნებიან: „Вспомогательный ე (<*ჰვ) с этим характером ე (<ევ) нарастает иногда на готовые формы аориста с характером а (qman-ე) или с причастным образованием (qmin-ე) и в таких случаях до пол н и т е л ь н о нарастающий вспомогательный ე называется с п у т н и к о м“ (§ 180, გვ. 147).

ეს ბოლოკიდური ე (ვ-კრიბ-ე) დამატებით უჩნდება ზმნას და იწოდება „მხლებლადო“, მაგრამ ეს მოვლენის აღწერაა და არა ახსნა. ამის ახ-

¹ რასაკვირველია, თუ დამტკიცებად არ ჩავთვლით ასეთ მსჯელობას: აორისტის ფუძე პასიურია, რადგანაც მასში (ან მასთან) ე, ეგ არის; ეგ პასივობას აღნიშნავს, იმიტომ რომ იგი აორისტში გვხვდება!

სნის გარეშე კი „გ-კრიბ-ე“ს პასიურობის საკითხი ღიად რჩება.

აორისტიის პასიურობა, ამრიგად, დამტკიცებულად ოდნავადაც ვერ ჩაითვლება.

ამით შეიძლებოდა ეს საკითხი ამოგვეწურა; დამატებით გვინდა მხოლოდ ერთი საკითხი დავსვათ: § 150-ში ავტორი ამბობს: „არქაული **ნ** გამოიყენების აწმყო ისა და აორისტიის ფუძეთა¹ საწარმოებლად გარდამავალისა და კაუზატიურის მნიშვნელობითო“...

მე გვსნი (<*გვს-ენ-ი: აწმყო=პერმანსივის ფორმა!): მე გვს-ენ: (აორისტი); ერთი და იგივე **ენ** (>ნ) ფორმანტია აწმყოშიცა და აორისტიშიც. როგორი უნდა იყვნენ ფუძეები: ორივე აქტიური თუ ორივე პასიური? ყოველ შემთხვევაში აკად. ნ. მარის შეხედულებათა ლოგიკით აორისტიზე უმაღლესი შეიძლება აწმყო მივიჩნიოთ „პასიურად“, იქ ხომ ყველა პირებში **ა** დაბოლოება (აორისტიში კი **ა**, როცა იხმარება, ფონეტიკურ ნიადაგზეა განვითარებული — იხ ქვ.). მაგრამ ეს ხომ არ შეიძლება დავუმვათ; როგორ ახსნიდა ამას ავტორი, ჩვენ არ ვიცით და საკითხს საკითხად ვტოვებთ.

აწმყოს აქტიურობის საკითხი ჩვენთვის არ იქნება ცალკე განხილვის საგანი. მას არც ისეთი სიმწვავე აქვს, არც ისეთი პრინციპული მნიშვნელობა, როგორც აორისტიის პასიურობის საკითხს; მით უმეტეს ზევით უკვე იყო შესაძლებლობა გამოგვეთქვა ჩვენი აზრი იმ ნართაული მეშველი ზმნების შესახებ, რომელთა ელემენტები (თუ ფორმები?) მონაწილეობენ აწმყოს წარმოებაში².

თუმცა უდვლილებას არ ეხება, მაგრამ პირველხარისხიანი პრინციპული ღირებულებისაა მოთხრობითი ბრუნვის საკითხი და ამიტომ, გვგონია, მიზანშეწონილი იქნეს, თუ მის შესახებ აქვე ვიმსჯელებთ.

უკვე იყო ზემოთ აღნიშნული, რომ ამ ბრუნვის ბედი წყდება აორისტიის ბედთან დაკავშირებით; ჰიპოთეზი აორისტიის შესახებ და ჰიპოთეზი მოთხრობითის შესახებ ერთმანეთთან ჰარმონიულად არის შეხამებული: აორისტი პასიური კონსტრუქციისაა და რეალი სუბიექტიც (ანუ ლოგიკური სუბიექტი, როგორც ავტორი ხმარობს) მიცემითს ბრუნვაშია; ე. წ. მოთხრობითი არის მიცემითი; ჩვენ გვაქვს ერთი მიცემითი: „მას“; ეს იქნება **მიცემითი პირველი**; ე. წ. მოთხრობითი (მან) კი არის **მიცემითი მეორე**.

მიცემითია ის სინტაქსურად: ეს ჩანს მისი ხმარებიდან აორისტიდან; მიცემითია იგი მორფოლოგიურადაც: ამ მხრივ საკითხსა წყვეტს **ა** ხმოვანი (მან); ბრუნვები დახასიათდება ხმოვნებით: **ა** ახასიათებს მიცემითს (**ი** ნათესაობითს, **უ** — კი სახელობითს § 20, გვ. 17). რაც შეეხება **ნ**-ს, იგი

¹ შესაძლებლად ვთვლით ვიხმაროთ: ფუძე, „вращенный“ вид корня-ს ბადად.

² თვით აწმყოს აქტიურობას, რასაკვირველია, ვიზიარებთ; რა ხდის აწმყოს აქტიურად და რაში გამოიხატება ეს აქტიურობა — ამაზე სხვა დროს.

ბრუნვათა მწიგნობრული დამახასიათებელი ელემენტია (§ 22, გვ. 17). ამ **ნ**'ს გენეალოგიას საბოლოო ანგარიშში მივყავართ „სონ-მესხური ენის საკუთრივ მესხური ფენისაკენ, რომელიც ამჟამად წარმოდგენილია სვანურით: ამიტომ მას შეიძლება ეწოდოს **ბუნებით მესხური** (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**) და შეთვისების მიხედვით სვანური“ (можно бы называть месхским природно и сванским по усвоения § 39, გვ. 27).

თუ არ ვცდებით, მესხური ენის ძეგლები არ არსებობს და, ამრიგად, სრულიად მოკლებული ვართ საშუალებას შევამოწმოთ ეს მნიშვნელოვანი დებულებანი და დავრწმუნდეთ მის ჭეშმარიტებაში.

აქ მხოლოდ შემდეგს ვიტყვით: მოთხრობითი ბრუნვა მხოლოდ ერთს სიტყვას აქვს ქართულში: ეს არის ნაცვალსახელი **მან** (თუ მაგანსაც მივუმატებთ, იქნება ორი. ყველა სხვა ბრუნვადი სიტყვა მთელს ამ **მან**'ს დაირთავს მოთხრობითის წარმოებისას)¹... ეს ართულებს მდგომარეობას და სხვა მიმართულებას აძლევს საკითხს: **მან**'ის ფონეტიკურ-მორფოლოგიური მეგრული ექვივალენტი **მუ**-მუნ (მუნ-ეფ-ი) სახელობითშია; ქართულში კი **მან**'ს სახელობითი არ გააჩნია, ისევე როგორც ჭანურს. დაუმატეთ ამას ის ფაქტი, რომ ჭანურსა და მეგრულში მოთხრობითის ფორმანტს ხმოვნითი ელემენტი სულ არ გააჩნია², ფორმანტი კი არის **ქ** (<გ).

ყოველივე ეს იმის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს, რომ **მან** მიცემითად მივიჩნიოთ მორფოლოგიურის თვალსაზრისით; რაც შეეხება სინტაქსურ თვალსაზრისს, ის უფრო საინტერესო ჩვენებას იძლევა: მიცემითი ბრუნვა ძველს ქართულში მუდამ დამატებაა; როგორც ასეთი, იგი სამსავე პირში არის წარმოდგენილი ობიექტური პრეფიქსებით: **მ**-თხოვ-ს; **გ**-თხოვ-ს; **ს**-თხოვ-ს; **მ**-თხოვ-ა; **გ**-თხოვ-ა; **ს**-თხოვ-ა... ეს ე. წ. პირველი მიცემითი (აკად. ნ. მარის ტერმინი რომ ვიხმართ); მაგრამ მეორე მიცემითს (ე. ი. მოთხრობითს) არაფერი ამის მსგავსი არ ახასიათებს: მან კლა, წერ-ა... აქ ობიექტური პრეფიქსები არსადა ჩანს, სუბიექტური პრეფიქს-სუფიქსები კი ყველგან: **ვ**-კალ, **ჰ**-კალ, კლ-ა...

ამიტომ არ შეგვიძლია სხვანაირი დასკვნა გავაკეთოთ, თუ არ ასეთი: მოთხრობითი ბრუნვის მეორე მიცემითად მიჩნევა მისადღები არ არის.

ამას უნდა დაემატოს შემდეგი: ავტორი ერთ ადგილას **მუნ**'ის შესახებ ასეთ რამესაც ამბობს: „...палеонтология речи вскрывает в место-

¹ ძოღან, სხუაგან, ერთგან, ყოველგან, შიგან (იხ. § 30, გვ. 25)-ში გამოსარკვევია — ფორმანტი და მისი გენეზისი.

² საინტერესოა, არის თუ არა ასეთი ფორმა ბრუნვა? თუ ბრუნვები „ხმოვნით დახასიათდებიან“, როგორც აკად. ნ. მარის ამბობს (§ 21), ჭანურ-მეგრულის მოთხრობითი (ჭა-ქ) ბრუნვა, ცხადია, ვერ იქნება!

именной основе მუ имя сущ. *mug ‘голова’, ср. бск. mug-u ‘голова’, как თუს-ი от თუ ‘голова’ (§ 117), **и, естественно, теперь приходится возвращаться и формально к анализу მუ-ნ с суффиксом -ნ-ნა**, отброшенному было как объяснение „по первому впечатлению“ (§ 133, а, 3а) (იხ. წინასიტყვაობის მაგიერ, V. ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

ცოტა ზევით კი ავტორი ამბობს: **მუნ** მიცემით ბრუნვად მიგვაჩნდა (ლოკატივის მნიშვნელობით); აგრეთვე სათანადო ადგილას ნათქვამია: „მ-უნ (<მ-ონ = იქ) მიცემითი ბრუნვაა შიშინა ჯგუფის ვოკალიზაციით“... (§ 133). რატომ — მიცემითი? იმიტომ, რომ ხმოვნითი ელემენტი ოცა მიცემითს ახასიათებს: ***მონ** ისევეა მიცემითი, როგორც **მან**.

ახალი ანალიზი სწორედ იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მიცემითობის მაჩვენებელი **ო** (<ა) განუკუთვნა ფუძეს, ფორმანტად არ მიიჩნია (მხოლოდ **ნ** (<ნა) არის გამოცხადებული სუფიქსად). მაშასადამე, **მუნ არ არის მიცემითი ბრუნვა**, და ამით უკვე წყდება **მან**-ის საკითხი: **მუნ** ხომ **მან**-ის კანონზომიერი სახეა შიშინა ჯგუფის მიხედვით: **არ არის „მუნ“ მიცემითი, არ იქნება არც „მან“ მიცემითი** და ეს კი ნიშნავს: **მოთხრობითი არ შეიძლება იქნეს გაგებულში მეორე მიცემითად**. ავტორმა თქვა ანი, ლოგიკა მოითხოვს **ბანს**: ჩვენს შემთხვევაში მეორე პირველისაგან ხომ შინაგანი აუცილებლობით გამომდინარეობს.

მაგრამ, ვიდრე **ბანი** არ თქმულა, უნდა დავასკვნათ: გრამატიკაში წარმოდგენილი (ძველი?) შეხედულება: მოთხრობითი მეორე მიცემითიაო, მიუღებელია¹.

აორისტის პასიურობისა და მოთხრობითის მიცემითობის განხილვიდან სხვა დასკვნის გამოტანა შეუძლებელია, თუ არ ის, რომ **ქართულის აგებულების სპეციფიკურ სიძნელეთა დაძლევის ამოცანა გრამატიკაში გადაუწყვეტელი რჩება**.

¹ ეჭვი, რომ მუნ შეიძლება არ იყოს მიცემითი, ავტორს მეტყველების პალეონტოლოგიამ დაუბადა. პალეონტოლოგიას ჩვენ დიდი ნდობით არ ვუცქერთ: არის ამის საკმაო საფუძვლები... მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მან კეთილი საქმე მოიმოქმედა (ალბათ, იმ გამოწვევის სახით, რომელიც წესს ადასტურებს). პალეონტოლოგიის გარეშე არ უნდა იყოს შეუძლებელი იმის დადასტურება, რომ მუნ არ არის მიცემითი. შემთხვევა გვქონდა ერთ-ერთ მოხსენებაში, რომელიც წაკითხულ იქნა ქართ. საენათმეცნიერო საზოგადოებაში 12. V. 1925 წ. („მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის“) არ გაგვეზიარებინა ამ ბრუნვის მიცემითობა და გვეცადა დავგვსაბუთებინა, რომ იგი არის წრფელობითის დიფერენციაციის გზით მიღებული სპეციფიკური სახელობითი. საამისო საბუთების, აგრეთვე სათანადო დასკვნების, აქ აღნიშვნა უადგილო იქნებოდა.

3. ზოგადი მეთოდოლოგიური ამოცანებისათვის გრამატიკაში

უპირველესად: ქვემდებარისა და დამატებისათვის. ქართული მეტყველება, ისევე, როგორც ყოველი სხვა ნორმალური, სინამდვილის აღნუსხვას ემსახურება. რეალ პროცესს (მოქმედებას) გააჩნია რეალი სუბიექტი და რეალი ობიექტი. ქართულ ენას კი, ზედმიწევნით რომ ვთქვათ, არ გააჩნია ქვემდებარე და დამატება, როგორც მკვეთრად ერთურთისაგან დაცილებული ენობრივი მონაცემი. დამნაშავეა ქართული ზმნა, — დასაბამი ყოველგვარი სირთულისა და სიძნელისა... ევროპულს ენებში ქვემდებარე არის არა მარტო მმართველი სახელი (განსხვავებით დამატებისაგან: — მართული სახელისაგან), იგი არის მმართველი სიტყვაც. ზმნის-შემასმენლის ფორმები მორჩილებით მისდევენ ქვემდებარე-სახელის მოთხოვნისა, დამატების ბედი კი ზმნაზეა დამოკიდებული. გარდაუვალი ზღვარია ქვემდებარესა და დამატებას შორის იქ; ასეთი ზღვარი ქართულში არ არის; ამას იმ თავითვე უნდა მოველოდეთ იმ ენაში, სადაც ზმნაში რეალი სუბიექტიცაა წარმოდგენილი და რეალი ობიექტიც. მმართველისა და მართული სახელის (ე. ი. ქვემდებარისა და დამატების) დაცილება-დაპირდაპირება აქ ძნელია; ახალს ქართულშიც, ზოგიერთ კილოშიც, თითქმის შეუძლებელიცაა. — მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამიტომ უნდა უარყოფთ გრამატიკული ტერმინები; პირიქით, ეს სიძნელე გვაძალეებს გავარკვიოთ მათი შინაარსი **ჩვენი სინამდვილის მიხედვით**; უნდა იქნეს მოცემული ის შინაარსი, რომელიც ეძლევა ქვემდებარესა თუ დამატებას ქართულში, იმდენად, რამდენადაც მათი მორფოლოგიურ-სინტაქსური ფუნქციები მათ დაპირდაპირება-ურთიერთგანსაზღვრას შესაძლებელს ხდის: ჩვენ არა გვაქვს ქვემდებარე-დამატება **ევროპულ ენათა საგრამატიკო ნორმებით**, ჩვენ უნდა ჩამოვყალიბოთ ამ ცნებათა შინაარსი **ჩვენის ენობრივის ნორმების** მიხედვით. ძველს ქართულში გაცილებით უფრო ადვილია ეს, ვინემ ახალში.

წინააღმდეგ შემთხვევაში გრამატიკასთან ჩვენ მივალთ უცხო, — ლოგიკურის საზომით და გავიმეორებთ ყველა იმ შეცთომებს, რომელიც გაუკეთებია ლოგიკისტურ გრამატიკას.

მართალია, აკად. ნ. მარის სასარგებლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ სინტაქსი მის გრამატიკაში სრულიად არ მოიპოვება; თავისთავად ეს გრამატიკის ღირსება არ არის, მაგრამ პასუხისმგებლობისაგან განათავისუფლებდა ავტორს, რომ... სინტაქსური ცნობები საკმაოდ არ იყოს შეტანილი მორფოლოგიაში. ეს ბუნებრივია, თუ მოვიგონებთ, რომ მორფოლოგია-სინტაქსს შორის გარდაუვალი ზღვარი არ არსებობს, მით უფრო ქართულში.

საინტერესოა, როგორ იქცევა ამ შემთხვევაში ავტორი. იგი ხმარობს ტერმინებს: ლოგიკური სუბიექტი, ლოგიკური ობიექტი, თან: ობიექტური, სუბიექტური — „ლოგიკურად სუბიექტურის“, „ლოგიკურად ობიექტურის“

გვერდით...

თუ რა მდგომარეობა იქმნება ამ ნიადაგზე, ჩანს შემდეგი ადგილებიდან:

„Суффикс логического объекта — -ი>-ე, в 1-м и 2-м лицах мн. числа имеет вид инфикса, так как показатель множественности *თ* ставится после него. Этот показатель объекта ставится при логически субъектных префиксах: მო-ვ-კალ-ი-თ „мы убили его“ (§ 145, 1, გვ. 119).

ჩვენ ვიტყვით: აორისტში მესამე პირის ობიექტური სუფიქსია • (რომ ეს • მართლაც ობიექტური სუფიქსი იყოს: იგი ფონეტიკურად მიღებული მეორადი მოვლენაა — იხ. ქვ.); ხოლო ზმნას რომ სუბიექტური პრეფიქსებიც გააჩნია, ამის მტკიცება აორისტისათვის ცალკე — ზედმეტია.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი; ავიღოთ მეორე მაგალითი:

„[Для образования множ. числа употребляется...]... -ბ в настоящем субъективного строя исходе глагольной основы на -ი и в наст. объективного строя при логическом объекте: არი-ან; უყუარ-ან... (§ 147, ს, , გვ. 121).

სუბიექტური აგებულება, ობიექტური აგებულება... რანაირია ეს სუბიექტური, ობიექტური, ლოგიკურადაა სუბიექტური, ობიექტური თუ გრამატიკულად? რა მიმართებაა მათ შორის?

(გრამატიკული ტერმინოლოგიით: -ბ არის სუბიექტური სუფიქსი მესამე პირისა მრავ. რ.). ანდა ასეთი ადგილი:

„Суффикс логического объекта -ს (?) появляется при логическом субъекте, выражаемом объективным префиксом: მი-ხილავ-ს „я видел его“, მ-წამ-ს „я верю в него“ (§ 145, 2, გვ. 119 — ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

Суффикс логического объекта ალბათ ლაპსუსია (უნდა ყოფილიყო ავტორის აზრების მიხედვითაც: *субъекта* შდრ. § 169); მაგრამ ამის შემდეგაც უნუგეშო სურათი რჩება: „ლოგიკური სუბიექტის -ს სუფიქსი ჩნდება ლოგიკურ სუბიექტთან, რომელსაც ობიექტური პრეფიქსი გამოხატავს“. მართო ეს ადგილიც კმარა იმის ნათელსაყოფად, თუ რა უბედურებაა ლოგიკური საზომით ენობრივი სინამდვილის გაზომვა (გრამატიკის იმანენტური საზომით -ს ყველგან სუბიექტური სუფიქსია)¹.

ავტორიც ხმარობს, როგორც ჩანს, სუბიექტურს, ობიექტურს (გრამატიკული გაგებით), მაგრამ აგრეთვე ხმარობს ლოგიკურის გაგებითაც, რის გამოც ასეთ ადგილსაც ვპოულობთ:

„Местоименные аффиксы в глаголах по функции бывают
a) субъективными, иногда по положению, *логически субъективными*,
b) объективными и **с) логически объективными** (§ 113, გვ. 92, ხაზი ჩვე-

¹ რასაკვირველია, „სუბიექტური“ გულისხმობს, რომ სუბიექტი უკვე გარკვეულია; ესე იგი ვიცით, რაა ქვემდებარე და რაა დამატება (ობიექტი)... ამის გარეშე გრამატიკის იმანენტურ საზომზე ლაპარაკი შეუძლებელია.

ნია — **ა. ჩ.**). ლოგიკური და არალოგიკური აქ ერთმანეთის მიჯრით არის მიწყობილი და გამოდის დაახლოებით ასეთი თქმა: „ვერობელები არიან რუსები, ფრანგები, მეახალშენენი, გერმანელები, ვაჭრები“...

სუბიექტ-ობიექტის სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარების (სათანადო შედეგებითურთ) აპოთეოზია შემდეგი ფრაზა: „Выразителем логического объекта всегда служит **субъективный** суффикс ს — ჰ“ (§ 113, გვ. 92, ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

თქმა არ უნდა: სანამ გაირკვეოდეს, რა არის ქვემდებარე, რა არის დამატება, და, ამისდა მიხედვით, რომელი ფორმანტია ქვემდებარისეული (სუბიექტური), რომელია დამატებისეული (ობიექტური), აუცილებელია გარეშე საზომის მოშვლება; და ეს საზომი უნდა იყოს სინამდვილე (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით); შესატყვისად უნდა ვიხმაროთ: რეალი სუბიექტი, რეალი ობიექტი; ლოგიკური სუბიექტი, ლოგიკური ობიექტი უხერხულია თუნდაც იმიტომ, რომ „ობიექტი“, როგორც ცნება ლოგიკისა, — არ არსებობს (მსჯელობაში მხოლოდ სუბიექტია და პრედიკატი!)¹.

ამ უცხო ცნებების წამოშვლება **აუცილებელია** პრელიმინარად სათანადო გრამატიკულ ცნებათა გამომუშავებამდე, მაგრამ სრულიად **დაუშვებელია** თვით მოვლენათა კვალიფიკაციისას.

ლოგიციზმის ნიშნები მკაფიოდ ჩანან „ძვ.-ქართულის გრამატიკაში“; ეს ზოგადი მეთოდოლოგიური მსხვილი ნაკლია.

ზოგად მეთოდოლოგიურ ნაკლად უნდა ჩაითვალოს შემდეგიც:

§ 112, გვ. 91 ვკითხულობთ: „Р[од.] падежом местоименного префикса служит гласный უ-, слияние по сванской норме группы ჯი || ვი, Р. падежа от корня ჯ=ვი... „Сам звук უ по сванской норме представляет слияние ჯი = ვი (<*ჰვი-), т. е. действительно требуемый **Р. падеж от местоименного корня ვ || ჰ** (<*ჰჰ“ ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**). ნაცვალსახელების ბრუნება, როგორც ცნობილია, ყოველად უჩვეულო ფორმებში მიმდინარეობს და საერთო შაბლონს არ ექვემდებარება; ცხადია, რატომ: საერთო შაბლონი მაშინ, როცა მათ ფორმები გაიჩინეს, ჯერ კიდევ არ არსებობდა; ავტორი კი **ვ**-ძირის ნათესაობით ბრუნვას იძლევა **კანონზომიერი** სახით და ავიწყდება, რომ არა თუ პიპოთეტური **ვ** ძირი, არამედ პირველისა და მეორე პირის ნაცვალსახელებიც კი (**მე, შენ**) ვერ აწარმოებენ შაბლონით ნათესაობით ბრუნვას.

¹ წერილში „ყე-ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკოლოგიის ურთიერთობის თვალსაზრისით“ (საენათმ. საზოგ. წელიწდეული, ტ. I-II) გვქონდა შემთხვევა ჩვენც გვეხმარა „ლოლიკური სუბიექტი“, „ლოლიკური ობიექტი“ (გვ. 38), მაგრამ სრულიად გარკვეული შინაარსით. ამ შინაარსის გადმოსაცემად გაცილებით უკეთესი იქნებოდა რეალი ობიექტი, რეალი სუბიექტი.

იბრუნვის კი საერთოდ **ძირი**, შიშველი ერთ თუ ორბგერიანი ელემენტი?!

ასეთივე მეთოდოლოგიური ნონსენსია მოცემული შემდეგ სიტყვებში: „*Основа* გი *представляет форму страдательного причастия на* ი *от корня* გ<გვ, имеющего свое самостоятельное спряжение“ (§ 211, გვ. 175).

როგორც თვით ავტორი გვიჩვენებს (§ 215), ეს ძირია ზმნაში: გიეს [თუ: ჰგიეს?], გია... ეგების, ეგებოდა, ეგებოდეს; ეგო, ეგოს... მიმღეობა ვნებითი: **გებული**. მიმღეობის ვნებითის ძირი მხოლოდ **გ'**-ა, ფუძე: **გებ**. მაშ საიდან ვიცით, რომ **გი** არის ვნებითის მიმღეობის ფორმა **ი'**თი: აპრიორი მოსაზრებიდან: **ი** ვნებითობის დამახასიათებელია! ვთქვათ **ი** მართლაც ვნებითი მიმღეობის ფორმას აწარმოებს: წერ-**ი**-ლ-ი, როგორ შეიძლება ამ **ი**'ს გათანაბრება **გი**'ს **ი**'სთან: მაშინ ხომ უნდა დავუშვათ: **გ**-ძირი აწარმოებს ვნებითის მიმღეობას **ი'**თი...

შეიძლება კი ასეთი რამ დავუშვათ?

ორიოდე სიტყვა პალეონტოლოგიის შესახებ. წიგნში შეხვდებით ასეთ ადგილს, მაგალითად: „*По сравнит. грам. выходит* ბრწ — ვრსკ: ვარსკუ-ლავ || ვასკუ-ლამ (მასკუ-ლავ) *звезда* (<„светило ночи“), но палеонтология *вскрывает иную действительность*“ (გვ. 139, შნშ. 2); უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებს ეს დაპირდაპირება; ჰეშმარიტება ერთია: „ვარსკვლავი“ თვდაპირველად რაღაც ერთს წარმოდგენას აღნიშნავდა. ამ წარმოდგენას ეძებს შედარებითი გრამატიკა, ლებულობს გარკვეულს შედეგს; „**მაგრამ**“ პალეონტოლოგია სულ სხვა რასმე ააშკარავებს...

რასაკვირველია, შეუძლებელი სრულებით არ არის შედარებითი გრამატიკის ძიება მცთარი აღმოჩნდეს; უფრო მართებული გაგება სხვანაირი გზით მივიღოთ. მაშინ უცნაური ამონაწერშიაც არაფერი იქნებოდა... არის კი; და უცნაური არის **საერთოდ დაპირდაპირება** — შედარებითი გრამატიკისათვის პალეონტოლოგიის. ეს როდია შემთხვევითი: წიგნში წითელი ზოლივით გადის აზრი პალეონტოლოგიის განსაკუთრებულობის შესახებ; ავიღოთ, მაგალ. ასეთი რამ: „წველა *дойти*, но палеонтология слова *иная: она восходит к молоку и к молочным продуктам*“ (გვ. 150, შნშ. 3).

პალეონტოლოგია ცხადდება საენათმეცნიერო აზროვნების უმაღლეს სააპელაციო ინსტანციად; აი მაგალითიც: „*В семантическом отношении интерес за пределами лингвистики представляет связь нашего корня* გვლ || გვრ (საქმე ეხება „გუალე“ს — **ა. ჩ.**) *с тождественным корнем слова г. гвел-ი змея* || მ. გვერ-ი *id.* Между прочим при принятии этой связи становится мифологически конкретно понятным, почему в *Бытии* 3,14 проклятие змеи выражается низведением ея с *хождения*, природно присущего ей, допустим и по названию, на *ползание*; в яфетическом первоисточнике легенда в таком случае **должна была быть** (ხაზი ჩვენია) *изложена в части*

проклятия не словами „отныне ты будешь *ходить* на чреве“, **как это находим во всех версиях Библии** (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**), а фразой: „ты будешь *ползти* на чреве“ в противоположность прежнему нормальному для нее, судя по названию, в бытовом народном представлении состоянию, когда она, предполагалось, „ходила“, „ступала“, „ходила ногами“ (§ 230, გვ. 194-195).

„გუელი“ ნიშნავდა „მოსიარულეს“; ამას არკვევს პრეისტორიული სემანტიკა (იხ. გვ. 194), იგივე პალეონტოლოგია; დასწყევლეს გუელი: ცხადია მისთვის უნდა მიესაჯათ „ხოხვა“ და არა „სიარული“: მოარული ის უწინაც იყო... მაგრამ ნუ იკითხავთ! დაბადების ყველა ვერსიაში წერია: „მუცელსა ზედა ხუიდოდი“-ო. ერთს ამბობს პალეონტოლოგია, მეორეს ფაქტები! მით უარესი ფაქტებისათვის, ამბობს ავტორის ლოგიკა. ჩანს პალეონტოლოგიამ დაგვაფიქსა, რომ: *quod licet metaphysicae, non licet scientiae (linguisticae)*! არის კი ასეთი პალეონტოლოგია მეცნიერება?!¹.

საერთოდ: **ძირითად მეთოდოლოგიურ საკითხებში „ძველი ქართული გრამატიკა“ ორივე ფენით მოიკოჭლებს.**

4. ზოგიერთი შენიშვნები კერძო ხასიათისა

ბრუნვადი სიტყვები. ავტორს ძირითად ბრუნვად სამი მიაჩნია: სახელობითი, ნათესაობითი და მიცემითი (§ 27); ამ სქემის შეუფერებლობა თუნდაც იქიდან ჩანს, რომ პირველ ძირითად ბრუნვად სახელობითია მიჩნეული, მოთხრობითი კი მიცემითთანაა დაკავშირებული, მაშინ, როდესაც სახელობითიც, მოთხრობითიც გენეტურად ერთს ჯგუფში შედის; ეს არის წრფელობითი, რომლის დიფერენციაციითაც მიღებულია დროული თანამიმდევრობის მიხედვით ჯერ მოთხრობითი, მერე სახელობითი.

ძირითადი ბრუნვების დაბოლოებებად მიჩნეულია: *უნ || *უს; ინ || ის; ან || ას. არავითარი *უნ || *უს ქართულმა არ იცის. ეს სემიტური სისტემით ნაკარნახევი სქოლასტიკაა და ამას ვერ უშველის იმის თქმა: სახელობითის • დაბოლოებაში თავს იყრის ორი ◦: ერთი ნაცვალსახელუ-

¹ სხვათა შორის ავტორი ყურადღებას აქცევს გამოთქმებს: „თუალ გასხენ და არა ხედავთ და ყურ გასხენ და არა გესმის“ და შენიშნავს: „განსაკუთრებულ პალეონტოლოგიურ ინტერესს წარმოადგენს ის, რომ „თუალ“ და „ყურ“ არა მხოლოდ ამ ფრაზაშია აღქმული, როგორც მრავლ. რიცხვის ფორმები, თითქოს გვექონდეს „თუალნი“, „ყურნი“ (§ 244 b, გვ. 208-209); ვფიქრობთ, რომ ამას პალეონტოლოგიის გარეშეც ეშველება: აქ აზრის მიხედვით უნდა ხდებოდეს შეთანხმება, როგორც მაგალითად, შემთხვევებში: „წარმართთა ერი მიეგებვიან ღმერთსა“ (ძვ. სას. პოეზია, გვ. 290); „კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე“ (ადიშის სახ. ტაბ. 45 b₂)... ასეთი რამ ძველს ქართულში არ არის იშვიათი.

რი წარმოშობის (<*ჰი), მეორეც **ი უ**'ს ბგერინაცვალიო (§ 20, 23, 28); სახელობითში მართლაც არის **ი** ნაცვალსახელითი წარმოშობისა, მაგრამ არავითარი საფუძველი არ არსებობს ვიგულოთ კიდევ მეორე **ი** (<უ); ერთადერთი მოსაზრებაა — ანალოგია არაბულთან, მაგრამ ეს მოსაზრება საბუთად ვერ ჩაითვლება.

არას ამბობს აგრეთვე დებულება: ძველი ქართულის ბრუნვაში თავი მოიყარა ორმა კანკლედობამ: ერთია მწიგნობრული (**ნ** თანხმოვნით დახასიათებული), მეორეა — ხალხური (**ს** თანხმოვნით დახასიათებული). თქმას „მწიგნობრული“ მაშინ ექნებოდა გამართლება, თუ ჩვენ გვეცოდინებოდა, რომ ძველი ქართულის სამწერლობო ენის შექმნისას მასში შევიდა ხელოვნურს მეტყველებაში უხმარი ფორმები რომელიმე სამწერლობო ენისა. წინააღმდეგ შემთხვევაში „ხალხურისა“ და „მწიგნობრულისა“ დაპირდაპირებას აზრი ეკარგება: ვთქვათ **ნ** ერთი ეთნიური ფენისაგან მომდინარეობს ძველს ქართულში, **ს** მეორისაგან; ორივე ფორმა თანაბრად ხალხური იქნებოდა, რამდენადაც ორივე **რეალური**, ხმარებული იყო.

სადაოა თითქოს მოქმედებითის **თ-ც-ს** (§ 32); არის მოსაზრებები¹ იმის სასარგებლოდ, რომ ეს **თ** მიღებულიყო **დ**'ს დაყრუებით ისევე, როგორც ამას აქვს ადგილი მიმართულებითს ბრუნვაში: კაცად>კაცათ... (ახალი ქართულისა); ეს **დ** (|| ნ) სრულებით არ უარყოფს მოქმედებითის კავშირს ნათესაობითთან, რის სასარგებლოდ ბევრი რამ ლაპარაკობს და რაიც ავტორსაც საგნებით მართებულად აქვს აღნიშნული.

მიუღებელია თითქოს **მიერ**'ში ფორმანტი იყოს **-ერ, მი-** კი ნათესაობითი ბრუნვა განსაზღვრებითი **მ**-ნაწევარისა შეკვეცილი სახით (§ 24); აქ ფორმანტი **-იერ** არის; შდრ. თვნი-ერ (§ 49, a), მასთან დაკავშირებით უნდა მოიხსნას ყველაფერი, რაც **მი**'ს ნათესაობითად მიჩნევიდან გამომდინარეობს.

მიუღებელია ავტორის მოსაზრება, თითქოს **ეთ || ათ** დაბოლოება მდებრობითი სქესის მაჩვენებელთა ნაშთს წარმოადგენს (§ 52, გვ. 36): ქართველურ ენებში სქესის კატეგორიის არსებობა ჯერჯერობით დადასტურებული არ არის, ხოლო ყველა ის ელემენტები, რომელთაც სქესის კატეგორიის აღნიშვნას ავალბდნენ (იხ. აკად. ნ. მარის ჭანური ენის გრამატიკა, გვ. 8, § 5, ი. ყიფშიძის მეგრული ენის გრამატიკა, გვ. 015-016, § 9), სხვანაირ განმარტებას მოითხოვენ.

§ 74 (გვ. 60): ხუცეს სიტყვის შესახებ ნათქვამია: ხუც- ფუძე არის შემოკლებული **ხუცა-**; **ეს უკანასკნელი კი არის ნახესნები სვანურიდან** (заимствована из сванского): იგივეა, რაც სვანური შედარებითი ხარისხი

¹ ამ მოსაზრებების მოყვანა აქ ტექნიკურად შეუძლებელია, არსებითადაც ზედმეტი.

ხო-შა (= უფროსი, დიდი), ოღონდ: **შ** გადაგვარდა **ს(>ც)** ჯართულის სინა ბუნების მიხედვით, და **ო** მაც პრეფიქსში დიალექტურად გადაინაცვლა **უ** სკენ (с диалектическим передвижением о в у в префиксе ხუ-).

აქ ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზეა: სვანური **ხ** თავკიდურადაა (როგორც ხოშაში); **შ**, ვინ დაამტკიცებს, რომ არ შეიძლება გადაგვარებულიყო **ს** ღ და შემდეგ ქცეულიყო **ც** ღ; **ო** დან **უ** ნამდე ხომ ერთი ნაბიჯიღაღ! ერთი სიტყვით, წამოყენებული დებულების წინააღმდეგ ბრძოლა უწინ განწირულ საქმედ ჩაითვლებოღა; დებულება კი მკვიდრად.

ახლა, რასაკვირველია, შემოვლითი მსჯელობისა და ანალიზის გარეშეც ვიცით, რომ „ხუცეს“ ფუძე **სვანურიდან ნასესხები არ არის**; ის ორდინარი ხანმეტი ფორმაა, უძველესი სახე ქართული სამწერლობო ენისა. კიდევ მეტი: შეუძლებელია არა მარტო ფორმის (ხუ-), არამედ ძირეული **ც** ს მიხედვით იმის თქმა, რომ ის იყოს სვანური, იყოს არა ქართული (ანდა აკად. ნ. მარის ტერმინი რომ ვიხმაროთ: იყოს არა სისინა შტოსისა), არა მარტო იმიტომ, რომ ეს **ც** მეგრულში (შიშინა შტოში) **ჩ** ს გვაძლევს (უ-ჩ-ა-შ-ი), არამედ იმიტომაც, რომ სვანური **შ** ამ **ც** || **ჩ** ს კანონზომიერი შესატყვისია¹.

ხუცეს ს ანალიზის ბედი დამაფიქრებელია; იაფეტიდოლოგიურს აზროვნებაში ასე დასაბუთებულცი ბევრი ეტიმოლოგია არ არის. და თუ მათ ხუცეს ს ბედი არ ეწევათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ბედი სწყალობს: ისინი ისეთ შორეულ სინამდვილეში ბინადრობენ, სადაც მამხილებელი ფაქტები ვერა სწვდება.

ამასთან დაკავშირებით: უნდა შესწორდეს § 87, სადაც ზედსართავთა მწარმოებელ პრეფიქსად **უ** ა მიჩნეული და არა **ხუ**, როგორც ამას ადგილი აქვს „ძველი სამწერლობო ქართულის“ უძველეს ფორმებში (ხანმეტ ტექსტებში)...

ნაცვალსახელთა განხილვას აქ გვერდს ვუვლით²; მხოლოდ ერთ წვრილმან საკითხს შევეხებით: **მ-ცა** ნაწილაკის **მ** ს შესახებ (ათას-ი-მ-ცა...) ავტორი ამბობს: „არ არის გამორიცხული შესაძლებლობა **მ** ამ შემთხვევაში იყოს ნაშთი განუსაზღვრელი ნაწილაკის -მენ (|| მელ>მე>მ), რომელიც აძლიერებს მნიშვნელობას ძვ.-სომხური სამწერ. ენის **ჩნ**-ის მსგავსად“-ო

¹ ვემყარები ვარ. თ ო ფ უ რ ი ა ს ერთ მოხსენებას, სადაც ამ შესატყვისობის (ც:ჩ:შ) დამამტკიცებელი საბუთები საკმაოდ იყო მოყვანილი: ხუცესი — უჩაში — ხოშა; რ ე ც ვ ა — რ ჩ ა ფ ა — ლ ი რ შ ი და მაგვარები. რასაკვირველია, სავსებით შესაძლებელია: ქართ. ც-ს და ეს ს იყოს ექვივალენტი სვანურში დაცულ შსი (მეგრ. ჩ კი იყოს შემდეგი დროინდელი რეფლექსი ც სი, მაგრამ ეს ჩვენთვის ამჟამად არ არის საინტერესო).

² სხვა საკითხთან დაკავშირებით საშუალება გვექნება ისინი დაწვრილებით განვიხილოთ სხვაგან.

(§ 81). სვანურში ამ მის მაგივრობას ეწევა უ (უ: უმარცვლო უ; სიუ ნარ ლეგუნა: შენამც გვყავ (გავგინდი) სატირალი. — წყველა). ეს უ და ქართულის მ ფონეტიკურადაც ერთი და იგივე ოდენობა უნდა იყოს. — გაუგებარია, რად ჰგონია ავტორს, რომ ათას-ი-მ-ცა და მსგავსი შემთხვევები არის „ნაშთი განსაზღვრული სიტყვის კანკლედობისა მასთან შერთულ მ ნაწევრით“ (§ 81). იგივე მ ხომ ზმნებთანაც იხმარება (მოკლამცა, ვარმცა...), უფორმო სიტყვებთან: ნუმცა, რაათამცა... და სხვ. ნუთუ ყველგან კანკლედობაა და მ კი ნაწევარი... უფრო ბუნებრივი იქნებოდა მასში უბრალო ნაწილაკი გვენახა.

უღვლილებადი სიტყვა: ზ მ ნ ა.

ზმნის მნიშვნელოვანი თავისებურებაა — ქცევა. ავტორი არჩევს ოთხ ქცევას მოქმედებითს გვარში და სამს ვნებითში (§ 172, გვ. 136)¹. ქცევის სისტემა შედარებით მარტივია; მისი განხილვა სხვა დროსთვის გადაგვიდვია; აქ ერთს გარემოებას ვაქცევთ ყურადღებას: ავტორს არსად ერთი სიტყვაც არა აქვს ნათქვამი იმის შესახებ, რა არის ქცევა? თითქოს ეს მეორეხარისხოვანი საკითხი იყოს, მაშინ როდესაც ამაზე დამოკიდებული რამდენ ქცევას მივიღებთ. მაგალითად, ავტორი ამბობს: „ვ-წერ; ვ-წუხ პირველი ქცევაა; რა აქვს საერთო მათ? ის, რომ მათ „არავითარი განსაკუთრებული ნიშანი ქცევისა არა აქვს“, გვეტყვის ავტორი (§ 172); მაგრამ ეს ხომ გარეგნული ნიშნის მიხედვით ნაწარმოები განდასებაა: მაგალითად: ა-კლავს; ა-ცხადებს... იქნება თუ არა ისინი ერთი და იმავე ქცევისა? გარეგნულად ორსავე ა ნიშანი ახასიათებს, მაგრამ ეს ა მორფოლოგიურად სულ სხვადასხვა ფუნქციების მატარებელია: პირველი ვნებითში ეს გვაძლევს (ა-კლავს. ე-კლავს), მეორე კი იკარგება (აცხადებს; ცხადდება)²... ეს მეორე (ა-ცხადებს) კაუზატიურობის ნიშანია, პირველი ქცევითობის. ავტორის თვალსაზრისით როგორ გავარჩიოთ იგი? ან: უნდა კი გავარჩიოთ?

ავტორი იღებს ოთხ კილოს: თხრობითს, თანუღვლებითს, ნატვრითსა და ბრძანებითს (§ 153). არა გვგონია ძველს ქართულში საჭირო და შესაძლებელი იყოს თანუღვლებითისა და ნატვრითის განსხვავება: ერთსაც

¹ თუმცა ოთხ გვერდს იქით ავტორი გვესაუბრება მეხუთე ქცევის შესახებ, რომელიც „ძირითად ტაბულაში“ არ არის შეტანილი“ (გვ. 140); თითქოს აქ კი არ იყოს გამოტოვებული. არა ნაკლებ უცნაურ გულმაღვიწყობას იჩენს ავტორი მეორე ადგილას, სადაც ვკითხულობთ: „в каждом залоге четыре породы“ (გვ. 164).

² ვნებითების წარმოება, როგორც ზმნათა საკლასიფიკაციო ნიშანი, მშვენივრად აქვს გამოყენებული პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე ს (იხ. „ქართული ზმნის საქცევი“: ტფილ. უნივერსიტეტის მოამბე, ი.: VI, გვ. 312-338); იმავე წერილში მოცემულია ქცევის განმარტება, სამწუხაროდ იმდენად ფართო, რომ ქცევა, როგორც ასეთი, სრულიად იქმალება, ითქვიფება რა სხვა კატეგორიებში.

და მეორესაც შეუძლია „თავისებური ბრძანებითი“-ს შინაარსი იქონიოს, აგრეთვე მყოფადის მაგივრობა გასწიოს. ავტორი თითონ ამბობს: „ნატვრითი და თანუღვლებითი მკვეთრად არ განირჩევა თხრობითი კილოსაგან“-ო (გვ 142), მით უფრო ითქმის ეს ნატვრითისა და თანუღვლებითის შესახებ; მნიშვნელობის გარდა დაბოლოებაც მათ ერთნაირი აქვს¹. ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნება ვიხმაროთ თანუღვლებითი პირველი, მეორე, მესამე (თითო თითო ჯგუფში).

არის რვა დრო: აწმყო, ნამყო უსრული, ნატვრითი, აორისტი, თანუღვლებითი, ნამყო სრული, ნამყო წინარეწარსული და ნამყო თანუღვლებითი... არსადა ჩანს პერმანსივი (ანუ ჰაბიტუალისი): მან კლის... დიალექტური აორისტის სახელწოდებით არის იგი მონათლული „ძირითად ტაბულებში“ და მოხსენებულია „სინტაქსურად აღმოცენებულ ფორმათა შორის“ (იხ. გვ. 11); ყოველ შემთხვევაში უღვლილების სისტემაში ადგილს მოკლებულია.

ეს ფორმალურად უმართებულოა: ძველს ქართულში ჩვეულებრივია ფორმები როგორცაა: მან კლის, დაწერის, დაფარის... მაშასადამე, არავითარი უფლება არა გვაქვს ფორმათა **აღწერა-დალაგებისას** სათანადო ადგილას (აორისტის ჯგუფში) ეს არ შევიტანოთ. ამისათვის არა აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ **ვხსნით** მას: მივიჩნევთ მას დიალექტურ თუ ხალხურ აორისტად.

არსებითად ამ ფორმის უგულებელყოფა მით უფრო შეუწყნარებელია, რომ იგი თავისებურ, მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს უღვლილების სისტემაში: **მას შეუძლია აწმყოს გვერდით მოგვევლინოს პირველი ჯგუფის დროთა წარმოებისას დასაყრდენად**; თავდაპირველადი მისი შინაარსი არ უნდა ყოფილიყო დაშორებული აწმყოისას; დროთა სათანადო ფორმების შაბლონი როცა შემუშავდა, ის აორისტის ამაღლაში აღმოჩნდა (ფუძის აგებულების წყალობით). პირვანდელი მდგომარეობის კვალი მაინც დარჩა: ეს არის ზოგიერთ ზმნათა უღვლილება:

1. ვიდის (აწმყო = პერმანს.) — ვიდოდა/ის (ნამ. უსრ.) — ვიდოდეს (თანუღვლებ. პირვ.): აწმყოის „ვალს“ სხვა რიგისაა: ვალს, ვლიდა, ვლიდეს; მო-ვლო, მო-ვლის, მოვლოს... (ტრანსიტოვია).
2. მან იცის, უწყის (აწმყო = პერმანსივი): იცოდა, უწყოდა; იცოდეს — უწყოდეს. — შემდეგ ამათ აღარ უწარმოებიათ მეორე ჯგუფის ფორ-

¹ თანუღვლებით მეორეში ამჟამად, მართალია, დაბოლოებანი აჭრელებულია (ეს, ას, ოს), მაგრამ მოსაზრებათა რიგი გვაფიქრებინებს, რომ პირველადი და ძირითადი იყო „ეს“; დანარჩენები მეორადია. პირვანდელი სახე თანუღვლებით მეორის დაბოლოებისა შენახულა უცვლელად თანუღვლებით პირველში, ისევე როგორც აორისტისა და პერმანსივის დაბოლოებანი ნამყო უსრულის დაბოლოებაში (ე. წ. ერთგვითში და პერმანსიულში).

მეზი, ისევე როგორც ზმნებს: ყვრის, ტირის, ქრის (მათი მეორე ჯგუფი — **ო**-თავსართიანი, მედიალი აღარ არის!); სამავიეროდ ტრანსიტივებმა: ვსნის, გზავნის — თავდაპირველი პერმანსივის ფორმიდან აწარმოეს პირველი ჯგუფი, გაიჩინეს მეორეც და ამან გამოიწვია ფორმათა შეხვედრა: იგი გზავნის (აწმ.) — მან გზავნის (პერმ.); მხოლოდ კონსტრუქციით არიან ესენი **გარჩეული**; იყვნენ კი ერთი და იგივე ფორმა... ამ ტიპის ზმნათაგან ბევრმა შემდეგში ფუძეებიც განასხვავა: აწმყო — რედუქციანი (შლის, თხრის), აორისტი — ურედუქციო (შალის, თხარის<შალა, თხარა), რაიც შემდეგი ხნის ამბავია; დამახასიათებელია, რომ რედუქციანი ფორმა (პირ-ვანდელი პერმანსივი) შერჩა აწმყოს...

ავტორს ვვსნი¹ს **ო** სვანურ მეშველ ზმნისეულად მიაჩნია (§ 188, A, c, გვ. 154). ამ ტიპის ზმნებს სვანურ ტიპს უწოდებს, მაშინ როდესაც პერმანსივის სათანადო გაგებას შეუძლია ეს ფორმებიც აგვიხსნას ქართულში და სვანურსაც გამოადგეს **გ ა რ გ ლ ი** ტიპის ზმნათა აგებულების ანალიზისათვის. ავტორის თვალსაზრისით სრულიად აუხსნელად რჩება, რატომ ხვდება: ვ-ქმნი, ქმნი (თუ ჰქმნი?), ქმნის **იგი**, რომელიც აწმყოს სახით გვევლინება (იხ. გვ. 187) პერმანსივის ფორმებს: ვ-ქმნი, ჰქმნი, ქმნის **მან**... არას ამბობს „უწყის“, „იცის“ პერმანსიული წარსულის შესახებ, თუმცა „მან“ ქვემდებარის გადმოტანა აწმყოს ჯგუფში მაინცდამაინც მოითხოვდა განმარტებას (იხ. § 235, გვ. 202-203); „მოვედ“-ს გვერდით მოჰყავს „მო-ვიდ-ი“ (ხალხური აორისტის სახელწოდებით), მაგრამ არ უკავშირებს მას: ვიდ-ოდ-ის (ნამყო უსრ.), თუმცა ამის გარეშე შეუძლებელია აიხსნას, საიდან გაჩნდა პირველ ჯგუფში, ნამყო უსრულში: **ვიდ-ფუძე** (აორისტულ-პერმანსიული) (იხ. § 231, გვ. 196, და შემდგ.); მხოლოდ ერთგან შენიშნავს: „განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აორისტული ფუძიდან წარმოება პირველი ჯგუფის სემანტიკითაო“ (გვ. 198) და მოჰყავს ფრაზა: მოვიდის ლომი და წარმოიღის ვერძი ანუ ვაცი (მოვიდის = მოვიდოდა)... და ამით კმაყოფილდება¹.

§ 145, 1: ავტორი ამბობს: ლოგიკური ობიექტის სუფიქსი **ი>მ** მრავლობითის პირველსა და მეორე პირში ინფიქსის სახეს იღებს, რადგან მის შემდეგ მრავლობითობის მაჩვენებელი **თ** დაისმისო: „მო-ვ-კალ-ი-თ“. **ი** ობიექტური სუფიქსიაო. შეცთომაა; ჯერ ერთი, თუ ის ობიექტური სუფიქსია,

¹ აქვე უნდა შევნიშნოთ: აწმყოდ არის გამოცხადებული ვლ-ი (პირწავარდნილი პერმანსივი); უნდა იყოს: ვალს; ნამყო უსრულში ავტორი სამ ფორმას ასახელებს: ხალხ.: ვლი-დ-ი-ს (-დ-ა); ახალ ქართ.: მო-ვ-დი-ო-დ-ი; მწიგნობრ.: ვიდ-ო-დი. შეცთომაა... ძველი ქართულის კანონიერი ფორმაა: ვიდ-ო-დ-ი, ვლი-დ-ი კი მისი ბადალი ვერ გახდება: იგი დამატებიანი ზმნაა. მისი აწმყო: ვ ა ლ ს ისევე იქცა მედიალად, როგორც „ვიყავ“ (ვნებითი) იქცა მედიალად (ახალს ქართულში ვარის რიგში მოქცევის გამო)...

რატომ არა ჩანს მესამე პირში: მო-კლ-ა. მეორეცაა და ეს **ა** მეორადია: პირვანდელია უ^ანო ფორმები: მო-ვ-კალ-თ, ვ-ი-პყარ-თ... ასე რომ, ჩვეულებრივად, ის არც არის მოსალოდნელი დამატებიან ზმნებში, მაგრამ პირიქით უთუოდ გვაქვს ისეთ ზმნაში, როგორიცაა: მო-ვედ-ი-თ, მო-ხ-ვედ-ი-თ. ნუთუ იგი აქ დამატებამ გააჩინა? მას ხომ დამატება არა აქვს. ეს **ა** აორისტში არ არის მორფოლოგიური მოვლენა, იგი ფონეტიკურად არის განვითარებული უწინარეს ყოვლისა ისეთ შემთხვევებში, სადაც **თ** სუფიქსის წინა თანხმომავანისაგან ხმოვნით გაყოფის აუცილებლობა გაჩნდა: მოვედით, დავსხედით... აქიდან ის გადატანილ იქნა მხოლოდობითში პირველსა და მეორე პირში: იყო მო-ვ-ვედ, დავჯედ; მივიღეთ: მოვედი, დავჯედი... ასევე ტრანსიტივებში, რომელთაც არ ჰქონდათ ეს **ა**.

რომ ეს **ა** ფონეტიკურად განვითარებულია და ამ მხრივ განსხვავდება მაგალ. პერმანსივის **ა**'საგან, ჩანს იქიდან, რომ იგი ვერ იწვევს რედუქციას, პერმანსივის **ა** კი იწვევს (მდრ. ჩუენ ვკალით (აორ.); ვკლით (პერმ.); თქუენ ჰკალით (აორ.); ჰკლით (პერმ.)¹.

§ 145, 3-ში ავტორი ამბობს: „თუ ლოგიკური ობიექტი მრავლობითშია, ორივე „ლოგიკურად ობიექტური“ სუფიქსი შეიცვლება მრავლობითის მაჩვენებელ წთი ანდა -ან, -ენ დაბოლოებებითო“... და-ვ-წერე-ნ (მე — იგინი), და-ვ-წერე-ნ-ი-თ (ჩუენ — იგინი); მ-წამ-ან (მე — იგინი), ვ-თქუ-ენ-ი (მე — იგინი)“.

დამატების მრავლობითობა აღინიშნება **წ**თიო: დავწერე-ნ... საჭიროა შესწორება: **წ** მართლაც არის, მაგრამ როგორც ფონეტიკურად გამარტივებული სახე **ენ**ისა. დამატების მრავლობითობას **-ენ** აღნიშნავს, მაგრამ თუ შემდეგ ხმოვნით დაწყებული სუფიქსი მოსდევს, **-ენ** ჰკარგავს **ე**ს (ხმოვნის რედუქცია ხდება) და ვღებულობთ: **წ**ს: ვ-თქუ-ენ, მაგრამ: თქუ-ნ-ეს (<*თქუ-ენ-ეს); აორისტის მეორესა და პირველ პირში მრავლობითისა არ ხდება რედუქცია²: ვთქუენით, სთქუენით, მაგრამ პერმანსივის **ა** ყველგან მოახდენს რედუქციას: ვ-თქუ-ნ-ი (<*ვ-თქუ-ენ-ი), სთქუნი, თქუნი; ვთქუ-ნით, სთქუენით, თქუნიან.

ავტორი, გვგონია, ამის გაუთვალისწინებლობას შეჰყავს შეცდომაში, როცა **ყავ** ძირის სხვადასხვა დრო მოჰყავს: აორ. ხალხ: **ყავ**, **ჰყავ**, **ყო**... აორ. ძველი სამწ.: **ყავივ**, **ჰყვივ** (მესამე პირი არ არის); **ყვივით**, **ჰყვივით**

¹ ასევე უნდა განსხვავებულ იქნეს ნამყო უსრულის მრავლობითში **ა** ფონეტიკურად განვითარებული: ვაკეთებდი: ვაკეთებდ-ი-თ და ი (პერმანსივის დაბოლოება) ყველა პირებში რომ არის: ვაკეთებდ-ი; ვაკეთებდ-ი-თ. პირველი მხოლოდ მესამე პირში იღებს დაბოლოებას: ვაკეთებდ, აკეთებდ, აკეთებდ-ა (აორისტის დაბოლოებითაა წარმოებული), მეორე ყველა პირებში: ვაკეთებდ- დ-ი, აკეთებდ-ი, აკეთებდ-ი-ს (პერმანსივის დაბოლოებითაა ნაწარმოები).

² იხ. 319 გვ. აორისტის **ა** დაბოლოების შესახებ ნათქვამი.

(მესამე პ. მრავ. არ არის) და საილუსტრაციოდ ასეთი ფრაზა მოჰყავს: წრფელ ყვენიო ალაგნი მისნი... **აბსოლ. ყვეთ მიმართ. მრავლობითთან: ყვენიო** (გვ. 186 — ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

ვევე, ჰვევ ძველს ქართულში დადასტურებული არსად არის; „ყვე-ნიო“ ფორმის ასახსნელად ამ არარსებული ფორმის შეწუხება არ არის საჭირო: ყვენიო <*ყავ-ენ-ი-თ. ამას გარდა, როცა ფორმა (ვევე) დადასტურებული არაა, არ იქნებოდა ზედმეტი სათანადო ნიშნით შეგვემოკო იგი.

იმავე ზმნისაგან ავტორს მოჰყავს ვ-ყვენი, ჰ-ყვენი, ყვენის და მას ძველ-სამწერლ. აწმყოს უწოდებს (გვ. 186); ნამდვილად კი ეს არის პერმანსივი მხოლოდ დამატებითურთ მრავლობითი რიცხვისა: ვყუნი (<*ვ-ყავ-ენ-ი მე — იგინი)... ყუნის (<*ყავ-ენ-ი-ს)...

საერთოდ, ე. წ. „ძველ-სამწერლობო ფორმის“ მიმართ არა მცირედ უსამართლობას აქვს ადგილი; აი ერთი თვალსაჩინო მაგალითი:

ავტორი ამბობს: „ნამყო უსრულს აქვს ორი ფორმა: ძველი — სამწერლობო და ხალხური. ორივე სახეობის მაჩვენებელი აწმყოს ფუძეს მიემატებიან:

a) ძვ. სამწერ. სახეობის მაჩვენებელი **ნ** გვევლინება მესამე პირში მხოლ. რიცხვისა; ასე, მაგ. იკითხავ-ნ (он читал), იტყუნ (он говорил), გუცემნ (он давал нам), გან-გუწესებნ (он приводил нас в порядок)¹.

b) ხალხური სახეობის მაჩვენებელი — **დ**. ისიც გვევლინება ხშირად ყოველგვარი გახმოვნების გარეშე (без всякой огласовки), ამასთან მხოლოდ-ბითის ყველა პირებში: ვ-კრებ-დ, რკ-კრებ-დ, კრებ-დ (§ 192, გვ. 159).

მცირე კორექტივი ამ შეკვეცილი ფორმების შესახებ ნათქვამს: მესამე პირის შეკვეცილი სახეობა ა'ს დაირთავს: ვ-კრებ-დ მე, მაგრამ: კრებ-დ-ა იგი; ამას გარდა: ამ შეკვეცილ ფორმებს მრავლობითიც აქვს: ვკრებ-დ-(ი)თ, ჰკრებ-დ-(ი)თ, კრებ-დ-ეს, პირველისა და მეორე პირის **ი** ისევე უნდა განვასხვავოთ სრული ფორმის ი'საგან (ვ-კრებ-დ-ი, ჰ-კრებ-დ-ი, კრებ-დ-ი-ს... ვ-კრებ-დ-ი-თ, ჰ-კრებ-დ-ი-თ, კრებ-დ-ი-ან), როგორც აორისტის მრავლობითის **ი** პერმანსივის ი'საგან: ვ-ყავ(ი)თ, ჰ-ყავ(ი)თ (აორ.) — ვყვ-ი-თ, ჰყვ-ი-თ (პერმ.).

მაგრამ არსებითი: **იკითხავ-ნ** არ არის ნამყო უსრული, არამედ ე. წ. აწმყო მრავალგზითი (მას მართლა შეიძლება ჰქონდეს „читал“-ს მნიშვნელობა, მაგრამ ეს სინტაქსურ მომენტს შეეხება: პერმანსიულ ფორმას, საერთოდ, ასეთი შინაარსი არ ეუცხოვება); **ნ** აქ ს'ს მაგიერია, ისევე როგორც მრავლობითში **ედ** (იკითხვ-ედ) **ენ**ს მაგიერობას ეწევა. ეს **ნ** უნდა ყოფილიყო ერთ-ერთის ლიტერატურულად უძველესი ფენის კუთვნილება,

¹ ავტორს აღნიშნული აქვს ამ ფორმათა ხმარების ადგილები ტექსტებში, ჩვენს ამონაწერში კი გამოტოვებულია.

რომელიც ძველი ქართულის რთულ სახეშია წარმოდგენილი¹.

რომ ეს ნამყო უსრულში გადასახლებას ვერ ეგუება, თუნდაც იქიდანაც ცხადია, რომ ავტორმა მას მოუძებნა ერთადერთი ადგილი: მესამე პირი მხოლ. რიცხვის. რატომ არ არის კორელატი მრავლობითის მესამე პირში? ამას გარდა: **-ავ(-ამ'ც)** სუფიქსი ნამყო უსრულში ან **ევ** ან **ვი**'ს სახეს იღებს (თითქმის ყოველთვის); აქ კი გვაქვს **ავ**: იკითხავ; და არა მარტო აქ, მთელს ძველს ქართულში არ მოიძებნება მაგალითი, რომ **-ნ** ემატებოდეს აწმყოს თემას და ამ თემას **ავ, ამ** შეცვლილი ჰქონდეს: ფავ-ნ, ფლავ-ნ, დგამ-ნ... და სხვ.

ასე რომ: ნამყო უსრულის ფორმანტად **ნ**'ს წამოყენება და მისი მიჩნევა „ძველ-სამწერლობო სახეობად“ შეცთობაა.

§ 177, გვ. 145-ში ვკითხულობთ: „ა ხმოვანი, როგორც აორისტის დამახასიათებელი, მისი შინაგანი გახმოვნების (огласовки), ჩნდება პირველსა და მეორე პირშიც: მაგ. ვ-კალ, ჰ-კალ“... ეს გასაგები ხდება, თუ მოვიგონებთ, რომ ავტორს აორისტის მესამე პირი მიაჩნია „ყველაზე მარტივ წარმონაქმნად, სხვებზე ადრე გამოყოფილად და თითქოს გამოსავალ-ძირითადად“ (იქვე).

რასაკვირველია: თუ **კლ-ა** არის პირველადი, **გკალ**'ში **ა** გაჩენილი იქნება. მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს ასე არ არის. **კალ**- არის ამ ზმნის ფუძე აორისტშიაც, აწმყოშიაც, და თუ ვ-კლავ... ანდა **კლ-ა** გვაქვს, ეს რედუქციის წყალობით მიღებული ფორმებია: *ვ-კალ-ავ-ვ-კლ-ავ; ვ-კალ; *კალ-ა>კლ-ა (შდრ. ვლევ: დგ-ა<*დევ-ა); ერთი სიტყვით, **ა** კი არ **გაჩნდა** აორისტის მეორე პირში, არამედ **დაიკარგა** მესამე პირში. ფუძე საუკეთესოდ დაცულია მესამე პირში კი არა, არამედ მეორესა და პირველში.

სხვა წვრილმანზე არ შევჩერდებით²; აღვნიშნავთ ზმნის შესწავლის **დადებით მიღწევებს**.

დიდმნიშვნელოვანი პრინციპული დებულებაა, რომ ზმნებს ორი აგებულება აქვთ: სუბიექტური და ობიექტური (§ 164); მართალია, „სუბიექტური“ ფორმა ევროპული გაგებით ზმნას ქართულში არ გააჩნია, მაგრამ იმის აღნიშვნა, რომ ზმნას შეიძლება ჰქონდეს სუბიექტური ფორმაც და ობიექტურიც, არსებითი მნიშვნელობისაა და მთლიანად მისაღები.

დროთა სისტემა, საერთოდ, აგებული გენეტური მეთოდით, მთლიანად მისაღებია და აგრეთვე მნიშვნელოვანი (პერმანსივის ჩართვის აუცი-

¹ შეად. მეგრულის აწმყოს სუფიქსი მესამე პირისა **-ნ** — გარდაუვალ ზმნებში.

² ასე მაგალ. § 244 (გვ. 208) ნაჩვენებია მრავ. რ. მესამე პირისა: „ზის“ ზმნისაგან: ზი-ან: ძველს ქართულში ასეთი რამ არ არის; § 247: ნამყო უსრული ზმ-და, თანულვლებითი პირვ. ზმ-დეს, — არ არსებობს; § 243: ვე-სავ-დი საჭიროა პარალელური: ვესევდი || ვესვიდი... და სხვ.

ლებლობაზე იხ. ზემ.)¹.

მართებულია დებულება სახეების შესახებ (§ 201).

საყურადღებოა და მისაღები თანულღლებითი მეორის ო'ს გენეზისი (<ევა, § 194), თუმცა არ შეიძლება ამ ფორმის ძირითად ნიშანდობლივ ხმოვნად ა'ს მიჩნვა (ე უნდა ყოფილიყო პირველადი!).

ორი ფონეტიკური დებულება საჭიროებს შენიშვნას.

§ 63, b (გვ. 41) ავტორი ხსნის, რატომ შეიძლება მოხდეს რედუქცია კანკლედობის დროს ნათესაობითა, მოქმედებითა და მიმართულებით ბრუნვებში მხოლოდობითი რიცხვისა, აგრეთვე ებ'იან მრავლობითის ყველა ბრუნვებში და შემდეგ აზრს გამოსთქვამს: ემფატური სახე ამ ბრუნვათა ორმარცვლოვანია (ისა, ითა, ადა; ები, ებისა...), ფუძის მახვილიანი მარცვლი მოპყვება მეოთხე მარცვალზე; ამით ირღვევა წესი (ნორმალურად მახვილი მესამე მარცვალს არ უნდა გადასცდეს) და აი მახვილის ადგილმდებარეობა რომ ნორმალი იყოს, აუცილებელი ხდება ხმოვნის დაკარგვა: მშობელი (მახვილი ო'ზეა — მესამე მარცვალზე); მშობელისა: აქ ო მეოთხე მარცვალში მოყვა: ეს შეუძლებელია. სტატუტის დაცვა მოითხოვს დაიკარგოს ერთი მარცვალი და ო დარჩეს მახვილის მატარებლად მესამე მარცვალზე.

ეს ახსნა დამაკმაყოფილებელი არ არის; მისი თვალსაზრისით გაუგებარია, რად უნდა იკარგებოდეს ხმოვანი ორმარცვლოვან სიტყვებში, როგორცაა: ფერჯი, ძალი, ღმერთი: და რად უნდა გვქონდეს: ფრჯივ, ძლივ. ღმერთივ (იხ. გვ. 30), ხმოვნის ამოვარდნა ფონეტიკური მოვლენაა და მას ადგილი აქვს არა მარტო კანკლედობაში, არამედ უღვლილებაშიც (ვდეგ, მაგრამ: დგა<*დეგა), მას შეუძლია თავი იჩინოს ყველგან, სადაც სუფიქსი ხმოვანია ან ხმოვნით იწყება². რა საფუძველი აქვს ამ ფაქტს, საძიებელია; ყოველ შემთხვევაში ავტორის მიერ წამოყენებული საფუძველი სათანადო მოვლენებს ვერ ხსნის.

ჯ'ს ფონეტიკური შინაარსის რკვევისას ავტორი, სხვათა შორის, ამბობს: „ვ ასოში დაინახეს გამონატულება ვი'სათვის, მაგრამ ეს ჩვეულებრივი გაუგებრობაა (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.), აღმოცენებული ძველი ტექსტების აღქმასა და განმარტებაზე ახალი ენის ნორმების მიხედვით, რომელიც მშობლიურია და ხელს უშლის დაკვირვების ობიექტობას“ (§ 9, გვ. 6).

ეს ტირადა არ დაიწერებოდა, ავტორს რომ ერთი რამ ჰქონოდა გავალისწინებული: თანამედროვე ქართულის გ უმეტეს შემთხვევაში ძველი ქართულის უმარცვლო უ'ს გადმოგვცემს: აი თუნდაც ავტორის მაგალი-

¹ არას გამბობთ ტერმინების შესახებ; მათი თუნდაც მთლად შეცვლა სისტემას არ აენებს; კერძოდ „აორისტი“ უხერხულია (პრევერბიან ფორმებში, სრულ სახესთან).

² ამ მოვლენის ზოგადი მიმოხილვა და სათანადო მექანიკის მთავარი საფუძველი წარმოდგენილია პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს წერილში: „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“ (საენათმეც. საზოგ. წელიწადი, ტ. I-II, გვ. 1-11).

თებში: თავგი, მოგვი (იქვე); ვიკითხოთ: შეიძლებოდა თუ არა ძველს ქართულში ასეთი **ვ**(= უ უმარცვლო)+**ი** გვეგულისხმებინა ჯ'ში? შეიძლება თუ არა ჯ'ს შედგენილობაში ვივარაუდოთ **უ+ი**? რასაკვირველია, კი. და ამის ნიმუშებიც მოიპოვება: დაამკუიღროს... (დავითნი, უნივერს. სიძველეთა საცავის ხელნაწერი №38, დათარიღებული 974 წ. ფ. 26 r); ეტყუის (იქვე, 30 r); მშუილდსა (იქვე, 30 r), წუიმდეს (იქვე, 30 r), ცუილი (იქვე, 41 v), შეცუიოდიან (იქვე, 42 v), დაამშუიდის (იქვე, 49 r), ძუირსა (იქვე, 67 r), მახუილითა (იქვე, 71 r), სირცხუილმან (იქვე, 72 r), რიცხუი (71 v), სტუიოი-საათა (იქვე, 76 r), მლუიმესა (იქვე, 86 r), განილუიძე (იქვე, 90 r)... და სხვ.

აგრეთვე იმავე სიძვ. საცავის ხელნაწ. № 86: იაკობ მოციქულის ჟამის წირვაჟ'ში¹ ჩვეულებრივია: მოგუიწოდენ (ფ. 3 r), მოგუიტევენ (3 r), თუით (17 r), ღუინითა (23 r), ეტუიფანე (33 r), აგუისტინე (33 r), კუი-რილე (33 r), სუიმიონ (34 r), ევთუიმე (იქვე), გუირგუინი (69 v)...

ყველა ამ სიტყვებში ამჟამად **უი**'ს ნაცვლად **ვი** გვაქვს, ძველი ქართულის სხვა ძეგლებში ჯ. და ამიტომ საკითხავია: უნდა დავუჯეროთ თუ არა ავტორს, როცა კატეგორიულად გვეუბნება: „ჯ ბოლოში თუ შიგნით უნდა გამოვთქვათ, როგორც ნახევარხმოვანი ჯ სვანური სიტყვებისა: ბლავჯ (= ბლავგი), მუთჯრი (= მასწავლებელი)... ასეთი კატეგორიულობისათვის საბუთები არც ისე ბევრია; ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ სხვანაირი გაგება (კერძოდ: ვი=უი'ს გულისხმობა ამ ჯ'ში)² თითქოს „ჩვეულებრივი გაუგებრობა“ იყოს — უადგილო აჩქარებაა.

ჯ და ჴ'ს ხმარება იმდენად ჴრელია ძველს ქართულში (განსაკუთრებით ზოგიერთ ძეგლებში), რომ საგანგებო შესწავლის გარეშე ავტორისაებრ მსჯელობა დადებით შედეგს ვერ მოგვცემს.

§ 245 (გვ. 209): არის: ხსნ-... ხსენ-ებ-ა-ა... ვ-იხსენ-ებ... ვ-ა-ხსენ-ებ... მა-ხსოვ-ს.. ხსოვ-ნ-ა-ა... ხსოვ-ნ-ებ-ა-ა... მა-ხსოვ-არ-ი; სახსოვ-არ-ი... ყველგან — ხ; უნდა — ჯ: ჯსნ... ჴს... (იხ. § 12: „ძველი-სამწერლობო ენის ორი ბგერა ჯ და ხ სასტიკად განისხვავების და ძველს ხელნაწერებში არასოდეს აღირევის“, გვ. 8).

ვსარგებლობ შემთხვევით აქვე მოვიყვანო პროფ. **გ. ახვლედიანის**

¹ ეს ხელნაწერი გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ; სამწუხაროდ, გამოცემა ხელთ არა გვაქვს და ადგილები ნაჩვენებია ხელნაწერის მიხედვით.

² ავტორი კითხვას სვამს: თუ ჯ=ვი, რატომ არ იწერებოდა „მული“ ძველს ქართულში! ეს საბუთად მაშინ გამოდგებოდა, ვისმე რომ ეთქვა: ჯ=ვი (ძველი ქართულისასო); ახალ ქართულში უმარცვლო უ აღინიშნება **ვ**'თი, ისევე როგორც უფრო დენტო-ლაბიალისკენ გადახრილი **ვ** ძველი ქართულისა... ამიტომ: ახალქართულის **ვი** ძველი ქართულის **უი**'საც უდრის და **ვი**'საც; უკანასკნელს ნაკლებ შემთხვევაში. ეს ელემენტარი ამბები მოგვყავს გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

უი'ის შესახებ აქ თქმული ცხადპყფის, რომ ძველი ქართულის სამწერლობო ძეგლების გამოუცემლობით შექმნილი დაბრკოლებანი ავტორის მიერ მთლიანად დაძლეული არაა.

მოსაზრებანი ფონეტიკური ნაწილის შესახებ¹.

იგი ეხება ბგერათმეცხველებიდან აღწერილობით ნაწილს. სახელდობრ: 1) ტაბ. I-ს. გვ. 027 (თანხმოვანი ბგერები წარმოთქმის ორგანოთა მიხედვით, 2) ტაბ. III-ს. გვ. 030 (ბგერათა კლასიფიკაცია. უმთავრესად აფრიკატების საკითხის გამო), და 3) 8-12 გვერდებს, სადაც წარმოდგენილია ანბანის (ტაბ. II) „დაახლოებითი ბგერითი მნიშვნელობანი“ (8-10) და განმარტებანი ტაბ. III-სათვის (10-12).

„1. ტაბ. I-ში (თანხმ. ბგერები წარმოთქმის ორგანოთა მიხედვით) ასეთი სურათია:

ბაგისმიერნი	$\left\{ \begin{array}{l} \text{წყვილბაგისმიერნი} \\ \text{ბაგეკბილისმიერნი} \\ \text{ბაგეცხვირისმიერნი} \end{array} \right.$	$\left\{ \begin{array}{l} \text{პ ბ ფ [ფ]} \\ \text{ვ ჯ} \\ \text{მ} \end{array} \right.$
წინაენისმიერნი	$\left\{ \begin{array}{l} \text{ენაკბილისმიერნი} \\ \text{ენაკბილსასისმიერნი} \\ \text{ენასასისმიერნი} \\ \text{ენასასაცხვირისმიერნი} \end{array} \right.$	$\left\{ \begin{array}{l} \text{ტ ს} \\ \text{ლ დ ზ წ ძ ც} \\ \text{რ თ შ ჭ ჯ ჩ} \\ \text{ნ} \end{array} \right.$
უკანაენისმიერნი	$\left\{ \begin{array}{l} \text{ენასასისმიერნი} \\ \text{ენაყელსასისმიერნი} \\ \text{ენაყელისმიერნი} \end{array} \right.$	$\left\{ \begin{array}{l} \text{კ გ ქ ჰ ღ} \\ \text{ღ ხ} \\ \text{ყ ჯ [ჟ]} \end{array} \right.$

ეს ტაბულა იწვევს მთელ რიგს შენიშვნებისას, რომელთაგან ზოგი წმინდა ტერმინოლოგიური ხასიათისაა (უხერხულად მიგვაჩნია „ბაგე - ც ხ ვ ი რ ი სმიერნი“ — „ბაგეკბილისმიერისა“ ან „ენაკბილისმიერის“ გვერდით, ასეთადვე მიგვაჩნია „ენასასა ც ხ ვ ი რ ი სმიერნი“, „ენა ყ ე ლ სასისმიერი“ და „ენაყელისმიერი“), უფრო არსებითია შემდეგი: ა) [ფ] მოთავსებულია „პ ბ ფ“-ს გვერდით წყვილბაგისმიერთა რიგში. კორექტურული შეცდომა ხომ არ არის? ბ) ჯ უნდა მოთავსდეს წყვილბაგისმიერთა რიგში, აგრეთვე ჯ ნიშანი ხომ წყვილბაგისმიერსაც გამოხატავს? გ) „ტ დ თ“ ერთ რიგში უნდა იყოს და არა სამ სხვადასხვაში განაწილებული; ამავე რიგში უნდა იყოს მოთავსებული „წ ძ ც“ და „ს ზ“-ც კი; ყოველ შემთხვევაში ს და ზ-ს სხვადასხვა რიგში მოთავსება წარმოთქმის ორგანოთა მიხედვით —

¹ ამნირად, ქვემოთყვანილი შენიშვნები ფონეტიკის შესახებ მთლიანად პროფ. გ. ახვლედიანს ეკუთვნის; მოყვანილია აქ უცვლელად; გამოყოფილია ბრჭყალებით. — ამ შენიშვნებს თავისთავადი ღირებულება აქვს; მათი თავაზიანად გადმოცემისათვის პატივცემულ პროფესორს დიდ მადლობას ვუძღვნი.

შეუფერებელია; აქვე იქნებოდა ლ'ც. მეორე რიგში დარჩებოდა რ, შ, ყ, ჭ, ჯ, ხ; ნ — კი მოთავსდებოდა, სათანადო შენიშვნით, პირველ რიგში. მაშასადამე, წინაენისმიერთა ოთხი რიგის ნაცვლად უნდა იყოს ორი: ენაკბილისმიერთი ტ, დ, თ; წ, ძ, ც; ლ, ნ; ს, ზ და ენასასისმიერი რ შ ყ ჭ ჯ ხ; დ) რადგანაც „კ გ ქ“-ს „ლ, ხ“-საგან განსხვავებაში ყელი (гортань) არაფერ შუაშია, ამიტომ მათი მოთავსება შესაძლებელი იქნებოდა ერთ რიგში; რა თქმა უნდა, ამასთანავე ვიგულებდით, რომ „ხ ლ“ უფრო უკან იწარმოება, ვიდრე „კ გ ქ“. ჰ და მ-ს აქ მოთავსება უადგილოდ მიგვაჩნია: ჰ-ს უმთავრესი სახეობაა ყელის სპირანტი, მაშასადამე, უნდა მოთავსდეს მ-სთან ერთ რიგში, მაგრამ არა „ე ნ ა ყელისმიერის“ სახელწოდებით; ხოლო მ შუაენისმიერია. „ყ, წ“ ფარინგსის ბგერებია, ამიტომ მათთვის ცალკე რუბრიკია საჭირო. მაშასადამე, აკ. ნ. მ ა რ ი ს „უკანაენისმიერთა“ რუბრიკში დარჩება მხოლოდ „კ, გ, ქ; ლ, ხ“, ხოლო მ გამოიყოფა შუაენისმიერის სახელით, „ყ წ“ ფარინგალების და „ჰ, მ“ ყელისმიერთა სახელით.

2. ტაბ. III-ში მოთავსებულია (კვადრატში) შემდეგი ექვსი წყვილი „აფრიკატი“: წ ყ, ძ ლ, ც ხ, ჭ კ, ჯ — , ჩ ჯ (ჯ-ს მეცალე არ შენახულაო). ამ „აფრიკატა“ შემადგენლობა აკ. ნ. მ ა რ ს ასე აქვს წარმოდგენილი: წ<ტ+ს, ყ<*კ+ჰ; ძ<დ+ზ, ლ<გ+ჰ; ც<თ+ს, ხ<ქ+ჰ; ჭ<ტ+შ, კ<*კ+ყ; ჯ<დ+ყ; ჩ<თ+შ, ჯ<ქ+ყ. ფონეტიკურ ლიტერატურაში აფრიკატებად ცნობილ თანხმოვნებს (წ, ძ, ც; ჭ, ჯ, ჩ) აკად. ნ. მ ა რ ი უწოდებს „ასიბილატებს“, ხოლო დანარჩენებს (ყ, ლ, ხ; კ, ჯ) „ასპირატებს“. ასიბილატები და ასპირატები წარმოდგენილი აქვს საერთო სახელწოდებით — „აფრიკატები“. პირველი შეხედვით, ეს თითქოს ტერმინოლოგიური საკითხია, მაგრამ ნამდვილად აქ საქმე გვაქვს თანხმოვანთა თავისებურ გაგებასთან, რასაც შემდეგ ზოგიერთი გაუგებრობა მოჰყვება. აკად. ნ. მ ა რ ი ს „ასპირატ აფრიკატთაგან“ მშვიდავია (ასპირაციანია) მხოლოდ ჯ; დანარჩენთაგან ყ და კ ჩვეულებრივი მკვეთრი ხშულებია¹, ხოლო ლ და ხ წარმოადგენს ჩვეულებრივ უკანაენისმიერ სპირანტებს. ასეთია დღეს ეს ბგერები. რაც შეეხება მათ ისტორიულ სახეს, კიდევაც რომ დავუშვათ მათი რთული შემადგენლობა, როგორც ამ (III) ტაბულაშია წარმოდგენილი, აფრიკატებად მათი მონათლვა მაინც არ შეიძლება, რადგანაც ისინი ვერ აკმაყოფილებენ აფრიკატის შექმნის პირობას (შერწყმა ხშულისა მომდევნო ჰომორგანულ სპირანტთან ანუ ფრიკატივთან). უფრო მეტი გაუგებრობაც მოჰყვება აფრიკატების ასეთ გაგებას: საქმე ის არის, რომ, რადგანაც აკად. ნ. მ ა რ ს ასპირაცია წარმოუდგენია აფრიკაციის ერთ-ერთ სახედ, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ასპირაცია არ წარმოუდგენია აფრიკაციის გარეშე, ამიტომ ასპირაციას მოკლებულად მიუჩნევია „ფ, თ, ქ“, რომელთა შესახებ ამბობს: „გაუგებრობის გამო აღიქმებიან, როგორც მშვიდავია (ასპირაციანი ან გაასპირებული) აფრიკატებიო“ (გვ. 9). მშვიდავ აფრიკატებად ითვლება „ც“ და „ჩ“;

¹ მკვეთრობის შესახებ იხ. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს „მკვეთრი ხშულნი ქართულში“ ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, ტ. II, გვ. 113.

ასე რომ „ფ, თ ქ“-ს მშვინავ აფრიკატებად აღქმა შეუძლებელია; რაც შეეხება მათ მშვინაობას (ასპირატობას), ეს ეჭვს გარეშეა ობიექტურად და ამიტომაც არავითარი **გაუგებრობა** არაა მათი ასეთად აღქმა. ამიტომ აკად. ნ. მარის მიერ მიზეზების ძიება, თუ რატომ გვესმის „ფ, თ ქ“-ში მშვინაობა, ზედმეტად უნდა ჩაითვალოს: მისი აზრით, მათ (ფ, თ, ქ) წარმოთქმას უნებურად (?) თან სდევს ჰაერის ნაკადი, რომელიც წარმოიშობა ხოლმე ხშვის ან შეხების ადგილას; ორგანოთა ხშვა ან შეხება „თ, ფ“-სათვის უფრო სუსტია, მისივე აზრით, ვიდრე „ტ, პ“-სათვის და „დ, ბ“-სათვისაც კი; ხოლო ქსათვის უფრო სუსტია ჰაერის ტალღის ჯახება ენიდან უკანასასის სათანადო ნაწილისკენ, ვიდრე კსათვის და გსათვისაც კი (გვ. 9). ნამდვილად, ჩვენის დაკვირვებით, არც ხშვის ან შეხების სისუსტე განსაზღვრავს „თ, ფ“-ს ბუნებას და არც ჰაერის ჯახების სისუსტე ქსას, არამედ შესამჩნევი რაოდენობის შვინვა¹, ამომდინარე სასუნთქიდან (და არა ხშვის ადგილას წარმოშობილი). ამის დამტკიცება შეიძლება სრულიად მარტივი ცდით: შეისუნთქეთ ჰაერი, რამდენიც შესაძლებელია, და წარმოთქვით ზედიზედ **თ** რამდენჯერმე. შესუნთქული ჰაერი დაიხარჯება დაახლ. 15 წუთის განმავლობაში, რის შემდეგაც გაჩნდება მოთხოვნილება ხელახლავ შესუნთქვისა; არტიკულობა იმავე ადგილას შეგიძლიათ განაგრძოთ (20 წუთამდე) შეუსუნთქველადაც, მაგრამ **თ** აღარ გამოდის, არამედ თითქოს უნებურად გადადიხართ **ტ**-ზე, რომლისთვის, როგორც ამ ცდიდანაც ჩანს, სრულიად საჭირო არ არის სასუნთქიდან ამოდენილი ჰაერის ხარჯვა. ასეთივე ცდა შეიძლება გამოყენებულ იქნას ქსა და ფსათვის: თითოეულ ამათვისაც შესუნთქული ჰაერი დაიხარჯება 15 წუთში, რის შემდეგაც ქს ნაცვლად გადადიხართ კზე, ხოლო ფს ნაცვლად პზე.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ მშვინავი აფრიკატებისათვის (ჩ, ც) იგივე შესუნთქული ჰაერი გვეოფნის შედარებით მეტ ხანს: 20 წუთამდე, რის შემდეგაც გადავივართ „ჭ, წ“-ს არტიკულობაზე (ჯსთვის გვეოფნის 25 წუთს; ჯც ამის შემდეგ გადადის ჯდ); აქედან ჩანს, რომ ჩ და ცს ნაკლები მშვინაობა აქვს, ვიდრე თს (რაც შეეხება ჯს, ამისთვის მიტომ გვეოფნის 25 წუთს, როგორც ჩვეულებრივ მყდერ ხშულთათვის, რომ საერთოდ მყდერთათვის ჰაერის ხარჯვა ნაკლებია, ვიდრე ყრუთათვის; ამ შემთხვევაში თსათვის). რაც შეეხება „ლ, ხ“-ს ჰაერის ხარჯვის თვალსაზრისით, ისინი ამ მხრივ უდრიან ჩვეულებრივ სპირანტებს („ს, ზ, შ, ჟ“-ს); ლსათვის 25 წუთამდე გვეოფნის შესუნთქული ჰაერი, ხსათვის — 20-მდე („ს, ზ, შ, ჟ“-სათვის 20-25 წუთამდე). ცოტაოდენი განსხვავების მიზეზი მდგომარეობს წარმოების ადგილში. ამას დავუმატებ შემდეგს: რადგანაც მკვეთრთათვის (პ, ტ, კ; წ ჭ, ყ) არ ხდება სასუნთქიდან ჰაერის ხარჯვა, ამიტომ მათი წარმოება შესაძლებელია როგორც ჰაერის ამოღების შემდეგ

¹ იხ. ამავე მიმომხილველში: გ. ახვლედიანი, „შენიშვნები ქართულ თანხმოვანთა განდასებისათვის“, გვ. 243.

(იხ. ზემოთ), ისე სასუნთქის ჰაერით გავსების შემდეგაც (ამ უკანასკნელ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მკვეთრთა წარმოებისას ჰაერი არ უნდა ამოლიოდეს, რის შემდეგაც მოთხოვნილება გვაქვს ამოსუნთქვისა); რაც შეეხება თვითეული მკვეთრის წარმოების ხანგრძლივობას პირველ (ჰაერის ამოლევის შემდეგ) და მეორე (სასუნთქის გავსების შემდეგ) შემთხვევაში, ეს ხანგრძლივობა დაახლოებით უდრის საერთოდ ჩაუსუნთქველად (პირგ. შემთხვ.) და ამოსუნთქველად (მეორე შემთხვ.) გამძლეობის ხანგრძლივობას, ე. ი. დაახლოებ. 15 წუთს (პირგ. შემთხვ.) და 55 წუთს (მეორე შემთხვ.).

3. რაც შეეხება ქართულ თანხმოვანთა წარმოთქმის აღწერას, აქაც გვაქვს რამდენიმე შენიშვნა, ზოგიერთი — ჩვენ მიერ ზემოთ ნათქვამთან დაკავშირებით. აკად. ნ. მარო ასწერს ქართ. თანხმოვნებს რუსულისასთან შეპირისპირებით: რუს. „т к“ რომ უფრო ახლოსაა ქართ. „თ, ქ-სთან, ვიდრე „ტ, კ“-სთან (და აგრეთვე, დავუმატებთ ჩვენ, რუს. п ახლოსაა ფ-სთან, ვიდრე პ-სთან), ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ სწორი არ არის, თითქოს „ქართ. ტ, კ (პ)“ განსხვავდებოდეს რუს. „т, к (п)“-საგან მეტის სიყრუვით და მეტის მსკდომობით“: ვერავითარი მეტი ძალით მიბჯენა (больший нажим)“ და ვერავითარი „მეტი ჰაერის მიწოლა (большой напор волны воздуха)“ ვერ გადააქცევს რუს. „т, к (п)“-ს ქართ. „ტ, კ (პ)“-დ; ამისათვის საჭიროა, როგორც ზემოთ ვთქვით, შესუნთქული ჰაერის ნაკადის შეწყვეტა (ან არტიკულობა ჰაერის ამოლევის შემდეგ) მათი წარმოებისას. სწორედ იგივე ითქმის „წ, ჭ“-ს რუს. „ш, ч“-სთან შეპირისპირების შესახებ, სადაც აკად. ნ. მარო იმავე მეტის მიბჯენითა და მიწოლით ცდილობს რუს. „ш, ч“-ს „წ, ჭ“-დ გადააქცევას: აქაც, ჩვენის მეთოდით, საკმარისია ჰაერის ნაკადის შეწყვეტა „ш, ч“-ს წარმოებისას, რათა მივიღოთ „წ, ჭ“.

უკანასკნელი ჩვენი შენიშვნა შეეხება აკად. ნ. მარის შემდეგ თქმას: „მყდერ „ძ, ჯ“-ს რუსულში არა აქვს დაახლოებითი შესატყვისობანიც-კიო“ (გვ. 9). ნამდვილად კი რუსულში რეალურად არსებობს გამყდერებული „ш, ч“, რაც იგივე „ძ, ჯ“ არის, მაგ. отедзболен, доджбольна-ში. ამიტომ, თავისთავად ცხადია, ვერ ჩაითვლება სწორად აკად. ნ. მარის დაკვირვებისაგან მიღებული შთაბეჭდილება, თითქოს რუს. „ш, ч“-სთან ქართ. „წ, ჭ“ უფრო ახლოს იდგეს, ვიდრე „ძ, ჯ“¹.

¹ ვსარგებლობ ამ შემთხვევით და ავსწერ იმ პრაქტიკულ ხერხს, რომლის საშუალებითაც ქართულ ბგერათა გამოთქმის არ მცოდნეს შეუძლია მიაღწიოს „პ, ტ, კ; წ, ჭ“-ს გამოთქმას:

უდავოა, რომ ამ მკვეთრთათვის ჰაერის ამომდინარეობა შეწყვეტილია. ასეთი შეწყვეტა კი შესაძლებელია ორი გზით: ჰაერის ამოლევით (პირგ. შემთხვ.) და ჰაერით სავსე სასუნთქის დახურვით, შეკავებით (მეორე შემთხვ.). პრაქტიკულად ჩვენი მიზნისათვის ვაძვინებთ მეორე შემთხვევას, სახელდობრ: შეისუნთქეთ ჰაერი მძლავრად და შეიკავეთ აბსოლუტურად; ეცადეთ ასეთ მდგომარეობაში ბ-ს ან ფ-ს თქმას — მიიღებთ (ჯერჯერობით დაახლოებით) პ-ს. ხშირი ვარჯიში მოგცემს ნამდვილ პ-ს. თუ იმავე შეკავებულ მდგომარეობაში ეცდებით დ-ს ან თ-ს თქმას, მიიღებთ ტ-ს; გ-ს ან ქ-ს თქმას, მიიღებთ კ-ს; ძ-ს ან ც-ს თქმას, მიიღებთ წ-ს; ჯ-ს ან ჩ-ს თქმას, მიიღებთ ჭ-ს. გ. ა ხ ვ ლ.

სქოლასტიკა და აპრიორიზმი წიგნის ძირითადი უბედურებაა. მეთოდოლოგიური გარკვეულობისა და სიმტკიცის მხრით ბევრი რამაა სასურველი. შესავლის ერთი ადგილი ამბობს: „**წიგნი გამოდის ახლა — სამი-ოთხი წლის შემდეგ მისი იდეური აღნაგობის სიკვდილისა**“¹-ო (გვ. IV, ხაზი ჩვენია — ა. ჩ). ფაქტიურად, ეს პასუხისმგებლობის თავიდან მოხსნას უდრის ავტორის მიერ; იმავე დროს ეს ავტორის აზროვნებას გარკვეულად ახასიათებს: პოზიტიური იდეები შვიდ წელზე მეტს ძლებენ¹; აპრიორიზმი — უფრო ცვალებადია...

დასტუობია წიგნს მისი ბეჭდვის ბედი: მთლიანობა, რომელიც აგრე ახასიათებს იმავე ავტორის „ჭანური ენის გრამატიკას“, არსადა ჩანს; მასალის დალაგებაც, კერძოდ, ზმნები, სასურველი მდგომარეობიდან შორსაა. მეტად არსებითი რამ: 1923 წელს აღმოჩენილი ხანმეტი და ჰემეტი ტექსტების შესახებ შენიშვნაც არსად არის; არც სათანადო მასალაა გათვალისწინებული, მაგალ. ზმნის პრეფიქსების და ზედსართავის შედარებითი ხარისხის წარმოებისას. ამ მხრივ წიგნი უკვე გამოსვლისას იყო დაძველებული.

ენის შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება: მძიმე, ჭეშმარიტად მწიგნობრული (თუმცა ბევრად სჯობნის იმავე ავტორის ბოლოდროინდელი წერილების ენას!).

და მაინც ვიტყვით: ეს პირველი ნაშრომია, რომელშიაც მთლიანად წარმოგვიდგა ძველი ქართულის ენობრივი სახეობა. ამდენად „ძველი-სამწერლობო ენის გრამატიკის“ მოვლენა ისტორიული ფაქტია.

იაფეტიდოლოგიის კოსმიური ჰიპოთეზებისათვის მებრძოლ აკად. ნ. მარს მეცნიერება ათასწილ უფრო მეტს მადლობას უძღვნიდა, პროტოისტორიული ადამიანის დაუდევარ ცნობიერებაში შეუზღუდველი თარემის ნაცვლად ისტორიულ სინამდვილეში არსებული ფაქტების შესახებ — ამ ფაქტებით განსაზღვრული აზრები წარმოედგინა, თუნდაც „ძველი ქართულის გრამატიკის“ მსგავსად.

თქმა არ უნდა, მაშინ ასეთი გრამატიკა, სხვა მეთოდოლოგიურსა და ფაქტიურ საფუძველზე დამყარებული, შეუდარებლად მეტი მეცნიერული ღირებულების მატარებელი იქნებოდა.

¹ წიგნი შვიდი წელი იბეჭდებოდა 1918-1925 წ.

„წარმართ“ სიტყვის ისტორიისათვის¹

ამ სიტყვის ეტიმოლოგია მოცემული აქვს ნ. მარს: იგი სხვა არაფერია თუ არ **ღმერთი**, ფონეტიკურად სახეცვლილი; სვანურში ხმარებული **წარმათ** ამნაირად ესმოდა მას². უკანასკნელ ხანებში კი აკად. ნ. მარმა ახალი ეტიმოლოგია წამოაყენა, რომლის მიხედვით **წარმართი** იგივე „სარმატია“.

პროფ. ივ. ჯავახიშვილი, რამდენადაც ვიცი, თავის ლექციებში ამ სიტყვას ანალიზის დროს ორ ნაწილად ჰყოფდა: **წარ-მართ** და ააზრიანებდა მას „უკუღმართ“-ისათვის დაპირისპირებით. პირველადი შინაარსი ამ სიტყვისა ამით რადიკალურად იცვლებოდა: **წარმართი** კერპთმსახური, ურწმუნო კი არ უნდა ყოფილიყო თავისი მნიშვნელობით, არამედ „მორწმუნე“.

ამ მხრივ საინტერესოა ამ სიტყვის სემასიოლოგიის შემდეგი დამახასიათებელი კონტექსტები:

„...ძელითა დავსაჯეს, მკსნელო, და სიკუდიდ მიგცეს ღმერთი უკუღა-ვი. არამედ აწ აღდეგ, ძლიერო, უძლეველითა მით ძალითა ღმრთეებისათა, დასცენ ურწმუნონი და განაბნიენ მტერნი შენნი და შემკრიბენ წარმართნი მგალობელად შენდა“³.

წარმართი აქ „ურწმუნო“-ს როდი აღნიშნავს, პირიქით — მას უპირისპირდება: მკვდრეთით აღმდგარმა ქრისტემ დასცა ურწმუნონი, განაბნია მტრები, წარმართები კი შეკრიბა „მგალობელად“ თვისდა. შეიძლება და აქ მაინც შეგვეჭვებულიყავით ამ დაპირისპირებაში და ვცდილიყავით ჩვეულებრივი შინაარსი მიგვეცა ამ სიტყვისათვის; ვითომც: ურწმუნოები დასცა, მტრები განაბნია და ვინც წინათ **წარმართი** (ე. ი. ურწმუნო, კერპთმსახური, საერთოდ ჭეშმარიტი ღმერთის უარისმყოფელი, არაქრის-

¹ არნ. ჩიქობავას ეს მცირე გამოკვლევა **წარმართ** სიტყვის შესახებ დაუწერია 1926 წლის 28 მარტს. ეს თარიღი და სიტყვა „წარმართი“ აწერია იმ რვეულის ყდას, რომლის ხუთ გვერდზეც წარმოდგენილია გამოკვლევა. სათანადო კონტექსტების მოხმობით, არნ. ჩიქობავა იმ თვალსაზრისის დამტკიცებას ისახავს მიზნად, რაც ივ. ჯავახიშვილს ლექციებზე გამოუთქვამს.

წერილი გამოსაქვეყნებლად მოამზადა ვ. შენგელიამ.

² Н. Я. Марр, Об источниках деградации народного бога tarm-a в грузинской среде. – ХВ, т. II, вып. III, С.-Пб., 1914, с. 402-404.

³ ქართული სასულიერო პოეზია, წ. I, პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს რედაქციით, ტფილისი, 1913, დასდებულნი წმიდისა აღდგომისანი ქართულნი, გვ. 274.

ტიანი) იყო, ის აქცია თვისდა მაგალობელად.

მაგრამ მეორე კონტექსტი ასეთი განმარტების შესაძლებლობასაც გამოირიცხავს: „თქუმულისა მისებრ პირველ მამათ-მთავრისა დავით მაგალობელისა აღდგა ღმერთი საფლავით. და განიბნინეს მტერი მისნი. და ივლტიან მოძულენი მისნი პირისა მისისაგან. ხოლო **წარმართთა** ერი მიეგებვიან ღმერთსა აღდგომილსა მკუდრეთით“¹.

დროულ თანამიმდევრობაში საქმის გადატანა და ამგვარად სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობის გადაჩენის ცდა აქ უნაყოფოდ ჩაგვივლის: ქრისტეს მტერთა და მოძულეთ აქ „წარმართნი“ უპირდაპირდებიან ისეთი სახით, რომ სრულიად გამოირიცხულია შესაძლებლობა ამ მოძულეთა და მტერთა წიაღში შეიძლებოდეს **წარმართის** მოთავსება.

ასე რომ, შემცდარი არ ვიქნებით, თუ ვიტყვით: ორსავე შემთხვევაში **წარმართი** არ არის „ურწმუნო“, არამედ „მორწმუნე“, ამ შემთხვევაში „ქრისტიანი“².

ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ამ კონტექსტებში დაცულია ნაშთის სახით ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა: **წარ-მართი** აღნიშნავდა (წარმართვა ღვთისადმი) „მართლმორწმუნე“-ს იმისდა მიუხედავად, იყო იგი ცეცხლის კულტის აღმსარებელი, მრავალღმერთიანობის თუ ერთღმერთიანობის მომხრე. გაქრისტიანებამდე ქართველებიც იყვნენ **წარ-მართნი**, ე. ი. მართლმორწმუნე. გაქრისტიანების შემდეგ ისინი აგრეთვე იყვნენ **წარმართნი**, ე. ი. მართლმორწმუნე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თუ წინათ, ვთქვათ ცეცხლის თაყვანისცემა იყო **წარმართობის** საზომი, ახლა ქრისტიანობამ დაიჭირა მისი ადგილი.

ამდენადვე გასაგებია **წარმართი**-ს ხმარება „მართლმორწმუნე“-ს მნიშვნელობით ქრისტიანობის კონტექსტში: სიტყვის პირვანდელი გაგება კიდევ ცოცხლობს ამ სიტყვანხმარებაში.

როგორღა იქცა **წარმართი**—მართლმორწმუნე წარმართად ჩვენი, ახლანდელი გაგებით? სიტყვის მნიშვნელობის დავიწროებით: მართლმორწმუნეობის კონკრეტული სახე ქართველებისათვის გაქრისტიანებამდე, ვთქვათ, ცეცხლთაყვანისცემა იყო — არა ყოველი მართლმორწმუნე, არამედ ცეცხლის კულტის აღმსარებელი მართლმორწმუნე და ეს შინაარსი დაეუფლა სიტყვას; ქრისტიანისათვის წარმართი უკვე ერთღმერთიანობის უარის ყოფის, მრავალღმერთიანობის თუ კერპთა თაყვანისცემის აღმნიშვნელია.

¹ ი ქ ვ ე, დასდებულნი აღდგომისანი, IV, გვ. 290.

² აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვეულებრივი მნიშვნელობითაა ნახმარი „წარმართი“ შემდეგ ადგილას: „თქუნ აწ წარვედით და ნათელ სცემდით სახელითა სამებისათა წ ა რ მ ა რ თ ა ერსა“ (ი ქ ვ ე, დასდებულნი აღდგომისანი, V, გვ. 317).

თანამედროვე შინაარსი ამ სიტყვას ამნაირად უნდა მიეღო¹.

ისიც შეიძლება მოვიხსენიოთ, რომ სვანურ ლექსებში ხმარებული **აწარმათი** კონტექსტის მიხედვით მიმართვის სიტყვა-მსაზღვრელს წარმოადგენს; მაგალითად: აწარმათი თელღრა მიშგუ ნებგაშ თუფიშ ლაგთხმად (ნაგჭურ, სტოიანოვის ჩანაწერით)², ანდა: აწარმათი კუთხვა მიშგუ ლადილ ლაყვრა ნა ლოღგრშედ (ბიმურზოლა)³.

ა თავკიდური, როგორც აკად. ნ. მარი აღნიშნავს, მიმართვაა და სტოიანოვი მთელი სიტყვის შინაარსს ამ მიმართვითი ნაწილაკით საზღვრავს, როცა ამბობს: აზრით НУ-ს უდრისო... ცხადია, თვით **წარმათი** აქ უთარგმნელი რჩება. აკად. ნ. მარის გაგებაც არ გამოდგება: „აწარმათი კუთხვა მიშგუ...“ „თუ ღმერთი გწამს, ჩემო თოფო...“ — მეტად შეუფერებელი იქნებოდა... სამაგიეროდ, თუ ამ სიტყვაში დადებით შინაარსს ჩავდებთ, უფრო მისაღები იქნება: „აბა მარჯვე, წალმართო, კურთხეულო თოფო...“ და სხვა. „მართლმორწმუნის“ შინაარსი სვანურშიც ამ ნასესხებ სიტყვას გაუჭირდებოდა შეენახა, მაგრამ დადებითი ატრიბუტის აღნიშვნა მის პირვანდელ შინაარსს სრულიად არ ეუცხოვებოდა. ამდენადვე: სვანურ ლექსებში ამ სიტყვის ხმარება არ ეწინააღმდეგება ზემომოყვანილ მოსაზრებებს, რომელნიც, როგორც ვფიქრობთ, პროფ. ივ. ჯავახიშვილის შეხედულების სასარგებლოდ ლაპარაკობს.

¹ ნაწილობრივ ანალოგიას წარმოადგენს ამჟამად ერთი სიტყვის ბედი: ეს არის „პარტიული“. პარტიული თავისთავად აღნიშნავს რომელიმე პარტიის წევრს: „პარტიულს“ უპირდაპირდება „უპარტიო“; მაგრამ ამჟამად „პარტიული“ აღნიშნავს მხოლოდ კომპარტიის წევრს: სიტყვა „პარტიული“-ს შინაარსი დავიწროვდა. ასევე შეიძლება დავიწროებულყო „წარმართი“-ს მნიშვნელობა: არა ყოველი მართლმორწმუნე, არამედ გარკვეული სახისა.

² СМОМПК, X, Тифлис, 1890, с. 26.

³ ი ქ ვ ე, გვ. 30.

უღვლილების ერთი თავისებურება ქართულ ზმნაში

(პირის აღნიშვნა)

ზმნა ისეთი სიტყვაა, რომელსაც პირის ფორმა გააჩნია; მაგალ.: ვარ, ხარ, არის; ვდგავარ, სდგახარ, დგას; ვიწვი, იწვი, იწვის... ვჭკლავ, ჭკლავ, ჭკლავს; ვსთხოვ, სთხოვ, სთხოვს. ზმნას სხვა რამეც მოეპოვება:

1. **დრო:** ვსთხოვ; ვსთხოვდი; ვსთხოვე... 2. **კილო:** ვსთხოვ; ვსთხოვდე; ვსთხოვო; სთხოვე... 3. **გვარი:** იგი სთხოვს მას; იგი ეთხოვების მას... 4. **რიცხვი:** იგი სთხოვს — იგინი (ისინი) სთხოვენ... (ზოგიერთ ენაში სქესიც: он просил, она просила, оно просило)... მაგრამ უმთავრესი მაინც არის პირი: ის არის **აუცილებელი და საკმაო ნიშანი** ზმნის ამოსაცნობად, მის გამოსაყოფად მეტყველების სხვა ნაწილებისაგან (სახელისათვის ასეთივე მიუცილებელი და იმავე დროს საკმაო ნიშანი არის **ბრუნება**, ბრუნვის ფორმა: კაც-ი, კაც-მა, კაც-ს, კაც-ის... და წითელ-ი, წითელ-მა, წითელ-ს... და სხვა).

მაშ ასე: თუ სიტყვას პირი მოეპოვება, — ის ზმნაა; რამდენია პირი? — სამი: პირველი, მეორე და მესამე. პირველია: მე, ჩვენ; ის პირი, რომელიც მოლაპარაკედ გვევლინება: მე ვსთხოვ, მე ვარ... მეორე პირია: შენ, თქვენ; ის პირი, რომელსაც მიმართავენ, ელაპარაკებიან: შენ სთხოვ, შენ ხარ... მესამე პირია: ის (იგი), ისინი (იგინი): ის პირი, რომლის შესახებაც ლაპარაკობენ: ის სთხოვს, ის არის...

როგორ იწარმოება ქართულში პირის ფორმები? რა საშუალებით შეგვიძლია შევიტყოთ, რომელი პირისაა ესა თუ ის ფორმა?

ავიღოთ ზმნა: **ვ-არ; ხ-არ; არ-ი-ს**¹, სამსავე შემთხვევაში უცვლელად რჩება **-არ-**: წარმოდგენა „ყოფნის“ უკავშირდება ამ **არ**-ს: იგი არ აგვერევა „თხოვ“, „წერ“, „კითხ“ და სხვა მაგვარებში, რადგანაც ამ უკანასკნელებთან სხვა წარმოდგენებია დაკავშირებული („თხოვნის“, „წერის“, „კითხვის“ წარმოდგენა), ქართულს მეტყველებაში ესენი ცნობიერების სხვა შინაარსის „წარმომადგენლები“ (სიმბოლოები, ნიშნები) არიან. ვუწოდოთ მათ („არ“, „თხოვ“, „წერ“ „კითხ“) ზმნის ნივთიერი ნაწილი.

რომ ავიღოთ ზმნის ეს ნაწილი („არ“, „თხოვ“, „წერ“, „კითხ“) ჩენ ვერ გავარკვევთ, ვინ არის **ის**, რომელიც „არსებობს“, „თხოულობს“, „წე-

¹ კლასიკურ ქართულშია: ა რ - ს; არ-ი-ს მესამე პირია: ხარი, ვარი'საგან.

რას“ თუ „კითხვას“ რომ შესდგომია; არის ეს პირველი პირი (მე), მეორე (შენ) თუ მესამე (იგი, ის): „არ“, „თხოვ“, „წერ“, „კითხ“ ამის საშუალებას არ იძლევა.

მაგრამ საკმარისია ვთქვათ: „ვარ“ და ჩვენთვის ნათელი ხდება, ვის ეხება საქმე: არ შეიძლება ქართულად ითქვას: „ვარ შენ“, „ვარ ის“, არამედ: **ვარ მე**. ასევე: არ შეიძლება, ვთქვათ: ხარ მე, ხარ ის: არამედ **ხარ შენ...** „არის მე“, „არის შენ“, არამედ: **არის იგი**. უფორმო იყო „არ“, მას დაემატა: **ვ, ხ, ს** და გახდა ფორმიანი: მივიღეთ სამი პირის ფორმა: **ვ-არ, ხ-არ, არ-ი-ს**, ამნაირად: **ვ, ხ, ს** ისეთი რამ არის, რითაც უფორმო ნივთიერი ნაწილი ფორმიანი ხდება; მათ ეწოდება ფორმალ ნაწილი, ფორმანტი (= ფორმის მიმცემი). მთელი სიტყვა „ვარ“, „ხარ“, „არის“ იყოფა ნივთიერ ნაწილად და ფორმანტად; პირველს ეწოდება ფუძე, მეორეთ აფიქსები.

ჩვენს ზმნაში შემდეგი აფიქსებია: **ვ, ხ, ს (ვ-არ, ხ-არ, არ-ი-ს)**. ამათგან **ვ** და **ხ** ფუძე თავში (წინ) ემატება, **ს** კი ბოლოში. აფიქსი, რომელიც თავში ემატება (**ვ, ხ**), იწოდება **პრეფიქსად**, აფიქსი, რომელიც ბოლოში ემატება, იწოდება **სუფიქსად**¹.

აქიდან ჩანს, რომ ჩვენს აფიქსებში **ვ** და **ხ** — **პრეფიქსია**, **ს** კი **სუფიქსი**. რაზე მიგვითითებს **ვ** პრეფიქსი? — იმაზე, რომ ზმნა (ვ-არ) პირველ პირის ფორმაა, მოქმედების წყარო არის პირველი პირის ნაცვალსახელი, — **მე**. ვუწოდოთ ამ **მე**ს **პირობითად** ქვემდებარე (ლათინურად: სუბექტი); მაშასადამე: **ვ** პრეფიქსი მიგვითითებს, რომ ქვემდებარედ (სუბექტად) არის პირველი პირი, ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ: **ვ არის პრეფიქსი სუბექტური, პირველ პირის... ხ**—პრეფიქსი (ხ-არში) აღნიშნავს, რომ ამ ზმნის ქვემდებარე (სუბექტი) არის მეორე პირი (შენ), ანუ: **ხ არის პრეფიქსი სუბექტური, მეორე პირისა. ს** სუფიქსი (არ-ი-ს) აღნიშნავს, რომ ამ ზმნის ქვემდებარე (სუბექტი) არის მესამე პირი (ის, იგი), ანუ: **ს არის სუფიქსი სუბექტური, მესამე პირისა**.

მე ვ-არ	ვ = პრეფიქსი სუბექტური 1-ლი პირისა ხ = პრეფიქსი სუბექტური მე-2 პირისა ს = სუფიქსი სუბექტური მე-3 პირისა.
შენ ხ-არ	
ის არ-ი-ს	

¹ შეიძლება აფიქსი შ ი გ ნ ი თ ჩაერთოს (მან დაწერ-ნ-ა იგინი): ასეთ აფიქსს ეწოდება ი ნ ფ ი ქ ს ი.

ავილოთ ეგვე ზმნა მრავლობითს რიცხვში:

ჩვენ **ვ-არ-თ**
 თქვენ **ხ-არ-თ**
 ისინი **არ-ი-ან**

პირველ და მეორე პირის მაჩვენებელი (სუბ-
 ექტური პრეფიქსი) **ვ, ხ** აქაც არის; ოღონდ
 ბოლოში ემატება **თ** სუფიქსი: იგი გვიჩვენებს,
 რომ სუბექტი პირველისა და მეორე პირის
 (მე, შენ) აქ მრავლობითშია დასმული (ჩვენ,
 თქვენ): **თ სუფიქსი სუბექტის მრავლობითო-
 ბას აღნიშნავს (თ- არის სუფიქსი, სუბექტუ-
 რი, მრავლობითისა).**

მესამე პირის სუფიქსია **ან**: იგი აღნიშნავს როგორც იმას, რომ აქ
 სუბექტი მესამე პირია (ის), ისე იმასაც, რომ ეს სუბექტი მრავლობით-
 შია (ისინი).

ავილოთ სხვა ზმნები:

მე **ვ-დგ-ა(ვარ)**¹
 შენ **ხ-დგ-ა(ხარ)**
 ის **დგ-ა-ხ**

მე **ვ-ბრწყინავ**
 შენ **ჰ-ბრწყინავ**
 ის **ბრწყინვ-ს**

მე **ვ-იწვი**
 შენ **იწვი**
 ის **იწვი-ს**

პირველ პირის სუბექტური პრეფიქსი ამ ზმნებშიაც არის **ვ**, მესამე
 პირის სუბექტური სუფიქსი აქაც **ხ** — არის, მაგრამ მეორე პირის მაჩვენ-
 ებლად **ხ** უკვე აღარ არის: ერთს შემთხვევაში **ხ-ა** (ს-დგახარ), მეორეში
 — კი **ჰ** (ჰ-ბრწყინავ), მესამეში — არაფერი (შენ იწვი).

ამნაირად: პირველ პირის სუბექტური პრეფიქსი არის **ვ**, მესამე პი-
 რის სუბექტური სუფიქსი არის **ხ** (ჩვეულებრივად), მეორე პირის სუბექტ-
 ტური პრეფიქსი კი ხან **სულ არ არის**, ხან **ჰ** არის, ხან **ხ** და ზოგჯერ კი
ხ (**ხ-არ**, **მი-ხ-ვალ...**). აღვნიშნოთ ეს მრავალსახიანი პრეფიქსი დროებით X
 (იქსით...).

გავუკეთოთ დასკვნა ზემოთქმულს:

1. ყველა ჩვენ მიერ მოყვანილ ზმნის ფორმაში აღნიშნულია მხო-
 ლოდ **ქვემდებარის** (სუბექტის) პირი: სხვა რისამე წარმომადგენელს
 ზმნაში ვერ ვპოვებთ; ზმნის ასეთი ფორმა იწოდება სუბექტურ ანუ აბსო-

¹ „ვარ“ „ხარ“ წინადა აქ არ იყო (იყო: ვ დ გ ა, ს დ გ ა, დ გ ა ს), ამიტომ მე „ვარ“
 „ხარ“-ს ამჟამად ყურადღებას ნუ მივაქცევთ.

ლუტურ ფორმად (ვარ, ვდგავარ, ვბრწყინავ, ვიწვი)¹.

2. სუბექტურ ანუ აბსოლუტურ ფორმის ზმნაში ქვემდებარის პირის (სუბექტის) აღნიშვნა ხდება როგორც პრეფიქსის, ისე სუფიქსის საშუალებით; ულვლილება (პირის ფორმების წარმოება: **conjugatio, спряжение**) პრეფიქსალ-სუფიქსალია (შდრ. რუსულ და ევროპულ ენების ზმნათა ულვლილებას: იგი მხოლოდ სუფიქსებით სწარმოებს, სუფიქსალია: **иду, идешь, идет...**).

3. უპირატესობა ულვლილების დროს პრეფიქსებით წარმოებას აქვს: ორ პირში პრეფიქსებია მწარმოებელი და ერთში სუფიქსი.

4. სუბექტური **სუფიქსი** მესამე პირისა იცვლება **რიცხვისა** და **დრო-კილოს** მიხედვით: ბრწყინავ-**ხ**: ბრწყინვ-**ენ**... ბრწყინავ-**ხ**... ბრწყინავ-**დ-ა**... ბრწყინავ-**დ-ეს**... სუბექტური **პრეფიქსები რიცხვებისა** და **დრო-კილოების** მიხედვით არ იცვლებიან:

- ვ**-ბრწყინავ; **ვ**ბრწყინავ-თ; **ჰ**-ბრწყინავ; **ჰ**-ბრწყინავ-თ
- ვ**-ბრწყინავ-დ-ი; **ვ**ბრწყინავ-დ-ი-თ; **ჰ**-ბრწყინავ-დ-ი; **ჰ**-ბრწყინავ-დ-ი-თ
- ვ**-ბრწყინავ-დ-ე; **ვ**ბრწყინავ-დ-ე-თ; **ჰ**-ბრწყინავ-დ-ე; **ჰ**-ბრწყინავ-დ-ე-თ

პირველ პირის სუბექტური პრეფიქსი ყველა ზმნებში ერთნაირია: **ვ**-ბრწყინავ, **ვ**-დგავარ, **ვ**-არ, **ვ**-იწვი. ყველგან **ვ**ა; მეორე პირის სუბექტური პრეფიქსი კი ცვალებადია (იმისდა მიხედვით, თუ რა უნდა მოჰყვეს ამ პრეფიქსს): **ხ**, **ჰ**, **ხ**, **ო** (ნული). ამიტომ აღვნიშნავთ მას ჯერჯერობით ერთიანობისთვის იქსით **х**.

5. ვინაიდან ზმნა ეწოდება ისეთ სიტყვას, რომელსაც პირის ფორმები აქვს (თავისთავად ცხადია, აქ უწინარეს ყოვლისა სუბექტის პირი იგულისხმება), ამიტომ ყოველ ზმნაში უსათუოდ უნდა იყოს მოცემული სუბექტის პირის მაჩვენებელი პრეფიქსები და სუფიქსები; ორი შემთხვევა, სადაც ისინი არ მოიპოვებიან, აღნიშნული იქნება ქვემოდ.

6. წინათქმულიდან გამომდინარეობს: თუ ვიცით, რომელი პირია სუბექტად (მე, შენ, ის), შეგვიძლია ვთქვათ, რა პრეფიქსი თუ სუფიქსი გვექნება (ვ; ხ, ჰ, ხ, —; ს...), პირიქით, თუ ზმნის ფორმა მოცემულია, პრეფიქს-სუფიქსის საშუალებით შეგვიძლია გავარკვიოთ, რომელი პირია სუბექტის: თუ არის:

- ვ** პრეფ. — ზმნა პირველ პირისაა
- ხ, ჰ, ხ** პრეფ. — მეორე პირისაა
- ს** სუფიქსი — მესამე პირისაა

¹ რუსულში და სხვა ევროპულ ენებში ყველა ზმნა ასეთია: ზმნაში მხოლოდ ქვემდებარის პირია აღნიშნული.

ქართულ ზმნის თავისებურება (შედარებით ევროპულ ენებთან) **მარტო** იმაში კი არ მდგომარეობს, რომ სუბიექტის პირს ხან პრეფიქსი აღნიშნავს, ხან სუფიქსი, არამედ იმაშიც, რომ სუბიექტის გარდა ობიექტიც (დამატებაც) აღინიშნება: ზმნაში დამატებასაც ჰყავს „წარმომადგენლები“... როგორ სახის არიან ეს წარმომადგენლები? ავიღოთ ზმნა: ჰკლავს; ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: იგი **ჰ-კლავს** მას, იგი **გ-კლავს** შენ; იგი **მ-კლავს** მე... (შენ ჰ-კლავ მას, შენ მ-კლავ მე; მე ვ-ჰ-კლავ მას; მე გ-კლავ შენ...) მეტ სიცხადისათვის დავალაგოთ ეს ფორმები ასე: ავიღოთ სუბიექტი მესამე პირის **იგი** და მას დამატებად დავუსვათ სამივე პირი: იგი, მას; შენ; მე... შემდეგ ავიღოთ ქვემდებარედ მეორე პირი — **შენ**, პირველი პირი, **მე** და დავუსვათ მათ დამატებანი სამივე პირისა... მივიღებთ ასეთ სქემას:

ქვემდებარე	დამატება	
I ჯგ.	იგი { <ul style="list-style-type: none"> ჰ-კლავს — მას გ-კლავს — შენ მ-კლავს — მე 	ჰ =ობიექტ. პრეფ. მესამე პირისა; ს =სუბიექტ. პრეფ. მესამე პირისა გ =ობიექტური პრეფ. მეორე პირისა მ =ობიექტური პრეფ. პირველ პირისა
II ჯგ.		შენ ქვემდებარემ და შენ დამატებამ შეუძლებელია ზმნის ფორმა აწარმოონ; ჰ-მ-კლავ: ჰ —სუბ. პრეფ. 2 პირ., (დაკარგულია) მ ობიექტ. პრეფ. 1 პირისა
შენ		
III ჯგ.	ვ სუბიექტ. პრეფიქსი პირველ პირის; ჰ —ობიექტ. პრეფ. *გ-კლავ: ვ სუბიექტ. პრეფ. პირ. (დაკარგულია) გ —ობიექტ. პრეფ. 2 პირ.	
მე		{ <ul style="list-style-type: none"> ვ-ჰ-კლავ მას გ-კლავ შენ [— მე]

პირველს ჯგუფში **ს** სუფიქსი ჩვენთვის ნაცნობია; იგი მიგვითითებს, რომ ქვემდებარედ **იგი**ა, მესამე პირის ნაცვალსახელი, ე. ი. **ს**—სუბიექტური პრეფიქსია მესამე პირისა.

რაც შეეხება **ჰ, გ, მ** პრეფიქსებს, ისინი არიან **მას, შენ, მე დამატებათა** წარმომადგენლები და, ცხადია, მიგვითითებენ: **ჰ**—რომ **დამატებად** არის მესამე პირი მიცემითს ბრუნვაში (**მას**), **გ**—რომ **დამატებად** არის მეორე პირი (**შენ**) და **მ**—რომ **დამატებად** არის პირველი პირი (**მე**).

მეორე ჯგუფში: **შენ** ქვემდებარის აღმნიშვნელი **ჰ** პრეფიქსი უნდა გვქონოდა, დამატება **მას**-ის აღმნიშვნელიც — „ჰ“: ორი **ჰ**ს ნაცვლად კი მხოლოდ ერთი გვაქვს: ორი ერთგვარი თანხმომავანი ერთად ვერ ძლებს: ასე რომ **ჰ** (შენ ჰკლავ მასში) აღნიშნავს როგორც **შენ** ქვემდებარეს, ისე **მას** დამატებას.

„შენ მ-კლავ მე“-ში **მ** აღნიშნავს **მე** დამატებას; **შენ** ქვემდებარის აღმნიშვნელი **ჰ** კი დაკარგულა: უნდა ყოფილიყო **ჰ-მ-კლავ**; არის: **მ-კლავ**. ეს არის ერთი შემთხვევა, როდესაც ზმნის ფორმაში ქვემდებარის პირი არა ჩანს.

„მე ვ-ჰ-კლავ მას“-ში: **ვ** პრეფიქსი **მე** ქვემდებარის წარმომადგენელია; **ჰ** პრეფიქსი კი **მას** დამატებისა.

„მე გ-კლავ შენ“-ში: **გ**— **შენ** დამატების წარმომადგენელია; **მე** ქვემდებარის მოსალოდნელი აღმნიშვნელი **ვ** კი დაკარგულია; უნდა ყოფილიყო: მე **ვ-გ-კლავ** შენ; არის: მე **გ-კლავ** შენ, — ეს მეორე შემთხვევაა, სადაც ქვემდებარის პირი ზმნის ფორმაში არ ჩანს — როდესაც ერთმანეთს ხვდება **შენ** ქვემდებარის წარმომადგენელი (ჰ, ს, ხ პრეფიქსი) და **მე** დამატების წარმადგენელი **მ** (ჰმ; სმ; ხმ...); ანდა: როდესაც ერთმანეთს ხვდება: **მე** ქვემდებარის წარმომადგენელი (**ვ** პრეფ.) და **შენ** დამატების წარმომადგენელი **გ** (ვგ-), — ორსავე შემთხვევაში ქვემდებარის წარმომადგენელი იკარგება (ჰ, ს, ხ; ვ), რჩება დამატების წარმომადგენელი: **მ; გ**.
ავილოთ სხვა ზმნები

- იგი { ს-თხოვ-ს მას
გ-თხოვ-ს შენ
მ-თხოვ-ს მე
- შენ { ს-თხოვ მას [*ს-ს-თხოვ]
.....
მ-თხოვ მე [* ს-მ-თხოვ]
- მე { ვ-ს-თხოვ მას
გ-თხოვ შენ [* ვ-გ-თხოვ]
[. . . .]
- იგი { უ-ბრძანებ-ს მას[*ჰ-უ-ბრძანებს]
გი-ბრძანებ-ს შენ
მი-ბრძანებ-ს მე
- შენ { უ-ბრძანებ მას [*ჰ-ჰ-უ-ბრძანებ]
.....
მი-ბრძანებ მე [*ჰ-მი-ბრძანებ]
- მე { ვ-უბრძანებ მას[*ვ-ჰ-უბრძანებ]
გი-ბრძანებ შენ[*ვ-გი-ბრძანებ]
[.]

ისევე როგორც ზევით აქაც:
შენ დამატება—აღინიშნება **გ** პრეფიქსით,
მე „ „ „ **მ** პრეფიქსით
მას დამატება კი აღინიშნება არა **ჰ**-თი, არამედ **ს**-თი, ერთ შემთხვევაში (ს-თხოვ-ს; ვ-ს-თხოვ...) და აღუნიშვნელი რჩება მეორე შემთხვევაში (უბრძანებ-ს, ვ-უბრძანებ...)
ასე რომ **მას** დამატება ისევე აღინიშნება **ჰ, ს (ხ)** და ნოლით, როგორც **შენ** ქვემდებარე (ჰ, ს, ხ და ნოლი იხ. ზემ.)
აღვნიშნოთ ესეც აგრეთვე X=(იქსით) და თავი მოვუყაროთ დამატებით პრეფიქსების შესახებ თქმულს

1) „მას“, „შენ“, „მე“ — დამატებანი აღნიშნებიან პრეფიქსებით; **მ** პრეფიქსი აღნიშნავს, რომ **დამატება (ობიექტი)** არის პირველი პირი „მე“, ე. ი. **მ** არის პრეფიქსი, ობიექტური, პირველ პირისა.

გ პრეფიქსი აღნიშნავს, რომ **დამატება (ობიექტი)** არის მეორე პირი „შენ“, ე. ი. **გ** არის პრეფიქსი, ობიექტური, მეორე პირისა.

2) **მ, გ**—პრეფიქსები უჩნდება ზმნას ყოველთვის, როცა დამატებად არის „მე“, „შენ“, მოითხოვს ზმნა დამატებას მიცემითში თუ სახელობითში. მაგ. **მ**-თხოვა მე (ვის?); **გ**-თხოვა შენ (ვის?); ჩა-**მ**-წერა მე (ვინ?); ჩა-**გ**-წერა შენ (ვინ?); — მესამე პირს კი შეუძლია გაიჩინოს წარმომადგენელი პრეფიქსი მხოლოდ მაშინ, როცა დამატება მიცემითშია (**ს**-თხოვა: ვის? მას; **ჰ**-კლავს: ვის? მას); მაგრამ თუ სახელობითშია, დამატების პრეფიქსი ზმნაში არ არის: **ჰ**კლავს მას, მაგრამ **კლა — იგი...**

3) პირველ და მეორე პირის ობიექტურ პრეფიქსებს (**მ, გ**) შეიძლება ზმნის ქცევის მიხედვით ხმოვანიც დაერთოს: მან **მი**-ბრძანა მე, მან **გი**-ბრძანა შენ... მან და-**მა**-წერა მე იგი; მან და-**გა**-წერა შენ იგი... იგი **მი**-ყვარს მე, იგი **გი**-ყვარს შენ; იგი **მა**-ქვს მე, იგი **გა**-ქვს შენ...

4) დამატების აღმნიშვნელი (ობიექტური) პრეფიქსები არ იცვლებიან დრო-კილოთა მიხედვით (ისევე როგორც ქვემდებარის აღმნიშვნელი, სუბიექტური პრეფიქსები).

5) ზმნის ფორმა იწოდება რელატურად, თუ მასში ქვემდებარის პირის გარდა დამატების პირებიც არის წარმოდგენილი.

6) „შენ ქვემდებარე“ და „მას დამატება“ ერთნაირად აღნიშნება ზმნაში: (ე. ი. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური მესამე პირისა ერთ და იმავე ნიშნებით გადმოიცემა); ეს ჩვენ X (იქსით) აღვნიშნეთ; ეს X=(**ხ, ს, ჰ** ანდა ნულს).

ხ=მხოლოდ ზმნებში: ხ-არ; მი-ხ-ვალ (სუბიექტ. პრეფ. 2 პირისა).

ს თუ მას მოსდევს: დ, ტ, თ, ძ, წ, ც; აგრეთვე ჯ, ჰ, ჩ (აქ შეიძლება **შ**-ც იყოს: ს-თხოვს, ს-ძოვს, სცარცვავს... შჰამს, შჯის...).

ჰ: დანარჩენი თანხმონები თუ მოსდევს (ჰ, ყ, ლ, ხ, კ, გ, ქ, შ, ყ, ს, ზ, ნ, რ, ლ, ვ, მ, პ, ბ): ჰკლავს; ჰბაძავს; ჰკარგავს...

ხმოვნების (ა, ე, ი, ო, უ) წინ ეს პრეფიქსი სულ იკარგება: იგი უბრძანებს მას, იგი აკეთებს, იგი აგზავნის...

ამას უნდა დავუმატოთ, რომ **შენ**-ქვემდებარის აღნიშვნა ისევე როგორც **მას**-დამატების ამჟამად სამწერლობო ენაში ძალზე არეულია, რასაც ადგილი არა აქვს ძველს ქართულში¹.

¹ ამ პრეფიქსის ვითარება ძველს ქართულში და ცოცხალ ქართულ კილოებში მრავალ მასალის მიხედვით ამომწურავ სისრულით და დამარწმუნებელ სიცხადით წარმოდგენილია ა. შ ა ნ ი ძ ი ს გამოკვლევაში: „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, ტფილ. 1920 წ.

7) საინტერესოა შემდეგი გარემოება: **გ, მ, ჯ** პრეფიქსები უძველეს დროიდან იმავე დანიშნულებას ასრულებდნ ქართულს ზმნებში, როგორც ახლა: უძველეს დროიდან **გ** აღნიშნავდა **მე** ქვემდებარეს, **მ** აღნიშნავდა — **მე** დამატებას, **ჯ** — კი **შენ** დამატებას...

შენ ქვემდებარისა და **მას** დამატების აღმნიშვნელი კი (ე. ი. სუბიექტ. პრეფ. მეორე პირისა და ობიექტ. პრეფიქსი მესამე პირისა) IX საუკუნიდან ისეთივე რთული სახით იყო წარმოდგენილი, როგორც ზემოდ არის ნაჩვენები: ხან **ჰ**, ხან **ს**, ხან **ხ**-ც კი, ხან არაფერი... არის მათი უწყესოდ ხმარების შემთხვევებიც. შემდეგ თანდათანობით საქმის ვითარება ირევა და XVIII საუკუნიდან **ჰ** და **ს** პრეფიქსების ხმარება სამწერლობო ქართულში ნამდვილ ანარქიას ჰქმნის. ასე გრძელდება დღემდე: ყველა ისე წერს, როგორც მოეპრიანება. გამოსავალი?

მაგრამ ჯერ ვიკითხოთ, როგორი იყო საქმის ვითარება IX საუკუნემდე? რა სახე ჰქონდა მაშინ ამ პრეფიქსს? იყო იგი ასევე ჭრელი თუ უფრო მარტივი სახისა? — ამაზე შემდეგ.

ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი¹

ფერეიდანი — სპარსეთის პროვინციაა, მდებარეობს თეირანიდან სამხრეთ-დასავლეთით; ჰზორავს მას რამოდენიმე ასი ვერსით. იყოფა ფერეიდანი ოთხ ნაპიად (რაიონად). ქართველთა ნაპიაში 14 სოფელია ქართველებით დასახლებული. ლადო აღნიავების ცნობათა მიხედვით ამ სოფლებში 2500 კომლამდე და 15000 სულამდე უნდა ვიგულისხმოთ (იხ. მისი: სპარსეთი და იქაური ქართველობა; ტფილ. 1896, გვ. 192); მართალია, მას აქეთ ოცდაათმა წელმა განვლო, მაგრამ მაინც გაზვიადებულად უნდა იქნეს მიჩნეული 1922 წლის შემოდგომას ზოგს ქართულ გაზეთში მოთავსებული ცნობა, თითქოს ქართველ კომლთა ოდენობა 7-8 ათასს უდრიდეს და მოსახლეობა 30-32 ათასამდე აღწევდეს; ამჟამად შეიძლება ვივარაუდოთ დიდი-დიდი 3 ათას კომლამდე და 20 ათას სულამდე, — რასაკვირველია, თუ ამავე ლ. აღნიავების ცნობებს დავემყარებით.

ისტორიულ ცნობათა მიხედვით ეს ქართველები შაჰ-აბაზის მიერ უნდა იყვნენ გადასახლებული მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოდან, უმთავრესად კახეთიდან და ქიზიყ-საინგილოდან².

წინანდელი სარწმუნოება, ქრისტიანობა, რაიცა გარემო მუსლიმობაში ქართველების გათქვეფას ხელს უშლიდა, ფერეიდანის ქართველებს უკვე აღარ მოეპოვებათ; უნდა ვიფიქროთ, დიდი ხანია მასზე ააღებინეს მათ ხელი.

როგორც ჩანს, ამჟამად იქაურ ქართველებში სამოყვრო ურთიერთობას ადგილი აქვს მეზობელ ტომებთანაც: ზოგიერთ სოფლებში უკვე აძლე-

¹ წაკითხულია მოხსენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომებზე 1926 წ. 23. II და 2. III.

ამ წერილის მოთავსება განზრახული იყო ქართველ მაჰმადიანთა დამხმარე კომიტეტის კრებულში: „ფერეიდანი და ფერეიდნელები“. წერილს უნდა დაჰართოდა ს. იოსელიანი ს თქმით ჩაწერილი ტექსტები, არცთუ მცირე ოდენობისა.

წერილის გადაცემიდან 8 თვის შემდეგ გამოირკვა, რომ კრებულის გამოცემას დაავიანდებოდა გაურკვეველი ხნით... — პოპულარობის ელემენტები წერილში (კერძოდ, ფერეიდნულ ფორმების შედარება თანამედროვე სამწერლობო ქართულისასთან) აიხსნება მისი პირვანდელი დანიშნულებით.

² ქართველების აყრა და სპარსეთს გადასახლება მანამდისაც ხდებოდა და შემდეგაც. ამიტომ ცნობა ფერეიდნელი ქართველების შაჰ-აბაზის მიერ გადასახლების შესახებ შეუძლებელი არაა სადაოდ იქნეს გამოცხადებული.

ვენ ქალებს არაქართველებსაც, მოჰყავსთ ცოლად არაქართველებიც; ამრიგად: ქართველთა ოჯახში ფეხს იკიდებს უცხო ენა; ოჯახი უკვე აღარ არის ენის ბურჯი; უცხო ტომებს შორის მომწყვდეული ქართველობა სთმობს თავის დედაენას; უკვე მოიპოება ისეთი სოფლები (ქვემო-მარტყოფი, შაურდი, ნინოწმინდა, დეესური), სადაც ქურთული და სპარსული ენადაა ხმარებაში; ზოგიერთ სოფლებში იციან ქართულიც, მაგრამ ცუდად. პროცესი საკმაოდ შორს არის წასული; ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სპარსეთის სახელმწიფოებრივი და კულტურული ზეგავლენა ხელს უწყობს და აჩქარებს ამ პროცესს. მაინც სოფლების მთელი რიგი (ზემო-მარტყოფი, სიბაქი და სხვ.) ჯერაც მტკიცედ იცავს ძველ სამშობლოდან მოტანილ მამა-პაპათა ენას; საფიქრებელია, რომ ამჟამად ქართულად ლაპარაკობს მოსახლეობის არა ნაკლებ ორი-მესამედისა. ქართული ენა ერთად-ერთი ძაფია, რომელიც ფერეიდანის ქართველობას აკავშირებს ქართულ სულიერ კულტურასთან; გადაგვარებას ვერ ასცდება იგი, თუ მას არ შეენახა ეს კავშირი; უკვე სამასი წელია, რაც ისტორიული ბედი მას საქართველოსთან აღარ აერთიანებს; ეკონომიური ურთიერთობა მასთან არა აქვს; მოქცეულია უცხო ატმოსფეროში; და მალე დაეკარგება მას შეგნება, რომ ის „გურჯი“ა, როგორც კი გამოესალმება ამ შეგნების ბურჯს, ენას; ვერ უშველის ამ მხრივ ვერც მაღალი ქართული ურემი, ვერც ტიპური ბანიანი სახლი და სხვა ნაშთი ქართველურ კულტურულ სახეობისა, რომელიც მას დღემდე შერჩენია.

როგორია მათი საერთო მდგომარეობა ახლა? თანდართული ტექსტებიდან საკმაოდ ცხადია ეს: მოხელეთა თვითნებობა, მეზობელ ბახტიართა თავდასხმები — ძირითადი უბედურებაა; ერთიცა და მეორეც სპარსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრების თავისებურებით არის განსაზღვრული; მოხელეები თითქმის საშუალო საუკუნის ფეოდალები არიან: ცენტრალი ხელისუფლება უღონოა ბახტიართა თარეში ალაგმოს. და ყოველივე ამას ეწირება ქართველთა კეთილდღეობა.

ფერეიდანის ამ ქართველთა თქმას ვუწოდებთ ჩვენ **ფერეიდნულს**. მის შესახებ ზოგიერთი ცნობები მოეპოვება ლ. ა ღ ნ ი ა შ ვ ი ლ ს. მას შენიშნული აქვს, რომ „ბევრს ხმარობენ ლაპარაკში „ჟე“-სა და ჯ-ს, როგორც ეს დღესაც იციან კახეთში საზოგადოდ და ნამეტნავ ქიზიყში“. (იხ. დასახელ. შრომა, გვ. 210); აგრეთვე, რომ იხმარება ფორმები „მოვიდის, წავიდის“; „ში“-ს მაგიერ „ჩი“: სახლში — სახლჩი; მიუქცევია ყურადღება ზოგიერთ სიტყვათა ხმარებისათვის როგორიცაა „ლამაზი“ (= კარგი), გონჯი (= ცუდი), საბელი და სხვ.

ფერეიდნულის შესახებ ჩვენი მსჯელობა ქვემოთმოყვანილ მასალებს ემყარება; ჩაწერილია ეს მასალები 1922 წლის შემოდგომის მიწურულს სეფდოლ-ხან ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს ა გ ა ნ, რომელიც ჩამოსული იყო ფერეიდ-

ნიდან და საქართველოში დარჩა 1923 წლის ზაფხულამდე. იგი ზემომარტყოფელია; სპარსული განათლება აქვს მიღებული; ფორმებში კარგად ერკვეოდა; ბოლო ხანებში საუბარში დაეტყო აქაურ ქართულის ზეგავლენა, მაგრამ ფერეიდნულ ფორმებს მაინც მკვეთრად არჩევდა და აქაურისაგან ანსხვავებდა.

ერთი პირისაგან შეკრებილ მასალას ენათმეცნიერული თვალსაზრისით თვისი ღირსებაც აქვს და ნაკლიც; ღირსებას მასალის მეტ-ნაკლები ერთგვარობა ქმნის; ნაკლს — ინდივიდუალობა; ამიტომ შეიძლება ბევრი რამ, რაც ფერეიდნის სხვადასხვა ქართულ სოფელთა თქმას ახასიათებს, ჩვენთვის უცნობი დარჩეს, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ ფერეიდნულის ტიპოლოგიურ თავისებურებათა გათვალისწინება ამ მასალის ანალიზითაც შესაძლებელია: ენაში ინდივიდუალური იმავე დროს მეტ-ნაკლებად ტიპოლოგიურიცაა.

ცოცხალ ქართულ კილოთა შორის ფერეიდნულის მდგომარეობა არსებითად განსხვავებულია; ამ განსხვავებულობას სამი მთავარი გარემოება განსაზღვრავს: 1. ფერეიდნის ქართველობას გარშემო აკრავს ისეთი ტომები, რომელთა ენების აღნაგობა ძირიანად განსხვავდება ქართველურ ენათა სტრუქტურისაგან; ფერეიდნულის ისტორიულ ვითარებაში გამვლენელად ეს უცხო ენობრივი ერთეულები გამოდიან; 2. ფერეიდნული სრულებით მოწყვეტილია ქართულ კილოებს და მის ევოლუციაში ამ უკანასკნელთა ზეგავლენა, როგორც ფაქტორი, სრულიად გამორიცხულია; და 3. ფერეიდნული არ განიცდიდა სამწერლობო ქართულის ზეგავლენას (საქართველოში მოიპოვებიან ისეთი კილოები, რომელთაც სამწერლობო ქართულის ზეგავლენა თითქოს ნაკლებ ატყვიან; აი, თუნდაც ხევსურული, მაგრამ, ჯერ ერთი, ჩვენ არ ვიცით, რა გავლენა იქონია ამ კილოს სახეობაზე სამწერლობო ქართულმა **წინად**, ე. ი. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ისტორიულად სამწერლობო ქართულისა და ხევსურულის ურთიერთობა; მეორეცაა, მთებში ჩაკეტილ ხევსურეთს სამწერლობო ენა მაინც ესმოდა ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებებსა და ეკლესიაში; ფერეიდანში არც ერთი იყო და არც მეორე: სახელმწიფო დაწესებულებათა ენა სპარსული იყო, ეკლესიის ნაცვლად მიზგითი არაბულად მეტყველებდა. სამწერლობო ქართულის ზეგავლენას, ამნაირად, ფერეიდნულმა სრულიად დააღწია თავი); ხოლო როგორი უნდა ყოფილიყო ქართულს სინამდვილეში ამ ზეგავლენის შეფარდებითი წონა, ამის გათვალისწინება შემდეგიდან შეიძლება.

აკად. ნ. მარი და პროფ. ივ. ჯავახიშვილი თავის გამოკვლევებში არა ერთხელ აღნიშნავენ, რომ სამწერლობო ქართულმა არა ერთს ცოცხალ კილოს დაუკარგა საკუთარი სახე. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის ამ მხრივ გამოსარკვევი; წამოყენებულ შეხედულებას ესაჭიროება კონკრეტული და უფრო მკაფიოდ ასახვა; მასთან დაკავშირებულ საკი-

თხების რიგს კი გარკვევა; მაგრამ ერთი რამ ამ თავითვე ცხადია: ამ შეხედულებათა დედა-აზრი ისტორიულ სინამდვილის მართებულ გაგებას უნდა წარმოგვიდგენდეს...

ყველა ცოცხალ ქართულ კილო-თქმებში, დაწყებული გურულ-რაჭულ-იმერულით და გათავებული ინგილოური, როგორც ბარში, ისე მთაში, ისევე, როგორც თანამედროვე სამწერლობო ენაში, იხმარება **ხ-არ** (მე ვ-არ, შენ ხ-არ), **ხ-ვალ**, **ხ-ვედ**; (მო-ვვალ, მო-ხვალ, მო-ხვედ)... ამჟამად ეს **ხ** პირის მაჩვენებლად მხოლოდ ამ ზმნებს გააჩნია; უძველეს ქართულ სამწერლობო ენის ძეგლებში (ე. წ. ხანმეტ ძეგლებში) სათანადო შემთხვევაში მხოლოდ ეს **ხ** იყო; თანამედროვე ხარ, ხვალ, ხვედ იმ დროინდელი ნაშთია; **ქართულ კილოებში მათი წარმოშობის წყაროდ სამწერლობო ქართული უნდა მივიჩნიოთ**; სხვა ახსნა ამჟამად არ მოიპოვება. ადვილი წარმოსადგენია, როგორი უნდა ყოფილიყო ამ სამწერლობო ენის გავლენა ცოცხალ მეტყველებაზე, რომ მისთვის **თავისი** ფორმები თავზე მოეხვია.

დღეების სახელები ქართულში „შაბათ“-ის სისტემაზეა აგებული: შაბათი, ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი (პარასკევი და კვირა) სხვა, — ბერძნულ — სინამდვილიდან მიღებული). არც მეგრულში, არც ჭანურსა და არც სვანურში ეს არ არის; მეგრულს და სვანურს მხოლოდ შაბათისთვის აქვს გამოყენებული „შაბათი“, ბერძნულს ფორმაში; ჭანურს ამას გარდა „პარასკევი“-ც. სხვა დღეების სახელები სულ სხვა სისტემისაა; მეგრულსა და სვანურში ყველაზე უკეთ არის იგი შენახული: ჟამხა (კვირა — მზის დღე), თუთამხა (ორშაბათი — მთვარის დღე), თახამხა (სამშაბათი — თახას (!) დღე), ჟუმამხა (ოთხშაბათი — ჟუმას (!) დღე), ცაამხა (ხუთშაბათი — ცის დღე), ობიმხა (პარასკევი — ობის (!) დღე). ასეთივე წარმოებაა ჭანურში. ცხადია, სხვა ქართველურ ტომებსაც ასეთი სისტემა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ იგი განიდევნა ხმარებიდან და მის ადგილას სულ სხვა სისტემა დამკვიდრდა. ამის მიზეზი ისევ სამწერლობო ქართულია. ქართველ ტომთა ფსიქოლოგიაში ეს თვალსაჩინო ცვლილება უცილობლად მის მიერ არის გამოწვეული.

საშვალო გვარის ზმნებში ნამყო სრულის ჯგუფში ქვემდებარედ მოთხრობითის ხმარება („მან მოვიდა, მან დაწვა, მან ადგა“...) სპორადულად თავს იჩენს თითქმის ყველა ქართულ ცოცხალ კილოში¹. მეგრულში კი ამ ჯგუფის დრო-კილოებში ქვემდებარე ყოველთვის მოთხრობითშია: როგორც მოქმედებითში, ისე საშუალო და ვნებითი გვარის ზმნებში. მეგრულთან მოსაზღვრე გურულსა და იმერულში მოთხრობითის ქვემდებარედ ხმარება ასეთ შემთხვევაში გაცილებით უფრო ხშირია, ვინემ რომელსამე აღმოსავ-

¹ ამ მოვლენას გარკვეული ფსიქოლოგიური საფუძველი მოეპოვება; იხ. ვარ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა.: „სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით“; „ჩვენი მეცნიერება“ 1923 წ. №1, გვ. 113-121.

ლურ ქართულს კილოში.

საფიქრებელია: მეგრულში მოთხრობითის ხმარება ასეთი სახის ვერ იქნებოდა, იგი რომ ქართულ სამწერლობო ენით ყოფილიყო შეზღუდული; და პირიქით: ქართულს კილოებში თუ მოთხრობითის ხმარება თავის ისტორიულად განწესებულ ჩარჩოებშია ჩაკეტილი და მხოლოდ სპორადულად ახერხებს მისთვის თავის დაღწევას, ამის მთავარი მიზეზი ისევ და ისევ სამწერლობო ქართული უნდა იყოს...

უცხო ტომთა შორის მომწყვდეული, ქართულ კილოებს მოწყვეტილი და მათთან ურთიერთობას მოკლებული, სამწერლობო ქართულის ზეგავლენისაგან სრულიად განთავისუფლებული ფერეიდნული პრინციპულად უნიკუმს წარმოადგენს ქართულ კილოთა შორის. მისი სახეობა არის შედეგი ცოცხალ თქმაზე მოხდენილის ექსპერიმენტისა. საშუალება გვეძლევა მის მიხედვით გავითვალისწინოთ, რა სახეს მიიღებს ქართული მეტყველება გარკვეულ უცხო ენობრივ წრეში მოქცეული, როგორ გაიშლება მისი იმანენტი ყოფის დამახასიათებელი ტენდენციები და როგორ იმოქმედებს მასზე უცხო ენობრივი გარემო.

A. ბგერითი შედგენილობა¹ და მათი ცვლილებანი.

1. ფერეიდნულს დღემდე შეუნახავს **ჭ**; ბარში, აღმოსავლეთ საქართველოში ის ცოცხალია ქიზიყურსა და ინგილოურში; ქართლსა და კახეთში უკვე აღარ არის; იხმარება ფერეიდნულში გარკვეულ სიტყვებში, ისევე როგორც ძველს ქართულსა და თანამედროვე მთის კილოებში: „წმა, ფეწი, ჯოცვა, ჯორცი, ვაწმარებთ, გადაწდეინება“ და სხვ.

2. **ძ** ბგერა **ჭ**-ს ელფერით გვხვდება პრეფიქსებში; მისი ანალოგიაა ქართლურისა და კახურ-ყიზიყურის სათანადო ბგერა.

წინა ხმოვანთან ერთად მას შეუძლია დიფთონგი აწარმოოს.

3. დიფთონგი უნდა გვქონდეს ისეთ შემთხვევებშიც, როცა მახვილის მატარებელ პრევერბის ხმოვანს **ი** მისდევს: მაგალ. „გაწგებენ, შაწქნების, დაწახით, ამაწტანეს, გაწზიდეთ, მაწგლიჯეთ“... და სხვ.

დიფთონგი უნდა ვივარაუდოთ აგრეთვე ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა: დაწახით (= ჩვენ ვუწახით; **უ** აქ უმარცვლოა, უდრის **გ**-ს: „დავდახით“); გოწხარდაყე (უფრო სწორია, რომ იწერებოდეს: დაწგახით, გოწგხარდაყე)... და სხვ.

¹ ანგარიშში არ მიგვიღია: უმლაუტიანი ხმოვნები (ხანდისხან სპარსულ სახელებში ისმის; იშვიათად „ჩონ, (თ)ქენ“-ში, აგრეთვე **ჭ**, რომელიც მხოლოდ სპარსულს სიტყვებში გვხვდება: არც ერთი და არც მეორე ფერეიდნულისთვის კონსტიტუტიური არ არის.

4. ყხმირად ერთვის თავკიდურ ხმოვანს: ყმათ,.. ყვერე...

5. ყრუ ღ უნდა გვექონდეს სიტყვაში: მადყული-ხანი (საკ. სახ.).

6. გ ჩვეულებრივ წყვილბაგისმიერია; კბილბაგისმიერი გ სულ არ უნდა იყოს; ამ მხრივ ფერეიდნული აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოებს გვერდში უდგას. გ'ს დასახასიათებლად საინტერესოა თვითონ ს. იოსელიანის ნაწერი: გ და უ მას ერთმანეთში ერევა ხშირად; გ'ს ხმარობს იქ, სადაც უ უნდა ეხმარა; ცხადია გ მას ბაგეთმიერად ეჩვენება; ეს კი გ'ს ფონეტიკურ რაობას გარკვეულად ახასიათებს: „მოვპირადმათა; იქავრობა ნახა; იქაც ექავროსავით მამულწყალი ჰქონდაყე; გოგავროდა; მოგ-ჰამიავო; ბარი დოვრჰო მიწაზე (= დაურჰო); გომოგინდა (= გომოუინდა)“ და სხვ. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ასე წერდა ს. იოსელიანი ჩამოსვლიდან კარგა ხნის შემდეგ, როცა სამწერლობო ქართულს სწავლობდა.

მახვილის საკითხი საკმაოდ თავისებურ სახეს იღებს: იგი ისეა შექსოვილი წინადადების ინტონაციასთან, რომ საგანგებო კვლევის გარეშე რისიმე გადაჭრით თქმა ძნელია.

არის შემთხვევები მახვილის ბოლოდან მეორე მარცვალზე დასმისა; მაგალ.: „ქაფანაკები გადვიფარეთ და ბარნები... წავინდეს ყადრიჯანს“... ეს შესაძლებელია ყველაზე დამახასიათებელი იყოს ფერეიდნულისათვის; სწორედ ასეთი ტიპის მახვილი იყო მოსალოდნელი მასში; მთიულურში შემონახული ტონური მახვილი უწინ გაცილებით უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული (კახურში ყოველ შემთხვევაში); ზოგიერთ ქართულ კილოებში შერჩენილი კითხვითი ინტონაცია სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალზე¹ ამ სახის მახვილის ნაშთი უნდა იყოს. არა მარტო გურული, ანდა ქუთათურ ებრაელთა თქმა დახასიათდება ინტენსიურ ტონურ მოდულაციით, არამედ ზემო-იმერულში და ქართლურშიც კი უბრალო დაკვირვება ცხადყოფს სპეციფიკურ ტონურ ელფერს. მახვილის სიმკრთალე ამ კილოებში ჩვენს ყურადღებას ძალაუნებურად ამ ინტონაციისაკენ მიჰმართავს. ამ ინტონაციისა და მახვილს შორის კი, გვგონია, რომ არსებობს ორგანული კავშირი.

ფერეიდნულში უფრო ხშირია მახვილი ბოლო მარცვალზე წინადადების სპეციფიკურ ინტონაციასთან შეზავებული; მაგალ. „თითან ჰყვანდა ჯარი' ცხენოსანი'—ორმოცი... გაიმლებიან საქმეზე კაციდა' დედაკაცი... ითამაშეს ძრიალ... ძრიალ გამიამხანავდეს... გამოგზავნეს' ჩემთან, დამყონაღეს...“

არის მკვეთრი ექსპირატული მახვილიც: „ქამეებს მა'ფლეჯენ... იმან შინ და'ფყობენ ყანის ჳნვას... ნავრუხს და'უძახით...“

¹ მაგალ. ჯავახურში, გომართლში, რაჭულში: უნდა წავინდეს?... და მაგვ.

ბგერით ცვლილებებში უნდა აღინიშნოს მოვლენათა რიგი, რომელიც სხვა ქართულ კილოებთან შედარებით განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენს; ასეთია: ა) ბგერათა შენაცვლება: „რაცღარო და რაცყარო; ყაზალი და ყაზაყი (ღ და ყ); ბაფთა და პაფთა (ბ და პ); მობზერი (← მო-უზერი: ბ უ'ს ნაცვლად); ამტყელებენ (ნაცვლად აბრტყელებენის: მ და ბ); ვ და მ'ს შენაცვლება: მავსომდა (საწერლობო: მავსოვდა); მინ, მინაც, მისცა, არმინ, არმის (= ვინ, ვინაც, ვისაც, არვინ, არვის); ფერეიდნულში ამ შენაცვლების შემდეგ ამ ნაცვალსახელს ისეთივე სახე აქვს, როგორც მეგრულში (მინ...); სხვა ქართულ კილოებში ამ სიტყვაში ჯერ-ჯერობით ვ მკვიდრობს (ვინ...), უნდა ვიფიქროთ სამწერლობო ქართულის შეწევნით; ერთადერთ გამონაკლისს ინგილოური შეადგენს; იქაც არის „მინ“; ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ინგილოური და ფერეიდნული სხვა მოვლენებშიც პარალელიზმს ააშკარავენ (იხ. მოსე ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი: საინგილო, ტვილ. 1913, გვ. 178, აგრეთვე ტექსტები წინა გვერდებზე).

ბ) ბგერათა გადასმას ვხვდებით სიტყვებში: ძრიალ (ძლიერ'-ის მაგივრად; დადასტურებულია მწერლობაში X საუკუნიდან; ჩვეულებრივია აღმოსავლეთ საქართველოს კილოებში); გერენალი (= გენერალი); თერგელაფი (= თელეგრაფი); ათორიალებს (= ათოლიარებს = ათვალიერებს); გა-სხნან, დავისხნათ (← გაჰსნან, დავიჰსნათ; აქ ძირეულია: ჰს, მაგრამ სხ-კომპლექსში უკვე ხანია!) ესეც — ჩვეულებრივია აღმოსავლეთ საქართველოსათვის; ბლენოდა (= ბნელოდა; აღნიშნულია ლ. ა ღ ნ ი ა შ ვ ი ლ ი ს მიერ; იხ. მისი ხსენებ. ნაშრომი, გვ. 211); ასევე ინგილოურშიც (იხ. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი: op. cit. გვ. 183).

გ) საყურადღებოა ელიზიის შემდეგი სახე: თუ წინა სიტყვის თავკიდური ე ან ო'ა, მომდევნო არი სიტყვის თავკიდური ა იკარგება; მაგალ.: „კაცობის დღერი (= დღე არი)... ბოშე ყოფილა, ბოშერი (= ბოშე არი)... ცალ-ცალკერი... იქით ვაკერი... წარერი...“; ანდა: ემეების უფროსი სხორი (= სხო არი)... სახალღორი (= სახალღო არი)... საჭირორი (= საჭირო არი)... ეგ საუზმორი (= საუზმო არი).

დ) მაგრამ განსაკუთრებული ხასიათი აქვს ვ(უ) ბგერასთან დაკავშირებულ ცვლილებებს. ამ ბგერასთან დაკავშირებული თავისებურებანი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ არა ერთ ქართულ კილო-თქმის სახეობაში; ფერეიდნულში ამ ნიადაგზე წარმოშობილი თავისებურებანი პლუს სპეციფიკური ასიმილაცია იმდენად უცვლის სიტყვას სახეს, რომ ხანდისხან მისი გაგებაც კი ძნელდება....

1. უ'ს წინ ვ იკარგება (ე. ი, ვუ→უ): უთხარ (= ვუთხარ), უჩივლე (= ვუჩივლე)... და სხვ.

2. ოვა→უვა→უ; მაგალით.: „მუა (= მოვა); გარდმუელით; წამუელით; გამუართით (= გამოვართვით); ამუავსეთ (= ამოვავსეთ); გამუახამეთყე (= გამოვახამეთყე); მუმბილეთყე (= მოვამბილეთყე); მუავდინე (= მოვავდინე)“... და სხვ. ო'ს უ'დ ქცევას აქ უთუოდ ხელს უწყობს წინა მ: უ უ

და **გ** (= **უგ**) ერთად ვერ ძლებს, იმდენად ახლოს არის მათი წარმოება ერთმანეთთან.

3. **ოვი**→**ოი**; მაგალ.: მოიდა (= მოვიდა); ყათარა შამაიკრეს და მოიდეს... იმაშინ ქურთები გამოიდეს... რო ფქილი ავჰკიდოთ, მოიტანოთ (ჩვენ)... ჩონ მოიყვანეთ მეთოფეები... ამოიღე ერთი ნამაი წინდა, ვაპატივეყე... დეებარაყე ჩონთან: გუნდა გამოიპაროთ და მოიდეთ თქენთანაო... ჩონ მოიცადეთ თა მზემაჟრა... დოგოცალეო და ამელამ ჩონთი მოილაპარაკებთო... წამოიარე და სუყელა ვნახე... მოიწყობთ (ჩვენ) ქორწილებს... მოსულვარ, პატიოსნადა მოიქცე...“

ამათგან პირველი (**გუ**→**უ**) ძველს სამწერლობო ქართულსაც ახასიათებდა; კილოებში იგი ჩვეულებრივია; მეორეც (**ოვა**→**უა**) არა ერთს კილოშია დადასტურებული; რაც შეეხება მესამე (**ოვი**→**ოი**), იგი სრულიად უცხოა დასავლეთის კილოებისათვის, აღმოსავლეთში კი მას ადგილი აქვს: მთიულურში, გარე- და შიგნი-კახურში, ქიზიყურსა და ინგილოურში.

4. თანხმონის შემდეგ **ვა** იძლევა **ო**'ს (: **ვა**→**ო**), მაგალ.:

შეადარ.	ფერეიდნ.	სამწ.ქართულის	ფერეიდნ	სამწ.ქართულის
	ცხორი	— ცხვარი	მოგოწყედეს	— მოგვაწყედენ
	თოლი	— თვალი	გოქ	— გვაქ(ვს)
	სხო	— სხვა	დოგოყარეს	— დავგაყარეს
	სიტყო	— სიტყვა	გოწუნეს	— გვაწუნეს
	ძოლი	— ძვალი	გოძლევედეს	— გვაძლევედენ
	ჯირკოლი	— ჯირკვალი	დოგოჯდა	— დავგაჯდა
	ჭორტლი	— ჭვარტლი	გოპატივე	— გვაპატივე
	მწოვე	— მწვავე	გამოართო	— გამოართვა
	წოდი	— მწვადი	წაართო	— წაართვა
	ზოვი	— ზვავი	წაურთომეყე	— (წაურთვამს)
	მწონე	— მწვანე	თქო, ერქო	— თქვა, ერქვა
	ამწონდების	— ამწვანდება	გამოუშო	— გამოუშვა
	შათოლეს	— „შეთვალეს“	ჩაიცო	— ჩაიცვა
			დაიწო	— დაიწვა
		(= თვალი მოპკრეს)		
	ჩამოვთოლე	— ჩამოვთვალე		
	უყორდა	— უყვარდა		
	ცორცავს	— (← „ცვარცავს“ ← ცარცვავს)		
	მიხოლ	— მიხვალ		

თანხმონის შემდეგ **ვა** უცვლელად არის დარჩენილი ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა: „ჰყვანდა, მოიყვანე; ჰგვანდა; დოგვარდა; წვანან; საწუხვარსაყე; დეედვა; დოუდვა; ცოდვა; ყინვა, ჯოცვა; წუხვა; თიბვა; გალევვა; მორწყვა; გაკითხვა“... და სხვ. ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

5. თანხმობის შემდეგ ვე გვაძლევს ან I. „ე“ს, ან II. ე (უმლაუტიან ე)ს) ან III. ოს.

მაგალითები:		მაგალითები:	
ფერეიდნ.	სამწ.ქართულის	ფერეიდნ	სამწ.ქართულის
I შეეშელნენ	— შეეშველნენ	ლედი	— ლვედი
მამშელელებლი	— „მომშველებელ“	ქეშაგები	— ქვეშაგები
ამოსეს	— ამოსვეს	ქვევრი	— ქვევერი
დაისენა	— დაისვენა	ნაკერცხალი	— ნაკვერცხალი
მაჩენეთ	— მაჩვენეთ	წეტი	— წვეტი
თქეს	— თქვეს	კენა	— კვენა
გაწყვტილიყნეს	— გაწყვეტილიყვნეს	წეთი	— წვეთი
წყეტა	— წყვეტა	წერი	— წვერი
გაკვეთოთ	— გაკვეთოთ	წერთებები	— წვერთებები
წოგორთეს	— წოგვართვეს		(= მოხუცები)
გამართეს	— გამართვეს	ფესები	— ფვესები
იწების	— იწვება	კერცხი	— კვერცხი
დააყედრა	— დააყვედრა	თე	— თვე
უსტენს	— უსტვენს	მტერი	— მტვერი
დაარკვევენ	— დაარკვევენ		
მოგეციოთ	— მოგვეციოთ	გერდი	— გვერდი
მაწელეხს	— მახველეხს	II. ჩონ (უმლაუტიანი ო)	— ჩვენ
მოხედით	— მოხვედით	თქენ („ „)	— თქვენ
მოვხეტო	— მოვხვეტო	გეზიდნა („ „)	— გვეზიდნა
შენიარი	— მშვენიერი	ასეთი რეფლექსები იშვიათია.	
სუყელა	— სუყველა		

მაგალითები:	
ფერეიდნ.	სამწერლობო ქართულის
III გობარა	— გვებარა
გოსმისო	— გვესმისო
გოხეწა	— გვეხეწა
მეხეზვის	— მეხეხევა
დაჩოულია	— დაჩვეულია
გორგების	— გვერგება
გოდოგოკიდნეს	— გადაგვეკიდნენ
დოგოჭირა	— დავვეჭირა
მოგოყვანა	— მოგვეყვანა
გოგოქცნესო	— გავვექცენო
მოგოხუვენს	— მოგვეხვივნენ
შოგოკრა	— შეგვეკრა

სიტყვებში: ი შ ვ ე ლ ი, ტ ი ტ ვ ე ლ ი და აგრეთვე სიტყვებში, როგორცაა: „ყველი, ფრინველი, საკირველი, დაშორება, დაუკრვენ, დაკოლვენ, დანიშნვენ, წამოყვეს“... ვე უხცლელად არის წარმოდგენილი. „დაჩოულია“, „მეხეზვა“ და მსგავსი ფორმები (ო←ვე) იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ქართულ კილოებში, ძველი-ქართულის „შობს“ ამგვარადვე უნდა იყოს მიღებული:

შ ე ვ - ე ბ ს → შ ვ ე ბ ს → შ ო ბ ს.

ბ. თანხმონის შედმევ ვი გვაძლევს ან I. ი'ს, ან II. უ'ს:

მაგალითები:

	ფერეიდნ.	სამწ.ქართ.	ფერეიდნ	სამწ.ქართ.
I	კირისთავი	— კვირისთავი		
	კიცი	— კვიცი კიცივი	წიმა	— წვიმა
	ძარღი	— ძარღვი	შიდი	— შვიდი
	ცერცი	— ცერცივი	წისქილი	— წისქვილი
	ჩილი	— ჩვილი	ფქილი	— ფქვილი
	ლელი	— ლელივი	სტირი	— სტირივი
	წიწინი	— ხვიწინი	კირია	— კვირია
	ჭიხინი	— ჭიხინი	ყმაწილი	— ყმაწვილი
	იხი	— იხვი	პირიტყვი	— პირუტყვი
	პეში	— პეშვი	ჭკიანი	— ჭკვიანი
	წინტილი	— წვინტილი	საკირველი	— საკვირველი
	ყირვა(← ყვირვა)	— (ყვირილი)	ძირი	— ძვირი
	ყითელი	— ყვითელი	ძირფასი	— ძვირფასი
	ლიძლი	— ლვიძლი	ცხირი	— ცხვირი
	ნესი	— ნესვი	ფირტი	— ფილტივი
	ნერწყვი	— ნერწყვი	ნაძი	— ნაძვი
	კირტი	— კვირტი	ქიშა	— ქვიშა
	თავი	— თავვი	ფეტი	— ფეტივი
	ვიტყვი	— ვიტყვი	ფესი	— ფესვი
	იტყვიან	— იტყვიან	ტინი	— ტვინი
	გამართი	— გამართვი	გოუშითყე	— გაუშით(ყე)
	წავართით	— წავართვით	გამიშისყე	— გამიშვის(ყე)
	გაკირდა	— გაკვირდა	გამააღიდა	— გამოაღვიდა
	გაკირებული	— გაკვირებული	ქითინებს	— ქვითინებს
	შახიდიყე	— შეხვიდი(ყე)	გამაარკივა	— გამოარკვი(ვა)
	ჩაცივდებიან	— ჩავივდებიან	ფშინავს	— ფშინავს
	დავცივდით	— დავცივდით	ყირის	— კვირის
	ჭქიან	— ჭქვიან	უსტინა	— უსტინა
	ვთქით	— ვთქვიით	გიან	— კვიან
	თქიანყე	— თქვიან(ყე)	თითან	— თვითან
	მოვსწყითოთ	— მოვსწყვიტოთ	თის, თი	— თვის
II	ღუგუკლდა	— „დაგვიკლდა“ (=დაგვიკლდა)	მოგუგონა	— მოგვიგონა
	ღუგუწყოფ	— „დაგვიწყოფ“ (=დაგვიწყვიდა)	ღუგუჭიროს	— დაგვიჭიროს
	წუგუყვანა	— წავიყვანა	გუგუშით	— გავიშით
	გუთხრეს	— გვითხრეს	გუღა	— გვიღა
	გუნდოდაო	— გვიდოდაო	მუგუტანეს	— მოგვიტანეს
	მოგუვიდა	— მოგვივიდა	ღუგუგდეს	— დაგვიგდეს
	გუღებდეს	— გვიღებდენ	მუგუშელიავოთ	— (მოგვიშველიავოთ)
	გუგუღეს	— გავვიღეს	მუგუვა	— მოგვივა
	მუგუცია	— მოგვიცია	გუგუგია	— გავვიგია

მოგუგზავნეს	— მოგვიგზავნეს	დუგუკარგავს	— დავკარგავს
მუგუკლეს	— მოგვიკლეს	წუგუტომ	— („წავგირთვამს“)
გუგუხარდა	— გავვიხარდა	მოგოხუენეს	— მოგვეხვიენეს
გუნახავო	— გვინახავ(ს)ო	ქუსლი	— ქვისლი

თანხმოვნის შემდეგ **ვი** უცვლელად არის შენახული მაგალითებში, როგორცაა: ი ყ ვ ი ს ყ ე, ჩ ო უ წ ვ ი ნ ო, შ ვ ი ლ ი, უ შ ვ ი ლ ო, ა წ ვ ი - ე ს, მ ა ლ ვ ი თ, ფ ა რ ვ ი თ...

7. თანხმოვანთა შორის **ვ** იკარგება¹; მაგალითად:

ფერეიდნ.	შეად. სამწ.ქართ.	ფერეიდნ	შეად. სამწ.ქართ.
გყვანდა	— გვყვანდა	მოცეცემო	— მოცეცემო
ექსი, თექსმეტი	— ექსი, თექსმეტი	მოგვლომია	— მოგვლომია
თრამეტი	— თვრამეტი	გაშიშლდა	— გაშიშვლდა
მოგწყურდა	— მოგვწყურდა	გატიტლდა	— გატიტვლდა
მოგვთხოვა	— მოგვთხოვა	იყენეს	— ივყენეს
მოკდა	— მოკვდა	გამაიცლის	— გამაიცვლის
მოგცა	— მოგვცა	სლა, მისლა	— სვლა, მისვლა
ღრიან	— ღვრიან	დოგჯერდეს	— დოგვჯერდენ
ვსაზღრეთ	— ვსავზღრეთ	შოგჭიდეთ	— „შავგჭიდეთ“
დავხრეთ	— დავხვრეთ	დოგვდება	— დავგვდება
მისწდა	— მისვწდა	შოგპირდა	— „შავგპირდა“.
მინღრად	— მინვღრად		

უკანასკნელ ოთხს მაგალითში **ვ**ს დაკარგვის ანაზღაურებას უნდა წარმოადგენდეს პრევერბის ხმოვნის გაბაგისმიერება: დავჯერდეს → დავჯერდეს → დოგჯერდეს... შავგჭიდეთ → შავჭიდეთ → შოგჭიდეთ... შავგპირდა → შავპირდა → შოგპირდა.

ჩვენ ვნახეთ, რომ როგორც **ვა**სა, ისე **ვე**სა და **ვი**ს კანონზომიერი რეფლექსებთან „გამონაკლისებიც“ მოეპოებათ; ეს ის შემთხვევებია, როცა ისინი უცვლელად გვხვდება. რით აიხსნება ეს? საგულისხმო ფაქტია, რომ ყველა ის შემთხვევა, სადაც კანონზომიერი რეფლექსებია, ძველს ქართულში უმარცვლო **უ**თ იწერება: „თუალი, სხუა, თქუა... დაისუენა, მაჩუენეთ, შუენიერი... შუიდი, კიცუი, იტყუის“... ხოლო **ვ**ს ვპოულობთ იქ, სადაც ფერეიდნულშიც იგი დაცულია: „ჰყვანდა, წვანან, თიბვა, პარვა... ფრინველი, საკუირველი... შვილი, მალვით“... ძველ-ქართულში **ვ** სასტიკად გარკვეულ შემთხვევებში იხმარება, ისევე როგორც უმარცვლო **უ**; ვერ ვიფიქრებთ, რომ ყველა კომპლექსებში **ვ**ს ერთი და იგივე ფონეტიკური ღირებულება ჰქონოდა (მაგალითად, ხმოვნებს შორის, ან ხმოვანსა და

¹ ასევე ხდება გურულში: კდება, იცლება (= კვდება, იცვლება) და სხვა.

თანხმოვანს შორის, ან პირიქით...), ამიტომ უნდა დავუშვათ, რომ უმარცვლო **უ**'სა და **ვ**'ს გარჩევა ნაწილობრივ ხელოვნურად ხდებოდა, ნაწილობრივ კი იგი ამ ორ ბგერათა შორის არსებულ ბუნებრივ (ფონეტიკურ) განსხვავებას ემყარებოდა. ზემომოყვანილიდან ჩანს, რომ ფერეიდნულიც ცდილობს გაარჩიოს ეს ორი ბგერა: უფრო კბილბაგეობითი **ვ** და უფრო წყვილბაგეობითი უმარცვლო **უ**: კანონზომიერი რეფლექსები და მისი „გამონაკლისები“ გვაფიქრებინებენ ამას. მაგრამ ეს განსხვავება დიდი არ უნდა იყოს: ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ს. ი. ო. ს. ე. ლ. ი. ა. ნ. ი. ურევდა წერის დროს **ვ**'სა და **უ**'ს. ეს ორი ბგერა ერთმანეთისაგან რომ მკვეთრად განსხვავებული ყოფილიყო, ეს შეუძლებელი იქნებოდა. ამის გარდა: **ვ** თანხმოვანთა შორის ისეთსავე რეფლექსს იძლევა, როგორც უმარცვლო **უ**; ძველს ქართულშიც არის აქა-იქ ამის მაგალითები: „მე ვიყავ—იგინი იყუნეს; მე ვალ—თქუნენ **ხუ**ალთ; იყუნეს, **ხუ**ალთ — იქ საკმაოდ ხშირია. ფერეიდნულში კი ეს ჩვეულებრივია: თანხმოვნებს შორის მოყოლილი (უფრო კბილბაგეობითი) **ვ** სავსებით ადგება წყვილბაგეობითობის ორიენტაციას; მისი ბედიც აქ ისეთივეა, როგორც უმარცვლო **უ**'სი.

ფერეიდნულშივე ვხვდებით ერთ მოვლენას, რომელიც **ვ**'ს ფონეტიკურ რაობისათვის მეტად დამახასიათებელია: არის შემთხვევა „აიყვანა, სხუები“ სიტყვების ხმარებისა, ისე რომ მახვილის მატარებლად **ვ** გამოდის: „აიყუანა, სხუებიც“: **ვ**-ზეა მახვილი. აგრეთვე სიტყვაში **რუა** და **ქუა**: ჩონ ვიყნევით რუანი... მიველით ქუა-ყრილჩი“. პირველი სიტყვა მეტწილ შემთხვევაში ძველს ქართულში **ვ**'თი იწერება, უკანასკნელი ორი ყოველთვის **ვ**'თი. აქ კი **ვ** მახვილის მატარებლად მოგვევლინა. რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ **ეს ბგერა ხმოვნის ჩანასახს მუდამ ატარებს, რომ ის სავსებით თანხმოვანი** (კბილბაგის მიერი **ვ** ბგერა) **არ არის**.

ვა კომპლექსის **ო**'დ ქცევა მეტ-ნაკლებად აქაურ ქართულ (აღმოსავლურ) კილოებშიაც გვხვდება, მაგრამ არა ასეთ სისტემატურობით; **ვე** და **ვი**'ს რეაფლექსები კი მხოლოდ ინგილოურშია ტიპოლოგიურად ასეთივე სახით წარმოდგენილი; ინგილოური „თათრული“ მეტყველების წიაღშია მოქცეული; ამ მხრივ ფერეიდნულის მდგომარეობაც ანალოგიურია. როგორც სტუდ. გრ. ხ მ ა ლ ა ძ ე მ გადმომცა, ახალციხის — „გათათრების“ გზაზე დამდგარი, — მოსახლეობა (ყოველ შემთხვევაში ოსმალურად მოუბარი) ქართულ **ჩვენ**, **თქვენ**'ს ყოველთვის გამოსთქვამს: **ჩონ**, **თქენ**'ად (ხანდისხან **ო**, **ე** ხმოვნების დარბილებით). ამიტომ ბუნებრივი იქნებოდა ფერეიდნულის ხსენებულ თავისებურების ახსნა ამ მიმართულებით გვეძია: ფერეიდნის სულ სხვაგვარი მეტყველება აკრავს გარშემო, იქაურმა ქართველებმა სპარსული ყველამ იცის, და ეს კი ნიშნავს: ან საარტიკულაციო ბაზაში ხდება არსებითი ცვლილება უცხო მეტყველების შეთვისებასთან და-

კავშირებით ანდა ამ უცხო მეტყველებისთვის დამახასიათებელი განწყობილება ბგერით ცვალებადობისა გადადის ქართულზედაც.

იმერხეულიც ახალციხის მოსახლეობის პირობებში იმყოფება: ოსმალური იქაც ქართულზე უკეთ იციან, როგორც ჩანს, მაგრამ იქაურ ქართველთა მეტყველებაში ფერეიდნულის და ინგილოურისებური მოვლენები არა ჩანს. ეს კი წამოყენებულ დაშვებას ეწინააღმდეგება: ოსმალური მეტყველება ცვალებადობის ფაქტორად არც ახალციხურში გამოდგებაო, შეგვეძლო გვეთქვა; მაგრამ რაკი სამ შემთხვევაში (საინგილო, ფერეიდანი, ახალციხე) ამ ორ მოვლენის „თანაყოფასთან“ გვაქვს საქმე, მარტო იმერხეული ვერ მოხსნის იმ შესაძლებლობას, პირიქით, გვავალებს გამოვარკვით ის პირობები, რომელთა წყალობით იმერხეულში **არა აქვს** ადგილი ჩვენთვის საინტერესო მოვლენას; იმერხეული თვით საჭიროებს ახსნას და სხვის საწინააღმდეგო არგუმენტად ვერ გამოდგება¹.

ასიმილაციის საინტერესო ნიმუშებს იძლევა პრევერბები; აქვს პრევერბებს „ჩვეულებრივი“ სახე ე. ი. ისეთი, როგორიცაა სამწერლობო ქართულში: ა, გა, და, წა, ჩა, შე, მი, მო; მაგალითად: ა-ილო; ა-ვიდეს; ა-ვიყვანეთ; ა-თავდების... გა-ვიდა; გა-და-ველით; გა-ვისინჯე; გა-მო-გვიყაყე... და-ვიჭირეთ; და-ვირივენითყე; და-ვლივეთ; და-ვაწყვით; და-ვდეგით... წა-მამყეო; წა-ველით; წა-ვიყვანეყე;

წა-მოხტეს... ჩა-ვიდეს... შე-ველ; შე-მოუდექით; შე-ეშინდა... მი-ველით... მო-გკალით; მო-გეწვიეთ; მო-გკიდებთ; მო-ვნახოთ...

არის ქართლ-კახურისებური სახეც: **მო**'ს ნაცვლად **მა-**; **შე**'ს ნაცვლად **შა-** (სხვა პრევერბები ქართლურს და კახურშიც ისეთნივე არიან, როგორც სამწერლობო ქართულში); მაგალითად:

მო-||მა-: მა-იყვაყე; მა-ითხოვეს; მა-იგონა; გა-მა-ერთმისყე; წა-მა-მყეო...

შე-||შა-: შა-მოდი; შა-ვინახე; შა-ვაყენეთ; შა-ვეკრეთ; შა-ქუჩებული; შა-გსხედით; შა-იქნა; შა-ინახეს; შა-ირთო; შა-მო-ვყარეთ.

თუ პრევერბის **ა**'ს შემდეგ აღმოჩნდა **ე** ან **უ**, ჩვეულებრივად **ა** დაემსგავსება მომდევნო ხმოვანს ან სრულიად ან ნაწილობრივ: იქცევა ან **ე**'დ ან **ო**'დ; მაგალითად:

და-: „დე-ეზაყე; დე-ენახვაყე; დე-ეცხელაყე; დე-ეკრაყე; დე-ეჭირა; დე-ეწერაყე; დე-ეწოს; დე-ედების; დე-ედვაყე; დე-ერქმის... დო-უდეგით; დო-უბარებიყე; დო-უკივლეთყე; დო-ურთიგე; დო-უწერა; დო-უთანალებიაყე; დო-უწერენ; დო-უფაყირებია“...

¹ ვინთან დაკავშირებული თავისებურებანი ფერეიდნულისა უფრო დაწვრილებით განხილულია წერილში: „ვინის რეფლექსები ფერეიდნულში“, ჩვენი მეცნიერება, 1923 წ. №2-3, გვ. 69-87; სამწუხაროდ, დაბეჭდილია აუარებელი შეცთომებით.

გა-: „გე-ეშვაცე; გე-ეშელნესე; გე-ეარნა; გე-ეძოვაცე; გე-ეგზავნაცე... გო-უხარდაცე; გო-უგზავნაცე; გო-უსწორაცე; გო-უშით; გო-უვლია“...

წა-: „წე-ელოცე; წე-ეყვანაცე... წო-ურომცე; წო-უყვანე; წო-უღებენ“...

შე-||შა- (გვულისხმობთ, რომ **შე**'ს ნაცვლად **შა**- უნდა ყოფილიყო და მისი **ა** განიცდის ასიმილაციას მომდევნო **ე**'სა და **უ**'სთან): „შე-ეჭამაცე; შე-ეკმაზა; შე-ეხეწების; შე-ეკრაცე... შო-უტივეო; შო-უტყვევით; შო-უენახე“...

მო-||მა- (აქაც **მო**-ს ნაცვლად **მა**- არის გამოსავლად მიჩნეული)¹: „მე-ერევის; მე-ეზილაცე; მე-ეტანაცე; მე-ეცა; მე-ედევანა; მე-ესწორაცე; მე-ეკლაცე; მე-ეტანა; მე-ესწრების; მე-ეხოვის... მუ-უწეროთყე“...

ა-: „ე-ენტოცე; ე-ელო; ე-ეკიდაცე; ე-ეპარებიან; ე-ედულაცე... ო-უცივ-დესე; ო-უჩიქარაცე; ო-უჭირე“...

ჩა-: „ჩო-უყარონ“.

ყველა ამ შემთხვევაში ასიმილაციას ახდენს უმეშვეო მეზობელი **ე** და **უ**; მაგრამ არის შემთხვევები, სადაც **ე** გავლენას ახდენს ისეთ ხმოვანზე, რომელიც მისგან თანხმონით არის დაშორებული; მაგალითად:

და-: „დე-ვეცემითყე; დე-მეუბნაცე“...

გა-: „გე-გეპარნეთყე; გე-მეერთოცე; გე-დეეკიდნეთ; გე-მეეცვალაცე; გე-მეგეშელბით; გე-მეგზავნაცე; გე-მეგდო; გე-მეეჭადაცე“...

წა-: „წე-მეესხაცე; წე-მეეწივნეს; წე-მეეყვანაცე; წე-მეერეკა; წე-მე-შულლეთყე“...

შე-||შა-: „შე-ვეყარნით; შე-მეეყარნეთ; შე-მევერტყით“...

მო-||მა-: „მე-გეწივით; მე-ვეწივითყე; მე-ვესწრაფითყე; მე-მებარა; მე-ვედევნეთ; მე-ველოდებით; მე-გეშელბით“...

ა-: „ე-მეელოცე“...

ამნაირად: ზედმიკრული **ე** თუ **უ**, აგრეთვე თანხმონით დაცილებული **ე** ხშირად დაიმსგავსებს პრევერბის ხმოვანს; ამის შედეგად პრევერბები ისეთ სახეს იღებენ, რომელიც ქართულ კილოებში, აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოში, ჩვეულებრივ გვხვდება.

მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით ასიმილაციის სხვა შემთხვევების შესახებ. **მო**- პრევერბი **მა**- და **მე**-ს სახით უკვე შეგვხვდა; მაგრამ იგივე პრევერბი შეიძლება **მუ**'დ იქცეს, მაგალითად: მუ-გუკლეს; იყო: მო-გვიკლეს; **გვი**- იქცა **გუ**'დ როგორც ეს არის გათვალისწინებული **გ**'ს ცვალებადობათა მიმოხილვაში: მო-გვიკლეს → მო-გუკლეს; **უ**'სთან ასიმილაციამ **მო-მუ**'დ აქცია; მივიღეთ: მუ-გუკლეს... ასე რომ, პროცესი შემდეგი სახისაა:

მუ-გუ-კლეს (მო-გვი-კლეს → მო-გუ-კლეს → მუ-გუ-კლეს); ასევე:

¹ რასაკვირველია, შეუძლებელი არაა აქ ასიმილაციამდი **მო**- ყოფილიყო, ხოლო მეორე შემთხვევაში **შე**- და არა **შა**-; მაშინ, რასაკვირველია, შე-ეჭამაცე, შე-ეკმაზა, შე-ეხეწების... ასიმილაცია ქმნილი ფორმები კი არა იქნება, არამედ პირველადი შე- პრევერბით.

მუ-გუ-თხოვა (მო-გვი-თხოვა → მო-გუ-თხოვა → მუ-გუ-თხოვა);

მუ-გუ-ცია (მო-გვი-ცია → მო-გუ-ცია → მუ-გუ-ცია)

მუ-გუ-ვა (მო-გვი-ვა → მო-გუ-ვა → მუ-გუ-ვა)

მუ-გუ-შელიავო (მო-გვი-შველიავო → მო-გუ-შელიავო → მუ-გუ-შელიავო)

მუ-გუ-ტანეს (მო-გვი-ტანეს → მო-გუ-ტანეს → მუ-გუ-ტანეს)

გუ-მუ-გუ-რთო (გა-მო-გვი-რთვა → გა-მო-გვი-რთო → გა-მუ-გუ-რთო → გუ-მუ-გუ-რთო)

გუ-მუ-გუ-ვიდა (გა-მო-გვი-ვიდა → გა-მო-გუ-ვიდა → გა-მუ-გუ-ვიდა → გუ-მუ-გუ-ვიდა)

გუ-მუ-გუ-გზავნა (გა-მო-გვი-გზავნა → გა-მო-გუ-გზავნა → გა-მუ-გუ-გზავნა → გუ-მუ-გუ-გზავნა).

შე-(შა-) პრევერბიც გაასიმილირებულია ისეთ მაგალითებში, როგორიცაა:

შო-გო-კრა (შა-გუე-კრა → შა-გო-კრა → შო-გო-კრა)

შო-გო-ბრალა (შა-გვე-ბრალა → შა-გო-ბრალა → შო-გო-ბრალა)

შო-მო-გო-რტყმინ (შა-მა-გვე-რტყმინ → შა-მა-გო-რტყმინ → შო-მო-გო-რტყმინ → შო-მო-გო-რტყმინ)

შო-მო-უწყერით (შა-მო-უწყერით → შო-მო-უწყერით).

ასეთივე შემთხვევებია **წა-** პრევერბთან:

წო-მო-გყვეს (წა-მო-გყვეს → წა-მო-გყვეს → წო-მო-გყვეს)

წო-გო-რთო (წა-გვა-რთვა → წა-გო-რთო → წო-გო-რთო)

წუ-გუ-ყვანა (წა-გვი-ყვანა → წა-გუ-ყვანა → წუ-გუ-ყვანა).

გა- პრევერბი:

გო-გო-ზიდნა (გა-გვე-ზიდნა → გა-გო-ზიდნა → გო-გო-ზიდნა)

გო-გო-თავებინეთ (გა-გვა-თავებინეთ → გა-გო-თავებინეთ → გო-გო-თავებინეთ)

გო-გო-ქცნესო (გა-გვე-ქცნესო → გა-გო-ქცნესო → გო-გო-ქცნესო)

გო-დო-გო-ჯღევინა (გა-და-გვა-ჯღევინა → გა-და-გო-ჯღევინა → გო-დო-გო-ჯღევინა → გო-დო-გო-ჯღევინა)

გუ-გუ-ღეს (გა-გვი-ღეს → გა-გუ-ღეს → გუ-გუ-ღეს)

გუ-გუ-გია (გა-გვი-გია → გა-გუ-გია → გუ-გუ-გია)

გუ-გუ-შით (გა-გვი-შით → გა-გუ-შით → გუ-გუ-შით)

გუ-გუ-ხარდა (გა-გვი-ხარდა → გა-გუ-ხარდა → გუ-გუ-ხარდა)

გუ-გუ-შერიქა (გა-გვი-შერიქა → გა-გუ-შერიქა → გუ-გუ-შერიქა)

გუ-მუ-გუ-რთო („გა-მო-გვი-რთვა“ → გა-მო-გუ-რთო → გა-მუ-გუ-რთო → გუ-მუ-გუ-რთო)

გუ-მუ-გუ-ვიდა (გა-მო-გვი-ვიდა → გა-მო-გუ-ვიდა → გა-მუ-გუ-ვიდა → გუ-მუ-გუ-ვიდა)

გუ-მუ-გუ-გზავნა (გა-მო-გვი-გზავნა → გა-მო-გუ-გზავნა → გა-მუ-გუ-გზავნა → გუ-მუ-გუ-გზავნა).

და- პრევერბი:

დო-გო-ჭირა (და-გვე-ჭირა → და-გო-ჭირა → დო-გო-ჭირა)

დო-გო-ცა (და-გვე-ცა → და-გო-ცა → დო-გო-ცა)

დო-გო-ჭდა (და-გვა-ჭდა → და-გო-ჭდა → დო-გო-ჭდა)

დო-გო-ცალეო (და-გვა-ცალეო → და-გო-ცალეო → დო-გო-ცალეო)

დუ-გუ-ჭირა (და-გვი-ჭირა → და-გუ-ჭირა → დუ-გუ-ჭირა)

დუ-გუ-გდეს (და-გვი-გდეს → და-გუ-გდეს → დუ-გუ-გდეს)

დუ-გუ-კლდა („და-გვი-კლდა“ → და-გუ-კლდა → დუ-გუ-კლდა) (= დაგვაკლდა“)

დუ-გუ-წყოფ („და-გვი-წყოფ“ → და-გუ-წყოფ → დუ-გუ-წყოფ) (= „დაგვიწყოფა“ — გადაგვიწყვეტია).

ჩა- პრევერბი: **ჩო-მოუვლია** (← ჩა-მოუვლია).

ამნაირად პრევერბები ფერეიდნულში შემდეგ სახით გვევლინება: **ა-**;

გა-; **გე-**; **გო-**; **გუ-**... **წა-**; **წე-**; **წო-**; **წუ-**... **და-**; **დე-**; **დო-**; **დუ-**... **მა-**; **მე-**; **მე-**; **მუ-**... **შე-**; **შა-**; **შო-**... **ჩა-**; **ჩე-**; **ჩო-**... **მი-**; **მი-**;

აქ არ შეიძლება არ მოვიგონოთ ერთი რამ: ასიმილაციის ერთი შემთხვევა, რომელიც იმერულს ახასიათებს, სრულიად უცხოა ფერეიდნულისთვის; იმერულში პრევერბის **ა** და **ო** განიცდის მომდევნო მარცვლის **ი** (და **ე**) გავლენას, მაგალ. წე-ვიდა; გე-ვიდა; ჩე-ვიდა; მე-ვიდა (წე-გედო; გე-გედო; ჩე-გედო; მე-გეტანა)...¹ ფერეიდნულში კი ეს **ი** სრულიად არ ახდენს გავლენას; იქ გამვლენელია **ე**, **ო** და **უ**.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ფერეიდნულში **შე-**, **მა-** პრევერბები **შა-**, **მა-**ს სახითაც გვაქვს (ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში); იმერულისათვის კი ეს უცხოა.

რით აისხნება ეს? რას მიეწერება ასიმილაციის სხვადასხვაობა ერთსა და მეორე შემთხვევაში? ზოგადად, რა თქმა უნდა, საარტიკულაციო ბაზისის განსხვავება განსაზღვრავს ამას. ამ მხრივ, გვეონია, მნიშვნელობა უნდა ქონდეს იმერულისთვის დამახასიათებელს **ბაგეთა გასწვრივობას**: იმერლის მეტყველების დროს ბაგეები „ბრტყელდებიან“, უფრო განზე იწევიან, ვინემ წინ; ქართლურ-კახურს მეტყველებას (ისევე როგორც ფერეიდნულისას) ბაგეთა მეტი მომრგვალება ახასიათებს (შედრ. იმერული: ბიჭო! კაცო! ქართლურში იმავე სიტყვების გამოთქმას!); არტიკულაცია, რომელსაც ბაგეთა მომრგვალება ახასიათებს, ცხადია, **ო** და **უ**ს „დაწინაურებას“

¹ ასეთ ასიმილაციას აღვილი არა აქვს, თუ პრევერბის ხმოვანზე მახვილია: წა'ლი! გა'ლი!

ხელს შეუწყობს: მათი გავლენაც ძლიერდება; ესენი ხომ ბაგისმიერები არიან; სამაგიეროდ, **ი** ასეთ არტიკულაციის დროს უპირატესობას მოკლებულია. ბაგეთა გასწვრივითი მდგომარეობა პირიქით **ე** და **ი**'ს „გავლენიანობას“ უწყობს ხელს, სამაგიეროდ **ო** და **უ**'ს როლი მცირდება.

შეიძლება ამით აიხსნებოდეს, რატომ არის ფერეიდნულში **ო** და **უ**'ს გავლენა ძლიერი, ხოლო იმერულში კი **ი** და **ე**'სი; **მო** პრევერბის **მა**'დ ქცევა კი ქართულურ-კახურსა და ფერეიდნულში მათი არტიკულაციის შედარებით მეტ უკანანისმიერობას უნდა მიეწეროს.

პრევერბებში გამოწვეული ცვლილებანი ფერეიდნულისა რეგრესულ ასიმილაციით არიან გამოწვეული; ამ შემთხვევაში ფერეიდნული ქართულ ენის ზოგად თვისებას არ ჰღალატობს: დისიმილაცია პროგრესული, ასიმილაცია რეგრესული მის ბუნებასაც შეეფერება.

თავისებურებანი მორფოლოგიაში.

მათი განხილვა ბუნებრივია დავიწყოთ ზმნიდან, ქართულ მორფოლოგიის ამ ჭირისუფლისა და ბატონ-პატრონიდან.

მთავარი, რაც ამ მხრივ ყურადღებას იქცევს, — არქაიზმებია; დღევანდელ სამწერლობო ენისთვის ისინი უცხოა, ზოგიერთ კილოებში კი (განსაკუთრებით მთისაში) ჯერ კიდევ დაცულია.

1. ვნებით გვარის ზმნებს აწმყო დროში მესამე პირში **-ის** აქვს დაბოლოებად (სამწერლობო ქართულის **ა** დაბოლოების ნაცვლად); მაგალით.: „გაგრძელდების (გაგრძელდება), ათავდების (ათავდება), გათენდების (გათენდება), მეესწრობის, აგონდების, დეედების, შაიქნების, შასწყდების, ეზიდების, აიკრეფის, შაიკმაზების, მეეხოვის, შაქუჩდების, დეერქმის, მაჰყვების, ამწონდების, ათესლდების“ და სხვ.

2. ნამყო უსრულში მრავლობით რიცხვის მესამე პირში თანამედროვე სამწერლობო ქართულში დაბოლოებად არის **-ენ** (წერდენ, კითხულობდენ, აკეთებდენ), ნამყო სრულში კი იმავე პირსა და რიცხვში **-ენ** დაბოლოება აქვს საშუალო და ვნებით გვარის ზმნებს (ისინი მოვიდენ, დაიწერენ, გამდიდრდენ...); ძველს ქართულში ერთსა და მეორე შემთხვევაში დაბოლოებად არის **-ეს**; ფერეიდნულშიც ეგვევ **-ეს** არის; მაგალ.: „(ისეები) მოდიოდეს, ჰამდეს, დაჯოცდეს, წაძრეკდეს; იმათ იცოდეს... (ისეები) წავიდეს, გამოიდეს, წამოხტეს, დაბრუნდეს, დალაგდეს“.

3. აწმყო დროის **-ავ** და **-ამ** სუფიქსი ნამყო უსრულში ძველს ქართულში გვაძლევდა **ვი||ევ**'ს, ან **მი||ემ**'ს; მაგალითად: ფარავს — ფარვიდა... დგამს — დგმიდა... არის ფერეიდნულში ამის შემთხვევებიც: (ისეები) კლევდეს (= კლავდენ); მალევდეს (= მალავდენ); (ჩონ) უბემდით (= უბამდით); (ისი) უზემდა (= უზამდა); ფორმის თვალსაზრისით ეს უკანასკნელი

ნამყო უსრულია; პირობითის შინაარსი მას განსაკუთრებულმა პირობებმა მიანიჭეს.

4. შეუნახავს ფერეიდნულს ე. წ. პერმანსივი, როგორც პრეტერიტი პირველი, ისე პრეტერიტი მეორე: მხდარობის თუ მოქმედების ჩვეულებრივობის აღსანიშნავად ეს ფორმა დიდ უპირატესობით სარგებლობს; მაგალითად: „ყვენის ყორი ასწავლიდისყე... ერთ დღეს წასლა იცოდინ სარაბზე... წავიდიან..., ჯარები ურემსაყე გამოუშიანყე, გაყიდიანყე, ფული დააქუჩიან და მისციან, მამულები დააგირავიანყე, ბეჩი ჩააგდიანყე და მისციან... ესეები მოიდიანყე პირველად ჯაყაყს, შიარ ქურთები; დამით დადგიანყე იქა, დილობას ჩამოიდიანყე სიბაქს, მეორე დღეს გადადგიანყე ჩულრუთს, ყემ სამი სოფელის შუა არი ათი ვერსი; ემ ყათ ვერსზე სამი სადილი და ვახშამი ჭამიანყე და წავიდიანყე; რომელმაც რო ნამა ვერ აჭამისყე, წავიდის, შადსჩივილის იმ ორი უფროსს; ყიმათ გამოგზავნიანყე ხუთი ცხენიანი მაყმურად, გადააწდევინიანყე ას თუმანი, დაბლა, მეტი... თუ კაცი დაინახიან იმ ახლუებჩი, შემოუდგიან, დაიჭირიან, მაიყვანიან, იმ დღეს იმ წყალში ჩააგდიან, ჩაალბიან და ამაიყვანიან“.

5. სამწერლობო ქართულში **ევ** სუფიქსი აწმყოსი ნამყო სრულში გვაძლევს **ი**: ხევს — ხია; ძლევს — ძლია; **გ** იკარგება: ძლია ← ძლივა; ხია ← ხივა... ფერეიდნულში, ისევე, როგორც არა ერთ სხვა ქართულს კილოში, ეს **გ** დღემდე შენახულია: „დავლივეთ, დავლივეთ; აირივა გაფი, გამაარკივა საქმე; იტყიან: შოუტივევო... (= დავლივეთ... აირია... გამაარკივა... შოუტივევო...)“.

6. ვნებით გვარის ზმნების დამახასიათებელ **ენ**-ს (ნამყო სრულის ჯგუფში) ფერეიდნულშიაც ვხვდებით: შემევეყარენით... გაიქცენს... გავიქენით... დავირივენით... გაიპარენს... და სხვა.

7. ნამყო წინარეწარსულში ზოგიერთ ზმნათა **-ოდა** დაბოლოებას ფერეიდნულში სცვლის **-იყო**; მაგალითად: „სწადებიყო (= სწადებოდა), გაჰხარებიყო (= გაჰხარებოდა), გამომყოლიყო (= გამომყოლოდა), გამტეხიყო, გამფხაჭნიყო“... და სხვა. ეგევე ახასიათებს აღმოსავლურ კილოებს.

8. „მას“ დამატებისა და „შენ“ ქვემდებარის აღსანიშნავად ზმნას შეუნახავს პრეფიქსები: **ა, ჰ, ს**. პირველს ვხვდებით ხმოვნის შემდეგ: „წადრეკდეს, დაჯოცდეს; აბარებიყნეს; მაძცეთ“... **ჰ**-ს ხმარების მაგალითებია: ჰქონდაყე; მაჰყვების; გაჰხარებიყო; **ს** გარკვეულ თანხმოვანთა წინ იჩენს თავს (დ, ტ, თ, ძ, ც, წ, ჯ, ჰ, ჩ); მაგალითად: მისწერა, მისცეთ, მივასწრათ, შესჭამს, სწადებიყო¹...

¹ პრეფიქსების შესახებ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე: სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილ. 1920; განსაკუთრებით, გვ. 20, 83, 145-172.

9. -ყე ნაწილაკის ხმარება მრავლობით რიცხვის მიცემითსა თუ სახელობითში დასმულ დამატების აღსანიშნავად, აგრეთვე პერმანსივებთან, საგანგებოდ გვქონდა უკვე განხილული (იხ. ქართ. საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადეული, ტ. I-II, ტფილ. 1925, გვ. 33 და შემდ.) და აქ მას არ დავუბრუნდებით.

რამოდენიმე სიტყვაც ზოგიერთ ცალკე ზმნათა შესახებ. **მოხდა** (მაგ. „ასეთი რამ მოხდა“) ზმნის ნაცვლად იხმარება **ქნდა** („ქნ-“ ← ქმნის მედიოპასიური ფორმა): „რა ქნდა (= რა მოხდა); რა ქნდების (= რა ხდება); რა ქნილა (= რა მომხდარა)“; მაგალ.: „დღოწერეთ რო ეგრე ქნდაო... იმის უკან არა ვიცი, რა ქნილა“...

დაწყება’ს ნაცვლად იტყვიან: **დაწყობა**: დაიწყობენ (= დაიწყებენ); ჩვეულებრივია აღმოსავლეთ საქართველოში; სამწერლობო ენაშიც კი იხმარება.

აქვს -ყე ნაწილაკითურთ გვაძლევს: **აყე** (← აქყე ← აქყყე; მაგალ.: „...ვნახოთ აზრი რა აყე“...).

იყვნეს: **ვ**’ს დაკარგვის გამო ითქმის **იყნეს** (იხ. ზემოთ **ვ**’ს რეფლექსი თანხმოდანთა შორის). საფიქრებელია, რომ ეს ფორმაა გამოსავალი, როცა იწარმოება მეორე და პირველი პირი: **იყნეს, იყნევით, ვიყნევით** (= იყვნეს, იყვენით, ვიყვენით)¹: მაგალ.: „დეჰავს იყნეს იალიები... ჩონ ქართველები ვიყნევით...“

საინტერესოა ბრძანებითი ფორმა **სვლა**საგან: **დიათ! დიარეთ** (= იარეთ!); მაგალ.: „თოფ-იარალი შამაიკარით და დიათ!... უთხარყე: თქენ დიარეთ და ჩონც მოგეწევიტყე!“

დიათ, ცხადია, მეორე პირია მრავლ. რიცხვის, — მისი მესამე პირია: **დიან** (მი-დიან) — მრავლ. რიცხვი; **დის** — მხოლ. რიცხვი. ამ ფორმისაგან ბრძანებითის წარმოება, ცხადია, იმ დროს უნდა მომხდარიყო, როდესაც **დის** აწმყო დროდ არ ითვლებოდა, არამედ პერმანსიულ შინაარსს ატარებდა.

დიარეთ ნამყო სრულის ფორმისაგან არის აღებული; აღსანიშნავია აქ თავკიდური „დ“; შემთხვევითი სტუმარი რომ არ უნდა იყოს იგი, ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს მეგრული: **იდიო!** თიქ იდუ — თინენქ იდეს (= იარეთ! მან იარა — მათ იარეს).

ბრუნებაში საგულისხმოა სახელების **ა** და **ე** დაბოლოებათა შენარჩუნების შემთხვევები ნათესაობითსა და მოქმედებითს ბრუნებებში; მაგალ.: „ბენა ქნა ემისი და ამისი დაჭერასი და ღამით ღონებასი (დაჭერისა და ღონებისა)... დაიწყობენ ყანას ჳნვას... თუ დანადთ (= დანით) არი, გაჭრას ვიტყით... წეელოყე სუფრადთ (= სუფრით)... ტყივადთ (= ტყვით) კარს და-

¹ შეიძლება გვეფიქრა მეტათეზის შესახებ, მაგრამ ეს ნაკლებ არის მოსალოდნელი.

ვბრეტო... ხუთას ცხენიანთა და რაქთენ მეთოფეითა... ოცი მეთოფეით (= მეთოფით)... ცხორები გააძღონ ბზეთ (= ბზეთი = ბზით)...

ასეთი ფორმები ჩვეულებრივია **ო** და **უ**ზე დაბოლოებულ სიტყვებში: **რკოსი, რკოთი... ყრუსი, ყრუთი...**; ძველს ქართულში ესენიც ჩვეულებრივ **-ის, -ით** დაბოლოებას დაირთავდენ. მაგრამ აქ უფრო საყურადღებოა სხვა მხარე: **ო** და **უ** ფუძისეულებად რჩებოდენ ბრუნების მთელ სივრცეზე; **ა** და **ე** კი ყოველ შემთხვევაში ნათესაობითსა და მოქმედებითში არა ჩანდა¹... ფერეიდნულის ხსენებული მაგალითები ცხად ჰყოფენ, რომ პროცესი **ა** და **ე**-ს ფუძესთან შეხორცებისა ღრმავდება და სავესებით შესაძლებელია ისინი გახდენ ისევ მკვიდრი ფუძისეულები, როგორცაა ამჟამად **ო** და **უ**.

ბრუნებაშივე ყურადღებას იქცევს ნაცვალსახელთა ბრუნება მრავლობითში; მიუხედავად იმისა, რომ მრავლობითის მწარმოებლად **ნ**-ს ხმარება თანამედროვე ქართულში სრულიადაც არ არის ხშირი და **კაცნი, სახლნი** და მავგვარების ნაცვლად „კაცები, სახლები“ იხმარება, ნაცვალსახელთა² მრავლობითში **ნ** მონოპოლიურ უფლებით სარგებლობს: კაცები, სახლები, ქვები — მაგრამ: ისინი, ესენი, იგენი, აგენი და სხვ. — ფერეიდნულში **ები**-ს ხმარება **ნ**-ს გვერდით ნაცვალსახელებშიც ჩვეულებრივია: **ისეები, ესეები...** და სხვ. მაგალ.: „ესეები ჩამოიდენ ისფანს... ისეები დააკრეს თარგზე... ღამით ორი ესეები და ოთხი ჩონ გავგზავნითყე სანგარჩი...“

ძველი სახით გვხვდება: ათორმეტნი (ათორმეტნი ვიყნევით იმ ჭის თოლჩი...); „რვა“ რომ „რუა“-ს სახეს ატარებს, უკვე იყო აღნიშნული: აქვე აღნიშნავთ ასეულებით თვლის ნიმუშს: თოთხმეტი ასი თუმანი გამაართოყე... ასევეა მთის კილოებში (შეად. ა. შ ა ნ ი ძ ე: ქართული კილოები მთაში: კრებული ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, ტფ. 1915, გვ. 195).

-იერ სუფიქსს ზედსართავებისა **-იარ** სცვლის: ძრიალი (= ძლიარი; სამწერლ.: ძლიერი; ამავე ძირიდან არის ნაწარმოები **-იან** სუფიქსით: ძალიან-ი; შდრ. ძალ-იერი → ძლ-იერი)³; ცარიალი, შიარი (= მშიერი); ქონიარი, შენიარი (= მშენიერი); თორიალება (= თვალიერება; ასევეა ინგილოურში; იხ. მოსე ჯანაშვილი, საინგილო, ტფილ. 1913, გვ. 183).

ჩვენებითი **resp.** პიროვანი ნაცვალსახელები მესამე პირისა შემდეგ სახით გვაქვს: **ესე, ესე** (ეგეთი), **მაგე, მაგე**; **ანსი, ისი...** ადგილის აღმნიშვნელი ზმნისართები ასეთი სახით მოიპოვება: **ექ** (= აქ); **მანდ || ანქა** (=

¹ მხედველობაში არ ვიღებთ საკუთარ სახელების ბრუნებას, რაიც ამ საკითხის ვითარებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. ამის ანალიზი ამ დაბოლოებებთან დაკავშირებით სხვაგან იქნება მოცემული.

² ვგულისხმობთ, ჩვენებით ნაცვალსახელებს, **resp.** მესამე პირის ნაცვალსახელებს.

³ შეადრ.: -ხ ე ლ- ძირისაგან გვაქვს: ხელ-ოვანი და ხელ-ოსანი; ორივე სუფიქსი ერთ და იმავე შინაარსს ატარებს; მნიშვნელობის დიფერენციაცია შემდეგ დროის ამბავია.

მანდ); **იქ**... **ექით** (= აქიდან), **ანქით** (= მანდედან), **იქით** (= იქიდან); მაგალითები: „იქით (= იქიდან) თოფი გოუსწორაყე, ანქით (= მანდედან) ამათა, ექითაც (= აქედან) ჩონ შოუჭეხეთყე...დავინახეთ რო ანქით თოფები დააყარესყე... ის დააწერს, რომ მე ავდგე ექით (= აქიდან): თები სუ შაკრულია მეთოფეებით, ექითაც (= აქიდანაც) მეთოფე მიდის... ჩონც ექ (= აქ)... დავაწყევით, ერთნი წავიდეთ ისპანს... როგორ გინდა ვქნათო ყექით (= აქიდან) ჯარი გავგზავნოთ თუ ისეები რო ქერედანჩი არიან, ყიმეებს მთუწეროთყე, რო წავიდენ... ერთი შუღლი ქნდაო..., ოთხ-ხუთი ექითი (= აქიდან) და ანქითა (= მანდედან) გაწყდაო... თადარუგს დაიჭერენ, რომ თავის ბიძაშვილები ღამით შაქუჩონ, დაყონაღონ; ანქითაც (= მანდედაც) ქალის მამა თავის ბიძაშვილებს შაქუჩებს... იქით (= იქიდან) დაუბარებიაყე სიბაქს... ჩონ მოიყვანეთ მეთოფეები იქამდი, რომ ქერედანის ჰადი იყო, იქით (= იქიდან) მეთოფე დავაბრუნეთ... ვერმინ ვერ გაიარისყე იქებჩი... რას იქთ მანდაო... თქენ ყემანდ რო ხართ“...

იმათი’ს ნაცვლად იხმარება **იმიით**: „ავიდეს მეთოფეები იმიითი... წავიდეს იმიითი ჯარი...“ შესაძლოა მხოლოობითის ანალოგიით: **იმისი** — **იმიითი**.

მეტად ხშირ ხმარებაშია ნაწილაკი **ილ** || **ელ** || **ელა**, რომლის სადაურობა ჩვენთვის ნათელი არ არის¹; მაგალითად: ყემათ ელ ეგრე (= აი ეგრე) იცოდეს... იმ წელს ელა (= იმ წელს აი) ზამთარი რო მოიდა... იმის უკან ელ ემ (= აი ემ) სარდარი-ჯანგმა თავის ძმისწული ამოგზავნა... ის ჰოქუმათი ელემ (= აი ემ) ბახტიარების უფროსების ბიძა იყო... ყელ იმ (= აი იმ) ჰუქუმათის სახჩი... უთხარყე ელ ეხლა (= აი ეხლა) უნდა მადცეთ... ელა დღესვე (= აი დღესვე) ორი დიდი თოფი და ორმოცდაათი ყაზაყი წავლენ სოფელსათი... ილ ის (= აი ის) თილიფანი იქ არის... გამოგორთო ილ იმ წელს (= აი იმ წელს)... თუ ილ იმ (= აი იმ) ორსა სწადებიყო... ილ იმ (= აი იმ) ზაფხულის ჰოქუმათმა მოგთხოვა მეთოფეები... დიდექით ილ იქა (= აი იქა) დღისით... ის მაყმურებიც ილ იქ (= აი იქ) იყნეს...“

როგორც აქედან ჩანს, ეს ნაწილაკი იხმარება სახელთან, განსაკუთრებით ჩვენებით ნაცვალსახელებთან, ზმნისართებთან და აღნიშნავს: **აი**’ს ე. ი. თვის შინაარსით ჩვენებითი ნაწილაკია, ამდენადვე განსაზღვრულიც.

-**ში** თანდებული **ჩი**’ს სახითა გვაქვს: „შულჩი, თანგჩი, სანგარჩი, სახლჩი, ქურთებჩი, გზებჩი, მინდორჩი, გულჩი, სოფელჩი, შუაჩი, თაჩი, ბაღჩი“... და სხვ. **ჩი**’ს ხმარება ხევსურულსაც არ ეუცხოება², ხშირია გურულშიც.

¹ არაბულის განსაზღვრულ ნაწევარ ალ-თან ან სვან. ალ (=ეს)თან მას კავშირი არ უნდა ქონდეს.

² იხ. „ხევსურული მასალები ბეს. გაბუურისა“ პროფ. აკ. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, ტ. I-II, ტფილ. 1925, გვ. 119-258, ლექსიკონში იქვე, გვ. 313.

-**კენ** თანდებული **ყე(ნ)**-ს სახით არის შერჩენილი (ისევე როგორც ეს კახურ-ქიზიურ-ინგილოურშია) და აღნიშნავს უმთავრესად **-დან, -გან**: მაგალ.: „ჩავყავ, ამოიღე ჯიბესაყე (= ჯიბიდან) ფული... ერთი ქართველი თბილისსაყენააო (= ტფილისიდან) ჩამოსული“... და სხვა.

-**კენ**ს მნიშვნელობით იხმარება **-თი**: მაგალ.: „გუნდოდა რო ორნი დაგბრუნდეთ სახსათი (= სახლისკენ)... ღურბინებს დოუბმენ თებსათი (= მთებისაკენ)... ფაფამზე წავლენ თასათი... თითო თავის წილს აიღებს და წამოვლენ სოფელსათი... წაველით იმ სოფელსათი, რო იალიები შიგ იყნეს... იქით წაველით სხო ყალასათი... ხუთ-ექს დღეს უკან წაველით ძერედანსათი, აველით ძერედანხი... და სხვა“...

-**თი** თითქმის ყოველთვის მიცემითთან არის; მას გენეტური კავშირი უნდა ჰქონდეს სვან. **-თე** თანდებულთან, რომელსაც იგივე მნიშვნელობა აქვს: **იმთე ღგრი?** „საითკენ (||სად) მიდიხარ?“ **ლეჩხუმთე** (= „ლეჩხუმისაკენ“, ლეჩხუმს).

სიტყვა „უფრო“ **იფო**ლ ცვლილა: იფო დამაჩიქარავა (უფრო დამაჩიქარა)...

C. შესიტყვების თავისებურებანი.

(Wortzusammensetzung)

1. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ შეუთანხმებლობა მსაზღვრელსა და სასაზღვრს შორის; იგი ორი სახისაა:

I. ერთს შემთხვევაში მსაზღვრელს დაბოლოება ეკვეცება; განსაკუთრებით ეს მაშინ ხდება, როცა მსაზღვრელი სახელობით ბრუნვაშია; მაგალითად: „ქონდა დიდ (= დიდი) მამული და სოფლებიც... ილ ის დოუკლდა ხუთ (= ხუთი) ლიტრა ფქილი, ათ (= ათი) ლიტრა ქერი... ბევრია ჩონ (= ჩონი) ქართველი, ორ ქალამს ვერ გაფებენ... ყექითცა ჩონ (= ჩონი) ქართველები, რაქთენ (= რაქთენი) წერეთერები მარტყოფსაყე წავიდეს დონბენიას... ორ საათი (= ორი საათი) დამე გასულიყო... ჩონც იქ ერთ (= ერთი) ბალი დავიჭირეთ... ერთიც სხო, რო გათქმულია გულიან კაცი, გულადი, ეს სამნი წავიდეს... ჩონ (= ჩონმა) ხალღმა თქეს რო...“ მსაზღვრელი სრულ დაბოლოებითაც არის წარმოდგენილი: მაგალ.: „ათი მეთოფეც წამოიყვანეთ და წამუელით... ჩონი ჰადიც აღარ არიო... ჩემთი გემეერთოყე ბახტიარებს ათასი თუმანი“ და სხვ.

II. მეორე შემთხვევაში მსაზღვრელი სახელობითის ფორმით წარმოგვიდგება მიუხედავად იმისა, სასაზღვრი მიცემითშია თუ მოთხრობითში, მაგალითად: „რაქთენი დღეს უკან... რა უნდაყეო ე თქენი ბიჭებსაო ქართველებსაყეო... ზოგი კარგი საუზმოს გააკეთებს... ჩემი ჰაჯი აღას ეყიდა

ჩემით... ნუღლს მათყრან ხილზედა, ნატეხი ყანდს დაადებენ... დაადებენ თითოზე ერთი თელი ყანდსა... ორი ღამეს ხუთას თუმანი მეტი სიბაქელთ ხარჯი გაფიქრეს... წაველით! ერთი ჩუყურჩი მივადექით... ყალა მამაბარა მე და ჩონი მეთოფეებს... ორი დღეს დავდექით იქა... ოთხი ღამესაც სტუმრადა გყვანდა... ათი დღეზე მოუტანოთ... მითხრა, რომ მინდა მოიდე თქენი საქართველოჩი... — იმის უკან ჩემი ამხანაგებმაც, რაც რო უთხარყე, არ დაიძრეს... ჩონი ხალღმაც თქეს რო...“

ამავე რიგის მოვლენაა მაგალითებში, სადაც სასაზღვრი ნათესაობითმია და მოქმედებითში: „ყემ სამი სოფელის შუა არი ათი ვერსი... დიზები ყარი ჩონი აფლადის სახლები და ალილები... შავსხედით მე და ასადოლა-ხანი თითო ერთი ცხენიანით...“ და სხვა.

პირველი მოვლენა, — დაბოლოების შეკვეცა, — ფონეტიკურ ნიადაგზე უნდა ხდებოდეს: განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი უნდა ეკისრებოდეს ამ შემთხვევაში წინადადების ინტონაციას; პრინციპულად ასეთივე მოვლენა ახასიათებს ხევსურულსა და ინგილოურს, საფიქრებელია იმავე ნიადაგზე წარმოშობილი, ოღონდ აქ არა მარტო მსაზღვრელის, არამედ სასაზღვრისა და ზმნის თუ მეტყველების სხვა ნაწილის დაბოლოება შეიძლება შეიკვეცოს¹.

რაც შეეხება მეორეს, — სახელობითის დაბოლოებით ხმარებას სასაზღვრისა, — იგი მორფოლოგიურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ; იგი მეტად დამახასიათებელია მსაზღვრელ სიტყვის სასაზღვრთან სინტაქსურ დამოკიდებულების თვალსაზრისით:

მსაზღვრელი არ ეთანხმება სასაზღვრს; სახელობითის ფორმაში ახლავს ამ უკანასკნელს, სულ ერთია: ნათესაობითშია, მიცემითში, მოთხრობითში თუ მოქმედებითში ეს სასაზღვრი; მსაზღვრელის ასეთ სინტაქსურ თავისებურებას უთუოდ დიდად ხელს უწყობს სქესის უქონლობა ქართულში: სქესის ფორმა განსაკუთრებით ბოჭავს მსაზღვრელს, აიძულებს მას იმ სამოსში გამოცხადდეს, რაიც შეეფერება სასაზღვრს: ხომ არ შეიძლება ითქვას: **высокая дом** ანუ **высокая дерево** ანუ **высокий сосна...**

სქესის უქონლობა ქართულში მსაზღვრელს დიდს თავისუფლებას ანიჭებს და მის სრულ ემანსიპაციას ნიადაგს უმზადებს: ბრუნვაში შეთანხმება არც ისე აუცილებელია, რაკი მსაზღვრელი წინ უძღვის სასაზღვრს; აღრევა აქ შეუძლებელია: ისედაც გარკვეულია რომელი სიტყვა რომელ

¹ შეად. „წვესურული მასალები“, *op. cit.* გვ. 201; დაღამდ, ბევრ ხან აღარ ას... გავე ჩემ ჯალაფთ... ამ ღამეს შაიყარ ხალხი... აქ ზმნასაც ეკვეცება ბოლოკიდური ხმოვანი: მით უფრო უნდა ვიგულოთ ფონეტიკური მიზეზი, — აგრეთვე **ინგილოური**: ბენდიერ იქნეს შენ მოსულა... ასლან (= ლომი) კაცთან წასულ... და სხვა. **იხ. მოსე ჯანაშვილი**: *op. cit.* გვ. 137.

სიტყვას საზღვრავს; აზრის სწორად გაგებისათვის ეს საკმარისია; რასაკვირველია, სხვანაირი მდგომარეობა იქნებოდა, რომ მსაზღვრელი სასაზღვრს მოსდევდეს: აქ თავისუფლების ტენდენცია იმავე მოსაზრების გამო გასაქანს ვერ იბოვიდა: აკი, მართლაცდა, ძველს ქართულში შეუძლებელი იყო მომდევნო მსაზღვრელი არ შეთანხმებოდა სასაზღვრს ბრუნვაში: კაცისა მალისა, კაცმან მალამან... და სხვ.

სამწერლობო ქართულის კონტროლისაგან თავისუფალ ფერეიდნულში მსაზღვრელი თითქმის აღწევს თავს სასაზღვრის ვასალობას. მომავალში იგი სინტაქსურად გაუთანასწორდება სენიორს. მეგრულში ეს უკვე ფაქტია: რომელიმე ზედსართავი სახელი არსებით სახელის მსაზღვრელად ყოველთვის სახელობითს ბრუნვაში გამოდის იმისდა მიუხედავად, თუ რა ბრუნვაშია თვით არსებითი სახელი: „მალალი კოჩი, მალალი კოჩქ, მალალი კოს, მალალი კოჩიში“... და სხვა (= მალალი კაცი, მალალი კაცმა, მალალი კაცს, მალალი კაცის...)¹.

2. მაგალითებში, როგორცაა: „ბევრები ყოფილან მოკობრებიო... დედაკაცები შექუჩებულებიყნეს, ჩადრი შავები წემეხსაყე... ცეცხლებია ჩონ ქართველები... ცხენები შივრები იყნეს... ოცდათრამეტი ყაზაყი ვიყნევით მისაცემნი“ შედგენილ შემასმენლის სახელადი ნაწილი (ბევრები, ცეცხლები, შივრები, მისაცემნი) მრავლობითშია: ეთანხმება რიცხვში ქვემდებარეს; ეს კი არსებითად შედგენილ შემასმენლის დაშლას ნიშნავს; არ არის საკმარისად მიჩნეული ზმნურ ნაწილის (ყოფილან, იყნეს, ვიყნევით) შეთანხმება რიცხვში სახელთან. — ეს მოვლენა გარე-კახურშიც გვაქვს². ის ერთ რასმე მოწმობს: თუ მსაზღვრელი დამოუკიდებელი ხდება სასაზღვრისაგან,

¹ ქართულის სუსტად მცოდნე მეგრელი ქართულშიც ხმარობს მეგრულ ფორმებს: მალალი კაცმა, მალალი კაცს და სხვა.

ამავე მოვლენას ჭანურში გ. რ ო ზ ე ნ ი სხვანაირად ხსნის: თურქულის მსგავსად ჭანურშიც ზედსართავი სახელი წინ უძღვის არსებით სახელს; ენა მას ეპყრობა, როგორც კომპოზიტს; ფლექსია მხოლოდ ბოლოში აღინიშნებაო; მაგ., ვ ო რ ს ი გ ზ ა (= კარგი გზა); ვ ო რ ს ი გ ზ ა თ ე (= კარგ გზით); ვ ო რ ს ი გ ზ ა ფ ე (= კარგი გზები). თუ ზედსართავი სახელი არსებითს მისდევს, ნომინალ წინადადებას მივიღებთო: გ ზ ა ხ ა ვ ი (= გზა არის ცუდი)... ეს, რასაკვირველია, შეცთობაა... G. R o s e n: Ueber die Sprache der Lazen, Berlin, 1844, გვ. 6.

აკად. ნ. მ ა რ ი ც თავის „ჭანურ ენის გრამატიკა“-ში ამასვე ამბობს: "Предшествуя определяемому слову, прилагательныя, сколько бы их ни было, составляют с ним одно как бы сложное целое: склоняется стоящее в исходе слово, прилагательныя же много ли их или всего одно, как предшествующия, не изменяются ни по падежам, ни по числам... (Грамматика чанского языка, СПб. 1910, § 28, გვ. 17).

ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ სქესის უქონლობა ქმნის სახელთა შეთანხმების (არსებითისა და ზედსართავის თუ სხვის) იმ თავისებურ ურთიერთობას, როცა შესაძლებელი ხდება მსაზღვრელისა და სასაზღვრის კომპოზიტისათვის გათანაბრება.

² „გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად“: „არილი“ — პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი - ს ა დ მ ი მიძღვნილი კრებული, ტფილ. 1925, გვ. 79.

და უკანასკნელი უძლურდება, ქვემდებარე წინადადებაში, პირიქით, როგორც მმართველი, ძლიერდება.

3. აზრის მიხედვით უთანხმდება შემასმენელი ქვემდებარეს შემდეგს შემთხვევებში: „ჩონ სოფლის ხალღმა დააწყვეს... ჩონ ხალღმაც თქეს რო... ბაატა მოსვენებაჩი ჩაცივდებიან ჩონ ხალღი“...

4. ქვემდებარე მოთხრობითშია საშუალო და ვნებით გვარის ზმნებთან: **საშუალო** გვარისასათან: „ემ ნასირამაც ამ წელს ზამთარჩი ჩავიდა ქომო-ახორას... ყაზალები ნამაი დროს მოიდესო და ქურთებმა წავიდესო... იმამაც ადგა, აიყვანა ხუთასი ცხენიანი და მოიდა... იმაშინ დადგა სარდარი-ჯანგმა იმების ჯოჯგავზე... ყემათ ადგეს, გავიდეს სხოგან... **ვნებითისასთან:** „იმისყე იმის შვილებმა გაჯდეს სუნეგ ხანები... ყემამაც დაიძრა და გადირბინა სოფელჩი... ჩემ ბიძას ბიჭმა დემეუბნა... სამსამოსელთენას ბიჭმა, რო ერქო ჩერალალი ხანი, ესე გამიამხანაგდა... იმის უკან ჩემი ამხანაგებმაც არ დაიძრეს... იქამდი რო წიმამ აიყარა...“ და სხვ.

საშუალო გვარის ზმნებთან მოთხრობითის ქვემდებარედ ხმარება არც ისე იშვიათია აღმოსავლურ კილოებშიაც, მაგრამ ვნებითთან მისი ხმარება არც ერთ აღმოსავლურ კილოში არ უნდა გვხვდებოდეს. ეჭვს გარეშეა, ფერეიდნული სამწერლობო ქართულის ზეგავლენას რომ განიცდიდეს, ასეთი რამ იქ მოსალოდნელი არ იქნებოდა.

5. ორმაგ უარყოფის მაგალითებია: „ვერმინ ვერ გაიარისყე... თქენ მამულეზჩი არც როს აღარ მოვალთო... ხალათს მოგცემყეო, არც კი აღარა ვნახეთ იმისყე... თუ არც ერთს არ იქთ, ეჯაზა მოგეცით...“

ეს მოვლენა ყველა ქართულ კილოებშია დადასტურებული¹.

6. ერთი შემთხვევაც არის კითხვით **ა** ნაწილაკის ხმარებისა: „სამოვარი არ მუგუტანესა?“

დასასრულ აღნიშვნის ღირსად ვთვლით იმ ქართულ სიტყვებს, რომელნიც ფერეიდნულს დაუცავს თავისებურ შინაარსით ანდა რომელნიც სახეცვლილად არიან წარმოდგენილი და დაცული: **ბიძასბიჭი** (= ბიძაშვილი); **ყორი** (= ქალი); **წერთეთრი** (= მოხუცი); **მარჯიკალი** (= შუამავალი; მთიულური: მარჯაკალი); **ნახეგ** (= ნახევარი); **ღონება** (= წუხება; იხმარება გარეკახტრშიც ამავე შინაარსით); **სუნეგ** (= სუყველა); **ბაატა** || **პაატა** (= პატარა); **გურგალი** (= მრგვალი); **ერთმანერთი**, **ერთმანერთს** და სხვ.; **ნამა**, **ნამაი** (= კარგი; „ლამაზი“)²; **სძე** (= რძე); **საჩუქვარი**; **დაქურჩბა**

¹ ორმაგ უარყოფის შესახებ იხ. ვ ა რ. თ ო ფ უ რ ი ა: „ორმაგი უარყოფა ქართულში“, საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, ტ. I-II, ტფილ. 1925, გვ. 74-116.

² აღმოსავლეთ საქართველოში „ლამაზი“ „კარგი“-ს მნიშვნელობით ხშირად იხმარება; მაგ.: „ლამაზათ (= კარგად) პური აჭამეს ნაცარქექიას“... (იხ. „გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად“, არილი, ტფილ. 1925, გვ. 82). როგორც დ ა ვ. დ ო ნ დ უ ა მ პირადად გადმოცვა, ქართულთა გამოთქმაში მას სმენია: ლ ა მ ა ა თ („ლამაზათ“-ს ნაცვლად); ეს ზედმეტად ცხადჰყოფს, რომ „ნ ა მ ა ი“ იგივე სიტყვაა.

(= დაგროვება; იხმარება აღმოსავლეთ საქართველოშიც); **დაღდება** (= დატოვება); **ჩიქარა, ოუჩიქარავა** და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს: **გერივ, გერივაც** (= კიდევ, კიდევაც), რომელიც, როგორც პროფ. ა შანიძემ გადმოგვცა, თუშურია; იხმარება თუ არა კახეთში, გამოურკვეველია; გარე-კახურში ყოველ შემთხვევაში არა გვაქვს.

დასასრულ, ორიოდ სიტყვა იმ მოვლენების შესახებ, რომელნიც სპარსულის ზეგავლენას მიეწერებიან. ყველაზე ძლიერ ეს ჩანს ლექსიკაში; ყურადღებას იქცევს ფორმალ სიტყვათა სესხება: ფერეიდნულს არ გააჩნია **ვიდრე, ან** (ქართული); იგი ხმარობს სპარსულ სიტყვებს: **თა** (= ვიდრე, სანამ); მაგალ.: „ჩონც დავდექით თა ნავრუზობამდი (= ვიდრე ნავრუზობამდი = ნავრუზობამდი)... ჩონ მოიცადეთ თა მზემადკრა (= ვიდრე მზე ამოვიდა)... თა ის იყო (= სანამ ის იყო), ქართველებს ვერ აწუხებდესყე... ბლენა, თოვლიც მოდის თა წელამდი... ტერედანსაყე თა ისპანამდი გზა აბარია იმას... იმას ცალკე გადღეწვენ, სამ-ოთხს ატარებენ თა ხორბალი გამოიდეს ბუდესაყე“...

და, დანი (= ან, ანუ; ესე იგი): მაგალ.: და მოგოდგა, და მივადექით, — შომოყრას ვიტყით... წველოყე ზოგისა ქალაშები, ზოგისა ტუმარა, და სუფრა და კაბა... თუ ვირები და აქლემები ყავყე მოგეცით... დანი არ დაგიჭირეო, დანი ვარი არ გითხარითყეო“...

განსაკუთრებით ჩანს სპარსული ზეგავლენა ფრაზების წარმოებაში; ხან სპარსული და ქართული სიტყვა ქმნის ფრაზას, ხან ქართული ან არასპარსული სიტყვებია აღებული, მაგრამ ფრაზა მაინც სპარსულ ყაიდაზეა გამართული; მაგალითად: ხვალე რო შაიქნა... თილიტანი ვქნათ (= ტელეფონით დავუძახოთ); ვაჭრობა ვქნათ (= ვივაჭროთ); ჯავაბი ქენით (= პასუხი ქენით = უპასუხეთ); თაქრა ვქენით (= შევეცადეთ); ხოდატეზი ქნეს (= მადლობა გადაიხადეს); შიქალი ვქნათო (= ნადირობა ვქნათ = ვინადიროთ);... ვერმის ჯორათი (= გაბედება) ვერ ექნა (= ვერავის გაებედა); მუზალა არა ვქენით (= არ დაგიჭირეთ რაიმე ნათხოვი, სათხოვარზე უარი არ გითხარით); ქართველებმა ნამა ვმა ქნეს (= კარგი სახელი დაიდეს); ეს ჯანს გაიტანსო (= სულს გაიტანს = გადარჩება); უშსაყე გაველ (= გონებიდან გაველ = გრძნობა დავკარგე)“... და სხვა მრავალი.

დასკვნა

თავში აღნიშნული გვქონდა, რომ ფერეიდნული განსაკუთრებულს პირობებში იმყოფება. როგორც მის თავისებურებათა მიმოხილვიდან ჩანს, ამ პირობებში იშლებოდა ის ტენდენციები, რომლებიც ფერეიდანს გადასახლებულ ქართველთა მეტყველებას ახასიათებენ; ამდენადვე ფერეიდნულის განვითარება ერთის მხრით ბუნებრივი სახით მიმდინარეობდა: ის არ განიცდიდა რომელიმე ქართულ კილოს ან სამწერლობო ქართულის ზეგავლენას. ამას უნდა მიეწერებოდეს ის ჩამოყალიბებული კანონზომიერება, ფერეიდნულის ბგერათა ცვალებადობას რომ ახასიათებს; მაგალ. **გ** ბგერასთან ცვლილებათა რიგია დაკავშირებული არა ერთს (აღმოსავლურ) ქართულ კილოში; მთიულიც ამბობს: ცხორი (= ცხვარი), თოლი (= თვალი), ჯორი (= ჯვარი); გარე-კახურსაც არ ეუცხოება **ვ**ს მაგიერ **ო**ს ხმარება: ჩაიცო (= ჩაიცვა), დასო (= დასვა), ჩამართო (= ჩამოართვა); ხოვი (= ხვაი)... და სხვ.; მაგრამ ამ მოვლენის გავრცელებულობა მერყევია: იმისდა მიხედვით, თუ რა სოციალურ ფენას ეკუთვნის მოლაპარაკე, რა განათლების პატრონია, სად ცხოვრობს იგი და სხვ.: მთიულურში, მაგალითად, ეს მოვლენა უფრო ხშირია, გარე-კახურში შედარებით სუსტად არის წარმოდგენილი; საერთოდ კი: რაც უფრო მეტია შესაძლებლობა სამწერლობო ენის ზეგავლენის, მით უფრო მკრთალია თავისებურება. — ფერეიდნულში კი ეს მოვლენა, შეიძლება ითქვას, თავიდან ბოლომდეა გატარებული: ფერეიდნული თავისუფლად გრძნობდა თავს და შინაყოფით განსაზღვრულ ცვლილებას მასში ამ მხრივ არაფერი აფერხებდა. ქართულ ენობრივ სინამდვილისგან მოწყვეტილობა ამ მხრივ აღიბეჭდა მასში.

როგორ იმოქმედა მასზე უცხოენობრივმა ატმოსფერომ? ეს უკანასკნელი ფერეიდნულის განვითარებაში პოლიტიკურ და სოციალურ ფაქტორის სახით გამოდის: ფერეიდნელ ქართველს სპარსულ ენის შესწავლა უხდებოდა: სახელმწიფო ენის არცოდნა მისთვის დიდად საზიანო იქნებოდა მის ყოველდღიურ ცხოვრებაში; იგივე ენა აუცილებელია მისთვის მეზობლებთან ურთიერთობაში; სკოლაში¹ თუ მის გარეშე სწავლობს იგი სპარსულს; მას ორი ენა აქვს: მშობლიური და უცხო. პირველი მხოლოდ „შინაურ“ ენად თუ გამოდგება: ოჯახსა და მეზობლობას იქით მას გასავალი არა აქვს. ამასთან: ქართველები მუსლიმები არიან; მუსლიმური ფანატიზმი ხელს უწყობს ქართულის დაქვეითებას; სარწმუნოებას შეუძლია მხოლოდ ზურგი შეაქცევინოს ქართველს ქართულისათვის. — ყოველივე ეს ხელს უწყობს სპარსულის ზეგავლენის ზრდას: ჯერ ხნობით პირველ რიგში ქართული ლექსიკა (სიტყვები) საფრთხეში: ქართულ სიტყვას სპარსული ცვლის; შემდეგ მოდის გამოთქმები, „სინტაქსური ქცევანი“: „ვაჭრობა ვქენით“, „თლიქანი ვქენით“ და მაგვარები უხვად შემოდის ქართულს

¹ ფერეიდანის ქართველებს მხოლოდ სპარსული სკოლები მოეპოვებათ.

მეტყელებაში. ეს კი ნიშნავს: **ქართულ მეტყველების ფსიქოლოგია იცვლება**; მის ადგილს სპარსული იკავებს. რა არის არსებითი ამა თუ იმ ენის ფსიქოლოგიაში? სხვათა შორის, **წარმოდგენათა შეხამება რაიმე აზრის გამოსახატავად**. ერთი და იგივე შინაარსი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა წარმოდგენათა შეხამებით გამოისახება; ერთი მეტყველება ისეთ წარმოდგენებს შეარჩევს, რომელიც სრულიად უცხო იქნება მეორისათვის. ჩვენ ვამბობთ: „თავი მოეჭრა (იმას)“, „გული მოუკვდა“, „მან სირცხვილი ჭამა“... ქართულ ენისთვის ეს ბუნებრივია; მაგრამ აქ მოცემული წარმოდგენები (და მათი შესატყვისი სიტყვანი) რუსულში ან გერმანულში რომ ამ სახით შევაერთოთ, უცნაური რამ იქნება; ისევე არა ბუნებრივია ქართულისათვის: „ვაჭრობა ვქენით“ (ქართველი იტყვის: „ვივაჭრეთ“), მაგრამ ეგვევ სავსებით ბუნებრივია სპარსულისათვის. ფერეიდნულ ქართველს არ ეჩოთირება ასეთი გამოთქმა; ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულ მეტყველების ფსიქოლოგია დაძაბუნებულია და მის ადგილას სპარსულისა მკვიდრდება.

სამაგიეროდ, ქართულ მეტყველების გარეგნობა (ბრუნება, უღვლილება, შესიტყვებათა ძირითადი სახეები) მტკიცედ დგას და მომავალს იმედინად შეჰყურებს; ამის მიზეზი უთუოდ ისიც არის, რომ ქართული და სპარსული სულ სხვადასხვა ტიპის ენები არიან: ქართული უღვლილება ტიპოლოგიურად განსხვავებულია სპარსულისაგან, ბრუნვაც სხვადასხვანაირი სახისაა. მეტყველების ფსიქოლოგიაში ზემოხსენებულ გაგებით ორი ენის ცოდნის პირობებში ერთიდან მეორეზე გადასვლა შედარებით ადვილია: ახალ ასოციაციათა დამკვიდრება არც ისე ძნელია. მორფოლოგიაში კი სპარსულსა და ქართულს შორის არსებულ ზღვარის გადალახვა შეუდარებელია ძნელია: მეტად დიდია ერთიდან მეორემდე გასავლელი მანძილი. ჯერ-ჯერობით ამ მხრივ ფერეიდნულის პოზიცია მკვიდრია.

ერთი მაინც უნდა გვახსოვდეს: ახალ, სპარსულ, ენაზე ლაპარაკი თაობიდან-თაობამდე უსათუოდ ახდენს გავლენას არტიკულაციაზე: თუ პირველად ქართველი სპარსულს ქართულისებრ ლაპარაკობდა (ე. ი. ეგრედ წოდებული ქართულ აქცენტით), დროთა ვითარებაში შეიძლება მდგომარეობა პირუკუ იქცეს: ქართული ლაპარაკი მოეწყოს სპარსულისებრ (ე. ი. „სპარსულ“ აქცენტით)¹. ეს, რა თქმა უნდა, ერთი და ორი თაობის საქმე

¹ როგორც ცნობილია, არა თუ სხვადასხვა ენა, არამედ ერთ ენის სხვადასხვა კილო არტიკულაციის მიხედვით განსხვავდება: მაგალ. ზუგდიდელი მეგრული ლს უფრო „მკვიდრად“ ამბობს, ვინემ სენაკელი, სენაკელი თავის მხრივ უფრო მკვიდრად, ვინემ ბანძელი... საერთოდ, მეგრული ლ უფრო რბილია, ვინემ ქართული. გურული, იმერელი, ქართლელი თავისებურ „აქცენტით“ ლაპარაკობს; ქართლელს გურულისა და იმერლის ლაპარაკი არასდროს აერევა კახელის და ქართლელის ლაპარაკში, რაც უნდა წმინდა ლიტერატურულ ენით ლაპარაკობდნ ისინი. მეგრელის პირში წმინდა ქართული ჩვეულებრივ მაინც ამხელს მოლაპარაკის სადაურობას, როგორც კი მეგრულად იტყვის ლს: ლ ა პ ა რ ა კ ბ ს, რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა და სხვ. არტიკულაციის თავისებურებას ყოველდღიურ ცხოვრებაში სრულიად უმართებულოდ „აქცენტს“ უძახიან.

არ არის; პროცესი თანდათანობით ხდება, და ჩვენ გვგონია, ამჟამადაც სპარსული გამოთქმის ზეგავლენა ამ მხრით ფაქტი უნდა იყოს. ზეგავლენის ეს სახე თავს იჩენს ფონეტიკაში, კერძოდ, ბგერათა ცვალებადობის სფეროში. **ვე** და **ვი**'ს ცვალებადობის თავისებურებაში, როგორც უკვე იყო აღნიშნული სათანადო აღვილას, ამ ფაქტორის გამორიცხვა არ შეიძლება.

რა მიმართებაშია ფერეიდნული ამჟამად ქართულ კილოებთან? სრული პასუხი ამ კითხვას გაეცემა, ალბათ, მხოლოდ მაშინ, როცა სათანადოდ შესწავლილი იქნება აღმოსავლეთ საქართველოს კილოები, ერთის მხრით, ხოლო მეორე მხრით, ფერეიდნულის შესახებ მეტი მასალები გვექნება.

ახლა კი შემდეგი შეიძლება ითქვას: ყველაზე ახლო ფერეიდნული დგას ინგილოურთან, რომელიც წარმოშობით ქიზიყურის დვიძლი ძმა უნდა იყოს; ინგილოური გაცილებით უფრო, ვინემ ქიზიყური, დაშორდა ქართულს; ამას ჰქონდა თავისი მიზეზები: ინგილოურიც¹, ფერეიდნულის მსგავსად, **თითქმის** მოწყვეტილია ქართულ კილოებს და არც სამწერლობო ქართულის გავლენას განიცდის ისე, როგორც სხვა ქართული კილოები (თუნდაც იგივე ქიზიყური); თუ ფერეიდნული სპარსულ მეტყველების რკალშია, ინგილოურზე თათრული (აზერბაიჯნული) ახდენს ზეგავლენას. არა მხოლოდ მსგავსი ბედი, არამედ მსგავსივე მოვლენები მოეპოვება ინგილოურს: ფონეტიკაში **ვ**'სთან დაკავშირებული ცვლილებანი, მორფოლოგიაში **ჟ(ე)** ნაწილაკი და არქაიზმის წყება (მაგალ. პერმანსივის ხმარება); სხვა კილოთაგან ქიზიყური, გარე (და შიგნი) კახური და მასთან კავშირში მყოფი მთიულური ყველაზე ახლოს დგანან ფერეიდნულთან; ეს არც არის გასაკვირი: ფერეიდნული ხომ კახურ-ქიზიყურ-ინგილოურის „ნაგლეჯია“, ოღონდ უცნაურ ისტორიულ ბედის მქონე.

შემონახულ არქაიზმის მიხედვით (პერმანსივის არსებობა, ნამყო შესრულსა და სრულში **-ეს** დაბოლოება, ვნებითის აწმყოში — **ის**; **ვ** ბგერა და სხვ.) შეიძლებოდა ფერეიდნული მთის კილოებთან (თუშური, ჯევისურული, მოჭეური...) დაგვეახლოვებინა; მაგრამ უკანასკნელთა ეს არქაიზმი სპეციფიკური როდია: ყველაფერი ეს თავის დროზე აღმოსავლეთში ბარის კილოებსაც უნდა ჰქონოდა; მათ დაჰკარგეს და მივარდნილმა მთამ კი შეინახა.

ამიტომაც, ერთდამავე ნიშნის (არქაიზმის) ქონება მთის კილოში სხვანაირად უნდა განფასდეს და ბარისაში (ქიზიყურში, ინგილოურში) სხვანაირად: ფერეიდნულის გენეალოგიის ძიებაში უკანასკნელთ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ.

¹ საინტერესოა, რომ ზოგ რაშიმე ინგილოური უფრო დაშორდა ქართულს, ვინემ ფერეიდნული; მაგალითად: მან უკვ დაკარგა ორი ბგერა: *d*, *g*.

ფერეიდნული ტექსტები¹

I

ქერედანი არი ესე ას ოცდაათი სოფელი. პატარა, დიდი და სულ. იყოფის ოთხგანა: ნაპია ფარზაყ, ნაპიაჲე ჩადიგან, ნაპიაჲე გორჯი, ნაპიაჲე თოხმხალუ. არი ქართველი სოფლები თოთხმეტი: მარტყოფი, ქომო მარტყოფი, სიბაქი, ჯაყაყი, ჩუყურეთი, ყაფუსი, თოლეელი (თელავს თოლეელს დაჰდახით). ბოანი, დაშკესანა, ყახჩაი, შაურდი, ყალაგოლი, ნინოწმინდა, ბადიგანი, დეჰსური, ემეებს ქართველი სოფლებს დაჰდახიან. სხვებიც არი, რო ემას ეკუთრების (ეხლა ჩონ ენაზე „ემასთან“ ვიტყით).

ზემო მარტყოფსა ჰქიან ქარსულად ახორა-ბალა, ქომო მარტყოფსა ჰქიან ახორა-ფაინ, თოლეელს ჰქიან დომბე-ქამარი (II ქამარი), ნინოწმინდას დაჰდახიან ქუდგუნავს. ყალაგოლი ქართველებისა იყო, ქურთებმა წაართესყე. ეხლა ორ-სამ კომლი ქართველია იქა, რაქთენ კომლიცა ქურთია.

II

ოთხი წელს ემისყე წინ ფაჲზე ძირობა იყო ქერედანში. ქურთები ბეჰრს მოდიოდეს მოკობრობაზე. ერთ ღამეს ამბავი მამიტანეს სოფელჩი, სახლჩი, რო გუშინ-ღამაო სიბაქსა, ლანგე ჩემმას, წისქილი გოჰტეხიყყო. ხოდა, გოჰტანიყყო ოცი საპალნე ფქილი(ო), რო ღირდა იმაშინ ოთხი ასი თუმანი (მეც მეწყინა); ჯარი წასულაო, მადდეგნებიყყო, წამაჲ/სწეგნიაყენ მოკობრებსაო, ვერ მიდგომიანყე მოკობრებსა, ბეჰრები ყოფილან მოკობრებიო. იქით დოგბარებიყე სიბაქს: კაცი გაგზავნეო სე(ა)ფოლა ხანთანაო: ჯარი მოგოშელიავოს. ღამე იყო. მეცა გაგზავნე, რაც რო ნამაჲ მეთოფე იყო. შაატყობინეს, თოფები აიღეს, ყათარა შამაიკრეს და მოიღეს. შავაქუჩე სამოცდაათი ნამაჲ მეთოფე. ჩემთი (var.: ჩემთინაც) შავე ცხენზე, თოფი ავიღე, წაველით ღამით. ციგოდა ძრიალ. წაველით სიბაქს. ჩაი დაგლივეთ და ვიკითხე რო საითყე არიან მეთქი. რო გავიგე, სად არიან, ვასწავლეყე მეთოფეებს, დასტუროლ ყამალი მივეყე. შავქენ ორ დასტა, გაგზავნეყე და მე უთხარყე: მე შავჯდები, ორ ცხენიანსაც წამოიყვან და მე გეწევიყე. რო უნდოდა განათდეს, შავსხედით და წაველით; აველით ჯაყაყს. ვჰკითხეყე: რა დროს მოდეს ბიჰები, გაჲარნეს? იქითაც ერთი ცხენიანი აქავრი ქეთხუდა იყო (ისიც ჩონ ბიძაშვილია) წავიყვანეთ და წაველით. ცხენებს შოგწყერით, ვარბინეთყე. მზემ როჰკრა მევეწივეთყე გუ-

¹ უმარცვლო უს აღსანიშნავად სათანადო ნიშნის უქონლობის გამო ტექსტში ყველგან **ვ** (შავი) არის გამოყენებული. აქვე უნდა ითქვას, რომ უმარცვლო უსი და თანამედროვე სამწერლობო ქართულში ვთი გადმოცემულ ბგერას შორის ზღვარის გავლენა ძნელია: ორივე ეს ბგერა უპირდაპირდება უს და არა ერთმანეთს. რყევა უმარცვლო უსა და ვს შორის ტექსტში ამას მიეწერება.

ლუპნის თანგჩი. ბიჭებს შეეკრათ სანგარები; ძრიალ თოფის ჯმა მოდიოდა, — შულლობდეს. თოფის ჯმა რომ გავიგე, თავი დოვდევიტ ცხენებს, გავრეკეთ, გავაქცივეთ, რომელიც ნამად ცხენი იყო, რაცლა რო გამოვვიდა წავიდა; თავქეები იყო და პირადმათები; მევესწართყე შულლჩი. ჩონ ბიჭებს თოფები რო ჰქონდაყე, წინანდელი თოფები იყო, დუდი. ჩონ გოქონდა ბილუდი ფანჯთირა და მობზერი (ცოტა ბოლი აქ, ბილუდი ყეძახიან ქარსულად) მითხრეს, ამათა ბილუდი თოფები აყე, შორს გოყრიანო; ჩონები არ უწევსო. ჩონ რო დავაყარეთ, გოვწივა იქა; გაფეს რო, ჩონცა ბილუდი თოფები გოქ და მისხდეს უკან. ქურთებს რო დურბინი დეეზაყე, სოფლის მეთოფეები რო დეენახვაყე, ეთქოყე, რო ოჰ, ე ჯარი მარტყოფისა არი და ემათთან ვერა ქნდების რა. სუს ეცო ქამარი, ქულაჯეები ქეჩისა. იმაშინ სამი სიბაქელი დაჭერილი ჰყვანდაყე; რო დეენახვაყე მარტყოფის მეთოფე, გეშვაყე. — ბიჭებს გოვხარდაყე ბეჭრი, რო საქონელი, ფქილები წუგურთომო და თანგჩი არი. ქურთებსაო შოვკრავყო სანგარები თავზე. ხოდა: ვერ მივდგომივართო, რო ამოტანოთ ზემოთ. უთხარყე: კაცობის დღე'რი; აბა დავთალაბი მინ შადქნების, დორეში მიიტანოს. ყანს ერთი სანგარი ააყენოსყე; ერთი ჩემი ბიძას ბიჭი, ერთიც ალადიას ბიჭი (ბიძა ჩონ მამის ძმას ვებნებით, ალადიას ჩონ დედას ძმას ვებნებით), ერთიც სხო იყო, რო გათქმულია გულიან კაცი, გულადი, — ეს სამნი წავიდეს. ჩონც ექით გამოდმასაყე (var.: გამოდმათაყე) დავაყარეთყე. ემ სამთა ქათი ქნეს, ოვცივდესყე სანგარჩი, გააქცივესყე. ქურთებმა რო გაფეს, ჩონი ჯარი ბეჭრია და ნამად სუც შოგოკრა სერები, მთები, იმაშინ ქურთები გამოიდეს ყამანზე (ყამანი პარსულია. ერთი ერთს რო მეერევის, შეეხეწების... ყამანს ჩონც ვაწმარებთ ახლა) ქურთებმა მოგზავნეს სამი დედაკაცი. მივეცითყე ყამანი. შულლი დავაკმარეთ. ყავიყვანე ბიჭები, რაქთენი და იმ სხვებს დოვკივლესყე: სანგარები არ დააცარილოთ. ჩაველით დეღეჩი, თანგჩი. ფქილები ავაკიდვინეყე, ზურგით ამადტანეს სერზე, იქ რო სანგარი იყო ჩონი. ორ კაცი გავგზავნე სიბაქს: პირიტყი მორეკონ, ვირები. ერთიც გავგზავნე სედეველთ ბონაზე გალადარები იყნეს, ცხორის პატრონები, რო თუ ვირები და აქლემები ყავყე (= გყავსთ), მოვეცით (= მოვეცით), რო ფქილი (ჩონ ორ ჯურად ვაწმარებთ: ფქილიო და ზოგი ქბილი) ავჰკიდოთ, მოტანოთ (თ)ქენ ბონაზე, თა სიბაქისაყე ვირები მაჰ/სწდების. დაფიანეს. სადომის (სადომოსაც ვამბობთ) შავსხედით ცხენებზე, აველით სედეველთ ბონაზე. ბიჭებს მივაბარაყე: ქეშიქი გაფიდეთ, არ დაფინოთ, არამც ქურთებმა დოგოტყუვლონ. ეგრე რო ეტყობის, ამათ გოვგზავნიაყე ჯარსათი (= ჯარისათვის). ისენი იყნეს ყასი კაცი, ჩონცა ვიყნევიტ მარტყოფსაყე და სიბაქსაყე და ჯაყყასაყე, ყასი მეტი [მყვანდა თან]. იმაშინ ამველით ბონაზე. სედეველნი გომოგოგებნეს, დაფყეს საგბარი რო: პირიტყი (ვირები) ექ

არა ყვანდა, ხუთი აქლემი იყო ნახოშები. ყუთხარით (თ)ქენ კაცებს რო ჩარეკეთ; თქეს რო, ეს ხუთი აქლემი ვერ აჟიდებს ოც საპალნეს. ჩონ მუზალა არა ვქენით. მე მინდოდა გავლანძლოყე, რო ვნახე თახსირი არა აყე, აღარა უთხარყე რა. ჩამოვვლით იმით ბონაზე. ცხორი დუგუკლეს. ღამით ძრიალ გუყურეს: ყიმაშინ ყერთი სხო დიდკაცი მოიდა ჩონთან, ჩარლანგი იყო, მითხრა რო ჩონ რო გავიგეთო, გუნდოდაო, რო ჯარი გამოგაშეღილოთ... გერივაც გავიგეთო, ყამბავი მუგუტანესო, რო იქთენ ქართველის ჯარი მოსულაო, რო ფრინველებიც ველარ გავლენო. ყიმაშინ მე უთხარ: მამნუნი ვარი. მე უთხარ: ღმერთმა უმეტოს ქართველს, იქთენ ჯარი მყავ, რო მინდოდეს, ეს ყილები მოვხეტო, გამამივა; (თ)ქენყე მამნუნი ვარ.

ღამით ძრიალ ცივოდა (var.: სიცივე იყო). ჩონ ცხენებს სამ დღე იყო, ბზე არ შეეჭამაყე. ქერი კი გოქონდა, რო შავაჭათმოთყე. ცხენები დავხურკლეთ ქაფანაკებით (ჩონ დაფარებასაც ვიტყით), თა დილობამდი. დილობას შავსხედით და წამუელით, რო აბა ვირები მოსულან თუ არა. დურბინი დოვბით სერსაყე. გამოჩნდეს რო მარეკდეს ვირებს; ველოდეთყე, თა მოდდეს. ჩავყევით, ჩაველით გერივ ბიჭებთან, იქ რო ფქილები იყო, პური მეეტანაყე ერთ საპალნე. ღამით ბიჭებს არა ჰქონიყოყე პური, ყემელოყე ხუთი ლიტრა ფქილი, წველოყე წყაროზე სუფრაათ და მეეზილაყე, მეეტანაყე, ყენთოყე, ჩარსანგები დეეცხელაყე, ფათირი დეეკრაყე, ის ეჭამაყე. გერივაც შივრები იყვნეს: ყასი კაცს რას უზემდა ხუთი ლიტრა ფქილი? უთხარყე: პურები დარეგეთ და დალლათ (ჩიქარასაც ვაჭმარებთ) ვირები მირეკეთ და საპალნეები აჰკიდეთ. წარეკეს და აჰკიდეს და წამუელით. რო მუელით, რა ქურთიც რო შომოგოყარა (და მოგოდგა, და მივადეგით — შომოყარას ვიტყვით) თქეს: მაშალლა ქართველსაო! თა მუელით სიბაქს. წომოგოხუვნეს, გოვხარდაყე. გიანდა იყო დღე. უთხარყე: საპალნეები დააწყევით ერთ სახლჩი. ჩონ ბიჭებო, რო მარტყოფელნი ხართ, გებარებოდესყე (თ)ქენა, რო არმინ მეტი არ წაიღოს, თუ ხუ'ალ ჩემთი დავადგები, დაძწერ, მისიც რაქთენი ყოფილა, მეეცეს; თუ ფქილებს აკლია, სუს გოვტეხო, რო ერთი არ დაბრალდეს. რაქთენიც ქურთებისა მოგოტანა. დილას, ხუ'ალ, დავადექ და [ყ]აწონეს მისიც რაყე, წადდეს. არა დოვკლდა რა. ყილ ის დოვკლდა ხუთ ლიტრა ფქილი, ყათ ლიტრა ქერი, რო ცხენებსათი ეჭმევენაყე ყიმათ.

დიდი ვმა ჩავარდა ქურთებჩი, სხოგან და სხოგან, რო თუ ქართველი არ ყოფილიყო, მის საქონელიცლა ყოფილიყო, აღარ დაბრუნდებოდა ყიქით, რო ყემათ მოვტანიდაყე. გაათქო ესე! მეტი ხორები რო მოგოტანა, დოვრიგეყე ფქილების პატრონებს, იმისთი რო ზოგისა ქულაჯა წველოყე, ზოგისა ქალაშეები, ზოგისა ტუმარა, და სუფრა, და კაბა.

III

ის ხო იქ გათავდა? თუ დუგუკლდა რამე?

იმ ზამთრის ჩონ სოფლის ხალღმა დააწყვეს, რო იყიდონ ცხორი, სასუქები — დაჯახით ყოჩებს. საშიშო წელი იყო დაღები (ყაჩაღია!) გზებში იყნეს. სამი დასტანი იყნეს. ჩონც სამი ხანი ვიყნევით მარტყოფი. თითო ერთ დასტამ გუგუშერიქა რო გზაჩი ჩონა თანა ვჰყვანდეთყე რო დაღებმა და ქურთებმა ყაჩაღობა არ უყონყე. ჩონ ვიყნევით რუანი. ათი მეთოფეც წამოიყვანეთ და წამუელით რო ჩამოიღეთ ისპაანს (ჩონ ვიტყითყე ისპაანო! **ქ**არსულად — ეს**ქ**აპანს!) თუ გზაჩიგა მოგხდა მუშტარი, გავყიდოთ. ვერმის ჯორათი ვერ ექნა. იმისთი, რო რეზა-ხანსა სუ გზები დეეჭირა. ჩონ მოიყვანეთ მეთოფეები იქამდი. რო **ქ**ერეიდანის ჰადი იყო. იქით მეთოფე დავაბრუნეთ. სალომის ცხორები გამორეკეს ბიჭებმა. რო თებსაყე გევეპარნეთყე. იმ ღამით ვიარეთ, გზა დავკარგეთ, ვერვივაც დავაბრუნეთ ცხორები და წაველით ერთ სოფელჩი. მზემ რო ჰკრა ორნი, რეზა-ხანის კაცები მოგოწყდეს ზედ, შამოიღეს ჩონ მანზილზე; ბიჭებმა მითხრეს, რო ცხორები ემათ შათოლესო. სუს წადრეკენო. მე უთხარყე: ღმერთი დიდია მეთქი. ყემათ მე რო(მ) მამხედნეს, ძრიალ გამიამხანაგდეს. ამოიღე ერთი ნამაჲ წინდა (ნამაჲ — კარგია!), ვაპატივეყე (ჩონ ვიტყით მივეცი! — მივეყე და მივეცი — ორივე ერთია!); ყემათ ადგეს, გავიდეს სხოგან, კაცი გამოგზავნეს ჩემთან, დამყონაღეს; წამიყვანეს თავით მანზილზე; ის ღა რო გომო(უ)ვიდაყე ემათ მიყურეს (პატივისცემა არი!) — ხოდა, ღამით მემებარა ბიჭებსათი ცხორები გააძღონ ბზეთ; ორი საათი რო გავა, მაცნობონ, რო წავიდეთ ვერივ ღამით — რეზა ხანის ორღუმ არ გაიგოს. ბიჭები რო მოიღეს, მითხრეს, ცხორები მაძღრებიანო, ჰაზირათ ვართ (მზადად ვართ!), მოღი, რო წავიდეთ. მე ყემათ უთხარყე, რო — რიზა ხანის კაცებს: წავალ ამ ჩონი მანზილზე, დავწვები, რო ფაჲშამზე წავიდეთ. მითხრეს: გაფს ჩონთან ნუ დადმაღავთ. ჩონა ორნი ვართ: ეს ჯანი რო გოქ, შენი გზაზე გარდავდებთო. უთხარყე, რო ჰალაქი ეგრე მითხარით, სწორს ვიტყი, დუგუწყოდ, რო ღამით გავიარნეთ. არამც (თ)ქენი ჰამყათარებმა გოდოგოკიდნენ; ემათა ადგეს, თოფები აიღეს, თითომ ორი ყათარა შამაიკრეს, დაიკოლთნეს და წომოგყვეს. წაველით. ღამით ძრიალ ცი(გ)ოდა და ბლენოდა. მუგუცა წიმა შუა ღამის უკან. ერთგან დავსხედით, ქაფანაკები გადვიფარეთ და ბარნები, თა იქამდი, რომ წიმამ აიყარა. რო გავიხედეთ, განათდა დილობასი. ავდეგით; იმ კაცებმა (რეზა-ხანის კაცებმა!) დაათორიაღეს, გუთხრეს, რო ემისყე ანქით შიში აღარა აქო და ჩონი ჰადიც აღარ არიო. თუ ეჯახას მოგცემო, დაგბრუნდეთო. მე უთხარყე: ქენი მამნუნი ვარ მიწასაყე თა ასიმანამდი. ჩავიყავ, ამოიღე ჯიბესაყე ფული; აღარ ვიცი, რაქთენი იყო, მივეყე; არ მართემდეს, რო ჩონაო გუნდოდაო ხეთმათი ექნათო, არა რო ფულსათი მოგყევითყეო. იმ სხომ უთხრა: გამაართიო, დადგარიო

ემის ველისაყო. გამომართო და ხოდაძევი ქნეს. ორჯელ ველები დაიდგეს გულის პირზედა, დაბრუნდეს. იმ ღამეს მო(გ)ყოლიყნეს რუა ალაჯი, რო ორმოცდა თექსმეტი ვერსია. მე ბიჭებს უთხარყე: ესენი მალაქები იყნეს (რო თქენ ანგელოზებს დაუხადით!), დიდი კაცობა ქნეს; თუ ილ იმ ორსა სწადებიყო, ორასი ცხორი რო გყვანდა, სუს წადრეკდეს და ეგეთ კაცობა ქნეს. კაცი თითო-თითო ჩავარდების დუნიაზე... ჩაველით იმ დღეს ნაჯაძ-აბადს. იქ ვორცი ნამად ძირად იყო. ხალღი გაკირდა, რო ყემათ როგო ჩომოურეკიყე ცხორიო, გზაჩი დაღიებს არ წოურთომეყო; ხოდა გავყიდეთ; იმ დღეს დოგვარდა ხუთას თუმანი. გავყავით რუაგან, დავსხედით დრომ-კაზე, ჩაველით ისპან ქალაქს. რაცლა გუნდოდა, ვიყიდეთ. ბიჭები დაბრუნდეს ძერედანსათი, რო წავიდენ მარტყოფსათი. მე დავდეგ/ქ ისპანს.: მი-ნდოდა წავიდე თერანს იმისთი, რო წინა წელსა ჩემთი გემეერთოყე ბახ-ტიარებს ათასი თუმანი, და (მინდოდა) შავჩივლო ყეინსა და ვაზირებს. რო გავსინჯე, ბევრი საშიშო წელი იყო, სოფლის ქენარებზე კაცებს კლე-დეს ხუთ რიალსათი, ძირობა იყო პურის,ათ, გირვანქა პური ღირდა ოთხი რიალზე ხალღი ბევრი წყდებოდა შიმშილით; ამხანაგებმა მითხრეს, რო წელს არ გინდა თერანის წასლაო, და რაქთენ დღეს დავდექ და რაცლა რო დასაწერი მქონდა, ადავწერე ქალაზები თე(პ)რანსათი; ერთი ნამად ამ-ხანაგი იქა მყვანდა; იყო ძერედნელი, გოუგზავნე ქალაზები. ერთ დღეს წაველ ბატონ გერგერის ხანთან. მითხრა, რო ერთი ქართველიო თბილის-საყო ჩამოსულაო, ექ არიო; უთხარ, სად არი მეთქი? მითხრა, რო ჯულ-ფათჩი(გ) არიო. ხვალ სადილზეო მუა ჩემ სახლჩიგაო, შამოდი, ნახეო. მე-ორე დღესა სადილზე წაველ კონსოლხანეჩი. იქ იყნეს აუსოფ-ხანი და გერგერის-ხანი. წუგუყვანა, წავედით თავის სახჩი სტუმრათ, ყონადათ. იქ გავიცან; მითხრა, რო მინდა მოიდე თქენი საქართველოში. უთხარ — კარ-გი. სამ-ოთხ დღეჩი ცოტა საქმე მაქ; შენც თუ გაქ საქმე, გააკეთე და წა-ვიდეთ. ხუთ ექს დღეს უკან წაველით ძერედანსათი, აველით ძერედან-ნჩი. აუსოფ-ხანი შავინახე ხუთი თეს ჩემ სახჩი. საქართველო, სოფლები წამუატარე და წავიყვანე ქურთებჩიგა, ორ დღეს, და მუველით გერიგ მარტყოფჩი.

დღეს დავაკმარებთ იმისთინა, რო ქერიმ-ხანის გაფი მინდა გიამბო და გაგრძელდების.

IV

ილ იმ ზაფხულის ჰოქუმათმა მოგთხოვა მეთოფეები, რო წავიდენ: — დეჰავს იყნეს დაღიები ერთ ყალაჩი, დომაბის ყალაჩი. შავყენეთ სამოც-დაათი მეთოფე. ჩემთინაც ავიყვანე ერთ ცხენიანი და წავედით. ერთიც ყოჩი წოუყვანე ჰოქუმათს (ცხოვრობდა დარანჩი: დარანი გუბერნატორის ადგილია შუა ძერედანჩი). ისი, რო იმან მოგცეს ერთი რამე... ჩონ (=

ჩენი) იქა ეგეთი ყანონი არი: მეთოფე ჩონყე; პური და ფული ჩონყე... საჩოქარი წოყყანეთ და წაველით. წაველით დარანს. შეველ ჰეჭიმთან: ძრიალ გოუხარდა. მკითხა: ის სხო ხანები, ორნი არ მოიდესო? უთხარ, რო ხიალჩი იყნეს მოიდენ, მასცდებთან თა დილობამდი. მკითხა, რაქთენი მეთოფე გყავ, რომ ჯარი იყოს. უთხარ, სამოცდაათი. ძრიალ კი გოგხარდა. თითან ჰყვანდა ჯარი ცხენოსანი — ორმოცი. ღამით შემინახა: ყონაღად (— სტუმრად იყოს). შაკვერეთ გავი, რო დილობას მეთოფე მალე გავგზავნო, ჩემთინაც მოიდე ჰაქიმთან, ჩაი დავლივოთ და წავიდეთ; შვა-ღამ ავდექ, აველ ჩონ მანზილზე; მეთოფეებს მივაბარეყე; მზე როჟკრავს, უნდა შაქუჩებული იყნეთ, რო წავიდეთ. ჩემს კაცს უთხარ: ცხენებს ღამით ნამა უყურე; ხოდა თა დილობამდი. დილობის აღრე ავდექ; მეთოფეები დაქუჩებულყნეს ჩემ მანზილზე. უთხარყე: თქენ დიარეთ და ჩონც მოგეწევითყე. წავიდეს, მივაბარეყე, რომ გზაჩი არმის არ გედეკიდნეთ, დააღონოთ; ჩემ კაცს უთხარ: მე წავალ ჰაქიმის მანზილზე, შენა ცხენები შაკმაზე და მაიყვავე. ჩაველ ჰაქიმთან, ჩაი დავლივეთ. იმათაც ცხენები შეეკმაზაყე. ავდეგით და შავსხედით და წაველით. ერთი დიდი სივაკე (იყო); იქ ჰაქიმმა მითხრა, რო შიქალი ვქნათო. ცხენიანი გაიშალა სივაკეზე. მე და თითან და ორი ცხო მივახლოვდით მთებთან. წამოხტეს ჯეირნები, წომოუღეგითყე, დავაყარეთყე, ორი მოგვალით. ისეები დააკრეს თარგზე და წაველით; ყელი იყო, გადაველით. წყალი მოგწყურდა ძრიალ. ჰოქუმათმა, — რო ამირი აქრამი ერქო, — მითხრა რო, წამამყეო. წყალი მოვნახოთ და დავლივოთო. წაველით, ერთი ჩუყურჩი მივადეგით: წყალი იღგა და ამხლიანი იყო; ბასქი გწყუროდა: ქუდი ამუავსეთ და დასმალი გადავაფარეთ და დავლივეთ, და შავსხედით და წაველით. მზე ჩასლივ მიველით იმ ყალას ფეჭზე, შემოვდექით, დავიჭირეთყე ძალიები, თხუთმეტნი იყნეს; ღამით ყალა მამაბარა მე და ჩონი მეთოფეებს; ორი დღეს დავდექით იქა; ძრიალ შიმშილობა იყო; ი სოფლის ხალდი, რო შახიდიყე სახლებჩი, ეყარნიანყე: შიმშილით გაწყეტლიყნეს. პური არა ვარდებოდა ჩონი მეთოფეებისათი, ცხორები რო წოგორთო ძალიებისათი, უთხარყე და ისეები დაკლიან და ჰამდეს. ჯორცზე ატარეს ორ-სამ დღეს. იმაშინ ავიყვანეთყე და წამუელით დარანს; რაცლა რო ჰქონდაყე ძალიებს. ისიც ჰაქიმმა მაიტანა; მეორე დღეს უთხარ, მურახასობა გამუართით და წაველით მარტყოფჩი. დღეს დავაკმარებთ.

V

იმ წელს ელა, ზამთარი რო მოიდა, ოცი დღეს გოქონდა ნავრუზობამდი (ჰაველი ზაფხულია: ზამთარი რო ათავდების ახირ ჩალა ღამე გადავა ზაფხულჩი, ნავრუზს დაგძახით!), რო ჰუქუმათსაყე, ისპანისაყე ქალაზი მოგუვიდა, რო ათი ცხენიანი და ოცდაათი მეთოფე აიყვათო და ნამა

თოფებით მოდითო. შემევეყარენით, დავაწყევით, რო მე და ასადოლა ხანი წავიდეთ. ცხენები გამოიყვანეთ, სოფლის ქუჩებზე გამუახამეთყე; თოვლი ბეჭრი იყო მინდორჩი; შიდ-რუა დღეს უკან ავიყვანეთ ათი ცხენიანი, თითომ ხუთი, და ოცდაათიც მეთოფე და წაველით. მეტობა ცხენები თოვლზე გავიზიდეთყე ორ დღეს; წაველით დარანს. იქ ჰოქუმათ-ნეშინი არი ქერედანისა; ჰუქუმათმა გუთხრა, რო ორ-სამ დღეს დადაგით, რო ცხენიანი ქერედანსაყენიც მუა, შემევეყარეთ და წადით. რეზა ზანს ფირანი დოუჭერიაო; ხალღს ტიტლისო და ცორცავსო. ისპანის ჰუქუმათს თეფრანსაყე უკისრია (კისერზე აუღიაო!), რო დაიჭიროს. ჩონც დავდეგით, თა ნაჭრუზობამდი; ნაჭრუზ დღეს შემევეყარენით ქერედანსაყე სამოცი ცხენიანი და წაველით. მეორე დღეს მოველით ორდუჩი. ორდუს უფროსებმა გოგზანგეს ერთ სოფელჩი, რო იქით როსაცლა შუღლი შაიქნების, წავიდეთ წინ. შიდ-რუა დღეს იქ დავდეგით და სანგარები ვსაზღრეთ. ქაღაზი მოგუვიდა, რო თქენ ქართველებმა თქენი ცხენიანი აიყვათ და წადით ჰასან-აბადში: — ყალა იყო. ჩონ ქართველები ვიყენეთ ზემოთ მარტყოფსაყე და ქომოთ მარტყოფსაყე თრამეტი ცხენიანი. ხუთ-ექსიც ქერედენელი ჩონთან იყო და წავიყვანეთყე. წაველით, შომოვდეგით იმ ყალას, ჰასან-აბადის ყალას. კარი დაკლიტეს. თურმე იქ არი იმ რეზა-ხანის დედა და დედაკაცი. ბურჯებჩი ავიდეს მეთოფეები იმითი. რაც რო შაკვივლეთყე: კარი გააღეთო, არ გულებდეს. მე დავდექ დარვაზას უკან, სამ-ოთხიც იქ დავაყენე ჩონყე, რო თუ არ გააღებთ მეთქი, ტყივადთ კარს დავხრეტთ, საკლიტურს და შამუალთ. ასადოლა-ხანი და ჩემი დისწული ალი-აღა ჩავიდეს ქომოთყე, ყალას კედელზე ამოსეს ალი-აღა; იქით თოფი გოუსწორაყე, თუ არ გააღეთო, დავწყეტყეო. ანქით ამათა, ექითაც ჩონ შოუჭეხეთყე (var.: შოუჭყავლეთყე, თორელ-ბოდჩი იტყიან: შოუტივეო); იმათ შეეშინდაყე და კარი გუგუღეს. შაველით. ჩემ კაცს უთხარ, რო ექაურ ქეთხუდა, მინაც რო არი, დაიჭირე და წაიყვათ თქენ მანზილზე. ჩონა ხანები შაველით, ერთ ნამად ამარათჩი; ბეჭრი საქონელი იქ იყო; ორი კაცი რო თანა გყვანდა, უთხარითყე მე და ასადოლა-ხანმა რო, არამც ერთი რამე, რო ნახევ რიალზე ღირდეს, ველი წააწუღოთ და აიღოთ, სირცხილია ჩონთი. წამოიარეთ სახლები, დედაკაცები შექუჩებუღიყენეს ერთ სახლჩი, ჩადრი შავები წემეესხაყე, მალევედეს რეზა-ხანის დედას და დედაკაცს. შოუტყევითყე, უთხარყე: ნუ გეშინიანყე, დედაკაცებთან საქმე არა გვოქ. მაჩენეთ ის მეთოფეები, რო ბურჯებჩი ასუღიყენეს; დადგეს ფიცილზე, რო ჩონ არ ვიციოთო. მოგნახეთყე მეთოფეები, ტანისამოსი გემეეხცვალაყე; არცრა კი არა უყავითყე, თოფები წავართითყე. სამი დღეს დავდეგით იმ ყალაჩი; სამ დღეს უკან სხო ცხენიანებიც მოიდეს და შავიქენით ოთხმოცნი; იქით წაველით სხო ყალასათი. ერქო ყაზიზ-ყაბადი; ძალიებმა დოგოყარეს თოფები სანგარებსაყე; არ შეგებოვეთყე (var.: არ გავისარვეთყე);

თურმე თოფის ვმაზე რეზა-ხანმა გაიგო თირანსაყე, მასხდეს და გამოიდეს ჩონ წინ; ასი ცხენიანი მეტი გამოიდა. გაკეთდა შულლი. **ქერედნელები** გაიქცნეს; დავცივდით ოცი ცხენიანი; ჩონ ქართველები და ბაბტაც **ქერედანის** ქურთები. ძრიალ მაგარი შულლი შაიქნა. ახლო დავირივენი, რო სივაკე იყო სუნევ („სუყელა“ დაფწერე!) ცხენებით ვშულლობდით. ათი თორმეტი ჩონყე, კაცმა და ცხენმა, ტყივა აილო. ზოგი მოკდა, ზოგი გავიდა. იმითყენაც რაქთენი მოკდა — ცხენი და კაცი: და შაველით, ის ყალა დავიჭირეთ — ყაზიზ-ყაბადის ყალა. რაქთენ დღეს ამ ყალასაყე ცოტ-ცოტა შულლი გოქონდა. იმ დღეს შულლი ვმა ჩავარდა ორდუჩი; იმ დღეს ქართველებმა ნამად ვმა ქნეს: ზოგი ორდუს ხალხს ეთქო, რო ქართველებს კარგა უშულლიაყე და ვაყკაცობა უქნიაყე და ზოგს ეთქო რო: არა, ქურთებსაო... ის ვმა მისწდა ისპაანსა: დიდი გუბინატერთან. ძრიალ გაჰხარებიყო. დეეწერა ქალაზი ჩონთან: თქენყე მამნუნი ვარო; ხალათს მოგცემყეო; არცა კი აღარა ვნახეთ იმისყე. რაქთენ დღეს იმის უკან წაველით სხო სოფელჩი. ჩონი მეთოფეებიც შამოვჰყარეთ და წაველით; ახლო ერთი დიდი წისქილი იყო და ნამად ბურჯი ჰქონდა. რაქთენი დღეს ჩონ გობარა იქავრობა. ხანდასხან შულლი იყნისყე; რაქთენ დღეს უკან რეზა-ხანმა თავის ჯარი აიყუ'ანა და ღამით და მალვით გაიპარნეს. წავიდეს ყიდრიჯანს, ისპაანთან ახლოლა იყო; დილობას რო გავიგეთ, დაქუჩდა ორდუ და მევედევენეთ ფეაზე. საღომო დროს მოვაწყდით იმ სოფელჩი. დოგოყარეს თოფები; შულლი გაკეთდა. ღამით დავცივდით მინდრად; არც პური გოქონდა, არც ჩაი; ცხენები შივრები იყნეს. სიცივეც ბევრი; დილობამდი ვიშულლეთ და დილობას მამ/სცა წიმა; შავსხედით და წაველით ერთ სოფელჩი. ხურდა (ბატარები!) სოფლები იყო. შემევერტყით ყადრიჯანს; რეზა-ხანის ჯარი იყო ათას სამასი; ორდუცა გუბენატერისა დაქუჩდა ხუთი ათასი; სადაც რო იფო საშიშო იყო, ჩონ მიგზავნიდეს, ფულს კი ჩონ იფო ცოტას გოძლევედეს. მე ჩაველ ისპაან ქალაქჩი — გუბინატერთან. წაველ სანახველათ. მკითხა: თქენ რაქთენი ხართო, ქართველებიო. უთხარ: ათი ცხენიანი გ(ვ)ყოვ მე და ასადოლა-ხანს, ოცდაათიც მეთოფე-თქო: მამნუნი ვარო. თალაქას გავიყვან თქენი ზაჰმათისაო. პატივი მცა. სადილზე დამტუმარა. მითხრა, რო ორ დღეს დადექ და ჩემთინაც მუალ ორდუჩიგაო. მე წაველ მანზილზე. ორ დღეს უკან წაველ; მითხრა, რო: გავზავნე, ცხენი შაკმაზონ და მაიყვანონ; სადილთ უკან შავსხედებით და წავალთ. გავგზავნე, ცხენი მამიყვანეს; სადილთ უკან თითანაც შაჯდა და მინაცლა რო იქ იყო მოსხილო ხალღები, წამაფ/ჰყვეს და წაველით. მზე ჩასლივ მიველით ფოლვარგანს; ის იქ თავითი, ჰუქუმათის შვილი და ძმისწული იქ იყნეს, რო ორდუს უფროსები იყნეს. ღამით დავდექ იქ. დილობას უთხარ: ჯირა მამეცი, რო წავიდე ჩონ ცხენიანებთან; მირზას დოუძახა და თქო რო: ჰასაბი ქენ, რაქთენი შაიქნებისო; დაფწერე სანდუხტართანაო; იმამაც ჰასაბი

ქნა და, რადცა რომ შაიქნებოდა, დადწერა და მომცა. ავდექ ოთახსაყე და ხოდაძე უთხარ და გამუელ. სანდუხტარს ფული გამუართი და შავე და წაველ. იყო იქით ათი ვერსი, თა ჩონ ბიჭებამდი. რომ წაველ, გოგხარდაყე: ნამა სოფელი იყო, ცხენებსათი ნამა ბალახი იყო, რომ შავდარს დაძახიან.

რაქთენ დღეს იმ სოფელში დავდექით, ჩონ ქერედნელნი. ერთი ღამეს რაქთენიმე ძალიებს დებარაყე ჩონთან: გუნდა გამოიპაროთ და მოიდეთ თქენთანო, თუ პირობას მოგცემთო. ჩონც პირობა გოგუზავნეთყე, რომ თქენ წამოდით და ჩონც გემეგეშელებითყე. ერთ დღეს ღურბინს უბემდით, დავინახეთ შიდ-რუ'ანი — თავით სანგარს გამაძსცილდეს. ბიჭებს უთხარითყე, რომ უნდა ესენი იყნენ და მოდი(გ)ოდენ ჩონთან; რაქთენი გეშელენითყე და ყეჰითათი გაქონდესყე, არამც ტყუოდენ. დავინახეთ რომ ანქით თოფები დაყარესყე; ბიჭებიც გაიქცნეს, გეშელენდესყე; ყიმათ ცხენები კი დასცივდაყე ძალიებთან, თითან კი ორი ცხენით რგანი მაძსწდეს ჩონთან. ესენი დადგეს და ჩონთან სანგარებში; ჰოქუმათს დოღუწერეთ, რომ ეგრე ქნაო და პირობა მუგუცია ჩონ ყემითი, შენც უნდა პირობა მისცეყე, რომ გულით დადგენ. გავგზავნეთ ქალაზი. დეწერა, რომ ნამა საქმე გიქნიაყე და პირობაც მეცა, რომ მიპატივებია თქვენთი ეგენი. ღამით ორი ესეები და ოთხი ჩონ გავგზავნითყე სანგარში, ქეშიქი გაძნიდონ. (სადაც გავგზავნითყე, ორი იმითყე ვქნითყე და ოთხიც ჩონყე: არ ვენდობოდით); არამც მოგოტყუვლონ, თა იქამდი, რომ ერთ დღეს თითან ჰუქუმათი და გერენალი ანგელისებისა მოიდეს, რომ მოსაზღრონ დიდი თოფებსათი ადგილი. ჩონც გავყევეითყე მინდრათ. დანიშნეს ადგილები; ჰუქუმათმა გუთხრა, რომ მომზადებული იყნევით ხუ'ალ ღამისათი. დოგობრუნა და წაველით ჩონ ადგილებზე. ხუ'ალ ღამე რომ შეიქნა, კაცი მოგუგზავნეს, რომ ცხენები სანგარებსაყე მიგზავნეთ სოფლებჩიგაო და თქენთი ხუთი საათი რომ ღამესაყე გავაო, წამოდით ძალიებსათიო. ჩონც ცხენები ჩავგზავნეთ სოფელში, რომ ადგილები გოქონდა. ხუთ საათი რომ გავიდა, წაველით იმ სოფელსათი, რომ ძალიები შიგ იყნეს. იმათაც იცოდეს, რომ იმ ღამით დევეცემითყე; რომ მიგახლოვდით, დოგოყარეს შხირად ტყივა; ყაბაბახი დაძსცხეს ძალიებმა და ჩონც ძალა მივიტანეთ; შავცივდით სოფელში; მუგუკლეს ერთი ძრიალ მოშულარი კაცი, — ქერედნელი კაცი. ჩონც იქ ერთ ბალი დავიჭირეთ და ვიშულღეთ თა იქამდი, რომ უნდოდა ინათოს; ჯერზე ათასი თოფის ვმა მოიდისყე. შამსწყდა თოფის ვმა ბაძტა. ჩონა ვთქით, რომ ბახტიარები მისხდომილან უკანაო (შამორტყომილნი ვიყნევით სოფელსა) და ვთქით რომ: გათენდების, ცოტანი ვართ ჩონა, შომოგორტყმიან, ყემ ბაღებს დაიჭერენ; არც იმდენი ფეშანგი გოქ, არც საჭმელი. ნამაა, რომ მივსხდეთ ჩონც უკან, გამუელით, ჰის თოლები იყო; ჩავსხედით ჰის თოლებში. ზოგ ზოგი კი გაიპარა, წავიდა, წინად სანგარე-

ბი რო გოქონდა, სხო სოფელჩი და ცხენები რო (გ)ყვანდა იქ. ჩონ მოიცადეთ თა მზემაჯრა. ათორმეტნი ვიყნევით იმ ჭის თოლჩი. ერთხელა ვნახეთ რო დიდი თოფისა ჳმა მოიდა: მივიხედეთ, ვნახეთ რო ბოლი გაძაბა; კარგათ გუგუხარდა; თოფები დეებაყე იმ სოფელსათი, რო დალიები შიგ იყნეს, ორივ ჳარასაყე. ემ თოფებმა რო გაათავა, სხო თოფების ჳმა მოიდა. რო მივიხედეთ სოფელსაყე, გართი (= მტერი) ბოლანაღე აღიოდა. ჩონც სიხარულით წამოვცივდით. გავიქენით. შავცივდით სოფელჩი, ძრიალ წყეტა და ჟმეტა იდგა, ორი ჳარასაყე. თა სადილობამდი ვიშულღეთ და დავიჭირეთყე დალიები. თითან რეზა-ხანი და რაქთენი სარ-ქერდა(ჰ)ი დილას ხანი გაპარებულყნეს. მაშინ რო შამოვყარეთყე დალიები ერთ სახლჩი, რომელსაცა ვჰკითხეთ რეზა-ხანიო, თქენი უფროსებო, სად არიანო, თქეს რო, შუა ღამის უკან აღარ გუნახავო; უნდა რო გასულიყნენო. შაქუჩდეს, რაცლა რო ბახტიარების სარდარები იყნეს იმ სოფელჩი, ოთხასი ცხენიანი მადვენესყე გერივაც რეზა-ხანს; ჩონცა... რაცლა რო დალიები იყნეს, ორ დღეს უკან ზინჯირები დადვესყე კისრებზე და დააყათრესყე გზაზე; რაცლა რო ნათირალები იყნეს, ისებიც შეყარეს ცხენებზე, მოედვენეთყე, ჩავიყვანეთყე ისფან-ქალაქჩი. რამოდენი ხალდი მოეხვა სასეილოდ. იქითაც რო ცხენიანი მეედვენა, წემეეწივნესყე მთებჩი. ორ-სამ დღეს უკან ჩონც გაველით. რო აველით ნაჯაფ-აბადს, დეჭირაყე. მოჰყვანდაყე. დავბრუნდით და ჩამოვეყვითყე და ჩამოვედით ისფან-ქალაქჩი. სულა რო დავიჭირეთ, იმაშინ დადგა სარდარი-ჯანგმა იმების ჳოცვაზე. ერთ დღესა რუა მაიყვანეს და დარზე აფილდეს. პირველად შაჰ-აბაზ-ხანი აფილდეს დარზე; ქვეყანაზე (var.: დუნაზე) იგეთი ვაჟკაცი არ იყო. იმაშინ ხალდმა თქო (ბახტიარებმა და სხო ხალდებმა), რო არ ვარგაო, რო ესეები დაიჯოცნენო; იყნენ ჳერაო დუსალ-ხანაჩიო. იმის უკან ის კაცები აღარ მოკლასყე სარდარი-ჯანგმა. ხოდა, ჩონა რო იქთენი ზაჰმათი გოზიდნა, მეველოდებოდით, რო დიდ პატივი გცეს (= გვცეს); საღამოს წაველ სარდარი-ჯანგთან, უთხარ რო ჩონი თაქლიფი რა არი მეთქინ. მე მეგონა, რო ისეები, რო დოგპირებია, აათავებს. მითხრა, რო ბევრი თქენი მამუნნი ვარო; თუ გინდა წასლაო სოფელჩიგაო, წადითო ღმერთის ომიდითაო, ემის უკანაო თალაქას გავიყვანო. დავბრუნდი და წაველ მანზილზე. დილობის, რაცლა სასყიდი გოქონდა, ვიყიდეთ და შავსხედით ცხენებზე და წაველით ქერედანსათი, რო გზას ხარჯიც აღარ მოგცა სარდარი-ჯანგმა.

ოთხი თე ნახევარს ორასი თუმანი ჩემი ჳიბესაყე ცხენიანისა და მეთოფესი დავხარჯე (ორნი ვიყნევით: ათი ცხენიანი გყვანდა და ოცდაათი მეთოფე). წაველით მარტყოფჩი. ოთხი დღეს გზაზე ვიარეთ...

იმის უკან ელ ემ სარდარი-ჯანგმა თავის ძმისწული ამოგზავნა ქერედანჩი — ჰუქუმათად. ისი რო ქერედანელთა ყიმ წელს ბევრი ღონები ყნეს: ცხენიანი და მეთოფეც მეეცაყე და პატივისცემა უნდოდაყე. იმის ავაზი იმ წელს ხალდი ითანალალა ჰოქუმათმა. მე რო წინათ წელსა

სამოცდაათი მეთოფეთი ელ იმას წავყოლიყავ, მაღიები დოგოჭირა და მოგოყვანა — დომაბისაყე (ყალა არი!), იმ წელსაც ოთხი თეს ცხენიანი და მეთოფეც იგდენი უღონებიაყ. რაქთენჯელაც დაჰპირებიყნეს ხალათსა და რას მოცემთო, იმის მაგიერ ერთი ცხენი წამართო, რო სამას ორმოცდაათი თუმანი ფასი ჰქონდა. ქურთები, რო ბახტიარები იყნენ, ეგრე გოწუხებენ.

მინაც რო წაჰკითხავს, გული დეეწოს ჩონთი! ცხენის გარდაჲს ორი ათასი თუმანი ფულად გომოგორთო ილ იმ წელს მარტყოფსაყე და სიბაქსაყე და ჯაყყასაყე. ერთი ათას თუმანიც (ელა) ხარჯი გოგოზიდნა. ესე კი ათავდა!

VI

იმ წელს მოიდალა ზამთარი და ზამთრის უკან, ზაფხულჩი ამოიდა ჰა/ექიმი ისფაანსაყე. დიდი ჰაქიმი ისფაანისა სარდარი-ჯანგი იყო. (თოვლის გაფი ვთქი: თოვლი ჯერ არ ადგომილიყო **ქერედანს**). რო მუგუთხოვა: მოდი თ ვნახოთ ერთმან ერთიო; **ყ**იმას ეძახოდეს, ნამაი ჰაქიმიო. შავსხელით ცხენებზე და წაველით მე და მად-ყული-ხანი და ალა-მამად-ხანი. ორი ყოჩი წოუყვანეთ და წაველით სანახველად; ვნახეთ, გომოგორთო ოთხას თუმანის ქალაზი: იმას დაჲძახიან თაყდიმი (მეტი ფულია, რო პირველ დათანალების ფედს ჩავდება არი). იმის უკან ცო-ცოტად ბოჰნა მოგუგონა. იმის უკან ჩემი ახმანაგებმაც, რაც რო უთხარყე, არ დაიძრეს, რო წავიდეთ ისპან-ქალაქჩი და წავიდეთ თეირანს. რო მოვსწყითოთ ემისი გული, რო აზრი ჰქონდა ფულის გამორთმას(ი). რაქთენ დღეს იმის უკან გუმუგუგზანა შიდ-რუა ცხენიანი, რო ესე თქენი ნებ-ელ-ჰუქუმა იყოსო. დოგოჯდა თავზე, დღეჩი გთხოვა რაქთენი ხარჯი (ხარჯი ელა კმარა?!). ბენა ქნა ემისი და ამისი დაჰკრასი და ღამით ღონებასი, რო კაცის თა დილოზამდი ორმოცდაათ თუმანი ფული მოჰლათუნა, რო აღარ ჩოგყარონ ალედ თითებჩი (ფარსულად ეშქელაქს იტყიან). დილობის ჩონც დაჰქუჩით და ისენი კი გავრეკეთყე, ის ცხენიანები სოფელსაყე. წავიდეს ჰაქიმთან; იმამაც მისწერა ისპანის ჰაქიმთან. იმან დოუწერა რო, ესეები (ქართველის ხანები) ჩამოიდენ ისფაანსა, თუ არა და რაქთენი ფული გამაართიყე. მე უთხარყე ამხანაგებს, რომ წავიდეთ ისფაანჩიგა მეთქი; თქეს: გოშინიანო, რო იქ მამშელელებელი არა გყოვო და თითან დუგუჭიროსო, რო სარდარი-ჯანგი იყოს ბახტიარი. იმ წელსა ილ იმ ჰუქუმათმა, — ერქო ქაქი-ელ-მამალიქი, — იმ ოთხას თუმანის გარდაის გოდოგოჯდევინა, წოგორთო ათას ხუთას თუმანი გერივ. შამოდგომაჩიგაც მოიდა ორმოცდაათი ცხენიანი, ოთხი ღამესაც სტუმრადა გყვანდა და წავიდა: სამოცდაათ თუმანიც იმაშინაც გომოგორთო: იმას დაჲძახიან ფულედსოქრა. იმაშინაც გოწუხა ხარჯითა და გომორთმით და წავიდა. ჩონი ესეები — ერთი შად რო კაპიკი იყოს, გადასაჯდელჩი არ არი, ისეები გადასაჯდელი გერივაც სხო გოქ, რო

ჰქიან მალიათი, და სარბაზი. ყემეების უფროსიც სხო'რი; ის უფროსებიც რო მოვლენ ემეებსათი, თავრობისაყე კი ნება არაყე, რო ხარჯი, რო საჭმელი და სხო და სხო იყოს, გომოგორთონ, ყამმა გორთმენ, მეტსაც გორთმენ.

ყიგეთ ადგილი გოქ ჩონ, ქართველებს.

VII

იმის უკანა წელი, რო შარშა იყოს, ჯერ ზაფხულში არ გასულიყნევით (ჩონ), რომ ჰქიმი მოიდა დარანს. კაცი მოგზაგნა (თოვლი გერიგ გოქონდა მიწაზე), დეეწერა, რო იმისი, რომ გატყობინებყე რო მოსულვარ, სამოცდაათი თუმანი მიეცით ემ მაგ კაცს, ორმოც თუმანი მარტყოფსაყე, ათ თუმანი სიბაქსაყე, ათ თუმანიც ჯაყყაყსაყე. ათ თუმანიც ჩუყურეთსაყე (ნამა კი გაიგე, ეს რა ქნდა?!). მოგკრიფეთ, მივეცით და წამოიდა. რაქთენ დღეს უკან გუმუგუგზაგნა ნაგებ-ელ-ჰუქუმა შიდი-რგა ცხენიანით. გუთხრა რო, თქენ წადით სანახველად ჰქიმთან. ჩონ უთხარით, რომ ესლა რო შენ თავი გომოგზაგნია, ჩონ რაღა წას(უ)ლა გოქ, თქო რო, წადით, მიეცით თაყდიმი ათას თუმანი, ის დადწერს, რო მე ავდგე ექით. ჩონც შავსხედით ცხენებზე და წაველით მად-ყოლი-ხანი და აღა-მაჰმად-ხანი და მეც, რო სეფოლა ვარ; წაველით ჰქიმთან, მოგვთხოვა ათას თუმანი. ჩონ უთხარით: ან შენა და ან სოფელი: არ გოქ — მოგცეთ. გუთხრა: ველნაწერი ქალაზი მომეცითო, რო წელს არ გაიარნეთ იმ სოფელში. ორ დღეს ისლა რო გუმუგუვიდა, თაქრა ვქენით და ვიუბენით თა ძლიგ ჩამოიყვანეთ ექსას თუმანზე. ქალაღლი გუმუგურთო, რო ათი დღეზე მოუტანოთ და ჩონ შავსხედით, წაველით სოფელში. ის ნაგებ-ელ-ჰუქუმასაც არ ააყენა, რო დოუძახოს და წამოიდეს. დადგა იქა და ის ღა რო გომოგვიდა, ხალღი ჩუყ(უ)რეთსაყე და სიბაქსაყე იჭირა და ფული ართო. თოთხმეტი ასი, ათას ოთხას თუმანი (ისიც ითქმის!), გამაართოყე; და რაქთენ დღეს უკან ეს ჯმა ჩავარდა — ქართველებს ფული გამაერთმისყეო, უპატრონონიაო. გუბინატერმაც, რო ჰქიმი იყოს, იმამაც ადგა (var.: ისიც ადგა!), აიყვანა ორასი ცხენიანი და მოიდა მარტყოფში, დოგოცა თავზე. ორ დღეს უკან გამართა კაცების ჰერა. ხანები დუგუჭირა, ხუთას თუმანი გომოგორთო. ბეგრიც გოღონა. სხვებიც დაიჭირა, თითოს სამას თუმანი და ორას თუმნები გამოართოყე. ალეები ჩოგყარიანყე იმ კაცებს, რო ჩონ გუგუგია, რო მოპარულ საქონელი (თ)ქენსა არიო. ტყუგლად ემეებმა რაც იფიციაანყე, რო ეგეთ ზადი, ეგეთ გაფი ჩონ არ გუგუგიაო, უთხრიანყე, ცოტა კი იყაბულეთო. რო აღარ ვაღონოთო და თქენი ჯორმი ვავჭრათო (რო ვაკეთვა იყოს). იმეებმაც თქიანყე რო ნულარ გოღონებთო, — ეს თქენა და ესეც ჩონ საქონელიო; რაც გინდაყე, გომოგორთითო, გამაართიანყე

ქალაზი, რო ხუთი დღემდი, თუ ეს სამას თუმანი არ მაღეცო, ექთენი გერივ მოსაცემი იყოსო. იმ დაგსილებმა რაღა თავზე მიწა იყარაყე. წავიდი-ან, რაცღა რო ჰქონდაყე, ცხორი, ხალიჩა, — ჯარები უღელსაყე გომოუშინაყე, გაყიდიანყე, ფული დააქუჩიან და მისციან. მამულები დააგირავიანყე (ბეჩი ჩააგდიანყე) და მისციან. ცხრა დღეს ემ ჰაქიმის ხარჯი ვეზიდეთ, დღეჩი ორას თუმანი. იმის უკან, რო წავიდა, ჰასაბი ვქენით, ხუთი ათას თუმანი ფული წველო ჩონყე, ორი ათას თუმანიც მეტი ხარჯი გოგოზიდნა. ყის საყენო მალიათი რო გოქოთხას თუმანი ბაღტა მეტია. იმის გარდაჰს სხო არ გორგების, რომ მიეცეთ; ეს ექთენი რო ჩამოვთოლე, სუ ძალით წართმეგლია ნახევ წელზე... ხოდა, ჩონა და ჩონი რაყათები რაღა დავცივდებით, მუღამ წელებჩი რო ეგთენი გორთონ გერივაც. გერივაც ჩონ ქართველები ვიყნევით, რო ეს ცოტა მამულები შავინახეთ და ნახერაზედა ჯანი გუღვა. ეს კი ათავდა!

VIII

ზამთარჩი მოვთხოვეს ყაზახები (წინ სარ-ბაზს ვაგმარებდით, ახლა ყაზახები), რო მოამზადეთო და ზაფხულჩი ამოვალთ, წავიყვანოთო. ჩონც ნაგრუხთ უკან შავსხედით ცხენებზედა. წავედით მოყაზამ-ულ-მოლქთანა, რო წინა ებარა ყიმასა ეს ყაზახი და სარბაზი და ჰუქომათიც იყო წლეგანდელი. მად-ყული-ხანი იყო, ალა-მაჰმად-ხანი იყო, მე და ჩონი ნასროლა-ხანიც წამომყოლიყო მე. ჩაველით ჩადიგანს, ყელ იმ ჰოქუმათის სახჩი. ორ სამ დღეს დავდეგით იქა, ნამაი პატივი გცა. გუნდოდა, რო ორნი დაგბრუნდეთ სახსათი, ორნი მოიდეთ ისფაანს. მე მარტოკა... ხანები დაბრუნდეს სოფელსათი, მე და ნასროლა-ხანი და ქერბალა ასადოლა წაველით ისფაან ქალაქჩი. დავდეგით იქა, ოციოდ დღეზე მეტი იყო, ერთ თეს. და წაველით სოფელსათი, გზაჩი გავიგე, შუა გზაჩი, რო თქენ ქართველებსაო და ბახტიარებსაო შუღლი აყე. ოუჩიქარავეთ წასლას, რო მალე მევესწრათ. პაღტა, ერთ რაქთენი ფეშანგი მიგქონდა, რო მალე მივასწრათ შუღლს. ღამით მივედით მარტყოფჩი. ჩონ მეთოფე სუ, რაცღა იყო და ხანები, გარდასულიყნეს სიბაქს; თურმე იმისყე წინა დღეს შუღლი გაკეთებულა დადრიგაანს და ვარიბიდს (ჩონ მამულებია!), ჩონი მამულებჩივა, რო ქურთებს ეწადაყე ძალით დაიჭირონ. ჩონ ქართველები გლეჯდეს ქამასა, ცოტანი იყნეს, თა ჯარი მეესწროყე სიბაქსაყე და ბაღტაც მარტყოფსაყე, რაცღა რო მინდორჩი ყოფილიყნეს; (მინაც მინდორჩი გავა და თოფიარალი აქ, წაიღებს: ეგეთ ადგილები გოქ!) ყემ შუღლჩი ერთი ნამაჰ ვაყკაცი მეეკლაყე ჩონთი, ორ სამსაც ტყივა ეელო, ჩონებსაც ერთი იმითი მეეკლაყე, ორ-სამი ტყივა ეკრაყე, ძალა მეეტანაყე იმით ჩადრებთან, ორი

ჩობან ცხორი (ოთხასი იყო) წვერთოყე, წმემერეკაყე სოფელსათი, (რაქთენიც) თერთმეტი ბახტიარი დეეჭირაყე გზაჩი და წმემეყვანაყე. იმ დღეს ეგრე გეეარნა და მოიდეს სიბაქს. მეორე დღეს შაქუჩდა ჩონი მეთოფე სულ: სოფელ მარტყოფსაყე, ჯაყაყსაყე და ჩულურეთსაყე, — დაქუჩდეს სიბაქს. იმათ, ბახტიარებს თას ფეწები ეჭირაყე. ჩონ მეთოფეები წინა სალომის გასულიყნეს, დღე-დღე აბარებიყნესყე, თას წერები (კინწიხები), რაცღა რო იყო, შეეკრაყე (ცეცხლების ჩონ ქართველები!). დილობა რო გათენებულიყო, ქურთებს რო შეეხედნაყე, თები სუ შაკრულია მეთოფეებით, ექითაც მეთოფე მიდის და ცხენიანი, აყრილიყნეს და გაქცე(გ)ლიყნეს. თავით მეთოფე დადგა შულსათი. ეხლა რო დააყარესყე, ისინიც გაიქც(ნ)ეს, თქეს: გუგუშით, გავიდეთო და თქენ მამულეზჩი არც როს აღარ მოვალთო. თუ კი ყიმ დღეს ქართველებს სწადებიყოყე დაჯოცონ, ბეჯრს დაჯოცდეს. უკანსაყე გოშინოღაო, რო ყიმებსა ჰყავყე დიდი პატრონები. ყიმათ წავიდეს საჩივრათ თავით პატრონებთან, რო ილ-ხანი იყოს ილ-ბეკი. იმათა დაფწერეს ქალაზი ჩონთან, რო ცხორები მიეციოთყეო და ეგ დაჭერილები რო გყავყო დუსალჩიგა, ეგებეიც გოუშითყეო და ის, რო გოუვლია, აბა დასწერეთო ჩონთანაო, ყაბა რა ქნილა, როგო ქნილაო... მოიდეს, ის წერილი...

რაქთენ დედაკაცებმა, ქურთების დედაკაცებმა ტალახები დაეცხოყე თავზე და მოიდეს მარტყოფჩი ცხორებსათი და კაცებსათი. ჩონც ის ცხორები და კაცები ვაბახშეთყე, ვაპატივეთყე, იმისთი რო იქა რასმი და ყანონი ის არი, რო დედაკაცი რო წავიდა, ტალახი დაიცხო, რაც რო იყოს, სისხლიცღა რო იყოს, აპატივებენ. მივეციოთყე და დაჭერილებიც გოუშითყე. ჩონა კაცები გაგზავნეთ ჩალახორჩი ილ-ხანისთან და ილ-ბეგისთან, დავწერეთ რო რაქთენი კაცი მოგზავნეთ და რესიდაგობა ქნან.

რაქთენ დღეს უკან ყათი ცხენიანი მოიდა. ყიმაშინ ყაზალების წყყვანასათიც მოსულიყნეს მარტყოფჩი და ყაზალებს ვაძღვედითყე თაურობასათი. ოცდათრამეტი მარტყოფსაყე ყაზალი ვიყნევიოთ მისაცემნი. ხოდა... ის ქურთები ბაძტანი დადგეს იქა, რო მარტყოფი და სიბაქი იყოს; ბაძტანი გავიდეს ყიმ ქურთებჩი. გერივაც მოსულიყნეს ჩონ მამულეზჩი, ორ-სამ დღეს უკან რო გამოიდეს, ის მამურები ქურთებსაყე ჩონ სოფელჩი, გუთხრეს, რო ათას ხუთას თუმანი მოგეციოთო და ყემეებს აყყრითყე და გავრეკთყე თქენ მამულეზსაყე. ჩონ უთხარითყე, რო წელს ხუთი ათას თუმანი ზარარი მოგვდომია ყემითყე, ეხლაცა ექთენსა გთხოვოთ, ჩონ არ გუმუგუვა. რაქთენ საუბარის უკან დოგჯერდეს ათას თუმნად, რო ქალაზი მიგვცეთყე და წავიდენ, ჩონი ყანები და დიკეები რო გეეძოვაყე ქურთებს, იმის თოლა გუმუგურთონ და ის ქურთებიც გარეკონყე და იმაშინ მოი-

დენ, — მივცემთყე ათას თუმანი; ესენი წავიდეს და ყიმათთანა და დაბრუნდეს. გერივაც მოიდეს და ფული მოგთხოვეს. ჩონ ხალდმაც თქეს, რო როსაც ჩონ ზარარები გუმუგურთეს, (ი)მაშინ ფულს მივცემთყე: თუ არა და, არ მივცემთ. ყემაზე ჩონ შუა, მაყმურების შუა ყაირივა გაფი. ყიმათ გერივ გაგუვდეს და წავიდეს მალეზჩი. იქით ქალაზი დასწერეს ილ-ხანისთან და ილ-ბეგისთან.

იმათაც გამოუგზავნეს ორი თავითი შვილები რაქთენ ცხენიანით, რო წავიდენ ყაზალები წინა ალიგუდარს (დიდ სოფელია!) და მიაბარესყე, რო თუ ქართველებმა ეს ფული არ მისცესყეო ჩონ გაგზავნილებს, — რო წინ გოგოგზავნია მაყმურები ქართველებთან, — თქენ რო მიხოლთ საქართველოში, ყუნდა გომოოროთოთყე და მისცეთყე ყემ ჩონ კაცებს ათასი თუმანი. ყექითაც ჩონ ქართველები რაქთენ წერთეთრები მარტყოფსაყე წავიდეს დონბენიას (სოფელია ქერეფდანიას: თილიფანი იქ არი: იქით ლაპარაკს დაიწყობენ ისფან ქალაქი), რო თილიფანი ქნან ისტაანს გუბინადერთანა და აღაფუნებთან — რო ჰაჯი აღანუროლა იყოს და სხვებიც. ყიმან მისწერა ჰუქუმათთან; ის ჰოქუმათი ელ ემ ბახტიარების უფროსების ბიძა იყო... დოუწერა რო: კაცი გაგვზავნენ ქართველებთან და იმათაც დოუწერესყე, რო ნუ აღონებყე ქართველებს. ერთ ქალაზიც დოუწერაყე ილხანის და ილბეგის, — რო ბახტიარების თელი ჰოქუმათობა იმათ აყე; ის კაცი — და... ამოიდა ისტაანსაყე მარტყოფი. ჩალახორსაყენაც მოიდეს ის ორი უფროსი სამას-ოთხას ცხენიანით, რო გადიარენ და წავიდენ ალი-გუდარს. დადგეს სიბაქს; ორი ღამეს ხუთას თუმანი მეტი სიბაქელთ ხარჯი გაფიიდეს და ყქით წავიდეს ჩუყურეთსათი; ორ-სამი ცხენი სიბაქელთი წეეყვანაყე ქურთებს, რო ბონა ყეეკიდაყე და კაციც გემეეგზავნაყე მარტყოფი ჩონთან რო: რასთიო არ გადმოხელით ჩონ სანახველად; შასხედით და მოდით ჩუღრუთსაო. ის კაცი რო მოიდა მარტყოფი, მე შავვე ცხენზედა და ერთი ჩემ კაციც და წაველ ჩუღრუთს. იმ სხო ხანებმა, ჩონებმა თქვეს, რო აბა შენ წადი, რო ვნახოთ, აზრი რა აყე. ორ საათი ღამე გასულიყო, რო მიველ ჩუღრუთს; სახლები სუ სავსე იყო ცხენიანით, აღონებდესყე ბრინჯსათი, ყანდისათი; ჩამოვვდი და ჩემ სიძეს სახლჩი რო შაველ, ქურთები წინა ნაცნობები იყნეს, ამხანაგები. პადტას ხანს დავსხედით და ჩამამყვეს; ჩაველით უფროსებთან: ერთი სამსამოსელთენას (თელი ბახტიარის უფროსია) ბიჭი და ერთიცა დიმის ბიძაშვილი; მიველ, ჩადრჩი ისხდეს. ბევრი მდიდარე ხალდები თანა ჰყვანდაყე. პატივი მცეს. გოუხარდაყე, რომ წასულთყავ სანახველად. სამსამოსელთენას ბიჭმა, რო ერქო ჩერალ-ალი-ხანი, — ლაყაბი ჰქონდა სარდარე აშრაფი, — ესე გამიამხანაგდა, მითხრა, რო თფილისი არ გინახავო? უთხარ: ყარა მეთქი. თქო, რო ორ

წელ წინა ფარისაყე მუელ თფილისჩიგა; ქართველებსავით ხალდიო ღმერთს არ გოჭჩენიაო დახატულობითაო და ვაჟკაცობითაო; შენ რო მოგხედეო, მამაგონდა ის ქართველებიო. ავად გავჯდიო, დიდი პატივი მცესო, ღოქტორები დამაყენეს თავზეო, ჩემი ჯანი იყიდესო ქართველებმაო. იმის გარდადს ერთჯერაც მისულვარ თფილისჩიგაო, ფული ნაკლები მქონდაო, ფულიც მამცესო და ბეჭრი პატივიცა მცესო. ყემამ, სამჯელ ავდგიყე, რო წავიდე, დაჭწვე, არ გამიშისყე, რო: დაჯე, ვიბნათო, რო აბა თქენ ქართველები როგო გამოსულხართო. მეც, ისლა, რო ვიცოდი, უამბე: ყემამ ყემ ქურთებთან იქთენი ქართველები აქო, რო მე იმ ხალღებთან აჭმალდი. ყიფო მეტი ჩამივარდა გულჩი წამოსლა საქართველოსათი. დაწყობილი კი მქონდა და ყემის საუბრებმა იფო დამაჩიქარავა. იმ ღამესლა აჭდექ და წაველ, დაჭწვე; დილობას რო აჭდექ, კაცი ემეეგზაჭნაყე ჩემთი. აჭდეგ და წაველ იმათთან. მითხრეს, რო ეს ათას თუმანი ქალაზი რო მიგიციყე, ყემ მამურებსათი, მაგე (მაცა და მაგე ერთია!) არ გინდაყე მისცეთყე; ის მამურებიც ილ იქ იყნეს. მე უთხარყე, რო როსაც ქართველების ზარარები გამართესყე ამ სხო ქურთებს, იმაშინ მიჭცემთყე. ყექ ჯარი (= ჯავრი) გომოგუვიდა. ბეჭრი ვიჯაჭრეთ ერთმანერთთან. ისენი ორმოცი ლაპარაკობდა ჩემთან; მე კი მარტო ვიყავ და ყერთი სიბაქელიც თანა მყვანდა. უთხრესყე რო უფროსებმა ცხენები შაკმაზეთო და წავიდეთო. ყიმაშინ მამაგონდა, ცხენები რო წეეყჭანაყე სიბაქელთი. მოჭთხოვეყე; თქეს: წავიყჭანთო და დავაბრუნებთო. უთხარყე, ელ ეხლა უნდა მადცეთ და გამუართიყე. შასხდეს ცხენებზეგა და ხოფ-ხოფზე ღუგუგდეს და წავიდეს. მეც დაჭბრუნდი და გარდმუელ მარტყოფჩი; ისენი რო წავიდეს, მეთოფე მაითხოვეს მალღებსაყე, რო ქურთები იყნეს. ესეები მოიდიანყე პირველად ჯაყაყეს, შიარ ქურთები, ღამით დადგიანყე იქა, დილობას ჩამოიდიანყე სიბაქს; მეორე ღამეს გადვიდიანყე ჩულრეთს (var.: ჩულრუთს). ყემ სამი სოფელის შუა არი ათი ვერსი. ყემ ათი ვერსზე სამი სადილი და ვაწშამი ჭამიანყე და წავიდიანყე. რომელმაც რო ნამა ვერ აჭამისყე, წავიდის, შასჩიჭლის იმ ორი უფროსს, ყიმათ გამოგზაჭნიანყე ხუთი ცხენიანი მამურად, გადააჯღევიანიანყე ას თუმანი, დაბლა, მეტი.

რაქთენი ღღეს უკან ჰამ სიბაქს, ჰამ ჩულრუთს, ჰამ მარტყოფჩი მოგზაჭნეს სამ დასტა მამური; მე და ასადლოლა-ხანი შავსხედით ცხენებზე და წაველით დარანს, ქერედდანის ჰაქიმთან და ყაზაყების უფროსთან. ყაზაღების უფროსი იყო დავარ-მამსადღე-ხანი და ჰაჯი ასადლოლა-ხანი. ყიმათ უამბევითყე: ყეგრენ არი გაფიო; რა ვქნათო? ყიმათ პირობა მოგცეს, რო ნუ გეშინიანყეო. წადით, ჯავაბი ქენით და გარეკეთყეო, ყემ ყათას თუმანსაყენაო ერთ რეალსაც ნუ მისცემთო და გარეკენითყეო. ჩონც შავსხედით

ცხენებზედა და დაგბრუნდით მარტყოფსათი. მუელთ, მარტყოფი იყნეს, გაგრეკეთყე. რო წავიდეს სიბაქს იმით ჯარი, მეთოფე მოდიოდა და შაინახეს და სიბაქი დაიჭირეს. სანგარები შაკრეს; მარტყოფსაყე სიბაქამდე არი შილი-რუა ვერსი, თა შუაზე აქ. ჩონცა მეთოფეებს დოუჭეხეთყე, რო თოფიარალი შამაიკარითო და დიათ. იმათ, მეთოფეებმა ავიდეს, ქვყარილი (ქვები ყრია ბევი: ქვყარის დავახით) შაკრეს, თას წერები, სარმალი (თა არი). ბადტას ხანს უკან ამბავი მუგუტანეს, რო თოფის ჳმა მოდიოდაო ბიჭებისაყე. შავსხედით მე და ასადოლა-ხანი: თითო ერთი ცხენიანით ცხენებზე და წაველით ჩონ მეთოფეებთან. მიველით ქვყარილი. ბიჭებს კვითხეთყე, რო თოფის ჳმა რა იყოო? თქეს, რო ხუთ-ექსი ცხენიანი ქურთებისა მოდიოდაო სანგარებსათიო. დავაყარეთყე და გოგოქცნესო, დავიჭირეთ ორი ქურთიო და თოფი და ცხენი წავართითო, გოხეწაო, რო მე გოთანდელი ვარო, ქურთი არა ვარო (გოთანდი ერთი დიდი სოფელია, შუშთართან არი, დიდი ხალღებია, კამეჩი, ძროხა ბევი ყავყე, ვაჭრობა ბევის იქმენ) ...ხოდა ის გუნდოდაო, რო ჩამოგზავნოთ სოფელიო... და შოგობრალოაო. იჭირაო და მივეციო გერივა... ის ორი რო გოგოქცნესო, სარდარი ჩარბორი იყო და ერთიც სხო თავითყეო... ჩონც ღამით დავდევით დიზებჩი (დიზები ყარი ჩონი ადღალის სახლები და აღილები), მეთოფეებს დოგკივლეთყე, რო იქ რაქთენი დადევით სანგარებჩი და ის სხუები ჩამოდიოთ ჩონთან. ჩამოიდეს ბიჭები ჩონთან. ღამით ძრიალ სიცივე იყო. კაცი ჩავგზავნეთ სიბაქს, რო აბა ის ქურთები აღონებენ ჩონ ქართველებს თუ ყარა? აბა ბევი არიან თუ ცოტა, რო ჩავიდეთ, დავიჭიროთყე. შუალამ კაცი მუგუფიდა იქით სიბაქისაყე, რო ემითი დაჭერა ყასანდიო. უკანსაყე გოშინიანო, ჩონ ქენარზევა ვართო და მოგხედონო. ჩონც აღარ წავედით და დავდევით ილ იქა დღისით. დილობას მივაბარეთყე და ჩონა შავსხედით, ჩამოველით სოფელი, მარტყოფი. მეველოდებოდით, კაცი გაგზავნული გყვანდა ყაზალებთან, — რო იყნეს დარანს, რო ყიქით თავრობისაყე ერთი რაქთენი ყაზაყი ჳამდადად მუგუფიდეს, რო თუ შუღლი გაკეთდა და რაქთენი მოკდა, თავრობის ფევი შუაჩი იყოს. ჩონ კაცი რო მოსულიყო იქით, ყაზალებსაყე, ეთყოყე, ამალამ მოვლენ ყაზალები თქენთანო. იმ ღამითცა ველოდეთ, არ გამოჩდეს. ხვალე რო შაიქნა, შავსხედით ხანები სუნვი, ოცი ოცდახუთი წერთეთრები ავიყვანეთყე და წაველით ყაზალების უფროსთან: იავარი იყო. ყემას უთხარით, რომ ყექით პირობას გოძღვთ და ყექით კი არ გოშელებით და გუმტყუნდებით; ექსიდე დუშმანთან შოგჭიდეთ და არ ვიცით, ეხლა რა ვქნათ. თუკი დოვლათი გოშელების და ველსა კიდებს, მუგუშელიავეთ ყაზაყი რაქთენი და ერთი რაქთენიც თოფიარალი მოგეციო; თუ არც ერთს არ იქთ, მაშ ყეჯაზა მოგეციო, რო

რაცღა უნდაყე. მივცეთყე და დავისხნათყე. გუთხრა რო: ღღეს და ხუალ დაღეგით (დანი გაჩერღით ექაო!) თიღიღანი ვქნათო თქენა და მეცაო — ისტაანსაო, რო ფასუხი რა მუგუვა. ჩონც მუელით ჩონ მანზიღზე. ღამით, მეორე ღამეს კაცი მუგუვიღა ჩონ სოფელსაყე, რო სიბაქს და ჯაყჯაყს გამაართესყე შიღას თუღანი, და ბაჰადორესელთენასა და სარღარე აშრაფს ერთ ქაღაზი გემეგზაღნა, რა და ჰეზარ თუღანს (რო ათას თუღანი იყოს) მარტყოფსაყე მაღცემითო თუ არა და ათასი ცხენიღანით მუღალ, გავსწორებ თქენი სოფელსაო. გერივაც მივეღით ჟიმ იავართან და უთხარით, რო ეგრენ არიო. ფიცხღავ ხუთი ცხენიღანი ყაზალი გავგზაღნა ჩონ სოფელჩი. ისენი რო წასულიყნეს, ის ქურთები, იმ ჩონ ორი სამი სოფელსაყე წასულიყნეს თავით ღიღებთან. მეორე ღღეს ამბავი მოგუვიღა, იქ რო ვიყნევით, რო ქურთები ჯერ კი წავიღესო და აღარ ვიციით, როსღა დოგოცემიღან ჯარით. ჩონც ექ დავაწყევით ერთნი ჩამოიღეთ (წავიღეთ) ისბაანს და ის სხუები კი დავბრუნღეთ სოფელსათი, რო ვნახოთ რა ქნღების. მე წამუელ ისბაანს, სამ ღღეზე ჩაველ ისბაანს (ოცღახუთი აღაჯია!). წაველ თავრობასთან. ორ-სამჯერ პირობა მამცეს, რო თუ შაიქნა რამე, მეგემელებითყეო. ქაღაზი მისწერეს სარღარი აშჯაჟთან (ესეც ღაყაბია), ჰოქუმათი იყო ისბაანისა (ორი სარღარები რო ვთქი ჟემათი ბიღა იყო!), რო რა უნდაყე ჟე თქვენნი ბიჭებესაო ქართვეღებისაყეო, რო წელს გოსმისო, რო ზაფხულსაყე თა ექამღი აღონებენყე და ფულს ართმენყეო. იმასაც ღეეწერა იმათზე ქაღაზი, რო მოშორღით ჟემათყეო, ნუ აღონებთყე ქართვეღებსაო. ის ქაღაზი გავგზაღნეთ ტიღიღანით ქერეღდანსათი. მეორე ღღეს თიღიღანის ფეგზე დამიღახეს; რო წაველ, იყო ჩემი ბიღას ბიჭი და თხუთმეტი სხო წერთეთებები; ჩონ ბიჭები რო მაჰყოლიყნეს იმათან დონ-ბენიას... (იღ ის თიღიღანი იქ არის: პირვეღი სოფელი ქერეღდანისა, ისფაანსაყე რო მიღის, იქ არის); ჩემ ბიღას ბიჭმა ღემეუბნა, რო რას იქ ე მანღაო, რო ბაჰადორ-ესელთენა ხუთასი ცხენიღანითაო და რაქთენ მეთოფეით ჩონ სოფლებჩი ცეცხლს ანთებს: ჩონ რა ვქნათო. მე ჟუთხარ რო: დაღეგით, მაიციღეთ თა საღომის დასტურელამაღს მოგცემყე. ძრიღლ მეწყინა და ავღღექ, წაველ თავრობასთან: წევეშუღღეყე, რო თუ გინღოღაყე, რო ქურთებს გოგოთავებინოთ, მაშ გეთქოყე, თუ არა და ეს ქენ, ქაღაზის მიწერ-მოწერა ჩონთი არა არი რა. მითხრა, რომ დოგოცაღეო და ამაღამ ჩონთი მოიღაპარაკებთო და ღიღობის, როგონაც გინღა, ვიქთო. ავღღექ, გამუელ, წაველ სხოგან: რაცღა უფროსები იყო, წამოიარე და სუყელა ჯნახე; იმ ღამით არ დავიღინე. ღიღობას რო წაველ, მითხრეს, როგო გინღა ვქნათო? ჟექით ჯარი გავგზაღნოთ თუ ისეები, რო ქერეღღანჩი არიღან, ჟიმეებს მუღუწეროთყე, რო წავიღენ; უთხარ, რო ექაურ ჯარი ვღარ მეესწრობის. და

აიღეს, დაფწერეს ქალაზი. კაცი მამაყოლიავეს, წაველით თილიძან ხანაჩი. თილიძანით დეეწერაყე, რო დღესვე ორი შასთირი (რო მოსალსალს დაძახიან) და ორმოცდაათიც ყაზალი წავიდეს სოფელსათი. თილიძანი ვქენით და დოუძახე ჩემი ბიძას ბიჭსა და ჩონ ქართველებს: რო საქმე გავაკეთე მეთქი, ელა დღესვე ორი დიდი თოფი და ორმოცდაათი ყაზაყი წავლენ სოფელსათი; თქენ ყემანდ რო ხართ, ნახეთ თუ ელ ეხლა შადგეს და წავიდეს. თქენც წადით. თუ არ წავიდეს, გერიგ მაცნობეთ, რო წავიდე თავრობასთან. წასულიყნეს, რაქთენ დღის უკან ჩარგადრები (ვირები რო ჰყავყე და საპალნეს ეზიდებიან) წამოიდეს ისფაანს. თქეს, რო ყაზალები ნამაი დროს მოიდესო და ქურთებმა წავიდესო... ექსი სახლი კიო ჩულრუთს (ჩულურეთს) დაწესო და ერთი შულლი ქნდაო: ჯერ ყაზალები არ მასწდომიყნესო, ოთხ-ხუთი ექითა და ანქითა გაწყდაო; წაიღეს ყემ სამ სოფელსაყეო ათასი თუმანი. ყიმაშინ კი ყიმაზე დაგაწყდა; იმის უკან არა ვიცი, რა ქნილა.

ჩონ ეგეთ დღეებს ვეზიდებით. უპატრონობით და უიარალობით; თუ კი იარაღი გოქონდეს, ყეგეთ ბოშენიც არ ვიქნებით, რო იქთენ ძალი ვილოთ: ჩონ თავი, რო თა ექამდი სამჯელ და ოთხჯელ დოუთანალებიყე; გერივაც ქართველობისაყე ჯელს არ ავილებთ, რაცლა რო ქნდეს! დმერთი დიღია!

ესე ათავდა!

IX

ნესირას ამბავი

ეს მარტო მარტყოფისა არი და ჩონ გარიშამოსი; ახლა ის სხო ქართველები, აქუსელნი, თელაველნი, ბოინელნი, — ისეები გერივაც ჩონ მონატრიან. ეგეთ დღეებს ვეზიდებით და ექთენი ღონება გოქ. შამთარი დიდი იცის. ჩონ მარტყოფი თების შუა არი. ქომოთ მარტყოფიც ოთხი ვერსი დაშორვებით არი, იქ ნამაჲ ხანები ჰყავ, დიდარები, ქონიარები (მასიტაანი ზემო მარტყოფი ყოფილან, იქით ორასი წელი არი, რო ჩასულან ქომო მარტყოფი). ემ ხანების პაპის პაპა ზემოთ მარტყოფი რო ყოფილა მეციკნე (ციკან-ბატკანის მძოვებელი) ყოფილა. ქერიმ-ხანი წინ ყოფილა გვარის პატრონი და თითან ყოფილა ყაჩალი პირველად. ჩომოგლია ჩონ სოფლის ამ ჯარაზე, მადღგომია ერთი ღელეჩი მეციკნეს, ჩამაჲღლომია იმასთან, უთქომ რო: ყე ქართველოო! გამოგვივო, რო ერთ-ორ ლიტრა პური, წახიდე თქენ სოფელსაყე, გუყილო, გამოგუტანო, რო ექ ერთ საუზმე შავჭამოთო. ყემამაც დაიძრა და გადირბინა სოფელჩი, ორ ლიტრა პური აიღო და გადმოიდა, ერთიც ბატკანი დოუკლაყე და ყემათ საუზმე აჭა-

მაყე; ოციოდი ცხენიანი ჰყოლია. რო უნდოდა მასხდენ, უთხრა რო. „შენ სახელი მითხარ, რა ჰქიანო?“ თქო რო: „ნესირაო!“ უთხრა რო (ქერიმ-ხან-მა): „ნესირაო! ჩონ წავალთო! თუ გაიგეო რო ქერიმ-ხანის სახელი და წინ-წაღებო (რო გამარჯვება იყოს!) სადაცლა რო ვარ, მოდი ჩემთანაო“. ისენი წავიდეს. ემ ნესირამაც ყიმ წელს, ზამთარჩი ჩავიდა ქომო ახორას, რო ქომო მარტყოფი იყოს. ზაფხულჩი წავიდა სარვაზად. რაქტენ წელს სარვა-ზი იყო, გაიგო, რო ის ქერიმ-ხანი გავდომილა ყეინათ (შაქნილა რა ყეინი!) და მაიგონა ის სიტყვო რო ეთქო ქერიმ-ხანს ემისთი; თქო რო: წავალ ერთს, აგონდების თუ არაო. წავიდა; ყეინი იყო შირაზჩი, შირაზ-ქალაქჩი. არიზა დაფწერა და მუჟუგზაყნა ყეინს; ყეინმა გაიგო, რო მინ არი; ჰოქმი დოჟწერა სულთნობისა და მაითხოვა და პირდაპირ მისცა და შინა-ურობაც სთხოვა, მურახასობა მისცა და წავიდა მარტყოფსათი. ქომო მარტყოფსათი. იქ ლა დასახლდა და ცოლი შაირთო და გაიმარჯა. გაიმარჯა და შაიქნა ნესირ-ხანი. იმისყე, იმის შვილებმა გავდეს სუნევ ხანები. მოიდა იმის შვილისშვილისაყე ერთი მად-ისმაილ-ხანი; ეს გავდა თელ იქაურ ქერედანის ქართველების უფროსად; თავჯდომარე შაიქნა ქართველებისა. რაქტენ წელს ქართველებს ნამა უპატრონდაყე. თა ის იყო, ქართველებს ვერ აწუხებდესყე. ერთი სხოცა იმის ბიძაშვილი გაითქო თელ პარსეთჩი პურის მიცემაზე (ეხლაც კი ჩონ მარტყოფელნი გათქმულნი ვართ, ხანები, — პურის მიცემაზე); ერქო ჰაჯი-აღა. ჰქონდა დიდ მამული და სოფლებიც. იგეთ კაცი იყო, რო ერთხელ ყეინის შვილი რაქტენი ჯართი მოიდა ქომო ახორას, დაყონაღა, იგეთ პური გოჟყეთა, საუზმო, რო ყეინის შვილი გაკირვებულ იყო. სინებით (მაჯმებით) ოქრო ააგსო და დაუდვა წინ. ეხლაც არიან იმის შვილები, რო პურს გერევ აძლევენ; ეხლა არი იმის შვილი, ჰქიან მადბაღერ-ხანი. ქერედანსაყე თა ისპანამდი გზა აბარია ამას, ოცი ცხენიანითა და ოცი მეთოფეით; ახალგაზდა ბიჭია, ღმერთმა შაინახოს!

X

ქორწილი

ჩონ მარტყოფელების სიცოცხლე მინდა ვთქო, როგორ არი. ნავრუზთ უკან ერთ ნაწილი ჩონ სოფლის ხალდი, რომელსაც რო ცხორები ჰყავ, პ/ზაფტა ნამა, ისეები წავლენ ყიშლაღებზე, რო აფლადის ადგილია. ისეები დადგებიან ორ-სამ თეს იქა და ცხორებს აძოვებენ, ქამეებს მაფლე-ჯენ, გაფლეწვენ და რო მაიტანენ იქით, აიყრებიან და მოგლენ. ზოგი სოფელჩი დადგების, ზოგი სოფელთან ახლო სახლები და ადილები გოქ, — გავლენ იქ. ყემ სხო სოფლის ხალხსა რო მამულები აქ საწნავ-სათესავი, — დიკასა და ქერსა და ოსპგაუდანასა და მეშაკს და მუხუდოს (ნუხუდო ქარსულია!), გაიშლებიან და ზაფხულჩი იმებს დაწვენ. ერთნაერიც,

დემს დადახიან, რო გორებზე ვნვენ — ყარაფაზს ვიტყით, ფაფხეგაც მოვა. იმ ვორბალს, რო ზაფხულჩი მაფვენენ, ყარაფაზს დადახიან — გორასი... ერთნაირიც დემი ქერია, რო ზაფხულჩი ვნვენ. თესლის საწნავს რო მაპრჩებიან, ემაშინ ბაღებს დაფაბილვენ, რომ დაპ/დთხრიან. გაიშლებიან საქმეზე, კაცი და დედაკაცი. ზაფხულის სუყელა საქმეჩი ოფლს ღრიან, მუშაობენ. ზაპმთარი ბეჭერი არის ჩონი სოფლებჩი, თა იქამდი, რო ყანელები და ჰასილები მოიდეს მოსამკალოდ. დაიწყობენ თიბვას და სამკალს, მაფტანენ კალოებზე; კალოს მეტობას დედაკაცები და ქალები ლეწვენ (კალოებს სოფლის ქენარებზე აკეთებენ), თა იქამდი რომ კალოები გათავდეს. ყანას გაღეწვა ძნელია ძრიალ. რო ჯენკები დარჩება, იმას ცალკე გაღეწვენ, სამ-ოთხს ატარებენ, თა ხორბალი გამოიდეს ბუდესაყე. იმაშინ დაიწყობენ ყანას ვნვას, საწნავს (შამოდგომა-და არი), თა ოცი დღე შამოდგომამდი. იმის უკანლა გიან არი. ყანებს ერთჯელაც დაარწყობენ (var.: დაარწყვენ). იმის უკან თოვლი-და დეედების.

ზამთარი რო შაიქნების, ბაფტა მოსვენებაჩი ჩაცივდებიან ჩონ ხალდი, რო გარეულ ფევი და დივანისა შასწყედების. იმაშინ ნამა მისლამოსლა ერთმანერთში და მოიწყობთ ქორწილებს, ქორწილებსა და თაჩი წასლასი, რო მენადირობა იყოს. ქორწილები როგო გოქ? ბიჭი და ყორი (რო ქალს დაგდახით!) წინასწინ მოიწონებენ ერთმანერთს. მაფწყობენ მარჯიკალის ვაგზაგნასა, წავა ქალიანთას, ქალის მამასთან. თურც თუ უნდა მისცეს, ერთი რაქთენი ღამეს მიაგდებენ და მაგდებენ (სიტყოს): აბა ქალი ვნახოთო, რას იტყისო; ჩემ ძმები, ბიძაშვილები ვნახოთო, თა იქამდი, რო ერთ ღამეს პირობას მისცემენ, რო ხუალ ღამაო შირინს მოგცემეყო. იმ ღამეს მარჯაკალი სიხარულით მუა ბიჭიანთას; ეტყისყე რო: ძლივ მუამბილეყეო; დადგების თავის ქებაზე: თუ მე არ ვყოფილიყავო, ეს საქმე თავს არ დაიჭერდაო; ხუალ ღამ მაამზადეთო. ხუალი რო შაქნების, თადარუგს დაიჭერენ, რო თავის ბიძაშვილები ღამით შააქუჩონ, დაყონაღონ. ანქითაც ქალის მამა თავის ბიძაშვილებს შააქუჩებს. ღამე რო შაქნების, ბიჭიანთაყე ვანშამს რო ჭამენ, აიღებენ რაქთენ თუმან ფულსა, მისაც რომხედავ თავის ყოვაზე და ერთსაც ჩიქილას ან კაბას, ერთსაც ყელს (ძივებია და ფულნარევი, ყელზე შაბმენ) აიღებენ მარჯაკლები, წავლენ ყორიანთას; შავლენ, იქაც დაქუჩებულებია. ბაფტასაც იქ იხუმრებენ. ქალის მამა მიაგდებს ბიძაშვილებზე: ყემათზეგ არიო. ისენიც ბაფტას იდიდებენ. თა იქამდი, რო მითან დაყაბულდენ. ახლა კი ეტყიან: ადე ყოროო, ყაბა მოუტაყე ერთ ნაყრი ხილიო; ისიც ადგების და დაყრის მაჭმაზე (სინია!) ხილსა, ნულლსა, ერთსაც თელ ყანდს დაადებენ, მაფტანენ და დადებენ მარჯაკალების წინა. ისენიც, ის ფული და რაცლა რო აყე, ამაიღებენ და დაპყრიან ქურსზე; ხილსა და ყანდსა ჩაყრიან სუფრაში, აიღებენ და

წავლენ ბიჭიანთას. იმ ღამით კარგათ იცინებენ და იხუმრებენ და იქეიფებენ. თუ კი ქორწილი უკან არი, ერთჯელაც ნაზუქს და ქომაცს წოულდებენ ნათხონს. თუ ქორწილზე დგანან, მაფყობენ გაკეთვას (წავლენ ქალის სახლში, მამასთან). გაკეთვა არის შირბაჰა, რო იყოს ბაშლული: მეტი და ცოტა აქ, ექა — კაცზე ჰკიდია და სახლზე, რო ქონიარები იყოს; გაჰკეთენ რუა-რუას ან ცხრა-ცხრა,ს,ან ათ-ათს, რო ეს იყოს რუა ცხორი, რუა გირი ხორბალი, რუა თუმანი ფული, რუა ლიტრა ბრინჯი, რუა ჩარეკი ერბო, რუა ჩარეკიც ყანდი თავის ჩაით. ერთი ჩალი ცხორი, ერთ საპალნე ქვილი (ფქილი), — ყემეებს დაძახიან შაბლულს, რო წოულდებენ ყორის დედ-მამას. ყემის გარდაის ქებინი არი რო მამულსა, სახლსა და ბაღსა და სხო რამეებსაც დოუწერენ ქებინჩიგა რო იმ ქალისა იყოს. ყიმამინ შაიქნების ცოლად, დოუკრვენ სტირ-ნალარას და დაადგებიან ქორწილს. ზოგი ყარი, ერთ ჰაფთას ხარჯს ეზიდების. ქორწილი კი სამი ვახთია რო სახალღორი... რაცლა შორისა არი, სამი ვახთი პურს მისცემენ, ყაველა ღამე; დღისითლა, რო სადილია, დაიჭერენ მაჯმებსა ხილით ყათს, მეტს, ნაკლებს, დაადებენ თითოზე ერთი თელი ყანდს, შადკმაზვენ ნეფეს, და ნეფეს დააწინაურებენ და მაჯმებს მადევენებენ, შაიტანენ. დიდი თავ სახლები გოქ, რო დაძახიან პარსელები „გურჯი ფუშო“, ქართულ სახლსა, — ყანდებს დაამტრევენ, ხილებს დაყორიან ღამბაქებზე და ნულღს მაყორიან ხილზედა, ნატეხი ყანდს დაადებენ და ჩოუყორიან ხალღს; ხილის ჩაყრას რო გაათავებენ, მაფყობენ **ნიჭის** აკრეფას (ნიჭი რაქთენი მოუვიდაო?); სუყელა მისცემს ფულს, თითო თავის ყოვაზე. ფული რო აიკრეფის, საუზმოს შაიტანენ, რო პური იყოს; ზოგი კარგი საუზმოს გააკეთებს (ღამით ელა ცხორის ნახარშია!)... პურს რო შასჰამენ და გარიგდებიან, მაფყობენ წასლას, — მაყარი წავიდეს ახალღალსათი. თუ თოვლი ბეჭრი არ არის, ათამაშებენ ცხენებს. თუ თოვლი არი, ჯეილები შადკმაზვენ ჯოხის ცხენებსა და ერთ რაქთენიც ქურთად შაიკმაზების და ერთსაც დათს შაკმაზვენ, ერთსაც გოღბაჰარას (გოღბაჰარა, როგონაც მოთამაშე ქალი იყოს აჰა! ბიჭია, ქალის ტანისამოსს ჩააცმენ!) დათი იმ ქურთებსაყე არი, გოღბაჰარა — ჯოხის ცხენიანებისაყე. ესენი ეხლა კი გამაიყვანენ ახალღალსა და თამაშობენ; ხალღი მეეხოვის ემეებს. ხან ის ცხენიანები გააქცევენ ქურთებს, ხან ის ქურთები ცხენიანებს. თამაშობენ და ხალღიც სეილობს, — ისეილებს თა ახალღალს მაიყვანენ ბიჭიანთას, შაიყვანენ, დაალაგებენ. იმ ღამითაც გერივ ხალღი შაქურდების და ვახშამს ჰამენ და მალე დაიფანტებიან. ახირჩალა ღამე (ახირ ღამესაც იტყიან) რო შაიქნა, გადაწყდების ქორწილი. მეორე-მესამე დღეს თავის ბიძაშვილის ქალებიდა დაქურდებიან, საუზმოსლა ჰამენ...

XI

ნადირობა

ნადირობასი... ზამთარში დაცვიან თებში თხა და ბოტები. ყამაიტანენ დურბინებს. ერთი დაბალ გომია ხუციანთ გომზე, თბილ გომია, დაქუჩდებიან ბიჭები იქ, დურბინებს დოუბმენ თებსათი იქ, თა მაინახვენ, თა სალომამდი ათორიალებენ. სალომის სადაცლა რო მაგარ ტინებში დალაგდეს თხები, იმ ლამით ადგებიან და შაატყობინებენ ერთმანერთს. დაქუჩდებიან ერთგანა ჩუმ ჩუმად, რო ვმა არ ავიდეს თაჩი. ნამაი ქეჩის ქულაჯებს ჩაიცმენ და ფადმანგებს დაიხოვენ ფევებზე, ჟულის ქალმნებს ჩაიცმენ (ტუმარა-ქეჩა რაქთენი პირი და ემისი ქალამანია), ნამა დაიკოლთებიან და ფადშამზე წავლენ თასათი. ბლენა, თოვლიც მოდის თა წელამდი. ეეპარებიანყე, ეგრე ავლენ, რო თას წერებზე საჯდომებზე რო დასხდებიან, მზეს გერივ არ უკრავ. თხა-ბოტი რო წამაიშლების, დააყრიან თოფებს, ჩაიყრიანყე შუაში, დაჯოცენყე. მინაც ტყივას მააჯდენს ბოტს და წააქცევს, დაიკივლებს: ჰალაო! დანი მუახდინეო! დამკლველებიც იქებში, იმ დაბლებში დგანან დანებით, ფიცხლავ მიირბენენ და დაჰკლვენ: (თავი უნდა მაჰკრან), თა რაქთენი და გაწყიტონ. ახლა კი ჩამააქუჩებენ და ერთი სიტბოზე შეაქუჩებენ და მენადირებიც, მემთეები დაქუჩდებიან. ზოგს რო ორ ტყივა აქ და სამი, ყიმეებზე ჯარს ეზიდებიან: ეს იტყის, მე მომიხდენიაო, ის იტყის მე მომიხდენია. მოვლენ ის უფროსი მენადირეები, გასჩხრეკენ და გოუჭრიანყე ყიმეებსა ჯარს, შააჯერებენყე ერთმანერთში. ახლა კი რაცდა რო მოუკლავყე, ყიმეებს დაანაწილებენ და რაქთენიცლა რო არიან ი თაჩი, იქთენ წილს გააკეთებენ და დააწყობენ თოვლებზე. მამკლველსა თავი და ტყავი აქ და კისრის ჯორცი; თუ ორთა უკრავყე ტყივა, ყაველის რო მაჰხდომია, იმის მოკლული დეერქმის, მეორე კისრის ჯორცს წაიღებს. დაიყოფენ და იმაშინ... თითოს ერთი სანადირო ჯოხი აქ, მემთეებს, შააქუჩებენ ჯოხებს (რკინის წეტები აყე...), ერთიც აიღებს იმ ჯოხებს და ჯორცის გერდით დაადებს ჯოხსა რო მისიაო? თავის პატრონი მზადია, მომზადებულია... (ჩონ ვიცით: ჰაზირია!), თითო თავის წილს აიღებს და წამოვლენ სოფელსათი. სოფელთან რო მოახლოვდებიან, ხალდი მოეხოვის, რო აბა მის მოუკლავო და მის არაო... თა შავიდენ და დალაგდენ... ზოგ დღეს ხუთი, ზოგს დღეს ათი შიქალიდა ქნდების, ზოგ დღეც არი, რო წავლენ და ჯელ ცარიელი მოვლენ.

ეს მენადირეობა მარტყოფელთა და ჩულრუთელთა შხირად იციან. ჩონი ზამთარ-ზაფხულის საქმეები ეგრენ არი. თუ კი დიახ წუხვარობა და ღონება არ გოქონდეს...

საქართველოს, საქართველოს ქერედანისა... ზემო მარტყოფს რო დასხლტა, აღუსი და თელავი და ბოინიც კარგი სოფლებია, მოსხილებია.

ბოინელნი იფო ფაქიზა ხალღებია, სუფთა; დაგვა-დახეტა იციან გარემამოსი. თელავში უწინ ქონიარე ხალღი ჰყოლია, ეხლა კი თურქის ხანი დასჯდომიანე თავზე, მამული იმისილა არი და ხალღი დოუფაყირებია (ნამაი სოფელი იყო და!). ეგ რაქთენ კომლობადა არი, რო მამულები თითან აყე და პაიტაც ჯანი უდგაყე, მად ბალირ-ხანის დასტას თელავს კარგი მამულები აქ: პირველი სოფელია, თუ ყემ თურქის წუხება და ღონება არა ჰქონდესყე. აქუსელნი ქეიხიანნი არიან, ხანებიც არიან: რაქთენი ხანი ჰყაყყე. ერთიც ქურთული ხანი ჩამაფდომიანე იქ, აქუსს ნამაი წყალი და ნამაი ბაღებიც ბეჭრი აქ. იმით ჰასილები თოვლის ქვეშ მაჰყევისყე.

იმათაც იცოდეს ზაფხულში... ერთი უფროსის ხანის ცოლი თუ დედაკაცი იყოს, ერთი დღეს წასლა იცოდიან სარაბზე. რაცლა დედაკაცი იყვისყე აქუსში, მახეტანე და წავიდიანყე; ის უფროსი დედაკაცი იმით მეფედ იყვისყე... ერთ კირიას ყემათ ელ ვერე იცოდეს, რო სუ ქალები იყვიანყე. თუ კაცი დაინახიან იმ ახლუებში, შემოუდგიან, დაიჭირიან, მაიყვანიან იმ დღეს, იმ წყალში ჩააგდიან, ჩაალბენ და ამაიყვანიან... აღონებდიან თა საღომამდი. ვერმინ ვერ გაიარისყე (გაიარნიანყე) იქებში. ერთ კირიას იმით საქმე ვერე იყვის, რო კაცის მანაველი ვერ გაიარის.

XII

„მორწყავის“ ზღაპარი¹

დღეს არ მოვიდა ბენედიქტე ამხანაგი დაწერვასათი; არ ვიცი რასთი: არ ეცალა თუ როგო ყოფილა. მაიცა (?) ემ დროს ექ იყვისყე. არ ვიცი, რა შობ საქმე; დღეს რო ოთხი შაბათი არი, ნამა მეცალა; შინ ვიყავ

¹ ეს ტექსტი ჩაწერილია თვით სეფოლ-ხან იოსელიანის მიერ; ვათავსებთ უცვლელად; სათაური და პუნქტუაცია ჩვენია. ჩაწერილია ეს ტექსტი 1923 წლის თებერვალს, აქ ჩამოსვლიდან ოთხ თვის შემდეგ. ქართულად წერა მაშინ უკვე შეეძლო, ოღონდ მის ვერ ხმარობს: ასეთ ასოს არსებობა არც იცოდა. ჯს კი იმთავითვე გაცნობილიყო, რადგან ხ და ჯს აღრევა მას არ შეეძლო, ი და მს გარჩევა კი არც ისე ადვილი იყო.

აღსანიშნავია მის ნაწერში: მოვიდა, წამოვიდეს: აქ ვაქაურ მეტყველების გავლენის აშკარა შედეგია (შეადარე მისივე: მოიარო (= მოვიარო), მოიგონებდი (= მოვიგონებდი); საგულისხმოა, რომ ვ გაუჩნდა ისეთ სიტყვაში, რომელიც ძალზე ხშირ ხმარებაშია: (წა)მოვიდა: ბუნებრივია გავლენა ასეთ შემთხვევებიდან იწყებოდეს. გავლენის ბრალია აგრეთვე: დათვს (ორჯერ), შეადარე მისივე: დათს.

ყურადღებას იქცევს ვთი გადმოცემა როგორც უმარცვლო უსი, ისე თანამედროვე სამწერლობო ქართულში ვთი გადმოცემულ ბგერისა...

მრავალმეტყველია თს ხმარება იქ, სადაც ტ უნდა იყოს: თირილი (= ტირილი), გეთყყე (= გეტყყე): ჩანს მის გამოთქმაში ტ (ქართული) უკვე აღარ არის „მკვეთრი ხსული“, არამედ სპარსულ ტსებურია: ე. ი. სათანადო არტიკულაცია შეიცვალა.

რო წამალი დავლივო. ჩემ თავისუფლად (!) ვარ, ბევრი დაიწერება სიტყვები (სიტყები?), მოიგონებდი რამეს...

ერთი მორწყავმა წავიდა სარწყავზე, რო გოლი გამოვშოს (შაგუბუბულს წყალს დაიძახიან გოლს). მივიდა გოლზე, ჩაყო ბარი და გომოვშო. წაჰყვა წყალს, მივიდა მიწას თავში და ვარა აჰსხნა და წყალი დალაგა (?) და დაჯდა მიწას თავში, შამათორიალა დუნია, აზრი მოვიდა (= მოუვიდა) თავიგა რო აწყავო ამ სიმაღლეს უკანავო რა არივო, გულში გასინჯა და თქო რომ ნამაი არი, რო ავდგე და ავიდე, დავათორიალო, აბა რა არი; ადგა ფეწზე და ბარი დოვრჭო (= დაურჭო) მიწაზე და კაბა გაიწადა, ჩამაჰკიდა ბარზე და შოვპირალმათა (= შეუპირალმართა) სერსათი, ავიდა სერზე. გომოვჩნდა (= გამოუჩნდა) თა; თქო: ავალ, თასაყენაც დავათორიალებო; ავიდა თას წერზე, გადიხედა და თქო: ოჰ! ექაც ხო დუნია ყოფილავო; თქო რო ჩავალ, ექაც ვნახავ და ავალ, ამ თასაყენაც, გადიხედავ რო, აბა ამისყე ანქითას არი თუ არა. დოვთავქევა (= დაუთავქევა) და ჩავიდა. იქავრობა ნახა და შოვპირალმათა თასათი; ავიდა თას წერზე და გერივაც გადიხედა, რო დუნია არი და თქო რო: ოჰ! ექაც ხო არი დუნია და დოვთავქევა; ჩავიდა, გაიარა, მიაღვა თას და შოვპირალმათა, ავიდა თას წერზე; გადაიხედა რო გერივ გამოჩნდა დუნია; თქო, რო ეხლა რო ექამდი გამოსულვარო, ნამაი არი რო ექაც ჩავიდე და მოიარო აბა რა არი და დოვთავქევა, ჩავიდა, გერივ მიაარა, მიაღქა (!) თას და შოვპირალმათა, ავიდა თას კინწიხზე და გადაიხედარო გერივაც არი დუნია; თქო რო: ვააჰ, რასაც მივალ, ელა (= აი) არი დუნია და აღარ თავდებისო; ეხლა რო ეგრენარი, დავბრუნდებივო და დაბრუნდა.

ნახა, რასაც მივა, არი; რალა ექნა? მესამე დღეს მივიდა, ნახა რო თავის კაბადა ბარი აღარარი, წამოვიდა (!); თქო: აწყა მის მოვპარავო (= მოუპარავსო), აი როგოი ხალღებივო!

თურმე ეხლა ანქით დაივიანა; თავის სახლში ღამით რო არ წავიდა, თავის ქულფათმა (= ოჯახმა) ავერიავდეს და წამოვიდეს(!) საძებარზე, მიადგეს თავის კაბას, რო ბარზე ჩემეკიდა, გოვხარდაყე, (= გოუხარდაყე) რო უნდა ექებში ეძინოსო; რაცლა რო იარნეს, ვერ მონახეს და თქეს რო მაშ დათვს(!) შოვჰამიავო, (= შეუჰამიავო), წაიშინეს თავში და კაბა და ბარი აიღეს და წამოვიდეს(!) სახლსათი, შაქნეს თირილი(!) და შავიდეს რო, ჩონი მამავო, არ ვიცით დათს შოვჰამია თუ გელსავო; მივადეგით, ბარი დარჰმული იყოდა თავის კაბა ჩამოკიდებული, რაცლარო ვიარეთ, თითან ველარ მოვნახეთ, ავიდეთ კაბა და ბარი და წამუველით(!).

გაიგეს მოზობლებმა და შავიდეს: აბა რა არივო? რო შავიდეს, ნახესრო ეგრე ქნილა, მაიწყეს, დასხდენ(!) და მუვლოცონყე (= მიუსამძიმრონ). სამი დღეს ხალღი შავიდა და მუვლოცესყე და ემათაც მაიწყეს სა-

წევრობა, რო სამი დოვჭირონ¹; დაკლეს რაქთენი ცხორი და დააკრეს პური, მაწივეს (= მოაწვივეს) ხალლი და დოვჭირეს სამი.

ხალღმა რო პური შაჭამა და ადგეს, უნდოდაყე რო ქობები გადმაილონ, თავით: მამა შავიდა, ნახა რო სახლჩი ყოფილა (= მომხდარა) რამე (= რაღაც); შეშინდა, არამც მინმე მამკვდარიყოსო!... მიჰხედნეს თავის ქულფათმარო მამა ცოცხალი შოვიდაყე (= შეუვიდათ); შაქნეს სიცილი და მეგებნეს (= „მეგებნეს“) წინ, რო სადიყავო? ებნებოდაყე, რო ჯერ მითხარით აბა რანბავია (= რამბავია) მაგე ჩემ სახლჩი, რა ყოფილა და გეთყყე (= გეტყვიყე), რო სად ვიყავ.

უთხრეს რო არანბავიავო (არა ანბავიავო), გოგონარო შენთავი დათვს(!) შოვჭამიავო; თურმე გოვჯავრდაყე რო როგო შამჭამდავო, მაგრამ კაცი ვიყავონა(?) და შავიდეს, სუმ (= ყველამ) გაიგო და შემეხუენეს, რო უვანბოსყე. რო წაველ, რაქთენი დუნია ვნახე, უთხრაყე რო ქენ არ იცი-თო და მეს (= მეც) კი არ ვიცოდი, თურმე ჩონ დუნიას გარდაის რაქთენიც სხო და სხოც ყოფილა, ოთხი კი მე ვნახე, რო იქაც ექავრსავით მამულ-წყალი ჰქონდაყე, რალა რო ვიარე ალაგები იყო და გათავებაც არა ჰქონდა. მეცლა დავბრუნდი და მუველ. ჩემ კაბა არ ვიცი მის მეპარა (= მეეპარა); ეგრე ქნდა (= მოხდა).

N. B. ტექსტის პირველი ორი ნაწყვეტი (გვ. 221-224) ჩაწერილია პროფ. ა. კ. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ 6. XI. 1922 წელს; დანარჩენი აქ მოთავსებულ ტექსტთაგან „მორწყავის ზღაპრის“ გარდა, ჩაწერილია ჩემ მიერ 9. XI. — 3. XII. 1922 წელს.

¹ საკუროთხი მოაწყონ.

ზოგიერთ სიტყვათა განმარტება¹

ავაზი (არაბ.)—ნაცვლად; იმის ავაზი—იმის ნაცვლად.

ალეფ—„ოთხი ჯონია, შეკრულ თითებში ჩოყუარიან და სისხლს გამოადენენ“.

ამართი (არაბ.)—„კარგი სახლ-კარი“.

ასიმანი (სპარ.)—ცა.

ალაფნი (სპარ.)—სასულიერო პი-რი, „დიდი მღრდელი“.

ალილი—ფარეხი.

აშხლიანი—ბალახიანი.

ახირ (არაბ.)—უკანასკნელი.

ბარანი (სპარ.)—მოსასხამი (სა-წვიმარი).

ბასქი (სპარ.)—ძალიან; ბასქი გწყუროდა—ძალიან გ(ვ)წყუროდა.

ბენა (არაბ.): ბენა ქნა—დაიწყო, შეუდგა.

ბიდუდი (სპარ.) (=„უკვამლო“), ცოტა კვამლი რომ აქვს ისეთი (თოფი).

ბონა (არაბ.)—1. ბინა; 2. „სხილ ხალღებს აყე, ოთახის საჭირო რაცდა რო არი, თან მიაყე“.

ბოდანალი (სპარ.?)—კორიანტელი.

ბოშე—სუსტი: „საბელი რო წნი-კი (წნიკი და წრილი ერთია!) შა-იქნა, იმას ბოშეს ვიტყით; საბელი გაწყდა, ბოშე'რი, ბოშე ყოფილა“...

ბოჰნა (სპარ.)—შაირი; ბოჰნა მოგუგონა—შაირი მოგვიგონა

ბურჯი (არაბ.)—კოშკი.

გაგუვდეს [ძირი: გუვ(!)]—გაგულისდენ.

გამოგივა—შეგიძლია.

გამუხანმეთყე—„გავასვირნეთ“, ვატარეთ(?).

გაძაბა: „ბოლი გაძაბა“—გაიკლაკნა კვამლი.

გართი (სპარ.)—მტვერი.

გაფი—ამბავი, საქმე; შაკვე-რეთ გაფი—გადავწყვიტეთ.

გერივ (თუშ.)—ისევ, კვალად.

გუგუშერიქა—[ძირი: შერიქ (არაბ.)—ამხანაგი]: გაგვიშერი-ქა=გაგვიამხანაგა.

დააყათრეს გზაზე—ჩაამწყრი-ვეს გზაზე.

დავთალაბი (სპარ.): დავთა-ლაბი მინ შაქნების —ვინ იკის-რებს.

დავცივდით: „დავცივდით“ — დავრჩით.

დათანალემა—ფულების არ-თმევა; დაწიოკება; ითანალა-ლა—ფულები აართო; დოუთა-ნალემა—ფულები აურთმეგია.

დარვაზა (სპარ.)—ჭიშკარი.

დარი (სპარ.)—სახრჩობელა (?); დარზე აფიდა—ჩამოახრჩო.

დასმალი (სპარ.)—ცხვირსა-ხოცი (ხელსახოცი)

¹ აქ წარმოდგენილია მხოლოდ იმ სიტყვათა განმარტება, რომელთა შინაარსის გაუთვალისწინებლად ტექსტის სათანადო ადგილი გაუგებარი იქნებოდა. სიტყვები არაა დალაგებული ძირების მიხედვით; პრაქტიკულ დანიშნულებისდა კვალობაზე მთელი ფორმის მოყვანა შესაძლებლად მივიჩნიეთ (გაგუვდა, დავცივდით...), რასაც, რასაკვირველია, ადგილი არ ექნებოდა სიტყვების ამ განმარტებას ლექსიკონის პრეტენზია რომ ჰქონდეს.

დასტა (სპარ.)—წყება; ჯგუფი; ნათელსავეები, ნათესავობა.

დასტურ-ოლ-ამალ (სპარ.-არაბ.) —განკარგულება, ბრძანება.

დაფაბილვენ—დაბარავენ (სპ. ფარუ, ბილ—ბარი)

დოულათი (არაბ.)—მთავრობა.

დოუფაყირებია (არაბ.: ფაყირი—ღარიბი)—დაულარიბებია.

დუდი (სპარ.)—ბოლიანი, კვამლიანი.

დუნია (არაბ.)—ქვეყანა.

დუსალხანა (თურქ.-სპარ.)—სატუსალო, საპყრობილე.

დურბინს უბემდით—დურბინით ვუყურებდით; დურბინი (სპ.) დაუბა—დურბინით შეხედა.

ეჯაზა (არაბ.)—ნება, ნებართვა.

ვახთი (არაბ.)—ღრო.

ზადი (სპარ.) „გაფი“,—ამბავი, საქმე...

ზაჰმათი (არაბ.)—ჯაფა, შრომა.

ზინჯირი (სპარ.)—ჯაჭვი.

თალაქა (არაბ.)—„მუქაფა“, სამაგიერო(?).

თანგი (სპარ.)—„ვიწრობი“.

თარგი (სპარ.)—უნაგირის ნაწილი: კეხის უკანა ზეაშვერილი წვერი.

თაქლიფი (არაბ..) —დანიშნულება, საქმე(?).

თაყდიმი (არაბ.)—ვალდებულების ქალაღდი, ვექსილი(?).

თახსირი (არაბ.)—ბრალი, დანაშაული.

თაქრა (სპარ.): თაქრა ვქენით—შევეცადეთ(?).

თოფი: დიდი თოფი:—ზარბაზანი.

იავარი—„ჩინი“ სამხედრო პირისა.

იფო—უფრო.

კონსოლხანე (სპარ.)—საკონსულო (სახლი).

ლაყაბი (არაბ.)—ტიტული, წოდებულება.

მალაქი (არაბ.)—ანგელოზი.

მალიათი (არაბ.)—გადასახადია...

მალი (არაბ.): მალეები—[ქონება]; ბანაკი(?).

მამუნნი (არაბ.)—მადლობელი.

მანზილი (არაბ.)—სადგური, სადგომი.

მაყმური (არაბ.)—აქიმის მხლებელი(?).

მეშაკი—მცენარე; „(ოსპ)გაუდანას ძმაა, ისიც წარე'რი“.

მიბარება—დაბარება; მივაბარე—დავაბარე.

მირზა (სპარ.)—თანამდებობის სახელია: მწერალი(!).

მიყურეს—პატივი მცეს.

მოკობრობა—ყაჩაღობა.

მოჰლათუნა—„გადააჯდევინა“ (?).

მუზაღა (არაბ.)—დაუჭერლობა, მოუცემლობა, არშეღევა.

მურახასობა (არაბ.)—ნებართვა.

ნაებ-ელ-ჰუქუმა (სპარ.-არაბ.)—თანამდებობის სახელია: აქიმის თანაშემწე.

ნავრუზი (სპარ.)—ახალი წელი.

ნათირალი (სპარ. თირ- ისა-რი) — „ნაისრალი“: ნატყვიარი, დაჭრილი

ნამაი, ნამაი („ლამაზი“) — კარგი.

ნახეგ — ნახეგარი; ნახერაზედა — ნახეგარზედა.

ნაპია, ნაპიაე (არაბ.) — რაიონი, უბანი, მხარე.

ადეგარი (სპარ.) — საჩუქარი.

ადი — ყაჩაღი.

ორდუ (თურქ.) — „დიდ ჯარსა ორდუს დაძახიან“.

ოსპ-გაუდანა — მცენარეა; პირუტყვის, საქონლის საჭმელია.

პურის მიცემა — სტუმართ-მოყვარეობა; პურ-მარილობა.

რასმი (არაბ.) — ადათი, ჩვეულება.

რახიათი (არაბ.) — ხალხი(!).

რესიდაგობა (სპარ.) — გამოძიება; რესიდაგობა ქნან — გამოძიონ.

რიალი — სპარსული ფულის სახელია (უდრის აბაზს).

სამსამ-ო(ს) -სეღთენა — წოდებულების სახელია.

სანდუხტარი (არაბ.-სპრ.) — მოლარე, ხაზინადარი („მეზანდუქე“).

სარაბი (სპარ.) — „თავი წყალი“; დიდი წყალი

სარბაზი, სარვაზი (სპარ.) — ჯარისკაცი; სამხედრო გადასახადი.

სარმალი (არაბ.) — კარავი(?).

სარქერდაჭ (სპარ.) — „მეთაურე-ბია შულღი; თუ სხო საქმე იყოს, სარქარს იტყვიან“.

სედეველი — სედეპის მკვიდრი (სედეპ: „სამი სოფელი“, ისპაჰან ქალაქთან არის)

სულთანი (არაბ.) — სამხედრო თანამდებობა, ასისტავი ჯარში.

სუნეგ — „სუყეღა“.

ფათირი (არაბ.) — ხმიალი.

ფანჯთირა (სპარ.) — („ხუთის-რიანი“, „ხუთსასროლიანი“), ხუთ ტყვიას რომ იტევს ისეთი თოფი.

ფაფ (სპარ.) — შემოდგომა.

ფათმანგი (სპარ.) — პაჭიჭი.

ფაფამ (სპარ.) — ალიონი: „თა დილამდი ორი საათი რჩების“.

ფე (სპარ.) — ფეხი; ფეფე მე-ვედევენთ — ფეხდაფეხ მივყვით.

ფეის ჩაგდება — „ანგარიშში ჩაგდება“(!).

ფეშანგი (სპარ.) — ტყივა.

ფეპ: თილიქანის ფევი — სატელეფონო სადგური.

ფულე-სოძრა (სპარ.) — „სუფრის ფული“; აქიმი და მისი მხლებელი, მაჟმური რომ მოვა, სანამ სადილს მიირთმევდეს, ფულს ითხოვს; თუ ფული არ მისცეს, არ წავა სადილად; გაცივდება სადილი; ახალი უნდა უკეთონ; ამ ფულს ფულე-სოძრას ეტყვიან.

ქალაშა — მოქსოვილი ფეხსაცმელი.

ქამა — ერთნაირ (მაღალ) ბალახის სახელია.

ქაფანაკი (სპარ.) — თოქალთო (?).

ქალაზი (სპარ.) — ქალაღი.

ქებინი (სპარ.) — პირობის ქალაღი.

ქეთხუდა (სპარ.)—მამასახლისი.

ქენარი (სპარ.)—ნაპირი.

ქერბალე—წოდებულება იმ მუსლიმის, ვინც ქერბალას (ქალაქია ბაღდადის ახლოს) სალოცავად ყოფილა.

ქეშიქი (თურქ.)—ყარაულობა; ქეშიქი გადზიდეთ—ყარაულობა გასწიეთ, იყარაულოთ.

ქომაჯი (სპარ.)—(„დიდი პურია: კერცხს და ერბოს ზედ მოუსმენ“; გომიჯი.

ქულაჯა (სპარ.)—ქეჩის წამოსახამი.

ქურსი (არაბ.)—დაბალი ტახტი, რომელზედაც სხდებიან: ქვეშ სათბობი მოწყობილობაა მოთავსებული.

ყათარა (სპარ.)—ტყვიების ჩასაწყობი, „ფალასკა“.

ყალა (არაბ.)—ციხე.

ყანდი (არაბ.)—[შაქრის ყინული]: ნატეხი შაქარი; თავი შაქარი.

ყეინი (თურქ.)—მეფე.

ყოვა (არაბ.)—შეძლება.

ყონალი (თურქ.-სპარ.)—„სტუმარი“; დამყონაღეს—დამბატიყეს.

შავდარი—ბალახის სახელია: „იონჯასავით არი, მწონეა“.

შაინახეს (მეთოფეები)—შეაჩერეს მეთოფეები.

შასთირი (სპარ.)—„სამოცი ისარი“, ტყვიის მფრქვეველი.

შიქალი (სპარ.)—ნადირობა; შიქალი ვქნათ—ვინადიროთ.

შულდი—ბრძოლა; შულლობს—იბრძვის.

ჩადრი (სპარ.)—კარავი; მოსახამი...

ჩარლანგი—ბახტიართა თემის სახელია; ბახტიარები ორ დიდ თემისაგან შედგება: ჰაქლანგისაგან და ჩარლანგისაგან; თითოეული მათგანი კიდევ რამოდენსამე გვარად იყოფა.

ჩარსანგი (სპარ.)—(= „ოთხი ქვა“), ქვები, რომელზედაც აცხობენ პურს.

ჩალი (სპარ.)—მსუქანი.

ჩუყური—ჩავარდნილი ადგილი ხევი(?).

ცხენიანი—ცხენოსანი.

ნეთმათი (არაბ.)—სამსახური.

ხიალჩი იყენეს—გულში ჰქონდათ, უნდოდათ, ეგონათ(!); [ხიალ (არაბ.)—მოჩვენება].

ხოდაქეზი (არაბ.)—„თქენ შიღობა“; [ხუდა ჰაქეზ (სპ.-არაბ.)—ლმერთმა დაგიფაროს!]. ხუდაქეზი ქნეს—მადლობა გადაუხადეს.

ხორი (სპარ.)—ერთგვარი ხურჯინი (ფქვილის ჩასაყრელი?).

ხოფ-ხოფი—დამუქრება, მუქარა...

ჯავაბი (არაბ.)—პასუხი.

ჯარი—ჯავრი; ჯარი გომოგუვიდა—წალაპარაკება გამოგვივიდა.

ჯენკი—ლეწვის ღროს ღარჩენილი თავთავები.

ჯირა (არაბ.)—ჯამაგირი.

ჯორათი (არაბ.)—„გაბედვა“; ჯორათი ვერ ექნა—ვერ გაებედა.

ჯორმი (არაბ.)—ჯარიმა; ჯორმი გავჭრათო—ჯარიმა გადავახდევინოთ, კონტრიბუცია გამოვართვათო(?).

ჰალი (არაბ.)—საზღვარი, მიჯნა.

ჰალაქი (არაბ.-სპარ.)—ახლა რომ, თუ რომ...

ჰამ (სპარ.)—„გერივაც“(!).

ჰამლად (სპარ.)—დამხმარე, მომშველებელი.

ჰამყათარი (სპარ.)—ამხანაგი; ერთ და იმავე საქმის კაცი (მხედარი).

ჰასაბი (არაბ.)—ანგარიში; ჰასაბი ქენ—იანგარიშე.

ჰასილი—ჯეჯილი(!).

ჰაფთა (სპარ.)—კვირე (შვიდეული).

ჰაქიმი (არაბ.)—თანამდებობის სახელია; მთავრობის მოხელე, „გუბერნატორი“.

ჰოქმი (არაბ.)—ბრძანება.

ჰოქუმათი (არაბ.)—მთავრობა;

მთავრობის კაცი („გუბერნატორი)

ჰაბაბახი—იერიშზე მიმავალთა ყიჟინა.

ჰაველი (არაბ.)—პირველი.

ჰანს—მაინც: „ჰანს ერთი სანგარი ააყენოსყე“—ერთი სანგარი მაინც აიღოს.

ჰასანდი (სპარ.)—ადვილი.

ჰეჰთიათი (არაბ.) — სიფრთხილე(?): ჰეჰთიათი გაქონდეს — ფრთხილად იყავით, თვალყური გეჰიროსთ.

ჰილი (სპარ.)—საზაფხულო საცხოვრებელი კარავი (ბახტიართა).

ჰათი: ჰათი ქნეს—წინ წაიწიეს.

რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში?¹

ქართულ გრამატიკაში ამჟამად ტრადიციულია ბრუნვათა შემდეგი თანამიმდევრობა: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, მოთხრობითი, მოქმედებითი, ვნებითი და წოდებითი; რუსულში კიდეც — **именительный, родительный, дательный, винительный, творительный, предложный, звательный**. ქართული (ვნებითის გამოკლებით) იმეორებს რუსულს, მაგრამ არც რუსულში შექმნილა ასეთი რიგი. ბრუნვათა სახელწოდებანიც, ბრუნვათა ასეთი დალაგებაც ბერძნულმა ფილოლოგიურმა გრამატიკამ შემოიტანა ენათმეცნიერებაში. დიონისე თრაკიელის „ტექნე გრამატიკეში“ (მეორე საუკუნეში ქრისტეს წინ) უკვე არის ყველა ბრუნვა (მოქმედებითისა და ვნებითის გარდა)². ბერძნული სახელწოდებანი ითარგმნა ლათინურად, ლათინურიდან — რუსულად; ბრუნვათა რიგიც დარჩა უცვლელი. ქართული თუ რუსული მისდევს, რუსული ბერძნულ-ლათინურის უკუფენაა. და განა მართო რუსული? სხვა ევროპულ ენათა გრამატიკებიც, რამდენადაც ეს ბრუნვები გააჩნიათ... ისტორიას რომ მივყვეთ, იმასაც გვეტყვიან, რომ ბერძნულმა გრამატიკამ პირველი ოთხი ბრუნვის სახელწოდებაცა და რიგიც ბერძნული ფილოსოფიისაგან მიიღო მემკვიდრეობად: პირდაპირი (სახელობითი), ნათესაობითი, მიცემითი, ბრალდებითი სტოელებმა შექმნეს და ეს ტერმინები შერჩა გრამატიკას იმ დროთა მოსაგონრად, როცა მის ცნებათა გამომუშავებაში ფილოსოფია აქტიურ მონაწილეობას იღებდა. მას აქეთ ოცდაერთმა საუკუნემ განვლო და მაინც ტრადიციის ლოცვა-კურთხევა გზას უნათებს სტოელ ფილოსოფოსთა ტერმინებსა და პირველადვე განწესებულს მათს თანამიმდევრობას.

ბრუნვათა ეს თანამიმდევრობა უვარგისია ქართულისათვის, რადგანაც: 1) **ხელს გვიშლის სწორი წარმოდგენა გამოვიმუშაოთ ბრუნვათა შედგენილობის თავისებურებათა შესახებ ქართულში** და 2) **არ ეგუება ქართული ბრუნვების (კანკლედობის) პროცესს**.

¹ გამოქვეყნდა ჟურნალში „ახალ სკოლისაკენ“, 1928, № 3, გვ. 161-171. შემდგომ: სახელის ბრუნვების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბ., 1956, გვ. 1-9.

² ეს ტერმინები ბერძნულის მიხედვით ვერ შეიქმნებოდა: სათანადო ბრუნვები ბერძნულს არა აქვს.

1. ქართულსა (და, საერთოდ, ქართველურ ენებს) არ გაჩნია ბრალდებითი ბრუნვა (**винительный, accusativus**); შევადაროთ: **ученик читает книгу** (ბრალდებ. ბრ.) = მოწაფე კითხულობს წიგნს (მიცემ. ბრ.); **ученик прочел книгу** (ბრალდებ. ბრ.) = მოწაფემ წაიკითხა წიგნი (სახელობ. ბრ.). რუსული **книгу**-ს გადმოსაცემად ხან მიცემითი მოვიშველიეთ, ხან სახელობითი (და არა ბრალდებითი). რატომ? იმიტომ, რომ ბრალდებითი არა გვაქვს. ეს შემთხვევითი არ არის; ბრალდებითი ბრუნვის უქონლობა მომდინარეობს ქართული ენის ბუნებიდან. ამ კერძობით ფაქტში მოჩანს ქართული ზმნისა და ქართული მეტყველების აგებულების სხვაგვარობა; ამიტომაც ამაო იყო ანტონ კათალიკოსის (და მის მიმდევართა) ცდა ბრალდებითი ბრუნვა აღმოეჩინა (თუ დაენერგა) ქართულში: „ენა არ ღებულობს წესებს, იგი თვით იძლევა მათ“.

2. ქართულისა (და, საერთოდ, ქართველური ენების) მეორე, დიდმნიშვნელოვანი თავისებური მოვლენაა მოთხრობითი ბრუნვა: **ученик читает** = მოწაფე კითხულობს; **ученик прочел** = მოწაფემ წაიკითხა. რუსულში ორსავე შემთხვევაში **ученик** არის, სახელობითია; ქართულში ერთგან სახელობითია, მეორეგან — მოთხრობითი. ჩვენი მოთხრობითის შესატყვისად რუსული ისევ სახელობითს ხმარობს, რადგანაც არც რუსულში, არც სხვა რომელსამე ევროპულ ენაში ჩვენი მოთხრობითის მაგვარი არაფერი მოიპოვება.

რა გამოვიდა? რუსულის ბრუნვებთან შედარებით **ქართულს აკლია ბრალდებითი და მეტი აქვს მოთხრობითი**. რუსულ ბრუნვათა სქემა რომ ქართულში გადმოვიტანოთ, ბრალდებითის ადგილი ცარიელი დაგვრჩება, სამაგიეროდ უადგილოდ გვრჩება მოთხრობითი. უბინაო მოთხრობითს გრამატიკოსმა ბრალდებითის თავისუფალი ადგილი მიუჩინა, ქართული მოთხრობითი რუსულისა (და ევროპული ენების) ბრალდებითის ადგილას დაბინადრდა! ეგების ეს კარგი იყოს, ეგების ამ „ზედმეტმა“ მოთხრობითმა აგვინაზღაუროს ბრალდებითის უქონლობა, გასწიოს მისი მაგიერობა? საქმეც ის არის, რომ არა: ბრალდებითის მოვალეობა შეიძლება დაეკისროს ქართულში მხოლოდ მიცემითსა და სახელობითს, არავითარ შემთხვევაში მოთხრობითს (ეს ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ!), და პირიქით: ის როლი, რომელიც ქართულში მოთხრობითს განეკუთვნება, რუსული ბრალდებითისათვის სრულიად შეუფერებელია: მოთხრობითი მუდამ აღნიშნავს **მოქმედს, აქტიურს** (ზმნის თვალსაზრისით ე. წ. მორფოლოგიურ სუბიექტს), ბრალდებითი კი რუსულში — **უმოქმედოს, პასიურს**, — სხვის მოქმედების ობიექტს. ერთი სიტყვით, მოთხრობითი და ბრალდებითი ისეთსავე ურთიერთობაში იმყოფება ერთმანეთთან, როგორშიც, ვთქვათ, რუსულში ქვემდებარე და დამატება. ცხადია, ერთმანეთის მაგიერობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

ასეთ პირობებში რუსული ბრალდებითის ადგილას მოთხრობითის მოთავსება შეუწყნარებელია: 1) ამან შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს და გვაფიქრებინოს, თითქოს ქართული მოთხრობითი რუსულის (და ევროპული ენების) ბრალდებითი იყოს. ეს შიში უსაფუძვლო არ არის: ასეთი შეცდომა მოუვიდა, მაგალ., ერთ ქართველს, გრამატიკის ავტორს (დასახელება არ არის საჭირო!), და ვინ იკისრებს თავდებობას იმისთვის, რომ ასეთი შეცდომისაგან დაზღვეულია რიგითი მასწავლებელი, არა გრამატიკოსი. მაგრამ ასეთ დიდ უხერხულობასაც რომ გადავრჩეთ, ის ხომ ეჭვს გარეშეა, რომ მოთხრობითის მოთავსება ბრალდებითის ადგილას სრულიად უჩინარს ხდის ორ კარდინალურ ფაქტს: რომ გვაკლია ჩვეულებრივი ბრუნვა — ბრალდებითი და გვაქვს სპეციფიკური ბრუნვა — მოთხრობითი.

ამ ფაქტებს კი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო იმიტომ, რომ მათშია მოცემული ქართული კანკლედობის სპეციფიკურობა, არამედ იმიტომაც, რომ მათ შესახებ სწორმა შეხედულებამ დიდი გაჭირვებით გაიკაფა გზა ჩვენს გრამატიკულ ლიტერატურაში: მოთხრობითი არ მიაჩნდათ ბრუნვად, მას კანონიერ უფლებებს ართმევდნენ; ბრალდებითს კი უკანონოდ ენიჭებოდა ბრუნვის უფლებები და ეთმობოდა ბრუნვათა რიგში ადგილი. და მერე რატომ? უმთავრესად იმიტომ, რომ ხელმძღვანელობდნენ არა ქართული ენის სინამდვილით, არამედ უცხო ენათა საგრამატიკო ნორმებით, ამ ენებში კი ბრალდებითი ბრუნვა აუცილებელი იყო, მოთხრობითის ტოლი და მსგავსი კი არ მოიპოვებოდა.

ორიოდე ცნობა ამ ბრუნვათა ისტორიიდან. არც მაჯოს, რომელსაც ეკუთვნის უცხო ენაზე დაწერილი პირველი გრამატიკა ქართული ენისა (1643 წ.), არც ფატერს (1822 წ.), არც შანშოვანს, ქართულად დაწერილი პირველი გრამატიკის (1737 წ.) ავტორს, არა აქვთ მოთხრობითი. ეს ბრუნვა, როგორც ჩანს, პირველად ანტონ კათალიკოსმა შეიტანა ქართულ კანკლედობაში (1767 წ.). შემდეგ სხვა ბრუნვათა შორის მოთხრობითი მოხსენებული აქვს ყველა იმ გრამატიკოსს, რომელნიც ანტონის გრამატიკის ნიადაგზე იდგნენ, სახელდობრ გაიოზს (1789 წ.), ვარლამ არქიეპისკოპოსს (1802 წ.), გ. ფირალოვს (1820 წ.), სოლ. დოდაშვილს (1830 წ.) და კლაპროტს (1837 წ.). ვარლამ არქიეპისკოპოსი ამ ბრუნვას უწოდებს „сложный именительный-ს“ (მისი გრამატიკა რუსულად არის დაწერილი), კლაპროტი კი *démonstratif* ს (ფრანგ.). ანტონის ავტორიტეტმა თითქოს დაამკვიდრა მოთხრობითი სხვა ბრუნვათა შორის, მაგრამ მის წინააღმდეგ ამხედრდა აკად. მარი ბროსე: “მოთხრობითი არ არის ცალკე ბრუნვა, იმიტომ რომ ნაწევარი-მსაზღვრელი, რომელიც მას დაერთვის, — **მან** (კაც-მან), ემატება ორივე რიცხვის ყველა ბრუნვასა“-ო (?) (ქართ. ენის თვთმასწავლ., პარიზი, 1834 წ., გვ. 43).

ამავე აზრს იმეორებს დავით ჩუბინაშვილი: 1) „მოთხრობითი ბრუნ-

ვა იგივე სახელობითია **მან**-ის დამატებით; მოთხრობითი მიუგებს კითხვაზე „ვინ?“, ისევე როგორც სახელობითი; 2) ვერც ერთ ენაში ვერ ვიპოვით მაგალითს, რომ ორი სხადასხვა ბრუნვა ერთისა და იმავე კითხვით ამოიცნობოდეს; 3) ეს **მან** (კაც-მან) არ არის დაბოლოება ნათესაობითის **ისა**-ს, მიცემითის **სა**-ს მსგავსი, არამედ ნაცვალსახელია მესამე პირისა, რაიც იქიდან ჩანს, რომ სახელთა ბოლოში იგი იკანკლედების: დავით მან, დავითისა მის, დავითსა მას...“ (იხ. Цагарели А., Свед. о памятн. груз. письмен. т. I, вып. III, СПб. 1894 წ., გვ. 82-3). დ. ჩუბინაშვილის ეს არგუმენტები წარმოდგენილია მის პასუხში რეცენზენტებს „სახელმძღვანელოთა შემდგენელი კომიტეტიდან“. ამ კომიტეტის ქართულ განყოფილებას თავმჯდომარეობდა დიმიტრი ყიფიანი, წევრად, სხვათა შორის, პლატ. იოსელიანიც ყოფილა. ერთიცა და მეორეც მოთხრობითს იცავდა; რეცენზია, როგორც ჩანს, დიმ. ყიფიანს ეკუთვნოდა. მან მშვენივრად შენიშნა თავის რეცენზიაში: „მოთხრობითი მართლაც **მან**-ს დაირთავს, მაგრამ რაღაა ეს **-მან**, თუ არ მოთხრობითი ბრუნვა ნაცვალსახ. **იგი**-საო?“ (იქვე, გვ. 60). სამწუხაროდ, ასევე სწორი არ არის მისი არგუმენტაციის სხვა ნაწილები.

ყოველ შემთხვევაში, რეცენზიაზე პასუხის მიღების შემდეგაც დიმ. ყიფიანი ენერგიულად იცავდა ამ ბრუნვას. მან საგანგებო მოხსენება წარუდგინა ოლქის მზრუნველ ა. ნიკოლაი-ს, სადაც მოთხრობითი ბრუნვის შესახებ ვრცლად მსჯელობს და სხვათა შორის ამბობს: „აკად. მ. ბროსეს მეცნიერული შემოკამათებისდა მიუხედავად მოთხრობითს ბრუნვას მე ვთვლი ყოველ ქართველთან ერთად ჩვენი ენის უდავო კუთვნილებად და ჩვენი მეტყველების გარკვეულობის უცილობელ პირობად“ (იქვე, გვ. 97). დ. ჩუბინაშვილი არ ეთანხმება ჩვენს შეხედულებას, — განაგრძობს დ. ყიფიანი, — მას მხარს უჭერს **ბროსე, რომლის გავლენასაც მიეწერება მოთხრობითის ამოშლა ბრუნვათა რიცხვიდან**. ბროსეს აზრს იზიარებს სამეცნიერო აკადემია, მაგრამ დ. ჩუბინაშვილის გრამატიკა აქაურ სკოლებში სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს ნახმარი; ასეთ პირობებში შეუწყნარებელია არ იყოს ეს ბრუნვა შეტანილი გრამატიკაში. აქ ბავშვები თვალწინ დაუწყებენ დაცინვას მასწავლებელს, თუ მან მოსთხოვა სახელობითის ხმარება მოთხრობითის ნაცვლად; სოფლელი სასაცილოდ გახდის მოხელეს, რომელიც მასთან ლაპარაკში სახელობითს იხმარს მოთხრობითის ნაცვლად, ხოლო სასამართლოს პრაქტიკაში ამ წესის გამოყენებას შეუძლია მოგვიტანოს სრულიად არა სასაცილო შედეგები“ (იქვე, გვ. 99). ილუსტრაციისათვის დიმ. ყიფიანს მოჰყავს ოქმი, შედგენილი მკვლელობის თაობაზე მოთხრობითის ნაცვლად სახელობითის ხმარებით და დასძენს: აბა ვინ გაიგებდა, ასეთი ოქმი რომ დაიწეროს, ვინ ვინ მოკლაო.

დიმ. ყიფიანი ასე დაასკვნის: ქართული გრამატიკა, რომელიც ამ ბრუნვას გამორიცხავს კანკლედობიდან, არ შეიძლება და არ უნდა იქნეს

მიჩნეული აქაურ სასწავლებლებში სახმარებლადო (გვ. 100). „**შესაძლოა, გრამატიკის ფილოსოფიის მიხედვით ეს სადაო ბრუნვა არსად არ უნდა არსებობდეს, მაგრამ ჩვენ, ქართველები, უიმისოდ ერთმანეთისას ვერას გავიგებთ**“ და ამიტომ დაბეჭდვით უნდა ვთხოვოთ დ. ჩუბინაშვილს უთუოდ შეიტანოს მოთხრობითი ბრუნვათა რიცხვშიო (იქვე, გვ. 101)...

დ. ჩუბინაშვილმა თავის გრამატიკაში მართლაც შეიტანა მოთხრობითი, შეიტანა თავის ადგილას, სახელობითის შემდეგ... მას შემდეგ მოთხრობითის უფლებები არ დარღვეულა, ოღონდ შემდეგმა გრამატიკოსებმა — პ. კვიციანიძემ (1888 წ.), ა. ქუთათელაძემ (1889 წ.), ს. ხუნდაძემ (1907 წ.), პლატონ იოსელიანის მსგავსად, გადასვეს ეს ბრუნვა და მიცემითის შემდეგ ბრალდებითის ადგილი განუკუთვნეს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. ვინ იფიქრებდა, რომ მოთხრობითისათვის, ამ სპეციფიკური ქართული ბრუნვისათვის, ქართულ გრამატიკაში ადგილის დათმობას ამდენი ბრძოლა დასჭირდებოდა? ვინ წარმოიდგენდა, რომ შესაძლებელი იყო ქართველს, მასთან გრამატიკოსს, დაეწერა: (ესა და ეს წიგნი, — ვეფხისტყაოსანი, — მავანსა და მავანს) პატივისცემის ნიშნად შევსწირეთ ჩვენ, დამბეჭდველ-ნი ბროსეტ, ფალავანდიშვილი, ჩუბინოვი“ (იქვე, გვ. 59)?!

ამდენი ბრძოლა არავის გაუმართავს ბრალდებითი ბრუნვის გამოსარიცხვად; არც მისი შემოტანა დაუსაბუთებია ვისმე: იყო ეს ბრუნვა სხვა ენებში, შემოიღეს ქართულშიც. არა მარტო უცხოელები (მაჯო, ფატერი, კლაპროთი, ბროსე) ხმარობდნენ ქართულში ბრალდებითს, არამედ თვით ქართველებიც, დაწყებული ანტონიდან: გაიოზი, ვარლამ არქიეპისკოპოსი, ს. დოდაშვილი, გ. ფირალოვი, ვიდრე პლატონ იოსელიანამდე. პლატონ იოსელიანმა თავის 1840 წელს გამოსულ გრამატიკაში ბრალდებითი „უქმად“ გამოაცხადა, რადგანაც „ყოვლად არს მჰსგავსი სახელობითისაო“. ასეთივე აზრისა უნდა ყოფილიყო დავ. ჩუბინაშვილიც, რომელმაც აგრეთვე არ შეიტანა ეს ბრუნვა თავის გრამატიკაში. პლ. იოსელიანის ხაზს მიჰყვებიან, როგორც ჩანს, პ. კვიციანიძე, ა. ქუთათელაძე, ს. ხუნდაძე, ი. ნიკოლაიშვილი: ბრალდებითი არც ერთ მათგანს არა აქვს. არც დიმ. ყიფიანი თვლის ამ ბრუნვას საჭიროდ, მაგრამ მეტად თავისებურ მოსაზრებათა გამო. მისი საბუთები იმდენად საინტერესოა, რომ არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ სათანადო ადგილი მთლიანად: „შემასმენლობითი არის პირდაპირი თარგმანი ლათინურისა *accusativus*, როგორც რუსული *винительный*, და ჰნიშნავს „ბრალდებულებას“, „დაწამებას“, „შესმენას“, „შემასმენლობას“; ქართულს ენაში ამ ბრუნვას სრულებით არა აქვს ადგილი; ახლა შეიძლება აქა-იქ იპოვებოდეს ისეთი კაცი, რომ იმის დასახელებით სიტყვა გამიმტყუნონ; მაგრამ თვითან მე მახსოვს ის დრო, როდესაც მოყვასის გაცემა, დაბეჭდება, დასმენა, ისეთი სათაკილო საქმე იყო

ქართველებში, როგორც, მაგალითად ქურდობა, — და **შემასმენლობითი ბრუნვა რალათ გვქნებოდა** (ხაზი ჩვენია. — ა.ჩ.); ამას გარდა — ყოველ შემთხვევაში თითონ საკითხავიც პირველი ბრუნვის სახის მქონია და პასუხიცა.. (იხ. ახალი ქართული გრამმატიკა, ს.-პეტერბურლი, 1882 წ., გვ. 22).

ასე მსჯელობს ისეთი დიდად ნიჭიერი მოაზროვნე, როგორიც დიმ. ყიფიანი იყო. სხვას რაღა მოეთხოვებოდა?! დასმენა სათაკილოა და შემასმენლობითი ბრუნვა როგორღა უნდა დავტოვოთ გრამმატიკაშიო?! ანდა: სახელობითს ჰგავს და იმიტომ ზედმეტია! მაშ, ბრუნვა არის, მხოლოდ სახელობითს არის დამსგავსებული! ასეთი საბუთის მიხედვით ბრალდებითის გამორიცხვა, რა თქმა უნდა, დაუსაბუთებელია, შემთხვევითს ხასიათს ატარებს. ამიტომ გასაკვირიც არ არის, თუ პლ. იოსელიანის, დ. ჩუბინაშვილის, დიმ. ყიფიანის შემდეგ თედო ჟორდანიას მაინც შეაქვს ბრალდებითი (შესმენილობითი) თავის გრამმატიკაში.

ეს 1889 წელს იყო. იქნებ შემდეგ მაინც არავის მოჰგონებია ეს ბრუნვა? როგორც ჩანს, არა: 1920 წ. არის გამოცემული „ქართული პრაქტიკული გრამმატიკა“ მელ. კელენჯერიძისა; მის წინასიტყვაობაში წერია: ქართულ ძველ გრამმატიკებში ბრუნვათა შორის შემასმენლობითიც ურევია. ახალი გრამმატიკებიდან **ეს ბრუნვა ფაქტიურად გააძევეს, საბუთი გაძეგებისა კი ჯერ არაფერია** (ხაზი ჩვენია. — ა. ჩ.)... ჩვენც უსამართლოდ და გაუგებრობით გამოძეგებული შემასმენლობითი ბრუნვა აღვადგინეთ და მივიღეთ შვიდის მაგიერ რვა ბრუნვა“. არსებითად ავტორის ამ დებულების განხილვა საჭირო არ არის. თვით ავტორმა თავისი წიგნის მეორე გამოცემაში (1925 წ.) ეს აღდგენილი ბრუნვა „გააძევა“ და სრულიად სამართლიანადაც. პირველი გამოცემის წინასიტყვაობის ეს ადგილი კი მაინც მნიშვნელოვანია. ის ცხადყოფს, რომ **ჯერ კიდევ ბუნდოვანია ბრალდებითის საკითხი, არ არის გათვალისწინებული, რომ ქართული ენა მთელი თავისი არსებით გამოირიცხავს ამ ბრუნვის შესაძლებლობას**. ამიტომაც შემთხვევითს ხასიათს ატარებდა მისი გამორიცხვაც და მისი აღდგენაც... ამრიგად, უცხო ენათა გრამმატიკულ შაბლონებს მიჩვეული ბევრი ქართველი ინტელიგენტი დღესაც ვერ ამჩნევს, რამდენად თავისებურია ქართული კანკლედობა, **მოთხრობითის მქონე და ბარლდებითის არმქონე**.

ამიტომაც: **ბრუნვათა ყოველი დალაგება, თუკი მოთხრობითს ბრალდებითის ადგილი უჭირავს, უვარგისია და შეუწყნარებელი**.

მოთხრობითი უნდა დაიძრას თავისი ტრადიციული ადგილიდან და დაისვას იმ ადგილას, რომელიც მას შეეფერება, სახელდობრ, **სახელობითის მეზობლობაში**; მოთხრობითი სახელობითის ძმაა, ისტორიულად მასზე უფროსი, უფრო ადრე ჩამოყალიბებული. ისტორიული თვალსაზრისით ეს არის „პირველი სახელობითი“; თუ სახელობითის წინ არა, სახელობითის უშუალო მეზობლობაში მაინც უნდა იქნეს იგი დასმული. ამის-

და კვალობაზე რიგის დასაწყისი ასეთი უნდა იყოს: **1. სახელობითი, 2. მოთხრობითი.**

რაც შეეხება სხვა ბრუნვებს, თამამად შეიძლება ტრადიციული თანამიმდევრობა დაგვეტოვებინა, ყველა სახელი რომ „ფუძეუკუმშველი“ იყოს, ე. ი. ისე იბრუნებოდეს, როგორც მაგალ., კ ა ც ი: კაცი, კაცმა, კაცის, კაცს, კაცით, კაცად, (კაცო!). მდგომარეობას არ შეცვლიდა ის შემთხვევები, როდესაც ფუძე ყველა ბრუნვაში „შეკუმშულია“: კედლები, კედლებმა, კედლების, კედლებს, კედლებით, კედლებად (კედლებო!). მაგრამ სხვა ვითარებას ქმნის ის სახელები, რომელთაც ფუძე ეკვეცებათ მხოლოდ ზოგიერთს ბრუნვაში; სახელდობრ: -ა და -ე-ფუძიანი სახელები ნათესაობითა და მოქმედებითი კარგავენ ამ ფუძისეულ ხმოვნებს (ქვ-ის, ქვ-ით; ხ-ის, ხ-ით...). თანხმოდანფუძიან სახელთა წყება კი კარგავს ფუძისეულ ხმოვანს ნათესაობითა, მოქმედებითა და მიმართულებითს ბრუნვებში: კედლ-ის, კედლ-ით, კედლ-ად; შდრ. კედელ-მა, კედელ-ს... ფუძის კუმშვალობა იმდენად არსებითი მოვლენაა ქართულ სახელთა ბრუნებაში, რომ გამოყენებულია ბრუნების დროს სახელთა დაჯგუფების კრიტერიუმად. შეუძლებელია ასეთ მოვლენას ანგარიში არ გაეწიოს, და ამიტომ: **აუცილებელი ხდება ბრუნვები ისე დალაგდეს, რომ სამმა ბრუნვამ, რომლებშიაც ფუძე იკუმშება, ერთად მოიყაროს თავი; მაშინ „ფუძეუკუმშული“ და „ფუძეუკუმშველი“ ბრუნვები ერთმანეთში არ აირევა.** ამ მორფოლოგიურ გარემოებას ვუწევთ ანგარიშს, როცა მოთხრობითის გარდა დანარჩენს ბრუნვათა რიგსაც ვცვლით: ჯერ ის ბრუნვები, რომლებშიაც ფუძე არ იკუმშება, მერე კი ისინი, სადაც ფუძე შეიძლება შეიკუმშოს. ამისდა კვალობაზე შემდეგს თანამიმდევრობას ვღებულობთ: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ვნებითი, ნათესაობითი, მოქმედებითი. საილუსტრაციოდ მოგვყავს „ფუძეუკუმშულ“ სახელთა კანკლედობის ნიმუში:

სახელობითი	კედელ-ი	} მთა	} ხე	} ფუძე არ იკუმშება ან არ იკვეცება.
მოთხრობითი	კედელ-მა			
მიცემითი	კედელ-ს(ა)	} მთა-ს(ა)	} ხე-ს(ა)	
ვნებითი	კედლ-ად			
ნათესაობითი	კედლ-ის(ა)	} მთ-ის(ა)	} ხ-ის(ა)	
მოქმედებითი	კედლ-ით(ა)			

მრავლობითი რიცხვისთვის ასეთ გარჩევას მნიშვნელობა არა აქვს: ფუძე ყველა ბრუნვაში უცვლელია, ერთგვარია; თუ სახელობითში იკუმშება, ყველგან შეკუმშული დარჩება, თუ არა და არა; ასე, მაგალ.: კედლები, კედლებმა, კედლებს, კედლებად, კედლებისა, კედლებითა — ფუძე ყველგან შეკუმშულია: **კედლ-ებ-**; ასევე: მთ-ებ-ი, მთ-ებ-მა, მთ-ებ-ს... მაგრამ ხე-ებ-ი,

ხე-ებ-მა, ხე-ებ-ს... არსად არ არის შეკვეცილი.

ბრუნვათა ამ წესით დალაგებას მხოლოდობითი მოითხოვს; აქ შეიძლება ფუძე შეკუმშულიც იყოს და შეუკუმშავიც... ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ **ბრუნვათა ასე დალაგება აადვილებს ბრუნების შესწავლას** ისევე, როგორც ანბანის მიხედვით გვარების დალაგება, ვთქვათ, კატალოგში ამარტივებს ამა თუ იმ წიგნის დაძებნას. სიადვილის შესახებ როცა ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვყავს მოსწავლე, რომელმაც უნდა შეისწავლოს ბრუნება, და არა მასწავლებელი; ამ უკანასკნელს ხშირად ისე აქვს ძვალ-რბილში გამჭდარი ტრადიციული რიგი, იმდენად დოგმატიკურად აქვს შეთვისებული გარკვეული თანამიმდევრობა, რომ აზრადაც კი არ მოუვა თავის თავს ჰკითხოს: რატომ უნდა იყოს ასე დალაგებული? რა გამართლება აქვს იმ რიგს, რომელსაც იგი მისდევს?¹ ამისდა მიუხედავად (უკეთ რომ ვთქვათ, სწორედ ამიტომ) ტრადიციული რიგის შეცვლა ბევრს მათგანს გეოლოგიურ კატასტროფად მოეჩვენება, ისე შეეჩვია ტრადიციულ რიგს!

აქ საჭიროდ მიგვაჩნია დავუმატოთ, რომ ტრადიციული რიგი ერთადერთი როდი იყო ქართულ გრამატიკებში. იგი პლატ. იოსელიანიდან უნდა იწყებოდეს (1840 წ.); მისი რიგი ასეთია: 1. სახელობითი (ტერმინი მან შემოიღო; მანამდე წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ი იხმარებოდა); 2. ნათესაობითი; 3. მიცემითი; 4. მოთხრობითი; 5. მოქმედებითი და 6. წოდებითი (გვაკლია მხოლოდ ვნებითი). პ. კვიციანიძემ (1888 წ.) გაიმეორა იგივე რიგი, მხოლოდ ჩაურთო **გარდაქმნითი** (აწინდელი ვნებითი) მოქმედებითის შემდეგ; არ. ქუთათელაძე თავის გრამატიკაში (1889 წ.) იმავე რიგს ტოვებს, ოღონდ ვნებითისათვის **განვითარებითი** აქვს ნახმარი; დასასრულ, ს. ხუნდაძის გრამატიკაში (1907 წ.) ხდება ამ რიგის კანონიზაცია; განვითარებითის ნაცვლად ვნებითა შემოღებული; სხვა მხრივ ახალი არაფერია.

რა როლიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისთვის პლ. იოსელიანის რიგმა ითამაშა, ისეთივე როლი ხვდა წილად პირველ ნახევარში ანტონის რიგს; მისი რიგი საკმაოდ განსხვავდება ზემოხსენებულისაგან: 1. წრფელობითი (სახელობითი); 2. ნათესაობითი; 3. მიცემითი; 4. შემასმენლობითი (= accusativus); 5. დაწყებითი (კაცისაგან); 6. მოთხრობითი; 7. მოქმედებითი; 8. წოდებითი. სრული ზედმიწევნილობით განმეორებული აქვთ სახელწოდებანიცა და ეს რიგიც: გაიოზს (1789 წ.), ვარლამ არქიეპ. (1802 წ.), გ. ფირალოვს (1820 წ.), სოლ. დოდაშვილს (1830 წ.), კლაპროტს (1837 წ.). როგორც ვხედავთ, **ეს რიგი უფრო გავრცელებული ყოფილა ძველად, ვინემ ტრადიციული, ახლანდელი**. ამას გარდა: თავისებური რიგი აქვს ა) **ბროსეს**: 1. წრფელობითი და შემასმენლობითი;

¹ ენათმეცნიერების ისტორიაში გასაგებად მიაჩნიათ, რატომ არის სახელობითი პირველად; მაგრამ სრულიად გაურკვეველია, რატომ დააღაგეს სტოელებმა სხვა ბრუნვები ისე, როგორც ეს ტრადიციულ განრიგებაშია. ამას დასაბუთება არ მოეპოვება.

2. ნათესაობითი; 3. მიცემითი; 4. წოდებითი; 5. მოქმედებითი; 6. მოდალობითი (= ვნებითი); 7. დამთავრებითი (ბაგა-მდე). — ბ) **დ. ჩუბინა-შვილს: 1. სახელობითი; 2. მოთხრობითი;** 3. ნათესაობითი; 4. მიცემითი; 5. მოქმედებითი; 6. წოდებითი; 7. გარდაქმნითი (= ვნებითი); 8. სადაობითი (მამისას). — გ) **თ. ჟორდანას:** 1. სახელობითი, 2. შესმენილობითი (= ბრალდებითი, accusativus); 3. ნათესაობითი; 4. მოქმედებითი; 5. მიცემითი; 6. მოთხრობითი; 7. ზმნისზედითი (= ვნებითი) და 8. წოდებითი. — დ) **მოსე ჯანაშვილს: 1. სახელობითი; 2. სახელობითი მეორე (= მოთხრობითი);** 3. ნათესაობითი; 4. მიცემითი; 5. შემოქმედებითი; 6. ზმნისზედათი; 7. წოდებითი. — ე) **მელ. კელენჯერიძეს:** 1. სახელობითი; 2. ნათესაობითი; 3. მიცემითი; 4. მოთხრობითი; 5. ვნებითი; 6. შემასმენლობითი; 7. მოქმედებითი; 8. წოდებითი. აქედან ნათლად ჩანს, რომ **ტრადიციული რიგი ქართულში ერთადერთი სრულებითაც არ არის**¹.

რა უდევს საფუძვლად ამ სხვადასხვაგვარ დალაგებას? **არავითარი გარკვეული ობიექტური პრინციპი**, მხოლოდ შემთხვევა, ავტორის გემოვნება-სურვილით გამართლებული.

გამონაკლისს, საყურადღებოსა და სასიამოვნოს, შეადგენს დ. ჩუბინაშვილისა და მოსე ჯანაშვილის რიგი: ორსავე შემთხვევაში მოთხრობითი სახელობითს მოსდევს; ორსავე ავტორს ნათლად აქვს გათვალისწინებული, რომ მოთხრობითს სახელობითთან აქვს კავშირი; დ. ჩუბინაშვილს, როგორც ვიცით, არც უნდოდა მოთხრობითი გამოეყო სახელობითისაგან (რაც შეცდომა იყო), და რაკი გამოყო (უკეთ, გამოაყოფინეს), შესაფერისი ადგილიც მიუჩინა; მ. ჯანაშვილი მოთხრობითს „მეორე სახელობითს“ უწოდებს და ამით უკვე ნათქვამია, რაც არის ეს ბრუნვა და სად უნდა იყოს იგი. ეს დიდი პროგრესია. სამწუხაროა მხოლოდ, რომ სხვა ბრუნვათა დალაგებისას არ იქნა მათ მიერ გარკვეული პრინციპი გამოყენებული.

ამგვარად: ის დალაგება, რომელიც ჩვენ წარმოვადგინეთ მოთხრობითის საკითხში, არაფერს ახალს არ წარმოადგენს. მისი დასაბუთებლად შეიძლება იყოს ახალი; სხვა ბრუნვათა რიგის საკითხში ჩვენს დალაგებას მხოლოდ ერთი პრეტენზია აქვს: იგი არ არის სუბიექტური, გემოვნება-სურვილით ნაკარნახევი, არამედ **დამყარებულია ქართული ბრუნების (კანკლედობის) თვისებაზე, ითვალისწინებს ამ ბრუნების პროცესებს**, მათ ეგუება. ამდენადვე მას აქვს პრეტენზია იყოს ობიექტური.

¹ არა თუ ქართულში, არამედ ლათინურშიაც კი, სადაც ტრადიციულ რიგს ორი ათასი წლის ისტორია აქვს, შესაძლებლად მიაჩნიათ რიგის შეცვლა. რამდენადაც მახსოვს, ლოპატინსკის „ლათინური გრამატიკის“ ერთ გამოცემაში ბრუნვები ასე იყო დალაგებული: სახელობითი, ბრალდებითი, მიცემითი, მოქმედებითი, ნათესაობითი. სამწუხაროდ, ამ შენიშვნების წერის დროს ეს გრამატიკა ხელთ არ მქონდა და შეიძლება ამ ჩვენებას ზედმიწევნილობა აკლდეს.

მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში

I

ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველს
ქართულში

მასალები მეთოდოლოგიური იმანენტიზმისათვის

**ПРОБЛЕМА ПРОСТОГО ПРЕДЛОЖЕНИЯ
В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ**

I

**Подлежащее и дополнение в древнегрузинском
языке**

Материалы по методологическому имманентизму

**PROBLÈME DE LA PROPOSITION
SIMPLE EN GÉORGIEN**

I

Sujet et objet dans la vieille langue géorgienne

Materiaux pour l'immanentisme méthodologique

მეორე გამოცემის წინასიტყვაობა

„მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ 1928 წ. გამოვიდა; ეს პრობლემა ჩვენ გვანტერესებდა, პირველ ყოვლისა, ერგატიული კონსტრუქციის ისტორიის თვალსაზრისით: როგორ წარმოიშვა ეს კონსტრუქცია, რა თავისებურება ახასიათებს გარდამავალ ზმნას, რომელთანაც ეს კონსტრუქცია იხმარება, — «რატომ არის: **იგი** ჰკლავს **მას**, მაგრამ: **მან** კლა **იგი**? რით არის გამოწვეული გარდამავალ ზმნებთან სახელების ბრუნვათა ეს ცვლა?» (იხ. პირველი გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. 023).

რაც შეეხება ერგატიული კონსტრუქციის **აღწერის** ანალიზს, ის გვესახებოდა, როგორც **ისტორიული** ანალიზის¹ დამხმარე წინასწარი სამუშაო.

მაგრამ მუშაობის პროცესში ცხადი გახდა, რომ ეს „წინასწარი“ სამუშაო რთულია: ერგატიული კონსტრუქცია — და, საერთოდ, სინტაქსური კონსტრუქციები, რომელთაც ქმნის ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ - ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი უღვლილების ზმნა — ზედმიწევნით ვერ გადმოიცემა იმ ცნებათა მემკვიდრით, რომელთაც ვპოვებთ ინდო-ევროპულ ენათა აღწერის გრამატიკებში (ინდო-ევროპულ ენებში ზმნა მხოლოდ ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს მიხედვით იუღვლება). ზმნის მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი სტრუქტურის თავისებურება იწვევს წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს (პრედიკატული ს ი ნ ტ ა გ მ ი ს) თავისებურებას. აღწერითი გრამატიკის სხვადასხვა დარგის საკითხები ერთმანეთისაგან მოწყვეტით, ლოკალურად, ვერ გადაწყდება: საკითხები კ ო მ პ ლ ე ქ ს უ რ გადაწყვეტას მოითხოვს.

გაირკვა აგრეთვე, რომ აღწერითი გრამატიკის (სინტაქსის, მორფოლოგიის) სხვადასხვა მიმდინარეობა ს ტ რ უ ქ ტ უ რ უ ლ ცნებათა ჩამოყალიბებისას ემყარება ფ უ ნ ქ ც ი ი ს ნიშან-თვისებებს.

ამ მიმართულებებში (იგულისხმება ლოგიციზმი, ფსიქოლოგიზმი) ანგარიში არ ეწევა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ძირითად დასკვნას: ერთი და იგივე აღსანიშნავი ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ენაში (ერთსა და იმავე ენაშიც მისი განვითარების ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა პერიოდში) შეიძლება

¹ ერგატიული კონსტრუქციის ისტორია და რაობა განხილული გვაქვს რიგს წერილში და ორ შემავაშებელ მონოგრაფიაში: ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში:

I. ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციების ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით, 1948;

II. ერგატიული კონსტრუქციის რაობის თეორიები, 1961.

გადმოიცეს სხვადასხვაგვარად: ფუნქციის ერთგვარობა სტრუქტურის ერთგვარობას ვერ განსაზღვრავს. ერთი სიტყვით, არ გამართლდა რაციონალური (*resp.* ფილოსოფიური) გრამატიკის ძირითადი დებულება, თითქოს ლოგიკურ კატეგორიათა ერთიანობა შესაძლებელს ხდიდეს «უნივერსალურ» («ზოგად») გრამატიკას: «უნივერსალურად» («ზოგადად») ეს გრამატიკა მიაჩნდათ იმიტომ, რომ იგი «რაციონალური» იყო, ლოგიკის კატეგორიებს ემყარებოდა (*grammaire générale ou raisonnée*).

«უნივერსალური გრამატიკა» შეუძლებელია იმიტომ, რომ არ არსებობს «უნივერსალური» გრამატიკული სტრუქტურა (თუმცა სხვადასხვა ენების სტრუქტურაში გამორიცხული არაა გვექონდეს ცალკეული საერთო სტრუქტურული ნიშნები).

ენის მეცნიერული შესწავლა, ჩვენის აზრით, გულისხმობს როგორც სტრუქტურის, ისე ფუნქციის¹ შესწავლას, მაგრამ შეუძლებელი ხდება სტრუქტურა (სტრუქტურული კატეგორიები) ავწეროთ ფუნქციის (ფუნქციონალურ კატეგორიათა) მიხედვით და — პირუკუ.

სტრუქტურული ცნებები სტრუქტურული ნიშნების მიხედვით უნდა ჩამოვყალიბოთ, ფუნქციონალურიც შესაბამისად — ფუნქციონალური ნიშნების მიხედვით. მანძილი არ გაიზომება წონის ერთეულებში (კილოგრამებით).

ენის აღწერისას ჩვენთვის სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს ჰომოგენურობის პრინციპი, როგორც საფუძველი „მეთოდოლოგიური იმანენტიზმისა“: ცნება უნდა შეიცავდეს ნიშნებს, რომლებიც იმანენტური ალსაწერი ობიექტისათვის, შესწავლილი ობიექტისათვის შინაგანად დამახასიათებელია.

ერთი ენის გრამატიკა ვერ იქნება მეორე ენის გრამატიკის „თარგმანი“: „ერთი ქალაქის გეგმის მიხედვით ვერ დავათვალიერებთ (ვერ გავცნობით) მეორეს“.

¹ ფუნქცია («მნიშვნელობა») ჩვენ გვესმის, როგორც მიმართება აღსანიშნთან (ესაა პირველადი ხასიათის მიმართება). სტრუქტურა გამოხატავს მიმართებას მიმართებათა შორის (ესაა მიმართება მეორეული ხასიათისა).

ფუნქციურ კატეგორიათა მიხედვით ენები ყველაზე მეტად უახლოვდებიან ერთმანეთს (თუმცა სავსებით ერთნაირი არ არის). სტრუქტურის (სტრუქტურულ კატეგორიათა) მიხედვით ყველაზე მეტად შეიძლება შორდებოდნენ ერთმანეთს.

ფუნქცია და სტრუქტურა აუცილებელია განვასხვავოთ, რადგანაც სხვადასხვაგვარ მიმართებებს გულისხმობენ (ერთი — პირველადს, მეორე — მეორეულს).

მაგრამ მათ ერთმანეთს ვერ დავუპირისპირებთ, რამდენადაც ერთიცა და მეორეც მიმართებებს გადმოგვცემს. პრინციპში ამით წყდება «ფუნქციონალ-ლიზმისა» და «სტრუქტურალიზმის» ურთიერთობების საკითხი (დაწვრილებით წერილში: „ენათმეცნიერება, როგორც ინტეგრალური მეცნიერება ენის შესახებ“ — იხ. ქვ.).

ერთი ენის ბგერათა შედგენილობას არავინ არკვევს იმის მიხედვით, რა ბგერებიც გვაქვს მეორე ენაში.

ეგვე ითქმის ბრუნვათა რაოდენობის შესახებ (ლათინურს ექვსი ბრუნვა აქვს, გერმანულს — ოთხი, არაბულს — სამი), აგრეთვე დროთა და კილოთა შესახებ სხვადასხვა ენაში.

მაგრამ მეტყველების ნაწილებზე რომ მიდგება საქმე, ახლაც ჩვეულებრივ ცდილობენ გამოყოფონ მეტყველების ერთი და იგივე ნაწილები სხვადასხვა ენაში იმისდა მიუხედავად, თუ რა მორფოლოგიური თვისებებიც გვაქვს ამ ენათა სიტყვებში, ე. ი. მორფოლოგიის ცნებას («მეტყველების ნაწილი») არ ახასიათებენ მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით, არამედ ფუნქციონალურ ნიშნებს ემყარებიან.

სუბსტანტივი, ატრიბუტივი, პრედიკატივი და სხვ. საჭირო ცნებებია, როგორც აღწერთი სემანტიკის (და არა მორფოლოგიის) ცნებები.

აღწერთი სემანტიკის ეს ცნებები ვერ გასწევენ მეტყველების ნაწილთა მაგვირობას, აღწერთი მორფოლოგიის ცნებათა მაგვირობას.

კიდევ უფრო რთული მდგომარეობა გვაქვს სინტაქსში: წინადადება და მისი წევრები, როგორც წესი, ფუნქციონალურ ცნებებად არის მიჩნეული. რა მოსდევს ამას, შეიძლება გავითვალისწინოთ ლოგიკისტურ და ფსიქოლოგისტურ კონცეფციათა მაგალითზე (მათ შესახებ იხ. §§ 3-35, აგრეთვე „დასკვნითი დებულებები“ §§ 1-6).

წინადადების (საერთოდ, სინტაგმის) ფუნქციონალური ანალიზი ისევე აუცილებელია, როგორც სემანტიკურ კატეგორიათა აღწერთი ანალიზი, მაგრამ ასეთი ანალიზი ცალკე უნდა ჩატარდეს; სინტაგმის სტრუქტურის ანალიზის მაგვირობას იგი ვერ გასწევს (ისევე, როგორც სემანტიკურ კატეგორიათა ანალიზი მეტყველების ნაწილთა მორფოლოგიის ადგილს ვერ დაიჭერს).

სრული აღწერთი ანალიზი სტრუქტურისა (სიტყვის სტრუქტურისა, სინტაგმის სტრუქტურისა) და ფუნქციებისა (სიტყვაში მოცემული სემანტიკური კატეგორიებისა, სინტაგმაში წარმოდგენილი სემანტიკური კატეგორიებისა) აღწერთი გრამატიკის გაცილებით მეტ დარგს საჭიროებს, ვინემ ეს ტრადიციითაა ნავარაუდები (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი).¹

აღწერთი მეცნიერული ანალიზის ახალი დარგების შექმნა-ჩამოყალიბება აუცილებელი ხდება (ამის შესახებ იხ. დამატება — «გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები»).

¹ თქმა არ უნდა, მორფოლოგია და სინტაქსი ასახავს იმას, რაც ყველაზე თავისებურია ენის სტრუქტურაში (ამიტომაცაა მნიშვნელოვანი ეს დარგები აღწერთი ანალიზის სისტემაში), მაგრამ ენის სრულ აღწერთს ანალიზს ეს დარგები ვერ დაიტევს.

«გრამატიკა» — ტერმინიც უფრო ზედმიწევნითმა ტერმინმა რომ შეცვალოს, ბუნებრივი იქნებოდა: «გრამატიკა» სამწერლო ენის შესწავლასთან იყო დაკავშირებული, ისიც ნორმატული თვალსაზრისით (შდრ. ძველი ინდური გრამატიკების ტერმინი *vyākaraṇa* «ვდაკარანა» — ე. ი. «ანალიზი»; ეს ტერმინიც კი უფრო დაიტევდა ახალ შინაარსს).

აღწერითს გრამატიკას, თუ ის იკისრებდა მთლიანად ენის მეცნიერულ აღწერას, ესაჭიროება რეკონსტრუქცია. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ის ავიდეს იმ დონეზე, რომელსაც გულისხმობენ თანამედროვე მიღწევები ენის მეცნიერულ შესწავლაში და, პირველ ყოვლისა, ენის ისტორიის შესწავლაში (ისტორიზმის პრინციპმა შექმნა ენათმეცნიერება, ისტორიზმის გარეშე ენათმეცნიერება დაკარგავდა იმას, რაც ყველაზე არსებითია მისთვის, როგორც ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის).

*
* *
*

ჰომოგენურობის პრინციპის დასაბუთება აღწერითს ანალიზს რომ უნდა დაედოს საფუძვლად («მეთოდოლოგიური იმანენტიზმი» აკი ამას მოითხოვს!), მოცემულია წიგნის §§ 62-65 (იხ. „დასკვნითი დებულებები“ §§ 8-10); თეორიული დასკვნები, რაც აქედან გამომდინარეობს სინტაქსისათვის — იხ. §§ 66-71.

მარტივი წინადადების სინტაქსური ანალიზი ძველ ქართულში — ხსენებულ პრინციპთა გამოყენებითა და ძველი ქართული ენის ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურის გათვალისწინებით — მოცემულია ტექსტის §§ 72-96 (იხ. „დასკვნითი დებულებები“ §§ 11-24).

*
* *
*

შრომა „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში. I. ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველ ქართულში“ სადოქტორო დისერტაცია იყო; იწერებოდა 42 წლის წინეთ; 1928 წელს იგი გამოსცა თბილისის უნივერსიტეტმა (სულ 350 ცალის რაოდენობით).

მარიზმის ბატონობის წლებში სიტყვის ფორმისა და, მით უფრო, წინადადების სტრუქტურის შესწავლა ითვლებოდა „ფორმალიზმად“ ამ სიტყვის ყველაზე ცუდი გაგებით, ე. ი. ითვლებოდა იდეოლოგიურად მავნე საქმიანობად.

მარისტები არა ერთხელ დასხმიან თავს ამ წიგნს.

იმის დასახასიათებლად, თუ რა საშუალებებით იბრძოდნენ მარისტები, საკმარისია ითქვას, რომ ტერმინი «იმანენტიზმის» ხმარება საკმარისად მიიჩნეეს, რომ ავტორი «იმანენტური ფილოსოფიის» დამცველად გამოეცხადებინათ, თუმცა ცნობილია, რომ «იმანენტურ ფილოსოფიას»,

როგორც გნოსეოლოგიურ მოძღვრებას, შემეცნების პროცესში სიმძიმის ცენტრი გადააქვს სუბიექტზე, «მეთოდოლოგიური იმანენტიზმი» კი ენის შესწავლისას მოითხოვს ობიექტის თვისებებიდან ამოვიდეთ, მოითხოვს გამოვავლინოთ ის ნიშან-თვისებები, რაც ობიექტს შინაგანად ახასიათებს, რაც ობიექტისთვისაა იმანენტური. ერთი სიტყვით, საქმე ეხება სულ სხვადასხვა რამეს: ერთი — შემეცნების თეორიაა ფილოსოფიის დარგი, მეორეში — გრამატიკული ანალიზის პრინციპი გვაქვს, ერთი — შემეცნების სუბიექტიდან ამოდის, მეორეს — შესასწავლი ობიექტი, მისი არსებითი ნიშან-თვისებები აქვს ამოსავლად.

მარიზმის ბატონობის წლებში, როცა ასე ადვილად თხზავდნენ იდეოლოგიურსა და პოლიტიკურ ბრალდებებს, ავტორი იცავდა თავის დებულებებს, რადგანაც მიაჩნდა ეს დებულებები მეცნიერულად სწორად.

ავტორმა თავის მოვალეობად ჩათვალა უფრო დაწვრილებით დაესაბუთებინა და განევითარებინა ეს დებულებები რიგს ნაშრომში.¹

ეს დებულებები შემოწმდა საკვლევადიებო პრაქტიკაში — ქართული, ზანური, ხუნძური ენების კონკრეტული მასალის ანალიზის პროცესში.²

¹ იგულისხმება შრომები:

1. «ზოგადი ენათმეცნიერება», ნაწ. I, თბილისი, 1935, გვ. 158-165.
2. «ზოგადი ენათმეცნიერება», ნაწ. II, «ძირითადი პრობლემები», თბილისი, 1945, გვ. 138-198; 352-356.
3. «ენათმეცნიერების შესავალი», თბილისი, 1952, გვ. 210-220.
4. «Проблема языка, как предмета языкознания», Москва, 1959, გვ. 111-125; 129-151; 169-175.
5. «გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები», სსრკ მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, 1940, №2, გვ. 157-162, №3, გვ. 241-248 (იხ. აქვე, დამატება II).
6. «К вопросу о путях развития современной лингвистики», უსრბ. «Вопросы языкознания», 1966, №4.

იგივე — ქართულად: «თანამედროვე ენათმეცნიერების განვითარების გზები», კრებული «თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები», I, 1966, გვ. 170-188.

7. «К вопросу о взаимоотношении мышления и речи в связи с ролью коммуникативной функции», კრებული «Язык и мышление», Москва, 1967, издат. «Наука», გვ. 16-30.

8. «Лингвистика, как интегральная наука о языке», კრებული «Проблемы языкознания», Москва, 1967, გვ. 15-19.

იგივე ქართულად: «ენათმეცნიერება, როგორც ინტეგრალური მეცნიერება ენის შესახებ», კრებული «თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები», II, 1967, გვ. 5-20 (რეზიუმე რუს. და ფრანგ. ენებზე).

² უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ამერიკის დესკრიფციული ენათმეცნიერება ცდილობს თავისებურად წარმართოს ენის აღწერა, საერთოდ, და წინადადებისა, კერძოდ. ეს ცდა მოითხოვს ცალკე განხილვას (ამოსავალ პრინციპებთან დაკავშირებით). ასეთი განხილვა ნავარაუდევია გვაქვს.

*
* *
*

იმ თავითვე სპეციალისტების სერიოზული შენიშვნა გამოიწვია დებულებამ: ძველი ქართულის გარდამავალ ზმნაში შეიძლება აღინიშნებოდეს მრავლობითი რიცხვი ობიექტისა, პირი კი აღუნიშნელი რჩებოდესო.

თუ პირი არ აღინიშნება, რიცხვის აღნიშვნა როგორღა არის შესაძლებელიო. ეს შენიშვნა საფუძვლიანი გვეჩვენა: პიროვანი უღვლილებისათვის ამ შენიშვნას ძალა აქვს.

მაგრამ როდესაც ძველი ქართული ზმნის უღვლილებაში ვ. თოფურიამ დაადასტურა (1942 წ.) კლასოვანი უღვლილების კვალი, ვითარება შეიცვალა: კლასოვანი უღვლილება გარდამავალი ზმნისა აღნიშნავს ობიექტს სახელობითს ბრუნვაში — მის კლასსა და მრავლობითობას, პირს კი — არა.

ამრიგად, მოიხსნა საკითხი ორი ობიექტის პირის აღნიშვნისა ქართული ენის გარდამავალ ზმნაში; გასაგები გახდა, რატომაა, რომ გარდამავალი ზმნის სუბიექტურ-ობიექტურ უღვლილებაში შეიძლება გვექონდეს სუბიექტისა და მხოლოდ ერთი ობიექტის პირის ნიშანი, ორი ობიექტის პირი კი ზმნაში ერთად არ დასტურდება.

*
* *
*

წიგნის ტექსტი უცვლელად იბეჭდება. ზოგი უცხოური ტერმინის თარგმანი, აგრეთვე რიგი გამოთქმა სტილისტურად დაზუსტდა; ორთოგრაფიული ნორმები ახლანდელია გატარებული (პრეფიქსების ხმარება, მსაზღვრელის შეხამება...).

ამ მხრივ ტექსტის სწორებასა და კორექტურაში დახმარებისათვის ავტორი მადლობას უძღვნის პროფ. თინ. შარაძენიძეს და უფრ. მეცნ. თანამშრომელს ბიძ. ფოხსუას.

მადლობის ღირსია ასოთამწყობი ნად. ხომასურიძე, რომელმაც მონდომებით ააწყო მთელი ტექსტი.

არნ. ჩიქობავა

20.I.1968

Предисловие ко второму изданию

В "Проблеме простого предложения в древнегрузинском языке", изданной в 1928 году, нас прежде всего интересовала эргативная конструкция: история её возникновения, историческое своеобразие переходного глагола, породившего эргативную конструкцию (см. Предисловие к первому изданию, стр. 19).

Что касается **описательного** анализа эргативной конструкции, он представлялся нам, как вспомогательная работа, которую следовало предвратить **исторический** анализ.¹

Однако в процессе этой работы выяснилось, что описание эргативной конструкции (–да и, вообще, синтаксических конструкций, которые создаются глаголом субъектно-объектного спряжения–) не может быть адекватно выражено в понятиях описательных грамматик индоевропейских языков, где имеется лишь субъектное спряжение. Своеобразие морфологической структуры глагола обусловлено своеобразием синтаксической структуры предложения (предикативной синтагмы). Принципиальные вопросы различных отраслей описательной грамматики не могут решаться в отрыве друг от друга, локально: они требуют комплексного решения.

Выяснилось также, что в основных направлениях описательной грамматики (и синтаксиса, и морфологии) структурные понятия строятся по функциональным признакам.

В этих направлениях (логицизм, психологизм) игнорируется основной вывод, который с необходимостью следует из исторической грамматики, его исследовательской практики: одно и то же обозначаемое (resp. категория) в различных языках (да и в одном и том же языке в различные периоды его существования) может выражаться по-разному: **единством функции** не решается вопрос об **единстве структуры**.

Иными словами: научно несостоятельным оказывается основное положение рациональной (resp. философской) грамматики, будто единством логических категорий (т. е. единством выражаемого) обоснована возможность «всеобщей (универсальной) грамматики»; «всеобщей» она считалась потому, что являлась «рациональной», основывалась на логических категориях, которые считались «всеобщими» (*grammaire générale ou raisonnée*).

«Всеобщей грамматики» не может быть потому, что не существует

¹ Анализ истории и сущности эргативной конструкции нами посвящены ряд статей и две монографии: Проблема эргативной конструкции и берберских языков:

I. Взаимоотношение номинативной и эргативной конструкций по данным др.-груз. языка, 1948;

II. Теория сущности эргативной конструкции, 1961.

единой «всеобщей» грамматической структуры (этим, конечно, не исключается наличие отдельных общих черт в структуре различных языков).

Научное изучение языка подразумевает изучение и структуры и функции.¹ Но структура не может описываться по функции (так же как и функция не может описываться по структуре).

Структурные понятия естественно должны строиться по структурным признакам, функциональные – по признакам функциональным. Неоправдано расстояние измерять в единицах меры весов.

Руководящим принципом в описательном анализе языка для нас является принцип гомогенности, как основа «методологического имманентизма»: понятие должно содержать признаки, внутренне присущие, имманентные описываемому объекту.

Грамматика одного языка не может быть "переводом" грамматики другого языка: "невозможно описывать (обозревать) один город при помощи плана другого города".

Никто не пытается, описывая фонематический состав одного языка, исходить из состава фонем другого языка.

То же можно сказать о составе падежей (срв. шесть падежей в латинском и четыре падежа – в немецком, три – в арабском), о количестве времен и наклонений...

Однако, в вопросе о количестве частей речи и поныне продолжают попытки находить одинаковые части речи независимо от того, каковы морфологические особенности слов языка, т. е. морфологическое понятие определяется по признакам функциональным.

Субстантив, атрибутив, предикатив и т. д. необходимы, как понятия описательной семантики (но не морфологии).

Но этими понятиями не могут замещаться понятия частей речи, как понятия описательной морфологии.

Еще труднее приходится синтаксису: здесь, как правило, и предложение и его члены трактуются, как понятия функциональные. К чему это ведет, можно судить по тому, что предлагают логические и психологические концепции (о них см. §§ 3-35, а также "Заключительные положения", §§ 1-6).

Функциональный анализ синтагмы так же необходим, как и описательный анализ семантических категорий, но его

¹ Под функцией («значением») мы понимаем отношение к обозначаемому (отношение первичного характера). Структура же выражает отношение между отношениями (отношения вторичного характера).

По функциональным категориям языки максимально близки (но не идентичны). По структуре языки могут расходиться более всего.

Функцию и структуру необходимо различать, поскольку это – отношения различного характера (первичного, вторичного).

Но нет оснований их противопоставлять, поскольку и в том, и в другом случае в виду имеются отношения. В принципе этим решается вопрос о взаимоотношении «функционализма» и «структурализма». (Подробнее в статье: "Лингвистика, как интегральная наука о языке" – см. ниже, стр. 013, сноски).

следует проводить самостоятельно, а не подменять им учение о структуре синтагмы.

Описательный анализ и **структуры** (структуры слова, структуры синтагмы) и **функций** (семантических категорий, выраженных в слове, далее семантических категорий, представленных в синтагме) не уместаются в рамках описательной грамматики, в традиционном понимании его состава (фонетика, морфология, синтаксис).¹

Создание новых отраслей описательного научного анализа становится настоятельно необходимым (см. Приложение: Основные вопросы структуры грамматики).

Сам термин «грамматика» требует замены более точным термином (срв. термин *vuākaḡana* древнеиндийских грамматик, что значит «анализ»; даже он более способен вместить новое содержание).

Реконструкция описательной грамматики, как научного описания языка в целом, в состоянии привести этот раздел науки о языке в соответствие с достижениями, которые имеются в научном познании языка и, в первую очередь, в научном изучении его истории (Применение принципа историзма породило науку о языке. Отказавшись от принципа историзма, лингвистика, лишается того, что является самым существенным для нее, как гуманитарной науки).

*
* *

Обоснование принципа гомогенности, лежащего в основе описательного анализа (с установок «методологического имманентизма») дано в тексте книги - §§ 62-65 (см. заключительные положения, §§ 8-10); теоретические выводы для синтаксиса, согласно принципу гомогенности, см. §§ 66-71.

Применение соответствующих принципиальных положений к синтаксическому анализу простого предложения в древнегрузинском языке – с должным учетом морфологической структуры древнегрузинского глагола – см. §§ 72-96 (Заключительные положения, §§ 11-24).

*
* *

Данная работа ("Проблема простого предложения в грузинском языке. 1. Подлежащее и дополнение в древнегрузинском языке") являлась докторской диссертацией; она писалась более 40 лет назад; как отмечено выше, была издана в 1928 году Тбилиским университетом (всего 350 экземпляров).

¹ Морфология и синтаксис отражают наиболее своеобразное в структуре языка: этим определяется их важность в системе описательного анализа.

В годы господства марризма изучение формы слова и тем более структуры предложения считалось "формализмом" в крайне негативном понимании данного термина, т. е. объявлялось идеологически вредным.

Книга подверглась яростным нападкам марристов.

Для характеристики приёмов марристской критики достаточно отметить, что использование термина «имманентизм» послужило поводом для обвинения автора в приверженности к «имманентной философии», хотя известно, что «имманентная философия», как гносеологическое учение, в процессе познания центр тяжести переносит на **субъект** познания, «методологический имманентизм» же, описывая факты языка, настаивает на необходимости исходить из свойств анализируемого объекта, стремится выявить **признаки**, внутренне присущие, имманентные **объекту**. Словом, речь идет о двух совершенно различных вещах: в одном случае в виду имеется гносеологическая теория, в другом – принцип грамматического анализа; в одном случае апеллируют к **субъекту** познания, в другом – к **объекту**, к его существенным признакам.

В годы господства «нового учения о языке» в условиях, когда столь легко выдвигались обвинения в идеологических и далее – политических ошибках, автор отстаивал свои положения, считая их научно правомерными.

Автор счёл своим долгом подробнее их обосновать и развить в последующих своих работах.¹ Эти положения проверены в исследовательской практике – в анализе конкретного языкового материала (грузинского, занского, аварского), в выявлении своеобразия их структуры.²

¹ В виду имеются:

1. «Общее языкознание», ч. I, Тбилиси, 1935, стр. 158-165 (на груз. яз.).
2. «Общее языкознание», ч. II, Основные проблемы», Тбилиси, 1945, стр. 138-198; 352-356 (на груз. яз.).
3. «Введение в языкознание», Тбилиси, 1952, стр. 210-220) (на груз. яз.).
4. «Проблема языка, как предмета языкознания», Москва, 1959, стр. 111-125; 129-151; 169-175.
5. «Основные вопросы структуры грамматики», Сообщения Груз. филиала АН СССР, т. I (1940), №2, 3 (резюме на рус. яз., см. Приложение, II).
6. «К вопросу о путях развития современной лингвистики», журн. «Вопросы языкознания», 1966, №4.
7. «К вопросу о взаимоотношении мышления и речи в связи с ролью коммуникативной функции»: Сборник «Язык и мышление», Москва, 1967, Издат. «Наука», стр. 16-30.
8. «Лингвистика, как интегральная наука о языке»: Сборник «Проблемы языкознания», Москва, 1967, стр. 15-19. То же на груз. яз. в Сборнике «Вопросы современного общего и математического языкознания», II, Тбилиси, 1967, стр. 5-20 (резюме на русск. и франц. языках).

² За последние 30 лет в американской дескриптивной лингвистике делаются попытки оригинального решения вопросов описательного анализа языка, вообще, предложения, в частности. Они требуют рассмотрения с учетом особенностей исходных принципов. Такой анализ предполагается дать отдельно.

*
* *

Серьезные возражения вызвало в свое время положение, что в глаголе может выражаться множ. ч и с л о объекта (в имен. пад.), когда не обозначается л и ц о соответствующего имени.

Эти возражения вначале мне представлялись убедительными: как может в глаголе обозначаться число, если не обозначается лицо имени? в условиях **личного** спряжения такая постановка вопроса закономерна.

Когда в спряжении древнегрузинского глагола были обнаружены (В. Т. Топурия, 1942) следы классного спряжения, трудность отпала: в классном спряжении переходных глаголов обозначается грамматический класс и множ. число объекта, но не лицо!

Таким образом, вопрос об обозначении **лиц** двух объектов в грузинском глаголе снимается. Становится понятным, почему в субъектно-объектном спряжении переходного глагола в грузинском языке никогда не обнаруживаются префиксы двух объектов вместе!

*
* *

Текст первого издания печатается без изменения. Автор выражает признательность проф. Т. С. Ш а р а д з е н и д з е и ст. науч. сотруднику Б. А. П о ч х у а за помощь, оказанную в правке корректуры и в уточнении грузинского перевода некоторых терминов.

Арн. Чикобава

Тбилиси, 20.I.1968

პირველი გამოცემის წინასიტყვაობა

წინამდებარე ნარკვევი არსებითად პრინციპული ხასიათის ძიებაა. მისი მიზანია ჯერ გააანალიზოს სინტაქსის ძირითადი ცნებანი, წინადადება, ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება, — სხვადასხვა მიმართულებათა გაგებით, განიხილოს ამ მიმართულებათა ძირითადი მეთოდოლოგიური საწყისები, გაარკვიოს მათი შეფარდებითი წონა და შემეცნებითი ღირებულება. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც გარკვეულია, რატომ და რა უბედობა თან დაჰყვება ამა თუ იმ მიმართულებას, მოცემულია ცდა ზოგადის ბაზის დაძვინისა აღწერითი მეთოდოლოგიისათვის ენათმეცნიერებაში, წარმოდგენილია გარკვეული გაგება სინტაქსისა, სინტაქსის მიზან-თვალსაზრისისა და სინტაქსის ცნებათა დამუშავების მეთოდისა.

აქ წარმოდგენილი გაგების მეთოდოლოგიური რაობა რომ უფრო ნათელი ყოფილიყო, საილუსტრაციოდ განვიხილეთ რუსული ენის შესიტყვება, მისი ზოგადი თვისებები, რუსული წინადადება და მისი ნაწილები.

ქართული წინადადების სინტაქსურ ანალიზს წინ უძღვის სახელისა და ზმნის ზოგადი მორფოლოგიური ანალიზი, რომ თვალსაჩინო და ხელშესახები იყოს წყარო ქართული წინადადების შედგენილობა-მექანიზმის თავისებურებათა.

ჩვენ აუცილებლად მივიჩნით განგვესხვაებინა სუბიექტი—ობიექტი ზმნის თვალსაზრისით და სუბიექტი—ობიექტი შესიტყვების თვალსაზრისით, რადგანაც ეს ცნებები ქართულში ერთმანეთს ფარავენ მხოლოდ შემთხვევათა მცირე ნაწილში.

სამი ძირითადი ტიპის ზმნათა უღვლილება **MS**-ისა და **MO**-ის პირთა ყველა შესაძლო ვარიაციით — აუცილებელი იყო შესიტყვებაში ზმნისა და სახელის ურთიერთობის ნათელსაყოფად.

იქ, სადაც ეს ურთიერთობა ძველ ქართულში განსხვავებულია ახალი ქართულისაგან, — სახელობითის (**MS**-ის, **MO**-ის) და მიცემითის (**MO**-ის) მრავლობითობის აღნიშვნისას ზმნაში, — საქმის ვითარება დავახასიათეთ სათანადო ძეგლებიდან (არა უგვიანეს **XI** საუკუნისა) ამოღებული მასალით.

არ განგვიხილავს: 1. „წრფელობითი ბრუნვის“ სინტაქსური როლი; 2. ზოგიერთი შემთხვევები, როდესაც **MS 6** იანი მრავლობითის სახელობითით არის გადმოცემული, ზმნას კი რიცხვში ვერ ითანხმებს და 3. კოორდინატ-სახელთა ის ურთიერთობა, რომელიც შეიქმნებოდა, ზმნასთან **-ჟე**

ნაწილაკის ხმარებას ხშირად რომ ჰქონდეს ადგილი ძველს ქართულში:¹ ყველა ეს მოვლენა სპორადულად იჩენს თავს და მოვლენათა აღწერითი ანალიზისათვის უმნიშვნელოა; სამაგიეროდ, მოვლენათა ახსნისას აუცილებელი იქნება მათი საგანგებო ანალიზი.

ქართულში სამი ძირითადი ტიპის წინადადება განვიხილეთ **შედგენილობისა და მექანიზმის** მხრივ... აბსოლუტურ-ზმნიანი წინადადების შედგენილობაც მარტივი აღმოჩნდა და მექანიზმიც ჩვეულებრივი; სხვაგვარი ვითარება გვაქვს რელატიურ-ზმნიანი წინადადების ანალიზის დროს: თავისებური აღმოჩნდა მისი შედგენილობაც და მექანიზმიც; ინდო-ევროპულ ენათა შესიტყვების ანალიზით დადგენილი ცნებები, — თუნდაც რომ ამ ცნებებს წმინდა ენათმეცნიერული შინაარსი მიეცეს და მართებული თვალსაზრისით იყოს ჩამოყალიბებული, — ასეთი ქართული წინადადებისათვის სრულიად გამოუსადეგარია; ჩვენც დაურიდებლივ გადავუდექით უსაფუძვლო ტრადიციის ინერციას. მეცნიერული აზროვნებისათვის ერთადერთი ავტორიტეტი არის ფაქტი, და ენობრივი ფაქტი ამას მოითხოვდა.

ჩვენ მოგვიხდა ახალი ცნებების ჩამოყალიბება, დაგვჭირდა ახალი ტერმინების დადგენა; ესენია: კოორდინაცია, კოორდინაცია-ბი: ძირითადი, დიდი, მცირე და უმცირესი (აგრეთვე მორფოლოგიური სუბიექტი, მორფოლოგიური ობიექტი). ახალი ტერმინის დამკვიდრება ამა თუ იმ დისციპლინაში ყოველთვის როდია უმტკივნეულო, განსაკუთრებით, თუ ეს მხოლოდ ტერმინოლოგიურ ცვლილებას არ მოასწავებს. დამხვდური მოსულს აღმაცერად უცქერის, თუნდაც რომ უკანასკნელს არსებობის მკვიდრი უფლება მოეპოვებოდეს. ჩვენ არა ვართ ჩვენი ტერმინების პატრიოტი (თუმც სრულიად შესაფერისად ვთვლით მათ იმ ცნებათათვის, რომელთა აღნიშვნა მათ ეკისრებათ), მაგრამ ჩვენთვის უცილობელია ერთი რამ: ძველს ტერმინებში ვერ ჩავატევთ ახალ ცნებათა შინაარსს, რადგანაც ეს გამოიწვევდა აღრევას; მით უფრო, რომ ქართულში ძველი ტერმინებისა და ცნებებისათვისაც რჩება ადგილი (მაგალ., აბსოლუტურ-ზმნიან წინადადებაში).

¹ მეთორმეტე საუკუნიდან -ყე ნაწილაკი იურიდიკულ აქტებში არც თუ იშვიათად გვხვდება, ორ ადგილას „ვეფხის-ტყაოსანშიც“ გვაქვს (თუ ტექსტი ამ ადგილას პირვანდელი სახითაა წარმოდგენილი); თვით სასულიერო ხასიათის ერთს ძეგლში (XII-XIII საუკ.), რომელიც უნივერსიტეტის სიძველეთსაცავში ინახება (№52), ამ ნაწილაკის სისტემატურ ხმარებას ვხვდებით (იხ. ჩვენი წერილი: -ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით; წელიწადი, ტ. I-II. 1923/24, გვ. 60-65). ძველ ქართულ მეტყველებაში ეს ნაწილაკი ზოგიერთს კილოებში ჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ძველ ქართულს სამწერლობო ენაში, ბიბლიის რამდენიმე ადგილის გამოკლებით, ამ ნაწილაკს არა ვხვდებით.

არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ „ტერმინოლოგიური ბურჟუაზი მეცნიერებისათვის იგივეა, რაც ნისლი ნაოსნობისათვის“ (პ. შუხართი), და: „ენათმეცნიერს არა მარტო უფლება აქვს, არამედ მოვალეობაც აწევს თავისი ტერმინოლოგია ისე ჩამოაყალიბოს, როგორც ეს შეეფერება მისი საგნის ბუნებას“ (პ. პაულე)...

როგორ ყალიბდება სინტაქსური ცნებები და როგორ უნდა ყალიბდებოდენ ისინი — ეს არის ძირითადი პრინციპულ-მეთოდოლოგიური საკითხი, რომლის ანალიზისათვის განკუთვნილია ამ ნარკვევის ზოგადი ნაწილი.

მეცნიერული აზროვნება ან მოვლენათა კანონზომიერ მიმართებებს ეძიებს, ანდა მოვლენათა სისტემატიკას ისახავს მიზნად და ცნებებად აკინძავს მათ. ორსავე შემთხვევაში მეცნიერული აზროვნების მიზანია მოვლენათა უსაზღვრო მრავალფეროვნებას გაართვას თავი და დაძლიოს იგი ინტელექტუალურად. ბუნებისმეტყველური დისციპლინები, — ეს აკვანი მეცნიერების აზროვნებისა, — მოიხმარენ როგორც ერთს, ისე მეორე საშუალებას (მაგალ., ქიმია, ფიზიკა — უპირატესად პირველს, ბოტანიკა, ზოოლოგია, მინერალოგია — განსაკუთრებით მეორეს). ენათმეცნიერება, კერძოდ, მორფოლოგია-სინტაქსი **ამ მხრივ** უფრო ბოტანიკა-ზოოლოგია-მინერალოგიას უახლოვდება: მოვლენათა სტრუქტურის დადგენისას ენობრივ სინამდვილეს იგიც ცნებებში აყალიბებს.

როგორ წარმოებს პროცესი ცნებათა ჩამოყალიბებისა ბუნებისმეტყველების სინამდვილეში და როგორ — ენათმეცნიერების ამ დარგებში?

ზოგადი მეთოდოლოგია მოითხოვს, რომ ცნება მოვლენის არსებით ნიშნებს წარმოგვიდგენდეს. შეხედულება იმაზე, თუ რა არის არსებითი ნიშანი ამა თუ იმ მოვლენისათვის, იცვლება დროთა ვითარებაში (იხ., მაგ., ისტორია ცნებათა: სინათლე, სითბო, ელექტრობა...); იცვლება, მაშასადამე, ცნების შინაარსი იმისდა მიხედვით, თუ რამდენად წინ არის წასული ესა თუ ის მეცნიერება თავის საგნის შესწავლაში; ამიტომაც, ყოველს ცალკე მომენტში ცნების განაკვეთში უკუფენილია სათანადო მეცნიერების მდგომარეობა. იცვლება ცნება, მაგრამ უცვლელად რჩება ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც მუშავდებოდა იგი; ზედმიწევნით რომ ვთქვათ, სწორედ იმიტომ იცვლება ცნება, რომ უცვლელად რჩება პრინციპი ცნების ჩამოყალიბებისა: ცნებამ უნდა მოგვცეს ყოველს მომენტში არსებითი ნიშნები სათანადო მოვლენისა.

ბოტანიკოსი მცენარეთა კლასიფიკაციისას, რა თქმა უნდა, მხოლოდ მცენარის ნიშნებს აქცევს ყურადღებას. აგრეთვე, არ მოიძებნება არც ერთი მინერალოგი, მინერალის აღწერისას მის ნიშნებს არ მიაქციოს ყურადღება.

ფსიქოლოგისტი, ლოგიცისტი, საერთოდ ტრანსცენდენტისტი კი გრამატიკულ, კერძოდ, სინტაქსურ მოვლენას ახასიათებს არა იმ ნიშნების

მიხედვით, რომელიც მოეპოვება ამ მოვლენას, როგორც მეტყველებითს ფაქტს, სამეტყველო სისტემის მხილებას; არა, მისთვის ამოსავალია ის როლი, რომელსაც იგი ასრულებს ლოგიკური თუ ფსიქოლოგიური სინამდვილის თვალსაზრისით; და როცა ტრანსცენდენტისტი ამა თუ იმ ენის მოვლენებს აგვიწერს ამ როლის მიხედვით, ის ისევე იქცევა, როგორც, ვთქვათ, ზოოლოგი, რომელმაც ცნება ცხენისა განსაზღვრა იმ როლის მიხედვით, რომელიც მას განეკუთვნება ჩვენს სამეურნეო ცხოვრებაში, როგორც სამუშაო ცხოველს.¹ თავისთავად ცხადია, რამდენად მართებული იქნებოდა ეს. მაგრამ განსაკუთრებულად უცნაური მდგომარეობა შეიქმნება მაშინ, როცა იგივე ზოოლოგი პოლარული ქვეყნების ცხოველთა აღწერისას იძულებული გახდება შინაურ ირემს უწოდოს „ცხენი“, რადგანაც იქ ცხენის როლს მეურნეობაში ირემი ასრულებს. რა თქმა უნდა, ბუნებისმეტყველებაში ასეთი რამ არ ხდება: იქ ცხენი ცხენის ნიშნებით ხასიათდება, ცნება ირმისა — ირმის არსებით ნიშნებს წარმოგვიდგენს. ასეთი ზოოლოგი არ იცის ბუნებისმეტყველებამ, მაგრამ ასეთი ზოოლოგის მეთოდით მუშაობს ტრანსცენდენტიზმი ენათმეცნიერებაში. განა ქართული შესიტყვეების არსებით ნიშნებს ემყარება რომელიმე X, როცა ფრაზაში: „მამას უყვარს შვილი“ გულმართლად ეძიებს, რომელი სახელია ქვემდებარე და რომელი — დამატება, და აზრადაც არ მოუვა დასვას საკითხი: შეიძლება კი აქ იყოს ერთი ან მეორე? და მეორე — რატომ? იმიტომ, რომ ფრაზაში „მამას უყვარს შვილი“ „მამას“ იმასვე აღნიშნავს, რასაც отец — ფრაზაში: отец любит сына და pater — ფრაზაში: pater filium amat და თუ отец, pater არის ქვემდებარე, რა დააშავა ქართულმა „მამას“, რომელიც იმასვე აღნიშნავს!

ლოგიციზმ-ფსიქოლოგიზმი და, საერთოდ, მეთოდოლოგიური ტრანსცენდენტიზმი აყალიბებს სინტაქსურს ცნებებს დედუქციურად და შინაგანი აუცილებლობით იძლევა აპრიორიზმს. **მეთოდოლოგიური იმანენტიზმი მას უპირისპირებს ინდუქციასა და აპოსტერიორიზმს:** იგი მოითხოვს ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის აღწერისას გრამატიკული ცნება წარმოგვიდგენდეს ამ მოვლენის არსებითს ნიშნებს. ამისთვის კი **აუცილებელია დაი-**

¹ რა თქმა უნდა, მეტყველება აზროვნებასთან შეუდარებელი უფრო მჭიდრო კავშირშია, ვინემ ცხენი თავის სამეურნეო ფუნქციასთან. ეს რომ ასე არ იყოს, ტრანსცენდენტიზმის შეცთობა სრულიად გაუგებარი რაღაც იქნებოდა. მეტად მჭიდრო კავშირი და სწორედ ამიტომ არის განსაკუთრებით აუცილებელი ფუნქციისა და სტრუქტურის გარჩევა, წამოყენება პოსტულატისა, რომ ამა თუ იმ ენის სტრუქტურა, როგორც კვლევის ობიექტი, თავისთავადია... ცხენისა და მის სამეურნეო როლთან ანალოგიის გატარება სწორედ იმით არის კარგი, რომ მის საშუალებით ტრანსცენდენტიზმის მეთოდოლოგიური შეცთობა დიდდება რაოდენობლივ და სრულიად თვალსაჩინო ხდება.

ძებნოს საზომი, იმანენტური ენობრივი მოვლენისათვის. „ენა, ზოგადად, სიმბოლოთა სისტემაა“; აზროვნებითი კატეგორია მის ალწერისას იმანენტური საზომი ვერ იქნება. იმანენტური საზომი ყოველმა ენამ თავის თავისებებში უნდა მოიპოვოს.

სხვადასხვა ენას სხვადასხვა თვისება შეიძლება აღმოაჩნდეს; ერთი ენის თვისებები, მისი არსებითი ნიშნები შეიძლება სულ არ აღმოაჩნდეს მეორე ენას, და პირიქით. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ არა თუ ტრანსცენდენტის მიერ გამომუშავებული სინტაქსური ცნებები (ისინი ინდო-ევროპულს ენებშიაც უვარგისნი არიან!), არამედ იმანენტის მიერ თვალსაზრისით ჩამოყალიბებული ცნებებიც ინდო-ევროპული ენათმეცნიერებისა მხოლოდ იმდენად გამოდგება სხვა ენისათვის, რამდენადაც ამ უკანასკნელს აღმოაჩნდება ინდო-ევროპულ ენათა თვისებები...

ქართული რელატიურ-ზმნიანი წინადადების შედგენილობაცა და მექანიზმიც იმდენად თავისებურია, რომ მისთვის ევროპულ ენათა სინტაქსის ცნებები ნამდვილი პროკრუსტეს საწოლი იქნებოდა. უკვე ვთქვით, რომ სხვაგვარი არსებითი ნიშნები აქვს ამ ტიპის წინადადებას, სხვაგვარ ცნებებს ვიღებთ, და ტერმინებიც სათანადო გვჭირდება.

ამასთან დაკავშირებით ერთი რამეც უნდა აღვნიშნოთ: აქვს ერთი დიდი უპირატესობა მეთოდოლოგიური ტრანსცენდენტის ტრაფარეტს: იგი მეტად მარტივია; ახალი ცნებები მას არ სჭირდება, არც ახალი ტერმინების ძებნით იწუხებს თავს... ზევით ვთქვით, რომ მოვლენის სისტემატიკა, ცნებებად აკინძვა მიზნად ისახავს რთული გაამარტივოს; ამდენადვე მეთოდოლოგიურად უფრო მართებულად შეიძლება მოგვეჩვენოს სწორედ ეს ტრაფარეტი, მაგრამ ეს დიდი შეცდომა იქნებოდა: მოვლენის სისტემატიკა მოითხოვს მაქსიმალურ სიმარტივეს, ისე კი, რომ მოვლენა სწორად იქნეს ასახული. არა ყოველგვარი, არამედ მხოლოდ გარკვეული სახის გამარტივება არის კანონიერი და მეთოდოლოგიურად გამართლებული. გამარტივება, მიღებული მოვლენის არსებით ნიშნათა უგულვებელყოფით, დამახინჯებაა და არა გამარტივება. ტრანსცენდენტის ცნებათა სიმარტივე მის მეთოდოლოგიურ ღირსებაზე კი არ მიგვითითებს, არამედ მისი ნაკლის მხილებაა, მისი მეთოდოლოგიური სისუსტის უტყუარი ნიშანია.

*
* *
*

როდესაც 1920 წელს ქართულმა წინადადებამ ჩვენი ინტერესი აღძრა, ჩვენ არ გვქონდა განზრახვა მისი **აღწერითი** ანალიზი წარმოგვედგინა; პირიქით, ჩვენ მისი მექანიზმის ახსნა გვეწადა; რატომ არის: **იგი** კლავს **მას**, მაგრამ: **მან** კლა **იგი**? რით არის გამოწვეული გარდამავალ ზმნებთან სახელების ბრუნვათა ეს ცვლა?

იმ ტერმინების საკითხი, რომელთაც წინადადების აღწერისას მოიხმარენ, ამ ტერმინებით გადმოცემულ ცნებათა გენეზის-რაობის საკითხი წამოიჭრა მას შემდეგ, რაც ცხადი შეიქნა, რომ ქართულში ოდნავ დამაკმაყოფილებლად არ არის განსაზღვრული, რაა ქვემდებარე, რაა დამატება, მეფობს აუტანელი სუბიექტივიზმი და, რაც მთავარია, არა ჩანს მეთოდოლოგიური საყრდენი განსაზღვრებათათვის. ამიტომაც, სასკოლო გრამატიკები მოიხმარენ ნასესხებ ტერმინებს სრულიად მექანიკურად. საკითხის ახლოს გაცნობამ იმაში დაგვარწმუნა, რომ, საერთოდ, ენათმეცნიერება ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება და ამის მთავარი მიზეზი ტრანსცენდენტიზმია... ტრანსცენდენტიზმის ერთი სახეობის, ლოგიციზმის, კერძობითი განსჯა წარმოდგენილია წერილში: „-ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით“ („წელიწდეული“, ტ. I-II, გვ. 32-68, განსაკ. გვ. 48-52). იმავე 1924 წ. დაბეჭდილს წერილში „ზოგადი თვალსაზრისისათვის“ (იქვე, გვ. 12-21) უკვე მოცემულია ენათმეცნიერების ზოგადი პრინციპული საკითხების სქემატური მიმოხილვა იმანენტიზმის თვალსაზრისით. ამ ნარკვევის ძირითადი დებულებები იქ ნათქვამის განმეორება-განვრცობაა; არსებითად იქ ყველაფერია მოცემული. ახალია აქ ტერმინი „მეთოდოლოგიური იმანენტიზმი“, რომელიც პირველად ჩვენს შესავალ ლექციაში „ენათმეცნიერების ისტორიასა და მეთოდოლოგიაში“ (1.XII.1926) ვიხმარეთ.

რუსი ფორმალისტების სკოლასთან (მის ზოგიერთ წარმომადგენლებთან, ყოველს შემთხვევაში) ჩვენს შეხედულებას აქვს საერთო არა ერთი დებულება (მაგალ., სინტაქსის საგნის შესახებ), მაგრამ, როგორც თავის ადგილას არის ნაჩვენები, წინადადების საკითხში ფორმალიზმი მეთოდოლოგიურად დამუშავებული არ არის და მისაღებ სისტემას ვერ იძლევა.¹

¹ შესიტყვებაში სიტყვის როლის მიხედვით სინტაქსურ ცნებათა ჩამოყალიბების საინტერესო ცდაა მოცემული ანდ. პ ა ვ ლ ო ვ ი ჩ ი ს მიერ ჟურნალში "Родной язык в школе" №4-5; სამწუხაროდ, ეს ჟურნალი ვერ ვიშოვეთ და სათანადო ადგილას რუსულის შესიტყვების ანალიზისას, პ ა ვ ლ ო ვ ი ჩ ი ს ეს წერილები ვერ გამოვიყენეთ.

ძველი ქართულის წინადადების შედგენილობა-მექანიზმის აღწერას უნდა მოჰყვეს ახალი ქართულის (კილოებიტურთ), სვანურისა და მეგრულ-ჭანურის წინადადებათა შედგენილობა-მექანიზმის აღწერა; ეს ერთი მხრით; მეორე მხრით, წინ გვიძევს რთული და მძიმე საქმე ამ მექანიზმის **ახსნისა**. ქართველურ ენებში. ამის ახსნა გულისხმობს საკითხთა რიგის გარკვევას; მათში მთავარია: 1. მოთხრობითისა და სახელობითის გენეზისი; 2. ნაცვალსახელთა და სათანადო ზმნისართთა ანალიზი; 3. ნაცვალსახელები და ზმნის ფორმანტები, კერძოდ, მესამე პირის MS-ის ფორმანტის საკითხი; 4. დროთა ისტორია ქართულში; 5. საშუალო, ვნებითი და მოქმედებითი გვარი და ზმნის ფუძის ბუნება... ზოგი ამათგან დამუშავებულიც გვაქვს, ზოგიც მუშავდება და, გვგონია, თავის წვლილს შეიტანს „მესამე პირის პრობლემის“ გადაწყვეტის ცდაში.

ეს ნარკვევი შეეხება როგორც ძველ ქართულს, ისე, საერთოდ, ენათმეცნიერების მეთოდოლოგიას; და ბუნებრივია, თუ განსაკუთრებულს მადლობას ვუძღვნი ჩემს მასწავლებლებს: პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე ს, პროფ. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ს და პროფ. დ. უ ზ ნ ა ძ ე ს.

მათგან — პირველის ხელმძღვანელობა ძველი ქართულის ძეგლებზე მუშაობისას ყოველთვის იქითკენ იყო მიმართული, რომ აზროვნება მკვიდრი ფაქტების ნიადაგზე მდგარიყო და მტკიცე პოზიტიური ხასიათი არ დაჰკარგოდა; მეორე — ენაში ენობრივის ძიებას გვასწავლიდა და ენათმეცნიერული თვალსაზრისის გამოყენებისაკენ მიმართავდა გულისყურს, ხოლო უკანასკნელის ფსიქოლოგიურ სემინარში მუშაობამ, სხვათა შორის, საშუალება მოგვცა ფსიქოლოგისტური მიმდინარეობის აკარგიანობაში დამოუკიდებელივ გაგრძეულიყავით.

კორექტურის სიავე შემიმსუბუქქეს: კოლ. კოლ. ვარ. თ ო ფ უ რ ი ა მ (პირველი სამი თაბახი) და ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ; ბეჭდვის შემდეგ კორექტურულ შეცთომათა დაძებნაში დაგვეხმარა კოლ. თამარ ლ ო მ ო უ რ ი. დიდ მადლობას ვუძღვნი მათ ისევე, როგორც დოც. სიმ. ყ ა უ ჩ ხ ი შ - ვ ი ლ ს, რომელიც, როგორც საგამომცემლო კომისიის მდივანი, მუდამ მზად იყო ხელი შეეწყო, რითაც შეეძლო.

არნ. ჩიქობავა

ტფილისი, 3. VI. 1928

თავი პირველი

შესავალი

1. საკითხის დასმისათვის მიმართულებათა შესახებ

1. ქვემდებარე და დამატება, ისევე როგორც შემასმენელი, წინადადების ძირითადი შემადგენელი ნაწილია. მათი განსაზღვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული წინადადების განსაზღვრებასთან: წინადადების გაგება ხომ ის ჩარჩოა, რომელშიაც თავსდება მასთან შეგუებული სურათი, მოცემული ამ ნაწილების შესაფერი გაგებით. ამისდა მიხედვით: **ქვემდებარე, დამატება, შემასმენელი**—ცნებათა განსაზღვრებას არ შეიძლება სრულიად გარკვეული სახე არ მისცეს თვით **წინადადება**—ცნების ბუნებისა და რაობის გარკვევამ.

ამიტომ: შეუძლებელია **ქვემდებარე-დამატება**—ცნებათა ანალიზის დროს გვერდი ავუაროთ წინადადების საკითხს.

წინადადების საკითხი — ყველაზე მწვავე საკითხია თანამედროვე სინტაქსში; ეს ის წერტილია, სადაც თავს იყრიან და ერთურთს სცილდებიან სინტაქსურ პრობლემათა გარშემო ამუშავებული აზროვნების სხვადასხვა მიმართულებანი; წინადადების პრობლემის გადაწყვეტა მჭიდროდ არის დაკავშირებული სინტაქსის გაგებასთან, ხოლო სინტაქსის შინაარსი, ფარგლები და ადგილი საენათმეცნიერო დისციპლინათა შორის — თავსამტვრევი საკითხია ზოგადი ენათმეცნიერებისა.

ენათმეცნიერება, როგორც პოზიტიური ჰუმანიტარული დისციპლინა, მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეოცე წლებში ჩამოყალიბდა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის სახით. შედარებითი მეთოდი ისტორიულით რომ არ ყოფილიყო ზურგგამაგრებული, ენათმეცნიერება ვერასოდეს დაიმსახურებდა პოზიტიური მეცნიერების სახელს. ისტორიულ-შედარებითმა ენათმეცნიერებამ შექმნა ფონეტიკა, სრულიად ახალი¹ დისციპლინა, ენათმეცნიერების ეს ქიმიკა; ფერი ეცვალა მეტყველების ნაწილების შესახებ

¹ ინდოეთის საგრამატიკო აზროვნებამ, მართალია, დიდ წარმატებას მიაღწია, კერძოდ ფონეტიკაში, მაგრამ ევროპულ აზროვნებაზე მეცხრამეტე საუკუნემდე არავითარი გავლენა არ მოუხდენია.

მოძღვრებას: მორფოლოგია გაიმიჯნა ძველი ეტიმოლოგიისაგან; იშვა სემასიოლოგია.

სხვა გზით წარიმართა სინტაქსის ბედი; ტრადიციას აქ უფრო ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვი, უფრო ძნელი იყო აზროვნების მეთოდოლოგიის გადაყვანა ახალ ლიანდაგზე; განსაკუთრებით ეს წინადადების შესახებ ითქმის: აქ ტრადიციას კვებავდა უწინარეს ყოვლისა ობიექტის სირთულე: წინადადების სახით მეტყველება მჭიდროდ არის გადაქსოვილი აზროვნების სინამდვილეს. ამ ფაქტს არ შეეძლო გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონოდა საერთოდ სინტაქსის, კერძოდ წინადადების, საკითხის გადაწყვეტისათვის.

ასმა წელმა განვლო, რაც ენათმეცნიერება მკვიდრი სამეცნიერო დისციპლინის სახით ჩამოყალიბდა; და დღესაც, ასი წლის შემდეგ, არ არის გადაჭრილი სინტაქსის მთავარი საკითხები, არ არის მიღწეული თანხმობა ფუძემდებელ საკითხთა გაგებაში, კვალად განაგრძობს ბრძოლას სხვადასხვა მიმართულება; ბოლო ხანებში ამ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოდერნისტული მეტაფიზიკის წარმომადგენლები და ფსიქოლოგები. და, როცა, ერთის მხრით, საკითხების სულ ახალსა და ახალ დაყენება-გაშუქებას აქვს ადგილი, მეორე მხრით, ყოველ ფეხის გადადგმაზე შევხვდებით გარდასრულ დროთა წარმონაქმნ ანაქრონისტულ აზრებს, რომელთაც სკოლის სახელმძღვანელოებში შეუფარებიათ თავი და საქმის თანამედროვე ვითარება აინუნშიაც არ მოსდით.

ინდო-ევროპული ენათმეცნიერება ერთადერთი ენათმეცნიერებაა, რომელსაც შეუძლია სხვა ენების დამუშავებისას იკისროს მეთოდოლოგიური ბაზის საპასუხისმგებლო როლი.¹ შეფის როლში გამოდის იგი სხვა ენათმეცნიერებათა (სემიტურის, ქამიტურის...) მიმართ. ქართველური ენათმეცნიერებაც პატივისცემით მიიღებს მისგან სახელმძღვანელო პრინციპებს. მაგრამ შეცთომა იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ ინდო-ევროპული ენათმეცნიერების ყველა მზამზარეული პრეპარატი ჩვენს პირობებში გამოდგებოდა: ქართული ენობრივი სინამდვილე შეუდარებელი უფრო რთული და თავისებურია, ვინემ ინდო-ევროპული. ჩვენ **შევვიძლია** და **უნდა** ვიხელმძღვანელოთ მისი მეთოდით, დავეყაროთ მის პრინციპებს, მაგრამ ასევე ვერ მოვექცევით მის მზამზარეულ პრეპარატებს, **ცნებებს**: ზოგ შემთხვევაში ისინი შეიძლება უთაკილოდ გადმოვიტანოთ (თუ მთლიანად ვგუებთან ჩვენს სინამდვილეს), ზოგს შემთხვევაში შეიძლება სრულიად უარყოთ (თუ სათანადო დასაყრდენი ვერ მოეძებნებათ აქ) და ზოგჯერ შეიძლება მივსცეთ განსხვავებული შინაარსი, შევუფარდოთ ჩვენს მასალას, მოვახდინოთ მათი აკლიმატიზაცია.

¹ მხედველობაში გვაქვს კლევგა-ძიების, ე. ი. შედარებითი და ისტორიული, მეთოდი.

ამრიგად, ვიდრე **ქვემდებარე-დამატება**—ცნებებს ქართულში გარკვეული შინაარსი მიეცემოდეს, არ შეიძლება არ იქნეს გათვალისწინებული მათი ვითარება ინდო-ევროპულს ენათმეცნიერებაში, არ შეიძლება არ იქნეს მიკვლეული ის სახელმძღვანელო პრინციპი, რომელიც ამ ცნებათა შინაარსის გარკვევას წარმართავს.

უკვე ითქვა, რომ ამ ცნებათა ბედი წინადადების ბედსაა გადაჯაჭვული, და მხოლოდ მის კონტექსტში არის გასაგები მისი ასე თუ ისე გადაწყვეტა.

2. როგორია საკითხის ვითარება? უკეთ რომ ვთქვათ, როგორი შეიძლება იყოს მისი დასმა-გადაწყვეტა?¹

წინადადებისა და მისი ნაწილების კვალიფიკაციისას შეიძლება იქნეს წამოყენებული სამი ძირითადი თვალსაზრისი: ლოგიკისტური, ფსიქოლოგისტური და ენობრივ-გრამატიკული.

ლოგიკისტურია ყოველი კვალიფიკაცია, რომელიც წინადადებაში ლოგიკის მსჯელობის გამოხატულებას ხედავს, ხოლო ქვემდებარე-შემასმენელს ისევე განსაზღვრავს, როგორც ტრადიციული ლოგიკა სუბიექტსა და პრედიკატს. მსჯელობის მაგივრობა შეიძლება დაეკისროს **აზრსაც**, — ამ სიტყვის ყოველდღიური გაგებით.

ფსიქოლოგისტურია ყოველი კვალიფიკაცია, რომელიც წინადადებას განსაზღვრავს ცნობიერების იმ პროცესების მიხედვით, რომლებიც წინადადებას თან ახლავს; ქვემდებარე-შემასმენლის განსაზღვრებასაც ამ ნიადაგზე იძლევა.

ენობრივ-გრამატიკულია ყოველი კვალიფიკაცია, რომელიც წინადადებისა და მისი ნაწილების განსაზღვრისას მხოლოდ ენობრივ ნიშნებს მოიხმარს.

უკანასკნელს შემთხვევაში ენობრივი მოვლენა, კვლევის საგანი, განიზომება მისთვის იმანენტური საზომით, პირველ ორში კი — საგნისათვის ტრანსცენდენტურით, გარეშეთი.

¹ თავისთავად ცხადია, ამ კითხვაზე გაცემულ პასუხში საკითხის ისტორია სრულის სახით არ იქნება წარმოდგენილი; ეს არც საჭიროა, არც შესაძლებელი. საკმარისად ვთვლით ძირითად და ტიპოლოგიურად მნიშვნელოვან შეხედულებათა გათვალისწინებას.

2. ლოგიკიზმი

3. სისტემატური სახით ეს თვალსაზრისი ბოლო ხანებში არსად არის წარმოდგენილი; მის გამოყენებას კი დასაბუთების გარეშე მეტად ხშირად ვხვდებით.

მაგალითად, ბუსლაევი წერს: „მსჯელობა, გამოხატული სიტყვებით, არის წინადადება“ (Опыт, II, გვ. 7). „წინადადება, ვითარცა სიტყვებით გამოხატული მსჯელობა, შედგება ქვემდებარისა და შემასმენლისაგან“ (იქვე, გვ. 20). ქვემდებარისა და შემასმენლის განსაზღვრებას ბუსლაევი არ იძლევა; ამიტომაც არ არის ცხადი, როგორ წარმოუდგენია მას (წინადადების) ქვემდებარე-შემასმენლის მიმართება (მსჯელობის) სუბიექტ-პრედიკატთან; არის ეს მიმართება ისეთივე, როგორსაც ადგილი აქვს წინადადებასა და მსჯელობას შორის, თუ — არა.

მიემართოთ სხვა ავტორებს: „როცა ჩვენ რასმე ვამბობთ, ჩვენ ამით **წინვდებთ** (предлагаем) ჩვენს აზრს ან მსჯელობას; ამიტომ ყოველი მსჯელობა, რომელიც **გამოთქმულია**, ე. ი. გადმოცემულია სიტყვებით, იწოდება წინადადებად; მაგალითად: **მზე ანათებს; ჰაერი გამჭვირვალეა; სწავლა სასიამოვნოა**“ (Миропольский: Рус. грам., გვ. 109, § 3)... „ყოველს წინადადებაში არის **საგანი, რომლის შესახებაც ლაპარაკია**, რომელიც **ექვემდებარება** სჯას, ასე, მაგალ., წინადადებაში: **მზე ანათებს; რუსეთი დიდია; თოვლი ჭრიალებს** სიტყვები: **მზე, რუსეთი, თოვლი** საგნებია, რომელთა შესახებაც არის ლაპარაკი წინადადებაში“... საგანი, რომელიც **ექვემდებარება** მსჯელობას, იწოდება ქვემდებარედ“... „ყოველს წინადადებაში ქვემდებარის შესახებ რაიმე **იოქმის**; წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნებოდა მსჯელობა, არ იქნებოდა წინადადება. მაგალითად, წინადადებაში: **მზე ანათებს — მზე-ქვემდებარის შესახებ ნათქვამია, რომ იგი ანათებს. რუსეთი დიდია — რუსეთი-ქვემდებარის შესახებ ნათქვამია, რომ იგი დიდია...** ის, რაც წინადადებაში ნათქვამია ქვემდებარის შესახებ, იწოდება **შემასმენლად: ანათებს, დიდია** — შემასმენლებია“ (იქვე, § 4, გვ. 109-110).

ამ განსაზღვრებაში ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა შემდეგი ადგილი: როცა რასმე ვამბობთ, ჩვენ წინვდებთ (предлагаем) ჩვენს აზრს ანდა **მსჯელობასა**-ო (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.);¹ „აზრის“ ხმარება „მსჯელობის“ ნაცვლად ჩვეულებრივია ასეთი ტიპის გრამატიკებში, უმთავრესად სასკოლოში. არის შემთხვევა, როდესაც **მსჯელობა**-სიტყვა სრულებით არ გულის-

¹ აქაც და ყველგან ქვემოთ მოხსენებული გვაქვს, თუ ხაზი ჩვენია; ხოლო თუ ავტორისაა, მოგვყავს პირდაპირ და საგანგებოდ არ აღვნიშნავთ.

ხმობს ლოგიკის **მსჯელობა**-ცნებას, არამედ იხმარება იმ მნიშვნელობით, რომელიც ამ სიტყვას ყოველდღიურ სიტყვანმარებაში აქვს; ამის ნიმუშია შემდეგი განსაზღვრება:

„ყოველს აზრში ჩვენ გამოვთქვამთ რაიმე მსჯელობას საგნის შესახებ, და აი, ასეთი მსჯელობა, გამოხატული სიტყვებით, მეცნიერებაში (sic!) იწოდება წინადადებად. ამგვარად, წინადადება არის **მსჯელობა საგნის შესახებ** (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.), გამოხატული სიტყვებით“ (Г о в о р о в: Э л е м е н т. Грам., გვ. 4)... „მთავარი საგანი, რომლის შესახებაც ლაპარაკია წინადადებაში, იწოდება ქვემდებარედ იმიტომ, რომ იგი ექვემდებარება ჩვენს მსჯელობას; ხოლო თვით მსჯელობა საგნის შესახებ იწოდება შემასმენლად იმიტომ, რომ წინადადების ამ ნაწილში ჩვენ გამოვთქვამთ იმას, რის თქმაც გვინდა საგნის შესახებ“ (იქვე, გვ. 4-5).

მ ს ჯ ე ლ ო ბ ა ს ნ ა ც ვ ლ ა დ არ ის ნ ა ხ მ ა რ ი ა ზ რ ი შემდეგს განსაზღვრებაში: „...**წინადადება** არის **სიტყვათა შეხამება** (с о ч е т а н и е с л о в), **რომელიც გამოხატავს რაიმე აზრს**... ზოგჯერ, წინადადების აზრი შეიძლება იქნეს გასაგებად გამოხატული მარტო ერთი სიტყვითაც“ (К р а с н о გ ო რ ს კ ი й, Синтаксис рус. яз., გვ. 2).

„...**წინადადების ის სიტყვა, რომელიც გვიჩვენებს, რომელი საგნის შესახებაც ლაპარაკი** (სხვანაირად რომ ვთქვათ, რომელი საგანი ექვემდებარება მოუბარის **მსჯელობას**), იწოდება **ქვემდებარედ** წინადადებისა. წინადადების მეორე სიტყვა კი, სახელდობრ **ის, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა ითქმის... საგნის შესახებ**, იწოდება **შემასმენლად** წინადადებისა“ (იქვე, გვ. 3-4).

ანალოგიურ განსაზღვრებას შეხვედებით არა მარტო სკოლის სახელმძღვანელოში, არამედ საუნივერსიტეტო კურსშიაც კი; ასე, მაგალითად, პროფ. ბოგოროდიცკი ასეთ განსაზღვრებას იძლევა: „წინადადება არის სიტყვათა შეხამება, რომელიც აზრის (ანუ ცალკე აზრის) გამოსახატავად იხმარება“.¹

წინადადების ნაწილებს ავტორი შემდეგნაირად არკვევს: ავიღოთ ჩვენი ყველაზე მარტივი აზრები, ამბობს ის; განვიხილოთ **ფსიქოლოგიური** თვალსაზრისით ასეთი აზრების **შინაარსი** (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.); არ არის ძნელი იმის შემჩნევა, რომ თვით უმარტივესი აზრი, სანამ იგი წინადადებაში განხორციელდებოდეს, ჩვენს გონებაში ერთი მთლიანი წარმოდგენის სახით გვევლინება; მაგალითად, თუ ჩვენ ვხედავთ ან ვიგონებთ აყვავებულ

¹ "Предложение есть сочетание слов, служащее для выражения мысли (или отдельной мысли)": Курс рус. грам., გვ. 236.

ცაცხვს, ჩვენს გონებაში არის ხის მთლიანი სახე ზოგიერთი ნიშნითურთ; თუ ჩვენ გვინდა სხვის გონებაშიც გამოვიწვიოთ მსგავსი წარმოდგენა, ვამბობთ: **ცაცხვი ყვავის**. ამრიგად, სულ მარტივი აზრი, როცა ჩვენ მას გამოვხატავთ სიტყვებით, ბუნებრივად ნაწევრდება ორ ნაწილად იმისდა მიხედვით, რომ, როცა ჩვენ ვფიქრობთ რისამე შესახებ, ჩვენ უსათუოდ ვფიქრობთ მის შესახებ რასმე. — „აქიდან გამომდინარეობს ორი ძირითადი კატეგორია წინადადებაში: ქვემდებარე, აღმნიშვნელი საგნისა, რომლის შესახებაც ჩვენ ვფიქრობთ, და შემასმენელი, გამომხატველი, თუ რას ვფიქრობთ ამ საგნის შესახებ“ (იქვე, გვ. 238).

ცხადია, ავტორი გაუბრუნებლად ლოგიკიზმს: ამიტომ აღნიშნავს იგი ხაზგასმით: **ფსიქოლოგიური** თვალსაზრისით განვიხილოთ აზრი; ცხადია, პროცესის (აზრის) **თვისება-ხასიათი** უნდა ყოფილიყო საძებარი: ამას მოითხოვდა სწორედ ფსიქოლოგიური თვალსაზრისი; ავტორი კი პროცესის (აზრის) **შინაარსს** იხილავს; ბუნებრივია, თუ შედეგად ფსიქოლოგისტური კვალიფიკაცია კი არ მიიღო, არამედ ისეთი, როგორსაც ზემორე მოყვანილ ლოგიკისტურ განსაზღვრებებში ვხვდებით. ამ შედეგისდა მიხედვით საჭიროდ ვცანით პროფ. ბოგოროდიცკის განსაზღვრებისათვის ადგილი მიგვეჩინა ლოგიკისტურ განსაზღვრებათა წრეში.

ქართული სასკოლო გრამატიკებიდან მოვიყვანთ მოსე ჯანაშვილისა და სილ. ხუნდაძის განსაზღვრებებს.

მოსე ჯანაშვილი წერს: „აზრი, გამოთქმული სიტყვით ან წერით, იწოდება **წინადადებად**. საგანი, რომლის შესახებ გამოთქმულია აზრი, იწოდება **ქვემდებარედ**, ხოლო რაც ამ ქვემდებარის შესახებ გამოთქმულია, იმას ეწოდება **შესმენილი**“ (ქართ. გრამ., გვ. 134).

სილ. ხუნდაძის სახელმძღვანელოში ნათქვამია: „ცალკე გამოთქმულს თითოეულ აზრს გრამატიკაში (!) **წინადადება** ქვია. წინადადების შესადგენათ უმთავრესათ ორი ნაწილია საჭირო: ერთი — საგანი, რომელსაც ჩვენი საუბარი შეეხება; ამისთანა ნაწილს ქვია **ქვემდებარე**, მეორე — მოქმედება, რომელიც ქვემდებარეს შეეხება; ამისთანა ნაწილს **შემასმენელი** ეწოდება“ (ქართ. გრამ., გვ. 25).

დასასრულ, ზედმეტად არ მიგვაჩნია აქვე მოვიხსენიოთ ანტ. მეიეს აზრიც; ცნობილი ფრანგი ენათმეცნიერი ერთ-ერთ თავის წერილში ქვემდებარე-შემასმენლის შემდეგ განსაზღვრებას იძლევა (წინადადების განსაზღვრება არ არის წარმოდგენილი, ფრაზის შესახებლა აქვს ლაპარაკი, წინადადების ნაწილების განსაზღვრებაც **ad hoc** აქვს მოცემული):

„ფრაზა არსებითად მდგომარეობს რისამე მტკიცებაში; იგი შეიცავს აუცილებლად ქვემდებარეს. ე. ი. სიტყვას, რომელიც გვიჩვენებს, თუ ვის

ანუ რის შესახებ რაიმე მტკიცდება, და, წესისამებრ, შემასმენელს, ე. ი. სიტყვას, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა მტკიცდება. ქვემდებარე შეიძლება არ იყოს გამოხატული, თუ იგი ცნობილია მოსაუბრეთათვის“.¹

4. ყველა აქ წარმოდგენილს განსაზღვრებაში ზოგადია ერთი რამ: წინადადების განსაზღვრისას დასაყრდენია **აზრი** (ან **მსჯელობა**), ქვემდებარე-შემასმენლის განსაზღვრისას კი — ამ **აზრის (მსჯელობის) ნაწილები**. მაგრამ როგორც კი დაისმება საკითხი: როგორ წარმოუდგენიათ მათ აზრისა (მსჯელობის) და მისი ნაწილების მიმართება წინადადებასა და მის ნაწილებთან, ჩვენ წინ დადგება ერთი და იმავე შეხედულების ორი სახეობა; ერთის მიხედვით: წინადადება არის **სიტყვათა შეხამება** (ასეთი და ასეთი...: იხ. კ რ ა ს ნ ო გ ო რ ს კ ი ს, პროფ. ბ ო გ ო რ ო დ ი ც კ ი ს განსაზღვრება)... ქვემდებარე, შემასმენელი კი არის **სიტყვა** (ასეთი და ასეთი...: კ რ ა ს ნ ო გ ო რ ს კ ი, პროფ. ბ ო გ ო რ ო დ ი ც კ ი, მ ე ი ე). — მეორე სახეობა კი გვეუბნება: წინადადება არის **აზრი** თუ **მსჯელობა** (სიტყვებში გადმოცემული; ქვემდებარე არის **საგანი** (რომლის შესახებაც რაღაცაა ნათქვამი); ხოლო ის, რაც არის ნათქვამი, შემასმენელია; იხ. ბ უ ს ლ ა ე ვ ი (წინადადების შესახებ); მ ი რ ო პ ო ლ ს კ ი, გ ო გ ო რ ო ვ ი, ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ხ უ ნ დ ა ძ ე...).

ერთი სიტყვით, ამ განსაზღვრებათა შორის განსხვავებას ამყარებს უახლოესი გვარი (**genus proximum**), სპეციფიკური განსხვავების (**differentia specifica**) მიხედვით კი ისინი ერთდებიან.

განსაზღვრებათა პირველი სახეობა ცდილობს განსაზღვრების გარეგნობაში მაინც დაიცვას გრამატიკის გეზი და აშკარა წინააღმდეგობას თავი დააღწიოს; წინადადება და მისი ნაწილები მისთვის სიტყვათა შეხამებაა და სიტყვებია. ამ სახეობაში მოცემულია ლოგიკისტური გაგება დამუშავებული სახით.

მეორე სახეობა იმთავითვე მეტად არახელსაყრელ მდგომარეობაში იგდებს თავს, როცა ამბობს: წინადადება არის აზრი (თუ მსჯელობა); ქვემდებარე არის... საგანიო. განა ცხადი არ არის, რომ, თუ „წინადადება არის... აზრი (გინდ მსჯელობა)“, გრამატიკა და, კერძოდ, სინტაქსი, რომელიც წინადადებას შეისწავლის, ამით უკვე აღიარებულია სამეცნიერო დისციპლინად, რომელიც აზრს შეისწავლის, ე. ი. სინტაქსი კისრულობს იმავე საქმეს, რასაც ლოგიკა და ფსიქოლოგია აკეთებენ; თუ სინტაქსის

¹ "Une phrase consiste essentiellement en une affirmation; elle comprend au besoin un sujet, c'est à dire un mot qui indique de qui ou de quoi quelque chose est affirmé, et normalement, un prédicat, c'est-à-dire un mot qui indique ce qui est affirmé. Le sujet peut n'être pas exprimé s'il est connu des interlocuteurs...": Linguistique, გვ. 133.

ამოცანა ამგვარად იქნა გაგებული, ფსიქოლოგია-ლოგიკასთან აღრევას გრამატიკა თავს ვერ დაადწევს. ხოლო რამდენად დაუშვებელია ეს, ამის შესახებ ამჟამად არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს.

ცხადია, ლოგიკისტური მიმდინარეობის ეს სახეობა ყველაზე სუსტია; და მაინც უნდა ითქვას: ლოგიციზმისათვის სწორედ ეს სახეობაა ყველაზე დამახასიათებელი: წინადადების საკითხში ლოგიციზმის წარმოშობა-განვითარება ისეთი იყო, რომ მას შინაგანის აუცილებლობით უნდა მოეცა სწორედ ეს სახეობა. დავეკითხოთ ისტორიას.

5. ძველ გრამატიკოსებს მოეპოვებათ წინადადების განსაზღვრება, მაგრამ წინადადების ნაწილები — ქვემდებარე-შემასმენელი — არ გააჩნიათ. აღენიშნავთ აქვე, რომ წინადადების ის განსაზღვრება, რომელიც ქრ. წინ პირველ საუკუნეში იყო მოცემული დ ი ო ნ ი ს ე თ რ ა კ ი ე ლ ი ს მიერ, ლოგიკისტურია, მაგრამ ვერ მიიჩნევა ლოგიციზმის ყველაზე დამახასიათებელი სახეობის წინაპრად; ეს განსაზღვრება ამბობს: „წინადადება არის სიტყვათა შეერთება, რომელიც დასრულებულ აზრს წარმოგვიდგენს“...¹ წინადადების ნაწილებს რაც შეეხება, იგივე გრამატიკოსი ასახელებს რვას; ესენია: სახელი, ზმნა, მიმღეობა, ნაწევარი, ნაცვალსახელი, წინდებული, ზმნისართი, კავშირი.² ამნაირად, წინადადების ნაწილებად აქ გვევლინება ის, რასაც ახლა მეტყველების ნაწილებს უწოდებენ.

ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით ახალს არაფერს იძლევა არც სინტაქსის მამამთავარი ა პ ო ლ ო ნ ი ო ს დ ი ს კ ო ლ ო ს ი, რომელიც ცხოვრობდა მეორე საუკუნეში ქრ. შემდეგ: ქვემდებარე-შემასმენელზე არც მასთან ისმის რამე.

საშუალო საუკუნეებში გრამატიკა, როგორც ცნობილია, იმდროინდელი სასკოლო განათლების ერთ ძირითად საგნად იყო მიჩნეული... ბერძნებსა და რომაელებთან გრამატიკა პრაქტიკულ მიზნებს ემსახურებოდა; ენერგიულად იწყეს მისი დამუშავება სწორედ იმ დროიდან, რაც გაჭირდა კლასიკური ბერძნულის გაგება: გრამატიკას იყენებდნენ კლასიკური ბერძნულის სამწერლო ძეგლების ინტერპრეტაციისას; სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი იყო ფილოლოგიის დამხმარე დისციპლინა. სრულიადაც არ არის ამიტომ უსაფუძვლო, როცა ბერძენ-რომაელთა გრამატიკას „ფილოლოგიური გრამატიკის“ სახელწოდებით ნათლავენ. საშუალო საუკუნეებში გრამატიკა დარჩა ისევ ფილოლოგიური; პრაქტიციზმიც შერჩა მას; შეიცვალა მხოლოდ დანიშნულება: საშუალო საუკუნეების საერთაშორისო

¹ „Λόγος ἐστὶ λέξεων σύνθεσις διάνοιαν ἀπτοτελεῖ διηλοῦσα: იხ. C te i n t h a l, Geschichte, II, 209.

² იქვე, გვ. 209 და შემდ.

ენის, ლათინურის, მართებულად მოხმარა იყო ის მიზანი, რომელსაც იგი ემსახურებოდა. უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: გრამატიკის შესწავლისას სინტაქსი იყო ყურადღების ცენტრად ქცეული: დ ე ლ ბ რ ი უ კ ს მოჰყავს მეცამეტე საუკუნის ერთი გრამატიკოსის შემდეგი სიტყვები: „გრამატიკოსთა მუშაობა (*studium*) ტრიალებს სინტაქსის გარშემო განსაკუთრებით“.¹ ამისდა მიუხედავად, ქვემდებარე-შემასმენლის ძიება იმდროინდელ გრამატიკებში სრულიად ამაო იქნებოდა.

6. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საკითხის ვითარებისათვის ე. წ. ფილოსოფიური გრამატიკის გამოვლენას; პ ო რ - რ ო ი ა ლ ის მონასტერმა, რომელმაც საკმაოდ ცნობილი ლოგიკა დაამუშავა, ენათმეცნიერების ისტორიას დაუტოვა „გრამატიკა ზოგადი და რაციონალური“ (*Grammaire générale et raisonnée*)...²

დიონისე თრაკიელის გრამატიკაში მეტყველების ანუ, როგორც იგი უწოდებდა, წინადადების ნაწილთა კვალიფიკაცია ლოგიკის-ტური იყო (ზოგიერთი ნაწილისა მაინცდამაინც: სახელის, ზმნის, მიმღეობისა და ნაცვალსახელის): სახელის, ზმნის, მიმღეობისა და ნაცვალსახელისა): „სახელის ახლო განსაზღვრისას გრამატიკოსები ლოგიკაში ტრიალებენ და მოჰყავთ ლოგიკური კატეგორიები“; ამბობს შ ტ ა ი ნ თ ა ლ ი ძველი გრამატიკოსების შესახებ.³ საშუალო საუკუნეებში ეს ტენდენცია

¹ "Studium grammaticorum praecipue circa constructionem versatur"; ციტატა მოყვანილია დ ე ლ ბ რ ი უ კ ის მიერ: იხ. მისი *Vergl. Synt.* I, 13.

² მისი სრული სათაური ასეთია: "*Grammaire générale et raisonnée, contenant.*

Les fondemens de l'art de parler, expliqués d'une manière claire et naturelle;

Les raisons de ce qui est commun à toutes les Langues, et des principales différences qui s'y rencontrent;

Et plusieurs remarques nouvelles sur la Langue Françoise". ჩვენ ხელთ გვქონდა მეოთხე გამოცემა: პარიზი, 1780 წ.: მას დართული აქვს ვრცელი დამატება წინასიტყვაობითურთ, არა ნაკლებ საინტერესო, ვინემ თვით გრამატიკის ტექსტი; წინასიტყვაობის სათაურშივეა აღნიშნული, რომ დამატებაში იქნება წარმოდგენილი „ზოგადი გრამატიკის ავტორთა ვინაობა, გრამატიკის ჭეშმარიტი პრინციპები (*les vrais principes*)“, რამდენი გამოცემა არსებობს, რომელია საუკეთესო... და სხვ. (იხ. გვ. 255); „დამატება“ შეიცავს გვ. 255-654; სხვათა შორის, ამ დამატების წინასიტყვაობაში „ზოგადი გრამატიკის“ პირველი გამოცემის თარიღად მოხსენებულია 1660 წელი, დ ე ლ ბ რ ი უ კ ის მიხედვით კი იგი პირველად უნდა გამოსულიყო 1676 წ. (იხ. *Vergl. Synt.*, I, 20); 1676 წელს მართლაც გამოსულა ეს „გრამატიკა“, მაგრამ მისი არა პირველი, არამედ მესამე გამოცემა, *revue et augmentée de nouveau*, როგორც „დამატების“ ავტორი ამბობს (გვ. 257).

³ "Und so bewegen sich nun auch die Grammatiker bei den näheren Bestimmungen des ὄνομα in der Logik und ziehen logische Kategorien herbei": *Steinthal*, *Geschichte*, II, 243.

მხოლოდ თუ გაღრმავდა. მაგრამ ამას დასაბუთება აკლდა; მას მეთოდოლოგიური საფუძველი არ გააჩნდა; „ზოგადმა გრამატიკამ“ დასაბუთა და პრინციპში აიყვანა ის, რასაც მანამდისაც ჰქონდა ადგილი.

„...ცოდნა იმისა, რაც ხდება ჩვენს სულში, აუცილებელია გრამატიკის საფუძვლების გასაგებად“, ვკითხულობთ ერთს სათაურში.¹ რად უნდა იყოს ეს აუცილებელი? „დამატების“ ერთ ადგილას მოიპოვება პირდაპირი პასუხი ამ კითხვაზე: „რაკი სიტყვები არიან ნიშნები იდეათა, შეუძლებელია საფუძვლიანი მსჯელობა სიტყვების შესახებ გარეშე მათის მიმართებისა იმ იდეებთან, რომელთაც ისინი აღნიშნავენ“²; ამის შემდეგ სავსებით გასაგებია ერთ-ერთი პორ-როიალისტის აზრი, იმავე „დამატებაში“ მოყვანილი: „რომ ვიქონიოთ სწორი წარმოდგენა ყოველივე იმის შესახებ, რაიც განეკუთვნება ასეთ ვრცელსა და მძიმე საგანს, როგორცაა გრამატიკა... უნდა მოვიხმაროთ ლოგიკა და მეტაფიზიკა მეტყველების ყოველი ნაწილის პრინციპების განხილვისას: უნდა ჩავწვდეთ იმ საფუძვლებს, რომელთაც მოგვცეს ეს ადამიანთა ყველა საზოგადოებისათვის ზოგადი პრინციპები“³.

ეს ენებოლა არა ამა თუ იმ კერძო ენის გრამატიკას, არამედ გრამატიკას საერთოდ; პორ-როიალისტებმა კარგად იცოდნენ, რომ ერთი ენა მეორისაგან განსხვავდება, მაგრამ მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არა იმას, რაც ენებს ასხვავებდა, არამედ იმას, რაც მათ ერთურთს ამსგავსებდა, რაც მათში საერთო იყო: „მთელ სამყაროში ყველა ენისათვის არის ერთი გრამატიკა იმიტომ, რომ მხოლოდ ერთია ლოგიკა ყველა ადამიანისთვისო“⁴, ვკითხულობთ ჩვენ „დამატებაში“.

ერთი ლოგიკა — ერთი გრამატიკა; გრამატიკა დამყარებული ლოგიკა-მეტაფიზიკაზე — აი, რა საფუძვლებზე აშენდა „ზოგადი გრამატიკა“. ბგერა სიტყვისათვის მასალაა; იგი ზოგადია ადამიანისა და თუ-

¹ "...La connaissance de ce qui se passe dans notre esprit, est nécessaire pour comprendre les fondements de la Grammaire": იხ. Grammaire générale, გვ. 63.

² "...car, comme les mots sont les signes des idées, il est impossible de parler raisonnablement sur les mots sans que ce soit par rapport aux idées qu'ils signifient": იქვე, გვ. 275.

³ "Pour donner une juste idée de tout ce qui appartient à une matière aussi ample et aussi épineuse, que la Grammaire,... il faut employer la Logique et la Métaphysique à discuter les principes de chaque partie du discours: il faut pénétrer dans les raisons qui ont rendu ces principes communes à toutes les Sociétés des Hommes...": იქვე, გვ. 273-4.

⁴ "...Il n'y a qu'une Grammaire dans le monde pour toutes les langues, parce qu'il n'y a qu'une Logique pour tous les hommes...": იქვე, გვ. 260.

„ზოგადი გრამატიკის“ დახასიათებისას შესაძლებლად მივიჩნიეთ მეოთხე გამოცემის „დამატების“ ადგილებს დავყრდნობოდით, რადგანაც მასში მოცემულია ის თეორიული საწყისები, რომლებიც უძველეს საფუძვლად ერთი საუკუნით უფრო ადრე გამოსულ პირველ გამოცემას...

თიუჟმისათვის: ის უნდა გადაიქცეს ჩვენი აზრების ნიშნად, რომ შესაძლებელი გახდეს 25-30 ბგერის საშუალებით შევქმნათ უსაზღვრო ვარიაცია სიტყვათა... „[ამნაირად, შეიძლება განვსაზღვროთ სიტყვა, როგორც] გარკვეული და დანაწევრებული ბგერები, რომლებიც ადამიანმა გახადა ნიშნებად თავისი აზრების აღსანიშნავად“¹; აზრის სამყაროს რაც შეეხება, „ყველა ფილოსოფოსი გვასწავლის, რომ არის სამნაირი „მოქმედება ჩვენის სულისა (trois opérations de notre esprit): წარმოდგენა-ცნება (concevoir), მსჯელობა (juger), დასკვნა (raisonner): ვინაიდან უკანასკნელი (მესამე) არის განვრცობა მეორისა, ამიტომ მისი განხილვა არ არის საჭირო; არც პირველზეა აუცილებელი შეჩერება: ადამიანები თითქმის ყოველთვის ლაპარაკობენ, რათა გამოხატონ მსჯელობა, რომელსაც ისინი იმუშავებენ წარმოდგენილი საგნების შესახებ“ (იქვე, გვ. 64-66); ამის შემდეგ კითხულობთ: „მსჯელობა, რომელსაც ჩვენ ვადგენთ საგნების შესახებ, — როგორც მაშინ, როცა ვამბობთ: **დედამიწა არის მრგვალი**, — იწოდება წინადადებად; და ამრიგად ყოველი წინადადება შეიცავს აუცილებლად ორ ტერმინს: ერთს, წოდებულს სუბიექტად, რომელიც არის ის, რომლის შესახებ ამტკიცებენ როგორც [მაგ.] **დედამიწა**, და მეორეს, წოდებულს ატრიბუტად, რომელიც არის ის, რასაც ამტკიცებენ, როგორც [მაგალ.] **მრგვალი**; და, ამას გარდა, კავშირს ამ ორ ტერმინს შორის: **არის**“...² მსჯელობა არის მთავარი ფორმა ჩვენი აზრებისა; მაგრამ სულიერ ცხოვრებაში ადგილი აქვს სურვილს, ბრძანებას, კითხვას და სხვა (იქვე, გვ. 66); აქედან გამომდინარეობს, რომ იმის გადმოსაცემად, რაც ხდება ადამიანის სულიერ ცხოვრებაში, სიტყვებიც განსხვავდებიან; ყველაზე ზოგადი განსხვავება სიტყვათა შორის არის ის, რომ ერთნი აღნიშნავენ აზრთა საგნებს (**les objets de pensées**), სხვანი — ფორმას, სახეს ჩვენი აზრებისას, თუმცა შეიძლება მარტო კი ვერ აღნიშნონ, არამედ საგანთან ერთად... ამისდა მიხედვით არის სიტყვები, რომელთაც ეწოდება: სახელი, ნაწევარი, ნაცვალსახელი, მიმღეობა, წინდებული და ზმნისართი; მეორე მხრით: ზმნა, კავშირი, შორისდებული (იქვე, გვ. 67); ესენი დალაგებულია აქ „აუცილებელი თანმიმდევრობით, ბუნებრივი სახით, როგორითაც ჩვენ გამოვხატავთ ჩვენს აზრებსო“ — დასძენს ავტორი (იქვე, გვ. 67). შემდეგს თავებში განხილულია აქ ჩამოთვლილი მეტყველების ნაწილები.

¹ "(Ainsi l'on peut définir) les mots, des sons distincts et articulés, dont les hommes ont fait des signes pour signifier leur pensées": იქვე, გვ. 64.

² "Le jugement que nous faisons des choses, comme quand je dis, *la terre est ronde*, s'appelle *Proposition*; et ainsi toute proposition enferme nécessairement deux termes; l'un appelé *sujet*, qui est ce dont on affirme, comme *terre*, et l'autre appelé *attribut*, qui est ce qu'on affirme, comme *ronde*, et de plus la liaison entre ces deux termes, *est*": იქვე, გვ. 66.

საგულისხმო ფრაზით იწყება შენიშვნა, რომელიც ზემოხსენებულს მოსდევს და მეოთხე გამოცემას უნდა ეკუთვნოდეს: „პორ-როილის [ავტორები] აწესებენ ამ თავში ჭეშმარიტ საფუძვლებს, რომლებსაც ემყარება ენათა მეტაფიზიკა; ყველა გრამატიკოსი, რომელიც მათ [ამ საფუძვლებს] დასცილდა ან რომელსაც სურდა მათი მიჩქმალვა, ჩავარდა შეცთომასა და წყვილადშიო“ (იქვე, გვ. 67).

7. „ზოგადი გრამატიკის“ განხილვაზე შევჩერდით იმიტომ, რომ მასში პირველად არის მოცემული ლოგიციზმის დასაბუთება საერთო საგრამატიკო მასშტაბით; ის, რაც მანამდე ნაწილობრივ და უფრო ტრადიციით, ვინემ შეგნებულად ხდებოდა, პრინციპში არის აყვანილი და მეტოდოლოგიური მოთხოვნების სახით არის წამოყენებული. ეს ეხება არა მხოლოდ მეტყველების ნაწილებს; აქ პირველად არის ლაპარაკი წინადადების შესახებ; მსჯელობასთან დაკავშირებით იხილავენ მას; მსჯელობა და წინადადება გაგებულია იდენტურ ოდენობად: „საგნების შესახებ მსჯელობა წინადადებაა“ — გვეუბნებიან ამ გრამატიკის ავტორები. წინადადების ნაწილად უკვე გვხვდება ქვემდებარე (Sujet) — „ის, რის შესახებაც რასმე ამტკიცებენ“; შემასმენლის (პრედიკატის) მაგიერ „ატრიბუტი“ გვაქვს. ეს იმიტომ, რომ ბოეთიუსის მიერ შემოღებული **სუბიექტი, პრედიკატი** საშუალო საუკუნის ლოგიკაში ჯერ კიდევ არ იყო დამკვიდრებული, მან ფეხი მოიკიდა ქრ. ვოლფის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, წინადადების ნაწილების შესახებ უკვე დაიწყო ლაპარაკი; წინადადების განსაზღვრების გარდა ქვემდებარის განსაზღვრებაც არის მოცემული.

მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ერთი გარემოება: ამაზე ლაპარაკია არა სინტაქსში, არამედ მეტყველების ნაწილებთან დაკავშირებით, იმ თავში, სადაც მეტყველების ნაწილების შესახებ მოძღვრების ზოგადი ნაწილია მოცემული; თვით **სინტაქსის შესახებ თავში ერთი სიტყვაც არ არის არც წინადადების, არც მისი ნაწილების შესახებ** (თავი XXIV, გვ. 230-242). აქ ლაპარაკია სიტყვათა შეხამების წესებისა და კონსტრუქციის ფიგურების (სილფისის, ელიფისის, პლეონაზმისა და პიპერბატის) შესახებ. ამნაირად: **წინადადებისა და მისი ნაწილის, ქვემდებარის, შესახებ მოძღვრება გრამატიკაში შემოდის სინტაქსის გარეშე, ლოგიციზმის დასაბუთებასთან დაკავშირებით.**

8. მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქრ. ვოლფის „ლოგიკაში“ (1732 წ.) შემდეგის სახით არის წარმოდგენილი მოძღვრება მსჯელობისა და წინადადების შესახებ: „§ 198. ყოველი მსჯელობა შედგება ორი ცნებისაგან, ცნებისაგან საგნისა, რომელსაც რაიმე განეკუთვნების ან რომელსაც რაიმე სცილდება, და ცნებისაგან იმისა, რაიც მას განეკუთვნე-

ბის ან მას სცილდება. § 199. წინადადება შედგება ორი ტერმინისაგან, რომელთაგან ერთი აღნიშნავს საგანს, რომლის შესახებაც წარმოებს მსჯელობა; მეორე — იმას, რომელიც მას განეკუთვნება ან მას სცილდება... § 200. ის, რის შესახებაც მსჯელობა წარმოებს, იწოდება **სუბიექტად** (ქვემდებარედ); ის კი, რაც რომელსამე საგანს ემატება ან სცილდება, **პრედიკატად** (შემასმენლად).¹

სუბიექტი, პრედიკატი ლათინური თარგმანია ბერძნული *ὑποκείμενον* და *κατηγορούμενον*-ისა, რომლებიც არის ტოტელემ შემოიღო; მაგრამ მას ჯერ კიდევ არ მოეპოვებოდა მათი განსაზღვრება; მათ იგი ჩვეულებრივად „სახელისა“ და „ზმნის“ ნაცვლად ხმარობდა... არის ტოტელეს ამ *ὑποκείμενον, κατηγορούμενον*-ის შესატყვისად ლათინური **სუბიექტი, პრედიკატი** (*subjectum, praedicatum*) პირველად *Boethius*-მა იხმარა (470 წ.-524 წ.);² საშუალო საუკუნეების დასაბამის ამ ცნობილ კომენტატორს მოეპოვება მათი განსაზღვრებანი: „მარტივ გამოთქმათა ნაწილებია სუბიექტი და პრედიკატი; სუბიექტი არის ის, რაც პრედიკატის ნათქვამს განეკუთვნებს... პრედიკატი კი არის, რაც ითქმის სუბიექტის შესახებ... „არის“... „არ არის“ ტერმინები არ არიან, არამედ... რომელობის აღნიშვნა“...³

9. როგორც აქედან ჩანს, ტერმინები **სუბიექტი, პრედიკატი** ნახმარია *Boethius*-ის ნაწარმოებში: „შესავალი კატეგორიულ სილოგისმებში“ (*“Introductio ad syllogismos categoricos”*) და, მაშასადამე, ეს ტერმინები ლოგიკის ტერმინები იყო; არის ტოტელეს ორგანონის ლათინურად მთარგმნელი *Boethius*-ი იძლევა პირველად ამ ლოგიკური ტერმინების განსაზღვრებას თავის კომენტატორულ ლოგიკურ ნაწარ-

¹ "§ 198. Omne iudicium ex duabus constat notioni bus, notione scilicet rei, cui aliquid tribuitur vel a qua aliquid removetur et notione illius, quod eidem tribuitur vel ab eo removetur. § 199. Enunciatio constat ex duobus terminis, quorum unus significat rem, de qua iudicatur, alter id, quod eidem tribuitur, vel ab eo removetur... § 200. Illud de quo iudicatur, dicitur *Subjectum*, quod vero rei cuidam tribuitur, vel ab ea removetur, *Praedicatum*" (მოგვყავს დელბრიუკის მიხედვით: *Vergl. Synt.*, I, 24-25).

² ბოეთიუსის გარდაცვალების წლად დელბრიუკს 525 წ. აქვს ნაჩვენები (იხ. *Vergl. Synt.*, I, 24), ვლადისლავლევს — 570 წ. (იხ. მისი *Логика*. დამატება, გვ. 57), პრანტლი კი 524 წ. ასახელებს (იხ. *Geschichte der Logik*, I, 679).

³ "...simplicium vero enuntiationum partes sunt subiectum et praedicatum: subiectum est, quod praedicati suscipit dictionem... praedicatum vero est quod dicitur de subiecto": *introductio ad syllogismos categoricos*, p. 563. ..."est"... "non est" non sunt termini, sed... significatio qualitatis": *De syllogismo categorico*, p. 583. მოგვყავს პრანტლის მიხედვით: *Geschichte der Logik*. I, გვ. 696, შენიშვნა 124.

მოებში. მაგრამ, როგორც ტერმინები, ისინი საშუალო საუკუნეებში ხმარებაში არ ყოფილა: ასე, მაგალითად: მეთორმეტე საუკუნის სქოლასტიკოსი პეტრე ჰელიასი ხმარობს *suppositum*-ს (არისტოტელე *ὑποκείμενον*-ის და *Boethius*-ის *subjectum*-ის ბადალი) და *appositum*-ს (არისტოტელეს *κατηγορούμενον*-ისა და *Boethius*-ის *praedicatum*-ის ნაცვლად). „სუპოზიტი არის, ის, რასაც ეხება საუბარი, აპოზიტი არის ის, რაც ითქმის სუპოზიტის შესახებაო“.¹

ასე, რომ არისტოტელეს *ὑποκείμενον*, *κατηγορούμενον* ლათინურად გადმოცემული იყო *subjectum*, *praedicatum* (V-VI ს ბოეთიუსის მიერ), *suppositum*, *appositum*-ით (XII საუკუნეში პეტრე ჰელიასის მიერ), მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ დაინერგა სინამდვილეში; მხოლოდ ვოლფის შემდეგ დამკვიდრდა სუბიექტ-პრედიკატილოგიკაში და იქიდან გადატანილ იქნა სხვა დისციპლინებში (გრამატიკაში, ფსიქოლოგიაში...). ვოლფის მნიშვნელოვან დამსახურებად დებრიუკი თვლის სწორედ ამ ტერმინების დამკვიდრებას, რაც ვოლფის დიდ გავლენას მიეწერებაო (იხ. *op. cit.*, გვ. 25); ჩვენთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია პარალელური ანალიზი მსჯელობისა და წინადადებისა და ორივეში ორი შემადგენელი ელემენტის აღნიშვნა: მსჯელობაში ორი ცნებისა, წინადადებაში ორი ტერმინისა. ჩვენ ერთის წამითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვოლფი ლოგიკოსია და რომ მისი მოძღვრება წინადადების ტერმინების შესახებ მის ლოგიკაშია წარმოდგენილი.

10. თუ, ერთის მხრით, ლოგიკოსს შეეძლო წინადადების ნაწილების შესახებ ემსჯელა, მეორე მხრით, გრამატიკოსები ხელგაშლით ხვდებოდნენ ლოგიკასთან გრამატიკის დაახლოებას, ლოგიკის აგებულებისა და მიხედვით გრამატიკის აგებას; „ზოგადი გრამატიკის“ იდეების განვითარებაა ობიექტურად ის, რაც მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს გოტფრიდ ჰერმანის შემდეგ მსჯელობაშია წარმოდგენილი: „ყოველი აზრი, რომელსაც ხან მსჯელობას, ხან წინადადებას, ხან სხვა სახელს უწოდებენ, შედგება სულ სამი აუცილებელი ნაწილისაგან: პირველი, რომელსაც ფილოსოფოსები სუბიექტს უძახიან, რომლითაც აღინიშნება საგანი, რომლის შესახებაც რაიმე ითქმის; მეორე, რომელსაც პრედიკატს უწოდებენ, რომლითაც აღინიშნება ის, რაც რაიმე საგნის შესახებ ითქმის; დასასრულ, მესამე, რომელსაც კოპულა აქვს სახელად, რომლითაც პრედიკატისა და სუბიექტის კავშირი აღინიშნება. რაკი ეს ასეა, სამნიც იქნებიან მეტყველების ნაწილი, რომელნიც აზრთა იმ ნაწილებს შეესატყვისებიან. სუბიექტის

¹ "Suppositum est illud de quo fit sermo, appositum est illud, quod dicitur de supposito..."
იხ. *De l b r ü c k: Vergl. Synt.*, I, 14.

აღმნიშვნელი იწოდება სახელად, რომლითაც აღინიშნება საგანი, რომლის შესახებაც რაიმე შეიძლება იქნეს უწყებული; პრედიკატის აღმნიშვნელი ნაწილაკია, რომლითაც აღინიშნება პირობა, რომელიც თავისთავად არაფერია, თუ კი რაიმე საგანს არ განეკუთვნა; დასასრულს, კოპულას აღმნიშვნელი ზმნად იწოდების, რომლის საშუალებითაც პრედიკატი განეკუთვნების სუბიექტს“...¹

გ. ჰერმანის ამ მსჯელობაში ის კი არ არის უმთავრესი, რომ მან წინადადების ნაწილთა რიცხვი სამამდე დაიყვანა (აქ იგი სანქციულს მისდევს, რომელმაც არაბთა ზეგავლენით წამოაყენა ეს დებულება; იხ. დებრიუკი: *op. cit.*, გვ. 16), არამედ ის, რომ: 1. მეტყველების ნაწილები: სახელი, ნაწილაკი, ზმნა შეესატყვისებთან (*respondent*) მსჯელობის ნაწილებს: სუბიექტს, პრედიკატსა და კოპულას; მსჯელობის ამ სამი ნაწილის არსებობა არის საფუძველი მეტყველებაში სამი ნაწილის არსებობის დაშვებისათვის, და 2. სახელი, როგორც მეტყველების ნაწილი, ისევე განსაზღვრული, როგორც სუბიექტი (ალბათ იმიტომ, რომ სახელი არის სუბიექტის აღმნიშვნელი).

აქედან უკვე ერთი ნაბიჯია იქამდე, რომ მეტყველების ნაწილების შესახებ მოძღვრებამ ფერი იცვალოს და გამოგვეცხადოს წინადადების ნაწილების შესახებ მოძღვრებად იმ გაგებით, რომელიც ლოგიკისტურ მიმდინარეობაში არის წარმოდგენილი: ოღონდ საჭირო იქნება სამი ნაწილის ნაცვლად დაშვებულ იქნეს ორი ნაწილი, როგორც ეს მართლაც არის ზოგი ლოგიკოსის მოძღვრებაში. პრინციპი: ლოგიკის სქემაზე დაყრდნობა, ლოგიკის ცნებათა შინაარსის განწესება გრამატიკული ცნებებისათვის — უკვე გატარებულია; რჩება მხოლოდ ამ ცნებათა პირდაპირ გადმოტანა გრამატიკაში.

მეცხრამეტე საუკუნის პირველმა მეოთხედმა დაამთავრა ეს საქმე: რომანტიკოსების მიერ წამოყენებულ იქნა ლოზუნგი ენის „ორგანული ზრდისა“, აზრისა და მეტყველების ორგანული ერთობისა; ამაზე დაამყარა კ. ბეკერმა ლოგიკისა და გრამატიკის ურთიერთთან დაკავშირების დასაბუთება: წინადადება გამოცხადებულ იქნა აზრის განხორციელებად.²

¹ "...Unaquaeque cogitatio, quae nunc iudicium, nunc enuntiatio, nunc aliis nominibus vocatur, tribus omnino constat iisque necessariis partibus: prima quam subjectum philosophi vocant, quo significatur res, de qua quid dicitur; secunda quam praedicatum appellant, quo indicatur id, quod de aliqua re dicitur, tertia denique, quae copulae nomen habet, quo praedicati et subjecti exprimitur consociatio. Quae quum ita sint, tres etiam erunt orationis partes, quae illis cogitationum partibus respondeant. Ac subjecti nota dicitur *n o m e n*, quo significatur res, de qua aliquid enunciari queat; praedicati nota *p a r t i c u l a* est, qua indicatur conditio, qua per se nulla est, nisi si rei alicui assignetur; copulae denique nota verbum vocatur, cuius ope praedicatum tribuitur subjecto": *D e l b r ü c k*, *op. cit.*, გვ. 27.

² იხ. *E. M a i e r*: *Psychologie des emotionalen Denkens*, გვ. 12.

11. ამგვარად მოხდა მსჯელობისა (თუ წინადადებისა?..) და მისი ნაწილების, ქვემდებარე-შემასმენლის, შესახებ მოძღვრების გადმონერგვა ლოგიკიდან გრამატიკაში. თუ ძველი და საშუალო საუკუნეების გრამატიკისებში წინადადების განსაზღვრის შემდეგ წინადადებაში შემავალ სიტყვათა დახასიათებაზე გადადიოდნენ, მეტყველების ნაწილების ანალიზს იწყებდნენ, ხოლო სინტაქსში სიტყვათა შეხამების წესებსა და მთავარ სახეებს არკვევდნენ, მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან წინადადებისა და მისი ნაწილაკების, ქვემდებარე-შემასმენლის, შესახებ მოძღვრება გრამატიკის (კერძოდ, სინტაქსის) საფუძვლად იქცა. ეს ეხება არა მარტო სასკოლო ლიტერატურას, არამედ თეორიულ კურსებსაც...

წინადადების თეორიის წარმოდგენილი გენეზისი იმასაც გვიჩვენებს, რომ ქვემდებარე-შემასმენლის შესახებ მოძღვრება სინტაქსში ლოგიკის-ტური კვალიფიკაციით იქნა გადმოღებული.

აქ წარმოდგენილი გენეზისი მართებული ვერ იქნებოდა და საქმის ვითარებაზე სწორ წარმოდგენას ვერ შეგვამუშავებინებდა, თუ დავსაკვირდით, რომ ლოგიკის ცნებათა გრამატიკაში გადმოტანა მხოლოდ გრამატიკის მეთოდოლოგიურ სისუსტეს მიეწერება. **შესაძლებლობა, ლოგიკის ცნებანი უცვლელად უოფილიყვნენ გადმოტანილი გრამატიკაში, ახასიათებს არა მარტო გრამატიკას, რომელმაც ცნებები მიიღო, არამედ ლოგიკასაც, რომელსაც აღმოაჩნდა ისეთი ცნებები, რომელთა შემოტანაც გრამატიკაში შესაძლებელი იყო.** თამამად შეიძლება ითქვას, რომ ცნებათა ეს გადმონერგვა ასე ადვილად ვერ ჩატარდებოდა, და, თუ ჩატარდებოდა, ასეთ გასავალს ვერ იპოვიდა, ლოგიკა რომ თავისი დანიშნულების სიმაღლეზე მდგარიყო. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ლოგიკის მეთოდოლოგიური მდგომარეობაც ვერ იყო სათანადო. ზედმეტი არ იქნებოდა ამიტომ, ზოგი რამ მოგვეგონებინა.

12. ლოგიკის მამამთავარი, **ო რ გ ა ნ ო ნ ი ს** უკვდავი შემოქმედი **ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე** თავის საკაცობრიო საქმეს ეწეოდა იმ დროს, როცა გრამატიკის ჭაჭანებაც არსად იყო; როგორის სახისა იყო ის ლოგიკა, რომელიც მან კაცობრიობას უანდერძა?

ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე აზრის და არსის სამყაროს იკვლევდა. ამ კვლევის დროს მისთვის დასაყრდენი იყო მეტყველება. სიტყვიერის ანალიზს მის **ო რ გ ა ნ ო ნ შ ი** ამიტომ არა მცირედი ადგილი უკავია. მისი „კ ა - ტ ე გ ო რ ი ე ბ ი“ იძლევიან სიტყვათა კლასიფიკაციას მათი საპრედიკატო პოტენციის მიხედვით; სიტყვა აღებულია არა შეხამებაში სხვებთან, არამედ განცალკევებით; იგი განეკუთვნება ამა თუ იმ კატეგორიას იმისდა მიხედვით, თუ აზრს ან აზრის რა სახეობას აღნიშნავს იგი: „ყოველი შეხამების გარეშე თქმული სიტყვა აღნიშნავს ან სუბსტანციას, ან რაოდენობას,

ან რომელობას, ან მიმართებას, ან „სად“-ს, ან „როდის“-ს, ან მდგომარეობას, ან ქონებას, ან მოქმედებას, ან ვნებასო“, ამბობს არისტოტელე.¹ როგორი კვალიფიკაცია არ მიეცეს „აქტივობები“ ფილოსოფიურს ლიტერატურაში, მიიჩნევენ მას სიტყვათა გრამატიკულ კლასიფიკაციად, თუ დაინახავენ მასში ონტოლოგიური ხასიათის ნააზრევს, ერთი მხრივ უდავოა: არისტოტელე სიტყვათა კლასიფიკაციას ახდენს. ამ კლასიფიკაციას არ ჩაუვლია უკვალოდ გრამატიკისთვისაც; საერთოდ მისი გავლენა მთელი საშუალო საუკუნეების აზროვნებაზე განუზომელი იყო.

„ორგანონის“ მეორე ნაწილიც „პერიჰერმენიას“ („გამოთარგმანებისათვის“) არანაკლებ ყურადღებას აქცევს ენობრივ მომენტს: „უწინარესად უნდა დავაწესოთ, რა არის სახელი და რა — ზმნა, შემდეგ — რა არის უარყოფა, დამტკიცება, წართქმა (Aussage) და სიტყვა“ (ე. ი. მეტყველება);² შემდეგ: „სახელი არის... ხმა, რომელიც პირობით რასმე აღნიშნავს გარეშე დროულობისა და თან ისე, რომ მის ნაწილს თავისთავად მნიშვნელობა არა აქვს“;³ შემდეგ: „ზმნა არის სიტყვა, რომელიც დროს აღნიშნავს, რომლის ნაწილები არასოდეს არ აღნიშნავენ რასმე თავისთავად და რაიც ყოველთვის (ისეთ) რასმე გვაგებინებს, რასაც სხვა (რიდაცის შესახებ) აქვს მნიშვნელობა“.⁴ სახელისა და ზმნის დახასიათების შემდეგ არისტოტელე, როგორც მოსალოდნელი იყო, სიტყვის განსაზღვრებას იძლევა: „სიტყვა (თქმა λόγος) არის ხმა, რომელიც პირობით რასმე აღნიშნავს და რომლის ცალკე ნაწილი, განკერძოებით აღებულები, რასმე აღნიშნავს, როგორც უბრალოდ თქმა, და არა როგორც დადასტურება ან უარყოფა“...⁵ „დადასტურება არის წართქმა, რომელიც რასმე მიაწერს რაღაცას, უარყოფა არის წართქმა, რომელიც რისამე შესახებ

¹ "Jedes ohne Verbindung gesprochene Wort beziehet entweder eine Substanz: oder eine Quantität oder eine Qualität oder eine Relation, oder ein Wo oder ein Wann oder eine Lage oder ein Haben oder ein Wirken oder ein Leiden": A r i s t o t e l e s, Kategorien, თავი VI, გვ. 37.

² "Zuerst müssen wir feststellen, was Nomen und was Verbum, dann, was Verneinung, Bejahung, Aussage und Rede ist": A r i s t o t e l e s, Peri hermenias, თავი I, გვ. 1.

³ "Das Nomen... ist ein Laut, der konventionell etwas bedeutet, ohne eine Zeit einzuschliessen und ohne dass ein Teil von ihm eine Bedeutung für sich hat": A r i s t o t e l e s, იქვე, თავი II, გვ. 2.

⁴ "Verbum ist ein Wort, das die Zeit mit anzeigt, dessen Teile nie etwas für sich bedeuten und das immer etwas zu verstehen gibt, was von einem anderen gilt": A r i s t o t e l e s, იქვე, თავი III, გვ. 3.

⁵ "Rede ist ein Laut, der konventionell etwas anzeigt, und von dem einzelner Teil gesondert etwas anzeigt als einfaches Sprechen, nicht als ein Zusprechen oder Absprechen (Bejahung oder Verneinung)": A r i s t o t e l e s, Peri hermenias, თავი VI, გვ. 4.

რასმე უარყოფს“.¹

ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ენობრივი მომენტის ანალიზით იწყებს და მის საშუალებით ცდილობს არაენობრივი შეისწავლოს, აზრისა და არსის სამყაროს სწვდეს: ეს მკაფიოდ ჩანს თუნდაც მისი „პ ი რ ვ ე ლ ი ა ნ ა - ლ ი ტ ი კ ი ს“ იმ ადგილიდან, სადაც იგი ცნებათა მიმართების შესახებ მსჯელობს: „...თუ კი **A** არც ერთ **B**-ს არ ეხება, არც **B** შეიძლება რომელსამე **A**-ს ეხებოდეს... მაგრამ თუ **A** ყოველ **B**-ს ეხება, **B**-ც ეხებოდეს იქნება რომელსამე **A**-ს“...² ცხადია, აქ **A**-ც, **B**-ც აზრის ელემენტს აღნიშნავს, ლაპარაკია აზრის ელემენტების ურთიერთობის შესახებ.

13. როგორ ჰქონდა წარმოდგენილი ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს აზრისა და მეტყველების მომენტების ურთიერთობა? ასხვაგვება თუ არა ა რ ი ს - ტ ო ტ ე ლ ე მათ მკაფიოდ? პასუხს ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს შემდეგი განსახილველები იძლევა: „წინადადება არის სიტყვა (**λόγος**), რომელიც ადასტურებს ან უარყოფს რასმე რისამე შესახებ“;³ შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ ლოგიკის ცნებასთან არა გვაქვს საქმე; მაგრამ ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ამ წინადადებას ათავსებს ცნებასა და დასკვნასთან ერთ სიბრტყეზე: „ჩვენ უნდა განვსაზღვროთ, ამბობს იგი, რა არის წინადადება, რა არის ცნება და რა არის დასკვნა“;⁴ ცხადია, აქ წინადადება მსჯელობის მაგივრობას ეწევა, „წინადადება“-სახელწოდებაში სააზროვნო კატეგორია იგულისხმება; მთელი „ა ნ ა ლ ი ტ ი კ ა“ ამას ამტკიცებს. რაღა დასკვნა? დასკვნა არის სიტყვა (**λόγος**, მეტყველება), რომელშიაც, თუ კი რამეა დაშვებული, დაშვებულისაგან განსხვავებული რაღაც აუცილებლობით გამომდინარეობს იმის გამო, რომ იგი (დაშვებული) არის“⁵.

„დასკვნა არის სიტყვა (მეტყველება)“... ეს თქმა ეჭვიმუტანლად ხდის იმას, რომ ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს აზროვნებაში მეტყველება და აზროვნება არ არის მკაფიოდ გამიჯნული: აზროვნების ოპერაციები, რომელთაც სილოგიზმში აქვს ადგილი და ის სიტყვიერი გამოხატულება, რომელ-

¹ "Bejahung ist eine Aussage, die einem etwas zuspricht, Verneinung ist eine Aussage, die einem etwas abspricht": *A r i s t o t e l e s, Peri hermenias*, თავი, VI, გვ. 5.

² "Wenn... A keinem B zukommt, kann auch B keinem A zukommen. ...Wenn aber A jedem B zukommt, kommt auch B irgendeinem A zu": *A r i s t o t e l e s, Erste Analytik*, თავი, II, გვ. 3-4.

³ "Ein Satz ist eine Rede, die etwas von etwas bejaht oder verneint": *A r i s t o t e l e s, Erste Analytik*, თავი, I, გვ. 1.

⁴ "...Wir müssen bestimmen, was ein Satz ist, was ein Begriff und was ein Schluss...": იქვე.

⁵ "Ein Schluss ist eine Rede, in der, wenn etwas gesetzt wird, etwas von dem Gesetzten Verschiedenes notwendig dadurch folgt, dass dieses ist": იქვე, გვ. 2.

შიაც ეს ოპერაციები იმოსება, ერთუროსაგან განსხვავებული არ არის, ერთის ნაცვლად მეორის ხმარება შესაძლებლად და ნორმალურად არის მიჩნეული.

ეს ცოტაა; არა მარტო სიტყვა (მეტყველება) და აზროვნება, არამედ სიტყვა და საგანი შეიძლება ერთუროს შეენაცვლოს, ერთმა მეორის მაგივრობა გასწიოს; სანიმუშოდ ვასახელებთ შემდეგს ადგილებს: „საგნები წარითქმიან რომელიმე სუბიექტის შესახებ ისე, რომ სუბიექტში აღარ არიან... ანდა ისინი არიან სუბიექტში, ისე კი, რომ სუბიექტის შესახებ არ იყვნენ წართქმული“¹... ანდა: „ვინაიდან საგნები არიან ნაწილობრივ ზოგადნი, ნაწილობრივ კერძობითნი, — ზოგადის ქვეშ ვგულისხმობ ისეთებს, რომელნიც ბუნებრივად შეიძლება იქნენ წართქმული მრავალთა შესახებ, კერძო საგნის ქვეშ, — რაიც არამრავალთა შესახებ შეიძლება იყოს წართქმული“²...

„საგნები წარითქმიან (werden ausgesagt) რომელიმე სუბიექტის შესახებ“... „საგნები არიან ნაწილობრივ ზოგადნი, ნაწილობრივ კერძობითნი“... მარტო ეს გამოთქმებიც საკმარისია იმისათვის, რომ დავასკვნათ: არა თუ მეტყველებისა და აზროვნების მომენტები არ არის მკვეთრად გარჩეული ერთიმეორისაგან, არამედ სიტყვა და საგანიც ერთმანეთში ირევა... არ ისტოტელეს აზროვნების ამ თავისებურების შესახებ შეტანილი ამბობს: „არისტოტელე ისწრაფის სწვდეს წმინდა ცნებებს, როგორც ასეთებს... მაგრამ მის ცნობიერებაში მისთვის შეუცნობლად და შეუმჩნევლად ხან სიტყვიერი გამოთქმა იჭერს ცნებითის მიმართების ადგილს, ხან კიდევ საგანი იჭერს სიტყვის ადგილს. რაიც ჩვენ მიერ სამად არის განწვალებული, მისთვის არსებითად ერთია. ჩვენი გაგებით ეს ერთი არის ცნება და აზრი: მისთვისაც ეს ასეა; მაგრამ იგი შეუწაცვლებს ხოლმე მას სიტყვას და მეტყველებას ისევე, როგორც საგანთა სამყაროს“.³

არა ნაკლებ გარკვეულად ახასიათებს არისტოტელეს ნააზრევს ერდმანის შემდეგი სიტყვები: „ვინაიდან არისტოტელე

¹ "Die Dinge werden entweder von einem Subjekt ausgesagt, ohne in einem Subjekt zu sein... oder sie sind in einem Subjekt, ohne von einem Subjekt ausgesagt zu werden...": Kategorien. თავი II, გვ. 36.

² "Da die Dinge teils allgemein, teils Einzeldinge sind – unter Allgemeinem verstehe ich, was, naturgemäss von mehrerem, unter Einzelding, was nicht von mehrerem ausgesagt werden kann...": Peri hermenias, თავი VII, გვ. 6.

³ "das Streben des Aristoteles zwar geht darauf, die Begriffe rein als solche zu fassen... Unbewusst und unbemerkt aber schiebt sich in seinem Bewusstsein bald der sprachliche Ausdruck an die Stelle des begrifflichen Verhältnisses, bald wiederum das Object an die Stelle des Wortes. Was uns geschieden ist zu dreien, ist ihm wesentlich Eins. Dieses Eins ist nach unseer Beurteilung Begriff und Gedanke: ihm ist es dies auch; aber er verwechselt es zugleich mit Wort und Rede, wie mit dem Objectiven": S t e i n t h a l, Geschichte der Sprachwiss., გვ. 204.

აზროვნებასა და მეტყველებას ერთუბრთს ისე არ აცილებს, როგორც ეს ამჟამად ხდება, მასთან პირიქით *λόγος* (სიტყვა) ეწოდება აზრს ისევე, როგორც წინადადებას, შემდეგ, — ვინაიდან იგი აზრებსა და, მაშასადამე, სიტყვებს უყურებს, როგორც *ἰσοιῶματα τῶν πραγμάτων*-ს (გამოხატულებას საგანთა), შეიძლება აიხსნას, როგორც ხდება, რომ წესები, რომლებსაც იგი წინადადების ანალიზით პოულობს, ღებულობს გრამატიკული მნიშვნელობის გარდა აგრეთვე ლოგიკურსაც, [შეიძლება იქცეს] ნორმებად სწორი აზროვნებისათვის, მაგრამ დასასრულ მეტ-ნაკლების თანმიმდევრობით მათ ენიჭებათ მნიშვნელობა, როგორც რეალური ყოფნის კანონებს“.¹

14. გაუდიფერენცირებლობა აზრისა, სიტყვისა, საგნისა; ამ ნიადაგზე წარმოშობილი აღრევა ამ სამი სხვადასხვა კატეგორიისა; კერძოდ, მეტყველებითი მომენტის ანალიზით შენაცვლება აზრის ანალიზისა — აი რა უანდერძა არისტოტელემ მომავალ საუკუნეებს შემკვიდრებდა. ენობრივი მხარის ანალიზი აზრის ანალიზის ნაცვლად თავის შედეგად ლოგიკის გრამატიზაციას იძლეოდა.²

საშუალო საუკუნეებში ლოგიკას შეემატა მხოლოდ ფორმალიზმი: „XVII საუკუნემდე ლოგიკას ყველაზე ხშირად განსაზღვრავდნენ როგორც ხელოვნებას მიმოსჯისა (*рассуждения*), პაექრობისა, საუბრისა, და არა იშვიათად იგი უახლოვდებოდა რიტორიკასა და გრამატიკას“³... მოვიგონოთ თუნდაც ბოეთიუსი; მისი განსაზღვრებანი სუბიექტისა და პრედიკატისა უკვე იყო მოყვანილი; რის ნაწილებია სუბიექტი და პრედიკატი? რასაკვირველია, მსჯელობისა, გვეტყვიან ლოგიკოსები: „არისტოტელეზე

¹ "Da Aristoteles das Denken und Sprechen nicht so trennt, wie es jetzt geschieht, bei ihm vielmehr *λόγος* sowohl Gedanke, als Satz heisst, da er ferner die Gedanken und also die Wörter... als *ἰσοιῶματα τῶν πραγμάτων* ansieht, so ist es erklärlich, wie die Regeln, welche er durch Analysis des Satzes findet, ihm neben der grammatischen Bedeutung sogleich die logische bekommen, Normen für das richtige Denken zu sein, endlich auch mit mehr oder minder Konsequenz, als Gesetze des realen Seins gelten": Erdmann, Geschichte der Philosophie, გვ. 124-125.

² ლოგიკის გრამატიზაციის თვალსაჩინო ნიმუშია მსჯელობის შემადგენელ ნაწილად სუბიექტისა და პრედიკატის გარდა კოპულას მიჩნევა; რომ ასეთი შეხედულება ენობრივი მომენტის ლოგიკურში არევით არის გამოწვეული და, კერძოდ, ინდო-ევროპულ ენათა აგებულების თავისებურებამ წარმოშვა, საშუალება გვქონდა ჩვენ სხვაგან აღგვენიშნა (იხ. „ყენაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით“: ქართ. საენათმეცნ. საზოგად. წელი - წიგნი, ტ. I-II, გვ. 51, შენიშვნა 1).

³ "До XVII в. [логика] определялась чаще всего как "искусство рассуждения, спора, разговора" (*ars disserendi, disputandi, dicendi*) и нередко даже сближалась с риторикой и грамматикой": Грот, К вопросу о реформе логики, გვ. 11.

დამყარებით ბოეთიუსი თავის "Intro. ad syllog. categor.-ში იძლევა მოძღვრებას მსჯელობათა შესახებ, როგორც სილოგიზმის წინამძღვართა და, რომ სავსებით გაარკვიოს მათი ბუნება, შედის სუბიექტისა და პრედಿಕატის ანალიზში..."; ამბობს ვლადისლავ ლევი (იხ. *Логика*, დამატება, გვ. 59); პრანტილიც აგრეთვე ფიქრობს, რომ ბოეთიუსის სუბიექტი და პრედಿಕატი მსჯელობის ნაწილებია¹. რასაკვირველია, ბოეთიუსი აზრის ერთეულს **გულისხმობდა** და ამ ერთეულის ნაწილებად მიაჩნდა სუბიექტი და პრედಿಕატი; ამდენად, ვლადისლავ ლევიც მართალია და პრანტილიც... მაგრამ შეცთობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ იგი **მსჯელობის** ანალიზს აწარმოებდა; მსჯელობა, როგორც ასეთი, სიტყვიერი ფორმისაგან (წინადადებისაგან) განსხვავებული, მისთვის არ არსებობდა; ეს იქიდან ჩანს ნათლად, რომ ბოეთიუსი *enuntiatio*-ს და არა *judicium*-ის შესახებ ლაპარაკობს: *Simplicium vero enuntiationum* (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.) *partes sunt subiectum et predicatum* (იხ. *Prantl, I* გვ. 696, შენიშვ. 124); *enuntiatio* კი უწინარეს ყოვლისა „წართქმა (*Aussage*), წინადადება“ და არა მსჯელობა. ბოეთიუსი წინადადების შინაარსს ეხებოდა, ე. ი. აზრს, მაგრამ ამ აზრისა და მისი აღმნიშვნელი წინადადების გარჩევა მისთვის ისევე უცხო იყო, როგორც არისტოტელესთვის.

15. ეჭვს გარეშეა, ასეთ ლოგიკასთან დაახლოება გრამატიკისათვის ადვილი საქმე იყო; ეს დაახლოება ორივე დისციპლინისათვის საზიანო აღმოჩნდა: გრამატიკიზმები ლოგიკაში, ლოგიკიზმები გრამატიკაში დღემდე ცოცხლობენ. და საინტერესო ის არის, რომ ორივეს ერთი პრინციპი აქვს: სხვა დისციპლინის ობიექტების შესახებ მსჯელობა. შემთხვევა გვექონდა გვენახა გრამატიკოსები, რომელნიც ამბობდნენ: „წინადადება არის აზრი ანუ მსჯელობა (სიტყვებით გამოხატულიო)“: გრამატიკოსი აზრს აანალიზებდა... და პირიქით, მოიპოვებიან ლოგიკოსები, რომელნიც ასე მსჯელობდნენ: „ის ელემენტი, ის უმცირესი ერთეული, რომელთანაც საქმე აქვს ლოგიკას, არის წინადადება; წინადადება შედგება ქვემდებარისა და შემასმენლისაგან, რომელშიაც ითქმის რაიმე ქვემდებარის შესახებ“²... წინადადებისა და მისი ნაწილების გაანალიზებისას ენობრივ მომენტს იხილავენ;

¹ "... ferner wird bemerkt, dass diese zwei Begriffe, da in sie das Urtheil (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.) zerlegt werde, termini heißen...": *Prantl, Geschichte der Logik*, გვ. 696.

² "... Тем элементом, той наименьшей единицей, с которой имеет дело логика, является предложение. Предложение состоит из подлежащего и сказуемого, в котором говорится, "сказывается" что-нибудь о подлежащем": *Минто, Логика*, გვ. 53.

ასე, მაგალ., გამოჩენილი ინგლისელი ლოგიკოსი ჯ. ს. მილი, რომელიც ამ შემთხვევაში ტრადიციის ერთგულებას იჩენს, აუცილებლად თვლის ლოგიკაში განხილულ იქნეს წინადადება, და ასეთ განსაზღვრებას იძლევა: „წინადადება არის თქმა (речение), რომელშიაც რაიმე მტკიცდების ან უარყოფის რისამე შესახებ“... „ყოველი წინადადება შედგება სამი ნაწილისაგან: ქვემდებარისა, შემასმენლისა და კავშირისაგან. შემასმენელი არის **სახელი** (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.), რომელიც აღნიშნავს იმას, რაც მტკიცდების ან უარყოფის. ქვემდებარე არის **სახელი** (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.), რომელიც აღნიშნავს იმ პირს ან იმ საგანს, რომლის შესახებაც რაიმე მტკიცდების ან უარყოფის. კავშირი არის ნიშანი უარყოფისა ან მტკიცდებისა“¹...

თუ გრამატიკოსი-ლოგიკოსი აზრს გამოეკიდა, აქ ლოგიკოსი წინადადებისა და მისი ნაწილების შესწავლას ჰკიდებს ხელს. ერთი და იგივე მოვლენა დასტურდება ორ დისციპლინაში; ერთი და იგივე შეცდომა ჩადენილი ორსავე შემთხვევაში.

ლოგიციზმის გენეზისის მიმოხილვა დასრულებულად შეიძლება ჩავთვალოთ; ჩვენ წინ მისი შეფასების საკითხი დგას.

16. ლოგიციზმი, როგორც ვიცით, ორი სახეობით გვხვდება.² მათგან ერთი გრამატიკა-ლოგიკის ცნებათა აღრევას წარმოადგენს. ისიც ვიცით, რომ ლოგიციზმისთვის დამახასიათებელი სწორედ ეს სახეობა არის. ლოგიკა აღარ არჩევდა მსჯელობას წინადადებისაგან (ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე, ბ ო ე თ ი უ ს ი...); ამრიგად, ლოგიკაში საკმაოდ იყო გრამატიციზმი; როცა წინადადება-მსჯელობის მოძღვრება გადმონერგეს გრამატიკაში, ამით გრამატიკა (სინტაქსი) გახდა ლოგიკისტური: **ლოგიკისტური გრამატიკა მე-მკვიდრეა გრამატიკისტული ლოგიკისა.**

ლოგიციზმის პირველი სახეობა სწორედ იმით არის საინტერესო, რომ მასში უცვლელად არის შემორჩენილი ლოგიციზმი პირვანდელი სახით, იმ სახით, როგორითაც იგი წარმოიშვა.

ამ სახეობის მიხედვით: წინადადება არის აზრი ან მსჯელობა (გამოთქმული ან დაწერილი); მაგრამ, როგორც თავშივე აღვნიშნეთ, აზრს, მსჯელობას ფსიქოლოგია, ლოგიკა-გნოსეოლოგია შეისწავლიან; ეს მათი მიზანია; მაშასადამე, გრამატიკას სხვისი საქმე ეკისრება და ამით ლოგიკა-გნოსეოლოგიისა, ფსიქოლოგიისა და გრამატიკის ამოცანები ერთურთში ირევა; ეს გარემოება უკვე განსაზღვრავს ამ შეხედულების მეცნიერულს ღირებულებას.

¹ იხ. Д. С. М и л л ь, Система логики, გვ. 13.

² ორივე სახეობის წარმომადგენელი იხ. ზემოთ, § 3.

შემასმენლის შესახებ ნათქვამია: „ეს ის არის, რაც ქვემდებარის შესახებ ითქმისო“; ეს კი არის სიტყვა-სიტყვით გამეორება იმ განსაზღვრებისა, რომელიც ტრადიციულს ლოგიკაში პრედიკატს აქვს. ესე იგი, ლოგიკის ცნება გრამატიკის ცნებად ცხადდება; ეს უკანონო მითვისებაა, მეთოდოლოგიურად კიდევ უფრო დაუშვებელი, ვინემ წინადადების ზემოხსენებული განსაზღვრება: იქ სიტყვიერი მომენტი ნახსენები მაინც არის, აქ კი ამის კვალიც არა ჩანს.

ქვემდებარის განსაზღვრება იმავე წესით ხდება; ან ამბობენ: „ქვემდებარე ის არის, რის შესახებაც ლაპარაკია წინადადებაში“, ესე იგი, მას ისევე განსაზღვრავენ, როგორც სუბიექტს ტრადიციულ ლოგიკაში. ლოგიკის ცნება სუბიექტისა პირდაპირ მკვიდრდება გრამატიკაში; და მაშინ მასზე მთლიანად ვრცელდება ის, რაიც შემასმენლის განსაზღვრების შესახებ ითქვა. — ანდა ამბობენ (ალბათ მეტი სიცხადისათვის): „ქვემდებარე არის საგანი, რომლის შესახებაც არის ლაპარაკი“. ამ შემთხვევაში საგანზე ლაპარაკი გრამატიკაში კიდევ უფრო უცნაურად ისმის, ვინემ წინადადების განსაზღვრებისას აზრის, მსჯელობისადმი აპელაცია: გამოდის ისე, თითქოს გრამატიკა ონტოლოგიური ძიება იყოს და არა სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც მეტყველებას შეისწავლის (უკეთ ვთქვათ, მეტყველების ზოგიერთ მხარეს).

ერთი სიტყვით, ლოგიკიზმის პირველი სახეობა სამეცნიერო აზროვნების ელემენტარულ მეთოდოლოგიურ მოთხოვნილებათა უხეშ უგულებელყოფაზეა დაფუძნებული.

17. უფრო ფრთხილია მეორე სახეობა; მისთვის ქვემდებარეც, შემასმენელიც სიტყვებია ოდენ, წინადადება კი — სიტყვათა შეხამება. რაგვარი სიტყვაა ქვემდებარე, რანაირია — შემასმენელი? სიტყვათა რანაირი შეხამებაა წინადადება? ამაზე პასუხის გაცემით იწყება აპელაცია აზრის სამყაროსადმი. სიტყვათა შეხამება უნდა გამოხატავდეს აზრს; ქვემდებარე-შემასმენელი კი ის სიტყვებია, რომლებითაც გადმოცემულია სუბიექტი და პრედიკატი. **აზრი** აქ უფრო საბოპულარიზაციო მიზნით უნდა იყოს ნახმარი: მისი რეალური ღირებულება მსჯელობა უნდა იყოს; ეს იქიდანა ჩანს, რომ ამ აზრის ელემენტებად სუბიექტი და პრედიკატი გვევლინება: საგანი, რომლის შესახებაც არის ლაპარაკი; ის, რაც ამ საგნის შესახებ არის ნათქვამი (იხ. კ რ ა ს ნ ო გ ო რ ს კ ი ს განსაზღვრება). ამრიგად, დასაყრდენია: აზრი (მსჯელობა) და მისი ელემენტები — სუბიექტი და პრედიკატი; ამათი სიტყვიერი გამოხატულებაა: წინადადება, ქვემდებარე და შემასმენელი.

ასე რომ, ამ სახეობის მეთოდოლოგიური პრინციპია — შესახებ არისა (მსჯელობისა) და წინადადებისა; აზრის ელ-

მენტების: სუბიექტის, პრედიკატისა და წინადადების ნაწილების: ქვემდებარისა და შემასმენლის პარალელიზმი. აქედან გამომდინარეობს შემდეგი: ჯერ ერთი, სრულიად დამოუკიდებელი ენისაგან უნდა იქნეს გარკვეული, რა არის აზრი (მსჯელობა), სუბიექტი, პრედიკატი; მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი გამოვიყენოთ ესენი დასაყრდენად, გავარკვიოთ მათი საშუალებით: წინადადება, ქვემდებარე, შემასმენელი. მეორეცაა: ცნება აზრისა (მსჯელობის) თვისის მოცულობით სავსებით უნდა ფარავდეს ცნება წინადადებას; ყოველ შემთხვევაში, არ უნდა იყოს უფრო მცირე; აგრეთვე **სუბიექტ-პრედიკატ**—ცნებათა მოცულობა უნდა უდრიდეს **ქვემდებარე-შემასმენელ**—ცნებებისას; სხვანაირად რომ ვთქვათ, ყოველ წინადადებაში უნდა იყოს მოცემული მსჯელობა, ყოველი ქვემდებარე უნდა აღნიშნავდეს სუბიექტს, ყოველი შემასმენელი — პრედიკატს.

ეს ორი ძირითადი პირობა უნდა იქნეს შესრულებულ-დაცული, თუ გვინდა მსჯელობასა და მის ელემენტებზე დავამყაროთ წინადადებისა და მისი ნაწილების განსაზღვრება.

პირველი პირობის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია შემთხვევები, როცა ლოგიკოსი მსჯელობის განსაზღვრებას ენისაგან დამოუკიდებელი კი არ აწარმოებს, არამედ სწორედ წინადადებას ემყარება, წინადადებაზე დაყრდნობით აწარმოებს მსჯელობის განსაზღვრას. ასე მაგალ., ზიგვარტი ამბობს: „წინადადება, რომელშიაც რაიმე გამოითქმის რისამე შესახებ, არის გრამატიკული გამოხატულება მსჯელობისაო“ (Логика, ტ. I, § 5, გვ. 23); წინადადება მას მიაჩნია მსჯელობის იმ ნიშნად, რომელსაც განეკუთვნება ობიექტური არსებობა (დაწერილია ან გამოითქმის; იხ. იქვე), იგია მხილება აზრისა; ყოველ შემთხვევაში, ზიგვარტისთვის მსჯელობის ჩამოსაყალიბებლად წინასწარ აუცილებელია წინადადების გარკვეულობა: წინადადება უკვე მოცემულია, მსჯელობა ირკვევა წინადადების საშუალებით; და როცა გრამატიკოსი, ლოგიკის მოიმედე, ცდილობს მსჯელობაზე დაამყაროს წინადადების განსაზღვრება, განა შესაძლებელია *circulus vitiosus*-ს თავი დავაღწიოთ?! ასეთია პირველი პირობის ვითარება.

18. მეორე პირობის განხილვა მოითხოვს წინასწარ გამოირკვეს ერთი საკითხი; წინადადება და მისი ნაწილები უნდა შეესატყვისებოდეს მსჯელობასა და მის ელემენტებს: სუბიექტსა და პრედიკატს; კი, მაგრამ რომელის გაგებით? ამ საკითხში ლოგიკოსები არა ნაკლებ განსხვავდებიან ერთურთისაგან, ვინემ სხვა ფუძემდებელი საკითხების გაგებაში. რა არის მსჯელობა? რა შეადგენს მის რაობას? რა არის სუბიექტი, პრედიკატი? როგორია მსჯელობის მიმართება წინადადებასთან? ეს კითხვები არსებითად განსხვავებულ პასუხს პოულობენ მათში.

ვთქვათ, ერთი უკიდურესი ფრთა ამბობს: „მსჯელობა არის გონებრივი აქტი, რომელიც თან ახლავს წინადადების გამოთქმას; მსჯელობა შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ წინადადების სახით, არა სხვანაირად... აგრეთვე წინადადება შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც გამოხატულება მსჯელობისა...“ (Минто, *op. cit.* გვ. 165-166)... „ის უმცირესი ერთეული, რომელთანაც საქმე აქვს ლოგიკას, არის წინადადება... წინადადება შეიძლება დავშალოთ ნაწილებად — ზოგად სახელებად, რომელთა შესახებ მოძღვრება არის ამოსავალი პუნქტი სილოგისტური ანალიზისთვისო“ (იქვე, გვ. 53-54); სიტყვიერი მომენტი აქ ყურადღების ცენტრშია; მისი შემწეობით სურთ აზრის სათანადო მოვლენები არკვიონ, — ეს ერთის მხრით... სხვები კი გვეტყვიან: მართალია, აზრი ჩამოისხმის ენის ფორმაში, მაგრამ ამ ფორმების ანალიზი ლოგიკისათვის არაფრის მაქნისია; პირიქით: „ლოგიკისათვის აუცილებლად საჭიროა აზრის წმინდა ელემენტები ზედმიწევნით განასხვაოს ენობრივი სამოსისაგან“.¹ ამ ორ უკიდურესობას შორის მრავალი გარდამავალი საფეხური მოიპოვება.

არა მარტო ლოგიკურისა და ენობრივის ურთიერთობის საკითხში იჩენს თავს ასეთი სხვაობა; ავიღოთ მსჯელობის განსაზღვრება; აქაც იგივე განმეორდება; ვ ე დ ე ნ ს კ ი, მაგალითად, ტრადიციის მიხედვით მსჯელობად მიიჩნევს „ისეთ აზრებს, რომლებშიაც ჩვენ რასმე ვამტკიცებთ ან უარყოფთ რისამე შესახებ“ (იხ. *Логика*, გვ. 7); ვ უ ნ დ ტ ი ს აზრით, მსჯელობა არის „მთლიანი წარმოდგენის მის შემადგენელ ნაწილებად დაშლა“ (*Logik*, I, 148); ლ ი ფ ს ი ს მიხედვით მსჯელობა განსაზღვრება როგორც „შევნება ცნობიერების საგანთა ერთობისა ან განრიგების ობიექტური აუცილებლობისა“.² ე რ დ მ ა ნ ი ლაპარაკობს **პრედიკატ**—ცნების **სუბიექტ**—ცნებაში შთაწყობის (*Einordnung*) შესახებ; მისთვის „ელემენტარული მსჯელობა გაფორმებული აზროვნებისა არის... შთაწყობა (*Einordnung*) ერთი საგნისა მეორე საგნის შინაარსში“.³ ზ ი გ ვ ა რ ტ ი, როგორც ზემოთ აღნიშნულია, წინადადების საშუალებით განსაზღვრავს მსჯელობას, მილი კი შესაძლებლად თვლის წინადადების განსაზღვრება და ანალიზი წარმოადგინოს მსჯელობის განსაზღვრებისა და ანალიზის ნაცვლად.

სუბიექტი და პრედიკატიც სხვადასხვაგვარად არის განსაზღვრული. ტრადიციულად მათ განსაზღვრავს ზ ი გ ვ ა რ ტ ი: „ის, რის შესახებაც

¹ „...es ist das dringendste Bedürfnis der Logik, die reinen gedankenelemente von der sprachlichen Einkleidung genau zu unterscheiden“: იხ. *Schuppe*, Grundriss (Einleitung), გვ. 1.

² "das Bewusstsein der objektiven Notwendigkeit eines Zusammen oder einer Ordnung ...von Gegenständen des Bewusstseins", *Logik*, § 32, გვ. 17.

³ "Das elementare Urteil des formulierten Denkens ist... die Einordnung eines Gegenstandes in den Inhalt eines anderen": *Logik*, § 294, გვ. 341.

რაიმე გამოითქმის, არის სუბიექტი; ის, რაც გამოითქმის, არის პრედიკატი“ (ლოგიკა, § 5, გვ. 25); თითქმის ასევე — მ ი ნ ტ ო ც (იხ. *op. cit.*, გვ. 53).

ვ ე დ ე ნ ს კ ი ს მეტი გარკვეულობა შეაქვს ამავე განსაზღვრებაში, როცა ამბობს: „აზრი იმის შესახებ, რის შესახებაც მსჯელობაში რასმე ვამტკიცებთ ან უარყოფთ“, არის სუბიექტი; „აზრი იმის შესახებ, რაც მტკიცდების ან უარიყოფის ჩვენ მიერ“, არის პრედიკატი. გაურკვეველი „ის, რაც...“, აქ შეცვლილია გარკვეულით: „აზრი“... ამას გარდა, ტრადიციული გაგება აქ განვრცობილ-გადაამუშავებულია ამ „აზრის“ ფსიქოლოგისტური ინტერპრეტაციით (ამაზე ქვემოთ).

არსებითად სხვაა ლ ი ფ ს ი ს განსაზღვრება: „სუბიექტად უნდა მივიჩნიოთ მსჯელობის აქტში ნაგულისხმევი (*Vorausgesetzte*), მოცემული, ის, რაც საფუძვლად უდევს პრედიკაციას (*der Prädizierung*), ამრიგად, ის, რომელსაც რაიმე განეკუთვნება (*zugeordnet wird*) ობიექტური აუცილებლობის შეგნებით, ანდა რომლის დაშვებითაც უნდა იქნეს რაიმე ნაფიქრები; პრედიკატის ქვეშ მხოლოდ ის, რაც მას განეკუთვნება ან მის დაშვებასთან უნდა იქნეს ნაფიქრები (*Logik*, § 40, გვ. 20); ვ უ ნ დ ტ ი ს თ ვ ი ს კ ი სუბიექტი არის მთლიანი წარმოდგენის ის ნახევარი, რომელიც საგანს წარმოადგენს; პრედიკატი კი — რომელიც მის თვისებას ან მდგომარეობას აღნიშნავს (*Logik*, გვ. 152).

რომელი შეხედულება არის დასაყრდენი ლოგიკისტიისათვის, როცა იგი წინადადებისა და მისი ნაწილების შესატყვისობას ლოგიკაში ეძიებს? რომელი მიმართულებაა მისთვის საორიენტაციო? რა თქმა უნდა, არა ლ ი ფ ს ი, არა ვ უ ნ დ ტ ი ან ე რ დ მ ა ნ ი, მით უფრო, შ უ პ ე, არამედ ყველაზე უფრო ისევ ტრადიციული შეხედულება, რომელიც ამბობს: „მსჯელობის დროს მე გამოვთქვამ რასმე რისამე შესახებ; ...ის, რაც გამოითქმის, პრედიკატია; ის, რის შესახებაც რაიმე გამოითქმის, არის სუბიექტი“... (იხ. ზ ი გ ვ ა რ ტ ი, ზემომოყვანილი ადგილი).

სხვადასხვა ლოგიკურ მიმართულებებში ეს არჩევანი, რომელსაც ლოგიკისტი-გრამატიკოსი აკეთებს, მეტად დამახასიათებელია; მისი ორიენტაცია მეტად სიმპტომატურია; არა ის ლოგიკა, რომელიც ცდილობს სასტიკად განსაზღვროს ლოგიკის სამყარო, არის მისი მოკავშირე, არამედ ის, რომელიც ყველაზე **ახლოს დგას აზრისა და აზროვნების ყოველდღიურ გაგებასთან**, ყველაზე ნაკლებ გადიფერენცირებულია, ყველაზე ნაკლებად გამოკვეთილია მეცნიერული თავისთავადობის მხრით და, ამრიგად, ყველაზე სუსტია.

19. რამდენად გამოსადეგია თუნდაც ასეთი, ტრადიციული, ფორმალური ლოგიკის გაგება მსჯელობისა და მისი ელემენტებისა, როგორც დასაყრდენი წინადადებისა და მისი ნაწილების განსაზღვრებისათვის? შესაძლებელია თუ არა შესატყვისობის პრინციპზე წინადადებისა და მისი ნაწილების განსაზღვრებათა ჩამოყალიბება? შეუძლებელია და აი რატომ:

1. მსჯელობა და წინადადება ერთმანეთს ვერ ფარავენ მოცულობით; კითხვითი, ბრძანებითი წინადადებანი: **იქნება წელს სუსხიანი ზამთარი? დაწერეთ ეს სამუშაო!** არიან თუ არა ესენი წინადადებები? რასაკვირველია, წინადადებებია. მაგრამ არის თუ არა მათში მსჯელობები მოცემული? არა, გვეტყვიან ლოგიკოსები, მათ შორის ტრადიციული ფორმალური ლოგიკის წარმომადგენლებიც. მაშასადამე, ყოფილა წინადადებები, რომელთა შინაარსი მსჯელობას არ წარმოადგენს; თუ ლოგიკიზმის განსაზღვრება გავიზიარეთ, მოყვანილ ფრაზებს წინადადებებად ვერ ჩავთვლით. ამრიგად, ყოველი წინადადება როდია მსჯელობა; წინადადების ცნება უფრო ფართოა თავისი მოცულობით, ვინემ მსჯელობისა; ამიტომ შეუძლებელია წინადადების განსაზღვრა მსჯელობაზე დაყრდნობით.

ამას შემდეგი უნდა დავუმატოთ: ზოგიერთი ლოგიკოსი იმ აზრისა არის, რომ არა თუ ყოველი წინადადება არ არის მსჯელობის გამოხატულება, არამედ პირიქითაც: ყოველი მსჯელობა როდი გადმოიცემა წინადადებით; **ლიფსი**, მაგალითად, გვეუბნება: გარეგნული მხარე, მეტყველების სამოსი არის არსებითი მსჯელობისათვის; ბავშვი, რომელსაც, ვთქვათ, ცეცხლის ალმა ხელი დაუწვა ერთხელ, მეორედ უფრთხილდება ალს. რატომ? იმიტომ, რომ მას ახსოვს წინანდელი განცდა ტკივილისა — მან იცის, რა მოჰყვება ალის შეხებას, მის ცნობიერებაში უკვე არის სათანადო აქტი მსჯელობისა, თუმცა მან ლაპარაკი არც კი იცის და ვერც გამოთქვამს ამას. არა მხოლოდ ბავშვი, არამედ მოზრდილიც ხშირად არ მიმართავს წინადადებას მსჯელობის გადმოსაცემად: უბრალო ამოძახილი, მითითება, ცალკე სიტყვა შეიძლება ასრულებდეს წინადადების მაგივრობასო“ (იხ. **Lipps, Logik**, §§ 45, 46, გვ. 23-24). ერთი სიტყვით: ყოველ წინადადებას არ ეტოლება მსჯელობა, არც ყოველ მსჯელობას — წინადადება; **ესე იგი, ამ ორი ცნების მოცულობა მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს ერთმანეთს.**

2. მივმართოთ მსჯელობისა და წინადადების ელემენტებს. შესატყვისება თუ არა ყოველთვის ქვემდებარე სუბიექტს? „ქვემდებარე არის სიტყვა, რომელიც აღნიშნავს, ვის ანუ რის შესახებაც არის ლაპარაკიო“. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ის სიტყვა, რომელიც გვიჩვენებს, ვის ანუ რის შესახებ არის ლაპარაკი, ქვემდებარედ ვერ ჩაითვლება; ფრაზაში: **placet mihi liber (მომწონს მე წიგნი)** ლაპარაკი, ცხადია, **მე** შემეხება; **mihi** არის ამ მსჯელობის სუბიექტი ტრადიციული ფორმალური ლოგიკის თვალსაზრის-

სით, ხოლო გრამატიკისათვის ქვემდებარე არის **liber, mihi** კი არის დამატება; ვერც ერთი ლოგიკისტი-გრამატიკოსი ვერ უარყოფს ამას... ასეთი მაგალითები უხვად არის სხვა ენებშიც; მაგ., **es scheint mir (მე მეჩვენება), мне нужна тетрадь (მე მჭირია რვეული)** და სხვ... მაგალითები ქართულიდან განზრახ არ მოგვყავს: შესაძლებელია ანალოგიურს ფრაზებში ქვემდებარე-დამატების დასახელება აქ საცილობლად იქნეს მიჩნეული, მაგრამ დასახელებული ნიმუშები ზოგიერთი ენებიდან საკმაო სიცხადით არკვევს, რომ მსჯელობის სუბიექტი სხვაა, წინადადების ქვემდებარე — სხვა; პარალელიზმი ვერ ტარდება, შესატყვისობას ადგილი არა აქვს.

3. იმავე ქვემდებარის შესახებ. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ჩვენ ვიცოდით, რომელია ის სიტყვა, რომელიც გვიჩვენებს, თუ ვის ანუ რის შესახებ არის ლაპარაკი, ოღონდ ეს სიტყვა არ იყო ხოლმე ქვემდებარე. მაგრამ ხშირად არ არის ადვილი იმის გარკვევა, რომელია **ის** სიტყვა, რომელიც აღნიშნავს, თუ ვის ანუ რის შესახებ არის ლაპარაკი, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როგორც ხშირად გვხვდება ქართულში; მაგალ., წინადადებაში: **მამას უყვარს შვილი; მელას შემოეყარა ტურა...** ვის ანუ რის შესახებ არის აქ ლაპარაკი? ლაპარაკია **მამის** შესახებ, რომ მას უყვარს შვილი, თუ შვილის შესახებ, რომ იგი უყვარს მამას; ლაპარაკია **მელას** შესახებ, რომ მას შემოეყარა **ტურა**, თუ პირიქით, **ტურის** შესახებ, რომ იგი შემოეყარა **მელას**.

რასაკვირველია, შეიძლება გვითხრან, რომ პირველს ფრაზაში ლაპარაკია **მამის** შესახებ; საბუთად მოიყვანონ, რომ „**მას უყვარს**“ „**იგი მოქმედა**“, და ეს ცხადია უცხო (ევროპული) ენებიდან, სადაც ეს უფრო ნათლად ჩანს: მაგ., **отец любит сына; der Vater liebt den Sohn; pater filium amat...** მაგრამ უცხო ენებზე მითითება აქ საბუთად ვერ გამოდგება; ერთი ენის აგებულება შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს მეორისაგან, ამისდა კვალად ერთი ენის კატეგორია-სქემებით ხელმძღვანელობა მეორის შესწავლისას შეიძლება ისევე შეუფერებელი აღმოჩნდეს, როგორც „ერთი ქალაქის გეგმით ხელმძღვანელობა მეორე ქალაქის დათვალიერებისას“ (**Mauthner**); ქართულს ფრაზაში **მამა** არ არის წარმოდგენილი მოქმედად, ისე როგორც ის არის, ვთქვათ, რუსულში, გერმანულში ან ლათინურში; მისგან კი არ გამომდინარეობს მოქმედება, არამედ მას მიეწერება იგი (შვილის სიყვარული); ამდენადვე ამ გზით ფონს ვერ გავალთ. მეორე ფრაზაში რომლისამე აქტივობაზე ლაპარაკი ზედმეტია; აზრის მიხედვით შეუძლებელია იმის დადგენა, რომელია ქვემდებარე: **მელას** თუ **ტურა...** შესაძლოა ვინმემ უპირატესობა იმ სიტყვას მისცეს, რომელიც სახელობით-შია, მაგრამ ესეც უცხო ენის ზეგავლენით მოხდება; ამას გარდა, ეს იქნებოდა აშკარა უარყოფა იმ პრინციპისა, რომლითაც ხელმძღვანელობა სა-

ვალდებულოა: **ვის (რის) შესახებ არის ლაპარაკი?** ამნაირად: ლოგიკიზმის პრინციპით ასეთ მაგალითებში გარკვევა და ქვემდებარის გამოძებნა სრულიად შეუძლებელია.

4. ვის შესახებაა ლაპარაკი ამა თუ იმ ფრაზაში, ირკვევა კონტექსტში; მართლაცდა, პირველი ფრაზა: „**მამას უყვარს შვილი**“ სამნაირად შეიძლება გამოითქვას: ძლიერი ინტონაცია იყოს პირველს, მეორე ან მესამე სიტყვაზე: ა) „**მამას** უყვარს შვილი“: უყვარს **მამას** და არა, ვთქვათ, დედას; ა ზ რ ი ს მიხედვით აქ ლაპარაკია მამის შესახებ, მაშასადამე, ლოგიკისტური განსაზღვრების მიხედვით **მამას** არის ქვემდებარე; ბ) „მამას უყვარს **შვილი**“: **შვილი** და არა ცოლი, ძმა ან სხვა ვინმე. იმავე პრინციპის მიხედვით ქვემდებარე იქნება **შვილი...** გ) „მამას **უყვარს** შვილი“: **უყვარს** და არა სძულს ან ეზიზღება; რის შესახებაა ლაპარაკი? იმის შესახებ, რომ უყვარს; ამრიგად, **უყვარს** ყოფილა ქვემდებარე: ზმნის გარკვეული ფორმა ქვემდებარე აღმოჩნდა, რასაც თვით ლოგიკისტური გრამატიკაც ვერ აიტანს; გრამატიკოსს ასეთი კაზუსი სასოწარკვეთილებაში ჩააგდებს, ლოგიკოსები კი ასეთს პირობებშიც თავს კარგად გრძნობენ; აზრის მაძიებელი ლოგიკა ადვილად მოუვლის იმ სიძნელეებს, რომლებიც ასეთ შემთხვევაში გრამატიკოსის წინაშე დგება.

ეს კია, რომ ტრადიციული ფორმალური ლოგიკა ერთი ფრაზის შინაარსის ასეთ მოდიფიკაციას არ ვარაუდობს, მაგრამ ეს მოდიფიკაცია დეტალიზაცია და განვითარებაა იმ განსაზღვრებისა, რომელიც ტრადიციულს ლოგიკაშია წარმოდგენილი; და თუ მისაღებია სუბიექტად იმის მიჩნევა, **ვის ანუ რის შესახებ არის ლაპარაკი**, უდავოა, რომ ასეთი სუბიექტის ძიება ყველაზე მართებულია ამ გზით ხდებოდეს.¹

5. ამ ფსიქოლოგისტური ინტერპრეტაციის გარეშეც შეიძლება შეიქმნეს ისეთი მდგომარეობა, რომ „**ის, რის შესახებ არის ლაპარაკი**“, ქვემდებარე-

¹ სუბიექტის და პრედიკატის ტრადიციული განსაზღვრების ასეთ ინტერპრეტაციას ადგილი აქვს, მაგალითად, ვ ე დ ე ნ ს კ ი ს ლოგიკაში (იხ. გვ. 54-55); ფ რ ა ნ კ ი ასეთ ინტერპრეტაციას ფსიქოლოგისტურს უწოდებს; იგი აღნიშნავს, რომ ინტონაციის გამოცვლით მიღებულია ახალი მსჯელობა: ობიექტური, საგნობრივი აზრი ცვლილებისდა მიუხედავად ერთი და იგივეა; ინტონაციით, ხაზგასმით ჩვენ აღვნიშნავთ, რა გვინტერესებს ჩვენ, რა გვინდა ვთქვათ... (იხ. მისი: *Предмет знания*, გვ. 6-7). ტრადიციული ფორმალური ლოგიკა რომ ობიექტურს აზრს (*объективный смысл*) ეძიებდეს, მის განსაზღვრებათა ფსიქოლოგისტური ინტერპრეტაცია შეუძლებელი იქნებოდა; მაგრამ იგი ენობრივ მომენტს ემყარება; ცვლილება ამ უკანასკნელში არ შეიძლება მასაც არ დაეცყო; ამდენად იგი სრულიადაც არ არის დაზღვეული სუბიექტივიზმისა და ფსიქოლოგიზმისაგან.

აზრის ის ნიუანსები, რომლებიც ინტონაციის ცვლით არის გამოწვეული, შეიძლება ზოგჯერ სიტყვათა რიგის შეცვლით იქნეს მიღწეული...

რედ სრულიად შეუფერებელი აღმოჩნდება. ლოკის, რომელსაც დავესესხეთ ჩვენ ამ არგუმენტს, ასეთი მაგალითი მოჰყავს: „ვთქვათ, ჩვენ წინ არის ევკლიდის გეომეტრიის შემდეგი ნაწყვეტი: „...გადავიდეთ ახლა ტოლფერდა სამკუთხედების განხილვაზე; ტოლფერდა სამკუთხედებში ფუძეებთან მდებარე კუთხეები თანასწორია“... საგანი, რომლის შესახებაც აქ ლაპარაკია, არის, რასაკვირველია, ტოლფერდა სამკუთხედები, მაშასადამე, საგანი და სუბიექტი მსჯელობისა გამოხატულია სიტყვებით, **„ტოლფერდა სამკუთხედები“**, პრედიკატი კი სიტყვების **„ფუძესთან მდებარე კუთხეები თანასწორია“** (იხ. *Логика*, I, 65). ასეთი შემთხვევები მეტყველების კონტექსტში ყოველ ნაბიჯზე შეგვხვდება; ქვემდებარე-შემასმენლისა და სუბიექტ-პრედიკატის შესატყვისობაზე ლაპარაკი აქ ამაოა.¹

6. რასაკვირველია, მრავალია ისეთი შემთხვევა, სადაც წინადადებისა და მსჯელობის ელემენტების პარალელიზმი შეიძლება დავადასტუროთ მარტივად; მაგალითად, მარტივს გაუფრცვლებელს წინადადებაში, როგორცაა: **ბავში თამაშობს; მოსწავლე სწავლობს; ჩიტი დაფრინავს... აქ ბავში ქვემდებარეც არის და მსჯელობის სუბიექტსაც გამოხატავს; თამაშობს შემასმენელიც არის და პრედიკატსაც აღნიშნავს;**² პარალელიზმი სრულია; შესატყვისობა მთლიანად დაცულია. მაგრამ პარალელიზმი ხელიდან გამოგვეცლება, როგორც კი განვაგრცობთ იმავე წინადადებებს: **ჩვენის მეზობლის ცელქი ბავში მთელი დღე განუწყვეტლივ თამაშობს... ბეჯითი მოსწავლე კარგად სწავლობს თავის გაკვეთილებს...** ლოგიკოსისათვის პირველს ფრაზაში სუბიექტი იქნება: **ჩვენის მეზობლის ცელქი ბავში**, პრედიკატი კი: **მთელი დღე განუწყვეტლივ თამაშობს**; ასევე მეორე ფრაზაში სუბიექტია **ბეჯითი მოსწავლე**, პრედიკატია: **კარგად სწავლობს თავის გაკვეთილებს...** ლოგიკოსის პრინციპის მიხედვით მივიღებდით უცნაურ ქვემდებარეებს: **ჩვენის მეზობლის ცელქი ბავში; ბეჯითი მოსწავლე და შემასმენლებს: მთელი დღე განუწყვეტლივ თამაშობს; კარგად სწავლობს თავის გაკვეთილებს...** და ეს მაშინ, როცა გრამატიკოსისთვის ქვემდებარეც, შემასმენელიც (თუ რთული არაა) ერთის სიტყვით უნდა იყოს გადმოცემული. სხვა სიტყვები ზოგი განსაზღვრებაა, ზოგი დამატება, ზოგიც გარემოება, რომელთაც ლოგიკოსტური გრამატიკა სრულიად არ აუქმებს. მერე სადღაა ამ უკანასკნელთა შესატყვისი ელემენტები მსჯელობაში? ვთქვათ, ქვემდებარეს სუბიექტი უდრის; შემასმენელს — პრედიკატი; რაღა უდრის გრამატიკის დამატებ-

¹ თავისთავად ცხადია, რომ ლოკის მაგალითში ინტონაციის როლს კონტექსტი ეწევა; იქ ინტონაცია ცვლილებებს იწვევდა ერთი ფრაზის ფარგლებში, აქ ფრაზების კონტექსტში ერთი ფრაზის ამა თუ იმ ნაწილს მიეპყრობა გულისყური, ის ხდება „იმად, რის შესახებაც არის ლაპარაკი“.

² იგულისხმება, რომ ინტონაცია ჩვეულებრივია.

ბ ა ს, გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა ს, გ ა რ ე მ ო ე ბ ი ს ს ი ტ ყ ვ ე ბ ს? შეიძლება თუ არა მათ მოეძებნოთ პარალელები მსჯელობაში? რასაკვირველია, არა!

ეს კი ნიშნავს: ლოგიკისტური გაგების დროს წინადადების მეორეხარისხოვანი წევრებისათვის არავითარი დასაყრდენი არ მოიპოვება. მათი საკითხი სრულებითაც არა წყდება.

საერთოდ: მსჯელობისა და წინადადების პარალელიზმზე დაყრდნობით ლოგიკიზმი ვერ წყვეტს წინადადების საკითხს ოდნავ დამაკმაყოფილებლად, ვერ იძლევა წინადადებისა და მისი ელემენტების საჭირო და გამოსადეგ განსაზღვრებათ. და თუ ლოგიკოსები ცდილობენ ბოლო მოუღონ გრამატიკიზმს ლოგიკაში, გრამატიკისათვის კიდევ უფრო აუცილებელია თავი დააღწიოს ლოგიკიზმს: ენობრივისა და ლოგიკურის გამიჯვნას მოითხოვს სასიცოცხლო ინტერესები, როგორც გრამატიკისა, ისე ლოგიკის.¹

¹ გრამატიკა-ლოგიკის ამ მხრივ ურთიერთობისა და კერძოდ ლოგიკიზმის შესახებ გრამატიკაში იხ.: *Потеня*, Из записок..., I-II, გვ. 60 და შემდ.; *Керн*, Грамматическое предложение и логическое суждение: Педагог. сбор., გვ. 426-452; *Введенский*, Логика, გვ. 50-57; *Лосский*, Логика, I, გვ. 64-67; *Lipps*: Logik, §§ 45-48, გვ. 23-25; *Erdmann*, Logik, გვ. 44-51; 303-324; *Schuppe*, Grundriss, შესავალი; *Subjectlose Sätze*: Zeitsch. für Völkerpsychologie... Bd. XVI, გვ. 249; *Сланский*, Грамматика, как она есть... გვ. 3 და შემდ.; *Пешковский*, Школьная и научная грамматика, გვ. 52-54 და სხვ.

ამ ლიტერატურაში წარმოდგენილი არგუმენტაციიდან გამოყენებულია ის, რაც მისაღებად მიგვაჩნდა; უგულვებელყოფილია, რაც უმართებულოდ ჩავთვალეთ.

ვერ გამოვიყენეთ ამ საკითხის შესახებ არსებული სხვა ლიტერატურა, რადგანაც აქ არ მოიპოვებოდა, — მათ შორის ისეთი ნაშრომი, როგორცაა *Steinthal*-ის Grammatik, Logik, Psychologie, 1855.

3. ფსიქოლოგიზმი

20. ლოგიციზმის მიმოხილვას უნდა მოსდევდეს ფსიქოლოგიზმის გავალისწინება; ეს აუცილებელია სისტემატური ანალიზის გავალსაზრისით; ამასვე მოითხოვს ამ მიმართულებათა ისტორიული თანამიმდევრობა.

პირველს რიგში ჩვენს ყურადღებას ბუნებრივად იპყრობენ პ ა უ - ლ ი ს ა და ვ უ ნ დ ტ ი ს შეხედულებანი; მათშია მოცემული საკითხის დასმა და გადაწყვეტა, ტიპოლოგიურად დამახასიათებელი ფსიქოლოგიზმისთვის.

წინადადების შესახებ პ ა უ ლ ი ამბობს: „წინადადება არის ენობრივი გამოხატულება, სიმბოლო იმისა, რომ მეტყველის სულში ადგილი ჰქონდა მრავალი წარმოდგენის ან წარმოდგენათა ჯგუფების შეკავშირებას, — და საშუალება იმისათვის, რომ წარმოშვას იმავე წარმოდგენათა იგივე შეკავშირება მსმენელის ცნობიერებაში“.¹

ვ უ ნ დ ტ ი წერს: „წინადადება მისი სუბიექტურისა თუ ობიექტური ნიშნების მიხედვით შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ენობრივი გამოხატულება მთლიანი წარმოდგენის (*Gesamtvorstellung*) ნებისითი დანაწევრებისა მის შემადგენელ ნაწილებად, რომელნიც ურთიერთთან ლოგიკურს მიმართებაში არიან დასმულნი“.²

პ ა უ ლ ი ს ა და ვ უ ნ დ ტ ი ს განსაზღვრებას ორი რამ აქვს საერთო. ჯერ **ერთი**: ორივეს მიხედვით წინადადება არის ენობრივი გამოხატულება; წინადადება-ცნების განსაზღვრისას, ამნაირად, უახლოესი გვარი (*genus proximum*) ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივეა. მართალია, კითხვაზე: „რანაირ ენობრივ გამოხატულებას უნდა ეწოდოს წინადადება?“ — პასუხი სხვადასხვაგვარია; პ ა უ ლ ი გვეუბნება: „ისეთ ენობრივ გამოხატულებას, რომელიც წარმოდგენათა **შეკავშირებას** გადმოგვცემს“; ვ უ ნ დ ტ ი კი პირიქით, ფიქრობს, რომ ეს ისეთი „ენობრივი გამოხატულებაა, რომელიც მთლიანად წარმოდგენის შემადგენელ ნაწილებად **დაშლას** აღნიშნავს“. სხვადასხვანაირია ეს პასუხი თავისი შინაარსით; ამისდა კვალობაზე სხვადასხვანაირია წინადადების განსაზღვრებაში სპეციფიკური განსხვავებაც (*differentia specifica*); ამ უკანასკნელის **შინაარსი** პ ა უ ლ ი ს ა და ვ უ ნ -

¹ "...der Satz ist der sprachliche Ausdruck, das Symbol dafür, dass sich die Verbindung mehrerer Vorstellungen oder Vorstellungsgruppen in der Seele des Sprechenden vollzogen hat, und das Millet dazu, die nämliche Verbindung der nämlichen Vorstellungen in der Seele des Hörenden zu erzeugen": H. P a u l, Prinzipien, § 85, გვ. 121.

² "...wir können den Satz nach seinen objektiven wie subjektiven Merkmalen definieren als den sprachlichen Ausdruck für die willkürliche Gliederung einer Gesamtvorstellung in ihre in logische Beziehungen zueinander gesetzten Bestandteile": W. Wundt, Völkerpsychologie, Bd. II, გვ. 248.

დ ტ ი ს განსაზღვრებაში დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ერთმანეთს; მაგრამ **პრინციპი**, რომლის მიხედვითაც არის ეს **სპეციფიკური განსხვავება** გამომუშავებული, ორსავე განსაზღვრებაში ერთი და იგივეა. ეს პრინციპია: დადგენილ იქნეს ბუნება იმ ფსიქიკურ პროცესთა, რომელნიც თან ახლავან „ენობრივ გამომხატულებას“. ეს პრინციპი არის ის **მეორე** ნიშანი, რომელიც საერთოა პ ა უ ლ ი ს ა და ვ უ ნ დ ტ ი ს განსაზღვრებაში.

21. ეს პრინციპი საერთოა ორივე განსაზღვრებისათვის. მეტსაც ვიტყვით: ეს პრინციპი ფსიქოლოგიზმის უნივერსალური პრინციპია, რამდენადაც ფსიქოლოგიზმი ენათმეცნიერულ აზროვნებაში იჩენს თავს: მეტყველების მოვლენათა კვალიფიკაცია იმისდა მიხედვით, **თუ ცნობიერების რაგვარ მოვლენებს აღნიშნავენ** ისინი, — ფსიქოლოგიზმის ძირითადი მეთოდოლოგიური წინამძღვარია; წინადადებად მიიჩნევა ესა თუ ის ენობრივი გამომხატულება, უკეთუ იგი გადმოგვცემს ცნობიერების გარკვეულს მოვლენებს; ესა თუ ის სიტყვა კვალიფიცირდება მეტყველების ამა თუ იმ ნაწილად იმისდა მიხედვით, თუ რაგვარი ფსიქოლოგიური ღირებულება აქვს მას. ერთი სიტყვით: **კრიტიკიუმად ცნობიერების მოვლენებია წამოყენებული**; საზომი მათის მიხედვით მუშავდება... საქმის ვითარება, ამიტომ, სწორად იქნება წარმოდგენილი, თუ ვიტყვით: **წინადადების ყოველი განსაზღვრება იქნება ფსიქოლოგისტური, თუ მასში კრიტიკიუმად ცნობიერების მოვლენა არის წამოყენებული**, ე. ი. თუ ენობრივი გამომხატულების წინადადებად მიჩნევის პირობად არის დასახული ცნობიერების ესა თუ ის მოვლენა, resp. პროცესი. რანაირი დეტალიზაციაც უნდა გაგუკეთოთ ამ „ენობრივ გამომხატულებას“, განსაზღვრება ვერ ასცდება ფსიქოლოგიზმის გზას, თუ **სპეციფიკურ განსხვავებაში** ფსიქოლოგიური კრიტიკიუმის სახით ეს არაენობრივი მომენტი შემოიჭრება.

22. წინადადება არის „ენობრივი გამომხატულება“, — ამბობენ ფსიქოლოგისტები პ ა უ ლ ი და ვ უ ნ დ ტ ი. ამით იმ თავითვე მოიხსნა უხეში ლოგიკური შეცთომის დაშვების შესაძლებლობა, იმ შეცთომისა, რომელსაც ჩადიოდა ლოგიციზმის ერთ-ერთი სახეობა, როცა ამბობდა: „წინადადება არის **აზრი**“ (გამომხატული ზეპირად ან წერითაო და სხვ.).

წინადადება ფსიქოლოგისტებისთვის „ენობრივი გამომხატულებაა“. მიუხედავად იმისა, რომ ამ „ენობრივი გამომხატულების“ ფსიქიკური საფუძველი პ ა უ ლ ს სხვანაირად ესმის, ვ უ ნ დ ტ ს სხვანაირად, განსაზღვრება ორსავე შემთხვევაში ერთსა და იმავე, — ფსიქოლოგისტურ, — პრინციპზეა აგებული. შეიძლება იმ კონკრეტულ ფსიქოლოგიურ ოდენობასაც მივაკვლიოთ, რომელიც წინადადების კრიტიკიუმად არის გამოყენებული. ეს არის **მსჯელობა ფსიქოლოგიურის** გავებით.

წარმოდგენათა შეკავშირება, რომლის შესახებაც პ ა უ ლ ი ლაპარაკობს, არის მსჯელობის ფსიქოლოგიური რაობა გარკვეული შეხედულების მიხედვით; ამას ცხადყოფს თუნდაც ზ ი გ ვ ა რ ტ ი; მისი გაგებით მსჯელობისათვის საჭიროა ორი წარმოდგენა: „წარმოდგენა, რომელიც აღნიშნავს სუბიექტს; იგი მოცემულია უწინარეს ყოვლისა... მას ემატება ჩვენს ცნობიერებაში მეორე წარმოდგენა, რომელიც პრედიკატად გვევლინება“ (იხ. **З и г в а р т, Логика, I**, გვ. 26).

ვ უ ნ დ ტ ი ს განსაზღვრების შესადარებლად შეიძლება მოვიგონოთ იმავე ვ უ ნ დ ტ ი ს ლოგიკის შემდეგი ადგილი, სადაც მსჯელობა განსაზღვრულია, როგორც „დანაწევრება მთლიანი წარმოდგენისა მის შემადგენელ ნაწილებად“ (**Logik, I**, გვ. 148), — ანდა კიდევ ასეთი ადგილი: „...მითოლოგიური აზროვნება, როგორც ასეთი, გულისხმობს ენას და ამიტომ მე არ მიმაჩნია შესაძლებლად, პირუკუ, იგი ვაქციოთ წყაროდ მსჯელობისა ანუ, რაც იგივეა, წინადადებისა და ენისა“.¹ წინადადება და მსჯელობა აქ გათანაბრებულიც კია.

ამრიგად: ის, რაც წინადადების ფსიქოლოგიურ რაობას წარმოადგენს პ ა უ ლ ი ს მიხედვით, ზ ი გ ვ ა რ ტ ი ს შეხედულებით მსჯელობის რაობას შეადგენს; აგრეთვე მ თ ლ ი ა ნ ი წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ს შემადგენელ ნაწილებად დაშლა შეადგენს ვ უ ნ დ ტ ი ს ა თ ვ ი ს როგორც წინადადების ფსიქიკურ საძირკველს, ისე მსჯელობის რაობას.

მართალია, მსჯელობის ეს განსაზღვრება ორსავე შემთხვევაში ლოგიკაში გვხვდება; ამას გარდა, პირველს შემთხვევაში ერთი და იგივე განსაზღვრება სხვადასხვა მოაზროვნესთან (პ ა უ ლ ი, ზ ი გ ვ ა რ ტ ი) იჩენს თავს, მაგრამ ეს არაფერს არ ცვლის; ლოგიკაში წარმოდგენილ მსჯელობის განსაზღვრებაზე დაყრდნობა იმიტომ არ არის უხერხული, რომ ზ ი გ ვ ა რ ტ ი ც ა და ვ უ ნ დ ტ ი ც ლოგიკაში (ყოველ შემთხვევაში მსჯელობის საკითხში) ფსიქოლოგისტები არიან; ლოგიკაში ისინი მსჯელობის აქტის ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ს ტ უ რ ი ინტერპრეტაციიდან გამოდიან; ამიტომ მსჯელობის მათს განსაზღვრებაში ფსიქოლოგიური მომენტი წარმოდგენილი. მეორე გარემოებას რაც შეეხება, პ ა უ ლ ი ს განსაზღვრების დამყარება ზ ი გ ვ ა რ ტ ი ს ა ზ ე იმიტომ არის შესაძლებელი, რომ ორივე ერთს ნიადაგზე დგას, ერთის ფსიქოლოგიით საზრდობს. ამიტომ თამამად შეიძლება ზ ი გ ვ ა რ ტ ზ ე დაყრდნობით პ ა უ ლ ი ს განსაზღვრების პრინციპი ნათელვყოთ...

¹ "...Gleichwohl glaube ich, dass das mythologische Denken, als solches die Sprache voraussetzt, und es scheint mir daher nicht möglich, umgekehrt jenes zur Quelle des Urteils oder, was ja damit gleichbedeutend ist, des Satzes und der Sprache zu machen": *Völkerpsych. II*, 256-257, შენიშვნა 2.

23. თუ პაულიც მსჯელობის ფსიქოლოგიურ გაგებაზე ამყარებს წინადადების განსაზღვრებას და ვუნდტიც, როგორ მოხდა, რომ მათი განსაზღვრებანი დიამეტრალურად საწინააღმდეგოა; როგორ მოხდა, რომ ორი განსაზღვრება, ერთ პრინციპზე დაფუძნებული, სულ სხვადასხვა შინაარსის მქონეა; უკეთ რომ ვთქვათ, რატომ არის შესაძლებელი მსჯელობის ფსიქოლოგიური რაობა ასე განსხვავებულად იყოს გაგებული.

ახსნა უნდა ვეძიოთ იმ ზოგად ფსიქოლოგიურს ბაზაში, რომელსაც ემყარება მსჯელობისა, და მასთან წინადადების, ეს სხვადასხვანაირი გაგება: ფილოლოგი და ენათმეცნიერი პაული ჰერბარტის ფსიქოლოგიის ნიადაგზე დგას. ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი ვუნდტი ენის პრობლემებს საკუთარი ფსიქოლოგიური სისტემის თვალსაზრისით უდგება. და თუ ჩვენ გვსურს გავიგოთ, რად განსხვავდება პაულის გაგება ვუნდტის ეულისაგან, უნდა მოვიგონოთ ჰერბარტისა და ვუნდტის ფსიქოლოგიის პრინციპები.

ჰერბარტის ფსიქოლოგია ინტელექტუალისტურია და ასოციაციონისტური. ცნობიერების მოვლენათა ერთადერთ ძირითად სახედ მიჩნეულია წარმოდგენა; ეს ობიექტური ელემენტი საფუძველია ყოველგვარ სხვა მოვლენათათვის: ემოციები, სურვილი, მისწრაფებანი, ნებისყოფის აქტები და სხვ. წარმოდგენათა ურთიერთობით შეიქმნებიან, წარმოდგენათა დერივატები არიან; ყოველგვარი ფსიქიკური მოვლენა და იყვანება წარმოდგენამდე; წარმოდგენა არის ერთადერთი ძირითადი მასალა, რომლითაც აიგების ცნობიერების შენობა. ამდენადვე ინტელექტუალიზმი ჰერბარტის ფსიქოლოგიის მთავარი პრინციპია.

ცნობიერების ეს ერთფეროვანი მასალა მრავალფეროვან სულიერ მოვლენებად იშლება იმ ურთიერთობის წყალობით, რომელიც იქმნება წარმოდგენათა შორის; ამ ურთიერთობას ქმნის წარმოდგენათა მოძრაობა და წონასწორობა; წარმოდგენათა სხვადასხვანაირი შეხამება იძლევა სხვადასხვაგვარ სულიერ მოვლენებს; უნივერსალური პრინციპი, რომელიც განსაზღვრავს წარმოდგენათა ამ შეხამებას, არის ასოციაცია. ამრიგად, **წარმოდგენები** და მათი ურთიერთობა, **ასოციაციის პრინციპზე** დამყარებული, ქმნის ჰერბარტის ფსიქოლოგიის ხერხემალს.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ენათმეცნიერებამ, რამდენადაც საქმე აღწერითი მეთოდოლოგიის საკითხებს ეხებოდა, შეიცვალა ორიენტაცია; ლოგიკაზე ორიენტაციამ ადგილი დაუთმო ფსიქოლოგიაზე ორიენტაციას; ახალი კურსის იდეოლოგი იყო შტაინთალი. ჰერბარტის ფსიქოლოგია უდიდესი გავლენით სარგებლობდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე და მესამე მეოთხედში; და როცა ენათმეცნიერება ფსიქოლოგიის ორიენტაციას დაადგა, ბუნებრივი იყო, თუ მან ჰერბარტის ფსიქოლოგიას მიმართა.

ამ ფსიქოლოგიის გავლენა ცხადად ჩანს პ ა უ ლ ი ს განსაზღვრებაშიც: მას, როგორც ფსიქოლოგისტს, მოუხდა წინადადების დამყარება ფსიქოლოგიურ მსჯელობაზე; ხოლო როცა იგი მსჯელობის ფსიქოლოგიური რაობის ჩამოყალიბებას შეუდგა, მას არ შეეძლო გვერდი აეხვია წარმოდგენებისათვის, როგორც მსჯელობის შემადგენელი ელემენტებისათვის; არ შეეძლო წამოდგინა მათი ურთიერთობა სხვაგვარად, თუ არ შეკავშირების სახით: ყოველივე ამას ავალებდა მას ჰ ე რ ბ ა რ ტ ი ს ფსიქოლოგიის წინამძღვრები. ასეთი იყო ჰ ე რ ბ ა ტ ი ს ფსიქოლოგია, — ასეთი არის პ ა უ ლ ი ს განსაზღვრება.

24. ვ უ ნ დ ტ ი ს ფსიქოლოგია ვოლუნტარისტულია და აპერცეფციონისტული; ვოლუნტარისტულია იგი არა იმიტომ, რომ ნებისყოფა მიაჩნია ძირითად ფსიქიკურ ელემენტად; რასაკვირველია, არა. არა თუ ძირითად, არამედ ცალკე ელემენტადაც კი არ მიაჩნია იგი ვ უ ნ დ ტ ს. სამაგიეროდ, ნებისყოფითს პროცესებში პოვებს ვ უ ნ დ ტ ი რთულსა და ფსიქიკური სინამდვილისათვის დამახასიათებელ ფენომენს: ასე უნდა იქნეს გაგებული ვოლუნტარიზმი, როცა იგი ვ უ ნ დ ტ ი ს ფსიქოლოგიის დამახასიათებლად მიიჩნევა. თუნდაც ასეთი გაგებით იგი ცხადყოფს, რომ ვ უ ნ დ ტ ი ს თ ვ ი ს ცნობიერების სამყარო არა თუ არ ამოიწურება წარმოდგენებით, არამედ იგი ტიპურ დამახასიათებლადაც ვერ ჩაითვლება ცნობიერებისათვის. ამდენადვე ვ უ ნ დ ტ ი ს ვოლუნტარიზმი უპირისპირდება ჰ ე რ ბ ა რ ტ ი ს ინტელექტუალიზმს.

ვ უ ნ დ ტ მ ა არსებითად გადაასხვავებდა მოძღვრება ასოციაციათა შესახებ; ასოციაციონისტები მოგვითხრობენ მხოლოდ წარმოდგენათა ასოციაციების შესახებ; ვ უ ნ დ ტ ი კი გვეუბნება: ასოციაციას შეიძლება ადგილი ექნეს ყოველ ფსიქიკურ შინაარსებს შორის (მაგალ., გრძნობებს შორისაც); მეორეცაა: როცა წარმოდგენათა ასოციაციების შესახებ ლაპარაკობენ, ჩვეულებრივად ვარაუდობენ, რომ წარმოდგენა ელემენტარული ერთეულია, რომელიც ასოციირდება ასეთსავე მეორე ერთეულთან; ვ უ ნ დ ტ ი სხვა აზრისაა: თვით წარმოდგენა არ არის ელემენტარული ერთეული; ერთმანეთს უკავშირდებიან წარმოდგენათა ელემენტები; ასოციაციის ელემენტარულ პროცესს ადგილი აქვს ამ ელემენტთა შორის.¹ ამ ორი არსებითი შესწორებით მიიღო ვ უ ნ დ ტ მ ა ასოციაცია, და ამიტომ გასაკვირი არ არის, თუ ტრადიციულ ასოციაციათა (მეზობლობითის, მსგავსებითის, კონტრასტის...) ნაცვლად ვ უ ნ დ ტ მ ა თავისებური პროცესები წარმოგვიდგინა: შერწყმისა, ასიმილაციისა, კომპლიკაციისა და სხვ., ხოლო საერთოდ ასოციაციათა ორი ძირითადი სახე დაუშვა: ერთბაში ანუ სიმულტანური და თანამიმდევრობითი ანუ სუქცესიური.

¹ იხ. Logik, I, 17-18; უფრო დაწვრილებით: Grundriss, გვ. 271-275.

მაგრამ ასეთი ცვლილების შემდეგაც ასოციაცია ვერ იქცა ვუნდ-დტის ფსიქოლოგიის ბერკეტად. ვუნდტის ფსიქოლოგიური სისტემა აიგო აპერცეფციისაზე.

აპერცეფცია ვუნდტის მოძღვრებაში არ არის ყოველთვის ერთნაირად განმარტებული. ერთს შემთხვევაში ასეთ გაგებას ვხვდებით: ზოგი ფსიქიკური შენაერთები შეიქმნებიან „თავისთავად“, ე. ი. მათ არ ახლავს (თვით)მოქმედების გრძნობა, ზოგნი კი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ამ გრძნობასთან (რომელიც დამახასიათებელი შემადგენელი ნაწილია აპერცეფციულისა და ნებისყოფითის პროცესებისა). ამისდა კვალობაზე პირველნი განიცდებიან, ვითარცა პასიურნი, მეორენი — როგორც აქტიურნი. პასიურად განცდადნი — ასოციაციებია, აქტიურად განცდადნი კი — აპერცეფციული შეკავშირებანი ანუ, მოკლედ, აპერცეფციები. სხვა თვისებაც ახასიათებს ამათ, მაგრამ მთავარი მაინც ეს არის.¹

აპერცეფციის პროცესი უპირდაპირდება აქ ასოციაციის პროცესს იმ რომელობათა მიხედვით, რომელნიც მათ, ვითარცა **პროცესებს**, ახასიათებენ. ეს — ერთი გაგების მიხედვით.

მეორის მიხედვით კი „აპერცეფცია არის პროცესი, რომლის შემწეობითაც რაიმე ფსიქიკური შინაარსი ნათლად განიცდების (durch den irgendein psychischer Inhalt zu klarer Auffassung gebracht wird)“.² ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული ყურადღებასთან, რომელიც ამ პროცესის სუბიექტურ მხარეს წარმოგვიდგენს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ აპერცეფციის პროცესი უთუოდ ხასიათდებოდეს იქნება მოქმედების გრძნობით? რასაკვირველია, არა. ხშირია შემთხვევები, როცა ყურადღების შემწეობით ცნობიერების მრავალფეროვანი შინაარსიდან რომელიმე ერთი განსაკუთრებულის სიცხადით წარმოგვიდგება: აქ მოქმედების გრძნობაც არის და განაცადის სიცხადეც. მაგრამ არა ნაკლებ ხშირია შემთხვევები, როდესაც რაიმე შთაბეჭდილება ჩვენდა უნებურად შემოიჭრება ჩვენის ცნობიერების არეში და ძალაუნებურად დაჩრდილავს სხვა ყველაფერს (მაგალ., ახლო გასროლილი თოფის ხმა, ანდა, ვთქვათ, ტკივილი კბილისა); განსაკუთრებული სიცხადე ასეთ განცდასაც აქვს, მაგრამ ნებისყოფა, მოქმედების გრძნობა თუ (აქტიური) ყურადღება აქ არაფერს შუაშია; ჩვენი ნებისყოფა სრულებით არ არის მოწადინებული, რომ გავაბატონოთ ისინი ცნობიერებაში; ზოგიერთ შემთხვევაში (ტკივილის, მაგალ.,) ნებისყოფა, პირიქით, ებრძვის მათ; ამისდა მიუხედავად ეს ფსიქიკური შინაარსი ბატონობს ცნობიერებაში: ამ დაუპატიჟებელ სტუმარს დაპატიჟებულზე მეტი ძალა აქვს, მას მეტი სიცხა-

¹ Введение в психологию, გვ. 55; Grundriss, გვ. 307; Logik, I, 17.

² Grundriss, გვ. 252. აქვე აპერცეფციას ვუნდტი უპირისპირებს პერცეფციას, ე. ი. ისეთ თვისებას ცნობიერების შინაარსისა, რომელსაც ყურადღება თან არ ახლავს.

დე ახსიათებს. რას ნიშნავს ეს? ყოველ შემთხვევაში იმას, რომ, თუ აპერცეფციის რაობის დადგენისას პროცესის თავისებურებას (**აქტივობის გრძნობა**) კი არ დავემყარებით, არამედ შედეგს (**განაცადის სიცხადე**), იძულებული ვიქნებით დავუშვათ ორნაირი აპერცეფცია; აპერცეფცია აქტიური (აქტივობის გრძნობა პლუს განაცადის სიცხადე) და აპერცეფცია პასიური (სიცხადე განაცადის აქტივობის გრძნობის გარეშე).

ვ უ ნ დ ტ ი ც განასხვავებს აპერცეფციის ამ ორ სახეს¹ და დასძენს, რომ ამ განსხვავებას ნაწილობრივ ფარავს განსხვავება აქტიურისა და პასიური ყურადღებისა.²

პასიური აპერცეფცია პროცესობრივად არაფრით განირჩევა ასოციაციისაგან: ორივეს პასივობა ახსიათებს. აქტიური აპერცეფცია კი არსებითად განსხვავდება ასოციაციისა თუ პასიური აპერცეფციისაგან. ის, რაც პირველი გაგების მიხედვით აპერცეფციის სადა სახელწოდებით აღინიშნებოდა, უდრის მეორე გაგების აქტიურ აპერცეფციას: ზოგადია მათთვის აქტივობის გრძნობა; ამით უპირისპირდებიან ისინი ასოციაციას.

აპერცეფცია (გინა აქტიური აპერცეფცია) ვ უ ნ დ ტ ი ს ფსიქოლოგიის ერთი მთავარ პრინციპთაგანია; ვ უ ნ დ ტ ი ს აპერცეფციონიზმი ისევე უპირისპირდება ჰერბარტიზსა და სხვათა ასოციაციონიზმს, როგორც მისივე ვოლუნტარიზმი მათ ინტელექტუალიზმს...

აზროვნების პროდუქტთა ყველა ძირითადი სახეები აპერცეფციის წარმონაქმნს შეადგენენ; მისი ფუნქციაა: ცნების წარმოქმნა, მთლიანი წარმოდგენის ჩამოყალიბება, წარმოდგენათა სინთეზი, აგლუტინაცია და ყველა ის პროცესები, რომელნიც დისკურსიულ აზროვნებად იშლებიან...

25. ვ უ ნ დ ტ ი ს განსაზღვრება წინადადებისა ლაპარაკობს მთლიანი წარმოდგენის დანაწევრებაზე ლოგიკურს მიმართებაში მყოფ შემადგენელ ნაწილებად. ამაშია მოცემული წინადადების ფსიქოლოგიური რაობა; ეს არის იმავე დროს მსჯელობის რაობაც. რაღაა მთლიანი წარმოდგენა? როგორ და რად ნაწევრდება იგი? ამაზე ზოგად პასუხს იძლევა ვ უ ნ დ ტ ი წინადადების განსაზღვრებასთან დაკავშირებით **Die Sprache**-ში (**Völkerpsych., II**), უფრო დაწვრილებით — **მსჯელობის** ანალიზის დროს **Logik**-ში. დავიწყეთ პირველით.

წყარო მთლიანი წამოდგენისა ერთბაშ და თანამიმდევარ ასოციაციითა პროცესია. მთლიანი წამოდგენა, როგორც მონაცემი, არის შედგენილი ცალკე წამოდგენა (**zusammengesetzte Einzelvorstellung**); მისი შინაარსი არის ან ცალკე საგანი ან პროცესი, რომელიც ნაწილებისაგან შედგება.

¹ Logik, I, გვ. 34; Grundriss, გვ. 264.

² Logik, I, გვ. 34.

მთლიანი წარმოდგენა გამოეყოფა ცნობიერების სხვა შინაარსებს ორი პროცესის საშუალებით, რომლებიც ერთერთს უშუალოდ ეკვრის: ეს არის ასოციაცია და აპერცეფციის აქტი. ის შეგრძნებითი ელემენტები, რომელნიც საგნის აღქმაში მონაწილეობენ, ერთერთს უკავშირდებიან ასოციაციის საშუალებით. აღსაქმელი საგანი სხვადასხვა პირობებში ვარიაციას იძლევა მოძრაობის თუ სხვა რაიმე ცვლილების გამო; აღქმის პროცესის სათანადო ცვალებადი ნაწილები თანდათანობით უკუიხევენ, უცვლელად შერჩენილ ელემენტებს შორის კი მყარდება თანდათანობით უფრო მჭიდრო ურთიერთობა: ასოციაციის წყალობით. ამდენადვე ასოციაცია შეამზადებს ნიადაგს მთლიანი წარმოდგენისათვის.

მაგრამ მთლიან წარმოდგენად აღქმის შინაარსი ამ ნიადაგზე მხოლოდ მაშინ შეიძლება იქცეს, თუ ასოციაციურად დაკავშირებული ელემენტები ათვისებული იქნება, როგორც **მთლიანი** რალაც, მარტივს შემთხვევაში — როგორც ცალკე საგანი. ელემენტთა **ასოციაცია** ვერ შექმნის ამ **მთლიანს**, მაგრამ იგი შეამზადებს მას იმდენად, რამდენადაც ამ ასოციაციას უმეშვეოდ მოჰყვება ცნობიერებაში გარკვეული **აქტი**; ამის გამო ცნობიერება განასხვავებს ამ მთლიანის შექმნას, როგორც **მოქმედებას** იმ პასივობისაგან, რომელიც ახასიათებს ასოციაციას. ამდენადვე მთლიანი წარმოდგენის შექმნაში ადგილი აქვს ნებისყოფის აქტს; იგი განიჩევა გარეგნულ მოძრაობაში გამოხატული ნებისყოფითის აქტისაგან იმით, რომ მისი ობიექტი არის საგანი (**Gegenstand**), რომლის აღქმაც სურთ. ამგვარად, ეს არის პროცესი, რომელსაც ვუწოდებთ **აპერცეფციას**, რამდენადაც მხედველობაში გვაქვს ობიექტური მხარე, — საგნისადმი გამართვა (**auf das Objekt gehende Richtung**), და **ყურადღებას**, რამდენადაც ნაგულისხმევია სუბიექტური მხარე, — გრძნობათა მიმდინარეობა (**Gefühlsverlauf**);¹ ასე წარმოებს აპერცეფციის საშუალებით ასოციაციურად შეკავშირებული შეგრძნებითი ელემენტების გარდაქცევა **მთლიან წარმოდგენად**: ასოციაცია ამზადებს ნიადაგს, თავს უყრის მასალას, აპერცეფციის წყალობით ეს მასალა ორგანულ ერთიანობად, მთლიანობად იქცევა.

როგორ არის შესაძლებელი ამ მთლიანი წარმოდგენის დანაწევრება? ამ შესაძლებლობის საფუძველი მოცემულია მთლიანი წარმოდგენის მთავარ თვისებაში: იგი შედგება მრავალი ნაწილისაგან, რომელთაც ერთმანეთთან მიმართებაში ყოფნის უნარი აქვთ (**sie ist "aus einer Mehrheit b e z i e h u n g s f ä h i g e r Teile zusammengesetzt"**: *Völkerpsych.* II, 254). ის კი არ არის მთავარი, რომ შემადგენელ ნაწილთა სიმრავლეს აქვს ადგილი, არამედ, ის, რომ ეს ნაწილები ურთიერთთან მიმართებაში იმყოფება. და ეს მიმართებაში ყოფნის უნარი (**Beziehbarkeit**) ამკარავდება სწორედ იმა-

¹ ზემოხსენებულისათვის იხ. *Völkerpsych.*, II, 252-253.

ში, რომ მთლიანი წარმოდგენა მართლაც იშლება (*tatsächlich sich gliedert*); ამას ადგილი აქვს წინადადების ჩამოყალიბების პროცესში; მთლიანი წარმოდგენის დაშლა წინადადების ჩამოყალიბებაზეა დამყარებული. „მთლიანი წარმოდგენა ფსიქიკური წარმონაქმნია, ფსიქიკურ-ენობრივად კი იქცევა მხოლოდ პროცესი მისი დაშლისა“.¹

დანაწევრების პროცესი ორს მომენტს შეიცავს: ერთია — ნაწილთა გარჩევა, მეორე — შეკავშირება მიმართების სახით (*beziehungsweise Verbindung*). პირველი — აპერცეფციის აქტის ფუნქციაა: ოღონდ აქ აპერცეფცია მიმართულია არა მთელზე, არამედ ნაწილებზე. ასოციაცია აქაც შეამზადებს ამის შესაძლებლობას, რამდენადაც ზოგიერთ ნაწილთა შორის არსებული უფრო მჭიდრო კავშირი უპირისპირდება სხვა, ნაკლებ მჭიდროს. ყურადღების ნებისყოფითი აქტის საშუალებით (*durch den Willensakt der Aufmerksamkeit*) მთლიანს გამოეყოფა ნაწილი: ამით თავდება პირველი მომენტი, ნაწილთა გარჩევა. მაგრამ ეს ნაწილები არა თუ ოდენ განსხვავდებიან, არამედ დაისმიან ურთიერთთან ლოგიკურს მიმართებაში. ეს ლოგიკური მიმართებანი ცალკე კონკრეტული შემთხვევებიდან არიან მიღებული იმავე აპერცეფციის წყალობით. კატეგორიები საგნის, თვისების, მდგომარეობისა მიღებულია მისი შემწეობით.

პროცესი მთლიან წარმოდგენაში ნაწილების გარჩევისა და შემდეგ ამ ნაწილების ურთიერთთან ლოგიკურს მიმართებაში მოთავსებისა არის ის, რასაც წინადადებაში აქვს ადგილი. ეს პროცესი იწყება ისეთი შემთხვევებიდან, სადაც აღქმის შინაარსი გრძნობითი, თვალსაჩინოა და თანდათანობით ვრცელდება უფრო რთულსა და განყენებულ აზრებზე.²

უკანასკნელთა შესახებ არაფერია გარკვევით ნათქვამი *die Sprache*-ში (*Völkerpsych., I-II*); სამაგიეროდ *Logik*-ში ამას სათანადო ყურადღება ექცევა; საჭიროა ამის გათვალისწინება.

ჩვენ რომ აგველო მსჯელობა: **სამართლიანობა სათნოებაა** (ვ უ ნ დ ტ ი ს მაგალითია), რა გვექნებოდა ამის შესატყვისად ცნობიერებაში? ლაპარაკიც არ შეიძლება აღქმითი სახის შესახებ, რომელიც შემადგენელ ნაწილებად იშლებოდეს (ისევე, როგორც შეუძლებელია თვალსაჩინო წარმოდგენათა გაერთიანება ვივარაუდოთ). ვ უ ნ დ ტ ი მაინც ფიქრობს, რომ არსებობს **„აზრი მთლიანისა“** უწინარესად, და შემდეგლა ხდება მისი დანაწევრება შემადგენელ ნაწილებად. ამ გარემოებას შეაქვს კორექტივი ვ უ ნ დ ტ ი ს მიერ ზემოთ წამოყენებულ განსაზღვრებაში: თუ იქ საქმე ეხებოდა დაშლას მთლიანი წარმოდგენისას, რომელსაც აღქმადს სინამდვილეში ჰქონდა დასაყრდენი, აქ ლაპარაკი მხოლოდ **აზრის** დაშლაზე შეიძლება. ასე

¹ "Die gesamtvorstellung ist also ein rein psychisches gebilde, zu einem psychisch-sprachlichen wird erst Prozess ihrer Zerlegung": *Völkerpsych., II*, 254.

² მთლიანი წარმოდგენის დანაწევრების შესახებ იხ. *Völkerpsych., II*, 254-256.

რომ, თუ წინათ მსჯელობა განისაზღვრებოდა, ვითარცა „დანაწევრება მთლიანი წარმოდგენისა მის შემადგენელ ნაწილებად“, ახლა მისი საბოლოო განსაზღვრება ასეთ სახეს იღებს: მსჯელობა არის „დანაწევრება აზრისა მის ცნებითს შემადგენელ ნაწილებად“ („...die zerlegung eines Gedankens in seine begrifflichen Bestandtheile“: Logik, I, 149).

მსჯელობის შინაარსი მოცემულია ვითარცა მთლიანობა, ვიდრე იგი ნაწილებად დაიშლებოდეს; ამდენად ყოველი სჯა შეიძლება დავსახოთ ანალიზურ ფუნქციად; მსჯელობა აზრის გადმოცემაა (Darstellung des gedankens) და ამ გადმოცემის მიზნით ანაწევრებს იგი აზრს მის ელემენტებად, ცნებებად; ცნებებისაგან კი არ შეადგენს მსჯელობა აზრს, არამედ აზრს ანაწევრებს ცნებებად (იხ. Logik, I, 149-150).

წინადადების განსაზღვრება ვუნდტმა მსჯელობისაზე დააფუძნა; მსჯელობა საბოლოო ანგარიშში აღმოჩნდა აზრის დანაწევრება შემადგენელ ელემენტებად, ესე იგი: წინადადების განსაზღვრებისას დასაყრდენია **აზრი**, გარკვეული ფსიქოლოგიური შინაარსის მატარებელი; ეს საგულისხმო გარემოებაა, როგორც ქვემოთ დავინახავთ.

26. ვუნდტისა და პაულის ხელში წინადადების განსაზღვრების ბედი მსჯელობის ბედს დაუკავშირდა. მსჯელობის ფსიქოლოგიური რაობა მათ ერთნაირად არ ესმით: პაულისთვის იგი წარმოდგენათა შეკავშირებაა, — იგი სინთეზური ფუნქციის მატარებელია; ვუნდტისათვის — პირუკუ: მსჯელობა მთლიანი წარმოდგენის ანდა აზრის დანაწევრებაა, — მასში ანალიზური ფუნქციაა მოცემული. ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო გაგებაა წარმოდგენილი. მდგომარეობა უფრო დამაფიქრებელი იქნება, თუ ამავე საკითხის შესახებ სხვა ფსიქოლოგებს დავეკითხებით.

იერუზალემი, რომელმაც ცალკე გამოკვლევა უძღვნა მსჯელობის საკითხს, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ წარმოდგენილი შინაარსის დაშლა მართლაც შედის ერთ-ერთ მომენტად მსჯელობის აქტში, მაგრამ იგი არ ქმნის მსჯელობას: როცა ვინმე, მაგალ., აყვავებულ ხეს უყურებს და ამბობს: **ხე ყვავის**, მის ცნობიერებაში უფრო რთული პროცესები იჩენენ თავს; ეს არის წარმოდგენილი შინაარსის დანაწევრება, გაფორმება. „მსჯელობის საშუალებით მთელი წარმოდგენითი კომპლექსი [იგულისხმება ჩვენი შემთხვევა: **ხე ყვავის**], დაუნაწევრებელი პროცესი ფორმდება და ნაწევრდება იმის გამო, რომ ხე განთავსდება იქ, როგორც ძალით დაჯილდოებული, ერთიანი არსება, რომლის ძალა ამჟამად ამკარავდება აყვავებაში“.¹

¹ "Durch das Urtheil wird der ganze Vorstellungscomplex, der unzergliederte Vorgang dadurch geformt und gegliedert, dass der Baum als ein kraftbegabtes einheitliches Wesen hingestellt wird, dessen gegenwärtig sich vollziehende Kraftäusserung eben das Blühen ist": Urtheilsfunction. გვ. 82.

ჩვენს მაგალითში **ხე** წარმოიდგინება, ვითარცა თავისთავადი, აღქმე-ლი პიროვნებისაგან დამოუკიდებელი ძალის მქონე ცენტრი, **აყვავება** კი გაიგება, როგორც მისი მოქმედება: მსჯელობის აქტმა **ხეს** მიაწერა ძალა წარმოშვას **აყვავება**. მაგრამ რაკი ხე თავისთავად არსებული ძალის ცენტრად მივიჩნიეთ, მოხდა მისი გაობიექტება. ამგვარად: „დანაწევრებასა და გაფორმებასთან ერთად მსჯელობაში წარმოებს აგრეთვე ის, რასაც ინგლისელები **belief**-ს, ხოლო **Brentano**-ს სკოლა «აღიარებას» უწოდებსო“, ამბობს იერუზალემი.¹

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ იერუზალემი: 1. მსჯელობის რაობის დადგენისას კონკრეტული შინაარსიანი აღქმის ანალიზიდან გამომდის, რომ 2. მისი შეხედულებით მსჯელობასა და აღქმას შორის ზღვარი მოშლილია („აღქმა უკვე არის მსჯელობაო“; *op. cit.*, გვ. 83) და 3. რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ეს ის, რომ წინადადება, მსჯელობის ეს „**გარეფორმა**“, არის მისთვის დასაყრდენი, როცა იგი „**შინაფორმას**“, ე. ი. მსჯელობის ფსიქოლოგიურ რაობას ეძიებს.²

ყოველივე ამით აღძრულ საკითხებს აქ აღარ გამოვეკიდებით; შეიძლება დავკმაყოფილდეთ იმის დადგენით, რომ იერუზალემის მიხედვით მსჯელობის ფუნქციაა: წარმოდგენილი შინაარსის დანაწევრება, გაფორმება და გაობიექტივება.

27. ბრენტანოს აზრით მსჯელობა წარმოდგენათა შეკავშირება კი არ არის, ანდა რაიმე მთლიანი მონაცემის დანაწევრება; შედგენილობა კი არ განასხვავებს მსჯელობას თუნდაც იმავე წარმოდგენისაგან, არამედ ცნობიერების მიმართება მისადმი; ფსიქიკურ ფენომენთა კლასიფიკაცია ამ მიმართებაზეა აშენებული. წარმოდგენა აუცილებელია მსჯელობისათვის, მაგრამ სრულიად უმნიშვნელოა, რამდენია წარმოდგენა: ერთი თუ მრავალი, ვინაიდან ერთი წარმოდგენაც სავსებით საკმარისია მსჯელობისათვის: „არაფერი არ შეიძლება განსჯილ იქნეს, რაც წარმოდგენილი არ არის; მაგრამ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ, როდესაც საგანი წარმოდგენისა დამადასტურებელი ანდა უარისმყოფელი მსჯელობის საგნად იქცევა, ცნობიერება სრულიად ახალი სახის მიმართებაში დგება მასთან. მაშინ საგანი ორმაგად აღქმების ცნობიერების მიერ, ვითარცა წარმოდგენილი და ვითარცა ჭეშმარიტად აღიარებული ანდა უარყოფილი“.³ მსჯელობა სწორედ ეს უკანასკნელია: წარმოდგენილის უარყოფა ან შეწყნარება.

¹ *Zugleich mit der Gliederung und Formung vollzieht sich aber im Urtheile auch das, was die Engländer «belief», die Schule Brentanos «Anerkennung» nennen*“ იქვე, გვ. 82.

² *"Aus dem Satze, der ä u s s e r e n F o r m des Urtheils, kann man erkennen, dass es auch eine i n n e r e Urtheilsform gibt, die im Satze zur vollen Entfaltung gelangt"*: *op. cit.* გვ. 80.

³ *"Nichts wird auch beurtheilt, was nicht vorgestellt wird; aber wir behaupten, dass, indem der Gegenstand einer Vorstellund Gegenstand eines anerkennenden oder verwerfenden Urtheils werde, das Bewusstsein in eine völlig neue Art von Beziehung zu ihm trete. Er ist dann doppelt im Bewusstsein aufgenommen, als vorgestellt und als fürwahrgehalten oder geleugnet"*: *B r e n t a n o, Psychologie*, გვ. 266.

აქედან შინაგანის აუცილებლობით გამომდინარეობს გარდუვალი საჭიროება — მსჯელობის ყოველი ტიპი დაყვანილ იქნეს ეგზისტენციალურ მსჯელობამდე, ე. ი. ისეთი სახე მიიღოს, რომ წარმოადგენდეს რისამე არსებობის დადასტურება-აღიარებასა თუ უარყოფას. ბ რ ე ნ ტ ა ნ ო ც ასე იქცევა; მისთვის მსჯელობა: **რომელიღაც კაცი ავად არის** ეთანაბრება **აზრის მიხედვით** ეგზისტენციალურ მსჯელობას: **ვიღაც ავადმყოფი არის, არსებობს** ("ein kranker Mensch ist" oder "es giebt einen kranken Menschen"). აქედან ჩანს, თუ რა ფასად არის მიღებული ეგზისტენციალურ მსჯელობად გადაკეთება ყოველი მსჯელობისა: ერთგვარობა **აზრის მიხედვით** ფსიქიკურ (პროცესუალურ) ერთგვარობას, რასაკვირველია, არ ნიშნავს...

შეიძლება კიდევ ბევრ რისამე თქმა ბ რ ე ნ ტ ა ნ ო ს შეხედულებათა საწინააღმდეგოდ, ზოგი რისამე — სასარგებლოდაც, მაგრამ თავი რომ დავანებოთ იმას, მართებულია თუ უმართებულო ბრენტანოს შეხედულება, არის თუ არა იგი სქოლასტიკოს ოკამის შეხედულებასთან დაბრუნება, როგორც ზოგი (მაგალ., ი ე რ უ ზ ა ლ ე მ ი) ფიქრობს, ერთი რამ მაინც დარჩება ფაქტად: იმ პრინციპების ნიადაგზე, რომლებიდანაც აქ წარმოდგენილი გავება გამომდინარეობს, წარმოიშვა საკმაოდ ძლიერი ფსიქოლოგიური მიმდინარეობა. ამდენადაც ბ რ ე ნ ტ ა ნ ო ს შეხედულება უაღრესად ანგარიშგასაწევია.

28. ყველა ჭერჭერობით ნახსენები მოაზროვნე თავის შეხედულებებს თვითდაკვირვების გზით მოიპოვებდა ხოლმე; ეს ან იმიტომ ხდებოდა, რომ ისინი არ იყვნენ ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის წარმომადგენლები (ჰ ე რ ბ ა რ ტ ი, ი ე რ უ ზ ა ლ ე მ ი, ბ რ ე ნ ტ ა ნ ო), ანდა იმიტომ, რომ რთულ ფსიქიკურ ფენომენტა, და მათ შორის მსჯელობის, ექსპერიმენტული შესწავლა პრინციპულად შეუძლებლად მიაჩნდათ; ეს ეხება ვ უ ნ დ ტ ს, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მამამთავარს.

ვ უ ნ დ ტ ი ს სიცოცხლეშივე მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა ექსპერიმენტი ძლიერად შეიჭრა რთულ ფსიქიკურ მოვლენათა შესწავლაში. მოვისმინოთ ექსპერიმენტალისტების აზრი მსჯელობის შესახებ.

პირველი ექსპერიმენტალისტი ამ მხრივ, მ ა რ ბ ე, შემდეგს მეთოდოლოგიურ საჭიროებაზე მიგვითითებს: „უნდა მოვითხოვოთ, რომ მან, ვინც მსჯელობაზე მუშაობს, თავისი შეხედულებანი დაამყაროს შინაგან აღქმათა მრავალ შემთხვევაზე, რომელთა დაკვირვებას ადგილი ჰქონდა ან მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც სხვა ცდის პირებთან“.¹

რა არის მსჯელობა? ამ კითხვაზე გარკვეული პასუხი ხომ აუცილებელია იმისთვის, რომ შემოფარგლულ იქნეს კვლევის არე. მ ა რ ბ ე მ ასე-

¹ "Man muss... verlangen, dass derjenige, welcher über das Urteil arbeitet, seine Ansichten auf grössere Reihen innerer Wahrnehmungen, die an anderen oder doch teilweise an anderen Versuchspersonen gewonnen sind, stützt": M a r b e: Untersuchungen, გვ. 14.

თი განსაზღვრება წამოაყენა: „მსჯელობას მე ვუწოდებ ცნობიერების ისეთ პროცესებს, რომელთა მიმართ შეიძლება ვიხმაროთ პრედიკატები — სწორი ან მცთარი აზრის შესახებ ("sinngemäß": Untersuchungen, გვ. 9-10).

ჩანს, მ ა რ ბ ე ს საზომი მოაქვს „აზროვნების ეთიკიდან“; ლოგიკიდან და არა ფსიქოლოგიიდან; მსჯელობა-ცნების მოცულობას ლოგიკაში მოიპოვებს და ექსპერიმენტებით ეძიებს, თუ როგორ განიცდება ეს შემეცნებითი პროცესები, რით არიან იგინი წარმოდგენილი ცნობიერებაში. მსჯელობა შეიძლება იყოს გამოხატული ან წინადადებით, ან სიტყვით, ან ჟესტით, ანდა შესაძლოა სულ არ იყოს გამოხატული გარეგნულად, ხოლო მოხდეს მისი რეპრეზენტაცია ცნობიერებაში წარმოდგენისა ან ცნობიერების განწყობის სახით. ამისდა მიხედვით მსჯელობის აღმნიშვნელ საშუალებათა ამ სხვადასხვა სახეს მ ა რ ბ ე უწოდებს: მსჯელობითს წინადადებას, მსჯელობითს სიტყვას, მსჯელობითს ჟესტს, მსჯელობითს წარმოდგენასა და ცნობიერების განწყობას (Urteilssatz, Urteilswort, Urteilsgebärde, Urteilsvorstellung, Bewusstseinslage).

ვთქვათ, ჩვენ გავიფიქრეთ: **ხვალ საღვურზე ვიქნებით... გუშინ შუადღეს შინ ვიყავით...** (მაგალითები მ ა რ ბ ე ს ი ა); ეს წინადადებანი გადმოგვცემენ აზრს, რომელიც შეიძლება იყოს სწორი ან მცთარი, რასაკვირველია, იმისდა მიხედვით, ჰქონდა ადგილი წინადადებაში აღნიშნულ ფაქტებს თუ არა. ეს იქნებოდა მსჯელობითი წინადადების ნიმუში. მაგრამ ხომ შეიძლება ჩვენ რაიმე კითხვაზე გავცეთ პასუხი სიტყვებით: **კი! არა!** ცხადია, ამ პასუხების გაცემის დროს ჩვენს ცნობიერებაში გარკვეულს პროცესებს აქვს ადგილი: ისინი მსჯელობას წარმოადგენენ, რამდენადაც არიან სწორი ან მცთარი; აღინიშნებიან კი ცალკე სიტყვით. **კი, არა** აქ მსჯელობითი სიტყვის ნიმუშია. სიტყვებს გარდა აზრი შეიძლება იქნეს გადმოცემული ჟესტითაც: კითხვაზე — „საითკენ არის ესა და ეს ადგილი“; ჩვენ შეგვიძლია გავცეთ პასუხი ხმის ამოუღებელიც — მხოლოდ მითითებით; ეს მითითება და ის პროცესი, რომელიც ჩვენს ცნობიერებაში ამ მითითებას წინ უძღოდა, აგრეთვე შეიძლება იყოს სწორი ან მცთარი: ცხადია, ჟესტსაც შესაძლებია გამოხატოს მსჯელობა. აქ ხსენებული მითითება მსჯელობითი ჟესტის ნიმუში იქნებოდა... კიდევ მეტი: ვთქვათ, ვინმე ფიქრობს ჭადრაკის ფიგურათა გადაჯგუფებაზე, ისე კი, რომ არც ჭადრაკის ფიგურები, არც დაფა თვალწინ არა აქვს; ამისდა მიუხედავად იგი ახდენდეს იქნება **წარმოდგენაში** ფიგურათა გადაჯგუფებას; ეს გადაჯგუფება შეიძლება იყოს სწორი ან მცთარი. რას განეკუთვნება აქ პრედიკატი სწორისა თუ მცთარის? — მხოლოდ ამ ფიგურების ადგილმდებარეობათა შესახებ წარმოდგენებს: ეს წარმოდგენებია მსჯელობითი წარმოდგენები.

ჩვენი მიზნებისათვის ეს კმარა, მ ა რ ბ ე ს საექსპერიმენტო კლასიფიკაციაზე შევჩერდით იმიტომ, რომ იგი მსჯელობის ანალიზის დროს წი-

ნადადებს კი არ ემყარება, არამედ პირიქით, იძლევა იმის ნათელ ილუსტრაციას, რომ **მსჯელობა** და **წინადადება**-ცნებანი თავის მოცულობით ერთმანეთს არა ფარავენ: მოცულობა მსჯელობისა უფრო ფართოა; აზრისა და მსჯელობის ყოველი გამოხატულება არ არის წინადადება.

მ ა რ ბ ე მ ექსპერიმენტულად გამოიკვლია მსჯელობის ყველა სახე და მეტად თავისებური შედეგები მიიღო: ცდის პირებს არავითარი განცდები არ აღმოაჩნდათ! კითხვაზე სწორ პასუხს იძლევიან, ამოცანას მართებულად წყვეტენ, მაგრამ ეს ყოველივე თითქმის ავტომატურად მიმდინარეობს... მ ა რ ბ ე ისე შორს წავიდა, რომ დაასკვნა... „...საერთოდ არ არსებობს **მსჯელობის არავითარი ფსიქოლოგიური პირობები**, რა ხასიათისაც არ უნდა იყვნენ ის განცდანი, რომელნიც ცალკე შემთხვევაში მსჯელობად იქცევიანო“.¹

რით აიხსნება ექსპერიმენტების ეს უცნაური შედეგები, რომელთაც თვით ცდის პირებშიც განცვიფრება გამოუწვევია? შეიძლება ცდის პირებმა სწორად ვერ გადმოგვცეს განაცადი? მაგრამ ეს არ არის საფიქრებელი, მათს თვითდაკვირვების უნარში ეჭვს ვერ შევიტანთ: ორივე პროფესორი იყო, ერთი მათგანი კი (კ ი უ ლ პ ე) — ცნობილი ფსიქოლოგი. ამას გარდა: ორივეს ჩვენება ერთნაირ სურათს იძლევა. სამაგიეროდ, ცდების მასალა, ამოცანები, მეტად მარტივი ხასიათისა იყო: ამ სიმარტივეში უნდა ვეძიოთ შედეგების თავისებურების ახსნა. **„ვინ არიან უდიდესი თანამედროვე დრამატურგები?“** **„რომელია გერმანიის კავშირში შემავალ სახელმწიფოთაგან უდიდესი?“** და ამას ეკითხებიან არა ბავშვებს, არამედ პროფესორებს! და განა ბუნებრივი არ არის, თუ პასუხი და განაცადის ოქმი ლაკონურად მოგვითხრობს: **პასუხი: „ზუდერმანი და ჰაუპტმანი არიან ყველაზე ცნობილი თანამედროვე დრამატურგები“.** **ჩვენება: „წინადადება რეფლექტორულად წამოიჭრა წაკითხვის თანავეო“...**² **ანდა: პასუხი: „პრუსია არის გერმანიის კავშირში შემავალი უდიდესი სახელმწიფო (der grösste deutsche Bundesstaat)“;** **ჩვენება: „ამოცანის წაკითხვას მექანისკურად მოჰყვა ასეთი სიტყვებიო!“** ამოცანებისა და კითხვების მეტი წილი ასევე ანდა კიდევ უფრო მარტივი იყო. მაგალ.: **საითქენ არის თქვენი ბინა?“** **„რამდენია 7-4?“...**

პასუხის რეფლექტორული და მექანიკური ხასიათი იმით აიხსნება, რომ პასუხის გაცემა არავითარ გონებრივ მუშაობას არ მოითხოვს, იმდენად ელემენტარული და საყოველთაოდ ცნობილია ის ურთიერთობა, რო-

¹ "... es gibt überhaupt keine psychologischen Bedingungen des Urteils welcher Art auch die Erlebnisse sein mögen, die im einzelnen Falle zum Urteil werden": Untersuchungen, გვ. 43.

² კითხვა ცალკე ბარათზე იყო დაწერილი.

მელიც კითხვასა და პასუხს შორის არსებობს. მაგრამ განა ასევე მექანიკური იქნებოდა პასუხი, სხვა დროს (მაგალ., ბავშვობისას) რომ მიეცათ ეს კითხვები იმავე Rötteken-ისა და Külpe-სათვის? განა ყველას შეუძლია ასეთი პასუხი გასცეს ამ კითხვებს?

ცნობიერი პროცესი რომ მექანიკური შეიძლება გახდეს, — ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი **ყოველთვის** ასეთივე მექანიკური იყო; არც იმას, რომ იგი **ყველასათვის** მექანიკურია: ერთისთვის მექანიკური, მეორისთვის თავსამტვრევი და ძნელად მოსაფიქრებელი რამ შეიძლება იყოს. ამდენადვე შეუძლებელია საფუძვლიანად მივიჩნიოთ მარბეს განზოგადება — მსჯელობას ფსიქიკური წარმომადგენელი არ გააჩნიაო. მაგრამ მისი ცდები ექვიმუტანლად ხდის ერთ რასმე: ზოგიერთ მსჯელობას შეიძლება მექანიკური ხასიათი ჰქონდეს. მსჯელობის სხვა სახეებს რომ თავი დავანებოთ, ე. წ. მსჯელობითი წინადადებანი (ჩვენ მხოლოდ ეს გვინტერესებს!) შესაძლებელია თურმე ავტომატურად წარვთქვათ: **შეიძლება წარმოვთქვათ წინადადება, და ცნობიერებაში კი ადგილი არა ჰქონდეს არც სინთეზს, არც ანალიზს, გაობიექტივება-გაფორმებას, ანდა სხვა რაიმე პროცესს.** მარბეს ცდებმა ეს ცხადყვეს, ამდენადვე ძვირფასია იგი ჩვენთვის. რატომ, — ამაზე ქვევით.

29. მარბეს ცდები 1901 წელს გამოქვეყნდა. აქედან მოყოლებული ფართოდ გაიშალა ექსპერიმენტული შესწავლა რთულ ფსიქიკურ ფენომენთა; აზროვნების ფსიქოლოგია გამდიდრდა ექსპერიმენტული გამოკვლევებით. აქ მოვიყვანთ ერთი თვალსაჩინო ფსიქოლოგ-ექსპერიმენტალისტის ბიულერის შეხედულებას ჩვენთვის საინტერესო საკითხზე.

ბიულერი წინადადების თეორიებს იხილავს; მას წინადადების განსაზღვრებანი აინტერესებს; იგი იღებს წინადადებას ჩვეულებრივის გაგებით და ეძიებს მის ფსიქოლოგიურ რაობას. აი რას გვეუბნება იგი: პასუხის აზრით წინადადებაში სინთეზური ფუნქციაა მოცემული, ვუნდტის აზრით კი ანალიზური. ათ წელზე მეტი მიხედვით ექსპერიმენტული შესწავლა ისეთი პროცესებისა, რომელთაც ან სხვათა შორის ანდა უშუალოდ კავშირი ჰქონდათ წინადადების წარმოქმნასთან (**Satzbildung**), და გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ორივე შეხედულება სწორია და ორივე მცთარია. წინადადების წარმოქმნა არის უაღრესად მრავალსახიერი პროცესი (**ein ungemein vielgestaltiger Vorgang**); ძალიან ბევრი შემთხვევისთვის გამოსადეგია ვუნდტის სქემა: საწინადადებო აზრი (**der Satzgedanke**) მართლაცდა მთლიანობის სახით არის მოცემული და მხოლოდ შემდეგ იშლება შემადგენელ ნაწილებად. სხვა შემთხვევაში კი უწინარესია ნაწილები, რომელნიც შეუკავშირებლად მოიპოვებიან ცნობიერებაში და მხოლოდ შემდეგ იქმნებიან ერთიანობად... და თუ ჩვენ მოვისურვებდით ყვე-

ლა შესაძლებლობათა ჩამოთვლას, იძულებული ვიქნებოდით დაგვესახელებინა აბსტრაქციისა და დეტერმინაციის, დაქვემდებარებისა და დაზემდებარების პროცესები და კიდევ ზოგი რამ სხვაც, რაც ასევე მნიშვნელოვანია. ჩემის აზრით: წინადადების პროცესები ისე მრავალგვარია, რომ შეუძლებელია ვიპოვოთ დამაკმაყოფილებელი წარმოშობისიერი განსაზღვრება წინადადებისა.¹

ბ ი უ ლ ე რ ი ს აზრით წინადადების განსაზღვრება უნდა ემყარებოდეს სულ სხვა მომენტს, სახელდობრ, იმას, თუ რა დანიშნულება აქვს მეტყველებას; მეტყველების მიზანი ანუ აზრი, აი რაზე უნდა იქნეს აგებული წინადადების განსაზღვრება. ამისდა კვალობაზე წინადადება არისო „აზრითი ერთიანობა მეტყველებისა“ (Sinneinheit der Rede: იხ. იქვე, გვ. 18).

ორში ერთი: ან ეს აზრი (Sinn) ფსიქოლოგიური კატეგორიაა და მაშინ მისი პროცესუალური რაობის საკითხს გვერდს ვერ ავუხვევთ და სხვა ფსიქოლოგისტების ბედს ვერ გავექცევით. ანდა იგი არ არის ფსიქოლოგიური კატეგორია; მაშინ ბ ი უ ლ ე რ ი ს განსაზღვრება გაცილებით უფრო ბუნდოვანი და გაურკვეველია, ვინემ იმ ფსიქოლოგისტების შეხედულებანი, რომელნიც ბ ი უ ლ ე რ ს არ მოსწონს.

ამიტომ ბ ი უ ლ ე რ ი ს თეორია თავისთავად ნაკლებ საინტერესოა. სამაგიეროდ მეტად მნიშვნელოვანია მისი ნეგატიური დებულება: შეუძლებელია გამოიძებნოს წინადადების გენეტური განსაზღვრებაო. საკითხი ისემა: შეიძლება კი არაგენეტური ფსიქოლოგიური განსაზღვრება? განა შეიძლება ფსიქოლოგიური კვალიფიკაცია იმის გარეშე, რომ არ იქნეს გათვალისწინებული ცნობიერების სათანადო პროცესები და მდგომარეობანი? რასაკვირველია, არა, და ამიტომ ვამბობთ ჩვენ: თქმა იმისი, რომ **შეუძლებელია წინადადების გენეტური განსაზღვრა**, უთუოდ იმის თქმასაც ნიშნავს, რომ საერთოდ, **შეუძლებელია წინადადების ფსიქოლოგიური განსაზღვრა**. მართლაცდა: ზოგი წინადადების ფსიქოლოგიური რაობა ანალიზურ ფუნქციაში გამოიხატება, ზოგს სინთეზი უდევს საფუძვლად, ზოგს დეტერმინაცია, ზოგს აბსტრაქცია, დაქვემდებარება, დაზემდებარება თუ სხვა ფსიქიკური ფენომენი. ამაში გვარწმუნებს ბ ი უ ლ ე რ ი. მ ა რ ბ ე მ ხომ ისიც გვიჩვენა, რომ წინადადებას ზოგჯერ არავითარი ფსიქიკური ფენომენი არ უდევს საფუძვლად. ასე რომ, არა თუ იმის თქმა არ შეიძლება, რომ წინადადებას საფუძვლად უდევს მხოლოდ **ესა თუ ის გარკვეული** ფსიქიკური მოვლენა, არამედ იმის თქმაც არ შეიძლება — უსათუოდ უდევს თუ არა **რაიმე** ფსიქიკური: მ ა რ ბ ე ს ექსპერიმენტების მექანიკურად წართქმის შემთხვევები ამის საწინდარია.

¹ "Die Vorgänge der Satzbildung sind so mannigfaltig, dass es unmöglich ist, eine befriedigende Entstehungsdefinition des Satzes zu finden": Theorie des Satzes, Idg. Jahrb., VI, 13-14.

30. ჩვენ ვნახეთ, რომ მსჯელობის ფსიქოლოგიური რაობის შესახებ მოიპოვება ერთმანეთის გამომრიცხველი შეხედულებები პ ა უ ლ ი ს ა, ვ უ ნ დ ტ ი ს ა, ი ე რ უ ზ ა ლ ე მ ი ს ა, ბ რ ე ნ ტ ა ნ ო ს ი). ეს უსათუოდ აძნელებს წინადადების განსაზღვრების დამყარებას მსჯელობისაზე: საცილობელ ოდენობაზე დამყარებით საცილობელ განსაზღვრებას თუ მივიღებთ.

მ ა რ ბ ე ს ა და ბ ი უ ლ ე რ ი ს ექსპერიმენტების ზემოხსენებული შედეგები კი ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომელიც შეუძლებელს ხდის წინადადების განსაზღვრისას ფსიქოლოგისტურ ორიენტაციას: შეუძლებელია ენობრივად ერთგვარის, გარკვეული მონაცემის (წინადადების) განსაზღვრება დავამყაროთ ფსიქიკურად სულ სხვადასხვაგვარისაზე.

ფსიქოლოგიზმის სისუსტე სხვა რაშიმეც აშკარავდება: ავიღოთ გარკვეული წინადადება, კონკრეტული შინაარსის მქონე; დავუშვათ, რომ მას გარკვეული ფსიქიკური კორელატი მოეპოვება. განა შეიძლებოდა გვეკისრა იმის დამტკიცება, რომ **ეს კორელატი ერთი და იმავე პირისთვის ერთნაირი იქნებოდა ყოველთვის?**

საილუსტრაციოდ მივმართოთ მაგალითს... ღამეა; გვესმის თავისებური სიმღერა. ჩვენ ვერ ვარკვევთ, ვინ უნდა იყოს მომღერალი: მეურბე, უბრალო მგზავრი თუ სხვა ვინმე. არის წარმოდგენა სიმღერისა, არა ჩანს ის, ვის წარმოდგენასაც უნდა დაუკავშიროს ჩვენმა ცნობიერებამ იგი. გვეუბნებიან: ეს ღამის მეხრეაო. ახლა ვიცით, რომ: **მღერის ღამის-მეხრე.** ეს წინადადებაა; რანაირ აზრთა სხვადასხვაობასაც არ ჰქონდეს ადგილი ენათმეცნიერთა შორის წინადადების განსაზღვრის შესახებ, არავინ არ დაიწყებს დავას იმის შესახებ, არის თუ არა ეს ფრაზა წინადადება. დიახ, ენათმეცნიერების მიერ ეს უდავოდ მიიჩნევა წინადადებად. რა ფსიქიკური კორელაქტი აქვს ამ წინადადებას ჩვენს შემთხვევაში? ცხადია, წარმოდგენათა სინთეზი: წარმოდგენა სიმღერისა დაუკავშირდა წარმოდგენას მომღერლისა, ღამის მეხრისა. პ ა უ ლ ი მართალი აღმოჩნდა. მაგრამ, ვთქვათ, მეორეჯერ საკუთარი თვალთ ვნახეთ მთვარიან ღამეში ღამის მეხრე, ნაღვლიანად მომღერალი. ითქვა იგივე წინადადება: **მღერის ღამის-მეხრე!** მაგრამ აქ ეს წინადადება წარმოდგენათა სინთეზზე არ აშენებულა. პირიქით: მომღერალი მეხრის მთლიანი სახე არის უწინარესი; მასში გამოვყოფთ მეხრეს და მის მოქმედებას: მღერას; უკანასკნელს განვუკუთვნებთ პირველს, და ამნაირად ადგილი ექნება მთლიანი წარმოდგენის იმ დანაწევრებას, რომლის შესახებაც ვ უ ნ დ ტ ი ს განსაზღვრება ლაპარაკობდა. ენობრივი მხარე უცვლელი დარჩა; იყო და არის: სახელობითი ბრუნვა (**ღამის-მეხრე**) პლუს ზმნის მესამე პირი მხოლოდობითს რიცხვში (**მღერის**). ფრაზა ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივეა: **ღამის-მეხრე მღერის.** ფსიქიკური კორელატი კი სულ სხვადასხვაა: ერთს შემთხვევაში — სინთეზი, მეორეში — ანალიზი. შეიძლება მეტიც ვიფიქროს: ვთქვათ, ისე შევეჩვი-

ეთ ღამის მეხრის სიმღერას, რომ კითხვაზე: რა ისმის? მექანიკურად ვუბა-სუხებთ: **ღამის-მეხრე მღერის**. ფსიქიკური კორელატი აქ ნულს უდრის.¹

ამ ერთი წინადადების განცდისათვის სამი შესაძლებლობაა აღნიშნული — ერთი და იმავე პირისათვის. მაგრამ ჩვენ თამამად შეიძლება წარმოვიდგინოთ სამი სხვადასხვა პირი, რომელიც ერთსა და იმავე დროს (მაგრამ სხვადასხვა ადგილას) იმავე წინადადების შინაარსს განიცდის სხვადასხვანაირად: ერთი — ანალიზის სახით, მეორე — სინთეზისა და მესამე კი — „ნულის“ სახით, — შესაბამისად იმ ერთი პირის სამი მდგომარეობისა.

მაშასადამე: **ერთი და იმავე წინადადების ფსიქიკური კორელატი შეიძლება იყოს სულ სხვადასხვა: ერთი და იმავე პირისათვის სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირისათვის ერთსა და იმავე დროს.**

ვუნდტი ერთს ადგილას ამბობს: „წინადადება არის უწინარეს ყოვლისა ენობრივი წარმონაქმნი... ამიტომ, თუ კითხვა ისმის წინადადების რაობის შესახებ, ეს შეიძლება მხოლოდ მის ენობრივ ბუნებას შეეხებოდეს-

¹ შეიძლებოდა ბრენტანოს სკოლის ზოგიერთი მოაზროვნის შეხედულების თანახმად აქ გვევლისხმებინა „ინტენციის აქტი“. მაშინ ჩვენს ფრაზას სინთეზისა და ანალიზის გარდა ინტენციის აქტის სახით მესამე შესაძლო ფსიქიკური კორელატიც გაუჩნდებოდა... მაგრამ ინტენციაზე შეჩერება იმიტომ არ მიგვაჩნია საჭიროდ, რომ ინტენცია მართო მსჯელობას კი არ ახასიათებს, არამედ ცნებასაც. ამდენადვე წინადადების განსაზღვრება ვერ დაფუძნდება ინტენციაზე. ეს — ერთი. მეორეცაა: რას ვუზამდით იმ შემთხვევებს, სადაც გარკვეული ფსიქიკური პროცესი (სინთეზისა, ანალიზისა...) უეჭველად გვაქვს? დავეყრდნობოდით ამათ, თუ იმ ინტენციას, რომელიც ასეთ შემთხვევებსაც თან ახლავს? და რაც უმთავრესია: არის კი „ინტენცია“ ფსიქიკური ოდენობა?!

აქ ძალაუფლებურად გვაგონდება დიური. მსჯელობის რაობად წარმოდგენათა სინთეზს, ანალიზს ან ფსიქიკური მდინარეების სხვა თავისებურებებს იმიტომ ვერ მივიჩნევთ, ამბობს იგი, რომ მსჯელობას საქმე აქვს წარმოდგენებთან კი არა, არამედ ცნებებთან. ასე რომ, დიურის გაგებით მსჯელობის მასალა ცნებებია, ხოლო აზროვნებით აქტი მსჯელობისა ამ ცნებათა (და ცნებებში ათვისებულ საგანთა) მიმართების აღქმაა ("Urteilen (ist) das Erfassen von Beziehungen zwischen begrifflich erfassten Gegenständen": E b b i n g h a u s - D ü r r, Grundzüge der Psychol., II, 277).

ამ განსაზღვრებაში მოხმარებულია ცნება მიმართებისა და ცნება ცნებებისა; არც ერთი და არც მეორე ფსიქოლოგიური ცნება არ არის, არამედ შემეცნებითი ფაქტია; აუცილებელია მათი ფსიქიკურ ოდენობებად ჩამოყალიბება და მხოლოდ შემდეგ იქნება შესაძლებელი მათზე ავადოთ ცნება მსჯელობისა.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ წინადადების განსაზღვრება, დამყარებული მსჯელობის ასეთს განსაზღვრებაზე, დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება (მხედველობაში გვაქვს წინადადების შემდეგი განსაზღვრება: "Jeder Satz enthält... den Hinweis auf eine Beziehung, die zwischen mindestens zwei Beziehungsgliedern entweder konstatiert oder gewünscht oder gesucht wird": Grundzüge der Psychol., II, 754).

სო“;¹ და თუ ეს ასეა, ჩვენ უნდა ვთქვათ: ამ „ენობრივი ბუნების“ გარკვევა, რამდენადაც მიზნად იქნება დასახული წინადადების განსაზღვრა, ფსიქიკურ პროცესებზე დაყრდნობით შეუძლებელია. წინადადების განსაზღვრის ცდა ფსიქოლოგიურს ნიადაგზე არ შეიძლება მარცხით არ გათავდეს. ამას გვეუბნება ფსიქოლოგიზმის იმანენტური განსჯა.

31. მაგრამ არაიმანენტური თვალსაზრისით განხილვისას სხვა რამეც ირკვევა:

1. ფსიქიკური სინამდვილე გარეგარდნობათათვის ხელმიუწვდომელი და უჩინარია; იგი მუდმივს ცვლილებას განიცდის; ცნობიერება „ნაკადია“ და არა ტბა. მეტყველება კი, კერძოდ მისი ის პრეპარატი, რომელიც ჩვენთვის საინტერესოა, წინადადება, გარეგარდნობათათვის ხელმისაწვდომია და „საჩინო“: აკუსტიკურ, მოტორულ შეგარდნებათა სახით ცხადდება იგი გარესამყაროში და საჭიროებამ რომ მოითხოვოს, ყოველი წინადადება შეიძლება აღიბეჭდოს დიქტოფონის ფირფიტაზე, და ჩვენ გვექნება საშუალება მრავალგზის უცვლელად განვიმეოროთ იგი... ანდა ავსახოთ ხაზების საშუალებით, მოვიპოვოთ მისი გრაფიკული სახე. მართალია, არც ის მასალაა (ბგერები, ფორმები) უცვლელი, რომლისაგანაც წინადადება შენდება, მაგრამ ფსიქიკურს თუ დავუპირისპირებთ, იგი შეუდარებელი კონსტანტური და ხელშესახებია. არაფერია ცნობიერების მიმართ ისეთი ინტიმური და იმავე დროს ხელშესახები, როგორც მეტყველება. ამიტომ შეიძლება ითქვას: უფრო მიზანშეწონილად იქცევა ის მოაზროვნე, რომელსაც სურს მეტყველების ძაფით ჩააღწიოს ცნობიერებაში, მეტყველების სინამდვილეში ფეხი მოიკიდოს და ფსიქიკურს უშუალოდ ამ გზით სწვდეს,² — ვინემ ის, ვინც მეტყველების სამყაროს **აღწერას** ცდილობს ცნობიერების სამყაროზე დაყრდნობით. ჩვენ ვლაპარაკობთ მეტყველების მოვლენათა **აღწერაზე**. რაც შეეხება **ახსნა-გაგებას**, აქ გვერდს ვერ ავუხვევთ ფსიქიკურს სინამდვილეს, რომელშიაც ღრმად არის ჩამარხული მეტყველების ფესვები. აღწერითი მომენტების დამყარება ფსიქიკურზე მაშინაც არ იქნებოდა მისაღები, რომც არსებობდეს ცნობიერებისა და სამეტყველო მომენტების სრული პარალელიზმი, რადგანაც **უფრო ადვილი, მიზანშეწონილი და მეთოდოლოგიურად მართებულია უჩინარი ვიკელით „საჩინოთი“ და არა — პირიქით**. მაგრამ ეს პარალელიზმი არ არსებობს, და მით უფრო

¹ "der Satz ist in erster Linie ein sprachliches Gebilde... Wenn man nach dem Wesen des Satzes fragt, so kann es sich daher nur um die sprachliche natur desselben handeln": Völkerpsych., II, 237.

² თუ, რასაკვირველია, ეს არ იქცა მეტყველებითისა და ცნობიერების მოვლენათა აღრევად და არ მოგვცა შედეგად ერთის მეორით შენაცვლება, რაიც სავალალოა როგორც ერთის, ისე მეორე სინამდვილის შესწავლისათვის.

სავალდებულოა წარმოდგენილი დასკვნა.

2. რაკი წინადადების კრიტერიუმად ცნობიერების მოვლენა იქნება მიჩნეული, განსაზღვრებისას სიმძიმის ცენტრი კორელაციურ ფსიქიკურზე გადადის, მეტყველებითს მხარეს თავისთავადი ღირებულება ეკარგება. წინადადება არის **ენობრივი გამონათლება**, რომელსაც ასეთი და ასეთი ფსიქიკური ფენომენები უდევს საფუძვლად, ამბობს ფსიქოლოგისტი. **მისთვის სულ ერთია**, რას წარმოადგენს ეს „ენობრივი გამონათლება“, **არის იგი შესიტყვება (Wortzusammensetzung) თუ ცალკე სიტყვა**. ამით აიხსნება ის, რომ, როცა ფსიქოლოგისტები ამ „ენობრივი გამონათლების“ დეტალიზაციას იძლევიან, მათი განსაზღვრების სათანადო ნაწილი ასეთ სახეს იღებს: წინადადება არის **სიტყვა** ან **შესიტყვება...** სიტყვა და შესიტყვება ერთსა და იმავე სიბრტყეზე მოსათავსებელი საგრამატიკო ობიექტი არ არის: ესენი სულ სხვადასხვაგვარ ოდენობას წარმოადგენენ. ფსიქოლოგიზმისათვის ეს შეუმჩნეველი რჩება.

მართალია, არიან ისეთი ენათმეცნიერები-ფსიქოლოგისტები, რომელნიც ამბობენ: წინადადება არის შესიტყვებაო... ცალკე სიტყვა მათ წინადადებად არ მიაჩნიათ, მაგრამ ეს ულოგიკობაა; ფსიქოლოგისტს არ შეუძლია წინადადების კარები დახმოს ცალკე სიტყვისათვის; სათანადო ფსიქიკური ფენომენი ისევე შეიძლება იყოს გამონათული ცალკე სიტყვით, როგორც შესიტყვებით, უფორმო სიტყვით (**გუშინ, გვიან**), ისევე, როგორც ფორმიანით (**ვწერდი, ავდექ**); ნაწილაკები (**თურმე! ღიახ!**) და შორისდებულები შეიძლება გარკვეულს კონტექსტში ისეთივე ფუნქციით აღიჭურვოს, როგორითაც სრული სიტყვები და შესიტყვებანი.

უფრო შორსაც წავალთ, თუ იმ თვალსაზრისს დავადექით, **რა** გამოიხატვის: სრულებით მიიკარგება საზღვარი მეტყველებითსა და ყველა იმ საშუალებას შორის, რომლებიც მეტყველების ფუნქციებს კისრულობს და **ენის** სახელწოდებით შეიძლება იქნეს მონათლული. **ენა** ხომ ფუნქციონალური ცნებაა: მისი დანიშნულებაა იქცეს ცნობიერების მოვლენათა სიმბოლოდ; ყოველი საშუალება, რომელიც ამ დანიშნულებას ასრულებს, ბოლოს და ბოლოს **ენაა**. ამ გაგებით ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ პირუტყვთა, ჟესტ-მიმიკის და სხვ. ენის შესახებ; ადამიანის ენა, მეტყველება, ერთ-ერთი სახეა **ენისა** საერთოდ... ენათმეცნიერება მხოლოდ ამ ენას სწავლობს, დანაწევრებულს ბგერებში ჩამოყალიბებულს ენას, და არა ყოველნიშანს, რომელიც ცნობიერების ვითარების გამოვლენას წარმოადგენს. ამიტომ, რომ წინადადების როლი ჩინებულად შეიძლება შეასრულოს სტვენამ, ხელის დაქნევამ, მითითებამ და სხვ.; კითხვაზე: **საითკენ არის უნივერსიტეტი?** — შეიძლება ვუპასუხოთ მთელი ფრაზით: **უნივერსიტეტი იქით არის!** ან სადად ვთქვათ: **იქით!** ანდა ხმის ამოუღებლივ ხელით ვანიშნოთ

მიმართულება. იმ პირისათვის, ვინც შეგვეკითხა, სამივე პასუხი ერთისა და იმავე ღირებულებისაა: აზრი სამივეში გასაგებია, ჩვენის პასუხის შინაარსს თანაბრად კარგად გაიგებს, ე. ი. **მისი** ცნობიერების თვალსაზრისით მითითების შესტი, ცალკე სიტყვა და მთელი ფრაზა ერთისა და იმავე ფასის მქონეა. ამას ემყარებოდა მ ა რ ბ ე (იხ. ზემოთ, § 28), როცა მსჯელობითს წინადადებას გვერდში ამოუყენა მსჯელობითი სიტყვა და მსჯელობითი შესტი (**Urteilswort, Urteilsgebärde**). შემეცნებითი ფუნქცია შეიძლება სამივეს ერთნაირი აღმოაჩნდეს.

და თუ ფსიქოლოგიზმის ლოგიკას შევრჩით, ვინ მოგვიძებნის ჩვენ ზღვარს ამ სამ საშუალებას შორის? რა უფლებით უნდა შემოგფარგლოთ ჩვენი შესწავლის საგანი შესიტყვებითა და სიტყვებით? რატომ არ იკვლიოს ენათმეცნიერმა შესტ-მიმიკის ენა, მისი სინტაქსი, სხვა „ენები“, მათი რაობა? მაგრამ ამას ხომ არც ერთი ფსიქოლოგისტი არ მოითხოვს; მაგრამ აქვს კი მას უფლება გაჩერდეს შესიტყვებასა და სიტყვებზე და იქ დასვას წერტილი?! რასაკვირველია, არა. იმანენტური ლოგიკა ფსიქოლოგიზმს ამ უფლებას არ აძლევს, ეგევე ლოგიკა იმასაც ააშკარავებს, რომ ფსიქოლოგიზმის გზა ჩიხით თავდება.¹ მაგრამ სანამ იგი ამ ჩიხამდე მივი-

¹ იხ. მაგალ., ვ უ ნ დ ტ ი, **Völkerpsychol., II, 240**, სადაც ლაპარაკია უსრულ წინადადებათა შესახებ; ვ უ ნ დ ტ ი ამბობს: ცალკე სიტყვას შეუძლია გარკვეულ კონტექსტში წინადადების მაგვირობა გასწიოს, მაგრამ ამით იგი წინადადებად ვერ იქცევაო. იმის გამო, რომ საგანს რაიმე სიმბოლო შეიძლება შეენაცვლოს, საგანი და სიმბოლო იდენტურნი ვერ გახდებიან. ისევე კარგად, როგორც ცალკე სიტყვამ, წინადადების ეკვივალენტობა შეიძლება გასწიოს ხელის ან თავის დაქნევამ, შემოხედვამ, ან რაიმე მოქმედებამ (**Handlung**), რომელსაც ვინმე ასრულებს. მაგრამ ასეთი მოქმედება თუ მოძრაობა შეუძლებელია იწოდოს წინადადებად, თუკი (**falls**) ამ ცნებას საერთოდ შესაძლებელია ჰქონდეს ენობრივი მნიშვნელობაო.

ვ უ ნ დ ტ ს ავიწყდება, რომ ენობრივი მხარის თავისთავადობა არსებითად შერყეულია იმით, რომ მას იმანენტური საზომი არ გააჩნია.

იქვე, „წ ი ნ ა და დ ე ბ ი ს ე კ ვ ი ვ ა ლ ე ნ ტ ი ს“ (**Satzäquivalent**) შესახებ მსჯელობისას, ვ უ ნ დ ტ ი ასეთ რასმე ამბობს: რასაკვირველია, პრაქტიკულად სულ ერთია, კითხვაზე: „გინდა შენ ეს გააკეთო?“, — უპასუხებენ „კი!“ არის ოდენ „წინადადების ეკვივალენტიო“ (იქვე, გვ. 241).

ეს გაუგებარია. ვ უ ნ დ ტ ი ს განსაზღვრების მიხედვით წინადადება არის „ენობრივი გამოხატულება“. გარკვეული ფსიქიკური საფუძვლის მქონე... ჩვენს მაგალითებს თუ ავიღებთ, დავინახავთ, რომ ენობრივი გამოხატულება ერთიც არის და მეორეც (კი? — მე მი ნ და ე ს!), რაც შეეხება ფსიქიკურ კორელატს, ეს უკანასკნელი ორივე ფრაზისათვის ერთი და იგივეა. თუ ერთს შემთხვევაში აკმაყოფილებს იგი ვ უ ნ დ ტ ი ს მოთხოვნილებას. არ შეიძლება მეორეში არ აკმაყოფილებდეს. მაშ, რატომ არ უნდა იყოს ორივე ფრაზა წინადადება, რატომ გავრისხეთ „კი!“?

მართალია, ამ ორ ფრაზას შორის ენობრივად არსებითი განსხვავებაა, მაგრამ აქედან ფსიქოლოგისტი ვერ ამოვა: ეს საკუთარი თვალსაზრისის უარყოფა იქნებოდა.

ლოდეს, მანამდისაც საკმაო სიცხადით ირკვევა, რომ ფსიქოლოგიზმის ნიადაგზე შეუძლებელია სიტყვისა და შესიტყვების გარჩევა: ფსიქოლოგიზმი ვერ ასხვავებს იმას, რისი გარჩევაც ენათმეცნიერული თვალსაზრისით აუცილებელია.¹ ამაშია ფსიქოლოგიზმის (ისევე, როგორც ლოგიციზმის) დიდი მეთოდოლოგიური ნაკლი.

ამით დამთავრებულად მიგვაჩნია იმ პრინციპის განხილვა და დაფასება, რომელზედაც აგებულია პ ა უ ლ ის ა და ვ უ ნ დ ტ ის განსაზღვრებანი. ამ პრინციპს მიუღებლად ვთვლით; და ეს ამ თავითვე წყვეტს საკითხს, საერთოდ ფსიქოლოგისტურ განსაზღვრებათა დაფასებისა. ამიტომ ზედმეტად მიგვაჩნია პ ა უ ლ ის ა და ვ უ ნ დ ტ ის შეხედულებათა კერძობითი განხილვა; თუმცა ასეთს შემთხვევაში ჩვენ მოვიპოვებდით არც თუ მცირე ოდენობის საბუთებს ხსენებულ შეხედულებათა საწინააღმდეგოდ.

32. როგორღა წყდება პ ა უ ლ ის ა და ვ უ ნ დ ტ ის მიხედვით წინადადების წევრების (ქვემდებარის, შემასმენლის, დამატების) საკითხი? პ ა უ ლ ი ამბობს: „ყოველი წინადადება შედგება სულ მცირე ორი ელემენტისაგან. ეს ელემენტები... განსხვავდებიან ფუნქციათა მიხედვით. მათ აღნიშნავენ, ვითარცა სუბიექტსა და პრედიკატს. ეს გრამატიკული კატეგორიები ემყარება ფსიქოლოგიურს ურთიერთობას. მართალია, ჩვენ უნდა განვასხვავოთ ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ი და გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი ს უ ბ ი ე ქ ტ ი, resp. პ რ ე დ ი კ ა ტ ი, ვინაიდან ორივე ერთურთს არა ყოველთვის დაემთხვევა *zusammenfällt...*, მაგრამ მაინც გრამატიკული ურთიერთობა აგებულია ფსიქოლოგიური ურთიერთობის საფუძველზე. ფსიქოლოგიური სუბიექტი არის მეტყველის, მოაზროვნის (*des Denkenden*) ცნობიერებაში უკვე მყოფი (*vorhandene*) წარმოდგენითი მასა, რომელსაც მიემატება მეორე [წარმოდგენითი მასა], ფსიქოლოგიური პრედიკატი. შ ტ ა ი ნ - თ ა ლ თ ა ნ ერთად შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტი არის მათპერცეფირებელი, პრედიკატი — გააპერცეფირებული“ (იხ. *Prinzipien*, § 87, გვ. 124-125).

ცნება ფსიქოლოგიური სუბიექტისა და პრედიკატისა პირველად

¹ ფსიქოლოგიზმის მოთხოვნის თანახმად ზ ი უ ტ ე რ ლ ი ნ ი, მაგალ., შესაძლებლად თვის, წინადადებად მიიჩნის როგორც შესიტყვება, ისე ცალკე სიტყვა, ფორმიანცა და უფორმოც; „ეი“! — „კარლ“, ისევე არის წინადადება, როგორც ფრაზა: „ბ ა ვ შ ვ ს ს ძ ი ნ ა ვ ს!“ (იხ. ვ უ ნ დ ტ ი: *Völkerpsych.*, II, 244); ცალკე სიტყვა, შორისდებულიც კი შეიძლება იქნეს აღიარებული წინადადებად ბ რ უ გ მ ა ნ ის ა და ვ ე გ ე ნ ე რ ის აზრითაც; იხ. *B r u g m a n n, Syntax*, § 8, გვ. 10; *Wortsatz, I. F.*, XXXIX, გვ. 5, 13, 15...

ფონდერ-გ ა ბ ე ლ ე ნ ც მ ა წამოაყენა თავის წერილში "Ideen zu einer vergleichenden Syntax"; ამ წერილში ის მიზნად ისახავდა გამოერკვია, თუ რა ზოგად პრინციპს ემყარება სიტყვათა და წინადადებათა განრიგება ცალკე ენებში; სიტყვათა თანამიმდევრობის საფუძველს იგი წარმოდგენათა თანამიმდევრობის გათვალისწინებით ეძიებს. გ ა ბ ე ლ ე ნ ც ი მსმენლის მდგომარეობიდან ამოდის; იგი ამბობს: ჩვენ ვისმე ვესაუბრებით. რა მიზნით? რომ მასში გარკვეული აზრები გამოვიწვიოთ; აქ ორი რამ არის საგულისხმო: ჯერ ერთი, ის, რომ ჩვენ წარვმართავთ მოსაუბრის ყურადღებას (მის აზროვნებას) რაიმესაკენ და, მეორეც, ის, რომ ჩვენ მას ვაფიქრებინებთ ამ რაღაცის შესახებ გარკვეულ რაღაცას. და მე ვუწოდებ მას, რაზეც, რის შესახებაც მოსაუბრეს ვაფიქრებინებთ, ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ს უ ბ ი ე ქ ტ ს; იმას, რაც მან ამის შესახებ უნდა იფიქროს, ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ პ რ ე დ ი კ ა ტ ს.¹ ამათ გ ა ბ ე ლ ე ნ ც ი წინადადების მთავარ ფსიქოლოგიურ ნაწილებს უწოდებს (იქვე: *Zeitschrift*, VI, 379, § 6). მათი თანამიმდევრობა წინადადებაში გარკვეული სახისაა: სუბიექტი უწინარესია, პრედიკატი — მომდევნო (იქვე, გვ. 379). „ცხადია, ამბობს იგი (ამისავე შესახებ სხვა ნაშრომში), რომ მე პირველად მას ვასახელებ, რაც ჩემს აზროვნებას აღძრავს, რის შესახებაც მე ვფიქრობ, ჩემს ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ს უ ბ ი ე ქ ტ ს და შემდეგ მას, რასაც მის შესახებ ვფიქრობ, ჩემს ფსიქოლოგიურ პრედიკატს, და შემდეგ, როცა საჭიროა, კვლად ორივეს ვავხდი საგნად შემდგომი აზროვნებისა და მეტყველებისა“ (იხ. *Sprachwissenschaft*, გვ. 353-354); არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამას ეწინააღმდეგება *Ideen*-ის შემდეგი ადგილი: გრამატიკული პრედიკატი ან მისი ნაწილი შეიძლება წინ უსწრებდეს სუბიექტსაო (*Zeitschrift*, გვ. 381, § 9)... გ ა ბ ე ლ ე ნ ც ი *Ideen*-ის ერთ ადგილას პირდაპირ ამბობს: „ჩვენის მიზნისათვის სულ ერთია, წინადადების სათანადო ნაწილი [და, მაშასადამე, ფსიქოლოგიური სუბიექტისა და პრედიკატის შესატყვისი ნაწილიც — ა. ჩ.] შედგებოდეს იქნება ერთისა თუ რამდენისამე სიტყვისაგან, გინა მთელი წინადადებისაგანო (გვ. 379, § 7); ამ განცხადების შემდეგ გაუგებარია, როგორ შეიძლება ითქვას: „წინადადების ორი თავდაპირველი ნაწილი მრავალგზის გვევლინება რთულს ფორმაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათის განვრცობის ორი სახე: მეორეხარისხოვანი პრედიკატები (*Nebenprädicate*) და ობიექტიო“ (იქვე, გვ. 382-383, § 10)... თუ მეორეხარისხოვანი პრედიკატები და ობიექტი წინადადების წევრებად შემოვიყვანებთ, ფსიქოლოგიური სუბიექტისა და პრედიკატისათვის „რამდე-

¹ "...und ich nenne das, woran, worüber ich den Angeredeten denken lassen will, das psychologische Subject, das, was er darüber denken soll, das psychologische Prädicat": *Ideen*, *Zeitschrift*, VI, 378, § 5.

ნიმე სიტყვა“ საიდან დარჩება? ფრაზაში **ნაპოლეონი დამარცხებულ იქნა ლაიფციგთან**¹ ფსიქოლოგიური სუბიექტი **ნაპოლეონ**-ით აღინიშნება; საკითხავია, რაღა გადმოგვცემს ფსიქოლოგიურ პრედიკატს? შეიძლება გვეფიქრა: „**დამარცხებულ იქნა ლაიფციგთან**“; აკი გვითხრეს: წინადადების ესა თუ ის ნაწილი, და, მაშასადამე, ფსიქოლოგიური სუბიექტი, **resp.** პრედიკატიც შეიძლება გადმოიცეს რამდენიმე სიტყვით, მთელი წინადადებითაც კი! მაგრამ ეგების **დამარცხებულ იქნა**-ა პრედიკატი, **ლაიფციგთან** კი არის ობიექტი (თუ: მეორეხარისხოვანი პრედიკატი?); არც ეს შესაძლებლობა გამორიცხული, თუ ავტორის თვალსაზრისზე დავდგებით.

უფრო საგულისხმოა ის გარემოება, რომ **ობიექტი** გაბეღენცი-სა წმინდა გრამატიკულ კატეგორიას გულისხმობს: გაბეღენცი-ლაპარაკობს პირდაპირისა და არაპირდაპირი ობიექტის შესახებ, ამგვარად: **ფსიქოლოგიურ** კატეგორიებს სუბიექტ-პრედიკატისა და მეორეხარისხოვანი პრედიკატისა შეექსოვა **გრამატიკული** კატეგორია (ობიექტისა)!

გაბეღენცი შენიშნავს: „...ფსიქოლოგიური კატეგორიები ხშირად განსხვავებული (*verschieden*) არიან თავისი გრამატიკული კორელატებისაგანო“ (*Zeitschr.*, გვ. 378, § 5); ამის ილუსტრაციას უნდა წარმოადგენდეს მისი დასკვნები იმ შემთხვევების შესახებ, როცა უპიროვნო ნაცვალსახელი *es* (გერმ.), *il* (ფრანგ.), *there* (ინგლ.) იხმარება ფრაზაში: „ფსიქოლოგიურად აქ პრედიკატი არის სუბიექტი, გრამატიკული სუბიექტი კი — პრედიკატიო“ (იქვე, გვ. 381, § 9).

რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს გაბეღენცი-ს მიზანს სრულიადაც არ შეადგენდეს ფსიქოლოგიურ კატეგორიებზე დაემყარებინა გრამატიკული; ეს რომ ასე ყოფილიყო, ის საგონებელში უნდა ჩავდლო ისეთ შემთხვევებს, როცა გრამატიკული სუბიექტი ფსიქოლოგიურ პრედიკატს უდრის და — პირიქით. ასეა თუ ისე, გაბეღენცი-ს გრამატიკულ აზროვნებას ამ გზით ვერაფერში დაეხმარება.

33. პაულის შეხედულებაში მეტი თანამიმდევრობაა. გაბეღენცი-სთან შედარებით მას შემდეგი ახასიათებს:

1. მსმენელის ცნობიერებაზე დაყრდნობა ფსიქოლოგიური სუბიექტის (**resp.** პრედიკატის) განსაზღვრისას მას უხერხულად მიაჩნია; ჩვენ იმას უნდა მივაპყრათ გულისყური, რომ წარმოდგენა მიერთვის სხვა წარმოდგენას საერთოდ ცნობიერებაში, ამბობს იგი (*Prinzipien*, გვ. 125, § 87).

2. წინადადების ნაწილთა კვალიფიკაციისას პაული, როგორც ჩანს, სხვა შეხედულებისაა, ვინემ გაბეღენცი-ს. ფრაზას: „**კარლო მიემ-**

¹ მაგალითი გაბეღენცი-საა (იქვე, გვ. 380, § 8).

გზავრება ზვალ ბერლინს“ (გვ. 283, § 197) პ ა უ ლ ი ასე აანალიზებს (იგულისხმება, რომ მსმენელი მოუძნადებელია ამ ფრაზის ასათვისებლად და ფრაზის შინაარსში ყველა ნაწილები მისთვის თანაბრად ახალია!): **კარლო** — სუბიექტი, **მიემგზავრება** — პრედიკატი; **ზვალ** აგრეთვე პრედიკატია **მიემგზავრება**-სი, რომელიც **ზვალ**-ის მიმართ სუბიექტია; **ბერლინს** — აგრეთვე პრედიკატია (მეორე) და იმავე გასუბიექტებულ **მიემგზავრება**-ს განეკუთვნება. მეორეხარისხოვანი პრედიკატი, თუ ასეებითად **ზვალ** და **ბერლინს** არ მივიჩნევთ, არსად ჩანს, და უფრო საგულისხმო ის არის, რომ **ობიექტი**-ტერმინი მას არ გააჩნია.

3. სუბიექტი ყოველთვის არ გამოითქმის უწინარეს პრედიკატისაო, ამბობს პ ა უ ლ ი; მართალია, მეტყველის ცნობიერებაში სუბიექტი უწინარესია, მაგრამ შესაძლოა საქმე ისე მოეწყოს, რომ ლაპარაკის დაწყებისას პრედიკატის უფრო მნიშვნელოვანი ცნება წინ წამოიჭრეს იმდენად, რომ პირველად პრედიკატი იქნეს გამოთქმული და მხოლოდ შემდეგ სუბიექტი. ასეთი შემთხვევა ხშირია, თუ სუბიექტის შესახებ უკვე იყო ლაპარაკიო (*Prinzipien*, § 88, გვ. 127); მაგალ., თქვენ ამბობთ: **თველორე გონიერი აღამიანი ჩანს**“, თქვენი მოსაუბრე კი მოგიგებთ: **უგუნურია იგი!**¹

ასეთს შესაძლებლობას გა ბ ე ლ ე ნ ც ი ც აქცევდა ყურადღებას, მაგრამ იგი მეტყველების ფაქტიდან ამოდიოდა: გრამატიკული პრედიკატი ან მისი ნაწილი შეიძლება წინ უძღოდეს სუბიექტსაო; ეს მოვლენა არ მიაჩნდა მეტად ხშირად; და არც უწევდა, როგორც ჩანს, მას ანგარიშს; მისთვის თითქოს მაინც ძალაში რჩებოდა ის დებულება, რომ ცნობიერებაშიც და მეტყველებაშიც უწინარესია სუბიექტი, მომდევნოა — პრედიკატი.²

პ ა უ ლ მ ა, პირიქით, სათანადო დასკვნები გააკეთა ამ ფაქტიდან. ეს აუცილებელი იყო და აი რატომ.

პ ა უ ლ ი გარკვევით ამბობს, რომ კატეგორიები ფსიქოლოგიური სუბიექტისა *resp.* პრედიკატისა უნდა იქნეს განსხვავებული გრამატიკის სათანადო კატეგორიათაგან; მაგრამ პ ა უ ლ ი ამასთანავე პირდაპირ გვეუბნება: გრამატიკული კატეგორიები ემყარება ფსიქოლოგიურსაო; ამდენადვე ჩვენ საშუალება უნდა გვექნეს ამ ფსიქოლოგიურ კატეგორიათა მიხედვით მივაგნოთ გრამატიკულ კატეგორიებს. თუ ეს ასე არ იქნება, სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდება ეს ფსიქოლოგიური კატეგორიები და უადგი-

¹ პ ა უ ლ ს საილუსტრაციოდ სხვა, სახელდობრ, შემდგომი მაგალითი მოყავს: "Müller scheint ein verständiger Mann zu sein"; ein anderer entgegnet: "Ein Esel ist er!" — *Prinzipien*, გვ. 127, § 88.

² „როგორც ჩანს“, „თითქოს“ — იმიტომ ვატანთ, რომ ამ მხრივ გა ბ ე ლ ე ნ ც ი ს შეხედულებაში არსებული შინაგანი წინააღმდეგობანი არ არის მოხსნილი არც ხსენებულ *Ideen*-ში, არც საკმაო ხნის შემდეგ გამოსულ *Sprachwissenschaft*-ში.

ლო იქნება მათ შესახებ ლაპარაკი წინადადების ნაწილებთან დაკავშირებით.

გ ა ბ ე ლ ე ნ ც ი ს დებულება რომ სინამდვილეს შეეფერებოდეს, ადვილად დაიძებნებოდა ფსიქოლოგიურ კატეგორიათა მიხედვით გრამატიკული; იგი ამბობდა: რაც უწინარესია ცნობიერებაში, ის უწინარესია მეტყველებაშიც; ეს უწინარესი ფსიქოლოგიური სუბიექტია, **ergo**: მისი აღმნიშვნელი სიტყვაც, — გრამატიკული სუბიექტი, — ფრაზაში უწინარესი იქნება. ასე რომ, ფრაზაში ადგილმდებარეობა უკვე მიგვითითებს, რომელი სიტყვაა ფსიქოლოგიური სუბიექტის შესატყვისი (რომელი — პრედიკატისა).

მაგრამ ეს საიმედო საშუალებად ვერ ჩაითვლება მას შემდეგ, რაც დაშვებულია შესაძლებლობა, რომლის მიხედვითაც პრედიკატმა შეიძლება გაუსწროს სუბიექტს და, მამასადამე, პირველი სიტყვა ფრაზაში უკვე სუბიექტს კი არ აღნიშნავს, არამედ პრედიკატზე მიგვითითებს. ერთის სიტყვით: ასეთი შესაძლებლობა შეუძლებელს ხდის სიტყვათა თანამიმდევრობა გამოყენებულ იქნეს საშუალებად სუბიექტ-პრედიკატის გამოძენად დადგენისათვის.

ამას უნდა უწევდეს პ ა უ ლ ი ანგარიშს, როცა იგი სხვა საშუალებით ცდილობს ფსიქოლოგიური პრედიკატის დადგენას. პრედიკატი, მისი აზრით, შეიძლება იქნეს გადმოცემული ფრაზის ყოველი სიტყვით იმისდა მიხედვით, თუ როგორია კონტექსტი და რისკენ არის მიპყრობილი მსმენელის ყურადღება, რას ხვდება ყველაზე ძლიერი მახვილი. პ ა უ ლ ი ს საილუსტრაციო მაგალითი ნათლად დაგვანახებს, თუ რას წარმოადგენს მისი კრიტერიუმი.

ფრაზაში: **კარლო მიემგზავრება ხვალ ბერლინს** (ვტოვებთ სიტყვათა იმ თანამიმდევრობას, რომელიც დედანშია: **Karl fährt morgen nach Berlin**), როგორც ზევით ვნახეთ, **კარლო** სუბიექტია, **მიემგზავრება** — პრედიკატი; პრედიკატებია აგრეთვე **ხვალ**, **ბერლინს**; ისინი განეკუთვნებიან **მიემგზავრება-ს**, როგორც სუბიექტს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მსმენელისთვის ამ ფრაზის შინაარსი სრულიად უცნობი იყო მანამ, სანამ მას ეს უთხრეს: არც ის იცოდა, ვინ მიემგზავრებოდა, არც ის, თუ სად, როდის და, საერთოდ, მიემგზავრებოდა თუ არა.

მაგრამ, ვთქვათ, მან უკვე იცის, რომ **კარლო მიემგზავრება ხვალ**, ოღონდ არ იცის, სად. ასეთ შემთხვევაში, მან გაიგონა ფრაზა: **კარლო მიემგზავრება ხვალ ბერლინს**. **ბერლინს** სწორედ ის ახალი წარმოდგენა იქნება, რომელიც უკვე არსებულს (**კარლო ხვალ მიემგზავრება**) მიერთო, და ამდენადვე — პრედიკატიც. ეს ერთი შესაძლებლობა.

მეორე შესაძლებლობა. უკვე ვიცით, რომ **კარლო მიემგზავრება ბერ-**

ლინს, არ ვიცით, როდის; ასეთ შემთხვევაში იმავე ფრაზაში პრედიკატად **ხვალ** მოგვევლინებოდა.

მესამე შესაძლებლობა. ვიცით, რომ კარლო ხვალ ბერლინისკენ გაემართება, მაგრამ ზღვით, ხმელეთით, მატარებლით, ცხენით თუ ქვეითად, ეს გამოურკვეველია; ასეთ პირობებში იმავე ფრაზის პრედიკატად იქნებოდა: **მიემგზავრება**.

დასასრულ მეოთხე შესაძლებლობა. ვიცით, რომ ხვალ ბერლინს ვილაცა მიემგზავრება, მაგრამ ვინ, — უცნობია. ამ კონტექსტში თუ გვეტყვიან: **კარლო მიემგზავრება ხვალ ბერლინსო**, პრედიკატად **კარლო** უნდა მივიჩნიოთ.

პ ა უ ლ ი ამბობს: „ოთხი აქ მოყვანილი ვარიაცია ერთისა და იმავე სიტყვებისაგან შემდგარი ერთისა და იმავე წინადადებისა შეესატყვისება ოთხ სხვადასხვა კითხვას: სად მიემგზავრება კარლო? — როდის მიემგზავრება კარლო ბერლინს? — როგორ მიემგზავრება (reist) კარლო ხვალ ბერლინს? — ვინ მიემგზავრება ხვალ ბერლინს?“ (Prinzipien, § 197, გვ. 283). პრედიკატის ბედი შეიძლება გაიზიაროს სუბიექტმაც.

ლოგიციზმის შეფასებისას (იხ. § 19) ჩვენ შემთხვევა გვქონდა გაკვრით აღგვენიშნა, რომ ლოგიკაში არსებობს სუბიექტისა და პრედიკატის ფსიქოლოგისტური ინტერპრეტაცია: ის გვასწავლის, რომ ფრაზაში ინტონაციას გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის დასადგენად, თუ ვის შესახებაა ლაპარაკი. ფრაზაში: **მამას უყვარს შვილი** ეს ინტონაცია შეიძლება სამსავე სიტყვაზე იყოს, იმისდა მიხედვით, თუ რანაირია კონტექსტი: **მამას** (და არა დედას!) **უყვარს შვილი**; **მამას უყვარს** (და არა სძულს!) **შვილი**; **მამას უყვარს შვილი** (და არა ძმა...). თუ ამას დავემყარებოდით, იძულებული ვიქნებოდით ქვემდებარედ მიგვეჩინა ხან **მამას**, ხან **შვილი**, ხან კიდევ **უყვარს...** არც ერთი ლოგიცისტი გრამატიკაში ამ გზით არ წასულა, ვინაიდან ეს გზა უცნაურ დასკვნამდე მიგვიყვანდა.

ის, რისგანაც თავი შეიკავეს ლოგიცისტებმა, გააკეთა ფსიქოლოგიზმმა პ ა უ ლ ი ს სახით. პ ა უ ლ ი ს ფსიქოლოგიზმი — წინადადების ნაწილთა ძიების საკითხში — არაფრით განირჩევა ლოგიციზმის იმ ფსიქოლოგისტური ინტერპრეტაციისაგან, რომელიც აქ არის მოხსენებული. ერთს შემთხვევაში, — **იქ**, ლოგიკაში, — მეტყველისა თუ მსმენელის ინტერესი, მოცემული კონტექსტი, და ამით განსაზღვრული ინტონაცია არის ერთადერთი კრიტერიუმი იმის გასათვალისწინებლად, თუ რის შესახებაა ლაპარაკი; ამ გზით ეძებენ იქ სუბიექტს. მეორე შემთხვევაში, **აქ**, ფსიქოლოგიზმი იმავე საშუალებით არკვევს რა წარმოდგენაა ის, რომელიც უკვე არსებობს ცნობიერებაში ან უნდა მიემატოს მას; ამ გზით ეძებენ აქ სუბიექტსაც, პრედიკატსაც.

ამ შემთხვევაში პ ა უ ლ ის შეხედულებას აქვს შინაგანი ლოგიკა: წინადადება თუ ფსიქოლოგიური მსჯელობის გამოხატულებაა, მისი ნაწილებიც ფსიქოლოგიური მსჯელობის ნაწილთა გამოხატულებაა. მსჯელობა წარმოდგენათაგან შედგება, წინადადების ნაწილებს საფუძვლად სწორედ ეს წარმოდგენები უნდა ედვას. საორიენტაციოდ რჩება ისევე მსჯელობა და მისი ნაწილები, ისევე, როგორც ამას ლოგიციზმთან ჰქონდა ადგილი. არ შეცვლილა მეთოდოლოგიური პრინციპი. შეიცვალა მხოლოდ მისი შინაარსი: ლოგიციზმის ადგილი დაიკავა ფსიქოლოგიზმმა. შედეგად მივიღეთ დამახასიათებელი. პ ა უ ლ ის საილუსტრაციო ფრაზაში ფსიქოლოგიური პრედიკატი აღმოჩნდა რიგ-რიგად; **ბერლინს, ზვალ, მიემგზავრება, კარლო.** დავამყარებთ ამ ფსიქოლოგიურს კატეგორიაზე გრამატიკულსა და იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ გრამატიკულ პრედიკატად, შემასმენლად, გვევლინება **მიემგზავრება**-ს გარდა: **ბერლინს, ზვალ, კარლო...**

საინტერესო ის არის, რომ პ ა უ ლ ი მშვენივრად ხედავს, რომ ფსიქოლოგიურისა და გრამატიკული კატეგორიების დამთხვევა არა ხდება; მეოთხე შესაძლებლობის გათვალისწინებისას (იხ. ზემოთ) ის თვითონ ამბობს: „გრამატიკული სუბიექტი **კარლო** არის აქ ფსიქოლოგიური პრედიკატი“ (Prinzipien, გვ. 283, § 197); მაშინაც კი, როცა ფსიქოლოგიურ პრედიკატად არის **მიემგზავრება** და, მაშასადამე, უნდა გვეფიქრა, რომ ფსიქოლოგიური და გრამატიკული კატეგორიები ერთურთს ხვდება, მაშინაც თურმე ამ ორი კატეგორიის თანხმობა სრული არ არის, რადგანაც ზმნა **fährt (მიემგზავრება)** იშლება ორ შემადგენელ ნაწილად: „მოძრაობის აღმნიშვნელ ზოგად ზმნად და განსაზღვრებად, რომელიც გვიჩვენებს მოძრაობის სახეობას და მხოლოდ უკანასკნელია პრედიკატი“;¹ ესე იგი t სუფიქსი!

პ ა უ ლ ი უფრო შორსაც მიდის: „წინადადების ყოველი წევრი, რანაირ გრამატიკულს ფორმაშიაც არ უნდა გვევლინებოდეს იგი, შესაძლებელია ფსიქოლოგიურად განხილვისას აღმოჩნდეს სუბიექტი ანუ პრედიკატი ანუ მაკავშირებელი წევრი (**Bindeglied**), resp. მისი ნაწილი“.²

და ამას გარდა ვტყობილობთ: „ენობრივად(!) ერთწევროვან წინადადებებში შესაძლებელია, რომ ის, რაც მეტყველისათვის ფსიქოლოგიური პრედიკატია, მსმენლისათვის, პირიქით, სუბიექტი იყოს. იმისათვის, ვინც ხანძრის დანახვაზე ყვირის: **ცეცხლი!** მდგომარეობა არის სუბიექტი და ზო-

¹ ... "wir können aber doch nicht eigentlich sagen, dass fährt psychologisches Präd. sei in Uebereinstimmung mit der grammatischen Form, vielmehr ist es gewissermassen in zwei Bestandteile zu zerlegen, ein allgemeines Verb der Bewegung und eine Bestimmung dazu, welche die Art der Bewegung bezeichnet, und nur die letztere ist Präd.": Prinzipien, გვ. 283, § 197.

² "Jedes Satzglied, in welcher grammatischen Form es auch erscheinen mag, kann psychologisch betrachtet, Subjekt oder prädikat oder Bindeglied sein, respektive ein Teil davon": Prinzipien, გვ. 284, § 198.

გადი ცნება **ცეცხლი** — პრედიკატი; პირიქით, იმისათვის, რომელსაც ესმის ყვირილი **ცეცხლი!** სანამ იგი თვითონ ცეცხლს დაინახავდეს, ცნება **ცეცხლი** სუბიექტია და მდგომარეობა — პრედიკატი“.¹

პ ა უ ლ ის მოყვანილ სიტყვებში უკვე მოცემულია მისი შეხედულების სრული შეფასება. წინადადების **ყოველი** ნაწილი შეიძლება აღნიშნავდეს სუბიექტსაც, პრედიკატსაც; წინადადების **ერთი და იგივე** ნაწილი **სხვადასხვა მომენტში** შეიძლება გადმოგვცემდეს სუბიექტსაც, პრედიკატსაც; და კიდევ მეტი: **ერთსა და იმავე** მომენტში **ერთი და იგივე ნაწილი** მეტყველისათვის შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური პრედიკატი, მსმენელისთვის კი — ფსიქოლოგიური სუბიექტი. მაგრამ გრამატიკულ სუბიექტად, პრედიკატად ხომ არ გამოგვადგება ყოველი ნაწილი წინადადებისა? ხომ არ შეიძლება ერთი და იგივე, გარკვეული ფორმის მქონე სიტყვა ერთს შემთხვევაში იყოს ქვემდებარე, მეორეში — შემასმენელი ანდა მეტყველისათვის — ქვემდებარე, მსმენელისთვის — შემასმენელი, თუ პირიქით?! მაშ, რანაირად შეგვიძლია დავუყრდნოთ ფსიქოლოგიურ კატეგორიებს, და თუ დავემყარებით, რისთვის? რას მოგვცემს იგი?

ო რ შ ი ე რ თ ი: ა ნ ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ი კ ა ტ ე გ ო რ ი ა ს უ ბ ი ე ქ ტ - პ რ ე დ ი კ ა ტ ი ს ა ა რ ი ს დ ა ს ა ყ რ დ ე ნ ი ს ა თ ა ნ ა დ ო გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ კ ა ტ ე გ ო რ ი ა თ ა თ ვ ი ს, და მაშინ ვ დ ე ბ უ ლ ო ბ თ უ ა ზ რ ო ბ ა ს, რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც ს ა ქ მ ე წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს ა დ წ ე რ ი თ ს ა ნ ა ლ ი ზ ს შ ე ე ხ ე ბ ა; ა ნ ა მ ო ს ა ვ ლ ა დ ე ს ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ი კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ი ა რ გ ა მ ო გ ვ ა დ გ ე ბ ა, და მაშინ მათ არაფერი ესაქმებათ წინადადების ნაწილთა კვალიფიკაციასთან.

პ ა უ ლ ი ამბობს: გრამატიკული ურთიერთობა აგებულია ფსიქოლოგიურზეო. ენობრივი მონაცემის **გაგება-ახსნისას**, როგორც ზემოთ ვთქვით, ცნობიერების დავიწყება დაუშვებელია, მაგრამ **აღწერისას** მასზე დაყრდნობა შეუძლებელია; ყველაზე ნაკლებ არის შესაძლებელი პ ა უ ლ ის ფსიქოლოგიური კატეგორიების გამოყენება ამ მიზნით; ეს კატეგორიები ახსნისთვისაც არაფერში გამოდგება და უნდა ითქვას, საერთოდაც უსარგებლო ცნებებს წარმოადგენენ. მართლაცდა, პ ა უ ლ ის სუბიექტი და პრედიკატი ფსიქოლოგიას არ ესაჭიროება, ლოგიკას უკვე აქვს,² გრამა-

¹ "Bei (solchen) dem sprachlichen Ausdruck nach eingliedrigen Sätzen ist es möglich dass dasjenige, was für den Sprechenden psychologisches Prädikat ist, für den Hörenden vielmehr Subjekt wird. Für denjenigen, der beim Anblick eines Brandes ausruft *Feuer*, ist die Situation Subjekt und der allgemeine Begriff *Feuer* Prädikat, dagegen für denjenigen, der *Feuer* rufen hört, ehe er selbst einen Brand gewahr wird, ist der Begriff *Feuer* Subjekt und die situation Prädikat": Prinzipien, გვ. 129, § 90.

² აღსანიშნავია, რომ ყველა ფსიქოლოგისტი-ლოგიკოსი როდი იღებს სუბიექტ-პრედიკატის ცნებებს ამ ფსიქოლოგისტური ინტერპრეტაციით, და ისიც კი, ვინც იღებს, არ ხმარობს ტერმინებს: ფსიქოლოგიური სუბიექტი, პრედიკატი.

ტიკისთვის — არაფერშია გამოსადეგი და, ამრიგად, ეს ხელოვნურად შეკოწიწებული ცნებები, აგებული ისეთი არაფრის მეტყველი ნიშნის მიხედვით, როგორცაა უწინარესი და მომდევნო, სრულიად ზედმეტ ბარგად უნდა იქნეს მიჩნეული; ის არაფერს არ აშუქებს და ბევრს რასმერებს და აბნელებს.

ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ პაულს არაფერი მოეპოვება დამატების გრამატიკული კვალიფიკაციისათვის. პაულის ფსიქოლოგიზმი უძლურია მას მოუძებნოს, საერთოდ, ფსიქოლოგიური შესატყვისისიკი, ისევე როგორც ლოგიციზმი ვერ ახერხებდა ამას: საამისო შესაძლებლობას აკი არ იძლევა მსჯელობა, იქნება იგი აღებული ლოგიკის თუ ფსიქოლოგიის გაგებით.

პაული ამბობდა: წინადადება ენობრივი გამოხატულებააო, მაგრამ არც ამ ენობრივი გამოხატულების შემდგომი დეტერმინაცია, არც მის შემადგენელ ნაწილთა კვალიფიკაცია ენობრივ ნიშანზე არ მომხდარა: იქ წარმოდგენათა შეკავშირება, აქ ცალკე წარმოდგენები და მათი თანამიმდევრობა, მოკლედ, ყველგან ფსიქიკური ბატონობს. წინადადების თეორიის ნაცვლად მოცემულია წინადადების თავისებური ფსიქოლოგია, და ენობრივი ცნების განსაზღვრისას ენობრივი მომენტი უგულვებელყოფილია.

34. წინადადების ნაწილების შესახებ არც ვუნდტი ამბობს პაულთან შედარებით პრინციპულად ახალს რასმე. ის უარყოფითად ეკიდება ფსიქოლოგიური სუბიექტ-პრედიკატის ცნებას, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის მაინც წარმოდგენას მიმართოს. ამოსავლად ვუნდტიმ აგაბატონებულ იწარმოდგენა (*dominierende Vorstellung*) მიიჩნია; ასე იწოდება წინადადებაში ის სიტყვის-წარმოდგენა (*Wortvorstellung*), რომელიც მეტყველების დროს ყურადღების ნათელ წერტილშია მოქცეული.¹ ასეთი გაგების უპირატესობად ვუნდტს ის მიაჩნია, რომ იმ თავითვე არ არის დაშვებული, რომ წინადადებას ორი წევრი აქვს: გაბატონებულია და უკანა რიგში მყოფი (*zurücktretende*) წარმოდგენის სახით, არამედ აქ შეიძლება წევრთა მეტი ოდენობაც ვივარაუდოთ; ადგილი აქვს დასაფეხურებას. განსაკუთრებით ჩვეულებრივია სამი საფეხური; მაგალ., მარტივი წინადადება: **დღეს ჩემი დაბადების დღეა** შეიძლება „ერთ ძლიერ ხაზგასმულ და ერთ სუსტად ხაზგასმულ წევრებად“ დაიშალოს: **დღეს; ჩემი დაბადების დღე;** მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ მეორე ნაწილისაგან გამოიყოს შედარებით უფრო ძლიერ გახაზული ნაწილი (*stärker gehobener Teil*): **ჩემი** ან

¹ "Wir werden am zweckmässigsten konform... diejenige Wortvorstellung des Satzes, die beim Sprechen im Blickpunkt der Aufmerksamkeit steht, die dominierende Vorstellung nennen": *Völkerpsychol.*, II, 271.

დაბადების დღე (Völkerpsychologie, II, 271). ცნობიერების ნათელს წერტილში მოყოლილი წინადადების ნაწილი (Satzteil), რასაკვირველია, ისწრაფის დაიკავოს პირველი ადგილი წინადადებაში; ამრიგად: გაბატონებული და დაქვეითებული წარმოდგენები ერთმანეთს მისდევენ. ამას შეიძლება წინააღმდეგს ან რაიმე ლოგიკური მოტივები ანდა წინადადების ნაწილთა განწესრიგების კანონები და დაარღვიოს ეს თანამიმდევრობა; მაგრამ ენას სხვა გამომხატველობითი საშუალებანიც გააჩნია: მახვილი და ტონებრივი მოდულაცია, და ამათ შეუძლიათ აღადგინონ გაბატონებული წარმოდგენის შელახული უფლება (იქვე, გვ. 272).

საბოლოო ანგარიშში, აქაც ისევე, როგორც პ ა უ ლ თ ა ნ, ტონური მოდულაცია და მახვილი წყვეტს, წინადადების რომელი სიტყვა აღნიშნავს გაბატონებულ წარმოდგენასა და რომელი — უკანა რიგისას... ვთქვათ, ეს უკვე ვიცით; რას მივიღებთ, ამის მიხედვით რომ განვადასოთ წინადადების ნაწილები? ცხადია, სიტყვას, რომელიც აღნიშნავს გაბატონებულ წარმოდგენას, და სიტყვას (თუ სიტყვებს), რომელიც აღნიშნავს უკანა რიგის წარმოდგენას; ეს იმ შემთხვევაში, თუ ორი ნაწილი გამოიყოფოდა; თუ მეტი, მაშინ: ერთი გაბატონებულისა და ორის (თუ მეტის) მეტ-ნაკლებად უკანა რიგის წარმოდგენების აღმნიშვნელ სიტყვებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს დამოკიდებულია მეტყველების კონტექსტზე, სადაც შეუძლებელი არაა მსმენელმა ზედმიწევნით ვერ გაითვალისწინოს, რამდენი ხაზი ესმება ამა თუ იმ წარმოდგენას და, მაშასადამე, შეცთომა მოუვიდეს „დასაფხურებაში“, მაგრამ „დასაფხურების“ სიძნელე შეუძლებლობის სახეს იღებს, როცა ნათქვამის მოსმენასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ დაწერილის წაკითხვასთან; გაბატონებული წარმოდგენის გამოძებნა აქაც შეიძლება, მაგრამ გრადაციების აღნიშვნა სრულიად მოუხერხებელია. ეს — ერთი.

გაბატონებული წარმოდგენა შეიძლება იქნეს გამოხატული ყოველი სიტყვით (სახელით, ზმნით, უფორმო სიტყვით...); კონტექსტის მიხედვით — ერთს შემთხვევაში ერთითა და მეორეში — მეორით ერთისა და იმავე წინადადების ფარგლებში; ვ უ ნ დ ტ ი ს მაგალითში: **დღეს ჩემი დაბადების დღეა** გაბატონებულ წარმოდგენას გამოხატავს **დღეს** ისევე, როგორც ეს შეეძლო **ჩემი დაბადების დღე**-ს. უკანა რიგის წარმოდგენათა შესახებაც ეგვე ითქმის. და ეს კი ნიშნავს: ვ უ ნ დ ტ ი ს ამ წარმოდგენებზე წინადადების დამყარება ისევე შეუძლებელია, როგორც პ ა უ ლ ი ს ფსიქოლოგიურ სუბიექტ-პრედიკატზე. ეს — მეორე.

გაბატონებული და უკანა რიგის წარმოდგენები შეიძლება გადმოცემულ იქნეს როგორც თითო, ისე მეტი სიტყვითაც (იხ. ვ უ ნ დ ტ ი ს მაგალ. ზემოთ). ორი წევრი შეიძლება აღმოაჩნდეს გავრცელებულ წინადადებას ისევე, როგორც გაუფრცელებელს. **მონადირე ნადირობს** და **მარჯვე მონადირე მიუვალ კლდეებში ჯიხვზე ნადირობს** თანაბრად შეიძლება ორწევრი-

ნად გამოცხადდეს. ამ მხრივ შესიტყვებათა განსხვავება ვუნდტი-ს-თ ვის არ არსებობს; ენობრივად განსხვავებული ვუნდტი-ს ფსიქოლოგიზმის მიერ არ განისხვავების. ეს — მესამე.

ყოველივე ეს აღიმართებოდა ვუნდტი-ს შეხედულების წინააღმდეგ, თუ წინადადების ნაწილთა კვალიფიკაცია იწარმოებდა ვუნდტი-ს გაბატონებულ და უკანა რიგის წარმოდგენებზე დაყრდნობით.

მაგრამ შეიძლება სხვა მიმართულება მიეცეს საკითხს, თუ მოვიგონებთ, რომ ვუნდტი-ს თავისებურად ესმის „წინადადების ნაწილი“. ასეთად მას წარმოდგენა მიაჩნია, მართალია სიტყვის-წარმოდგენა (**Wortvorstellung**), მაგრამ მაინც წარმოდგენა. ვუნდტი-ს იმას იკვლევს, თუ რა მიმართებაშია ცნობიერების ნათელ წერტილთან ესა თუ ის წარმოდგენა, რამდენად ახლოა თუ შორს მისგან; ენობრივი საშუალებანი: სიტყვათა თანამიმდევრობა, მახვილი, ტონური მოდულაცია გამოყენებულია იმისათვის, რომ ცნობიერებაში წარმოდგენათა ვითარება იქნეს გათვალისწინებული. წარმოდგენებზე დაყრდნობით კი არ ეძიებს ვუნდტი წინადადების ნაწილებს, სიტყვებს, პირიქით, სიტყვების საშუალებით — წარმოდგენებს.

თუ ეს ასე იქნებოდა, ცხადია, ვუნდტი-ს ვერ ვუსაყვედურებდით: წინადადების ნაწილთათვის დასაყრდენად გამოსადეგი ფსიქოლოგიური ბაზა ვერ მოძებნაო, მაგრამ ამით ვუნდტი-ს მდგომარეობა სრულიადაც არ გაუმჯობესდებოდა, რადგანაც:

1. ამით იქნებოდა ნათქვამი, რომ ვუნდტი-ს სულ არ იძლევა პასუხს კითხვაზე: რა ნაწილები აქვს წინადადებას და როგორ უნდა განისაზღვროს ეს ნაწილები.

2. თუ წინადადების ნაწილებად წარმოდგენები მოგვევლინება, ცხადია, წინადადება ფსიქოლოგიური ცნება ყოფილა და არა ენათმეცნიერული; ამის მთქმელ ვუნდტი-ს წინააღმდეგებოდა ის ვუნდტი, რომელიც ამბობდა: წინადადება არის ენობრივი გამოხატულებაო.

ასე რომ: **ან ვუნდტი-ს სულ არ იძლევა პასუხს წინადადების ნაწილების შესახებ, ანდა ეს პასუხი წინადადების ენობრივი ბუნების გარკვევისათვის სრულიად გამოუსადეგარია.**

¹ ჩვენ გვგონია, რომ ვუნდტი-ს „პასუხს არ იძლევა, მაგრამ მეორე შესაძლებლობის განხილვაც საჭიროდ ჩავთვალეთ „ყოველი შემთხვევისათვის“. რადგანაც ვუნდტი-ს ნააზრვის ჩვეულებრივი ბუნდოვანება აქაც იჩენს თავს, თან „გაბატონებულ და უკანა რიგის წარმოდგენათა“ ურთიერთობა საკმაოდ არ არის გაშუქებული. ამ მხრივ საინტერესოა ზოგი რამ: პაულ ი. მაგალ., კითხვას სვამს: რა უნდა ვიგულისხმოთ გაბატონებული წარმოდგენის ქვეშ, ფსიქოლოგიური სუბიექტი თუ პრედიკატიო (**Prinzipien**. გვ. 124, შენ. 1); ზიუტერლინს, როგორც ჩანს, გაბატონებული წარმოდგენა ფსიქოლოგიურ სუბიექტად მიუჩნევია და ამის მიხედვით სათანადო დასკვნები გაუკეთებია... როზვადოვსკი ამაზე შენიშნავს: „ვუნდტი-ს შეხედულება ფსიქოლოგიური სუბიექტ-პრედიკატის შესახებ ზიუტერლინს ვერ გაუგიაო“ (იხ. **R o z w a d o w s k i, Wortbildung**, გვ. 66).

ვ უ ნ დ ტ ი ამბობდა: „როცა საკითხი ისმის წინადადების რაობის შესახებ, საქმე შეიძლება მხოლოდ მის ენობრივ ბუნებას შეეხებოდესო“ (Völkerpsychol., II, 237). ეს მართებული პრინციპი, პირველ ყოვლისა, ვ უ ნ დ ტ მ ა დაივიწყა: მისი განსაზღვრება წინადადებისა, წინადადების ნაწილების ძიება ამის ნათელი ილუსტრაციაა.

35. ვ უ ნ დ ტ ი ს შეხედულების ნიადაგზე დგანან, მაგალ., ენათმეცნიერი რ ო ზ ვ ა დ ო ვ ს კ ი და ენის ფსიქოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი დ ი ტ რ ი ხ ი. რ ო ზ ვ ა დ ო ვ ს კ ი წინადადებას ასე განსაზღვრავს: „წინადადება არის ენობრივი გამოხატულება მთლიანი წარმოდგენის ორნაწევროვანი აპერცეფციისა“ ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ: „წინადადება არის ენობრივი შედეგი მთლიანი წარმოდგენის ბინარული აპერცეფციული დაშლისა გაიგივებულსა და განსხვავებულ წევრად, რომელთაგანაც მეორე დაისმის მიმართებაში პირველთან“.¹ რ ო ზ ვ ა დ ო ვ ს კ ი თვითონ შენიშნავს, რომ ვუნდტისეული განსაზღვრებისაგან მისი მხოლოდ იმით განირჩევა, რომ მასში ორწევრიანობის ცნებაა შემოტანილიო (Wortbildung, გვ. 81, შენიშ. 1). წინადადების ნაწილად კი რ ო ზ ვ ა დ ო ვ ს კ ი ს გაბატონებული წარმოდგენა არ მიაჩნია. დ ი ტ რ ი ხ ი ს ა თ ვ ი ს წინადადება არის „მოდულატორულად დამთავრებული ბგერობა, რომლითაც მსმენელს საბაზი ეძლევა სცადოს მნიშვნელობითის ვითარების შედარებით დამთავრებული აპერცეფციული (მიმართებადი) დანაწევრება“.²

¹ "Der Satz ist der sprachliche Ausdruck der zweigliedrigen Apperzeption einer Gesamtvorstellung... oder anders gesagt: Der Satz ist das sprachliche Resultat der binären apperzeptiven Zerlegung einer Gesamtvorstellung in ein identifiziertes und ein unterschiedenes Glied, von denen das zweite auf das erste bezogen wird": R o z w a d o w s k i, Wortbildung, გვ. 81.

² "Ein Satz ist modulatorisch abgeschlossene Lautung, wodurch der Hörende veranlasst wird, eine vom Sprechenden als richtig anerkennbare, relativ abgeschlossene apperzeptive (beziehende) Gliederung eines Bedeutungstatbestandes zu versuchen": მოგვყავს ეს განსაზღვრება ვ უ ნ დ ტ ი ს მიხედვით (Völkerpsych., II, 248, შენიშ. 1), რადგანაც დ ი ტ რ ი ხ ი ს არც "Grundzüge der Sprachpsychologie", არც მისი წერილი Philosoph. Studien-ში "Die sprachwissenschaftliche Definition der Begriffe Satz und Syntax" ხელთ არ გვქონდა. რაც შეეხება უფრო გვიან (1913 წ.) გამოსულ "Probleme der Sprachpsychologie"-ს, მასში მეტის დეტალიზაციით არის წარმოდგენილი დ ი ტ რ ი ხ ი ს შემოხსენებული განსაზღვრება; სახელდობრ: "Ein Satz ist ein modulatorisch abgeschlossenes Ausdruckszeichen, wodurch der Empfänger einer sprachlichen Mitteilung (kurz: der Angesprochene) veranlasst wird eine vom Sprachenden als richtig anerkennbare relativ abgeschlossene subjektiv-prädikatische Gliederung eines Bedeutungstatbestandes zu versuchen" (გვ. 20).

პ ა უ ლ ი ს თანამოაზრეები ჩანან ენათმეცნიერები: ზ ი უ ტ ე რ - ლ ი ნ ი და ვ ე გ ე ნ ე რ ი. როგორც ვ უ ნ დ ტ ი ს გადმოცემიდან ჩანს, ზ ი უ ტ ე რ ლ ი ნ ი ს აზრით წინადადება არის „დანაწევრებულს ბგერებში წარმოებულნი გამოხატვა წარმოდგენისა, წარმოდგენითი მასისა ანდა ორი წარმოდგენის, ორი წარმოდგენითი მასის შეკავშირებისა, რომელიც მეტყველსა და მსმენელს ევლინება, როგორც ურთიერთთან დაკავშირებული და დ ა მ თ ა ვ რ ე ბ უ ლ ი მთლიანობა“.¹ ვ უ ნ დ ტ ი ამასთანავე დასძენს: ამ განსაზღვრების თანახმად წინადადების ნიმუშად მოყვანილიაო: **ეი! – კარლო! – ბავშვს სძინავს.** რ ო ზ ვ ა დ ო ვ ს კ ი ს ა გ ა ნ კ ი ჩვენ გტყობილობთ, რომ ფსიქოლოგიური სუბიექტი, პრედიკატი ზ ი უ ტ ე რ - ლ ი ნ ს ა ც, ვ ე გ ე ნ ე რ ს ა ც ისევე ესმით, როგორც პ ა უ ლ ს ა და გ ა ბ ე ლ ე ნ ც ს (R o z w a d o w s k i, Wortbildung, გვ. 66), თუმცა ვ ე გ ე ნ ე რ ი ამ ტერმინებს არ ხმარობსო (W u n d t, Völkerpsychol. II, 268, შენიშ.).

„სინტაქსის შესავლის“ ავტორი ბ ლ ი უ მ ე ლ ი წინადადების შესახებ ამბობს, რომ იგი წარმოდგება „1. ყველაზე ხშირად — შეკავშირებით [წარმოდგენათა],... 2. უფრო იშვიათად — მთლიანი ერთეულის დანაწევრებით... 3. აგრეთვე ცალკე შემადგენელი ნაწილების თანდათანობითის გაგების საშუალებით, რომელ ნაწილთაგან ყოველი უკვე გაგებულია, როგორც მიმართებაში მყოფი“.²

ამრიგად, ბ ლ ი უ მ ე ლ ი ნაწილობრივ ვ უ ნ დ ტ ი ს მიმდევარია, უფრო მაინც პ ა უ ლ ს ემხრობა; პ ა უ ლ ი ს ძლიერი ზეგავლენის შესახებ თვითვე ლაპარაკობს;³ სუბიექტისა და პრედიკატის გაგებაშიც პ ა უ ლ თ ა ნ არის.⁴ ერთის სიტყვით, პირწავარდნილი ფსიქოლოგისტია. ეს გარემოება კი მეტად საგულისხმოა, თუ მოვიგონებთ, რომ სინტაქსის საგნის გაგებაში იგი რ ი ს ს ემხრობა და მის სისტემას იზიარებს; ეს ნათლად ჩანს მისი „შესავლის“ პირველი გვერდიდანვე.⁵ რ ი ს მ ა ახალი შე-

¹ Der Satz ist "der la gegliederter Lautgebung erfoigende Ausdrusk einer Vorstellung, einer Vorstellungsmasse oder auch der Verbindung zweier Vorstellungen oder zweier Vorstellungsmassen, der dem Sprechenden und dem Hörenden als ein zusammenhängendes und abgeschlossenes Ganzes erscheint": Die Deutsche Sprache der Gegenwart, 1900, გვ. 306 (მოგვყავს ვ უ ნ დ ტ ი თ: Völkerpsych., II, 234).

² "Der Satz entsteht somit 1. vielfach durch Verknüpfung... 2. seltener (vielleicht) durch Gliederung eines einheitlichen Ganzen..., 3. durch das Verstehen einzelner Bestandteile nacheinander von denen jeder schon als in Beziehung stehend erfasst wird": B l ü m e l l, გვ. 147, § 536.

³ შდრ.: "H e r m a n n P a u l s Lehre und Werke haben auf meine wissenschaftliche Tätigkeit weitaus am stärksten gewirkt": B l ü m e l l, წინასიტყვაობა.

⁴ შდრ. §§ 12, 13, 14, გვ. 4-5.

⁵ შდრ. §§ 2, 3, 4, გვ. 1-2.

ხედულება დაამყარა სინტაქსის საგნის შესახებ და თავისებური ადგილი მიუჩინა სინტაქსს გრამატიკის სხვა დარგთა შორის. სინტაქსის საგანია — შესიტყვებანი, საერთოდ, და არა მხოლოდ წინადადებანი; სინტაქსი იკვლევს შესიტყვებათა ფორმასა და მნიშვნელობას, — ასე ფიქრობს რ ი ს ი. ბ ლ ი უ მ ე ლ ი ს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ **სინტაქსის საგნის ახალმა გაგებამ არ მოიტანა ახალი მეთოდი**, და რ ი ს ი ს მიერ მოხაზული კვლევის არე ძველი მეთოდით მუშავდება.

36. ზემოთ (იხ. § 21) ნათქვამი იყო: „წინადადების ყოველი განსაზღვრება იქნება ფსიქოლოგისტური, თუ მასში კრიტერიუმად ცნობიერების მოვლენა იქნება წამოყენებული, ესე იგი, თუ ენობრივი გამოხატულების წინადადებად მიჩნევის პირობად არის დასახული ცნობიერების ესა თუ ის მოვლენა, resp. პროცესი გინა აქტი. რანაირი დეტალიზაციაც არ უნდა გავუყეთოთ ამ „ენობრივ გამოხატულებას“, განსაზღვრება ვერ ასცდება ფსიქოლოგიზმის უღელს, თუ *differentia specifica*-ში ფსიქოლოგიური კრიტერიუმის სახით ეს არაენობრივი მომენტი შემოიჭრება“. ამისდა მიხედვით ფსიქოლოგისტებად უნდა იქნენ ცნობილი არა მარტო პ ა ლ - ლ ი ს ა და ვ უ ნ დ ტ ი ს აშკარა მიმდევრები, არამედ ისეთი ენათმეცნიერებიც, როგორცაა კ ე რ ნ ი, ბ რ უ გ მ ა ნ ი, (ზ ი ვ ე რ ს ი), აგრეთვე რუ-სი ენათმეცნიერები: ო ვ ს ი ა ნ ი კ ო - კ უ ლ ი კ ო ვ ს კ ი, ფ ო რ ტ უ ნ ა - ტ ო ვ ი, პ ე შ კ ო ვ ს კ ი, შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი.

37. აი მათი განსაზღვრებანიც:

კ ე რ ნ ი ამბობს: წინადადება რომ სწორად იქნეს განსაზღვრული, „მხედველობაში უნდა მივიღოთ **ფორმაც** (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.), ე. ი. წინადადება განსაზღვროთ, როგორც **აზრი** (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.), გამოხატული ზმნის უღვლილებადი ფორმის შემწეობით“ (იხ. *Педаг. Сб.* 1903, გვ. 446); აზრის ქვეშ ავტორი გულისხმობს ხან აზროვნებითს პროცესს, ხან — აქტს, ხან — მსჯელობას (იქვე, გვ. 442, 443, 445), და თავს იკავებს ამ ფსიქიკურ ოდენობათა უფრო კონკრეტული და ზედმიწევნითი დახასიათებისაგან.¹ ამასაც რომ თავი დავანებოთ, ეს განსაზღვრება უცნაუ-

¹ ავტორის შენიშვნა: „რასაკვირველია, აქ აზრი უნდა იქნეს გაგებული ისეთი ფართო მნიშვნელობით, რომ მის ქვეშ შესაძლებელი იყოს ვიგულისხმობთ ნებისყოფაც. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვიხდებოდა ბრძანებითი კილოთი გადმოცემულ წინადადებათა გამორიცხვაო“ (იქვე, გვ. 446, შენიშ.), აზრის დეფინიციას კი არ წარმოადგენს, არამედ იმის ილუსტრაციას, თუ რა ბუნდოვანი და ფსიქოლოგიურად გაურკვეველი რამ არის ასეთ ენათმეცნიერთა მსჯელობაში „აზრიცა“ და „აზროვნებითი აქტიც“.

რად ისმის: „წინადადება არის აზრი...“(!).¹ საინტერესოა, რომ ცოტა ზემოთ (იქვე, გვ. 445) ავტორი იწუნებს წინადადების ისეთ განსაზღვრებას, რომლის მიხედვითაც „წინადადება არის აზრის სიტყვიერი გამოხატულება“: ზმნის უღვლილებადი ფორმაა თავი და თავიო, და ამიტომ ეს „განსაზღვრება, ვითარცა განსაზღვრება სრულიად უმართებულოა“. კერძო ავიწყდება, რომ მისი განსაზღვრება, „ვითარცა განსაზღვრება“ გაცილებით უფრო უმართებულოა. მართლაცდა, იმ განსაზღვრების ნაკლი, როგორც კერძო სამართლიანად შენიშნავს, იმაში გამოიხატება, რომ მის მიხედვით წინადადებად უნდა მივიჩნიოთ ისეთი შესიტყვებაც, როგორცაა **დამიწის ტრიალი მზის გარშემო**: ესეც ხომ არის აზრის სიტყვიერი გამოხატულება, მაგრამ არ არის წინადადებაო! დიახ, ეს განსაზღვრება ფართოა, ამდენადვე უმართებულო; მაგრამ „ვითარცა განსაზღვრება“ იგი სჯობს კერძო განსაზღვრებას; იქ ის მაინც არის ნათქვამი, რომ წინადადება არის სიტყვიერი გამოხატულება, მაშასადამე, მეტყველებითი ფაქტი, კერძო განსაზღვრება კი გვეუბნება: „წინადადება არის აზრიო“... ესე იგი, განსაზღვრება იმეორებს იმ შეცდომას, რომელიც ლოგიკისტურს გრამატიკებში გვხვდება, და რომლის პრინციპებს ენერგიულად ებრძვის თვით კერძო.

38. ბ რ უ გ მ ა ნ ი გვეუბნება: ზ ი ვ ე რ ს თ ა ნ ერთად (Phonetik გვ. 229) წინადადება ასე შეიძლება განვსაზღვროთ: „წინადადებად ჩვენ მივიჩნევთ აქ (სადაც საქმე ეხება სიტყვისა და წინადადების ურთიერთობას) ყოველს თავისთავადს წართქმულობას (Äusserung), ესე იგი, ყოველს დამთავრებულს ბგერითს მასას, რომელმაც უნდა გამოხატოს მოცემულს კონტექსტში, იქნება ეს საუბრისა თუ საერთოდ მდგომარეობის, გ ა - რ კ ვ ე უ ლ ი ა ზ რ ი (აზრი ან განწყობილება) და რომელიც ამ გარკვეული მნიშვნელობით იქნება გაგებული მსმენელის მიერ“.²

¹ რასაკვირველია, ჩვენ ვემყარებით რუსულ თარგმანს, სადაც წერია: "Придется, для того, чтобы получить правильное определение, принять во внимание и форму, т. е. определить предложение, как мысль, выраженную с помощью спрягаемого глагола" (იქვე, გვ. 446). ეს აღრევა თავიდან აცთენილია მეორე ადგილას, სადაც ვკითხულობთ: „წინადადებას ვუწოდებდეთ იქნება აწი ისეთ შესიტყვებას, რომელშიაც შედის ზმნა, ანდა რომელშიაც იგი შეიძლება ადვილად იქნეს ნაგულისხმებიო“ (იქვე, გვ. 445). ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს აღრევა სისტემატურ ხასიათს არ ატარებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამისდა მიუხედავად ასეთი აღრევა საერთოდ შეუწყნარებელია, მით უფრო განსაზღვრებაში.

² "Man mag also den Ausdruck Satz etwa mit E. S i e v e r s Phonetik⁵ S. 229 so definieren: "Unter einem S a t z wollen wir hier (wo es sich um das Verhältnis von Satz und Wort handelt) eine jede selbständige gesprochene Äusserung verstehen, d. h. eine jede in sich geschlossene Lautmasse, die in einem gegebenen Zusammenhang, sei es der Rede, sei es der Situation überhaupt, einen b e s t i m m t e n S i n n (Gedanken oder Stimmung) zum Ausdruck bringen soll und in diesem bestimmten Sinn von dem Hörer verstanden wird": B r u g m a n n, Syntax, გვ. 2.

ბ რ უ გ მ ა ნ ის შეხედულებისათვის მეტად დამახასიათებელია ამასთანავე ორი რამ:

1. ერთწევრიანი წინადადებანი წარმოდგენილია შორისდებულებით, იმპერატივით, ვოკატივითა და იმპერსონალიებითაო (Syntax, § 8, გვ. 10); და ამის შესატყვისად არა მარტო **კი! არა! მშვენიერია! მიშველეთ! ცეცხლი!** არის წინადადების ფუნქციით აღჭურვილი, არამედ: **ახ! ფუი!** და სხვა ამგვ. (იქვე, § 2, გვ. 1).

2. სუბიექტისა და პრედიკატის შესახებ ნათქვამია, რომ იგინი შეიძლება შედგებოდენ არა მხოლოდ ერთისა, არამედ რამდენისამე სიტყვისაგან (იქვე, § 23, გვ. 42).

ორივე ეს დებულება კანონიერი ლოგიკური დასკვნაა და გამომდინარეობს იმ პრინციპიდან, რომელზედაც ბ რ უ გ მ ა ნ მ ა ააგო წინადადების განსაზღვრება. ჩვენ არას ვიტყვით იმ ფსიქოლოგიური ოდენობის შესახებ, რომელზედაც ბ რ უ გ მ ა ნ მ ა ააგო ცნება-წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ის ეს განსაზღვრება: **აზრი (Sinn; Gedanke oder Stimmung)** ისევე გაურკვეველია, როგორც **კ ე რ ნ ის აზრი**: ორსავე შემთხვევაში **აზრი** ფსიქოლოგიის ტერმინს არ წარმოადგენს, გარკვეული ცნების აღმნიშვნელი როდია; აზრი აქ ყოველდღიურ სიტყვახმარებაში არსებული მნიშვნელობით არის ნახმარი; ამდენადვე **კ ე რ ნ - ბ რ უ გ მ ა ნ ის** შეხედულება მეცნიერული ფსიქოლოგიაში კი არ არის, არამედ მისი ვულგარული სახეობა. სათანადოდ მცირდება მისი ღირსება, შესაფერისად გამრავლებულია ყველა ის ნაკლი, რაც **პ ა უ ლ - ვ უ ნ დ ტ ის** თეორიებს თან ახლდა.

39. მეტს ყურადღებას მოითხოვენ რუს ენათმეცნიერ-ფსიქოლოგისტთა შეხედულებანი. არას ვიტყვით უკრაინელ **პ ო ტ ე ბ ნ ი ა ს** შესახებ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ დამოუკიდებელი განსაზღვრება წინადადებისა მას არ წამოუყენებია; მეორეც იმიტომ, რომ ფსიქოლოგიაში **პ ო ტ ე ბ ნ ი ა ს** ხაზს მიჰყვება მისი მოწაფე **ო ვ ს ი ა ნ ი კ ო - კ უ ლ ი კ ო ვ ს კ ი** და ამ უკანასკნელის სახით საშუალება გვექნება დიდმნიშვნელოვან ფსიქოლოგისტს **პ ო ტ ე ბ ნ ი ა ს ა ც** გავეცნოთ.

ო ვ ს ი ა ნ ი კ ო - კ უ ლ ი კ ო ვ ს კ ი ამბობს: „წინადადება არის სიტყვა ანდა ისეთი მოწესრიგებული და გააზრიანებული შეხამება სიტყვათა, რომელიც დაკავშირებულია აზრის განსაკუთრებულ მოძრაობასთან, რომელიც ცნობილია პრედიკაციის (შესმენილობის) სახელით“ (Руководство, გვ. 36).

„შემასმენელი — ეს არის წინადადების ის ნაწილი, რომელშიაც განსახიერებულია აზრის მაპრედიკირებელი მოძრაობა და მასთან ერთად აღნიშნულია თვით შინაარსი, რომელიც გვევლინება პრედიკაციის საგნად

ანუ მიზნად“ (იქვე, გვ. 37).

„ქვემდებარე არის წინადადების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს იმ მოქმედს, რომელიც წარმოშობს შემასმენლის ლექსიკურს შინაარსში მოცემულს ნიშანს, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, იმ შემოქმედს, რომელსაც მიეწერება შემასმენლის მიერ აღნიშნული მოქმედება“ (იქვე, გვ. 45).

„დამატება არის წინადადების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს საგნებს, რომლებზედაც ვრცელდება შემასმენლით აღნიშნული მოქმედება ანუ რომელიც იმყოფებიან ამა თუ იმ მიმართებებში წინადადების სხვადასხვა ნაწილებთან“ (იქვე, გვ. 46).

როგორც ამ განსაზღვრებათაგან ჩანს, დამატებაც, ქვემდებარეც განსაზღვრულია შემასმენელთან მიმართებაში, შემასმენლისა და წინადადების განსაზღვრებათა საძირკველს კი შეადგენს ცნება პრედიკაციისა ანუ შესმენილობისა. მოხსენებული განსაზღვრებანი ამ ცნებისაკენ მიიმართებიან, ამ ცნებაშია სიმძიმის ცენტრი.

რა არის პრედიკაცია? იგი არ არის ენობრივი კატეგორია, იგი თუმცა თავისებური, მაგრამ მაინც ფსიქოლოგიური კატეგორიაა; პრედიკაცია არის „აზრის **მეტი ძალისხმევის** შეგრძნება, საჭირო იმისათვის, რათა არა მხოლოდ **დავასახელოთ, აღვნიშნოთ**, არამედ ამას გარდა, კიდევ **ვამტკიცოთ** (დადებითად თუ უარყოფითად), ვაპრედიციროთ“.¹ როდის იჩენს ეს მოვლენა თავს? **ო ვ ს ი ა ნ ი კ ო - კ უ ლ ი კ ო ვ ს კ ი** შემდეგს მოგვითხრობს: „როცა მე ვამბობ ან ვფიქრობ: **სითეთრე, თეთრი, ზმაურაიანი, ყინვიანი**, მე მხოლოდ **ვასახელებ, აღვნიშნავ** სათანადო წარმოდგენებს და ვაკლასიფიცირებ მათ (გრამატიკულ კატეგორიათა მიხედვით). ხოლო როცა ვამბობ ან ვფიქრობ... **თეთრად ჩანს... ზმაურობს...**“² მე არა მხოლოდ ვასახელებ ან აღვნიშნავ და ვაკლასიფიცირებ ამ წარმოდგენებს, არამედ კიდევ **ვამტკიცებ** რაღაცას (სულ ერთია, დადებითად თუ უარყოფითად: **არ ჩანს თეთრად, არ ზმაურობს, არ ყინავდა...**). აზრის ეს დანართი მუშაობა ქმნის იმას, რასაც ჩვენ ვუწოდებთ **პრედიკაციას** ან **შესმენილობას**. მას შეიძლება აგრეთვე ვუწოდოთ აზრის მაპრედიცირებელი მოძრაობა ან პრედიკაციის (შესმენილობის) ძალა. ამ მოძრაობას, ამ ძალას შევიცნობთ იმ განსაკუთრებული გონებრივი გრძნობით აზრის მეტი ენერჯისა, მეტი სიცხადისა, მეტი სიმძიმისა, რომელიც თან სდევს ზმნებს, მიმღეობათ და აბსოლუტი-

¹ "Это (ე. ი. პრედიკაცია) – ощущение б о л ь ш е г о у с и л и я м ы с л и , п о т р е б н о г о д л я т о г о , ч т о б ы н е т о ь к о н а з ы в а т ь , о б о з н а ч а т ь , н о к р о м е т o g o е щ е и у т в е р ж д а т ь , п о л о ж и т е л ь н о и л и о т р и ц а т е л ь н о) , п р е д и ц и р о в а т ь " : იქვე, გვ. 33.

² დედანშია აგრეთვე მაგალითები: **белеть, белеющий, шумящий...**, რომელთა გადათარგმნა ისე, რომ საჭირო ფორმა ქართულშიაც შერჩენოდათ, ვერ მოხერხდა.

ვებს“ (იქვე, გვ. 33).

ზმნას, მიმღობას, აბსოლუტივს განა თანაბარი სიძლიერის პრედიკაცია გააჩნიათ? რასაკვირველია, არა. პრედიკაციის ინტენსივობა მეტია, როცა იგი **ზმნურია**, ნაკლებია, როცა მიმღობისა ან აბსოლუტივის ფორმით გვევლინებაო, — გვეუბნება ავტორი (იქვე, გვ. 33). ცხადია, პრედიკაციის ჭეშმარიტი წყარო ზმნა არის, მეტყველების სხვა ნაწილებს ზმნისაგან დაჰყვებათ იგი და ააშკარავებენ ამ თვისებას იმდენად, რამდენადაც მათ შერჩებათ ზმნური თვისებები.

აზრის მაპრედიცირებელი მოძრაობა აუცილებელი პირობაა წინადადების წარმოქმნისათვის, მაგრამ, როგორც ირკვევა, იგი არ არის საკმარისი; იგი „უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს“ (გვ. 34), რაიც მხოლოდ ზმნურ ფორმას შეუძლია: **არა ყოველი პრედიკაცია ქმნის წინადადებას, არამედ მხოლოდ ზმნური პრედიკაციაო**, — გვეუბნება ო ვ ს ი ა ნ ი კ ო - კ უ ლ ი კ ო ვ ს კ ი (გვ. 34). **„ზმნის, ზმნურობის გარეშე არ არსებობს წინადადება“** (იქვე); ჩვენ უნდა მივმართოთ ზმნის გარკვეულ ფორმას, თუ გვინდა მივიღოთ წინადადება.

მაშასადამე, **გზივარ... დაველიოდი... კითხულობდა...** და სხვ. წინადადებები ყოფილა. არა, გვეუბნება ო ვ ს ი ა ნ ი კ ო - კ უ ლ ი კ ო ვ ს კ ი: „მე შემოძლია ოცი ასეთივე ზმნის ფორმა დავასახელო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე ოცი წინადადება ვთქვი (იქვე, გვ. 34), ანდა დავაუღვლო ზმნა: **მიმაქვს, მიგაქვს, მიაქვს...** მაგრამ არც ეს ნიშნავდეს იქნება, რომ მე სათანადო ოდენობის წინადადებანი ვაწარმოე“ (იქვე, გვ. 35). და მერე რატომ? თურმე, არც ზმნის ფორმა იძლევა ყოველთვის საკმაო ინტენსივობის პრედიკაციას, ანუ როგორც ავტორი განმარტავს: წინადადების საწარმოებლად საჭირო ყოფილა აზრის გარკვეული ენერჯია, მაპრედიცირებელი ძალის მინიმუმი, რომელზე ნაკლებს არ შეუძლია შექმნას წინადადება (გვ. 34-35)... თურმე ზმნის ფორმას ესაჭიროება „ხელის შემწყობი ფსიქოლოგიური პირობები“, რომ გამოიწვიოს ჩვენს გონებაში აზრის ის მაპრედიცირებელი მოძრაობა, რომელსაც შეეძლება შექმნას წინადადება, და თუ ეს პირობები არაა, არც წინადადება შეიქმნება (გვ. 35). ო ვ ს ი ა ნ ი კ ო - კ უ ლ ი კ ო ვ ს კ ი გამოსავალს ეძიებს დამატებითს დეტერმინაციაში: „წინადადება უბრალო პრედიკაციის აქტი კი არ არის, არამედ პრედიკაციის გააზრიანებული და მიზანშეწონილი აქტია“ (გვ. 35-36).

40. ო ვ ს ი ა ნ ი კ ო - კ უ ლ ი კ ო ვ ს კ ი ს შეხედულებაში ჩვენ ამჟამად არ გვაინტერესებს ის, რაც არის მასში ტიპური, საერთოდ ფსიქოლოგიზმისთვის დამახასიათებელი. პირიქით, ის, რაც არის კერძობითი, სპეციფიკური.

ასეთია — პრედიკაცია. პირდაპირ უნდა ითქვას: ო ვ ს ი ა ნ ი კ ო - კ უ ლ ი კ ო ვ ს კ ი მ ვერ დაადგინა ის ოდენობა პრედიკაციის ძალისა, რომელიც საკმარისია წინადადებისათვის. არა ჩანს, რატომ არ კმარა პრედიკაციის ის ოდენობა, რომელიც მიმღეობას ან აბსოლუტივს აქვს, წინადადების ჩამოსაყალიბებლად; ზმნა ენობრივად განირჩევა მიმღეობისგან, აბსოლუტივისაგან; ამისათვის არსებობს გარკვეული ნიშანი, მოიპოვება საზომი — წმინდა ენობრივი; მაგრამ ო ვ ს ი ა ნ ი კ ო - კ უ ლ ი კ ო ვ ს კ ი ს შეხედულებაში არ მოიპოვება არავითარი ფსიქოლოგიური საზომი იმისათვის, რომ შეიძლებოდეს თქმა: პრედიკაციის ძალის ამდენი და ამდენი ერთეულია მიმღეობაში, ამდენი — აბსოლუტივში და ამდენი ზმნაში, და წინადადებისთვის არ კმარა ის ოდენობა, რომელიც პირველ ორს აქვსო... ეს კიდევ არაფერი. თუ ფსიქოლოგიურად არა, ენობრივად მაინც დავდებთ ზღვარს აბსოლუტივ-მიმღეობასა და ზმნას შორის და ამ ენობრივი ზღვარის ფსიქოლოგიურ ინტერპრეტაციას შევუდგებით; ეს მეთოდოლოგიურად გაუმართლებელი იქნებოდა,¹ მაგრამ ფაქტობრივად მაინც შესაძლებელია. შეუდარებელი უარესია მდგომარეობა, როცა იძულებული ვხდებით დავადგინოთ: ზმნური პრედიკაციის რაგვარი ოდენობა იძლევა წინადადებას? ანუ: წმინდა ზმნური ფორმა როდის შეიძლება იქცეს წინადადებად და როდის — არა? ამას ო ვ ს ი ა ნ ი კ ო - კ უ ლ ი კ ო ვ ს კ ი არკვევს ასეთი ფრაზებით: „საჭიროა აზრის გარკვეული ენერგია“, „საჭიროა ხელის შემწყობი ფსიქოლოგიური პირობები“, „წინადადება გულისხმობს აზრის აქტივობას, მისი თვითმოქმედების გარკვეულს ხარისხს“ (გვ. 35); ყოველივე ეს სრულიად გაურკვეველი რამ არის, უაღრესად სუბიექტური და ყოველად დაუდგარი ნიშანია; არაფერს შველის ამ მხრივ იმის თქმაც, რომ „პრედიკაციის გააზრიანებული და მიზანშეწონილი აქტია“ წინადადება, რადგანაც ცნება „გააზრიანებულისა“, „მიზანშეწონილისა“, ფსიქოლოგიაში უცნობი და უცხოა.

მაგრამ პრედიკაციისა და ზმნის ურთიერთობა სხვანაირად გაშუქდება, როცა გავიგებთ, რომ შეიძლება პრედიკაცია იყოს გამომხატული ზმნის გარეშე და ისეთი ოდენობითაც კი, რომ წინადადება აწარმოოს: ამოძახილებში **ცეცხლი!** ან **ცისკარი, მეგობრებო, ცისკარი!** (პოლონისკის ლექსიდანაა) გვაქვს თურმე აზრის მაპრედიცირებელი აქტი; ო ვ ს ი ა ნ ი კ ო - კ უ ლ ი კ ო ვ ს კ ი ამბობს: აქ არ არის „ზმნები გარკვეული ლექსიკური მნიშვნელობით, მაგრამ არის **ზმნურობა**, არის ზმნური-პრედიკატული მოძრაობა აზრისა, რომელიც ვრცელდება მოცემულ არსებით სახელებზე,

¹ დაუშვებელი იქნებოდა იმიტომ, რომ ფსიქოლოგისტი ვალდებულია ფსიქიკურზე დაეყრდნოს ენობრივის ახსნისას და არა — პირიქით.

რომელნიც ამ აზრით „გაზმნურდებიან“.¹

ეს ნიშნავს: ზმნა არ ყოფილა არც **საკმარისი**, არც **აუცილებელი** პირობა წინადადებისათვის. სახელსაც შესძლება გარკვეულს კონტექსტში გამოხატოს პრედიკაცია, იქცეს წინადადებად. ამნაირად მივიღეთ ის, რაც ასე ჩვეულებრივია და მოსალოდნელი ფსიქოლოგისტიკისაგან, რომელიც ამბობს: წინადადება არის აზრის აღმნიშვნელი სიტყვა თუ შესიტყვებაო.

თითქოს სხვა გზით მიდიოდა ო ვ ს ი ა ნ ი კ ო - კ უ ლ ი კ ო ვ ს კ ი და მაინც მივიდა ისეთსავე დასკვნამდე, როგორსაც სხვა ფსიქოლოგისტები აკეთებენ. ოღონდ სხვა ტერმინებშია ეს დასკვნა მოცემული: „ზმნურდება არსებითი სახელი სახელობითს ბრუნვაში, როცა მას თან ახლავს აზრის მაპრედიცირებელი აქტი“... (გვ. 42).

სახელი ზმნურდება ("существительное оглаголивается") — აი *suprema ratio* ფსიქოლოგიზმისა ო ვ ს ი ა ნ ი კ ო - კ უ ლ ი კ ო ვ ს კ ი ს სახით. ენობრივი ფაქტის არაენობრივი, უცხო საზომით, ამ შემთხვევაში, პრედიკაციით, გაზომვამ ო ვ ს ი ა ნ ი კ ო - კ უ ლ ი კ ო ვ ს კ ი აიძულა გაეთანაბრებინა სახელი და ზმნა, სახელში აღმოეჩინა ზმნის თვისებები. საჭირო თანამიმდევრობით ჩაატარა გაზომვის ეს პროცედურა ო ვ ს ი ა ნ ი კ ო - კ უ ლ ი კ ო ვ ს კ ი მ და მით ცხადყო ფსიქოლოგიზმის მეთოდოლოგიური სისუსტე: ამდენადვე ფასეულია ჩვენთვის მისი შეხედულება.

41. ფ ო რ ტ უ ნ ა ტ ო ვ ი ს შეხედულებას ჩვენ ვითვალისწინებთ მისი წერილის მიხედვით: "О преподавании грамматики русского языка в средней школе", რომელიც მოხსენებდა იყო წაკითხული 27.XII.1903 წ. სამხედრო სასწავლებელთა რუსული ენის მასწავლებლების ყრილობაზე.

ჩვენ გვგონია, რომ ფ ო რ ტ უ ნ ა ტ ო ვ ი ს შეხედულების ძირითადი წინამძღვარი მოცემულია წერილის იმ ადგილში, სადაც ნათქვამია, რომ ენის სხვადასხვა ფორმათა მნიშვნელობის შესწავლა ნიშნავს მეტყველების მიმართების გათვალისწინებას აზროვნებასთან, და ეს კი სინტაქსის საქმეაო.² უნდა ვიფიქროთ, ამიტომ ხდება ის, რომ წინადადების შესახებ

¹ "Глаголов нет в смысле определенного лексического значения, но есть глагольность, есть глагольно-предикативное движение мысли, распространяющееся на данные существительные, которые в этом смысле «оглаголиваются»: იქვე, გვ. 42.

² ფ ო რ ტ უ რ ა ნ ტ ო ვ ი ამაზე ლაპარაკობს უფროს კლასებში გრამატიკის სწავლების საკითხთან დაკავშირებით; სათანადო ადგილი ასეთია: "При преподавании русской грамматики в старших классах учащиеся получают более полное знакомство с звуковой стороной русского языка... и главное внимание учащихся сосредоточивается на значениях, принадлежащих различным формам языка, и, следовательно, на отношении языка к мышлению; поэтому в преподавании русской грамматики в старших классах школы особенно видное место должен иметь отдел синтаксиса" (იხ. Преп. грам., ПФВ, გვ. 58, ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

მსჯელობას ავტორი იწყებს არა შესიტყვებათა ზოგადი ანალიზით, როგორც ეს მისგან მოსალოდნელი იყო, არამედ იმ ფსიქოლოგიური ოდენობის რკვევა-ძიებით, რომელიც წინადადებას საფუძვლად უდევს; და მხოლოდ შემდეგ იხილავს წინადადებას, ვითარცა მეტყველების ფაქტს და აკეთებს დასკვნებს ფსიქოლოგიურისა და მეტყველებითი ერთეულების ურთიერთობის შესახებ. ეს სრულიად ბუნებრივია: მიმართება გულისხმობს მიმართების წევრებს, და თვით მიმართების რაობის გაგება შეუძლებელია ამ წევრთა შესწავლის გარეშე.

ფორტუნატოვის მსჯელობაში აზრთა მსგელობა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ. სასკოლო გრამატიკაო, ამბობს იგი, უშვებს სამ ძირითად შეცთომას: პირველი — „აღრევა ბგერისა და ასოსი, მეორე — აღრევა ისტორიულად არსებული ფაქტებისა ამჟამად არსებულ ფაქტებთან და მესამე — „აღრევა ცალკე სიტყვათა თუ შესიტყვებათა კლასებისა იმის კლასებთან, რაც აღინიშნება ან გამოიხატება ცალკე სიტყვებითა თუ შესიტყვებით“ (იხ. *Преп. грам., РФВ*, გვ. 64). „ასეთ აღრევაზეა დამყარებული ის განსაზღვრებანიც, რომელთაც იძლევა სასკოლო გრამატიკა მეტყველების ცალკე ნაწილებისათვის; ასევე არეულია სიტყვათა და შესიტყვებათა გრამატიკული და არაგრამატიკული კლასები სასკოლო გრამატიკის მოძღვრებაში წინადადებისა და მისი ნაწილების შესახებ“ (იქვე, გვ. 64-65). როგორ უნდა გავიგოთ წინადადება? სასკოლო გრამატიკათა შეცთომებს მეცნიერულს გრამატიკაში არ ვხვდებით, მაგრამ ამ საკითხის გარშემო აზრთა თუნდაც დაახლოებით სრული თანხმობა ჯერაც არ არის მიღწეულიო, ამბობს ფორტუნატოვი. ეს აიხსნება იმით, რომ წინადადების განსაზღვრის საკითხი დაკავშირებულია მთელ რიგ საკითხებთან, რომელნიც წამოიჭრებიან ხოლმე ჩვენი აზროვნების შესწავლისას. არსებობს ერთი ზოგადი და ამიტომ გაურკვეველი განსაზღვრება წინადადებისა, რომლის მიხედვით წინადადება მეტყველებაში (*предложение в речи*) წარმოადგენს მთლიანი აზრის გამოხატულებას სიტყვაში ან სიტყვებში. ამ განსაზღვრებაზე შეიძლება შეთანხმდენ სხვადასხვა შეხედულების წარმომადგენელიო (იქვე, გვ. 65).

ფორტუნატოვი ამ ზოგადი განსაზღვრებიდან გამოდის; იგი იწყებს იმ აზრ-ცნების დეტალიზაციით, რომელიც საფუძვლად უდევს განსაზღვრებას. შედგენილობის მხრივ ამ აზრში ფორტუნატოვი ვარაუდობს ორ ნაწილს, რომელთაგან თითოეული შეიძლება იყოს რთულიც, და მიმართებას ამ ნაწილთა შორის (იქვე, გვ. 65-66); ეს ნაწილები წარმოადგენებია (იქვე, გვ. 66). აზრი ფორტუნატოვის ესმის, როგორც პროცესი, როგორც აზროვნების აქტი, აგრეთვე, რამდენადაც საქმე ეხება მეტყველებაში აზრის გამოხატვას, თვით პროცესის შედეგიც (იქვე, გვ. 66). რაში მდგომარეობს ეს პროცესი? „აზრის ის პროცესი, რომელიც

გამოხატება მეტყველებითს წინადადებაში (предложение в речи) მდგომარეობს იმაში, რომ წარმოდგენათა მოცემულს შეხამებაში ჯერ გამოიყოფა ერთი ნაწილი, ამ აზრის პირველი ნაწილი, რომელიც თვითონ შეიძლება იყოს რთული და რომელიც შეიცავს აზრის პირველი საგნის წარმოდგენას, შემდეგ — მეორე ნაწილი, რომელიც აგრეთვე თვითონ შეიძლება იყოს რთული და რომელიც შეიცავს იმავე აზრის მეორე საგნის წარმოდგენას, და, ვითარცა მთლიანი აზრის მესამე ელემენტი, გამოიყოფა შეგნება კავშირისა ან კავშირის არარსებობისა აზრის ამ ორ საგანს შორის“ (იქვე, გვ. 66). ასეთი აზრი ფსიქოლოგიურ მსჯელობად იწოდება (გვ. 67). „ფსიქოლოგიური მსჯელობა, მაშასადამე, შეიცავს სამ ელემენტს, მაგრამ როცა ფსიქოლოგიური მსჯელობა მეტყველებაში გადმოიციმის, თუნდაც ეს გადმოციმეა სრულიც იყოს, შეგნება კავშირისა წარმოდგენათა შორის, რომელნიც მსჯელობის ცალკე ნაწილებს წარმოადგენენ, რასაკვირველია, არ შეიძლება იქნეს გადმოციმული ცალკე და შედის ერთ-ერთი ნაწილის გამოხატულებაში. ამიტომაც, — ამბობს ფორტუნათოვი, — ფსიქოლოგიურს მსჯელობაშიაც, რამდენადაც მას ვიხილავთ მის მიმართებაში მის გამოხატულებასთან მეტყველებაში, ჩვენ შეიძლება გავარჩიოთ ორი ელემენტი: ფსიქოლოგიური მსჯელობის პირველი ნაწილი და მეორე მის იმ მიმართებაში პირველ ნაწილთან, რომელსაც აზრი ააშკარავებს“ (იქვე, გვ. 67-68). ამას მოსდევს მსჯელობისა და წინადადების ნაწილთა ასეთი კვალიფიკაცია: „ფსიქოლოგიური მსჯელობის მეორე ნაწილი მის მიმართებაში პირველ ნაწილთან შეიძლება იწოდოს ფსიქოლოგიურ შემასმენლად, ხოლო პირველი, რომელიც ნავარაუდევია ასეთი მეორე ნაწილის მიერ, — ფსიქოლოგიურ ქვემდებარედ იმისდა შესატყვისად, რომ ფსიქოლოგიური მსჯელობის ნაწილთა გამოხატულებას მეტყველებაში შეადგენენ ეგრეთ წოდებული ქვემდებარე და შემასმენელი წინადადებაში იმ შემთხვევებში, სადაც... ეს ნაწილები შეიძლება იქნენ გარჩეული მეტყველებაში“ (იქვე, გვ. 68).

ფსიქოლოგიურ მსჯელობასთან დაკავშირებით წყდება საკითხი სრულ და უსრულ წინადადებათა შესახებ. სრულს წინადადებაში მსჯელობის ყოველი ნაწილი აღნიშნულია სათანადო სიტყვით, არაფერია ნაგულისხმევი, ხოლო უსრული წინადადება არის „ისეთი ფსიქოლოგიური მსჯელობის გამოხატულება, რომელშიაც მისი შემადგენელი ორი ნაწილისაგან მხოლოდ ერთი შეიცავს სიტყვის ან სიტყვათა წარმოდგენებს, მაშინ როდესაც მეორე ნაწილს არ გააჩნია სიტყვიერი წარმოდგენა და შედგება აზრის საგნის ან მისი ნაწილის უშუალო წარმოდგენისაგან“ (იქვე, გვ. 68). ამისდა კვალობაზე ირკვევა, რომ სიტყვა **ხანძარი** არა თუ გარკვეული აფექტის ზეგავლენით წამოძახებული, არამედ დამშვიდებულ საუბარშიაც შეიძლება იყოს ხანძარი, როგორც უსრული წინადადება: იგი აღნიშნავდეს იქნება ფსიქოლოგიურ შემასმენელს, ხოლო ფსიქოლოგიური ქვემდებარის როლში

თვით ხანძრის წარმოდგენა იქნებოდა. ისეთი სიტყვებიც, თურმე, როგორცაა **სახლი, ლამფა, ხე, ფრინველი** „შეიძლება, მოგვევლინოს მეტყველებაში წინადადებად, სახელდობრ, უსრულ წინადადებად“ (იქვე, გვ. 68-69).

42. ფსიქოლოგიური მხარის განხილვას მოსდევს ენობრივის ანალიზი. იგი იწყება შესიტყვების განსაზღვრებით: „შესიტყვებას მეტყველებაში მე ვუწოდებ იმ მთლიანს მნიშვნელობის მიხედვით, რომელიც იწარმოება ერთი სრული სიტყვის (და არა ნაწილაკის) მეორე სრულ სიტყვასთან შეხამებით, იქნება იგი მთლიანი ფსიქოლოგიური მსჯელობის თუ მისი ნაწილის გამოხატულება“ (გვ. 69). როგორია შესიტყვების შედგენილობა? „ყოველს შესიტყვებაში განირჩევა მნიშვნელობის მიხედვით ორი ნაწილი: დამოკიდებული, არათავისთავადი და დამოუკიდებელი, თავისთავადი; შესიტყვებაში აზრის საგანი ამ ორი ნაწილისაგან ერთ-ერთში აღინიშნება, როგორც გარკვეულს მიმართებაში მყოფი აზრის საგანთან შესიტყვების მეორე ნაწილში“ (გვ. 69).

რა მიმართებაში იმყოფება წინადადება შესიტყვებასთან? ფორტუნატოვი ასხვავებს სრულსა და უსრულს წინადადებათ; უსრული წინადადების განსაზღვრება უკვე იყო ზევით მოცემული; სრულ წინადადებას კი იგი ასე განსაზღვრავს: „სრული წინადადება მეტყველებაში გამოხატავს ისეთ ფსიქოლოგიურ მსჯელობას ანუ წინადადებას აზრში (предложение в мысли), რომელსაც ორსავე ნაწილში აქვს სიტყვათა წარმოდგენები“ (გვ. 70). აქვე მოცემულია პასუხი ზემოთ დასმულ კითხვაზე: „რუსულს ენაში სრული წინადადება ჩვეულებრივად შეიცავს ერთ სიტყვას კი არა, არამედ შესიტყვებას, თუმცა **გარკვეულს პირობებში შეიძლება შედგებოდეს ერთი სიტყვისაგანაც** (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.), მაგალითად, უპიროვნო **თენდება, ყინავს**, განუსაზღვრელი პიროვნებითი **რეკავენ** და სხვ. (გვ. 70). თუ, ერთის მხრით, სრული წინადადება გადმოიცემა ერთი სიტყვითაც, მეორე მხრით, უსრული წინადადება შეიძლება აღინიშნოს შესიტყვებით: „უსრული წინადადება შეიძლება შეიცავდეს არა მხოლოდ ცალკე სიტყვას, არამედ შესიტყვებასაც, როგორც ნაწილს ფსიქოლოგიური მსჯელობისა ანუ მთელი წინადადებისა აზრში. მაგალითად, **მფრინავი ფრინველი** ანდა **ფრინველი ფრენს**“¹ კი **შეიძლება ინმარებოდეს სრულს მეტყველებაში, როგორც უსრული წინადადებაც** (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.), მსგავსად, მაგალითად, ცალკე სიტყვისა **ფრინველი**“ (გვ. 70). ეს მაშინ ხდება, თუ შესიტყვება **ფრინველი ფრენს** ფსიქოლოგიური მსჯელობის ნაწილს გამოხატავს.¹

¹ შლრ. იქვე, გვ. 74: ...словосочетание, являющееся по образованию грамматическим предложением, может употребляться в речи и как неполное предложение, выражающее лишь одну часть психологического суждения”.

როგორ წარმოუდგენია წინადადების ნაწილები ფორტუნატოვს? იგი უწინარეს ყოვლისა ქვემდებარესა და შემასმენელს გამოყოფს. ქვემდებარის განსაზღვრება დამყარებულია შემასმენლის განსაზღვრებაზე, შემასმენლის განსაზღვრება კი ასეთი სახისაა: „გრამატიკული შემასმენელი ისეთი სიტყვაა ან სიტყვათა შეერთება, რომელშიაც ენის ფორმა აღნიშნავს აზრის მოცემულს საგანს აზრის მიერ გამოაშკარავებულს შეხამებაში მეორე საგანთან“ (გვ. 71-72).¹ „გრამატიკული ქვემდებარე კი არის სიტყვა, რომელსაც უერთდება, რომელსაც მიეკუთვნება შესიტყვებაში გრამატიკული შემასმენელი“ (გვ. 71).²

გრამატიკულ შემასმენლად რუსულში არის ზმნა უღვლილების ფორმებში, მაგრამ ზმნას გრამატიკულ შემასმენლად ხდის თურმე პირის ფორმები კი არა, არამედ დროისა და კილოს ფორმები (გვ. 72), სწორედ ამ ფორმებს უწოდებს ფორტუნატოვი შესმენილობის ფორმებს (იქვე). ამას ფორტუნატოვი ასე ასაბუთებს: „პირის ფორმებით ზმნაში აღინიშნება მოქმედება ანუ მდგომარეობა მის მიმართებაში გარკვეულ პირთან, რომელიც წარმოშობს მოქმედებას ან მატარებელია მდგომარეობისა, მაგრამ არ აღინიშნება ის, რომ ასეთი მიმართება მოქმედებისა ან მდგომარეობისა აშკარავდება აზრის მიერ (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.), [ასეთი მიმართება] რომ არ არის მოცემული აზრის საგანში“ (გვ. 72).³

გრამატიკული ქვემდებარე და შემასმენელი ყოველთვის როდი გადმოგვცემს ფსიქოლოგიურ სუბიექტსა და პრედიკატს: ამდენადვე გრამატიკული და ფსიქოლოგიური ანალიზი ერთგვარ შედეგებს როდი იძლევა. ასე, მაგალითად, შესიტყვება: *NN მოვიდა მოსკოვიდან* გრამატიკული წინადადებაა, რომელშიაც *მოსკოვიდან* არის არამთავარი ნაწილი, დაკავშირებული გრამატიკულ შემასმენელთან *მოვიდა*; იმ ფსიქოლოგიურს მსჯელობაში კი, რომელიც ამ წინადადებით არის გადმოცემული, „შემასმენლად შეიძლება იყოს სიტყვის წარმოდგენა *მოსკოვიდან*, წარმოდგენა შესიტყვებისა კი *NN მოვიდა* შეიძლება შეადგენდეს ფსიქოლოგიური მსჯელობის ქვემდე-

¹ "...грамматическое сказуемое – такое слово или такое соединение слов, в котором формой языка обозначен данный предмет мысли в открываемом мыслью сочетании его с другим предметом". განსაზღვრების სიმძიმე რუსულადაც არა ნაკლებია ქართულ თარგმანთან შედარებით.

² "...грамматическим подлежащим является слово, с которым соединяется, к которому относится в словосочетании грамматическое сказуемое"...

³ "Формы, делающие глагол грамматическим сказуемым, не формы лица сами по себе; формами лица в глаголе обозначается действие или состояние в отношении к себе; известному лицу, как производителю действия или носителю состояния, но не обозначается то, что такое отношение действия или состояния открывается мыслью, не дано в предмете мысли".

ბარეს, რამდენადაც *NN*-ის საიდანადაც მოსვლის თვით ფაქტი უკვე ცნობილი იყო“ (გვ. 74)... აგრეთვე: შესიტყვებანი **მოვიდა NN, ფრენს ფრინველი** შეიძლება ვიხმართ მეტყველებაში, როგორც გამოხატულება ისეთ ფსიქოლოგიურ მსჯელობათა, რომლებშიაც ქვემდებარებად იქნებიან წარმოდგენანი სიტყვათა **მოვიდა, ფრენს**, შემასმენლებად კი — წარმოდგენანი სიტყვათა *NN, ფრინველი* (გვ. 74). ამიტომაც. „გრამატიკულ წინადადებათა გრამატიკული ანალიზი სასტიკად უნდა იქნეს განსხვავებული იმ მსჯელობათა ანუ აზრში წინადადებათა ფსიქოლოგიური ანალიზისაგან, რომელნიც გამოიხატვიან მეტყველებაში გრამატიკულ წინადადებებში“ (გვ. 75).

ამას გარდა ფორტუნათოვი აღნიშნავს, რომ მსჯელობის ნაწილთა თანამიმდევრობის მიხედვით წინადადების ნაწილთა თანამიმდევრობა არ შეიძლება იქნეს გათვალისწინებული: „ფსიქოლოგიურ მსჯელობაში ანუ წინადადების აზრში... ქვემდებარე შეადგენს პირველს ნაწილს, შემასმენელი — მეორე ნაწილს, პირველის მომდევნოს, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს უფლება აქედან გავაკეთოთ დასკვნა სიტყვათა განრიგების შესახებ სრულს წინადადებებში მეტყველებისა“... (გვ. 76-77).

43. ამრიგად, ფორტუნათოვის შეხედულების ხერხემალს ქმნის შემდეგი დებულებები:

1. წინადადება ფსიქოლოგიური მსჯელობის გამოხატულებაა. ფსიქოლოგიური მსჯელობის შედგენილობაც, პროცესუალური რაობაც (არსებითად) პაულისებურია; წინადადებაში მესამე ნაწილად მიმართების შემოტანა აგრეთვე პაულს მოგვაგონებს (იხ. ზემოთ, გვ. 49).

2. წინადადების ნაწილები ფსიქოლოგიური მსჯელობის ნაწილების გამოხატულება არ არის და ვერც იქნება: გრამატიკული ქვემდებარე შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური შემასმენელი (პრედიკატი), გრამატიკული შემასმენელი — ფსიქოლოგიური ქვემდებარე (სუბიექტი) და — პირიქით. ფსიქოლოგიური სუბიექტ-პრედიკატის თანამიმდევრობა სრულებით არ განსაზღვრავს სიტყვათა თანამიმდევრობას წინადადებაში.

3. ქვემდებარის განსაზღვრება ემყარება შემასმენლის განსაზღვრებას; არც პირველი და არც მეორე არ განისაზღვრება ფსიქოლოგიურ ცნებებზე (კერძოდ, სუბიექტ-პრედიკატზე) დაყრდნობით. შესმენილობის ფორმებად მიჩნეულია დროისა და კილოს ფორმა ზმნაში.

ერთი სიტყვით, შეხედულების პირველი ნაწილი წმინდა ფსიქოლოგისტურია, დანარჩენი წარმოადგენს ცდას ფსიქოლოგიზმისაგან განთავისუფლებისა.

შეხედულების ფსიქოლოგიური ბაზა განსაზღვრავს ძირითადი შეცთომის აუცილებლობას. ცალკე სიტყვა (სახელიც კი: **ხანძარი, ფრინველი...**)

შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს წინადადებად (უსრულად), თუ იგი გამოხატავს ფსიქოლოგიურს მსჯელობას; პირიქით, შესიტყვება (ისეთიც კი, როგორცაა: **ფრინველი ფრენს...**) შეიძლება არ იყოს წინადადება, თუ გამოხატავს მხოლოდ ნაწილს ფსიქოლოგიური მსჯელობისა.

წინადადების ნაწილთა საკითხში ფსიქოლოგიზმი უარყოფილია, მაგრამ არ არის დაძლეული: ეს ნათლად ჩანს იმაში, რომ შესმენილობის ფორმებად დროისა და კილოს ფორმაა მიჩნეული, ესე იგი, არასინტაქსური ფორმები; ხოლო პირის ფორმა, ზმნის ეს ძირითადი სინტაქსური ფორმა, შესმენილობის მხრივ უფლებააყრილია მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არ გვიჩვენებს, რომ „მოქმედებისა თუ მდგომარეობის განკუთვნება გარკვეული პირისადმი აშკარავდება აზრის მიერ“. პირის ფორმა უფლებააყრილია იმისდა მიუხედავად, რომ მისი საშუალებით აღინიშნება „მოქმედება თუ მდგომარეობა მის მიმართებაში გარკვეულს პირთან, როგორც მოქმედების მწარმოებელთან ან მდგომარეობის მატარებელთან“.

ფსიქოლოგიზმი მაინც არ არის განდევნილი ქვემდებარე-შემასმენლის განსაზღვრებათაგან, რამდენადაც იქაც შეიჭრა აზრის მომენტი: „შემასმენელი არის სიტყვა ანუ ისეთი შეერთება სიტყვათა, რომელშიაც ენის ფორმა აღნიშნავს აზრის მოცემულ საგანს **აზრის მიერ გამოაშკარავებულ შეხამებაში სხვა საგანთან**“ (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.). განსაზღვრების ბუნდოვანობა მხოლოდ თუ აძლიერებს ასეთი ფსიქოლოგიზმის სისუსტეს.

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს ფორტუნათვის შეხედულების შემდეგი მომენტი. ზემოთ არაერთხელ შეგვხვდა გამოთქმა: **წინადადება აზრში** (предложение в мысли) მის კორელატად კიდეც — **წინადადება მეტყველებაში** (предложение в речи). რომ ეს გასაგები გახდეს, უნდა მოვიგონოთ ფორტუნათვის შემდეგი სიტყვები: „იმის გამო, რომ მსჯელობა-ტერმინი ძველთაგანვე გარკვეულად იხმარებოდა ლოგიკაში, ზოგიერთი მეცნიერი წინააღმდეგი არის (возражают) ეს ტერმინი გადატანით იქნეს ყოველ აზრზე, რომელიც გამოხატულია წინადადებით მეტყველებაში, მაგრამ ეს არ არის არსებითი საკითხი, იგი ეხება მხოლოდ ტერმინის ხმარებას. მაინც ჩვენ შეგვიძლო გაგვევრცელებინა „წინადადება“-სახელწოდება თვით იმ აზრზედაც, რომელიც გამოიხატვის წინადადებით მეტყველებაში, ესე იგი, შეგვიძლო განგვესხვაგვებინა წინადადებანი აზრში და წინადადებანი მეტყველებაში, ვითარცა აზრის გამოხატულებაში“ (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).¹ მართალია, „წინადადება“-ტერმინიც (ბერძნული πρόταση) აგრეთვე იხმარება ლოგიკაში, სხვათა შორის იმავე აზრით, როგორც მსჯელობა, მაგრამ როგორადაც არ უნდა იყოს, იგი დი-

¹ "Мы можем, впрочем, распространить название "Предложение" и на самую мысль, выражающуюся в предложении в речи, т. е. можем различать предложения в мысли и предложения в речи, как в выражении мысли": გვ. 67.

დი ხანია ცნობილია მეტყველებაში აზრის გამოსახატავადაც“ (Преп. грам., РФВ, გვ. 67).

რა უფლებით შეგვიძლია ჩვენ გავავრცელოთ „წინადადება“ აზრზე-
დაც? ალბათ, იმიტომ, რომ ფორტუნატოვის გაგებით „აზრში,
რომელიც გამოიხატება წინადადებაში, ყოველ შემთხვევაში, მისი ორი ნა-
წილიდან ერთი მაინც შეიცავს სიტყვის წარმოდგენას ან სიტყვათა წარმო-
დგენებს“... (იქვე, გვ. 66). ჩვეულებრივად, ალბათ, ორივე ნაწილი ასეთი
სიტყვის წარმოდგენას შეიცავს. ხოლო თუ კვლავ დავსვამდით კითხვას:
რატომ ხდება ეს ასე? — იძულებული ვიქნებოდით გაგვეთვალისწინებინა
ფორტუნატოვის შეხედულება მეტყველების მიმართების შესახებ
აზროვნებასთან. გავრცელებული შეხედულება: მეტყველება არის საშუალე-
ბა აზრთა გადმოსაცემად, ფორტუნატოვის დამაკმაყოფილებლად არ
მიაჩნია: ასე გამოდის, თითქოს აზრი, რომელიც ამკარავდება მეტყველება-
ში, არსებობს, ვითარდება სიტყვათაგან დამოუკიდებელივ იხვევ, როგორც
გრძნობანი, რომელნიც მართლაც არსებობენ და ვითარდებიან სიტყვათა-
გან დამოუკიდებელივ (იქვე, გვ. 54). უფრო მართებულად ფორტუნა-
ტოვის მიაჩნია ის გაგება, რომლის მიხედვითაც ენა წარმოდგენს
არა მარტო საშუალებას აზრთა გამოსახატავად, არამედ აზროვნების ია-
რალსაც. აქ ის მაინც არის ნაჩვენები, რომ აზროვნება ქმნის თავისთვის
რალსაც ენის საშუალებით, მაგრამ ამით მაინც არ არის ზედმიწევნით
განმარტებული აზროვნების პროცესში ენის მნიშვნელობა; ენა მაინც
რალაც გარეშედ არის მიჩნეული. „სინამდვილეში კი გარკვეული მხრით
ენის მოვლენები თვით განეკუთვნებიან აზრის მოვლენებს. ენა ჩვენს ზეპი-
რი მეტყველების პროცესში... არსებობს იმიტომ, რომ იგი არსებობს ჩვენს
აზროვნებაში; ჩვენს მეტყველებაში სიტყვები უშუალოდ გამოიხატავენ, ააშ-
კარავებენ ისეთ აზრებს, რომელთა შედგენილობაში შედიან წარმოდგენანი
იმავე სიტყვათა, ვითარცა სააზროვნო ნიშანთა..., წარმოდგენანი სიტყვათა,
ე. ი. წარმოშობის მიხედვით წარმოდგენანი კუნთებისა და აკუსტიკურ
შეგრძნებათა, რომელთაც იწვევენ სიტყვების ნათქვამი ან გაგონილი ბგე-
რები; [აი, ეს წარმოდგენანი] არიან აზროვნებაში სხვა წარმოდგენათა მა-
გიერნი, და, ამიტომ, თუ კი გვაქვს სიტყვათა წარმოდგენები, ჩვენ საშუა-
ლება გვეძლევა ვიაზროვნოთ იმის შესახებაც, რაც უშუალოდ სრულიად
არ შეიძლებოდა წარმოგვედგინა ჩვენს აზროვნებაში და ვიაზროვნოთ ისე,
როგორც ვერ ვიაზროვნებდით, სახელდობრ, აზრის საგანთა განზოგადები-
სა და განყენების მხრივ, თუ არ გვექნებოდა აზროვნების ნიშანთა წარმო-
დგენები“ (იქვე, გვ. 55). თავისი აზრის საილუსტრაციოდ ფორტუნა-
ტოვი ამბობს: „საერთოდ **არეს** მე ვერ წარმოვიდგენ ისე, რომ არ გა-
მიჩნდეს წარმოდგენა რომელიმე ინდივიდუალური **არყისა**, რომლის შემად-
გენელი ნაწილები მეტ-ნაკლების სიცხადით წარმომიდგება, მაგრამ **არყ-**

სიტყვის წარმოდგენა ჩემს აზროვნებაში არის წარმოდგენა ზოგადი ნიშნისა ყველა ინდივიდუალური **არყისათვის**“ (იქვე, გვ. 55).

მაშასადამე, საგანთა და თვისებათა ზოგადი წარმოდგენა არ არსებობს: ინდივიდუალური საგნის წარმოდგენა ეწევა მის მაგივრობას, თუ საქმე საგანს შეეხება; ხოლო თუ თვისებას ეხება საქმე, იგი რაიმე საგანთან დაკავშირებით წარმოიდგინება. მათ აღმნიშვნელ სიტყვათა წარმოდგენები კი შესაძლებელიყოფენ „ზოგადის“ წარმოდგენას. აზროვნების დროს ცნობიერებაში ეს სიტყვის წარმოდგენებია. მაშასადამე, აზრი ყოფილა შემდგარი არა საგანთა წარმოდგენებისაგან (ან სხვა რაიმე მოვლენებისა თუ პროცესებისაგან), არამედ სიტყვათა წარმოდგენებისაგან. ასე რომ, ფრაზა **ბალახი მწვანეა** მეტყველებაში წარმოადგენს ორი სიტყვისაგან შემდგარ წინადადებას, აზროვნებაში კი — ამავე სიტყვათა წარმოდგენებს და მათს მიმართებას. ამიტომაც არსებობს **წინადადება მეტყველებაში** და **წინადადება აზრში**. ალბათ, ამიტომვე იყო შესაძლებელი აზრის, ფსიქოლოგიური მსჯელობის სამი ნაწილი ორამდე ყოფილიყო დაყვანილი (იხ. ზემოთ, გვ. 61), როცა გამოირკვა, რომ წინადადებაში მესამე ნაწილი ცალკე არ არსებობს.

ფორტუნატოვის ამ შეხედულებების შესახებ შემდეგი უნდა ითქვას:

1. სიტყვის წარმოდგენა წარმოშობით კუნთებისა და აკუსტიკური შეგრძნებებია; მათ იწვევს სიტყვათა წარმოთქმული და გაგონილი ბგერები. ასე ამბობს თვით ფორტუნატოვი, ყრუ-მუნჯთ ეს არა აქვთ. მაშ, თუ ფორტუნატოვის ლოგიკას გავყევით, იძულებული ვიქნებით დავუშვათ, რომ ყრუ-მუნჯთ აზრიც არ გააჩნიათ, მათს ცხოვრებაში ფსიქოლოგიურს მსჯელობას ადგილი არ ექნება.

2. ავიღოთ უღეფექტო ადამიანი. განა შეიძლება იმის მტკიცება, რომ მას აზროვნების დროს მხოლოდ სიტყვათა წარმოდგენები აქვს? ფორტუნატოვი გვეუბნება: ჩვენს ცნობიერებაში არ მოიპოვება ისეთი სახე, რომელიც წარმოგვიდგენს „საერთოდ არყს“ და არ იყოს ამა თუ იმ ინდივიდუალური **არყის** წარმოდგენა — შემადგენელ ნაწილთა მეტ-ნაკლების სიცხადით, ხოლო **არყ**-სიტყვის წარმოდგენა არის „წარმოდგენა ნიშნისა, რომელიც არის ზოგადი სხვადასხვა არყთათვის“. ეს — ფაქტია. ამ ფაქტიდან ფორტუნატოვიმას დასკვნა გააკეთა, რომ **შეუძლებელია** აზროვნება ამ ინდივიდუალურ სახეზე დაყრდნობით და **აუცილებელია** სიტყვის წარმოდგენა, რომელიც „ზოგადს“ აღნიშნავს. ფსიქოლოგია, რასაკვირველია, ამას ვერ გაიზიარებს. ასეთი **შეუძლებლობა** არ არსებობს: „საერთოდ არყი“ მშვენივრად შეიძლება რეპრეზენტირდებოდეს „ინდივიდუალური არყის“ სახით. ეს სავესებით შესაძლებელია; ეს შესაძლებლობა კი ნიშნავს, რომ არ არსებობს ის აუცილებლობა, რომელზედაც

ფორტუნათოვი მიგვითითებს.

3. ფორტუნათოვი ამაზე შორს არ მიდის თავისი დებულების დასაბუთებისას. მაგრამ ხომ შეიძლებოდა ასე დაგვესვა საკითხი: განა ჩვენ ყოველთვის გვაქვს საყრდენის სახით ინდივიდუალური წარმოდგენა, თუნდაც იმავე არყისა? განა არ არის შემთხვევები, როცა ადგილი არა აქვს ასეთი ინდივიდუალური სახით რეპრეზენტაციას? რასაკვირველია, კი, და განსაკუთრებით ამას ადგილი აქვს მაშინ, როცა საქმე გვაქვს განყენებულ აზროვნებასთან. ასეთ შემთხვევებში ცნობიერების გაანალიზებისას მართლაც მხოლოდ სიტყვის წარმოდგენები შეიძლება შეგვგრძეს ხელში. მაგრამ ჯერ ერთი: ამის გაყოვლადება შეუძლებელია; უთუოდ აქვს მნიშვნელობა საგანს, რომელსაც ეხება აზროვნება, მის სიახლეს, მოაზროვნის ტიპს და სხვ. მეორეცაა, თვით იმ შემთხვევებშიც, როდესაც ეჭვმიუტანლად დადასტურდება, რომ მხოლოდ სიტყვის წარმოდგენები გვქონია, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს სიტყვის წარმოდგენა არ არის პირველადი, იგი სიტყვას განეკუთვნება, სიტყვა კი არის ნიშანი სხვა რაღაცის, სახელდობრ, ცნობიერების ფენომენისა; ამიტომაც არ შეიძლება იგივეობის ნიშანი დავსვათ სიტყვას (და მის წარმოდგენასა) და ცნობიერების ფენომენს შორის, იქნება ეს ფენომენი (ამ შემთხვევაში აზროვნებითი) განცდილი რაიმე თვალსაჩინო წარმოდგენის სახით, თუ სხვაგვარად, ასეთი სახის გარეშე.

4. რეალური საგნის სიტყვით აღნიშვნისას ფსიქიკური კორელატი შეიძლება დროთა ვითარებაში გამოვარდეს: სიტყვა **არყი**ს გაგონებისთანავე გავიგებთ მას ისე, რომ ცნობიერებაში არ გვექნება ინდივიდუალური **არყის** (ან სხვა რამ თვალსაჩინო სახის) რეპრეზენტაცია. თვალსაჩინო სახე საჭირო ყოველთვის არ არის. მაგრამ აქ კითხვა ისმის: თვით სიტყვის-წარმოდგენა განა ყოველთვის არის ცნობიერებაში, თუ ისიც იზიარებს საერთოდ სხვა წარმოდგენათა ბედს და იხიზნება ცნობიერების სფეროდან არაცნობიერში? უნდა ითქვას, რომ მეტი საფუძველი მოიპოვება იმისათვის, რომ ეს სიტყვის-წარმოდგენები არ აღმოჩნდეს ცნობიერებაში, ვინემ იმისათვის, რომ საგნის წარმოდგენა არ მოიძიოს მასში.

ამრიგად: ზოგადი წარმოდგენა შეიძლება გარეპრეზენტდეს ინდივიდუალური სახის საშუალებით; ასეთი ინდივიდუალური სახის არარსებობა არ ანიჭებს თავისთავადობას სიტყვის-წარმოდგენას; საერთო წესის მიხედვით ეს სიტყვის-წარმოდგენებიც შეიძლება ცნობიერებაში არ არსებობდეს; ერთგვარი აზროვნება შესაძლებელია სიტყვის-წარმოდგენათა გარეშეც (ყრუ-მუნჯი). ყოველივე ამის გამო შეუძლებელია აზრის დაშლა სიტყვის-წარმოდგენებად, შეუძლებელია აზრს, ფსიქოლოგიურ მსჯელობას ეწოდოს **„წინადადება აზრში“**. ფორტუნათოვის **წინადადება აზრში** (предложение в мысли) არის შედეგი აღრევისა, — იმის აღრევის, **რაც**

აღნიშნება, იმასთან, **რითაც** აღნიშნება (ზედმიწევნით რომ ვთქვათ: აღსანიშნის აღრევისა აღმნიშვნელთან: არყის **წარმოდგენა**: არყი-**სიტყვა**: არყი-**სიტყვის წარმოდგენა!** — პირველი ირევა მესამეში). ასეთი აღრევა უფრო შეუწყნარებელია, ვინემ ის, რომელსაც ებრძვის ფორტუნატოვი სკოლის გრამატიკებში, რადგანაც სკოლის გრამატიკების შეცთომა ასეთ შემთხვევაში ნათელი და ადვილად მისაკვლევა, ფორტუნატოვის შეცთომა კი არა ადვილად მისაგნები და „ძნად გამოსაწვლილავია“. აღრევის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მეორე ვარიაცია ფორტუნატოვის განსაზღვრებისა, რომელიც დურნოვოს მოჰყავს: წინადადება არის „მსჯელობა მეტყველებაში“, ე. ი. სიტყვიერი გამოხატულება მსჯელობისაო (იხ. **Грам. слов.** გვ. 89). „მსჯელობა მეტყველებაში“ მხარს უმშვენებს „წინადადებას აზრში“, პირველი მეორის შესაფერი კორელატი არის.

ფორტუნატოვი ჩვენს განსაკუთრებულს ყურადღებას იპყრობს; ეს გასაგებია, თუ მოვიგონებთ, რომ ფორტუნატოვი მამათავარია იმ სკოლისა, რომელმაც მთელს გრამატიკას საფუძვლად დაუდო ცნება ფორმისა, დაშალა სიტყვა ნივთიერსა და ფორმალურ ნაწილებად, მორფოლოგიას სიტყვის ფორმის შესწავლა დააკისრა, ხოლო სინტაქსის საგნად შესიტყვებანი, შესიტყვებათა ფორმა დასახა. ეს გვაფიქრებინებდა, რომ საგნის მართებული გაგება მიზნისა და მეთოდის მართებულს გაგებას მოგვიტანდა. იმედი აქაც არ გამართლდა: ახალმა საგანმა ახალი მეთოდი არ მოიტანა. ყოველ შემთხვევაში, ფორტუნატოვის შეხედულების ანალიზი სხვანაირი დასკვნის შესაძლებლობას არ იძლევა.

44. ფორტუნატოვის სკოლიდან გამოსული დურნოვო შემასმენლის განსაზღვრებისას ფორტუნატოვის განსაზღვრების მოდიფიკაციას იძლევა, როცა ამბობს: „გრამატიკული შემასმენელი ანუ შემასმენელი წინადადებისა არის სიტყვა, რომელსაც აქვს ფორმა, რომელიც აღნიშნავს მას, ვითარცა ნიშანს — აზრის მიერ გამოაშკარავებულს დროითს შეხამებაში აზრის თავისთავად საგანთან, რომელიც აღნიშნულია წინადადების ქვემდებარით“.¹ ქვემდებარის შესახებ იგივე დურნოვო გვეუბნება: „გრამატიკული ქვემდებარე ანუ გრამატიკული წინადადების სუბიექტი არის არსებითი სახელის დამოუკიდებელი სახელობითი ბრუნვა,

¹ განსაზღვრება ქართულად მიიმე და ბუნდოვანი გამოდის; რუსულად იგი ასეთის სახისაა "Грамматическое сказуемое или Сказуемое (предикат) предложения - слово, имеющее форму, обозначающую его, как признак в открываемом мыслью сочетании его во времени с самостоятельным предметом мысли, обозначенным подлежащим предложения": **Грам. Слов.**, გვ. 105: **С к а з у е м о е**.

აღმნიშვნელი საგნისა, რომელიც არის წარმომშობი ან მატარებელი ნიშნისა, რომელიც გამოხატულია შემასმენლის მიერ მის — აზრის მიერ გამოაშკარავებულს — შეხამებაში ამ ნიშანთან¹. ქვემდებარის განსაზღვრის მეტოდიც ასევე ფორტუნატოვისეულია; დ უ რ ნ ო ვ ო ც არ ემყარება ფსიქოლოგიურ სუბიექტ-პრედიკატს ქვემდებარე-შემასმენლის განსაზღვრისას ისევე, როგორც ფ ო რ ტ უ ნ ა ტ ო ვ ი. ამისდა მიუხედავად განსაზღვრება მაინც ფსიქოლოგისტურია: ესეც საერთო აქვს დ უ რ ნ ო ვ ო ს ფ ო რ ტ უ ნ ა ტ ო ვ თ ა ნ. ოღონდ ერთი განსხვავება გვეცემა თვალში: ფ ო რ ტ უ ნ ა ტ ო ვ მ ა დამოუკიდებლივ განსაზღვრა შემასმენელი, ქვემდებარის განსაზღვრება კი შემასმენლის განსაზღვრებაზე დააფუძნა. დ უ რ ნ ო ვ ო კი შემასმენლის განსაზღვრისას ქვემდებარეს ეყრდნობა და, პირიქით, ქვემდებარის განსაზღვრისას შემასმენელს. ამდენადვე დეფინიციის წესიც დარღვეულია: თავს იჩენს *circulus vitiosus*-ი. რაც შეეხება წინადადებას, დ უ რ ნ ო ვ ო არ იმეორებს ფ ო რ ტ უ ნ ა ტ ო ვ ს: ჩანს, გაუმართლებელია ფსიქოლოგიურ მსჯელობაზე დაყრდნობა და თქმა: წინადადება ფსიქოლოგიური მსჯელობის გამოხატულებააო. ამიტომაც დ უ რ ნ ო ვ ო წინადადების განსაზღვრისას ფ ო რ ტ უ ნ ა ტ ო ვ ს აღარ მისდევს. მას ასეთი განსაზღვრება მოჰყავს: წინადადება არის „სინტაქსური ერთეული (შესიტყვება ან ცალკე სიტყვა), რომელიც ინტონაციით და სხვა ფორმალური ნიშნებით აღნიშნულია, ვითარცა გარკვეული სახის დამთავრებული მთლიანობა“. ამრიგად, ფ ო რ ტ უ ნ ა ტ ო ვ ი ს ნიადაგზე მდგომი დ უ რ ნ ო ვ ო ც კი არ იღებს წინადადების ფორტუნატოვისეულ განსაზღვრებას.

45. პ ე შ კ ო ვ ს კ ი ს შეხედულებამ ჩვენთვის საინტერესო საკითხში გარკვეული ევოლუცია განიცადა. ამ ევოლუციის შინაარსს ფსიქოლოგიზმის უარყოფა და ახალი გზების ძიება შეადგენს. დაიწყო კი მან ფსიქოლოგიზმით. ამისდა გვარად ჩვენ ორ პ ე შ კ ო ვ ს კ ი ს გავიცნობთ: პ ე შ კ ო ვ ს კ ი ს, ფსიქოლოგისტს,² ავტორს ცნობილი წიგნისა "Русский

¹ "Грамматическое подлежащее или Субъект грамматического предложения - независимый именительный падеж существительного, обозначающий предмет, являющийся производителем или носителем признака, выраженного сказуемым (см.) в его открываемом в мысли сочетании с этим признаком": იქვე, გვ. 86: П о д л е ж а щ е е. როგორც რუსული ტექსტიდან ჩანს, ქვემდებარისა და შემასმენლის განსაზღვრებებს ქართულად თარგმნისას არ შეუძენიათ სიმძიმე და ბუნდოვანობა.

² ქვემოთ ისიც იქნება ნაჩვენები, რომ პ ე შ კ ო ვ ს კ ი ლოგიციზმისაგანაც არ არის თავისუფალი, რამდენადაც მეტყველების ნაწილთა კვალიფიკაციას ეხება საქმე; მაგრამ მის სინტაქსში ფსიქოლოგიზმს ვერ უარვყოფთ, თუნდაც რომ ამ სინტაქსს სარჩულად მორფოლოგიური ცნებები ედვას; პ ე შ კ ო ვ ს კ ი ს საერთო აზროვნების შინაგანი ლოგიკის საკითხს ასეთს პირობებში ჩვენ არ ვეხებით.

სინტაქსის **в научном освещении**" და პეშკოვსკის, ახალი გზების მაძიებელს, ავტორს რამდენისამე წერილისა "Литературная энциклопедия"-ში. ფსიქოლოგიზმთან დაკავშირებით ჩვენ მხოლოდ პირველი პეშკოვსკი გვაინტერესებს.

პეშკოვსკის ფსიქოლოგიზმი თვით აღნაგობით ყველა არსებითს მომენტში ფორტუნატოვის გამეორებაა, თუმცა საინტერესო თავისებურებებიც მოეპოვება. ამოსავალი მისთვისაც ფსიქოლოგიური მსჯელობაა, რომელსაც აზრსაც უწოდებს: „ისეთი შეერთება წარმოდგენათა, რომელშიაც ჩვენ შევიცნობთ მათს თანამიმართებას (**соотношение**), იწოდება ფსიქოლოგიაში ფსიქოლოგიურ მსჯელობად, ჩვენ კი მარტივად მას აზრს დავუძახებთ, რადგანაც ყველა ჩვენი აზრი არის სწორედ ასეთი ფსიქოლოგიური მსჯელობა“ (**Синт.**, გვ. 120). ეს აზრი განსხვავდება წარმოდგენათა ასოციაციისაგან იმით, რომ 1. მის შემადგენელ ორ წარმოდგენას შორის არსებობს უფრო მჭიდრო ორგანული კავშირი, ვინემ სხვა, ასოციაციაში შემავალ წარმოდგენათა შორის; 2. ასოციაციის პროცესი მექანიკურად მიმდინარეობს და განიცდების, ვითარცა პასიური; აზრს კი თან ახლავს ძალისხმევა (**усилие**), მასში მონაწილეობს ნებისყოფა. ეს უკანასკნელი ძალიან ხშირად მიიჩქმალება, იგი არა ჩანს განსაკუთრებით იმ აზრებში, რომელთაც შევეჩვიეთ, სამაგიეროდ ახალი აზრი, „წარმოდგენათა ახალი განზრახვი შეერთება არის მუშაობა, და ყოველმა ჩვენგანმა იცის, რომ ეს არის ძალიან მძიმე მუშაობა“ (**Синт.**, გვ. 121).

წარმოდგენები შეიძლება არსებობდეს სიტყვის გარეშე; შეიძლება აგრეთვე მათი შეერთებაც; ასეთს შემთხვევაში მივიღებთ „აზრს სიტყვების გარეშე“ (გვ. 121). ასეთი აზრები აქვს პირუტყვს (ძალღს, მაგალ.). აზრში წარმოდგენები ჩნდება არა ერთსა და იმავე დროს; ერთი უსწრებს მეორეს; ის წარმოდგენა, რომელშიც აზრში პირველად იჩენს თავს, იწოდება ფსიქოლოგიურ ქვემდებარედ, ის წარმოდგენა კი, რომელიც უკავშირდება ფსიქოლოგიურ ქვემდებარეს, იწოდება ფსიქოლოგიურ შემასმენლად (გვ. 122). გადამწყვეტი მნიშვნელობისა ეს წარმოდგენები კი არ არის, არამედ მათი თანამიმართება (**соотношение**); ამ თანამიმართების შეგნებაა, ამ წარმოდგენებს რომ აქცევს აზრის წევრებად, და, მაშასადამე, აზრს რომ ქმნის (გვ. 123). აზრი შეიძლება პირუტყვსაც ჰქონდეს; ადამიანის აზრი, მეტყველის აზრი იმით განსხვავდება პირუტყვის აზრისაგან, რომ „ადამიანის წარმოდგენები დაკავშირებულია სიტყვებთან, სიტყვებს კი აქვს ფორმა. ამის გამო **ადამიანის წარმოდგენებს აქვს ფორმა**“ (გვ. 123). პირუტყვის წარმოდგენები კი უფორმოა. რას ნიშნავს: „წარმოდგენას აქვს ფორმა“? ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა რაც უნდა წარმოიდგინოს, უთუოდ წარმოიდგენს მას ან **საგნის** სახით, ან **ნიშნის** სახით, ნიშნებში კიდე

განასხვავებს მუდმივს, დროებითს და სხვა ნიშნებს (იქვე, გვ. 123); ასე, მაგალ., ღრუბლებში დაკლაკნილს ხაზს ის ხან საგნად წარმოიდგენს (**ელვა**), ხან კიდევ ნიშნის სახით, რომელსაც რაიმე საგანი წარმოშობს (**ელავს**)... ასე რომ **ადამიანი აზროვნებს გრამატიკული ფორმებით** (გვ. 124).

თუ ის წარმოდგენები, რომელნიც ერთდებან აზრში, ე. ი. ფსიქოლოგიური ქვემდებარე და ფსიქოლოგიური შემასმენელი, გამოიხატა სიტყვებით, მივიღებთ წინადადებას. ამგვარად: **„წინადადება არის სიტყვან შესიტყვება, რომელიც გამოხატავს აზრს.** წინადადება, რომელშიაც სიტყვებით გამოხატულია ფსიქოლოგიური ქვემდებარეცა და ფსიქოლოგიური შემასმენელიც, იწოდება ს რ უ ლ ა დ. წინადადება, რომელშიაც გამოხატულია მხოლოდ ფსიქოლოგიური ქვემდებარე ან მხოლოდ ფსიქოლოგიური შემასმენელი, ან მხოლოდ ნაწილი ერთისა ან მეორისა, იწოდება უ ს რ უ ლ წინადადებად“ (გვ. 127). უსრული წინადადების ნიმუშებად მოყვანილია ასეთი მაგალითები: **უკაცრავად! მშვიდობით! საით? ნაბიჯით! ხანძარი!** და სხვა.

ამის შემდეგ პ ე შ კ ო ვ ს კ ი გვეუბნება: ყველაფერი, რაც ითქვა წინადადების შესახებ, თანაბრად უდგება დედამიწის ყველა ენის წინადადებას; აქ წარმოდგენილი განსაზღვრებები, ასე ვთქვათ, ზოგადფსიქოლოგიური თუ ზოგადლოგიკურია. **გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი** ნიშნების მხრივ კი წინადადება სხვადასხვანაირია სხვადასხვა ენაში, და განსხვავებულია ერთ ენაშიც სხვადასხვა პერიოდში. გრამატიკული თვალსაზრისით, რუსული წინადადება, მაგალითად, არის „შეხამების გარკვეული ფორმა“ (გვ. 128-129).

ამით პ ე შ კ ო ვ ს კ ი გადადის წინადადების წმინდა გრამატიკულ განხილვაზე. მისთვის საკითხი ასე დგას: „რა ფორმებით გამოიხატება რუსულში ფსიქოლოგიური ქვემდებარე, ფსიქოლოგიური შემასმენელი და მათი თანამიმართება?“ (გვ. 128). პირველი პასუხი ასეთია: „თუ ფსიქოლოგიური ქვემდებარე და ფსიქოლოგიური შემასმენელი თითოეული ცალკე სიტყვით იქნა გადმოცემული, მივიღებთ ე. წ. გაუფრცვლებელ წინადადებას“ (გვ. 129). **„გარეგნულად(!) ასეთი შეხამება განისაზღვრება, როგორც ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი ს ა და მ ა ს თ ა ნ შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ზ მ ნ ა“** (გვ. 129). ამის მაგალითია, ვთქვათ: **ძალდი ყფს.**¹ ფსიქოლოგიური ქვემდებარე გადმოცემულია სახელობითი ბრუნვით (**ძალდი**), ფსიქოლოგიური პრედიკატი — ზმნით (**ყფს**). სადღაა თანამიმართება სუბიექტსა და პრედიკატს შორის? იგი მოცემულია ზმნის ფორმაში, რომელიც შეთანხმებულია სახელთან; ესე იგი: „გრამატიკული შემასმენელი შეესატყვისება ერთბაშად აზრის ო რ წ ე ვ რ ს:

¹ პ ე შ კ ო ვ ს კ ი ს მაგალითია: "Нужда скачет"; მას სხვა მაგალითებიც მოყავს; ჩვენი მაგალითიც მის მიერ მოყვანილთაგანაა აღებული.

ფსიქოლოგიურ შემასმენელსა და მის თანამიმართებას ქვემდებარესთა“ (გვ. 131). მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ აზრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ამ თანამიმართებას აქვს, რომ ამ თანამიმართების დამყარებაა დაკავშირებული ძალისხმევასთან, აქტივობის შეგრძნებასთან. მაშასადამე, ზმნაში ყოფილა მოცემული „აქტიური საწყისი ჩვენის აზრისა, თვით პროცესი აზროვნებისა“ (გვ. 131). ამიტომაც: „გასაგებია, რომ შემასმენელი-ზმნა აზრის პროცესის მიმართ არის წინადადების უმთავრესი წევრი და საერთოდ ჩვენი მეტყველების უმთავრესი წევრი“.¹

კი, მაგრამ ენობრივად ხომ შემასმენელი-ზმნა დამოკიდებულია ქვემდებარე-სახელზე? აკი ზმნა იმავე რუსულში დამოკიდებულია სახელზე პირსა, რიცხვსა და სქესში? პეშკოვსკის ეს ყველაფერი გათვალისწინებული აქვს, მაგრამ იგი მაინც სხვანაირად მსჯელობს: „ყოველი დამსგავსება, — ამბობს იგი, — წარმოადგენს ერთგვარს დაქვემდებარებას იმ სიტყვისა, რომელიც ემსგავსება, იმ სიტყვისადმი, რომელსაც იგი ემსგავსება... [მაგრამ] შემასმენლის ქვემდებარესთან შეთანხმებაში იგი ძლივს ჩანს — შემასმენლის წონისა და მნიშვნელობის შეფარდებით. ზოგი ამ დაქვემდებარებას მოჩვენებითსაც კი უძახის, ხოლო თვით შეთანხმებას ქვემდებარისა შემასმენელთან უწოდებენ შეთანხმებას თანასწორუფლებიანთა (согласование на равных правах).. ფსიქოლოგიურად ეს უთუოდ ასეა. შეხამებაში: **იგი მიღის** ორივე სიტყვა ჩვენ თანაბრად შესაფერისად მიგვაჩინა ერთი-მეორისათვის, თითქოს ისინი უთანხმდებოდენ ერთი-მეორეს. მეორე მხრით, გარეგნულად დამოკიდებულება **მიღის** სიტყვისა **იგი** სიტყვაზე უდავოა: ზმნა იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით, არსებითი სახელი კი პირების მიხედვით სულ არ იცვლება, რიცხვის მიხედვითაც ყოველთვის — არა (არასინტაქსური ფორმა). ცხადია, რომ მხოლოდ ცვალებადი ფორმა შეიძლება დაემსგავსოს არაცვალებადს, და არა — პირიქით. მაინც წმინდა გარეგნულის მხრითაც შემასმენლის ქვემდებარესთან შეთანხმებაში არის ნიშნები შემასმენლის განსაკუთრებული თავის თავადობისა“ (გვ. 147-148).

რაში გამოიხატება ეს თავისთავადობა? ორ რაშიმე: 1. ზმნის პირველი და მეორე პირი თხრობითს კილოში ხშირად, ხოლო ბრძანებითში ჩვეულებრივად არ საჭიროებს ქვემდებარეს; მაგალ., *Люблю тебя, Петра творенье... Приветствую тебя, пустынный уголок... Уйди! Отстань!* (გვ. 148-149); ქვემდებარის ხმარებას ასეთს შემთხვევაში შეუძლია სულ სხვა

¹ "Понятно, что сказуемое-глагол, по отношению к процессу мысли, есть важнейший член предложения и важнейший член нашей речи вообще": გვ. 131.

ნიუანსი მიანიჭოს ნათქვამს (დაპირისპირებისა — თხრობითს კილოში, სუსტი ბრძანებითისა — თუ ბრძანებითს კილოს ეხება საქმე...). პირველი და მეორე პირი, ამრიგად, თავისთავად იხმარება. პ ე შ კ ო ვ ს კ ი იძლევა კიდევ ამ მოვლენის ახსნას: პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა დანიშნულებაა პირი აღნიშნონ; პირს ზმნის დაბოლოებაც აღნიშნავს; ასე რომ „ნივთიერი მნიშვნელობა ამ პიროვან სიტყვათა უდრის ზმნის დაბოლოებათა ფორმალურ მნიშვნელობას“ (გვ. 150); ამიტომ პიროვანი სახელები თამამად შეგვიძლია არ ვიხმაროთ. 2. რიცხვის ფორმა ზმნაში შეიძლება იყოს თავისთავადი, ესე იგი, შეიძლება ზმნა არ შეეთანხმოს რიცხვში ქვემდებარეს; ამას ადგილი აქვს აზრის მიხედვით შეთანხმებისას: მაგალ., *Вокруг стоит стража, на плечах топоры держат...* გვ. 152.

ორივე ეს გარემოება პლუს ზმნის განსაკუთრებული წონა და მნიშვნელობა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით საშუალებას აძლევს პ ე შ კ ო ვ ს კ ი ს ძალაში დატოვოს თავისი დებულება: „შემასმენელი-ზმნა (აზრის პროცესთან მიმართებაში) არის ყველაზე მნიშვნელოვანი წევრი წინადადებისა და ყველაზე მნიშვნელოვანი წევრი ჩვენის მეტყველებისა საერთოდ“. ამასთან უშუალოდ არის დაკავშირებული კილოსა და ღროის კატეგორიის კვალიფიკაციაც: „...ღროსა და კილოს არა აქვს არსებითად არც დამახასიათებელი სინტაქსური, არც დამახასიათებელი სიტყვაწარმოებითი ნიშნები; ეს არის ფორმები, რომლებიც თითქოსდა დგას ორივე ამ კატეგორიის გარეშე. ამისდა მიუხედავად, ზმნაში ღრო და კილო მაინც უნდა იქნეს მიჩნეული მთავარ სინტაქსურ ფორმებად იმიტომ, რომ იგინი ქმნიან ზ მ ნ უ რ ო ბ ა ს (ГЛАГОЛЬНОСТЬ) და მით ქმნიან წინადადების უმთავრეს წევრს, შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ს (გვ. 142-143).

გვრჩება მხოლოდ ქვემდებარის, შემასმენლისა და დამატების (საბოლოო) განსაზღვრება გავითვალისწინოთ პ ე შ კ ო ვ ს კ ი ს მიხედვით. „ვინაიდან შემასმენელი და ზმნა იდენტურია, გასაგებია, რომ შემასმენლის გრამატიკული მნიშვნელობა იგივე იყოს, რაც ზმნისა: შემასმენელი გამოხატავს **ნიშანს, საგნის მოქმედებით წარმოქმნილს**. შემასმენლის მნიშვნელობიდან კი გამომდინარეობს მნიშვნელობა ქვემდებარისა, რადგანაც ქვემდებარეში ყოველთვის გამოიხატება სწორედ ის **საგანი, რომელიც თავის მოქმედებით წარმოშობს იმ ნიშანს, რომელიც შემასმენელშია გამოხატული**. მოკლედ, ქვემდებარე შეიძლება განისაზღვროს, როგორც **შემასმენელში გამოხატული ნიშნის წარმოშობი** ანუ, კიდევ უფრო მოკლედ, როგორც გრამატიკული **მოქმედი ანუ მოქმედი საგანი**“ (გვ. 133-134). **„დამატება ანუ არსებითი სახელის ირიბი ბრუნვა არის ფორმა, რომელიც გამოხატავს საგანს მის მიმართებაში სხვა საგანთან ანუ საგნის ნიშანთან“** (გვ. 159). ასე განსაზღვრავს დამატებას პ ე შ კ ო ვ ს კ ი. და ეს მაშინ, როცა რამდენსამე გვერდს იქით მას ნათქვამი აქვს: **„სიტყვა, რომელზედაც დამოკიდებულია დამატება, ცხადია, ყოველთვის არის**

მმართველი სიტყვა, თვით დამატება კი მართული სიტყვაა“ (გვ. 165; ხაზი ჩვენია — ა. ჩ.). ამ სიტყვებშია მოცემული დამატების სინტაქსური რაობა, მაგრამ პეშკოვსკი ამას ყურადღებას არ აქცევს.

სინტაქსურ მომენტს მეტი მნიშვნელობა ენიჭება განსაზღვრების დეფინიციამ: „განსაზღვრება არის სახელი, რომელიც უთანხმდება წინადადების სხვა სახელს და გამოხატავს ამ შეთანხმების საშუალებით ნიშანს, რომელიც საგნის ბუნებაშია ჩამარხული“ (გვ. 195).

პეშკოვსკის აქ წარმოდგენილ შეხედულებას ფორტუნატოვის შეხედულებასთან¹ საერთო აქვს შემდეგი ძირითადი დებულებები: 1. წინადადების განსაზღვრისას პეშკოვსკი ისევე, როგორც ფორტუნატოვი, ფსიქოლოგიურ მსჯელობას ემყარება. ფსიქოლოგიური მსჯელობის რაობა ერთსაც და მეორესაც ერთნაირად ესმის; პეშკოვსკისაც შესაძლებლად მიაჩნია აზრი ეწოდოს ამ მსჯელობას; 2. ზოგადი ფსიქოლოგიური კონცეფციის მიხედვით შესემნილობის მთავარ ფორმებად პეშკოვსკი კილოს და დროის ფორმებს თვლის, თუმცა თვითვე აღნიშნავს, რომ ეს ფორმები სინტაქსური არ არის; 3. წინადადების ნაწილთა განსაზღვრა ორსავე შემთხვევაში ფსიქოლოგიურ სუბიექტ-პრედიკატზე დამყარების გარეშე ხდება.

თავისებურია პეშკოვსკის გაგებაში: 1. წინადადების ენობრივი კვალიფიკაციის წამოყენება ფსიქოლოგიურს გარდა; 2. შემასმენელ-ზმნის მიჩნევა წინადადებისა და, საერთოდ, მეტყველების უმთავრეს ნაწილად; ამასთან დაკავშირებით ცდა წინადადებაში ზმნის სინტაქსური თავისთავადობის მტკიცებისა; 3. წინადადების ნაწილთა განსაზღვრებანი და 4. ზოგიერთი დეტალი. დავიწყით ამ უკანასკნელით.

46. ფსიქოლოგიური მსჯელობის განსაზღვრისას პეშკოვსკი ამბობს: „წარმოდგენათა ისეთი შეერთება, რომელშიაც ჩვენ შევიცნობთ მათს თანამიმართებას, იწოდება ფსიქოლოგიაში ფსიქოლოგიურ მსჯელობად“ (გვ. 120), ხოლო რომელ ფსიქოლოგიაში, უკეთ, ფსიქოლოგიის რომელ მიმდინარეობაში, პეშკოვსკი არ ამბობს; ამის გარეშე კი ეს უმართებულო განზოგადებას წარმოადგენს; ფსიქოლოგიაში მართლა არსებობს ასეთი გაგება, მაგრამ მას მეტს ანგარიშს ენათმეცნიერები უწევენ, ვინემ ფსიქოლოგები; არც ერთი მნიშვნელოვანი ფსიქოლოგი ამჟამად მას არ იზიარებს. შესაძლებელია გვითხრან: სკოლისა და თვითგანვითარებისათვის დამხმარე წიგნში, ისიც პოპულარულში (ასეთია პეშკოვსკის „სინტაქსის“ დანიშნულება) შეუძლებელი იყო ფსიქოლოგიის მიმდინარეო-

¹ მხედველობაში გვაქვს ფორტუნატოვის ის შეხედულება, რომელიც ზემოთ იყო განხილული.

ბათა შესახებ ბაასიო. ჩვენ კი ვიტყვით, რომ სწორედ ასეთ წიგნში შეუწყნარებელია თავისუფალი მოპყრობა ძირითად ცნებასთან, რადგანაც სკოლა და თვითგანვითარების მაძიებელი კრიტიკულად ვერ მოეპყრობა წიგნს და მის ყოველ დებულებას უდავოდ ჩათვლის. ასეთსავე შენიშვნას იწვევს იქვე ნათქვამი: ფსიქოლოგიურ მსჯელობას „ჩვენ მარტივად **აზრს** ვუწოდებდეთ იქნებაო“ (იქვე, გვ. 120); ფსიქოლოგიაში აზრის რაობა კიდევ უფრო სადავოა, ვინემ მსჯელობისა; აზრისადმი ასეთი მარტივი აპელაცია უფრო გრამატიკოსთა ტრადიციისათვის დამორჩილებას მოწმობს, ვინემ ფსიქოლოგიის ფაქტისათვის ანგარიშის გაწევას. ყოველ შემთხვევაში, აზრისა და ფსიქოლოგიური მსჯელობის გაიგივება ფსიქოლოგიისათვის მისაღები არ არის.

კორექტივს საჭიროებს პეშკოვსკის დებულება: ადამიანის წარმოდგენა იმით განიხილება პირუტყვის წარმოდგენისაგან, რომ მას ფორმა აქვს; იგი ყველაფერს წარმოიდგენს ან როგორც საგანს, ან როგორც ნიშანს და სხვა; ერთი სიტყვით, ადამიანი გრამატიკული ფორმებით აზროვნებსო. ამ დებულებას შემოფარგვლა სჭირდება, რადგანაც თვით პეშკოვსკი ამბობს, რომ ადამიანს აქვს არა მარტო ენობრივი აზროვნება, არამედ წინარეენობრივი და ზეენობრივიც (იხ. გვ. 132-133); არც პირველში, არც მეორეში ენობრივი სამოსი ცნობიერების ფენომენებს არა აქვს. მაშასადამე, გრამატიკულ ფორმებში აზროვნებით არ ამოიწურება ადამიანის აზროვნება. ამდენადვე დებულებაში მოცემულ დაპირისპირებას მეტყველისა და პირუტყვის აზროვნებისა ზედმიწევნილობა აკლია.¹

პეშკოვსკის წინადადების ორი განსაზღვრება აქვს მოცემული; ერთი ამბობს: „წინადადება არის სიტყვა ანუ შესიტყვება, რომელიც გამოხატავს აზრს“ (გვ. 127), მეორის მიხედვით კი იგი წარმოადგენს „არსებითი სახელის სახელობითს ბრუნვას და მასთან შეთანხმებულ ზმნას“ (გვ. 129). მეორე განსაზღვრების საჭიროებას პეშკოვსკი იმით ასაბუთებს, რომ პირველი განსაზღვრება არისო „წინადადების ზოგად-ფსიქოლოგიური ანუ ზოგად-ლოგიკური“, ხოლო რომელისამე ცალკე ენის წინადადებას თუ ავიღებთ, დავინახავთ, რომ ყოველს ეპოქაში წინადადება ხასიათდება „გარკვეული გრამატიკული ნიშნებით“ (გვ. 127). რომ „გრამატიკულის თვალსაზრისით სრული წინადადება არის სხვა არაფერი, თუ არ **შეხამების გარკვეული ფორმაო**“ (გვ. 128). ამ უკანასკნელი ფრაზის შემდეგ უცნაურად ისმის პეშკოვსკის სიტყვები: „ასეთი შეხამებანი [ლაპარაკია გაუვრცელებელი წინადადების შესახებ] **გარეგნულად**

¹ პეშკოვსკი თითქოს იძლევა ასეთ შემოფარგვლას, როცა ამბობს: „როცა ადამიანი ფიქრობს სიტყვებითო“ (გვ. 124), მაგრამ თვით დებულებაში არსად აქვს ეს მოხსენებული.

(с внешней стороны: ხაზი ჩვენია — ა. ჩ.) განისაზღვრებიან, როგორც არსებითი სახელის სახელობითი ბუნვა და მასთან შეთანხმებული ზმნა“. დამახასიათებელია ეს: **გარეგნულად**. თუ სრული წინადადება სხვა არაფერია, თუ არ შეხამების გარკვეული ფორმა, სახელობითი ბრუნვა და მასთან შეთანხმებული ზმნა წინადადების **გარეგნული** მხარე კი არ იქნება, არამედ თვით წინადადება, და თუ პ ე შ კ ო ვ ს კ ი მაინც ამბობს **გარეგნულად**, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ფისქოლოგიზმი გადაჰყვა მას იქაც, სადაც იგი წმინდა გრამატიკული ანალიზის ჩატარებას ლამობდა. ეს — სხვათა შორის.

როგორ ესმის პ ე შ კ ო ვ ს კ ი ს გადასვლა პირველიდან მეორე განსაზღვრებაზე? ვფიქრობთ, უმართებულოდ. მაგრამ ჯერ ტერმინოლოგიისათვის, უკეთ: ფრაზის გაგებისათვის. „წინადადების ეს განსაზღვრება არის ზოგად-ფისქოლოგიური ანუ ზოგად-ლოგიკური“. როგორ გავიგოთ ეს? თუ ეს ფრაზა გულისხმობს, რომ განსაზღვრება, როგორც დეფინიცია არის (უკეთ, უნდა იყოს) ლოგიკური, რამდენადაც მისთვის სავალდებულოა ყველა იმ მოთხოვნილებათა დაცვა, რომელთაც ამისთვის ლოგიკა აწესებს; ამას გარდა, თუ ფრაზას ასე გავიგებდით, მეორე პრედიკატი „ზოგად ფისქოლოგიური“ სრულიად უადგილო იქნებოდა: ფისქოლოგიას დეფინიციასთან არაფერი ესაქმება. მაშასადამე, ეს ფრაზა განსაზღვრების ფორმალურ რაობას კი არ გულისხმობს, არამედ მოცემული ცნების ბუნებას ახასიათებს. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ დაპირისპირების სახით იქვე ქვემოთ ლაპარაკია გრამატიკული ნიშნების შესახებ, მაგრამ თუ ასეა, წინადადების ეს განსაზღვრება **ფისქოლოგისტური** (თუ ლოგიცისტური) ყოფილა (და არა „ზოგად-ფისქოლოგიური ანუ ზოგად-ლოგიკური“); იმ ფრაზას მაშინ ის აზრი ექნებოდა, რომ წინადადების იმ განსაზღვრებაში მოცემულია ფისქოლოგიური რაობა წინადადებისა (თუმცა „ანუ ზოგად-ლოგიკური“ ასეთ შემთვევაში გაუმართლებელი იქნებოდა).

ამგვარად: თუ ფრაზა სწორად გავიგეთ, აზრთა მსვლელობა ასეთია: ერთმა განსაზღვრებამ გამოარკვია წინადადების ფისქოლოგიური რაობა; ეს ყველა ენისათვის ზოგადიაო; ახლა რუსული წინადადების სპეციფიკური მხარეები გავითვალისწინოთ და წინადადების რუსული სახეობის განსაზღვრება გამოვიმუშაოთო. ასე მსჯელობა იმას შეუძლია, ვინც ფიქრობს, რომ წინადადება არის არა მარტო გრამატიკის, არამედ ფისქოლოგიისა და ლოგიკის ცნებაც. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება, ჯერ ფისქოლოგიური (ან ლოგიკური) მხარე გაითვალისწინო, შემდეგ — ენობრივი... წინადადება ენათმეცნიერების ცნებაა და, მაშასადამე, მისი რაობა მხოლოდ ენობრივ სინამდვილეში უნდა ვეძიოთ; ფისქოლოგიური თანხლები მოვლენების რკვევა წინადადების ბუნების კვლევა არ არის; ამიტომაც, როცა პ ე შ კ ო ვ ს კ ი ამბობს: „ყველაფერი აქამდის თქმული [ე. ი. წინადადე-

ბის ფსიქოლოგიური რაობისა და ფსიქოლოგიურად განსაზღვრის შესახებ] თანაბრად უდგება დედამიწის ყველა ენის ყველა წინადადებასო“ (გვ. 127), ჩვენ უნდა ვუპასუხოთ: „იგი არ უდგება დედამიწის არც ერთი ენის არც ერთს წინადადებას“, ვინაიდან ამ განსაზღვრებაში მოცემულია წინადადების განსაზღვრება კი არა, არამედ იმ ფსიქიკური მოვლენების დახასიათება, რომელნიც უნდა (თუ: შეიძლება) ახლდნენ წინადადებას. წინადადების ყოველი ფსიქოლოგიური განსაზღვრება (მათ შორის პეშკოვის) არკვევს მეტ-ნაკლებად ფსიქიკური პროცესის რაობას და არა ენობრივი ფაქტის ბუნებას. ფსიქოლოგიური განსაზღვრების შემდეგ ენობრივზე გადასვლა პეშკოვის ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს პირველს შემთხვევაში განსაზღვრება ეხებოდეს „საერთოდ, წინადადებას“, მეორეში კი „კერძოდ, რუსული“ იყოს გაანალიზებული. ასეთი გაგება უმართებულოა: პეშკოვის წინადადების ფსიქოლოგიიდან გადადის წინადადების გრამატიკულ განხილვაზე რუსულში.

47. ახლა უფრო არსებითი მომენტებისათვის პეშკოვის შესხედულებაში. ერთი ნაწილი მას საერთო აქვს ფორტუნატოვთან. ეს უკვე ითქვა; მის შესახებ უკვე იყო ლაპარაკი ფორტუნატოვთან დაკავშირებით; აქ მხოლოდ მის თავისებურებებზე შევჩერდებით. როგორც უკვე ვთქვით, პეშკოვის შესმენილობის მთავარ ფორმებად კილოსა და დროს თვლის; ასევე იქცეოდა ფორტუნატოვიც, ოღონდ პეშკოვის უფრო შორს მიდის, როცა ხაზგასმით ამბობს: „შემასმენელი-ზმნა აზრის პროცესის მიხედვით არის წინადადების უმთავრესი წევრი და, საერთოდ, ჩვენი მეტყველების უმთავრესი წევრიო“ (გვ. 131). ფსიქოლოგიზმის მკვეთრი სახე მოჩანს ამ სიტყვებში; ეს არ არის შეუცნობელი ფსიქოლოგიზმი, პირიქით — ცნობიერი და დასაბუთებული: „აზრის პროცესის მიხედვითო“, ამბობს პეშკოვი და ამით ცხადი ხდება, რომ არაენობრივია ის საზომი, რომელსაც ასეთ დასკვნამდე მივყევართ. პეშკოვის, რა თქმა უნდა, არ გამოჰპარვია, რომ შემასმენელი იმ შესიტყვებაში, რომელსაც წინადადება ეწოდება, ქვემდებარეს უთანხმდება; ისიც მშვენივად იცის, რომ შეთანხმება ყოველთვის გულისხმობს იმის დამოკიდებულებას, დაქვემდებარებას, რომელიც უთანხმდება (იხ. გვ. 147-148), ისიც პირში, რიცხვში, სქესში. როგორ შეარიგა პეშკოვი ფსიქოლოგიურად გაბატონება და ენობრივად დაქვემდებარება? მან სცადა დაემტკიცებინა, რომ შემასმენლის დაქვემდებარება სხვაგვარია, რომ ქვემდებარის შემასმენელთან შეთანხმებას „უწოდებენ“ თანასწორუფლებიანთა შეთანხმებას, თუმცა არ თქვა, რა საბუთით; წამოიშველია ისიც კი, რომ, პირადი გამოცდილებით, სკოლაში ბავშვები როცა არჩევდნენ ფრაზას **იგი მოდის**, სხვადასხვანაირად უყურებდნენ ამ სიტყვათა ურთიერთობას: კლასის

ერთი ნაწილი იმას იცავდა, რომ **მოდის** დამოკიდებულია **იგი**-ზე, მეორე კი აცხადებდა, რომ პირიქით, **იგი** დამოკიდებულია **მოდის**-ზე (იხ. გვ. 147); რასაკვირველია, ასეთი შემთხვევა თვით პეშკოვსკისაც არ შეეძლო მიეჩნია დიდი მნიშვნელობის მქონედ. სულ სხვაა ის გარემოება, რომლებზედაც იგი მიგვითითებს შემასმენლის „განსაკუთრებული თავისთავადობის“ დასამტკიცებლად: სახელდობრ, ერთი ის, რომ ზმნის პირველი და მეორე პირი შეიძლება იქნეს ნახმარი ქვემდებარის (სათანადო ნაცვალსახელების) ხმარების გარეშე; მეორეცაა, ის, რომ შემასმენელი-ზმნა არ უთანხმდება ქვემდებარე-სახელს რიცხვში. ორივე ეს ფაქტია, პირველი — უფრო ხშირი, მეორე — უფრო იშვიათი. ხოლო არც ერთი იმის დასამტკიცებლად არ გამოდგება, რომ შემასმენელი-ზმნა „განსაკუთრებული თავისთავადობის“ მატარებელი იყოს. პირველი იმდენადვე მოწმობს შემასმენლის თავისთავადობას, რამდენადაც შეიძლება მსახურის თავისთავადობის მაჩვენებელი იყოს ის გარემოება, რომ ბატონის არ ყოფნის დროს იგი აკეთებს იმას, რასაც გააკეთებდა ბატონის თანდასწრებით: პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელი არ იხმარება, მაგრამ სწორედ იმიტომ არსებობს ეს შესაძლებლობა, რომ, როგორც თვით პეშკოვსკი ააშკარავებს, ამ პირთა ნივთიერი მნიშვნელობა ზმნაშია წარმოდგენილი პირის ფლექსიათა სახით: გარე ბატონი თუ არ გამოჩნდა, შინაგანი ბატონი ხომ იქ არის მაინც! რაც შეეხება მეორე ფაქტს, მას ფსიქიკურ ფაქტორთა ზეგავლენა იწვევს: *пять человек идут сюда* (პეშკოვსკის მაგალითია, გვ. 153): რეალობაში მრავლადი ცნობიერებას სურს ენობრივადაც მრავლობითის სამოსში გამოაწყოს, თუმცა ენისათვის სათანადო სიტყვა მხოლოლობითის ფორმისაა; ირღვევა შეთანხმება, მაგრამ არა იმიტომ, რომ შემასმენლის, ზმნის თავისთავადობა იჩენს თავს, არამედ იმიტომ, რომ მეტყველების სინამდვილეში ხდება ჩარევა ცნობიერების მხრივ; ამით ის კი არ მტკიცდება, რომ შემასმენელი-ზმნა თავისთავადია, არამედ ის, რომ მეტყველება არ არის დამოუკიდებელი; იმ მომენტში, როდესაც ცნობიერებამ შელახა ენის ნორმა, ზმნამ კი არ მიიღო დამოუკიდებლობა, არამედ უშუალოდ დაექვემდებარა ცნობიერებას. ჩვენ რომ მხოლოდ ასეთი ფაქტები გვქონდეს, მეტყველების თავისთავადობა ზღაპარი იქნებოდა; მაგრამ ეს არ არის წესი, არამედ გამონაკლისია, სპორადული მოვლენაა. ამგვარად, პეშკოვსკის ცდა, დაემტკიცებინა შემასმენლის-ზმნის ენობრივი თავისთავადობა, უშედეგოდ უნდა ჩაითვალოს, თვით ცდა მაინც ახასიათებს ამ ენათმეცნიერს, როგორც თანამიმდევრულ ფსიქოლოგისტს.

პეშკოვსკიმ წამოაყენა წინადადებისა და მისი ნაწილების განსაზღვრებანი. **არც ერთი მათგანი სინტაქსური არ არის**. მართლაცაა, განსაზღვრება: „წინადადება არის სახელობითი ბრუნვა პლუს ზმნის გარკვეული ფორმა“, რა არის, თუ არა მორფოლოგიურს ცნებებში მოცემუ-

ლი აღწერა იმ შესიტყვებისა, რომელსაც წინადადება ჰქვია. სინტაქსის ცნებები მორფოლოგიური ცნებებით არის შენაცვლებული; სინტაქსური ცნებები ხელიდან გვეცლება, ხოლო საერთოდ ენათმეცნიერულ ცნებებს მივიღებთ თუ არა, ეს არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა პრინციპზეა აგებული მორფოლოგია. პეშკოვსკის მორფოლოგია თუნდაც რომ წმინდა ენათმეცნიერული ბუნებისა იყოს, მაშინაც გაუმართლებელი იქნებოდა სინტაქსის ცნებების შენაცვლება მორფოლოგიურით. „შემასმენელი არის ნიშანი, საგნის მოქმედებით წარმოქმნილი“, ქვემდებარე — „შემასმენელში გამოხატული ნიშნის წარმომქმნელი ანუ, მოკლედ, მოქმედი საგანი“, ამბობს პეშკოვსკი; მაგრამ „საგნის მოქმედებით შექმნილი ნიშანი ხომ ზმნაა“ (იხ. გვ. 79), საგანს ხომ არსებითი სახელის ფორმა გამოხატავს (გვ. 80): მაშ, შემასმენელი და ზმნა ერთი ყოფილა, ისევე როგორც სახელი და ქვემდებარე? პეშკოვსკი ამას არ უარყოფს; იგი პირდაპირ ამბობს: „ვინაიდან შემასმენელი და ზმნა იდენტურია, გასაგებია, რომ შემასმენლის გრამატიკული მნიშვნელობა იგივე იყოს, რაც ზმნის მნიშვნელობაა“ (გვ. 133) და ამის შემდეგ იძლევა შემასმენლის ზემოდასახელებულ განსაზღვრებას.

სინტაქსური ცნებების შენაცვლება მორფოლოგიურით არა მხოლოდ პრინციპულად მიუღებელია, იგი პრაქტიკულადაც უხერხულია. მაგალ., ვთქვათ, ქვემდებარე განსაზღვრეთ, როგორც მოქმედი საგანი. განა ყოველი მოქმედი საგანი იქნება ქვემდებარე? წინადადებაში *"дом строится плотником"* *плотником* რით არ არის „მოქმედი საგანი“? განა ის არ არის „წარმომქმნელი იმ ნიშნისა, რომელიც შემასმენელშია მოცემული“? რა უპირატესობა აქვს *дом*-ს მის წინაშე? არავითარი! პირიქით, იმ განსაზღვრების ნიადაგზე სწორედ *плотником* უნდა იქნეს მიჩნეული ქვემდებარედ და არა *дом*. მაგრამ თვით პეშკოვსკისათვის იქნება ეს ყველაზე უწინ მიუღებელი... ეს უხერხულობა შექმნა იმან, რომ „ყოველი მოქმედი საგანი“ არ არის ქვემდებარე. არის კი ყოველი ქვემდებარე მოქმედი საგანი? ესე იგი, შეუძლია თუ არა სხვა მორფოლოგიურ ერთეულს მოგვევლინოს ქვემდებარედ? პასუხი დადებითი იქნება. პეშკოვსკი თვითონ ამბობს, რომ ზედსართავი სახელიც და მიმღობაც სახელობითს ბრუნვაში შეიძლება იყოს ქვემდებარე (გვ. 156), ესე იგი, სხვა სიტყვებით რომა ვთქვათ, ქვემდებარე შეიძლება იყოს არა მარტო მოქმედი საგანი, არამედ „ნიშანი, საგნის ბუნებაში ჩამარხული“¹ და „ნიშანი, საგნის მოქმედებით წარმოქმნილი, მაგრამ იმავე დროს მის ბუნებაში ჩამარხული“.² მოკლედ რომ დავასკვნათ: არც ყოველი მოქმედი საგანია ქვემდებარე; ყოველ-

¹ იხ. ზედსართავი სახელის განსაზღვრება: *Синт.*, გვ. 80.

² იხ. მიმღობის განსაზღვრება: *იქვე*, გვ. 80.

თვის არც ქვემდებარეა მოქმედი საგანი.

დამატების განსაზღვრება პირველ ნაწილში მორფოლოგიურია („დამატება ანუ არსებითი სახელის ირიბი ბრუნვა არის ფორმა“...), მეორე ნაწილი კი („[ფორმა], რომელიც გამოხატავს საგანს მის მიმართებებში სხვა საგანთან ანუ საგნის ნიშანთან“) კითხვას ბადებს: არის თუ არა ეს ნაწილი საერთოდ ენათმეცნიერული?

განსაზღვრების დეფინიცია კი („განსაზღვრება არის სახელი, რომელიც უთანხმდება წინადადების სხვა სახელს და გამოხატავს ამ შეთანხმების საშუალებით ნიშანს, საგნის ბუნებაში არსებულს“: გვ. 195) პირველ ნაწილში წმინდა სინტაქსური ბუნებისაა და სავსებით გამოხატავს განსაზღვრების როლს შესიტყვებაში; მეორე ნაწილში კი ისევ მორფოლოგიური კვალიფიკაცია წარმოჩნდება: „გამოხატავს ამ შეთანხმების საშუალებით ნიშანს, საგნის ბუნებაში არსებულს“... ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, პ ე შ კ ო ვ ს კ ი ს მორფოლოგიურ ცნებებამდე დაჰყავს წინადადების სინტაქსის ძირითადი ცნებები (წინადადება, შემასმენელი, ქვემდებარე, დამატება, განსაზღვრება).

როგორიღაა პ ე შ კ ო ვ ს კ ი ს მორფოლოგიური ცნებები? ამისათვის საკმარისია მოვიგონოთ მის მიერ მეტყველების ნაწილთა განსაზღვრა: „ზმნის ფორმა გამოხატავს ნიშანს, რომელიც იქმნება საგნის მოქმედებით; ზედსართავის ფორმა გამოხატავს ნიშანს, საგნის ბუნებაში არსებულს; არსებითი სახელის ფორმა გამოხატავს საგანს; მიმღეობის ფორმა გამოხატავს ნიშანს, რომელიც იქმნება საგნის მოქმედებით, მაგრამ იმავე დროს არსებობს მის ბუნებაში; ზმნისართის ფორმა გამოხატავს საგნის ნიშნის ნიშანს...“ (Синт., გვ. 79-80).

აქ შეიძლება გაჩერდეთ; მეტყველების ყველა ძირითადი ნაწილის განსაზღვრებაა აქ წარმოდგენილი. რას გვეუბნება იგი? ერთი იმას, რომ მეტყველების ესა თუ ის ნაწილი არის **ფორმა**, მეორეც იმას, რომ ამ **ფორმის** ამა თუ იმ მეტყველების ნაწილად მიჩნევა იმისდა მიხედვით ხდება, თუ **რას აღნიშნავს ეს ფორმა**. კრიტერიუმად მიჩნეულია: რა აღნიშნება? ამისდა მიხედვით ორი ძირითადი კატეგორიაა გარჩეული: ერთია — საგანი, მეორე — ნიშანი; ნიშანი განდასებულია ქვესახეებად: ნიშანი, საგნის მიერ წარმოქმნილი; ნიშანი, საგნის ბუნებაში არსებული; ნიშანი ნიშნისა... და სხვ. რა სინამდვილიდანაა ეს საზომი აღებული ანუ რის კატეგორიებია ეს კატეგორიები — საგნისა, ნიშნისა? ცხადია, ეს აზროვნების სინამდვილიდანაა ამოღებული, ეს ლოგიკის სამყაროშია მოპოვებული. ამიტომაც **პ ე შ კ ო ვ ს კ ი ს მორფოლოგია აგებულია ლოგიკისტურ პრინციპზე**. ვერ უველის საქმეს ვერც ის, რომ პირველ რიგში ფორმა დგას (განსაზღვრებაში, ვითარცა *genus proximum!*), ვერც ის, რომ განდასება მწყობრად არის ჩატარებული და ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშნის

მიხედვით მოხდენილად ჩამოყალიბებული. ეს ეხება შეხედულების, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტექნიკურ დამუშავებას, პრინციპში ამის გამო არაფერი იცვლება. ეს პრინციპი კი ლოგიკისტურია; ლოგიციზმი პეშკოვსკისა დახვეწილი და ფაქიზია, მაგრამ მაინც ლოგიციზმია.

ფსიქოლოგიური მსჯელობიდან გამოსვლა, სინტაქსური ცნებების მორფოლოგიურით შენაცვლება, ხოლო მორფოლოგიურ ცნებათა ჩამოყალიბებისას ლოგიციზმი — აი მთავარი საწყისები პეშკოვსკის შეხედულებისა, იმ პეშკოვსკისა, რომელმაც იშვიათის სინათლით მოხაზა სინტაქსის სამყარო, მაგრამ სინტაქსურ ცნებათა ჩამოყალიბებისას ამ სამყაროში მოპოვებული საზომი არ მოუხმარია.

48. მეტად თავისებურია შახმატოვის შეხედულება. „სინტაქსი ეწოდება გრამატიკის იმ ნაწილს, რომელიც განიხილავს საშუალებებს აზროვნების გამოვლენისა სიტყვაში, სხვანაირად რომ ვთქვათ — გარეგან ნიშანთა იმ კრებულში, რომელთაც აწარმოებენ მეტყველების ორგანოები და რომელნიც აღიქმებიან სმენის საშუალებით“.¹ „სინტაქსის ამოცანას შეადგენს შეისწავლოს როგორც წინადადება, ე. ი. სააზროვნო ერთეულის სიტყვიერი გამოხატულება, ისე... შესიტყვებანი და სიტყვანი, რამდენადაც ამ უკანასკნელთ... არ დაუკარგავთ კავშირი წინადადებასთან, შეუნახავთ რა მნიშვნელობა წინადადების ნაწილებისა და წევრებისა“ (Шахматов, Синтаксис, გვ. 423). „სინტაქსი იყოფა რამდენიმე ნაწილად: ძირითად ნაწილში განიხილვის მოძღვრება წინადადებისა და მისი მთავარი წევრების შესახებ; სხვა ნაწილებში განიხილვის მოძღვრება შესიტყვებათა და წინადადების მეორეხარისხოვან წევრთა შესახებ, აგრეთვე მოძღვრება მეტყველების ნაწილთა შესახებ“ (იქვე).

„წინადადება არის მეტყველების ერთეული, რომელსაც მეტყველიცა და მსმენელიც აღიქვამს, როგორც გრამატიკულ მთლიანობას და რომლითაც სიტყვიერად გამოიხატვის აზროვნების ერთეული. ჩვენი აზროვნების ფსიქოლოგიურ საფუძველს შეადგენს წარმოდგენათა ის მარაგი, რომელიც ჩვენ მოგვცა წინამორბედმა გამოცდილებამ და რომელიც მატულობს მიმდინარე განცდების საშუალებით; წინადადების ფსიქოლოგიურ საფუძველს კი შეადგენს ამ წარმოდგენათა შეხამება აზროვნების იმ განსაკუთრებულს აქტში, რომლის მიზანია აუწყოს სხვა ადამიანებს აზროვნებაში მომხდარი

¹ "Синтаксисом называется та часть грамматики, которая рассматривает способы обнаружения мышления в слове, иначе — в совокупности внешних знаков, воспроизводимых органами речи и воспринимаемых слухом": Синтаксис, гв. 423. Примечания редактора, § 1.

შეხამება წარმოდგენათა; ამ აქტს ჩვენ ვუწოდებთ კომუნიკაციას“.¹

აზროვნების უმარტივესი ერთეული, უმარტივესი კომუნიკაცია შედგება ორი წარმოდგენის შეხამებისაგან, რომელნიც ნებისყოფის მოძრაობამ დააყენა პრედისკატულს კავშირში (ესე იგი, საერთოდ განმსაზღვრელ, კერძოდ, დამოკიდებულს, მიზეზობრივს, გენეტურს კავშირში). კომუნიკაციებს ეკუთვნის არა მარტო პროპოზიციები და მსჯელობანი, არამედ წარმოდგენათა ყოველი სხვა შეხამებანიც, რომლებიც (წარმოდგენები) ჩვენ მიერ დაკავშირებულია განზრახ, ამა თუ იმ მიზნით, მაგალ., შეხამებანი, რომელთაც გამოხატულება პოვეს სიტყვებში, როგორც, მაგალ.: **შინ არის მამა? დაგველია რამე! დამჯდარიყავი ჩვენთან!** (Синтак., გვ. 1-2, § 2). „კომუნიკაციასა და წინადადებას შორის, რომელშიაც კომუნიკაცია პოულობს გამოხატულებას, ჩვეულებრივ, შუამავლად გვევლინება შინაგანი მეტყველება, ესე იგი აკუსტიკურსა, ნაწილობრივ [კიდევ] ოპტიკურ ნიშნებში გამოწყობილი აზრი“ (იქვე, გვ. 2). „კომუნიკაციის ფსიქოლოგიური აქტი უნდა მივიჩნიოთ რთული პროცესის შედეგად, რომელიც თავში შედგებოდა ნებისყოფის მოძრაობისაგან, — რომელიც მიმართული იყო იმისაკენ, რომ მოსაუბრისათვის ეუწყებინა ორი შეხამებული წარმოდგენა, — შემდეგ კი ამ წარმოდგენათა ფსიქიკური ანალიზისაგან... კომუნიკაციის დასაბამი იწყება შინაგანი მეტყველების საზღვრებს მიღმა, მაგრამ დასრულებას იგი პოვეს შინაგანი მეტყველების პროცესში, საიდანაც იგი უკვე გადადის გარეგან მეტყველებაში“ (იქვე, გვ. 2). ამიტომ, ამბობს შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი, შემცთარი იქნებოდა იგივეობის ნიშანი დაგვესვა გარეგან მეტყველებასა, კერძოდ, წინადადებასა, და კომუნიკაციას შორის: კომუნიკაცია შუამავალია მეტყველის ფსიქიკასა და მის (ფსიქიკის) იმ გამოვლენას შორის სიტყვაში, რომლისაკენაც იგი (ფსიქიკა) ისწრაფვის; ამდენადვე კომუნიკაციაში უკუფენილია, ერთის მხრით, ადამიანის ფსიქიკის უღრმესი ფენები, მეორე მხრით, ის გარეგანი საშუალებანი, რომლებშიაც იგი გამოიხატება, ესე იგი ბგერითი წარმოდგენანი სიტყვების შესახებ (იქვე, გვ. 2-3, § 3).

კ ო მ უ ნ ი კ ა ც ი ა-ცნება შ ა ხ მ ა ტ ო ვ ს ნასესხები აქვს ს ვ ე - დ ე ლ ი ს უ ს ი ს ა გ ა ნ, რომლის 1897 წელს უბსალაში გამოსულ ტრაქტატზე "L'analyse du langage appliquée à la langue française" შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი

¹ Предложение – это единица речи, воспринимаемая говорящим и слушающим, как грамматическое целое и служащая для словесного выражения единицы мышления. Психологической основой нашего мышления является тот запас представлений, который дал нам предшествующий опыт и который увеличивается текущими нашими переживаниями; психологической же основой предложения является сочетание этих представлений в том особом акте мышления, который имеет целью сообщить другим людям состоявшегося в мышлении сочетания представлений; этот акт мы называем коммуникацией": Синтаксис, гв. 1, § 1.

თვითონ მიგვითითებს (Синтаксис, გვ. 1, შენიშვნა). მაგრამ ს გ ე დ ე ლ ი - უ ს ი კომუნიკაცია-ტერმინით აღნიშნავდა ორ რასმე: სამეტყველო ერთეულის ფსიქიკურ სუბსტრატსაც და სამეტყველო ერთეულის გარეგან გამონათლულებასაც (იხ. ბ ე რ ნ შ ტ ე ი ნ ი: Известия, გვ. 215). შ ა ხ მ ა - ტ ო ვ მ ა კ ი, როგორც უკვე ვნახეთ, იგი მხოლოდ ფსიქიკურ მომენტს განუკუთვნა: ამგვარად, არსებითად შეცვალა კ ო მ უ ნ ი კ ა ც ი ა-ცნების შინაარსი.

ფსიქოლოგიური კომუნიკაცია, ისევე, როგორც ფსიქოლოგიური მსჯელობა, შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს აზრით შედგება სუბიექტისა და პრედიკატი-საგან; სუბიექტს იგი განსაზღვრავს, როგორც წარმოდგენას, რომელიც გაბატონებულია მასთან შეთანხმებულ წარმოდგენაზე; ეს უკანასკნელი კი იქნებოდა პრედიკატი; პრედიკატი დამოკიდებულია სუბიექტზე (იქვე, გვ. 4, § 5). რისგან გამომდინარეობს სუბიექტისა და პრედიკატის ასეთი ურთიერთობა? ერთი წარმოდგენის გაბატონებული მდგომარეობა მეორის მიმართ განსაზღვრულია სათანადო წარმოდგენათა ბუნებით: მაგალითად, წარმოდგენა საგნისა არ შეიძლება არ იყოს გაბატონებული ნიშნის წარმოდგენაზე, ვინაიდან საგანი არის მატარებელი ნიშნისა; საგნის წარმოდგენა ამიტომ სუბიექტად უნდა მოგვევლინოს, ნიშნის წარმოდგენა — პრედიკატად (იქვე, გვ. 5, § 5). შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი, ამრიგად, არ იზიარებს ფსიქოლოგიური სუბიექტ-პრედიკატის იმ გაგებას, რომელიც წამოაყენა გ ა ბ ე ლ ე ნ ც მ ა და რომელსაც მიემხრენ, როგორც ამას შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ც აღნიშნავს, პ ა უ ლ ი, ფ ო რ ტ უ ნ ა ტ ო ვ ი; შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი უფრო გ უ ნ დ ტ ი ს კ ე ნ იხრება, თუმცაო, ამბობს, ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რასაც გ ა ბ ე ლ ე ნ ც ი და მისი მიმდევრები აღნიშნავენო (იქვე, გვ. 7, § 6). ანგარიშის გაწევა იმაში გამოიხატება, რომ შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ასხვავებს გაბატონებული წარმოდგენის ორ სახეს: ერთია გაბატონებული თავის ბუნებისდა მიხედვით, მეორე გაბატონებული ხდება მეტყველის ნება-სურვილისა თუ გუნება-განწყობილების წყალობით; ამ შესაძლებლობის ახსნა უნდა ვეძიოთ კონფლიქტში ადამიანის ფსიქიკის საფუძვლებსა და მისი ცნობიერების ცვალებად, დაუდევარ განწყობილებათ შორისაო; საბოლოო ანგარიშში პირველს და მასზე დამყარებულ ბუნებრივად გაბატონებულ წარმოდგენას აქვს უპირატესობაო (იქვე). ასე ფიქრობს შ ა ხ მ ა - ტ ო ვ ი.

სუბიექტად საგნის წარმოდგენა უნდა იყოს, თუ საგნისა და ნიშნის წარმოდგენაა შეხამებული; ნიშნის წარმოდგენა სუბიექტად შეიძლება მოგვევლინოს, თუ იგი შეხამებაში იმყოფება ისევ ნიშნის წარმოდგენასთან; შეიძლება აგრეთვე ნიშნის წარმოდგენა სუბიექტი იყოს, პრედიკატად კი გვქონდეს წარმოდგენა მიმართების შესახებ (იქვე, გვ. 8-10, §§ 8, 9). ასეთია კომუნიკაციის ნაწილების, ფსიქოლოგიური სუბიექტ-პრედიკატის ბუ-

ნება და მათი შესაძლო კონკრეტიზაცია საგნის, ნიშნისა და მიმართების წარმოდგენათა სახით. მერე საიდან ვიცით ყოველივე ეს? „ჩვენ ამას ვასკვნით ენის მონაცემებზე დაყრდნობით, კომუნიკაციის მხილებით სიტყვა-შიო“;¹ გვეუბნება შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი.

წინადადება შეესატყვისება კომუნიკაციას; არსებობს თუ არა ასეთი-ვე შესატყვისობა წინადადებისა და კომუნიკაციის წევრებს შორის? შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს პასუხი უარყოფითი იქნება: „წინადადებას: **ჩვენ მიერ შეშინებული ყვავი აფრინდა მალალ ცაცხვზე** — შეესატყვისება კომუნიკაცია, რომლის სუბიექტია **ჩვენ მიერ შეშინებული ყვავი**, ხოლო პრედიკატი **აფრინდა მალალ ცაცხვზე**; კომუნიკაციის ორ წევრს უპირისპირდება შვიდი სიტყვა, და ეს სიტყვები წინადადების ექვს წევრს შეესატყვისება (იქვე, გვ. 10, § 10). მაშ, რაზე უნდა დავამყაროთ წინადადების წევრების განსაზღვრება, თუ კი „პირდაპირი შესატყვისობა მათ შორის აღარ არის“ (გვ. 12, § 12). კომუნიკაცია ორი წარმოდგენისაგან შედგება, მაგრამ მისი შესატყვისი წინადადება შეიძლება შედგებოდეს ერთი, ორი, სამი ანდა მეტი სიტყვისაგან. ამისდა კვალობაზე გვექნება: 1. ერთწევრიანი (односоставные) წინადადებანი: მაგალ., **ყინავს!** (Мороз): კომუნიკაციის დაშლას სუბიექტად და პრედიკატად აქ არა აქვს ადგილი; მათი შეხამება ერთ სიტყვაშია მოცემული; 2. ორწევრიანი წინადადება: **მალლი ყვფს**: აქ სუბიექტიც ცალკე სიტყვით არის გადმოცემული, პრედიკატიც, ქვემდებარე ხვდება სუბიექტს, შემასმენელი — პრედიკატს... ქვემდებარე და შემასმენელი ერთმანეთთან გრამატიკულად არის დაკავშირებული: „ქვემდებარე არის მთავარი წევრი გაბატონებული შედგენილობისა, შემასმენელი — მთავარი წევრი დამოკიდებული შედგენილობისა“.² „შემასმენელი საერთოდ დამოკიდებულია ქვემდებარეზე; მისი ესა თუ ის ფორმა მიგვითითებს მის დამოკიდებულებაზე ქვემდებარისაგან. შემასმენელი გრამატიკულად ემსგავსება ქვემდებარეს“... (Синтаксис, გვ. 238).

სიტყვათა გაბატონებული და დამოკიდებული მდგომარეობის შესახებ საგულისხმოა შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს შემდეგი მოსაზრებანი: „ყოველს გრამატიკულს ერთიანობაში მოიპოვება ერთი გაბატონებული სიტყვა; მასთან შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე დამოკიდებული სიტყვა... **ბატონობს ესა თუ ის სიტყვა უწინარეს ყოვლისა თავისი მნიშვნელობის წყალობით: აქ ისევე, როგორც კომუნიკაციის ფსიქოლოგიურ წევრთა ურთიერთობაში, აშკარადდება ზოგიერთი მუდმივი მიმართებანი: არსებითი სახელი (ესე იგი სუბსტანციის ან საერთოდ ნიშანთა მატარებლის სახე-**

¹ "Наши заключения основываются на данных языка, на обнаружении коммуникации в слове": იქვე, გვ. 10, § 12.

² "...Подлежащее – это главный член господствующего, а сказуемое – главный член зависимого состава": Синтак., გვ. 13, § 12.

ლი) მუდამ გაბატონებულია ზედსართავ სახელსა და ზმნაზე“ (გვ. 14, § 13: ხაზი ჩვენია — ა. ჩ.). „სიტყვის გაბატონებული და დამოკიდებული მდგომარეობა აშკარავდება რამდენიმე საშუალებით; ჯერ ერთი, სიტყვის მორფოლოგიური ფორმით; მეორე: დამოკიდებული სიტყვის ადგილმდებარეობით..., მესამე — ინტონაციით, და მეოთხე — სიტყვის შეცვლილი მნიშვნელობით (გვ. 14-15; § 13). „...სიტყვის დამოუკიდებლობა თუ დამოკიდება გამოწვეულია მისი მდგომარეობით წინადადებაში; დამოუკიდებელია სიტყვები, თუ გვევლინება ერთწევრიან წინადადებათა მთავარი წევრებისა და ორწევრიან წინადადებათა ქვემდებარის როლში; დამოკიდებულად გვევლინება — წინადადების ყველა დანარჩენი წევრების როლში. მაგრამ ამასთანავე სიტყვის გრამატიკულ ბუნებასა და მათს ფუნქციას შორის წინადადების მთავარი თუ მეორეხარისხოვანი წევრის როლში თავს იჩენს ისეთი კავშირი, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მათგან ერთნი, როგორც დამოუკიდებელნი ფორმის მიხედვით (თუმცა [причем] იგივე სიტყვები ზოგიერთს პირობებში მდგომარეობისდა მიხედვით დამოკიდებული ხდება), მეორენი კი — როგორც ფორმის მიხედვით დამოკიდებულნი და საერთოდ დამოუკიდებელს მდგომარეობაში ყოფნის უნარს მოკლებულნი... ჩვენ ვიცით, სახელდობრ, რომელი სიტყვები შეიძლება იხმარებოდეს მთავარი წევრებისა და ქვემდებარის როლში. ამათ ეკუთვნის: 1. არსებით სახელთა, აგრეთვე პიროვნებითისა და საგნობრივ ნაცვალსახელთა სახელობითი ბრუნვები; 2. უწევრო (нечленный) ზედსართავთა სახელობითი ბრუნვები... 3. უღვლილებადი ზმნის უპიროვნო ფორმები; 4. უღვლილებადი ზმნის პირველი და მეორე პირის ფორმები; 5. მრავლობითის მესამე პირის ის ფორმები, რომელნიც იწვევენ წარმოდგენას ზმნური ნიშნის შეხამებისა სუბიექტთან, რომელიც უდრის განუსაზღვრელ მესამე პირს; 6. **ინფინიტივი; 7. ზმნისართი; 8. შორისდებუ-ლი“** (იქვე, გვ. 268-269, § 368: ხაზი ჩვენია — ა. ჩ.). „თავის ბუნების მიხედვით დამოკიდებულნი არიან: 1. არსებით სახელთა და სახელარს ნაცვალსახელთა (местоимения существительные) ირიბი ბრუნვები; 2. საერთოდ, ყველა ზედსართავი... 3. ზმნათა მესამე პირის მხოლოდობითის ფორმები... 4. ზმნათა მესამე პირის მრავლობითის ფორმები; 5. საერთოდ ყველა მიმღეობანი... 6. აბსოლუტივები (იქვე, გვ. 270, § 368).

დასასრულ, მოვიხსენიოთ დამატების განსაზღვრება: „დამოკიდებული სიტყვა, რომელიც დაკავშირებულია გაბატონებულ სიტყვასთან ობიექტური მიმართებით, იწოდება გრამატიკაში დამატებად“.¹ იგი ან უშუალოდ არის დამოკიდებული სხვა არსებით სახელზე — **პურის ნაჭერი, ღის ფული,** — ანდა

¹ "Зависимое слово, связанное с господствующим словом объективным отношением, называется в грамматике дополнением": Синтаксис, გვ. 22, § 23.

ნიშნის სახელის (ზმნის, ზედსართავი სახელის) საშუალებით: **მაგიდაზე იდგა გრაფინი, სავსე არყით; კატოს უყვარს თავისი ამხანაგი...** შეიძლება აგრეთვე დამატება დამოკიდებული იყოს უპირო ზმნაზე: **მე არ მეძინება** (*мне не спится*)... უსუბიექტო (*бесподлежащный*) გამოთქმებზე: **მე ის მებრალე-ბა...** (*мне ее жалко*) (იქვე, გვ. 22-23, § 23).

განსაზღვრების დეფინიცია ასეთი სახისაა: „ზედსართავი სახელი, რომელიც ნახმარია ატრიბუტად მასზე გაბატონებულის, მისი მმართველი არსებითი სახელისათვის, შეესატყვისება წინადადების იმ ნაწილს, რომელიც იწოდება განსაზღვრებად“ (იქვე, გვ. 21, § 21).

49. სინტაქსი აზროვნებასთან დაკავშირებით შეისწავლება... წინადადების ფსიქოლოგიური ბაზა არის კომუნიკაცია, ცნება უფრო ფართო, ვინემ ფსიქოლოგიური მსჯელობა: კომუნიკაცია შედგება ფსიქოლოგიური სუბიექტისა და პრედიკატისაგან; სუბიექტი ეწოდება გაბატონებულ წარმოდგენას, პრედიკატი — დამოკიდებულს. წინადადების წევრები არ იმყოფება კომუნიკაციის ნაწილებთან ისეთსავე სრულ შესატყვისობაში, როგორც არსებობს კომუნიკაციასა და წინადადებას შორის: კომუნიკაცია მუდამ ორი წევრისაგან შედგება, წინადადება კი შეიძლება შედგებოდეს როგორც ორი, ისე ერთი, სამი თუ მეტი სიტყვისაგან. ამისდა მიუხედავად წინადადების წევრთა უთრეერთობა აგებულია იმავე პრინციპზე, რომელიც კომუნიკაციის წევრთა ურთიერთობას ახასიათებს: აქაც გაბატონებული და დამოკიდებული შედგენილობაა: ბატონობს ის სიტყვა, რომლის ფსიქიკური კორელატიც არის გაბატონებული წარმოდგენა.¹ ასეთია სქემა-განაკვეთი შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს შეხედულებისა.

ამ შეხედულების თავისებურებას შეადგენს: 1. წინადადებისათვის ახალი ფსიქოლოგიური ბაზის წამოყენება კომუნიკაციის სახით; 2. კომუნიკაციის წევრების, სუბიექტისა და პრედიკატის, სხვაგვარი გაგება, ვინემ ეს გა ბ ე ლ ე ც - პ ა უ ლ ს ა და მათ მიმდევრებს ჰქონდათ; შ ა ხ მ ა - ტ ო ვ ი საერთოდ ვ უ ნ დ ტ ს მისდევს, მაგრამ მისგანაც განსხვავდება; 3. წინადადების მთავარ წევრთა, ქვემდებარისა და შემასმენლის, ურთიერთობაში იმავე პრინციპის დადგენა, რასაც ადგილი აქვს სუბიექტისა და პრედიკატის ურთიერთობაში. ეს გარემოება განსაკუთრებული მნიშვნელო-

¹ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ გაბატონება-დამოკიდების პრინციპი შ ა ხ მ ა - ტ ო ვ მ ა ჯერ წარმოდგენათა სამყაროში აღმოაჩინა და შემდეგ აქედან გადაიტანა მეტყველების სინამდვილეში. ქვემოთ დავინახავთ, რომ ადგილი ჰქონდა სწორედ საწინააღმდეგო მოვლენას. მაგრამ ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც აქ წარმოდგენილია შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს შეხედულების სისტემატური ანალიზი და არა — მისი გენეზისი.

ბისაა ორი მხრით: ჯერ ერთი, ამით უარყოფილია ის შეხედულება, თითქოს ზმნა-შემასმენელი იყოს წინადადების უმთავრესი წევრი, რასაც ასე დაბეჯითებით იცავდნენ ოვსიანიკო-კულუკოვსკი, ფორტუნატოვი, პეშკოვსკი. მეორეცაა-და: შახმატოვმა ამით მოახერხა ის, რაც მანამდე არ ხერხდებოდა; ქვემდებარე-შემასმენლის განსაზღვრება ფსიქოლოგიურ სუბიექტ-პრედიკატზე დაყრდნობით ვერ შეძლო ვერც ფორტუნატოვმა, ვერც პეშკოვსკიმ, ვერც პაულმა: აქ ფსიქოლოგიზმის ლოგიკა ილუნებოდა და საჭირო იყო ახალ საშუალებათა ძიება წინადადების წევრთა განსაზღვრების მოსაცემად. შახმატოვმა აქაც იგივე პრინციპი (გაბატონება-დამოკიდებისა) მოიმარჯვა, რასაც კომუნიკაციაში ვხვდებით; ამდენადვე დაცულია შახმატოვის ფსიქოლოგიზმის შინაგანი ლოგიკა, ამიტომაც შახმატოვის შეხედულებას მეტი მთლიანობა და თანამიმდევრობა ახასიათებს, ვინემ რომელიმე სხვა ფსიქოლოგისტის ნაზრევს.

50. რამდენად მკვიდრია ამ შეხედულების საფუძვლები? შახმატოვი გვეუბნება: კომუნიკაცია-ცნებას ის უპირატესობა აქვს ფსიქოლოგიურ მსჯელობასთან შედარებით, რომ იგი უფრო ფართო ცნებაა; იგი წარმოადგენს არა მარტო თხრობითი კილოთი გადმოცემულ წინადადებათა ფსიქიკურ კორელატს, არამედ მასვე შეუძლია დაითოს კითხვით, ბრძანებით და ნატვრით წინადადებათა ფსიქიკური ეკვივალენტები. ეს რომ ასე იყოს, ფსიქოლოგიზმის პირველი მთავარი ამოცანა დადებითად იქნებოდა გადაწყვეტილი, რადგანაც მოცემული იქნებოდა წინადადების **ყველა სახეთა** შესატყვისი ფსიქიკური ოდენობა. არის კი ეს ასე? უდავოა, რომ თხრობითი, კითხვითი, ნატვრითი წინადადებები წინადადებებია; არც ის უნდა იყოს სადავო, რომ ფსიქიკაში მათ რაღაც შესატყვისი გააჩნიათ: ამის გარეშე მათი გაგება შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ ეს „ფსიქიკური შესატყვისი“ მხოლოდ მაშინ შეიძლება „კომუნიკაციის (თუ სხვა რომელიმე **ერთი**) სახელწოდებით მოინათლოს, თუ დამტკიცებული იქნება, რომ ამ სხვადასხვაგვარ წინადადებათა კორელატები ფსიქიკურად, — პროცესის რაობისა და რომელიმე მხრივ, — ერთნაირი არიან. ფსიქოლოგიური მსჯელობის რაობის განხილვის დროს შემთხვევა გვქონდა საკმაო სიცხადით დაგვეჩხა, თუ რამდენად ცვალებადი და მრავალფეროვანი შეიძლება იყოს იგი: შეიძლება საკითხიც დაგვესვა, გვაქვს თუ არა უფლება „ფსიქოლოგიური მსჯელობა“ ვუწოდოთ ამ ფერად სინამდვილეს, შეიძლება თუ არა **მსჯელობა** იქცეს ფსიქოლოგიის ცნებად.

ასეა თუ ისე, ის, რასაც ფსიქოლოგიური მსჯელობა ეწოდება, არის თხრობითი წინადადების ეკვივალენტი. თუ წინადადების მხოლოდ ერთ ტიპს ვერ მოვუძებნეთ მკვიდრი და ერთფეროვანი ფსიქოლოგიური ბაზა,

ადვილი წარმოსადგენია, როგორი წარმატებით შეიძლება დასრულდეს ცდა ყველა ტიპის წინადადებისათვის ასეთი ბაზის მოცემისა. მრავალფეროვნება აქ შეიძლება მხოლოდ გადიდდეს. ეს კი ნიშნავს: მათ შესატყვისად ერთი ფსიქოლოგიური ოდენობის გამოძებნა შეუძლებელია. მაშ, როგორ მოაგვარა შ ა ხ მ ა ტ ო ვ მ ა ეს საკითხი? მას იგი არც დაუსვამს: **კ ო მ უ ნ ი კ ა ც ი ა არის წინადადებაზე დაყრდნობით ნავარაუდები დაშვება ფსიქიკურის მიმართ და არა ფსიქიკის წიაღში მოპოვებული ფაქტი.** თვით ტერმინი „კომუნიკაცია“ გვიჩვენებს, რომ ამ ცნების გამომუშავებისას ამოსავალი იყო მეტყველების სოციალური ფუნქცია (მეტყობინება: *communicare*), მაშასადამე, ენობრივი და არა ფსიქიკური მომენტი. ტერმინის ანალიზს გარდა ამას ცხადყოფს ტერმინის ისტორია. ს ვ ე დ ე - ლ ი უ ს ი ს ა თ ვ ი ს, რომლისაგანაც არის ნასესხები ეს ტერმინი, კომუნიკაცია აღნიშნავს როგორც სააზროვნო ერთეულს, ისე შესატყვის სამეტყველო ერთეულს: ესე იგი, იგი არც არის ფსიქოლოგიური ცნება. შ ა ხ მ ა - ტ ო ვ მ ა ამ ცნებას მოაცილა შინაარსის ერთი ნაწილი და აქცია იგი წინადადების ფსიქიკური სუბსტრატის აღმნიშვნელად. ეს, რა თქმა უნდა, თავისუფალი ოპერაციაა, რომლის შედეგებისათვის ფსიქოლოგია პასუხს ვერ აგებს; სამაგიეროდ, ფსიქოლოგიას რჩება სრული უფლება განაცხადოს, რომ ასეთ ცნებას იგი არ იცნობს და საგანგებო დასაბუთების გარეშე მას თავის წიაღში ვერ მიიღებს. დასაბუთებად, რა თქმა უნდა, ვერ ჩაითვლება კომუნიკაციის წარმოდგენილი დახასიათება: „ისეთი სააზროვნო აქტია, რომელიც მიზნად ისახავს სხვა ადამიანთ შეატყობინოს, რომ აზროვნებაში ადვილი ჰქონდა წარმოდგენათა შეხამებასაო“: დანიშნულება-მიზანი ტელეოლოგიური მომენტია, მასზე ნორმატული დისციპლინის ცნებადა თუ შეიძლება იქნეს აგებული, ყოველ შემთხვევაში, არა ფსიქოლოგიისა. ეს — ერთია.

შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ამბობს: ფსიქოლოგიური სუბიექტი გაბატონებული წარმოდგენაა, პრედიკატი კი — დამოკიდებული. გაბატონებული წარმოდგენა ვ უ ნ დ ტ ი ს ტერმინია. მაგრამ შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს ე უ ლ ი გაბატონება-დამოკიდება არ არის შემთხვევითი მოვლენა, ვისიმე ნება-სურვილზე დამოკიდებული: წარმოდგენის ბუნება იმათავითვე განსაზღვრავს, რომელი წარმოდგენა უნდა იყოს გაბატონებული და რომელი — დამოკიდებული. ასე, მაგალითად: თუ საგნის წარმოდგენა უკავშირდება ნიშნის წარმოდგენას, პირველი უნდა იყოს გაბატონებული, მეორე — დამოკიდებული.

ეს არ არის სწორი: ან გაბატონება-დამოკიდება ფსიქიკური მოვლენებია და, მაშასადამე, არავითარი გარანტია არა გვაქვს, რომ მხოლოდ საგნის წარმოდგენა შეიძლება იყოს გაბატონებული, ესე იგი, იყოს ცნობიერების ნათელს პუნქტში, სარგებლობდეს ცნობიერებაში უპირატესობით:

ნიშნის წარმოდგენამ შეიძლება სრულიად დაჩრდილოს იგი გარკვეულს კონტექსტში; ან გაბატონება-დამოკიდება გარკვეული და უცვლელია, და მაშინ საქმე ფსიქიკურ სინამდვილესთან არა გვაქვს. ასეთი კონსტანტობა ენობრივ სინამდვილეს ახასიათებს და არა — ფსიქიკურს. მართლაც, ფრაზაში: **კარლო მიემგზავრება ხვალ ბერლინს** (იხ. ზემოთ, გვ. 47-48) ფსიქიკურმა ცენტრმა ოთხჯერ იცვალა ადგილი; საგნის წარმოდგენა მხოლოდ ერთხელ იყო გაბატონებული, დანარჩენ სამ შემთხვევაში სწორედ ის წარმოდგენები იყო გაბატონებული, რომლებიც **შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს** თეორიით დამოკიდებული უნდა ყოფილიყო. სამაგიეროდ უცვლელი დარჩა ენობრივი აგებულება: სახელობითი ბრუნვა სახელისა პლუს მასთან შეთანხმებული ზმნა პლუს... და სხვა. „წარმოდგენათა ბუნება“ რომ გარანტიად არ გამოგვადგება, ამას ნაწილობრივ **შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ც** აღიარებს: მეტყველის ნება-სურვილითაც შეიძლება გაბატონდეს წარმოდგენაო, ამდენადვე ანგარიშგასაწევია **გ ა ბ ე ლ ე ნ ც ი ს ა** და მისი თანამოაზრეების შეხედულებათა (იხ. ზემოთ, გვ. 80). ამრიგად, „ნება-სურვილით გაბატონებული“ გვერდში ამოუდგა „ბუნებრივად გაბატონებულს“; უკანასკნელის „ბატონობას“ რომ ამით დიდი საფრთხე მოეღოს, ჩანს ზემოხსენებული ფრაზის განხილვიდან. ხოლო რაკი „ბუნებრივი ბატონობა“ კითხვის ქვეშ დაისვა, უდავოა, რომ **შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს** სუბიექტ-პრედიკატ-კატეგორიების სიმკვიდრე ჰაერში გამოეკიდა. **შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი** მაინც იმეორებს: წარმოდგენათა ბუნებრივი გაბატონება-დამოკიდება ძირითადი და გადამწყვეტი მნიშვნელობისააო; კონფლიქტი ადამიანის ფსიქიკის საფუძვლებსა და მის ცვალებად, დაუდგარ გუნებას შორის ზოგიერთ შემთხვევაში მაინც გადაწყდება იმ ძირითად მიმართებათა სასარგებლოდ, რომელნიც წარმოდგენათა ჯგუფებს შორის არსებობს მიუხედავად მეტყველის ნება-სურვილისაო (გვ. 7). მეტყველის ნება-სურვილით წარმოდგენათა გაბატონების შესაძლებლობას ბოლოს და ბოლოს **შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი** არ უწევს ანგარიშს. ეს გასაგები იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ **შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი** პირდაპირ ამბობს: „ჩვენი დასკვნები [კომუნიკაციისა და მისი წევრების, სუბიექტ-პრედიკატის შესახებ] ემყარება ენის მონაცემებს, კომუნიკაციის გავლენას მეტყველებაში“ (§ 10, გვ. 10). ეს გვაძლევს უფლებას, დავასკვნათ: სუბიექტ-პრედიკატის სიმკვიდრე დაფუძნებულია ენობრივ კვარცხლბეკზე, და სიმკვიდრესაც იმდენად აქვს ადგილი, რამდენადაც იგი ამ კვარცხლბეკიდან არ გადმოდის. სხვანაირად რომ ვთქვათ: **წარმოდგენათა გაბატონებამ კი არ მოგვცა სათანადო სიტყვათა გაბატონება; პირიქით, სიტყვათა ურთიერთობიდან არის გამოყვანილი დასკვნა წარმოდგენათა ურთიერთობის შესახებ.**

ჩვენს ასეთ გაგებას სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ის, რომ **შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს** შეხედულებაში მსჯელობა ფსიქიკურის შესახებ წინ უძღვის

მსჯელობას ენობრივის შესახებ, და უკანასკნელი პირველზეა დამყარებული: აქ გენეტურ ანალიზთან გვაქვს საქმე. ასე რომ: შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს აზროვნება წინადადებიდან კომუნიკაციისაკენ წარემართა, ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობიდან სუბიექტ-პრედიკატის ურთიერთობისაკენ; ფსიქოლოგიური კორელატი ნამდვილად ბაზა კი არ არის წინადადებისათვის, არამედ ზედნაშენი. თუ ასეა, განა არ შეიძლება მოგხსნათ ეს ზედნაშენი და დავტოვოთ ქვემდებარე-შემასმენლის საკითხში წმინდა ენობრივი გაგება? რასაკვირველია, არა: ქვემდებარე იმიტომ არის გაბატონებული, რომ იგი სუბსტანციის წარმოდგენას აღნიშნავს,¹ შემასმენელი იმიტომ არის დამოკიდებული, რომ ნიშანს გადმოგვცემს; სხვანაირად რომ ვთქვათ: ქვემდებარის ბატონობის წყარო არის არსებითი სახელის ფსიქოლოგიური რაობა. და ეს ნიშნავს: შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს სინტაქსი ფსიქოლოგისტურია იმიტომ, რომ ფსიქოლოგისტურია მისი მორფოლოგია: არსებითი სახელის ფსიქოლოგიური რაობა განსაზღვრავს ქვემდებარის ბატონობას, ქვემდებარის ბატონობა — ფსიქოლოგიური სუბიექტის ბატონობას. ამიტომაც შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს სინტაქსს ფსიქოლოგიური ზედნაშენი რომ მოვაცილოთ, ფსიქოლოგიზმი მაინც დარჩება: მორფოლოგიაში უკვე გვაქვს იგი, მორფოლოგიაში ღრმად აქვს მას გადგმული ფესვები.

ეს კი მნიშვნელოვანია შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს შეხედულების დაფასებისათვის. შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი მართალია, როცა ქვემდებარე (რუსულში) წინადადების გაბატონებულ მთავარ წევრად გამოაცხადა, შემასმენელი კი — დამოკიდებულ მთავარ წევრად. ენობრივი სინამდვილე ამას ცხადყოფს, და ჩვენ ვიცით, როგორი ძალადობა იყო საჭირო მეტყველების ფაქტებსა და აზროვნების კანონებზე, რომ საწინააღმდეგო დაემტკიცებინათ (ო ვ ს ი ა - ნ ი კ ო - კ უ ლ ი კ ო ვ ს კ ი, ფ ო რ ტ უ ნ ა ტ ო ვ ი, პ ე მ კ ო ვ ს კ ი). შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს **დებულება** სწორია და მთლიანად მისაღები; შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ქვემდებარის პრიმატი წამოაყენა და არა შემასმენელ-ზმნისა.

მაგრამ ეს მისი დებულება სწორია რუსული ენისათვის; ქართულში კი იგი სრულებით არ გამოგვადგება: სახელის გამოცხადება ზმნის ბატონად აქ შეუსაბამობა იქნებოდა. რას გვიჩვენებს ეს? მხოლოდ იმას, რომ უმართებულოა ის **პრინციპი**, რომელზედაც აშენდა წინადადების ნაწილთა ურთიერთობა შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს გაგებით; სუბსტანციას განეკუთვნება

¹ შღრ. არსებითი სახელის განსაზღვრება: "Существительное – это часть речи, соответствующая 1) представлению о субстанции, 2) представлению о качестве-свойстве или действии-состоянии, мыслимым вне сочетания с носителями или производителями их": С. Б е р н ш т е й н. Известия, გვ. 223. ესე იგი, არსებითი სახელი ან სუბსტანციის წარმოდგენას გამოხატავს, ან ისეთი თვისება-მდგომარეობის წარმოდგენას, რომელიც სუბსტანციის წარმოდგენას ეთანაბრება თავისი დამოუკიდებლობით.

ნიშანი, მაგრამ ეს ოდნავაც არ ნიშნავს, რომ სუბსტანციის აღმნიშვნელს ყოველთვის და ყოველს ენაში გაბატონებულის როლი ხვდება წილად. თავის დროზე ნაჩვენები იქნება, რომ ქართულში „ნიშნის“ გამომხატველი ზმნა ჩვეულებრივად ბატონობს „სუბსტანციის“ გამომხატველ სახელზე. თვით რუსულშიაც აღსანიშნავია შემდეგი გარემოება; შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი თვითონ ამბობს: ინფინიტივი, ზმნისართი, შორისდებული შეიძლება გაბატონებულ წევრად მოგვევლინოსო (იხ. ზემოთ, გვ. 82). მაგრამ ესენი ხომ სუბსტანციის წარმოდგენას არ აღნიშნავენ? მაშ, როგორ შეუძლიათ მათ არსებითი სახელის როლის შესრულება? შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი პასუხს არ იძლევა; ფაქტი კი ფაქტად რჩება და იგი შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს: გაბატონება სიტყვისა არ ნიშნავს სათანადო წარმოდგენის ბატონობას ცნობიერებაში. შეიძლება დავასკვნათ: ქვემდებარე-შემასმენლის კვალიფიკაცია შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს ა (რუსულისათვის) სრულიად მართებულია; პრინციპი კვალიფიკაციისა — სრულიად უმართებულო: მცთარი პრინციპის მიხედვით სწორი დებულება შემთხვევით არის მიღებული.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ერთსიტყვიანი გამოთქმის (როგორცაა: *Мороз!*) წინადადებად მიჩნევა ვერ დასაბუთდება იმიტომ, რომ „განსაკუთრებულად გამოთქმა“ ის, რაც მას კომუნიკაციის აღნიშვნის უნარს აძლევსო (გვ. 12, § 12); „განსაკუთრებულად გამოთქმა“ ასეთი შემთხვევებისა რომ ვერ გახდება აღწერითი ენათმეცნიერების საგანი, ნაჩვენები იქნება ქვემოთ; აქ მხოლოდ იმას მოვიგონებთ, რომ საზომად იმის მიჩნევა, **რას გამოხატავს** ესა თუ ის ენობრივი ფაქტი, მძიმე შედეგებს მოგვცემდა, თუ ბოლომდე ამ ლოგიკას შევრჩებოდით (იხ. ზემოთ, გვ. 42-44).

დამატების განსაზღვრებაში არაენობრივი მომენტი შემოდის, რამდენადაც ლაპარაკია „ობიექტური მიმართების“ შესახებ, რომლითაც დამოკიდებული სიტყვა უკავშირდება გაბატონებულს.

ვფიქრობთ, ისიც, რაც ითქვა შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს შესახებ, საკმარისია იმის გასაგებად, რამ მისცა მთლიანობა შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ს შეხედულებას, საიდან მომდინარეობს მისი ფსიქოლოგიზმი და რა ნაკლი და ღირსება აქვს მის განსაზღვრებას წინადადებისა და ამ უკანასკნელის მთავარი წევრებისა.

51. ფსიქოლოგიზმის განხილვა შეიძლება ამით დავამთავროთ. ენობრივ ნიადაგზე მდგომ მოაზროვნეთა გათვალისწინებალა გვრჩება. მაგრამ მანამდე საჭიროდ მიგვაჩნია მოვიხსენიოთ ვ. პ ო რ ც ი გ ი ს განსაზღვრება წინადადებისა, რომელსაც იგი იძლევა წერილში: "*Aufgaben der indogermanischen Syntax* (იხ. *Stand und Aufgaben der Sprachwissenschaft, Heidelberg, 1924*, გვ. 126-152); მისი განსაზღვრება ასეთი სახისაა: „წინადადება არის მნიშვნელობითი აღნაგობა ისეთი ფორმისა, რომლის საშუალებითაც (სა-

თანადო ენაში) ობიექტური ვითარება იგულებს, ვითარცა დამთავრებულ-ლი.¹ დამთავრებულობა პორციგს მიაჩნია წინადადება-ცნების არსებით ნიშნად (იხ. იქვე. გვ. 142); მაგრამ ეს კი არ ქმნის პორციგის განსაზღვრების თავისებურებას, არამედ ცნება მნიშვნელობისა (**Bedeutung**); ეს ცნება ძირითადია პორციგის შეხედულებისათვის ენათმეცნიერების სტრუქტურის შესახებ. მეტყველების რეალურ ფაქტში, გამოთქმულობაში (**Ausspruch**) პორციგი განასხვავებს სამ რასმე: 1. გარეგნულ გამოხატულებას ბგერების საშუალებით; 2. იმ ფსიქიკურ ფენომენებს, რომლებიც აღინიშნება და 3. მნიშვნელობას (იხ. იქვე, გვ. 131). პირველს შეისწავლის გრამატიკა, მეორეს — ენის ფსიქოლოგია, მესამეს — მნიშვნელობათმეტყველება ანუ მოძღვრება მნიშვნელობის შესახებ (**Bedeutungslehre**) — იხ. გვ. 131-132. პორციგი სამივეს საენათმეცნიერო დისციპლინად თვლის. რა არის „მნიშვნელობა“? „მნიშვნელობა ეწოდება გამოთქმულობის უნარს — იგულებს სინამდვილის ნაწილი“;² ესე იგი, მიმართება სინამდვილესთან არის ის, რის მიხედვითაც არის დამუშავებული ეს ცნება. ამისდა კვალობაზე მნიშვნელობათმეტყველების მიზანია „გამოიკვილოს გამოთქმულობის ის მხარეები, რომელთა საშუალებით იგი დგება გარკვეულს მიმართებაში სინამდვილესთან... ლოგიკასაც აქვს საქმე მნიშვნელობასთან, მაგრამ იგი განიხილავს მას, როგორც „სწორს“ ან „მცდარს“ (გვ. 132). მნიშვნელობაში ორი სახეობა უნდა განვასხვავოთ: მნიშვნელობის შინაარსი (**Bedeutungsinhalt**) და მნიშვნელობის ნაირობა (**Bedeutungsweise**); პირველია საგანი სემასიოლოგიისა, მეორე — სინტაქსისა (გვ. 133). მნიშვნელობის ნაირობა ორს ქვესახეს იძლევა: მნიშვნელობის ფუნქციებსა (სუბიექტი, პრედიკატი, ობიექტი, ატრიბუტი...) და მნიშვნელობის კატეგორიებს (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა, გრამატიკული სქესი, კონკრეტული და განყენებული, სრული და უსრული...).

პორციგი გვეუბნება: „მნიშვნელობა“ არ არის მხოლოდ ენათმეცნიერების კუთვნილება; იგი დიდ როლს თამაშობს ლოგიკაშიცო; ფსიქიკური განაცადი (**Erlebnis**) და მნიშვნელობა ლოგიკოსებსაც ერთსა და იმავედ მიაჩნდათ (მაგალ., ბრენტანოს მოწაფეთ, მათ შორის მარტიოსაც). ჰუსერლმა მოახერხა დაედგინა მნიშვნელობათა სამყაროს დამოუკიდებლობა ყოველივე ფსიქიკურისაგან. ამით ენათმეცნიერებისათვისაც სრულიად ახალი მდგომარეობა იქმნება. ჯერჯერობით არავის უცდია ჰუსერლის მონაცემი გამოეყენებინა სინტაქსისთვისაო... (იქვე, გვ.

¹ "Ein Satz ist ein Bedeutungsgefüge von derjenigen Form, durch die (in der betreffenden Sprache) Sachverhalte als abgeschlossene gemeint werden": Stand... გვ. 142.

² "(Die) Fähigkeit eines Ausspruchs, ein Stück Wirklichkeit zu meinen, heisst Bedeutung": Stand..., გვ. 131.

128-129). ერთი სიტყვით, პორციგის წარმოდგენილი შეხედულება არის ცდა სინტაქსი წარმოგვიდგინოს იმ ახალს დამუშავება-გაშუქებაში, რომელიც შედეგად მოჰყვება ჰუსერლის „მნიშვნელობის“ გამოყენებას ენათმეცნიერებისათვის. პორციგის მსჯელობის სქემის გათვალისწინებაც ცხადყოფს, რომ სინტაქსის ახალი თვალსაზრისით გაშუქება ენათმეცნიერების დისციპლინათა თავისებურ გაგებას და გადაჯგუფებას იძლევა.

პორციგის შეხედულება, რასაკვირველია, დამთავრებულ-დამუშავებული სახით არ არის წარმოდგენილი: იგი საპროგრამო ხასიათს ატარებს. ამიტომ მის განხილვასაც შეიძლება მხოლოდ ზოგადი ხასიათი ჰქონდეს. ამ მხრივ ყურადღება შემდეგს უნდა მიექცეს: 1. სრულიად გაუგებარია პორციგის შეხედულების მიხედვით, რა არის საგანი და მიზანი გრამატიკისა; 2. არანაკლებ გაუგებარია, რა უფლებით ვაცხადებთ ენის ფსიქოლოგიას საენათმეცნიერო დისციპლინად და ვათავსებთ მას გრამატიკის გვერდით, მით უფრო, რომ თვით პორციგი ამბობს: ენის ფსიქოლოგია ისევე არის ფსიქოლოგიის ნაწილი, როგორც, მაგალ., შეგრძნებათა და აზროვნების ფსიქოლოგიაო (გვ. 132). 3. სადავოა, რამდენად ბუნებრივია სემანტიკისა და სინტაქსის მიჩნევა ერთი მოვლენის ორ შტოდ. რაც შეეხება, კერძოდ, წინადადების განსაზღვრებას, იგი მეტად ფართოა: (*Aufgaben der indogermanischen Syntax*" — (პორციგის წერილის სათაური) ამ განსაზღვრების თანახმად წინადადება იქნებოდა, რადგანაც ის წარმოადგენს შინაარსის მიხედვით „მნიშვნელობათა აგებულებას“, სრულიად დამთავრებულია და იმყოფება სინამდვილესთან მიმართებაში. კერძოდ, წინადადების ნაწილთა საკითხს პორციგი არ ეხება; არა ჩანს, რა სახეს მიიღებდა იგი პორციგის შეხედულებათა ნიადაგზე.

მაგრამ ყოველივე ეს მეორეხარისხოვნად შეიძლება მივიჩნიოთ; თავი და თავია ძირითადი პრინციპი, ამოსავალი ცნება — **მნიშვნელობისა** — ჰუსერლის ფილოსოფიური ნაზრევიდან შემოტანილი. პორციგი გვეუბნება: მნიშვნელობათა სამყარო ჰუსერლის გაგებით სრულიად დამოუკიდებელია ყოველისავე ფსიქიკურისაგანო. მაშ რა ბუნებისაა იგი? საითკენ მივყევართ მას? პასუხი თავისთავად ცხადია... ფორმალური ლოგიკის ტირანიას გრამატიკაში სავალალო შედეგები მოჰყვა. მით უფრო სახიფათო იქნებოდა ცდა გნოსეოლოგიურ-მეტაფიზიკური ლოგიკის ცნებაზე საენათმეცნიერო შენობის აგებისა. მწვავეა სინტაქსის მდგომარეობა; მაგრამ თუ შევლას „მნიშვნელობის“ ეს ცნება იკისრებს, ბუნებრივად დაიბადება შიში სინტაქსისა და, საერთოდ, ენათმეცნიერების პოზიტიური ბუნების ბედისათვის.

4. ფონეტიზმი და მორფოლოგიზმი

52. როგორც ლოგიციზმს, ისე ფსიქოლოგიზმს ერთი რამ აერთიანებს; ეს არის ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპი: ენობრივი ფაქტი შესწავლილ იქნეს იმ ლოგიკურ თუ ფსიქოლოგიურ კატეგორიებზე დაყრდნობით, რომელნიც ამ ენობრივ ფაქტში პოვებენ გამოხატულებას; ისინი მეტყველების აღწერას უდგებიან სხვა სინამდვილეში მოპოვებული საზომით; ეს არის **მეთოდოლოგიური ტრანსცენდენტიზმი**. მას უპირისპირდება სხვა თვალსაზრისი, სახელდობრ ის, რომელიც საჭიროდ თვლის ენობრივი ფაქტები აღწერილ იქნეს ენობრივი საზომით, საზომი საგნისათვის იმანენტური იყოს; ამას შეიძლება ეწოდოს **მეთოდოლოგიური იმანენტიზმი**.

შედარებით მცირეა იმ ენათმეცნიერთა რიცხვი, რომელნიც ცდილობენ წინადადებისა და მის წევრთა საკითხი ენობრივ ნიადაგზე ენობრივი საშუალებით გადაჭრან; ისიც უნდა გავხაზოთ, რომ ამ საკითხის განხილვისას სრულ თანამიმდევრობას ძნელად თუ ვპოვებთ: ფსიქოლოგისტური და ლოგიკისტური კუნძულები არც თუ იშვიათი იქნება; და თუ მათ ფსიქოლოგისტებისა და ლოგიკისტების წრეს არ მივაკუთვნებთ, ეს იმიტომ, რომ ამ ენათმეცნიერთა შეხედულებაში ჩანს ძირითადი ტენდენცია წმინდა ენობრივი თვალსაზრისის გატარებისა.

ასეთ ენათმეცნიერებად შეიძლება იქნენ მიჩნეული დ ე ლ ბ რ ი უ კ ი, პ ე ტ ე რ ს ო ნ ი, პ ე შ კ ო ვ ს კ ი, დ ე რ ყ ა ვ ი ნ ი და ბ უ დ ე.

53. წინადადებას დ ე ლ ბ რ ი უ კ ი ასე განსაზღვრავს: „წინადადება არის დანაწევრებულს მეტყველებაში წარმოებული წართქმა (Äusserung), რომელიც მეტყველსა და მსმენელს ევლინება, როგორც კავშირში მყოფი და დამთავრებული მთლიანობა“.¹ იმ სულიერ მდგომარეობას, რომელიც წინადადების წართქმას წინ უძღვის, დ ე ლ ბ რ ი უ კ ი დასაყრდენად არ იყენებს წინადადების განსაზღვრა-გაგებისათვის: საკმარისია, თუ იგი ისეთი თვისების იქნება, რომ გამოიწვიოს ენობრივი წართქმა და არა — ყვირილი (იხ. Vergl. Synt., I, 75). როგორც ვ უ ნ დ ტ ი ს სიტყვებიდან ჩანს, თავის "Grundfragen der Sprachforschung"-ში დ ე ლ ბ რ ი უ კ ი წინადადებისათვის გვაროვნულ ცნებად **წართქმას** თვლის და წინადადებას განსაზღვრავს, „ვითარცა წართქმას, რომელიც, სულ ცოტა, ორი წევრისაგან შედგება“.² შეიძლება შემდეგი დროის განსაზღვრებაც მოგვეგონებინა; იგი ასეთის სახისაა: „წინადადება [არის]... დანაწევრებულს ბგერებში მო-

¹ "Ein Satz ist eine in artikulierter Rede erfolgende Äusserung, welche dem Sprechenden und Hörenden als zusammenhängendes und abgeschlossenes Ganzes erscheint": Vergl. Syntax, I, 75.

² "[D e l b r ü c k] schlägt... vor" Äusserung als den oberen Begriff aufzustellen und den Satz als eine Äusserung zu definieren, die aus mindestens zwei Gliedern besteht" (გვ. 145); იხ. W u n d t, Sprachgeschichte..., გვ. 72. რადგანაც დ ე ლ ბ რ ი უ კ ი ს Grundfragen თბილისში არ იშოვება, შესაძლებლად მივიჩნიეთ ვ უ ნ დ ტ ი ს გადმოცემას დავეყრდნობოდით.

ცემული უწყვეტობა (Kontinuum), რომელიც მეტყველსა და მსმენელს ევლინება ვითარცა მთლიანობა¹. ეს სამი განსაზღვრება ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არის აქ წარმოდგენილი: პირველი ეკუთვნის 1893 წ., მეორე — 1901 წ. (მოცემულია ვუნდტის "Sprache"-თი გამოწვეულ "Grundfragen der Sprachforschung"-ში), მესამეს ვხედავთ 1919 წლის გამოცემაში „შესავლისა ინდო-ევროპულ ენათა შესწავლაში“.

ქვემდებარე დელბრიუკის გაგებით არის „არსებითი სახელი, რომელიც დასმულია სახელობითს ბრუნვაში და წარმოადგენს წარტქმის ცენტრალურ პუნქტს, პრედიკატი კი — ის, რაც ქვემდებარის შესახებ არის ნათქვამი“². დელბრიუკი აღნიშნავს, რომ ეს ცნებები ლოგიკიდან არის ნასესხები, მაგრამ მას გრამატიკული მნიშვნელობით აქვს ნახმარი; გაბელენცისებურ გაგებას სუბიექტ-პრედიკატისას იგი არ იზიარებს (Vergl. Synt., III, 6).

დამატების შესახებ ვკითხულობთ: დამატება არის „საგანი, რომელსაც უშუალოდ ეხება მოქმედება ზმნისა“³.

დელბრიუკის განსაზღვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია წინადადების განსაზღვრება. ამ განსაზღვრების სამი ვარიანტიდან უკანასკნელი ყველაზე ზოგადია, პირველში — მისი ერთგვარი დეტალიზაციაა მოცემული, ხოლო მეორე ამ ორი დანარჩენის შეზღუდვა-დავიწროებას წარმოადგენს: მეორე განსაზღვრება ისეთსავე მიმართებაში იმყოფება პირველსა და მესამესთან, როგორშიაც სახეობა და გვარია ერთმანეთთან. ბუნება კი სამივე განსაზღვრებისა ერთნაირია.

დელბრიუკის განსაზღვრებათა შესახებ უნდა ითქვას: 1. წინადადების წარმოდგენილი განსაზღვრება არ შეიძლება იქნეს გამოყენებული დაწერილი წინადადების მიმართ; 2. თქმული წინადადებისათვის იგი მეტად ზოგადია: წიგნის სათაურად გამოყენებული შესიტყვება, როგორცაა „ინდო-გერმანულ ენათა სინტაქსი“, „მორფოლოგიური ძიებანი“ — ამ განსაზღვრებათა თანახმად წინადადება იქნებოდა. ეს კერძოდ. საერთოდ კი: 3. განსაზღვრება ენობრივია, მაგრამ იგი არ არის არა თუ სინტაქსური,

¹ "Ein Satz wäre also ein in artikulierter Rede verlaufendes Kontinuum, das dem Sprechenden und Hörenden als ein Ganzes erscheint": Einleitung, გვ. 235. აღსანიშნავია, რომ ამ განსაზღვრებასთან დაკავშირებით დელბრიუკი წინადადების ფსიქოლოგიური სუბსტრატის საკითხს ეხება და საერთოდ ვუნდტის გაგება მიაჩნია მისაღებად (იხ. იქვე, გვ. 233-234).

² "Ich verstehe also unter Subjekt ein den Mittelpunkt der Aussage bildendes im Nominativ stehendes Substantivum, unter Prädikat das von diesem Ausgesagte": Vergl. Synt., III, 6.

³ "Unter Objekt verstehe ich den Gegenstand, der von der Handlung des Verbums unmittelbar betroffen wird": Vergl. Synt., I, 376.

არამედ მორფოლოგიურიც კი; იგი ფონეტიკური განსაზღვრებაა; აქედან ის გამომდინარეობს, რომ განსაზღვრება არა თუ უგულვებელყოფს იმ ენობრივ საშუალებებს, რომელნიც ქმნიან სიტყვათაგან შესიტყვებას, არამედ სრულიად არ იღებს მხედველობაში სიტყვას, როგორც მორფოლოგიურ ერთეულს. ამიტომ, 4. თუ ჩვენ ეს პრინციპი წინადადების ნაწილთა განსაზღვრისასაც დავიცავით, წინადადება უნდა დავყოთ ფონეტიკურ ერთეულებად ინტონაციის ჩვენებათა მიხედვით: ცხადია, ცალკე სიტყვათა საზღვრების დაცვა აქ შეუძლებელი იქნება; წინადადების წევრებად: ქვემდებარე-შემასმენლად, დამატებად და სხვ. ეს ფონეტიკური ერთეულები გვექნება.

ქვემდებარის განსაზღვრება მხოლოდ ნაწილობრივ არის ენობრივი (ისიც მორფოლოგიური და არა სინტაქსური), რამდენადაც ქვემდებარეს სახელობით ბრუნვაში ყოფნა ევალება; შემასმენლის განსაზღვრება იმეორებს ფორმალური ლოგიკის პრედიკატის განსაზღვრებას; დამატების განსაზღვრება „ყოველდღიური ლოგიკის“ ცნებებშია წარმოდგენილი. ამრიგად: 5. წინადადების ნაწილები უმართებულოდ არის განსაზღვრული და 6. მათი განსაზღვრა წარმოებს სხვა პრინციპის მიხედვით, ვინემ წინადადების განსაზღვრა, ესე იგი, დ ე ლ ბ რ ი უ კ ი ს შეხედულებაში არ არის დაცული თანამიმდევრობა, გვაკლია შინაგანი მთლიანობა.

54. პ ე ტ ე რ ს ო ნ ი სინტაქსის საგნის გაგებაში ფ ო რ ტ უ ნ ა - ტ ო ვ ი ს ა და რ ი ს ი ს თვალსაზრისზე დგას; სინტაქსის ამოცანა მას ასე წარმოუდგენია: 1. შესიტყვებათა ყველა ტიპისა და მათი ფუნქციების აღწერა (აღწერიითი სინტაქსი). 2. განსაზღვრა ტიპურ შესიტყვებათა და შესიტყვებათა შენაერთების წარმოშობისა, მათ ძირითად ფუნქციათა განსაზღვრა და განვითარება მათგან ყველა სხვა ფუნქციისა (ისტორიული სინტაქსი): იხ. *Синтаксис*, გვ. 37.

სანიმუშოდ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ადგილი: „1. სიტყვათა მიმართება გამოხატულია პირის დაბოლოებით: მაგალ.: *Я пользу. Рожь желтеет. Вы любите цветы? Все ждут*“. (იქვე, გვ. 38). ასეთია აღწერა; ახლა ფუნქციის შესახებ; „ასეთი შესიტყვების ფუნქციები მეტად მრავალფეროვანია და საკმაოდ მრავალრიცხოვანი: ...მოვიყვანოთ ყველაზე ხშირი და ნათელი: 1. საგანი და მის მიერ წარმოებული მოქმედება... 2. საგანი და მდებარეობა ან მდგომარეობა, რომელშიაც იგი იმყოფება... 3. საგანი და მოქმედება, რომელსაც იგი ექვემდებარება... 4. საგანი და თვისება, რომელსაც იგი ამჟღავნებს“... (იქვე, გვ. 39-40).

„სინტაქსის“ ბოლოში რამდენიმე გვერდი აქვს დათმობილი წინადადებისასაც (გვ. 123-129); იქ ნათქვამია: „წინადადებას მე განვსაზღვრავ, როგორც ინტონაციურ ერთიანობას. წინადადება შეიძლება იყოს ცალკე

სიტყვაც (მაგალ.: *Пожар! Светает! Ваня! Эй!*), შესიტყვებაც (მაგალ.: *Я пишу. Степь зазеленела. Боря болен. Здесь хорошо. Слушать приятно*), შესიტყვებათა შეერთებანიც (მაგალ.: *Я был озлоблен, он угрюм... Солнце скрылось и быстро стемнело... Им можно, а вам нельзя*). წინადადების ფუნქციაა გამოხატოს ფსიქიკური (!) მსჯელობა (გვ. 123-124).

ერთი და იგივე შესიტყვება შეიძლება იყოს წინადადება, მაგრამ შეიძლება არც იყოს: წინადადებაა იგი, თუ კი ინტონაციურ ერთიანობას წარმოადგენს (მაგალ.: *Старуха сердилась... Барин поживает...*); მაგრამ ეგევე შესიტყვებანი სხვა შესიტყვებებთან შეხამებაში აღარ წარმოადგენენ წინადადებას (მაგალ.: *Старуха сердилась; она громко хохотала... Барин поживает, а ты, знай, горланишь* (გვ. 124).

„წინადადებანი მათ მთავარ **ფსიქიკურ ფუნქციათა მიხედვით** (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.) ჩვეულებრივად განიყოფებიან თხრობით, კითხვით და გაკვირვებითად... ამათგან ყოველი სახე დახასიათდება განსაკუთრებული ინტონაციით“ (გვ. 124). „ინტონაციის როლი (ფუნქციები) საკმაოდ მრავალფეროვანია. ჩამოვთვლი იმათ, რომელნიც მე მეჩვენებიან უმთავრესად: 1. ინტონაცია უწინარეს ყოვლისა აერთიანებს იმ სიტყვებსა და შესიტყვებებს, რომელნიც შეადგენენ წინადადებას და ამიტომაც არის წინადადების ერთ-ერთი არსებითი ნიშანი. წინადადების ინტონაციური ერთიანობა მიიღწევა იმით, რომ მას აქვს ერთი ინტონაციური მწვერვალი და საბოლოო ინტონაცია... 2. ინტონაცია ქმნის განსხვავებას თხრობითსა, კითხვითსა და გაკვირვებითს წინადადებას შორის, უმთავრესად, წინადადების ბოლოს გაინტონირებით: თხრობით წინადადებათა ინტონაცია ბოლოში დაწეულია, კითხვითში — აწეული, გაკვირვებითში — თანაბარი ან აგრეთვე აწეული, მაგრამ, როგორც ჩანს, მეორე ინტერვალზე... 3. საშუალო (срединная) ინტონაციის განსხვავებანი გამომხატავენ მიმართებას იმ შესიტყვებათა, რომელნიც არ არიან შეერთებულნი კავშირის საშუალებით (მაგალ.: *Мы напали, он защищался...*)“: გვ. 126-128.

„წინადადება, თუკი იგი ერთი სიტყვისაგან არ შედგება, იყოფა პაუზების საშუალებით სიტყვებად და სიტყვათა ჯგუფებად (მაგალ.: *Говор умолкает... Проходят дни... Это так...*). პაუზების მიერ გამოყოფილი ჯგუფები უმეტესად შედგება ორი სიტყვისაგან და ჩვეულებრივ შესიტყვებას წარმოადგენს, მაგრამ შესიტყვება შეიძლება გაკვეთოს პაუზამ... (გვ. 124). პაუზის საშუალებით წინადადებაში გამოიყოფა ჯგუფები, რომელნიც ერთნაირნი არიან მახვილის სიძლიერის მიხედვით. თვით ეს ჯგუფები, თუკი ისინი შედგებიან რამდენისამე სიტყვისაგან, დაიყოფიან უფრო მცირე ჯგუფებად ნაკლები ხანგრძლივობის პაუზებით. მეორე მხრით, რამდენიმე ჯგუფისაგან შემდგარი ერთეული (**совокупность**) უფრო დიდი პაუზის საშუა-

ლებით გამოეყოფა სხვა ერთეულს; ყველაზე დიდი პაუზებია წინადადება-თა შორის; ყველა ეს დაყოფა ქმნის პროზაული მეტყველების რიტმს“ (გვ. 125).

„პაუზები წარმოშობით, როგორც ამას მართებულად შენიშნავს მორისი, წმინდა ფიზიოლოგიური მოვლენაა, გამოწვეული იმით, რომ აუცილებელია ფილტვების აგსება, და მხოლოდ თანდათანობით მოეწყო მათი საშუალებით მეტყველების დაყოფა სიტყვათა და შესიტყვებათა ჯგუფებად“ (გვ. 125).

55. მაშასადამე: 1. წინადადება განისაზღვრება ინტონაციის მიხედვით; წინადადებად შეიძლება იყოს შესიტყვება, ცალკე სიტყვა ან შესიტყვებათა შეერთება; მისი ფუნქციაა ფსიქიკური (თუ: ფსიქოლოგიური? — ა. ჩ.) მსჯელობის გამოხატვა. 2. ფსიქიკურ ფუნქციათა მიხედვით წინადადებანი განიყოფებიან თხრობითს, კითხვითსა და გაკვირვებითს წინადადებად; თითოეულ მათგანს შესაფერი ინტონაცია ახლავს: ცხადია, ეს **ინტონაცია** ფსიქიკურ ფუნქციასთან არის დაკავშირებული, **იგი ფსიქიკური ფუნქციის გამოვლენაა**. 3. წინადადების შესწავლაში პაუზის კვლევა მნიშვნელოვან როლს თამაშობს; პაუზა წმინდა ფიზიოლოგიური მოვლენაა.

რატომ შეიძლება ცალკე სიტყვაც, შესიტყვებაც, შესიტყვებათა შენაერთიც იყოს წინადადება? იმიტომ, რომ ყველას ერთგვარად ახასიათებს ინტონაცია. რა იწვევს ამ ინტონაციას? ფსიქოლოგიური მსჯელობა, რომელიც წინადადების ფუნქციას შეადგენს. თუ ასეა, წინადადება ფუნქციონალური ცნება ყოფილა და, როგორც ასეთი, ფორმალურად ვერც განისაზღვრება. ასეთი დასკვნა არ უნდა იყოს საერთოდ უცხო პეტერსონისთვის (იხ. **Стремнинин**, Род. яз., I, გვ. 6). მაგრამ წინადადების ასეთი კვალიფიკაცია იმასაც დაავალბდა პეტერსონს, სრულიად მოეხსნა წინადადება გრამატიკის სინამდვილიდან.

მაგრამ ეს არ ხდება; ამ ცნებას მაინც აქვს ადგილი სინტაქსურ სინამდვილეში, აქვს გარკვეული სახით და აქ იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა წინადადება სინტაქსის საგნად გამოცხადდეს? სინტაქსი პეტერსონის გაგებით არის მოძღვრება შესიტყვებათა შესახებ; წინადადებისათვის კი სრულიად არ არის სავალდებულო შესიტყვების სახით მოგვევლინოს: ცალკე სიტყვა, უფორმოც კი, ნორმალურ წინადადებად არის მიჩნეული. ცხადია, ამ უკანასკნელთა ადგილი მორფოლოგიაშია და არა სინტაქსში; ამგვარად, წინადადება შეიძლება გახდეს მორფოლოგიის საგანი ისევე, როგორც სინტაქსისა. **წინადადება ვერ ეტევა სინტაქსში**, იგი შეიჭრა **მორფოლოგიაშიც**. ეს ცუდი ნიშანია, მაგრამ ასეთ დასკვნას ვერ ავცთებით, იგი პეტერსონის გაგებიდან შინაგანის აუცილებლობით გამომდინარეობს.

პეტერსონიც ხედავს ამას: 1925 წელს გამოსულ **Русский язык**-ში იგი პირდაპირ ამბობს: წინადადების შესახებ მოძღვრება ვერ დაედება საფუძვლად სინტაქსს, რადგანაც 1. წინადადება ხან შესიტყვებაა და ხან — ცალკე სიტყვა, და ეს დაარღვევდა სინტაქსის საგნის ერთგვარობას, და 2. ერთი და იგივე შესიტყვება ხან შეიძლება იყოს წინადადება, ხან — არა, იმისდა მიხედვით, თუ რა ჩვენებას იძლევა ინტონაციაო (იხ. **Рус. яз.**, გვ. 96). თუ რასმე ამტკიცებს ეს მოსაზრებები, უწინარეს ყოვლისა იმას, რომ 1. ინტონაცია ვერ გამოდგება წინადადების დამახასიათებელ ნიშნად და 2. პეტერსონისებური გაგება წინადადებისა სინტაქსს, მართლაც, საფუძვლად ვერ დაედება. ამრიგად, პეტერსონმა მეტი დაამტკიცა, ვინემ მისთვის საჭირო იყო: სახელდობრ, რომ წინადადება მისი გაგებით არა თუ ძირითად სინტაქსურ ცნებად ვერ გამოდგება, არამედ საერთოდ გამოუსადეგარია.

წინადადების განსაზღვრა ინტონაციის მიხედვით ხდებოდა. წინადადების შესწავლა — ისევ ინტონაციისა და ახალი ნიშნის, პაუზის, მიხედვით. რაში გამოიხატება ინტონაციის როლი? 1. იგი განასხვავებს თხრობითს, კითხვითსა და გაკვირვებითს წინადადებებს; მაგრამ ეს ხომ ფსიქიკური სინამდვილის ანარეკლია, აქ ინტონაცია ფსიქიკურის მხლებელია და არა ენობრივის დამახასიათებელი. 2. ინტონაცია აერთიანებს სიტყვებსა და შესიტყვებებსო. მაგრამ ამის მტკიცება იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ იგი მხოლოდ შესიტყვებასა და შესიტყვებათა შენაერთებს აღმოაჩნდებოდა. ჩვენ კი ვნახეთ, რომ იგი ცალკე სიტყვასაც ახლავს, ფორმიანსაც, უფორმოსაც; მათთან ინტონაცია შემთხვევითი სტუმარი კი არ არის, არამედ ისეთივე კანონიერი მოვლენაა, როგორსაც წარმოადგენს იგი შესიტყვებასთან: აკი ამ ინტონაციის წყალობით ხდება ეს ცალკე სიტყვები წინადადება! რაღაა ცალკე სიტყვაში შესაერთებელი? რა თქმა უნდა, არაფერი. ამგვარად, უნდა დავასკვნათ: შეერთება სიტყვათა რომ ინტონაციის საქმე იყოს, ცალკე სიტყვასთან მას ადგილი არ ექნებოდა. მაშასადამე, ინტონაციის ეს ფუნქციაც მოჩვენებითია. ეგევე ითქმის ინტონაციის მესამე დანიშნულების შესახებ: ინტონაცია აკავშირებს ორ შესიტყვებას, რომელთა შორის კავშირი არ არის; აქ ინტონაცია მიგვითითებს, რომ ერთ შესიტყვებაში მოცემულია პირობა მეორისა ანდა, ერთი უპირისპირდება მეორეს, ან კიდევ მეორე არის პირობა პირველისა. ყველგან ფსიქიკური მომენტებია და არა მეტყველებითი. ყველაფერი ეს გვიჩვენებს, რომ ინტონაცია წინადადების (და შესიტყვების) ენობრივ ბუნებას ისევე ვერ გამოააშკარავებს, როგორც ის ფსიქიკური მოვლენები, რომელთა მხლებელი თუ აღმნიშვნელი იგი არის.

პაუზის იმედი ხომ სულ ფუჭი იქნებოდა; იგი წმინდა ფიზიოლოგიური მოვლენაა; მისი საშუალებით მეტყველების მექანიკური მხარე თუ შე-

იძლება იქნეს გათვალისწინებული. არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს იმის შესახებ, რომ ეს მხარე მეტყველებისა შესიტყვებისათვის არ არის არსებითი.

ეს — ზოგადად. კერძოდ: ინტონაციის მომენტი დასაყრდენად იმიტომაც არ არის გამოსადეგი, რომ მის მიხედვით შეუძლებელია გამომუშავებულ იქნეს წინადადების ნაწილთა განსაზღვრება. **პ ე ტ ე რ ს ო ნ ი** არც ამბობს რასმე მათ შესახებ: ეს მისი შეხედულების დიდი ნაკლია.

მაგრამ თავი და თავი მაინც ის არის, რომ უმართებულოა ის თვალსაზრისი, რომლითაც წარმოებს სინტაქსური სინამდვილის შესწავლა. ამ თვალსაზრისის საშუალებით არა თუ წინადადების საკითხი სწორად არ დაისმება და არ გადაწყდება, არამედ საერთოდ შესიტყვების სინტაქსური ბუნება ვერ იქნება ჭეროვნად გაშუქებული. შესიტყვება, როგორცაა *Рождь желтеет*, სინტაქსურად ასეა დახასიათებული: „სიტყვათა მიმართება გამოხატულია პირის დაბოლოებით“ (Синтак., გვ. 38): **ეს არის მორფოლოგიურს ცნებებში აღწერა იმ მასალისა, რომლისაგან აგებულია შესიტყვება და არა კვალიფიკაცია იმ დამოკიდებულებისა, რომელიც არსებობს შესიტყვებაში შემავალ სიტყვათა შორის.** სინტაქსის მიზანი სწორედ ეს არის: გაარკვიოს ამ დამოკიდებულების სახე და, ამისდა მიხედვით, როლი შესიტყვების შემადგენელ სიტყვათა; ეს მიზანი უცხოა **პ ე ტ ე რ ს ო ნ ი** ს ა თ ვ ი ს; ეს ჩანს საკითხის დასმიდანაც, რომელსაც **პ ე ტ ე რ ს ო ნ ი** ს **Русский язык**-ში ვპოვებთ; **პ ე ტ ე რ ს ო ნ ი** იქ ამბობს: „სინტაქსში, როგორც მოძღვრებაში შესიტყვებათა შესახებ, სამი ძირითადი საკითხია: 1. რანაირი სიტყვებია შეკავშირებული ერთმანეთთან, 2. როგორ არის გამოხატული ეს კავშირი, 3. როგორია ის მნიშვნელობანი, რომლებშიაც იხმარებიან შესიტყვებანი ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორია შესიტყვებათა ფუნქციები“ (Рус. яз., გვ. 81). აქედან ცხადია, რომ **პ ე ტ ე რ ს ო ნ ი** ს სინტაქსი **შეისწავლის შესიტყვებას, მაგრამ შეუსწავლელი რჩება ის, რაც ქმნის შესიტყვებას, განზე რჩება არსი შესიტყვებისა.**

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: არსებითად მართებულია და მისაღები სინტაქსის საგნად შესიტყვების აღიარება და შესიტყვებაში ფორმის გარდა ფუნქციების ძიება (იხ. ზემოთ, მუხლი 3). საკითხია, შეიძლება თუ არა ფუნქციაც სინტაქსის საგნად გამოცხადდეს, მაგრამ უდავოა, რომ მხოლოდ ფორმის გათვალისწინებით მეტყველების სინამდვილე ვერ ამოიწურება. ამასთან დაკავშირებით უნდა მოვიგონოთ წინადადების ის განსაზღვრება, რომელიც **პ ე ტ ე რ ს ო ნ ი** მ ა **Русский язык**-ში წარმოადგინა: „ისეთ ერთიანობას, რომელიც თავისი ყველაზე არსებითი ნიშნის მიხედვით შეიძლება იწოდოს **ინტონაციურ ერთიანობად**, მე ვუწოდებ წინადადებას. შინაგანად წინადადებას ახასიათებს **აზრის მიხედვით** ერთიანობა,

ასე რომ წინადადების სრული განსაზღვრება იქნებოდა: იგი არის ინტონაციური და აზრის მიხედვითი ერთიანობა¹. როგორც აქედან ირკვევა, პეტერსონმა ფსიქოლოგიურ მსჯელობას თავი მიანება და მის მაგივრობა აზრს (СМЫСЛ) დააკისრა. ეს არაფერი: ბოლოს და ბოლოს არც ერთი გამოსადეგი და არც მეორე; ოღონდ მეორე უფრო ბუნდოვანი და გაურკვეველია, ვინემ პირველი. საგულისხმო სხვა რამეა: წინადადების ძველს განსაზღვრებაში აღნიშნული იყო მხოლოდ ენობრივი მომენტი და შემდეგ, საერთო წესით, როცა მის ფუნქციაზე მიდგებოდა საქმე, „ფსიქიკურ“ მსჯელობაზე მიგვითითებდნენ. ახალს განსაზღვრებაში ფსიქიკური მომენტი ენობრივის გვერდით კანონიერ წევრად არის შემოყვანილი; ეს აშკარა დათმობაა ფსიქოლოგიზმისათვის, ფორმალიზმის უკანდახევა ფსიქოლოგიზმის წინაშე.

56. პეტროვის შესახებ საუბარი გვქონდა ფსიქოლოგიზმთან დაკავშირებით; საამისო საბუთს იძლეოდა მისი სინტაქსი, რომლის საფუძვლები მთლიანად ფსიქოლოგიისტური აღმოჩნდა. მაგრამ ამ ცნობილი ნაშრომის მეორე გამოცემის შესავალში პეტროვი შენიშნავს, რომ წინადადების დაფუძნება ფსიქოლოგიურ მსჯელობაზე აღარ მაკმაყოფილებს, და სინტაქსის დალაგებისას „სხვა გზა წინანდებურად შეუძლებლად აღარ მიმაჩნია“ (Синтаксис, გვ. IV). რა სახით წარმოუდგენია პეტროვის ეს სხვა გზა? ამაზე ნაწილობრივ მაინც იძლევა პასუხს მისი წერილები Литер. Энцикл.-ში.

პეტროვის არ აკმაყოფილებდა მსჯელობა, როგორც დასაყრდენი წინადადებისათვის; ფსიქოლოგიზმი კი პეტროვის „სინტაქსში“ ამ გზით შემოვიდა. ცხადია, ახალი ძიება, უწინარეს ყოვლისა, წინადადების განსაზღვრებისაკენ უნდა იქნეს მიმართული. ახალი გზა აქედან უნდა დაიწყოს. ეს ასეც არის. წერილში «წინადადება» ნათქვამია შემდეგი: 1. წინადადების ყველა განსაზღვრება, რომელიც კი ყოფილა წამოყენებული დღემდე, საკმაოდ ვერ ითვალისწინებს წინადადების ენობრივ ბუნებას, ესე იგი, იმ ენობრივ საშუალებებს, რომლითაც იქმნება სათანადო ფსიქოლოგიური ერთიანობა. 2. უნდა უკუვაგდოთ ცდა წინადადების დაფუძნებისა მსჯელობაზე, რადგანაც მსჯელობა, ფსიქოლოგიურიცა და ლოგიკურიც, წინადადების ანალიზის საშუალებით აღმოცენდა; ამიტომაც, როცა ჩვენ წინადადების განსაზღვრისათვის მსჯელობას მივმართავთ,

¹ "Такое единство, которое по самому существенному его признаку можно назвать интонационным единством, я и называю предложением. С внутренней стороны предложение характеризуется смысловым единством, так что полнее определить предложение надо, как интонационное и смысловое единство": Рус. яз., გვ. 95-96.

იქმნება *circulus vitiosus*. 3. მიუღებელია პოტენიას აზრიც: ყოველ ენასა და ეპოქას აქვს თავისი წინადადება და ამიტომ შეუძლებელია წინადადების ზოგადი, ყველა ენისათვის გამოსადეგი განსაზღვრების გამომუშავებაო. ეს რომ ასე იყოს და სხვადასხვა ენათა წინადადებებს ზოგადი ისღა რომ ჰქონდეს, რომ ყოველი მათგანი აზრს აღნიშნავს, წინადადებას დაეკარგებოდა უფლება ენათმეცნიერებაში არსებობისა და მთლიანად ფსიქოლოგიაში გადავიდოდა. 4. წინადადების კერძო განსაზღვრებათა გვერდით (ამა თუ იმ ენისა და ეპოქისათვის) საჭიროა წინადადების ზოგადი განსაზღვრება, გამოსადეგი ყველა ენისათვის. იგი უნდა ვეძიოთ ადამიანის მეტყველების ზოგად თვისებებში; ასეთია რიტმი და მელოდია; მაქსიმალურ რიტმულ-მელოდიურ ერთეულად შეიძლება მივიჩნიოთ ფრაზა; პრელიმინარული მისი განსაზღვრება ასეთი იქნებოდა: ფრაზა არის სინტაგმა, რომელიც ხასიათდება ერთ-ერთი რიტმულ-მელოდიური წყობით: დამთავრებულ-თხრობითისა, კითხვითისა ან გაკვირვებითისით. წინადადება, ამგვარად, იქნებოდა „ნაწილობრივი ფრაზა“; ესე იგი რიტმულ-მელოდიური ცნება ნაკლების მოცულობისა და უფრო მდიდარი შინაარსით. წინადადების უფრო დეტალური განსაზღვრება ამჟამად შეუძლებელია, რადგანაც მოითხოვს დაწვრილებით იქნეს შესწავლილი ადამიანის ენის რიტმულ-მელოდიური საშუალებანი, ამჟამად კი ასეთი საკითხები შეისწავლება უმცირესი რიტმულ-მელოდიური ერთეულების, ბგერებისა და მარცვლების, ფარგლებში. 5. წინადადების სპეციფიკური გრამატიკული ნიშნები გათვალისწინებული უნდა იქნეს წინადადების კერძო განსაზღვრებებში. 6. საერთოდ: ფრაზა კი არ უნდა განისაზღვროს წინადადების მიხედვით, წინადადება კიდევ — სიტყვაზე დაყრდნობით, არამედ ფრაზის საშუალებით — წინადადება, წინადადების საშუალებით — სიტყვა (იხ. *Предложение*: Лит. Энци., გვ. 638-640, ტ. II).

ასე ცდილობს პეშკოვსკი წინადადების უნივერსალური განსაზღვრების დაქებნას. პეშკოვსკის ეს ცდა მშვენიერი ილუსტრაციაა იმის, რომ შეუძლებელია წამოყენებულ იქნეს წინადადების ისეთი განსაზღვრება, რომელიც იქნება ენობრივი და იმავე დროს გამოსადეგი ყოველი ენისათვის. რა მოგვცა პეშკოვსკის ცდამ: პეშკოვსკიმ განსაზღვრა წინადადება, როგორც ნაწილობრივი ფრაზა; ფრაზა კი არის სინტაგმა, რომელსაც ახასიათებს ან თხრობითი, ან კითხვითი და ან გაკვირვებითი რიტმულ-მელოდიკური წყობა. რაღაა სინტაგმა? სინტაგმად იწოდება მეტყველების მნიშვნელობიანი წევრი ("значащий член": იხ. Лит. Энци., გვ. 826, ტ. II). მაშასადამე: ფრაზა-ცნების უახლოესი გვარი შეიცავს ფსიქოლოგიურ მომენტს, რამდენადაც მისი გვაროვნული ცნება სინტაგმა არის; სპეციფიკური განსხვავება ფიზიკური მომენტით არის წარმოდგენილი

(რიტმი, მელოდია); ამრიგად, ფრაზა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ფსიქო-ფიზიკური ერთეული. წინადადება სახეობითი ცნებაა ფრაზისა, ამიტომ ცნება წინადადებისა ასეთივე ბუნებისა იქნება; ეს კი ნიშნავს: პ ე შ - კ ო ვ ს კ ი ს გზით ფსიქოლოგიზმი ვერ დაიძლევა, ენობრივი მხარეც სრულიად არაარსებით მომენტშია დაჭერილი; იმის თქმა: წინადადებას აქვს ასეთი და ასეთი რიტმი და მელოდიაო, იმის თქმას უდრის პრინციპში, რომ წინადადება შეიძლება იქნეს წარმოთქმული ჩასუნთქული თუ ამოსუნთქული ჰაერით. ამას გარდა, ცხადია, რომ დაწერილი წინადადებისათვის ეს ნიშანი არ გამოდგება. ერთი სიტყვით, პ ე შ კ ო ვ ს კ ი ს ზოგადი განსაზღვრება წინადადებისა ისევე ნაკლებად ითვალისწინებს წინადადების ენობრივ თვისებებს, როგორც ფსიქოლოგისტური განსაზღვრება, რომელსაც პ ე შ კ ო ვ ს კ ი იწუნებს. ეს ზოგადად.

კერძოდ, ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება. პ ე შ კ ო ვ ს კ ი ამბობს, წინადადების სრული განსაზღვრება იმიტომ არ შეიძლება წამოვაცუნოთ, რომ ჯერჯერობით უმცირესი რიტმულ-მელოდიური ერთეულებილა (ბგერა, მარცვალი) შესწავლილიო; თუ ეს ასეა, როგორღა გახდა შესაძლებელი ფრაზის განსაზღვრა? იგი ხომ ერთის საფეხურით უფრო მაღლა დგას, ვინემ წინადადება?! შეიძლება გვითხრან: ფრაზის განსაზღვრება პრელიმინარულიაო, მაგრამ წინადადებისთვის ხომ ასეთიც არ არის მოცემული!

ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა აღგვენიშნა, რომ წინადადებისათვის გვაროვნულ ცნებად ფრაზის მიჩნევას ვხვდებით მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. იმდროინდელ ერთ „ფილოსოფიურს გრამატიკაში“ კვითხულობთ: „...ყველა ამ შემთხვევაში, რომელიც ასე განსხვავებულია ერთურთისაგან, თანაბრად მოიხმარენ **ფრაზა**—სიტყვას, რომ გამოხატონ ეს სიტყვათა შენაერთნი, აგებულნი რაიმე აზრის გამოსახატავად. ჩანს, ეს სიტყვა **ფრაზა**, ისე, როგორც მას მოიხმარენ, გაცილებით უფრო ფართოა, ვინემ სიტყვა **წინადადება**; რომ ყველგან, სადაც არის წინადადება, არის **ფრაზა**; მაგრამ ყველგან, სადაც არის ფრაზა, არ არის ყოველთვის მარტივად ან ფორმალურად ის, რასაც უწოდებენ წინადადებას“¹

¹ "... dans tous ces cas si différents, on se sert également du mot phrase pour désigner ces assemblages de mots construits entr'eux pour l'expression de quelque pensée. On voit que ce mot phrase, dans l'usage qu'on en fait, a beaucoup plus de latitude que le mot proposition, que par-tout où il y a proposition, il y a phrase; mais que par-tout où il y a phrase, il n'y a pas toujours simplement ou formellement ce qu'on appelle proposition... Thiebault: Grammaire philosophique, II, 22. — ფრაზაზე უფრო ფართო ცნებად Thiebault გამოთქმას (expression) თვლის; გამოთქმა, ფრაზა, წინადადება — ასეთია ცნებათა იერარქია.

ფრაზის მიხედვით წინადადების განსაზღვრა, და წინადადების მიხედვით სიტყვისა, როგორც ამას პ ე შ კ ო ვ ს კ ი იცავს, იმიტომაც არ იქნებოდა მისაღები, რომ ფრაზა სინტაგმაა, და ამ პირობებში წინადადებაცა და სიტყვაც ფსიქოლოგიზმს ვერ ასცდება. არც იმის გაზიარება შეიძლება, თითქოს წინადადების განსაზღვრა სიტყვაზე დაყრდნობით იმიტომ იყოს შეუძლებელი, რომ თვით სიტყვის განსაზღვრა ვერ ხერხდება (იხ. *Слово*, Лит. Энци., გვ. 812 და შემდ.).

საყურადღებოა პ ე შ კ ო ვ ს კ ი ს შემდეგი განსაზღვრება რუსული ენის წინადადებისა: „დამოუკიდებელი ბრუნვა, რომელთანაც არის მასთან შეთანხმებული ზმნა, იწოდება **ქვემდებარედ**, თვით ზმნა მასთან — **შემასმენლად**. შეხამება ქვემდებარისა შემასმენელთან და იმ სიტყვებთან, რომელნიც დამოკიდებულნი არიან ერთსა ან მეორეზე (თუ არის ასეთი სიტყვები), იწოდება **წინადადება** (*Наш язык*, II, 182). წინადადება აქ წმინდა ენობრივი ნიშნების მიხედვით არის დახასიათებული; ეს განსაზღვრება მთლიანად მისაღები იქნებოდა, რომ ქვემდებარე და, განსაკუთრებით, შემასმენელი, სინტაქსურად იყოს განსაზღვრული. ზმნის-შემასმენლის სინტაქსურ კვალიფიკაციას იმიტომ უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, რომ ამ მხრივ არის მოსალოდნელი ფსიქოლოგიზმის საფრთხე. რომ ფსიქოლოგიზმის შიში უსაფუძვლო არ არის, ეს მტკიცდება იმით, რომ 1927 წელს (ესე იგი ორი წლის შემდეგ: ზემოთ მოყვანილი განსაზღვრებანი 1925 წელს განეკუთვნება!) პ ე შ კ ო ვ ს კ ი შესმენილობას და ამასთან დაკავშირებით წინადადებას წმინდა ფსიქოლოგისტური ინტერპრეტაციით წარმოგვიდგენს: „ზმნის უღვლილებად ფორმებს, გარდა იმ მნიშვნელობისა, რომელიც მათ აქვთ, როგორც მეტყველების ნაწილს..., აქვთ კიდევ მნიშვნელობა ცალკე სააზროვნო აქტის გამოხატვისა... მათი ასეთი მნიშვნელობა იწოდება შესმენილობად, და თვით ისინი თავის ამ მნიშვნელობაში — შესმენილობის ფორმებად“.¹ სააზროვნო აქტის აღნიშვნის თვალსაზრისით შესმენილობის ფორმები შეიძლება აღმოაჩნდეს ზედსართავის არაბრუნვად ფორმებს (*Наш язык*, III, გვ. 148), არსებითი სახელის სახელობითს ბრუნვას (იქვე, გვ. 152), ინფინიტივს (გვ. 155).

წინადადების განსაზღვრება კი ამ კონტექსტში ასეთ სახეს იღებს: „სიტყვა ან მთლიანი შესიტყვება, რომელიც შეიცავს შესმენილობის რაიმე ფორმას, იწოდება წინადადებად“.²

¹ "Спрягаемые формы глагола, кроме своего значения, как части речи... имеют еще значение выражения отдельного акта мысли... Такое значение их называется сказуемостью, а сами они в этом своем значении — формами сказуемости": *Наш язык*, III, გვ. 146.

² "Слово или цельное сочетание слов, заключающие в себе какую-либо форму сказуемости, называется предложением" (იქვე, გვ. 155).

57. ამგვარად, პეშკოვსკის ვერც ზოგადი და ვერც კერძო განსაზღვრება წინადადებისა ფსიქოლოგიზმისაგან ვერ განთავისუფლდა. ამისა და მიუხედავად პეშკოვსკის შეხედულებაში არის მომენტები, რომლებიც ფასეულია სინტაქსისათვის; ასეთია არამარტო სიტყვის დაშლა ფორმალურ და ნივთიერ ნაწილებად (ეს ბოლოს და ბოლოს ფორტუნიატოვის აგან მომდინარეობს), სინტაქსის საგნის მართებულად განსაზღვრა, მის „სინტაქსში“ წარმოდგენილი (გვ. 107), არამედ წინადადების ნაწილთა ის განსაზღვრებანი, რომელთაც დასკვნის სახით იმავე სინტაქსში ვპოვებთ; წარმოდგენილია ოთხი ტაბულა; პირველში გათვალისწინებულია, **მეტყველების რა ნაწილებით გამოიხატვის წინადადების ნაწილები**; მეორეში, პირიქით — **წინადადების რა ნაწილები იქნება მეტყველების ესა თუ ის ნაწილი**; მესამეში — **როგორს მიმართებაში იმყოფება ურთიერთთან წინადადების ნაწილები**; აქ (ტაბ. III) ვკითხულობთ:

„შემასმენელი ეთანხმება ქვემდებარეს.

ქვემდებარე არაფერს არ ეთანხმება, არაფრით არ იმართვის და არაფერს არ მიერთვის.

დამატება იმართვის წინადადების რომელიც გნებავთ იმ წევრის მიერ ან მიერთვის მათ.

განსაზღვრება ეთანხმება იმ წევრს, რომელიც არსებითი სახელით არის გამოხატული.

გარემოება მიერთვის წევრს, გამოხატულს მეტყველების ყოველი ნაწილით, გარდა არსებითი სახელისა.

მეორეხარისხოვანი შემასმენელი მიერთვის წინადადების რომელიც გნებავთ იმ წევრს“ (იქვე, გვ. 216).

ტაბულა IV მოგვითხრობს:

„შემასმენელი **შეთანხმებადი ზმნაა**.

ქვემდებარე არის **სახელი, რომელიც არ ეთანხმება, არ იმართვის და არ მიერთვის სხვას**.

დამატება **სახელია, რომელიც იმართვის ან მიერთვის**.

განსაზღვრება **შეთანხმებადი სახელია**.

გარემოება **ზმნისართია**.

მეორეხარისხოვანი შემასმენელი **ინფინიტივია**“ (იქვე, გვ. 217). გარემოებისა და მეორეხარისხოვანი შემასმენლის განსაზღვრება — მორფოლოგიურია. შეიძლება აგრეთვე დავა იმის შესახებ, უნდა მივიჩნიოთ თუ არა დამატებად მიერთვადი სახელი (იხ. ქვემოთ); ქვემდებარისა და შემასმენლის განსაზღვრებასაც შეიძლება სხვა რედაქცია დასჭირდეს, მაგრამ ეს ყველაფერი წვრილმანია: **არსებითად ეს განსაზღვრებანი სინტაქსური ბუნებისანი არიან და უთუოდ მისაღებნი. ამ განსაზღვრებათ გვერდს ვერ აუვლის ვერავინ, ვინც წინადადების სინტაქსურ რაობას ეძიებს**.

ამით არის ფასეული პეშკოვსკის შეხედულება.

პეშკოვსკის ეს განსაზღვრებანი არ ეგუებიან მისი „სინტაქსის“ არც ზოგად ფსიქოლოგიურ კონსტრუქციას, არც იმ განსაზღვრებათ, რომელთაც ჩვენ მის „სინტაქსთან“ დაკავშირებით გავეცანით. იგინი კუნძულს წარმოადგენენ, რომელსაც გარს არტყია ფსიქოლოგიზმის ზღვა და აცილებს მას სინტაქსის მიზნის იმ გაგებას, რომელიც იმავე „სინტაქსშია“ წარმოადგენილი (იხ. გვ. 107). ამიტომაც არ ვცანით შესაძლებლად „სინტაქსთან“ დაკავშირებით მოგვეყვანა ეს განსაზღვრებანი, თუმცა პეშკოვსკი ამ ტაბულებს უყურებს, როგორც თავის მოყრასა და განზოგადებას იმისა, რაც მანამდის ითქვა მის „სინტაქსში“.¹

მეტსაც ვიტყვი: პეშკოვსკის შეხედულებისათვის ასეთი წმინდა და სინტაქსური თვალსაზრისი ჩვეულებრივი რომ არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ სამი წლის შემდეგ პეშკოვსკი მარტივ წინადადებას განსაზღვრავს, როგორც „სახელის სახელობითს ბრუნვას პლუს მასთან შეთანხმებული ზმნა“ (Школьная и научная грамматика, გვ. 20); ქვემდებარედ მიჩნეული აქვს „სახელი სახელობითს ბრუნვაში, ვითარცა ნაწილი ასეთი შესიტყვებისა; შემასმენლად კი — ზმნა, აგრეთვე როგორც ნაწილი ასეთი შესიტყვებისა“.² დამატების შესახებ ნათქვამია, რომ იგი წარმოადგენს სახელთა ირიბ ბრუნვას (იქვე, გვ. 21). ერთი სიტყვით, წინადადების ნაწილთა კვალიფიკაცია მორფოლოგიურია, ისევე, როგორც მას ადგილი ჰქონდა „სინტაქსში“.

ფსიქოლოგიზმი აბნელებს და წყვეტს იმ შინაგან მჭიდრო კავშირს, რომელიც არსებობს შესიტყვების გაგებასა და წინადადების ნაწილთა სინტაქსურ კვალიფიკაციას შორის პეშკოვსკის შეხედულებაში. რომ ეს არა, პეშკოვსკის „სინტაქსი“ დიდი მიღწევა იქნებოდა.

58. ბუდე თავის რეცენზია-წერილში "К учению о синтаксисе простого предложения", 1894 წელს, წინადადებას ასე განსაზღვრავს: „წინადადება არის შესიტყვება, რომელიც შეიცავს მხოლოდ ერთს აზრს, გამონათქვამს ზმნის პიროვანი ფორმით (verbum finitum)": К учению, ЖМНП, გვ. 213. მისი აზრით, ზმნაში მოცემულია როგორც ქვემდებარე,

¹ სრულიად ბუნებრივია ამიტომაც, თუ პეტრონი ერთის სიტყვითაც არ იხსენიებს ამ განსაზღვრებათ, თუმცა პეშკოვსკის „სინტაქსის“ აზრთა წყობას ანალიზს უკეთებს და ყველა დამახასიათებელ მომენტს აღნიშნავს (შდრ. Очерк синтаксиса, გვ. 20-23).

² "Именительный падеж имени, как часть такого словосочетания, называется подлежащим; глагол, как часть такого словосочетания, называется сказуемым": Школьн. и научн. грам., გვ. 20.

ისე შემასმენელი: ზმნის ფუძე შემასმენელია, პირის სუფიქსი — ქვემდებარე (**Subjekt**), ხოლო ის, რასაც ჩვეულებრივად ქვემდებარეს უწოდებენ, მას ზმნის პირის განმსაზღვრელად მიაჩნია (**Subjektswort**), მაგრამ ვინაიდან ზმნის პირი ქვემდებარედ არის აღიარებული, იგი იწოდება ქვემდებარის განმსაზღვრელად; ასე რომ, წინადადებაში: *ნმუცა ლემუმ — ლემ-* შემასმენელი იქნება, *-(u)m* — ქვემდებარე, *ნმუცა* კი — ქვემდებარის განმსაზღვრელი; სიმოკლისათვის ქვემდებარეს ბ უ დ ე სუბიექტს უწოდებს, ქვემდებარის განმსაზღვრელს კი — ქვემდებარეს (იქვე, გვ. 215). ქვემდებარე არ არის ისე არსებითი, როგორც სუბიექტი, ზმნის პირით აღნიშნული. განსაზღვრებანი ასეთ სახეს იღებენ:

„ქვემდებარე (თუ: სუბიექტი? — ა. ჩ.) არის ის, ვისი მდგომარეობაც (ნამდვილი, მოჩვენებითი ანუ სასურველი) აღინიშნება პიროვანი ზმნით. შემასმენელი-პრედიკატი კი არის თვით მდგომარეობა ქვემდებარისა“ (იქვე, გვ. 216).

აქედან ჩანს, რომ ბ უ დ ე ს განსაზღვრება წინადადებისა ფსიქოლოგისტურია, ქვემდებარე-შემასმენლისა — მორფოლოგიური. სუბიექტი ზმნის სუფიქსიაო, შემასმენელი — ზმნის ფუძე; გამოდის, რომ შესიტყვების წევრი შეიძლება იყოს ფ უ ძ ე და არა — სიტყვა; მეორეცაა-და, თუ სუბიექტად ზმნის სუფიქსი მივიჩნით, ქვემდებარედ (სუბიექტის განმსაზღვრელად) რატომ უნდა მივიჩნიოთ **მთელი** სიტყვა (ვთქვათ, *ნმუცა*)? უფრო მართებული არ იქნება, აქაც სახელობითის (-ა) ფორმანტს დავაკისროთ ეს როლი? ამისთვის იმდენივე უფლება გვაქვს, რამდენიც ზმნაში სუფიქსის გამოყოფისათვის. არა თუ უფლება გვაქვს, გვევალება კიდევ. მაგრამ ეს უკვე არ იქნებოდა შესიტყვება, არამედ მეტად თავისებური კონგლომერატი. ამ მოსაზრებათა გამო ბ უ დ ე ს სუბიექტ-ქვემდებარის გაგების გაზიარება შეუძლებელია.

ამას უნდა დავუმატოთ: გაუგებარია, რა საჭირო იყო ბ უ დ ე ს ა - თ ვ ი ს წინადადების აღიარება შესიტყვებად; გაცილებით უფრო ლოგიკური იქნებოდა წინადადებად ზმნის პ ი რ ო ვ ა ნ ი ფ ო რ მ ა დაესახა.

ბ უ დ ე ს ზემოხსენებული შეხედულება გამოქვეყნებული აქვს 1894 წელს. უფრო საინტერესოა მისი შედარებით ახალი გაგება. 1913 წ. გამოსულ „**Основы синтаксиса**“-ში ენის გრამატიკული შესწავლის საგნად ფორმა არის მიჩნეული (გვ. 6). სინტაქსის შესახებ ნათქვამია: „სინტაქსს, როგორც ენის გრამატიკის ნაწილს, შეუძლია და უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ ფორმალურ ნიშნებს, რომლებითაც სიტყვები უკავშირდებიან ერთმანეთს წინადადებაში“ (გვ. 6). ამიტომაც „შესიტყვების ფორმის გარეშე არ არსებობს «გრამატიკული» წინადადება, ხოლო ყოველი «არაგრამატიკული» შესიტყვება, — შესიტყვება, რომელსაც არ განსაზღვრავს სიტყვათა ფორმე-

ბი, — არ არის გრამატიკული წინადადება, და ამიტომაც არ ექვემდებარება სინტაქსის განხილვას“... (გვ. 9). წინადადება გრამატიკული შესიტყვებაა, იგი „სიტყვათა შეხამებაა გარკვეული გრამატიკული, ფორმალური პრინციპების თანახმად“ (გვ. 10). „გრამატიკული წინადადება არის ისეთი შესიტყვება, რომელშიაც შესმენილობის განსაკუთრებული ფორმით **გარკვევით** გამოხატულია შემასმენლის მიმართება სახელობით ბრუნვასთან, ქვემდებარესთან“ (გვ. 14, აგრეთვე: გვ. 11). „შესმენილობის ფორმა განსაზღვრავს გრამატიკულ წინადადებას“ (გვ. 17); ამიტომაც „წინადადების განსაზღვრების სიმძიმის ცენტრი შესმენილობის ფორმაშია; შესმენილობის ფორმებია: ფორმები პირისა, დროისა და კილოსი“ (გვ. 16).

„წინადადების მთავარი წევრებია შემასმენელი და, ზოგიერთ შემთხვევებში, ქვემდებარეც, სახელდობრ, სადაც არ არის ფორმალური ნიშანი, რომელიც მიგვითითებდეს პირზე და სადაც მისი ფუნქციები აულია თავის თავზე სიტყვის სხვა დაბოლოებას“ (გვ. 16). ქვემდებარე არის „ფორმა მხოლოდ სახელობითის ბრუნვისა“ (გვ. 17). „შესმენილობის ფორმად მუდამ **პირის ფორმა** გვევლინება, რომელ დროსა და კილოსაც არ უნდა ეკუთვნოდეს შემასმენელი, როგორც სიტყვის მნიშვნელობა“ (გვ. 17). ბ უ დ ე აღნიშნავს, რომ წინადადების სიტყვებს შორის ადგილი აქვს შეთანხმებას, მართვას (გვ. 18) და შემდეგ ასე მსჯელობს: „[ფორმა ალ უ რ ი სინტაქსის] პრინციპის თანახმად წინადადება *Дым багровый кругами всходит к небесам навстречу утренним лучам* დაიშლება შემდეგ წევრებად: ქვემდებარედ, შემასმენლად, განსაზღვრებად, დამატებად და გარემოებებად. **მაგრამ ჩვენ მოგვიხდება ეს მნიშვნელობათა** („ლოგიკური“) **ტერმინები შევცვალოთ ფორმალური ტერმინებით; მაშინ შესიტყვებაში მოგვიხდება გარჩევა ცვალებად სიტყვათა (ფორმის მქონეთა) და არაცვალებად სიტყვათა (ფორმის არ მქონეთა)** (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.). პირველთ განეკუთვნება: ა) სახელობითი ბრუნვის ფორმები, ბ) ირიბ ბრუნვათა ფორმები, გ) სქესის ფორმები, დ) პირის, დროისა და კილოს ფორმები. მეორეს განეკუთვნება: ფორმის მიხედვით არაცვალებადი სიტყვები, ესე იგი, ზმნისართები, წინდებულები, კავშირები, აბსოლუტივები. შემდეგ ერთი შევნიშნოთ: სახელობითი ბრუნვის ფორმა წინადადების **დამოუკიდებელი** წევრია; ირიბ ბრუნვათა ფორმები კი ყოველთვის **დამოუკიდებელი** წევრებია, ისევე როგორც სქესის, პირის, დროის, კილოს ფორმები; და ესენი შეიძლება შევჯუფდენ სახელობითი ბრუნვის ფორმასთან... სახელობითი ბრუნვის ფორმა, ირიბ ბრუნვათა ფორმები, სქესის ფორმები და უცვლელი სიტყვები თავს იყრიან შესმენილობის ფორმათა გარშემო; ეს უკანასკნელი დაჯუფდება წარმოადგენს კავშირს ან შეთანხმების და ან მართვის პრინციპის მიხედვით“... (გვ. 19-20).

59. ეს გრძელი ამონაწერი იმიტომ მოგვყავს, რომ ნათელი იყოს ბუდე ს პრინციპი და მისი გამოყენების შედეგი. ბუდე **ფორმალური** სინტაქსის ლოზუნგით გამოდის, მაგრამ ეს **ფორმალური სინტაქსი „მორფოლოგიური სინტაქსის“** სახეს იღებს, ესე იგი, სინტაქსის უარყოფას წარმოადგენს. წინადადება მან შესმენილობაზე დაყრდნობით განსაზღვრა, შესმენილობა კი — პირის, დროისა და კილოს ფორმები აღმოჩნდა; ეს არის ჯამი ზმნის მორფოლოგიური ნიშანთა და არა სინტაქსური კვალიფიკაცია.

კიდევ უფრო აშკარაა ეს მორფოლოგიზმი, როცა ბუდე ქვემდებარეს, შემასმენელს, დამატებას, განსაზღვრებასა და გარემოებას მნიშვნელობის ტერმინებად (**термины значения**) აცხადებს, ამათ ნაცვლად ახალ ტერმინებს ეძიებს და, ამისდა კვალობაზე, წინადადებაში ასხვავებს ცვალებადსა და არაცვალებად სიტყვებს. აქ უქმდება ძველი ტერმინები კი არა, ძველი ცნებები; უფრო საგულისხმო კი ის არის, რომ ეს ახალი ტერმინები სინტაქსური ტერმინები როდია, ისინი მორფოლოგიის ტერმინებია; ამიტომაც, როცა ბუდე გვეუბნება — წინადადებაში უნდა გავარჩიოთ ცვალებადი და არაცვალებადი სიტყვებიო, პრინციპში ეს უდრის დონისე თრაკიელსა და აპოლონიოს დისკოლოსთან დაბრუნებას; ისინიც აგრე იქცეოდნენ: წინადადების განსაზღვრებიდან ისინი გადადიოდნენ წინადადების ნაწილების განხილვაზე; **წინადადების ნაწილები** და **მეტყველების ნაწილები ერთმანეთისაგან არ იყო გარჩეული**; უკეთ რომ ვთქვათ, წინადადების ნაწილების ნაცვლად წინადადებაში შემავალ სიტყვათა მორფოლოგიურ დახასიათებას იძლეოდნენ. ბუდეც ამას იმეორებს. ოღონდ ეს კია, რომ ბუდე სთვის წინადადება ცვალებად და არაცვალებად სიტყვათაგან შედგება, დონისე თრაკიელი კი წინადადების ნაწილებად პირდაპირ ასახელებდა: სახელს, ზმნას, მიმლეობას, ნაწევარს, ნაცვალსახელს, წინდებულს, ზმნისართს და კავშირს (იხ. დელბრიუკი, **Vergl. Synt.**, I, გვ. 3). მართალია, ბუდე შეთანხმება-მართვასაც არ ივიწყებს, მაგრამ ესენი უფრო დამატებითს მომენტს წარმოადგენენ, ვინემ ძირითად ცნებებს.

ამრიგად, ერთი სიტყვით, ბუდე სინტაქსი მხოლოდ იმდენად არის სინტაქსი, რამდენადაც სინტაქსის **საგანი** განსხვავებულია მორფოლოგიის საგნისაგან; მის სინტაქსს აქვს მიჩენილი ცალკე საგანი — შესიტყვება, მაგრამ არ გააჩნია საკუთარი თვალსაზრისი და **მეთოდი**; მისი დამუშავება წარმოებს მორფოლოგიის მეთოდით; შედეგიც გარკვეულია: სინტაქსის საგნის მორფოლოგიის ცნებებით აღწერა — ასე შეიძლებოდა დაგვეხასიათებინა ბუდე სინტაქსი.

60. ასეთისავე მორფოლოგიზმის ილუსტრაციას წარმოგვიდგენს დერჟავინის *Маленькая грамматика*. წინადადება მასში განსაზღვრულია, როგორც შესიტყვება, „რომელიც გამოხატავს ერთს გარკვეულს აზრს“ (გვ. 122). „ცალკე სიტყვები — მეტყველების ნაწილები, რომლებიც ამ შესიტყვებას შეადგენენ, წინადადების წევრებად იწოდებიან“ (გვ. 123). „გრამატიკული წინადადების ყველაზე აუცილებელი, უმთავრესი წევრი არის **შემასმენელი**. შემასმენლად წინადადებაში მუდამ არის ზმნა“... (გვ. 123). „**რომელიმე სახელის** — არსებითის, ან ზედსართავისა და მიმღეობის, ან რიცხვითი სახელის, ან ნაცვალსახელის — **სახელობითი ბრუნვა შეადგენს წინადადებაში ქვემდებარეს**“ (გვ. 125). არსებით სახელთა, ზედსართავთა, მიმღეობათა, რიცხვით სახელთა და ნაცვალსახელთა **ყველა ირიბი ბრუნვები შეადგენს წინადადებაში დამატებას** (გვ. 126). **ყველა ზედსართავი სახელი...** არის წინადადებაში **განსაზღვრება** (გვ. 126). ყველა ზმნისართი და აბსოლუტივი წინადადებაში **გარემოებას** წარმოადგენენ (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზისა და მიზნისა), გვ. 127.

აქ წინადადების განსაზღვრება ფსიქოლოგიზმს იძლევა, წინადადების ნაწილები — კვლავ მორფოლოგიზმს; უკანასკნელი მკაფიოდ არის წარმოდგენილი დებულებაში: წინადადებაში შემავალი ცალკე სიტყვები, — მეტყველების ნაწილები, — წინადადების ნაწილებად იწოდებიანო. ამ მხრივ დერჟავინი უფრო ახლოს არის დიონისე თრაკიელთან, ვინემ — ბუდე.

დერჟავინის მორფოლოგიზმი სულაც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მორფოლოგიაში წმინდა ენობრივი თვალსაზრისი იქნება გატარებული (ამ მხრივ დერჟავინი პეშკოვსკისა ც საკმაოდ ჩამორჩება).

დამახასიათებელი ფაქტია, რომ როგორც ბუდე, ისე დერჟავინი შემასმენელს წინადადების უმთავრეს წევრად თვლიდა: ეს ცხადყოფს, რომ მორფოლოგიზმი ფსიქოლოგიზმის ზეგავლენისაგან თავისუფალი არ არის.¹

61. ენობრივ თვალსაზრისზე მდგომი ავტორები განვიხილეთ. გამოირკვა, რომ არც ერთს მათგანს არა აქვს მართებული თვალსაზრისი გატა-

¹ ბუდე შეიძლებოდა ასეთი შენიშვნისაგან გაგვეთავისუფლებინა იმ მოსაზრებით, რომ მას ზმნის შედგენილობა ესმის თავისებურად: ზმნა სუბიექტზედაც მიგვითითებს, ამიტომ არის იგი წინადადების უმთავრესი წევრიო (იხ. *ОСНОВЫ*, გვ. 14-15); მაგრამ ეს ხდება ზმნის პირის საშუალებით; ბუდე ს აზრით კი შესმენილობას პირს გარდა დრო და კილო ქმნის (იქვე, გვ. 16). ასეთი დასკვნის გაზიარება კი შეუძლებელია.

რებული სინტაქსში; ამას გარდა, არც ერთი არ არის მთლად თავისუფალი ფსიქოლოგიზმისაგან (ან ლოგიციზმისაგან), რომელიც ხან წინადადების განსაზღვრისას გამოვლინდება, ხან წინადადების ნაწილთა კვალიფიკაციის დროს. და თუ მაინც ზემოხსენებული ხუთი ავტორი ფსიქოლოგიკტებთან ერთად არ გავარჩიეთ, ეს იმიტომ, რომ ყოველი მათგანი კრიტიკულად ეკიდება ფსიქოლოგიზმს და **ცდილობს** ენობრივ ნიადაგზე დადგეს და მეტყველებითი სინამდვილე მეტყველების საზომით გაზომოს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რომ წინადადების (და მისი ნაწილების) კვალიფიკაციის დროს ენობრივ ნიშანს ან ფონეტიკურ სინამდვილეში ეძიებენ (რიტმი, ინტონაცია, პაუზა) ანდა მორფოლოგიურ თვისებებში; ერთი სიტყვით, **ლოგიციზმსა** და **ფსიქოლოგიზმს** უპირისპირდება „**ფონეტიზმი**“ და „**მორფოლოგიზმი**“, აღარსადა ჩანს „სინტაქსიზმი“, ესე იგი სინტაქსის შესწავლა სინტაქსისავე თვალსაზრისით. და ეს — მიუხედავად იმისა, რომ სინტაქსის **საგნის** გაგებაში თითქმის ერთსულოვნობას აქვს ადგილი (პ ე შ კ ო ვ ს კ ი, პ ე ტ ე რ ს ო ნ ი, ბ უ დ ე). ბედნიერ გამონაკლისს პ ე შ კ ო ვ ს კ ი შეადგენს; მაგრამ იმას, რაც განსაკურებით მნიშვნელოვანია მის შეხედულებაში, უკავია მეორეხარისხოვანი ადგილი მის აზროვნებაში.

მორფოლოგიზმი და ფონეტიზმი იმანენტიზმის გამოვლენაა, რამდენადაც ენის სინამდვილეში მოიპოვებს საზომს; ამდენადვე, იგი უპირისპირდება ტრანსცენდენტიზმს, ლოგიციზმსა და ფსიქოლოგიზმში მოცემულს. მაგრამ ასეთი იმანენტიზმი არ ნიშნავს იმანენტიზმს სინტაქსისათვის, რამდენადაც მისი ენობრივი საზომი მორფოლოგიურის ან ფონეტიკურის ბუნებისაა და, მაშასადამე, «კუთხურია» და ვიწრო. ამიტომაც მორფოლოგიზმი და ფონეტიზმი სინტაქსისათვის მაინც ტრანსცენდენტიზმს წარმოადგენს. ეს ტრანსცენდენტიზმი განსხვავდება ლოგიციზმსა და ფსიქოლოგიზმში მოცემული ტრანსცენდენტიზმისაგან, იგი, ასე ვთქვათ, შინაური ტრანსცენდენტიზმია, მაგრამ მაინც ტრანსცენდენტიზმი.

მორფოლოგიზმი და ფონეტიზმი ნაბიჯია წინ იმანენტიზმისაკენ სინტაქსში, მაგრამ მაინც არ არის იმანენტიზმი. სინტაქსში მისი დამკვიდრების ამოცანა გადაუწყვეტელი რჩება.

თავი მეორე

ადწერის მეთოდოლოგიისა და მეთოდოლოგიური იმანენტიზმისათვის

1. იმანენტიზმის დასაბუთებისათვის ზოგადად

62. ენათმეცნიერება პირველად ინდო-ევროპული ენათმეცნიერების სახით ჩამოყალიბდა. თითქმის ოცი საუკუნის განმავლობაში იყო გრამატიკა — ფილოლოგიური, რაციონალურ-ზოგადი თუ ფილოსოფიური, იყო თეორიები ენის წარმოშობის შესახებ, არსებობდა ენის ფილოსოფიაც, ერთი სიტყვით, იყო აზროვნება ენის შესახებ, მაგრამ არ იყო ენათმეცნიერება. ენის შესახებ აზროვნება ენათმეცნიერებად ისტორიულ-შედარებითა მეთოდმა აქცია.¹ ჩამოყალიბდა ინდო-ევროპული ენათმეცნიერება; მას, როგორც თავშივე აღვნიშნეთ, წილად ზედა საპატიო როლი მეთოდოლოგიური ბაზისა ყველა სხვა ენათმეცნიერებათათვის; კ ვ ლ ე ვ ა - ძ ი ე ბ ი ს მეთოდოლოგიის მხრივ ის, რაც ინდო-ევროპულ ენათმეცნიერებას არ გააჩნია, საერთოდ ენათმეცნიერებაშიც არ მოიპოვება. რასაკვირველია, არაინდოევროპულ ენებს შეუძლია სრულიად უჩველო მასალა შესთავაზოს ენათმეცნიერო აზროვნებას და ამისდა მიხედვით არსებითად შეცვალოს ზოგადი ენათმეცნიერების ესა თუ ის დებულება. მაგრამ ამისდა მიუხედავად მთლიანად რჩება ძალაში თეზისი: ყოველი ენათმეცნიერება იმდენადვე შეიძლება იყოს პოზიტიურ-მეცნიერული, რამდენადაც ფართოა ის შესაძლებლობა, რომელსაც იგი იძლევა მისი მასალის ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შესწავლისათვის.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი კვლევა-ძიების მეთოდია. ენათმეცნიერებას სჭირდება სხვა მეთოდიც, მეთოდი ენობრივი ფაქტების აღწერა-კლასიფიკაციისა, სულ ერთია, განეკუთვნება ეს ფაქტი ცოცხალ ენას და ცოცხალ მეტყველებაზე უშუალო დაკვირვებით არის მოპოვებული თუ რთული კვლევა-ძიების საშუალებით არის დადგენილი. ისტორიულ-შედარებითი მეთოდი მეცხრამეტე საუკუნის მონაპოვარია;

¹ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ შედარებითი მეთოდის შემოღებაში დიდი როლი ითამაშა კვლევის ახალი საგნის, ძველი ინდურის გამოყენებამ: ფაქტი, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით უაღრესად საგულისხმო.

აღწერა-კლასიფიკაციის მეთოდს კი შეგნებულად იმთავითვე მოიხმარდენ: იგი ისევე ძველია, როგორც გრამატიკა. ოღონდ მის შესახებ სრულიადაც არ შეიძლება იმის თქმა, რაც ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შესახებ ითქვა; ერთი — დავას არ იწვევს, მეორე — საცილობელია; ერთი — არ საჭიროებს რევიზიას, მეორე — ბრძოლის საგანი გამხდარა სხვადასხვა მიმართულებათა შორის; ერთმა შექმნა ჰუმანიტარულ სინამდვილეში უმაგალითო პოზიტიური დისციპლინა, მეორის წყალობით ენათმეცნიერული აზროვნება უმართებულო კავშირს ამყარებდა ხან ლოგიკასთან, ხან — მეტაფიზიკასთან და ხან კიდევ — ფსიქოლოგიასთან; ასე იყო იმთავითვე, დიონისე თრაკიელის დროს, ასე არის დღესაც. ის დიდი გარდატეხა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებამ ენათმეცნიერებაში გამოიწვია, ამას თითქმის არ შეხებია: აუარება ფაქტები დადგენილ და ახსნილ იქნა, მათი აღწერა-კლასიფიკაციისათვის ჭეშოროვანი პრინციპების გამომუშავებას სათანადო ყურადღება სულაც არ ექცეოდა. სწორედ იმავე ხანებში, როცა **კვლევის** ასპარეზზე ბოპი და გრიმი შედარებითსა და ისტორიულ თვალსაზრისს ამკვიდრებდენ, აღწერითს გრამატიკაში ბეკერი ლოგიციზმს ამკვიდრებდა,¹ უკეთ ვთქვათ, ძველი ლოგიციზმის ახალ სახეობას. მართალია, შემდეგს ხანებში ისტორიულ-შედარებითმა გრამატიკამ ლოგიციზმს ზურგი შეაქცია, მაგრამ საკუთარ ფეხზე დადგომა ვერ მოახერხა: ლოგიციზმის ადგილი ფსიქოლოგიზმმა დაიკავა. პაული, ბრუგმანი, ნაწილობრივ დელბრიუკიც ფსიქოლოგისტები არიან. საილუსტრაციოდ ესეც კმარა. ამჟამადაც ფსიქოლოგიზმი ყველაზე ძლიერი მიმართულებაა აღწერა-კლასიფიკაციის მეთოდოლოგიაში.

63. ამ მეთოდოლოგიის სფეროში ასეთ რყევას გარკვეული საფუძველი აქვს: ესაა თავისებურება და სირთულე მეტყველების ბუნებისა. ამ მხრივ იგი უნიკუმს წარმოადგენს. სხვა მის თვისებათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ის ინტიმური კავშირი, რომელიც მას ცნობიერებასა და საერთოდ ადამიანის ფსიქიკურ სინამდვილესთან აქვს. ეს კავშირი იმდენად თავისებურია, რომ, მაგალითად, აზროვნების პროცესში ძნელია გათიშვა მეტყველების პროცესისა და აზროვნების აქტისა. ძნელია მიკვლევა, სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე. აზროვნების ისტორია ეჭვმიუტანელს ხდის, რომ თვით ანტიკური აზროვნების კოლოსი არისტოტელე ამ მომენტებს ერთურთს სათანადოდ ვერ აცილებდა; ისიც ცნობი-

¹ ბოპის „სისტემა უღვლილებისა“ 1816 წ. გამოვიდა, გრიმის „გერმანული გრამატიკა“, ტ. I — 1819 წელს, ხოლო ბეკერის „ენის ორგანიზმი“ — 1827 წელს.

ლია, რომ ეს გარემოება საბედისწერო შეიქნა გრამატიკისათვის და საზიანო — ლოგიკისათვის. დღეს ამ აღრევას წინანდებურად ადგილი არა აქვს, მაგრამ, ისევე როგორც წინათ, რჩება ის მდგომარეობა, რომელმაც ამ აღრევის შესაძლებლობა წარმოშვა: მხედველობაში გვაქვს მეტყველების კავშირი ცნობიერებასთან. ეს ასაზრდოებდა თავის დროზე ლოგიციზმს, ეს უდგამს სულს ფსიქოლოგიზმს, ეს არის დასაყრდენი მეთოდოლოგიური ტრანსცენდენტიზმისათვის. ჯერ კიდევ პორ-როილის მოაზროვნებმა იცოდნენ, რომ ცნობიერებაა ის, რის შემწეობითაც ხერხდება რაღაც 26 „ასოს“¹ საშუალებით იმ უამრავ მოდიფიკაციათა შექმნა, რომელთაც ფრანგული ენის სიტყვები იძლევა. სრულიად უდავოა, რომ რაწამს მეტყველება ცნობიერებასთან კავშირს დაკარგავს, მოიშლება საზღვარი ადამიანისა და თუთიყუშის „მეტყველებას“ შორის. ეს განსაზღვრავდა და განსაზღვრავს ლოგიციზმისა და ფსიქოლოგიზმის ძირითად მეთოდოლოგიურ წინამძღვარს: არ შეიძლება აღწერა იმის, **რაც აღნიშნავს**, გარეშე იმისა, **რაც აღნიშვნის**; მეტყველება უნდა იქნეს შესწავლილი ცნობიერების იმ მოვლენებზე დაყრდნობით, რომელნიც პოულობენ გამოხატულებას მეტყველებაში. ცნობიერების მოვლენებს უმთავრესად ორი დისციპლინა შეისწავლის: ერთია ლოგიკა, მეორე — ფსიქოლოგია. მაშასადამე, ლოგიკისა და ფსიქოლოგიის ცნებები უნდა გახდეს საზომი მეტყველების მოვლენათა აღწერა-კლასიფიკაციისათვის. მეტყველების ბუნებამ ასე წარმართა აღწერა-კლასიფიკაციის მეთოდოლოგია.

64. ორი კონკრეტული საკითხია აღწერა-კლასიფიკაციისათვის მთავარი: ერთია მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია, მეორე — წინადადების საკითხი. უკვე ვნახეთ, რომ ვერც ფსიქოლოგიზმმა, ვერც ლოგიციზმმა ვერ მოახერხა მოეცა წინადადების ოდნავ დამაკმაყოფილებელი ანალიზი; წინადადების საკითხში მეთოდოლოგიური ტრანსცენდენტიზმი დამარცხდა. რაც შეეხება ფორმალიზმს, იგი მორფოლოგიზმისა და ფონეტიზმის გზით წავიდა და წინადადების საკითხი სინტაქსურად ვერც დასვა, ვერც გადაწყვიტა. ფორმალიზმი ერთ-ერთი სახეა მეთოდოლოგიური იმანენტისმისა, ესე იგი, იმ შეხედულებისა, რომელიც ცდილობს ენობრივი სინამდვილის აღწერისას მისთვის იმანენტური საზომი დაძებნოს და მისი საშუალებით ჩამოაყალიბოს ამა თუ იმ ენობრივი სინამდვილისთვის შესაფერისი ცნებები. ფორმალიზმი სინტაქსში ამ იმანენტისმის მეთოდოლოგიურად სრულიად დაუმუშავებელი სახეა: ეს რომ ასე არ იყოს, შეუძლებელი იქნებოდა მას მორფოლოგიზმისა და ფონეტიზმის სახე მიეღო.

¹ ჩვენ ახლა ვიტყვით: „ბ გ ე რ ის“.

მეთოდოლოგიურ იმანენტიზმს უხდება პასუხის გაცემა ორ ძირითად კითხვაზე: 1. რას წარმოადგენს მეტყველება, როგორც ენათმეცნიერების საგანი და 2. რა გზით უნდა წარმოებდეს მისი შესწავლა. ავიღოთ ფრაზა: **რკინა სითბოსაგან ფართოვდება**; იგი გულისხმობს შემდეგ მომენტებს: 1. სინამდვილის მოვლენები, რომლებიც აქ არის აღწერილი; ამის გარეშე ამ ფრაზას არავითარი საფუძველი არ ექნებოდა; 2. ცნობიერების მოვლენები, რომლებითაც გაშუამავლებულია ეს მოვლენები; 3. მეტყველებითი მომენტი: გარკვეული სიტყვებისაგან შემდგარი ფრაზა. ამათგან პირველს ფიზიკა სწავლობს; მეორე შეიძლება ორი დისციპლინის, ლოგიკისა და ფსიქოლოგიის საგნად იქცეს: ლოგიკისა — იმ შემთხვევაში, თუ დაისმება საკითხი, რამდენად საფუძვლიანია **რკინა-ცნებასთან გაფართოება-ცნების** დაკავშირება; ფსიქოლოგიისა — თუ მიზნად დავისახავთ იმ პროცესების გამოწვევას, რომელთაც ადგილი აქვს ცნობიერებაში ამ ფრაზის შესატყვისად.

რალა დარჩა ენათმეცნიერებისათვის? მხოლოდ მეტყველებითი მომენტი. მას ორი მხარე აქვს: 1. აგებულება ფრაზისა და მასში შემავალ სიტყვათა და 2. მიმართება სინამდვილესა და ცნობიერებასთან. მეტყველებითი მომენტის აღწერა-კლასიფიკაციის ძირითადი ამოცანაა ზედმიწევნით გაითვალისწინოს აგებულება ყოველი სიტყვისა, რომელიც ფრაზაში შედის, მათი თვისება-თავისებურებანი და აგებულება მთელის შესიტყვებისა. აქედან ჩანს, რომ სრულებით არ ექცევა ყურადღება იმას, რა ხდება რეალობაში, როგორ განიცდება სინამდვილის ეს მოვლენები ცნობიერებაში, ერთი სიტყვით, დავიწყებულია ის, **რაც** უდევს ფრაზას საფუძვლად და გულისყური მიპყრობილია იმისკენ, **როგორ** არის იგი გადმოცემული, — როგორია ცალკე სიტყვათა თვისება და მათი ურთიერთობა. გვეტყვიან, როგორ შეიძლება შესწავლილ იქნეს მეტყველების ფაქტი თავისთავად, როცა იგი არის სიმბოლო, ნიშანი ცნობიერების მოვლენათა? როგორ შეიძლება დავივიწყოთ ის, რაც გადმოიცემა და აღვწეროთ ის, რითაც იგი აღინიშნება? არა გვგონია, იმანენტიზმი უჩვეულო რასმე ეპოტინებოდეს, როცა შესასწავლ საგანს ასე განსაზღვრავს. თითქმის ყოველ დისციპლინაში აქვს ადგილი შესასწავლი ობიექტის ანალიზის დროს მის იმ თვისებათაგან განყენებას, რომელთა გათვალისწინება იმ მომენტში არ არის საჭირო. შესწავლება რეალური საგნის მხოლოდ ერთი გარკვეული მხარე; არაიშვიათია შემთხვევებიც, როცა გარკვეულს საგანში შესწავლის მიზნით ისეთი მხარეები გამოიყოფა, რომელთა თავისთავადი არსებობა წარმოუდგენელია; მაგალითისთვის მოვიგონოთ ფერი; არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ფერი თავისთავად, ფერი, რომელიც არ იყოს რისამე ფერი. ამისდა მიუხედავად არც ერთს ფსიქოლოგს აზრად არასოდეს მოუვა წამოაყენოს დებულება: არ შეიძლება ფერის შესწავლა თავისთავად, რადგანაც არ არსებობს ფერი გარეშე იმ საგნისა, რომელიც მას ატარებს. თუ ეს ასეა,

რად უნდა იყოს შეუძლებელი აღწერა მეტყველებისა, როგორც გარკვეული მონაცემისა, როგორც სიმბოლოთა სისტემისა მის შინაყოფაში, დამოუკიდებლად იმისაგან, რისი სიმბოლოც იგი არის?! ამ შესაძლებლობას წინ არაფერი უდგას.

ეს შესაძლებლობა აუცილებლობად იქცევა, რაკი ირკვევა, რომ საწინააღმდეგო გზა შეუძლებელია. როდის იქნებოდა შესაძლებელი მეტყველების მოვლენათა გაზომვა ცნობიერების მოვლენათა საშუალებით? სხვანაირად რომ ვთქვათ რა'თი აღწერა როგორ'ისა? — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდებოდა, რომ არსებობს სრული პარალელიზმი ცნობიერებისა და მეტყველების კატეგორიებს შორის — ისიც ყველა ენაში! წინადადების საკითხის განხილვისას შემთხვევა გვქონდა დავრწმუნებულიყავით, რომ ასეთი პარალელიზმი არ არსებობს; იგივე უნდა ითქვას მეტყველების ნაწილთა შესახებაც. უბრალო ილუსტრაცია: რეალურად არსებობს ორი სქესი, ენა კი განასხვავებს ორს, სამს და ზოგჯერ მეტსაც; ზოგი ენა კი სულ არ არჩევს სქესებს. საერთოდ, უნდა ვთქვათ: რეალობისა და ცნობიერების კატეგორიები არა თუ ყველა ენის კატეგორიათათვის სრულ პარალელურად ვერ მოგვცემს, არამედ ვერც ერთი ენის კატეგორიებს ვერ დაფარავს მთლიანად; ყოველ ენაში არის ერთგვარი გადახვევა, ისეთი მოვლენა, რომელიც ვერ გამართლდება სინამდვილისა თუ ცნობიერების კატეგორიებზე მითითებით. და თუ არ არის პარალელიზმი აღსანიშნავისა და აღმნიშვნელის კატეგორიათა შორის, შეუძლებელია უკანასკნელის აღწერისას პირველს დავეყრდნოთ. მართალია, არის მეტყველებაში ისეთი რამ, რაც არ შეიძლება აზროვნებისა თუ სინამდვილისადმი აპელაციის გარეშე იქნეს დახასიათებული (მაგ., კილო, გვარი ზმნისა), მაგრამ ეს გამონაკლისი წესად ვერ გადაიქცევა.

ამგვარად, მეტყველების მოვლენათა აღწერისას ტრანსცენდენტიზმი შეუძლებელია, იმანენტიზმი აუცილებელია. მოვლენას უნდა მოექმნოს შინაგანი, მისთვის იმანენტური საზომი, იგი უნდა იქნეს აღწერილი მის შინაყოფაში. ენათმეცნიერების პირველი და მთავარი ამოცანა ეს არის.

65. ეს აუცილებელია, მაგრამ როდია საკმარისი. მეტყველება სასიცოცხლო ძალას დაკარგავს, ენათმეცნიერება გადაიქცევა მოძღვრებად მკვდარ ბგერათა შესახებ, თუ ყურადღების გარეშე დავტოვებთ საკითხს, რა მიმართებაშია მეტყველება იმასთან, რაც მის საშუალებით გადმოიცემა. აქ ორი რამ არის ნაგულისხმევი: 1. სპეციფიკური თვისებები ამა თუ იმ ენისა და 2. ფუნქციები ენობრივი მონაცემისა.

თითქმის ყოველს ენას აქვს რაიმე სტრუქტურული თავისებურება; ზოგიერთი ენა კი არსებითად განსხვავდება ერთერთისაგან. მოლარეს ფული შემოეჭამა და *кассия праститил деньги* ერთსა და იმავე ფაქტს აღნიშ-

ნავენ; ორსავე შემთხვევაში ჩვენ წინ არის ბოროტმოქმედი მოხელე და ფულის დანაკლისი სალაროში, მაგრამ სულ სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი ეს რუსულში და ქართულში. ანდა რომ ავიღოთ ფრაზა **მეზობელს აქვს სახლი; მეზობელს აუშენებია სახლი** და შევადაროთ რუსულ ფრაზას *coced имеет дом; coced, оказывает, построил дом*, — შინაარსის მხრივ განსხვავებას ვერ ვპოვებთ, აგებულია კი სხვადასხვაა. იმანენტიზმის თვალსაზრისით ამ ფრაზების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ, როგორია ამ ქართული ფრაზების აგებულია, მაგრამ მისი თავისებურება მაშინ გახდება ნათელი, როცა მათ შევუფარდებთ სინამდვილის კატეგორიებს, გადავახურდავებთ იმ ვალუტაზე, რომელიც ყველა ენისთვის მისაღებია და გასაგები. თქმა არ უნდა, ამის გარკვევა შუქს მოჰყვანს ამა თუ იმ ენის მეტყველებითი აზროვნების ფსიქოლოგიას, მის თავისებურებას ამ მხრივ.

ფუნქციების საკითხი ყველა ენას თანაბრად ეხება. რა ღირებულება აქვს ამა თუ იმ სიტყვას თუ შესიტყვებას ცნობიერების თვალსაზრისით — ასე ისმება აქ საკითხი.¹ ავიღოთ მაგალითისთვის **ხანძარი!** და **ხანძარი**. იმანენტიზმის თვალსაზრისით ორივე არის ცალკე სიტყვა (სახელი ერთნაირი ფორმით). ფუნქციის მიხედვით კი მათ შორის არსებითი განსხვავებაა: **ხანძარი!** მთელს ფრაზას უდრის (= ხანძარი გაჩნდა, ცეცხლი უკიდია რალაცას), ცნობიერებაში იგი რთულ კომპლექსს უდრის; **ხანძარი** კი ცალკე წარმოდგენას შეესატყვისება. ამ ორ შემთხვევას გარეგნულად ინტონაცია განასხვავებს; ეს ინტონაცია მხილება იმ განსხვავებისა, რომელიც ამ ორ შემთხვევაში ფსიქიკურ კორელატთა შორის არსებობს. ამდენადვე: ეს ინტონაცია არ არის ფორმალურ-ენობრივი ნიშანი, არამედ ფსიქიკურ-ენობრივია. ენის მოვლენათა აღწერისას მისი გათვალისწინება არც საჭიროა და არც შესაძლებელი. საჭირო იმიტომ არ არის, რომ წმინდა ენობრივი თვისების დამახასიათებლად იგი არას მაქნისია, შესაძლებელი კი იმიტომ არ არის, რომ სრულ აღრევას გამოიწვევდა აღწერითს ანალიზში: ამ ნიშნის მიხედვით ყოველგვარი საშუალება მოგვესპობოდა შესიტყვება გაგვეჩნია სიტყვისაგან, ფორმიანი სიტყვა — უფორმოსაგან, უფორმო — ნაწილაკისაგან, ნაწილაკი — შორისდებულისაგან. ამის შესახებ უკვე გვქონდა მსჯელობა ფსიქოლოგიზმის შეფასებისას.

აქ მხოლოდ დავსძენთ, რომ ყოველი ინტონაცია არ არის ფსიქიკურის მხილება; ზოგი ფორმის მაგივრობას ეწევა (მაგალ., კითხვითი ინტონაცია რაჭულსა და მთიულურში ბოლოდან მეორე მარცვალზე: **მიდინარ სოფელში?** შდრ. **სად მიდინარ?**): ასე რომ ინტონაცია უნდა განვასხვავოთ

¹ ფუნქციათა შესახებ ლაპარაკობს, მაგალ., პეტრონი თავის „სინტაქსში“, H o r n-ი (იხ. Sprachkörper und Sprachfunktion, Lpz., 1923) და სხვ.

ერთუროთისაგან: ყოველგვარი ინტონაციის უგულვებელყოფა აღწერითი ანალიზის დროს იქნებოდა უმართებულო, ისევე როგორც ყოველგვარის თანაბრად მიღება.

ტრანსცენდენტიზმი ცდილობს მეტყველების აღწერისას მოგვცეს როგორც სტრუქტურა, ისე ფუნქციები; ჩვეულებრივ, უპირატესობა ფუნქციებს ენიჭება: წარმოებს **ფუნქციების მიხედვით სტრუქტურის შესწავლა**. ამით ტრანსცენდენტიზმი ცდილობს მეტყველებას შეუნარჩუნოს კავშირი ცნობიერებასთან. მეთოდოლოგიური იმანენტიზმი ორად შლის აღწერის ამოცანას: ჯერ **როგორ** და შემდეგ: რა მიმართებაშია **როგორ რა**'სთან. მოძღვრება **როგორ**-ის შესახებ არის მოძღვრება **ენის სტრუქტურის** შესახებ, მოძღვრება **რა**'სთან მიმართების შესახებ არის მოძღვრება თავისებურებათა და ფუნქციათა შესახებ, სიმოკლისათვის შეიძლება **ფუნქციათა** შესახებ მოძღვრება ვუწოდოთ. ტრანსცენდენტიზმი (ესე იგი, ცნობიერებისა და რეალობის კატეგორიათა მოშველიება) ამ მეორე მომენტში ისევე ბუნებრივი და აუცილებელია, როგორც იმანენტიზმი პირველს მომენტში. აღწერითი ენათმეცნიერების უპირველესი ამოცანაა სტრუქტურის საკითხის გადაწყვეტა; ეს საკითხი იმდენადვე რთულია, რამდენადაც მნიშვნელოვანი. ამისდა კვალობაზე იმანენტიზმს დიდისა და მძიმე საქმის მოგვარება უხდება.

აღწერას ახსნა მოსდევს; ენობრივი მოვლენის ახსნა უწინარეს ყოვლისა მისი ისტორიის დადგენაში მდგომარეობს; ამისათვის ენათმეცნიერებას მძლე საშუალება მოეპოვება ისტორიულ-შედარებითის მეთოდის სახით; ეს მეთოდი ჩვენ კვლევა-ძიების მეთოდად დავსახეთ; რა მიმართებაში იმყოფება ახსნა და კვლევა-ძიება ერთმანეთთან? ეჭვს გარეშეა, აქ საქმე გვაქვს ერთს პროცესთან: ახსნა ამ პროცესის **მიზანზე** მიგვიითითებს; კვლევა-ძიება პროცესის **შინაარსს** შეადგენს; ეს შინაარსი მიიღება შედარებითისა და ისტორიული მეთოდის საშუალებით. ენობრივი მოვლენის ისტორიის გათვალისწინებისას ჩვენ პირისპირ ვდგებით სხვადასხვა ფაქტორებთან; ასეთებია: მექანიკურ-ფიზიოლოგიური (ფონეტიკური), მექანიკურ-ფსიქიკური (ანალოგია) და ცნობიერ-ფსიქიკური. ამრიგად, აქაც გვიხდება მივმართოთ ცნობიერებას, ისევე როგორც ფუნქციათა აღწერისას. ფსიქიკურისადმი აპელაცია ახსნის დროს, მაშასადამე, ისევე კანონზომიერია, როგორც ფუნქციათა აღწერის დროს.¹

¹ მეთოდოლოგიური იმანენტიზმის აქ წარმოდგენილი წინამძღვრები არსებითად არის განმეორება იმ დებულებათა, რომელიც წამოყენებული იყო ამ ოთხი წლის წინათ ჩვენს წერილში: „ზოგადი თვალსაზრისისათვის“: ქართ. საენათმეცნ. საზოგ. წ ე ლ ი წ დ ე უ ლ ი, I-II, ტფილისი, 1925, გვ. 14, 15, 20; ახალია აქ ტერმინი „მეთოდოლოგიური იმანენტიზმი“ და ზოგიერთი დეტალი.

2. წინადადების საკითხისათვის მეთოდოლოგიური იმანენტიზმის თვალსაზრისით

66. ყველა მკვლევარი, ვინც კი თვლის წინადადებას გრამატიკის საგნად, მას სინტაქსს განუკუთვნებს. ამაში ერთსულოვნება სუფევს. მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა იჩენს თავს, როგორც კი ვიკითხავთ, რა არის სინტაქსი. მთავარი და ყველაზე გავრცელებულია შემდეგი შეხედულებანი: 1. „სინტაქსი არის მოძღვრება სიტყვათა კლასებისა და სიტყვათა ფორმების მნიშვნელობის შესახებ“; ასე ფიქრობს მიკლოშიჩი (იხ. მისი *Vergl. Gram. Slav. Spr.*, IV, გვ. 1); სიტყვათა კლასები — ეს მეტყველების ნაწილებია; სიტყვათა ფორმებია ზმნის ფორმები, ბრუნვები... ყველა ამათი მნიშვნელობა არის სინტაქსის საგანი. 2. „სინტაქსი არის მოძღვრება წინადადებისა და მისი ნაწილების შესახებ“; ასეთია დელბრიუკის განსაზღვრება (იხ. *Vergl. Synt.*, I, 83). 3. „სინტაქსი არის მოძღვრება შესიტყვებათა შესახებ“; ეს განსაზღვრება ფორტუნათოვს ეკუთვნის; არსებითად ასევე განსაზღვრავს სინტაქსის საგანს რისიცი, ოლონდ, რაკი მას, დელბრიუკის თქმისა არ იყოს, სურს წინადადების შესახებ მოძღვრებასთანაც კეთილ განწყობილებაში იყოს, განსაზღვრებისათვის ასეთი სახის მიცემა უხდება: „სინტაქსი არის მოძღვრება წინადადებისა და სხვა შესიტყვებათა შესახებ“ (იხ. *Deibrück, Vergl. Synt.*, III, 3).

ამათგან მიკლოშიჩის განსაზღვრებაში წინადადებისთვის ადგილი არა რჩება; ამდენადვე ეს გაგება ჩვენთვის ამჟამად საინტერესო არ არის. დელბრიუკის გაგება უხერხულია იმიტომ, რომ აქ სინტაქსის ბედი დაკავშირებულია წინადადების ბედთან; ვთქვათ, წინადადება ისე გავიგეთ, როგორც ესმით ხშირად (მაგალ., ფსიქოლოგისტებს) და შესაძლებლად ვცანით ცალკე სიტყვებზე მივიჩნიოთ წინადადებად; ასეთი შემთხვევა ძალზე ხშირი იქნება. სინტაქსის საგნად ცალკე სიტყვა მოგვევლინება და სინტაქსი მოზიარედ გაუხდება მორფოლოგიას. ამრიგად, სრულიად შეუძლებელი იქნება საგნის მიხედვით მორფოლოგიისა და სინტაქსის გამოიჯნა.

ფორტუნათოვ-რისის შეხედულების საწინააღმდეგოდ ორი მთავარი არგუმენტი წამოყენებული: ერთი ბრუგმანს ეკუთვნის; იგი ასე მსჯელობს: თუ შესიტყვებას სინტაქსის საგნად მივიჩნევთ, ერთმანეთს დაუპირისპირდება სიტყვა და შესიტყვება, საგანი მორფოლოგიისა და საგანი სინტაქსისა. მაგრამ ეს დაპირისპირება არ შეიძლება იქნეს გამართლებული, რამდენადაც არ არსებობს ზღვარი სიტყვასა და შესიტყვებას შორის; წინადადების სიტყვებად დაყოფა ხშირად თვითნებურია და პირობითი (იხ. *Brugmann, Kurze Vergl. Gram.*, წინასიტყვაობა, გვ. VII, შენიშვნა 1). ადამიანის მეტყველება წინადადებებით დაიწყო და არა სიტყვებით; ახლაც ნორმალურ მეტყველებაში სამეტყველო ნაკვეთი იქ თავდება,

სადაც წინადადება ბოლოვდება (იხ. *op. cit.* გვ. 281). იქვე ბ რ უ გ მ ა ნ ი ასახელებს შემთხვევებს, როდესაც შესიტყვების დანაწევრება თვითნებურად ხდება: *eskommtzustande*-ში ზოგი სამ სიტყვას ხედავს; *es kommt zustande*, ზოგიც ოთხს: *es kommt zu Stande* (იქვე, გვ. 281). ამის შესახებ უნდა ითქვას: დასაბამის მდგომარეობაზე მითითება ყოველ შემთხვევაში სტატისტიკური ანალიზის დროს სრულიად გამოუსადეგარია; ეს ერთი. მეორეცაა-და, ბ რ უ გ მ ა ნ ს შესიტყვება მთლიან კომპლექსად აქვს წარმოდგენილი: *eskommtzustande*; ეს სამართლიანია, თუ ფონეტიკურის თვალსაზრისით განვიხილავთ შესიტყვებას; მაგრამ მაშინ მხოლოდ *zustande*-ს საკითხი კი არ დაისმის, არამედ *es* და *kommt*-ის საკითხიც წამოიჭრება; მართალია, ესენი ფორმიანი სიტყვებია, მაგრამ ფონეტიკისათვის ხომ არ არსებობს ფორმიანი და უფორმო; ფონეტიკურად დაშლისას საზღვარი ერთეულთა შორის ინტონაციისა და პაუზის საშუალებით მყარდება, და არ არსებობს არავითარი გარანტია, რომ ფონეტიკური და მორფოლოგიური საზღვარი ერთმანეთს დაემთხვევა. ამიტომ ფონეტიკურად მართლაცდა შეიძლება არ არსებობდეს საზღვარი სიტყვასა და შესიტყვებას შორის, მაგრამ ეს არასამბობს სიტყვისა და შესიტყვების ურთიერთობის შესახებ, რადგანაც არც ერთი და არც მეორე ფონეტიკური ცნება არ არის.

ეს ნიშნავს: შესიტყვების ერთეულებად დაშლის საკითხი ბ რ უ გ მ ა ნ მ ა უმართებულოდ დასვა; მისი დასკვნებიც, ცხადია, ხელს ვერ შეგვიშლის შესიტყვება სინტაქსის საგნად იქნეს მიჩნეული.

მაგრამ შეიძლებოდა ბ რ უ გ მ ა ნ ი ს დებულება — არ არსებობს საზღვარი სიტყვასა და შესიტყვებას შორისო — მორფოლოგიურ სინამდვილეში გადმოგვეტანა და ასე გაგვეგო: ხომ შეიძლება სიტყვა (ფორმიანი) შესიტყვების სქემას წარმოგვიდგენდეს; მაშინ უთუოდ გაძნელებოდა სიტყვასა და შესიტყვებას შორის საზღვრის დაწესება; მაგალ.: *kommst* და *du kommst*; პირველი უკვე ცხადყოფს, რომ სათანადო შესიტყვებაში მხოლოდ *du* შეიძლება იყოს, — *-st* უკვე მიგვითითებს ამაზე, — და არა სხვა რამ. ასეთი გაგებით ბ რ უ გ მ ა ნ ი ს არგუმენტი ძლიერია, მაგრამ იგი ვერ გადაწყვეტს ჩვენთვის საინტერესო განსაზღვრების ბედს; ბოლოს და ბოლოს ეს არის ს ა ზ ღ ვ რ ი ს საკითხი: ეს საკითხი არა მარტო ენათმეცნიერებისათვის დგას; მასთან უხდება საქმის დაჭერა არა ერთს მეცნიერებას. ცნობილია, მაგალ., რომ არ არის შესაძლებელი ორგანული სამყაროს გამიჯვნა არაორგანულისაგან, ფსიქიკურისა — საერთოდ ორგანულისაგან: მოვლენათა რიგი მდებარეობს საზღვარზე, და გააჩნია საკმაო უფლება განეკუთვნოს როგორც ერთს, ისე მეორე სამყაროს. მაგრამ ეს ხელს არ უშლის ბიოლოგიას იყოს მოძღვრება ორგანულის შესახებ, ფსიქოლოგიამ გამოაცხადოს თავის საგნად ფსიქიკა. ვფიქრობთ, ასევე არის

შესაძლებელი შესიტყვების აღიარება სინტაქსის საგნად, თუნდაც რომ იყოს შემთხვევები, როდესაც ძნელია სადემარკაციო ხაზის გავლება სიტყვასა და შესიტყვებას შორის.

ბოლო ხანებში სინტაქსის ფორტუნატოვი სეული განსაზღვრება პეშკოვსკისაც არ აკმაყოფილებს; იგი ამბობს: სინტაქსის განსაზღვრა, როგორც მოძღვრებისა შესიტყვებათა შესახებ, იმით არის უხერხული, რომ ყველაფერი სიტყვამდე დაჰყავსო (იხ. *Синтаксис: Лит. Энци.*, გვ. 800, ტ. II); სიტყვა კი პეშკოვსკის აზრით დასაყრდენად ვერ გამოდგება, რადგანაც თვით საჭიროებს დასაყრდენს: სიტყვა ფრაზის საშუალებითა განისაზღვრება; ამიტომაც პეშკოვსკის უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია სინტაქსი განისაზღვროს, როგორც „მოძღვრება ფრაზების შესახებ“. პეშკოვსკი ითვალისწინებს ყველა შესაძლო ნიშნებს, რომელთა მიხედვითაც სიტყვა შეიძლება დაფუძირისპიროთ სიტყვის ნაწილს, ერთის მხრით, და შესიტყვებას, მეორე მხრით (იხ. *Слово: Лит. Энци.*, გვ. 812 და შემდ.). პირველ რიგში განხილულია ასეთი არგუმენტები: 1. სიტყვა იხმარება ცალკეც, სიტყვის ნაწილები არ შეიძლება ცალკე იქნეს ნახმარი; 2. სიტყვას აქვს საკუთარი მახვილი, სიტყვის ნაწილებს იგი არა აქვს; 3. სიტყვის შემდეგ და წინ შეიძლება იყოს პაუზა, სიტყვის შუაში [თუ: შიგნით!] — არ შეიძლება იყოს; 4. სიტყვები შეეხამება მხოლოდ სიტყვებს, სიტყვის ნაწილები — მხოლოდ სიტყვის ნაწილებს; 5. წინადადებაში სიტყვათა მიმართება არ არის ისეთი, როგორიც არის სიტყვის ნაწილთა მიმართება (ჩვეულებრივად ყველა ნაწილი „ძირს განსაზღვრავს“); 6. სიტყვას აქვს მატერიალური შინაარსი, ნაწილს იგი არა აქვს; ანდა: სიტყვა შეეფერება ცალკე წარმოდგენას, როგორც აზრის ნაწილს, ძირები და აფიქსები ასეთს ცალკე წარმოდგენას არ შეესატყვისება; 7. მახვილის გადანაცვლებასთან დაკავშირებით სიტყვის ნაწილები იცვლიან ბგერითს შედგენილობას... არც ერთი ამ არგუმენტთაგანი პეშკოვსკის დამაკმაყოფილებლად არ მიაჩნია, და, ამგვარად, შეუძლებელი ხდება სიტყვის დაპირისპირება სიტყვის ნაწილისათვის. არანაკლებ საძნელოდ მიაჩნია მას სიტყვის გარჩევა შესიტყვებისაგან: სიტყვაა თუ შესიტყვებაო, კითხულობს იგი: *не правда... совершеннолетний... железная дорога... великий пост...* ამას ერთვის ასეთი სიძნელე: შესიტყვებებში: *у них всегда обильный стол* და *письменный стол* ერთი და იგივე სიტყვაა *стол* თუ — სხვადასხვა... (იხ. იქვე, გვ. 819, 921).

საკითხის ასე დასმა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც სიტყვის სტრუქტურული ანალიზის დროს იმდენსავე ყურადღებას აქცევს მნიშვნელობას, რამდენსაც ფორმას. როგორც ჩანს, პეშკოვსკიც ასეთ მოაზროვნეთა ჯგუფს ეკუთვნის. ეს რომ ასეა, ჩანს იმ საშუალებიდან, რომელიც პეშკოვსკის გამოსავლად აქვს დასახული შექმნილი მდგომარეობიდან თა-

ვის დასაღწევად; უნდა ბოლო მოეღოს **სიტყვა-ცნების** ხმარებას ორი სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით, რომელთაგან ერთი სიტყვაში გულისხმობს ცალკე ფსიქო-ფიზიოლოგიურ აქტს მეტყველების დანაწევრებისა, მეორე კი — წარმოდგენათა ასოციაციურ ჯგუფს, რომელიც განკერძოვდა მეტყველის ცნობიერებაში ამ დანაწევრების შედეგადად (იქვე, გვ. 823). პირველი არის სიტყვა-წვერი და მას შეიძლება „ცალკე სიტყვა“ ვუწოდოთ, მეორე არის „სიტყვა-ტიპი“; ამ უკანასკნელისათვის პეშკოვსკი წარმოგვიდგენს ცალკე ტერმინს **ლექსემა** (იქვე, გვ. 824). ცალკე სიტყვის განსაზღვრისას პეშკოვსკი სინტაგმას ემყარება (იხ. იქვე, გვ. 824-830). სინტაგმა კი არის მეტყველების მნიშვნელობიანი წვერი: სიტყვის ის ნაწილი, რომელიც მნიშვნელობას ატარებს, შესიტყვება, წინადადება... და სხვ. (ე. ი. ყველაფერი გარდა ბგერისა, მარცვლისა და ტაქტისა): იხ. იქვე, გვ. 825-826. მაშასადამე, „ცალკე სიტყვის“ განსაზღვრისას მნიშვნელობის მომენტი არის გამოყენებული დასაყრდენად, ხოლო ლექსემა განსაზღვრულია, როგორც ასოციაციური ჯგუფი, შემდგარი ცალკე სიტყვათაგან (Лит. Энци. გვ. 399). ლექსემის შესახებ მსჯელობისას პეშკოვსკი თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც ბგერას, ისე მნიშვნელობას; წარმოდგენილია ასეთი კლასიფიკაცია: „სიტყვები, რომელნიც ერთნაირი არიან ბგერებისა და მნიშვნელობის მიხედვით... სიტყვები, რომელთაც ერთნაირი ბგერები აქვთ, მაგრამ მნიშვნელობა არა აქვთ... (იქვე). ერთი სიტყვით, როგორც **ლექსემა-ცნებაში**, ისე **ცალკე სიტყვა-ცნებაში მნიშვნელობას** საპატიო ადგილი უკავია.

ეს არის ტრანსცენდენტიზმი სიტყვის პრობლემაში. მას იგივე მეთოდოლოგიური პრინციპი ასაზრდოებს, რაც ფსიქოლოგიზმს წინადადების საკითხში. როგორც ერთს, ისე მეორე შემთხვევაში ის, **რაც** გამოიხატვის, საფუძვლად ედება იმის განსაზღვრებას, **რითაც** იგი გამოიხატვის. თუ ტრანსცენდენტიზმი მიუღებელია წინადადების საკითხში, არანაკლებ არის ის უარსაყოფელი სიტყვის განსაზღვრისას. სტრუქტურული ანალიზისათვის წინადადება — სიტყვათა შეხამებაა, სიტყვა — მხოლოდ ფორმაა; სიტყვა კი არ არის ბგერები პლუს მნიშვნელობა, არამედ ოდენ ფორმა ისევე, როგორც წინადადება არ არის სიტყვები პლუს გარკვეული პროცესები ცნობიერებაში, არამედ მხოლოდ შესიტყვება. სიტყვა „თავის“ მნიშვნელობასთან ისეთსავე მიმართებაშია, როგორშიაცაა ტერმინი ცნებასთან, წინადადება მსჯელობასთან (როცა მსჯელობას გადმოგვცემს). სტრუქტურული ანალიზი უნდა განთავისუფლდეს სიტყვის მნიშვნელობის შესწავლისაგან (ეს არის ფუნქციათა შესახებ მოძღვრების საქმე!) და მაშინ სიტყვის განსაზღვრებაც გაადვილდება და არც იმის გარკვევა გაჭირდება, ესა თუ ის მონაცემი არის სიტყვა თუ სიტყვის ნაწილი, ან შესიტყვება. სიტყვას სჭირდება იმანენტური საზომი ისევე, როგორც წინადადებას;

ყოველმა ენამ თავისთვის უნდა დაძებნოს ასეთი საზომი. რუსულის ტიპის ენებისათვის, ცხადია, ფორმაცვალებას უნდა მიეპყრას გულისყური: სიტყვა — ფორმაცვალებადი ერთეულია.¹ უფორმო სიტყვა იმდენადვე არის სიტყვა, რამდენადაც მას „უარყოფითი ფორმა“ აქვს. უფორმოთა კლასიფიკაციას კი საფუძვლად უნდა დაედოს ის მიმართება, რომელშიაც ისინი იმყოფებიან ფორმიანებთან: მართალია, ეს შესიტყვებათა მიხედვით მსჯელობა იქნებოდა, მაგრამ თუ საჭიროა უფორმოთა კლასიფიკაცია, სჯობს ეს ხდებოდეს მეზობელი სინტაქსის დახმარებით, ვინემ ფუნქციონალური ცნების წამოშველებით (სრულმნიშვნელოვანი, არა სრულმნიშვნელოვანი...). ყოველ შემთხვევაში, ერთი უდავოა: მორფოლოგიას საფუძვლად უდევს ფორმიანი სიტყვა; სხვა საძირკველზე აგებული მორფოლოგია არ არის მორფოლოგია. **სიტყვა — ფორმაცვალებადი ერთეულია** და ამიტომაც *стол* ერთი და იგივე სიტყვაა შესიტყვებაში — *письменный стол* და შესიტყვებაშიც — *у них всегда обильный стол*: ორსავე შემთხვევაში ეს სიტყვა ერთნაირად იბრუნვის... *Совершеннолетний... неправда* — ცალკე სიტყვებია: *неправда, — вы — е, — у, — ою... Великий пост... Железная дорога...* შესიტყვებებია: *железной дороги, железной дороге...* და სხვ.: ორივე ელემენტს თავისი ფორმა აქვს. სამაგიეროდ *царь-город, премьер-министр* — ერთი სიტყვაა: *премьер-министра, премьер-министру...* და სხვ...

ამგვარად: ბ რ უ გ მ ა ნ ის ა და პ ე შ კ ო ვ ს კ ის არგუმენტების მხედველობაში მიღების შემდეგაც ყველაზე მართებულად ისევ ფორტუნატოვის შეხედულება უნდა ვცნოთ: სინტაქსი არის მოძღვრება შესიტყვებათა შესახებ. სინტაქსის საგნის საკითხი ამით გამორკვეულია. გვრჩება: მიზან-თვალსაზრისი და მეთოდი, რომლითაც შესიტყვება უნდა იქნეს შესწავლილი.

67. შესიტყვებას ქმნის დამოკიდებულება სიტყვათა შორის; ეს დამოკიდებულება შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა საშუალებით; ასეთია: სიტყვათა ფორმა, სიტყვათა ადგილმდებარეობა, სიტყვათა ინტონაცია. ჩვეულებრივად, ამა თუ იმ ენაში ჭარბობს ესა თუ ის საშუალება, თუმცა სხვა საშუალებასაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი; ასე, მაგალ., ფორმის გვერდით ინდო-ევროპულ ენებში (მაგალ., გერმანულში, ფრანგულში, ინგლისურში) ადგილმდებარეობასაც აქვს მნიშვნელობა (მაგალ., *Die Tante liebt die Mutter* და *die Mutter liebt die Tante*); მაგრამ ამ საშუალებას ენა მი-

¹ რასაკვირველია, ეს არის საილუსტრაციო განსაზღვრება.

მართავს ჩვეულებრივად იმ შემთხვევაში, როცა მას ფორმა აკლია. ის სინტაქსური ცნებები, რომლებიც გამომუშავებული იქნება ფორმიან ენებში, რასაკვირველია, არ გამოდგება ისეთი ენისათვის, რომელსაც ფორმა (ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით) არ გააჩნია და სადაც მის მაგივრობას ადგილმდებარეობა ან ინტონაცია ეწევა. თუ ერთ შემთხვევაში სინტაქსური ცნებები აგებული იქნება ფორმათა დამოკიდებულების საფუძველზე, მეორეში დასაყრდენი იქნება სიტყვათა ადგილმდებარეობა, მესამეში — ინტონაციის თავისებურება. ეს სინტაქსური ცნებები სხვადასხვა შინაარსისა იქნება, მაგრამ ყველგან გამომუშავდება ერთი პრინციპის მიხედვით; ეს პრინციპია: **ბუნება სიტყვათა ურთიერთობისა და საშუალება ამ ურთიერთობის აღსანიშნავად.**

ჩვენ გვინტერესებს ენათა ის ტიპი, რომელსაც ურთიერთობის გამოსახატავად ფორმა აქვს. ეს ტიპი, თუ შეიძლება ითქვას, ყველაზე ენობრივია; ინტონაცია და ადგილმდებარეობა სინტაქსურ საშუალებად ითვლება **მხოლოდ** იმდენად, რამდენადაც ფორმის ფუნქციას ასრულებენ. ფორმიან ენათა ტიპი სხვადასხვა ვარიაციებს იძლევა იმისდა მიხედვით, თუ რა აგებულებისაა მათში ფორმიან სიტყვათა ძირითადი კლასები: სახელი და ზმნა. მაგრამ მთელი ტიპისათვის დამახასიათებლად უნდა ჩათვალოს ორი რამ: სახელი იბრუნვის, ზმნა იუღვლება, არის ბრუნვადი და არის უღვლილებადი სიტყვა, რანაირი თავისებურებებითაც არ ხასიათდებოდეს ბრუნება და უღვლილება. ჩვენი მსჯელობის საგანი იქნება ასეთი ტიპის ენათა შესიტყვება.

შესიტყვებას ვერ მივიღებთ, თუ არ არსებობს გარკვეული დამოკიდებულება სიტყვათა შორის, თუნდაც რომ თითოეულ სიტყვას თავისი ფორმა ჰქონდეს. **კაცად სახლმა აშენებ;** სამი სიტყვა გვაქვს: სახელი მიმართულებითს ბრუნვაში (**კაცად**), სახელი მოთხრობითს ბრუნვაში (**სახლმა**), ზმნა აწმყო დროის მეორე პირში (**აშენებ**), შესიტყვება კი არა გვაქვს; **კაცად სახლმა აშენებ** — ასეთი შესიტყვება ქართულმა არ იცის. ხოლო თუ ვთქვით: **კაცი სახლს აშენებს**, მივიღებთ შესიტყვებას. მაშასადამე, არ ყოფილა საკმარისი, ყოველ სიტყვას ჰქონდეს ფორმა, აუცილებელი ყოფილა მათ ჰქონდეთ განსაზღვრული ფორმა, რომელიც შეეხამება სხვა ფორმას და მოგვცემს შესიტყვებას, ბუნებრივს ამა თუ იმ ენისათვის. ამისდა კვალობაზე, ამა თუ იმ ენის **სინტაქსის მიზანია გამოარკვიოს: 1. რა ფორმები შეიძლება შეახამოს ენამ** ანუ, უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, **რაგვარი შესიტყვებანი მოეპოვება ენას** და **2. როგორია მის შესიტყვებათა სტრუქტურა-მექანიზმი.**

ეს საჭიროებს დეტალიზაციას. ზემოთ ვთქვით, რომ სინტაქსის საგანია შესიტყვება; მაგრამ შესიტყვების ყოველგვარი შესწავლა როდი მოგვცემს სინტაქსს, შეიძლება, მაგალ., აღვწეროთ, რა და რა ფორმა შედის

შესიტყვებაში და შედეგი აღვსუსხოთ მორფოლოგიურ ტერმინებში. გვაქვს, ვთქვათ, შესიტყვება: **მონადირემ მოკლა ჯიხვი**, იგი შედგება: სახელისაგან მოთხრობითს ბრუნვაში მხოლოობითი რიცხვისა პლუს ზმნა (ასეთი და ასეთი) მხოლოობ. რიცხვის მესამე პირში ნამყო ძირითადში პლუს სახელი მხოლოობითის სახელობითში. აპოლონოს დისკოლოსი სწორედ ამ თვალსაზრისით შეისწავლიდა წინადადებას. როგორ ერთდებიან სიტყვანი წინადადებაში? ესე იგი: რა და რა ფორმები შეიძლება შეერთდეს ნორმალური მეტყველების დროს წინადადებაში? — ასე ისმის მასთან საკითხი.¹ დერჟავინი და ბუდე უბრუნდებიან აპოლონოსს. საშუალო საუკუნეები შეისწავლიდნენ შესიტყვებას შეთანხმებამართვის თვალსაზრისით; ეს უკვე წმინდა სინტაქსური ნიადაგია. სამწუხაროდ, ამ ნიადაგზე არ ყოფილა გამომუშავებული სინტაქსური ცნებები, და ცარიელი ადგილი ლოგიკიდან გადმოტანილმა ცნებებმა დაიკავეს.

აპოლონოსის თვალსაზრისით შესიტყვების შესწავლა იძლევა მასალას სინტაქსისათვის, მაგრამ არ არის სინტაქსი. ეს წინასწარი შემამზადებელი **აუცილებელი** ეტაპია, მაგრამ იგი **არაა საკმაო**: სინტაქსის მაგივრობას იგი ვერ გასწევს.

სინტაქსური თვალსაზრისით შესიტყვების შესწავლა, როგორც ზემოთ ვთქვით, ორ მომენტს გულისხმობს: 1. **შესიტყვების შედგენილობის შესწავლა** და 2. **შესიტყვების სტრუქტურის დადგენას**. პირველი არ არის თავის თავადი სინტაქსური დირექტები. ის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აუცილებელი შემამზადებელი საფეხურია მეორე მომენტისათვის. **შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმის გამორკვევა** — აი ძირითადი მიზანი სინტაქსური ძიებისა.

მატარებლის ორთქლმავალი ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ მისი შედგენილობის მიხედვით: ოთხი ბორბალი, ქვაბი, ლუმელი, საკვამლე მილი, ორთქლის სადენი მილაკები, ბერკეტებისა და ხრახნილების წყება... ორთქლმავლის შესწავლისათვის ამ ნაწილების ცოდნა მიუცილებელია. მაგრამ ორთქლმავლის აგებულება ჩვენ მაშინ გვეცოდინება, თუ გათვალისწინებულა: რომელი ბერკეტი რომელი ხრახნილით არის დამაგრებული, რომელ ბერკეტთან არის იგი დაკავშირებული, რას ამოძრავებს იგი და რა ამოძრავებს მას თვითონ. ორთქლმავლის აგებულება ჩვენ მაშინ ვიცით, თუ მისი **შედგენილობის** გარდა მისი **სტრუქტურა-მექანიზმი** ნათლად გვაქვს წარმოდგენილი.

აპოლონოს დისკოლოსი შესიტყვებაში **შედგენილობას** შეისწავლიდა; ჩვენი მიზანი კი უნდა იყოს შესწავლილ იქნეს შესიტყვების **სტრუქტურა-მექანიზმი**.

¹ იხ. Steinhil, Geschichte, II, 341.

ამრიგად: სინტაქსის **საგანი** თუ შესიტყვებაა, სინტაქსის **მიზანი** შესიტყვების მექანიზმის შესწავლაა. ეს მიზანი არ შეიძლება გარკვეულს თვალსაზრისსაც არ გვაღებდეს; ეს **თვალსაზრისია**: ანალიზი იმ ურთიერთობისა, რომელიც არსებობს სიტყვათა შორის ყოველ ცალკე შესიტყვებაში.

68. შესიტყვება გულისხმობს სიტყვათა¹ დამოკიდებულებას; ამიტომაც, ყოველს შესიტყვებაში არის, სულ მცირე, ორი სიტყვა: ერთი — გაბატონებული, **დომინანტი** და მეორეც — მასზე დამოკიდებული, **დეპენდენტი**. მათი ურთიერთობა ჩვეულებრივ ორ სახეს იღებს: ერთია **შეთანხმება**, მეორე — **მართვა**. **შეთანხმებას** ჩვენ ვუწოდებთ **დამოკიდებულების ისეთ სახეს, როდესაც გაბატონებული მოითხოვს დამოკიდებულისაგან ისეთ ფორმას, რომელშიაც ის თვითონ არის და რომლის მიხედვით ცვალებების უნარი აქვს**; ასეთია, მაგალ., შეთანხმება ზედსართავისა არსებითთან (საერთოდ, სახელისა სახელთან) რიცხვსა და ბრუნვაში: *высокий дом — высокие дома*;² *интересной книги — интересных книг...* სიტყვები *дом, книга* იცვლება: 1. ბრუნვათა მიხედვით: *дома, книги; дому, книге; дом, книгу; домом, книгой...* 2. რიცხვის მიხედვით: *книги, дома; книг, домов; книг, домам...* ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით იცვლება სიტყვები: *высокий, интересная: высокого, -ому, -ий, -им... интересная, -ой, -ой, -ую...* მრავლობითი: *высокие, -их, -им... интересные, -ых, -ым...* ამისდა კვალობაზე ბრუნვისა და რიცხვის კატეგორიაში ხდება შეთანხმება. სიტყვები: *высокий, интересная* სქესის მიხედვითაც იცვლება: *высокий, -ая, -ое; интересный, -ая, -ое...* სიტყვები *дом, книга* სქესის მიხედვით არ იცვლება; ამიტომაც უნდა იქნეს გარჩეული ის დამოკიდებულება, რომელსაც აქვს ადგილი, როცა *дом, книга* მოითხოვს დამოკიდებულ სიტყვათაგან გარკვეულ ბრუნვასა და რიცხვს, იმ დამოკიდებულებისაგან, რომელიც გამოიხატება მოთხოვნაში — ზედსართავი იყოს ამ სქესის ფორმაში და არა სხვაში. ეს უკანასკნელი მართვაა და არა შეთანხმება.

მართვის ნათელი ნიმუშია: (*ученик*) *покупает книгу; покупает* ზმნაა და, როგორც ასეთი, იცვლება პირის, რიცხვის, დროის, კილოს... მიხედვით; პირი: *покупает, -ешь, -ю*; რიცხვი: *покупают, -ете, -ем*; დრო: *покупает, покупал...* კილო: *покупает; покупал бы...*; *книгу* სახელია და იცვლება ბრუნვათა და რიცხვთა მიხედვით: *книга, -и, -е, -у... книги, -з, -зам...* აქ

¹ სიტყვაში ნაგულისხმევია ფორმიანი სიტყვა; ამიტომ შესაძლებლად ვთვლით ფორმის, ფორმიანი სიტყვის ნაცვლად ვიხმაროთ სიტყვა და პირუკუ.

² ზოგადი საილუსტრაციო ანალიზისათვის რუსულს მივმართეთ: იგი ფორმით მდიდარია, აგებულებით — ნათელი.

ჩამოთვლილ ნიშანთაგან ორივე სიტყვისათვის საერთოა მხოლოდ რიცხვი, მაგრამ ეს კატეგორია სრულიად უმნიშვნელოა ამ სიტყვათა ურთიერთობის თვალსაზრისით; ჩვენ შეგვიძლია ვცვალოთ როგორც ჩვენი ზმნის, ისე ჩვენი სახელის რიცხვი და შესიტყვებას ეს არ დაეტყობა: *покупает книгу, книги; покупают — книгу, книги...* მაშასადამე, *покупает* და *книгу* რიცხვის კატეგორიის საშუალებით არ უკავშირდება ერთუროს; სხვა საერთო კატეგორია მათ არ გააჩნიათ: პირი, დრო, კილო სახელს არა აქვს, ბრუნვა კიდეც — ზმნას. ამისდა მიუხედავად, ფაქტია, რომ *покупает*-ის შემდეგ არ შეიძლება იქნეს ნახმარი არც ერთი ბრუნვა, გარდა ბრალდებითისა: *покупает*-ზმნა მოითხოვს მასზე დამოკიდებული სახელისაგან გარკვეულს ბრუნვას, თუმცა ბრალდებითში ის თვითონ არ არის და არც შეიძლება იყოს (ბრუნვის კატეგორია მისთვის უცხოა). **დამოკიდებულების ისეთი სახე, როდესაც გაბატონებული მოითხოვს დამოკიდებულისაგან ისეთ ფორმას, რომელიც მას თვითონ არა აქვს ამ მომენტში ან არც შეიძლება ჰქონდეს საერთოდ, იწოდება მართვად.** ასე რომ: ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში, რიცხვში — არა.

მართვა გვაქვს შესიტყვებაში, როგორცაა: *дом брата, книга сестры...* როგორც გაბატონებული, ისე დამოკიდებული სიტყვები აქ სახელებია; მათ აქვთ ბრუნვისა და რიცხვის კატეგორია; მაგრამ გაბატონებული სიტყვა სახელობითშია, დამოკიდებული — ნათესაობითში; სახელი მართავს სახელის ბრუნვას; რიცხვს კი ისევე არ ეხება, როგორც ზმნა: *дом (дома) брата, — братьев; книга (книги) сестры, — сестер...*

რაში გამოიხატება სახელისა და ზმნის ურთიერთობა? *Ученик покупает...* *Покупает* დამოკიდებულია, *ученик* — გაბატონებული. სიტყვა *ученик* იცვლება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით; *покупает* — პირის, რიცხვის, დროის, კილოს, (სქესის)... მიხედვით. სახელზეა დამოკიდებული ზმნის პირი, რიცხვი, სქესი; პირი: *ученик покупает, ты покупаешь, я покупаю...* რიცხვი: *ученик покупает, ученики покупают*; სქესი: *ученик покупал, сестра покупала...* ზმნის კილო და დრო (რუსულ) შესიტყვებაში არავითარ სინტაქსურ როლს არ თამაშობს: *ученик покупает... покупал... покупал бы...* ამისდა გვარად შეთანხმებისა და მართვის ზემოხსენებულ განსაზღვრებათა მიხედვით შესიტყვებაში *ученик покупает*: *ученик* ითანხმებს ზმნას რიცხვში, მართავს პირსა და სქესში.

69. თავი რომ მოუყაროთ განხილულ შემთხვევებს, ასეთ დასკვნას მივიღებთ:

1. სახელი ითანხმებს სახელს ბრუნვასა და რიცხვში, მართავს სქესში: интересную книгу... высоких домов... სიმოკლისათვის ასეთი დამოკიდებულება შეიძლება აღვნიშნოთ შემთხვევის სახელწოდებით,

რადგანაც სჭარბობს შეთანხმების მოვლენები: ორი ნიშნის მიხედვით შეთანხმება ხდება, ერთის მიხედვით — მართვა.

2. სახელი მართავს ზმნას პირსა და სქესში, ითანხმებს რიცხვში: *ученик покупает (покупал)*; ამ დამოკიდებულებაში მართვა სჭარბობს (ორი ნიშნის მიხედვით წინააღმდეგ ერთისა, რომელშიაც შეთანხმებას აქვს ადგილი); ამიტომ სიმოკლისათვის ასეთი დამოკიდებულება მთლიანად შეიძლება დავახასიათოთ, როგორც მ ა რ თ ვ ა.

3. სახელი მართავს სახელს ბრუნვაში: *книга сестры... книгу сестры... книге сестры...*

4. უფორმო სიტყვა მართავს სახელს: *без книги... под окном... (недалеко) от дома...*

5. ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში: *покупает книгу... читает газету...* უკანასკნელ შემთხვევაში უნდა გავარჩიოთ მართვა **უშუალო** და **შუალობითი**: უშუალო — თუ სახელი პირდაპირ ზმნაზეა დამოკიდებული: *покупает книгу... читает газету...*; შუალობითი — თუ სახელი დამოკიდებულია სხვა (უფორმო) სიტყვაზე, რომელსაც ზმნა უშუალოდ მართავს: *гонится за зайцем... надеется на брата...*

ზმნა *гонится* მოითხოვს *за*-წინდებულს (*гонится у... при... около...* არ შეიძლება). წინდებული *за* თავის მხრივ მოითხოვს სახელისაგან მოქმედებითს ბრუნვას; მაგრამ ამაშიც ზმნის გავლენა ჩანს: *за*-ს შეეძლო ბრალდებითი ბრუნვაც მოეთხოვა: (*заплатил*) *за зайца, за книгу...* და თუ აქ მაინც მოქმედებითია, ეს *гонится*-ზმნის ბრალია; წინდებული აქ მართვის გადამცემი ინსტანცია არის: ზმნა მართავს წინდებულის საშუალებით; ეს საინტერესო მოვლენაა; საერთოდ, მართული სიტყვა თვით შეიძლება იყოს მმართველი: *купил книгу брата*: ზმნა *купил* მართავს სახელს *книгу*; *книгу* მართავს სახელს *брата*; მართული სახელი *книгу* სრულიად არ არის შეზღუდული მასზე დამოკიდებულ *брата*-ს მიმართ; *купил*-ზმნა აქ ვერ სწვდება. ერთი სიტყვით: *книгу* არის «ვასალი» ზმნისა *купил*, მაგრამ *брата*-სახელის მიმართ ისეთივე «სიუზერენია», როგორც არის *купил*-ზმნა მის მიმართ... შესიტყვებაში კი: *гонится за зайцем* თავისებურია, ჯერ ერთი, ზმნის მიერ უფორმო სიტყვის (თუ ნაწილაკის) მოთხოვნა; მეორეცაადა, ის ორმაგი მართვა, რომელსაც სახელი განიცდის: *за*-სთან დაკავშირებული იგი ან აკუზატივში უნდა დაისვას, ანდა მოქმედებითში; ამდენადვე წინდებულზეა დამოკიდებული; *гонится*-სთან დაკავშირებული, ის მოქმედებითის ფორმას იღებს; ამრიგად, დამოკიდებულია ორივეზე, იმართვის ორივეს მიერ.

70. ცალკე აღებული: *высокий дом... интересная книга... за зайцем... около города... книга сестры... надеется на погоду... покупает книгу... ученик читает... ветер дует...* — შესიტყვებებია; შესიტყვება იქნება აგრეთვე, თუ

ვიტყოდით: *высокий дом строится... ученик читает книгу...* გაგაანალიზოთ რომელიმე ვრცელი შესიტყვების სტრუქტურა სინტაქსური თვალსაზრისით, ესე იგი, მასში შემავალ სიტყვათა ურთიერთობის თვალსაზრისით: *прилежный ученик читает интересную книгу брата*: სახელი *ученик* ითანხმებს სახელს *прилежный* და მართავს ზმნას *читает*; *читает* მართავს სახელს *книгу*; სახელი *книгу* თავის მხრივ მართავს სახელს *брата* და ითანხმებს სახელს *интересную...* ამრიგად: შეთანხმება და მართვა არის ის **საფუძველი**, რომელზედაც აგებულია ეს შესიტყვება; სახელი და ზმნა ანუ ბრუნვადი და უღვლილებადი სიტყვა არის ის **მასალა**, რომლისაგანაც აშენებულია იგი; ასეთ **შესიტყვებას, რომელიც აგებულია მართვა-შეთანხმების პრინციპზე ბრუნვადი და უღვლილებადი სიტყვებისაგან, ეწოდება წინადადება**.¹ ამისდა მიხედვით წინადადება იქნება შესიტყვება *ученик читает*: მართვა-შეთანხმებას აქაც აქვს ადგილი; სახელი და ზმნა აქაც ღებულობს მონაწილეობას. ეს წინადადება იქნებოდა უმარტივესი სახე წინადადებისა: ორ სიტყვაზე ნაკლები საერთოდ არ იქნებოდა შესიტყვება და, მაშასადამე, ვერც იმ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა, რომელიც განსაზღვრებაშია წამოყენებული სტრუქტურისა და შედგენილობის მხრივ.

თუ ჩვენი შესიტყვება *прилежный ученик читает интересную книгу брата* წინადადებაა, მასში შემავალი სიტყვები წინადადების ნაწილები იქნება. **მათი სინტაქსური კვალიფიკაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ როლის მიხედვით, რომელსაც ისინი ასრულებენ შესიტყვებაში** სიტყვათა დამოკიდებულების თვალსაზრისით; **წინადადება სიტყვათა დამოკიდებულებამ შექმნა, წინადადების ნაწილები ამ დამოკიდებულების ნიადაგზე უნდა განისაზღვროს**. ამ მხრივ: *читает* არის მართული ზმნა, *ученик* — მმართველი სახელი; *книгу* — სახელი, მართული ზმნის მიერ; *брата* — სახელი, მართული სახელის მიერ; *прилежный, интересную* არის სახელები, შეთანხმებული სახელებთან: *ученик, книгу*. ერთის შეხედვით ერთმანეთში შეიძლება აირიოს *ученик* და *книгу*; მართალია, *книгу* ჩვენ დავახასიათეთ, როგორც მართული სახელი, მაგრამ ხომ არის ის აგრეთვე მმართველი: *книгу брата...* მსგავსებას მართლაც აქვს ადგილი. თუ შევხედავთ **დამოკიდებულთან** მიმართების თვალსაზრისით: *ученик* მართავს მასზე დამოკიდებულ ზმნას, *книгу*-ც მართავს მასზე დამოკიდებულ *брата*-სახელს. განსხვავება აშკარავდება, თუ საქმის ვითარებას განვიხილავთ **გაბატონებულთან** მიმართების თვალსაზრისით: მმართველი სახელი *книгу* თვით იმართვის ზმნის მიერ: *читает книгу...* მმართველი სახელი *ученик* არ იმართვის სხვა

¹ ეს განსაზღვრება, რასაკვირველია, რუსულ წინადადებას გულისხმობს; რამდენად გამოდგება ქართულისათვის, ქვემოთ ვნახავთ.

სახელისა თუ ზმნის მიერ; ის საერთოდ არავიზე არ არის დამოკიდებული, მასზე კი ყველაა დამოკიდებული (უშუალოდ ან შუალობით).

სიტყვათა სინტაქსური როლის კვალიფიკაციის დროს ამოსავალი იყო **გაბატონებულთან** მიმართება; ამისდა კვალობაზე *книгу* დავახასიათეთ, როგორც მართული სახელი; *ученик* კი არ შეიძლება ამ თვალსაზრისით დაგვეხასიათებინა (მას ხომ დომინანტი არა ჰყავს!), მისთვის საჭირო გახდა საწინააღმდეგო თვალსაზრისზე დადგომა: **მ ი მ ა რ თ ე ბ ა მ ა ს ზ ე დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ს ი ტ ყ ვ ა ს თ ა ნ**. მივიღეთ კვალიფიკაცია: „მმართველი სახელი“; მის სინტაქსურ თავისებურებათა აღსანიშნავად მიზანშეწონილი იქნებოდა ამ წოდებულებაში „**მთავარი**“ დაგვემატებინა: *ученик* არის **მთავარი მმართველი სახელი**. ამით ნათლად აღინიშნება ის უპირატესობა, რომელიც ამ სიტყვას აქვს *книгу*-სთან შედარებით; იმავე დროს იგი უზრუნველგვყოფს ყოველგვარ გაუგებრობათაგან, **დამოკიდებულის** თვალსაზრისით მივუდგებით სიტყვათა ურთიერთობას თუ **გაბატონებულისა**.

ოლონდ აქ შემდეგი ორი საკითხი მაინც დაიბადება: რატომ არ შეიძლება წინადადების ყველა ნაწილი დაგვეხასიათებინა **გაბატონებულის დამოკიდებულთან** ურთიერთობის თვალსაზრისით, ესე იგი, მოვქცეულიყავით ისევე, როგორც *ученик*-ის კვალიფიკაციის დროს? მეორეც: *ученик* არა მართო მმართველია; იგი აგრეთვე ითანხმებს (სახელს); რატომ არ არის კვალიფიკაციის დროს მხედველობაში მიღებული შეთანხმების მომენტი? აკი *ученик* ითანხმებს სახელს *прилежный*? ამაზე უნდა ვუბასუხოთ: „გაბატონების“ თვალსაზრისი იმიტომ უნდა უკუვადგოთ, რომ წინადადების კიდური წევრები ამ თვალსაზრისით ვერ დახასიათდება; *брат... интересную... прилежный* — ამ სიტყვებზე არც ერთი სიტყვა არ არის დამოკიდებული; მათ თუნდაც რომ გაიჩინონ ასეთი სიტყვები, ამ თვალსაზრისით მათი დახასიათებაც შეუძლებელი იქნება. მეორე საკითხის შესახებ უნდა ითქვას: მართალია, სიტყვა *ученик* ი თ ა ნ ხ მ ე ბ ს სახელს, მაგრამ რამდენადაც *ученик* წინადადების ნაწილია, სახელის შეთანხმებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ისევე, როგორც იმას, რომ მას შეუძლია სახელი მ ა რ თ ო ს: *прилежный ученик з и м а з и и*; წინადადების თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ზმნის მართვა, რადგანაც ეს არის აუცილებელი და საკმაო პირობა შესიტყვების წინადადებად მიჩნევისათვის. ბუნებრივია ამიტომაც, თუ ეს მომენტი დაედვა საფუძვლად *ученик*-სიტყვის სინტაქსურ კვალიფიკაციას.

ამისდა კვალობაზე, ძველ ტერმინებს თუ გამოვიყენებთ, წინადადების ნაწილთა ასეთი განსაზღვრებანი გვექნება: **ქვემდებარე** არის **მთავარი მმართველი სახელი**; **შემასმენელი** — **მართული ზმნა**; **დამატება** —

ზმნის ან სახელის მიერ მართული სახელი; განსაზღვრება — სახელთან შეთანხმებული სახელი.

რალა გარემოება? როგორ უნდა გადაწყდეს გარემოების საკითხი მეთოდოლოგიური იმანენტიზმის თვალსაზრისით? ამისთვის უნდა გავითვალისწინოთ სიტყვათა ურთიერთობის ახალი სახე; ეს არის **მართვა**. შესიტყვებაში: *больной сидит у окна*; სახელი *больной* მართავს ზმნას *сидит*; *у окна*: *у* წინდებული მართავს სახელს *окна*; *у окна* თვითონ არის შესიტყვება, მაგრამ ეს შესიტყვება არ არის სინტაქსურ დამოკიდებულებაში ზმნაზე *сидит*; შეგვიძლია ვთქვათ: *сидит у окна, около окна, за окном, под окном, близ окна...* და სხვ.: ცხადია, ზმნა *сидит* არ მოითხოვს რომელსამე გარკვეულს წინდებულს; მას შეუძლია იგუოს სხვადასხვა წინდებულები; მათი ხმარება ზმნით კი არ არის განსაზღვრული, არამედ შესიტყვების შინაარსით; არ არსებობს სინტაქსური დამოკიდებულება *сидит*-სა და *у окна*-ს შორის: არ არის არც მართვა, არც შეთანხმება, არამედ მექანიკური მეზობლობა; ასეთ ურთიერთობას **მართვა** ეწოდება; როგორც ჩვენი მაგალითიდან ჩანს, მართვა არ არის სიტყვათა პოზიტიური ურთიერთობა; ენა, რომელსაც მხოლოდ მართვა მოეპოვება, შესიტყვებას მოკლებული იქნებოდა; დადებითი სინტაქსური ურთიერთობაა მართვა და შეთანხმება; მათთან შეპირისპირებით მართვაც შეიძლება მივიჩნიოთ „ურთიერთობად“, ურთიერთობის ნოლ-ფორმად.

მართვა მეტყველებაში ძალზე გავრცელებული მოვლენაა; ამისდა მიუხედავად ის ვერ დაიმსახურებდა სინტაქსის შემსწავლელის ყურადღებას, რომ არ იყოს ერთი გარემოება: მართვა შორეულ კავშირში იმყოფება მართვასთან, მართვა ნულამდე დაყვანილი მართვაა; მართვის დასუსტების ხაზით მივდივართ მართვისაკენ. ამ ხაზზე კი შეიძლება შემოგვხვდეს ისეთი მოვლენები, რომელთა შესახებ ძნელია თქმა, მართვაა იგი თუ მართვა; აი თუნდაც ასეთი მაგალითი: *лежит на столе*; *на*-ს რომ *лежит* მოითხოვდეს, შეუძლებელი იქნებოდა: *лежит у стола, под столом, около стола, близ стола...* ცხადია, *на столе* არის მართული და არა მართული. მაგრამ, აქ რომ მართვის კვალიც ჩანს, ამას მოწმობს ბრუნვა, რომელშიაც არის სახელი თანდებულის შემდეგ: *лежит на столе*; *лежит на стол* — შეუძლებელია; დამოუკიდებელი ზმნისაგან კი თანაბრად შეიძლება: *на столе, на стол...* ცხადია, ზმნა *лежит*-ს უდევს წილი იმაში, რომ გვაქვს *на столе* და არ შეიძლება *"лежит на стол"*.

შეიძლება მიერთოს: ზმნას—სახელი (წინდებულისანი): *сидит у окна...* ზმნას—უფორმო სიტყვა: *сидит здесь, там, далеко, близко...* უფორმო სიტყვა—სახელს (ზედსართავს): *совсем негодный... очень высокий...* უფორმო სიტყვა—უფორმოს: *совсем недалеко... так напрасно (работает)...* სახე-

ლი—სახელს: *учитель с учениками (отправился на прогулку)*... მასალის მხრით, როგორც ვხედავთ, მირთვაში თითქმის ყველაფერი შეიძლება მონაწილეობდეს: არ მიერთვის მხოლოდ ზმნა. **მირთული სიტყვა, ფორმიანია იგი თუ უფორმო, იქნება გარემოება.** შეიძლება განვასხვავოთ გარემოებათა ორი სახე: გარემოება — ფორმიანი სიტყვით გადმოცემული (წინდებულისანი სახელები) და გარემოება — უფორმო სიტყვით გადმოცემული.

აქ წარმოდგენილი განსაზღვრებანი ყველაზე ახლოს არის პეშკოვის იმ განსაზღვრებებთან, რომლებიც მის „სინტაქსში“ გვაქვს; განსხვავება მდგომარეობს შემდეგში:

1. შეთანხმება და მართვა პეშკოვის სხვანაირად ესმის: შესიტყვებებში *высокий дом... ученик читает* ხედავს მხოლოდ შეთანხმებას, პირველ შემთხვევაში — სახელისას სახელთან, მეორეში — ზმნისას სახელთან. შესაფერისად განსხვავებულია შემასმენლის განსაზღვრება (მდრ. ზემოთ გვ. 99).

2. დამატებისა და გარემოების კვალიფიკაციის დროს მისთვის ამოსავალია **მასალა** და არა სინტაქსური **ურთიერთობა**. ამიტომაც არის, რომ მისთვის დამატებაა სახელი, არა მხოლოდ მართული, არამედ მირთულიც (იხ. ზემოთ, გვ. 99), რაკი არის **სახელი**.

3. გარემოება ზმნისართიანო, ამბობს პეშკოვის განსაზღვრება (იხ. ზემოთ, გვ. 99); ეს არ არის სინტაქსური განსაზღვრება; მაგრამ აქ სინტაქსური განსაზღვრების მოცემა შეუძლებელიც იქნებოდა, რაკი დასაყრდენად მასალის თვისება იქნა გამოყენებული და არა სინტაქსური ურთიერთობა.

4. განსხვავებულია ქვემდებარის განსაზღვრებაც: ის უარყოფითი ნიშნებით ხასიათდება: „სახელი, რომელიც არ ეთანხმება, არ იმართვის, არ მიერთვის“ (იხ. ზემოთ, გვ. 99). განსაზღვრების ასეთი წესი, როგორც ცნობილია, არ არის მიზანშეწონილი; უხერხულობის ნათელსაყოფად ასეთი მაგალითიც კმარა: მიმართვა — *Носильщик!* — არაფერს ეთანხმება, არც იმართვის, არც მიერთვის. მაშასადამე, ის შეიძლება ქვემდებარედ იქნეს გამოცხადებული. სამაგიეროდ აქ წამოყენებული ძირითადი პრინციპი: შესიტყვება უნდა იქნეს შესწავლილი იმ საფუძვლის მიხედვით, რომელმაც იგი შექმნა, — პეშკოვის განსაზღვრებათაგან გვაქვს აღებული. სამწუხაროდ, ამ განსაზღვრებაში მოცემული პრინციპი პეშკოვის საერთო ნაზრევში შემთხვევითს ხასიათს ატარებს; და დამახასიათებელია ის, რომ 1927 წელსაც გამეორებულია წმინდა ფსიქოლოგისტური დებულება: შესმენილობის მატარებელი ზმნა არის წინადადების მთავარი წევრიო. ეს გარემოება ზემოთაც გვაქვს აღნიშნული.

მეთოდოლოგიური იმანენტიზმის თვალსაზრისით წინადადების სტრუქტურა რუსულში ასე წარმოდგინება: ქვემდებარეა ის მწვერვალი, რომლისაკენაც ადის მართვა-შეთანხმების ძაფები; ან უშუალოდ მასზეა ანდა მასზე დამოკიდებულ სიტყვებზეა ყველა ნაწილი დამოკიდებული. ქვემდებარე მართავს, ითანხმებს, თვით არ იმართვის, არც ეთანხმება სხვა სიტყვას. მას ჰყავს «ვასალები», ვასალებიანი ან უვასალო. იგი თვით არავის ვასალი არ არის: იგი „პირველია სწორთა შორის“, *primus inter pares*. **ქვემდებარე რუსულში არის არა მხოლოდ მთავარი სახელი, არამედ მთავარი სიტყვაც.**

71. წარმოდგენილი სქემა რუსული წინადადებისა, გვგონია, რომ საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, თუ რა მიზანს ისახავს მეთოდოლოგიური იმანენტიზმი შესიტყვების შესწავლისას, რა თვალსაზრისით უდგება იგი მას და რა მეთოდით აყალიბებს იგი სათანადო ცნებებს. როგორც ზემოთაც ვთქვით, სინტაქსის **საგანია** შესიტყვება; სინტაქსის **მიზანია** ანალიზი იმ ურთიერთობისა, რომელიც შესიტყვებაში შემავალ სიტყვათა შორის არსებობს; შესიტყვების ნაწილთა დახასიათება ხდება იმ როლის მიხედვით, რომელიც თითოეულ მათგანს განეკუთვნება შესიტყვებაში; სინტაქსური ცნებები ამ როლის აღნიშვნით მიიღება. ეს ზოგადად. კერძოდ წინადადებას რაც შეეხება: წინადადება გარკვეული სახის შესიტყვებაა და, მასადაამე, მისი ნაწილების კვალიფიკაცია ხდება სათანადო სიტყვათა ურთიერთობის მიხედვით; წინადადების ნაწილთა აღმნიშვნელი ცნებების შინაარსი მიგვითითებს, რა როლსაც თამაშობს ესა თუ ის სიტყვა წინადადებაში: არის იგი გაბატონებული, თუ დამოკიდებული, მმართველი თუ მართული, მათანხმებელი თუ შეთანხმებელი, თუ არც ერთია, არც მეორე, არამედ მხოლოდ მირთულია.

აქვე საჭიროა ამასთან დაკავშირებით ზოგადი პასუხი გავცეთ მეთოდოლოგიური იმანენტიზმის თვალსაზრისით ზოგიერთ ძირითად საკითხზე.

1. წინადადება ჩვენ მიგვაჩნია ერთ-ერთი სახის **შესიტყვებად**: მასადაამე, არ შეიძლება წინადადებად ჩაითვალოს არა თუ უფორმო სიტყვები და ნაწილაკები: **კი! არა! გუშინ! გაღმა! ვაიმე! (იყავი სოფელში? — კი! — არა! — როდის ჩამოხვედი სოფლიდან? — გუშინ. — სად ცხოვრობს მასწავლებელი? — გაღმა...)**, არამედ ფორმაცვალებადი სიტყვებიც, როგორიცაა ამოძახილი: **ხანძარი!** — ან პასუხად თქმული: **მეზობელი (ვინ მოვიდა? — მეზობელი),** ანდა სიტყვები: **გაზეთი! გაზეთი! ბილეთები!** ყოველი მათგანი მეტია, ვინემ ცალკე სიტყვა, უდრის მთელს ფრაზას (**ხანძარი გაჩნდა! მეზობელი**

მოვიდა; იყიდეთ გაზეთი!), ხანდახან ორ განსხვავებულ ფრაზასაც (მაგალ., **ბილეთები!** ტრამვაიში: **ბილეთები შეიძინეთ!**, მატარებელში: **ბილეთები წარმოადგინეთ!**); მაგრამ მეტია არა სინტაქსური თუ მორფოლოგიური თვალსაზრისით, არამედ მნიშვნელობის თვალსაზრისით; განსხვავებულია ცალკე სიტყვისაგან ფუნქციონალურად და არა სტრუქტურულად.

დავას იწვევს მხოლოდ ზმნა; შეიძლება გვეთქვა: ცალკე აღებული ზმნა შესიტყვებაა მინიატურაში; იგი აკი მიგვითითებს იმ პირზე, რომელიც შესიტყვების პოტენციალური მონაწილეა; ზმნა არის, თუ გნებავთ, პარლამენტი, რომელშიაც შესიტყვების ზოგიერთი ნაწილი (ერთი სახელი მაინცდამაინც) არის წარმოდგენილი; სათანადო უფლებებიც უნდა ჰქონდეს მას; მაგალ., *посылает (он); читаешь (ты); говорю (я)*... ამიტომ შეიძლება ზმნა გავგეთანაბრებინა შესიტყვებასთან, დაგვესახა იგი გარდამავალ საფეხურად სიტყვასა და შესიტყვებას შორის; განსაკუთრებით ქართულ ზმნას შეეძლო საამისო პრეტენზიები ჰქონოდა: მასში ხომ ორი (ხანდახან სამი) სახელიც შეიძლება იყოს აღნიშნული: **მაქვს (მე ის); გიწერია (შენ ის); აშენებს (მას ის)...** **დაუწერნა (მას მან იგინი)...**

მართალია, ერთს შემთხვევაში (რუსულში) შესაძლებელია ისეთი მდგომარეობა, რომ მმართველი სახელის პირი არ იყოს ზმნაში აღნიშნული: *читал (я, ты, он)...* *посылал (я, ты, он)*, ხოლო სადაც პირი არის ნაჩვენები, სქესი აღუნიშნელი დარჩეს: *читает (он, она, оно); посылает (он, она, оно)*; ქართულში კიდევ სახელის რიცხვი არ ჩნდეს ზმნაში: **დაუწერია (იგი – მას, მათ), დაგიწერია (იგი – შენ, თქვენ)** — ძველს ქართულში; **დაუწერა (მან – მას, მათ)** — ახალს ქართულში...

მაგრამ ჩვენ რომ გვეთქვა: *читал я; посылал он; читает она; посылает оно...* **მას დაუწერია იგი; მას დაუწერა მან იგი...** ესე იგი, სათანადო შესიტყვებანი რომ წარმოგვედგინა, განა ამით რაიმე შეიცვლებოდა? რა თქმა უნდა, არა: ის, რაც ზმნაში აღუნიშნელი იყო, აღუნიშნელი დარჩებოდა. მაშასადამე, ზმნამ შეიძლება ვერ ასახოს შესიტყვების მორფოლოგიური შედგენილობა, მაგრამ შესიტყვების ნაწილთა სინტაქსურ ურთიერთობას იგი სწორად აღნუსხავს. ზმნა ყოველთვის იძლევა მარტივი გაუვრცელებელი წინადადების (*ученик читает*), ხანდახან გავრცელებულისასაც (**მან დაუწერნა მას იგინი**), სინტაქსური აგებულების ფორმულას, შესიტყვების განაკვეთს: (*читает...* **დაუწერნა**); სინტაქსისათვის სწორედ ეს არის გადამწყვეტი მნიშვნელობისა; ის კი, რაც ზმნაში გამოხატულებას არ პოულობს, სინტაქსური ურთიერთობის გარეშე მდებარეობს; ამდენადვე ზმნა (მისი პიროვანი ფორმა) შეიძლება იწოდოს წინადადების ეკვივალენტად.

ვ უ ნ დ ტ ი ს ა თ ვ ი ს, როგორც ვიცით, ყოველი სიტყვა (ფორმიანი, უფორმო, ნაწილაკიც) შეიძლება იყოს წინადადების ეკვივალენტი (**Satzäquivalent**), რამდენადაც მათი საშუალებით აღინიშნება გარკვეული ფსიქოლოგიური პროცესები, ის პროცესები, რომლებიც საფუძვლად უდევს წინადადებას; მეთოდოლოგიური იმანენტიზმისათვის ზმნა შეიძლება ჩაითვალოს წინადადების ეკვივალენტად იმდენად, რამდენადაც ზმნა, ცალკე სიტყვა, მთელი შესიტყვების სქემას წარმოადგენს.

ზმნის ასეთი გაგება სრულიადაც არ არყვეს დებულებას, რომ წინადადება არის შესიტყვება. ეს დებულება მთლიანად ძალაში რჩება: ნორმალური წინადადება უთუოდ მოითხოვს სახელსა და მასთან სინტაქსურ ურთიერთობაში მყოფ ზმნას. ზმნა ცალკე, ანდა შესიტყვება ზმნისა და სხვა სიტყვებისაგან შემდგარი, მაგრამ ასეთი სახელის არაშემცველი (*отправился пешком... вернулся рано...*), წინადადების ეკვივალენტია და არა წინადადება; ეს ერთი; მეორეცაა, ზმნას ასე ვახასიათებთ სწორედ იმიტომ და იმდენად, რამდენადაც მას შეუძლია სინტაქსურად **შესიტყვების** მაგივრობა გასწიოს, **შესიტყვების** მინიატიურა-სქემა წარმოგვიდგინოს. ამოსავალი აქაც შესიტყვებაა, საზომად ისევ იგი რჩება.¹

როგორც არ უნდა გადაწყდეს საკითხი იმის შესახებ, **საკმარისია** თუ არა ზმნა წინადადებისათვის, — უდავოა, რომ იგი **აუცილებელია** შესიტყვებისათვის, რათა უკანასკნელი წინადადებად მივიჩნიოთ. აქედან კი ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ე. წ. ატრიბუტული წინადადება, — თუ კი მართლაცაა წმინდა ატრიბუტულ წინადადებასთან გვაქვს საქმე, — ვერ ჩაითვლება წინადადებად.

წმინდა ატრიბუტული წინადადების ტიპად ვთვლით ისეთ არაბულ შესიტყვებებს, როგორიცაა: **არ-რაჭულუ ცაკილუნ** (= კაცი ჰკვიანია); **არ-რაჭულუ კათალა** (= კაცმა მოკლა) და **არ-რაჭულუ ცაკილუნ** ორივე წინადადებაა იმისთვის, ვინც შესიტყვების სტრუქტურრიდან კი არ ამოდის, არამედ შესიტყვების ფუნქციიდან; მართლაცაა, ერთიც ჩინებული მსჯელობაა და მეორეც: ფუნქციის მიხედვით მათ შორის არავითარი თვალსაჩინო განსხვავება არ არის, შესიტყვების თვალსაზრისით კი არსებითი განსხვავებაა: ერთი სახელისა და ზმნისაგან შედგება, მეორე კი — მხოლოდ სახელებისაგან; ერთში სჭარბობს მართვა, მეორეში მხოლოდ შეთანხმება; სტრუქტურული ვითარება ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა და ამი-

¹ აქ თქმულის მიხედვით, ცხადია, ე. წ. უპიროვნო წინადადება სხვა არაფერია, თუ არ წინადადების ეკვივალენტი; წ ვ ი მ ს... თ ო ვ ს... ყ ი ნ ა ვ ს... **pluit... морозит...**, თუ ამყამად ვერ გაიშლებიან მთელ შესიტყვებად, ისტორიულად მაინც ატარებენ ამის შესაძლებლობას: მათი აგებულება ამის უტყუარი მოწმეა, დაწვრილებით ამაზე აქ ვერ შევჩერდებით.

ტომაც: **არ-რაჭულუ კათალა** არის წინადადება, **არ-რაჭულუ ცნაკილუნ** კი არ არის წინადადება, არამედ სხვაგვარი, თავისებური შესიტყვებაა.

2. წინადადების განსაზღვრისას ხშირად ისმება საკითხი: ვისი ცნობიერების მიხედვით უნდა დავახასიათოთ ის პროცესები, რომლებიც საფუძვლად უდევს წინადადებას: მეტყველისა თუ მსმენელის, ანდა, შეიძლება, ორივესი? ეს საკითხი მწვავედ დგას ფსიქოლოგისტებისათვის. ჩვენ ვიცით, რომ პ ა უ ლ ი, მაგალ., მხედველობაში იღებს როგორც მეტყველის, ისე მსმენელის ცნობიერებას, ვ უ ნ დ ტ ი კი მხოლოდ მეტყველისას.

იმანენტისმისათვის ეს საკითხი მოხსნილია: მისთვის წინადადება გარკვეული სახის შესიტყვებაა; მისი სტრუქტურის იმანენტური ანალიზი არ საჭიროებს აპელაციას არც მეტყველისა და არც მსმენელის ცნობიერებისადმი: არა ის, თუ რა პროცესებს გადმოგვცემს შესიტყვება და ვის ცნობიერებაში ხდება ეს პროცესები, არამედ: როგორი აგებულებისაა შესიტყვება, — აი როგორ სხვაფერდება საკითხის დასმა.

ამით, ჯერ ერთი, თავიდან ვიცილებთ იმ დაბრკოლებებს, რომლებიც იქმნება მეტყველისა თუ მსმენელის ცნობიერებისადმი აპელაციით და ვთავისუფლებთ იმ მძიმე შედეგებისაგან, რომლებიც პირველი საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტას თან სდევს (იხ. ფსიქოლოგიზმის განხილვა, §§ 30, 31); მეორეცაა, სრული საშუალება გვძლევა გამოვიყენოთ ჩვენი განსაზღვრება დაწერილისა თუ წაკითხული წინადადებისათვის. თავის ადგილას უკვე იყო აღნიშნული, რომ თუ წინადადების განსაზღვრისას ადგილი აქვს აპელაციას მსმენელისა თუ მეტყველის ცნობიერებისადმი, გვეკარგება საშუალება დაწერილ წინადადებას მივუზღოთ კუთვნილი. „დაწერილი ენის“ უგულვებელყოფა გარკვეულ ისტორიულ პირობებში წარმოიშვა; ფილოლოგიას მხოლოდ „დაწერილი ენა“ სწამდა. ენათმეცნიერებამ მეცხრამეტე საუკუნეში ყურადღების ცენტრში ცოცხალი ენა მოაქცია. რეაქცია ბუნებრივი იყო. გასაგებია ის უკიდურესობაც, რომელიც ამას შედეგად მოჰყვა: ნამდვილი და ერთადერთი ენა — ეს ცოცხალი მეტყველებააო, დაწერილი ენა კი ფიქციააო. სამართლიანობა მოითხოვს დაწერილი ენა აღდგენილ იქნეს მის კანონიერ უფლებებში.

ამან შეიძლება გაუგებრობა დაბადოს. დაწერილი წინადადება აკი წინადადების ნიშანია, ისევე, როგორც ასო არის ბგერის ნიშანი! შეუწყნარებელი იქნებოდა არ გაგვეჩია იგინი ერთურთისაგან. მაგრამ გ ა ა რ - ჩ ი ო როდი ნიშნავს არ და ა ფ ა ს ო. „დაწერილი წინადადება“ ჩვენთვის ფასეულია, როგორც მხილება სამეტყველო პოტენციისა, როგორც გაქვავებული სახეობა მეტყველებითი აქტისა. ამ გაქვავებულ სახეობას ისეთივე მნიშვნელობა აქვს ცოცხალი მეტყველების სტრუქტურის ნათესაყოფად, როგორც უსიცოცხლო ფოტოგრაფიულ სურათს ადამიანის ცოცხალი სახის შესაცნობად. სწორედ ამ მხრივ ვუსაყვედურებდით ჩვენ ფსიქოლოგისტებს დაწერილი წინადადების უგულვებელყოფას.

იმანენტიზმი თავის საგნად ხდის იმას, რაც საერთოა **დაწერილსა, წაკითხულსა, თქმულსა და გაგონილს მეტყველებაში**; ეს საერთო არის მეტყველების სტრუქტურა, რომელიც პოტენციურად არსებობს, როგორც გარკვეული სისტემა და მუდგნდება ცალკე მეტყველებითს აქტებში.

3. რთული წინადადებისა, პარატაქსისა და ჰიპოტაქსის საკითხი იმანენტიზმის მიხედვით ზოგადად ასე წარმოდგინება: მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებას შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს; როგორც მასალა, ისე სტრუქტურა ორივესი ერთნაირია: ბრუნვადი და უღვლილებადი სიტყვა ისეთივე აუცილებელი და იმავე დროს საკმარისი პირობაა დამოკიდებული წინადადებისათვის, როგორც მთავარისათვის; ხოლო მართვა და შეთანხმება (თუ მართვა) ის საფუძველია, რომელზედაც აგებულია როგორც ერთი, ისე მეორე. ერთმანეთს შეიძლება დაუკავშირდეს წინადადება და წინადადების ეკვივალენტი, ანდა პირიქით, მხოლოდ წინადადების ეკვივალენტები. ყველა ამ შემთხვევაში დამოკიდებული და მთავარი ნაწილი კავშირდება რაიმე (დამხმარე) სიტყვის საშუალებით; სადაც ეს არ არის და რთული წინადადების შესახებ კი მხოლოდ ინტონაციის მიხედვით ვლავარაკობთ (მაგალ., **მე წავალ, შენ დაიცადე!**), ჯეროვანია დაისვას საკითხი: არის თუ არა ეს ერთი — რთული — წინადადება. გგონია, რომ აქ ორი წინადადებაა, სრულიად დამოუკიდებელი აგებულების მიხედვით.¹

4. შეიძლება თუ არა წამოყენებულ იქნეს წინადადების (და მისი ნაწილების) ისეთი განსაზღვრება, რომელიც გამოსადეგი იქნებოდა ყველა ენისათვის? მეთოდოლოგიური იმანენტიზმი ამაზე გადაჭრით ამბობს: **არა, არ შეიძლება**, — და აი რატომ: თუ წინადადება სინტაქსის ცნებაა, სინტაქსი კიდევ შესიტყვებათა შესახები მოძღვრებაა, ცხადია, წინადადების ბედი უშუალოდ არის დაკავშირებული შესიტყვების თვისება-თავისებურებებთან; შესიტყვება შეიძლება შედგებოდეს როგორც ფორმიან, ისე უფორმო სიტყვათაგან; შესიტყვება შეიძლება შექმნას ან სიტყვათა დამოკიდებულებამ, ანდა სიტყვათა განრიგებამ, ან კიდევ ინტონაციამ; ერთსა და იმავე ენაში შეუძლებელია სამივე თანაბარ როლს თამაშობდეს, მაგრამ გამორიცხული არ არის სპორადული არსებობა ერთი ძირითადი საშუალების გარდა სხვა საშუალებისაც (მაგალ., სიტყვათა დამოკიდებულება ფორმიან ენებში და სიტყვათა განრიგება); ძირითადი კი მხოლოდ ერთ-ერთი

¹ რა თქმა უნდა, ამ შენიშვნებს რთული წინადადების შესახებ მხოლოდ საილუსტრაციო და პრელიმინარული ხასიათი აქვს; იგი ქართულს ეხება და მხოლოდ იმ მიმართულებაზე მიგვითითებს, რომელიც შეუძლია მიიღოს საკითხის დასმა-გადაწყვეტამ, და სრულიად მოკლებულია პრეტენზიას — საკითხის გადაწყვეტად იქნეს მიჩნეული.

ამათგანი შეიძლება იყოს; საერთოდ, ეს სამი ტიპი მაინც არის მთავარი. ამისდა კვალობაზე სინტაქსიც ყველა ენაში შეუძლებელია ერთნაირი აგებულებისა იყოს; წინადადების საკითხიც შეუძლებელია ყველგან ერთნაირად გადაწყდეს; ზოგან (მაგალ., ინტონაციაზე დაფუძნებული შესიტყვების მქონე უფორმო ენაში, ვთქვათ, ჩინურში) წინადადების საკითხი არსებითად განსხვავებული იქნებოდა.

საყოველთაო განსაზღვრება წინადადებისა მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ შესიტყვება ყველა ენაში ერთსა და იმავე საფუძველზე იქნებოდა აგებული და მასში შემავალ სიტყვათა არსებითი თვისებები ყველგან ერთგვარი აღმოჩნდებოდა. ეს აუცილებელი პირობაა. ეს პირობა არ მოგვეპოვება, რამდენადაც ერთი ტიპიც კი არა გვაქვს, არა თუ მთლიანად ერთი სახეობის შესიტყვება ყველა ენაში. ცხადია, არ შეიძლება მოცემულ იქნეს ყველა ენისათვის გამოსადეგი და მისაღები განსაზღვრება წინადადებისა.

მეტსაც ვიტყვით: ერთი ტიპის ენათა ფარგლებშიც მოსალოდნელია საკმაო ვარიაცია. რაზე არის ეს დამოკიდებული? რასაკვირველია, იმ თვისებებზე, რომლებიც სხვადასხვა ენაში ცალკე სიტყვებს აქვს: სინტაქსი „ზედა სართულია“, მორფოლოგია — მისი საძირკველი და „ქვედა სართული“. სიტყვათა ურთიერთობა ამა თუ იმ სახეს იღებს იმისდა მიხედვით, თუ რა თვისება აქვს თითოეულ სიტყვას. ამიტომ ერთი ტიპის ფარგლებშიც შეუძლებელია წინადადებისა და მისი ნაწილების განსაზღვრება ერთი ენიდან მეორე ენაში იქნეს გადატანილი; მეტიც: *a priori* იმის თქმაც არ შეიძლება, რომ წინადადების ნაწილები, ქვემდებარე-დამატება, ევროპულ ენათაგან უთუოდ აღმოაჩნდება ყველას. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ წინადადება შესიტყვების ერთ-ერთი სახეა, ქვემდებარე-დამატება სიტყვათა გარკვეულს ურთიერთობას გულისხმობს და ამ ურთიერთობის აღმნიშვნელი ცნებებია.

რა არის წინადადება, არის თუ არა ამა თუ იმ ენის წინადადებაში ქვემდებარე-დამატება და, თუ არის, როგორ უნდა განისაზღვროს იგინი, — ამაზე პასუხი უნდა მოგვცეს ამა თუ იმ ენის შესიტყვებაში სიტყვათა რეალური ურთიერთობის ანალიზმა. დაუსწრებელი განჩინების გამოტანა ასეთ შემთხვევაში მეთოდოლოგიურად სრულიად შეუწყნარებელია. საერთოდ: არ არსებობს და არ შეიძლება არსებობდეს წინადადების ზოგადი, ყველა ენისათვის გამოსადეგი განსაზღვრება ისევე, როგორც არ არსებობს ცალკე სიტყვების თვისებათა და მათ ურთიერთობათა ერთგვარობა ყველა ენაში.

5. მაგრამ ხომ შეიძლება დაისვას უფრო ზოგადი საკითხი: არის თუ არა საჭირო დარჩეს სინტაქსში და საერთოდ ენათმეცნიერებაში ცნება წინადადებისა? განა არ არის საჭირო ვიკითხოთ: კანონიერია თუ არა

პრობლემა წინადადებისა და მისი ნაწილებისა, როგორც ენათმეცნიერების პრობლემა? ენათმეცნიერული აზროვნება ვალდებულა გაამართლოს ამ საკითხის არსებობა, ვიდრე მის გადაჭრას შეუდგებოდეს. გამართლება კი ზედმეტი არ არის, რამდენადაც წინადადების პრობლემის ბედი ენათმეცნიერული აზროვნების ისტორიაში ძალზე თავისებურია.

წინადადებისა და მისი ნაწილების (ქვემდებარე-შემასმენელ-დამატების) შესახებ მოძღვრება, როგორც ეს არა ერთგან არის ზემოთ აღნიშნული, არც ძველმა გრამატიკოსებმა, არც საშუალო საუკუნეებმა არ იცოდნენ. არ არსებობდა წინადადების პრობლემა იმ სახით, რა სახითაც იგი ახლა არსებობს.¹

მეჩვიდმეტე საუკუნეში პორ-როიალის გრამატიკაში პირველად ვპოვებთ წინადადებას და მის ნაწილებს: სუბიექტს, ატრიბუტსა და კოპულას. რა გზით მოვიდა ეს ცნებები გრამატიკაში და რატომ სწორედ ამ სახით, — ამის შესახებ ლოგიციზმის მიმოხილვისას იყო საუბარი. იქვე აღნიშნული იყო ის საინტერესო ფაქტი, რომ წინადადებისა და მისი ნაწილების შესახებ მსჯელობა გრამატიკის ზოგადს ნაწილში იყო წარმოდგენილი და არა სინტაქსში: აქ წინადადების შესახებ არაფერი იმოდა. სინტაქსი წინანდებურად შეთანხმება-მართვისა, ელიფსის, ჰიპოტაქს-პარატაქსის და სხვ. შესახებ მოგვითხრობდა. იელინეკი ამბობს: გერმანულს გრამატიკაში (სინტაქსში) წინადადებათა შესახებ მოძღვრება პირველად ადელუნგმა შემოიტანაო (*Jellinek, IF, Bd. XIX, Hf. 3-4, გვ. 272*). მასასადამე, მეთვრამეტე საუკუნემდე (1781 წ.), მაინცადამაინც მეჩვიდმეტე საუკუნემდე,² გერმანული ენის გრამატიკა წინადადების შესახებ მოძღვრებას არ იცნობდა; ქვემდებარე-შემასმენელ-დამატებას — მით უფრო: ეს შემდეგი ხანების ფაქტია (იხ. ზემოთ, §§ 6-10); პორ-როიალის გრამატიკაც მოწმობს, რომ 1660 წელზე ადრე საფრანგეთშიაც წინადადე-

¹ ამიტომ ისტორიული პერსპექტივის გაუთვალისწინებლობაა, როცა პორ-ჟეზინსკი წერს: განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საშუალო საუკუნეებში სინტაქსს, „ე. ი. მოძღვრებას წინადადებისა და მისი ნაწილების შესახებ“ (იხ. *Введение*, გვ. 25). საქმეც ისაა, რომ სინტაქსი მაშინ სულაც არ ნიშნავდა წინადადებისა და მისი ნაწილების (ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება) შესახებ მოძღვრებას; წინადადების ნაწილებად კი პორ-ჟეზინსკი ამ შემთხვევაში ქვემდებარე-შემასმენელ-დამატებას გულისხმობს და არა ძველ გრამატიკოსთა მეტყველების ნაწილებს.

² „მეჩვიდმეტე საუკუნემდე“-მეთქი, იმიტომ რომ იელინეკი იქვე შენიშნავს: პულორის წიგნი: „*Der Deutschen Sprache, Grundrichtigkeit und Zierlichkeit*“ (*Cölln, 1672*) უკვე არის წინადადების შესახებ ლაპარაკი, განსხვავებულია მარტივი და რთული წინადადება და სხვ., თუმცა ადელუნგი ამ ნაშრომს არ იცნობდაო.

ბის შესახებ მოძღვრება არ არის მოსალოდნელი გრამატიკაში.

ცნებანი: წინადადება,¹ ქვემდებარე, შემასმენელი — გრამატიკაში ლოგიკიდან არის გადმოტანილი მეცხრამეტე საუკუნეში; იქიდან მოყოლებული წარმოებს მათი აკლიმატიზაცია და ჯერაც არ არის დამთავრებული ეს პროცესი. კი მაგრამ, არის ეს საჭირო? განა ამ ცნებათა გენეზისი არ ართმევს მათ უფლებას დარჩნენ ენათმეცნიერებაში?! რა თქმა უნდა, პირვანდელი შინაარსით ამ ცნებების დატოვება ენათმეცნიერებაში გაუმართლებელი იქნებოდა, ხოლო თუკი მათ მკაცრად **ენათმეცნიერული შინაარსი** მიეცემოდა, მათი არსებობაც გამართლებული იქნებოდა. ეს კი შესაძლებელია, ყოველ შემთხვევაში, იმ ენებში, სადაც ბრუნვადი და უღვლილვადი სიტყვა არსებობს; ასეთია, მაგალ., ინდო-ევროპული ენები, ასეთია ქართველური, ქისტური და დაღესტნის ენები კავკასიაში, ასეთია სემიტური ენებიც... ყველა ამათში **წინადადება-ცნება** შეიძლება და უნდა დარჩეს; მოძღვრებას წინადადების შესახებ აქ შეიძლება მიეცეს წმინდა ენათმეცნიერული დადებითი კვალიფიკაცია. ამასთანავე იგი უნდა გამოიყოს სხვა შესიტყვებათაგან. წინადადება ვერ გამოცხადდება პრინციპულად უჩვეულო და განსაკუთრებულ საგნად სინტაქსისა. მაგრამ უდავოა, რომ იგი უნდა სარგებლობდეს უპირატესობით სხვა შესიტყვებათა შორის, რადგანაც:

1. მასში მონაწილეობს მეტყველების ორი ძირითადი ნაწილი: სახელი და ზმნა, შესიტყვებისა, და საერთოდ, მეტყველების ხერხემალი. ეს არის გადამწყვეტი მნიშვნელობის არგუმენტი. მნიშვნელოვანია მეორე მოსაზრებაც; იგი ასეთი სახისაა:

2. როცა ცნობიერებასთან მიმართების საკითხი დგება, როცა მეტყველებაში სინამდვილის ასახვის შესახებ ვლაპარაკობთ და ენის უინტიმესს რაობას ვეძიებთ, ამოსავალი სწორედ ასეთი ტიპის შესიტყვებაა; ფუნქციის საკითხი მხოლოდ წინადადებაზე დაყრდნობით იღებს მკაფიო გამომხატულებას. ამ ორი მოსაზრებით მართლდება შესიტყვებათა შორის წინადადების გამოცალკეება.

¹ მხედველობაში გვაქვს **წინადადება-ცნება**, რომლის ნაწილებს მეტყველების ნაწილები კი არ შეადგენს (ამ გაგებით წინადადება ძველთაგანვე იხმარებოდა), არამედ ქვემდებარე-შემასმენელი.

თავი მესამე

ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველს ქართულში

1. სახელისა და ზმნის ზოგადი მორფოლოგიური ანალიზი

72. ძირითად სინტაქსურ ცნებათა სანიმუშო განსაზღვრებანი ჩვენ რუსულის მიხედვით მოვიყვანეთ: რატომ, — თავის ადგილას იყო აღნიშნული (იხ. გვ. 116, შენიშვნა). ქართულ შესიტყვებას რუსულთან, ყოველს შემთხვევაში, ერთი რამ აქვს საერთო: ფორმებით ერთი მდიდარია და მეორეც; კერძოდ, ბრუნვადი და უღვლილებადი სიტყვა, სახელი და ზმნა, ერთსაც მოეპოვება და მეორესაც. შესიტყვების ხერხემალს მეტყველების სწორედ ეს ნაწილები შეადგენენ. ამათი მორფოლოგიური თვისებებით განსაზღვრება შესიტყვების სინტაქსური რაობა. ამიტომაც ბუნებრივია, ქართული წინადადების ანალიზს თუ წარემდგარება სახელისა და ზმნის ზოგადი მიმოხილვა ქართულში. რა თქმა უნდა, ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ ის მხარეები, რომელთაც სინტაქსური ურთიერთობისათვის აქვთ მნიშვნელობა.

ბრუნვადი სიტყვის ანუ სახელის თვისებებში აღსანიშნავია შემდეგი:

1. სახელს ქართულში სქესი არა აქვს, სქესის მიხედვით გარჩევას ადგილი არა აქვს; მაშასადამე, სქესის სინტაქსური ფორმა, როგორც ფაქტორი, შესიტყვების სინამდვილიდან მოხსნილია; ქართულისათვის უცხოა ს ქ ე ს ი ს მი ხ ე დ ვ ი თ მართვა სახელისა სახელის მიერ (*высокий дом, высокая сосна, высокое дерево*), ზმნისა სახელის მიერ (*буря поднялась, ветер поднялся*) (მდრ. რუსულ მაგალითებს ქართული: **მაღალი სახლი; მაღალი ნაძვი; მაღალი ხე... ქარი ამოვარდა; ქარიშხალი ამოვარდა...**). სქესის უქონლობა ამარტივებს სიტყვათა ურთიერთობას.

2. მხოლოდობის რიცხვში ყველა სახელი არსებითად¹ ერთნაირად იბრუნვის; ბრუნვათა დაბოლოებანი: **-ი || -ა** (სახ.), **-მან** (მოთხ.), **-ს(ა)** (მი-

¹ „არსებითად“, რადგანაც საკუთარი სახელების ბრუნვა თავისებურია; თუმცა ეს თავისებურებაც მეტს სიმარტივეში გამოიხატება: სახელობითი და მოთხრობითი იმეორებს ფუძეს „წრფელობითს“. წრფელ., სახელ., მოთხრ.: **აბრამ; იაკობ; დავით...** უკვე ძველ ქართულში ეს მოვლენა ნაშთი უფროა, ვინემ ცოცხალი მოვლენა.

ცემ.), **-ა(დ)** (მიმართ.), **-ის(ა)** (ნათეს.), **-ით(ა)** (მოქმედ.),¹ — სულ ერთია, ბოლოვდება სახელის ფუძე თანხმონით (**კაც-**, **კედელ-...**), თუ ხმონით, იქნება ეს უკანასკნელი **ა**, **ე**, **ო**, თუ **უ** (**ქვა-**, **კლდე-**, **რტო-**, **ყრუ-...**), ბრუნვათა დაბოლოებაში რაიმე თვალსაჩინო განსხვავებას ვერ ვპოვებთ:

1.	„წრფელ.“	კაც-	კედელ-	ქვა-
2.	სახელ.	კაცი	კედელი	ქვა-მ
3.	მოთხრ.	კაც-მან	კედელ-მან	ქვა-მან
4.	მიცემ.	კაც-ს(ა)	კედელ-ს(ა)	ქვა-ს(ა)
5.	მიმართ.	კაც-ად	კედელ-ად	ქვა-დ
6.	ნათეს.	კაც-ის(ა)	კედელ-ის(ა)	ქვ-ის(ა)
7.	მოქმედ.	კაც-ით(ა)	კედელ-ით(ა)	ქვ-ით(ა)

1.	„წრფელ.“	კლდე-	რტო-	ყრუ-
2.	სახელ.	კლდე-მ	რტო-მ	ყრუ-მ
3.	მოთხრ.	კლდე-მან	რტო-მან	ყრუ-მან
4.	მიცემ.	კლდე-ს(ა)	რტო-ს(ა)	ყრუ-ს(ა)
5.	მიმართ.	კლდე-დ	რტო-დ	ყრუ-დ
6.	ნათეს.	კლდე-ის(ა)	რტო-მს(ა)	ყრუ-მს(ა)
7.	მოქმედ.	კლდე-ით(ა)	რტო-მთ(ა)	ყრუ-მთ(ა)

სახელობითში **მ** (**ქვა-მ**, **რტო-მ**, **რუ-მ**) ფონეტიკურად არის მიღებული **ი**‘საგან; **მ** (კლდე-**მ**) შეიცავს: **ე** + **მ**‘ს; ნათესაობითსა და მოქმედებითში **-ის(ა)**, **-ით(ა)** დაბოლოების წინ იკარგება ფუძისეული **ა** და **ე** (**ქვ-ისა** ← **ქვა-ისა**; **კლდე-ისა** ← **კლდე-ისა**; შდრ. ადგილის საკ. სახ. **კლდე-ის-ი**); ასე რომ, აქაც ფონეტიკურ ცვლილებასთან გვაქვს საქმე და არა განსხვავებულ

¹ ბრუნვათა შორის არ ვასახელებთ წოდებითს; სადავოა, არის თუ არა ის ბრუნვა. სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, არ არის.

ბრუნვათა აქ წარმოდგენილი თანმიმდევრობა ქართულისთვის მორფოლოგიურად გამართლებულია: ფუძეშეკუმშული ბრუნვა ერთად იყრის თავს: **წყალ**, **წყალი**, **წყალმან**, **წყალს**; — **წყლად**, **წყლის**, **წყლით...** იმავე დროს ასეთი დალაგება ბრუნვათა გენეტურ დაჯგუფებასაც წარმოგვიდგენს: 1. „წრფელობითი“; მოთხრობითი, სახელობითი; 2. მიცემითი; 3. მიმართულებითი, ნათესაობითი, მოქმედებითი. პირველი სამი ბრუნვის გენეტური ურთიერთობის საკითხის განხილვის შემთხვევა გვქონდა ერთ-ერთ მოხსენებაში („მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართულში“), რომელიც წაკითხული იყო საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 12.V.1925. გამოქვეყნება დღემდე ვერ მოხერხდა. [დაბეჭდილია 1939 წ. თბილისის უნივერსიტეტის შრომებში, ტ. X, გვ. 167-183; რეზიუმე რუს. და ფრანგ. ენებზე].

ფორმანტთან; მიმართულებითის **დ**'ს თანხმონიან ფუძეებში წინ უძღვის **ა**, უნდა ვიფიქროთ, ისეთივე ბუნებისა, როგორცაა **ქვის-ა**, **კელის-ა**...; თუმცა ეს **ა** განსაკუთრებულ ძიებას მოითხოვს, მაინც მიმართულებითის მაჩვენებლად ძველი ქართულისათვის მხოლოდ **დ** შეიძლება მიგვეჩნია (საკუთარ სახელთა ბრუნების ჩვენებათა მიხედვით). საკმარისია მოვიგონოთ სახელთა ბრუნება სანსკრიტში, ბერძნულში, ლათინურში, ძვ. სომხურში, რუსულში და თუნდაც გერმანულში, რომ სრულიად ნათელი გახდეს, რაოდენ მარტივია ბ რ უ ნ ე ბ ა ქ ა რ თ უ ლ შ ი; არაბული თუ შეედრება მას ამ მხრივ.

3. მრავლობით რიცხვი, თუ კი **-ებ**-სუფიქსით არის ნაწარმოები, ყველა ბრუნვაში იმეორებს მხოლოდობითის დაბოლოებას: **-ი**; **-მან**; **-ს(ა)**; **-(ა)დ**; **-ის(ა)**; **-ით(ა/ი)**:

1. „წრფელ.“	კაც-ებ-	კელ-ებ-	ქვ-ებ-
2. სახელ.	კაც-ებ-ი	კელ-ებ-ი	ქვ-ებ-ი
3. მოთხრ.	კაც-ებ-მან	კელ-ებ-მან	ქვ-ებ-მან
4. მიცემ.	კაც-ებ-ს(ა)	კელ-ებ-ს(ა)	ქვ-ებ-ს(ა)
5. მიმართ.	კაც-ებ-ად	კელ-ებ-ად	ქვ-ებ-ად
6. ნათეს.	კაც-ებ-ის(ა)	კელ-ებ-ის(ა)	ქვ-ებ-ის(ა)
7. მოქმედ.	კაც-ებ-ით(ა)	კელ-ებ-ით(ა)	ქვ-ებ-ით(ა)

1. „წრფელ.“	კლდე-ებ-	რტო-ებ-	ყრუ-ებ-
2. სახელ.	კლდე-ებ-ი	რტო-ებ-ი	ყრუ-ებ-ი
3. მოთხრ.	კლდე-ებ-მან	რტო-ებ-მან	ყრუ-ებ-მან
4. მიცემ.	კლდე-ებ-ს(ა)	რტო-ებ-ს(ა)	ყრუ-ებ-ს(ა)
5. მიმართ.	კლდე-ებ-ად	რტო-ებ-ად	ყრუ-ებ-ად
6. ნათეს.	კლდე-ებ-ის(ა)	რტო-ებ-ის(ა)	ყრუ-ებ-ის(ა)
7. მოქმედ.	კლდე-ებ-ით(ა)	რტო-ებ-ით(ა)	ყრუ-ებ-ით(ა)

ამრიგად, არა თუ ყველა სახელი მხოლოდობითში ერთნაირად იბრუნვის, არამედ მხოლოდობითი და მრავლობითი ერთმანეთისაგან არ გაირჩევა დაბოლოებათა მიხედვით. მართალია, ძველს ქართულში **-ებ**'ით ნაწარმოები მრავლობითი არც თუ ხშირია, მაგრამ მაინც გვხვდება. მრავლობითის ასეთი წარმოება კი გარკვეულ სინტაქსურ სხვაობას იწვევს.

4. მრავლობითი რიცხვი თუ **-ნი**'თაა ნაწარმოები, მხოლოდ ორი ფორმა გვაქვს: **-ნი** და **-თა** (წოდებითს არ ვანგარიშობთ); **-ნი** — სახელობითისათვის, **-თა** — მოთხრობითისა, მიცემითისა და ნათესაობითისათვის (მოქმედებითისა და მიმართულებითისათვის ჩვეულებრივ **-ებ**'იანი ფორმაა

გამოყენებული); „წრფელობითი“ ბრუნვა ასეთს მრავლობითს არ მოეპოვება. იყო თუ არა ეს **-ნი** და **-თა** თავდაპირველად მრავლობითობის მაჩვენებელი, ან რად არის მხოლოდ ეს ორი ფორმა, ამის რკვევა აღწერითი ანალიზის საქმე არ არის.¹ ფაქტი კი საგულისხმოა და სინტაქსურად მნიშვნელოვანი. თავის დროზე ჩვენ დავინახავთ, რა არსებითი სინტაქსური განსხვავებაა მრავლობითის ამ ორ სახეობას (**-ები** და **-ნი**'ს) შორის.

73. სახელის სიმარტივე თითქოს ზმნის სირთულემ აინაზღაურაო: ქართული ზმნის ფორმათა ხლართში მეცნიერული ანალიზის უუქმა ჯერაც ვერ გაატანა და, ალბათ, საკმაოდ დრო გაივლის, სანამ მისი უჩინარი მექანიზმის პირველადი ბერკეტები გაშიშვლდებოდეს. საერთოდ უნდა ითქვას: **ქართული ენის ტიპოლოგიის მთავარ და ძირითად ზოგად თავისებურებად უნდა იქნეს აღიარებული ზმნის სირთულე და სახელის სიმარტივე**.

შ ლ ა ი ხ ე რ ი დ ა ნ მოყოლებული ზმნას ენათმეცნიერება განსაზღვრავს, როგორც პიროვან სიტყვას, ესე იგი, სიტყვას, რომელიც იცვლება პირების მიხედვით. პირი სამია: პირველი — **მე, ჩუენ** (პირი იმისა, ვინც ლაპარაკობს), მეორე — **შენ, თქვენ** (პირი იმისა, ვისაც ელაპარაკებიან, მიმართავენ); მესამე — **იგი, იგინი** (პირი იმისა, ვის შესახებაც ლაპარაკობენ).

ზმნის განსაზღვრა, როგორც პიროვანი სიტყვისა,³ ინდო-ევროპულს ენათმეცნიერებაში წარმოიშვა; ეს განსაზღვრება ინდოევროპეისტიკას სავსებით აკმაყოფილებდა და აკმაყოფილებს. კითხვა: რის პირი? სუბიექტისა თუ, ვთქვათ, ობიექტის, — უადგილო და უცხო იქნებოდა ინდოევროპეისტიკაში; უადგილო — იმიტომ, რომ იქ პირი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი, და ეს პირი არის ქვემდებარის პირი; ზმნის პირი, წმინდა მორფოლოგიური მონაცემი, სინტაქსურ ცნებასაც იძლევა. მორფოლოგიური და სინტაქსური ერთურობის ეგუება, მორფოლოგიაც სადაა, სინტაქსიც ნათელი. ქართული ზმნა ან იანუსია ანდა, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება იანუსად

¹ ეს და ამასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების ცდა წარმოდგენილი იქნება ცალკე.

² შდრ. ენათა ტიპების ცხრილი ვ უ ნ დ ტ ი ს მიხედვით: *Völkerpsychol.* II, 437. აქვე შეიძლება მოვიგონოთ ჰ. შ უ ხ ა რ თ ი ს სიტყვები: „ვინც ზმნა იცის, მან ენაში თითქმის ყველაფერი იცის, ვინც — სახელი, მან თითქმის არაფერი“ (*Über das Georgische*, გვ. 14). ოღონდ ეს კია, რომ ჰ. შ უ ხ ა რ თ ს აქ მხედველობაში აქვს ენა, საერთოდ, და არა ქართულის სპეციფიკური თვისებები. მისთვის ამოსავალი დებულებაა: „პირველიდან იყო ზმნა“ (*in principio erat verbum*). „ზმნა არის სული ენისა“ (იქვე). ასე განზოგადებული ეს დებულება არც თუ უდავოა.

[³ ზოგ დაღესტნურ ენაში ზმნა „პიროვანი სიტყვა“ არაა, კლასოვანილა.]

იქცეს: მასში ერთი პირიც შეიძლება მოიპოვებოდეს და ორიცა. ორი სახელის პირის გარდა მესამე სახელის რიცხვიც გამოგვევლინება ზმნის აგებულებაში (**მი-ს-ც-ნ-ა: მისცა მას იგინი მან!**); მასში ამ სახელთა ურთიერთობაც შეიძლება იყოს მოცემული, მაგრამ ეს ჩვენთვის ამჟამად საინტერესო არ არის.

ქართული ზმნის ზოგადი დახასიათება პირით უნდა დავიწყოთ. ამ საკითხის შესახებ საკმაო მასალა მოიპოვება; პირთა ზოგადი კლასიფიკაცია და სათანადო პრეფიქს-სუფიქსების სქემა ჯერ კიდევ პროფ. ა. ცაგარელმა წარმოადგინა (იხ. **Обз. морфол.**, გვ. 12, 15). შემდეგ უფრო ვრცლად აკად. ნ. მარმა სუბიექტისა და ობიექტის მიხედვით (იხ. **Основ. табл.** ტაბ. 9), პროფ. ა. შანიძემ კიდევ ორ პირს (სუბიექტს მეორისა და ობიექტს მესამისა) საგანგებო გამოკვლევა უძღვნა (იხ. მისი: სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილ., 1920); ამ ორ პირს გარდა სხვა პირთა შესახებაც თითქმის ყველაფერია აქ მოცემული. ასე რომ, ეს საკითხი დროს არ წავგართმევდა, რომ ერთი დაბრკოლება არ იყოს: ორსავე ავტორს, აკად. ნ. მარს და პროფ. ა. შანიძეს, ამოსავლად აღებულ იქნეს სუბიექტი და ობიექტი, როგორც უკვე გარკვეული ცნება (კერძოდ, აკად. ნ. მარი ლოგიკური სუბიექტ-ობიექტით იწყებს).¹ მაგრამ ჩვენ ამ ცნებებს ამთავითვე ვერ გამოვიყენებთ დასაყრდენად: ჩვენთვის სწორედ ეს ცნებებია გამოსარკვევი და დასადგენი. არის კი ქართულში სუბიექტი და ობიექტი, თუ — კი, რანაირია (მორფოლოგიურია თუ სინტაქსური, თუ ერთიცაა და მეორეც), რა შინაარსი აქვს ამ ცნებებს — აი ეს არის სწორედ ძიების საგანი.

ამ ძიებისას ერთადერთი ამოსავალია მასალის უშუალო ანალიზი. ავიღოთ ზმნები: **ვ-ჰკლავ, ვ-ჰგუემ, ვ-სტანჯავ, ვ-ჰსპობ, ვ-აშენებ...**² ვინ არის ყოველივე ამის მოქმედი: მე, პირველი პირი; იგია რეალურად მოქმედი, იგია, რომ **ჰკლავს, ჰგუემს, სტანჯავს, ჰსპობს, აშენებს;** ვუწოდოთ მას რე-

¹ 1925 წ. გამოსულს „ძველი სამწერლო ქართულის გრამატიკაში“ კი აკად. ნ. მარი თითქმის მხოლოდ ლოგიკურ სუბიექტ-ობიექტზე მითითება-დაყრდნობით კმაყოფილდება, რაიც ცნებათა უმაგალითო აღრევას იწვევს (იხ. ამის შესახებ ჩვენ რეცენზიაში: **მ ი მ მ ხ ი ლ ვ ე ლ ი**, საისტ.-საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო, ტფილ. 1926, გვ. 309-310).

² ზმნის ფორმები მომყავს ძველი ქართულის სახეობით (IX ს.); ხანმეტ ფორმებს აქ დავერიდეთ, რომ წარმოდგენილი მსჯელობის გაგება არ გაეძნელებინა. ადგილები ნაჩვენებია არაა, თუმცა ყველა ფორმა ტექსტებიდანაა ამოღებული: მეტად ჩვეულებრივია ეს ფორმები, თან ტექნიკურად უხერხული იყო ყოველი ზმნის შემდეგ ადგილების ჩვენება.

ა ლ უ რ ა დ მ ო ქ მ ე დ ი (agens) ანუ რ ე ა ლ უ რ ი ს უ ბ ი ე ქ ტ ი.¹ აქტიურია იგი; მისი აქტივობა თვალსაჩინოა ისეთ ზმნებში, როგორიცაა: **ვ-პღრეკ, ვ-პღლეჯ, აღ-ვ-პჭოც, შეურაცხ-ვ-პყოფ, ვ-პგმობ, ვ-სთესავ, ვ-პმკი, ვ-სჭამ, ვ-პსუამ, ვ-სწყევ, ვ-ამრავლებ, ვ-ამტკიცებ, ვ-სწვაგ... ვ-იბრძვი, ვ-ისვრი... ვ-ეცემი, ვ-ებრძვი, ვ-ეუფლები** და მრავალ სხვაში. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ რ ე ა ლ უ რ ი ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს ეს აქტივობა შემთხვევათა მეტს წილში თვალსაჩინოა და სრულიად ეჭვმიუტანელი. მაგრამ ეს აქტივობა ძალზე მკრთალია ისეთს მაგალითებში, როგორიცაა: **ვ-პხედავ, ვ-პმობ, ვ-გორავ, ვ-ბრწყინავ, ვ-კელმწიფებ, ვ-ევედრები, ვ-ემორჩილები, ვ-ერიდები, ვ-ემსგავსები** და მაგვარებში. ხოლო ისეთ მაგალითებში, როგორიცაა **ვ-არ, ვ-ღვა, ვ-ზი, ვ-წევ, ვ-ჩან, ვ-ცმები, ვ-შრები, ვ-კუდები...** რაიმე აქტივობაზე ლაპარაკი ზედმეტია: აქ მხოლოდ მდგომარეობაა **მე**'სი, **მე** სრულიად უმოქმედოა. დასასრულ, მაგალითებში: **ვ-იკვლი, ვ-იგუემები, ვ-იტანჯვი, ვ-ისპობი, ვ-იდევნები, ვ-იწვი...** **მე** რ ე ა ლ უ რ ა დ მ ო ქ მ ე დ ი კ ი არ არის, არამედ ვნებულისა სხვის მოქმედებით; იგი არა მარტო უ მო ქ მ ე დ ო ა, არამედ ს ა მ ო ქ მ ე დ ო ც,² თუ შეიძლება ასე ითქვას.

ვ-სტანჯავ და **ვ-იტანჯვი, ვ-პგუემ** და **ვ-იგუემები, ვ-პსპობ** და **ვ-ისპობი**: ყველგან **მე**'ზეა ლაპარაკი; ეს **მე** ერთს შემთხვევაში წყაროა მოქმედებისა, უაღრესად აქტიური (agens), მეორეში კი სამოქმედო საგანი გამხდარა, სხვის მოქმედებით ვნებულისა (patiens); რეალურად ეს ორი **მე**, მამასადამე, არა თუ განსხვავებულია, არამედ პოლარულია ერთუბრთის მიმართ. ენობრივად კი განსხვავება არსადა ჩანს:³ ერთსაცა და მეორე შემთხვევაშიც იგი თ ა ნ ა ბ რ ა დ არის ა ღ ნ ი შ უ ლ ი ზ მ ნ ა შ ი **ვ**'თი. **მე** უაღრესად მოქმედი, აქტიური და **მე** სამოქმედო, ვნებულის, პასიური ერთნაირი უფლებით არის აღჭურვილი: ეს უფლება მას ენამ მიანიჭა წინააღმდეგ სინამდვილისა. და თუ ჩვენ ენას ვსწავლობთ და ენის თვისებებს ვარკვევთ, ვალდებული ვართ ენის ამ უცნაურ მართლმსაჯულებას სათანადო ანგარიში გავუწიოთ და ჯეროვანი დასკვნა გავაკეთოთ: ორივე **მე** ენობრივად ერთნაირია, ესე იგი, **ვ-სტანჯავ**'ის **მე** [მე ვსტანჯავ] და ვ-იტანჯვი'ს **მე** [მე ვი-

¹ ტერმინები: რ ე ა ლ უ რ ი ს უ ბ ი ე ქ ტ ი, რ ე ა ლ უ რ ი ო ბ ი ე ქ ტ ი ნახმარი აქვს H. S c h u c h a r d t'ს; იხ. მისი: Über den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen, Wien 1895, გვ. 2.

² პასიურად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ისიც, ვინც ვნებულისა სხვის მოქმედებით (ი გ უ ე მ ე ბ ი ს), ისიც, ვინც სხვის ზემოქმედებას არ განიცდის, მაგრამ თითონაც არ მოქმედებს (დ გ ა ს); პირველისთვის შესაფერისად ვთვლით ტერმინს ს ა მ ო ქ მ ე დ ო, მეორისათვის კი — უ მო ქ მ ე დ ო.

³ რასაკვირველია, **მე**'ს აღნიშვნის თვალსაზრისით; თვით ზმნის ფუძის აგებულებაში, რა თქმა უნდა, არის განსხვავება, მაგრამ ამას ჩვენთვის აქ მნიშვნელობა არა აქვს.

ტანჯვი ერთნაირად უნდა იქნეს დახასიათებული, რამდენადაც ორივე **მე** **ვ**-თია ზმნაში აღნიშნული. რაკი ეს **ვ** ჩვეულებრივად რეალობაში მოქმედს (*agens*) აღნიშნავდა, რეალური **სუბიექტის** წარმომადგენელი იყო, **ვ**-ს საერთო დახასიათება უნდა იყოს: **ვ** მოქმედის (*agens*), სუბიექტის აღმნიშვნელია. **მე**, რომელიც ზმნაში ამ **ვ**-ს იწვევს, ან რეალურად მოქმედია ანდა ენობრივად (**ზ მ ნ ის ფ ო რ მ ის** მიხედვით) უდრის ამ რეალურ სუბიექტს. ამიტომ მას უნდა ეწოდოს: ენობრივის თვალსაზრისით მოქმედი ანუ, მოკლედ, ენობრივი სუბიექტი.

ენობრივი მეტად ფართო ცნებაა; როდესაც აქ ენობრივზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში ზმნის ფორმა გვაქვს, **პ ი რ ის** აღმნიშვნელი პრეფიქსი, **მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი** მოვლენა. ამ მორფოლოგიური ნიშნის მიხედვით დავახასიათებთ **მე**, მივიჩნიებთ იგი მოქმედად ანუ სუბიექტად. ამიტომაც, **მე** ყველგან არის მოქმედი, **ს უ ბ ი ე ქ ტ ი მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი ს** თვალსაზრისით, **მე** ჩვენს მაგალითებში **მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი ს უ ბ ი ე ქ ტ ი ა** (პირველი პირისა), **ვ კ ი** — (პირველი პირის) მორფოლოგიური სუბიექტის პრეფიქსი.

მორფოლოგიური სუბიექტი არის რეალური სუბიექტი (*agens*), ენობრივი საშუალებით აღქმული ანუ: ენობრივი ასახვა რეალური სუბიექტისა. ზოგადი პრინციპული დასკვნა, რომელიც ამის მიხედვით უნდა გაკეთდეს, შემდეგია: 1. ენობრივი (მორფოლოგიური) კატეგორია ემყარება რეალობის კატეგორიას; 2. ენობრივი (მორფოლოგიური) კატეგორია არ არის ადეკვატური რეალობის კატეგორიისა, არამედ **თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ი** ასახვაა მისი.

ფორმებში: **ვ-იკლვი, ვ-იგუემები, ვ-ისპობი...** შეიძლება გვეთქვას, რომ **ვ** არ გამოხატავს **მე**-ს პასიურობას; პასიურობა **-ი-** ფორმანტით არის წარმოდგენილი; მაშასადამე, **ვ-პრეფიქსს** პასიურ **მე**-ს აღნიშვნა სრულებითაც არ ეკისრება; იგი „ჩვეულებრივს“ (**ვ-ჰკლავ, ვ-არ**) **მე**-ს აღნიშნავს; მაგრამ თავი და თავი სწორედ ის არის, რომ ენობრივ აზროვნებაში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს პასიურად მიჩნეულია მოქმედება — **„კლულობა“**, **„გვემულობა“**, **„მოსპობილყოფნა“** (*Getötetwerden, Geschlagenwerden, Vernichtetwerden*) — **მე**-ს წარმოემვას, მისი ნამოქმედარი იყოს, სწორედ ისევე, როგორც ეს არის **ვ-ჰკლავ, ვ-ჰგუემ, ვ-ჰსპობ**-ში: აქ **მე** სხვის მოკვლის, გუემის, სპობის წყაროა, იქ (**ვ-იკლვი, ვ-იგუემები, ვ-ისპობი**) კი საკუთარი თავის მოკვლის, გუემის, სპობისა... რომ ავიღოთ სხვა მაგალითები: **ვ-ჰსპობ** და **ვ-არ**, განა აქ ერთნაირად აქტიურია **მე**? რეალურად — არა, ენობრივად — კი: **მე** ისევე წარმოშობს (საკუთარ) **არსებობას ვარ**-ში, როგორც (სხვის) **სპობას** — **ვჰსპობ**-ში. ამაშია **ვ-პრეფიქსის** აზრი ენის, უკეთ რომ ვთქვათ, ენობრივი აზროვნების თვალსაზრისით: იგი მიგვითითებს **მე**-ზე, რომელიც **წარმოშობს** აქტიურს ან პასიურ მოქმედებას, გინა

ნეიტრალურ ყოფა-მდგომარეობას. ის ყოველთვის მოქმედი, აქტიურია, იმისდა მიუხედავად, რანაირია შედეგი და შინაარსი მოქმედებისა: უარყოფითი, ნეიტრალური თუ დადებითი — აქტივობის თვალსაზრისით. იგი ალგებრაულ გამრავლებას მოგვაგონებს, რომელსაც შედეგად — ნაწარმში — შეუძლია მოგვცეს ან უარყოფითი ან დადებითი ოდენობა, ან კიდევ ნული, იმისდა მიხედვით, რაგვარ ოდენობათა გამრავლება ხდება.

ეს არ არის სპეციფიკური ქართული მოვლენა. ეს ენობრივი აზროვნების გამოვლენაა საერთოდ.¹ ენობრივს აზროვნებაში ბევრია მითოლოგიურობა; სულ მცირე დაკვირვებაა საჭირო, რომ პირწავარდნილ ანთროპომორფიზმს შევეჩხვოთ თითქმის ყოველ ფეხის გადადგმაზე: **გარემოება გვაიძულებს... მდგომარეობა მოითხოვს... სიფრთხილე გვიკარნახებს... მოვალეობა გვაწევს...** და მრავალი ასეთი ალსავესა ჩვენი მეტყველება, თვით მეცნიერული მსჯელობაც კი.² არას ვიტყვით მხატვრულ ნაწარმოებთა შესახებ, სადაც ეს ნორმალურად და სასურველად ითვლება.

გვეტყვიან: ეს ხომ თქმის ხატოვანობა, ფიგურალობააო. საქმეც ის არის, რომ ეს ფიგურალობა სწორედ ანთროპომორფიზმით არის გაყდენთილი: **გარემოება, მდგომარეობა, სიფრთხილე, მოვალეობა...** ცოცხალ არსებებად არის წარმოდგენილი და მათ მიეწერება უნარი მოითხოვონ რაღაც, აიძულონ ვიღაც, უკარნახონ ვიღაცას რაღაცა, დააწვეენ ვიღაცას... ჩვეულებრივ, ეს „გამოთქმათა ანთროპომორფიზმი“ ჩვენთვის ხელშესახები და თვალსაჩინო ხდება, როგორც კი მათ მივაქცევთ გულისყურს, მაგრამ უჩინარია და ძნელად საწვდომი ის ანთროპომორფიზმი, რომლითაც გაყდენთილია ენის სათავეები და რომლებიც ფორმანტებში და მათ ფსიქოლოგიურს ფუნქციებში შემოუნახავს ენას. ამა თუ იმ ენის, ენობრივი აზროვნების, ფსიქოლოგიის ქვაკუთხედს სწორედ იგი ქმნის. არის ენათა შორის ამ მხრივ ზოგადი რამ (იხილე **ვ**ს „ამბავი“), არის სპეციფიკური რამაც. ამის მაგალითს ქვემოთ ვნახავთ.

¹ რუსულში ანალოგიური მოვლენის შესახებ იხ. Пешковски й: Синтак., გვ. 133-134.

² მოვიგონოთ, ე. მახი, რომელიც ებრძოდა ცნებებს „ძალა“, „მიზეზი“ ბუნებისმეტყველებაში; აქაო-და, ეს მეტაფიზიკური ცნებებია, მათი საშუალებით რეალობის მისტიფიკაცია ხდებაო. — ხოლო ვ. მათუნერი ისე შორს წავიდა, — და უთუოდ უმართებულოდ, — რომ თავის სამტომიანი „Beiträge zu einer Kritik der Sprache“ თეზისით დაიწყო: სანამ ადამიანი თავის აზროვნებაში ენას მოიხმარს, იგი ჭეშმარიტ აზროვნებას ვერ მიაღწევსო.

მეტყველება რომ რეალობის ადეკვატი იყოს, ასეთი რისამე თქმა არავის მოუვიდოდა აზრად. მაგრამ ლოგიკა სინამდვილისა თავისებურად აისახება მეტყველების ფსიქოლოგიაში და ბევრი რამ სულ სხვანაირად განიცდების, ვინემ ეს რეალობაშია.

74. რეალური სუბიექტი (agens) პირველი პირისა იყო ამოსავალი და დასაყრდენი პირველი პირის მორფოლოგიური სუბიექტის დადგენისათვის. ავიღოთ იგივე პირი, მხოლოდ არა რეალური სუბიექტის, არამედ რეალური ობიექტისა: **მ-კლავს, მ-გუემს, მ-ტანჯავს, მ-სპობს** — ვის? **მე.** წარმოდგენილია აქ, როგორც უმოქმედო საგანი, რომელსაც ვიღაც თუ რაღაც **კლავს, ჰგუემს, სტანჯავს, ჰსპობს.** რეალურად აქ **მე** მოქმედი, აქტიური (agens) კი არ არის, არამედ სამოქმედო (patiens), სხვის ზემოქმედების საგანია. **მ-კლავს** და **ვ-იკვლი, მ-გუემს** და **ვ-იგუემები, მ-ტანჯავს** და **ვ-იტანჯვი, მ-სპობს** და **ვ-ისპობი რეალურად** ერთურობისაგან თითქმის არ განსხვავდება: ორსავე შემთხვევაში ჩვენს წინ არის პირველი პირი — **მე,** ორსავე შემთხვევაში იგი აქტივობას მოკლებულია, — მეტი კიდევ: სხვის მოქმედების საგნად არის ქცეული. განსხვავება იმაშიდაა, რომ **ვიკვლი**ში რეალური სუბიექტის (მკვლელის) პირი არა ჩანს, **მკლავს**ში კი აღნიშნულია: **მკლავს** მე — იგი. ესაა და ეს. ამიტომაცაა, რომ იმ ენებში, რომლებშიც **მკლავს**'ის მაგვარი ფორმები ზმნას არ გააჩნია, ვნებითის განსამარტავად **მკლავს**'ის მნიშვნელობის მქონე ფრაზას ხმარობენ, ოღონდ განუსაზღვრელი სუბიექტით; მაგალ., *я убиваю — меня убивают; ich werde getötet — man tötet mich...*

მაშ, რეალურად **მკლავს** და **ვიკვლი** ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდება; განსხვავებას ჩვენ მაინც ვგრძნობთ; პირის საკითხიც რომ მოიხსნას, განსხვავება მაინც დარჩება: შდრ. **ვ-იკვლი მე მისა მიერ** და **მ-კლავს მე იგი.** და ეს იმიტომ, რომ პირველს შემთხვევაში (**ვ-იკვლი**) **მე** წარმოდგენილია პასიური მოქმედების „კლულობის“ (Getötetwerden) წარმომშობად, ესე იგი აქტიურად; მეორე შემთხვევაში კი **მე** წარმოდგენილია, როგორც უმოქმედო, არააქტიური, აქტიურობის წყარო კი **იგი**'ა (**მ-კლავს მე** — ვინ? **იგი!**). ასე რომ, განსხვავებას ენობრივ-ფსიქოლოგიური მომენტი ქმნის და არა — რეალური. ენობრივ-ფსიქოლოგიური მომენტი **ვ-იკვლი**'სა და **მ-კლავს**'ის გრამატიკული აგებულებითაა განსაზღვრული.

მ- პრეფიქსი, მაშასადამე, მიუთითებს რეალურად არამოქმედზე, სამოქმედოზე (patiens), სხვანაირად რომ ვთქვათ, **რეალურ** ობიექტზე. განა ყოველთვის? ყოველ შემთხვევაში, ჩვეულებრივად: **მ-სჯის, შეურაცხ-მყოფს, მ-გმობს, შე-მ-ადრწუნებს, მ-დევნის, გან-მ-აძებს, შთა-მ-ნთქავს, შთა-მ-აგდებს, მ-აკურთხებს, მ-აიძულებს, და-მ-ცემს, და-მ-ამდაბლებს, გან-მ-ა-ცოცხლებს, გან-მ-იტყვებს, წარ-მ-გზავნის, შე-მ-კრავს** და აუარება სხვა შემთხვევაში, რომელთა სათითაოდ ჩამოთვლა აქ არც შესაძლებელია და არც საჭირო. ავიღოთ სხვა მაგალითები; **მ-ეგულების, მ-ესმის, მ-ეშინის, მ-შიის, მ-იკვრს, მ-ტკივის** და ამგვარებში **მე**-ს როლი ცოტა სხვაგვარია; შევადაროთ: **მ-ეგულების** და **მ-კლავს, მ-ესმის** და **მ-გუემს, მ-ეშინის** და **მ-სპობს...** აქ **მე** რეალურად ისე პასიური არა ჩანს: მიზეზი ის გახლავთ, რომ ვერა ვხედავთ, მიიჩქმალა

რეალური სუბიექტი, მოქმედი, რომელიც ასე აქტიური იყო **მ-კლავს, მ-გუემს, მ-საბოს** და მაგვარებში. **ვინ მ-კლავს? – იგი. რა (ვინ) მ-გუელის? – იგი.** თქმა არ უნდა, რომ ეს ორი იგი რეალური როლის მიხედვით საგრძნობლად განსხვავებულია: **მე** აქ უკვე აღარ არის ისე „ვნებული“...

სურათი არსებითად იცვლება, თუ ავიღებთ ასეთ მაგალითებს **მ-ყავს, მ-ა-ქუს, მ-სურის, მ-ინა, მ-ნებავს, მ-ძულს...** **მე**'ს უმოქმედობა-პასიურობაზე ლაპარაკი აქ შეუძლებელია: **მ-სურის, მ-ინა, მ-ნებავს** — გულისხმობენ **მე**'ს აქტიურ დამოკიდებულებას გარე სამყაროსადმი; **მ-ყავს, მ-ა-ქუს**'ში **მე** რაღაცის მფლობელია და პატრონი. **მ-ძულს**'ში იგი „აქტიური“ ემოციებითაა აღსავსე... დასასრულ, მაგალითებში: **მ-იძლევიეს, მ-იქმნიეს, აღ-მ-ისრულებიეს, და-მ-იწერიეს, გან-მ-იწესებია, და-მ-იტევებია, მო-მ-იყვანებია, აღ-მ-ითქუამს, და-მ-იზადებიეს, მ-იყოფიეს, და-მ-იმარხავს, მი-მ-იცემიეს, შე-მ-იცვალებიეს** და მაგვარებში **მე** რეალურად ისევე აქტიურია, როგორც ზმნებში: **ვ-სძლევე, აღ-ვ-ასრულე, და-ვ-წერ, გან-ვ-აწესებ, და-ვ-უტევე, მო-ვ-იყვანებ** და სხვ. ეს არ არის **მე** სამოქმედო ან უმოქმედო, ეს არის **მე** მოქმედი, აქტიური. ამ **მე**'თა შორის სხვაობას ადგილი აქვს სინამდვილის თვალსაზრისით; **მე**'თა როლი განსხვავებულია რეალურად: **მ-კლავს, მ-გუემს; მ-გუელეების, მ-ესმის; მ-ნებავს, მ-ძულს; მ-იძლევიეს, მ-იქმნიეს** — **მე**'ს როლის ყველა საფეხურია აქ მოცემული — სრული პასივობიდან სრულ აქტივობამდე. ენა, ზმნის ფორმა, არ ასხვავებს ამ როლის მიხედვით ამ **მე**'ებს; იგი ყველას თანაბარ უფლებას ანიჭებს იყოლიოს წარმომადგენლად ზმნაში **მ**, ის **მ**, რომლის ძირითადი დანიშნულებაა სამოქმედო, პასიური **მე**'ს მაჩვენებელი იყოს — და მხოლოდ. ამიტომაც ვამბობთ: **ენობრივად მ** ყველაგან არის **მე**-პასიურის, **მე**-ობიექტის მაჩვენებელი, ანუ: **მ მ ი გ ვ ი თ ი თ ე ბ ს პ ი რ ვ ე ლ ი პ ი რ ი ს მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ო ბ ი ე ქ ტ ზ ე...** მტკიცება: **მე მ-კლავს' მე მ-ძულს, მე მ-იკლავს**'ში **მე** მორფოლოგიური ობიექტიაო, იმასლა ნიშნავს, რომ სამსავე შემთხვევაში **მე**'ს აქვს ერთი და იგივე უფლება, უფლება ობიექტისა, უფლება აღნიშნული იყოს ზმნაში **მ**'თი; რეალურად სულ სხვადასხვა აქტივობა-პასივობის **მე** უფლებებში გათანასწორებულია ზმნის ფორმის თვალსაზრისით: მორფოლოგიურად ამაზე მიგვითითებს მათი წარმომადგენელი **მ**.

ამის ანალოგიას ჩვენ რუსულში ან რომელსამე სხვა ინდო-ევროპულ ენაში ვერ ვიპოვნით. ეს მოვლენა ქმნის ქართული სამეტყველო ფსიქოლოგიის თვალსაჩინო თავისებურებას: **მიკლავს, დამიწერია, დამიზადებიეს** და მაგვარებში **მე** წარმოდგენილია არა როგორც მოქმედი, არამედ როგორც უმოქმედო, რომელსაც მიეწერება წარსულში რაღაცის კვლა, რაღაცის წერა, დამზადება. **მძულს, მყავს, მაქუს**'ში ის, ვისაც **სძულს**, რაიმე **აქუს**, ვინმე **ჰყავს**, ისევე უმოქმედოა, როგორც ის, ვინც **დგას, ზის, წევს...** რაღაცის თუ ვიღაცის **სიძულვილი, ქონება, ყოლა** მას მიეწერება, განეკუთვნება გარედან.

ასე აშუამავლებს სამეტყველო აზროვნება რეალურ ურთიერთობას, ასე თავისებურად არის იგი გარდაქმნილი ქართული ზმნის მეოხებით. ამის გაუთვალისწინებლობა ქართული ენობრივი აზროვნების მნიშვნელოვანი მხარის უგულვებელყოფას ნიშნავს.

დავასკვნათ: **მე** შეიძლება იყოს მორფოლოგიური სუბიექტიცა და მორფოლოგიური ობიექტიც; მორფოლოგიური სუბიექტი არის პირი — მოქმედი, აქტიური ენობრივს ასახვაში; მისთვის დასაყრდენი და გამოსავალია რეალურად მოქმედი, რეალური სუბიექტი (**agens**); მორფოლოგიური ობიექტი არის პირი — უმოქმედო (თუ სამოქმედო), პასიური ენობრივს ასახვაში; მისთვის დასაყრდენი და გამოსავალია რეალურად უმოქმედო, პასიური, რეალური ობიექტი (**patiens**). მორფოლოგიური სუბიექტი პირველი პირისა **გ**'თი აღინიშნება, მორფოლოგიური ობიექტი იმავე პირისა **მ**'თი აღინიშნება. წინაუკმო: **გ** პრეფიქსი ზმნაში ნიშნავს, რომ **მე** არის მორფოლოგიური სუბიექტი, **მ** პრეფიქსი კი ნიშნავს, რომ **მე** არის მორფოლოგიური ობიექტი, როგორც არ უნდა იყოს ამ **მე**'თა როლი სინამდვილეში: ერთადერთი და უმაღლესი კრიტერიუმი არის ის ჩვენება, რომელსაც ზმნის ფორმა იძლევა.

მეორე და მესამე პირიც შეიძლება ქართულს ზმნაში მოგვევლინოს როგორც მორფოლოგიურ სუბიექტად, ისე მორფოლოგიურ ობიექტად. მათი კვალიფიკაციის პროცესს შეიძლება გვერდი ავუაროთ; პირველი პირის მიმართ ეს საკითხი, გვეონია, საკმაო (თუ ზედმეტის არა!) დაწვრილებით განვიხილეთ; მეორე და მესამე პირიც სრულიად ისეთსავე სურათს გადაგვიშლიდა; ამიტომაც მათ კვალიფიკაციას მოცემულად ვთვლით და პირდაპირ აღვნიშნავთ:

MS-ს¹ მეორე პირისას ზმნაში აღვნიშნავს: პრეფიქსი **ხ** (ხანმეტ ტექსტებში), **ჰ** (ჰაემეტ ტექსტებში), **ჰ** და მისი ფონეტიკური სახეცვლანი — **ს/შ/ო** (ნოლი) — მეცხრე საუკუნის აქეთა ძეგლებში;

MO-ს მეორე პირისას აღვნიშნავს **გ** პრეფიქსი (უძველესი ხანიდან დღემდე);

MS მესამე პირისა აღინიშნება **-ს** || **-ნ** სუფიქსით (მხედველობაში გვაქვს აწმყო დრო);

MO მესამე პირისა (მიც. ბრუნ.) აღინიშნება: პრეფიქსით **ხ** (ხანმეტში), **ჰ** (ჰაემეტში), **ჰ** პრეფიქსითა და მისი ფონეტიკური ვარიაციებით — **ს/შ/ო** (ნოლი) — მეცხრე საუკუნიდან.²

არას ვამბობთ იმის შესახებ, თუ რით აღინიშნება მრავლობითი

¹ სიმოკლისათვის შემდეგში ჩვეულებრივად მორფოლოგიურ სუბიექტს აღვნიშნავთ MS-ით, მორფოლოგიურ ობიექტს — MO-ით.

² მეორე პირის სუბიექტურისა და მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისათვის იხ.: ა. შ ა ნ ი ძ ე: „პრეფიქსები“.

რიცხვი MS-ისა და MO-ისა, რა საყურადღებო მოვლენები იჩენს თავს ამათი აღნიშვნისას და სხვ.: ეს ყველაფერი ზოგადად მაინც ქვემოთ იქნება განხილული. ახლა კი, ვიდრე ქართული ზმნის სხვა თვისებათა მიმოხილვას შევუდგებოდეთ, ერთ კითხვაზე უნდა გავცეთ პასუხი.

75. ჩვენ ჩამოვყალიბეთ ცნებები: **მორფოლოგიური სუბიექტი** და **მორფოლოგიური ობიექტი**; რატომ **მორფოლოგიური** და არა გრამატიკული, საერთოდ, და, მაშასადამე, სინტაქსურიც? შეიძლება კი არსებობდეს **მორფოლოგიური სუბიექტი** და **მორფოლოგიური ობიექტი**? განა **სუბიექტი, ობიექტი**, სინტაქსური ცნებები არ არის?

ერთის სიტყვით, ჩვენ წინ ასეთი საკითხები დგას: შეიძლება თუ არა სუბიექტი და ობიექტი **მორფოლოგიური** იყოს? და, თუ შეიძლება, არის თუ არა ეს საჭირო ქართულში?

ჩვენი პასუხი იქნება: დიახ, შეიძლება; **მორფოლოგიური სუბიექტი, მორფოლოგიური ობიექტი** არის **სახელი** და **დაფასება**, როგორც აქტიურისა თუ როგორც პასიურის, **ზმნის აგებულების** თვალსაზრისით, ზედმიწევნით რომა ვთქვათ, **ზმნაში პირის აღნიშვნის** თვალსაზრისით; არის პრეფიქსები **ვ** და **მ, ხ** (**|| ჰ || ს**) და **გ**... არის სახელთა ასეთი დაფასებაც **ზმნაში**, არის, მაშასადამე, **ზმნის თვალსაზრისით** აქტიური სახელი, **მორფოლოგიური სუბიექტი** და იმავე **ზმნის თვალსაზრისით** უმოქმედო სახელი, **მორფოლოგიური ობიექტი**.

მართალია, რამდენადაც **ზმნა** მინიატურაში შესიტყვებას წარმოგვიდგენს, იმდენად **ზმნის პირის ფორმანტების** მიხედვით სახელთა კვალიფიკაცია სინტაქსურ მომენტებს შეიცავს, მაგრამ ზოგიერთი მნიშვნელოვანი გარემოების გამო, როგორც ამას აქვე ქვემოთ დავინახავთ, ამ გზით მიღებული ცნებები **სუბიექტისა, ობიექტისა** შესიტყვებაში არსებულ სინტაქსურ ურთიერთობას შემთხვევათა აბსოლუტურს უმრავლესობაში ვერ ამოწურავს, და ამ ურთიერთობათა მიხედვით ჩამოყალიბებულ ცნებათა მაგივრობას ვერ გასწევს.

მორფოლოგიური სუბიექტ-ობიექტი არ უდრის ქართულში **სინტაქსურ სუბიექტ-ობიექტს** და ამიტომ მათი გარჩევა არა თუ საჭიროა, არამედ აუცილებელიცაა. **მორფოლოგიური სუბიექტ-ობიექტი** არის **ზმნის თვალსაზრისით** დაფასება იმ სახელთა, რომელთა პირი მასშია აღნიშნული; იგი **ზმნის აგებულებამ** მოგვცა და არა შესიტყვებისამ. **სინტაქსური სუბიექტ-ობიექტი** კი არის სახელთა დაფასება **შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმის** თვალსაზრისით.

აქ ბუნებრივად ისმის საკითხი: განა შესიტყვებაში **სინტაქსური სუბიექტ-ობიექტის** ძიებისას იგივე **ზმნა** და იგივე სახელები არ არის ამ **ზმნასთან** დაკავშირებული? კი, მაგრამ: ჯერ **ერთი**: ცნება **მორფოლოგიური** სუ-

ბიექტ-ობიექტისა გულისხმობს მარტივ ორ წევრიან მიმართებას, მიმართებას ერთი სახელისა ზმნასთან; იგი ამ მიმართების ნიადაგზე ყალიბდება; ცნება სინტაქსური სუბიექტ-ობიექტისა კი ქართულში ჩვეულებრივ გულისხმობს სამ (და ოთხ) წევრიან მიმართებას: სახელებისა ზმნასთან და ზმნისას სახელებთან; მიმართების წევრთა რიცხვი მეტია, მიმართებაც გაცილებით რთული, რადგანაც გასათვალისწინებელია როგორც სახელების ზმნასთან მიმართება, ისე — პირუკუც. **მეორეცაა-და:** მორფოლოგიური სუბიექტ-ობიექტის ჩამოყალიბება მხოლოდ ზმნის პირის მიხედვით ხდება, რიცხვის კატეგორია მხედველობაში არ მიიღება; სინტაქსურ სუბიექტ-ობიექტ-ცნებათა დადგენისას კი რიცხვის კატეგორიასაც სათანადო ანგარიში ეწევა, ვინაიდან მასში არის მოცემული ერთ-ერთი სახე სიტყვათა ურთიერთობისა და, მაშასადამე, იგი წარმოადგენს გარკვეულ სინტაქსურ ფაქტორს. ამიტომაც მაშინაც კი, როდესაც შესიტყვება ორწევრიანიდაა, სინტაქსური ცნებები სუბიექტ-ობიექტისა უფრო რთულ სინტაქსურ ურთიერთობაზე არის დაფუძნებული, ვინემ ცნებები მორფოლოგიური სუბიექტ-ობიექტისა; **მესამეცაა-და:** კატეგორიები მორფოლოგიური სუბიექტისა და ობიექტისა ყალიბდება ერთურთისაგან დამოუკიდებელი; მორფოლოგიური სუბიექტის პირის აღნიშვნა სრულებითაც არ უმლის ხელს მორფოლოგიური ობიექტის პირიც იყოს წარმოდგენილი: **მ-ყავ-ს მე იგი; გ-ყავ-ს შენ იგი...** მაგრამ ზ მ ნ ა შ ი ამ ო რ ი სა ხ ე ლ ის (MS-ისა და MO-ისა) აღნიშვნა იმთავითვე გამორიცხავს შე ს ი ტ ყ ვ ე ბ ა შ ი ამ ო რ ი სა ხ ე ლ ის და პ ი რ ის პ ი რ ე ბ ის შესაძლებლობას.

ყოველივე თქმულის გამო **მორფოლოგიური** სუბიექტ-ობიექტის გარჩევა **სინტაქსური** სუბიექტ-ობიექტისაგან აუცილებელია ყველა იმ ენაში, სადაც ზმნაში ორივე სახელის პირია წარმოდგენილი; ეს გარჩევა არ არის საჭირო იქ, სადაც ზმნა მხოლოდ ერთი სახელის პირს აღნიშნავს. სხვანაირად: მორფოლოგიური უდრის სინტაქსურს და, მაშასადამე, გრამატიკულს, სადაც ზმნა ერთპიროვანია; მორფოლოგიური არ უდრის სინტაქსურს და არც შეიძლება იქნეს განზოგადებული, ვითარცა გრამატიკული, სადაც ზმნა ორპიროვანია.

დავუშვათ ერთი წუთით, რომ ქართულში სუბიექტ-ობიექტი ზმნის თვალსაზრისით (MS, MO) გამოცხადდა სუბიექტ-ობიექტად შესიტყვების თვალსაზრისითაც, მიჩნეულ იქნა სინტაქსურ (და, საერთოდ, გრამატიკულ) სუბიექტ-ობიექტად. ავიღოთ ზმნა: **გ-აქუ-ს — შენ იგი: შენ'ცა და იგი'ც** თანაბარი უფლებით სარგებლობენ, რამდენადაც პირის აღნიშვნას ეხება საქმე; ერთის პირიც არის აღნიშნული და მეორისაც; მაგრამ ძველს ქართულში მხოლოდ **იგი'ს** მრავლობითობა აღინიშნება, **შენ'ის** კი არა: **გ-ქონ-ან შენ იგინი; შდრ. გ-აქუ-ს თქუენ იგი...** სახელობითს გარკვეული უპირატესობა აქვს მიცემითის წინაშე; თუ რაიმე საფუძველი არსებობს **იგი'ს** სუბიექტად გამოცხადებისათვის, ეს არის ერთადერთი საფუძველი: ეს არის ერთადერთი არე, სადაც **იგი'ს** მეტი სინტაქსური ძალა აღმოაჩნდა, ვინემ **შენ'ს**. **შენ** ობიექტად დავსახეთ, **იგი** — სუბიექტად. მო-

როგორღე უნდაც, ე. ი. ზმნის თვალსაზრისითაც, **შენ** ობიექტია, **იგი** — სუბიექტი. ჰარმონიაა სრული.¹

მოვიგონოთ თანამედროვე ქართული სამწერლო ენა; პირი ორივე სახელისა აღინიშნება ძველებურად, მრავლობითობა კი სახელობითისა აღუნიშნველი რჩება, მიცემითისა, პირიქით, აღინიშნება ზმნაში: **გაქვს შენ წიგნი; გაქვს შენ წიგნები**, მაგრამ: **გ-აქვ-(ს)-თ თქვენ წიგნი...** რა გამოვიდა? მიცემითი მეტის უფლებით აღიჭურვა, ვინემ სახელობითი; ძველ ქართულთან შედარებით ამ ბრუნვებმა როლები შეიცვალეს ამისდა კვალობაზე: რა უფლებითაც წინათ სახელობითს მიენიჭა სუბიექტის წოდებულება, იმავე უფლებით ახლა მიცემითი უნდა გამოვაცხადოთ სუბიექტად: **გ-აქვ-ს შენ წიგნი: წიგნი** ობიექტია, **შენ** — სუბიექტი; **ს** ობიექტური სუფიქსი გახდა, **გ** — სუბიექტური პრეფიქსი. სხვა ფრაზაში კი — **გ-კლავ-ს შენ იგი: გ-კლავ-ენ შენ იგინი** — **გ** ობიექტური პრეფიქსია ძველებურად, **ს** — სუბიექტური სუფიქსი; ესე იგი: **გ** ხან ობიექტური პრეფიქსი გამოდის, ხან კიდევ სუბიექტური; **ს**ც აგრეთვე — ხან ობიექტური სუფიქსია, ხან კი — სუბიექტური... ფორმანტების კვალიფიკაცია აირია. და ეს იმიტომ, რომ სინტაქსურ სუბიექტ-ობიექტად მივიჩნიეთ ის, რაც ოდენ ზმნის თვალსაზრისითაა სუბიექტი და ობიექტი... ჩვენთვის **გ** ახალს ქართულშიც ისევე, როგორც ძველში, მეორე პირის მორფოლოგიური ობიექტის პრეფიქსია, **ს** — მესამე პირის მორფოლოგიური სუბიექტისა, იმისდა მიუხედავად, თუ რა როლს ასრულებს შესიტყვებაში ამ პრეფიქს-სუფიქსით წარმოდგენილი სახელები. დროთა ვითარებაში შესიტყვების მექანიზმი განიცდის გარკვეულ ცვლილებებს ფსიქოლოგიურისა თუ სხვა ფაქტორების ზეგავლენით, შეიძლება შეიცვალოს სახელთა როლი შესიტყვების სტრუქტურაში; მაგრამ ზმნის პირის თვალსაზრისით სახელთა კვალიფიკაცია უცვლელი რჩება; ეს საკითხი შესიტყვების ანალიზისაგან დამოუკიდებლივ უნდა წყდებოდეს.

ამგვარად: მორფოლოგიური სუბიექტ-ობიექტი არ უდრის სინტაქსურს; ანუ, რაც იგივეა: სუბიექტ-ობიექტი **ზმნის** თვალსაზრისით არ უდრის სუბიექტ-ობიექტს **შესიტყვების** თვალსაზრისით. იგი შეიძლება დამოუკიდებლივ დახასიათდეს; იგი დამოუკიდებლივ უნდა ჩამოყალიბდეს; ქართულში ეს აუცილებლობის საქმეა.

76. ქართულ ზმნაში ერთდროულად შეიძლება იყოს აღნიშნული ერთი პირიცა (**არ-ს იგი**) და ორიც (**პ-კლავ-ს მას იგი; ს-თხოვ-ს მას იგი**); უკანასკნელ შემთხვევაში (**ს-თხოვ-ს**) ორი სახელის პირს გარდა შეიძლება მესამის რიცხვზეც იყოს მითითება (**ს-თხოვ-ნ-ა მას იგინი მან**). პირის აღნიშვნის მიხედვით ზმნები შეიძლება დაიყოს ორი ძირითადი სახე-

¹ რა თქმა უნდა, არ შეიძლება, იგი'ს **სინტაქსურ** სუბიექტად მიჩნევა და შენის **სინტაქსურ** ობიექტად, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ. აქ პირობითი მსჯელობაა.

ბისად: აბსოლუტური სახეობისად და რელატიური სახეობისად.

ზმნა, რომელსაც მხოლოდ ერთის პირის ფორმა აქვს, იქნება აბსოლუტურის (თვითებითის) სახეობისა; ასე, მაგალ., **არს, დგას, ზის, წევს, ჩანს... დგების, კუდების, კმების, წყდების... განკაცების, განჭაპუნების; ნათლდების, ძლიერდების... კელმწიფებს, წინაღსწარმეტყულებს, მეფობს, გორავს... იგუემების, იწერების, ისპობის, იკლვის.** აქ ყველგან მესამე პირი **იგი (MS)** შეიძლება იქნეს ნავარაუდები ზმნის ფორმითაცა და სინტაქსური კონსტრუქციითაც, აღინიშნება, მაშასადამე, მხოლოდ **MS-ის** პირი და რიცხვი.

ზმნა, რომელსაც ორის პირის ფორმა აქვს, იქნება რელატიური (მომართებითი) სახეობისა; მაგალ., **უდგას მას იგი, უზის მას იგი, უწევს მას იგი, უჩ(ნ)ს მას იგი... უდგების მას იგი, უკუდების მას იგი, უტმების მას იგი, უწყდების მას იგი... უნათლდების მას იგი, უძლიერდების მას იგი... ეკლვის მას იგი; ჰპობს მას იგი, ჰკლავს მას იგი, იკლავს მას იგი, უ/ა-კლავს მას მას იგი... აკლვევინებს მას მას იგი... და სხვ.,** ყველა ამ შემთხვევაში მოცემულია **MS-ის** გარდა მორფოლოგიური ობიექტის პირიც.

ჩვენ ვლაპარაკობთ აბსოლუტურ და რელატიურ **სახეობათა** და არა ზმნების შესახებ: ეს იმიტომ, რომ ერთსა და იმავე ზმნას, არა თუ ერთ ძირს, არამედ ერთ ფუძესაც კი, შეუძლია ჰქონდეს აბსოლუტურს გარდა რელატიური სახეობაც: მაგალ., **დგას იგი – უდგას მას იგი; დგების იგი – უდგების მას იგი; კუდების იგი – უ/ა-კუდების მას იგი; წყდების იგი და უ/ა-წყდების მას იგი; ნათლდების იგი – უნათლდების მას იგი; ძლიერდების იგი – უძლიერდების მას იგი; გორავს იგი – უგორავს მას იგი... და ასე – აბსოლუტური სახეობის ზმნათა უმრავლესობაში; ამის შესაძლებლობას მოკლებულია ზმნა **არს** და ნასახელარი ზმნები საშუალო გვარისა, როგორცაა: **მეფობს, კელმწიფებს, წინაღსწარმეტყულებს** და სხვ., მართალია, ჩვენ გვაქვს **მეფდების, კელმწიფდების** მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ფორმებიც აბსოლუტური სახეობისაა და არა — რელატიურისა (ნასახელარი ვნებითებია); მეორეცაა-და, ეს ფორმები არის ნაწარმოები არა ზმნური ფორმისაგან: **მეფობს, კელმწიფებს.****

აღსანიშნავია, რომ როგორც ყველა ერთპირიანი, აბსოლუტური სახეობა არ შეიძლება გადაიქცეს ორპირიან, რელატიურ სახეობად, ისევე პირუკუ: შეიძლება გვქონდეს ორპირიანი რელატიური სახეობა და აბსოლუტური სახეობა კი ვერ მოვუძებნოთ; ერთი განსხვავება მაინც რჩება: ზოგიერთი გამონაკლისით (იხ. ზემოთ) თითქმის ყველა აბსოლუტური სახეობა რელატიურდება, რელატიური სახეობა კი უმეტეს შემთხვევაში მოკლებულია შესატყვის აბსოლუტურს: **იკლავს, უკლავს, აკლავს, აკლვევინებს** იდან აბსოლუტური სახეობის მიღება შეუძლებელია; რანაირი ცვლილებაც არ უნდა მოვუხდინოთ მათ, ზმნა ყოველთვის რელატიური სახეობით წარმოგვიდგება (მაგალ., ვნებითი: **ეკლვის, ეკლვევინების იგი მას**).¹

¹ ეს არ ითქმის ჰპობს, ჰკლავს-ის შესახებ, რამდენადაც მათი ვნებითი ოპოზიციის აბსოლუტური ჩანს.

77. რელატიური სახეობის ყოველი ზმნა შეიძლება ორი წყობისა იყოს: სუბიექტურისა და ობიექტურისა. სუბიექტურისაა იმ შემთხვევაში, თუ ზმნის ფუძე MS-ის პრეფიქსით იწყება, ობიექტურისა — თუ კი MO-ის პრეფიქსით იწყება.¹ მაგალითად:

სუბიექტ. წყ.	ობიექტ. წყ.	სუბიექტ. წყ.	ობიექტ. წყ.
უღვა-ს მას იგი	უღვა-ს მას იგი	უყუარ-ს მას იგი	უყუარ-ს მას იგი
უღვა შენ მას	გ-იღვა-ს შენ იგი	უ-ყუარ შენ მას	გ-იყუარ-ს შენ იგი
ვ-უღვა მე მას	მ-იღვა-ს მე იგი	ვ-უყუარ მე მას	მ-იყუარ-ს მე იგი
სუბიექტ. წყ.	ობიექტ. წყ.	სუბიექტ. წყ.	ობიექტ. წყ.
უკუღები-ს მას იგი	უკუღები-ს მას იგი	პ-პოებ-ს მას იგი	პ-პოებ-ს მას იგი
უკუღები შენ მას	გ-იკუღები-ს შენ იგი	პ-პოებ შენ მას	გ-პოებ-ს შენ იგი
ვ-უკუღები მე მას	მ-იკუღები-ს მე იგი	ვ-პ-პოებ მე მას	მ-პოებ-ს მე იგი

აქედან ჩანს, რომ სუბიექტური და ობიექტური წყობის გარჩევას ადგილი აქვს პირველსა და მეორე პირში; მესამე პირი კი მხოლოდ ობიექტური წყობისაა. წყობის გასარკვევად ყველაზე მოხერხებულია პირველ პირს მივმართოთ.

უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოებაც.

1. ხანმეტს ძეგლებში მესამე პირის MO-ის პრეფიქსი **ხ** წინ უსწრებს პირველი პირის MS-ის პრეფიქსს **ვ**'ს, თუ შემდეგ ხმოვანია: **მიხუეტ, მიხუაგო** (უნივ. მოამბე, II, 386), **მიხუმსგავსნეთ** (იქვე, გვ. 390), **ალხუტყორცებ** (იქვე, გვ. 391). აქ ობიექტური პრეფიქსი **ხ** წინ უსწრებს **უ** (← **ვ**)'ს; ამის გამო სუბიექტური წყობის ფორმას თავში ობიექტური პრეფიქსი აღმოაჩნდა; ეს კი ეწინააღმდეგება ჩვენს განსაზღვრებას. მაგრამ მხოლოდ ერთის შეხედვით, რადგანაც ჩვენი კვალიფიკაცია მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით ხდებოდა და ამ მხრივ არაფერი შეცვლილა; ეს ცვლილება კი ფონეტიკური ხასიათისაა და ვერ შეცვლის მორფოლოგიურ კვალიფიკაციას; **ვუწერ (მე მას)** — ხომ შეიძლება ამ ფორმამ დაკარგოს **ვ** (ამის საკმაო მაგალითებია ძველს ქართულშიც)! მაგრამ ამის გამო არავინ იტყვის, პირველი პირის MS-ის პრეფიქსი ქართულში ნულიაო, ანდა: არ არის სწორი, თითქოს პირველი პირის MS-ის პრეფიქსი **ვ** იყოსო.

2. ზოგიერთი ზმნა ქართულში უპირატესად ობიექტური წყობით იხმარება, მაგალ., **მაქუს, მყავს, მრწამს, მიყუარს, მძულს...** მიზეზი ნათელია: ეს ობიექტური წყობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, რეალობის სუბიექტურ წყობას გადმოგვცემს, ესე იგი, იმას, რაც უცხო ენებში ჩვეუ-

¹ ზმნის ფუძეზე იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ ზმნის ფორმა შეიძლება პრევერბით იქნეს დაწყებული: პრევერბი, პრეფიქსი (სუბიექტისა და ობიექტისა), მაქცევარი, (ძირი)... ასეთია ქართულ ზმნაში წინსართთა თანამიმდევრობა: და-ვ-უ-წერე...

ლებრივ გარდამავალი ზმნებით აღინიშნება: *имею, верю, люблю, ненавижу...* ყოველდღიურ ცხოვრებაში კი სწორედ ამ ფორმათა ხმარებაა ხშირი. შედარებით უფრო იშვიათად იხმარება იგივე ზმნები სუბიექტურ წყობაში: **ვსძულ, ვპრწამ, ვუყუარ, ვჰყავ...** ყოველ შემთხვევაში ასეთი წყობაც აქვს ამ რელატიურ ზმნებს. არის ქართულში ისეთი რელატიური ზმნებიც, რომელთაც მხოლოდ ობიექტური წყობა აქვთ; მაგალ., **მძინავს, მღვავს, მშის, მტკივის, მიკურს, მიჯმს, მაქუს** და სხვ. ზოგიერთი მათგანი-სათვის MS-ის მოძებნაც კი ჭირს, არა თუ სუბიექტური წყობის აღდგენა; ამისდა მიუხედავად, მაინც საფიქრებელია, რომ მათ მოეპოვებოდათ თავდაპირველად MS-იც, ვთქვათ: **მძინავს მე ძილი** (იხ. მაგალ., კ ი მ ე ნ ი, გვ. 339³³: **და მშუდობით ძილი იგი ღირსთა მისთაჲ დაიძინა თთუესა მანსა ოცდასამსა...**) ხოლო: **მტკივა (მე) თავი, მიკვირს (მე) ამბავი, მშია პური** ახლაც ჩვეულებრივია.

78. ზმნათა დაყოფა აბსოლუტურ და რელატიურ სახეობისად, რელატიურ სახეობისაში სუბიექტური და ობიექტური წყობის გარჩევა სავსებით საკმარისია ჩვენი მიზნებისათვის ქართული ზმნის დასახასიათებლად **მორფოლოგიური** თვალსაზრისით. უმთავრესად სინტაქსური მნიშვნელობა აქვს ზმნების დაყოფას **გარდაუვალ** და **გარდამავალ** ზმნებად, იმიტომ, რომ ნამყო ძირითადში (აორისტში)² მორფოლოგიური სუბიექტის ბრუნვა შეიძლება იყოს სახელობითი ან მოთხრობითი იმისდა მიხედვით, თუ რავარია ზმნა: გარდაუვალი თუ გარდამავალი.

გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა განსაზღვრება შესაძლებელია და საჭიროა იქნეს მოცემული, როგორც MS-ის (ეს უწინარეს ყოვლისა!), ისე MO-ის მიხედვით.

¹ ზმნების დაყოფა აბსოლუტურსა და რელატიურად პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე ს ეკუთვნის, ოღონდ მისთვის ეს უღრის დაყოფას ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ და ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ; სუბიექტი და ობიექტი კი მას ესმის, როგორც ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი ცნებები (იხ. ა. შანიძე, „პრეფიქსები“ § 2,14).

სუბიექტური და ობიექტური „წყობა“, რამდენადაც ვიცით, პირველად აკად. ნ. მ ა რ მ ა შემოიღო, მაგრამ მისი გაგება რომ თვალსაჩინოდ განსხვავდება აქ წარმოდგენილისაგან, ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი წ ყ ო ბ ის ა ბ ს ო - ლ უ ტ უ რ ფ ო რ მ ე ბ ს უწოდებს ზმნებს, როგორცაა ვ ს ტ ა ვ, ვ ი რ თ ა ვ, ვ დ ე ბ, ვ ი წ ყ ე ბ, ვ ა ქ ე ბ, ვ გ მ ო ბ... (Основ. табл., ტაბ. XIII, a), ანდა: ვ წ ვ ა ვ, ვ დ გ ა მ, ვ ს უ ა მ, ვ ი რ ტ ყ ა მ, ვ ი ს ხ ა მ; ვ კ რ ე ბ, ვ ძ ლ ე ვ, ვ ხ უ რ ე ტ, ვ ი ჭ ე რ, ვ ა ჯ დ ე ნ (! — ძვ. ქართულში?!)... (იქვე, ტაბ. XIII, b), ან კიდევ: ვ კ ლ ა ვ, ვ ი ბ ყ რ ო ბ, ვ ა ს წ რ ო ბ, ვ ჭ რ ი, ვ ც ვ ლ ი... (იქვე, ტაბ. XIII, c)... ეს ფორმები რ ე ლ ა ტ ი უ რ ი ს ა ხ ე ო ბ ა ა ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი წ ყ ო ბ ის ა: არც ერთი ფორმა აბსოლუტური არ არის (იხ. „პრეფიქსები“, § 13).

² ტერმინი „ნ ა მ ყ ო ძ ი რ ი თ ა დ ი“ (praeteritum princeps) აორისტისათვის გამართლებულია მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ა დ ა ც, რამდენადაც იგი საფუძველია მეორე ჯგუფის დრო-კილოთათვის, და ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ა დ ა ც, რაკი გარდამავლობა-გარდაუვალობის საკითხი მის გარეშე ვერ გადაწყდება.

პირველის თვალსაზრისით: **გარდაუვალია** ყოველი ზმნა, რომელსაც ან სულ არა აქვს ნამყო ძირითადი (აორისტი), ან თუ აქვს, მოითხოვს MS-ს სახელობითს ბრუნვაში; **გარდამავალია** ყოველი ზმნა, რომელიც ნამყო ძირითადში (აორისტში) MS-ს მოთხოვს ბრუნვაში მოითხოვს.

ობიექტის (MO-ის) თვალსაზრისითაც მათი დახასიათება საჭიროა მით უფრო, რომ მოთხოვითი ბრუნვის ხმარებისას შეიძლება რყევამ იჩინოს თავი, და შეიძლება დაისვას კითხვა: როდისღა უნდა ვიხმაროთ მოთხოვითი ბრუნვა MS-ისთვისო? ასეთ შემთხვევაში MO-ს უნდა მივმართოთ: ეს მით უფრო მიზანშეწონილია, რომ MO-ის ბრუნვათა ხმარება შეუდარებლად უფრო მკვიდრია; თვით ახალს ქართულში, არა მარტო დიალექტებში, არამედ სამწერლობო ენაშიაც შესაძლებელია (თუმც იშვიათად!) უმართებულოდ იქნეს ნახმარი მოთხოვითი ბრუნვა (MS) — **იმან დამპირდა, დამეზმარა, შემეკითხა**, — მაგრამ თითქმის შეუძლებელია MO-ის ბრუნვის ხმარებაში რაიმე რყევა. ბუნებრივია ამიტომაც, რომ MS-ის შემდეგ MO-ს, როგორც უფრო სანდო კრიტერიუმს მივმართოთ.

ამ მხრივ კი: **გარდაუვალია** ყოველი ზმნა, რომელსაც ან სულ არა აქვს MO, ან თუ აქვს, ოდენ მიცემითს ბრუნვაში აქვს, იქნება ზმნა ნამყო ძირითადში თუ აწმყოში; **გარდამავალია** ყოველი ზმნა, რომელსაც ნამყო ძირითადში შეიძლება ჰქონდეს MO სახელობითს ბრუნვაში. ეს პირობა აუცილებელიცაა და საკმაოც.

გარდაუვალ ზმნათა ნიმუშებია: I. იგი არს, იგი დგას, იგი ზის, იგი წევს, იგი ჩანს... იგი მეფობს; იგი გორავს... იგი უდგას მას; იგი უზის მას, იგი უწევს მას, იგი უჩნს მას — (არც ერთს არა აქვს ნამყო ძირითადი და მისგან ნაწარმოები დრო-კილოც, რა თქმა უნდა); იგი განკაცნების — იგი განკაცნა; იგი განჭაპუენების — იგი განჭაპუენა; იგი ნათლდების — იგი განათლდა; იგი ძლიერდების — იგი განძლიერდა; იგი იწერების — იგი დაიწერა; იგი იკლვის — იგი მოიკლა; იგი ისპობის — იგი მოისპო.

II. იგი უდგების მას — იგი დაუდგა მას; იგი უჯდების მას — იგი დაუჯდა მას; იგი უწვების მას — იგი დაუწვა მას; იგი უჩნდების მას — იგი გაუჩნდა მას; იგი უკუდების მას — იგი მოუკუდა მას; იგი უკმების მას — იგი გაუკმა მას; იგი ეკლვის მას — იგი დაეკლა მას; იგი ეწერების მას — იგი დაეწერა მას...

აქ MS ყველგან სახელობითშია; MO ან სულ არ არის (იხ. პირველი ჯგუფი) ან მიცემითშია უცვლელად (იხ. მეორე ჯგუფი).

გარდამავალ ზმნათა ნიმუშებია: იგი ჰპოვებს მას — მან პოვა იგი; იგი ჰკლავს მას — მან კლა იგი; იგი იკლავს მას — მან იკლა იგი; იგი უკლავს მას — მან უკლა მას იგი; იგი აკლავს მას — მან აკლა მას იგი; იგი აკლვევინებს მას — მან აკლვევინა მას იგი; იგი სთხოვს მას — მან სთხოვა მას იგი...: აქ MS აწმყოში — სახელობითშია, ნამყო ძირითადში — მოთხოვითშია; MO აწმყოში მიცემითშია (რამდენიც არ უნდა იყოს), ნამყო ძირითადში კი, თუ ერთია — სახელობითშია; თუ

ორია — ერთი სახელობითშია, მეორე — მიცემითში. MO-ის რაოდენობა სიმპტომატურია ერთს შემთხვევაში: ორი MO-ის ხმარება უტყუარი ნიშანია ზმნის გარდამავლობისა.

როგორც ვხედავთ, გარდამავალი ზმნის MO ნამყო ძირითადში სახელობითში უნდა იყოს; რაკი ყოველი MO აწმყოში მიცემითს ბრუნვაში დაისმის, გამოდის, რომ გარდამავალი ზმნის MO ბრუნვაცვალეზადია (აწმყოში მიცემითშია, ნამყო ძირითადში — სახელობითში); ამიტომ შეიძლება გვეთქვა: ბრუნვაცვალეზადი MO არის მაჩვენებელი ზმნის გარდამავლობისა ანუ **ზმნა გარდამავალია, თუ მას ბრუნვაცვალეზადი MO მოეპოვება**.¹

¹ პროფ. ა. შანიძის უთუო და მნიშვნელოვან დამსახურებას ქართველური ენათმეცნიერების წინაშე, სხვათა შორის, ზმნის გარდამავლობის განსაზღვრა შეადგენს; მან წამოაყენა განსაზღვრება: „მოქმედებითი ზმნა ის ზმნაა, რომელსაც პირდაპირი დამატება, დამატება ნივთისა, დრო-კილოთა პირველ ჯგუფში მიცემითი ბრუნვით, ხოლო მეორე ჯგუფში სახელობითის ბრუნვით აქვს გამოხატული“ (იხ. ქართული ზმნის საქცევი, ტფილ. უნივერს. მოამბე, VI, გვ. 316-317); იგივე აზრი მას გამოთქმული აქვს გაცილებით ადრე: იხ. „პრეფიქსები“, გვ. 78, შენ. 2; აქ ვკითხულობთ: „დამატება მიცემითში საშუალო გვარის ზმნასაც შეიძლება ჰქონდეს და მოქმედებითისასაც; სახელობითის დამატება კი მხოლოდ მოქმედებითი გვარის ზმნებს აქვთ“. — ამით რელატიურობა გაიმიჯნა გარდამავლობისაგან, რაც ასე ძნელი იყო ქართულში.

გარდამავლობის განსაზღვრა MO-ის მიხედვით ჩვენ პროფ. ა. შანიძის განსაზღვრებაზე დაყრდნობით გვაქვს მოცემული; მხოლოდ შემდეგი უნდა ითქვას: უხერხულია „მოქმედებითი ზმნის“ შესახებ ლაპარაკი ასეთი კლასიფიკაციის დროს: ქართულში მოქმედებითი გვარისა შეიძლება იყოს ზმნა კი არა, არამედ დროთა გარკვეული ჯგუფი, სახელდობრ, **აწმყო ჯგუფი**. დროთა **მესამე ჯგუფში** ყოველი ზმნა ან ვნებითის სახეობას წარმოგიდგენს, ან საშუალო-ვნებითისას თუ საშუალო-სას: ეკლა, ეწერა; უწერიეს; უქმნიეს; უკლავს, უდგამს. **ნამყო ძირითადის** ჯგუფი კი თვით გარდამავალ ზმნებთანაც არ არის „მოქმედებითი“, არამედ **სპეციფიკურ-ინდიფერენტულია...**

რომ ზმნათა ასეთი კლასიფიკაციის დროს „მოქმედებითი“ შეუფერებელია, იქიდანაც ცხადია, რომ მის კორელატად საშუალო და ვნებითი კი არ გვევლინება, არამედ გარდაუვალი. ამას გარდა: სრულიად მიუღებელია ტერმინი პირდაპირი დამატება; მართალია, ბრუნვაცვალეზადი MO უდრის სხვა (კერძოდ, ინდო-ევროპულ) ენათა პირდაპირ დამატებას, მაგრამ უდრის შინაარს-მნიშვნელობით და არა გრამატიკულად. რატომ, — ამაზე სხვაგან ვიტყვით კი: პირდაპირი დამატება ქართულში, და ქართველურ ენებშიც, — არ არსებობს; ეს ამათი განსაკუთრებული თვისებაა. პირდაპირ დამატებად სახელდება ბრუნვაცვალეზადი MO-ისა „ეგების არც ცუდი იყოს ქართული ენის ევროპელთათვის შესასწავლად, მაგრამ არსებითად სწორი არ არის“... პრაქტიკული მოტივებით, ყოველ შემთხვევაში, იქ ვერ ვიხელმძღვანელებთ, სადაც ეს პრინციპის უგულვებელყოფას იძლევა.

79. რა მიმართებაში იმყოფება სინტაქსური დაყოფა **გარდაუვალსა** და **გარდამავალ** ზმნებად მორფოლოგიურ დაყოფასთან **აბსოლუტურსა** და **რელატიურ** სახეობებად? აბსოლუტური სახეობის ყოველი ზმნა უთუოდ გარდაუვალია: **დგას, დგების, კუდების, ძლიერების, იკლვის – იგი;** რელატიური სახეობის ზმნა კი შეიძლება იყოს გარდაუვალიცა და გარდამავალიც; რელატიურობა გულისხმობს **MO**-ის არსებობას და, როგორც ვიცით, თუ **MO** ბრუნვაუცვლელია (მუდამ მიცემითშია), ზმნა გარდაუვალია: **უდგას, უდგების, უკუდების, ეკლვის – მას იგი;** ხოლო თუ ბრუნვაუცვალეა (აწმყოში მიცემითშია, ნამყო ძირითადში კი — სახელობითში) — ზმნა გარდამავალია: **ჰპობეს, ჰკლავს მას იგი; უკლავს, აკლავს – მას მას იგი...** ამისდა კვალობაზე, თუ ორივე თვალსაზრისი, მორფოლოგიური და სინტაქსური, ერთად იქნება გამოყენებული, მივიღებთ ზმნათა შემდეგს სამ ჯგუფს: 1. აბსოლუტურ-გარდაუვალი, 2. რელატიურ-გარდაუვალი და 3. რელატიურ-გარდამავალი ზმნები.

ამ ბინარულ ნომენკლატურაში პირველი ნაწილი ზმნის მორფოლოგიურ დახასიათებას წარმოგვიდგენს, მეორე კი — სინტაქსურს. ახლა გვრჩება თითოეული ამ ჯგუფიდან თითო-ორილა მაგალითის აღება და გათვალისწინება ყველა იმ ფორმისა, რომლის მოცემაც შეუძლია ზმნას და რომელიც მნიშვნელოვანია შესიტყვებისათვის, უკეთ — სახელისა და ზმნის ურთიერთობისათვის (ესე იგი, წინადადებისათვის).

აბსოლუტურ-გარდაუვალთა ნიმუშად გვექნება: **დგას, კუდების, მხიარულების, განკაცების იგი;** რელატიურ-გარდაუვალთა ნიმუშად: **უდგას, უკუდების; ევედრების მას იგი;** რელატიურ-გარდამავალთათვის — **ჰკლავს იგი მას; ჰპობეს იგი მას; სთხოვს იგი მას მას;** პირველ ორს ერთი **MO** გააჩნია, მეორეს კი ორი **MO** აქვს: ერთი — ბრუნვაუცვლელი, მეორე — ბრუნვაუცვალეა. ამ ზმნათა ფორმები იქნება წარმოდგენილი ყველა პირში, — როგორც **MS**-ისა, ისე **MO**-ისა; აგრეთვე ორივე რიცხვის მიხედვით, — დრო-კილოთა სამსავე ჯგუფში: აწმყოში, ნამყო უსრულსა და კონიუნქტივს პირველში (პირველი ჯგუფი); ნამყო ძირითადსა, ნამყო ჩვეულებითსა და კონიუნქტივს მეორეში (მეორე ჯგუფი); ნამყო სრულსა, ნამყო წინარეწარსულსა და კონიუნქტივს მესამეში (მესამე ჯგუფი). ბრძანებითის ფორმები არ იქნება განხილული, რადგანაც ისინი ჩვეულებრივად წინადადებას კი არ ქმნიან, არამედ წინადადების ეკვივალენტსლა წარმოადგენენ.

2. სხვადასხვა ტიპის ზმნათა უღვლილების პარადიგმები

80. A. აბსოლუტური სახეობის გარდაუვალი ზმნები: დგას, კუდების, მხიარულების, განკაცების.

პ ი რ ვ ე ლ ი ჯ გ უ ფ ი

1. აწმყო

- | | |
|---|---|
| <p>1. იგი დგას-ს (-ნ)
შენ ხ-დგა
მე ვ-დგა
იგინი დგას-ან (-ედ)
თქვენ ხ-დგათ
ჩვენ ვ-დგათ</p> | <p>2. იგი კუდების-ს (-ნ)
შენ ხ-კუდები
მე ვ-კუდები
იგინი კუდები-ან (-ედ)
თქვენ ხ-კუდები-თ
ჩვენ ვ-კუდები-თ</p> |
| <p>3. იგი მხიარულები-ს (-ნ)
შენ ხ-მხიარულები
მე ვ-მხიარულები
იგინი მხიარულები-ან (-ედ)
თქვენ ხ-მხიარულები-თ
ჩვენ ვ-მხიარულები-თ</p> | <p>4. იგი განკაცების-ს (-ნ)
შენ გან-ხ-კაცები
მე გან-ვ-კაცები
იგინი განკაცების-ან (-ედ)
თქვენ გან-ხ-კაცები-თ
ჩვენ გან-ვ-კაცები-თ</p> |

2. ნამყო უსრული

- | | |
|---|---|
| <p>1. (არა აქვს)</p> | <p>2. იგი კუდებოდ-ა (-ი-ს)
შენ ხ-კუდებოდი
მე ვ-კუდებოდი
იგინი კუდებოდ-ეს (-ი-ან)
თქვენ ხ-კუდებოდი-თ
ჩვენ ვ-კუდებოდი-თ</p> |
| <p>3. იგი მხიარულებოდ-ა (-ი-ს)
შენ ხ-მხიარულებოდი
მე ვ-მხიარულებოდი
იგინი მხიარულებოდ-ეს (-ი-ან)
თქვენ ხ-მხიარულებოდი-თ
ჩვენ ვ-მხიარულებოდი-თ</p> | <p>4. იგი განკაცებოდ-ა (-ი-ს)
შენ გან-ხ-კაცებოდი
მე გან-ვ-კაცებოდი
იგინი განკაცებოდ-ეს (-ი-ან)
თქვენ გან-ხ-კაცებოდი-თ
ჩვენ გან-ვ-კაცებოდი-თ</p> |

3. კონიუნქტივი პირველი

- | | |
|---|---|
| 1. (არა აქვს) | 2. იგი კუდებოდე-ს
შენ ხ-კუდებოდე
მე ვ-კუდებოდე
იგინი კუდებოდე-ნ
თქუენ ხ-კუდებოდე-თ
ჩუენ ვ-კუდებოდე-თ |
| 3. იგი მხიარულდებოდე-ს
შენ ხ-მხიარულდებოდე
მე ვ-მხიარულდებოდე
იგინი მხიარულდებოდე-ნ
თქუენ ხ-მხიარულდებოდე-თ
ჩუენ ვ-მხიარულდებოდე-თ | 4. იგი განკაცნებოდე-ს
შენ გან-ხ-კაცნებოდე
მე გან-ვ-კაცნებოდე
იგინი განკაცნებოდე-ნ
თქუენ გან-ხ-კაცნებოდე-თ
ჩუენ გან-ვ-კაცნებოდე-თ |

მეორე ჯგუფი

1. ნამყო ძირითადი (აორისტი)

- | | |
|--|---|
| 1. (არა აქვს) | 2. იგი მოკუდ-ა
შენ მო-ხ-კუედ
მე მო-ვ-კუედ
იგინი მო-კუდ-ეს
თქუენ მო-ხ-კუედ(ი)-თ
ჩუენ მო-ვ-კუედ(ი)-თ |
| 3. იგი განმხიარულდ-ა
შენ გან-ხ-მხიარულდი
მე გან-ვ-მხიარულდი
იგინი განმხიარულდ-ეს
თქუენ გან-ხ-მხიარულდი-თ
ჩუენ გან-ვ-მხიარულდი-თ | 4. იგი განკაცნ-ა
შენ გან-ხ-კაცენ
მე გან-ვ-კაცენ
იგინი განკაცენ-ეს
თქუენ გან-ხ-კაცენი-თ
ჩუენ გან-ვ-კაცენი-თ |

2. ნამყო ჩვეულებითი (ჰაბიტუალისი, პერმანსივი)

- | | |
|---------------|--|
| 1. (არა აქვს) | 2. იგი მოკუდი-ს (-ნ)
შენ მო-ხ-კუდი
მე მო-ვ-კუდი
იგინი მო-კუდი-ან (-ედ)
თქუენ მო-ხ-კუდი-თ
ჩუენ მო-ვ-კუდი-თ |
|---------------|--|

- | | |
|---|--|
| 3. იგი განმხიარულდი-ს (-ნ)
შენ გან-ხ-მხიარულდი
მე გან-ვ-მხიარულდი
იგინი განმხიარულდი-ან (-ედ)
თქუენ გან-ხ-მხიარულდი-თ
ჩუენ გან-ვ-მხიარულდი-თ | 4. იგი განკაცნი-ს (-ან)
შენ გან-ხ-კაცნი
მე გან-ვ-კაცნი
იგინი განკაცნი-ან (-ედ)
თქუენ გან-ხ-კაცნი-თ
ჩუენ გან-ვ-კაცნი-თ |
|---|--|

3. კონიუნქტივი მეორე

- | | |
|---|---|
| 1. (არა აქვს) | 2. იგი მოკუდე-ს
შენ მო-ხ-კუდე
მე მო-ვ-კუდე
იგინი მოკუდე-ნ
თქუენ მო-ხ-კუდე-თ
ჩუენ მო-ვ-კუდე-თ |
| 3. იგი განმხიარულდე-ს
შენ გან-ხ-მხიარულდე
მე გან-ვ-მხიარულდე
იგინი განმხიარულდე-ნ
თქუენ გან-ხ-მხიარულდე-თ
ჩუენ გან-ვ-მხიარულდე-თ | 4. იგი განკაცნე-ს
შენ გან-ხ-კაცნე
მე გან-ვ-კაცნე
იგინი განკაცნე-ნ
თქუენ გან-ხ-კაცნე-თ
ჩუენ გან-ვ-კაცნე-თ |

მესამე ჯგუფი

1. ნამყო სრული (შედეგობრივი I, თურმეობითი I)

- | | |
|---|---|
| 1. (არა აქვს) | 2. იგი მომკუდარ არ-ს (-ნ)
შენ მომკუდარ ხ-არ
მე მომკუდარ ვ-არ
იგინი მომკუდარ არი-ან (-ედ)
თქუენ მომკუდარ ხ-არ-თ
ჩუენ მომკუდარ ვ-არ-თ |
| 3. იგი განმხიარულებულ არ-ს (-ნ)
შენ განმხიარულებულ ხ-არ
მე განმხიარულებულ ვ-არ
იგინი განმხიარულებულ არი-ან
(-ედ)
თქუენ განმხიარულებულ ხ-არ-თ
ჩუენ განმხიარულებულ ვ-არ-თ | 4. იგი განკაცებულ არ-ს (-ნ)
შენ განკაცებულ ხ-არ
მე განკაცებულ ვ-არ
იგინი განკაცებულ არი-ან
(-ედ)
თქუენ განკაცებულ ხ-არ-თ
ჩუენ განკაცებულ ვ-არ-თ |

2. ნამყო წინარეწარსული (შედგობრივი II, თურმეობითი II)

- | | |
|---|--|
| 1. (არა აქვს) | 2. იგი მომკუდარ ხ-იყ-ო
შენ მომკუდარ ხ-იყავ
მე მომკუდარ ხ-ვ-იყავ
იგინი მომკუდარ ხ-იყვნ-ეს
თქუენ მომკუდარ ხ-იყვენი-თ
ჩუენ მომკუდარ ხ-ვ-იყვენი-თ |
| 3. იგი განმხიარულებულ ხ-იყ-ო
შენ განმხიარულებულ ხ-იყავ
მე განმხიარულებულ ხ-ვ-იყავ
იგინი განმხიარულებულ
ხ-იყვნ-ეს
თქუენ განმხიარულებულ
ხ-იყვენი-თ
ჩუენ განმხიარულებულ
ხ-ვ-იყვენი-თ | 4. იგი განკაცებულ ხ-იყო
შენ განკაცებულ ხ-იყავ
მე განკაცებულ ხ-ვ-იყავ
იგინი განკაცებულ ხ-იყვენ-ეს
თქუენ განკაცებულ ხ-იყვენი-თ
ჩუენ განკაცებულ ხ-ვ-იყვენი-თ |

4. კონიუნქტივი მესამე

- | | |
|---|---|
| 1. (არა აქვს) | 2. იგი მომკუდარ ხ-იყო-ს
შენ მომკუდარ ხ-იყო
მე მომკუდარ ხ-ვ-იყო
იგინი მომკუდარ ხ-იყვენ-ნ
თქუენ მომკუდარ ხ-იყვენ-თ
ჩუენ მომკუდარ ხ-ვ-იყვენ-თ |
| 3. იგი განმხიარულებულ ხ-იყო-ს
შენ განმხიარულებულ ხ-იყო
მე განმხიარულებულ ხ-ვ-იყო
იგინი განმხიარულებულ ხ-იყვენ-ნ
თქუენ განმხიარულებულ ხ-იყვენ-თ
ჩუენ განმხიარულებულ ხ-ვ-იყვენ-თ | 4. იგი განკაცებულ ხ-იყო-ს
შენ განკაცებულ ხ-იყო
მე განკაცებულ ხ-ვ-იყო
იგინი განკაცებულ ხ-იყვენ-ნ
თქუენ განკაცებულ ხ-იყვენ-თ
ჩუენ განკაცებულ ხ-ვ-იყვენ-თ |

შენიშვნა: 1. **ღვას** ზმნას მხოლოდ აწმყო აქვს: **ვღევ, ზღევ, ღვა...** და ამის რიგის ფორმები მიღებულია **ღვების** საგან.

2. **ღვას**'ის მსგავსად იუღვლებიან: **არს, ზის, წევს** და სხვ., ოღონდ **ზის** მრავლ. მესამე პირისათვის ახალ ძირს იყენებს: **სზენან || სზედან**.

3. **კულების**'ის მსგავსად იუღვლებიან: **ღვების, წვების, ჯღვების, ჩნღვების, კმების, შრების, წყღვების** და სხვ.

4. **მზიარულღების**'ის მსგავსად იუღვლება **ღ(←ედ)**'ით ნაწარმოები ყველა ნასახელარი ვნებითი: **ნათღვების, ცალიერღვების, ძლიერღვების, მწნღვების** და სხვ., ხოლო **განკაცნების**'ის მსგავსად — **ნ(←ენ)**'ით ნაწარმოები ყველა ნასახელარი ვნებითი: **განჭაპუნების, განსპეტაკების** და სხვ.

5. მეორე პირის **MS** აქაც და ყველგან ქვემოთ წარმოდგენილია ხანმეტი ნორმების მიხედვით; ჰემეტსა და მერმინდელ ძეგლებში მისი სახე და შესაძლო ვარიაცია მოცემული იქნება ქვემოთ (ნაწილობრივ იხ. ზემოთაც). ხანმეტ ნორმებს უპირატესობა იმიტომ ვარგუნეთ, რომ იგი ერთფეროვანია ამ მხრივ, მასთან **ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ქ ა რ თ უ ლ ი ს უ ძ ვ ე ლ ე ს ს ა ხ ე ბ ა ს წ ა რ მ ო გ ვ ი დ გ ე ნ ს**.

6. ნამყო უსრულში ძველს ქართულში ისტორიულად განსხვავებული უნდა ყოფილიყო ორი სახეობა: 1. ნამყო ძირითადის (**კლას** ტიპის) დაბოლოებანი: **კუღვოდ-ა, ხ-კუღვოდ, ვ-კუღვოდ**; ასეთი უნო პირველი და მეორე პირი ნამყო უსრულში არც თუ ხშირად, მაგრამ მაინც გვხვდება ძველს ქართულში; 2. ნამყო ჩვეულებითის დაბოლოებანი: **კუღვოდ-ის, ხ-კუღვოდ-ი, ვ-კუღვოდ-ი...**

ეს ორი ტიპი ჩვეულებრივ მხოლოდ მესამე პირშია გარჩეული. ჩვენს მაგალითებში ზედმეტი სირთულის თავიდან ასაცილებლად ნამყო უსრულში ეს ორგვარი დაბოლოება **როგორც აქ, ისე ქვემოთ ყველგან**, გარჩეულია მხოლოდ მესამე პირში.

7. აქაც და ყველგან ქვემოთ ზმნის ფორმებში გამოყოფილია მხოლოდ პირისა და რიცხვის აღმნიშვნელი ფორმანტები: ჩვენთვის ამ ორი კატეგორიის აღნიშვნა ანალიზთან დაკავშირებით საინტერესო. ამას გარდა მხოლოდ **ხ-იყო, ხ-იყოს**'ში გამოვყავით **ხ**, რომლის სადაურობა პირველსა და მესამე პირში გაურკვეველია.

81. B. რელატიური სახეობის გარდაუვალი ზმნები: ხუდგას, ხუკულების, ხევედრების.

პ ი რ ვ ე ლ ი ჯ გ უ ფ ი

1. აწმყო

	MS	MO		MS	MO
1.	იგი	ხ-უდგა-ს მას, მათ	2.	იგი	ხ-უკულები-ს მას, მათ
	”	გ-იდგა-ს შენ, თქვენ		”	გ-იკულები-ს შენ, თქვენ
	”	მ-იდგა-ს მე (ჩუენ)		”	მ-იკულები-ს მე (ჩუენ)
	”	გვ-დგა-ს ჩუენ		”	გვ-კულები-ს ჩუენ
	შენ	ხ-უდგა მას, მათ		შენ	ხ-უკულები მას, მათ
	”	მ-იდგა მე (ჩუენ)		”	მ-იკულები მე (ჩუენ)
	”	გვ-დგა ჩუენ		”	გვ-კულები ჩუენ
	მე	ხ-ვ-უდგა მას, მათ		მე	ხ-ვ-უკულები მას, მათ
	”	გ-იდგა შენ, თქვენ		”	გ-იკულები შენ, თქვენ
	იგინი	ხ-უდგა-ნ-ან მას, მათ		იგინი	ხ-უკულები-ან მას, მათ
	”	გ-იდგა-ნ-ან შენ, თქვენ		”	გ-იკულები-ან შენ, თქვენ
	”	მ-იდგა-ნ-ან მე (ჩუენ)		”	მ-იკულები-ან მე (ჩუენ)
	”	გვ-დგა-ნ-ან ჩუენ		”	გვ-კულები-ან ჩუენ
	თქუენ	ხ-უდგა-თ მას, მათ		თქუენ	ხ-უკულები-თ მას, მათ
	”	მ-იდგა-თ მე (ჩუენ)		”	მ-იკულები-თ მე (ჩუენ)
	”	გვ-დგა-თ ჩუენ		”	გვ-კულები-თ ჩუენ
	ჩუენ	ხ-ვ-ხუდგა-თ მას, მათ		ჩუენ	ხ-ვ-უკულები-თ მას, მათ
	”	გ-იდგა-თ შენ, თქვენ		”	გ-იკულები-თ შენ, თქვენ
3.	იგი	ხ-ევედრები-ს მას, მათ		იგინი	ხ-ევედრები-ან მას, მათ
	”	გ-ევედრები-ს შენ, თქვენ		”	გ-ევედრები-ან შენ, თქვენ
	”	მ-ევედრები-ს მე (ჩუენ)		”	მ-ევედრები-ან მე (ჩუენ)
	”	გუ-ევედრები-ს ჩუენ		”	გუ-ევედრები-ან ჩუენ
	შენ	ხ-ევედრები მას, მათ		თქუენ	ხ-ევედრები-თ მას, მათ
	”	მ-ევედრები ჩუენ		”	მ-ევედრები-თ მე (ჩუენ)
	”	გუ-ევედრები ჩუენ		”	გუ-ევედრები-თ ჩუენ
	მე	ხ-ვ-ევედრები მას, მათ		ჩუენ	ხ-ვ-ევედრები-თ მას, მათ
	”	გ-ევედრები შენ, თქვენ		”	გ-ევედრები-თ შენ, თქვენ

2. ნამყო უსრული

<p>1. (აწმყოს გარდა სხვა დრო არა აქვს)</p>	<p>2. იგი ბ-უკუდებოდ-ა (-ი-ს) მას, მათ</p> <p>„ გ-იკუდებოდ-ა (ი-ს) შენ, თქვენ</p> <p>„ მ-იკუდებოდ-ა (ი-ს) მე (ჩუენ)</p> <p>„ გვ-კუდებოდ-ა (-ი-ს) ჩუენ</p> <p>შენ ბ-უკუდებოდი მას, მათ</p> <p>„ მ-იკუდებოდი მე (ჩუენ)</p> <p>„ გვ-კუდებოდი ჩუენ</p> <p>მე ბ-ვ-უკუდებოდი მას, მათ</p> <p>„ გ-იკუდებოდი შენ, თქვენ</p> <p>იგინი ბ-უკუდებოდ-ეს (-ი-ან) მას, მათ</p> <p>„ გ-იკუდებოდ-ეს (ი-ან) შენ, თქვენ</p> <p>„ მ-იკუდებოდ-ეს (ი-ან) მე (ჩუენ)</p> <p>თქუენ ბ-უკუდებოდი-თ მას, მათ</p> <p>„ მ-იკუდებოდი-თ მე (ჩუენ)</p> <p>„ გვ-კუდებოდი-თ ჩუენ</p> <p>ჩუენ ბ-ვ-უკუდებოდი-თ მას, მათ</p> <p>„ გ-იკუდებოდი-თ შენ, თქვენ</p>
<p>3. იგი ბ-ევედრებოდ-ა (-ი-ს) მას, მათ</p> <p>„ გ-ევედრებოდ-ა (-ი-ს) შენ, თქვენ</p> <p>„ მ-ევედრებოდ-ა (-ი-ს) მე (ჩუენ)</p> <p>„ გუ-ევედრებოდ-ა (-ი-ს) ჩუენ</p> <p>შენ ბ-ევედრებოდი მას, მათ</p> <p>„ მ-ევედრებოდი მე (ჩუენ)</p> <p>„ გუ-ევედრებოდი ჩუენ</p> <p>მე ბ-ვ-ევედრებოდი მას, მათ</p> <p>„ გ-ევედრებოდი შენ, თქვენ</p>	<p>იგინი ბ-ევედრებოდ-ეს (-ი-ან) მას, მათ</p> <p>„ გ-ევედრებოდ-ეს (-ი-ან) შენ, თქვენ</p> <p>„ მ-ევედრებოდ-ეს (-ი-ან) მე (ჩუენ)</p> <p>„ გუ-ევედრებოდ-ეს (-ი-ან) ჩუენ</p> <p>თქუენ ბ-ევედრებოდი-თ მას, მათ</p> <p>„ მ-ევედრებოდი-თ მე (ჩუენ)</p> <p>„ გუ-ევედრებოდი-თ ჩუენ</p> <p>ჩუენ ბ-ვ-ევედრებოდი-თ მას, მათ</p> <p>„ გ-ევედრებოდი-თ შენ, თქვენ</p>

3. კონიუნქტივი პირველი

იგი	ბ-უკუდებოდე-ს მას, მათ	იგი	ბ-ევედრებოდე-ს მას, მათ
”	გ-იკუდებოდე-ს შენ, თქვენ	”	გ-ევედრებოდე-ს შენ, თქვენ
”	მ-იკუდებოდე-ს მე (ჩუენ)	”	მ-ევედრებოდე-ს მე (ჩუენ)
”	გვ-კუდებოდე-ს ჩუენ	”	გუ-ევედრებოდე-ს ჩუენ
შენ	ბ-უკუდებოდე მას, მათ	შენ	ბ-ევედრებოდე მას, მათ
”	მ-იკუდებოდე მე (ჩუენ)	”	მ-ევედრებოდე მე (ჩუენ)
”	გვ-კუდებოდე ჩუენ	”	გუ-ევედრებოდე ჩუენ
მე	ბ-ვ-უკუდებოდე მას, მათ	მე	ბ-ვ-ევედრებოდე მას, მათ
”	გ-იკუდებოდე შენ, თქვენ	”	გ-ევედრებოდე შენ, თქვენ
იგინი	ბ-უკუდებოდე-ნ მას, მათ	იგინი	ბ-ევედრებოდე-ნ მას, მათ
”	გ-იკუდებოდე-ნ შენ, თქვენ	”	გ-ევედრებოდე-ნ შენ, თქვენ
”	მ-იკუდებოდე-ნ მე (ჩუენ)	”	მ-ევედრებოდე-ნ მე (ჩუენ)
”	გვ-კუდებოდე-ნ ჩუენ	”	გუ-ევედრებოდე-ნ ჩუენ
თქუენ	ბ-უკუდებოდე-თ მას, მათ	თქუენ	ბ-ევედრებოდე-თ მას, მათ
”	მ-იკუდებოდე-თ მე (ჩუენ)	”	მ-ევედრებოდე-თ მე (ჩუენ)
”	გვ-კუდებოდე-თ ჩუენ	”	გუ-ევედრებოდე-თ ჩუენ
ჩუენ	ბ-ვ-უკუდებოდე-თ მას, მათ	ჩუენ	ბ-ვ-ევედრებოდე-თ მას, მათ
”	გ-იკუდებოდე-თ შენ, თქვენ	”	გ-ევედრებოდე-თ შენ, თქვენ

მ ე ო რ ე ჯ გ უ ფ ი

1. ნამყო ძირითადი (აორისტი)

იგი	მო-ბ-უკუდ-ა მას, მათ	იგი	ბ-ევედრ-ა მას, მათ
”	მო-გ-იკუდ-ა შენ, თქვენ	”	გ-ევედრ-ა შენ, თქვენ
”	მო-მ-იკუდ-ა მე (ჩუენ)	”	მ-ევედრ-ა მე (ჩუენ)
”	მო-გვ-კუდ-ა ჩუენ	”	გუ-ევედრ-ა ჩუენ
შენ	მო-ბ-უკუედ მას, მათ	შენ	ბ-ევედრე მას, მათ
”	მო-მ-იკუედ მე (ჩუენ)	”	მ-ევედრე მე (ჩუენ)
”	მო-გვ-კუედ ჩუენ	”	გუ-ევედრე ჩუენ
მე	მო-ბ-ვ-უკუედ მას, მათ	მე	ბ-ვ-ევედრე მას, მათ
”	მო-გ-იკუედ შენ, თქვენ	”	გ-ევედრე შენ, თქვენ
იგინი	მო-ბ-უკუდ-ეს მას, მათ	იგინი	ბ-ევედრნ-ეს მას, მათ
”	მო-გ-იკუდ-ეს შენ, თქვენ	”	გ-ევედრნ-ეს შენ, თქვენ
”	მო-მ-იკუდ-ეს მე (ჩუენ)	”	მ-ევედრნ-ეს მე (ჩუენ)
”	მო-გვ-კუდ-ეს ჩუენ	”	გუ-ევედრნ-ეს ჩუენ

თქვენ	მო-ხ-უკუედ(ი)-თ მას, მათ	თქვენ	ხ-ევედრენი-თ მას, მათ
”	მო-მ-იკუედ(ი)-ით მე (ჩუენ)	”	მ-ევედრენი-თ მე (ჩუენ)
”	მო-გვ-კუედ(ი)-თ ჩუენ	”	გუ-ევედრენი-თ ჩუენ
ჩუენ	მო-ხ-უკუედ(ი)-თ მას, მათ	ჩუენ	ხ-ვ-ევედრენი-თ მას, მათ
”	მო-გ-იკუედ(ი)-თ შენ, თქუენ	”	გ-ევედრენი-თ შენ, თქუენ

2. ნამყო ჩვეულებითი (ჰაბიტუალისი, პერმანსივი)

იგი	მო-ხ-უკუდი-ს მას, მათ	იგი	ხ-ევედრი-ს მას, მათ
”	მო-გ-იკუდი-ს შენ, თქუენ	”	გ-ევედრი-ს შენ, თქუენ
”	მო-მ-იკუდი-ს მე (ჩუენ)	”	მ-ევედრი-ს მე (ჩუენ)
”	მო-გვ-კუდი-ს ჩუენ	”	გუ-ევედრი-ს ჩუენ
შენ	მო-ხ-უკუდი მას, მათ	შენ	ხ-ევედრი მას, მათ
”	მო-მ-იკუდი მე (ჩუენ)	”	მ-ევედრი მე (ჩუენ)
”	მო-გვ-კუდი ჩუენ	”	გუ-ევედრი ჩუენ
მე	მო-ხ-ვ-უკუდი მას, მათ	მე	ხ-ვ-ევედრი მას, მათ
”	მო-გ-იკუდი შენ, თქუენ	”	გ-ევედრი შენ, თქუენ
იგინი	მო-ხ-უკუდი-ან მას, მათ	იგინი	ხ-ევედრნი-ან მას, მათ
”	მო-გ-იკუდი-ან შენ, თქუენ	”	გ-ევედრნი-ან შენ, თქუენ
”	მო-მ-იკუდი-ან მე (ჩუენ)	”	მ-ევედრნი-ან მე (ჩუენ)
”	მო-გვ-კუდი-ან ჩუენ	”	გუ-ევედრნი-ან ჩუენ
თქუენ	მო-ხ-უკუდი-თ მას, მათ	თქუენ	ხ-ევედრნი-თ მას, მათ
”	მო-მ-იკუდი-თ მე (ჩუენ)	”	მ-ევედრნი-თ მე, ჩუენ
”	მო-გვ-კუდი-თ ჩუენ	”	გუ-ევედრი-თ ჩუენ
ჩუენ	მო-ხ-ვ-უკუდი-თ მას, მათ	ჩუენ	ხ-ვ-ევედრნი-თ მას, მათ
”	მო-გ-იკუდი-თ შენ, თქუენ	”	გ-ევედრნი-თ შენ, თქუენ

3. კონიუნქტივი მეორე

იგი	მო-ხ-უკუდე-ს მას, მათ	იგი	ხ-ევედრო-ს მას, მათ
”	მო-გ-იკუდე-ს შენ, თქუენ	”	გ-ევედრო-ს შენ, თქუენ
”	მო-მ-იკუდე-ს მე (ჩუენ)	”	მ-ევედრო-ს მე (ჩუენ)
”	მო-გვ-კუდე-ს ჩუენ	”	გუ-ევედრო-ს ჩუენ
შენ	მო-ხ-უკუდე მას, მათ	შენ	ხ-ევედრო მას, მათ
”	მო-მ-იკუდე მე (ჩუენ)	”	მ-ევედრო მე (ჩუენ)
”	მო-გვ-კუდე ჩუენ	”	გუ-ევედრო ჩუენ
მე	მო-ხ-ვ-უკუდე მას, მათ	მე	ხ-ვ-ევედრო მას, მათ
”	მო-გ-იკუდე შენ, თქუენ	”	გ-ევედრო შენ, თქუენ

იგინი	მო-ხ-უკუდე-ნ მას, მათ	იგინი	ხ-ვედრნე-ნ მას, მათ
”	მო-გ-იკუდე-ნ შენ, თქუენ	”	გ-ვედრნე-ნ შენ, თქუენ
”	მო-მ-იკუდე-ნ მე (ჩუენ)	”	მ-ვედრნე-ნ მე (ჩუენ)
”	მო-გ-კუდე-ნ ჩუენ	”	გუ-ვედრნე-ნ ჩუენ
თქუენ	მო-ხ-უკუდე-თ მას, მათ	თქუენ	ხ-ვედრნე-თ მას, მათ
”	მო-მ-იკუდე-თ მე (ჩუენ)	”	მ-ვედრნე-თ მე (ჩუენ)
”	მო-გ-კუდე-თ ჩუენ	”	გუ-ვედრნე-თ ჩუენ
ჩუენ	მო-ხ-გ-უკუდე-თ მას, მათ	ჩუენ	ხ-ვედრნე-თ მას, მათ
”	მო-გ-იკუდე-თ შენ, თქუენ	”	გ-ვედრნე-თ შენ, თქუენ

შენიშვნა: 1. უღვას ზმნას, ისევე როგორც ღვას^ს, მხოლოდ აწმყო აქვს; **ვედრების** ზმნას მესამე ჯგუფი დრო-კილოთა არ გააჩნია; არც **ხუკუდების** აგან გვხვდება ამ ჯგუფის ფორმები: **მოხკუდომი-ეს/ა, მოხკუდომოდა, მოხკუდომოდეს...**

2. განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი: რელატიურ-გარდაუვალ ზმნაში მოცემულია ორივე სახელი: MS-იცა და MO-იც, — ორსავე რიცხვში. რიცხვი MS-ისა ყოველთვის აღინიშნება, რიცხვი MO-ისა არ არის ზმნაში აღნიშნული, თუ MO მესამე ან მეორე პირის სახელითაა წარმოდგენილი (მიცემ. ბრ.): **ხუკუდების** (მას და მათ), **გიკუდების** (შენ და თქუენ); **მოხუკუდა** (მას და მათ), **მოგიკუდა** (შენ და თქუენ): ერთი და იგივე ფორმაა მას და მათ, შენ და თქუენ MO-ისათვის; ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ MO აქ მიცემითს ბრუნვაშია. იმავე მიცემითი ბრუნვის MO-ის მრავლობითი რიცხვი **შეიძლება** აღინიშნოს, თუ პირველი პირია: **მომიკუდა** იგი მე, მაგრამ **მოგკუდა** იგი ჩუენ; ასე შეიძლება, მაგრამ სავალდებულო არ არის: შეიძლება უცვლელადაც დარჩეს: **მომიკუდა** იგი მე: **მომიკუდა** იგი ჩუენ. შესაძლებელი აღნიშვნა მრავლობითისა ასეთ შემთხვევაში ყველგან ცალკე ფორმადაა გამოყოფილი პარადიგმებში. დაწვრილებით იხ. ქვემოთ.

82. C. რელატიური სახეობის გარდამავალი ზმნები: ხკლავს, ხპოებს, ხთხოვს.

პ ი რ ვ ე ლ ი ჯ გ უ ფ ი

1. აწმყო

	MS	MO		MS	MO
1.	იგი	ხ-კლავ-ს (-ნ) მას, მათ	2.	იგი	ხ-პოებ-ს (-ნ) მას, მათ
	”	გ-კლავ-ს ,, შენ, თქუენ		”	გ-პოებ-ს ,, შენ, თქუენ
	”	მ-კლავ-ს ,, მე (ჩუენ)		”	მ-პოებ-ს ,, მე (ჩუენ)
	”	გუ-კლავ-ს ,, ჩუენ		”	გუ-პოებს ,, ჩუენ

შენ	ხ-კლავ მას, მათ	შენ	ხ-პოვებ მას, მათ
”	მ-კლავ მე (ჩუენ)	”	მ-პოვებ მე (ჩუენ)
”	გუ-კლავ ჩუენ	”	გუ-პოვებ ჩუენ
მე	ვ-ხ-კლავ მას, მათ	მე	ვ-ხ-პოვებ მას, მათ
”	გ-კლავ შენ, თქუენ	”	გ-პოვებ შენ, თქუენ
იგინი	ხ-კლვ-ენ (-ედ) მას, მათ	იგინი	ხ-პოვებ-ენ (-ედ) მას, მათ
”	გ-კლვ-ენ „ შენ, თქუენ	”	გ-პოვებ-ენ „ შენ, თქუენ
”	მ-კლვ-ენ მე „ (ჩუენ)	”	მ-პოვებ-ენ „ მე (ჩუენ)
”	გუ-კლვ-ენ „ ჩუენ	”	გუ-პოვებ-ენ „ ჩუენ
თქუენ	ხ-კლავ-თ მას, მათ	თქუენ	ხ-პოვებ-თ მას, მათ
”	მ-კლავ-თ მე (ჩუენ)	”	მ-პოვებ-თ მე (ჩუენ)
”	გუ-კლავ-თ ჩუენ	”	გუ-პოვებ-თ ჩუენ
ჩუენ	ვ-ხ-კლავ-თ მას, მას	ჩუენ	ვ-ხ-პოვებ-თ მას, მათ
”	გ-კლავ-თ შენ, თქუენ	”	გ-პოვებ-თ შენ, თქუენ
3.	იგი ხ-თხოვ-ს (-ნ) მას, მათ მას, მათ ¹	იგინი ხ-თხოვ-ენ (-ედ) მას, მათ მას, მათ	
”	გ-თხოვ-ს „ შენ, თქუენ მას, მათ	”	გ-თხოვ-ენ „ შენ, თქუენ მას, მათ
”	მ-თხოვ-ს „ მე (ჩუენ) მას, მათ	”	მ-თხოვ-ენ „ მე (ჩუენ) მას, მათ
”	გუ-თხოვ-ს „ ჩუენ მას, მათ	”	გუ-თხოვ-ენ „ ჩუენ მას, მათ
შენ	ხ-თხოვ მას, მათ მას, მათ	თქუენ ხ-თხოვ-თ მას, მათ მას, მათ	
”	მ-თხოვ მე (ჩუენ) მას, მათ	”	მ-თხოვ-თ მე (ჩუენ) მას, მათ
”	გუ-თხოვ ჩუენ მას, მათ	”	გუ-თხოვ-თ ჩუენ მას, მათ
მე	ვ-ხ-თხოვ მას, მათ მას, მათ	ჩუენ ვ-ხ-თხოვ-თ მას, მათ მას, მათ	
”	გ-თხოვ შენ, თქუენ მას, მათ	”	გ-თხოვ-თ შენ, თქუენ მას, მათ

¹ მაგალ.: დ ა ე ხ თ ხ ო ვ ს ძ მ ა ს ა (თუ ძ მ ე ბ ს) წ ი გ ნ ს ა (თუ წ ი გ ნ ე ბ ს).

2. ნამყო უსრული

1.	იგი	ხ-კლვიდ-ა (-ი-ს) მას, მათ	2. იგი	ხ-პოვებდ-ა (-ი-ს) მას, მათ
	„	გ-კლვიდ-ა „ შენ,	„	გ-პოვებდ-ა „ შენ, თქვენ
		თქვენ		
	„	მ-კლვიდ-ა „ მე (ჩუენ)	„	მ-პოვებდ-ა „ მე (ჩუენ)
	„	გუ-კლვიდ-ა „ ჩუენ	„	გუ-პოვებდ-ა „ ჩუენ
	შენ	ხ-კლვიდი მას, მათ	შენ	ხ-პოვებდი მას, მათ
	„	მ-კლვიდი მე (ჩუენ)	„	მ-პოვებდი მე (ჩუენ)
	„	გუ-კლვიდი ჩუენ	„	გუ-პოვებდი ჩუენ
	მე	ვ-ხ-კლვიდი მას, მათ	მე	ვ-ხ-პოვებდი მას, მათ
	„	გ-კლვიდი შენ, თქვენ	„	გ-პოვებდი შენ, თქვენ
	იგინი	ხ-კლვიდ-ეს (-ი-ან) მას,	იგინი	ხ-პოვებდ-ეს(-ი-ან) მას, მათ
		მათ		
	„	გ-კლვიდ-ეს „ შენ,	„	მ-პოვებდ-ეს „ მე (ჩუენ)
		თქვენ		
	„	გუ-კლვიდ-ეს „ ჩუენ	„	გუ-პოვებდ-ეს „ ჩუენ
	თქვენ	ხ-კლვიდი-თ მას, მათ	თქვენ	ხ-პოვებდი-თ მას, მათ
	„	მ-კლვიდი-თ მე (ჩუენ)	„	მ-პოვებდი-თ მე (ჩუენ)
	„	გუ-კლვიდი-თ ჩუენ	„	გუ-პოვებდი-თ ჩუენ
	ჩუენ	ვ-ხ-კლვიდი-თ მას, მათ	ჩუენ	ვ-ხ-პოვებდი-თ შენ, თქვენ
	„	გ-კლვიდი-თ შენ, თქვენ	„	გ-პოვებდი-თ შენ, თქვენ
3.	იგი	ხ-თხოვდ-ა (-ი-ს) მას, მათ	იგინი	ხ-თხოვდ-ეს (-ი-ან) მას,
		მას, მათ		მათ მას, მათ
	„	გ-თხოვდ-ა „ შენ, თქვენ	„	გ-თხოვდ-ეს „ შენ, თქვენ
		მას, მათ		მას, მათ
	„	მ-თხოვდ-ა „ მე (ჩუენ)	„	მ-თხოვდ-ეს „ ჩუენ მას,
		მას, მათ		მათ
	„	გუ-თხოვდ-ა „ ჩუენ მას,	„	გუ-თხოვდ-ეს „ ჩუენ მას,
		მათ		მათ
	შენ	ხ-თხოვდი მას, მათ	თქვენ	ხ-თხოვდი-თ მას, მათ
		მათ		მათ
	„	მ-თხოვდი მე (ჩუენ) მას,	„	მ-თხოვდი-თ მე (ჩუენ)
		მათ		მას, მათ
	„	გუ-თხოვდი ჩუენ მას,	„	გუ-თხოვდი-თ ჩუენ მას,
		მათ		მათ
	მე	ვ-ხ-თხოვდი მას, მათ	ჩუენ	ვ-ხ-თხოვდი-თ მას, მათ
		მათ		მათ
	„	გ-თხოვდი შენ, თქვენ	„	გ-თხოვდი-თ შენ, თქვენ
		მას, მათ		მას, მათ

3. კონიუნქტივი პირველი

იგი	ხ-კლვიდე-ს მას, მათ	იგი	ხ-პოებდე-ს მას, მათ
”	გ-კლვიდე-ს შენ, თქვენ	”	გ-პოებდე-ს შენ, თქვენ
”	მ-კლვიდე-ს მე (ჩუენ)	”	მ-პოებდე-ს მე (ჩუენ)
”	გუ-კლვიდე-ს ჩუენ	”	გუ-პოებდე-ს ჩუენ
შენ	ხ-კლვიდე მას, მათ	შენ	ხ-პოებდე მას, მათ
”	მ-კლვიდე მე (ჩუენ)	”	მ-პოებდე მე (ჩუენ)
”	გუ-კლვიდე ჩუენ	”	გუ-პოებდე ჩუენ
მე	ვ-ხ-კლვიდე მას, მათ	მე	ვ-ხ-პოებდე მას, მათ
”	გ-კლვიდე შენ, თქვენ	”	გ-პოებდე შენ, თქვენ
იგინი	ხ-კლვიდე-ნ მას, მათ	იგინი	ხ-პოებდე-ნ მას, მათ
”	გ-კლვიდე-ნ შენ, თქვენ	”	გ-პოებდე-ნ შენ, თქვენ
”	მ-კლვიდე-ნ მე (ჩუენ)	”	მ-პოებდე-ნ მე (ჩუენ)
”	გუ-კლვიდე-ნ ჩუენ	”	გუ-პოებდე-ნ ჩუენ
თქვენ	ხ-კლვიდე-თ მას, მათ	თქვენ	ხ-პოებდე-თ მას, მათ
”	მ-კლვიდე-თ მე (ჩუენ)	”	მ-პოებდე-თ მე (ჩუენ)
”	გუ-კლვიდე-თ ჩუენ	”	გუ-პოებდე-თ ჩუენ
ჩუენ	ვ-ხ-კლვიდე-თ მას, მათ	ჩუენ	ვ-ხ-პოებდე-თ მას მათ
”	გ-კლვიდე-თ შენ, თქვენ	”	გ-პოებდე-თ შენ, თქვენ
3. იგი	ხ-თხოვდე-ს მას, მათ მას, მათ	იგინი	ხ-თხოვდე-ნ მას, მათ მას, მათ
”	გ-თხოვდე-ს შენ, თქვენ მას, მათ	”	გ-თხოვდე-ნ შენ, თქვენ მას, მათ
”	მ-თხოვდე-ს მე (ჩუენ) მას, მათ	”	მ-თხოვდე-ნ მე (ჩუენ) მას, მათ
”	გუ-თხოვდე-ს ჩუენ მას, მათ	”	გუ-თხოვდე-ნ ჩუენ მას, მათ
შენ	ხ-თხოვდე მას, მათ მას, მათ	თქვენ	ხ-თხოვდე-თ მას, მათ მას, მათ
”	მ-თხოვდე მე (ჩუენ) მას, მათ	”	მ-თხოვდე-თ მე (ჩუენ) მას, მათ
”	გუ-თხოვდე ჩუენ მას, მათ	”	გუ-თხოვდე-თ ჩუენ მას, მათ
მე	ვ-ხ-თხოვდე მას, მათ მას, მათ	ჩუენ	ვ-ხ-თხოვდე-თ მას, მათ მას, მათ
”	გ-თხოვდე შენ, თქვენ მას, მათ	”	გ-თხოვდე-თ შენ, თქვენ მას, მათ

მეორე ჯგუფი

1. ნამყო ძირითადი (აორისტი)

1.	მან	კლ-ა იგი	2.	მან	პოგ-ა იგი
	”	კლ-ნ-ა იგინი		”	პოგ-ნ-ა იგინი
	”	გ-კლ-ა შენ		”	გ-პოგ-ა შენ
	”	გ-კლ-ნ-ა თქუენ		”	გ-პოგ-ნ-ა თქუენ
	”	მ-კლ-ა მე		”	მ-პოგ-ა მე
	”	მ-კლ-ნ-ა ჩუენ		”	მ-პოგ-ნ-ა ჩუენ
	”	გუ-კლ-ნ-ა ჩუენ		”	გუ-პოგ-ნ-ა ჩუენ
	შენ	ხ-კალ იგი		შენ	ხ-პოგ-ე იგი
	”	ხ-კლ-ენ იგინი		”	ხ-პოგ-ენ იგინი
	”	მ-კალ მე		”	მ-პოგ-ე მე
	”	მ-კლ-ენ ჩუენ		”	მ-პოგ-ენ ჩუენ
	”	გუ-კლ-ენ ჩუენ		”	გუ-პოგ-ენ ჩუენ
	მე	ვ-კალ იგი		მე	ვ-პოგ-ე იგი
	”	ვ-კლ-ენ იგინი		”	ვ-პოგ-ენ იგინი
	”	გ-კალ შენ		”	გ-პოგ-ე შენ
	”	გ-კლ-ენ თქუენ		”	გ-პოგ-ენ თქუენ
	მათ	კლ-ეს იგი		მათ	პოგ-ეს იგი
	”	კლ-ნ-ეს იგინი		”	პოგ-ნ-ეს იგინი
	”	გ-კლ-ეს შენ		”	გ-პოგ-ეს შენ
	”	გ-კლ-ნ-ეს თქუენ		”	გ-პოგ-ნ-ეს თქუენ
	”	მ-კლ-ეს მე		”	მ-პოგ-ეს მე
	”	მ-კლ-ნ-ეს ჩუენ		”	მ-პოგ-ნ-ეს ჩუენ
	”	გუ-კლ-ნ-ეს ჩუენ		”	გუ-პოგ-ნ-ეს ჩუენ
	თქუენ	ხ-კალ-თ იგი		თქუენ	ხ-პოგ-ე-თ იგი
	”	ხ-კლ-ენ-ი-თ იგინი		”	ხ-პოგ-ენ-ი-თ იგინი
	”	მ-კალ-თ მე		”	მ-პოგ-ე-თ მე
	”	მ-კლ-ენ-ი-თ ჩუენ		”	მ-პოგ-ენ-ი-თ ჩუენ
	”	გუ-კლ-ენ-ი-თ ჩუენ		”	გუ-პოგ-ენ-ი-თ ჩუენ
	ჩუენ	ვ-კალ-თ იგი		ჩუენ	ვ-პოგ-ე-თ იგი
	”	ვ-კლ-ენ-ი-თ იგინი		”	ვ-პოგ-ენ-ი-თ იგინი
	”	გ-კალ-თ შენ		”	გ-პოგ-ე-თ შენ
	”	გ-კლ-ენ-ი-თ თქუენ		”	გ-პოგ-ენ-ი-თ თქუენ

3.	მან	ხ-თხოვ-ა მას, მათ იგი	მათ	ხ-თხოვ-ეს მას, მათ იგი
	„	ხ-თხოვ-ნ-ა მას, მათ იგინი	„	ხ-თხოვ-ნ-ეს მას, მათ იგინი
	„	გ-თხოვ-ა შენ, თქვენ იგი	„	გ-თხოვ-ეს შენ, თქვენ იგი
	„	გ-თხოვ-ნ-ა შენ, თქვენ იგინი	„	გ-თხოვ-ნ-ეს შენ, თქვენ იგინი
	„	მ-თხოვ-ა მე (ჩუენ) იგი	„	მ-თხოვ-ეს მე (ჩუენ) იგი
	„	გუ-თხოვ-ა ჩუენ იგი	„	გუ-თხოვ-ეს ჩუენ იგი
	„	მ-თხოვ-ნ-ა მე (ჩუენ) იგინი	„	მ-თხოვ-ნ-ეს მე (ჩუენ) იგინი
	„	გუ-თხოვ-ნ-ა ჩუენ იგინი	„	გუ-თხოვ-ნ-ეს ჩუენ იგინი
	შენ	ხ-თხოვ-ე მას, მათ იგი	თქვენ	ხ-თხოვ-ე-თ მას, მათ იგი
	„	ხ-თხოვ-ენ მას, მათ იგინი	„	ხ-თხოვ-ენ-ი-თ მას, მათ იგინი
	„	მ-თხოვ-ე მე (ჩუენ) იგი	„	მ-თხოვ-ე-თ მე (ჩუენ) იგი
	„	გუ-თხოვ-ე ჩუენ იგი	„	გუ-თხოვ-ე-თ ჩუენ იგი
	„	მ-თხოვ-ენ მე (ჩუენ) იგინი	„	მ-თხოვ-ენ-ი-თ მე, ჩუენ იგინი
	„	გუ-თხოვ-ენ ჩუენ იგინი	„	გუ-თხოვ-ენ-ი-თ (ჩუენ) იგინი
	მე	ვ-ხ-თხოვ-ე მას, მათ იგი	ჩუენ	ვ-ხ-თხოვ-ე-თ მას, მათ იგი
	„	ვ-ხ-თხოვ-ენ მას, მათ იგინი	„	ვ-ხ-თხოვ-ენ-ი-თ მას, მათ იგინი
	„	გ-თხოვ-ე შენ, თქვენ იგი	„	გ-თხოვ-ე-თ შენ, თქვენ იგი
	„	გ-თხოვ-ენ შენ თქვენ იგინი	„	გ-თხოვ-ენ-ი-თ შენ, თქვენ იგინი

2. ნამყო ჩვეულებითი (ჰაბიტუალისი, პერმანსივი)

1.	მან	კლ-ი-ს იგი	2.	მან	პოვ-ი-ს იგი
	„	კლ-ნ-ი-ს იგინი		„	პოვ-ნ-ი-ს იგინი
	„	გ-კლ-ი-ს შენ		„	გ-პოვ-ი-ს შენ
	„	გ-კლ-ნ-ი-ს თქუენ		„	გ-პოვ-ნ-ი-ს თქუენ
	„	მ-კლ-ი-ს მე		„	მ-პოვ-ი-ს მე
	„	მ-კლ-ნ-ი-ს ჩუენ		„	მ-პოვ-ნ-ი-ს ჩუენ
	„	გუ-კლ-ნ-ი-ს ჩუენ		„	გუ-პოვ-ნ-ი-ს ჩუენ
	შენ	ხ-კლ-ი იგი		შენ	ხ-პოვ-ი იგი
	„	ხ-კლ-ნ-ი იგინი		„	ხ-პოვ-ნ-ი იგინი
	„	მ-კლ-ი მე		„	მ-პოვ-ი მე
	„	მ-კლ-ნ-ი ჩუენ		„	მ-პოვ-ნ-ი ჩუენ
	„	გუ-კლ-ნ-ი ჩუენ		„	გუ-პოვ-ნ-ი ჩუენ
	მე	ვ-კლ-ი იგი		მე	ვ-პოვ-ი იგი
	„	ვ-კლ-ნ-ი იგინი		„	ვ-პოვ-ნ-ი იგინი
	„	გ-კლ-ი შენ		„	გ-პოვ-ი შენ
	„	გ-კლ-ნ-ი თქუენ		„	გ-პოვ-ნ-ი თქუენ
	მათ	კლ-ი-ან იგი		მათ	პოვ-ი-ან იგი
	„	კლ-ნ-ი-ან იგინი		„	პოვ-ნ-ი-ან იგინი
	„	გ-კლ-ი-ან შენ		„	გ-პოვ-ი-ან შენ
	„	გ-კლ-ნ-ი-ან თქუენ		„	გ-პოვ-ნ-ი-ან თქუენ
	„	მ-კლ-ი-ან მე		„	მ-პოვ-ი-ან მე
	„	მ-კლ-ნ-ი-ან ჩუენ		„	მ-პოვ-ნ-ი-ან ჩუენ
	„	გუ-კლ-ნ-ი-ან ჩუენ		„	გუ-პოვ-ნ-ი-ან ჩუენ
	თქუენ	ხ-კლ-ი-თ იგი		თქუენ	ხ-პოვ-ი-თ იგი
	„	ხ-კლ-ნ-ი-თ იგინი		„	ხ-პოვ-ნ-ი-თ იგინი
	„	მ-კლ-ი-თ მე		„	მ-პოვ-ი-თ მე
	„	მ-კლ-ნ-ი-თ ჩუენ		„	მ-პოვ-ნ-ი-თ ჩუენ
	„	გუ-კლ-ნ-ი-თ ჩუენ		„	გუ-პოვ-ნ-ი-თ ჩუენ
	ჩუენ	ვ-კლ-ი-თ იგი		ჩუენ	ვ-პოვ-ი-თ იგი
	„	ვ-კლ-ნ-ი-თ იგინი		„	ვ-პოვ-ნ-ი-თ იგინი
	„	გ-კლ-ი-თ შენ		„	გ-პოვ-ი-თ შენ
	„	გ-კლ-ნ-ი-თ თქუენ		„	გ-პოვ-ნ-ი-თ თქუენ
3.	მან	ხ-თხოვ-ი-ს მას, მათ იგი		მათ	ხ-თხოვ-ი-ან მას, მათ იგი
	„	ხ-თხოვ-ნ-ი-ს მას, მათ იგინი		„	ხ-თხოვ-ნ-ი-ან მას, მათ იგინი
	„	გ-თხოვ-ი-ს შენ, თქუენ იგი		„	გ-თხოვ-ი-ან შენ, თქუენ იგი
	„	გ-თხოვ-ნ-ი-ს შენ, თქუენ იგინი		„	გ-თხოვ-ნ-ი-ან შენ, თქუენ იგინი

„ მ-თხოვ-ი-ს მე (ჩუენ) იგი	„ მ-თხოვ-ი-ან მე (ჩუენ) იგი
„ გუ-თხოვ-ი-ს ჩუენ იგი	„ გუ-თხოვ-ი-ან ჩუენ იგი
„ მ-თხოვ-ნ-ი-ს მე (ჩუენ)	„ მ-თხოვ-ნ-ი-ან მე (ჩუენ)
იგინი	იგინი
„ გუ-თხოვ-ნ-ი-ს ჩუენ იგინი	„ გუ-თხოვ-ნ-ი-ან ჩუენ
	იგინი
შენ ხ-თხოვ-ი მას, მათ იგი	თქუენ ხ-თხოვ-ი-თ მას, მათ იგი
„ ხ-თხოვ-ნ-ი მას, მათ იგინი	„ ხ-თხოვ-ნ-ი-თ მას, მათ
	იგინი
„ მ-თხოვ-ი მე (ჩუენ) იგი	„ მ-თხოვ-ი-თ მე ჩუენ
„ გუ-თხოვ-ი ჩუენ იგი	„ გუ-თხოვ-ი-თ ჩუენ იგი
„ მ-თხოვ-ნ-ი მე (ჩუენ)	„ მ-თხოვ-ნ-ი-თ მე (ჩუენ)
იგინი	იგინი
„ გუ-თხოვ-ნ-ი ჩუენ იგინი	„ გუ-თხოვ-ნ-ი-თ ჩუენ იგინი
მე ვ-ხ-თხოვ-ი მას, მათ იგი	ჩუენ ვ-ხ-თხოვ-ი-თ მას, მათ იგი
„ ვ-ხ-თხოვ-ნ-ი მას, მათ	„ ვ-ხ-თხოვ-ნ-ი-თ მას, მათ
იგინი	იგინი
„ ვ-თხოვ-ი შენ, თქუენ იგი	„ ვ-თხოვ-ი-თ შენ, თქუენ
	იგი
„ ვ-თხოვ-ნ-ი შენ, თქუენ	„ ვ-თხოვ-ნ-ი-თ მას, მათ
იგინი	იგინი

3. კონიუნქტივი მეორე

1. მან კლ-ა-ს იგი	2. მან პოვ-ო-ს იგი
„ კლ-ნ-ე-ს იგინი	„ პოვ-ნ-ე-ს იგინი
„ გ-კლ-ა-ს შენ	„ გ-პოვ-ო-ს შენ
„ გ-კლ-ნ-ე-ს თქუენ	„ გ-პოვ-ნ-ე-ს თქუენ
„ მ-კლ-ა-ს მე	„ მ-პოვ-ო-ს მე
„ მ-კლ-ნ-ე-ს ჩუენ	„ მ-პოვ-ნ-ე-ს ჩუენ
„ გუ-კლ-ნ-ე-ს ჩუენ	„ გუ-პოვ-ნ-ე-ს ჩუენ
შენ ხ-კლ-ა- იგი	შენ ხ-პოვ-ო იგი
„ ხ-კლ-ნ-ე იგინი	„ ხ-პოვ-ნ-ე იგინი
„ მ-კლ-ა მე	„ მ-პოვ-ო მე
„ მ-კლ-ნ-ე ჩუენ	„ მ-პოვ-ნ-ე ჩუენ
„ გუ-კლ-ნ-ე ჩუენ	„ გუ-პოვ-ნ-ე ჩუენ
მე ვ-კლ-ა იგი	მე ვ-პოვ-ო იგი
„ ვ-კლ-ნ-ე იგინი	„ ვ-პოვ-ნ-ე იგინი
„ გ-კლ-ა შენ	„ გ-პოვ-ო შენ
„ გ-კლ-ნ-ე თქუენ	„ გ-პოვ-ნ-ე თქუენ

მათ	კლ-ან იგი	მათ	პოვ-ო-ნ იგი
”	კლ-ნ-ე-ნ იგინი	”	პოვ-ნ-ე-ნ იგინი
”	გ-კლ-ან შენ	”	გ-პოვ-ო-ნ შენ
”	გ-კლ-ნ-ე-ნ თქუენ	”	გ-პოვ-ნ-ე-ნ თქუენ
”	მ-კლ-ან მე	”	მ-პოვ-ო-ნ მე
”	მ-კლ-ნ-ე-ნ ჩუენ	”	მ-პოვ-ნ-ე-ნ ჩუენ
”	გუ-კლ-ნ-ე-ნ ჩუენ	”	გუ-პოვ-ნ-ე-ნ ჩუენ
თქუენ	ხ-კლ-ა-თ იგი	თქუენ	ხ-პოვ-ო-თ იგი
”	ხ-კლ-ნ-ე-თ იგინი	”	ხ-პოვ-ნ-ე-თ იგინი
”	მ-კლ-ა-თ მე	”	მ-პოვ-ო-თ მე
”	მ-კლ-ნ-ე-თ ჩუენ	”	მ-პოვ-ნ-ე-თ ჩუენ
”	გუ-კლ-ნ-ე-თ ჩუენ	”	გუ-პოვ-ნ-ე-თ ჩუენ
ჩუენ	ვ-კლ-ა-თ იგი	ჩუენ	ვ-პოვ-ო-თ იგი
”	ვ-კლ-ნ-ე-თ იგინი	”	ვ-პოვ-ნ-ე-თ იგინი
”	გ-კლ-ა-თ შენ	”	გ-პოვ-ო-თ შენ
”	გ-კლ-ნ-ე-თ თქუენ	”	გ-პოვ-ნ-ე-თ თქუენ

3. მან	ხ-თხოვ-ო-ს მას, მათ იგი	მათ	ხ-თხოვ-ო-ნ მას, მათ იგი
”	ხ-თხოვ-ნ-ე-ს მას, მათ იგინი	”	ხ-თხოვ-ნ-ე-ნ მას, მათ იგინი
”	გ-თხოვ-ო-ს შენ, თქუენ იგი	”	გ-თხოვ-ო-ნ შენ, თქუენ იგი
”	გ-თხოვ-ნ-ე-ს შენ, თქუენ იგინი	”	გ-თხოვ-ნ-ე-ნ შენ, თქუენ იგინი
”	მ-თხოვ-ო-ს მე (ჩუენ) იგი	”	მ-თხოვ-ო-ნ მე (ჩუენ) იგი
”	გუ-თხოვ-ო-ს ჩუენ იგი	”	გუ-თხოვ-ო-ნ ჩუენ იგი
”	მ-თხოვ-ნ-ე-ს მე (ჩუენ) იგინი	”	მ-თხოვ-ნ-ე-ნ მე (ჩუენ) იგინი
”	გუ-თხოვ-ნ-ე-ს ჩუენ იგინი	”	გუ-თხოვ-ნ-ე-ნ ჩუენ იგი
შენ	ხ-თხოვ-ო მას, მათ იგი	თქუენ	ხ-თხოვ-ო-თ მას, მათ იგი
”	ხ-თხოვ-ნ-ე მას, მათ იგინი	”	ხ-თხოვ-ნ-ე-თ მას, მათ იგინი
”	მ-თხოვ-ო მე (ჩუენ) იგი	”	მ-თხოვ-ო-თ მე (ჩუენ) იგი
”	გუ-თხოვ-ო ჩუენ იგი	”	გუ-თხოვ-ო-თ ჩუენ იგი
”	მ-თხოვ-ნ-ე მე (ჩუენ) იგინი	”	მ-თხოვ-ნ-ე-თ მე იგინი
”	გუ-თხოვ-ნ-ე ჩუენ იგინი	”	გუ-თხოვ-ნ-ე-თ ჩუენ იგინი
მე	ვ-ხ-თხოვ-ო მას, მათ იგი	ჩუენ	ვ-ხ-თხოვ-ო-თ მას, მათ იგი
”	ვ-ხ-თხოვ-ნ-ე მას, მათ იგინი	”	ვ-ხ-თხოვ-ნ-ე-თ მას, მათ იგინი
”	გ-თხოვ-ო შენ, თქუენ იგი	”	გ-თხოვ-ო-თ შენ, თქუენ იგი
”	გ-თხოვ-ნ-ე შენ, თქუენ იგინი	”	გ-თხოვ-ნ-ე-თ შენ, თქუენ იგინი

მ ე ს ა მ ე ჯ გ უ ფ ი

1. ნამყო სრული (შედევობრივი I, თურმეობითი I)

1.	იგი	ხ-უკლავ-ს მას, მათ	2.	იგი	ხ-უბოვი-ეს/ა მას, მათ
	”	გ-იკლავ-ს შენ, თქვენ		”	გ-იბოვი-ეს/ა შენ, თქვენ
	”	მ-იკლავ-ს მე (ჩუენ)		”	მ-იბოვი-ეს/ა მე (ჩუენ)
	”	გვ-კლავ-ს ჩუენ		”	გვ-ბოვი-ეს/ა ჩუენ
	შენ	ხ-უკლავ მას, მათ		შენ	ხ-უბოვი-ე მას, მათ
	”	მ-იკლავ მე (ჩუენ)		”	მ-იბოვი-ე მე (ჩუენ)
	”	გვ-კლავ ჩუენ		”	გვ-ბოვი-ე ჩუენ
	მე	ხ-ვ-უკლავ მას, მათ		მე	ხ-ვ-უბოვი-ე მას, მათ
	”	გ-იკლავ შენ, თქვენ		”	გ-იბოვი-ე შენ, თქვენ
	იგინი	ხ-უკლ(ა)ვ-ან მას, მათ		იგინი	ხ-უბოვი-ან მას, მათ
	”	გ-იკლ(ა)ვ-ან შენ თქვენ		”	გ-იბოვი-ან შენ, თქვენ
	”	მ-იკლ(ა)ვ-ან მე (ჩუენ)		”	მ-იბოვი-ან მე (ჩუენ)
	”	გვ-კლ(ა)ვ-ან ჩუენ		”	გვ-ბოვი-ან ჩუენ
	თქვენ	ხ-უკლავ-თ მას, მათ		თქვენ	ხ-უბოვი-ე-თ მას, მათ
	”	მ-იკლავ-თ მე (ჩუენ)		”	მ-იბოვი-ე-თ მე (ჩუენ)
	”	გვ-კლავ-თ ჩუენ		”	გვ-ბოვი-ე-თ ჩუენ
	ჩუენ	ხ-ვ-უკლავ-თ მას, მათ		ჩუენ	ხ-ვ-უბოვი-ე-თ მას, მათ
	”	გ-ი-კლავ-თ შენ, თქვენ		”	გ-იბოვი-ე-თ შენ, თქვენ
3.	იგი	ხ-უთხოვი-ეს/ა მისდა, მათდა მას, მათ		იგინი	ხ-უთხოვი-ან მისდა, მათდა მას, მათ
	”	გ-ითხოვი-ეს/ა მისდა, მათდა შენ, თქვენ		”	გ-ითხოვი-ან მისდა, მათდა შენ, თქვენ
	”	მ-ითხოვი-ეს/ა მისდა, მათდა მე (ჩუენ)		”	მ-ითხოვი-ან მისდა, მათდა მე (ჩუენ)
	”	გვ-თხოვი-ეს/ა მისდა, მათდა ჩუენ		”	გვ-თხოვი-ან მისდა, მათდა ჩუენ
	შენ	ხ-უთხოვი-ე მისდა, მათდა მას, მათ		თქვენ	ხ-უთხოვი-ე-თ მისდა, მათდა მას, მათ
	”	მ-ითხოვი-ე მისდა, მათდა მე (ჩუენ)		”	მ-ითხოვი-ე-თ მისდა, მათდა მე (ჩუენ)
	”	გვ-თხოვი-ე მისდა, მათდა ჩუენ		”	გვ-თხოვი-ე-თ მისდა, მათდა ჩუენ
	მე	ხ-ვ-უთხოვი-ე მისდა, მათდა მას, მათ		ჩუენ	ხ-ვ-უთხოვი-ე მისდა, მათდა მას, მათ
	”	გ-ითხოვი-ე მისდა, მათდა შენ, თქვენ		”	გ-ითხოვი-ე მისდა, მათდა შენ, თქვენ

2. ნამყო წინარეწარსული (შედგობრივი II, თურმეობითი II)

1.	იგი	ხ-ეკლ-ა მას, მათ	2.	იგი	ხ-ეპოვ-ა მას მათ
	”	გ-ეკლ-ა შენ, თქუნ		”	გ-ეპოვ-ა შენ, თქუნ
	”	მ-ეკლ-ა მე (ჩუნ)		”	მ-ეპოვ-ა მე (ჩუნ)
	”	გუ-ეკლ-ა ჩუნ		”	გუ-ეპოვ-ა ჩუნ
	შენ	ხ-ეკალ მას, მათ		შენ	ხ-ეპოვე მას, მათ
	”	მ-ეკალ მე (ჩუნ)		”	მ-ეპოვე მე (ჩუნ)
	”	გუ-ეკალ ჩუნ		”	გუ-ეპოვე ჩუნ
	მე	ხ-ვ-ეკალ მას, მათ		მე	ხ-ვ-ეპოვე მას, მათ
	”	გ-ეკალ შენ, თქუნ		”	გ-ეპოვე შენ, თქუნ
	იგინი	ხ-ეკლ-ნ-ეს მას მათ		იგინი	ხ-ეპოვ-ნ-ეს მას, მათ
	”	გ-ეკლ-ნ-ეს შენ, თქუნ		”	გ-ეპოვ-ნ-ეს შენ, თქუნ
	”	მ-ეკლ-ნ-ეს მე (ჩუნ)		”	მ-ეპოვ-ნ-ეს მე (ჩუნ)
	”	გუ-ეკლ-ნ-ეს ჩუნ		”	გუ-ეპოვ-ნ-ეს ჩუნ
	თქუნ	ხ-ეკლ-ენ-ი-თ მას, მათ		თქუნ	ხ-ეპოვ-ენ-ი-თ მას, მათ
	”	მ-ეკლ-ენ-ი-თ მე (ჩუნ)		”	მ-ეპოვ-ენ-ი-თ მე (ჩუნ)
	”	გუ-ეკლ-ენ-ი-თ ჩუნ		”	გუ-ეპოვ-ენ-ი-თ ჩუნ
	ჩუნ	ხ-ვ-ეკლ-ენ-ი-თ მას, მათ		ჩუნ	ხ-ვ-ეპოვ-ენ-ი-თ მას, მათ
	”	გ-ეკლ-ენ-ი-თ შენ, თქუნ		”	გ-ეპოვ-ენ-ი-თ შენ, თქუნ
3.	იგი	ხ-ეთხოვ-ა მისდა, მათდა მას, მათ		იგინი	ხ-ეთხოვ-ნ-ეს მისდა, მათდა მას, მათ
	”	გ-ეთხოვ-ა მისდა, მათდა შენ, თქუნ		”	გ-ეთხოვ-ნ-ეს მისდა, მათდა შენ, თქუნ
	”	მ-ეთხოვ-ა მისდა, მათდა მე (ჩუნ)		”	მ-ეთხოვ-ნ-ეს მისდა, მათდა მე (ჩუნ)
	”	გუ-ეთხოვ-ა მისდა, მათდა ჩუნ		”	გუ-ეთხოვ-ნ-ეს მისდა, მათდა ჩუნ
	შენ	ხ-ეთხოვე მისდა, მათდა მას, მათ		თქუნ	ხ-ეთხოვ-ენ-ი-თ მისდა, მათდა მას, მათ
	”	მ-ეთხოვე მისდა, მათდა მე (ჩუნ)		”	მ-ეთხოვ-ენ-ი-თ მისდა, მათდა მე (ჩუნ)
	”	გუ-ეთხოვე მისდა, მათდა ჩუნ		”	გუ-ეთხოვ-ენ-ი-თ მისდა, მათდა ჩუნ
	მე	ხ-ვ-ეთხოვე მისდა, მათდა მას, მათ		ჩუნ	ხ-ვ-ეთხოვ-ენ-ი-თ მისდა, მათდა მას, მათ
	”	გ-ეთხოვე მისდა, მათდა შენ, თქუნ		”	გ-ეთხოვ-ენ-ი-თ მისდა, მათდა შენ, თქუნ

3. კონიუნქტივი მესამე

1.	იგი	ხ-ეკლა-ს მას, მათ	იგი	ხ-ეპოვო-ს მას, მათ
	”	გ-ეკლა-ს შენ, თქვენ	”	გ-ეპოვო-ს შენ, თქვენ
	”	მ-ეკლა-ს მე (ჩუენ)	”	მ-ეპოვო-ს მე (ჩუენ)
	”	გუ-ეკლა-ს ჩუენ	”	გუ-ეპოვო-ს ჩუენ
	შენ	ხ-ეკლა მას, მათ	შენ	ხ-ეპოვო მას, მათ
	”	მ-ეკლა მე (ჩუენ)	”	მ-ეპოვო მე (ჩუენ)
	”	გუ-ეკლა ჩუენ	”	გუ-ეპოვო ჩუენ
	მე	ხ-ვ-ეკლა მას, მათ	მე	ხ-ვ-ეპოვო მას, მათ
	”	გ-ეკლა შენ, თქვენ	”	გ-ეპოვო შენ, თქვენ
	იგინი	ხ-ეკლ-ნ-ე-ნ მას, მათ	იგინი	ხ-ეპოვ-ნ-ე-ნ მას, მათ
	”	გ-ეკლ-ნ-ე-ნ შენ, თქვენ	”	გ-ეპოვ-ნ-ე-ნ შენ, თქვენ
	”	მ-ეკლ-ნ-ე-ნ მე (ჩუენ)	”	მ-ეპოვ-ნ-ე-ნ მე (ჩუენ)
	”	გუ-ეკლ-ნ-ე-ნ ჩუენ	”	გუ-ეპოვ-ნ-ე-ნ ჩუენ
	თქუენ	ხ-ეკლ-ნ-ე-თ მას, მათ	თქუენ	ხ-ეპოვ-ნ-ე-თ მას, მათ
	”	მ-ეკლ-ნ-ე-თ მე (ჩუენ)	”	მ-ეპოვ-ნ-ე-თ მე (ჩუენ)
	”	გ-ეკლ-ნ-ე-თ ჩუენ	”	გუ-ეპოვ-ნ-ე-თ ჩუენ
	ჩუენ	ხ-ვ-ეკლ-ნ-ე-თ მას, მათ	ჩუენ	ხ-ვ-ეპოვ-ნ-ე-თ მას, მათ
	”	გ-ეკლ-ნ-ე-თ შენ, თქვენ	”	ეპოვ-ნ-ე-თ შენ, თქვენ
3.	იგი	ხ-ეთხოვო-ს მისდა, მათლა მას, მათ	იგინი	ხ-ეთხოვ-ნ-ე-ნ მისდა, მათლა მას, მათ
	”	გ-ეთხოვო-ს მისდა, მათლა შენ, თქვენ	”	გ-ეთხოვ-ნ-ე-ნ მისდა, მათლა შენ, თქვენ
	”	მ-ეთხოვო-ს მისდა, მათლა მე (ჩუენ)	”	მ-ეთხოვ-ნ-ე-ნ მისდა, მათლა მე (ჩუენ)
	”	გუ-ეთხოვო-ს მისდა, მათლა ჩუენ	”	გუ-ეთხოვ-ნ-ე-ნ მისდა, მათლა ჩუენ
	შენ	ხ-ეთხოვო მისდა, მათლა მას, მათ	თქუენ	ხ-ეთხოვ-ნ-ე-თ მისდა, მათლა მას, მათ
	”	მ-ეთხოვო მისდა, მათლა მე (ჩუენ)	”	მ-ეთხოვ-ნ-ე-თ მისდა, მათლა მე (ჩუენ)
	”	გუ-ეთხოვო მისდა, მათლა ჩუენ	”	გუ-ეთხოვ-ნ-ე-თ მისდა, მათლა ჩუენ
	მე	ხ-ვ-ეთხოვო მისდა, მათლა მას, მათ	ჩუენ	ხ-ვ-ეთხოვ-ნ-ე-თ მისდა მათლა მას, მათ
	”	გ-ეთხოვო მისდა, მათლა შენ, თქვენ	”	გ-ეთხოვ-ნ-ე-თ მისდა, მათლა შენ, თქვენ

შენიშვნა: 1. ნამყო უსრულში ორი პარალელური ფორმიდან: **ვხკლევდი** || **ვხკლვიდი** მოყვანილია მხოლოდ უკანასკნელი.

2. ზედმეტი სირთულის თავიდან ასაცილებლად ნამყო უსრულის მესამე პირში **-ი-ნ** (მხოლ.) და **ი-ედ** (მრავლ.) არ მოგვიყვანია, თუმცა ეს არის ნამყო უსრულის დაბოლოებათა უძველესი სახე ამ პირებისათვის და ძველს ქართულში თუმც იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება.

3. ბრუნვაცვალებადი **MO** ო რ ო ბ ი ე ქ ტ ი ა ნ ი ზმნისა (**შვილი ხთხოვს მამას წიგნს — ხთხოვა წიგნი**) არსებითად განსხვავდება ერთობიექტიანი ზმნის ბრუნვაცვალებადი **MO**-ისაგან (**შვილი ხპოებს წიგნს — პოვა წიგნი**). პირველის პირი არც აწმყოს, არც ნამყო ძირითადის ჯგუფში ზმნაში არ აღინიშნება, მაშინ როდესაც მეორის პირი რეალურად თუ პოტენციალურად ზმნაში ყოველთვის არის წარმოდგენილი; შდრ.: **ა) შვილი ხთხოვს მამას წიგნს, გთხოვს შენ წიგნს, მთხოვს მე წიგნს; შვილმან ხთხოვა მამას წიგნი, გთხოვა შენ წიგნი, მთხოვა მე წიგნი...** და **ბ) შვილი ხპოებს წიგნს, გპოებს შენ, მპოებს მე; შვილმან პოვა წიგნი, გპოვა შენ, მპოვა მე.** ეს განასხვავებს მათ.

ემსგავსებიან კი ისინი ერთმანეთს ორ რაშიმე: **ა)** ნამყო ძირითადის ჯგუფში რიცხვი (მრავლობითობა) ერთისაც აღინიშნება და მეორისაც: **შვილმან ხთხოვნა მამას წიგნნი, — შვილმან პოვნა წიგნნი; ბ)** დროთა მესამე ჯგუფში ერთიც **MS**-ია და მეორეც: **შვილს ხუთხოვიეს მამისდა წიგნი** და **შვილს ხუპოვიეს წიგნი**. ასე რომ, **წიგნს** (**შვილი ხთხოვს მამას წიგნს**) აწმყოში ზმნას მორფოლოგიურად არ უკავშირდება (კავშირი ოდენ სინტაქსურია), ნამყო ძირითადში მხოლოდ მრავლობითში უკავშირდება (არას გამბობთ დროთა მესამე ჯგუფის შესახებ: იქ ხომ იგი **MS**-ია, ამდენადვე მისი ჩვენება სიმპტომატურიღაა); **MO** პირის აღნიშვნის მიხედვით ხასიათდება. ამისდა კვალობაზე, ზედმიწევნილობა რომ დავიცვათ, იგი **MO**-ად ვერ მიიჩნევა. მაგრამ რაკი ნამყო ძირითადის ჯგუფში იგი მაინც არის დაკავშირებული მორფოლოგიურად ზმნასთან, ხოლო მესამე ჯგუფში ჩვეულებრივ ბრუნვაცვალებადი **MO**-ის როლს კისრულობს, მას საერთოდ ვერ გავუთანასწორებთ ოდენ მართულ სახელს და შესაძლებლად ვთვლით პირობითად მასაც ეწოდოს **MO**: „ბრუნვაცვალებადი მეორე **MO**“ ანუ მოკლედ „მეორე **MO**“. ამ „მეორე **MO**-ის“ როლი შესიტყვებაში, ბუნებრივია, უფრო ნაკლები იქნება, ვინემ ჩვეულებრივი ბრუნვაცვალებადი **MO**-ისა.

4. მესამე ჯგუფის დრო-კილოთა ფორმები რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა ტიპისანი არიან. **MS** ყველგან სახელობითშია, **MO** — ყველგან მიცემითში. სიახლოვე ტიპოლოგიური მსგავსებით არ ამოიწურება: ნამყო წინარეწარსული (შედევობრივი მეორე) და კონიუნქტივი მესამე წარმოადგენენ ნამყო ძირითადსა და კონიუნქტივ მეორეს, მხოლოდ ე¹თი წარმოე-

ბულ ვნებითს სასხვისო და საზედაო ქცევებისას: **მან და-ხ-უ/ა-კლა, და-ხ-უ/ა-კლას იგი მას... ვნებ.:** იგი და-ხ-ე-კლა, და-ხ-ე-კლას მას (მდრ. რა ექნა მას? იგი დახეკლა მას; რა ექნას მას: იგი დახეკლას მას; იხ. ზემოთ — სათანადო პარადიგმები). ასევე: **მან ხ-თხოვა, ხ-ა-თხოვა მას იგი; ხ-თხოვოს, ხ-ა-თხოვოს მას იგი... ვნებ.:** იგი ხ-ე-თხოვა მას, ხ-ე-თხოვოს მას (მდრ.: რა ექნა მას? იგი ხეთხოვა მას; რა ექნას მას? იგი ხეთხოვოს მას. იხ. ზემოთ — სათანადო პარადიგმები).¹ ახლა ჩვენ ვასხვავებთ ამ ორ ფორმას: ნამყო ძირითადის ვნებითს — გარდამავალ ზმნათა წინარეწარსულისაგან (შედევგობრივი მეორისაგან), კონიუნქტივი მეორის ვნებითს — გარდამავალ ზმნათა კონიუნქტივ მესამისაგან; მაგრამ ეს გარჩევა კონტექსტის მიხედვით ხდება: ცალკე აღებული **ეთხოვა, ეკლა, ეპოვა** ერთიც შეიძლება იყოს და მეორეც. გასარჩევ საშუალებად ჩვეულებრივ გამოყენებულია წინა რიგზე წამოწევა ან **MS**-ის ან **MO**-ისა;² ვნებითი თუ აღინიშნება, **MS** პირველობს, **MO** შეიძლება სულ არ ჩანდეს: **იგი ეთხოვა, ეკლა, ეპოვა... იგი ეთხოვოს, ეკლას, ეპოვოს...** პირიქით, თუ არის ნამყო წინარეწარსული (შედევგობრივი მეორე) ან კონიუნქტივი მესამე, — **MO**-ს ეკუთვნის პირველობა: **მას ეთხოვა, მას ეკლა, მას ეპოვა; მას ეთხოვოს, ეკლას, ეპოვოს.** **MS** თანამედროვე ქართულს შესიტყვებაში აქ თითქმის სულ არ იხსენიება... ასეა თუ ისე, ნამყო წინარეწარსულსა (შედევგობრივ მეორესა) და კონიუნქტივ მესამეს ნასესხები ფორმები აქვთ: ამით აიხსნება, რომ არ არსებობს არავითარი განსხვავება **ხვედრების** ზმნის ნამყო ძირითად — კონიუნქტივ მეორის ფორმებსა (ე.ი. გარდაუვალი რელატიური ზმნის **ე**- ვნებითის ფორმებსა) და **ხკლავს, ხპოვს, ხთხოვს** ზმნათა ნამყო წინარეწარსულისა (შედევგობრივი მეორისა) და კონიუნქტივი მესამის ფორმებს შორის (მდრ. გვ. 154-158 და გვ. 159-161).

5. გარდამავალ ზმნათა უღვლილების პარადიგმებში ჩვეულებრივად პირისა და რიცხვის ფორმანტებია გამოცალკევებული. ამისდა კვალობაზე **MO**-ის რიცხვის აღმნიშვნელი სუფიქს-ინფიქსი **ენ** (→ **ნ**)³ გამოყვავით დეფისით.

¹ ამის შესახებ ჩვენ მიერ წაკითხული იყო მოხსენება საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 13.IV.1925 წ.

² ხანდახან ესეც არ კმარა: ვრცელი კონტექსტია საჭირო. „მეზობელს დაეწვა სახლი“ შეიძლება ორნაირად გავიგოთ, იმისდა მიხედვით თუ რა სიტყვას დავუმატებთ: „მეზობელს დაეწვა სახლი უცაბედად“ — „მეზობელს დაეწვა სახლი მეზობლისთვის“.

3. სახელების პირთა და რიცხვთა აღნიშვნა ზმნაში

83. აბსოლუტურ-გარდაუვალ ზმნაში, როგორც ეს პარადიგმებიდან ჩანს, აღნიშნულია მხოლოდ MS-ის პირი, რელატიურს ზმნებში კი როგორც MS-ის, ისე MO-ის პირი. ესე იგი: **პირის აღნიშვნის თვალსაზრისით მორფოლოგიური სუბიექტი და მორფოლოგიური ობიექტი პრინციპულად თანასწორუფლებიანია.**¹ პირი ერთისაც აღნიშნება და მეორისაც (რელურად ან პოტენციურად), წარმომადგენელი ზმნაში ერთსაც ჰყავს და მეორესაც. მორფოლოგიური სუბიექტ-ობიექტისა და მათი წარმომადგენლების საერთო სქემა ასეთ სურათს იძლევა:

MS-ს პირველი პირისა (მე MS-ს) აღნიშნავს პრეფიქსი **გ**:

ვ-ღა; ვ-კუდები; ხ-ვ-უკუდები; ვ-ხ-კლავ, ვ-ხ-პოებ, ვ-ხ-თხოვ.

MO-ს პირველი პირისა (მე MO-ს) აღნიშნავს პრეფიქსი **მ**:

მ-იღვას; მ-იკუდების მ-კლავს, მ-პოებს, მ-თხოვს.

MO-ს მეორე პირისა (შენ MS-ს) აღნიშნავს პრეფიქსი **ხ; ჰ; ჰ, ხ || შ, O**

(ნოლი): **ხ-ღა || ჰ-ღა || ხ-ღა; ხ-კლავ || ჰ-კლავ || კლავ;**

ხ-უღა || ჰ-უღა || უღა.

MO-ს მეორე პირისა (შენ MO-ს) აღნიშნავს პრეფიქსი **გ**:

გ-იკუდების; გ-კლავს; გ-პოებს, გ-თხოვს.

MS-ს მესამე პირისა (იგი MS-ს) აღნიშნავს სუფიქსი **ხ** (|| **ნ**):

ღა-ხ || ნ; კუდები-ხ || ნ; ხ-კლავ-ხ || ნ; ხ-პოებ-ხ || ნ;

ხ-თხოვ-ხ || ნ.

MO-ს მესამე პირისა, თუ მიცემითშია (მას MO-ს), აღნიშნავს პრეფ. **ხ;**

ჰ; ჰ, ხ || შ; O (ნოლი):

ხ-კლავს || ჰ-კლავს || ჰ-კლავს; ხ-თხოვს || ჰ-თხოვს || ხ-თხოვს...²

როგორც პარადიგმებიდანა და ამ სქემიდან ჩანს:

1. უღვლილება ქართული ზმნებისა პ რ ე ფ ი ქ ს უ ლ ი ა; MO ყველა პირისა და MS პირველისა და მეორე პირისა პრეფიქსით აღნიშნება; მხოლოდ MS მესამე პირისა არის სუფიქსით წარმოდგენილი: **ღა-ხ||ნ იგი.**

¹ „პრინციპულად“ მეტეი უმთავრესად იმიტომ, რომ MO და სათანადო პრეფიქსები აბსოლუტური სახეობის ზმნებში არ მოიპოვება, MS და სათანადო პრეფიქსები კი ყველა ზმნაში არის.

² ამ პრეფიქსების შესახებ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს: „პრეფიქსები“, განსაკუთრებით MS₂ და MO₃-ისათვის — დასკვნები: გვ. გვ. 20; 83. საერთოდ, ფორმანტების შესახებ — ტაბულები აკად. ნ. მ ა რ ი ს ა (Основ. таб. IX), ტაბულები ა. შ ა ნ ი ძ ი ს ა „პრეფიქსებში“ გვ. გვ. 3, 4, 5, 6, 7, 25, 43, 44, აგრეთვე ჩვენი წერილი: „პირის აღნიშვნა ქართულს ზმნაში“, საქართვე. განათლ. მუშაკი, №14, გვ. 15 და შემდ.

შედარება სხვა ქართველურ ენებთან არკვევს, რომ აქაც პრეფიქსი უნდა ყოფილიყო. ასე, რომ ქართული ზმნა მთლიანად პრეფიქსული უღვლილების მქონედ უნდა ვიგულოვოთ.¹

2. პრეფიქსები ყველა დრო-კილოთათვის ერთია, მაშინ როდესაც სუფიქსი ცვალებადია: ასე, მაგალ., აწმყოში 3 პ. მხოლ. **-ს** (|| **-ნ**), ნამყო ძირითადში **-ა**, (**-ნ**), ნამყო უსრულში **-ა**, **-ს**; ჰაბიტუალისა და სამსავე კონიუნქტივში **-ს**.

3. პრეფიქსები მხოლოდ პირებს აღნიშნავენ, ამიტომ მხოლოდობითა და მრავლობითში ერთნაირი სახისა არიან: მრავლობითობა ცალკე ფორმანტი (სუფიქსით) აღინიშნება, გარდა ერთი შემთხვევისა (იხ. ქვ.); სუფიქსები კი პირსაც აღნიშნავენ და რიცხვსაც: **კულები-ს**; **ს** არის სუფიქსი მესამე პირის **MS**-ისა მხოლოდობით რიცხვში; **MS** იმავე პირისა მრავლობით რიცხვში (იმავე დროში, რა თქმა უნდა) ახალ სუფიქსს იჩენს — **-ან**: **კულები-ან** იგინი: **-ან**ში მოცემულია მესამე პირი **MS**-ისა პლუს **MS**-ის მრავლობითობა.²

4. **MS**-ის პრეფიქსები ყოველთვის ჩანს ზნაში, გარდა ორი შემთხვევისა, სახელდობრ, როცა: **ა**) პირველი პირის **MS**-ის პრეფიქსი უნდა შეხედეს მეორე პირის **MO**-ის პრეფიქსს: **მე გ-კლავ** — ნაცვლად მოსალოდნელი **ვ-გ-კლავ**ისა და **ბ**) მეორე პირის **MS**-ის პრეფიქსი უნდა შეხედეს პირველი პირის **MO**-ის პრეფიქსს: **შენ მ-კლავ** მოსალოდნელი **ხ-მ-კლავ**ის ნაცვლად.³ ორსავე შემთხვევაში **MO**-ის პრეფიქსი მოიპოვება, არა ჩანს **MS**-ის პრეფიქსი, — მოვლენა მეტად საყურადღებოა; სამწუხაროდ, დამაკმაყოფილებლად ახსნილი არაა.

¹ [ამჟამადაც პრეფიქსულობა ძალაში რჩება, ოღონდ თავდაპირველად პრეფიქსები პირს კი არ აღნიშნავდნენ, არამედ — გრამატიკულ კლასს, როგორც ეს გაარკვია ვ. თოფურია დ ე გ- და თ ქ უ- ზმნათა ანალიზის საფუძველზე; იხ. ვ. თოფურია: „დ თავსართიანი ზმნები ქართულში“; თბილ. სახელმწ. უნივერსიტ. შრომები, **XXV**, 1942, გვ. 147-151; ნ. ანდლუაძის მონოგრაფია: „პიროვანი და კლასოვანი უღვლილების ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში“, თბილისი, 1967].

² ძველ ქართულში არის აშკარა ნიშნები იმისა რომ **-ან** წინათ მხოლოდ მრავლობითობას აღნიშნავდა, პირის ფორმანტი კი ცალკე იყო: დგა-ნ-ან: **-ნ** მესამე პირის სუფიქსი, **-ან** მრავლობითობის მაჩვენებელი; შდრ., ვ-დგა-თ, რომელშიაც პირის მაჩვენებელიც არის (ოღონდ პრეფიქსი) და რიცხვისაც. ესე იგი, მესამე პირი მრავლობითისა იმავე პრინციპის მიხედვით იყო აგებული, როგორითაც მეორე და პირველი. ამასთან მთელი რიგი საკითხებია დაკავშირებული. მათ დაუბრუნდებით ცალკე მესამე პირის პრობლემასთან დაკავშირებით.

[ამ გაგებას გარკვეული დაბრკოლება ხვდება; მის შესახებ ლაპარაკი გვაქვს წერილში: „მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში“; ენიმკის მოამბე, ტ. **V-VI**, თბილისი, 1940, გვ. 40-41. იხ. აგრეთვე, აქვე, ზემოთ, შენიშ. 1].

³ იხ. ა. შანიძე: „პრეფიქსები“, გვ. 25.

5. პირველი პირის **MS**-ისა და **MO**-ის პრეფიქსი, აგრეთვე მეორე პირის **MO**-ის პრეფიქსი, მოკლედ, პრეფიქსები **ვ, მ, გ** ხანმეტი ძეგლებიდან დღემდე უცვლელად და მკვიდრად დგას; მათს ხმარებაში არა აქვს ადგილი რაიმე რყევას თუ აღრევას. მეორე პირის **MS**-ისა და მესამე პირის **MO**-ის პრეფიქსები განიცდიან ცვლილებას: ხანმეტ ძეგლებში **ხ**'ს სახით გვხვდებიან, ჰაემეტში — **ჰ**'სი და მეცხრე საუკუნიდან ხან **ჰ**'სი, ხან **ს** || **შ**'სი,¹ ხანაც სულ იკარგებიან (ხმოვნების წინ). იმავე დროს ადგილი აქვს რყევას მესამე პირის **MO**-ის პრეფიქსის ხმარებაში,² რასაც ამ პრეფიქსების გენეზისისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.³

6. **MO** სახელობითი ბრუნვისა, მხოლოდობითი რიცხვისა (**MO იგი**) ზმნაში აღინიშნება **O** (ნოლ) ფორმით, ე. ი. პოტენციალურად: **მან პოვ-ა იგი**; აქ **-ა** სუფიქსი გამოწვეულია **მან**'ით, **იგი**'-ს კი ზმნაში წარმომადგენელი არა ჰყავს, მაგრამ ადგილი ზმნაში მიჩენილი აქვს და მის ადგილს ვერავინ დაიკავებს: არ შეიძლება ვთქვათ: **მან პოვა შენ**, უნდა: **გ-პოვა**; ან: **მან პოვ-ა მე**, უნდა: **მ-პოვ-ა**, ერთი სიტყვით, **მ-პოვა** და **გ-პოვა**'ს არსებობა საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ **პოვა**'ს აღმოაჩნდეს გარკვეული, ნოლ-ფორმა, რომელიც იმდენადვე არის ფორმა, რამდენადაც დაუბრკოლებლად ასრულებს ფორმის ფუნქციას: განასხვავოს ერთი მოვლენა მეორისაგან. აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ **პოვა** უდრის, ვთქვათ, რუსულში, *он нашел*-ს კი არა, არამედ *он нашел его*-ს.

84. ეს — პირის აღნიშვნის შესახებ. რაც შეეხება სახელთა რიცხვს, ზმნაში ისიც აღინიშნება. **MS**-ისა — თითქმის ყოველთვის, **MO**-ისა — გარკვეულს პირობებში. რიცხვზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში მრავლობითი გვაქვს, და რიცხვის აღნიშვნის საკითხი მრავლობითის აღნიშვნის საკითხს უდრის. მიზანშეწონილად ვთვლით ცალკე იქნეს განხილული მრავლობითობა **MS**-ისა და ცალკე **MO**-ისა.

დავიწყეთ **MS**-ით. **MS** **ორ ბრუნვაში გვხვდება: მოთხრობითსა და სახელობითში.**

¹ **ხ**, როგორც ცნობილია, იხმარება **დ, ტ, თ, ძ, წ, ც**'ს წინ; **შ** — **ჯ, ჰ, ჩ**'ს წინ (ჩვეულებრივად), შეიძლება აქაც **ს** იყოს; **ჰ** იხმარება დანარჩენ თანხმოვანთა წინ; ესენია: **ბ, გ, ვ, ზ, კ, ლ, მ, ნ; პ; ჟ, რ, ს, ფ, ქ, დ, ყ, შ, ხ, ჯ** (ა. შანიძე. „პრეფიქსები“, § 19, 24).

² მესამე პირის **MO**-ის პრეფიქსის უმართებულო ხმარების შესახებ იხ. ა. შანიძე: „პრეფიქსები“: გვ. 74 და შემდ.; 64 და შემდ.

³ აქ წარმოდგენილი ფაქტები აღწერილი ანალიზის შედეგად არის მიღებული. გენეტური განხილვა, ალბათ, დაგვანახვებს, რომ ბევრი რამ სხვაგვარად იყო, ვინემ ეს ძველი ქართულის სამწერლო ძეგლებში არის.

მოთხრობითი ბრუნვა, როგორც ვიცით, **ყოველთვის MS-ია** და **ინმარება მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან დრო-კილოთა მეორე ჯგუფში: ნამყო ძირითადას, ნამყო ჩვეულებითსა და კონიუნქტივ მეორესთან. მისი მრავლობითობა ყოველთვის აღინიშნება**; ეს იმდენად ნათელი ფაქტია ძველს ქართულში, რომ მასზე საგანგებოდ შეჩერება საჭიროდ არ მიგვაჩნია:

მან კლა, პოვა, ხთხოვა იგი (მას, მათ) – მათ კლეს, პოვეს, ხთხოვეს იგი (მას, მათ)... მან კლის, პოვის, ხთხოვის იგი (მას, მათ) – მათ კლიან, პოვიან, ხთხოვიან იგი (მას, მათ)... მან კლას, პოვოს, ხთხოვოს იგი (მას, მათ) – მათ კლან, პოვონ, ხთხოვონ იგი (მას, მათ)... საილუსტრაციოდ ესეც კმარა.

სახელობითი ბრუნვა MS-საც აღნიშნავს და MO-საც:

სახელობითი ბრუნვით გადმოცემული MS-ის მრავლობითობა ძველი ქართულის ზმნაში ყოველთვის აღინიშნება.¹

MS სახელობითი ბრუნვით გადმოიცემა:

1. **აბსოლუტურ ზმნებთან (დგას, კუდების) დრო-კილოთა ყველა ჯგუფში;**

2. **რელატიურ-გარდაუვალ ზმნებთან² (ხუდგას, ხუკუდების) აგრეთვე ყველა დროში** და

3. **რელატიურ-გარდამავალ ზმნებთან (ხკლავს, ხპოვებს) დრო-კილოთა პირველსა და მესამე ჯგუფში: ხკლავს იგი (მას), ხუკლავს იგი (მას).**

საგანგებო განხილვას არ საჭიროებს მრავლობითობის აღნიშვნა აბსოლუტურ ზმნებში: მრავლობითობა აქ ყოველთვის აღინიშნება: **იგი დგას, კუდების – იგინი დგანან, კუდებიან... იგი კუდებოდა – იგინი კუდებოდეს... იგი მოკუდა – იგინი მოკუდეს... იგი მომკუდარ არს – იგინი მომკუდარ არიან... ახალ ქართულთან შედარებით აქ თავისებური არაფერია. ეგევე ითქმის რელატიურ-გარდამავალი ზმნების შესახებაც დროთა პირველ ჯგუფში: იგი ხკლავს, ხპოვებს, ხთხოვს – იგინი ხკლავენ, ხპოვენ, ხთხოვენ... იგი ხკლვიდა, ხპოვდა, ხთხოვდა – იგინი ხკლვიდეს, ხპოვდეს, ხთხოვდეს... იგი ხკლვიდეს, ხპოვდეს, ხთხოვდეს – იგინი ხკლვიდენ, ხპოვდენ, ხთხოვდენ...**

სულ სხვაა საქმის ვითარება რელატიურ-გარდაუვალ ზმნებში და რელატიურ-გარდამავალი ზმნების დროთა მესამე ჯგუფში. რელატიურ-გარდაუვალ ზმნებში სახელობითის მრავლობითობა ახალ ქართულშიც ჩვეულებრივად აღინიშნება: **ის (იგი) მომიკვდა – ისინი (იგინი) მომიკვდენ... ის (იგი) გამიწყრა – ისინი (იგინი) გამიწყრნენ...** მაგრამ არ აღინიშნება ზმნათა ერთს წყებაში, სახელდობრ იმ ზმნებში, რომლებიც ჩვეულებრივად ობიექტური წყობით არის ხოლმე წარმოდგენილი: **მაქვს, მყავს, მძულს, მიყვარს,**

¹ სახელობითის მრავლობითობა არ აღინიშნება, თუ მრავლობითი ებ'ით არის ნაწარმოები; ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

² გამოთქმები: „რელატიურ-გარდაუვალ ზმნები“ ნახმარია სიმოკლისათვის.

მაკლია... ის (იგი), ისინი (ივინი). ძველს ქართულში სახელობითი აქაც სახელობითობს, ესე იგი, მისი მრავლობითობა საერთო წესის მიხედვით აქაც აღინიშნება.

რელატიურ-გარდამავალი ზმნების დროთა მესამე ჯგუფში სახელობითის მრავლობითობა ახალ ქართულში არ აღინიშნება: **მიკლავს ის, ისინი... მიწერია ის, ისინი..**, ძველ ქართულში — სისტემატურად აღინიშნება. სახელობითის მრავლობითობის აღნიშვნის ეს ორი შემთხვევა საჭიროა მაგალითებით იყოს ნათელყოფილი:

1. რელატიურ-გარდაუვალ ზმნებთან MS-ის აღნიშვნელი სახელობითის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება, ესე იგი: ეს სახელობითი ითანხმებს ზმნას მრავლობითში:

ა წ მ ყ ო:

აქუს მას იგი: ჰქონან მას ივინი: ფრიად ურიცხუნი ჟამნი ჰქონან საყდარსა მას ანჩისასა გ რ. ხ ნ ძ თ. დმ¹⁰.¹
 ხ⁷ პეტრეს კლიტენი ჰქონან ცათა სასუფეველისანი ხ ე ლ ნ ა წ. №1109, 116 რ.
 რ⁷ლა ჰქონან რადმე ზოგს გ⁷ნყოფანი კინაბართა ხ ე ლ ნ ა წ. №1138, 20 რ.
 რ⁷ლსა ჰქონან გ⁷ლის სიტყუანი უთმინოებისანი ი. ბ ო ლ. 3319.
 მიჰქონან ჯორცნი ჩემნი ხ ე ლ ნ ა წ. №19, 45.

აქუნ მას იგი: ჰქონედ მას ივინი: გამოჰქონან ნაყოფნი ტევანნი ხ ე ლ ნ ა წ. №19, 115.

¹ ციტატებში პრეფიქსები მოყვანილია არა ხანმეტის ნორმათა მიხედვით, არამედ სათანადო ძეგლების ჩვენებათა თანახმად; უ ყველგან მარტივად არის აღნიშნული, და არა ო და უ³თი, იმისდა მიუხედავად, თუ როგორ არის გამოცემაში; თუ ადგილი გამოცემული ძეგლიდან არის მოყვანილი, პირველი ციფრი გვერდს აღნიშნავს, მეორე — სტრიქონს, ზევიდან; ყველგან ვუჩვენებთ მხოლოდ იმ სტრიქონს, სადაც იწყება ციტატა; ხელნაწერებს როცა ვასახელებთ, მხოლოდ ნომერი მოგვყავს (სრული სათაური იხილეთ შემოკლებათა განმარტებასთან); ნომერს მოჰყვება ფურცლის მაჩვენებელი ციფრი №19-ის გამოკლებით, რომლის პაგინაცია გვერდობლივია; ა დ ი შ⁷თან კი პირველი ციფრი ტაბულას აღნიშნავს, **a** — ზედა ნახევარს, **b** — ქვედას, 1 — მარცხენა მხარეს, 2 — მარჯვენას.

	გონებანი წურთილნი ჰქონედ ცნობად კეთილისა და ბოროტისა ხელნაწ. №1138, 154 r.
გაქუს შენ იგი: გქონან შენ იგინი:	სიტყუანი საღმრთონი გქონან შენ სას. პოეზ. რ7.
მაქუს მე იგი: მქონან მე იგინი:	მქონან მე ვორცნი უხრწნელნი სას. პოეზ. სპლ ₂₈ . სახიობისა წილ და ქნარისა ქწს სახუეველნი მქონან და იგი არს ჩემდა ქნარ ხელნაწ. №19, 42. მქონან ჩემ ქუეშე ერისა კაცნი აღიშ. 116 b ₁ .
მაქუს მე იგი: გუქონან ჩუენ იგინი:	და აწ რ გუქონან: ჩწ წტყლნი ხელნაწ. №1109, 114 r.
უყუარს მას იგი: უყუარან მას იგინი:	უყუარან მას ხილვად დღენი კეთილისანი სას. პოეზ. ძღგ. უყუარან დაბადებულნი თჳსნი ხელნაწ. №1109, 51 r. მას უფროდს უყუარან სამწყსონი თწსნი საბა 16 ₉ . უფალსა უყუარან მოშიშნი სახელისა მისისანი წარტყ. იერ. 0 ₉ .
გიყუარს შენ იგი: გიყუარან შენ იგინი:	ღმრთისა მამისა სიმდიდრეო. გიყუარან [შენ] გლახაკნი სას. პოეზ. ძბ ₃₁ .
ჰნებავს მას იგი: ჰნებვან მას იგინი:	ვწ ჰნებვან იგინი ხელნაწ. №3124, 169 v.
ჰმატს მას იგი: ჰმატან მას იგინი:	ვწ იგი ჰმატან ვნებანი ქესნი ჩწდა მომართ: ეგრეცა ქეს მიერ ჰმატან ნუგეშინის ცემანი ჩწნი ხელნაწ. №1138, 85 r.
გრწამს შენ იგი: გრწმანან შენ იგინი:	თუ ჩემნი ესე სიტყუანი არა გრწმანან მკურნალთაგან მეცნიერ იქმენ ხელნაწ. №1109, 46 v.
გძაგს შენ იგი: გძაგან შენ იგინი:	რწლსა გძაგან კერპნი ბაგინთა სტყუენვ ხელნაწ. №1138, 29 r.

მიკმ მე შენ: მიკმთ მე თქუენ:	ვერ ზელეწიფების თუალსა ვრმცა ჰქა ზელსა არა მიკმ შენ და კლდ თავმან ფერჯთა ვდ არა მიკმთ თქნ ხ ე ლ ნ ა წ. №1138, 75 v.
სწერი-ეს/ა მას იგი: სწერიან მას იგინი:	სხუად წიგნი, რომელსა სწერიან ყოველნივე ძუელნი წიგნი ა თ ო ნ. კ რ. 17 ¹⁹ .
აკლი-ეს/ა მას იგი: აკლიან მას იგინი:	ქართლისა ქუეყანად დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნი აკლიან ა თ ო ნ. კ რ. 26 ²² .
უპყრი-ეს ¹ მას იგი: უპყრიან მას იგინი:	რომელსა წამის ყოფით უპყრიან ცანი ს ა ს. პ ო ე ზ. ტშდ ²³ . ღმერთი რომელსა მკლავითა უპყრიან დაბადებულნი ს ა ს. პ ო ე ზ. ოც ²⁸ .
 ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი:	
უყუარდა მას იგი: უყუარდეს მას იგინი:	და იურვოდა მათთვის ფდ აგრიბა და წუხდა უფროდსდა. რ უყუარდეს იგინი ფდ ხ ე ლ ნ ა წ. №19, 161.
აქუნდა მას იგი: აქუნდეს მას იგინი:	და იგი იყო მცირე ქლქი... და სამღდელონი მრავალნი აქუნდეს [მას] ხ ე ლ ნ ა წ. №19, 211.
აქუნდა მათ იგი: აქუნდეს მათ იგინი:	აჰა მოვიდეს მღდელნი და აქუნდეს მათ თანა ათორმეტნი იგი ყრმანი ხ ე ლ ნ ა წ. №19, 247.
უჩნდა მას იგი: უჩნდეს მას იგინი:	უჩნდეს სიტყნი ესე მის წე მტყუფრად ხ ე ლ ნ ა წ. №3124, 216 v.
აშუნდა მას იგი: აშუნდეს მას იგინი:	ნუ ვის ეგონოს: ვდ აშუნდეს მას სიტყუანი ხ ე ლ ნ ა წ. №1109, 86 v.
ჰყვანდა მას იგი: ჰყვანდეს მას იგინი:	და ჰყვანდეს მის თნა შიმონვარნი და მსახურნი ხ ე ლ ნ ა წ. №3124, 166 r.

¹ „უპყრიეს“ აგებულებით არაფრით განირჩევა გარდამავალ ზმნათა ნამყო სრულისაგან „უწერიეს“, „უქმნიეს“ ტიპისა. აქ მაინცადამაინც აწმყო და „აკლია“ს რიგს განეკუთვნება.

- მიჰყვანდა მათ იგი: მიჰყვანდეს მათ
იგინი: რადმეთუ¹ არა ერთსა გზასა მიჰყვან-
დეს იგინი [მათ] წ ა რ ტ ყ უ ე ნ.
ი ე რ. მზ₁₅.
- სძულდა მას იგი: სძულდეს მას იგინი: იყო იგი წარმართ და სძულდეს ქე-
ნენი და მრავალთა კაცთა... სტანჯვიდა
ხ ე ლ ნ ა წ. №3124, 208 r.
- სძულდა მათ იგი: სძულდეს მათ იგინი: განიხარეს ფრიად რადმეთუ სძულდეს
[ჰურიათა] ქრისტეანენი წ ა რ ტ ყ -
უ ე ნ. ი ე რ. ძ₁₅.
- კონიუნქტივი პირველი:
აქუნდეს მათ იგი: აქუნდენ მათ
იგინი: ეკლესიანი აქუნდენ სიმტკიცედ და
სიქადულად შენთა სამწყსოთა გ რ.
ხ ნ ძ თ. იმ₁₄.
გად რნი მიდგომილ იყვნენ და
რლთა აქუნდენ ყრმანი ჩიჰლნი
ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ. 29₁₀.
- გიჩნდეს შენ იგი: გიჩნდენ შენ იგინი:
უკუეთუ ნაცილ გიჩნდენ სიტყანი
ჩემნი უწყი ვდ... კ ი მ. 184₅.
- ნამყო ძირითადი:
დაუბრმა მას იგი: დაუბრმეს მას
იგინი: ხოლო მეცნიერთა... დაუბრმეს უგუ-
ლისხმოდ გონებისა თუალნი ს ა ს.
პ ო ე ზ. სპზ₃₂.
- დაეთესა მას იგი: დაეთესნეს მას
იგინი: რნი ქყსა მას კეთილსა დაეთესნეს
ა დ ი შ. 71 ბ₁.
- შეესმა მას იგი: შეესმნეს მას იგინი: გულის ჳმა ყო რ ლოცვანი მისნი
შეესმნეს ღ ა ს ა ბ ა 13₂₈.
- განეწონა მას იგი: განეწონნეს მას
იგინი: სიტყნი შნი გწეწონნეს გულსა
ჩემსა ხ ე ლ ნ ა წ. №3124, 42 r.

¹ აკად. ნ. მარის თუ სხვათა გამოცემაში როცა ქარაგმიანი ზმნა გაშლილია „რამეთუ“-დ, ჩვენს ამონაწერებში ყველგან გვაქვს „რადმეთუ“.

შეწყალა მას იგი: შეეწყალნეს მას
იგინი: შეეწყალნეს ივს [იგინი] და შეახო
თუალთა მათთა ა დ ი შ. 44 ა₁.

**2. მრავლობითობა MS-ისა (სახელობით. ბრუნვ.) გარდამავალ-რელატი-
ური ზმნების დრო-კილოთა მესამე ჯგუფში აღინიშნება, ესე იგი: ეს
სახელობითი, მრავლობითში როცა დაისმის, ითანხმებს ზმნას:**

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი:

აღმოგკითხავს შენ იგი:
აღმოგკითხვან შენ იგინი: შჭული იცი და წიგნი აღმოგკი-
თხვან არამე იცია რად ჰქმნე ი.
ბ ო ლ. 59₁₅.

უტვრთავს მას იგი: უტვრთვან მას
იგინი: ხოლო აწ ღირს იქმენი... მსახურე-
ბად მისა. რომელსა უტვრთვან და-
ბადებულნი ძალითა საღმრთოდთა
ს ა ს. პ ო ე ზ. რიზ₁₇.

განუწირავს მას იგი: განუწირვან
მას იგინი: სპარსთა მათ გულის-ხმა-ყვეს. ვითარ-
მედ ღმერთსა განუწირვან ქრისტიან-
ენნი წ ა რ ტ ყ უ ე ნ. ი ე რ. იმ₂₂.

დამიზამს მე ჟამი: დამიზმან მე ჟამნი:
რაოდენნიმე დამიზმან ჟამნი უდაბ-
ნოს მყუდროებით მსახურებასა შინა
კ ი მ. 49₁₂.

მიხილავს მე იგი: მიხილვან მე იგინი:
დიდნი და საშინელნი საქმენი მიხილ-
ვან მე წ ა რ ტ ყ უ ე ნ. ი ე რ. ლ₂₇.

აღვკხილავს ჩუენ იგი: აღვკხილვან
ჩუენ იგინი: აჰა ესერა ძმანო ჩემო. აღვკხილვან
თუალნი ჩუენნი მათთა მიმართ
წ ა რ ტ ყ უ ე ნ. ი ე რ. ნ₂.

დაუნერგავს მას იგი: დაუნერგვან
მას იგინი: და მცირედ ვენაჳნი ჳირით და ურვით
დაუნერგვან გ რ. ხ ნ ძ თ. კლ₂₅.

უწერი-ეს/ა მას იგი: უწერიან მას
იგინი: უფროდს ათას ხუთასისა დრაჳკნისა
უწერიან წიგნი მონასტრისანი
ა თ ო ნ. კ რ. 57₃.

- დაუსუწნები-ეს/ა მას იგი: დაუსუწნებიან
 მას იგინი: საყდარი ჭყონდილისა, სადა იგი მრავალთა წმიდათა მარტულნი დაუსუწნებიან ა თ ო ნ. კ რ. 305⁹.
- უთარგმნი-ეს/ა მას იგი: უთარგმნიან
 მას იგინი: უფროდსნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან ა თ ო ნ. კ რ. 301⁶.
 ჯერ არს, რადთა სახელითა რავდენნი მოვივსენნე წიგნნი, რომელნი მას ნეტარსა უთარგმნიან ა თ ო ნ. კ რ. 310²².
- განუმრავლები-ეს/ა მას იგი:
 განუმრავლებიან მას იგინი: მასმიეს მისთვის ვლ განუმრავლებიან მის თანა ზიარნი სჯულისა მისისანი კ ი მ. 59¹³.
- განუმზადები-ეს/ა მას იგი:
 განუმზადებიან მას იგინი: უფროდს არიან ნიჭნი იგი ღთისანი რნი განუმზადებიან თვსთა მოყუარეთათვს ი. ბ ო ლ. 52².
- გამოურჩევი-ეს/ა მათ იგი:
 გამოურჩევიან მათ იგინი: ხ ებისკოპოზთა... გამოურჩევიან... თვნნი კაცნი ხ ე ლ ნ ა წ. №3124, 223^v.
- განგისწავლი-ეს/ა შენ იგი:
 განგისწავლიან შენ იგინი: განგისწავლიან ბერძულსა გუარსა ზედა, კეთილო ბერო, შენნი ობოლნი ა თ ო ნ. კ რ. 335³¹.
- გიყოფი-ეს/ა თქუენ იგი: გიყოფიან
 თქუენ იგინი: თავნი თქუენნი ბრძენ და მძიმე გიყოფიან ა თ ო ნ. კ რ. 315³⁶.
 საკიცხელ გიყოფიან მოყუარენი მისნი ხ ე ლ ნ ა წ. №3124, 230 r.
- შეგირაცხი-ეს/ა შენ იგი: შეგირაცხიან
 შენ იგინი: დაუტევენით ჩნ ქმნულნი ესე კერბნი შენნი რნი იგი ღთად შეგირაცხიან კ ი მ. 152¹.
- აღგიშფოთები-ეს/ა შენ იგი:
 აღგიშფოთებიან შენ იგინი: ყნი კიდენი ქყნისანი აღგიშფოთებიან ხ ე ლ ნ ა წ. №3124, 246 v.

დამიტევები-ეს/ა მე იგი: დამიტევებიან

მე იგინი: მშობელნი და ძმანი და საფასენი და მონაგებნი არა მცირედნი დამიტევებიან ა თ ო ნ. კ რ. 44₆.

მიქმნი-ეს/ა მე იგი: მიქმნიან მე იგინი:

სამნი ცოდვანი მიქმნიან წინაშე ოწისა რ ა ვ ა ხ. 9₃₃.

შემიკრები-ეს/ა მე იგი: შემიკრებიან

მე იგინი: წმიდაო მეფეო, ესე ობოლნი აღმოსავლეთს შემიკრებიან ა თ ო ნ. კ რ. 335₁₂.

მომიყვანები-ეს მე იგი: მომიყვანებიან მე იგინი:

ესე ობოლნი... აწ წინაშე მეფობისა თქუწნისა მომიყვანებიან ა თ ო ნ. კ რ. 335₁₃.

წამომიცივი-ეს/ა მე იგი: წამომიცივიან

მე იგინი: და რწნი ვბოენ მწგწნი წამომიცივიანი შწდა ხ ე ლ ნ ა წ. №3124, 241 v.

მომივლინები-ეს/ა მე იგი:

მომივლინებიან მე იგინი: ნურას შეორგულდები რწმეთუ მომივლინებიან იგინი ხ ე ლ ნ ა წ. №1109, 156 r.

გვკსენები-ეს/ა ჩუენ იგი: გვკსენებიან

ჩუენ იგინი: და ფრიადნი წიგნნი თარგმანა, რომელთაგანნი რაოდენნიმე ზემო გვკსენებიან ა თ ო ნ. კ რ. 5₆₁₀.

დაგვმდაბლები-ეს/ა ჩუენ იგი:

დაგვმდაბლებიან ჩუენ იგინი: ესრეთ შეგუირაცხიეს თუ სამნივე დაგუიმდაბლებიან ხ ე ლ ნ ა წ. №2251, 12 r.

ნ ა მ ყ ო წ ი ნ ა რ ე წ ა რ ს უ ლ ი:

მოყვანა მას იგი: მოყვანეს მას

იგინი: ხოლო ერთი იგი. რომელსა მოყვანეს [მპარავნი]. კადნიერ იქმნა წარღებად. რადცა იგი აქუნდა წმიდასა მას გ რ. ხ ნ ძ თ. მზ₂₄.

- დაედგინა მას იგი: დაედგინეს მას
იგინი: უმრავლესთა დღეთა შატბერდს იყოფინ. რადმეთუ თვსთა მათ მონასტერთა მამასახლისნი დაედგინეს გ რ. ხ ნ ძ თ. მ₁₄.
- ეხილვა მათ იგი: ეხილვნეს მათ იგინი: ხოლო მათ ისმინეს სიტყუად მოხუცებულისდ მისამის თვს. რადმეთუ ეხილვნეს მისგან სასწაულნი გ რ. ხ ნ ძ თ. მ₁₂.
- აღეპურა მათ ჳელი: აღეპურნეს მათ ჳელნი: რომელნი-მე იცემდეს მკერდთა მათთა. და რომელთა-მე აღეპურნეს ჳელნი მათნი ჳეცად წ ა რ ტ ყ. ი ე რ. ძ₂₈.
- წარეგზავნა მას იგი: წარეგზავნნეს მას იგინი: რადმეთუ პირველადვე წარეგზავნნეს მას დედად და ცოლი და შვილნი ა ბ ო 18₆.
- წარევილინა მას იგი: წარევილინნეს მას იგინი: ყოველივე ჳედამიწევით ცნა კაცთა მათ მიერ, რომელნი მას წარევილინნეს ს ე რ ა პ. 23₁₉.
- მოეკრიბა მათ იგი: მოეკრიბნეს მათ იგინი: ეწივე ჳურჳელნი საბრძოლელნი დასარღუეველად ქალაქისა რწლნიცა ურმებითა მოეკრიბნეს ბარბაროზთა მათ, ერთბამად დასაწუელად მისცნეს ცეცხლსა ჳ ს ნ ა კ ო ნ ს ტ. 25₃.
- დახემარხა მას იგი: დახემარხნეს მას იგინი: ხ მარიამს დახემარხნეს სიტყუანი ესე და დახედვა გულსა თვსსა ხ ა ნ მ ე ტ ი 382₅.
- დაეპურა მას იგი: დაეპურნეს მას იგინი: ვინადთგან გზანი ყოველნი სკლიაროსსა დაეპურნეს, კაცისა წავლენად არად ეგებოდა ა თ ო ნ. კ რ. 9₁₀.
ხოლო მეფე ჳერაკლე... მოწევნულ იყო სპარსეთად და მრავალნი ქალაქნი მათნი დაეპურნეს და პალატნი სამეფუფონი წ ა რ ტ ყ. ი ე რ. მ₃.

ეტვრთა მათ იგი: ეტვრთნეს მათ

იგინი: ხოლო ძირნი ხისანი ქუჭშე შთასულ იყუნეს და გარემოს წმიდათა მათ ნაწილთა მოხუცულ იყვნეს ესრეთ, ვითარცა ცხოველთა ზედა ეტვრთნეს პატიოსანნი იგი ნაწილნი მათნი ა თ ო ნ. კ რ. 301²².

ეთარგმნა მას იგი: ეთარგმნნეს მას

იგინი: წიგნნი, რომელნი ეთარგმნნეს დეკანოზობასა შინა... ყოველნივე ეკლესიასა შინა დაუტევნა ა თ ო ნ. კ რ. 307²⁴.

ესწავა მას იგი: ესწავნეს მას იგინი:

რ^ა ესწავნეს მას წ^ათა მათგან წიგნნი საღმრთონი კ ი მ. 120²⁵.

ეკითხა მას იგი: ეკითხნეს მას იგინი:

და ეკითხნეს მას წიგნნი ძუელნი და ახალნი კ ი მ. 168²².

ნამყო წინარეწარსულის ეს მაგალითები კონტექსტის მიხედვით თუ განიჩევა იმ მაგალითებისაგან, რომელნიც ჩვენ ენიანი ვნებითისათვის (ნამყო ძირითადში) მოვიყვანეთ (იხ. გვ. 168); ეს ბუნებრივიცაა: თუ რატომ, ზემოთ ითქვა (იხ. გვ. 161-262).

85. MO ორს ბრუნვაში გვხვდება: ერთია მიცემითი, მეორე — სახელობითი. MO მიცემითს ბრუნვაში დაისმის: 1. რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა სამსავე ჯგუფში, 2. რელატიურ-გარდამავალ ზმნათა პირველსა და მესამე ჯგუფში — ყოველთვის, აგრეთვე მეორე ჯგუფშიც, თუ ზმნას ორი MO აქვს.

პრაგმატიკითა მეორე და მესამე პირის MO-ისა, თუ MO მიცემით ბრუნვაში არის დასმული, ზმნაში არ აღინიშნება, სხვანაირად რომ ვთქვათ: **თ ქ უ ე ნ, მ ა თ — MO-ები მიცემითი ბრუნვისა — ზმნას რიცხვში არ ითანხმებენ, ზმნაში ისევე აღინიშნებიან, როგორც შ ე ნ, მ ა ს: გ, ს'**თი: გ - თ ხ ო ვ ს შ ე ნ, თ ქ უ ე ნ, ხ - თ ხ ო ვ ს მ ა ს, მ ა თ... გ - თ ხ ო ვ ა შ ე ნ, თ ქ უ ე ნ, ხ - თ ხ ო ვ ა მ ა ს, მ ა თ; გ - ი თ ხ ო ვ ი ე ს შ ე ნ, თ ქ უ ე ნ, ხ - უ თ ხ ო ვ ი ე ს მ ა ს, მ ა თ...

1. MO მესამე პირისა მათ (მრავლ. რიცხვ. მიც. ბრ.) არ ითანმებს ზმნას რიცხვში:

ა მ ყ ო:

უნებს მას იგი: უნებს მათ იგი: და ეტყოდა ყლთა რლთა უნებს შემოდგომად ჩემდა: უვარყავნ თავი თვისი აღიშ. 123 a₂.

ჰნებავს მას იგი: ჰნებავს მათ იგი: არა შეეხნეს საზრდელსა მას და არცა ჰნებავს მთ ჰამად საბა 17₂₄.

უცხოთა ვიეთმე მონაზონთა ჰნებავს ადგილისა მის აღშენებად მონასტერი სერაპ. 8₂₅.

უჯმს მას იგი: უჯმს მათ იგი: არა უჯმს ცოცხალთა მკურნალი აღიშ. 113 b₁.

სურის მას იგი: სურის მათ იგი: სურის ნაწლევთა ჩემთა, სწადის სწადის მას იგი: სწადის მათ იგი: თუალთა ჩემთა ი. ბოლ. 81₁₀.

ესმის მას იგი: ესმის მათ იგი: ყრუთა ესმის... გლახაკთა ეხარცზის აღიშ. 117 a₂.

ეხარცზის მას იგი: ეხარცზის მათ იგი: ნეტარ არიან თვალნი რნი ხედვენ და ყურნი რლთა ესმის აღიშ. 126 a₁.

აქუს მას იგი: აქუს მათ იგი: რლთა არა აქუს შემწეჲს ხელნაწ. №3124, 131 v.

ჰრწამს მას იგი: ჰრწამს მათ იგი: რლთა ჰრწამს ძეჲს სწორი მამისად ხელნაწ. №3124, 112 r.

ემინის მას (იგი/მისგან): ემინის მათ (იგი/მისგან): ემინის მრავალთა ერთისა მისგან... ძრეელთა უძრულისა მისგან... ვაყრმათა საფრთხოლისაგან ემინინ ხელნაწ. №3124, 229 r.

სწყურის მას იგი: სწყურის მათ იგი: მათ სწყურის და სხუათა ასუმენ ხელნაწ. №19, 49.

უხარის მას იგი: უხარის მათ იგი: ყლთა უხარის და ხლდებიან ხელნაწ. №19, 42.

ჰმოსია მას იგი: ჰმოსია მათ იგი: ჰეშმარითისა ნათლისა სამოსელი ჰმოსია სიმდაბლითა სარწმუნოფთა შემკობილთა მრავალთა შორის ძმათა ამათ გ რ. ხ ნ ძ თ. ნბ₄.

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი :

აქუნდა მას იგი: აქუნდა მათ იგი: უტყუთა მწოდებელთა უტყვ აქუნდა მსაჯული ხ ე ლ ნ ა წ. №19, 34. არარად აქუნდა. წმიდა[თა] მათ. ქყნსა ზა ად ცათა. შინა. აქუს. საფასჴ. და სიხარული კ ი მ. 40₂₅. აქუნდა მთ მონაგებთა სიმრავლჴ აურაცხელი ს ა ბ ა 47. მოვიდოდეს მისა: და მოაქუნდა მისა განრღუეული რ ლ ზე აქუნდა ოთხთა ა დ ი შ. 67 a₂.

ჰყვანდა მას იგი: ჰყვანდა მათ იგი: ჰვად და კირი ფრიად შორით მოაქუნდა ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა... გ რ. ხ ა ნ ძ თ. ლზ₂₇ თანა. ჰყვანდა მათ. ერთი. მენავეთა მათგანი კ ი მ. 38₁₁.

ესმოდა მას იგი: ესმოდა მათ იგი: ვიხილენ კაცნი ვინმე საშინელნი. რომელთა მიჰყვანდა სული მისი ჯურღმულსა წ ა რ ტ ყ. ი ე რ. ჴა. და მრავალთა რ ლ თა ესმოდა ჰმალდა მოძღურებად იგი მისი ა დ ი შ. 75 a₁. ოდეს მკუდართა ესმოდის ედ ძისა [მ]ის ღ დ ა დ ი შ. 165 b₁. სანახებნი მათ არეთანი, რომელთაცა ესმოდა დიდი ესე საკვრველებად ს ე რ ა პ. 23₁₄.

დაუკურდებოდა მას იგი: დაუკურდებოდა მათ იგი: ე ლ თა რ ლ თა ესმოდა დაუკურდებოდა სიტყუათად მათ ა დ ი შ. 106 a₁.

უხაროდა მას იგი: უხაროდა მათ იგი: ხოლო მათ უხაროდა და ულოცვიდეს სარწმუნოებით შემომწირველთა გ რ. ხ ნ ძ თ. იზ₂₅.

უნდა მას იგი: უნდა მათ იგი:	და მრავალთა უხაროდის შობად იგი მისი ა დ ი შ. 102 a ₁ .
	მტერი რ ^ლ თა არა უნდა მეუფებად ჩემი მათ ზ ^ა მომგუარენით მე ა დ ი შ. 146 b ₁ . მტერთა მათ... უნდა. დამარხვად მისი და თანა წარყვანებად კ ი მ. 40 ₄ . გარდააქციეს მათ სიბრძნე იგი მისი ვ ^ა უნდა მათ კ ი მ. 54 ₁₂ .
უკვრდა მას იგი: უკვრდა მათ იგი:	უკვრდა უღმრთოთა მათ. სიმწიფე იგი. მისი კ ი მ. 38 ₁₇ . თქუა იოვანე არს სახელი მაგისი და უკვრდა ყ ^ლ თა ა დ ი შ. 104 b ₁ .
ესუა მას იგი: ესუა მათ იგი:	და არა ესუა მათ შვილ ა დ ი შ. 101 b ₁ .
უყუარდა მას იგი: უყუარდა მათ იგი:	ყრმანი წარმართთანი... მიუდგინა უკუანა... და უყუარდა მათ რჩული ქრისტეანობისაჲ წ ა მ. კ ო ლ ა - ე ლ. 56 ₁₂ . მტერთა მათ. ლ ^თ ისათა შეუყვარდა (!) იგი კ ი მ. 40 ₄ .
ნ ა მ ყ ო ძ ი რ ი თ ა დ ი :	
ეწოდა მას იგი: ეწოდა მათ იგი:	და იყვნეს ქ ^ლ ქსა შინა ჰალაბისისა კაცნი მრავალნი რ ^ლ თა ქ ^ე ანე ეწოდა ს ა ბ ა 11 ₁₉ .
შეეშინა მას (იგი/მისგან): შეეშინა მათ (იგი/მისგან):	ვ ^ა იხილეს სარკინოზთა მათ ცეცხლი იგი. შეეშინა შიშითა დიდითა კ ი მ. 29 ₂₉ . შეეშინა [მათ] შიშითა დიდითა და იტყოდეს ა დ ი შ. 72 b ₁ .
ჰრწმენა მას იგი: ჰრწმენა მათ იგი:	ხ ^ნ მეზვერეთა და მეძავთა ჰრწმენა ამისი ა დ ი შ. 46 a ₁ .
მოუკუდა მას იგი: მოუკუდა მათ იგი:	უკუანადსკნელდა ყ ^ლ თა მოუკუდა დედაკაცი იგი ა დ ი შ. 48 a ₂ .
ესმა მას იგი: ესმა მათ იგი:	ხ ^ნ ფარისევლთა ვითარ ესმა... შეკრბეს ერთად ა დ ი შ. 48 b ₁ .

	და ვრ ესმა თვსთა მათ გამოვიდეს შეპყრობად მისა ა დ ი შ. 69 ხ ₂ .
ეგონა მას იგი: ეგონა მათ იგი:	ვრ ესმა ათთა მათ იწყეს გულის წყრომად ა დ ი შ. 87 ხ ₁ . და ეგონა ჯორცთა მისთა რ გან- კურნებულ არს გვემისა მისგან ა დ ი შ. 74 ა ₁ .
შეემშია მას იგი: შეემშია მათ იგი:	მოწაფეთა მისთა შეემშია და იწყეს მუსრვად თავისა ჯოვილისა ა დ ი შ. 24 ა ₁ .
მოეგონა მას იგი: მოეგონა მათ იგი:	და პოეს მარიაში და... მოეგონა სიტყვსაჲ მის რლ ითქუა მათდა მიმართ ა დ ი შ. 106 ა ₁ .
ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი:	
უთქუამს მას იგი: უთქუამს მათ იგი:	რადმეთუ ჯორცთა გული უთქუამს სულისათვს გ რ. ხ ნ ძ თ. 13 ₂₄ . იგონებენ იგინი და გული უთქუამს მათ განბნევასა ჩნსა ი ო ს. ა რ ი მ. 39 _გ . განუთქუამს მწვალებელთა მთ... ვლ შნცა ზიარებულ ხარ ბოროტსა მას ს ა ბ ა 16 ₁₃ .
შთაუცუამს მას იგი: შთაუცუამს მათ იგი:	ნეტარ არს ქენანეთა რლთა შთაუ- ცუამს ქწ კ ი მ. 155 ₂₁ .
უბრძანებიეს მას იგი: უბრძანებიეს მათ იგი:	წერილ არს ვლ ანგელოზთა მისთა უბრძანებიეს შენთვს ო თ ხ თ ა ვ ი 11 ₂₇ .
უპყრიეს მას იგი: უპყრიეს მათ იგი:	უფროდს ხოლო ქალწულებითა, რო- მელი იგი მაღლად უპყრიეს მათ ა თ ო ნ. კ რ. 314 ₂ .
გამოუქმნიეს მას იგი: გამოუქმნიეს მათ იგი:	შუბლი იგი უშუერადრე გამოუქმნი- ეს ჯელოვანთა მათ კ ი მ. 150 ₂₉ .

ნ ა მ ყ ო წ ი ნ ა რ ე წ ა რ ს უ ლ ი:

შეეპყრა მას იგი: შეეპყრა მათ იგი: ხ^ნ კაცთა მათ რ^ლთა შეეპყრა ი^ვ ეკიცხევდეს მას ა დ ი შ. 151 b₂.

2. MO მეორე პირისა თქუენ (მრავლ. რიცხვ. მიც. ბრ.) არ ითანხმებს ზმნას რიცხვში:

ა წ მ ყ ო:

გაქუს შენ იგი: გაქუს თქუენ იგი: რ^ლთა გაქუს ტვრთვი (!) მიძიმც...
ხ ე ლ ნ ა წ. №1109, 47 r.
ჰკითხა მათ რაოდენ გაქუს პური ხ^ნ
მა[თ] ჰქეს ჰ ა ე მ ე ტ ი 379₁₃.
და ამის ყოვლისა შემდგომად
რადღა სასოებად გაქუს გინა რასაღა
მოელით [თქუენ] წ ა რ ტ ყ. ი ე რ.
ლ ლ²⁷.

გაქუნს აქა ა დ ი შ. 34 a₂.

გიხს შენ იგი: გიხს თქუენ იგი: აწ ვ^რ გიხს საყუარელნო
ხ ე ლ ნ ა წ. №19, 96.

გივმს შენ იგი: გივმს თქუენ იგი: უწყის მამამან თქ^ნმან რად იგი
გივმს თქ^ნ ი. ბ ო ლ. 23₁₂.
რად გივმს თქუენ თხოვადმდე ვ^ე
თქ^ნდა მისგან ა დ ი შ. 13 a₁.

გრწამს შენ იგი: გრწამს თქუენ იგი: რ^ლი მან მოავლინა თქ^ნ არა
გრწამს... ა დ ი შ. 166 a₁.

ჰქა მათ ი^ვ გრწამს ვითარმედ შე-
მძლებელ ვარ ყოფად ესე... ა დ ი შ.
19 a₂.

გურქუას ჩ^ნდა მომართ ვ^ა გრწამს
ეგრწითცა იყავნ თქ^ნდა... ი. ბ ო ლ.
46₁₀.

გიყუარს შენ იგი: გიყუარს თქუენ
იგი: გად თქ^ნდა ფარისეველნო... რ^ლ
გიყუარს თქ^ნ ზემოჯდომად... ხ ა ნ -
მ ე ტ ი 383₂₅ (ა დ ი შ. 129 a₂).

გინებს შენ იგი: გინებს თქუენ იგი: წ^ლდამან თეოდოსია ჰრქუა [მათ]:
გინებს თუ ყოფად თანამოქმედ და
თანამორწმუნედ ჩემდა კ ი მ. 151₂₂.

- გნებავს შენ იგი: გნებავს თქუენ
 იგი: [ყოველივე რადცა გნებავს რადცა
 გიყუნ თქუენ კაცთა ეგრეცა თქუენ
 ხყოფდით ხ ა ნ მ ე ტ. 377¹⁸.
- გეშინის შენ (იგი): გეშინის თქუენ
 (იგი): აწ ნუ ჰყვიოთ და ნუცა გეშინის
 [თქუენ] კ ი მ. 37¹⁸.
 ნუ მწუხარე ხართ შვილნო ჩემნო
 ნუცა გეშინის წ ა რ ტ ყ. ი ე რ.
 33²⁹.
- გშის შენ (იგი): გშის თქუენ
 (იგი): ნეტარ ხართ რომელთა გშის აწ
 რ განსძღეთ ა დ ი შ. 115 ა¹.
- გაწსოვს შენ იგი: გაწსოვს თქუენ
 იგი: დაიცვენით თავნი თქუენნი...
 გაწსოვსმცა დღჳ იგი საშინელი
 წ ა რ ტ ყ. ი ე რ. 5²³.
- გვიის შენ იგი: გვიის თქუენ იგი:
 ხ ნომერიანოს ჰკითხვიდა მათ: დე-
 დად გვიისა: ხ მათ ჰქქეს... კ ი მ.
 46³⁶.
- გიღირს შენ იგი: გიღირს თქუენ
 იგი: გიღირს თქნ უფროდსად დამორჩი-
 ლებად ბრძანებასა კ ი მ. 110⁸.
- გესმის შენ იგი: გესმის თქუენ იგი:
 უთხრა იოჰანეს რლ გესმის და ხე-
 დავთ ა დ ი შ. 22 ბ¹.
- გკითხავ შენ მე: გკითხავ თქუენ მე:
 ამას ხოლო გკითხავ თქუენ კ ი მ.
 151⁷.
- გეტყვ შენ მე: გეტყვ თქუენ მე:
 ანუ უფრო ურწმუნო ხართ რლსა
 გეტყვ თქნ კ ი მ. 116³⁵.
 გეტყუ თქუენ შემძლებელ არს ღ ი
 ა დ ი შ. 8 ბ¹.
- გითხრობ შენ მე: გითხრობ თქუენ მე:
 ამისთვის მეცა გითხრობ თქუენ
 სიტყუათა გლოვისათა წ ა რ ტ ყ.
 ი ე რ. 4²³.
 ისმინეთ სიტყუათა ამთ რლთა მე
 მიგიტხრობ თქნ ი. ბ ო ლ. 1⁷.
- გვედრები შენ მე: გვედრები
 თქუენ მე: ალ მე. გვედრები თქნ რა მი-
 თხრათ. რად. იყო კ ი მ. 43¹².

	აწ გვედრები, შემავრენით მე ცრემლნი ჩემნი ა თ ო ნ. კ რ. 342ვ.
მიგავლინებ შენ მე:	მიგავლინებ
	თქვენ მე:
	მე მიგავლინებ თქვენ ვა ცხოვართა შს მგელთა ა დ ი შ. 20 b ₁ .
გხედავ შენ მე:	გხედავ
	თქვენ მე:
	აწ გხედავ თქვენ რ გნებავს სმენად. ვითარ იგი მოისრნეს მამანი კ ი მ. 35გ.
გაუწყებ შენ მე:	გაუწყებ
	თქვენ მე:
	არა... მხიარულებასა გაუწყებ თქუ- ენ და არცა განცხრომად და შუე- ბად მოგიწოდ თქვენ წ ა რ ტ ყ. ი ე რ. 122.
გახარებ შენ მე:	გახარებ
	თქვენ მე:
	ნუ გეშინინ რ აჰა გახარებ თქვენ სიხარულსა ა დ ი შ. 105 b ₂ .
გაფუცებ შენ მე:	გაფუცებ
	თქვენ მე:
	ვარქუ მათ: გაფუცებ თქვენ ძალსა ქ მ ს ს ა რ ა ვ ა ხ. 832გ.
ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი:	
გაქუნდა შენ იგი:	გაქუნდა
	თქვენ იგი:
	შურითა საღმრთოდთა ეგზებოდეთ და უდაბნოდ გაქუნდა საშუებელად ბასილი და გრიგოლი ს ა ს. პ ო ე ზ. ჟ მ გ.
	და სუფევად გამოუთქუმელი მოგა- ქუნდა [თქვენ] ს ა ს. პ ო ე ზ. რ მ ბ ₂₃ .
გასწავებდი შენ მე:	გასწავებდი
	თქვენ მე:
	მარადლე ტაძარსა მას შინა ვჯედ თქნთანა და გასწავებდი. და არა შე- მიპყართ მე ა დ ი შ. 59 b ₁ (97 a ₂).
გინდა შენ იგი:	გინდა
	თქვენ იგი:
	მტერნო ღმრთისანო უკეთურნო. რაოდენ გინდა თქვენ წარწყმედად ჩუენი წ ა რ ტ ყ. ი ე რ. 110.
კ ო ნ ი უ ნ ქ ტ ი ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი:	
გეტყოდე შენ მე:	გეტყოდე
	თქვენ მე:
	ამას გეტყოდე თქვენ ვე ესე თქნთა- ნა ვარ ა დ ი შ. 185 b ₂ .

	ამას რაღ გეტყოდე თქუენ წ ა რ ტ ყ . ი ე რ . 50 ²⁸ .
მიგდევდე შენ მე: მიგდევდე თქუენ მე:	და მეცა უძლური ესე, მოსწრაფე გარ, რადთა თქუენ ორთავე მიგდევ- დე. წ ა რ ტ ყ . ი ე რ . მ ²⁷ .
ნ ა მ ყ ო ძ ი რ ი თ ა დ ი :	
გესმა შენ იგი: გესმა თქუენ იგი:	რ ^ა მიიღეთ და გესმა და ისწავეთ და იხილეთ ჩემგან ამას იქმოდეთ კ ი მ . 15 ² .
გარქუ შენ იგი მე: გარქუ თქუენ იგი მე:	თქ ^ნ არა სადა ვ ^ა მისი გესმა და არცა ელვად მისი გიხილავს ა დ ი შ . 166 a ¹ .
გიბრძანა შენ იგი მან: გიბრძანა თქუენ იგი მან:	არა პურისათჳს გარქუ თქ ^ნ ა დ ი შ . 35 a ² .
გასწავა შენ იგი მან: გასწავა თქუენ იგი მან:	აწ ესერა გარქუ თქ ^ნ და არა გესმა ა დ ი შ . 175 b ² .
გიჩუენა შენ იგი მან: გიჩუენა თქუენ იგი მან:	სიგლახაკე სულისად... გიბრძანა მესნელმან... რადთა თავს იღვათ ყოველი სიტყუად ბოროტი ს ა ს . პ ო ე ზ . რ ^ლ მ ²³ .
გეუფლა შენ იგი: გეუფლა თქუენ იგი:	ნაშობნო იქედნეთანო ვინ გასწავა თქ ^ნ სივლტოლად ა დ ი შ . 108 a ² .
კ ო ნ ი უ ნ ქ ტ ი ვ ი მ ე ო რ ე :	ნაშობნო იქედნეთანო. ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლად მოწევნადისა მისგან საუკუნოდსა რისხვისა ს ა ს . პ ო ე ზ . რ ^ლ მ ²⁸ .
წარმოგითხრა შენ იგი მე: წარმოგითხრა თქუენ იგი მე:	აწ მტერთა ველითა ტყუეობად თქუენ გეუფლა წ ა რ ტ ყ . ი ე რ . ლ ¹⁷ .
და მე წარმოგითხრა თქ ^ნ ყ ^ი ვე კ ი მ . 35 ⁹ .	

	<p>ჰქა მათ ივ უკვეთუ გითხრა [თქუ- ენ] არა გრწმენეს ა დ ი შ. 152 a₁. ვიწყო და მოგიოხრა თქუენ წ ა რ ტ ყ. ი ე რ. 27. რად გითხრა თქნ ძმანო ჩემნო კ ი მ. 39₂₈.</p>
<p>გკითხო შენ იგი მე: გკითხო თქუენ იგი მე:</p>	<p>ჰრქუა მათ გკითხო მეცა თქნ სიტყუა ერთ და მითხართ მე და მეცა გითხრა თქნ ა დ ი შ. 45 b₁ (114 b₁, 89 b₂). და უკვეთუ გკითხო თქნ ვერად მო- მიგოთ ა დ ი შ. 152 a₁.</p>
<p>განგისუენო შენ მე: განგისუენო თქუენ მე:</p>	<p>მოედით ჩემდა... და მე განგისუენო თქუენ ა დ ი შ 24 a₁ (ი. ბ ო ლ. 811).</p>
<p>მოგიტეო შენ იგი მე: მოგიტეო თქუენ იგი მე:</p>	<p>რა ერთი მოგიტეო თქნ დღესასწა- ულსა ამას: ინებეთ რა მოგიტეო თქნ მეუფე იგი ჰურიათად ა დ ი შ. 192 b₁.</p>
<p>გასწაო შენ იგი მე: გასწაო თქუენ იგი მე:</p>	<p>ისმინეთ ჩემი და მე გასწაო თქნ ი. ბ ო ლ. 77₁₆.</p>
<p>გაუწყო შენ იგი მე: გაუწყო თქუენ იგი მე:</p>	<p>ამიერიოგან გაუწყო თქუენ. ვითარ იყო შესლვად ჩუენი სპარსეთად წ ა რ ტ ყ. ი ე რ. 22₁.</p>
<p>მოგივლინო შენ იგი მე: მოგივლინო თქუენ იგი მე:</p>	<p>ეტყოდა მათ წარვალ მე მამისა და მოგივლინო სული ცხოველი ს ა ს. პ ო ე ზ. რ 2₁₁.</p>
<p>გიჩუენო შენ იგი მე: გიჩუენო თქუენ იგი მე:</p>	<p>ჰქა მათ იერემია არა გიჩუენო იგი თქნ კ ი მ. 38₁₂. ჯერ-არს რა გიჩუენო თქენ და გა- უწყო ვდ კ ი მ. 104₁₇.</p>

მიგეახლო შენ მე: მიგეახლო თქუენ

მე: მომეახლენით მე და მე მიგეახლო
თქნ ი. ბოლ. 48ვ.

ნამყო სრული:

აღმოგიკითხავს შენ იგი:

აღმოგიკითხავს თქუენ იგი: ჰრქუა მათ არა აღმოგიკითხავსა,
რად იგი ყო დავით აღიშ. 24 ა₂
(114 ა₂).

გიძლავს შენ იგი: გიძლავს თქუენ
იგი:

არა უწყით რასა ითხოვთ გიძლავს
სასუმელისა შესუმად რლ ჩემდა
შესუმად არს აღიშ. 87 ბ₁.

გიყოფიეს შენ იგი: გიყოფიეს თქუენ

იგი: შვილნო ჩემნო. ვხედავ რადმეთუ
ლოცვად უღებ გიყოფიეს [თქუენ]
და შჯული და კანონი შეურაცხ
გიყოფიეს [თქუენ] წარტყ.
იერ. 50₂₀.

გიქმნიეს შენ იგი: გიქმნიეს თქუენ

იგი: გევედრები თქნ... რლთა ეგე არა-
რად გიქმნიეს ბოროტი კიმ. 56₁₀.

მოგიგიეს შენ იგი: მოგიგიეს თქუენ

იგი: ად თქენ სახედ და მიზეზად ვაჭ-
რობისა მოგიგიეს ახალი ესე სა-
ცთური კიმ. 7₂₀.

ნამყო წინარეწარსული:

შეგექმნა შენ იგი: შეგექმნა თქუენ

იგი: უკუეთუმცა არა შეგექმნა აპოლონი
თქუენ არარადმცა იყო იგი კიმ.
151₁₈.

გეტჯრთა შენ იგი: გეტჯრთა თქუენ

იგი: და გეტჯრთა თქუენ სიმდიდრედ მო-
უკლებელი სას. პოეზ. რლ₂₁.

გეცნა შენ იგი: გეცნა თქუენ იგი:

უკუეთუმცა გეცნა რად არს წყალო-
ბად მნებაგს... არცამცა შჯიდით უბ-
რალთა აღიშ. 24 ბ₁.

გგონიე შენ მე: გგონიე თქუენ მე:¹ ნუ გგონიე მე. საყუარელნო. ვითარ-
ცა კაცი მრავლის-მეტყუელი
წ ა რ ტ ყ . ი ე რ. 16.

86. მრავლობითობა პირველის პირის MO-ისა, თუ კი იგი მიცემითს ბრუნვაშია, ხან აღუნიშნელი რჩება, ხან აღინიშნება; სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩუენ MO, დასმული მიცემითს ბრუნვაში, ან აღინიშნება ისევე, როგორც მე მ'თი, ან აღინიშნება განსხვავებულ გუ-პრეფიქსით, ესე იგი: ხან ითანხმებს ზმნას რიცხვში, ხან არ ითანხმებს.

MO პირველი პირისა ჩუენ (მრავლ. რიცხვ. მიც. ბრ.) აღნიშნულია მ'თი, ესე იგი: მისი მრავლობითობა აღუნიშნელი რჩება, ზმნას რიცხვში არ ითანხმებს:

ა წ მ ყ ო:

მომავებ მე შენ: მომავებ ჩუენ შენ: შენ მხოლოდ მოწყალე ხარ. უფა-
ლო... ნუ მომავებ ცოდვათა ჩუენ-
თაებრ წ ა რ ტ ყ . ი ე რ. მ310.

ნუცა უშჯულოებათა ჩუენთაებრ
მომავებ ჩუენ წ ა რ ტ ყ . ი ე რ.
პ312.

მაგებს მე იგი: მაგებს ჩუენ იგი: განმიღებს... სამოთხესა და კუალად
მაგებს ჩუენ მუნვე ს ა ს. პ ო ე ზ.
ნ33.

მაგინებ მე შენ: მაგინებ ჩუენ შენ: მოძღვარ მაგას რად იტყვ ჩ'ნცა მა-
გინებ ა დ ი შ. 129 ა2.

დამივიწყებ მე შენ: დამივიწყებ ჩუენ
შენ: ნუ დამივიწყებ წინაშე მისსა მოსა-
თა შენთა, რომელნი... გხადით
ს ა ს. პ ო ე ზ. ს ო ბ 32.

¹ გვხვდება მაგალითები, როგორცაა: გ ე ტ ყ ვ თ თქ'ნ... გ ა უ წ ყ ო თ თქ'ნ... მ ო გ პ ა რ ს ა ვ თ თქ'ნ... გ ი გ ო დ ე ბ დ ი თ თქ'ნ (აღიშ. 118 ა1) გ ი ს - უ ტ უ ნ ე ვ დ ი თ თქ'ნ (აღიშ. 117 ბ2) და სხვ., მაგრამ აქ **თ** სუფიქსი თქუენ MO-ის მრავლობითობას კი არ გამოუწვევია, არამედ ჩუენ MS-ის აღნიშნულია: ხოლო ჩ'ნ. გ ე ტ ყ ვ თ. თქ'ნ. ე კ რ ძ ა ლ ე ნ ი თ მ ც ი რ ე დ თ ა დ ლ ე თ ა (კიმ. 3526)... ჩუენდა ჯერ არს რადთა გაუწყოთ რად იგი მოიწია ჩუენ - ზედა მწუხარებად (წარტყ. იერ. დ31)... შეგვცნ- დვეთ [ჩუენ] ვერ მოგპარსავთ თქუენ კაცნი ხართ სა- ხელოანნი (ათონ. კრ. 4530)...

	ნუ დამივიწყებ ჩუენ ადგილისა შე- ნისა წმიდისა მკვდრთა გ რ. ხ ნ ძ თ. იბ ⁷ .
დამივიწყებთ მე თქუენ: დამივიწყებთ ჩუენ თქუენ:	ისმინეთ სიტყუად ესე და გემინო- დენ უფლისა და ნუ დამივიწყებთ ჩუენ წ ა რ ტ ყ. ი ე რ. ნმ ⁷ .
აღმავსებს მე იგი: აღმავსებს ჩუენ	იგი: ნათელი არს ქრისტე მიუაჩრდილე- ბელი და აღმავსებს ჩუენ ნათლითა मित ცხოვრებისადთა ს ა ს. პ ო ე ზ. იღ ⁸ .
მერჩიან მე იგინი: მერჩიან ჩუენ	იგინი: უშჯულოსა და სხუასა რასმე შრო- მასა: შემახუედრებენ რწლნი არა მე- რჩიან ჩწ კ ი მ. 46 ¹⁵ .
მსჯი მე შენ: მსჯი ჩუენ შენ:	ნუ დამშჯი მონათა შენთა წ ა რ ტ ყ. ი ე რ. მმ ¹¹ .
მსწავლის მე იგი: მსწავლის ჩუენ	იგი: იგი ვითარცა ღმერთი და მამად მსწავლის ჩუენ წ ა რ ტ ყ. ი ე რ. ლმ ²⁹ .
მეტყუან მე იგინი: მეტყუან ჩუენ იგინი:	მეტყუან ჩწ მეგობარნი სწავლი- სათუ ს იკითხვენ და მტერნი გამოძი- ებისათუ ს აღიძრუან ხ ე ლ ნ ა წ. №1109, 97 r.
მფარავს მე იგი: მფარავს ჩუენ იგი:	მეოხებად მისი მფარავს ყოველთა მადიდებელთა მისთა გ რ. ხ ნ ძ თ. იპ ³⁰ .
მაქუს მე იგი: მაქუს ჩუენ იგი:	აწდ სასოებად მაქუს ჩწ ხ ე ლ ნ ა წ. №1138, 98 v. მაქუს ჩწ საკურთხეველი რწლისა- გან ჭამად ვერ ველეწიფების ხ ე ლ ნ ა წ. №1138, 172 r. მაქუს ჩუენ ველით უქმნელი საუკუ- ნე ცწთა შწნა ხ ე ლ ნ ა წ. №1138, 90 v. არა მაქუს ჩწ აქა საყოფლად ქქი: იქვე, 172 v.

		<p>ჯორჯი მისი მაქუს ჩუენ საჭმლად და სისხლი მისი მაქუს ჩუენ სასუმლად წ ა რ ტ ყ. ი ე რ. ლმ₂₈.</p> <p>უფალო. არა მაქუს ჩუენ კანდიერებაა წინაშე შენსა წ ა რ ტ ყ. ი ე რ. მზ₂₂.</p>
განმიღებს მე იგი:	განმიღებს ჩუენ იგი:	<p>ხმ იგი ცხორებისაა შენ შორის აღმოსცენდა დღეს და განმიღებს ოჯრჩებით დაწმულსა პირველ სამოთხესა ს ა ს. პ ო ე ზ. ნმ₁.</p>
შემიყვანებ მე შენ:	შემიყვანებ ჩუენ შენ:	<p>ნუ შემიყვანებ ჩნ განსაცდელსა ოო ი. ბ ო ლ. 19₂₂.</p>
მიყოფ მე შენ:	მიყოფ ჩუენ შენ:	<p>ნუ ცოდვათა ჩუენთაებრ მიყოფ ჩუენ წ ა რ ტ ყ. ი ე რ. ძმ₁₁.</p>
განმაშორებ მე შენ:	განმაშორებ ჩუენ შენ:	<p>ნუ განმაშორებ ჩნ შეწევნასა უნსა ხ ე ლ ნ ა წ. ნმ₆, 9 v.</p>
მომეც მე შენ იგი:	მომეც ჩუენ შენ იგი:	<p>პური ესე ჩნი სამარადისოდ მომეც ჩნ დღეს ი. ბ ო ლ. 19₁₇.</p>
მიმცემ მე შენ:	მიმცემ ჩუენ შენ:	<p>უფალო. ნუ მიმცემ ჩუენ სრულიად წ ა რ ტ ყ. ი ე რ. იმ₃₁.</p>
მაცხოვნებს მე იგი:	მაცხოვნებს ჩუენ იგი:	<p>მაცხოვნებს ჩუენ უფალი ყოველთა მორწმუნეთა მისთა გ რ. ხ ნ ძ თ. მბ₂.</p>
აღმძრავს მე იგი:	აღმძრავს ჩუენ იგი:	<p>და აღმძრავს ყოველთა გალობად ღმრთისა ს ა ს. პ ო ე ზ. სმა₂₈.</p>
მაიძულებენ მე იგინი:	მაიძულებენ ჩუენ იგინი:	<p>შეურაცხებით დასთრგუნვენ ფერჯითა მათითა. და ჩუენცა. მორწმუნეთა მაიძულებენ ყოფად საქმისა მათისა წ ა რ ტ ყ. ი ე რ. მმ₃.</p>
წარმიძლვს მე იგი:	წარმიძლვს ჩუენ იგი:	<p>დაგლახაკნების და წარმიძლვს ჩუენ ზეცად ს ა ს. პ ო ე ზ. ძ1.</p>

- მაწუევს მე იგი: მაწუევს ჩუენ იგი: სიყუარული იგი ქესი მაწუევს ჩწ
ხ ე ლ ნ ა წ. №1138, 91 r.
- წარმწყმედ მე შენ: წარმწყმედ ჩუენ
შენ: ნუცა წარმწყმედ ჩუენ ველითა
მტერთა შენთადათა წ ა რ ტ ყ.
ი ე რ. 0031.
- ნ ა მ ყ ო ძ ი რ ი თ ა დ ი:
- მომბერე მე შენ: მომბერე ჩუენ შენ: მოვედ აწ ჩუენდა. ნეტარო ბასილი.
და მომბერე ჩუენ სულისა მადლი
ს ა ს. პ ო ე ზ. 287.
- მომიგო მე მან: მომიგო ჩუენ მან: მომიგო ჩწ აბუკურა კ ი მ. 1664.
- მომაგეთ მე თქუენ: მომაგეთ ჩუენ
თქუენ: აწ უკუჴ მომაგეთ ჩუწ ბოროტი
ესე ა თ ო ნ. კ რ. 3405.
- მომიზღეთ მე თქუენ: მომიზღეთ ჩუენ
თქუენ: ტირილი მტირალთა თანა მო-
მიზღეთ ჩუწ ა თ ო ნ. კ რ. 3406.
- მითხარ მე შენ: მითხარ ჩუენ შენ: იოსეფ რჩეულო მითხარ ჩწ. ვინ
არს ესე ჳუარსცმული ჳორციითა
ს ა ს. პ ო ე ზ. რ088.
- მითხრეს მე მათ: მითხრეს ჩუენ
მათ: მათ მითხრეს ჩწ ბჳეთა მათთვის
ი ო ს. ა რ ი მ. 299.
მორადვიდეს ძმანი მითხრეს ჩწ მან-
დად იგი საქმჴ რად იქმნა
ხ ე ლ ნ ა წ. №19, 104.
- შემამთხვე მე შენ: შემამთხვე ჩუენ
შენ: ვად ჩუწნდა... რად ესე შემამთხვე
ჩუწ ა თ ო ნ. კ რ. 33735.
- შემემთხვა მე იგი: შემემთხვა ჩუენ
იგი: სამართლად ესე ყოველი შემემთხვა
ჩუენ წ ა რ ტ ყ. ი ე რ. 3318.
- მარქუ მე იგი შენ: მარქუ ჩუენ იგი
შენ: აწ მარქუ ჩწ ვწ ჳერ გიხს ა დ ი შ.
47 b2.
- მრქვ მე იგი შენ: მრქვ ჩუენ იგი
შენ: მრქვ ჩწ ვწ ვითხოვოთ სული წდ
და მრქა ჩწ ი ო ს. ა რ ი მ. 3621.

- მასწავვე მე იგი უენ: მასწავვე ჩუენ
იგი უენ: იესო... მასწავვე ჩუენ სიტყუად სიბ-
რძნისა ა ბ ო 42₁₉.
- მაქმენ მე იგი უენ: მაქმენ ჩუენ იგი
უენ: ჰრქუა მას დედამან მისმან უვილო რად
საქმე მამენ ჩნ ა დ ი შ. 107 ბ₁.
- მიყავ მე იგი უენ: მიყავ ჩუენ იგი
უენ: უვილო რად ესე მიყავ ჩნ ხ ე -
ლ ნ ა წ. №1109, 40 v.
- მიყო მე იგი მან: მიყო ჩუენ იგი
მან: რადმეთუ სამართალით ესე ყოველი
მიყო ჩუენ წ ა რ ტ ყ. ი ე რ. ლ²⁴.
- მიყვეს მე იგი მათ: მიყვეს ჩუენ იგი
მათ: მეუფლა ჩუენ ნათესავი იგი ბილწი
სპარსთად. და მიყვეს ჩუენ ყოველი-
ვე ნებისაებრ მათისა წ ა რ ტ ყ.
ი ე რ. თ₂.
- აღმიშენა მე იგი მან: აღმიშენა ჩუენ
იგი მან: უესაკრებელი ესე მან აღმიშენა ჩნ
ა დ ი შ. 116 ა₂.
- განმაშორე მე იგი: უენ განმაშორე
ჩუენ იგი უენ: განანათლენ აწ სულნი ჩუენნი... და
განმაშორე ბნელი ცოდვისად ს ა ს.
პ ო ე ზ. კ₄.
- განმეშორა მე იგი: განმეშორა ჩუენ
იგი: განვეშორენით ჩუენ ღმერთსა და
განმეშორა ჩუენ ღმერთი წ ა რ ტ ყ.
ი ე რ. კ₂₈.
- მომეც მე იგი უენ: მომეც ჩუენ იგი
უენ: ოწ მომეც ჩნ იგი ი ო ს. ა რ ი მ.
37.
...პური... მომეც ჩნ დღეს ი.
ბ ო ლ. 19₁₇.
- ღამეცა მე იგი: ღამეცა ჩუენ იგი:
ღამეცა ჩნ ზა შიში დიდი კ ი მ.
36₂₂.
- მომცა მე იგი მან: მომცა ჩუენ იგი
მან: მომცა ჩნ წინდი იგი სულისად
ხ ე ლ ნ ა წ. №1138, 90 v.
ნუგეშინის მცა ჩნ ღწ ხ ე ლ ნ ა წ.
№1138, 93 v.

	მომცა ჩუენ სასოვებად ცხოვრებისა საუკუნოდსად ს ა ს. პ ო ე ზ. ტიზ ¹⁴ .
გამომეცხადა მე იგი: გამომეცხადა ჩუენ იგი:	გამომეცხადა ჩ ^ნ : და მომიხუნა მოწყალებითა თუსითა მისგან კ ი მ. 45 ¹⁵ .
მიმიძელუ მე შენ: მიმიძელუ ჩუენ შენ:	განწმიდენ გულნი ჩუენნი და მიმი- ძელუ ჩუენ მცნებათა გზასა ს ა ს. პ ო ე ზ. სლ ^ა ₁₅ .
წარმიძლუა მე იგი: წარმიძლუა ჩუენ იგი:	იშვა... და წარმიძლუა ჩუენ სამო- თხედ ს ა ს. პ ო ე ზ. ძმ ⁹ .
შემძინე მე იგი შენ: შემძინე ჩუენ იგი შენ:	რქუეს მოციქულთა მათ შემძინე ჩ ^ნ სარწმუნოებად ა დ ი შ. 140 b ₂ .
მეძინა მე: მეძინა ჩუენ:	წარიპარეს იგი ვ ^ე ჩ ^ნ მეძინა ა დ ი შ. 64 b ₂ .
დამიწერა მე იგი მან: დამიწერა ჩუენ იგი მან:	ეტყოდეს: მოძლუარ მოსე ესრე და- მიწერა ჩ ^ნ ა დ ი შ. 147 b ₁ .
მომხედა მე მან: მომხედა ჩუენ მან:	წმიდა არს მარადის. და წყალობით მომხედა ჩუენ ს ა ს. პ ო ე ზ. ძმ ²⁵ .
კ ო ნ ი უ ნ ქ ო ე ვ ი მ ე ო რ ე:	
მომაგოს მე იგი მან: მომაგოს ჩუენ იგი მან:	არცა უშჯულოებათა ჩუენთაებრ მო- მაგოს ჩუენ [უფალმან] წ ა რ ტ ყ. ი ე რ. ნმ ²⁴ .
დამაკლოს მე იგი მან: დამაკლოს ჩუენ იგი მან:	დამაკლოს ჩ ^ნ პატივი ჩ ^ნ ნი ხ ე ლ ნ ა წ. №3124, 154 v.
დამკრიბოს მე იგი მან: დამკრიბოს ჩუენ იგი მან:	უკუეთუ ვთქ ^თ კაცთაგან ყ ^ნ ერმან ქვად დამკრიბოს ჩ ^ნ ა დ ი შ. 146 b ₁ .
მრქუას მე იგი მან: მრქუას ჩუენ იგი მან:	უკუეთუ ვთქუათ ვ ^დ ზეციით არს მრქუას ჩ ^ნ რადსათჳს არა გრწმენა მისი ა დ ი შ. 146 b ₁ .

მომანიჭოს მე იგი მან: მომანიჭოს	
ჩუენ იგი მან:	და ჩუენცა უგულის-ხმოთა ამათ მომანიჭოს წ ა რ ტ ყ. ი ე რ. ბ ო.
შემეშინოს მე [იგი მისგან]: შემეშინოს	
ჩუენ [იგი მისგან]:	არა შემეშინოს ჩუენ ბოროტისაგან გ რ. ხ ნ ძ თ. ი ვ.
მომცეს მე იგი მან: მომცეს ჩუენ	
იგი მან:	მომცეს ჩ ო ნ ო ნ ი. ბ ო ლ. მ მ 26.
წარმიძლუეს მე იგი: წარმიძლუეს	
ჩუენ იგი:	რადთა შეცოდებათა ჩუენთა სა-კრველნი განჰჰსნენს წყალობით და წარმიძლუეს ჩუენ ზეცად ს ა ს. პ ო ე ზ. ნ მ 11.
მეწიოს მე იგი: მეწიოს ჩუენ იგი: ¹	ამისთჳს მსწრაფლ მეწიოს ჩუენ წყალობად მისი წ ა რ ტ ყ. ი ე რ. მ მ 26.

MO ჩუენ მიცემითს ბრუნვაში დასმული, აღინიშნება ზმნაში გუ-პრეფიქსით, ესე იგი: პირველი პირის MO-ის (მიცემ. ბრ.) მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება:

ა წ მ ყ ო:

მიბრძანებს მე იგი: გვბრძანებს ჩუენ

იგი: თავადი ეგე მეფე ეშმაკ არს. და გვბრძანებს სხუათაცა ეშმაკთა მსახურებად კ ი მ. 148³⁶.

მადგს მე იგი: გუადგს ჩუენ იგი:

ა ო დ ზ ა გუადგს ესე მღევანი ზ ა მღგომელი და მოძლუარი ხ ე ლ ნ ა წ. №19, 111.

¹ რადგანაც მაგალითებში გვხვდება სხვადასხვაგვარი ზმნა: რელატიურ-გარდაუვალი, რელატიურ-გარდამავალი, ამ უკანასკნელებში ერთ- და ორ- მორფოლოგიური ობიექტიანი, შესაძლებლად დავინახეთ არ დაგვეცვა მორფოლოგიური სუბიექტის პირთა გარკვეული თანამიმდევრობა, ზმნები დროთა მიხედვით დავალაგეთ და თითოეული დროის ფარგლებში ზმნები დასაწყისი ძირეული თანხმონის მიხედვით ანბანზე დავაწყეთ; ეს ვცანით მით უფრო შესაძლებლად, რომ ამა თუ იმ მორფოლოგიური სუბიექტისა და სხვა მორფოლოგიური ობიექტის არსებობა-არარსებობა ჩვენთვის საინტერესო მორფოლოგიური ობიექტის აღნიშვნაზე ზმნაში არავითარ გავლენას არ ახდენს.

- მივის მე იგი: გვვის ჩუენ იგი: არა ვინ გვვის ჩუენ ცოდვილთა თჳნიერ შენსა ჭირთა შინა ა ბ ო 55₁₅.
- მინებს მე იგი: გვნებს ჩუენ იგი: რა არა გვნებს გნძარცუვად ხ ე ლ ნ ა წ. №1138, 90 v. არლარა გვნებს მითხრობად თქენდა კ ი მ. 104₁₄.
- მნებავს მე იგი: გუნებავს ჩუენ იგი: და კეთილად გუნებავს სლვად ხ ე ლ ნ ა წ. №1138, 173 r. ნუ უკუე იღჳებდეს სისხლი იჳდსი ჩნ ზა ვინადთგნ გუნებავს ბორო-ტისა ყოფად ი ო ს. ა რ ი მ. 63₁₉.
- მაოტებს მე იგი: გუაოტებს ჩუენ იგი: და ჩნ უწინარჳს ჟამისა გუაოტებს საყოფელთაგან ჩნთა კ ი მ. 190₃₈.
- მრწამს მე იგი: გურწამს ჩუენ იგი: ჩნ გურწამს და აღვიარებთ ოა ჩნსა იჳს ი. ბ ო ლ. 82₁₇.
- მსურის მე იგი: გუსურის ჩუენ იგი: უფროდსლა გუსურის და მოწრაფე ვართ მიმთხუევად კ ი მ. 109₃₄.
- მისმენს მე იგი: გვსმენს ჩუენ იგი: დიდსა შაბათსა შობილი მჳეცი არა გვსმენს და არცა ჳამს ა თ ო ნ. კ რ. 304₁₀.
- მაჳუ(ნ)ს მე იგი: გუაჳუ(ნ)ს ჩუენ იგი: მათ ჳჳს მას არა გუაჳუნს აჳა: გარდა ხუთი პური და ორი თევზი ა დ ი შ. 31 b₁. არად გუაჳუს სიტყუად ღირსი ქებო-სად ს ა ს. პ ო ე ზ. 28₅.
- მიხს მე იგი: გვხს ჩუენ იგი: ად არა იწროება გვხს ხ ე ლ ნ ა წ. №1138, 89 v.
- ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი:
- მევენბოდა მე იგი: გუევენბოდა ჩუენ იგი: და ამის მიერ ფრიად გუევენბოდა რადმეთუ ნათესავი ჩუენი წრფელ იყო ა თ ო ნ. კ რ. 295₁.
- მითხრობდა მე მას იგი: გვთხრობდა ჩუენ მას იგი: საწყალობელი იგი დედად მათი ცრემლით და გოდებით გვთხრობდა ჩუენ წ ა რ ტ ყ. ი ე რ. მბ₁₅.

მილოცვიდა მე იგი: გვლოცვიდა ჩუენ	იგი: და გვლოცვიდა ჩნ ყლთა კ ი მ. 200 ₅ .
განმმარტებდა მე მას იგი:	
განგვმარტებდა ჩუენ მას იგი:	და ვრ განგვმარტებდა ჩნ წიგნებსა ა დ ი შ. 15 ₆ a ₁ .
მასწავებდა მე მას იგი: გუასწავებდა	
ჩუენ მას იგი:	ამისათვისცა გუასწავებდა და გუ- ეტყოდა ნუ ჰზრუნავთ ი. ბ ო ლ. 21 ₁₉ .
ნ ა მ ყ ო ძ ი რ ი თ ა დ ი:	
გამომითარგმანე მე იგი შენ:	
გამოგვთარგმანე ჩუენ იგი შენ:	ჰრქუა მას: გამოგვთარგმანე ჩნ იგა- ვი ეგე ა დ ი შ. 33 a ₂ .
მომმადლე მე იგი შენ: მოგუმადლე	
ჩუენ იგი შენ:	აწ გევედრებით... მოგუმადლე მშუდობად ს ა ს. პ ო ე ზ. რ ო მ ₂₃ .
მომანიჭე მე იგი შენ: მოგუანიჭე ჩუენ	
იგი შენ:	და მოგუანიჭე ჩნ ცხოვრებად კ ი მ. 148 ₁₀ .
მასწავე მე იგი შენ: გუასწავე ჩუენ	
იგი შენ:	ველოვანთა მათ ჰრქუეს: გუასწავე ჩუენ სიტყუად ეგე კ ი მ. 151 ₂₁ .
დამიტევე მე იგი შენ: დაგვტევე ჩუენ	
იგი შენ:	საჰსენებელი მარტვლობისა შენისად ჩუენ დაგვტევე ა ბ ო 40 ₇ .
განმილე მე იგი შენ: განგვლე ჩუენ	
იგი შენ:	განგვლე ჩუენ ჯურღმული ესე წ ა რ ტ. ი ე რ. 3 ₁₁ .
მეყავ მე შენ: გუეყავ ჩუენ შენ:	აწ მეოხ გუეყავ. მადიდებელთა შენ- თა წმიდაო ა ბ ო 51 ₁₃ .
განმეშორე მე შენ: განგუეშორე ჩუენ	
შენ:	ვიდრე შენ ჩუწნთანა იყავ, ღამენი- ცა დღენი იყუნეს, ხოლო აწ, რად განგვეშორე, დღენიცა ღამე არიან ა თ ო ნ. კ რ. 338 ₄ .
მეცა მე იგი: გუეცა ჩუენ იგი:	და სლი სულნელებისად გუეცა ჩნ შორიელთა ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ. 25 ₁₅ .

აღმომიცენდა მე იგი: აღმოგვცენდა

ჩუენ იგი: სასოვებად წარმართთად. დღეს აღმოგვცენდა ს ა ს. პ ო ე ზ. ოზგ.

დამიწერა მე იგი მან: დაგვწერა ჩუენ

იგი მან: მოძღუარ მოსე დაგვწერა ჩ"ნ ძმად თუ ვისიმე მოკუდეს... ა დ ი შ. 91 ა1.

მახარა მე იგი მან: გუახარა ჩუენ

იგი მან: მოკლა მკლველი სულთად მაცთური და გუახარა მორწმუნეთა აღდგომად ს ა ს. პ ო ე ზ. რნ₁₅.

კ ო ნ ი უ ნ ქ ო ე ი მ ე ო რ ე:

მომანიჭოს მე იგი მან: მოგუანიჭოს

ჩუენ იგი მან: რადთა მოგუანიჭოს მესნელმან ოხითა მისითა დღეს დ[იდი წყალობად] ს ა ს. პ ო ე ზ. სმ₁₄.

მრქუას მე იგი მან: გურქუას ჩუენ

იგი მან: ესრწთ იტყოდეთ და გურქუას ჩ"ნდა მომართ ი. ბ ო ლ. 46₁₀.

მომფინოს მე იგი მან: მოგუფინოს

ჩუენ იგი მან: ანუ ვინ მოგუფინოს ჩუენ შარავანდედი ა თ ო ნ. კ რ. 339₃₀.

მექმნეს მე იგი: გუექმნეს ჩუენ იგი:

რადთა მოწყალე გუექმნეს ჩუენ ღმერთი ა ბ ო 53₁₄.

მეყოს მე იგი: გუეყოს ჩუენ იგი:

ნუ უკვე ვერ გუეყოს ჩ"ნ და თქ"ნ ა დ ი შ. 54 ა₂.

მიხაროდეს მე იგი: გვხაროდეს ჩუენ

იგი: და აწ ჯერ-არს ჩ"ნდა რ"ა გვხაროდეს კ ი მ. 37₈.

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი:

განმიზადებდეს მე იგი: განგვზადებდეს

ჩუენ იგი: ცეცხლი და სატან(ჯ)ველი აწვე განგვზადებდეს შენთუს ა ბ ო 26₄.

მომიღებდეს მე იგი: მოგვღებდეს ჩუენ

იგი: ხოლო კურთხევად... აქა მოგვღებდეს ჩუენ გ რ. ხ ნ ძ თ. ლ₃₁.

- შთამიცუამს მე იგი: შთაგვცუამს
 ჩუენ იგი: არა ხოლო თუ ქუენე ვართ ად
 ყლდვე ქც შთაგვცუამს კ ი მ.
 148₃₀.
- მიცნობიეს მე იგი: გვცნობიეს ჩუენ
 იგი: და აპა ესერა გვცნობიეს და უწყით
 კ ი მ. 50₂₀.
- აღმიწერია მე იგი: აღგვწერია ჩუენ
 იგი: ჩუენ თავით თვსით არა რად
 აღგვწერია ა თ ო ნ. კ რ. 38.
- მიხილავს მე იგი: გვხილავს ჩუენ
 იგი: უწყის უფალმან, კაცი არა გვხი-
 ლავს ა თ ო ნ. კ რ. 318₃₁.
- მომივსენებია მე იგი: მოგვსენებია
 ჩუენ იგი: ესე მრავლისაგან მცირედი მოგვსენ-
 ებია ა თ ო ნ. კ რ. 667.
- ნ ა მ ყ ო წ ი ნ ა რ ე წ ა რ ს უ ლ ი:
 მენება მე იგი: გუენება ჩუენ იგი: ხოლო ჩუენ გუენება, რადმეთუ გა-
 რე შეწერით შემოვლოთ სიმგრგუ-
 ლე მათ ადგილთა ს ე რ ა პ. 16₁₇.
- მიმედო მე იგი: მიგუედო ჩუენ იგი: რადმეთუ არა მიგუედო ჩუენ
 მოძღუარი ჩუენი ა თ ო ნ. კ რ.
 342₁₃.
- მომეცალა მე: მოგუეცალა ჩუენ: შეკრებულ ვიყვენით ყნი ამას
 ადგილსა და მოგუეცალა საწუთ-
 როდსა ამისგან კ ი მ. 36₃₀.

გკმაყოფილდებით ამ მცირეოდენი მაგალითით სწორედ იმიტომ, რომ მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლებოდა. ძველს ქართულში ეს ფორმა ჩვეულებრივია. გ უ ც ე მ ს, გ უ ა ქ უ ს ჩ უ ე ნ'ის ტიპი უთუოდ ჭარბობს მ ც ე მ ს, მ ა ქ უ ს ჩ უ ე ნ'ის ტიპს. თანამედროვე ქართულმა მხოლოდ პირველი იცის. რატომ მოხდა ეს და რას ემყარება განსხვავება ამ ორ ტიპს შორის, ამაზე სხვაგან.¹

[¹ მ- || გუ- პრეფიქსთა ურთიერთობა განხილული გვაქვს წერილში „მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში“: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 91-130].

87. თუ MO სახელობითს ბრუნვაშია დასმული, მისი მრავლობითობა ზმნაში ყოველთვის არის აღნიშნული, იქნება MO პირველი, მეორე თუ მესამე პირით წარმოდგენილი, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, MO ჩუენ, თქუენ, იგინი (სახელობ. ბრ.) ზმნაში საგანგებოდ აღინიშნება; მათი წარმომადგენელია -ენ-, რომელიც მომდევნო ხმოვნის ზეგავლენით ე-ს ხშირად კარგავს და -ნ-ს სახეს იღებს. ეს -ენ- ნამყო ძირითადის მხოლ. რიცხვის პირველსა და მეორე პირში სუფიქსია, იმავე ნამყო ძირითადის ყველა დანარჩენ პირებში, აგრეთვე ნამყო ჩვეულებითსა და კონიუნქტივ მორეში — ინფიქსი; კონიუნქტივ მეორეში ამ -ენ-ის ჩართვის შემდეგ დაბოლოების ა და ო-ს ადგილს იჭერს -ე-: ვ-პოვ-ო იგი მე: ვ-პოვ-ნ-ე იგინი მე (მოსალოდნელი იყო: ვ-პოვ-ნ-ო ← ვ-პოვ-ენ-ო.¹ ეს ე უნდა იყოს წინანდელი სახე კონიუნქტივ მეორის დაბოლოებისა. ნამყო ძირითადშიც აღდგება -ენ (-ნ)-ს შემდეგ სუბიექტის III პირის -ა სუფიქსი: ყო იგი — ყვ-ნ-ა იგინი.

MO ი გ ი ნ ი აღნიშნულია ზმნაში ენ (→ ნ)'ით, რომელი პირიც არ ავიღოთ MS-ისა:

ნ ა მ ყ ო ძ ი რ ი თ ა დ ი:

მოავლინა მან იგი: მოავლინა მან

იგინი: მოავლინა... ანგელოზნი ცეცხლებრ მოტყინარენი ხ ე ლ ნ ა წ. №1109, 37 v.

მზირნი... მიავლინა რა აუწყონ ვე იგი მივიდიან ხ ე ლ ნ ა წ. №19, 161.

განზომა მან იგი: განზომნა მან იგინი:

რლმნ განზომნა ცნი მტკავლითა თჳსითა. და ქყნდ ბრჭალითა თჳსითა ხ ე ლ ნ ა წ. №19, 200.

დასთხია მან იგი: დასთხინა მან

იგინი: დასთხინა მას ზა ცრემლნი მოწლედ სიყუარულითა მით ხ ე ლ ნ ა წ. №1109, 65 r.

¹ ამისა და ზოგიერთი ამასთან დაკავშირებული საკითხის შესახებ ჩვენი წერილი: „რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული MO ძველი ქართულის ზმნაში?“ უნდა გამოქვეყნებულიყო ტფილ. უნივერსიტ. მო ა მ ბ ე შ ი (VIII), მაგრამ ტექნიკური მიზეზებისა გამო შემდეგ ნომერშილა (IX) თუ იქნება. ეს არ გვაძლევს საშუალებას სათანადოდ შევამციროთ საილუსტრაციო მაგალითების რიცხვი [ლაიბჰედა „ტფილ. უნივ. მოამბის“ IX ტომში, 1929, გვ. 107-119].

დათრგუნა მან იგი:	დათრგუნა მან	იგინი:	და ყნი ვნებანი დათრგუნა ძლიერად (!) ხ ე ლ ნ ა წ. №3124, 30 r.
განაკურვა მან იგი:	განაკურვა მან	იგინი:	ესე ვრითა სიტყვა განაკურვა მშობელნი თსნი ხ ე ლ ნ ა წ. №3124, 10 r.
განანათლა მან იგი:	განანათლნა მან	იგინი:	და განანათლნა ყლნი დაბადებულნი მისნი ხ ე ლ ნ ა წ. №19, 338.
პოვა მან იგი:	პოვნა მან	იგინი:	პოვნა ძმანი შეკრებულად ხ ე ლ ნ ა წ. №3124, 36 r.
მოსრა მან იგი:	მოსრნა მან	იგინი:	მრავალნი მწოვარნი მოსრნა მათ გამო ხ ე ლ ნ ა წ. №19, 86.
შეიტკბო მან იგი:	შეიტკბნა მან	იგინი:	რწინიმე შეიტკბნა და რწინიმე მოტნა ხ ე ლ ნ ა წ. №2251, 13 r.
მოტა მან იგი:	მოტნა მან	იგინი:	
შეაუღლა მან იგი:	შეაუღლნა მან	იგინი:	
განაფრთხო მან იგი:	განაფრთხვნა მან	იგინი:	და უდებნი იგი სწლისა მათისათს განაფრთხვნა სიტყვა ხ ე ლ ნ ა წ. №3124, 32 v.
განაქარვა მან იგი:	განაქარვნა მან	იგინი:	განაქარვნა დღესასწაულნი და საზორველნი მთნი ხ ე ლ ნ ა წ. №19, 185.
გარდააქცია მან იგი:	გარდააქცინა მან	იგინი:	რწნ გარდააქცინა ლოდონნი ტბად წყლთა ხ ე ლ ნ ა წ. №38, 167 v.
ყო მან იგი:	ყვნა მან	იგინი:	რწნ მესათხველენი. მონადირე კაცთა ყვნა ხ ე ლ ნ ა წ. №19, 42.
იყო მან იგი:	იყვნა მან	იგინი:	არა მრავალნი მათ შს სათნო იყუნა ღწნ ხ ე ლ ნ ა წ. №1138, 70 r.
მოიყვანა მან იგი:	მოიყვანნა მან	იგინი:	და მოიყვანნა ძენი მისნი მუკლთა თწნა მისთა ხ ე ლ ნ ა წ. №3124, 116 v.

- განაჩინა მან იგი: განაჩინნა მან
იგინი: მზირნი განაჩინნა და მიავლინნა
ხ ე ლ ნ ა წ. №19, 161.
- გამოაცენა მან იგი: გამოაცენნა მან
იგინი: რწ გამოაცენნა წყალნი უღალისა მის-
გან კლდისა ხ ე ლ ნ ა წ. №19, 397.
- დაწერა მან იგი: დაწერნა მან იგინი: და დაწერნა ყწნი ცოდვანი მისნი
ხ ე ლ ნ ა წ. №19, 295.
- გამოადინე შენ იგი: გამოადინენ შენ
იგინი: რწ გამოადინენ წყრწნი ჰევნებსა
შს ხ ე ლ ნ ა წ. №38, 151 v.
- განჰმზადე შენ იგი: განჰმზადენ შენ
იგინი: და განჰმზადენ სამშჰუალნი მახვლ-
ნი და მოწამენი ცრუნი ხ ე ლ ნ ა წ.
№1109, 92 r.
- მოკალთ თქუენ იგი: მოკლენით
თქუენ იგინი: ნუმცა ვინ უწყის და მოკლენით
იგინი ხ ე ლ ნ ა წ. №19, 226.
- დააცხრვე შენ იგი: დააცხრვენ შენ
იგინი: რამცა სალმობანი ჩემნი დააცხრვენ
ხ ე ლ ნ ა წ. №1109, 15 r.
- განაძღე შენ იგი: განაძღენ შენ იგინი:
მენავეთა შეეწიე მეთევზურნი თევ-
ზითა გწდღენ ხ ე ლ ნ ა წ. №19,
154².
- განიწმიდეთ თქუენ იგი: განიწმიდენით
თქუენ იგინი: სულნი თქწნი განიწმიდენით
ხ ე ლ ნ ა წ. №19, 164.
განწმიდენით ალაგნი ყურთა
თქწთანი და ვაკე ყავთ ხ ე ლ ნ ა წ.
№19, 464.
- მოიჯსენეთ თქუენ იგი: მოიჯსენენით
თქუენ იგინი: მოიჯსენენით ძმანო შრომანი ჩწნი
და რულუნებანი ხ ე ლ ნ ა წ.
№1138, 136 r.

¹ ამ ხელნაწერში ამ რიცხვით ორი გვერდია აღნიშნული.

ნ ა მ ყ ო ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი თ ი:

გამოზარდის მან იგი: გამოზარდის

მან იგინი: რა სცნათ. თუ ვერ გამოზარდის
უცხოვრებელი მკვდარი ქყნისანი
ხ ე ლ ნ ა წ. №19, 60.

მოსთულის მან იგი: მოსთულნის მან

იგინი: რუმს იხილნის ნაყოფნი კეთილად
მომწიფებულნი მოსთულნის იგინი
ხ ე ლ ნ ა წ. №1109, 27 v.

შეიტყუვიან მათ იგი: შეიტყუვიან

მათ იგინი: და მით სახითა მრავალნი უცებნი
შეიტყუვიან ხ ე ლ ნ ა წ. №19, 425.

იცის მან იგი: იცნის მან იგინი:

ონ იცნის ზრახვანი ბრძენთანი
ხ ა ნ მ ე ტ ი მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი
140ჟ.

ვიცი მე იგი: ვიცნი მე იგინი:

ვიცი ფასის მოყუარეთა [მათგან]
გაჭარნი ხ ე ლ ნ ა წ. №19, 77.

განწმიდის მან იგი: განწმიდნის მან

იგინი: განწმიდნის მცენარენი და ნაყოფი
ალაორძინის ხ ე ლ ნ ა წ. №19, 457.

იხილის მან იგი: იხილნის მან იგინი:

მუშაკმან ბრძენმან... რუმს იხილნის
ნაყოფნი... მოსთულნის იგინი
ხ ე ლ ნ ა წ. №1109, 27 v.

კ ო ნ ი უ ნ ქ ო ვ ი მ ე ო რ ე:

ვიგო მე იგი: ვიგნე მე იგინი:

ვიგნე შენ ზა თლნი ჩემნი
ხ ე ლ ნ ა წ. №38, 53 r.

დაამდაბლოს მან იგი: დაამდაბლნეს

მან იგინი: დაამდაბლნეს ბრკოლითა ფერკნი
მისნი ხ ე ლ ნ ა წ. №38, 154 v.

ყონ მათ იგი: ყვენ მათ იგინი:

აწუევს: ვა სუმეონს: რა საყდარ
ყვენ მკლავნი მათნი ხ ე ლ ნ ა წ.
№1109, 36 v.

ყვით ჩუენ იგი: ყვენეთ ჩუენ იგინი:

და ჯორცნი ჩუენნი ნასხორ ყვენეთ
მცირცდლა ხ ე ლ ნ ა წ. №19, 463.

მოიყვანოთ თქუენ იგი: მოიყუანნეთ

თქუენ იგინი: გახარებ თქნ სიხარულსა და მდაბი-
ონიცა მოიყვანნეთ ზიარად
ხ ე ლ ნ ა წ. №19, 37.

მოიყვანნე იგინი და გგებდეთ შენ
ხ ე ლ ნ ა წ. №3124, 124 r.

მოჰყურძნო შენ ვენაჯი: მოჰყურძნნე
შენ ვენაჯნი: და მოჰყურძნნე შენ ვენაჯნი რლ
არა შენ დაჰნერგნე ხ ე ლ ნ ა წ.
№19, 452.

მივსცეთ მას იგი ჩუენ: მივსცნეთ
მას იგინი ჩუენ: მივსცნეთ თავნი თუსნი მცნებათა
ხ ე ლ ნ ა წ. №19, 211.

განვხეთქო მე იგი: განვხეთქნე მე
იგინი: უკუეთუ მე შთავჯდე ქუესკნელთა
ჯჯხთისთა მოქლონნი იგი რკინისანი
განვხეთქნე და ბჰენი რვალისანი შე-
ვმუსრნე ხ ე ლ ნ ა წ. №1109, 87 v.

ვიჯსენო მე იგი: ვიჯსენნე მე იგინი:
საქმენი მისნი რნი აწამომდე რად
ვიჯსენნე ვცრემლოდ ხ ე ლ ნ ა წ.
№2251, 19 v.

**MO თქუენ (სახელობ. ბრ.) აღნიშნულია ზმნაში გ- — -ენ
(→ გ- — -ნ)'ით, რომელთაგან გ- მეორე პირის (შენ) MO-ის პრეფიქ-
სია, -ენ- კიდევ ამავე MO-ის მრავლობითობას გვიჩვენებს:**

ნ ა მ ყ ო ძ ი რ ი თ ა დ ი :

მოგავლინა მან შენ: მოგავლინნა მან
თქუენ: ჰრქუა მვეცთა მათ: უკუეთუ მოგავ-
ლინა ოწ შეჰამად ჯორცთა ჩემთა
მე განმზადებულ ვარ კ ი მ. 156₁₄.

გამოგითხოვა მან შენ: გამოგითხოვნა
მან თქუენ: ეშმაკმან გამოგითხოვნა თქნ აღც-
რად: ვა იფქლი ა დ ი შ. 150 a₂.

განგარინა მან შენ: განგარინნა მან
თქუენ: და განგარინნა თქუენ წ ა რ ტ ყ.
ი ე რ. ნზ₅.

გყო მან შენ: გყვნა მან თქუენ:
რლმან შჯულიერ გყვნა თქნ ქო-
რებს ხ ე ლ ნ ა წ. №19, 154₁₁.
თქუენ. ჯელმწიფენი. უფალ გყვნა
ღმერთმან ქუეყანისა განგებასა გ რ.
ხ ნ ძ თ. იმ₂₅.

მოგიყვანა მან შენ: მოგიყვანა მან თქვენ:	აწ თქვენ სიყვარულმან მოგიყვანა აქა გ რ. ხ ნ ძ თ. მს ₂₂ .
მოგიყვანეს მათ შენ: მოგიყვანეს მათ თქვენ:	გტანჯვიდენ თქვენ. და წინაშე მთა- ვართა და მეფეთა მიგიყვანეს თქვენ ჩემთვის ა ბ ო 48 ₂₀ .
განგაშიშულა მან შენ: განგაშიშულა მან თქვენ:	განადღიერა იგინი უფროდს თქვენ- სა და განგაშიშულა თქვენ წ ა რ ტ ყ. ი ე რ. ლლ ₂₅ .
გაცთუნა მან შენ: გაცთუნა მან თქვენ:	მიუგო ამირ-მუმლმან და ჰრქუა: პავლე გაცთუნა: მიუგო მონაზონ- მან და ჰრქუა: პავლე გუაცხოვნა წარმართნი კ ი მ. 168 ₃₈ .
დაგიცვა მან შენ: დაგიცვა მან თქვენ:	და დაგიცვა თქვენ ღმერთმან წ ა რ ტ ყ. ი ე რ. ნზ ₂₀ .
განგაძლო მან შენ: განგაძლნა მან თქვენ:	განგაძლნა თქვენ თაფლითა და თქვენ ნიორისა მყრალისა გული გითქუმი- და [ჭამად] ხ ე ლ ნ ა წ. №19, 155 ₁ . ¹
შეგიწყნარა მან შენ: შეგიწყნარა მან თქვენ:	შესწირენით სულნი და ჯორცნი თქვენნი ქრისტეს... და შეგიწყნარა ცეცხლმან ღმრთეებისამან ს ა ს. პ ო ე ზ. რმ ₇ .
გივსნა მან შენ: გივსნა მან თქვენ:	ღმერთმან გივსნა თქვენ ტყუეობი- საგან მტერთადასა წ ა რ ტ ყ. ი ე რ. ნზ ₆ .
გამოგირჩიე მე შენ: გამოგირჩიე მე თქვენ:	მიუგო მათ ი ვ არა თქვენ ათორმეტ- ნი გამოგირჩიე ა დ ი შ. 169 b ₁ .
გშევ მე შენ: გშვენ მე თქვენ:	სახარებისა მისგან მე გშვენ თქვენ ხ ე ლ ნ ა წ. №1138, 61 r.

¹ ამ ხელნაწერში ამ რიცხვით ორი გვერდია აღნიშნული.

კონიუნქტივი მეორე:

წარგადგინონ მათ შენ: წარგადგინენ

მათ თქუენ: წინაშე მსაჯულთა და მეფეთა წარგადგინენ თქნ ა დ ი შ. 93 a₁.

აღგავსოს მან შენ: აღგავსნეს მან

თქუენ: ითხოვეთ მამის ჩემისაგან რა იგი არს ცათა შინა რა აღგავსნეს თქნ სულითა წითა იოს. არ იმ. 36₁₁.

განგათავისუფლოს მან შენ:

განგათავისუფლნეს მან თქუენ:

უკვეთუ ძემან თქნ განგათავისუფლნეს ა დ ი შ. 173 a₁.

გპოვოს მან შენ: გპოვნეს მან თქუენ:

განემზადენით პასუხისა მიცემად. რადთა არა გპოვნეს თქუენ შიშულნი წ ა რ ტ ყ. ი ე რ. ლმ₇.

მოგსრას მან შენ: მოგსრნეს მან

თქუენ: ნუ უკუე მოვიდენ და მოგსრნენ თქნ კ ი მ. 35₂₇.

აღვასრულო მე შენ: აღვასრულნე

მე თქუენ:

ძვრ-ძვრად ტანჯვითა აღვასრულნე თქუენ კ ი მ. 145₁₀.

დაგიტევო მე შენ: დაგიტევნე მე

თქუენ:

არა დაგიტევნე თქუენ ობლად წ ა რ ტ ყ. ი ე რ. მმ₇.

განგიტევო მე შენ: განგიტევნე მე

თქუენ:

არა სდ განშიშულეზულნი განგიტევნე თქნ ცოცხალნი ჯ ს ნ ა კ ო ნ ს ტ. 18₅.

გყო მე შენ: გყვნე მე თქუენ:

კულად მივწერო თვთ-მპყრობელისა: და გყვნე თქნ მეგობარ კ ი მ. 110₁₂.

წარგიყვანო მე შენ: წარგიყვანნე მე

თქუენ:

მერმე მოვიდე და წარგიყვანნე თქნ ჩემ თანა ა დ ი შ. 184 b₂:

მიგიშუა მე შენ: მიგიშუნე მე თქუენ:

შვილნო! უკუეთუ მიგიშუნე ამას საქმესა ზედა, პირველად სულთა თქუენთა წაიწყმედთ ა თ ო ნ. კ რ. 38₂₁.

წარგწყმიდო მე შენ: წარგწყმიდნე
 მე თქვენ: რ თქნცა წარგწყმიდნე და იგიცა
 ცეცხლითა დავწუა ხ ე ლ ნ ა წ.
 №19, 161.

MO ჩ უ ე ნ (სახელობ. ბრ.) აღნიშნულია ზმნაში მ—ენ (→ მ — ნ)ით:

ნ ა მ ყ ო ძ ი რ ი თ ა დ ი:

განმაახლა მან მე: განმაახლნა მან

ჩუენ: და განმაახლნა ჩუენ პირველსავე
 სახესა უხრწნელსა მოწყალებით
 ს ა ს. პ ო ე ზ. 50₁₉.

დამაგო მან მე: დამაგნა მან ჩუენ:

და დამაგნა ჩუენ თავსა თვსა გან-
 დგომილნი ს ა ს. პ ო ე ზ. 31₇.

აღმადგინა მან მე: აღმადგინნა მან

ჩუენ: აღდგა და თანა აღმადგინნა [ჩუენ]
 ს ა ს. პ ო ე ზ. 32₀₇.

და აღმადგინნა ჩუნ და გუეტყოდა
 ესრჳთ ი ო ს. ა რ ი მ. 35₁₂.

აღმავსო მან მე: აღმავსნა მან ჩუენ:

აღდგა ვითარცა ღმერთი არს და
 აღმავსნა [ჩუენ] სიხარულითა ს ა ს.
 პ ო ე ზ. 36₁₆.

[შემომკრიბა მან მე]: შემომკრიბნა

მან ჩუენ: სულიერად ჩუენ მორწმუნენი აწ
 შემომკრიბნა წინაღსწარმეტყუელმან
 დანიელ ს ა ს. პ ო ე ზ. 52₂₈.

შემიპყრა მან მე: შემიპყრნა მან ჩუენ:

შიშმან და ძწოლამან ღიღმან შე-
 მიპყრნა ჩუნ კ ი მ. 29₂₆.

აღმირჩია მან მე: აღმირჩინა მან

ჩუენ: ღმერთმან ზეცით გარდამოგადლო
 შენ. და ჩუენ აღმირჩინა წ ა რ ტ ყ.
 ი ე რ. 12₂₃.

შემრაცხა მან მე: შემრაცხნა მან

ჩუენ: მან სისხლი თვსი ჩუენთვს დასთხია
 და შვილად თვსად შემრაცხნა
 წ ა რ ტ ყ. ი ე რ. 33₃.

დამიტევა მან მე: დამიტევნა მან

ჩუენ: დაუტევეთ ჩუენ ღმერთი და დამი-
 ტევნა ჩუენ ღმერთმან წ ა რ ტ ყ.
 ი ე რ. 33₂₇.

მყო მან მე: მყვნა მან ჩუენ:	რ ^ნ არალირსნი ესე ღირს მყვნა კ ი მ. 9 ¹⁻⁶ .
-მიყვანა მან მე: -მიყვანნა მან ჩუენ:	სიხარულით შეგვწყენარნა... შე- მიყვანნა და სენაკად აღმიყვანნა და გყავთ ლოცვად კ ი მ. 165 ³¹ .
განმაშიშულა მან მე: განმაშიშულნა მან ჩუენ:	განმაშიშულნა ჩუენ აქა სამოსელ- თაგან და საფასეთა წ ა რ ტ ყ. ი ე რ. ლზ ⁶ .
მიმცა მან მე მას: მიმცნა მან ჩუენ მას:	ნაცვალად პატივისა მიმცნა ჩუენ შეურაცხებასა წ ა რ ტ ყ. ი ე რ. ბზ ²⁵ .
განმაცხოველა მან მე: განმაცხოველნა მან ჩუენ:	და ნაშობნი მოკლულთანი უკუდაგ- მან ღმერთმან განმაცხოველნა ს ა ს. პ ო ე ზ. სნ ¹²⁹ .
განმწმიდა მან მე: განმწმიდნა მან ჩუენ:	წყალთა შინა განიბანა ქრისტე და განმწმიდნა ჩუენ ს ა ს. პ ო ე ზ. სზ ¹⁹ .
მომივსენა მან მე: მომივსენნა მან ჩუენ:	რ ^ს სიმდაბლესა შინა ჩ ^ს ა მომივსენ- ნა ჩ ^ნ ი. ბ ო ლ. 56 ⁴ .
განმაახლე შენ მე: განმაახლენ შენ ჩუენ:	აღავსე სოფელი ნათლითა და გან- მაახლენ [ჩუენ] აღდგომისა მად- ლით[ა] ს ა ს. პ ო ე ზ. ტლ ¹⁰ .
დამაგე შენ მე: დამაგენ შენ ჩუენ:	რამეთუ დამაგენ ჩუენ განდგომილ- ნი თავსა თვსსა ს ა ს. პ ო ე ზ. პლ ¹⁴ .
აღმადგინე შენ მე: აღმადგინენ შენ ჩუენ:	შენ სძლე და დაეც ძალი მისი ჯუ- არცუმითა და ჩუენ აღმადგინენ ს ა ს. პ ო ე ზ. სნ ¹² . ვ ^ა იგინი წ ^{და} იქმნეს და ჩ ^ნ ცა აღმადგინენ ვ ^ა მკუდარნი ი. ბ ო ლ. 46 ⁶ .
განმათავისუფლე შენ მე: განმათავისუფლენ შენ ჩუენ:	ეგრეთვე აწ განმათავისუფლენ ჩუენ ცოდვათაგან ს ა ს. პ ო ე ზ. ლმ ¹⁷ .

- შემკრიბე შენ მე: შემკრიბენ შენ
 ჩუენ: ვითარცა რაჲ მენავეთ მოძღუარმან
 ჳელოვანმან შემკრიბენ ჩუენ ყოველ-
 ნი ს ა ს. პ ო ე ზ. რლლ₁.
- განმანათლე შენ მე: განმანათლენ
 შენ ჩუენ: უქცეველად განამდიდრე სიგლახაკედ
 ჩუენი სახიერ და განმანათლენ
 დღეს ნათლის ღებითა ს ა ს. პ ო -
 ე ზ. სიპ₁₂.
- განმარინე შენ მე: განმარინენ შენ
 ჩუენ: არამედ წყალობითა შენითა განმა-
 რინენ ჩუენ წ ა რ ტ ყ. ი ე რ. ძჳ₁₀.
 ო ო განმარინენ ჩ ო რ წ არ ვ წ ყ მ დ ე -
 ბით ა დ ი შ. 17 ა₁.
- მყავ შენ მე: მყვენ შენ ჩუენ:
 ნათელი წარუვალო ღირს მყვენ ჩუ-
 ენ ნათელსა შენსა ს ა ს. პ ო ე ზ.
 ჳმ₂₄.
- გამომიყვანე შენ მე: გამომიყვანენ
 შენ ჩუენ: განვლეთ ჩუენ ცეცხლი და წყალი
 და გამომიყვანენ (ბრძან. კილ.) ჩუენ
 განსასუენებელად შენდა წ ა რ ტ ყ.
 ი ე რ. ნჳ₂₉.
 ქუესკნელთაგან ქუეყანისათა აღმო-
 მიყვანენ ჩუენ წ ა რ ტ ყ. ი ე რ.
 ლა₁₉.
- განმცადე შენ მე: განმცადენ შენ
 ჩუენ: განმცადენ ჩუენ და გამომაჳურვენ
 ჩუენ წ ა რ ტ ყ. ი ე რ. ლა₁₉.
- დამიცავ შენ მე: დამიცვენ შენ ჩუენ:
 მეოხებითა წმიდისა კონსტანტისითა
 დამიცვენ ჩვენ მადიდებელნი შენნი
 ს ა ს. პ ო ე ზ. რჳ₇.
- მიმეც შენ მე მას: მიმცენ შენ ჩუენ
 მას: შეგცოდეთ უფალო და მიმცენ ჩუენ
 სწავლასა წ ა რ ტ ყ. ი ე რ. ძჳ₁₃.
- განმაცხოველე შენ მე: განმაცხოველენ
 შენ ჩუენ: მოჳკალ დასაბამითგან მკლველი ჩუ-
 ენი და განმაცხოველენ ნაშობნი მო-
 კლულთანი ს ა ს. პ ო ე ზ. რიზ₂₃.
- განმწმიდე შენ მე: განმწმიდენ შენ
 ჩუენ: და ბაგასა დადებითა განმწმიდენ
 ჩუენ ს ა ს. პ ო ე ზ. ა₁₇.

- მიწყალე შენ მე: მიწყალენ შენ ჩუენ: მიწყალენ ჩუენ, უფალო ა ბ ო 52₃₁.
 მომიკსენე შენ მე: მომიკსენენ შენ
 ჩუენ: მომიკსენენ სამწყსონი შენნი გ რ.
 ხ ნ ძ თ. ოზ₂₈.
- მიკსენ შენ მე: მიკსენენ შენ ჩუენ: საკვრველებითა შენითა ქრისტე.
 მიკსენენ მტერთაგან შობითა ს ა ს.
 პ ო ე ზ. ტიზ₂₅.
 ეტყოდეს ოო მიკსენენ ჩუენ რ
 წარვწყმდებით ო თ ხ თ ა ვ ი 38₆.
- კ ო ნ ი უ ნ ქ ტ ი ვ ი მ ე ო რ ე:
- აღმავსოს მან მე: აღმავსენს მან ჩუენ: უჯორკომ იგი ჯორციელ იქმნების
 დღეს... რადთა ჩუენ აღმავსენს
 ს ა ს. პ ო ე ზ. ძ5.
- შემკრიბოს მან მე: შემკრიბენს მან
 ჩუენ: რადთა უცხო ქმნული ესე სამოთხი-
 საგან კუალად მუნვე შემკრიბენს
 ს ა ს. პ ო ე ზ. ძ11.
- განმანათლოს მან მე: განმანათლენს
 მან ჩუენ: რადთა... განმანათლენს წყლითა და
 სულითა წმიდითა ს ა ს. პ ო ე ზ.
 სიმი₂₆.
 ...მოსრული ჩუენთჳს რადთა განმა-
 ნათლენს მკსნელმან ს ა ს. პ ო ე ზ.
 სილ₂₄.
- შემინდოს მან მე: შემინდვენს მან
 ჩუენ: ყოს ღმერთმან წყალობად... შემინ-
 დვენს ყოველნი ცოდვანი ჩემნი
 ა თ ო ნ. კ რ. 24₁₅.
- განმარინოს მან მე: განმარინენს მან
 ჩუენ: რადთა განმარინენს ჩუენ აღსა მას
 ჯოჯოხეთისასა წ ა რ ტ ყ. ი ე რ.
 ლზ₂.
- განმწმიდოს მან მე: განმწმიდენს
 მან ჩუენ: თანახატ ვექმნეთ... რადთა განმწმიდ-
 ნეს ცოდვათაგან უცოდველმან ნა-
 თლის ღებითა ს ა ს. პ ო ე ზ.
 სიზ₂₇.

შემიწყალოს მან მე: შემიწყალნეს მან ჩუენ:	გევედრებით, რადათა ევედრნეთ უფალსა და შემიწყალნეს ჩუენ წ ა რ ტ ყ. ი ე რ. 210.
მიჰსნას მან მე: მიჰსნნეს მან ჩუენ:	მოვიდა მსახურებად შჯულისა მის. მის მიერ მოცემულისა რადათა მიჰსნნეს პირველთა უცხოთა სამსახურებელთაგან ს ა ს. პ ო ე ზ. 321.
მაგო შენ მე: მაგნე შენ ჩუენ:	და კუალად მაგნე [ჩუენ] პირველთა საშუებელთა ს ა ს. პ ო ე ზ. 3313.
განმამდიდრო შენ მე: განმამდიდრნე შენ ჩუენ:	რადათა განმამდიდრნე დაგლახაკე-ბულნი ურჩებითა ს ა ს. პ ო ე ზ. 3312.
აღმამაღლო შენ მე: აღმამაღლნე შენ ჩუენ:	რადათა ზეცად აღმამაღლნე ურჩე-ბით დაცემულნი ს ა ს. პ ო ე ზ. ს38.
მყო შენ მე: მყენე შენ ჩუენ:	რადმეთუ ჯერ იჩინე განბანად უცოდ-ველო რადათა წმიდა მყენე მჰსნელო ცოდვათაგან ს ა ს. პ ო ე ზ. ს3713.
მყოთ თქვენ მე: მყენეთ თქუენ ჩუენ:	აწ გნებავს რადათა მყენეთ ჩუენ ჰუ-რია წ ა რ ტ ყ. ი ე რ. 3313.

**MO ჩუენ (სახელობ. ბრ.) აღნიშნულია ზმნაში გუ — ენ
(→ გუ —ნ)ით:**

ნ ა მ ყ ო ძ ი რ ი თ ა დ ი:	
განმააზნაურა მან მე: განგუააზნაურნა მან ჩუენ:	ქრისტემან ჩუენ განგუააზნაურნა გ რ. ხ ნ ძ თ. მ23.
დამბადა მან მე: დაგუბადნა მან ჩუენ:	ვითარმედ უფალი მოწყალე არს და არა დაგუბადნა ჩუენ წ ა რ ტ ყ. ი ე რ. 50123.
მგუემეს მათ მე: გუგუემნეს მათ ჩუენ:	და გამოგუასხნეს ჩნ ყნი ქსს მორ-წმნი... და გუგუემნეს ცემითა არა მცირედითა ი ო ს. ა რ ი მ. 633.
წარმავლინა მან მე: წარგუავლინნა მან ჩუენ:	წარგუავლინნა ჩნ ბერმან სავმრი-სათუს კ ი მ. 2334.

- მომიკითხა მან მე: მოგკითხნა მან
ჩუენ: მოწრაფედ მოგუეგება და მოწლედ
მოგკითხნა კ ი მ. 165₃₁.
- შემკრიბა მან მე: შეგუკრიბნა მან
ჩუენ: ბრძანებამან ქრისტჳსმან შეგუკრიბ-
ნა დღეს გ რ. ხ ნ ძ თ. 123₄.
- მაკურთხა მან მე: გუაკურთხნა მან
ჩუენ: ჩწ დავეარდით პირსა ჴა ჩწსა...
და მან გუაკურთხნა ი ო ს. ა რ ი მ.
34₁₆.
- აღმამალლა მან მე: აღგუამაღლნა მან
ჩუენ: რამეთუ უფალმან აღგუამაღლნა
ჩუენ წ ა რ ტ ყ. ი ე რ. 22₂.
- დამამდაბლა მან მე: დაგუამდაბლნა
მან ჩუენ: და ნაცვალად ამაღლებისა დაგუამ-
დაბლნა ჩუენ წ ა რ ტ ყ. ი ე რ.
24₄.
- განმანათლა მან მე: განგუანათლნა
მან ჩუენ: და განგუანათლნა წყალობით გამო-
ჩნდა რად ჳორცითა ქალწულისაგან
ს ა ს. პ ო ე ჴ. 16₆.
- აღმრაცხა მან მე: აღგურაცხნა მან
ჩუენ: და რომელნი ესე ბარბაროზად წო-
დებულ ვიყვენით ელენთა მიერ უს-
წავლელობისათჳს და უმეცრებისა
ჩუენისა, მათთანავე აღგურაცხნა
ა თ ო ნ. კ რ. 284₁₀.
- განმარინა მან მე: განგუარინნა მან
ჩუენ: ხოლო ლოცვამან ამის წმიდისამან
მშუდობით განგუარინნა ა თ ო ნ.
კ რ. 331₆.
- განმიტევა მან მე: განგუტევენა მან
ჩუენ: ხოლო ეპისკოპოსმან ჳყონდიდელმან
არა განგუტევენა ა თ ო ნ. კ რ.
320₁₀.
- მომიყვანა მან მე: მოგუყვანნა მან
ჩუენ: და რწლნი მეფობისაგან სიგლახაკე-
სა შვერდომილ ვიყვენით მეფობადვე
მოგუყვანნა კ ი მ. 112.

- შემიყუარა მან მე: შეგყუარა მან
 ჩუენ: და ოწ ჩწმწ იწ ქწ შეგყუარა
 ჩწ სა ხ ი ს მ ე ტ ყ. 11₂.
- მშვა მან მე: გუშვნა მან ჩუენ: კულად უქორწინებელმან მან სა-
 ნათლომან მეორედ გუშვნა კ ი მ.
 11₁₂.
- მიმცა მან მე მას: მიგუცნა მან ჩუენ
 მას: და მიგუცნა ჩუენ ველსა მტერთა
 ჩუენთასა წ ა რ ტ ყ. ი ე რ. მ 6.
- მაცხოვნა მან მე: გუაცხოვნა მან
 ჩუენ: პავლე გუაცხოვნა წარმართნი
 კ ი მ. 169₁.
- შემიწყნარა მან მე: შეგწყნარა მან
 ჩუენ: სიხარულით შეგწყნარა და თქუა
 კ ი მ. 165₃₁.
- განმწმიდა მან მე: განგუწმიდნა მან
 ჩუენ: ქრისტემან ნათლის ღებითა განგუწ-
 მიდნა მწინკულისაგან ბრალთაჲსა
 ს ა ს. პ ო ე ზ. 3₂₀.
- მიჯნა მან მე: გვჯსნა მან ჩუენ: ვინმცა სადა გვჯსნა ჩუენ ესე-
 ოდენთა ჭირთაგან ა ბ ო 42₁₀.
- დამბადენ შენ მე: დაგუბადენ შენ
 ჩუენ: ნუ დამშჯი სახიერო მონათა შენ-
 თა... რომელნი დაგუბადენ მიწი-
 საგან ს ა ს. პ ო ე ზ. ს 1₂₀.
- განმზარდეთ თქუენ მე:
 განგუზარდენით თქუენ ჩუენ: ჰრქვან მამა-დედათა თჯსთა ვა თქწ
 ჩწთჯს... დაშუერთ და გწგუზარ-
 დენით ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ. 15₁₃.
- განმანათლე შენ მე: განგუანათლენ
 შენ ჩუენ: და განგუანათლენ ნათლის ღებითა
 შენითა მჯსნელო ს ა ს. პ ო ე ზ.
 ს 1₂₀.
- დამიფარე შენ მე: დაგუფარენ შენ
 ჩუენ: ქალწულო მარიამ მისითა მეოხებე-
 თა დაგუფარენ მგალობელნი შენნი
 ა ბ ო 51₃.
- მყავ შენ მე: გუყვენ შენ ჩუენ: შეისმინე ოხაჲ მისი და მკვდრ
 გუყვენ სასუფეველსა ა ბ ო 51₂₅.

მყავთ თქვენ მე: გუყვებით თქვენ

ჩუენ: ქრისტჳს სიყუარულისათვის ვსენე-
ბულ გუყვებით ღირსთა შინა ლოც-
ვათა გ რ. ხ ნ ძ თ. ძღ²³.

განმიშორე შენ მე: განგვშორენ შენ

ჩუენ: დაღაცათუ საწუთროსა ამას
განგვშორენ. საუკუნოდ ნუ გნებავს
განშორებად ჩუენი გ რ. ხ ნ ძ თ.
ლზ²².

ღამიცევ შენ მე: დაგვცვენ შენ ჩუენ:

დაგვცვენ ოო მოწყალებითა ველისა
შენისადათა კ ი მ. 52³⁵.

მაცხოვნე შენ მე: გუაცხოვნენ შენ

ჩუენ: ოო ივნე და გუაცხოვნენ ჩნ ი.
ბ ო ლ. 7²⁸.

განმწმიდე შენ მე: განგუწმიდენ შენ

ჩუენ: გუასხურე ჩუენ წყალი... და გან-
გუწმიდენ ჩუენ ცოდვათაგან ს ა ს.
პ ო ე ზ. რწ¹⁹.

შემიწყალე შენ მე: შეგვწყალენ შენ

ჩუენ: რომელი მოსლვად ხარ განსჯად
სოფლისა შეგვწყალენ ჩუენ ს ა ს.
პ ო ე ზ. სმ⁵.

მომივსენე შენ მე: მოგვსენენ შენ

ჩუენ: ნუ დაივიწყებ ჩუენ. მადიდებელთა
შენთა მამაო მოგვსენენ წინაშე
ღმრთისა ს ა ს. პ ო ე ზ. რდბ²⁰.

მივსენ შენ მე: გვვსენენ შენ ჩუენ:

შეგუწწიენ... და გვვსენენ დიდისა ჳი-
რისაგან ა თ ო ნ. კ რ. 312³⁴.

კ ო ნ ი უ ნ ქ ტ ი ვ ი მ ე ო რ ე:

გამომზარდოს მან მე: გამოგუზარდნეს

მან ჩუენ: მიუტეოთ ოა გლის სიტყუად ჩნ
და მან გამოგუზარდნეს ჩნ ი.
ბ ო ლ. 22¹².

ღამანთქას მან მე: დაგუანთქნეს მან

ჩუენ: უკუეთუ არა ადრე მოგვკლათ კაცი
ესე დაგუანთქნეს ჩუენ ქყანასა
კ ი მ. 157³¹.

- მტანჯოს მან მე: გუტანჯნეს მან ჩუენ: გუტანჯნეს ჩუენ სიცივითა და ყინელითა აქა რადთა მუნ განმარინნეს ჩუენ ღრჭენისაგან კბილთაჲსა წ ა რ ტ ყ . ი ე რ . ლ ბ ვ .
- მყოს მან მე: გუყვენეს მან ჩუენ: რადთა მეოხებითა მათითა კეთილად განაგოს ჩუენიცა ესე ცხორებაჲ და არა ჳუებულ გუყვენეს ა თ ო ნ . კ რ . 514.
- მიმიყვანოს მან მე: მიგჳყვანნეს მან ჩუენ: შეგუეწიოს ჩწ მცირესა ქწმსა ცხორებისა ამის ამაოდსასა და მის თანა მიგჳყვანნეს ჩწ კ ი მ . 377.
- შემაშინოს მან მე: შეგუაშინნეს მან ჩუენ: რწ არა შეგუაშინნეს და გურცხუენოდინ ჩწ ჩუენებად მისა წყულუღებაჲ იგი ჩუენი ი . ბ ო ლ . 826.
- შემიწყალოს მან მე: შეგჳწყალნეს მან ჩუენ: რადთა მოწყალე გუექმნეს... და შეგჳწყალნეს ჩუენ ა ბ ო 5314.
- შემიწყნაროს მან მე: შეგჳწყნარნეს მან ჩუენ: შევიმოსოთ ძალი ქწსი და დაუთმოთ სიკუდილსა შეწევენითა მისითა. რწ შეგჳწყნარნეს სასუფეველსა მისა კ ი მ . 3719.
- მიხილოს მან მე: გჳხილნეს მან ჩუენ: ბრძანებაჲ გამოსრულ იყო, რადთა გარე ფილოპატსა გჳხილნეს ა თ ო ნ . კ რ . 33427.
- მიჳსნას მან მე: გჳჳსნნეს მან ჩუენ: რწ დაჳჳსნნეს ღონენი მტერისა ბოროტისანი აღძრულნი ჩწ ჳწა და გჳჳსნნეს მზაკუვარებათა მათთაგან მრავალსახეთა კ ი მ . 564.
- მყო შენ მე: გუყვენე შენ ჩუენ: ვევედრებით... სახიერებასა შენსა... რადთა არა უგულუბელს გუყვენე მონანი შენნი გ რ . ხ ნ ძ თ . 4818.
- განმარინოთ თქუენ მე: განგუარინნეთ თქუენ ჩუენ: ვესავ ღმერთსა, რომელ იოტოთ იგი უღმრთოჲ სკლიაროსი და ჩუენ ჳირისაგან განგუარინნეთ ა თ ო ნ . კ რ . 1110.

88. განსაკუთრებული სინტაქსური მნიშვნელობა ენიჭება იმ შემთხვევებს, როდესაც ზმნაში წარმოდგენილია ორი **MO**: ერთი — მიცემითს ბრუნვაში (სულ ერთია, რომელი რიცხვისა) და მეორე — სახელობითს ბრუნვაში მრავლობითი რიცხვისა:

ნამყო ძირითადი:

დაჰკრა მან მას იგი: დაჰკრნა მან

მას იგინი: რომელმანცა მანქანებითა მისითა ჳელთა მისთა ათნივე თითნი ნებთა მისთა ჳედა დაჰკრნა გრ. ხნძთ. ნმ¹⁵.

მოსთხოვეს მათ მას იგი: მოსთხოვნეს

მათ მას იგინი: მაშინ მივიდეს მორწმუნენი ოწისანი და მოსთხოვნეს მეფესა მას წწნი და პათიოსანნი ძუალნი მოწამისანი მის კიმ. 160¹.

წარჰკუეთეს მათ მას იგი:

წაჰკუეთნეს მათ მას იგინი: და ვა იგი ეტყოდა მჳეცთა მათ მიეტევენეს მას ჳა და წარჰკუეთნეს ჳელნი მისნი კიმ. 156¹⁵.

დაუმკვდრა მან მას იგი: დაუმკვდრნა

მან მას იგინი: რომელმან აღადგინა ჰუეყანით გლახაკი და დავრდომილი და საყდარნი დიდებისანი დაუმკვდრნა მას სას. პოეზ. პლ²⁸.

მიანიჭა მან მას იგი: მიანიჭნა მან

მას იგინი: ვინ შემძლებლ არს სიტყვთ აღწერად, რადოდენნი და რადბამნი სახელნი მიანიჭნა მას საღმრთომან მაღლმან ათონ. კრ. 338³⁰.

დაჰრთო მან მას იგი: დაჰრთნა მან

მას იგინი: რომელმან სიბრძნით დაჰრთნა ცანი უფსკრულთა სას. პოეზ. ია¹⁶.

დაუმტკიცეს მათ მას იგი:

დაუმტკიცნეს მათ მას იგინი: რომელნიცა ადგილნი და სოფელნი სთხოვნეს, ყოველნი ოქრობეჳდითა დაუმტკიცნეს ათონ. კრ. 13¹³.

- უქმნეს მათ მას იგი: უქმნეს მათ
 მას იგინი: ესე ვითარნი მსახურებანი ჰმსახურ-
 ნეს და დიდნი საქმენი უქმნეს
 ათონ. კრ. 13₁₃.
- მისცა მან მას იგი: მისცნა მან მას
 იგინი: მათ ჟამთა შინა ბერძენთა მეფემან
 ზემონი ქუეყანანი დავით კურაპა-
 ლატსა მისცნა ათონ. კრ. 6₂₃.
 მისცნა ბეჭნი გუემად და ლაწუნი
 ყურიმლის ცემად ჩუენ ცოდვილ-
 თათვს სას. პოეზ. სპ₂₃.
 და შემდგომად მცირედთა დღეთა
 საბა განუტევა იშხანს და ორნი მო-
 წაფენი მისცნა მას გრ. ხნძთ.
 ძ₁₀.
 და მისცნა საჯმარნი უხუცებით სე-
 რაპ. 24₃₀.
- მისცეს მათ მას იგი: მისცნეს მათ
 მას იგინი: და მაშინ მისცნეს მეფეთა ზემონი
 ქუეყანანი საბერძენეთისანი კურაპა-
 ლატსა ათონ. კრ. 11₃₀.
- შესძინა მან მათ იგი: შესძინა მან
 მათ იგინი: და მერმე შესძინა ზღვარნი არა
 მცირედნი პრასტინთა მონასტრისა
 ჩუენისათა ათონ. კრ. 30₂₂.
- მიანიჭე შენ მას იგი: მიანიჭენ შენ
 მას იგინი: რომელმან სახედ ანაღსა განჰკსენ
 ბერწობად სიონისად და სამოელის
 წილ მიანიჭენ შობად შვილნი ახლისა
 აღთქუმისანი სას. პოეზ. სპ₂₉.
- დაპრთე შენ მათ იგი: დაპრთენ შენ
 მათ იგინი: რომელმან დაპრთენ ზესკნელნი
 წყალთა ზედა სას. პოეზ. კზ₁₀.
- მიეც შენ მას იგი: მისცენ შენ მას
 იგინი: რაწ წყაროსა მას სიტყუანი შენნი
 მისცენ კიმ. 200₁₄.
- მიეციოთ თქუენ მათ იგი: მისცენით
 თქუენ მათ იგინი: მისცენით ჯამლნი ფერჯთა მისთა
 ი. ბოლ. 40₂.

- აცუ შენ მას იგი: აცუენ შენ მას
 იგინი: შრომითა ვორცნი ჯუარს აცუენ და
 სულითა ჰბრწყინავ სას. პოეზ.
 რიზ¹⁸.
- მიგითხრა მან შენ იგი: მიგითხრნა
 მან შენ იგინი: ღუაწლნი იგი მაღლისა მის კაცისა-
 ნი მიგითხრნა თქუცნ ათონ. კრ.
 340³⁵.
- გიჩუნა მან შენ იგი: გიჩუნნა მან
 შენ იგინი: რომელმანცა გიჩუნნა სიმართლისა
 იგი გზანი სას. პოეზ. ოზ².
- აღვიხილა მან შენ იგი: აღვიხილნა
 მან შენ იგინი: რა აღვიხილნა თვალნი შენნი
 აღიშ. 175^{a2}.
- დამბანა მან მე იგი: დამბანნა მან
 მე იგინი: დამბანნა ფერვნი ჩემნი და თმითა
 თვსითა წარმოცნა ი. ბოლ. 14²⁶.
- მომიტევა მან მე იგი: მომიტევნა
 მან მე იგინი: ვერ ძალ უც უკუეთუ შეუვრდე მას:
 თუმცა არა მომიტევნა ცოდვანი
 ჩემნი ი. ბოლ. 37¹.
- მომცა მან მე იგი: მომცნა მან მე
 იგინი: აჰა ესერა მე და ყრმანი რნი მო-
 მცნა მე ღწ კიმ. 47³².
- მომიპყართ თქუენ მე იგი:
 მომიპყრენით თქუენ მე იგინი: ჰ ქრისტეს-მოყუარენო მომიპყრენით
 სასმენელნი თქუენნი წარტყ.
 იერ. 1¹².
- აღმისუბუქე შენ მე იგი: აღმისუბუქენ
 შენ მე იგინი: ოლო ივქე აღმისუბუქენ მწარენი
 ესე გუემანი კიმ. 49²¹.
- მომიტევე შენ მე იგი: მომიტევენ
 შენ მე იგინი: ოლო უკუეთუ ჯერ არს მომიტევენ
 მე შეცოდებანი ჩემნი ი. ბოლ.
 55¹².
- შემაშვრეთ თქუენ მე იგი:
 შემაშვრენით თქუენ მე იგინი: არამედ აწ გვედრები, შემაშვრენით
 მე ცრემლნი ჩემნი ათონ. კრ.
 342³.

დამიტევა მან ჩუენ იგი: დაგვტევნა	
მან ჩუენ იგინი:	ესე ყოველნი აღწერით დაგვტევნა ათონ. კრ. 299 ¹⁸ .
მოგუმადლე შენ ჩუენ იგი:	
მოგუმადლენ შენ ჩუენ იგინი:	და ზეცისა ნიჭნი მოგუმადლენ ჩუენ სას. პოეზ. რლმ _გ .
განგვმარტე შენ ჩუენ იგი:	
განგვმარტენ შენ ჩუენ იგინი:	და დაფარულნი საიდუმლონი განგვმარტენ სას. პოეზ. რლზ ₁₉
მოგვტევე შენ ჩუენ იგი:	
მოგვტევენ შენ ჩუენ იგინი:	განანათლენ გონებანი ჩუენნი და მოგვტევენ ბრალნი მორწმუნეთა შენთა სას. პოეზ. სპზ ₂₂ .
ნ ა მ ყ ო რ ი ე უ ლ ე ბ ი თ ი:	
აღვკდგინის მან ჩუენ იგი: აღვკდგინის	
მან ჩუენ იგინი:	და კუალად მუნ აღვკდგინის ღმერთმან მოურნენი ათონ. კრ. 64 ₁₂ .
კ ო ნ ი უ ნ ქ ტ ი ვ ი მ ე ო რ ე:	
მოგმადლოს მან შენ იგი: მოგმადლნეს	
მან შენ იგინი:	უკუეთუ ყლითა გულითა გრწმენეს ონი ივქწ მოგმადლნეს ყლითა შეცოდებანი შენნი კიმ. 155 ₂₇ .
მოგიტეოს მან შენ იგი: მოგიტევენეს	
მან შენ იგინი:	უკუეთუ მიუტევენეთ კაცთა შეცოდებანი მათნი მოგიტევენეს თქუენცა მამამან თქნმან აღიშ. 13a ₂ .
მიმტაცოს მან მე იგი: მიმტაცნეს	
მან მე იგინი:	და არავინ მიმტაცნეს იგინი ველთაგან ჩემთა აღიშ. 177 b ₁ .
დამბანო შენ მე იგი: დამბანნე შენ	
მე იგინი:	ჰრქუა მას პეტრე არა დამბანნე ფერჯნი ჩემნი ოკე აღიშ. 183 a ₂ .
აღმიხილო მე შენ იგი: აღმიხილნე	
მე შენ იგინი:	ხ მან ჰქა ოო რა აღმიხილნე თვალნი აღიშ. 144 a ₂ .

- დაგბანო მე თქუენ იგი: დაგბანნე
მე თქუენ იგინი: უკუეთუ მე დაგბანნე ფერგნი
თქნნი ა დ ი შ. 183 ხ₁.
- მიგითხრა მე თქუენ იგი: მიგითხრნე
მე თქუენ იგინი: ამის ნეტარისა კაცისა სიტყუანი
ლმობიერნი და ცრემლნი მჭურვა-
ლენი ცრემლით მიგითხრნე
ა თ ო ნ. კ რ. 344₂₅.
- მიგცე მე შენ იგი: მიგცნე მე შენ
იგინი: და მიგცნე შენ კლიტენი სასუფევე-
ლისა ცათაჲსანი ა დ ი შ. 35 ხ₁.

**89. თუ MO სახელობითის ბრუნვისა -ებ-ით არის ნაწარმოები,
ზმნაში არ აღინიშნება, ანუ: ებ'იანი (მრავლ.) ზმნას ვერ ითანხმებს;
ეგევე ითქმის იმავე ბრუნვით გადმოცემულ MS-ზედაც (იხ. ქვ.):**

- ნ ა მ ყ ო ძ ი რ ი თ ა დ ი:
გამოაბა მან ლამპარი მას: გამოაბა
მან ლამპრები მას: ლამპრები ყოველთა კუდებსა გამოა-
ბა გ რ. ხ ნ ძ თ. ომ₆.
- წარმოდგა მან ქუაბი: წარმოდგა
მან ქუაბები: წარმოდგა ქუაბები დიდ-დიდები საგეს
ცერცუითა ხ ე ლ ნ ა წ. №2251, 20 r.
- მოჭუარეს მათ მას ყრმა: მოჭუარეს
მათ მას ყრმები: მაშინ მოჭუარეს მას ყრმები რამ-
ცა ჯელი დასდგა მათ ო თ ხ თ ა ვ ი
107₁₉.
- დადგეს მათ ფილაკავანი: დადგეს
მათ ფილაკავნები: და დადგეს ფილაკავნები მასზედა
წ ა რ ტ ყ. ი ე რ. იმ₂₅.
- მიითუალა მან წიგნი: მიითუალა
მან წიგნები: იხილა რაჲ იგი კურაპალატმან,
ფრიად განიხარა და წიგნები მეფე-
თაჲ მიითუალა ა თ ო ნ. კ რ. 11₂₄.
- შეკრიბე მე ფიქალი და ქვა:
შეკრიბე მე ფიქლები და ქვები: შეკრიბე ფიქლები და ქვები და დაგ-
ბურე იგი ხ ე ლ ნ ა წ. №1104, იმ r.
- შეკრიბეს მათ ნათესავი: შეკრიბეს
მათ ნათესავები: და შეკრიბეს მის ზა ნათესავები
[იგი] ყ ი ო თ ხ თ ა ვ ი 171₂₄.

- შეკრიბა მან თავი: შეკრიბა მან
თავები: განსრულდა კლებული მათი და შე-
კრიბა თავები საღმრთოთა მათ სა-
სწაულთაჲ კ ი მ. 105₁₀.
- მოსრა მან ვენაჯი: მოსრა მან
ვენაჯები: მოსრა ვენაჯები მათი და ლელოანი
მათი ხ ე ლ ნ ა წ. №38, 155 v.
- ჰკითხეს მათ იგავი მას: ჰკითხეს
მათ იგავები მას: რადჟამს უკვე იყო მარტოდ ჰკითხეს
მას რ'ლ იყვნეს გარემოდს მისსა
ათორმეტითურთ იგავები იგი
ა დ ი შ. 71 a₁.
- შეჰმუსრე შენ თავი: შეჰმუსრე შენ
თავები: შენ შეჰმუსრე თავები ვეშაპისაჲ
წყალთა ზედა ს ა ს. პ ო ე ზ. სპთჟ.
- დაამჯუა მან ტაბლა: დამჯუა მან
ტაბლები: და ტაბლები იგი თესლის მოფარ-
დულთაჲ დაამჯუა ა დ ი შ. 44 b₂.
- შეუმზადეს მათ მას საფლაგი:
შეუმზადეს მათ მას საფლაგები: ხ' სხ'ათა დბ'ლები საფლაგები შე-
უმზადეს თავთა თჳსთა ხ ე ლ ნ ა წ.
№1104 რმ r.
- პოა მან ჰურჰელი: პოა მან
ჰურჰლები: და პოა ჰურჰლები და კუმაში
ხ ე ლ ნ ა წ. №1104, რმზ v.
- პოვეს მათ ნიში: პოვეს მათ ნიშები: პოვეს ნიშები და სასწაულები
უწყებული დიდისა მისგან მოძღუ-
რისა ს ე რ ა პ. 94.
- წარიპარა მან წიგნი: წარიპარა მან
წიგნები: წარიპარა წიგნები მისი და... ვერ
პოა წიგნები იგი ხ ე ლ ნ ა წ.
№1104 რმზ v.
- მოართუეს მათ მას ყრმა: მოართუეს
მათ მას ყრმები: მაშინ მოართუეს მას ყრმები რ'ამცა
ველი დასდვა მათ ა დ ი შ. 41 a₁.
- დაისწავლა მან წიგნი: დაისწავლა
მან წიგნები: ოდეს მოიწიფა ყრმაჲ იგი მისცეს
სამოძღუროდ და დაისწავლა ყ'ი
წიგნები და ყ'ი სწავლაჲ სიბრძნი-
საჲ კ ი მ. 161₁₇.

- ალაფრინვა მან სირი: ალაფრინვა
 მან სირები: იწყო ჳელთა ურთიერთას შეტყუე-
 ლებად და ალაფრინვა სირები იგი
 წე მათ ყლთასა კ ი მ. 115¹⁴.
- ალაშენეს მათ სენაკი: ალაშენეს მათ
 სენაკები: პოვნეს ორნი ადგილნი სამონას-
 ტრედ და ალაშენეს სენაკები ორ-
 განვე გ რ. ხ ნ ძ თ. ლმ¹⁴.
 ვიდრემდის ალაშენეს გოდლები გა-
 რემოდს ქალაქისა წ ა რ ტ ყ. ი ე რ.
 იმ²⁴.
 და უდაბნოსა ადგილსა სენაკები
 უშენეს ა თ ო ნ. კ რ. 22¹¹.
- მისცა მან მას წიგნი: მისცა მან მას
 წიგნები: ვითარცა მოვიდა, მისცა წიგნები
 თვთოეულად, ვითარცა აქუნდა
 ბრძანებად ა თ ო ნ. კ რ. 9¹⁹.
 ყოველთა უდაბნოთა თანაწარსცა
 კერეონები და შეუთუალა დღწ იგი
 გ რ. ხ ნ ძ თ. მმ²⁹.
 თორნიკ კურაპალატისა და თავისა
 წიგნები მეფეთა წინაშე წარსცა
 ა თ ო ნ. კ რ. 11²⁸.
- დაწერეს მათ წიგნი: დაწერეს მათ
 წიგნები: წარავლინეს ძმაჲ ერთი და მიუწე-
 რეს წიგნები ა თ ო ნ. კ რ. 21³⁰.
 და ესრეთ წიგნები ვედრებისაჲ და-
 წერეს კურაპალატსა თანა ა თ ო ნ.
 კ რ. 11²⁰.
- მოწუა მან ქალაქი: მოწუა მან
 ქალაქები: და ქალაქ[ებ]ი იგი მათი მოწუა ცე-
 ცხლითა ო თ ხ თ ა ვ ი 126¹⁵.
- განვაწესე მე სახელი: განვაწესე მე
 სახელები: სახელები თუალთაჲ ამათ განვაწესწ
 და დავწერწ თ უ ა ლ თ ა ჲ 48⁸.
- განაწყო მან ქვა: განაწყო მან ქვები: განაწყო ყლი იგი ქვები და მარგა-
 ლიტები ხ ე ლ ნ ა წ. №1104, რმ v.
- მოწყდა მან ყრმა: მოწყდა მან
 ყრმები: და წარავლინა და მოწყდა ყი ყრმე-
 ბი ბეთლემისაჲ ო თ ხ თ ა ვ ი 7⁴.

იხილა მან პირი:	იხილა მან პირები:	რჟს იხილა პირები იგი მათი და რჯმლები ჳდილები კ ი მ. 38 ₁₄ .
		და იხილა მუნ მგოსნები და ერი კრე- ბული და შფოთი ო თ ხ თ ა ვ ი 44 ₆ .
		და ვრ იხილეს რტოები იგი შეუ- რაცხ ყვეს კ ი მ. 41 ₂ .
დაჰჳსნეს მათ ხატი:	დაჰჳსნეს მათ ხატები:	სადა დაჰჳსნეს ხატები იგი ხ ე ლ ნ ა წ. №1104, ომე r.
ნ ა მ ყ ო ჩ გ ე უ ლ ე ბ ი თ ი:		
მოვიგით ჩუენ წიგნი:	მოვიგით ჩუენ წიგნები:	რ წიგნები ამისთჳს მოვიგით ხ ე ლ ნ ა წ. №1104, ოლვ v.
შეკრიან მათ ტჳრთი:	შეკრიან მათ ტჳრთები:	შეკრიან [მათ] ტჳრთები მძიმე და ძნიად სატჳრთველი ა დ ი შ. 49 a ₁ .
იოტის მან ათასი:	იოტის მან ათასები:	ვრ იგი ერთმან იოტის ათასები კ ო ნ ს ტ. ჳ ს ნ ა 24 ₁₂ .
წარიჰციის მან ბევრი:	წარიჰციის მან ბევრები:	და ორმან წარიჰციის ბევრები კ ო ნ ს ტ. ჳ ს ნ ა 24 ₁₃ .
უწყის მან სახელი:	უწყის მან სახელები:	რწ იგი უწყის ყლთა სახელები მწ იცნის ჩწნიცა ხ ე ლ ნ ა წ. №1104, იწ v.
კ ო ნ ი უ ნ ჰ ტ ი ვ ი მ ე ო რ ე:		
მითხრან მათ მე სახელი:	მითხრან მათ მე სახელები:	ვევედრე უკუე რა მითხრან სახელე- ბი მთი ხ ე ლ ნ ა წ. №1104, კლ r.
შემჳსროს მან თავი:	შემჳსროს მან თავები:	ღწ შემჳსროს თავები მტერთა თჳსთაჲ თხემით თმითრთ ხ ე ლ ნ ა წ. №38, 100 v.
დაასრულოთ თჳუენ ჰალაჰი:	დაასრულოთ თჳუენ ჰალაჰები:	ამენ გეტყჳ თჳუენ ვერ დაასრულოთ ჰალაჰები ისრაჴლისაჲ, ვლწ ძწ კა- ციისაჲ მოვიდეს ო თ ხ თ ა ვ ი , 50 ₁₇ .

აღვილოთ ჩუენ რტო: აღვილოთ

ჩუენ რტოები: აწ ყრმათა თანა აღვილოთ რტოები ზეთის ხილისად ხ ა ნ მ ე ტ ი მ რ ა - გ ა ლ თ ა ვი 134₁₁.

90. სახელობითი ბრუნვა მრავლობითი რიცხვისა ასეთს შემთხვევაში აღუნიშვნელი იმიტომ კი არ რჩება, რომ იგი MO-ს წარმოადგენს, არამედ იმიტომ, რომ **ებ'**-სუფიქსით არის წარმოებული; ამ **-ებ' სუფიქსით ნაწარმოები სახელობითი ზმნაში ვერავითარ ცვლილებას ვერ იწვევს მაშინაც, როცა იგი MS-ია და არა MO:**

ა წ მ ყ ო:

(აღწერილ) არს სახელი: (აღწერილ)

არს სახელები: გიხაროდენ, რადმეთუ სახელები თქუენი აღწერილ არს ცათა შინა ს ე რ ა პ. 1₁₅.

წ ათორმეტთა მათ მოციქულთა სახელები ესე არს ო თ ხ თ ა ვ ი 46₂₆.

რომელთა სახელები აღწერილ არს წიგნსა მას ცხორებისასა ა თ ო ნ. კ რ. 1₁₇.

და მრავალსა მას სოფლებსა ცხრანი მეფენი არიან. და ესე სახელები არს სოფლებისად მის და ნათესავთად მათ თ უ ა ლ თ ა დ 28₂₇.

რ წ სახელები მათი ესე არს ხ ე ლ ნ ა წ. №19, 161.

არს ქალაქი: არს ქალაქები:

და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებელად ქრისტეს მსახურისად იონთა მეფისად ა ბ ო 19₁₁.

მუნ არს საფლავი: მუნ არს საფლავები:

საგოდებელი ეწოდების რ წ მუნ არს საფლავები [კაცთა მის ქა]ლ ქისათად ხ ე ლ ნ ა წ. №19, 426.

აქუნ მათ სახე: აქუნ მათ სახეები:

და აქუნ ველთა მათთა სახეები კერპებისად და კუერთხები კ ი მ. 105₂₅.

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი:

აქუნდა მათ რტო...: აქუნდა მათ

რტოები...:

იგინი... მოვიდეს... და ჯელთა მათთა
აქუნდა რტოები ბადადსად კ ი მ.
35₁.

ძმათა აქუნდა საწუმარი: ძმათა

აქუნდა საწუმრები:

და რომელთა ძმათა აქუნდა
საწუმრები, მოლხინებით შთამოვი-
დეს მონასტრად ა თ ო ნ. კ რ. 34₉.

აქუნდა უძლური: აქუნდა უძლურები:

რავდენტა აქუნდა უძლურები იგი
თითო სახეთაგან სენტა მოიყვანნეს
[იგინი] მისა ა დ ი შ. 111 b₁.

მოვიდოდა ხარჭა: მოვიდოდა ხარჭები:

და მოვიდოდა ხარჭებიცა მეფისა
აგრიპადსი პეტრცსა ხ ე ლ ნ ა წ.
№19, 161.

ითქუმოდის სახელი: ითქუმოდის

სახელები:

ჰგონებდეს თუ ამათ მრ ითქუმო-
დის სახელები მთი ხ ე ლ ნ ა წ.
№1104, რმმ r.

ჰყვანდა ყრმა მათ: ჰყვანდა ყრმები

მათ:

მოუჯდა მას ერი მრავალი რლთა
ჰყვანდა მათ თანა მკელობლები ბრმე-
ბი ყრუნი ქუეწარმძრომელნი და სხუ-
ანი მრავალნი ო თ ხ თ ა ვ ი 87₇.

ნ ა მ ყ ო ძ ი რ ი თ ა დ ი:

დაემორჩილენ სული: დაემორჩილენ

სულები:

„სულები წინადაწარმეტყუელთადა
წინადაწარმეტყუელთა დაემორჩი-
ლენ“ ო გ რ. ხ ნ ძ თ. 21₁.

ესმა იგავი მათ: ესმა იგავები მათ:

და ვრ ესმა მდდელთ მოძღუართა მათ
და ფარისეველთა იგავები იგი მისი
გულის ჯმა ყვეს ა დ ი შ. 46 b₂.

აღფრინდა სირი: აღფრინდა

სირები:

და რლ იგი სირები აღფრინდა
წარვიდეს წივილით კ ი მ. 115₁₆.

იყო ლამპარი, ფინიკი...: იყო

ლამპრები, ფინიკები...:

და იყო კუდებსა მათსა ლამპრები
აღნთებული ი პ ო ლ ი ტ ე მმ₁.

	რ იყო ფინიკები... და... უს მთსა იყო მურტიცა და სხ ^ა სურნელები ნერგები ხ ე ლ ნ ა წ. №1104, 107 r. წარვიდა იგი შორად დაბისაგან სა-დაცა იყო სამარეები ხ ე ლ ნ ა წ. №1109, 14 r.
გამოჯდა სული: გამოჯდა სულები:	უბრძანა მათ და გამოჯდა სულები იგი არა წმიდები და შეჯდა ღორებ-სა მას ა დ ი შ. 73 a ₂ .
დაჯმა წყარო: დაჯმა წყაროები:	მდინარეცა მოაკლდა და წყაროები დაჯმა კ ი მ. 319 ¹³
კონიუნქტივი მეორე:	
აღმოივსოს ჯევანი: აღმოივსოს ჯევნები:	ქლი ჯევნები აღმოივსოს ა დ ი შ. 108 a ₂ .
შეკრბეს ორბები:	რ სადაცა მძორი იყოს მუნცა შეკრ-ბეს ორბები ო თ ხ თ ა ვ ი 143 ¹⁷ (ა დ ი შ. 52 b ₁).
აღესრულოს წიგნი: აღესრულოს წიგნები:	და ვითარმე აღესრულოს წიგნები იგი ა დ ი შ. 59 a ₂ . რ ^ა აღესრულოს წიგნები იგი წინა-წარმეტყუელთაჲ ა დ ი შ. 97 b ₁ .
ნამყო სრული და წინარეწარსული:	
დამიკლავს ზუარაკი მე: დამიკლავს ზუარაკები მე:	აჰა ესერა პური ჩემი დამიმზადებ-ეს ზუარაკები ჩემი და უსხები ჩემი დამიკლავს ა დ ი შ. 47 a ₁ .
მოევაჭრა თუალი მას: მოევაჭრა თუალები მას:	ვ ^დ ვაჭარს[ა] ვისმე მოევაჭრა თუა-ლები მრავლისა სასყიდლისაჲ ხ ე ლ ნ ა წ. №1104, რმ r.
ემოსა ხალენი მას: ემოსა ხალენები მათ:	ძმანი... შეუენიერნი ხილვითა რ ^ლ თა ემოსა ხალენები ხ ე ლ ნ ა წ. №1104, 107 v. ¹

¹ -ებ^იანი სახელობითის ის მაგალითები, რომელიც ამოღებულია ხელნაწ. №1104-იდან, გადმომცა კოლ. ვ ა რ. თ ო ფ უ რ ი ა მ, რისთვისაც მას გულითად მადლობას ვუძღვნი.

აღმოეკადა მახული მათ: აღმოეკადა

მახულები მათ: შემოვიდეს ვა მვეცი ბოროტნი და
აღმოეკადა მახულები... მათი და შე-
იპყრეს კ ი მ. 38გ.

-ებ'იანი სახელობითი შეიძლება ზმნაში აღნიშნულიც იყოს, როგორც **MS**-ი, ისე **MO**-იც: ზ უ ა რ ა კ ე ბ ი ჩ ე მ ი და უ ს ხ ე ბ ი ჩ ე მ ი და კ ლ უ ლ ა რ ი ა ნ: ოთხთავი 126²... გ ა რ დ ა გ ი ხ ი ლ ე ნ ი თ გ უ ა მ ე ბ ი ი გ ი მ წ მ თ ა დ: კიმ. 42⁹; მაგრამ ასეთი შემთხვევები ისე იშვიათია, რომ აქ, აღწერითი ანალიზის დროს, შესაძლებლად მიგვაჩნია მასზე არ შევჩერდეთ. ეგევე ითქმის იმ შემთხვევათა შესახებ, როდესაც **-წ**იანი სახელობითი აღუნიშვნელი რჩება: გ ა ნ ი მ ზ ა დ ე ს თ ა ვ ნ ი მ ა თ ნ ი ბ რ ძ ო ლ ა დ: კიმ. 41¹⁸. ამ მოვლენათა ახსნა მოცემულია ჩვენ წერილში: „რით არის წარმოდგენილი სახელობ. ბრუნ. **MO**-ის მრავლობითობა ძველი ქართულის ზმნაში?“ ამ წერილის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 189 შენიშვ.

4. მარტივი წინადადების შედგენილობა და მექანიზმი

91. სამივე ტიპის ზმნები, მათთან დაკავშირებული სახელთა ბრუნვები და სახელთა კვალიფიკაცია ზმნის თვალსაზრისით (MS, MO) შემდეგს ტაბულებს იძლევა:

ტაბულა I: ზმნები და MS, MO

I. ზმნა აბსოლუტურ-გარდაუვალი: MS სახელობითს ბრუნვაშია დროთა ყველა ჯგუფში (MO არა გვაქვს): **დგას, კუდების, მზიარულდების, განკაცნების იგი.**

II. ზმნა რელატიურ-გარდაუვალი: MS სახელობითს ბრუნვაშია დროთა ყველა ჯგუფში: **იგი ზუდგას, ზუკუდების მას; იგი მოზუკუდა მას...**

III. ზმნა რელატიურ-გარდამავალი:

დროთა პირველ ჯგუფში MS სახელობითს ბრუნვაშია:¹ **იგი ხპოებს, ხკლავს, ხთხოვს მას მას... MO კი — მიცემითს ბრუნვაშია: იგი ხკლავს, ხპოებს, ხთხოვს მას (მას)...**

დროთა მეორე ჯგუფში MS მოთხრობითს ბრუნვაშია: **მან კლა, პოვა, ხთხოვა მას იგი, MO კი, თუ მხოლოდ ერთია, სახელობითს ბრუნვაშია: მან კლა, პოვა იგი. თუ ორი MO-ია, ერთი მიცემითს ბრუნვაშია, — ბრუნვაუცვლელი MO მან ხთხოვა მას იგი, მეორე კი სახელობითშია, — „ბრუნვაუცვლელი ბადი მეორე MO“. მან ხთხოვა მას იგი...**

დროთა მესამე ჯგუფში MS სახელობითს ბრუნვაშია: **იგი ხუპოვიეს, ხუკლავს, ხუთხოვიეს (მისდა) მას; იგი ხუპოვა, ხეკლა, ხეთხოვა (მისდა) მას; იგი ხუპოვოს, ხეკლას, ხეთხოვოს (მისდა) მას, — MO კი მიცემითს ბრუნვაშია: იგი ხუპოვიეს, ხუკლავს, ხუთხოვიეს (მისდა) მას; იგი ხუპოვა, ხეკლა, ხეთხოვა (მისდა) მას; იგი ხუპოვოს, ხეკლას, ხეთხოვოს (მისდა) მას.**

¹ იცის, უწყის მან იგი: აქ აწმყოსთან MS მოთხრობითშია, MO — სახელობითში: მათ განსაკუთრებული ისტორია აქვთ: დაბოლოება და MS-ის, MO-ის ბრუნვა ცხადყოფენ მათს სადაურობას: იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე: „პრეფიქსები“, გვ. 6, შენ. 1.

ტაბულა II: MS-ისა და MO-ის ბრუნვები — ზმნების მიხედვით

- MS: ა) ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ს ბ რ უ ნ ვ ა შ ი ა:
1. აბსოლუტურ-გარდაუვალ ზმნებთან დრო-კილოთა ყველა ჯგუფში: **იგი კუდების, იგი მოკუდა, იგი მომკუდარ არს.**
 2. რელატიურ-გარდაუვალ ზმნებთან დრო-კილოთა ყველა ჯგუფში: **იგი ხუდგას მას; იგი ხუკუდების, მოხუკუდა მას.**
 3. რელატიურ-გარდამავალ ზმნებთან დრო-კილოთა პირველს ჯგუფში: **იგი ხკლავს მას; იგი ხთხოვს მას მას.**
 4. რელატიურ-გარდამავალ ზმნებთან დროთა მესამე ჯგუფში: **იგი ხუკლავს მას, იგი ხეკლა მას, იგი ხეკლას მას.**
- ბ) მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ს ბ რ უ ნ ვ ა შ ი ა:
1. რელატიურ-გარდამავალ ზმნებთან დრო-კილოთა მეორე ჯგუფში: **მან კლა იგი; მან ხთხოვა მას იგი¹.**
- MO: ა) მ ი ც ე მ ი თ ს ბ რ უ ნ ვ ა შ ი ა:
1. რელატიურ-გარდაუვალ ზმნებთან დრო-კილოთა ყველა ჯგუფში¹: **იგი ხუდგას მას; იგი ხუკუდების მას; იგი მოხუკუდა მას.**
 2. რელატიურ-გარდამავალ ზმნებთან დრო-კილოთა პირველ ჯგუფში: **იგი ხკლავს მას; იგი ხთხოვს მას (მას).**
 3. რელატიურ-გარდამავალ ზმნებთან დრო-კილოთა მეორე ჯგუფში, თუ MO ბრუნვაუცვლელია: **მან ხთხოვა მას იგი; მან დახ-უ/ა-კლა მას იგი; მან ხაკლვევინა მას იგი.**
 4. რელატიურ-გარდამავალ ზმნებთან დროთა მესამე ჯგუფში: **იგი ხუკლავს მას; იგი ხეკლა მას; იგი ხეკლას მას.**
- ბ) ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ს ბ რ უ ნ ვ ა შ ი ა:
1. რელატიურ-გარდამავალ ზმნებთან დრო-კილოთა მეორე ჯგუფში (თუ ერთი MO-ია — ყოველთვის, თუ ორი MO-ია — ბრუნვაუცვალელებადი MO): **მან კლა იგი; მან პოვა იგი; მან ხთხოვა მას იგი.**

¹ ი მ ე ფ ე ა, ი ხ ა რ ა მან და მაგვარები ცალკე არ გამოვყავით, რადგანაც ესაა გარდამავალი ზმნის: ი მ ე ფ ე ბ ს, ი ხ ა რ ე ბ ს თავისას (და არა მ ე ფ ო ბ ს, ხ ა - რ ო ბ ს¹) ნამყო ძირითადი. გარდაუვალ ზმნებს ხ ა რ ო ბ ს, მ ე ფ ო ბ ს ნამყო ძირითადის ჯგუფში ნასესხები აქვს გარდამავალი ზმნის ფორმა ისევე, როგორც აბსოლუტურ-გარდაუვალი საშუალო გვარის ა რ ს ზმნას იმავე ნამყო ძირითადში ნასესხები აქვს ი ყ ო, ვნებითის ფორმა.

ტაბულა III: სახელთა ბრუნვები და MS და MO ზმნების მიხედვით

1. სახელობითი ბრუნვა:
 - ა) MS-ია: 1. აბსოლუტურ-გარდაუვალ ზმნებთან დრო-კილოთა ყველა ჯგუფში: **იგი დგას; იგი კულების, იგი მოკუდა, იგი მომკუდარ არს.**
2. რელატიურ-გარდაუვალ ზმნებთან დრო-კილოთა ყველა ჯგუფში: **იგი ხუკულების მას; იგი მოხუკუდა მას.**
3. რელატიურ-გარდამავალ ზმნებთან დრო-კილოთა პირველსა და მესამე ჯგუფში: **იგი ხკლავს, ხპოებს მას; იგი ხუკლავს, ხეკლა, ხეკლას მას.**
 - ბ) MO-ია: 1. რელატიურ-გარდამავალ ზმნებთან დრო-კილოთა მეორე ჯგუფში: **მან კლა იგი; მან პოვა იგი.**
2. რელატიურ-გარდამავალ ზმნებთან (თუ ორი MO-ია) — ბრუნვაცვალებადი „მეორე MO“: **მან ხთხოვა მას იგი.**
2. მოთხრობითი ბრუნვა: MS-ია რელატიურ-გარდამავალ ზმნებთან დრო-კილოთა მეორე ჯგუფში: **მან კლა იგი; მან პოვა იგი; მან ხთხოვა მას იგი.**
3. მიცემითი ბრუნვა: MO-ია 1. რელატიურ-გარდაუვალ ზმნებთან დრო-კილოთა ყველა ჯგუფში: **იგი ხუდგას მას; იგი ხუკულების მას; იგი მოხუკუდა მას.**
2. რელატიურ-გარდამავალ ზმნებთან დრო-კილოთა პირველს ჯგუფში: **იგი ხკლავს მას; იგი ხთხოვს მას (მას).**
3. რელატიურ-გარდამავალ ზმნებთან დრო-კილოთა მეორე ჯგუფში, თუ ზმნას ორი MO აქვს, — ბრუნვაცვლელი MO: **მან ხთხოვა მას იგი; მან ხუ/აკლა მას იგი; მან ხაკვლევინა მას იგი.**
4. რელატიურ-გარდამავალ ზმნებთან დრო-კილოთა მესამე ჯგუფში: **იგი ხუკლავს მას; იგი ხეკლა მას; იგი ხეკლას მას.**

წარმოდგენილ ტაბულებში მოცემულია მარტივი წინადადების სქემა **შედგენილობის** მხრივ. აპოლონოს დისკოლოსისა და ბუდე-დერჟავინის თვალსაზრისზე მდგომი აქ დასვამს წერტილს და ამოწურულად ჩათვლის მარტივი წინადადების პრობლემას ძველს ქართულში. ჩვენთვის კი ეს არის აუცილებელი წინა-საფეხური და მხოლოდ შემზადება წმინდა სინტაქსური ნაწილისათვის. თავი და თავია, როგორც უკვე ითქვა ზემოთ, სინტაქსის საგნისა და მიზნის განსაზღვრისას, **არა შედგენილობა, არამედ მექანიზმი**, როგორია წინადადების მექანიზმი ძველს ქართულში? ანუ კონკრეტულად: როგორია ზმნისა და სახელთა ურთიერთობა ძველი ქართულის შესიტყვებაში?

სამი ტიპის მარტივი წინადადებაა ჩვენ წინ; ამ ტიპებს განასხვავებს ზმნა-შემასმენელი.

პირველში ზმნა — აბსოლუტურ-გარდაუვალია (**დგას, კულების**); მეორეში — რელატიურ-გარდაუვალია (**ხუდგას, ხუკულების, ხევედრების**); მესამეში — რელატიურ-გარდამავალია (**ხკლავს, ხპოებს, ხთხოვს**).

პირველი ტიპი ასეთი შედგენილობისაა: ზმნის პიროვანი ფორმა პლუს ერთი სახელი სახელობითს ბრუნვაში (MS): **დგას იგი; კულების იგი... მოკულა იგი...**

მეორე ტიპის შედგენილობა ასეთია: ზმნის პიროვანი ფორმა პლუს ერთი სახელი სახელობითს ბრუნვაში (MS) და მეორე სახელი მიცემითს ბრუნვაში (MO): **ხუდგას იგი მას; ხუკულების იგი მას; ხევედრების იგი მას... მოხუკულა იგი მას; ხევედრა იგი მას...**

მესამე ტიპი სამგვარ სახეობას იძლევა:

a) აწმყოს ჯგუფის ზმნა პლუს სახელი სახელობითს ბრუნვაში (MS), პლუს სახელი მიცემითს ბრუნვაში (MO), [პლუს მეორე სახელი, აგრეთვე მიცემითს ბრუნვაში: ბრუნვაცვალებადი MO]; ეს მეორე მიცემითი შეიძლება გვქონდეს, შეიძლება — არა; მაგალ.: **ხკლავს იგი მას; ხპოებს იგი მას; ხთხოვს იგი მას მას... ხიკლვიდა იგი მას; ხპოებდა იგი მას; ხთხოვდა იგი მას მას... ხკლვიდეს იგი მას; ხპოებდეს იგი მას; ხთხოვდეს იგი მას მას...**

b) ნამყო ძირითადის ჯგუფის ზმნა პლუს სახელი მოთხრობით ბრუნვაში (MS), პლუს სახელი სახელობით ბრუნვაში (MO), ანუ მეორე ბრუნვა-ცვალებადი (MO), [პლუს სახელი მიცემით ბრუნვაში (MO); სახელი მიცემით ბრუნვაში შეიძლება გვქონდეს, შეიძლება — არა]; მაგალ.: **კლას მან იგი; პოვას მან იგი; ხთხოვას მან მას იგი... კლის მან იგი; პოვის მან იგი; ხთხოვის მან მას იგი... კლას მან იგი; პოვოს მან იგი; ხთხოვოს მან მას იგი...**

c) ზმნა მესამე ჯგუფის დრო-კილოსი პლუს სახელი სახელობით ბრუნვაში (MS), პლუს სახელი მიცემითს ბრუნვაში (MO) [პლუს სახელი ნათესაობითს ბრუნვაში თანდებულთურთ; ეს უკანასკნელი შეიძლება არც იყოს]. მესამე ტიპის ეს მესამე სახეობა არსებითად იგივეა, რაც მეორე ტიპი. უდრ. მაგალ.: **ხუკლავს იგი მას; ხუპოვიეს იგი მას; ხუთხოვიეს იგი მას [მისდა]... ხეკლა იგი მას; ხეპოვა იგი მას; ხეთხოვა იგი მას [მისდა]... და ხუკულების იგი მას... ხევედრების იგი მას...**

უდავოა, რომ ამათგან პირველი ტიპის (**დგას, კულების იგი**) ყველაზე მარტივია: მასში მხოლოდ ერთი სახელი მონაწილეობს; უფრო რთულია მეორე ტიპი (**ხუდგას იგი მას, ხუკულების იგი მას**): მასში ორი სახელი იღებს მონაწილეობას¹, მაგრამ ამ სახელთა ბრუნვა უცვლელად რჩება

¹ სახელთა შესახებ რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის სახელები და, რომელნიც ზმნასთან არიან დაკავშირებული მორფოლოგიურად და წინადადების ჩონჩხის მიუცვილებელ ნაწილებს წარმოგვიდგენენ.

დრო-კილოთა სამსავე ჯგუფში. ყველაზე რთულია მესამე ტიპი (**ხკლავს იგი მას... ხთხოვს იგი მას მას**): 1. მასში ორი სახელი ყოველთვის არის წარმოდგენილი, შეიძლება იყოს მესამეც; 2. ამ სახელთა ბრუნვები იცვლება დრო-კილოთა მიხედვით.

წინადადების მექანიზმის განხილვას სწორედ ამ მესამე ტიპიდან ვიწყებთ: მასში, როგორც დავინახავთ, იმავე მოვლენებს აქვთ ადგილი, რასაც მეორე ტიპი იძლევა, ოღონდ მესამე ტიპში ისინი უფრო რთულ სახეს ატარებენ; მესამე ტიპის გათვალისწინებით თავისთავად წყდება საკითხი მეორე, იმავე ბუნების უფრო მარტივი ტიპის მექანიზმისა; რაც შეეხება პირველს, იგი ძალზე მარტივია და სპეციფიკურს არაფერს წარმოადგენს.

ა. რელატიურ-გარდამავალ-ზმნიანი წინადადება

92. ავიღოთ ორსახელიანი მაგალითი: **ხკლავს იგი მას; ხპოებს იგი მას... კლა მან იგი; პოვა მან იგი... ხუკლავს მას იგი; ხუპოეის მას იგი.** ამ მაგალითებში **MO** ხან მიცემითშია: **ხკლავს მას; ხპოებს მას**, ხან სახელობითში: **კლა იგი; პოვა იგი**, ხან ისევ მიცემითში: **ხუკლავს მას, ხუპოეის მას...** რამ გამოიწვია ეს? ზმნამ, რა თქმა უნდა (შდრ. **MO** რელატიურ-გარდავალ ზმნებთან: იგი **ხევედრების მას... ხევედრა მას; MO** ყველგან მიცემითშია). რელატიურ გარდამავალმა ზმნამ: **ხკლავს, ხპოებს** „მოითხოვა“ **MO მიცემითში**; არ შეიძლება ვთქვათ: **იგი ხკლავს კაცად, კაცის, კაცმა, კაცით**; უნდა: **იგი ხკლავს კაცს (მას)**. ასევე შეუძლებელია: **მან კლა კაცს, კაცმა, კაცად, კაცის**; აუცილებელია: **მან კლა კაცი (იგი)**. აგრეთვე შეუძლებელია ქართულად ითქვას: **ხუკლავს იგი კაცმა, კაცად, კაცის**; საჭიროა: **ხუკლავს იგი კაცს (მას)**. სამსავე შემთხვევაში **MO** იმ ბრუნვაშია, რომელსაც მოითხოვს ზმნა; ბრუნვა სახელისა (**MO**) დამოკიდებულია ზმნაზე; დამოკიდებულების ასეთი სახე, როგორც ვიცით, არის მართვა: **ზმნა-შემასმენელი მართავს MO-ს ბრუნვაში, MO მართულია ზმნის მიერ.**

მიემართოთ **MS-ს**. ის გვხვდება სახელობითში ან მოთხრობითში: სახელობითში — დრო-კილოთა პირველსა და მესამე ჯგუფში, მიცემითში — დრო-კილოთა მეორე ჯგუფში. არ შეიძლება ითქვას: **მან ხკლავს, მან ხპოებს...** უნდა: **იგი ხკლავს, იგი ხპოებს...** არ შეიძლება: **მის კლა, მის პოვა** ან **მას კლა, მას პოვა...** უნდა: **მან კლა, მან პოვა...** აგრეთვე უნდა: **ხუკლავს იგი (მას), ხუპოეის იგი (მას)** და არ შეიძლება: **ხუკლავს მან (მას), ხუპოეის მან (მას)** და სხვ.

რატომ არ შეიძლება ესა თუ ის ბრუნვა და საჭიროა, **უნდა** სხვა, გარკვეული ბრუნვა? იმიტომ, რომ ზმნა **ხკლავს, ხპოებს** იგუებს **MS** პირ-

ველ ჯგუფში მხოლოდ სახელობითში, მეორე ჯგუფში — მოთხრობითში, მესამეში კი — აგრეთვე სახელობითში. ზმნაზეა დამოკიდებული, თუ რა ბრუნვაა საჭირო; ზმნა განსაზღვრავს MS-ის ბრუნვას. ხსენებულ ზმნებთან იგი ვიხმაროთ თუ მან, — ეს გვეცოდინება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვიცით, რა დროშია ქართული ზმნა. MS სხვადასხვა ბრუნვაში იმიტომ არის, რომ ამას მოითხოვს ზმნა; ერთი სიტყვით: **MS-ის ბრუნვები დამოკიდებულია ზმნაზე, MS-ს მართავს ზმნა.**

ზმნა მართავს ბრუნვაში როგორც MO-ს, ისე MS-ს. დამოკიდებულება MS-ისა და MO-ისა ზმნაზე სრულიად ერთნაირია: ორივე თანაბრად მართულია ზმნის მიერ.

სახელისა და ზმნის ურთიერთობა ამით რომ ამოიწურებოდეს, სინტაქსური მექანიზმი მარტივი იქნებოდა: მმართველ სიტყვად ზმნა მოგვევლინებოდა, MS და MO მართული სახელები იქნებოდა ანუ სინტაქსური ობიექტი, resp. დამატება. მაგრამ ეს ასე არ არის; სახელებსაც აქვთ სინტაქსური უფლებები ზმნის მიმართ. ზმნას პირის ფორმები აქვს; პირის ფორმებში პრეფიქსებისა და სუფიქსების საშუალებით აღნიშნულია როგორც MS, ისე MO: **ხკლავს იგი მას; ხპოებს იგი მას... კლა მან იგი; პოვა მან იგი... ხუკლავს მას იგი; ხუპოვებს მას იგი...** ზევით, სათანადო ზმნათა უღვლილებიდან დავინახეთ, რომ არ შეიძლება არც ერთი ფორმის მოძებნა, რომელშიაც რეალურად ან პოტენციურად არ იყოს წარმოდგენილი როგორც MS, ისე MO, და ეს ასეც უნდა იყოს: აკი ზმნა რელატიურია.

ეს დიდი მნიშვნელობის ფაქტია არა მარტო მორფოლოგიურად, არამედ სინტაქსურადაც, რადგანაც ეს ნიშნავს: სახელთა ცვლა იწვევს ზმნაში პირის ცვლას, ანუ: **ზმნის პირის ცვლა დამოკიდებულია ორივე სახელზე — MO-ზე ისევე, როგორც MS-ზე;** სხვანაირად რომ ვთქვათ, **როგორც MS, ისე MO მართავს ზმნას (პირში).**

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ MO-ის ბრუნვას მართავდა ზმნა. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ინდო-ევროპულ ენათა შესიტყვებაშიც. იქვე გამოირკვა, რომ MS-ის ბრუნვასაც ზმნა მართავს; ეს კი წმინდა ქართული (და ქართველური) მოვლენაა. ანალოგიას ინდო-ევროპულს ენებში ამას ვერ მოვუძებნით. ეს — ზმნაზე სახელთა დამოკიდებულების სფეროში. თუ სახელებზე ზმნის დამოკიდებულებას მივმართავთ, აქაც საგულისხმო თავისებურებაა: MS მართავს ზმნის პირს; ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ინდო-ევროპულ ენებშიც; მაგრამ MO-იც რომ იმავე უფლებით სარგებლობს ზმნის მიმართ და მის პირს ისევე მართავს, როგორც MS, ეს სრულებითაც არ არის ჩვეულებრივი მოვლენა. ამგვარად: **ზმნის მიერ MS-ის მართვა ბრუნვაში და MO-ის მიერ ზმნის მართვა პირში ორი უაღრესად მნიშვნელოვანი თავისებურებაა ამ ტიპის წინადადებათა ქართულში.**

ზ მ ნ ა მ ა რ თ ა ვ ს ს ა ხ ე ლ თ ა ბ რ უ ნ ვ ა ს , ს ა ხ ე ლ ნ ი

მ ა რ თ ა ვ ე ნ ზ მ ნ ის პ ი რ ს — ასეთია ამ ტიპის წინადადებათა მექანიზმის სინტაქსური ანალიზის შედეგი. ჩვენს წინაშე არის რთული სინტაქსური ურთიერთობა; სიტყვათა დამოკიდებულება ჰორიზონტალური ხაზის სახით კი არ წარმოიდგინება, როდესაც შესიტყვებაში არის მ ა რ თ ვ ის ც ე ნ ტ რ ი, რომელიც სხვას მართავს და თვით კი არ იმართვის და რომლისაგანაც მართვის ძაფი გარკვეულის გზით სწორხაზოვნად წარმართება (ამის ნიმუში რუსულში გვქონდა: გვ. 118-121); არა, ქართულში სინტაქსური ურთიერთობა უფრო წრის სახეს იღებს:

ზმნა სახელებს მართავს, სახელები — ზმნას: ↑ხკლავს↑
↑იგი←↓ ↓→მას↑

ამ რთულ სინტაქსურ ურთიერთობას, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ სა უ რ თ ი ე რ თ ო მ ა რ თ ვ ა ს, ჩვენ ვუწოდებთ **კოორდინაციას. რელატიურ-გარდამავალ-ზმნიანი წინადადების მექანიზმს კმნის კოორდინაცია** (და არა უბრალო მართვა).

რაც შეეხება MS-ისა და MO-ის სინტაქსურ თვისებებს, **ისინი არიან თანაბრად მართულნი ზმნის მიერ** (ბრუნვაში) და **თანაბრად მმართველნი ზმნის მიმართ** (პირში); ამ მხრივ მათ შორის არავითარ განსხვავებას არა აქვს ადგილი: მათ ერთნაირი მოვალეობა აწევს ზმნის წინაშე და ერთნაირი უფლება აქვს ზმნის მიმართ. ასეთს წინადადებაში აღარ არის **მხოლოდ** მმართველი სახელი — ქვემდებარე, არც ზმნის მიერ **მხოლოდ** მართული სახელი — დამატება.

რუსულში დამატება (მართული სახელი) ო რ ი ს ა ფ ე ხ უ რ ი თ დაბლა იდგა ქვემდებარეზე: ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე მ ა რ თ ა ვ დ ა ზ მ ნ ა ს , ზ მ ნ ა — დ ა მ ა ტ ე ბ ა ს. ჩვენს წინადადებაში კი ის სახელი, რომელიც ქვემდებარეობის პრეტენდენტი უნდა ყოფილიყო, MS, იმავე საფეხურზე დგას, რომელზედაც „სადამატებო“ სახელი, MO, იმყოფება; მათი დაპირისპირება სინტაქსურ ურთიერთობაში შეუძლებელია. და ამგვარად: **არ არის ქვემდებარე, არ არის დამატება, — არის ოდენ კოორდინატები**; MS-იც კოორდინატია და MO-იც, იგი ხკლავს მას, იგი ხპოებს მას^{ში} იგი^ც კოორდინატია, მას^{იც} კოორდინატია. ასევე: მან კლა იგი, მან პოვა იგი^{ში} მან^{იცა} და იგი^ც კოორდინატებია.

სახელისათვის ძირითადი სინტაქსური ფორმა ბრუნვაა; ზმნისათვის — პირი. ზმნისა და სახელის ურთიერთობაც ჩვენ ამ ნიშნების მიხედვით ვაანალიზებთ. ის ურთიერთობა, რომელიც სახელსა და ზმნას შორის არსებობს, გვიჩვენებს, რომ კოორდინატებს შორის ძირითადი **სინტაქსური მომენტების** მიხედვით პრინციპულ განსხვავებას არა აქვს ადგილი. ეს რომ ასე არ იყოს, ისინი კოორდინატები ვერ იქნებოდნენ.

ხომ არ არის სხვა სინტაქსური მომენტი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იყოს კოორდინატთა გარჩევა? პასუხი ისევ სინტაქსური ურთი-

ერთობის ანალიზმა უნდა მოგვცეს.

ზმნაში აღინიშნება MS-ისა და MO-ის პირების გარდა მათი რიცხვიც. როგორია ამ მხრივ მდგომარეობა? აქვს თუ არა ერთნაირი სინტაქსური ძალა ორივე კოორდინატს, MS-ის შესატყვისსა და MO-ის შესატყვისს?

MS-ის ბრუნვებია, როგორც ვიცით, სახელობითი და მოთხოვითი; მათი მრავლობითობა, რა თქმა უნდა, აღინიშნება ზმნაში: **იგი ხკლავს, იგი ხპოებს — იგინი ხკლვენ, იგინი ხპოებენ; მან კლა, მან პოვა — მათ კლეს, მათ პოვეს...** ასევე აღინიშნება სხვა პირთა მრავლობითობაც: **შენ ხკლავ — თქვენ ხკლავთ; მე ვხკლავ — ჩვენ ვხკლავთ... შენ ხკალ — თქვენ ხკალთ; მე ვკალ — ჩვენ ვკალთ.**

MO-ის ბრუნვებია სახელობითი და მიცემითი. MO სახელობითი ბრუნვისა მხოლოდითში აღინიშნება **მ** და **გ**თი, პირველსა და მეორე პირში და **ო**ით (ნოლით) მესამე პირში, რასაც სინტაქსურად ისეთივე ძალა აქვს, როგორიც **მ**'სა და **გ**'ს.: **მან პოვა იგი, გპოვა შენ, მპოვა მე, მან კლა იგი, გკლა შენ, მკლა მე.** მრავლობითობა ამ MO-ისა ყოველთვის აღინიშნება: **მან კლნა იგინი, გკლნა თქვენ, მან მკლნა || გუკლნა ჩვენ; შენ მკლენ || გუკლენ ჩვენ; შენ ხკლენ იგინი; მე ვკლენ იგინი, გკლენ თქვენ...** იხ. ზემ., გვ. გვ. 154-158.

MO მიცემითი ბრუნვისა მხოლოდითს რიცხვში აღინიშნება: პირველსა და მეორე პირში ყოველთვის, მესამე პირში — ხან რეალურად, ხან პოტენციალურად (იხ. ზემოთ, გვ. 164). რაც შეეხება მრავლობითს, მიცემითის მრავლობითობა არც მესამესა და არც მეორე პირში არ აღინიშნება, პირველ პირში კი ხან აღინიშნება, ხან — არა. მაგალ.: **იგი ხკლავს მას — იგი ხკლავს მათ; იგი გკლავს შენ — იგი გკლავს თქვენ; იგი მკლავს მე — იგი მკლავს ჩვენ || გუკლავს ჩვენ; იგი ხუკლავს, ხეკლა, ხეკლას მას — მათ; იგი გიკლავს, გეკლა, გეკლას შენ — თქვენ; იგი მიკლავს, მეკლა, მეკლას || გჰკლავს, გუეკლა, გუეკლას ჩვენ.**

საერთოდ, მიცემითში დასმული MO-ის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება.

რა გამოვიდა? MS-ის მრავლობითობა ყოველთვის აღინიშნება, MO-ის მრავლობითობა კი აღინიშნება, თუ სახელი სახელობითს ბრუნვაშია, და **აღუნიშვნელი რჩება**, თუ სახელი მიცემითს ბრუნვაშია. ესე იგი: **მეტია შეფარდებითი წონა იმ კოორდინატისა, რომელიც MS-ს გამონატავს (სახელ. და მოთხრ. ბრუნ.), ანდა MO-ს სახელობითს ბრუნვაში, ნაკლებია იმ კოორდინატისა, რომელიც MO-ს გამონატავს მიცემითს ბრუნვაში.**

ბრუნვების მიხედვით რომ დავაჯგუფოთ, ასეთ სურათს მივიღებთ: ერთ მხარეზეა მოთხრობითი და სახელობითი ბრუნვა (ეს უკანასკნელი, სულ ერთია, MS-ს აღნიშნავს თუ MO-ს)¹; მეორე მხარეზეა — მიცემითი (მუდამ MO-ია!). ზმნის პირის მართვის მხრივ მოთხრობითსაც, სახელობითსაც და მიცემითსაც ერთგვარი უფლებები ჰქონდათ: პირის აღნიშვნისას ზმნა ყველას უწევდა ანგარიშს; ამდენადვე, სამივე ბრუნვა სინტაქსურად თანაბარუფლებიან კოორდინატს წარმოადგენდა; რიცხვის, კერძოდ, მრავლობითობის აღნიშვნისას უფლებრივი თანასწორობა დაირღვა: მოთხრობითისა და სახელობითის მრავლობითობას ზმნა შეეთანხმების, მათს მრავლობითობას აღნიშნავს, მიცემითი ბრუნვის მრავლობითობა ზმნას ვერ ითანხმებს, ზმნა მას არ აღნიშნავს. და ამგვარად: მოთხრობითი და სახელობითი ბრუნვით აღნიშნული კოორდინატები მეტ ცვლილებას იწვევენ ზმნაში, მეტს როლს თამაშობენ წინადადებაში, ვინემ მიცემითი ბრუნვით აღნიშნული კოორდინატი. საჭიროა ამ ორგვარი კოორდინატის გარჩევა. შესაძლებლად ვთვლით პირველს ეწოდოს **დიდი კოორდინატი** (coordinata major), მეორეს — **მცირე კოორდინატი** (coordinata minor).

ამგვარად: იგი ხელავს მას: იგი — დიდი კოორდინატი; მას — მცირე კოორდინატი. მან კლა იგი: მან — დიდი კოორდინატი; იგი — დიდი კოორდინატი. მას ხუკლავს იგი: მას — მცირე კოორდინატი; იგი — დიდი კოორდინატი.

93. რელატიურ-გარდამავალ ზმნას MS გარდა შეიძლება ორი MO ჰქონდეს: ერთი — ბრუნვაუცვლელი, მეორე — ბრუნვაცვალეზადი: იგი ხთხოვს მას მას; იგი ხუკლავს მას მას; იგი ხაკლავს მას მას... მან ხთხოვა მას იგი; მან ხუკლა მას იგი; მან ხაკლა მას იგი...

რას იძლევა ორი MO-იანი წინადადება ახალს სინტაქსური თვალსაზრისით? ნამყო ძირითადის ჯგუფში MS მან — დიდი კოორდინატი: მან ხთხოვა — მათ ხთხოვეს; MO მას — მცირე კოორდინატი: (მან) ხთხოვა მას — (მან) ხთხოვა მათ, (მან) გთხოვა შენ — (მან) გთხოვა თქვენ.

„მეორე MO“ იგი (მან ხთხოვა მას იგი — ხთხოვნა მას იგინი) თუმცა სახელობითშია, მაგრამ არ გააჩნია არა თუ ის სინტაქსური ძალა, რომელიც სახელობითს უნდა ჰქონოდა, არამედ მიცემითსაც თვალსაჩინოდ ჩამორჩება: სახელობითის პირიც აღნიშნება და რიცხვიც (კლა იგი —

¹ ეს არ ითქმის იმ სახელობითის შესახებ, რომელიც „მეორე MO-ია“; მან ხთხოვა მას იგი (იხ. ქვემ., გვ. 217), აგრეთვე ებ'იან სახელობითის შესახებ (იხ. ქვემ., გვ. 221-222).

კლნა იგინი), მიცემითის — პირი (ხთხოვა მას, გთხოვა შენ, მთხოვა მე), ამისი კი — ოდენ რიცხვი (ხთხოვა მას იგი — ხთხოვნა მას იგინი; დაწვრილებით იხ. გვ. 161). ამგვარად, იგი — კოორდინატია, მაგრამ დიდი კი არა, არც მცირე, არამედ უმცირესი (coordinata minima).

დროთა მესამე ჯგუფში (იგი ხუთხოვეს მას მისდა) იგი დიდი კოორდინატია, მას — მცირე, მისდა — ოდენ მართული სახელი ანუ დამატება. თავისებურია აქ მხოლოდ უკანასკნელის არსებობა.

აწმყოს ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: ორივე MO მიცემითს ბრუნვაშია; მათგან ორივეს ზმნა მართავს ბრუნვაში; რაიცა შეეხება ზმნის მართვას პირში, ამის უნარი მხოლოდ ერთს აქვს, სახელდობრ, ბრუნვაუცვლელ MO-ს. იგი ხთხოვს მას მას; იგი გთხოვს შენ მას; იგი მთხოვს მე მას; ამისდა კვალად, ეს ბრუნვაუცვლელი MO ისეთივე კოორდინატია, როგორც იყო ბრუნვაუცვალეადი MO ერთობიექტიან ზმნებში: იგი ხთხოვს მას მას; იგი გთხოვს შენ მას; იგი მთხოვს მე მას; მან ხთხოვა მას იგი; მან გთხოვა შენ იგი; მან მთხოვა მე იგი. შდრ. იგი ხკლავს მას; იგი გკლავს შენ; იგი მკლავს მე; მან კლა იგი; მან გკლა შენ; მან მკლა მე. ბრუნვაუცვლელი MO მას ორობიექტიან ზმნებთან მცირე კოორდინატია, ისევე როგორც ერთობიექტიან ზმნებთან ბრუნვაუცვალეადი MO. როგორია სინტაქსური როლი მეორე, ბრუნვაუცვალეადი MO-ისა? იგი ხთხოვს მას მას — იგი ზმნის მიერ იმართვის, მაგრამ ზმნას ვერ მართავს, არც მისი პირი, არც რიცხვი, რამდენადაც საქმე აწმყოს ჯგუფს ეხება, ზმნაში არ აღინიშნება; იგი ოდენ მართული სახელია, ესე იგი, დ ა მ ა ტ ე ბ ა.

ამრიგად, ორობიექტიან გარდამავალ ზმნასთან აწმყოს ჯგუფში სახელები სინტაქსურად ასე განფასდებიან: აწმყოს ჯგუფში: დიდი კოორდინატი (MS იგი), მცირე კოორდინატი (ბრუნვაუცვლელი MO მას), დამატება ანუ მართული სახელი (ბრუნვაუცვალეადი MO მას); ნამყო ძირითადის ჯგუფში: დიდი კოორდინატი (MS მან), მცირე კოორდინატი (MO მას), უმცირესი კოორდინატი (მეორე MO — იგი). მესამე ჯგუფში: დიდი კოორდინატი (იგი MS), მცირე კოორდინატი (მას — MO), დამატება ანუ მართული სახელი (მისდა — მორფოლოგიურად აღნიშნული არ არის).

საინტერესოა, რომ ის სახელი, რომელიც ბრუნვაუცვალეად MO-ს წარმოადგენს, აწმყოს ჯგუფში ოდენ მართული სახელია, დამატებაა, მორფოლოგიურად აღუნიშნელი რჩება; ნამყო ძირითადის ჯგუფში — უმცირესი კოორდინატის უფლებები აქვს მოპოვებული, მორფოლოგიურად აღინიშნება (მეორე MO); მესამე ჯგუფში სინტაქსურად დიდი კოორდინატია, მორფოლოგიურად კი სუბიექტია და არა ობიექტი.

ბ რ უ ნ ვ ა უ ც ვ ლ ე ლ ი MO აწმყოს ჯგუფში მცირე კოორდინატია, რჩება იმავე მცირე კოორდინატად ნამყო ძირითადის ჯგუფში, მესამე ჯგუფში კი სინტაქსურად — ოდენ მართული სახელია, დამატებაა, მორფოლოგიურად აღუნიშვნელი რჩება; იხ., მაგალ., **შვილი ხთხოვს მამას წიგნს; შვილმან ხთხოვა მამას წიგნი; შვილს ხუთხოვიეს მამისდა წიგნი.**

თვალსაჩინოებისათვის მოგვყავს ერთ- და ორ-ობიექტიან რელატიურ-გარდამავალ-ზმნიანი წინადადება და მათში სახელთა სინტაქსური კვალიფიკაცია:

- | | |
|---------------------------------------|--|
| I. შვილი ხაოებს მამას: | შვილი — დიდი კოორდინატი; მამას — მცირე კოორდინატი; |
| შვილმან პოვა მამად: | შვილმან — დიდი კოორდინატი; მამად — დიდი კოორდინატი; |
| შვილს ხუბოვიეს მამად: | შვილს — მცირე კოორდინატი; მამად — დიდი კოორდინატი. |
| | |
| II. შვილი ხთხოვს მამას წიგნს: | შვილი — დიდი კოორდინატი; მამას — მცირე კოორდინატი; წიგნს — ოდენ მართული სახელი, დამატება. |
| შვილმან ხთხოვა მამას წიგნი: | შვილმან — დიდი კოორდინატი; მამას — მცირე კოორდინატი; წიგნი — უმცირესი კოორდინატი. |
| შვილს ხუთხოვიეს მამისდა წიგნი: | შვილს — მცირე კოორდინატი; მამისდა — ოდენ მართული სახელი, დამატება; წიგნი — დიდი კოორდინატი. |

94. რელატიურ-გარდამავალი ზმნის შემცველი მარტივი წინადადება ძველი ქართულისა აგებულია სახელებისა და ზმნის კოორდინაციაზე¹. **კოორდინაციად იწოდება ისეთი სინტაქსური ურთიერთობა, როდესაც სიტყვა, მართული რაშიმე მეორე სიტყვის მიერ, თვით მართავს რაშიმე ამ სიტყვას;** a-სიტყვა იმართვის b-სიტყვის მიერ და თვითონაც მართავს b-სიტყვას; b-სიტყვა მართავს a-სიტყვას და თვითონაც იმართვის მის მიერ.

¹ მართვის შესახებ არას ვამბობთ, არა იმიტომ, რომ მართვა, როგორც სინტაქსური ურთიერთობის სახეობა, გამორიცხული იყოს წინადადებიდან, — სხვა არა იყოს რა, სახელის მიერ მართული სახელი ყოველ ფეხის გადადგმაზე გვხვდება, მაგალ., ხ ი ს ს ა ხ ლ ი, — არამედ იმიტომ, რომ წინადადების ხერხემალს, ცენტრალურ მომენტს ზმნა და მასთან მორფოლოგიურად დაკავშირებული სახელები ქმნიან; ამათი სინტაქსური ურთიერთობა კი, თუ ზმნა რელატიურ-გარდამავალია, კოორდინაციაა.

ასეთი წინადადების სინტაქსური ნაწილებია: 1. **შემასმენელი** — მე-კოორდინაციე ზმნა; კოორდინაციის ძაფები მასში იყრის თავს; ამდენადვე იგია **კოორდინაციის ცენტრი**, **ძირითადი კოორდინატი** (იხ. აქვე, ქვემ.), 2. **დიდი კოორდინატი**, 3. **მცირე კოორდინატი**, 4. **უმცირესი კოორდინატი** (5. დამატება).

ს ა მ ი კ ო ო რ დ ი ნ ა ტ ი ს ა ხ ე ლ ი ა ; ზ მ ნ ა ც კ ო ო რ დ ი ნ ა ტ ი ა , რამდენადაც გარკვეულს კოორდინაციაშია სახელებთან და რამდენადაც მხედველობაში ვიღებთ ზმნის სინტაქსურ ურთიერთობას სახელებთან. სახელებიც კოორდინატებია, რამდენადაც თითოეული მათგანის ხვედრი სინტაქსური წონაა გამოსარკვევი ზ მ ნ ა ს თ ა ნ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი - ს ა და კ ო ო რ დ ი ნ ა ც ი ა შ ი მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა - რ ო ლ ის თ ვ ა ლ -საზრისით.

ზმნის როლი კოორდინაციაში ნათელია; ჩვენ დავახსიანეთ ის, როგორც **კოორდინაციის ცენტრი**; თუნდაც ის გარემოება, რომ წინადადებათა სამ ჯგუფად დაყოფას საფუძვლად ზმნათა სხვაობა უდევს, საკმარისად ნათელს ჰფენს მის როლს შესიტყვებაში. ამდენადვე, რელატიურ-ზმნებიან წინადადებებში ზმნა-შემასმენელი არის **ძირითადი კოორდინატი** (coordinata princeps); მაგრამ ჩვენ აქ სახელთა ურთიერთობას ვაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგანაც: 1. ზმნა ერთია, სახელი — ორი (და სამი); 2. ზმნის როლი ნათელია, სახელისა — ბუნდოვანი; ამიტომ კოორდინატების შესახებ როცა ვლაპარაკობთ, ვითვალისწინებთ სახელებსა და მათს შეფარდებითს სინტაქსურ ძალას.

დიდი კოორდინატი არის სახელი, რომელიც იმართვის ბრუნვაში შემასმენელ-ზმნის მიერ, მართავს ზმნა-შემასმენელს პირში და ითანხმებს ორივე რიცხვში; გადმოიციემა ძველს ქართულში მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი და ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბრუნვით (ერთობიექტიან გარდამავალ ზმნასთან).

მცირე კოორდინატი არის სახელი, რომელიც იმართვის ბრუნვაში შემასმენელ-ზმნის მიერ, მართავს ზმნა-შემასმენელს პირში, მაგრამ ვერ ითანხმებს (მრავლობითს) რიცხვში; გადმოიციემა მ ი ც ე მ ი თ ი ბრუნვით.

უმცირესი კოორდინატი არის სახელი, რომელიც იმართვის ბრუნვაში შემასმენელ-ზმნის მიერ, ითანხმებს ზმნას რიცხვში, მაგრამ ვერ მართავს პირში; გადმოიციემა ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბრუნვით (ორობიექტიან ზმნასთან).

კოორდინატი-სახელი ქართულში არ შეიძლება იყოს სამზე მეტი, რადგანაც ზმნამ შეიძლება აღნიშნოს ან რიცხვი, ან პირი სახელისა, ან ერთიცა და მეორეც. სხვა შესაძლებლობა ამ თავითვე გამორიცხულია.

დ ა მ ა ტ ე ბ ა -ცნების განსაზღვრება იხ. ზემოთ, გვ. 119.

ერთსა და იმავე წინადადებაში შეიძლება იყოს ორი კოორდინატი, ორივე დიდი (**მან კლა იგი**). ერთ (არა შეერთებულს) მარტივ წინადადე-

ბაში შეუძლებელია იყოს ორი ქვემდებარე; ქართულის ამგვარ წინადადებაში კი შესაძლებელია და ჩვეულებრივია ორი დიდი კოორდინატი, ორი ერთნაირი სინტაქსური ოდენობა-სახელი სწორედ იმიტომ, რომ ეს **კოორდინატებია** (და არა ქვემდებარე თუ დამატება).

ბ) რელატიურ-გარდაუვალ-ზმნიანი წინადადება

ეს ტიპი — გამარტივებული სახეა წინა, ჩვენ მიერ უკვე განხილული ტიპისა; სინტაქსური მექანიზმის თვალსაზრისით ახალს ის არაფერს იძლევა; იგივე საფუძველი — კოორდინაცია, იგივე ცნებები — კოორდინატები; მაგალ.: **იგი ზუღვას მას; იგი ზუკულების მას; იგი ხვევდრების მას... იგი მოხუკუდა მას; იგი ხვევდრა მას...** ზმნა აქაც მართავს სახელთა ბრუნვებს: არ შეიძლება: **მან ზუღვას იგი** ან: **მის ზუკულების იგი...** ან: **მან ხვევდრების მის...** სახელთა პირები წარმოდგენილია ზმნაში: **იგი ზუღვას მას... იგი ხვევდრების მას...** სახელის პირთა ცვლა ზმნაში ყოველთვის აღინიშნება; სახელები მართავენ ზმნას პირში, — სახელები **იგი, მას** იმართვიან ზმნის მიერ ბრუნვაში და მართავენ ზმნას პირში, ესე იგი, არიან **კოორდინატები**. ერთი კოორდინატი სახელობით ბრუნვაშია, მეორე — მიცემითში; ერთი — დიდი კოორდინატი (**იგი**), მეორე — მცირე (**მას**). ის, რაც აწმყოს და მისი ჯგუფის შესახებ ითქვა, ვრცელდება ნამყო ძირითადის ჯგუფზედაც.

ამგვარად, ამ ტიპის წინადადების სახელთა სინტაქსური კვალიფიკაცია ასე წარმოიდგინება:

შვილი ზუკულების მამას... შვილი მოხუკუდა მამას... შვილი — დიდი კოორდინატი, მამას — მცირე კოორდინატი.

ასეთივეა სინტაქსური მექანიზმი იმ წინადადებათა, რომელთაც რელატიურ-გარდამავალ ზმნათა მესამე ჯგუფის ერთ-ერთი ფორმა აქვს შემასმენლად: **იგი ზუკლავს მას, იგი ხეკლა მას, იგი ხეკლას მას: იგი — დიდი კოორდინატი, მას — მცირე კოორდინატი.**

დასკვნა: რელატიურ-გარდაუვალი ზმნის შემცველი წინადადება ძველი ქართულისა აგებულია აგრეთვე კოორდინაციაზე. მისი სინტაქსური ნაწილებია¹: 1. მეკოორდინაციე ზმნა; 2. დიდი კოორდი-

¹ აქაც ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ წინადადებაშიც შეიძლება იყოს აქ ნაჩვენებ ნაწილთა გარდა სხვებიც: განსაზღვრება, დამატება, გარემოება. ჩვენ ვაწარმოებთ წინადადების გულის, მისი ძირითადი მექანიზმის ანალიზს, ამდენადვე მხედველობაში გვაქვს ზმნა და მასთან მორფოლოგიურად დაკავშირებული სახელები

ნ ა ტ ი და 3. მ ც ი რ ე კ ო ო რ დ ი ნ ა ტ ი . დიდი კოორდინატი მხოლოდ სახელობითი ბრუნვით გადმოიცემა, მცირე კი — მიცემით. ყოველივე ამისგან ნათლად ჩანს, რომ რელატიურ-გარდაუვალ-ზმნიანი წინადადების **სინტაქსური სტრუქტურა** სრულებით ისეთივეა, როგორცაა რელატიურ-გარდამავალ-ზმნიანი წინადადებისა, როდესაც ამ უკანასკნელის ზმნა ერთობიექტიანია და აწმყოს ჯგუფშია წარმოდგენილი: **იგი ხუკულების მას, იგი ხევედრების მას — იგი ხკლავს მას, იგი ხპოებს მას.**

C. აბსოლუტურ-გარდაუვალ-ზმნიანი წინადადება

95. იგი დგას; იგი კულების... იგი მოკუდა... იგი მომკუდარ არს... ასეთია ამ ტიპის წინადადებები. პირველი, რაც თვალში გვეცემა ასეთი ტიპის განხილვისას, არის სიმარტივე შედგენილობის მხრივ: მხოლოდ ერთი სახელია ზმნასთან დაკავშირებული მოროლოგიურად. ამ სახელის ბრუნვა არ არის დამოკიდებული ზმნაზე¹, იგი ყოველთვის სახელიობითია, დრო-კილოთა რომელი ჯგუფიც არ უნდა ავიღოთ. სახელი კი მართავს ზმნის პირს: **იგი დგას, შენ ხდგა, მე ვდგა... იგი კულების, შენ ხკულები, მე ვკულები...** სახელივე ითანხმებს ზმნას რიცხვში: **იგი დგას — იგინი დგანან, შენ ხდგა — თქუნენ ხდგათ; მე ვდგა — ჩვენ ვდგათ...**

ამრიგად, თუ სახელისა და ზმნის სინტაქსურ ურთიერთობას განვიხილავთ, თანმიმდევრული იქნება შემდეგი დასკვნის გაკეთება: ზმნის პირი და რიცხვი დამოკიდებულია სახელზე; სახელი მართავს ზმნას პირში და ითანხმებს რიცხვში, ზმნა კი მართავს სახელის ბრუნვას. ერთი სიტყვით, კოორდინაცია კი არ არის, არამედ ჩვეულებრივი მართვა-შეთანხმებაა. მმართველი სახელი სახელობით ბრუნვაში არის დომინანტი, მართული სიტყვა, ზმნა, არის დეპენდენტი. სახელობითი ბრუნვა სახელისა მართავს ზმნას და თვით კი არც ერთი სიტყვის მიერ არ იმართვის. ეს სახელი, ცხადია, ქვემდებარეა (განსაზღვრება იხ. გვ. 119).

აბსოლუტურ-ზმნიანი წინადადება იძლევა არა კოორდინაციასა და კოორდინატებს, არამედ შემასმენელსა და ქვემდებარეს, მართვის საფუძ-

¹ რაკი სხვა ტიპის ზმნები, — რელატიურ-გარდაუვალიცა და რელატიურ-გარდამავალიც — მართვენ სახელის ბრუნვას, აბსოლუტურ ზმნაში შეიძლებოდა დაგვენახა მართვის ნოლ-საფეხური. მაგრამ ამ ნოლ-საფეხურის მართვას უპირისპირდება სახელის მიერ ზმნის სრულიად გარკვეული მართვა პირში და შეთანხმება რიცხვში. ასე რომ ამ „ნოლ-მართვას“ მნიშვნელობა არ აქვს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ სახელობითი ბრუნვა მართო ამ ტიპის ზმნებისათვის კი არ არის განკუთვნილი, არამედ — სხვებისთვისაც (რელატიურ-გარდაუვ., რელატიურ-გარდამავ.).

ველზე დაკავშირებულს ურთიერთთან. ძველი ქართულის აბსოლუტურ-ზმნიან წინადადებაში მოცემულია წინადადების ის ტიპი, რომელიც ჩვეულებრივია რუსულისა და სხვა ინდო-ევროპული ენებისათვის.

აბსოლუტურ-ზმნიანი წინადადების ძირითად ნაწილთა სინტაქსური კვალიფიკაცია ასეთია:

იგი დგას, იგი კულების... იგი მოკუდა... იგი მომკუდარ არს... MS იგი — არის მმართველი, დომინანტი სახელი, — ქვემდებარე; დგას; კულების; მოკუდა; მომკუდარ არს — შემასმენელი, — მართული ზმნა (და არა მეკოორდინაცია).

96. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი რამ. სამივე ტიპის წინადადებათა განხილვისას ჩვენ ვამბობთ, რომ MS-ის მრავლობითობა ზმნაში ყოველთვის აღნიშნულია, იქნება ზმნა რელატიურ-გარდამავალი, რელატიურ-გარდაუვალი თუ აბსოლუტური; ეს წესი ირღვევა, თუ სახელობითი ბრუნვა მრავლობითის რიცხვისა ძველ ქართულში **ებ**'ით არის ნაწარმოები. ჩვეულებრივად ასეთი მრავლობითი ზმნის ფორმას ვერ ითანხმებს რიცხვში: **გამოკლა სულები იგი არაწმიდები და შეკდა ღორებსა** (ადიშ. 73a2; სხვა მაგალითები იხ. გვ. 207-209); მაგრამ ასეთ მოვლენას მართო მაშინ კი არა აქვს ადგილი, თუ **ებ**'იანი სახელობითი MS-ია; MO-იც, თუ **ებ**'იანი სახელობითით არის გადმოცემული, ზმნას რიცხვში ვერ ითანხმებს: **და ტაბლები იგი მეკერმეთა მათ დაამკუა** (ო თ ხ თ ა ვ ი , 119; სხვა მაგალითები იხ. გვ. 204-207); **ტაბლანი** რომ ყოფილიყო, იქნებოდა **დაამკუნა: ტაბლანი იგი მეკერმეთანი დაამკუნა**. -ებ'იან მრავლობითს სინტაქსურად ისეთივე ძალა აქვს, როგორც მხოლოდითის სახელობითს; ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ჩვენს მაგალითში შესიტყვება: **ტაბლები მეკერმეთა**, თითქოს ჩვენს წინ მხოლოდობითის სახელობითი იყოს: **ტაბლა მეკერმეთა... (შდრ. ტაბლანი მეკერმეთანი...)**.

-ებ'იანი სახელობითი ვერ ითანხმებს ზმნას რიცხვში, სულ ერთია, იქნება ეს სახელობითი MS თუ MO. ეს კი სინტაქსურად ნიშნავს: **კოორდინატი, გადმოცემული ებ'იანი სახელობითით, იქნება მცირე კოორდინატი** (იმისდა მიუხედავად, იქნება იგი MS-ის თუ MO-ის შესატყვისი), **თუ დიდი უნდა ყოფილიყო, და დამატება** (ოდენ მართული სახელი), **თუ უმცირესი უნდა ყოფილიყო** (მცირე და უმცირესი კოორდინატის განსაზღვრება, იხ. გვ. 219).

რაც შეეხება აბსოლუტურ ზმნებთან ნახმარ **ებ**'იან სახელობითს (**გამოკლა სულები**), აქ **სულები** მაინც რჩება მთავარ მმართველ სახელად ანუ ქვემდებარედ, რადგანაც: 1. ზმნა მხოლოდ ამ სახელზეა დამოკიდებული და 2. სახელი მაინც მართავს აქ ზმნის პირს; ეს კი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სახელზე ზმნის დამოკიდებულების საკითხისათვის. ამგვარ-

რად: **ქვემდებარე, გადმოცემული -ებ'იანი სახელობითი, რჩება მაინც ქვემდებარედ ანუ მმართველ სახელად**, თუმცა მას იმდენი სინტაქსური ძალა არა აქვს, რამდენადიც ნ'იან სახელობითს.

სინტაქსური მექანიზმის ანალიზი შეიძლება ამით დამთავრებულად ჩავთვალოთ. ჩვენი მიზანი იყო გამოგვეჩვენა, რა შინაარსი აქვს ცნებებს **ქვემდებარე, დამატება** ძველს ქართულში. გამოიჩვენა, რომ ქვემდებარე იმ გაგებით, რომელიც ბუნებრივია ინდო-ევროპულ ენათათვის, ქვემდებარე, როგორც **ზ მ ნ ის მ მ ა რ თ ე ე ლ ი ს ა ხ ე ლ ი**, ქართულშიც მოიპოვება (თუ შემასმენლის როლში აბსოლუტური ზმნა გამოდის). მოიპოვება დამატებაც, როგორც **ზ მ ნ ის მ ი ე რ მ ა რ თ უ ლ ი ს ა ხ ე ლ ი**, ზმნის მიმართ საპასუხო პრეტენზიებს მოკლებული; გარდა ამისა, ჩვეულებრივია დამატება, როგორც სახელი, მართული სახელის მიერ.

მაგრამ არც ქვემდებარე, არც ასეთი დამატება ძველი ქართული სინტაქსურ სტრუქტურაში თვალსაჩინო როლს არ თამაშობს. მეტი კიდევ: ქართული წინადადების ბუნება მთელის თავისებურებით ამათ გარეშე იშლება. ქართული ზმნა — ქართული ზმნა აღარ იქნებოდა, თუ მასში მხოლოდ აბსოლუტური სახეობის ზმნებს დავტოვებდით და რელატიურ (გარდაუვალ და გარდამავალ) სახეობას უგულვებელყოფდით. აგრეთვე: ქართული წინადადების სინტაქსური რაობა ამოუცნობი დარჩება იმისთვის, ვინც მოიწადინებს მისი სინტაქსური ბუნების გარკვევას აბსოლუტური სახეობის ზმნებიან წინადადებათა მიხედვით. რელატიურ-ზმნებიანი წინადადებებია სპეციფიკური და მასთან ძირითადი ქართულისათვის. და აქ კი ჩვენს თვალწინ იშლება ძალზე თავისებური სინამდვილე: მართვის ადგილს იჭერს კოორდინაცია, შემასმენლისას — მეკოორდინაციე ზმნა, ძირითადი კოორდინატი; ქვემდებარისა და დამატების მაგიერაც კოორდინატებია, — კოორდინატი დიდი, კოორდინატი მცირე და უმცირესი. ხდება ხოლმე, რომ ერთს წინადადებაში ადგილი აქვს ორ დიდ კოორდინატს (**მან კლა იგი**); ორს მცირეს (**აქუნდა მას რტოები**); დიდს, მცირეს და უმცირესს (**მან ხოხოვა მას იგი**); ხდება ისიც, რომ აწმყოს ჯგუფში მცირე კოორდინატი (**იგი ხკლავს მას**) ნამყო ძირითადის ჯგუფში დიდ კოორდინატად იქცევა (**მან კლა იგი**)...

გვეტყვიან: სადღაა რელატიურ-ზმნებიან წინადადებებში **ქვემდებარე**, დამატება (შემასმენელი)? როგორ შეიძლება **იყოს წინადადება** და არ ჰქონდეს **ქვემდებარე**?

ასეთი კითხვის დასმა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც სინტაქსურ ცნებათა განსაზღვრისას იქიდან გამოდის, **რა** აღინიშნება და მის მიხედვით განსაზღვრავს იმას, თუ **როგორ** აღინიშნება; ასეთი კითხვის დასმა შეუძლია ფსიქოლოგიზმისა ან ლოგიციზმის დამცველს, საერთოდ „ტრანსცენდენტისტს“, და არა მას, ვინც მეტყველების სტრუქტურას მისთვის იმანენტური საზომით ზომავს. „როგორ შეიძლება იყოს წინადადება და არ იყოს ქვემდებარე“? ეს ნიშნავს: როგორ შეიძლება იყოს ზედა ტანისამოსი მამაკაცისა და არ იყოს „პიჯაკი“? დიახ, ტანსზევით სამოსი უთუოდ ზედა ტანსა და ხელებზე წამოიცმის, მაგრამ ამის გამო იგი პიჯაკი ვერ გახდება: ხალათიც, ჩაქურაც — აკი ტანსზევითი სამოსია; არ მოიქცევა მიზანშეწონილად ტანისამოსთა შესწავლისას ის ეთნოგრაფი (თუ სხვა, ვინც არ იყოს), თუ ტანისამოსის აღწერისას იქიდან კი არ გამოვა, **როგორია** ეს სამოსი, არამედ იქიდან, სხეულის **რა** ნაწილზეა იგი წამოცმული, უდავოა, რომ იგი ძალზე გაამარტივებს ამოცანას, მაგრამ ასეთი გაამარტივება რეალობაში არსებული ურთიერთობის დამახინჯება იქნებოდა.

რთულია ქართული წინადადება, რთულია და თავისებური სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობა მასში. მკვლევარი ვალდებულია გამოავლინოს ეს სირთულე, გაარკვიოს თავისებურება, და არა მიჩქმალოს სირთულე, უგულვებელყოს თავისებურებანი. **წინადადება — აგებული კოორდინაციაზე, ზმნა — კოორდინაციის ცენტრი, სახელები — კოორდინატები, — ეს არის ის თავისებური სინტაქსური ცნებები, რომლებიც შეაქვს ზოგადი ენათმეცნიერების საგანძურში (ძველს) ქართულს.** ამაშია დიდი პრინციპული მნიშვნელობა მარტივი წინადადების სინტაქსისა ძველს ქართულში.

დასასრულ, გვინდა წარმოვადგინოთ იმ ცნებების განსაზღვრება, რომლის ძიებითაც დავიწყეთ ეს ნარკვევი; ეს ცნება წინადადებაა; ქართულისათვის იგი ასე შეიძლება განისაზღვროს: **წინადადება არის შესიტყვება აგებული ზმნისა და სახელისაგან კოორდინაციისა და მართვის საფუძველზე.**

სრულ წინადადებაში უნდა იყოს ზმნა და მასთან მორფოლოგიურად დაკავშირებული სახელები: **შვილი ხთხოვს მამას წიგნს**; მაგრამ, ვთქვათ, გვაქვს: **მამას ხთხოვს**: ძირითადი და მცირე კოორდინატი. რუსული სათანადო შესიტყვება *просит отца* წინადადების ეკვივალენტი იქნებოდა: გვაკლია მთავარი მმართველი, დომინანტი სახელი (იხ. ზემ., გვ. 123); ქართულში კი შესიტყვება **მამას ხთხოვს** სინტაქსურად არაფრით განირჩევა შესიტყვებისაგან: **შვილი ხთხოვს...** ძირითადის გარდა აქაც ერთი

კოორდინატია, მართალია, დიდი კოორდინატი, მაგრამ მაინც კოორდინატი. ან ეს შესიტყვებაც წინადადების ეკვივალენცია, ანდა, თუ ამას წინადადების უფლებას მივანიჭებთ, მეორე შესიტყვებაც (**მამას ხოხოვს**) წინადადებად უნდა მივიჩნიოთ. ჩვენ უფრო ვემხრობით ამ უკანასკნელს შესაძლებლობას: ერთსაც და მეორესაც მოეპოვება საკმაო ოდენობით ის თვისება, რომელიც წინადადების რაობისათვის ქართულში არის არსებითი: სახელი და ზმნა შედგენილობის მიხედვით, კოორდინაცია — მექანიზმის მიხედვით.

ძირითადი სახეობის ქართული შესიტყვებანი გავანალიზებთ სინტაქსური თვალსაზრისით; მივიღებთ რთული და ძალზე თავისებური სურათი, ჩვეულებრივისაგან განსხვავებული ცნებები. აღწერითი ანალიზის საქმე აქ თავდება.

რა ფუნქციები აქვს ძირითადს, დიდს, მცირესა და უმცირეს კოორდინატს, დამატებასა და ქვემდებარეს? როგორ შეიქმნა ქართული შესიტყვების ქვაკუთხედის, ზმნის, ის უცნაური ბუნება, რომ აწმყოში MS მუდამ სახელობითშია, MO — მიცემითში, ნამყო ძირითადში კი MS — მოთხრობითში, MO — სახელობითში, ე. ი. რატომ არის შვილი ხოხოვს მამას, მაგრამ: შვილმან პოვა მამად; ესაა საკითხთა-საკითხი ქართული სინტაქსისა და ქართული ენობრივი აზროვნებისა. ჩვენ შევცდებით ცალკე გავსცეთ მას პასუხი.

ტ ა ბ უ ლ ე ბ ი

მარტივ წინადადებათა სინტაქსური მექანიზმისა

ტაბულა I: ზმნა და კოორდინატები (საერთოდ, სინტაქსური ცნებები)

I. ზმნა აბსოლუტურ-გარდაუვალია: იგი დგას, იგი კუდების...

1. წინადადება აგებულია მართვის საფუძველზე (გვაქვს ქვემდებარე, შემასმენელი; არა გვაქვს დამატება).
2. შემასმენელი არის ზმნა, რომელსაც სახელი მართავს პირში და ითანხმებს რიცხვში: დგას, კუდების...
3. ქვემდებარე არის მთავარი მმართველი, დომინანტი სახელი: იგი.

II. ზმნა რელატიურ-გარდაუვალია: იგი **ხუდას მას**, იგი **ხვედრების მას**, იგი **ხუკულების მას...**

1. წინადადება აგებულია კოორდინაციის საფუძველზე; ზმნა და მასთან მორფოლოგიურად დაკავშირებული სახელები — **კოორდინატებია**.
2. შემასმენელი არის მეკოორდინაციე ზმნა, **ძირითადი კოორდინატი: ხუდას, ხვედრების, ხუკულების...**
3. **დიდი კოორდინატი** არის სახელი **სახელობითს** ბრუნვაში: (იგი: იგი ხუდას მას)...
4. **მცირე კოორდინატი** არის სახელი **მიცემითს** ბრუნვაში მას: იგი ხუდას მას...

III. ზმნა რელატიურ-გარდამავალია: ა) **ორსახელიანი:** იგი **ხკლავს მას...** ბ) **სამსახელიანი:** იგი **ხთხოვს მას მას...**

1. ორსავე შემთხვევაში წინადადება აგებულია **კოორდინაციაზე**.
2. ორსავე შემთხვევაში შემასმენელი არის მეკოორდინაციე ზმნა, **ძირითადი კოორდინატი**.

ა) **ორსახელიანი:** ა) თუ ზმნა აწმყოს ჯგუფისაა: **დიდი კოორდინატი** არის სახელი **სახელობითს** ბრუნვაში: იგი: **იგი ხკლავს მას; მცირე კოორდინატი** არის სახელი **მიცემითს** ბრუნვაში: მას: **იგი ხკლავს მას**.

ბ) თუ ზმნა ნამყო ძირითადის ჯგუფისაა: **დიდი კოორდინატებია** სახელები **მოთხრობითსა** და **სახელობითში: მან**, იგი: **მან კლა იგი; მცირე კოორდინატი** აქ არა გვაქვს¹.

გ) თუ ზმნა დრო-კილოთა მესამე ჯგუფისაა, მდგომარეობა ისეთივეა, როგორც რელატიურ-გარდაუვალ ზმნებთან (იხ. აქვე: II).

ბ) **სამსახელიანი:** ა) თუ ზმნა აწმყოს ჯგუფისაა: **დიდი კოორდინატი** არის სახელი **სახელობით** ბრუნვაში: იგი: **იგი ხთხოვს მას მას; მცირე კოორდინატი** არის სახელი **მიცემითს** ბრუნვაში: მას — ბრუნვაუცვლელი MO: **იგი ხთხოვს მას მას. დამატება** ანუ მართული სახელი არის სახელი მიცემითს ბრუნვაში (მას: მეორე ბრუნვაცვალეზადი MO: **იგი ხთხოვს მას მას**).

ბ) თუ ზმნა **ნამყო ძირითადის** ჯგუფისაა, **დიდი კოორდინატი** არის სახელი **მოთხრობითს** ბრუნვაში: **მან ხთხოვა მას იგი... მცირე კოორდინატი** არის სახელი **მიცემითს** ბრუნვაში (ბრუნვაუცვლელი MO). **მან ხთხოვა მას იგი. უმცირესი კოორდინატი** არის სახელი **სახელობითს** ბრუნვაში (მეორე ბრუნვაცვალეზადი MO: **მან**

¹ ებ'იანი სახელობითი ამავე პირობებში მცირე კოორდინატი იქნება.

ხთხოვა მას იგი)¹.

- გ) თუ ზმნა დრო-კილოთა მესამე ჯგუფისაა, მდგომარეობა ისეთივეა, როგორც რელატიურ-გარდაუვალ ზმნებში (იხ. ზემოთ), ოღონდ შეიძლება გვქონდეს მართული სახელი, დამატება: **ხუთხოვის მას იგი მისდა...**

ტაბულა II: MS, MO და შესატყვისი სინტაქსური ცნებები

MS: ა) სახელობითს ბრუნვაში:

1. **ქვემდებარეა** ანუ მთავარი მმართველი, **დომინანტი** სახელი, თუ **ზმნა აბსოლუტურია: იგი დგას, იგი კუდების...**
2. **დიდი კოორდინატია**, თუ ზმნა **რელატიურია** (გარდაუვალი ან გარდამავალი): **იგი ხუკუდების; იგი ხკლავს; იგი ხუკლავს.**
3. **მცირე კოორდინატია** თუ ებ'იან მრავლობითს წარმოდგენს და გვხვდება რელატიურ ზმნებთან: (**რავდენთა აქუნდა უძღურები იგი... ა დ ი შ. 111 ბ₁**).

- ბ) **მოთხრობითს ბრუნვაში — დიდი კოორდინატია** ყოველთვის: **მან კლა იგი...** გვხვდება რელატიურ-გარდამავალ ზმნებთან დრო-კილოთა მეორე ჯგუფში.

MO: ა) სახელობითს ბრუნვაში:

1. **დიდი კოორდინატია მან კლა იგი...** გვხვდება რელატიურ-გარდამავალ ზმნათა მეორე ჯგუფში.
2. **მცირე კოორდინატია**, თუ ებ'იან მრავლობითს წარმოდგენს და გვხვდება ერთობიექტიან რელატიურ-გარდამავალ ზმნებთან: (**და-ისწავლა მან წიგნები... კ ი მ. 161₁₇**).
3. **უმცირესი კოორდინატია**, თუ ბრუნვაცვალეზად MO წარმოდგენს ორობიექტიან რელატიურ-გარდამავალ ზმნებთან დროთა მეორე ჯგუფში: **მან ხთხოვა მას იგი.**
4. **დამატება**, თუ ებ'ით არის ნაწარმოები და **ბრუნვაცვალეზად** მეორე MO წარმოდგენს: **მან ხთხოვა მას წიგნები.**

ბ) **მიცემითს ბრუნვაში:**

1. **მცირე კოორდინატია**, თუ: ბრუნვაუცვლელი MO: **იგი ხთხოვს მას მას — მან ხთხოვა მას იგი; იგი ხვეედრების მას — იგი ხვეედრა მას...** ან: თუ ბრუნვაცვალეზადი MO, მაგრამ მის გარდა სხვა MO არ არის: **იგი ხკლავს მას.**

¹-ებ'იანი სახელობითი ამავე პირობებში დამატება იქნება.

2. დამატებაა, ესე იგი, ოდენ მართული სახელია, თუ ბრუნვაცვალებადი მეორე MO: იგი ხთხოვს მას მას.

ტაბულა III: ბრუნვები და მათ მიერ გამოცემული სინტაქსური ცნებები

სახელობითი ბრუნვა:

1. მთავარი მმართველი, დომინანტი სახელია ანუ **ქვემდებარე**, თუ ზმნა აბსოლუტურია: იგი დგას, კუდების.
2. **დიდი კოორდინატია**, თუ ზმნა რელატიურია (გარდაუვალი თუ გარდამავალი): იგი ხუკუდების მას, იგი ხკლავს მას.
3. **მცირე კოორდინატია**, თუ ებ'იან მრავლობითს წარმოადგენს და გვხვდება რელატიურ ზმნასთან: აქუნდა მათ რტოები...
4. **უმცირესი კოორდინატია**, თუ რელატიურ-გარდამავალ ზმნებთან გვხვდება და ბრუნვაცვალებადი მეორე MO არის: მან ხთხოვა მას იგი.
5. **დამატებაა**, თუ ებ'ითაა ნაწარმოები და ბრუნვაცვალებად მეორე MO-ს წარმოადგენს: მან ხთხოვა მას წიგნები.

მოთხრობითი ბრუნვა:

1. **დიდი კოორდინატია** (ყოველთვის).

3. მიცემითი ბრუნვა:

1. **მცირე კოორდინატია**: ა) რელატიურ-გარდაუვალ ზმნებთან; იგი ხუკუდების მას; ბ) რელატიურ-გარდამავალ ზმნებთან, თუ მის გარდა სხვა MO არ არის; იგი ხკლავს მას; გ) რელატიურ-გარდამავალ ზმნებთან, თუ ბრუნვაუცვლელი MO და მის გარდა სხვა MO-ც არის, ბრუნვაცვალებადი: მან ხთხოვა მას იგი.
2. **მართული სახელია** ანუ **დამატება**, თუ ბრუნვაცვალებად MO-ს წარმოადგენს და მის გარდა ბრუნვაუცვლელი MO-ც არის მიცემითს ბრუნვაში: იგი ხთხოვს მას მას.

ტაბულა IV: სინტაქსური ცნებები და ბრუნვები, რომლებშიაც ისინი გამოიყენებიან

1. **ქვემდებარე**: ანუ მთავარი მმართველი სახელი — მხოლოდ **სახელობით** ბრუნვაშია (გვხვდება **აბსოლუტურ** ზმნებთან): იგი დგას, კუდების.
2. **დიდი კოორდინატია**: 1. **სახელობითს** ბრუნვაშია: ა) რელატიურ-გარდაუვალ ზმნებთან ყველა დროში: იგი ხუკუდების მას... ბ) რე-

ლატიურ-გარდამავალ ზმნებთან დროთა სამსავე ჯგუფში, **იგი ხკლავს მას; მან კლა იგი; მას ხუკლავს იგი.**

2. **მოთხრობითს** ბრუნვაშია რელატიურ-გარდამავალ ზმნათა მეორე ჯგუფის დრო-კილოში: **მან კლა იგი, მან ხთხოვა მას იგი.**

3. მცირე კოორდინატი:

1. **მიცემითს ბრუნვაშია:** ა) თუ მხოლოდ ეს ერთი მიცემითია: რელატიურ-გარდაუვალ ზმნებთან: **იგი ხუკულებს მას;** რელატიურ-გარდამავალ ზმნებთან: **იგი ხკლავს მას.**

ბ) თუ არის მეორე MO-ც, მაგრამ სახელობითს ბრუნვაში: **მან ხთხოვა მას იგი.**

2. **სახელობითს ბრუნვაშია**, თუ **ებ**თან მრავლობითთან გვაქვს საქმე რელატიურ ზმნებთან (იქნება ეს სახელობითი MS თუ MO): **აქუნდა მათ რტოები; დაწერა მან წიგნები.**


4. უმცირესი კოორდინატი.

1. **სახელობით ბრუნვაშია**, თუ იგი არის ბრუნვაცვალებადი მეორე MO: **მან ხთხოვა მას იგი.**

5. დამატება ანუ ოდენ მართული სახელი:

1. **მიცემითს ბრუნვაშია** აწმყოს ჯგუფში ორ MO-იან ზმნასთან (ბრუნვაცვალებადი მეორე MO): **იგი ხთხოვს მას წიგნს.**

2. **სახელობით ბრუნვაშია** ნამყო ძირითადის ჯგუფში ორ MO-იან ზმნასთან, თუ ბრუნვაცვალებადი მეორე MO არის **ებ**ით ნაწარმოები: **მან ხთხოვა მას წიგნები.**



დასკვნითი დებულებანი

1. წინადადებისა და მის ნაწილთა განსაზღვრების საკითხში ძირითადია სამი მიმართულება: ლოგიკისტური, ფსიქოლოგისტური და ფორმალისტური (ენობრივ-გრამატიკული).

2. ლოგიკიზმი და ფსიქოლოგიზმი შეიძლება იქნენ დახასიათებული, როგორც მეთოდოლოგიური ტრანსცენდენტიზმი, ვინაიდან ორივესთვის საერთოა ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპი (ენობრივი ფაქტი აღწერილ იქნეს იმ ლოგიკურ თუ ფსიქოლოგიურ კატეგორიაზე დაყრდნობით, რომელიც მასში პოულობს გამოხატულებას), და ვინაიდან, ამისდა კვალად, ენობრივ მოვლენათა აღწერისას ლოგიკიზმიცა და ფსიქოლოგიზმიც მოიხმარს სხვა სინამდვილეში მოპოვებულს საზომს.

3. ენობრივ მოვლენათა აღწერისას მეთოდოლოგიური ტრანსცენდენტიზმის გამოყენება შედეგიანი მაშინ იქნებოდა, რომ არსებობდეს სრული პარალელიზმი ლოგიკური თუ ფსიქოლოგიური კატეგორიებისა, ერთის მხრით, და ენობრივი კატეგორიებისა, მეორე მხრით, — ისიც ყველა ენაში; მხოლოდ ასეთ პირობებში იქნებოდა შესაძლებელი იმაზე დაყრდნობით, **რა** აღინიშნება, შეგვესწავლა (აგვეწერა)ის, **რითაც** აღინიშნება. მაგრამ ასეთ **პარალელიზმს** არა აქვს ადგილი არა თუ ყველა ენაში, არამედ არც ერთს ენაში; ამიტომაც:

a) მეთოდოლოგიური ტრანსცენდენტიზმის თვალსაზრისით ენობრივ მოვლენათა აღწერისას სრულიად მიიჩმალება ის, რაც სპეციფიკური ანუ ამ ა თუ იმ ენისათვის: ფუნქციებისადმი (**რა**'სადმი) აპელაციით ნიველირდება თავისებურება, რადგანაც ფუნქციათა მიხედვით ენათა შორის არ არსებობს ის სხვაობა, რომელიც სხვადასხვა ენათა სტრუქტურას ახასიათებს;

b) ენობრივ მოვლენათა აღწერისას ფუნქციებისადმი აპელაცია — ერთი ენის ფარგლებშიც — აერთიანებს ენობრივად სხვადასხვაგვარს (მაგალ., შესიტყვებაც და ცალკე სიტყვაც, უკანასკნელთა შორის ფორმიანაცა და უფორმოც, ნაწილაკიც კი, შეიძლება აღმოჩნდეს წინადადება) და თითოეულს და სხვადასხვა კატეგორიებში ათავსებს ენობრივად ერთგვარს (მაგალითი: რიცხვითი სახელის ცალკე მეტყველების ნაწილად მიჩნევა ქართულში).

4. ტრანსცენდენტიზმის ცალკე სახეობათა შესახებ შემდეგი უნდა ითქვას:

a) **ლოგიციზმის** ერთი სახეობა, — პრიმიტიული, — საერთოდ ვერ არჩევს ენობრივსა და აზროვნებითს-ლოგიკურს მომენტებს; მხოლოდ ამიტომ შეიძლება წინადადების განსაზღვრისას უახლოეს გვარად (**genus proximum**-ად) წინადადება-ცნებისათვის წამოყენებულ იქნეს აზრი-ცნება („წინადადება არის აზრი“...), თითქოს წინადადება იყოს აზრის ერთ-ერთი სახეობა; ამიტომვე არის შესაძლებელი ქვემდებარე და შემასმენელი ისევე იქნეს განსაზღვრული, როგორც ფორმალური ლოგიკა საზღვრავს სუბიექტსა და პრედიკატს, ლოგიციზმის ეს სახეობა გრამატიკაში (სინტაქსში) არის პირმო შეილი და მემკვიდრე გრამატიკისა ლოგიკაში; მისი წყაროა აზროვნებითისა და მეტყველებითი მომენტების გაუდიფერენცირება.

b) **ლოგიციზმის** მეორე სახეობაა, — დამუშავებული, — ასეთ აღრევას თავს აღწევს. იგი მხოლოდ ცდილობს წინადადების განსაზღვრება დაამყაროს მსჯელობისაზე, ქვემდებარე-შემასმენლისა კი — სუბიექტ-პრედიკატისაზე. მაგრამ წინადადებისა და ქვემდებარე-შემასმენლის ასე განსაზღვრა მაშინდა იქნება შესაძლებელი, თუ ყოველი წინადადება არის მსჯელობის გამოხატულება, თუ ყოველი ქვემდებარე სუბიექტს შეესატყვისება, ყოველი შემასმენელი — პრედიკატს. მაგრამ ეს როდია ასე.

a) წინადადება-ცნებისა და მსჯელობა-ცნების მოცულობა ერთუროს ფარავს მხოლოდ ნაწილობრივად: **ყოველი წინადადება არ არის მსჯელობის გამოხატულება და არც მსჯელობა გადმოიცემა ყოველთვის წინადადებით;**

b) წინადადების ნაწილებს რაც შეეხება, ამ თვალსაზრისით შეუძლებელია მოცემულ იქნეს დამატებისა, განსაზღვრებისა და გარემოების დეფინიცია;

c) ქვემდებარე-შემასმენელი შესაძლებელია იყოს სუბიექტ-პრედიკატის შესატყვისი, თუ მსჯელობა მარტივი გაუვრცელებელი წინადადებით არის გადმოცემული, მაგრამ თუ წინადადება გავრცელებულია, შეუძლებელია არ დაირღვეს ასეთი შესატყვისობა: ან სუბიექტი იქნება გადმოცემული რამდენიმე სიტყვით, ან პრედიკატი, ან ერთიცა და მეორეც. რამდენიმე სიტყვისაგან შემდგარი ქვემდებარე თუ შემასმენელი მარტივი წინადადებისათვის უცხოა.

5. ფსიქოლოგიზმი წინადადების განსაზღვრებას ჩვეულებრივ ფსიქოლოგიური მსჯელობის განსაზღვრებაზე ამყარებს; და ეს ნიშნავს: რამდენაირიც შეიძლება იყოს ფსიქოლოგიაში მსჯელობის განსაზღვრება, იმდენი სახის განსაზღვრება გაჩნდება სინტაქსში. (პერბარტ) პაულის, ვუნდტის, იერუზალემისა და ბრენტანოს თე-

ორივეს, მ ა რ ბ ე ს და ბ ი უ ლ ე რ ი ს სათანადო ექსპერიმენტების შედეგების ანალიზი მხოლოდ იმას გვაფიქრებინებს, რომ ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ი მ ს ჯ ე ლ ო ბ ა უფრო მერყევ ნიადაგს წარმოადგენს წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს განსაზღვრებისათვის, ვინემ მსჯელობა ტრადიციული ლოგიკის გაგებით.

წინადადების განსაზღვრებისას ცნობიერების ფენომენებისადმი აპელაცია შეუძლებელია, რამდენადაც **ერთისა და იმავე წინადადების**, — გარკვეული უცვლელი შესიტყვების, — კორელატი შეიძლება იყოს **სულ სხვადასხვა**, ერთსა და იმავე პირისათვის **სხვადასხვა დროს**, სხვადასხვა პირისათვის **ერთსა და იმავე დროს**.

ესეც რომ არ იყოს, არ არის ადვილი, მიზანშეწონილი და მეთოდოლოგიურად მართებული დაუდევარ და უჩინარ ფსიქიკურ მოვლენას დავემყაროთ ხელშესახები და მკვიდრი ენობრივი ფაქტის ა ლ წ ე რ ი ს ა ს. ეს — წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს განსაზღვრისათვის.

წინადადების ნაწილთაგან კი დ ა მ ა ტ ე ბ ა , გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა , გ ა რ ე მ ო ე ბ ა შეუძლებელია განსაზღვროს ფსიქოლოგიზმის თვალსაზრისით; ასევე ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე -შ ე მ ა ს მ ე ნ ლ ი ს განსაზღვრა არ ხერხდება ფსიქოლოგიურ სუბიექტ-პრედიკატზე დაყრდნობით, ვინაიდან: ფსიქოლოგიური სუბიექტი, გინა პრედიკატი შეიძლება გადმოიცეს წინადადების ყოველი ნაწილით; წინადადების **ერთი და იგივე ნაწილი** სხვადასხვა მომენტში შეიძლება გადმოგვცემდეს სუბიექტსაც, პრედიკატსაც; კიდევ მეტი: **ერთსა და იმავე მომენტში** ერთი და იგივე ნაწილი წინადადებისა მეტყველისათვის შეიძლება იყოს სუბიექტის შესატყვისი, მსმენლისათვის — პრედიკატისა. ასევე უნუგეშო პერსპექტივას გვიშლის ვ უ ნ დ ტ ი ს გაბატონებული და უკანა რიგის წარმოდგენების გამოყენება წინადადების ნაწილთა განსაზღვრისათვის.

6. ფსიქოლოგიზმის ნიადაგზე დგანან მეტ-ნაკლებად ენათმეცნიერები: რ ო ზ ვ ა დ ო ვ ს კ ი , ზ ი უ ტ ე რ ლ ი ნ ი , ვ ე გ ე ნ ე რ ი , ბ ლ ი უ მ ე ლ ი , ბ რ უ გ მ ა ნ ი ; ო ვ ს ი ა ნ ი კ ო - კ უ ლ ი კ ო ვ ს კ ი , ფ ო რ ტ უ ნ ა - ტ ო ვ ი , პ ე შ კ ო ვ ს კ ი , შ ა ხ მ ა ტ ო ვ ი ; მათი შეხედულებები იძლევა საკმაო მასალას ფსიქოლოგიზმის სისუსტის საილუსტრაციოდ.

7. მეთოდოლოგიურ ტრანსცენდენტიზმს უპირისპირდება მეთოდოლოგიური იმანენტიზმის ის სახეობა, რომელიც **ფორმალიზმის** სახელწოდებით არის ცნობილი; ამ მიმართულებების წარმომადგენლები ცდილობენ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა და მისი ნ ა წ ი ლ ე ბ ი , როგორც ენობრივი მონაცემი, დაახასიათონ ენობრივი ნიშნების მიხედვით. ასეთ ნიშნად გამოყენებულია ინტონაცია და პ ა უ ზ ა (პ ე ტ ე რ ს ო ნ ი), რ ი ტ მ ი და მ ე ლ ო დ ი ა (პ ე შ კ ო ვ ს კ ი), წ არ თ ქ მ ის ისეთი მხარე, როგორცაა უ წ ყ ვ ე ტ ო ბ ა (დ ე ლ ბ რ ი უ კ ი); ფ ო რ მ ა (და მორფოლოგიური

თვისებები) წინადადებაში შემავალ სიტყვათა (ბ უ დ ე, დ ე რ ყ ა ვ ი ნ ი).

ამგვარად, იმანენტიზმის ეს ვარიანტი **ფონეტიზმისა** და **მორფოლოგიზმის** სახეს იღებს და თუმცა უპირისპირდება ტრანსცენდენტიზმს, ლოგიციზმსა და ფსიქოლოგიზმში მოცემულს, მაგრამ მაინც არ წარმოადგენს იმანენტიზმს სინტაქსისათვის: მისი **ს ა ზ ო მ ი ე ნ ო ბ რ ი ვ ი ა**, მაგრამ არ არის **ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი ბ უ ნ ე ბ ი ს ა**, ვინაიდან მოპოვებულია ფონეტიკურსა თუ მორფოლოგიურს სინამდვილეში. სინტაქსში ფორმალიზმი შინაური ტრანსცენდენტიზმია, ამდენადვე მიუღებელი.

გარდა ამისა: წინადადების საკითხში ფორმალიზმი არ არის თავისუფალი ფსიქოლოგიზმისაგან.

8. მეტყველება შინაგანად არის დაკავშირებული ადამიანის ფსიქიკასთან; ეს არის მიზეზი ენობრივისა და აზროვნებითი კატეგორიების **ა ღ რ ე ვ ი ს ა**, სადაც ამას აქვს ადგილი; ეს ასაზრდოებს აგრეთვე **ტ რ ა ნ ს ც ე ნ დ ე ნ ტ ი ზ მ ს**.

ტრანსცენდენტიზმი ცდილობს ენობრივ მოვლენათა **აღწერისას** გაითვალისწინოს როგორც **სტრუქტურა**, ისე **ფუნქციები**. ჩვეულებრივ უპირატესობა ენიჭება: წარმოებს ფუნქციების მიხედვით სტრუქტურის შესწავლა. ამით ტრანსცენდენტიზმი ცდილობს მეტყველებას შეუნარჩუნოს კავშირი ცნობიერებასთან.

მეთოდოლოგიური იმანენტიზმი ორად შლის აღწერის ამოცანას: **ჯერ — როგორ** და შემდეგ — რა მიმართებაშია **როგორ რა**'სთან (ცნობიერებასა და რეალობასთან); მოძღვრება **როგორ**'ის შესახებ არის მოძღვრება ენის **სტრუქტურის** შესახებ; მოძღვრება **რა**'სთან მიმართების შესახებ არის მოძღვრება **ფუნქციათა** შესახებ.

ტრანსცენდენტიზმი ფუნქციათა შესახებ მოძღვრებაში ისევე ბუნებრივი და გამართლებულია, როგორც იმანენტიზმი სტრუქტურის შესახებ მოძღვრებაში.

9. წინადადებისა და მისი ნაწილების შესახებ მოძღვრება განეკუთვნება სტრუქტურის შესახებ მოძღვრებას; ამ ცნებათა განსაზღვრა გულისხმობს სინტაქსის **ს ა გ ნ ი ს**, **მ ი ზ ა ნ - თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი ს ა** და **მ ე - თ ო დ ი ს** გარკვეულს გაგებას.

მეთოდოლოგიური იმანენტიზმის თვალსაზრისით **სინტაქსის საგანია შესიტყვება**; სინტაქსი შეისწავლის შესიტყვებას **შედგენილობისა** და **მექანიზმის თვალსაზრისით**, ე. ი. **a)** რა და რა ფორმები არის შეკავშირებული შესიტყვებად ანუ როგორია შესიტყვების **მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი** შედგენილობა და **b)** რა სახის სინტაქსურ ურთიერთობას აქვს ადგილი შესიტყვებაში შემავალ სიტყვათა შორის, ძირითადი სინტაქსური ამოცანაა ეს უკანასკნელი, პირველი — შემამზადებელი საფეხურია.

სინტაქსის საგნისა და მიზან-თვალსაზრისის აქ წარმოდგენილი გაგებიდან შინაგანის აუცილებლობით გამომდინარეობს ის მეთოდი, რომლითაც უნდა დამუშავდეს სინტაქსური ცნებები: **შესიტყვების ნაწილთა დახასიათება უნდა წარმოებდეს იმ როლის მიხედვით, რომელიც მათ აქვთ განკუთვნილი შესიტყვების მექანიზმში; სინტაქსურ ცნებათა არსებითი ნიშანი ამ როლზე უნდა მიგვითითებდეს.**

ტრანსცენდენტიზმი აყალიბებს სინტაქსურსა და, საერთოდ, გრამატიკულ ცნებებს დედუქციურად, აპრიორი; იმანენტიზმი მოითხოვს ეს წარმოებდეს ინდუქციურად, აპოსტერიორი, შესასწავლი ენის თავისებურებათა გათვალისწინებით.

10. მეთოდოლოგიური იმანენტიზმის თვალსაზრისით წინადადება არის ერთ-ერთი სახის შესიტყვება, მისი ბუნება და თვისება მთლიანად განსაზღვრულია სათანადო ენის შესიტყვებათა ბუნებითა და თვისებებით. არის თუ არა ამა თუ იმ ენაში წინადადება, თუ — კი, როგორია მისი შედგენილობა და მექანიზმი, რა ცნებებად შეიძლება ჩამოვყალიბოთ მისი ნაწილები — ეს ყველაფერი სათანადო ენის შესიტყვების ანალიზმა უნდა მოგვცეს. ფუნქციებზე მითითებით **აპრიორული გადაწყვეტა ამ საკითხისა იმანენტიზმის თვალსაზრისით შეუწყნარებელია.**

წინადადება, ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება... ცნებები პირველად ინდო-ევროპულ ენათა შესწავლისას ჩამოყალიბდა. ერთ-ერთ ამ ენათაგანის, რუსულის, შესიტყვებათა ზოგადი საილუსტრაციო ანალიზი მეთოდოლოგიური იმანენტიზმის თვალსაზრისით ასეთ დასკვნას იძლევა: შესიტყვებას ქმნის უმთავრესად ბრუნვადი და უღვლილებადი სიტყვა, სახელი და ზმნა. სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობა მართვის, შეთანხმების ან მითვის სახით წარმოგვიდგება; მითვა დადებითი სინტაქსური ურთიერთობის ნოლ საფეხურს წარმოადგენს. წინადადება არის შესიტყვება, მართვა-შეთანხმების საფუძველზე აგებული ბრუნვადი და უღვლილებადი სიტყვებისაგან; მისი ნაწილების განსაზღვრება იქნებოდა: ქვემდებარე — ზმნის მმართველი ანუ მთავარი მმართველი, დომინანტი, სახელი, შემასმენელი — ქვემდებარის მიერ მართული ზმნა, დამატება — სახელისა თუ ზმნის მიერ მართული სახელი; განსაზღვრება — სახელთან შეთანხმებული სახელი; გარემოება — მითული სიტყვა, ფორმიანი და უფორმო. **მართვა-შეთანხმების ცენტრი** რუსულში არის **ქვემდებარე**, არა მარტო მთავარი მმართველი სახელი, არამედ **მთავარი სიტყვა** წინადადებაში.

11. მარტივი წინადადების სტრუქტურა - მექანიზმს ძველს ქართულში **განსაზღვრავს ზმნა.**

12. მორფოლოგიური თვალსაზრისით ქართული ზმნა ორგვარია: აბსოლუტურისა და რელატიური სახეობისა. პირველში რეალურად თუ პოტენციალურად ყოველთვის აღინიშნება პირი მხოლოდ ერთის სახელისა, — მორფოლოგიური სუბიექტისა, მეორეში — პირი ორი სახელისა, — მორფოლოგიური სუბიექტისა და მორფოლოგიური ობიექტისა.

აბსოლუტური სახეობის ზმნასთან მორფოლოგიურად, — პირის აღნიშვნის საშუალებით, — არის დაკავშირებული მხოლოდ ერთი სახელი, რელატიური სახეობისასთან ორი სახელი ყოველთვის — პირის საშუალებით, და ზოგჯერ მესამე სახელიც, — რიცხვის აღნიშვნის საშუალებით.

ქართულში (და სხვა ქართველურ ენებში) უნდა განვასხვავოთ სუბიექტი, ობიექტი **ზმნის** თვალსაზრისით, ზმნაში პირის აღნიშვნის თვალსაზრისით, — **მორფოლოგიური სუბიექტი, ობიექტი**, — და სუბიექტი, ობიექტი **შესიტყვების** თვალსაზრისით, — **სინტაქსური სუბიექტი** („ქვემდებარე“), **სინტაქსური ობიექტი** („დამატება“, „უახლოესი ობიექტი“ ფრ. მიუღერისა). მორფოლოგიური **S, O** უდრის სინტაქსურს, თუ ზმნა ერთპირიანია, მორფოლოგიური **S, O** არ უდრის სინტაქსურს, არსებითად განსხვავდება მისგან, თუ ზმნა ორპირიანია.

13. სინტაქსური თვალსაზრისით ქართულში ზმნები განიყოფება ორ ჯგუფად: გარდაუვალად და გარდამავალად. გარდაუვალია ყოველი ზმნა, რომელსაც მორფოლოგიური სუბიექტი მუდამ სახელობითში აქვს, მორფოლოგიური ობიექტი კი ან სულ არა აქვს, ან, თუ აქვს, ყველგან მიცემითში აქვს; გარდამავალია ყოველი ზმნა, რომელსაც ნამყოძირითადში (აორისტში) მორფოლოგიური სუბიექტი მოთხრობითში აქვს, მორფოლოგიური „ობიექტი კი სახელობითში“ (ა. შანიძე). ყოველი აბსოლუტური სახეობის ზმნა გარდაუვალია, რელატიურის სახეობისა კი შეიძლება იყოს გარდაუვალიცა და გარდამავალიც.

14. ორივე ნიშნის, მორფოლოგიურისა და სინტაქსურის, მიხედვით ზმნათა კლასიფიკაცია იძლევა სამ ჯგუფს: აბსოლუტურ-გარდაუვალს. რელატიურ-გარდაუვალსა და რელატიურ-გარდამავალს. ზმნათა ამ სამ ტიპს ძველ ქართულში შეეფერება წინადადებათა სამი ტიპი: აბსოლუტურ-გარდაუვალ-ზმნიანი, რელატიურ-გარდაუვალ-ზმნიანი და რელატიურ-გარდამავალ-ზმნიანი. როგორც შედგენილობის, ისე მექანიზმის თვალსაზრისით ყველაზე მარტივია პირველი ტიპი, ყველაზე რთულია მესამე; მეორე ტიპი გამარტივებული სახით წარმოგვიდგენს მესამეს.

15. შედგენილობის მხრივ პირველი ტიპი ასეთ სურათს იძლევა:

ზმნა აბსოლუტურ-გარდაუვალი პლუს სახელი სახელო-ბითს ბრუნვაში (MS): დგას იგი; კუდების იგი.

მეორე ტიპი: ზმნა რელატიურ-გარდაუვალი პლუს სახელი სახელობითს ბრუნვაში (MS) პლუს სახელი მიცემითს ბრუნვაში (MO), — რადროც არ ავიღოთ: ხუკუდების იგი მას; მოხუკუდა იგი მას...

მესამე ტიპი: a) ზმნა რელატიურ-გარდამავალი აწმყოს ჯგუფისა პლუს სახელი სახელობითს ბრუნვაში (MS), პლუს სახელი მიცემითს ბრუნვაში (MO), [პლუს სახელი მიცემითს ბრუნვაში, ე. წ. მეორე MO] ხკლავს იგი მას; ხთხოვს იგი მას მას... b) ზმნა რელატიურ-გარდამავალი ნამყო ძირითადის (აორისტის) ჯგუფისა პლუს სახელი მოთხოვითში (MS), პლუს სახელი სახელობითს ბრუნვაში (MO) [ანდა ე. წ. მეორე MO] პლუს სახელი მიცემითში — (MO): კლამან იგი; ხთხოვამან იგი მას... c) ზმნა რელატიურ-გარდამავალი დროთა მესამე ჯგუფში პლუს სახელი სახელობითს ბრუნვაში (MS), პლუს სახელი მიცემითს ბრუნვაში (MO) [პლუს თანდებულიანი სახელი ნათესაობითში]: ხუკლავს იგი მას; [ხუთხოვიეს იგი მას მისდა]¹...

16. აბსოლუტურ-გარდაუვალ-ზმნიანი წინადადების (დგას იგი, კუდების იგი) **მექანიზმ** ქმნის ძირითადად **მართვა**. სახელი, მორფოლოგიურად დაკავშირებული ზმნასთან, მართავს ზმნის პირს და ითანხმებს რიცხვს, სახელი გაბატონებული სიტყვაა (მმართველი), ზმნა — დამოკიდებული (მართული); არის შემასმენელი — მართული ზმნა, არის ქვემდებარე — ზმნის მმართველი ანუ მთავარი მმართველი სახელი. არა გვაქვს MO, წინადადების ეს ტიპი ჩვეულებრივია სხვა (მაგალ., ინდო-ევროპულ) ენებშიაც; იგი არ არის სპეციფიკურ-ქართული.

17. რელატიურ-გარდაუვალ-ზმნიანი (ხუკუდების იგი მას) და რელატიურ-გარდამავალ-ზმნიანი წინადადება (ხკლავს იგი მას; ხთხოვს იგი მას მას) ისევე უჩვეულოა სხვა (მაგალ., იმავე ინდო-ევროპული) ენებისათვის, როგორც ორპირობა (რელატიურობა) მათში მონაწილე ზმნისა.

ამ ტიპის ქართულ წინადადებათა სინტაქსური მექანიზმის სპეციფიკურობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ორი კარდინალური მნიშვნელობის სინტაქსური ფაქტი: a) **ზმნა მართავს მორფოლოგიური სუბიექ-**

¹ კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სახელები შეიძლება იყოს ან არ იყოს. სახელებზე როცა ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ის სახელები, რომლებიც მორფოლოგიურად არის დაკავშირებული ზმნასთან.

ტის ბრუნვას ისევე, როგორც მორფოლოგიური ობიექტისას და b) მორფოლოგიური ობიექტი მართავს ზმნის პირს ისევე, როგორც მორფოლოგიური სუბიექტი.

ამიტომაც ამ ტიპის წინადადების მართვის ადგილს იჭერს **კოორდინაცია**. კოორდინაციას ვუწოდებთ ისეთს **რთულს სინტაქსურ ურთიერთობას**, როდესაც **ზმნა მართავს მასთან მორფოლოგიურად დაკავშირებული სახელების**, — MS-ისა და MO-ის — **ბრუნვებს, სახელნი თავის მხრივ მართავენ ზმნის პირს** და ითანხმებენ რიცხვს. არა გვაქვს ოდენ მართული ზმნა — შემასმენელი, არც ოდენ მმართველი (ზმნისა) სახელი — ქვემდებარე, არც სახელი, მართული ზმნის მიერ — დამატება¹, არის მხოლოდ კოორდინატები: **კოორდინატი არის წევრი** კოორდინაციისა ანუ **კოორდინაციაში მონაწილე სიტყვა** (სახელები თუ ზმნა).

18. კოორდინატი შეიძლება იყოს **ძირითადი, დიდი, მცირე და უმცირესი**.

ძირითადი კოორდინატია (coordinata princeps) ზმნა, მმართველი მასთან მორფოლოგიურად დაკავშირებული სახელების, MS-ისა და MO-ის, ბრუნვათა; იგია ცენტრი კოორდინაციისა.

სახელები, — MS და MO, — გვევლინება დიდი, მცირე და უმცირესი კოორდინატის როლში.

19. კოორდინატ-სახელების ასეთი დასაფუძვრება გამოხატავს მათი **სინტაქსური ძალის მეტ-ნაკლებობას**; ჩვეულებრივ გადამწყვეტია, ითანხმებს თუ არა სახელი-კოორდინატი ზმნას რიცხვში; ამ მხრივ ძველს ქართულში აღსანიშნავია შემდეგი: a) **წ**იანი სახელობითის მრავლობითობა ძველი ქართულის ზმნაში ყოველთვის აღინიშნება, იქნება ეს სახელობითი MS, თუ MO; b) **ებ**იანი სახელობითის მრავლობითობა ძველი ქართულის ზმნაში არ აღინიშნება, იქნება ეს სახელობითი MS თუ MO; c) **მოთხრობითის** (MS-ია მუდამ!) მრავლობითობა ყოველთვის აღინიშნება ზმნაში; b) მიცემითის (MO-ია მუდამ!) მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება, თუ მესამე ან მეორე პირია, ხოლო თუ პირველი პირია, ხან აღინიშნება, ხან — არა. საერთოდ, შეიძლება ითქვას, მიცემითი მრავლობითში ზმნას არ ითანხმებს.

20. დიდია ის **კოორდინატი** (coordinata major), რომელიც მართავს ზმნის პირს და ითანხმებს რიცხვს.

მცირეა ის **კოორდინატი** (coordinata minor), რომელიც მართავს ზმნის პირს, მაგრამ არ ითანხმებს რიცხვს.

¹ თუ ორიოდ შემთხვევაში მაინც ჩნდება დამატება, ეს იმიტომ, რომ წყდება სახელის მორფოლოგიური კავშირი ზმნასთან.

უმცირესია ის **კოორდინატი** (coordinata minima), რომელიც ითანხმებს ზმნის რიცხვს, მაგრამ არ მართავს პირს.

21. ქართულში შეუძლებელია არსებობდეს მეტი კოორდინატი-სახელი, რადგანაც ზმნაში შეიძლება აღნიშნოს სახელის პირი, რიცხვი, და ამისდაკვალად: ზმნაში შეიძლება იყოს აღნიშნული ან მხოლოდ რიცხვი სახელისა, ან მხოლოდ პირი, ანდა რიცხვიცა და პირიც.

22. ებ'იანი სახელობითი სინტაქსური როლის მიხედვით ერთის საფეხურით დაბლა დგას ნ'იან სახელობითზე, რაკი იგი არ ითანხმებს ზმნას რიცხვში. ამიტომაც თუ ებ'იანი სახელობითი დიდი კოორდინატი უნდა ყოფილიყო, მცირე ხდება, თუ უმცირესი უნდა ყოფილიყო — ოდენ მართულ სახელად, დამატებად, იქცევა, კოორდინატის ხასიათს კარგავს.

23. თქმა იმისა, რომ ქართულში ერთი და იგივე ბრუნვა (მაგალ., სახელობითი, MS) ერთსა და იმავე სინტაქსურ ოდენობას წარმოადგენს იმისდა მიუხედავად, არის იგი აბსოლუტურ- თუ რელატიურ-ზმნიან წინადადებაში (იგი დგას; იგი ხუდგას მას), იმის თქმას უდრის, რომ აბსოლუტური და რელატიური სახეობის ზმნები ერთსა და იმავე მორფოლოგიურ ოდენობას წარმოადგენს; ამასთანავე, ეს იქნება უფულებელყოფა იმისა, რაც ქართული (და ქართველური ენების) სინტაქსისა და, საერთოდ, ქართული მეტყველების თავისებურებას ქმნის.

24. წინადადება ქართულში უნდა განისაზღვროს, როგორც შესიტყვება, აგებული ზმნისა და სახელისაგან კოორდინაციისა თუ მართვის საფუძველზე (კოორდინაციისაზე — რელატიურ-ზმნიან წინადადებაში, მართვისაზე — აბსოლუტურ-ზმნიანში).

Проблема простого предложения в грузинском языке

I. Подлежащее и дополнение в древнегрузинском языке

З а к л ю ч и т е л ь н ы е п о л о ж е н и я

1. В вопросе об определении предложения и его частей (членов) наличны три главных направления: **логицистическое, психологическое и формалистическое** (языково-грамматическое).

2. Логицизм и психологизм могут быть охарактеризованы по их методологическим принципам как трансцендентизм («методологический трансцендентизм»): общим для логицизма и психологизма является основной методологический принцип – о п и с ы в а т ь языковые факты, исходя из тех логических или же психологических категорий, которые в них находят выражение, т. е. при о п и с а н и и языкового факта используются в качестве **мерила** понятия логики и психологии – **что** выражается, а не – **как** выражается.

3. Принцип, которым руководствуется «методологический трансцендентизм» (логицизм, психологизм) при описании языкового факта был бы научно правомерен в т о м случае, если бы существовал п о л н ы й п а - р а л л е л и з м между логическими и психологическими категориями, с одной стороны, и языковыми категориями, с другой, к тому же – в о в с е х я з ы к а х.

Только при наличии этого условия стало бы возможным, исходя из того, **что** обозначается, о п и с а т ь – без искажения действительного положения вещей – то, **чем** (resp. как) обозначается. Но такого параллелизма не оказывается не только во всех языках, но и в о д н о м и т о м ж е я з ы к е.

Поэтому:

а) Применение принципа «методологического трансцендентизма» при **описании** языковых фактов ведет к тому, что остаются **н е з а м е ч е н - н ы м и** явления, с п е ц и ф и ч н ы е для того или иного языка: апеллируя к функциям языкового факта, к тому **что** обозначается, оставляют без внимания особенности описываемого факта, особенности того, **как** обозначается. П о ф у н к ц и я м (по функциональным категориям) между языками нет **таких** расхождений (различий), которые наблюдаются между структурами различных языков.

б) Описывая языковые явления по их ф у н к ц и я м («**что** ими обозначается?»), с необходимостью о б ъ е д и н я ю т в рамках одного и того же языка р а з н о р о д н ы е ф а к т ы (так, напр., предложением может быть признано не только **словосочетание**, но и отдельное **слово**, как **изменяемое**, так и **неизменяемое**; даже частицу могут приравнять к

предложению); с другой стороны, о д н о р о д н ы е по языковым признакам факты могут оказаться включенными в р а з л и ч н ы е рубрики (пример тому – выделение имен числительных в самостоятельную часть речи).

4. Что же касается отдельных разновидностей «методологического трансцендентизма», о них следует сказать:

а) Одна разновидность логицизма – примитивная – вообще не различает моментов языкового и мысленного; этим и объясняется, что при дефиниции г р а м м а т и ч е с к о г о понятия «предложение» в качестве ближайшего родового понятия (*genus proximum*) называется л о г и ч е с к о е понятие «мысль» («предложение есть мысль, выраженная словами...»), как будто предложение является одной из разновидностей мысли. По той же причине дефиниция с и н т а к с и ч е с к и х понятий «п о д л е ж а щ е е», «с к а з у е м о е» смешивается с определениями понятий формальной логики «субъект», «предикат».

Эта разновидность логицизма в г р а м м а т и к е (в синтаксисе) является порождением г р а м м а т и з м а в л о г и к е. Общим источником и того, и другого служит неразличение я з ы к о в о г о и мысленного, категорий грамматических и логических, что было характерным для древнегреческой философии, – «Аналитики» Аристотеля, логики стоиков...

б) Вторая разновидность логицизма в грамматике – более последовательная – не смешивает логическое с грамматическим. Она стремится, разграничив логическое и грамматическое, построить дефиницию понятия «предложение» на дефиниции логического понятия «суждение» и далее – понятий «подлежащее», «сказуемое» на дефинициях понятий логики «субъект», «предикат».

Но такая установка была бы состоятельной в том случае, если бы всякое предложение являлось выражением суждения, и далее – если бы каждое подлежащее соответствовало субъекту, и каждое сказуемое – предикату.

В действительности это далеко не так:

а) Объемы понятий «предложение» и «суждение» лишь частично покрывают друг друга: не всякое предложение является выражением суждения (напр., вопросительные, восклицательные предложения...); не всегда суждение выражается посредством предложения.

б) Такие члены предложения, как «д о п о л н е н и е», «о п р е д е л е н и е», «о б с т о я т е л ь с т в о», – т. е. объяснительные слова – не находят никакого соответствия в суждении, в составе его членов (в суждении выделяются только два члена: субъект и предикат, независимо от количества слов в предложении, которыми суждение выражается).

Следовательно, объяснительные слова («дополнение», «определение», «обстоятельство»...) не могут быть определены с ссылкой на суждение и его части.

с) «Подлежащее» и «сказуемое» м о г у т соответствовать «субъекту» и «предикату», если суждение выражено посредством простого нераспространенного предложения («солнце / светит»), но соответствие неизбежно нарушится, если предложение простое р а с п р о с т р а н е н н о е: или субъект будет выражен несколькими словами, или предикат, или же и тот, и другой («з и м н е е с о л н ц е / т у с к л о с в е т и т в т у м а н н ы й м о р о з н ы й д е н ь» – первые два слова выражают логический субъект, все остальные – предикат).

Но «подлежащее», «сказуемое» не могут состоять из нескольких полных значных слов.

5. Психологизм кладет в основу дефиниции предложения понятие психологического суждения, а в понимании сущности психологического суждения различные авторы расходятся между собою несравненно больше, чем то наблюдается в понимании суждения в различных течениях логики.

Это значит: в синтаксисе будем иметь столько же различных дефиниций предложения, сколько имеется различных дефиниций психологического суждения («сочетание представлений» – Герbart – Пауль; «расчленение сложного представления» – Вундт; «расчленение, формирование, объективация» – Иерузалем; «отношение к представлению – признание или отрицание» Brentano – срв. возможность безобразного (sans images) мышления в экспериментах Марбе.

Анализ воззрений по данному вопросу Герbart – Пауля, Вундта, Иерузалема, Brentano, анализ результатов соответствующих экспериментальных исследований Марбе, Бюлера не оставляет сомнения в том, что «суждение», как психологическое понятие, представляет собою еще более шаткую основу для определения синтаксического понятия «предложение», чем «суждение» в понимании традиционной, формальной логики: апеллирование к психологическим процессам при определении предложения оказывается невозможным, так как **одному и тому же предложению** (словосочетанию, синтагме) могут соответствовать совершенно **различные психологические процессы** – у одного и того же лица **в разное время**, у различных лиц – **в одно и то же время**, как об этом свидетельствуют результаты экспериментальных исследований процессов мышления.

Предложение как языковой факт – в определенный отрезок времени – является устойчивым, непосредственно данным, психические же процессы текучи, неустойчивы, непосредственно не даны. **Описывать, определять устойчивое, опираясь на неустойчивое, вряд ли вообще оправдано** (скорее – наоборот). Это – о дефиниции предложения.

Что же касается членов предложения, одни из них – «дополнения», «определения», «обстоятельственные слова» – вообще не могут быть охарактеризованы при помощи частей «психологического суждения»: в последнем не имеется никаких соответствий для «дополнения», «определения», «обстоятельственных слов».

Не представляется также возможным определить «подлежащее», «сказуемое», как выражение «психологического субъекта», «психологического предиката»: в зависимости от психологической ситуации эти последние могут быть выражены любым членом предложения; **один и тот же член предложения** в различных психологических контекстах, в различное время может обозначать и «психологический субъект», и «психологический предикат»; более того: один и тот же член предложения для говорящего может являться «психологическим субъектом», а для слушателя – собеседника – «психологическим предикатом»; ведь «психологический субъект», «психологический предикат» определяются по моменту п о с л е -

довательности (в процессе мысли): «субъект» это то, что предшествует, «предикат» – что следует за «субъектом» (Пауль). Члены же предложения обычно не могут быть квалифицированы как «подлежащее», «сказуемое» в зависимости от последовательности в процессе высказывания (в предложениях: «*солнце* светит», «светит *солнце*» «подлежащее» одинаково «*солнце*», «сказуемое» – «*светит*»).

Равным образом бесперспективны для определения членов предложения такие понятия, как «господствующее представление (*dominierende Vorstellung*)», «представление заднего плана (*zurücktretende Vorstellung*)», выдвинутые в концепции Вундта.

6. В годы господства психологизма в лингвистике на принципиальных позициях психологизма в вопросах грамматики стояли многие языковеды (Розвадовский, Зютерлин, Вегенер, Блюмель... Овсяннико-Куликовский, Фортунатов, частично – Пешковский...). Их работы дают немало материала, чтобы судить о теоретической несостоятельности принципиальных позиций психологизма.

7. «Методологическому трансцендентизму» в описательной грамматике противостоит «методологически имманентизм», в частности, та его разновидность, которая известна под названием «формализма».

Представители этого направления пытаются охарактеризовать «предложение» (и его члены) по признакам собственно языковым. В качестве таких признаков используются: интонация и пауза (Петерсон), ритм и мелодия (Пешковский), такая сторона высказывания, как непрерывность, форма (и морфологические свойства) слов, входящих в предложение (Будде, Державин)...

Таким образом, эта разновидность «методологического имманентизма» выступает в виде «фонетизма» и «морфологизма» в синтаксисе; она противопоставляется «трансцендентизму», но не может рассматриваться, как имманентизм для синтаксиса: мерило, которое им используется при описании языковых фактов, хотя и является языковым, но отнюдь нельзя считать синтаксическим: синтаксические понятия определяются по фонетическим и морфологическим признакам. Для синтаксического факта фонетические и морфологические признаки не являются «имманентными». Таким образом, формализм – фонетический, морфологический – в синтаксисе научно не оправдан.

Кроме того, формализм этот в учении о предложении не свободен от психологизма.

8. Язык теснейшим образом связан с психическим миром человека. Этим обусловлена трудность разграничения, смешение категорий языка и категорий мысли, где оно наблюдается.

Этим же источником питается «трансцендентизм» в описании фактов языка.

Описывая факты языка, «трансцендентизм» пытается учитывать как структуру, так и функции (это касается и учения о предложении и его членах, учения о частях речи...). Обычно при этом функция является ведущим элементом: описывая структуру, исходят из функции. При этом «трансцендентизм» аргументируется взаимоотношением мышления и языка.

С точки зрения «методологического имманентизма» задача описания расчленяется: сперва «**как**» (каково выражение) и затем **отношение** этого «**как**» к «**что**» (к обозначаемому: отношение к актам сознания и действительности). Учение о выражении («**как**») – это учение о **структуре** языка. Учение об отношении к обозначаемому – это учение о **функциях** языковых фактов.

«Трансцендентизм» в учении о функциях так же закономерен, как «имманентизм» в учении о структуре.

9. Учение о предложении и его частях – по нашему мнению – относится к области учения о структуре: предложение – структурное понятие.

Это подразумевает определение понимания предмета, задачи и метода синтаксиса.

С точки зрения «методологического имманентизма» **предметом** синтаксиса служит словосочетание (синтагма).

Словосочетание изучается в синтаксисе с точки зрения **состава** и синтаксического **механизма**: а) каков морфологический состав словосочетания и б) каковы синтаксические связи составных частей. Последнее служит основной задачей; первое является подготовительной ступенью.

Из такого понимания предмета и задач синтаксиса следует определенное понимание метода, согласно которому должны строиться синтаксические понятия.

Синтаксическая характеристика частей словосочетания должна даваться по той роли, которую они выполняют в механизме (в строе) словосочетания. Существенный признак синтаксических понятий определяется по этой роли.

«Трансцендентизм» создает синтаксические (и, вообще, грамматические) понятия, исходя из функций, дедуктивно, а priori, «имманентизм» же настаивает на необходимости строить эти понятия индуктивным путем, с учетом особенностей изучаемого языка, а posteriori.

10. Для «методологического имманентизма» предложение является одним из видов словосочетания (синтагмы). Природа и особенности его целиком определяются природой и особенностями слов соответствующего языка. Имеется ли соответствующее словосочетание, каковы его состав и механизм, в каких понятиях могут быть охарактеризованы его составные части – ответ на все эти вопросы должен дать конкретный анализ словосочетания соответствующего языка. Решение же данного вопроса a priori с учетом лишь функций нельзя считать оправданным с точки зрения «имманентизма».

Понятия «предложение», «подлежащее», «сказуемое», «дополнение» созданы впервые применительно к индоевропейским языкам.

Примерный анализ одного из индоевропейских языков, русского, согласно принципу «методологического имманентизма» приводит к таким выводам:

Словосочетание (синтагма) здесь, главным образом, создается из имени и глагола, слов склоняемых и спрягаемых. Синтаксическая связь слов исчерпывается процессами «управления», «согласования» и «примыкания». «Примыкание» представляет собою нулевую степень синтаксической зависимости.

Предложение строится из склоняемых и спрягаемых слов, связанных посредством процессов управления и согласования. Члены предложения при этом получают, примерно, такую синтаксическую характеристику: подлежащее – слово, управляющее глаголом или главное доминирующее слово¹; сказуемое – глагол, синтаксически зависимый от имени, управляемый² подлежащим; дополнение – имя, синтаксически зависимое от глагола или же от имени, управляемое глаголом или же именем; определение – имя, согласующееся с именем; обстоятельство – примыкающее слово, изменяемое или неизменяемое. Синтаксические процессы управления и согласования восходят к подлежащему, как к синтаксическому центру словосочетания, – подлежащее представляет собой синтаксическую доминанту всего словосочетания в русском языке.

11 Структура и механизм простого предложения в древнегрузинском языке определяются глаголом.

Естественно поэтому предварить синтаксический анализ предложения морфологической и синтаксической характеристикой глагола в древнегрузинском языке.

12. С морфологической точки зрения в древнегрузинском языке различаются глаголы двоякого рода: абсолютные (субъектные) и релятивные (субъектно-объектные). В спряжении абсолютного глагола обозначается лишь лицо субъекта, «морфологического субъекта», в релятивных же глаголах – лица как субъекта, так и объекта, – «морфологического субъекта», «морфологического объекта».

Абсолютные глаголы морфологически – посредством личных формантов – относятся к одному имени, релятивные же глаголы – опять-таки личными формантами – связаны с двумя именами, а возможно и с третьим именем существительным (в случае обозначения множественного числа последнего).

В грузинском (и в других картвельских языках), где спряжение личное, закономерно различать «субъект», «объект» с точки зрения личных формантов глагола: субъектная серия формантов – ряд **з- v-**, – объектная серия формантов – ряд **д- m-**. Личными формантами ряда **з- v-** обозначается «морфологический субъект», формантами ряда **д- m-** – «морфологический объект».

От этих последних следует отличать «субъект», «объект», по их синтаксической роли в словосочетании (синтагме), короче говоря, «синтаксический субъект» («подлежащее») и «синтаксический объект» («дополнение», точнее «ближайший объект» Фр. Мюллера).

«Морфологический субъект» совпадает с «синтаксическим субъектом», если глагол одноличный, т. е. в глаголах абсолютных, в глаголах субъектного спряжения. Но «морфологический субъект», «морфологический объект» невозможно приравнять к «синтаксическому субъекту» («подлежащему»), к «синтаксическому объекту» («дополнению»), если налицо глагол

¹ На такой роли подлежащего в русском языке настаивал А. Шахматов.

² Обычно принято говорить о согласовании глагола с именем в лице, что вряд ли последовательно.

двухличный, глагол субъектно-объектного спряжения, глагол релятивный (а такие глаголы образуют большинство в грузинском языке). Здесь обнаруживаются существенные расхождения между «субъектом» и «объектом» с точки зрения морфологической системы спряжения глагола и с точки зрения синтаксической связи слов в предложении (в синтагме).

13. В плане синтаксическом, с точки зрения образования синтагм различных конструкций, глаголы грузинского языка делятся на «непереходные» и «переходные».

Непереходным является глагол, «морфологический субъект» которого всегда стоит в именительном падеже, «морфологического же объекта» или вовсе не имеется (глагол абсолютный), или же если он имеется (глагол релятивный), всегда стоит в дательном падеже.

«Переходными» являются глаголы, у которых в прошедшем основном (в аористе) «морфологический субъект» стоит в повествовательном (эргативном) падеже, а «морфологический объект» – в именительном падеже (критерий объекта при переходном глаголе – «прямой объект [точнее: «ближайший объект»] стоит в именительном падеже» – выявлен впервые А. Шанидзе).

Согласно вышеуказанным определениям все абсолютные глаголы (глаголы субъектного спряжения) будут непереходными, глаголы же релятивные (глаголы субъектно-объектного спряжения) могут быть как переходными, так и непереходными.

14. С учетом морфологических, и синтаксических особенностей глаголы грузинского (resp. древнегрузинского) языка образуют три группы: абсолютные-непереходные, релятивные-непереходные, релятивные-переходные.

В соответствии с этим естественно различать предложения трех типов:

I. предложение с глаголом абсолютным-непереходным,

II. предложение с глаголом релятивным-непереходным,

III. предложение с глаголом релятивным-переходным.

Наиболее простым из них – и по составу членов синтагмы, и по синтаксическому механизму – является первый тип, наиболее сложным – третий; во втором же типе мы имеем упрощенный вид третьего.

15. Состав первого типа: глагол абсолютный-непереходный + имя в именительном падеже (морфологический субъект, MS): დგა-ს იგი dga-s igi «стоит он»; კუდები-ს იგი ḳwdebi-s igi «умирает он»...

Состав второго типа: глагол релятивный-непереходный + имя в именительном падеже (MS)+имя в дательном падеже (морфологический объект, MO) независимо от времени: наст. вр. ხ-უკუდები-ს იგი მას x-uḳwdebi-s igi mas «умирает он у него» (букв. «ему»)....; прош. основное: მ-უკუდ-ა იგი მას mo-x-uḳud-a igi mas «умер он у него»...

Состав третьего типа:

а) Глагол релятивный-переходный наст. врем.+имя в именительном падеже (MS)+имя в дательном падеже (МО), [+имя в дательном падеже, т. н. «второй МО】 *ხ-კლავ-ს იგი მას x-klav-s igi mas* «убивает он его»... *ხ-თხოვ-ს იგი მას მას (|| რაღაცას) x-txov-s igi mas mas (|| რაღაცას)* «просит он его о чем-то» (букв. «ему чему-то»)... Так в настоящем времени и во всех временах, образованных от основы настоящего времени (в прош. несовершенном, конъюнктиве первом).

ბ) Глагол релятивный-переходный в прошедшем основном (аористе) + имя в повествовательном падеже (т. е. эргативе, MS) + имя в именительном падеже (МО) [или же именит. пад., т. н. второй МО] + имя в дательном падеже (МО): *მო-კლ-ა მან იგი mo-kl-a man igi* «убил он его»... *ხ-თხოვ-ა მან მას იგი x-txov-a man mas igi* «попросил он его о чем-то»...(эргативная конструкция).

Такая конструкция, эргативная конструкция, сохраняется во временах, образованных от основы прошедшего основного: в прошедшем обычном (пермансиве), конъюнктиве втором.

ც) Глагол релятивный-переходный в третьей группе времен (в результативной)+ имя в именительном падеже (MS)+ имя в дательном падеже (МО), [+имя в родительном падеже с послелогом, морфологически в глаголе не обозначенное]: *მო-ხ-უკლავ-ს მას იგი mo-x-uklav-s mas igi* «убил, оказывается, его он», [*ხ-უთხოვ-ის მას იგი მისდა x-utxovie-s mas igi misda* «просил, оказывается, его он о чем-то»].

16. Механизм предложения с глаголом **абсолютным-непереходным** определяется в основном процессом управления. Морфологическим субъектом определяется лицо глагола и его число: имя (MS) оказывается доминирующим (доминантом), глагол же – зависимым (депендентом). Морфологический субъект является подлежащим, глагол – сказуемым... Морфологического объекта здесь быть не может.

Предложение с глаголом **абсолютно-непереходным** является обычным для языков, где глагол изменяется лишь по лицам субъекта (таково, напр., спряжение глаголов в индоевропейских языках).

Такой тип предложения в древнегрузинском языке в синтаксическом отношении не содержит ничего специфического.

17. Что же касается предложений с релятивными глаголами – будь-то **релятивный-переходный** глагол (типа *ხ-კლავ-ს იგი მას x-klav-s igi mas* "убивает он его», *ხ-თხოვ-ს იგი მას x-txov-s igi mas mas* "просит он его о чем-то") или же **релятивный-непереходный** глагол (типа *ხ-უკლავ-ის იგი მას x-uklavdebi-s igi mas* "умирает он у него"), то такие предложения по своей **синтаксической структуре** столь же необычны для индоевропейских языков, сколь чуждо им **релятивное** спряжение, субъектно-объектное, сколь чужды **двухличные** формы глагола в соответствующих предложениях. Своеобразием **морфологической** структуры глагола обусловлено своеобразие **синтаксической** структуры предложения.

Специфика синтаксического механизма (строения) грузинских предложений с релятивным глаголом находит выражение в двух синтаксических явлениях кардинальной важности:

а) **От глагола зависит, глаголом определяется падеж «морфологического субъекта» в той же мере, что и падеж «морфологического объекта».**

в) Личные формы глагола зависят от «морфологического объекта» в той же мере, что и от «морфологического субъекта».

Словом, «морфологический субъект», «морфологический объект» оказываются синтаксически равными величинами, одинаково **зависят** от глагола, в одинаковой степени **определяют** личные формы глагола. Синтаксическая полярность субъекта и объекта, подлежащего и «прямого» дополнения, известная из индоевропейских языков, снимается.

Вместо управления, как синтаксической связи, здесь можно говорить о «**координации**» членов предложения.

Термином «координация» (coordinatio) мы называем **сложную форму синтаксической взаимосвязи** между глаголом и именами, когда **падежи MS и MO зависят от глагола**, управляются глаголом, **лица же** (и число) **глагола зависят от MS-а и MO-а**.

Отпадает вопрос об односторонней зависимости глагола-сказуемого от подлежащего; не может ставиться вопрос о подлежащем, как доминирующем имени, ни о «прямом» дополнении, как имени, лишь зависимом от глагола, управляемом глаголом. Понятия «подлежащее», «сказуемое», «дополнение» замещаются понятием «координаты» – т. е. членом координации, будь то релятивный глагол или соотносящиеся имена.

18. В предложениях с релятивным глаголом могут быть выделены: «основная координата», «большая координата», «малая координата», «наименьшая координата».

«**Основной координатой**» (coordinata princeps) является **релятивный глагол, определяющий падежи и MO-а, и MS-а, и образующий центр координации**.

Остальные координаты суть имена (MS, MO).

19. «**Большой координатой**» (coordinata major) является имя, от которого зависят и лица и числа глагола: лицо обозначается, в числе с ним согласуется глагол.

«**Малой координатой**» (coordinata minor) является имя, от которого зависит лишь лицо глагола (в числе с ним глагол не согласуется).

«**Наименьшей координатой**» (coordinata minima) будет имя, с которым согласуется глагол лишь в **числе**, но лицо его в спряжении глагола не находит отражения, не обозначается.

20. Каких-либо координат (кроме «основной», «большой», «малой», «наименьшей») в предложениях древнегрузинского языка быть не может, так как в релятивном глаголе может обозначаться или **только число** (множественное) имени (второго MO-а в именительном падеже), или же лишь лицо имени (MO-а в дательном падеже), или же и **лицо и число** множественное имени (MS-а в эргативном и именительном падежах).

21. Иерархия, которую образуют координаты-имена («большая», «малая», «наименьшая») определяется синтаксической ролью, которую каждая из них играет.

Критерием для разграничения роли координаты-имени служит зависимость глагола от имени во множественном числе: согласуется ли **глагол с именем во множественном числе**.

В этом отношении для древнегрузинского языка характерны следующие закономерности:

а) С именительным падежом во множественном числе, если оно образовано при помощи суффикса **-ბ- -n-** (ქვა-ბ-ი kva-n-i «камни»), глагол в древнегрузинском языке всегда согласуется: и тогда, когда имя выступает в роли MS-а, и тогда, когда оно является МО-ом: მოწავფენ-ი იტყუ-ან მოცაჲ-ი იტყუ-ან «ученики говорят»... მან შეკრიბ-ბ-ა მოწავფენ-ი მან შეკრიბ-ბ-ა მოცაჲ-ი «он собрал учеников»...

б) С именительным падежом множественного числа, если оно образовано при помощи суффикса **-ებ- -eb-**, древнегрузинский глагол обычно не согласуется: ни тогда, когда имя является MS-ом, ни тогда, когда оно служит МО-ом: აღფრინდ-ა სირ-ებ-ი აჟრინდ-ა სირ-ებ-ი «взлетели птички» (букв. «взлетела (!) птички»).

с) С повествовательным (эргативным) падежом (всегда MS!) во множественном числе глагол обязательно согласуется в числе: მოწავფეთა თქუ-ეს მოცაჲ-ი თქუ-ეს «ученики сказали»...

д) С дательным падежом (всегда МО!) во множественном числе древнегрузинский глагол не согласуется во втором и третьем лицах, в первом же лице согласование – факультативное. В целом, с дательным падежом во множественном числе глагол не согласуется (в древнегруз. языке).

22. Именительный падеж множественного числа имен, образованных посредством суффикса **-ებ- -eb-** по своей с и н т а к с и ч е с к о й роли стоит ступенью ниже, чем именительный падеж имен, которые образованы при помощи суффикса **-ბ- -n-** (с первым из них глагол не согласуется в числе).

Вследствие этого, если именительный падеж с суффиксом **-ბ- -n-** являлся «большой координатой», тот же именительный падеж с суффиксом **-ებ- -eb-** становится «малой координатой».

Соответственно, «малая координата» низводится на ступень «наименьшей координаты».

23. Утверждать, будто один и тот же падеж (именительный падеж, MS) представляет собою одну и ту же **синтаксическую величину** независимо от того, является ли он MS-ом **абсолютного** или же **релятивного** (субъектно-объектного) глагола, все равно, что утверждать, будто **абсолютный** и **релятивный** глаголы представляют собою одинаковую **морфологическую величину**.

Такое утверждение привело бы к игнорированию специфики синтаксиса грузинского и других картвельских языков.

24. Предложение – с учетом особенностей структуры грузинского языка – может быть определено, как словосочетание (синтагма), организованное из глагола и имени (resp. имен) на основе «координации» или же «управления» (координации – в синтагме с релятивным глаголом, управления – в синтагме с абсолютным глаголом).

Arn. Chikobava

PROBLÈME DE LA PROPOSITION SIMPLE EN GÉORGIEN
I. Sujet et objet dans la vieille langue géorgienne

R é s u m é

1. En ce qui concerne la définition de la proposition et de ses termes il existe trois courants: **logicistique**, **psychologistique** et **formaliste** (linguo-grammatical).

2. Le logicisme et le psychologisme peuvent être caractérisés d'après leur principes méthodologiques, comme le transcendantisme ("Le transcendantisme méthodologique"): ce qu'il y a de commun pour le logicisme et le psychologisme, c'est leur principe méthodologique fondamental – de décrire les faits de la langue en se basant sur les catégories logiques ou psychologiques qui y trouvent leur expression, c. à d. qu'en décrivant un fait de la langue on emploie comme critère les notions de la logique et de la psychologie – **qu'est-ce qui** est exprimé et non pas – **comment** est exprimé.

3. Le principe sur lequel se guide "le transcendantisme méthodologique" (le logicisme, le psychologisme) en décrivant un fait de la langue serait scientifiquement justifié au cas, s'il existait un **parallelisme complet** entre les catégories logiques et psychologiques d'un côté et les catégories de la langue de l'autre, et aussi – **dans toutes les langues**.

C'est qu'étant donné cette condition qu'il serait devenu possible, en se basant sur **ce qui** est désigné, de **décrire** – sans défigurer l'état réel des choses – **ce**, avec quoi (resp. comment) est désigné. Mais un tel parallélisme ne se trouve non seulement dans toutes les langues, mais pas même dans une seule langue; c'est pourquoi:

a) L'application du principe du transcendantisme méthodologique pour la **description** des faits de la langue aboutit à ce que les phénomènes **spécifiques** à telle ou autre langue restent **inaperçus**: en appelant aux fonctions du fait de la langue, à **ce** qui est désigné on ne tient pas compte des particularités du fait décrit, des particularités de **ce**, **comment** est désigné. D'après les **fonctions** (les catégories fonctionnelles) entre les langues il n'y a pas de **telles** divergences qu'on remarque entre les **structures** de différentes langues.

b) En décrivant les phénomènes de la langue d'après leurs **fonctions** ("**qu'est-ce qui** est désigné par eux") on **unit** inévitablement dans le cadre d'une seule langue **des faits différents** (ainsi, par exemple, on peut considérer comme proposition non seulement un **groupe de mots** (un syntagme), mais même **un mot** isolé, variable ou invariable; on peut même poser **une particule** égale à une proposition); d'autre part, des faits **similaires** d'après leurs indices linguistiques peuvent être insérés dans des **différentes rubriques** (exemple: la séparation des noms de nombre en une partie indépendante du discours).

4. En ce qui concerne les différentes variétés du "transcendantisme méthodologique", il faut en dire:

a) Une variété du logicisme – la primitive – ne diffère pas en général les éléments linguaux et mentaux; c'est ce qui explique qu'en définissant la notion grammaticale "**proposition**" on nomme, à titre de notion générique la plus proche (genus proximum) – la notion logique – pensée (la proposition est une "pensée", exprimée par des mots) comme si la proposition était une des variétés de la pensée. Pour la même cause la définition des notions syntaxiques "sujet", "prédicat" (grammaticaux) se confond avec les définitions des notions de la logique formelle "sujet", "prédicat" (logiques).

Cette variété du logicisme en grammaire (en syntaxe) est le fruit du grammatisme en logique. La source commune, et de l'un et de l'autre est l'indistinction du lingual et du mental, des catégories grammaticales et logiques, ce qui était caractéristique pour la philosophie grecque antique, – "l'Analytique" d'Aristote, la logique des stoïciens.

b) La deuxième variété du logicisme en grammaire – plus conséquente – ne confond pas le logique et le grammatical. Ayant délimité le logique et le grammatical, elle tend à fonder la définition de la notion "proposition" sur la définition de la notion logique du "jugement" et ensuite, – des notions "sujet", "prédicat" (grammaticaux) sur les définitions des notions de la logique "sujet", "prédicat" (logiques).

Mais une telle orientation serait fondée dans le cas si toute proposition serait l'expression d'un jugement et aussi – si chaque sujet grammatical correspondait au sujet logique et chaque prédicat grammatical au prédicat logique.

En réalité c'est loin d'en être ainsi.

a) L'extension de la notion "proposition" et de la notion "jugement" ne sont conformes que partiellement: ce n'est pas toute proposition qui est l'expression d'un jugement (par exemple, les propositions interrogatives, exclamatives...); ce n'est pas toujours qu'un jugement est exprimé moyennant une proposition.

b) Les termes de la proposition tels que "complément", "attribut", "complément circonstanciel" c. à. d. les mots explicatifs, – n'ont aucune conformité au jugement, au contenu de ses termes (dans le jugement on ne diffère que de deux termes: le sujet et le prédicat – logiques – sans prendre en considération la quantité de mots dans la proposition, par lesquels le jugement est exprimé).

Donc, les mots explicatifs ("complément", "attribut", "complément circonstanciel") ne peuvent pas être définis en se référant au jugement et ses parties.

c) "Le sujet" et "le prédicat" (grammaticaux) peuvent correspondre au "sujet" et "prédicat" (logiques) si le jugement est exprimé moyennant une proposition simple: ("*le soleil // luit*"); mais la conformité est inévitablement rompue si la proposition est complexe: ou le sujet (logique) sera exprimé par quelques mots, ou le prédicat (logique), ou même l'un et l'autre ("*Le soleil hivernal // luit terne par une journée brumeuse et froide*" – les deux premiers expriment le sujet logique, tous les autres mots – le prédicat logique).

Mais "le sujet" et "le prédicat" (grammaticaux) ne peuvent être composés par plusieurs mots pleins.

5. Le psychologisme prend pour base de la définition de la proposition la notion psychologique du jugement, mais pour ce qui concerne la conception de l'essence du jugement psychologique les opinions de différents auteurs divergent beaucoup plus que pour la conception du jugement dans les différents courants de la logique.

Cela veut dire que dans la syntaxe nous aurons autant de différentes définitions de la proposition, qu'il existe de différentes définitions du jugement psychologique. ("La combinaison des représentations" – Herbart – Paul; "la décomposition de la représentation composée" – Wundt; "le décomposition, la formation, l'objectivation" – Jerusalem; "l'attitude envers la représentation – reconnaissance ou négation" – Brentano; comp. la possibilité de la pensée sans images dans les expérimentations de Marbé.

L'analyse des opinions à propos de cette question de Herbart–Paul, de Wundt, de Jerusalem, de Brentano, des résultats des recherches expérimentales correspondantes de Marbé, de Bühler ne laissent pas de doute que le jugement, comme notion psychologique est une base encore plus précaire pour la définition de la notion syntaxique "proposition" que le "jugement" selon la conception de la logique traditionnelle et formelle: en appeler aux processus psychiques pour définir la proposition se trouve impossible car **à la même proposition** (groupe de mots, syntagme) peuvent correspondre **des processus psychiques (mentaux)** tout à fait **différents** chez la même personne à **des moments différents**, chez des différentes personnes – **au même moment**, comme le témoignent les résultats des recherches expérimentales des processus de la pensée.

La proposition comme fait lingual, à un certain moment est une donnée directement stable, tandis que les processus psychiques sont variables, instables et ne sont pas donnés directement. Décrire, définir le stable, en se basant sur l'instable, il est peu probable que cela puisse s'affirmer juste (plutôt – au contraire). C'est pour la définition de la proposition.

En ce qui concerne les termes de la proposition, certains d'entre eux comme "le complément", "l'attribut", "les circonstanciels" ne peuvent pas, en general, être caractérisés moyennant les parties du "jugement psychologique": ce dernier n'a aucune conformité pour "le complément", "l'attribut", "les circonstanciels".

De même il paraît impossible de définir "le sujet" et "le prédicat", comme l'expression du "sujet psychologique", du "prédicat psychologique": selon la situation psychologique ces derniers peuvent être exprimé par n'importe quel terme de la proposition; **le même terme de la proposition** dans différents contextes psychologiques, à de différents moments peut s'accuser et comme "sujet psychologique" et comme "prédicat psychologique"; plus que ça, le même terme de la proposition peut être "sujet psychologique" pour celui qui parle et "prédicat psychologique" pour celui qui écoute son interlocuteur: c'est que "le sujet" et "le prédicat" psychologiques sont déterminés d'après la succession (dans le processus de la pensée) – "le sujet" c'est ce qui précède, "le prédicat" ce qui suit "le sujet" (Paul). Tandis que les termes de la proposition ne peuvent généralement pas être qualifiés comme "sujet", "prédicat", selon la succession dans de processus de l'énonciation (dans les propositions: "*le soleil luit*", "*luit le soleil*" "le sujet grammatical" est le même "*le soleil*", "le prédicat" – "*luit*").

De telles notions, comme la représentation dominante (dominierende Vorstellung), la "représentation de l'arrière-plan" (zurücktretende Vorstellung)

avancées dans la conception de Wundt sont également sans perspective.

6. Lors des années de la domination du psychologisme dans la linguistique beaucoup de linguistes (Rozvadovski, Suterlin, Wegener, Blûmel... Ovsianiko-Koulikovsky, Fortounatov, partiellement Péchkovsky...) partaient des positions de principe du psychologisme en ce qui touchait la grammaire. Leurs travaux donnent assez de matériel pour juger de l'inconsistance théorique des positions de principe du psychologisme.

7. L'"immanentisme méthodologique", en particulier sa variété, connue sous le nom du "formalisme", s'oppose au "transcendantisme méthodologique" dans la grammaire descriptive.

Les représentants de ce courant essayent de caractériser "la proposition" (et ses termes) d'après les indices linguaux proprement dits. En qualité de ces indices sont employés: l'intonation et la pause (Peterson), le rythme et la mélodie (Péchkovsky), un tel trait de l'énonciation comme la continuité, la forme (et les propriétés morphologiques) des mots faisant partie de la proposition (Bouddet, Derjavin)...

Ainsi, cette variété de "l'immanentisme méthodologique" apparaît sous l'aspect de "phonétisme" et de "morphologisme" dans **la syntaxe**; elle s'oppose au "transcendantisme", mais ne peut pas être considérée comme immanentisme pour la syntaxe; le critère employé par elle pour la description des faits linguaux, bien qu'il soit linguale ne peut aucunement être considéré comme syntaxique: les notions syntaxiques sont définies d'après les indices phonétiques et morphologiques. Pour un fait syntaxique les indices phonétiques et morphologiques ne sont pas "immanents". Donc, le formalisme – phonétique, morphologique – dans la syntaxe ne s'affirme pas juste scientifiquement.

A part cela, ce formalisme, dans l'étude de la proposition, n'est pas dépourvu du psychologisme.

8. La langue est étroitement liée à la sphère psychique de l'homme. C'est ce qui conditionne la difficulté de la délimitation, la confusion des catégories de la langue et de la pensée, là où elle peut avoir lieu.

Le "transcendantisme" puise à la même source pour la description des faits de la langue.

En décrivant les faits de la langue, "le transcendantisme" essaye de tenir compte comme de la structure ainsi que des fonction (cela concerne et l'étude de la proposition et de ses termes, l'étude des parties du discours...). Avec cela habituellement la fonction est l'élément principal: en décrivant la structure, on part de la fonction. Avec cela "le transcendantisme" est argumenté par le rapport réciproque de la mentalité et de la langue.

Du point de vue de "l'immanentisme méthodologique" la tâche de la description se divise: d'abord "**comment**" (quelle est l'expression) et ensuite le **rapport** de ce "comment" à "quoi" (au désigné: le rapport aux actes de la conscience et de la réalité). L'étude de l'expression ("comment") – c'est l'étude de la **structure** de la langue. L'étude du rapport au désigné c'est l'étude des **fonctions** des faits linguaux.

"Le transcendantisme" dans l'étude des fonctions est aussi justifié que "l'immanentisme" dans l'étude de la structure.

9. L'étude de la proposition et de ses termes – selon notre avis – se rapporte au domaine de l'étude de la structure: la proposition est une notion structurale.

Cela suppose une certaine compréhension de l'objet d'études, des problèmes et de la méthode de la syntaxe.

Du point de vue de "l'immanentisme méthodologique" l'objet des études de la syntaxe est le groupe de mots (le syntagme).

Le groupe de mots est étudié dans la syntaxe du point de vue de ses **composants** et du **mécanisme** syntaxique: a) quel sont les parties composantes du syntagme et b) quels sont les rapports syntaxiques de ses parties composantes. Le dernier est la tâche essentielle; le premier est un degré préparatoire.

D'une telle conception de l'objet d'études et des tâches de la syntaxe s'en suit une certaine conception de la méthode, selon laquelle doivent se faire les notions syntaxiques.

La caractéristique syntaxique des parties du syntagme doit se donner d'après le rôle qu'elles jouent dans le mécanisme (la structure) du syntagme. L'indice essentiel des notions syntaxiques est déterminé d'après ce rôle.

"Le transcendantisme" forme les notions syntaxiques (et grammaticales, en général) en partant de la fonction, par un procédé déductif, à priori, tandis que "l'immanentisme" insiste sur la nécessité de former ces notions par un procédé inductif, en tenant compte des particularités de la langue étudiée, à posteriori.

10. Pour "l'immanentisme méthodologique" la proposition est une des variations du groupe de mots (du syntagme). Sa nature et ses particularités sont entièrement déterminées par la nature et les particularités des mots de la langue correspondante. Existe-t-il un groupe de mots correspondant, quel sont ses composants et son mécanisme, en quelles notions peuvent être caractérisées ses parties composantes – la réponse à toutes ces questions doit être donnée par une analyse concrète des groupes de mots de la langue correspondante. Tandis que la solution de cette question à priori en ne tenant compte que des fonctions ne peut être considérée comme justifiée du point de vue de "l'immanentisme".

Les notions "proposition", "sujet", "prédicat", "complément" ont été créées pour la première fois conformément aux langues indo-européennes.

L'analyse modèle d'une des langues indo-européennes, du russe, selon le principe de "l'immanentisme méthodologique" amène à des conclusions suivantes:

Le groupe de mots (le syntagme) est généralement formé du nom et du verbe, des mots déclinables et conjugables. Le rapport syntaxique des mots est réduit aux processus de "la rection", de "l'accord" et de "la parataxe". La "parataxe" est le degré zéro de la dépendance syntaxique. La proposition se forme des mots déclinables et conjugables, liés moyennant les processus de "la rection" et de "l'accord". Les termes de la proposition reçoivent alors, par exemple, une caractéristique syntaxique suivante: sujet – mot qui régit le verbe, ou mot dominant principal¹; prédicat – verbe, dépendant syntaxiquement du, régi² par le sujet; complément – nom, dépendant syntaxiquement du verbe ou du nom, régi par le verbe ou par le nom; attribut – nom, en accord avec le nom; les compléments

¹ C'est A. Chakhmatoff qui insistait sur le rôle du sujet dans la langue russe.

² Habituellement c'est l'usage de parler de l'accord du verbe avec le nom en personne, ce qui a un esprit de suite assez douteux.

circonstanciels – mots parataxiques variables ou invariables. Les processus syntaxiques de la rection et de l'accord remontent au sujet, comme au centre syntaxique du groupe de mots, – le sujet représente la dominante syntaxique de tout le syntagme dans la langue russe.

11. La structure (le mécanisme) de la proposition simple dans la vieille langue géorgienne est déterminée par le verbe.

Il est donc naturel d'anticiper à l'analyse syntaxique de la proposition la caractéristique morphologique et syntaxique du verbe dans la vieille langue géorgienne.

12. Du point de vue morphologique dans la vieille langue géorgienne on diffère des verbes de deux genres: les verbes absolus (subjectifs) et les verbes relatifs (subjectif-objectifs). Dans la conjugaison du verbe absolu ce n'est que la personne du sujet qui est désignée, du "sujet morphologique", tandis que dans les verbes relatifs – la personne comme du sujet, ainsi que de l'objet, du "sujet morphologique", de "l'objet morphologique".

Les verbes absolus se rapportent morphologiquement – moyennant les formants personnels – à un seul nom, tandis que les verbes relatifs de même, par les formants personnels – sont liés à deux noms, et, il se peut, à un troisième substantif (en cas de la désignation du pluriel de ce dernier).

Dans la langue géorgienne (et dans d'autres langues kartvéliennes), où la conjugaison est personnelle, il est juste de différer "le sujet", "l'objet" du point de vue des formants personnels du verbe: la série des formants-sujets – série **გ**-, **ვ**-, la série des formants-objets – série **ბ**- **მ**-. Par les formants de la série **გ**- **ვ**-, est désigné "le sujet morphologique", par les formants de la série **ბ**- **მ**- – "l'objet morphologique". Il faut différer de ces derniers "le sujet", "l'objet" d'après leur rôle syntaxique dans le groupe de mots (le syntagme), bref "le sujet syntaxique" et "l'objet syntaxique" ("le complément", plus précisément "l'objet proche": Fr. Müller).

"Le sujet morphologique" coïncide avec "le sujet syntaxique" si le verbe est unipersonnel, c. à d. dans les verbes absolus, dans les verbes de conjugaison subjective. Mais il est impossible de faire équivaloir "le sujet morphologique", "l'objet morphologique" – au "sujet syntaxique", à "l'objet syntaxique (complément)" si on a affaire à un verbe bipersonnel, un verbe de conjugaison subjectivo-objective, un verbe relatif (et ces verbes sont en majorité dans la langue géorgienne). Là se révèlent d'importantes diversités entre "le sujet" et "l'objet" du point de vue du système morphologique de la conjugaison du verbe et du point de vue du rapport syntaxique des mots dans la proposition (le syntagme).

13. Dans le plan syntaxique, du point de vue de la formation des syntagmes de différentes constructions, les verbes de la langue géorgienne se divisent en verbes "intransitifs" et verbes "transitifs".

Le verbe dont le sujet morphologique se trouve toujours au nominatif, et qui n'a pas "d'objet morphologique" (verbe absolu), ou s'il en a un (verbe relatif), il se trouve toujours au datif, ce verbe est intransitif.

Sont "transitifs" les verbes qui ont au passé principal (aorist) le sujet morphologique au cas narratif (ergatif) tandis que "l'objet morpho-

logique" se trouve au nominatif (le critère de l'objet du verbe transitif – "l'objet direct" – plus précisément: "l'objet proche" – se trouve au nominatif – a été pour la première fois mis en évidence par A. Chanidze).

D'après les définitions susmentionnés tous les verbes absolus (les verbes de la conjugaison subjective) seront intransitifs, tandis que les verbes relatifs (les verbes de la conjugaison subjectivo-objective) peuvent être aussi bien transitifs qu'intransitifs.

14. En tenant compte de leurs particularités et morphologiques et syntaxiques les verbes de la langue géorgienne (resp. de la vieille langue géorgienne) forment trois groupes: les verbes absolus-intransitifs, les relatifs-intransitifs et les relatifs-transitifs.

Conformément à cela il est naturel de différencier des propositions de trois types:

I. Proposition avec un verbe absolu-intransitif,

II. Proposition avec un verbe relatif-intransitif,

III. Proposition avec un verbe relatif-transitif.

Le plus simple de ces types – et par le contenu des termes du syntagme et par le mécanisme syntaxique – c'est le premier, le plus compliqué est le troisième; le deuxième type est un aspect simplifié du troisième.

15. Le premier type contient: un verbe absolu-intransitif + un nom au nominatif (sujet morphologique, MS): დგა-ს იგი *dga-s igi* "il est debout", კუდები-ს იგი *kwdebi-s igi* "il meurt".

Le deuxième type contient: un verbe relatif-intransitif + un nom datif (objet morphologique, MO) indépendamment des temps: au présent: ხ-უკუდები-ს იგი მას *x-ukwdebi-s igi mas* "il lui meurt" – passé principal (aorist): მო-ხ-უკუდა იგი მას *mo-x-ukwd-a igi mas* "il lui est mort".

Le troisième type contient:

a) un verbe relatif-transitif au présent + un nom au nominatif (MS) + un nom au datif (MO) [+ un nom au datif, ainsi dit, "le second MO"]; ხ-კლავ-ს იგი მას *x-klav-s igi mas* "il le tue", ხ-თხოვ-ს იგი მას მას *x-txov-s igi mas mas* "il le lui demande". C'est ainsi au présent et dans tous les temps formés sur le thème du présent (à l'imparfait, au premier subjonctif).

b) Un verbe relatif-transitif au passé principal (aorist) + un nom au narratif (c. à. d. à l'ergatif MS) + un nom au nominatif (MO) [+ un nom au nominatif, le second MO] + un nom au datif (MO): მო-კლ-ა მან იგი *mo-kl-a man igi* "il l'a tué", ხ-თხოვ-ა მან მას იგი *x-txov-a man mas igi* "il le lui a demandé" (construction ergative). Une telle construction ergative est conservée dans les temps formés sur le thème du passé principal: au passé habituel (permansif), au deuxième subjonctif.

c) Un verbe relatif-transitif au troisième groupe des temps (résultatif) + un nom au nominatif (MS) + un nom au datif (MO) [+ un nom au génitif avec une

postposition, qui n'est pas marqué morphologiquement dans le verbe]: მო-ხ-უკლავ-ს მას იგი *mo-x-uklav-s mas igi* "il paraît qu'il l'a tué", ხ-უთხოვიე-ს მას იგი მისდა *x-utxovie-s mas igi misda* "il paraît qu'il le lui a demandé".

16. Le mécanisme d'une proposition avec un verbe *absolu-intransitif* est déterminé en général par le processus de la rection. Le sujet morphologique détermine la personne du verbe et son nombre. Le nom (MS) est le *dominant* tandis que le verbe est *dépendant*. Le sujet morphologique est le sujet grammatical et le verbe est le prédicat grammatical. Il ne peut pas y avoir d'objet morphologique.

Une proposition avec un verbe *absolu-intransitif* est habituelle pour les langues où le verbe ne varie qu'en personne du sujet (telle est par exemple la conjugaison des verbes dans les langues indo-européennes).

Un tel type de proposition dans la vieille langue géorgienne, au point de vue syntaxique ne contient rien de spécifique.

17. En ce qui concerne les propositions avec les verbes relatifs – soit-ce un verbe **relatif-transitif** (du type ხ-კლავ-ს იგი მას *x-klav-s igi mas* "il le tue", ხ-თხოვ-ს იგი მას მას *x-txov-s igi mas mas* "il le lui demande") ou un verbe **relatif-intransitif** (du type ხ-უკუდები-ს იგი მას *x-ukwdebi-s igi mas* "il lui meurt") de telles propositions, d'après leur **structure syntaxique**, sont aussi insolites pour les langues indo-européennes que la conjugaison **relative**, subjectivo-objective, que leur sont insolites les formes **bipersonnelles** du verbe dans les propositions correspondantes.

L'originalité de la **structure syntaxique** de la proposition est conditionnée par l'originalité de la **structure morphologique** du verbe.

Un trait propre à la structure syntaxique des propositions géorgiennes avec un verbe relatif est exprimé dans deux phénomènes syntaxiques d'une importance cardinale:

a) **Le cas de déclinaison du "s u j e t morphologique" autant que celui de "l' o b j e t morphologique" sont déterminés par le verbe, ils dépendent du verbe.**

b) **Les formes personnelles du verbe dépendent de "l'objet morphologique" autant que du "sujet morphologique".**

Bref, "le sujet morphologique" et "l'objet morphologique" se trouvent être des valeurs *syn tax i q u e m e n t* équivalentes, **dépendent** également du verbe, **déterminent** au même degré les formes personnelles du verbe. La polarité syntaxique du sujet et de l'objet, du sujet grammatical et du complément "direct" connue dans les langues indo-européennes n'existe pas.

Au lieu de la rection, comme rapport syntaxique, ici on peut parler de la "**coordination**" des terms de la proposition.

Par le terme "coordination" (lat. *coordinatio*) nous désignons **la forme complexe de rapport syntaxique** entre le verbe et les noms quand **les cas de déclinaison MS et MO dépendent du verbe**, sont régis par le verbe, tandis que **les personnes (et le nombre) du verbe dépendent de MS et de MO.**

Il n'est plus question de la dépendance *e x c l u s i v e* du verbe-prédicat du sujet; on ne peut pas considérer le sujet comme *dominant*, de même que le complément "direct", comme *dépendant* du verbe, régi par lui.

Les notions "sujet", "prédicat", "complément" sont remplacées par la notion "coordonnées" (lat. *coordinatae*) – c. à d. "t e r m e d e c o o r d i n a t i o n"–, soit-ce un verbe relatif ou des noms corrélatifs.

18. Dans les propositions avec un verbe relatif on peut mettre en relief: "la coordonnée principale", "la coordonnée majeure", "la coordonnée mineure", "la moindre coordonnée". "**La coordonnée principale**" (*c o o r d i n a t a p r i n c e p s*) c'est le **verbe relatif, déterminant les cas de déclinaison et MO et MS et constituant le centre de la coordination**. Les autres coordonnées sont des noms (MS, MO).

19. "**La coordonnée majeure**" (*c o o r d i n a t a m a j o r*) c'est le nom dont dépendent la **personne** et le **nombre** du verbe: la personne est marquée, le verbe s'accorde avec le nom en nombre.

"**La coordonnée mineure**" (*c o o r d i n a t a m i n o r*) c'est le nom dont ne dépend que la **personne** du verbe (le verbe ne s'accorde pas avec le nom en nombre).

"**La moindre coordonnée**" (*c o o r d i n a t a m i n i m a*) sera le nom avec lequel le verbe ne s'accorde qu'en nombre tandis que sa personne n'a pas d'expression, n'est pas marquée dans la conjugaison du verbe.

20. A part ces coordonnées ("principale", "majeure", "mineure", "moindre") il ne peut pas y en avoir d'autres dans la vieille langue géorgienne, car dans le verbe relatif peuvent être marqués ou seulement **le pluriel** du nom – au nominatif (MO second), ou seulement **la personne** du nom (MO – au datif), ou et la **personne et le pluriel du nom** (MS – à l'ergatif et au nominatif).

21. L'hierarchie formée par les coordonnées-noms ("majeure", "mineure", "moindre") est déterminée par le rôle syntaxique que chacune d'elles joue. La dépendance du verbe du nom au pluriel sert de critère pour délimiter le rôle de la coordonnée-nom: le verbe s'accorde-t-il avec le nom au pluriel. Sous ce rapport les règles suivantes sont caractéristiques pour la vieille langue géorgienne.

a) Avec le cas nominatif au pluriel, s'il est formé à l'aide du suffixe **-ბ- -n-** (ქვა-ბ-ი *kva-n-i* "les pierres") le verbe dans la vieille langue géorgienne s'accorde toujours et lorsque le nom est employé comme MS et lorsque il est MO: მოწაფე-ბ-ი იტყვან *mocape-n-i itqvy-an* "les élèves disent", მან შეკრიბ-ბ-ა მოწაფე-ბ-ი *man šekrib-n-a mocape-n-i* "il réunit les élèves".

b) Avec le cas nominatif au pluriel, s'il est formé à l'aide du suffixe **-ებ- -eb-** le verbe du vieux géorgien ne s'accorde généralement pas, ni lorsqu'il est MS, ni lorsqu'il sert de MO: აღფრინდა სირ-ებ-ი *ax-prind-a sir-eb-i* "les oiseaux ont pris leur vol" (littéralement: "les oiseaux a pris son vol").

c) Avec le cas narratif (ergatif, toujours MS) au pluriel le verbe s'accorde absolument en nombre: მოწაფეთა თქუეს *mocapeta tkw-es* "les élèves ont dit".

d) Avec le cas datif (toujours MO) au pluriel le verbe du vieux géorgien ne s'accorde pas à la deuxième et troisième personnes, tandis qu'à la première personne l'accord est facultatif. En général le verbe ne s'accorde pas (dans le vieux géorgien) avec le datif au pluriel.

22. Le cas nominatif pluriel des noms formés à l'aide du suffixe **-ႁბ- -eb-** par son rôle **s y n t a x i q u e** se trouve à un degré inférieur que le nominatif des noms formés à l'aide du suffixe **-ბ- -n-** (le verbe ne s'accorde pas en nombre avec le premier).

Par suite de cela, si le nominatif avec le suffixe **-ბ- -n-** était une coordonnée majeure, le même cas nominatif avec le suffixe **-ႁბ- -eb-** devient "une coordonnée mineure".

Conformément à cela "la coordonnée mineure" est ravalée au degré de "la moindre coordonnée".

23. Affirmer que le même cas (le nominatif, MS) présente une **valeur syntaxique** identique sans tenir compte de ce qu'il est MS d'un verbe **absolu** ou **relatif** (subjectif-objectif) c'est la même chose que d'affirmer que les **verbes absolus et relatifs** présentent une même valeur morphologique. Une telle affirmation amènerait à ignorer les traits propres à la syntaxe géorgienne et d'autres langues kartvéliennes.

24. La proposition – en tenant compte des particularités de la structure de la langue géorgienne – peut être définie comme un groupe de mot (un syntagme) formé d'un verbe et d'un nom (resp. de noms) sur la base de "coordination" ou de "rection" (de coordination dans un syntagme avec un verbe relatif, de rection – dans un syntagme avec le verbe absolu).

დამატება I

გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები¹

I

გრამატიკის აგებულების საკითხი თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების ერთ-ერთი უაღრესად მწვავე, მასთან, მოუგვარებელი საკითხია.

ამავე დროს ამ საკითხს განსაკუთრებული პრაქტიკული ინტერესიც ახლავს: სკოლა ენათმეცნიერების არც ერთი საკითხით არაა ისე დაინტერესებული, როგორც გრამატიკის საკითხით.

ეს საკითხი მეთოდოლოგიურიც არის და მეთოდიკურიც, მასთან იგი მთელ რიგ სხვა საენათმეცნიერო საკითხებთანაა შინაგანად დაკავშირებული.

ცნობილია, რომ გრამატიკა შეიძლება იყოს ისტორიულ-შედარებითი და აღწერითი (სტატიკური). ისტორიული გრამატიკის საფუძველზე შეიქმნა ენათმეცნიერება. ამჟამად ენათმეცნიერების ძალა ისტორიული გრამატიკის ძალაა, ენათმეცნიერების სისუსტე, საკმაოდ ნაწილში, აღწერითი (სტატიკური) გრამატიკის სისუსტეა.

2. რა იწვევს აღწერითი (სტატიკური) გრამატიკის სისუსტეს?

ა) ენობრივი მოვლენათულობა: სიტყვას თუ შესიტყვებას რამდენიმე მხარე აქვს; ენობრივი ფაქტის შესწავლისას ზოგიერთს ეყრდნობა, ზოგი მეორეს იყენებს ამოსავლად: ენობრივი მოვლენის სირთულე თვალსაზრისითა ნაირ-ნაირობის წყაროა.

ბ) ენობრივი მოვლენა მდინარია: სხვადასხვა კონტექსტში ერთი და იგივე მონაცემი სხვადასხვა ფუნქციით აღჭურვილი ჩანს; მდინარი მოვლენა გარდამავალ კატეგორიას მოასწავებს; გარდამავალი კატეგორია კი მერყევ რუბრიკას ნიშნავს, ე. ი. კლასიფიკაციის მტერია. ასე რომ, ერთი რომელიმე გარკვეული თვალსაზრისით მოვლენათა კლასიფიკაციისას მტკიცე რუბრიკების მიღება ჭირს (კლასიფიკაციის გარეშე სხვა

¹ წაკითხულია მოხსენებად ენიკი-ს საენათმეცნიერო განყოფილებათა გაერთიანებულ სხდომაზე 1937 წლის 5 თებერვალს [პირველად დაიბეჭდა სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მოამბეში 1940 წ., ტ. I, გვ. 157-162, 241-246].

გზა ენობრივ მოვლენათა აღწერისა ჯერჯერობით არა ჩანს: პეშკოვსკის ექსპერიმენტული ძიება და შჩერბას თავისებური ცდა გარკვეულობას მოკლებულია, კლასიფიკაციის მაგივრობას ვერ ეწევა).

გ) სტატისტიკური ანალიზი ისტორიული ძიებით მოპოვებულ შედეგებს ვერ მიჰყვება, ისტორიული ენათმეცნიერების მიღწევებს ჩამორჩება: სასკოლო ტექნიკურ გრამატიკაში ცალკე სიტყვას (ფლექსიებს ანუ დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსებს; ფუძეთა წარმოებას, ფუძეთა მნიშვნელობას) შეისწავლიდა ეტიმოლოგია. ეტიმოლოგია შეიცავდა მოძღვრებას მეტყველების ნაწილების შესახებ... მეცნიერულ გრამატიკაში ცალკე სიტყვა სემასიოლოგიის, მორფოლოგიისა და ეტიმოლოგიის შესწავლის საგანს წარმოადგენს. მეცნიერული ცოდნის გაღრმავებამ, მოვლენის უფრო ზუსტმა და მრავალმხრივმა შესწავლამ ახალი საენათმეცნიერო დარგების გამოყოფა გამოიწვია. ენათმეცნიერული დარგების ეს დიფერენციაცია ენათმეცნიერული ცოდნის პროგრესის ბუნებრივი გამოხატულებაა.

მეტყველების ნაწილთა შესახებ მოძღვრებას ეს ცვლილება, შეიძლება ითქვას, არ დასტყობია. იმ ცვლილებებიდან, რომელთაც სიტყვის შემსწავლელ დარგებში ჰქონდა ადგილი, სათანადო დასკვნა არ გაკეთებულა მეტყველების ნაწილთა შესახებ მოძღვრებისათვის: აქ აღწერითი გრამატიკა ჩამორჩება ისტორიულს (შესიტყვების შესწავლისას ანალოგიური თვალსაზრისის გამოყენება მით უფრო საძნელო უნდა ყოფილიყო, რომ სტატისტიკის ადგილი ენათმეცნიერულ დარგთა შორის ჯერაც სადაოა: აქ თვით ისტორიული ენათმეცნიერება და მასზე დამყარებული ზოგადი ენათმეცნიერებაა ჩამორჩენილი).

ჩვენს სინამდვილეში, — ქართული ენის შესწავლისას, — ყველა ზემოხსენებულს ახალი სიძნელეც დაერთვის: სახელდობრ, ის რომ ფაქტობრივი ვითარება არ არის სათანადოდ შესწავლილი (თუმცა არც ისეთი უნუგემო მდგომარეობაა, რომ ქართულის შეუსწავლელივით გამართლდეს ტრადიციული სასკოლო გრამატიკის გაბატონება სკოლებში).

3. რაა მეტყველების ნაწილი? რამდენია მეტყველების ნაწილი? რაა წინადადება? ქვემდებარე? დამატება? განსაზღვრება? — ესა და არა ერთი სხვა საკითხი თანამედროვე მეცნიერულ გრამატიკაში სხვადასხვაგვარად შუქდება; ეს სხვაობა ზოგჯერ ტექნიკურ-რედაქციული ბუნებისაა და ტერმინოლოგიური ხასიათისა ჩანს, ზოგჯერ კი იმდენად არსებითია, რომ ერთსა და იმავე კითხვაზე გაცემულ ორ პასუხს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვს. ასეთ პირობებში სრულიად მიზანშეუწონელია დავა იმის შესახებ, ეს განმარტებაა სწორი თუ ის; ერთადერთი გამოსავალია სხვაობათა სათავის დაძებნა და დავის გადატანა ამოსავალდებულებებზე. **ძირითადი ამოსავალი პრინციპების** გარკვევის შემ-

დღე ამა თუ იმ ცნების განსაზღვრა ტექნიკური ხასიათის სიძნელეებს თუ წააწყდება; ტექნიკური სიძნელე კი, რა სახატაბალოც არ უნდა იყოს იგი, მაინც ნაკლები უბედურებაა, ვინემ პრინციპული შეცდომა, თუნდაც სულ მცირე ოდენობისა.

ამ მიმართულებით უნდა ვეძებოთ იმ ძირითადი სიძნელის მოგვარება, რომელთა შესახებ § 2, ა და ბ მუხლებში გვქონდა საუბარი (ენობრივი მოვლენის სირთულე და მდინარობა).

4. აღწერიტი გრამატიკის ცნებათა განსაზღვრისას საკითხთა საკითხია — ბუნება ამ ცნებებისა. ენობრივი მოვლენის შესწავლისას ჩვენ გასათვალისწინებელი გვაქვს მოვლენის სტრუქტურა და ფუნქცია. ცნებებიც ამის შესაბამისად შეიძლება იყოს სტრუქტურული თუ ფუნქციონალური ანდა სტრუქტურულ-ფუნქციონალური.

ამისდა კვალად ძირითადი საკითხი, საკითხთა-საკითხი ისეთი ცნებების განსაზღვრისას, როგორცაა „მეტყველების ნაწილი“, „წინადადება“, „ქვემდებარე“, „დამატება“ და სხვ., იმის გარკვევაში მდგომარეობს, სტრუქტურული ცნებებია ეს ცნებები თუ ფუნქციონალური. თუ სტრუქტურულია, მაშინ ცხადია, ამ ცნებების განსაზღვრისას მოვლენის სტრუქტურის დამახასიათებელი არსებითი მომენტები უნდა იქნეს მოცემული; თუ ფუნქციონალურია, მოვლენის ფუნქციის დამახასიათებელი არსებითი მომენტები უნდა იქნეს ნაჩვენები¹.

ამ კითხვის დასმა გულისხმობს მეორე, უფრო ზოგადი კითხვის დასმასაც: რა არის გრამატიკა? რას სწავლობს გრამატიკა — ენობრივი მოვლენის სტრუქტურას თუ ფუნქციებს?

5. გრამატიკა შეისწავლის ამა თუ იმ ენის სტრუქტურასა და ფუნქციებს. გრამატიკაში შედის ყველა ის დარგი, რაც ენის შესწავლისას მეცნიერული თვალსაზრისით მიიღება: ფონეტიკა, მორფოლოგია, სემასიოლოგია, (ეტიმოლოგია), სინტაქსი, სტილისტიკა. გრამატიკა იგივე

¹ შეიძლება გვითხრან: სტრუქტურის ცნებებიც რაღაც ფუნქციებზე მიუთითებსო (მაგ., „მმართველი“, „მართული“ სტრუქტურული ცნებებია, მაგრამ სათანადო სიტყვების სინტაქსური ფუნქციების მიხედვით არის გამოყოფილი) და, მაშასადამე, არ შეიძლება გავთიშოთ „ფუნქციონალური“ და „სტრუქტურული“ მომენტებიო.

„ფუნქციონალური“ აქ გვესმის უფრო ვიწროდ: როგორც ნივთობრივი მნიშვნელობის მატარებელი სიტყვებსა და შესიტყვებაში. „სტრუქტურული“ მოკლებულია ასეთ ნივთობრივ მნიშვნელობას. „ფუნქციონალური“ ამ გაგებით უფრო საერთოა ენებისათვის. „სტრუქტურული“ კი თავისებური შეიძლება იყოს ყოველ ენაში.

ენათმეცნიერებაა, ოღონდ „კერძო ენათმეცნიერება“. ამიტომ ის ეხება გარკვეულ ენას ანდა ერთმანეთთან გენეტურად დაკავშირებულ ენებს (შედარებითი გრამატიკა). ეს „კერძო ენათმეცნიერება“ იმით კი არ განსხვავდება „ზოგადი ენათმეცნიერებისაგან“, რომ მასში ენის გარკვეული მხარეები — (მაგალ., ფორმები) შეისწავლება, არამედ იმით, რომ მას ცალკეულ ენასთან აქვს საქმე; ზოგადი ენათმეცნიერება კი შეისწავლის ამა თუ იმ ენის მოვლენებს, რამდენადაც ეს მოვლენები, საერთოდ, ენის რაობისათვის, მასში არსებული კანონზომიერების გარკვევისათვის არის საგულისხმო. თავისთავად ცხადია, რომ ზოგადი ენათმეცნიერება ცალკეულ ენათმეცნიერული გრამატიკის საფუძველზე აიგება. შეუძლებელია არსებობდეს „ზოგადი მეცნიერული გრამატიკა“: თუ ის მეცნიერულია, ცალკე ენა ექნება ობიექტად და, მაშასადამე, ზოგადი ვერ იქნება; თუ ის ზოგადია, მეცნიერული ვერ იქნება: მოვიგონოთ „ზოგადი ანუ რაციონალური გრამატიკა“.

„ენათმეცნიერება“ — ცნების რეალურ შინაარსს „ზოგადი ენათმეცნიერება“ და „კერძო ენათმეცნიერებანი“ ანუ ცალკე ენათმეცნიერული გრამატიკები (ისტორიულ-შედარებითი თუ აღწერითი) შეადგენენ.

„მეცნიერული გრამატიკის“ მნიშვნელობით „კერძო ენათმეცნიერების“ ხმარება უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ის ერთი იყოს ისევე, როგორც ერთია „ზოგადი ენათმეცნიერება“. მაგრამ „მეცნიერული გრამატიკა“ იმდენია, რამდენიც არის ენა და ამიტომ ტერმინ „კერძო ენათმეცნიერების“ გამოყენება უხერხული გამოდის. საინტერესოა, რომ ფრანგულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში „მეცნიერული გრამატიკის“ მნიშვნელობით „ენათმეცნიერება“ — ტერმინის ხმარების შემთხვევები გვაქვს: „ფრანგული ენათმეცნიერება“ (ე. ი. ფრანგული ენის მეცნიერული გრამატიკა) დაპირისპირებით „ზოგად ენათმეცნიერებასთან“.

6. ენის მეცნიერული შესწავლისას მიიღება ფონეტიკა, მორფოლოგია, სემასიოლოგია, (ეტიმოლოგია), სინტაქსი, სტილისტიკაო, რომ ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს აფიქსებიანი ენები, ე. ი. ფლექსიური და აგლუტინაციური ტიპის ენები (კავკასიური ენები, სემიტური ენები, უნგრულ-ფინური და თურქულ-თათრული ენები, ინდო-ევროპული ენები...).

აფიქსებიანს ენებში მეტყველების ბუნებრივ რეალურ ერთეულს შესიტყვება (სიტყვათა შენაერთი, სინტაგმა) და სიტყვა შეადგენს, სიტყვა შესიტყვების წევრია, მასში წარმოადგენს რეალურ, ცოცხალ ოდენობას.

შესიტყვების ფუნქციებს სტილისტიკა შეისწავლის, შესიტყვების სტრუქტურას — სინტაქსი, სიტყვის ფუნქციას — სემასიოლოგია, სტრუქტურას — მორფოლოგია, სიტყვის პირველადი

ფუნქციის ერთ-ერთი მხარის — პირვანდელი ქარაქტერისტიკის დადგენა ეტიმოლოგიის საქმეა. ფონეტიკა თითქოს არც ფუნქციებს სწავლობს და არც სტრუქტურას, არამედ იმ მასალას, რომელთაგან ამ ფუნქციისა და სტრუქტურის მქონე ენობრივი მოვლენა აიგება, მაგრამ ამ მასალაში მომხდარ ცვლილებათა გაუთვალისწინებლად სტრუქტურის რაობაც ძნელი გასარკვევი ხდება და ფუნქციების სწორი კვალიფიკაციაც ბრკოლდება. ამიტომ ფონეტიკა მეცნიერული გრამატიკის დამხმარე დისციპლინა კი არ არის, არამედ მისი ორგანული ნაწილია. ფონეტიკას საქმე აქვს როგორც სიტყვასთან, ისე შესიტყვებასთან.

ფუნქციაზე რომ ვლაპარაკობთ, მნიშვნელობა იგულისხმება, სტრუქტურა ფორმას ნიშნავს. შედარებით გარკვეულია, რა იგულისხმება, როცა „სიტყვის მნიშვნელობაზე“ ვლაპარაკობთ. მაგრამ ასევე გარკვეული არაა „შესიტყვების მნიშვნელობა“, როგორც სტილისტიკის საგანი. „დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს“ — ამ შესიტყვების მნიშვნელობა კოსმოგრაფიას ეხება და არა სტილისტიკას, რამდენადაც აქ წარმოდგენილი მეცნიერული დებულება, ობიექტური ჭეშმარიტება, გვაქვს მხედველობაში. ეს მეცნიერული დებულება წარმოადგენს დამთავრებულ აზრს. ამ აზრს ლოგიკაც და ფსიქოლოგიაც შეისწავლის გარკვეული თვალსაზრისით. სტილისტიკისათვის რაღა დარჩა? ამ შესიტყვების შესწავლა მასში წარმოდგენილ აზრთა მიმართებაში, შესიტყვების აგებულების განხილვა მით გადმოცემული აზრის აგებულებასთან დაკავშირებით, შესიტყვებაში შემავალ სიტყვათა ურთიერთობის გარკვევა გადმოსაცემი აზრის თვალსაზრისით.

ამ უკანასკნელ მიზანთანაა დაკავშირებული ცალკე სიტყვის მნიშვნელობის ისეთი მომენტის შესწავლა, რომელიც შესიტყვებაში გაჩნდება ხოლმე, ანდა ცალკე სიტყვის მნიშვნელობის ემოციური იერი, რომელსაც სათანადო ობიექტისადმი მეტყველის დამოკიდებულება იწვევს.

გარკვეულს პირობებში (სუბიექტური სტილი) სტილისტიკის საგნად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყოველნაირი ენობრივი მონაცემი: არა მარტო სიტყვის მნიშვნელობა, არამედ სიტყვის ფორმაც, სიტყვის ფუძის წარმოება, სიტყვის ბგერითი შედგენილობაც, — რამდენადაც ყველაფერი ეს გადმოსაცემ საშუალებას წარმოადგენს გარკვეული ობიექტური ვითარებისათვის.

ამ მხრივ, სტილისტიკა ფონეტიკას მოგვაგონებს: თუ ფონეტიკა მასალის ხაზით მთელს ენას წვდება, სტილისტიკასაც შეიძლება აინტერესებდეს ყოველი ენობრივი მოვლენა ექსპრესიული ფუნქციის თვალსაზრისით, ე. ი. როგორც გადმოსაცემი საშუალება.

- შესასწავლი ობიექტი:
- ა) ბგერები, ბგერათა ცვლილება, მახვილი, ინტონაცია (სასიტყვო, წინადადებისა)
 - ბ) მეტყველების ნაწილები... ბრუნება, უღვლილება
 - გ) ფუძის მნიშვნელობა (ენის ლექსიკა), ფუძე — მარტივი, რთული და ნაწარმოები: (ფუძის საწარმოებელი აფიქსებითურთ), სიტყვათა სემანტიკური დაჯგუფება
 - დ) ფუძის მნიშვნელობაში ჩამარხული პირვანდელი ქარაქტერისტიკა
 - ე) შესიტყვების აგებულება (სიტყვათა ურთიერთობა შესიტყვებაში — აგებულების მხრივ)...
 - ვ) შესიტყვების მნიშვნელობა (ანალიზი შესიტყვებისა გადმოსაცემი შინაარსის თვალსაზრისით); აგრეთვე მნიშვნელობა ბრუნვათა, დროთა, კილოთა, გვართა, ქცევათა... მნიშვნელობა დამხმარე სიტყვათა (კავშირთა, თანდებულთა) და ნაწილაკთა, რამდენადაც ეს მნიშვნელობა შესიტყვებაში ირკვევა

- შემსწავლელი დისციპლინა:
- ფონეტიკა
 - მორფოლოგია
 - სემასიოლოგია
 - ეტიმოლოგია
 - სინტაქსი
 - სტილისტიკის საგანი

სრული ანალიზი ყველა¹ ამ მომენტის მიხედვით უნდა ჩატარდეს. ამ თავითვე ცხადია, რომ მორფოლოგიას კავშირი აქვს სემასიოლოგიასთანაც (ფუძის საწარმოებელი აფიქსები!), სტილისტიკასთანაც (ბრუნვათა, დროთა, კილოთა, გვართა... მნიშვნელობა), სინტაქსთანაც...

ამ დარგების დაკავშირება კი არაა ძნელი, — კავშირი მოცემულია, — არამედ გამიჯვნაა რთული. ზოგ შემთხვევაში ეს მეტად მწვავედ იგრძნობა. განსაკუთრებული ამაში არაფერია: ყველა მეცნიერებაში, სადაც შესასწავლი ობიექტის ახალ მხარეთა გარკვევა ახალ დარგებს აჩენს, ამ დარგების გამიჯვნის საკითხი ანალოგიური სახითა დგას. ამდენადვე ეს სირთულე ბუნებრივია.

¹ ერთადერთ გამონაკლისს ეტიმოლოგია წარმოადგენს; მეცნიერული ეტიმოლოგია შეიძლება იყოს მხოლოდ ისტორიული გრამატიკის დარგი და არა — სტატიკურისა: ასეა ფაქტობრივ. პრინციპში კი ისტორიული ძიების გარეშეც შეიძლება მივიღოთ სიტყვის მეცნიერული ეტიმოლოგია.

II

7. აღწერითი მეცნიერული გრამატიკის გავრცელებული გაგების თანახმად, გრამატიკა არის მოძღვრება ენის ფორმების შესახებ; შესაბამისად გრამატიკის დარგებია: მორფოლოგია და სინტაქსი. მორფოლოგია ცალკე სიტყვას სწავლობს, სინტაქსი — წინადადებას ან შესიტყვებას. რა თვალსაზრისით? თითქოს ფორმის თვალსაზრისით. ნამდვილად კი სემასიოლოგიური და სტილისტიკური მომენტები მაინც შემოდის მეტ-ნაკლები ოდენობით, რამდენადაც გრამატიკაში სემასიოლოგია-სტილისტიკისათვის ადგილი არ რჩება; და ამიტომ მორფოლოგიურ-სინტაქსური ცნებები ჭრელია, თავისი ბუნებით ეკლექტიკურია, სხვადასხვა ნიშნების მიხედვით ხასიათდება, სემასიოლოგიური და სტილისტიკური ანალიზის მაგივრობას კი მაინც არ ეწევა.

ამგვარად, ფორმალისტურ კონცეფციაში ყველაზე სუსტ ადგილს წარმოადგენს სემასიოლოგია და სტილისტიკის დატოვება გრამატიკის გარეთ, გრამატიკის საგნის შეზღუდვა ენის ფორმებით, გრამატიკის დარგებად მხოლოდ მორფოლოგია-სინტაქსის მიჩნევა.

ამით ფორმალისტური გრამატიკა დაშორდა ენათმეცნიერებას, მოსწყდა იმ მიღწევებს, რომლებიც ახალი დარგების გამოყოფაში გამოიხატა: ამით ფორმალისტური გრამატიკა ჩადა სასკოლო ტრადიციული გრამატიკის ფარგლებში, წამოაყენა რა მორფოლოგია და სინტაქსი სასკოლო ტრადიციული გრამატიკის ეტიმოლოგია-სინტაქსის ნაცვლად; ამითვე მოესპო ფორმალისტურ გრამატიკას პრინციპული შესაძლებლობა შესიტყვებისა და სიტყვის ყოველმხრივი ანალიზი მოეცა, თვით მორფოლოგიასა და სინტაქსში კიდევ ობიექტის შესაბამისი საზომი მოეპოვებინა და სათანადოდ დაეხასიათებინა სათანადო ცნებები.

ფორმალისტური გრამატიკის მნიშვნელოვანი დამსახურებისდა (სიტყვის ფორმის რაობის გარკვევა და ფორმის სპეციფიკური ლოგიკის მიკვლევა) მიუხედავად, შემოხსენებული მიზეზების გამო იგი მოკლებულია შესაძლებლობას გაათავისუფლოს თანამედროვე აღწერითი გრამატიკა ტრადიციული სასკოლო გრამატიკის ტირანიისაგან და სათანადოდ დასვას ის რთული საკითხები, რომელთა მოუგვარებლად აღწერითი გრამატიკა თანამედროვე ენათმეცნიერული აზროვნების დონეზე ვერ იდგება.

8. რატომ არის საჭირო ფუნქციონალური და სტრუქტურული ანალიზი ცალკე ჩატარდეს? განა უმჯობესი არ არის, ამათუ იმ ცნების დახასიათება ვაწარმოოთ ერთსა და იმავე დროს სტრუქტურული და ფუნქციონალური ნიშნების მიხედვით? ასეთი გაერთიანება შესაძლებელი იქნებოდა, ნივთიერი მნიშვნელობა რომ ფორმალურ მნიშ-

ვნელობას განსაზღვრავდეს, სიტყვის მნიშვნელობას რომ სიტყვის ფორმა მოჰყვებოდეს (საგნის აღმნიშვნელი სიტყვა ყველა ენაში იბრუნვოდეს, მოქმედების აღმნიშვნელი იუღვლოდეს და სხვ.), შესიტყვების მნიშვნელობა შესიტყვების აგებულების საკითხს წყვეტდეს... მაგრამ ეს პირობა არა გვაქვს. ერთი და იმავე მნიშვნელობის შესიტყვება სხვადასხვა ენაში შეიძლება სულ სხვადასხვა აგებულებისა იყოს; მეორე მხრივ, ერთსა და იმავე ენაში სხვადასხვა დროს შეიძლება განსხვავებული აგებულებისა აღმოჩნდეს (შდრ.: კატამ თაგვი დაიჭირა და *кошка поймала мышь...* ძვ. ქართ.: კატებს თაგუნი დაუჭირვან და ახ. ქართ.: კატებს თაგვები დაუჭერიათ...); ასევე: ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე სიტყვა ქართულში, რუსულში, ჩინურში ერთი და იმავე ფორმის მქონე არ არის (*добрый*, კეთილი და ჰაო...).

ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა ენათმეცნიერების საფუძვლად იმიტომ იქცა, რომ მან ცხადყო მეტყველების მრავალსახეობა ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ენაში, სხვადასხვა დროს — ერთსა და იმავე ენაში. ამით პრინციპული მარცხი განიცადა რაციონალურმა გრამატიკამ, რომელიც ლოგიკის კატეგორიებზე დაყრდნობით ცდილობდა დროისა და სივრცის გარეშე აღებული მეტყველებითი კატეგორიები ჩამოეყალიბებინა.

ამრიგად, სტრუქტურული და ფუნქციონალური ანალიზის გაერთიანება პრინციპულ დაბრკოლებას ხვდება.

პრაქტიკულადაც საჭიროა ამ ორი თვალსაზრისის გამიჯვნა, სტრუქტურული და ფუნქციონალური მომენტების სხვაობის გახაზვა. მხოლოდ ამრიგად შეიძლება ტრადიციული გრამატიკის მიერ ნაანდერძე გაუგებრობებს თავი დავაღწიოთ.

თუ როგორი დიდია ამ ტრადიციის ძალა, იქიდანა ჩანს, რომ დღესაც კი შესაძლებელია ასეთი სახით დასვან კითხვა: რამდენია მეტყველების ნაწილი? და უპასუხონ: „ცხრა“ — იმაზე მიუთითებლად, რა ენას ეხება საქმე. როცა მეტყველების ნაწილებს ეტიმოლოგია სწავლობდა, როცა სიტყვის ფორმებიც, სიტყვაწარმოებაცა და მნიშვნელობაც „ეტიმოლოგიის“ საგანს შეადგენდა, მაშინ კიდევ გასაგები იყო ასეთი კითხვა და ასეთი პასუხი: მაშინ მეტყველების ნაწილთა უმეტესობა სემასიოლოგიური კლასიფიკაციის შედეგად იყო მიღებული, სემასიოლოგიური კლასიფიკაცია კი ყველა ენას გამოადგებაო; ამიტომ არ კითხულობდნენ: რომელ ენაშია ეს ცხრა მეტყველების ნაწილიო. მას შემდეგ, რაც მორფოლოგია და სემა-

სიოლოგია გაითიშა და მეტყველების ნაწილთა შესახებ მოძღვრება მორფოლოგიის საგნად გამოცხადდა, კითხვის დასმა: „რამდენია მეტყველების ნაწილი?“ — ისევე უმართებულოა, როგორც უმართებულო იქნებოდა, ვინმეს რომ ეკითხა: „რამდენია ბგერა?“ ზუსტად თუ ვიმსჯელებთ, უფრო მეტადაც უმართებულო: ყოველ ბგერით ენაში უთუოდ არის გარკვეული რაოდენობის ბგერა, მაგრამ ყოველ ენას უთუოდ არ მოეთხოვება ფორმით განსხვავებული სიტყვები ჰქონდეს (უაფიქსო ენები): ამგვარ ენებში კი მეტყველების ნაწილებს ვერ გამოვყოფთ.

ცნებას „მეტყველების ნაწილი“ ეცვალა შინაარსი, მაგრამ დარჩა ძველი ტერმინი, გაჩნდა გაუგებრობა. ნუ დავივიწყებთ, რომ სემასიოლოგიისა და მორფოლოგიის ადგილი თუ გრამატიკაში არა, ენათმეცნიერებაში მაინც მტკიცე და გარკვეულია, სემასიოლოგიური და მორფოლოგიური თვალსაზრისები ნათლადაა გარჩეული. მაშასადამე, საკითხი პ რ ი ნ ც ი - პ ი ს ა ლ ი ა რ ე ბ ა ს კ ი ა რ ე ხ ე ბ ა , ა რ ა მ ე დ ა ლ ი ა რ ე ბ უ - ლ ი პ რ ი ნ ც ი პ ი ს გ ა ტ ა რ ე ბ ა ს . და მაინც ურჩება ადგილი გაურკვევლობას, არ არის აღმოფხვრილი სხვადასხვა თვალსაზრისის აღრევა...

რადა იქნება სინტაქსში, რომლის საკვლევი ობიექტი დღესაც დავის საგანია, რომლის შესახებ არ არის დადგენილი — შესიტყვების აგებულებას სწავლობს იგი თუ — ფუნქციებსაც (თუ მხოლოდ ფუნქციებს)?

სინტაქსის საგნის გარკვევა იმიტომაც ძნელდება, რომ არა თუ გრამატიკაში, არამედ ენათმეცნიერებაშიც არ არის გარკვეული სტილისტიკის ადგილი, სტილისტიკის, როგორც ენათმეცნიერების დარგის, უფლებები საყოველთაოდ აღიარებული არაა¹. ეს კი ნიშნავს: სინტაქსს არ გააჩნია ისეთი თანამომძე, როგორც მოიპოვა მორფოლოგიამ სემასიოლოგიის სახით, და ამიტომ: სტრუქტურისა და ფუნქციის საკითხის გადაწყვეტა შესიტყვებაში, საკითხი ისედაც ძნელი, კიდევ უფრო რთულდება. თუ მორფოლოგიაში „მეტყველების ნაწილთა“ საკითხი ჯერ კიდევ იწვევს გაუგებრობას, რა გასაკვირი იქნება, თუ სინტაქსში „წინადადებისა“ და მისი წევრების (ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება...) ანალიზის დროს ენათა სრული აღრევა მივიღოთ. ზოგი ამ ცნებებს სტრუქტურულ ცნებად თვლის, სტრუქტურული ნიშნების მიხედვით ახასიათებს; ამიტომ გარკვეული ენისა თუ ენებისათვის იძლევა განსაზღვრებებს, ზოგისათვის კი „წინადადება“, „ქვემდებარე“, „შემასმენელი“, „დამატება“, „განსაზღვრება“ ფუნქციონალური ცნებებია და განსაზღვრებაც უნივერსალური ხასიათისაა, ყველა ენას შეეხება. ხშირია, სამწუხაროდ, ისეთი შემთხვევაც, როცა ამგვარი თვალსაზრისის წარმომადგენელს არც აქვს გარკვეული, რა პოზიცი-

¹ როგორც კუროიზი, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ სტილისტიკის მიჩნევას ენათმეცნიერების დარგად ეწინააღმდეგებიან ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით!

ებზე დგას იგი: ტრადიციას მიჰყვება შეუცნობლად, და სხვაგვარად საკითხის დასმა წარმოუდგენლად ეჩვენება.

9. სტრუქტურული და ფუნქციონალური ცნებების გარჩევა ენათმეცნიერული აზროვნების განვითარებით, ენათმეცნიერული დარგების დიფერენციაციით არის ნაკარნახევი. ცნებების საკითხი ძირითადი საკითხია, მასთან შედარებით ტერმინების საკითხი ტექნიკური, მეორეხარისხოვანია, — ტექნიკურია შემეცნებითი ღირებულების თვალსაზრისით, მაგრამ მეტად რთულია პრაქტიკული თვალსაზრისით. ინერციის ძალა ტერმინების ხმარებაში ჩანს განსაკუთრებით. ხშირად ახალი ტერმინის დასახელებას მეტი წინააღმდეგობა ეწევა, ვინემ ახალი ცნების შემოღებას.

ამასთან დაკავშირებით დგას საკითხი: რისთვის შეიძლება იქნეს გამოყენებული ამჟამად არსებული ტერმინოლოგია — სტრუქტურული ცნებებისათვის თუ ფუნქციონალური ცნებებისათვის?

ერთგვარი პასუხი თითქოს მოცემულია იმით, რომ ეს ცნებები ტრადიციულ გრამატიკაში უპირატესად ფუნქციონალური ცნებებია: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ზმნა... წინადადება, ქვემდებარე, შემასმენელი... ფუნქციონალურ მომენტებზე მიუთითებენ: არსებითი სახელი — საგნის სახელია, ზედსართავი — თვისებისა, რიცხვითი — რიცხვისა... წინადადება — აზრის გამოხატულებაა. ქვემდებარე ისაა, „რაზეც ვლაპარაკობთ წინადადებაში“... ზოგიერთ შემთხვევაში სათანადო ენობრივი მოვლენის თვისებებიცაა მხედველობაში მიღებული, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიაც მთავარია ფუნქცია და არა სტრუქტურა. ჩვეულებრივ კი ტრადიციული გრამატიკა ამ ცნებებს ფუნქციის მიხედვითა ახასიათებს.

ამიტომ შეიძლება ფუნქციონალური ცნებების აღსანიშნავად ახალი არსებული ტერმინები გამოგვეყენებინა, ხოლო სტრუქტურული ცნებებისათვის ახალი ტერმინები შემოგველო... მაგრამ საქმეც ისაა, რომ ზემოხსენებული და სხვა, დღეს-დღეობით ხმარებული, ცნებები ფუნქციონალური ნიშანს თანამიმდევრად არ იყენებენ, ერთი გარკვეული თვალსაზრისი არ არის ბოლომდე გატარებული. მაგალითად, ზმნისართი, ნაცვალსახელი, თანდებული არაა გამოყოფილი ფუნქციონალური მომენტის მიხედვით; ასევე: დამატება, განსაზღვრება, გარემოებანი — წინადადებაში.

ამიტომ ყველაზე მართებული იქნებოდა, როგორც ფუნქციონალური, ისე სტრუქტურული ცნებებისათვის ახალი ტერმინები ყოფილიყო გამომუშავებული: „ახალი ღვინო — ახალ თხიერში“.

მართალია, ეს არის უდიდესი წინააღმდეგობის გზით სვლა; მართალია ისიც, რომ ამგვარი ღონისძიება მიზანს ვერ მიაღწევს, თუ მხოლოდ ერთი ენის შესწავლისას იქნება გამოყენებული (საჭიროა საერთოდ იცვა-

ლოს ფუნქციონალური ცნებების აღმნიშვნელი ტერმინები, აგრეთვე იმ სტრუქტურულ ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინები, რომლებიც მთელ რიგ ენებს ესაჭიროება)... მაგრამ ისიც მართალია, რომ ცნებათა ახალ საფუძველზე აგებას ახალი ტერმინების დადგენა ესაჭიროება: აღწერილი გრამატიკა ენათმეცნიერული აზროვნების განვითარებას ვერ მიჰყვება, ჩამორჩენას თავს ვერ დააღწევს მანამდის, სანამ სათანადო ცნებები არ გადახალისდება და ამ ცნებების აღმნიშვნელი ტერმინები არ იქნება შემოღებული.

ამგვარი ცვლილებების აუცილებლობას ენათმეცნიერული კვლევის პრაქტიკა გვიკარნახებს; ამგვარ ცვლილებათა საჭიროება მართო ჩვენში არ იგრძნობა (მხედველობაში გვაქვს წერილთა წყება რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, აგრეთვე საზღვარგარეთელი ავტორების — რისის, იესპერსენის და სხვათა შრომები. მათ შესახებ — ცალკე).

10. ამრიგად, გრამატიკის აგებულების ძირითად საკითხებად უნდა მივიჩნიოთ:

ა) რა არის გრამატიკა? მხოლოდ სტრუქტურის (ფორმის) შესახებ მოძღვრება თუ — სტრუქტურისა და ფუნქციის შესახებ მოძღვრება?

ბ) ამისდა კვალად: რა დარგები აქვს გრამატიკას? მხოლოდ მორფოლოგია და სინტაქსი თუ — ყველა ის დარგი, რომელიც ენის მეცნიერული შესწავლისას გამოიყოფა („გრამატიკა — კერძო ენათმეცნიერება“).

გ) შეიძლება თუ არა ფუნქციონალური და სტრუქტურული მომენტები არ გავარჩიოთ და თანამედროვე ენათმეცნიერების დონეზე ვიდგეთ?

დ) საჭიროა თუ არა სტრუქტურული ანალიზისა და ფუნქციონალური ანალიზის ცალკე წარმოება თუ — შესაძლებელია ფუნქციონალური ანალიზის მიხედვით სტრუქტურულის მოცემა?

ე) რას წარმოადგენენ თავისი ბუნებით თანამედროვე აღწერითი გრამატიკის ცნებები და როგორი უნდა იყოს ეს ცნებები?

ვ) გამოდგება თუ არა არსებული ტერმინოლოგია და თუ — კი, რისთვის — ფუნქციონალური ცნებების გადმოსაცემად თუ სტრუქტურული ცნებებისათვის?

ამას დაერთვის პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხიც — მეთოდური ხასიათისა:

სასკოლო გრამატიკა მასალის რაოდენობით უნდა განსხვავდებოდეს მეცნიერული აღწერითი გრამატიკისაგან თუ მასალის ანალიზის ხასიათით? სხვანაირად რომ ვთქვათ, სასკოლო გრამატიკა უნდა იყოს თუ არა მეცნიერული?

ОСНОВНЫЕ ВОПРОСЫ СТРУКТУРЫ ГРАММАТИКИ

Р е з ю м е

Вопросы структуры грамматики тесно связаны с основными вопросами описательного (статического) анализа языковых фактов.

Описательный анализ языковых фактов затрудняется:

а) сложностью (многогранностью) изучаемого явления и вытекающей отсюда возможностью использования различных принципов классификации;

б) обилием – в любом языке, на всех этапах развития речи – неустойчивых, переходных категорий, затрудняющих последовательное проведение намеченного принципа классификации (попытки иного, неклассификационного, подхода к описанию языковых фактов неизменно приводят лишь к неполной или же к непоследовательной классификации);

в) отставанием описательной грамматики от исторической грамматики;

г) в отношении некоторых проблем (семасиологии, стилистики) – отставанием самой исторической грамматики.

Основными вопросами структуры грамматики следует признать следующие:

1. Что такое грамматика? Одно лишь «учение о строении (структуре) языка» или «учение о структуре и функциях определенного языка»?

2. Каковы отделы грамматики? Лишь морфология и синтаксис или же все те отделы, которые с естественной необходимостью получаются в результате научного анализа определенного языка?

3. Возможен ли научный описательный (статический) анализ языковых фактов без учета функциональных и структурных моментов, наличных в соответствующих фактах?

4. Нужно ли проводить самостоятельно анализ как структуры, так и функций¹ и если – нет, то возможно ли на основе функционального анализа выявить особенности структуры данного языка?

5. Какова природа основных понятий современной описательной грамматики (понятий морфологии и синтаксиса) и каковыми они должны быть: лишь структурными, лишь функциональными, структурно-функциональными или и структурными и функциональными?

6. Может ли быть использована современная грамматическая терминология и если – да, для каких целей: для обозначения функциональных понятий или для понятий структурных?

Определять грамматику, как учение лишь о строении языка и сводить ее содержание к морфологии и синтаксису (с элементами фонетики), значит, базироваться на традиционном объеме данного понятия, соответствующем донаучной ступени развития грамматических воззрений и тем самым санкционировать разрыв между грамматикой и языковедением, между

¹ Структурная сторона, естественно, не лишена также функций, но эти функции по существу разнятся от функций материальных частей слова или словосочетания; постольку для краткости можно сопоставить – «структуру» и «функцию».

статической (описательной) и исторической грамматиками, возводить в принцип отставание статической грамматики от исторической.

Статическая грамматика, поскольку она претендует быть научной, должна ставить своей задачей изучение всех тех сторон языкового факта, какие изучаются – с иной лишь точки зрения (развития) – в исторической грамматике: описательная грамматика должна ставить своей задачей изучение и строения (структуры) и функций языка. Следовательно, в ней должны быть все те отделы, которые наличны в исторической грамматике; единственное исключение – этимология: она фактически является почти всегда результатом исторического и сравнительного анализа; постольку в описательной грамматике она не осуществима¹, все другие отделы – фонетика, морфология, синтаксис, семасиология, равно как и стилистика, могут быть и должны быть представлены в описательной грамматике так же, как и в исторической.

Описательная грамматика таким образом мыслится, как результат полного научного анализа с т а т и к и отдельного языка, образуя вместе с исторической грамматикой данного языка, «частное языковедение» (в противоположность «общему языковедению»).

Из названных дисциплин фонетика имеет дело с звуковой стороной, как материалом речевых фактов; морфология и синтаксис изучают с т р у к т у р у слова и словосочетания, объект семасиологии и стилистики – ф у н к ц и и слова и словосочетания (чем отнюдь не нарушается естественная связь между морфологией и семасиологией, морфологией и стилистикой, между синтаксисом и стилистикой и т. д.; не связь приходится утверждать – она налична, – а разграничение изучаемых объектов проводить – это необходимо).

Вопрос о стилистике, как о позитивной (не нормативной) дисциплине является неотложным, как для описательной (статической), так и исторической грамматики: в данном случае отстает и историческая грамматика, еще более, чем в отношении семасиологии. Ряд функциональных явлений может быть должным образом прослежен лишь на основе анализа значения словосочетания: в первую очередь эти явления должны стать объектом стилистики.

Структурные понятия должны отображать собою специфику соответствующих языков: здесь естественно будет наблюдаться м а к с и м у м р а с х о ж д е н и й между языками. Функциональные же понятия, напротив, покажут м а к с и м а л ь н о е с х о ж д е н и е языков.

Одинаковые функции отнюдь не всегда обуславливают одинаковую структуру, иначе – различие языков было бы лишь словарное (лексическое), грамматика же была бы едина. Наука о языке стала возможной лишь потому, что сравнительная и историческая грамматика установила простой, но кардинальный по своему значению, факт: одинаковое содержание может быть выражено р а з л и ч н о в одном и том же языке в р а з н ы е п е р и о д ы развития языка, в одно и то же время в р а з н ы х я з ы к а х. Не сделать соответствующих выводов из этого факта для статической грамматики, значит становиться на точку зрения рациональной грамматики (XVII – XVIII веков), т. е. идти назад к донаучной ступени развития грамматических воззрений.

¹ Принципиально мыслима этимология и без исторического анализа, но это касается лишь отдельных случаев.

Отсутствие параллелизма между структурной и функциональной сторонами языковых фактов делает необходимым самостоятельное проведение двойного анализа – и структурного и функционального – (с последующим обобщением результатов).

Современная грамматическая терминология, созданная более чем 20 веков тому назад, носит в себе следы тогдашних воззрений; будучи непоследовательной, она одна из немаловажных причин невероятной путаницы, столь нередкой в работах по морфологии и синтаксису.

Должное решение основных вопросов описательной грамматики упирается, таким образом, не только в проблему грамматических понятий, – оно немыслимо при наличной грамматической терминологии. Гнетущую тиранию многовековой традиции этой терминологии столь же трудно осилить, сколь и необходимо. Понятно, это – научный вопрос международного порядка¹.

¹ Впервые напечатано в «Сообщениях Груз. ФАН СССР», т. I (1940), стр. стр. 157-162, 241-246.

დამატება II

მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში*

I

ნარკვევში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I..“ შემთხვევა გვქონდა ძველი ქართულის მასალის ანალიზის საშუალებით გვეჩვენებინა, რომ:

1. ქართული წინადადების სინტაქსური მექანიზმი ხასიათდება **რიგი თავისებურებით**, რაც არსებითად განასხვავებს მას ევროპის ძველ და ახალ ენათა წინადადების სინტაქსური მექანიზმისაგან;

2. ამ **სინტაქსურ** თავისებურებათა წყაროა **მორფოლოგიური** თავისებურება: ზმნაში **სუბიექტის** პირისა და რიცხვის გარდა **ობიექტის** პირისა და რიცხვის აღნიშვნა, რის გამოც:

3. ორპირიან ზმნებში, გარდამავალშიცა და გარდაუვალშიც, სუბიექტი და ობიექტი **არსებითად** ერთნაირი სინტაქსური უფლებებით სარგებლობს: სუბიექტის სინტაქსური ძალა განელლებულია, ობიექტისა — გაძლიერებული, და ამის შედეგად სინტაქსური დაპირისპირება სუბიექტისა (ქვემდებარისა) და ობიექტისა (დამატებისა) მოხსნილია, დამატება ქვემდებარეს ეტოლება; ტრადიციული ტერმინი რომ ვიხმაროთ, დამატება წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი კი არაა, არამედ ისეთივე „მთავარი“ წევრია, როგორც ქვემდებარე¹.

ახალ ქართულში წინადადების სინტაქსური მექანიზმის სქემატურმა ანალიზმა² ცხადი გახადა, რომ სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის პრინციპი არ შეცვლილა; არც შეიძლებოდა შეცვლილიყო, რამდენადაც დავგრჩა წინანდელი მორფოლოგიური საფუძველი: ზმნის პოლიპერ-

* პირველად დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბეში 1941 წ. ტ. II, გვ. გვ. 197-202, 561-568.

¹ ა რ ნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I. ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველ ქართულში, თბილისი, 1928 [წინამდებარე გამოცემის გვ. გვ. 213-222]7

² ა რ ნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? V: ჟურნ. „კულტურული აღმშენებლობა“, 1930, გვ. 741, № 7/8.

სონალურობა — ახალ ქართულში ზმნათა დიდი წილის უღვლილება სუბიექტისა და ობიექტის პირთა ცვლას გულისხმობს ისევე, როგორც ძველ ქართულში.

პირის აღნიშვნის ხაზით ცვლილება არ მომხდარა (მხედველობაში არ ვიღებთ პირის ნ ი შ ა ნ თ ა მხრივ არსებულ ცვლილებებს). სამაგიეროდ, მოხდა ცვლილება **რიცხვის** აღნიშვნაში: **სინტაქსური** ცვლილება, რაც ქართული მარტივი წინადადების მექანიზმში მივიღეთ, ეკვივალენტურია იმ ცვლილებისა, რაც წინადადების **მორფოლოგიურ** საფუძველში, ზმნის უღვლილებაში, აისახა.

ძირითადი მოვლენა, რითაც ხასიათდება ეს ცვლილება, ორ გარემოებაში იჩენს თავს: ერთის მხრივ, ვიღებთ **სახელობითი ბრუნვის სინტაქსური როლის დასუსტებას**, მეორე მხრივ კი, — **მიცემითი ბრუნვის როლის გაძლიერებას**¹.

ორივე მუდგენდება მრავლობით რიცხვში სათანადო სახელებისა (სახელობითისა და მიცემითის) და ზმნის ურთიერთობაში, ზმნის შეთანხმება-არშეთანხმებაში ხსენებულ სახელებთან.

რაში **მდგომარეობს** ეს ცვლილება? რა **იწვევს** მას?

სახელობითი ბრუნვა ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, იწარმოებოდა **-ნ-** და **-ებ-** სუფიქსებით. მათგან პირველი (**-ნ-**) ზმნას ითანხმებდა რიცხვში ყოველთვის, იმისდა მიუხედავად, **რეალურ სუბიექტს** უდრიდა ეს სახელობითი თუ **რეალურ ობიექტს**:

...ძ მ ა დ ი გ ი ვ ა ლ ს — ძ მ ა ნ ი ი გ ი ვ ლ ე ნ ა ნ...

...მას უყუარს სამწყსო მთისი — მას უყუარან სამწყსონი მთისნი...

...პეტრეს კლიტე აქუს — პეტრეს კლიტენი ჰქონან სასუფეველისანი...

...მას ვენაჯი დაუნერგავს — მას ვენაჯნი დაუნერგვიან...

...განაკურვა მან იგი — ესე ვრითა სიტყვთა განაკურვანა მშობელი... (იხ. აქვე, გვ. გვ. 162-204).

მესამე პირის შესახებ თქმული სავსებით ეხება პირველსა და მეორე პირსაც.

-ებ-იანი სახელობითი ძველ ქართულში იშვიათად გვხვდებოდა და ზმნას რიცხვში **არ ითანხმებდა** იმისდა მიუხედავად, იქნებოდა იგი **რეალური სუბიექტი** თუ **რეალური ობიექტი**:

...აღფრინდა სირი — ...და რლ იგი სირები აღფრინდა...

...მოვიდა ხარჭა — ...და მოვიდოდა ხარჭებიცა მეფისა

¹ პირველ რიგში ეს ეხება მესამე პირის სახელებს.

აგრიპადსი პეტრეცსა...

...ჰყვანდა... ბრმა — ...რლთა ჰყვანდა მათ თანა მკელობლები, ბრმები (იხ. აქვე, გვ. გვ. 204-207).

...დაისწავლა მან წიგნი — და ისწავლა მან წიგნები...

-ებ-იანი **სახელობითი**, ამრიგად, **მრავლობითის უფლებით არ სარგებლობდა**.

ასეთი განსხვავება სახელობითის ორ სახეობას შორის — **-ნ-**იან სახელობითსა და **-ებ-**იან სახელობითს შორის, — საფიქრებელია, იმით იყო გამოწვეული, რომ პირველი ორგანულად უკავშირდებოდა ზმნის მრავლობითობის მესამე პირის ნიშანს **-ენ** II **-ან** სუფიქსებს, რომლებიც ისტორიულად მრავლობითობის ნიშნად უნდა იქნენ მიჩნეული, ხოლო **-ებ-** სუფიქსი სულ სხვა ფორმაციისაა და სხვა დიალექტური წრიდან მომდინარეობს, საინტერესოა, რომ მისი ეკვივალენტი სუფიქსი მრავლობითისა ქართულ ზმნაში არ მოიპოვება.

მიცემითი ბრუნვის მრავლობითობა ძვ. ქართულის ზმნაში **არ აღინიშნებოდა** არც მაშინ, როცა იგი **რეალურ ობიექტზე მიუთითებდა** და არც იმ შემთხვევაში, როცა მით **რეალური სუბიექტი გადმოიცემოდა**:

...ჰრქუა მას — ჰრქუა მათ...

...მოუწოდა მას — მოუწოდა მათ...

...უხარის მას — უხარის მათ: ...ყლთა უხარის და ხლდე-ბიან...

...სწყურის მას — სწყურის მათ: ...მათ სწყურის და სხუათა ასუმენ...

...შთაუცუამს მას იგი — ...შთაუცუამს მათ იგი...

აქ მიცემითს ბრუნვაში მესამე პირის სახელია; ასევე იქნებოდა, თუ მეორე პირს ავიღებდით:

...გკითხავ შენ — გკითხავ თქუენ: ამას... ხოლო გკითხავ თქნ...

...გხედავ შენ — გხედავ თქუენ: ...აღ გხედავ თქუენ რგნებავს სმენად...

...გიყუარს შენ — გიყუარს თქუენ...

...გრწამს შენ — გრწამს თქუენ...

პირველი პირის ნაცვალსახელი — ჩუენ — თითქოს არღვევს საერთო წესს; მართალია, გვაქვს ისეთი შემთხვევები, როგორცაა:

...ნუ დამივიწყებთ ჩუენ... მეტყუან ჩნ მეგობარნი...

მაქუს ჩუენ იგი... მომიგო ჩუენ აბუკურა... და სხვ.

ამ **ჩუენ**—ობიექტის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება, მაგრამ არა ნაკლებ ხშირია **ჩუენ**—ობიექტის აღნიშვნა **გუ**-პრეფიქსით, ე. ი. ზმნა თითქოს ეთანხმება მიცემითში დასმულ ობიექტს რიცხვში:

მსურის მე — გ უ ს უ რ ი ს ჩვენ... მიბრძანებს მე — გ უ ზ რ ძ ა -
ნ ე ბ ს ჩვენ... მასწავებდა მე — გ უ ა ს წ ა გ ე ბ და ჩვენ... მახარა მე —
გ უ ა ხ ა რ ა ჩვენ...

ამისდა მიუხედავად **ვერ ვიტყვით, გუ- პირველი პირის ობიექტის მრავლობითობას აღნიშნავდეს**: როცა ჩვენ—ობიექტი სახელობითშია, მრავლობითობის აღსანიშნავად დაირთავს -ენ II -ნ სუფიქსს იმისდა მიუხედავად **გუ**-პრეფიქსი გვაქვს თუ **მ**- პრეფიქსი; ეს შეუძლებელი იქნებოდა, **გუ**- პრეფიქსი რომ ძველ ქართულში მრავლობითობის მაჩვენებელი ყოფილიყო:

...მორწმუნენი აწ შე მ ო მ კ რ ი ბ ნ ა წინადასწარმეტყუელმან დანიელ...

შდრ.: ...ბრძანებამან ქრისტესმან შე **გ უ კ რ ი ბ ნ ა** დღეს...

იხ. აგრეთვე ისეთი მაგალითები, როგორიცაა:

...და**გუ**ბადნა მან ჩვენ... მო**გუ**კითხნა მან ჩვენ... და**გუ**ამდაბლნა მან ჩვენ... აღ**გუ**ამაღლნა მან ჩვენ... და**გუ**ცვენ შენ ჩვენ... **გუ**ყვენით თქვენ ჩვენ... და სხვ.

-ენ II -ნ- სუფიქსის ხმარება აქ სრულიად გაუგებარი იქნებოდა, თუ **გუ**-პრეფიქსი უკვე აღნიშნავდა მრავლობითობას. ხოლო თუ **გუ**- სა ხ ე -
ლო ბ ი თ შ ი დასმულ ობიექტთან არაა მრავლობითობის პრეფიქსი, ა რ ც მ ი ც ე მ ი თ შ ი დასმულ ობიექტთან იქნება ამ ფუნქციის მქონე;

**გუ- პრეფიქსი ძველ ქართულში არაა ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი არც ისეთ მაგალითებში, როგორიცაა განგუაძლი-
ერნა მან ჩვენ... არც ისეთ მაგალითებში, რომელთა ნიმუშია გუ-
ასწავებდა ჩვენ.**

მაშ, რის მაქნისია იგი? ამაზე — ცალკე [იხ. ზემოთ, გვ. 188, შენიშვნა].

ამ განმარტების შემდეგ შეგვიძლია ზოგადად ვთქვათ: მიცემითში დასმული სახელები **სამივე პირისა** ზმნას მრავლობითში არ ითანხმებენ იმისდა მიუხედავად, რეალური სუბიექტი იქნება ამ მიცემითით გადმოცემული, თუ რეალური ობიექტი.

ამ მხრივ ძველ ქართულში **მიცემითი ბრუნვა** და **ებ**-იანი **სახელობითი ერთნაირს სინტაქსურ ძალას ამჟღავნებენ**: არც ერთი ითანხმებს ზმნას მრავლობითში და არც მეორე.

რა ხდება შემდეგ, — მეთორმეტე საუკუნიდან დღემდის?

ნ-იანი **სახელობითის ადგილს იჭერს ებ**-იანი **სახელობითი**; ძმა-ნ-ი — ძმ-ებ-ი... ქვა-ნ-ი — ქვ-ებ-ი... ხე-ნ-ი — ხე-ებ-ი... თუ ძველ ქართულში **ებ**-იანი სახელობითი იყო იშვიათი, ახალ ქართულში ისაა გაბატონებული, **-ნ**-იანი წარმოება კი შერჩა ზოგ ნაცვალსახელს (ისი-ნ-ი... ყველა-ნ-ი...), ანდა მისი შესაძლო ხმარება დაუკავშირდა სტილისტიკურ საჭიროებას (შდრ. მიმდინარეობები — მიმდინარეობანი, დაწესებულებები — დაწესებულება-ნი... და სხვ.).

მაგრამ **ებ**-იანი წარმოების ასპარეზზე გამოსვლამ სახელობითს დაუკარგა ის სინტაქსური უფლებები, რაც მას ჰქონდა **ნ**-იანი წარმოების გამოყენებისას: **ებ**-იან სახელობითს ძველ ქართულში ზმნა **არასოდეს** ეთანხმებოდა, **ნ**-იან სახელობითს **ყოველთვის** ეთანხმებოდა (იხ. ზემოთ).

ებ-იანი **სახელობითი ცდილობს მოიპოვოს ნ**-იანი **სახელობითი უფლებები, შეითანხმოს ზმნა რიცხვში**: ეს პროცესი სალიტერატურო ქართულში დღესაც არ დამთავრებულა, მაგრამ მისი მიმართულება და პერსპექტივები ცხადად ჩანს.

სახელდობრ: **ებ**-იანი სახელობითი **ობიექტად** ხმარებისას ზმნას არ ითანხმებდა ძველ ქართულში, არ ითანხმებს ახალ ქართულში და ამ მხრივ რაიმე ცვლილებას არც მომავალში უნდა მოველოდეთ: შდრ. ძვ. ქართ.: დაწერნა წერილნი — ახ. ქართ.: დაწერა წერილები...

ამ შემთხვევაში სახელობითმა ბრუნვამ **საბოლოოდ** დაკარგა ის უფლებები, რომელიც **ნ**-იან წარმოებას მოეპოვებოდა ძვ. ქართულში (ამ უფლებების დაცვა მაშინაც კი ძნელი მოსახერხებელი იქნებოდა, **ნ**-იანი წარმოების სახელობითიც რომ წინანდებურად გაბატონებული ყოფილიყო).

ზმნის შეთანხმება **-ებ**-იან სახელობითთან იწყება იმ შემთხვევებიდან, სადაც სახელობითი **რეალურ სუბიექტად** გვევლინება, მასთან **ყველაზე აქტიურ სუბიექტს, ადამიანს, აღნიშნავს**, შემდეგ კი ვრცელდება ისეთ მაგალითებზე, სადაც რეალური სუბიექტი ადამიანი არაა, მაგრამ **ზმნა მოქმედებითი გვარისაა**; აქ ჯერ კიდევ გვაქვს რყევა, თუმცა განვითარების ტენდენცია ნათელია...

თქმულის შესაბამისად ახალ ქართულში გვაქვს:

ამხანაგები მეუბნებიან... ბავშვები იზრდებიან... „ჭამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ველარა სმენ. რ ა კ ა ც ე ბ ი ა რ ი ა ნ ?“ (ილია ჭავჭავაძე)... „კ ა ც ე ბ ი ჯგუფად შეგროვდნენ“ (ილია)... „პატარა ჩემი ამხანაგები ჩემს გულჩვილობას იქ დასცინოდნენ“ (ილია)... შდრ.: მთები მოჩანს... ხეები გახმა... „სოფლის სათავეში ორღობეები იწყებოდა“ (ილია)... „ის სართულები აი რა ფერისა იყო“ (ილია). „მთიდან მოვარდა დვარები, წყლით ავსებულა ხეგები“ (ვაჟა-ფშაველა)... „თითქოს კლდეები ინგრევა, ისმის გრიალი, ზანზარი“ (ვაჟა)... „ჯარისკაცებში გაისმის ხმები“...

ახალ ქართულში შეუძლებელია „გაისმიან ხმები“, „სართულები აი რა ფერისა იყვნენ“, მაგრამ ძველ ქართულში ნორმალური იქნებოდა „წმინი ისმიან“, „სართულნი იყვნეს“ და სხვ.

ნ-იანმა სახელობითმა ახალ ქართულშიც შეინარჩუნა თ ი თ ქ მ ი ს მთლიანად წინანდელი სინტაქსური ძალა, — გვულისხმობთ რეალურ სუბიექტად ხმარების შემთხვევას:

...„ილევა ბინდი ღამისა, ცაში ვარსკვლავნი ჰქრები-
ან“... „თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნები-
ან“... „ისინი იყვნენ იმის აკვნად და ბოლოს საფლავადაც გადა-
ექცნენ“ (ი. ჭ.)... „არ იან ადამიანის ცხოვრებაში იმისთანა
წუთნი“ (ილია)... (შდრ. „ჩემი განთიადისა დღენი ბატონისა სახლში
დამიღამები“ (ილია)... — აქ „დღენი“ რეალური ობიექტია)¹.

როცა რეალურ სუბიექტს ადამიანი არ წარმოადგენს, შეთანხმებაში
რყევას; „ბარაქალა იმ კაცის მეტყველებას, რომლის სიტყვები უნუგე-
შოსაც ანუგეშებს საფლავის კარამდინა“ (ილია) — შდრ. „...ეს
სიტყვები აღონებდნენ გულს“ (ილია)... „იმის სიტყვები
გაჭირვებაში გულს მოგფხანენ, ჭირს გაგიადვილებენ, გულსა
და გონებას გაგიწრთვნიან და სიკეთისათვის წაგახალისე-
ბენ“ (ილია).

ნათარგმნი ლიტერატურა აძლიერებს სახელობითთან ზმნის შეთან-
ხმების ტენდენციას: მეცნიერული თუ მხატვრული ლიტერატურა ითარ-
გმნება ისეთი ენებიდან, სადაც სახელობითი ქვემდებარეა და ზმნა მას
ეთანხმება უცილობლად...

ამისდა მიუხედავად დღესაც სალიტერატურო ქართულში იმდენად
მკვეთრად იგრძნობა განსხვავება „ბავშვები იზრდებიან“ და
„ხეები იზრდებიან“ კონსტრუქციებს შორის, რომ უკანასკნელში შე-
თანხმება პერსონიფიკაციის ეფექტს მოგვცემდა: „ხეები იზრდები-
ან“... მხატვრულს მწერლობაში ამის მაგალითები ხშირია — მას იყენებენ,
როგორც სტილისტიკურ ხერხს —: „...ხეებიც მე დამხარიან
ზევიდამ, თვითონ თავშიშველნი ტოტებს მე მაფარებენ“ (ვაჟა-
ფშაველა)... „ყვავილები სიცილით იხოცებოდნენ“ (ვაჟა-ფშავე-
ლა).

სალიტერატურო ქართულში **-ებ-**იან სახელობითთან ზმნის შეთან-
ხმების პროცესის ნორმალური განვითარება რთულდება არა მხოლოდ **რე-**
ალური სუბიექტის სხვაობასთან და **ზმნის გვართან** დაკავშირებით, არა-
მედ **დიალექტური** მეტყველების ზეგავლენითაც: იმერულსა და გურულში
ამჟამადაც **-ებ-**იანი სახელობითი ზმნას არ ითანხმებს ისევე, როგორც არ
ითანხმებდა ზმნას ძვ. ქართ. **-ებ-**იანი სახელობითი: ძველი ქართლის
ნორმა აქ ჯერაც დაცულია და ამის ანარეკლი თანამედროვე სალიტერა-
ტურო ქართულშიც გვაქვს (...დ არ ჩა მ გ ზ ა ვ რ ე ბ ი ცის ქვეშ...)

¹ თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ **ნ-**იანი სახელობითი, რეალური
სუბიექტი, ზმნას რიცხვში აღარ ითანხმებს: აქ უკვე **ნ-**იანი წარმოება **-ებ-**იანი წარმო-
ებისათვის დამახასიათებელ ნორმებს ექვემდებარება ისევე, როგორც ობიექტის
აღნიშვნის შემთხვევაში.

ახალგაზრდები ქუდს აფრიალებს... მოხუცები სალამს მაძლევს...).

რთული პროცესი სახელობითისა და ზმნის სინტაქსური ურთიერთობის განვითარებისა ძველი ქართულიდან დღემდის მონოგრაფიულ დამუშავებას გულისხმობს.

აქ ძირითადი ტენდენციის აღნიშვნითა ვკმაყოფილდებით: **-ებ—იანი სახელობითის სინტაქსურ უფლებათა ინტენსიური ზრდის მიუხედავად, სახელობითი ბრუნვის სინტაქსური ძალა ახალ ქართულში გაცილებით უფრო სუსტია, ვინემ ძველ ქართულში.** ნ-იანი წარმოების -ებ-იანი წარმოებით შეცვლა იმის ერთი მთავარი მიზეზი, რომ ქართული წინადადების ევოლუციის პროცესში სახელობითი ბრუნვის სინტაქსური ძალის ეს დასუსტება მივიღეთ.

იყო სხვა მიზეზიც: მიცემითის გაძლიერება.

II

ძველს ქართულში მიცემითი ბრუნვის მრავლობითობა ზმნაში აღუნიშვნელი რჩებოდა მაშინაც, როცა ეს მიცემითი რეალურ სუბიექტზე მიუთითებდა და იმ შემთხვევაშიც, როცა მას რეალური ობიექტის აღნიშვნა უწევდა.

ეს სინტაქსური ურთიერთობა არსებითად შეიცვალა XII-XVIII საუკუნეთა მანძილზე; ცვლილება მოხდა სამსავე პირში, ოღონდ **არა თანაბარი და არა ერთი და იმავე მიზეზის გამო.**

მესამე პირში ცვლილება გამოიწვია სახელის ფუნქციამ: ზმნამ აღნიშნა ისეთი სახელის მრავლობითობა, რომელიც რეალურ სუბიექტზე, მოქმედზე მიუთითებდა.

ასეთი მიცემითი ინვერსიულ ზმნებთან¹ გვაქვს: ინვერსიისათვის სწორედ ისაა დამახასიათებელი, რომ ობიექტის ნიშნით წარმოდგენილი სახელი სინამდვილეში ობიექტი კი არაა, არამედ — სუბიექტი, რეალური სუბიექტი; და, პირუკუ, სუბიექტის ნიშნით გადმოცემული სახელი რეალურ ობიექტს ეტოლება.

¹ ინვერსიული ზმნები ყველა გარდაუვალია: საშუალო ან ვნებითი გვარისაა. კერძოდ თურმეობითი პირველი აწმყოს სტატიკური ვნებითის სასხვისო ქცევას ეტოლება, თურმეობითი მეორე და კავშირებითი მესამე — აორისტისა და კავშირებითი მეორის სასხვისო ქცევის ვნებითს. დაწვრილებით ამის შესახებ საუბარი გვქონდა მოხსენებაში „ინვერსიულ ზმნათა შესახებ“, რომელიც წაკითხული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის ღია სხდომაზე 1936 წ.

ინვერსიულ ზმნათა ორი ჯგუფია შემდეგი:

1. **გარდამავალ ზმნათა თურმეობითი:** ყოველი გარდამავალი ზმნა თურმეობით პირველში, თურმეობით მეორესა და კავშირებითს მესამეში ინვერსიული ხდება:

შდრ. დავითი აშენებს სახლს — დავითს უშენებია სახლი, დავითს (რომ) ეშენებინა სახლი, დავითს (რომ) ეშენებინოს სახლი...

2. **გარდაუვალი ზმნები,** რომელთაც აწმყოს ჯგუფშივე ინვერსია ახასიათებს, ე. ი. რომელნიც მხოლოდ ინვერსიული წყობისანი არიან:

დავითს ჰყავს, აქვს, უყვარს, უნდა, ესმის... **ის...**

შდრ. ინვერსიულ ზმნებთან მიცემითი მესამე პირისა ძველსა და ახალ ქართულში.

- ძვ. ქართ.: მათ ს წყ უ რ ი ს და სხუათა ასუმენ (ხელნაწ. №1949) — ახ. ქართ.: მათ ს წყ უ რ ი ა თ და სხვებს ასმევენ...
- „ „ ქვაჲ და კირი ფრიად შორით მო ა ქ უ ნ და ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა (გრ. ხნძთ. ლგ.) — ქვა და კირი მეტად შორიდან მო ჰ ქ ი ნ და თ ძნელად სავალ გზებზე და ადამიანთა ზურგზე.
- „ „ თანა ჰყ ვ ა ნ და მათ ერთი მენავეთა მათგანი (კ ი მ. 3811) — თან ჰყ ა ვ და თ მათ ერთი იმ მენავეთაგანი...
- „ „ მაღლად უ ჰ ყ რ ი ე ს მათ (ა თ ო ნ. კ რ ე ბ., 3142) — მაღლა უ ჰ ყ რ ი ა თ მათ...
- „ „ შუბლი იგი უშუერადრე გ ა მ ო უ ქ მ ნ ი ე ს ჯელოვანთა მათ (კ ი მ. 15029) — შუბლი ულამაზოდ გ ა მ ო უ ყ ვ ა - ნ ი ა თ („გამოუქმნიათ“) ოსტატებს.
- „ „ რ ლთა შ თ ა უ ც უ ა მ ს (კ ი მ. 15521) — რომელთაც ჩ ა უ ც ვ ა მ თ...

მაგრამ თუ ზმნა ინვერსიული არაა, მესამე პირის მრავლობითს, მიცემითში დასმულს, ზმნა არ შეეთანხმება:

უთხრა მას — უთხრა მათ, მოუწოდა მას — მოუწოდა მათ, უბრძანა მას — უბრძანა მათ და ასე შემდეგ.

სხვაგვარი მდგომარეობაა პირველსა და მეორე პირში: ამათი მრავლობითობა ზმნაში ყოველთვის აღინიშნება:

თქვენ — გწყურიათ, გაქვთ, გქონდათ... გიკეთებიათ, ჩავიცვამთ...

ჩვენ — გწყურია, გვაქვს, გვქონდა, გვყავს, გვყავდა... გვიკეთებია, ჩავიცვამს...

ეს ინვერსიული ფორმებია, მიცემითის მრავლობითობის აღნიშვნას ზმნაში აქ იგივე საფუძველი აქვს, რაც — მესამე პირში (იხ. ზემოთ).

მაგრამ არაინვერსიულ ფორმებშიც ზმნა ეთანხმება თქვენ, ჩვენ სახელებს რიცხვში:

მან	მათ	უთხრა	—	მაგრამ	თქვენ	გითხრა თ ,	ჩვენ	გვ ითხრა...
„	მათ	მოუწოდა	—	„	თქვენ	მოგიწოდა თ ,	ჩვენ	მო გვ იწოდა...
„	მათ	უბრძანა	—	„	თქვენ	გიბრძანა თ ,	ჩვენ	გვ იბრძანა...
„	მათ	დაუწერა	—	„	თქვენ	დაგიწერა თ ,	ჩვენ	და გვ იწერა...

ინვერსიულს ფორმებში ზმნა მიცემითს ეთანხმებოდა რიცხვში, რადგანაც ეს მიცემითი რეალური ვითარების მიხედვით იყო მოქმედი, აქტიური — რის მიხედვით? ზმნის მნიშვნელობის მიხედვით.

ზმნის ფუძის შინაარსმა ეს მიცემითი მრავლობითში შეთანხმების უფლებით აღჭურვა მიუხედავად იმისა, რომ ზმნის პირის ნიშანი ამავე მიცემითს ობიექტად სახავს — ზმნის **ფორმისა და შინაარსის კოლიზია უკანასკნელი მომენტის სასარგებლოდ გადაწყდა.**

მაგრამ: გითხრა**თ**, გვითხრა... გიბრძანა**თ**, გვიბრძანა... და მსგავს მაგალითებში მიცემითის მრავლობითის აღნიშვნას რაციონალური საფუძველი არ მოეპოვება: აქ, ცხადია, **ანალოგიის** მოქმედებასთან გვაქვს საქმე; ანალოგია ლამობს იმის დამთავრებას, რამაც ინვერსიულ ზმნებში გარკვეული მიზეზების გამო თავი იჩინა.

ერთი გარემოებაცაა მხედველობაში მისაღები: პირველი პირის ობიექტის ნიშანი **მ**- მრავლობითში უკვე აღარა გვაქვს ახალ ქართულში; **გვ**-პრეფიქსიღა ხმარებაში. ძველ ქართულში შეიძლებოდა **მომეც** ჩუენ — **მოგუეც** ჩუენ: ობიექტის მრავლობითობა არც ერთში არ ჩანდა; ახალ ქართულში **მომეც** ჩვენ შეუძლებელია; ერთი ვარიანტიღა — **მოგვეცი** ჩვენ — შეგვრჩა და მას მიენიჭა მრავლობითობის ჩვენების ფუნქცია (ზემოთ უკვე ითქვა, რომ **გუ**- მრავლობითი რიცხვის პრეფიქსი არ იყო ძველ ქართულში).

ასეთ პირობებში, თუ შეიძლება ითქვას, სტიქიურად აისახა ობიექტის მრავლობითობა პირველ პირთან: პირისა და რიცხვის ნიშანი შეთავსდა **გვ**-პრეფიქსში.

ამავე ნიადაგზე ზმნაში აღნიშნული აღმოჩნდა **ჩვენ**- ნაცვალსახელის მრავლობითი, როცა იგი სახელობითის ფუნქციისა იყო და ობიექტზე მიუთითებდა: ჩა**გვ**წერა ჩვენ, **გვაქო** ჩვენ, შე**გვა**წუხა ჩვენ...¹

ამრიგად: ზმნის **ფუძის შინაარსმა**, **გვ**-პრეფიქსის მონოპოლიურმა მდგომარეობამ (ობიექტის პირველი პირის მრავლობითში) და **ანალოგიის** პროცესმა განსაზღვრეს მიცემითი ბრუნვის სინტაქსურ უფლებათა ინტენ-

¹ **თქვენ** თან კი, — ჩაწერა**თ**, გაქო**თ**, შეგაწუხა**თ**..., — ანალოგია მოქმედებს.

სიური ზრდა ახალ ქართულში ძველ ქართულთან შედარებით.

აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსული ზოგი მწერლის ენაში შეიმჩნევა ზმნის შეთანხმება მიცემით ბრუნვასთან **მესამე პირში მაშინაც კი**, როცა ეს **მიცემითი რეალურ ობიექტს აღნიშნავს**, ე. ი. როცა ზმნა არაინვერსიულია:

„ერთი კუზიანი მხერხავი ა ე დ ე ვ ნ ა თ“ (ა. შანშიაშვილი. „ურ. შეშა“).

„წაიყვანეს თემის აღმასკომის თავმჯდომარესთან; ამბაკო მ ი - ზ დ ე ვ თ თავჩაღუნული“ (ა. შანშ. „ამბ.“).

„ზურაბი აღელვებას ვერ ფარავდა; ე კ ი თ ხ ე ბ ო დ ა თ: «რა მოხდა?»“ (ა. შანშ. „ამბ.“).

„ალადიმ იფიქრა: «ამათ რომ ავყვე, ჭირვეული ხალხია! კიდეც სადმე შეუხვევენო» და გ ა ე პ ა რ ა თ“ (ა. შანშ. „ამბ.“).

„რუსი პეტრო ძნასა შლის. თან უ ყ ვ ი რ ი თ [გლახებს]: «კაცო სკარეი!»“ (ა. შანშ. „მეჩონ.“).

„ზურაბმა შე უ ყ ვ ი რ ა თ: «ხმა ხომ არ ჩაგიწყდათ?»“ (ა. შანშ. „ამბ.“).

„ძნის პატრონი ე ხ ვ ე წ ე ბ ა თ: „გავათავოთ, თქვენი ჭირიმეთ!“ (ა. შანშ. „მეჩონ.“).

„დაღლილი მეველე მოვიდა და გ ა უ ც ხ ა დ ა თ: «მე ველარ ვუღარაჯებ... თქვენს მოსავალს უპატრონეთო!»“ (ა. შანშ.).

„...ბათოს მამამ ზღაპარი დაიწყო და ყველა სმენად გადაიქცა. მ ო - უ თ ხ რ ო ბ დ ა თ ღარიბ გლახის თავგადასავალს“ (ა. შანშ.).

მათ — აედევნათ... მისდევთ... ეკითხებოდათ... უყვირით... ეხვეწებათ... გაუცხადათ... მოუთხრობდათ...

რა უღვეს საფუძვლად ამგვარ შეთანხმებას? ეს «**მათ**» რეალურ სუბიექტს არ წარმოადგენს, რეალურადაც ობიექტია; მასთან ზმნის შეთანხმება გაუმართლებელი ჩანს:

ჩვენ აგვედევნა, თქვენ აგედევნათ, მათ აედევნათ...

ჩვენ გვეკითხებოდა, თქვენ გეკითხებოდათ, მათ ეკითხებოდათ...

ჩვენ მოგვითხრობდა, თქვენ მოგითხრობდათ, მათ მოუთხრობდათ...

მესამე პირის ეს -თ-იანი ფორმები აგრძელებენ პირველი და მეორე პირის ფორმათა ხაზს: მიცემითი ბრუნვის ობიექტი სამსავე პირში ითანხმებს ზმნას რიცხვში.

ასეთია შედეგი. პ რ ო ც ე ს ო ბ რ ი ვ კ ი მესამე პირის ამ ფორმის წარმოქმნაში ახალი ფაქტორი უნდა გვქონდეს: **დიალექტობრივი ნორმა**. ზოგ ქართულ კილოში (რაჭულში, კახურში, ინგილოურში, ვერეიდნულში, იმერულში), მათ შორის, კახურშიც, ხმარებაშია -ყე || -კე ნაწილაკი.

იგი მიუთითებს, პირველ ყოვლისა, **ობიექტზე მრავლობითის** მიცემითში: აედევნა მას — აედევნა**ყე** მათ... ეკითხებოდა მას — ეკითხებოდა**ყე** მათ... მოუთხრობდა მას — მოუთხრობდა**ყე** მათ... ეხვეწება მას — ეხვეწება**ყე** მათ და სხვ.

ამრიგად: აედევნა**თ**, ეკითხებოდა**თ**, მოუთხრობდა**თ**, ეხვეწება**თ**... და მსგავს ფორმებში -**თ** სუფიქსი -**ყე** ნაწილაკის ადგილასაა გამოყენებული და მისი როლიცა აქვს დაკისრებული — მასალა (**თ**- სუფიქსი) სალიტერატურო ქართულისაა, ფუნქცია — დიალექტობრივია.

ქიზიყურშიც, კახურშიც ამგვარი -**თ**-იანი ფორმები: ე კ ი თ ხ ე ბ ა **თ**... ე ხ ვ ე წ ე ბ ა **თ**... მ ო უ თ ხ რ ო ბ **თ** საკმაოდ ხშირია; -**ყე** ნაწილაკის ხმა-რება კი სულ უფრო და უფრო იშვიათი ხდება. ეს ორი პროცესი ერთმანეთთან შინაგან კავშირში უნდა იყოს: -**თ**-ს **მონშირებაში -ყე-ს გაიშვიათების კომპენსაცია ჩანს**

ე კ ი თ ხ ე ბ ა **თ**... ტიპის წარმოება ჯერ ხნობით უცხოა სალიტერატურო ენის კოდექსისათვის, მაგრამ სალიტერატურო ენის საპერსპექტივო განვითარების ხაზზე კი ძვეს, ამდენადვე საგულისხმოა.

შმნის ინვერსიულობა, ანალოგია, გუ-პრეფიქსის ერთადერთ პრეფიქსად ქცევა მრავლობითის პირველ პირში (ობიექტისათვის), დიალექტობრივი ნორმა — ყველა ეს ფაქტორი თავისებურად ხელს უწყობდა და უწყობს მიცემითი ბრუნვის სინტაქსური როლის ზრდას.

შემოთ ვნახეთ, რომ **ებ**-იანი სახელობითი ბრუნვის სინტაქსური ფუნქციებიც ძველ ქართულთან შედარებით ახალ ქართულში თვალსაჩინოდ მეტია (თუმცა -**ნ**-იანი სახელობითისას ჩამორჩება).

მასთან ცნობილია, რომ სახელობითიცა და მიცემითიც შმნის სუბიექტადა და ობიექტად გვევლინებიან ერთდროულად — ორპირიან გარდაუვალ და გარდამავალ ზმნებთან:

ის ეკითხება მას... ის ჰყავს მას... ის უნახავს მას...

რომელ მათგანს შეუთანხმდება ზმნა მრავლობითში — სახელობითს თუ მიცემითს? ზოგადად ერთსაც აქვს ამის შესაძლებლობა და მეორესაც. კონკრეტულად? პირველი და მეორე პირი (**ჩვენ, თქვენ**), სახელობითის ფუნქციით იქნება თუ მიცემითისათი, რეალური სუბიექტის აღმნიშვნელი იქნება თუ ობიექტისა, თანაბრად უფლებამოსილია ზმნა შეითანხმოს რიცხვში. მესამე პირში კი მაინც შეიმჩნევა სხვაობა სახელობითსა და მიცემითს შორის, რეალურ სუბიექტსა და რეალურ ობიექტს შორის. მთლიანად: სახელობითისა და მიცემითის **მრავლობითობის** აღნიშვნაში ზმნის მიერ მყდავანდება ურთულესი სინტაქსური ურთიერთობა პოლიპერსონალური ზმნის შემცველი წინადადებისა. განსაკუთრებით ეს ითქმის ინვერსიულ ზმნათა შესახებ:

თქვენ **გვ-იყვარხარ-თ** ჩვენ: **თქვენ** —სახელ., **ჩვენ** — მიცემ.; ზმნაში

ორივეს მრავლობითობაა აღნიშნული: **გვ- ჩვენ**-ზე მიუთითებს, **-თ — თქვენ**-ზე...

ჩვენ **გ-იყვარვართ** თქვენ: **ჩვენ** — სახელ.; **თქვენ** — მიცემ.; აქ სახელობითის მრავლობითი ჩანს: **-თ** მასზე მიუთითებს; მეორე სახელიც — **თქვენ** — აგრეთვე შეიძლება -**თ** სუფიქსით აღნიშნულიყო, მაგრამ აქ **-თ** მისი მრავლობითობის მაჩვენებელი არაა — **გიყვარ-ვართ** — წინამავალი **ვართ**- ამას მოწმობს.

უფრო მარტივია ის შემთხვევები, როცა ზმნაში მოცემულია არა პირველი და მეორე პირის — **ჩვენ, თქვენ** — სახელთა კოორდინაცია, არამედ პირველი და მესამის, ანდა მეორისა და მესამე პირისა:

ჩვენ — ისინი, თქვენ — ისინი... ჩვენ — მათ, თქვენ — მათ...

ჩვენ ვუყვარვართ მათ, თქვენ უყვარხართ მათ — **ჩვენ, თქვენ** სახელობითშია, **მათ** — მიცემითში; და ეს მიცემითი მესამე პირისაა, სახელობითი — პირველი და მეორე პირისა; ზმნა ამ სახელობითის მრავლობითობას აღნიშნავს, მიცემითის მრავლობითობა აღუნიშნავს რჩება.

მაგრამ სახელობითში რომ მესამე პირის სახელი გვქონოდა, მიცემითი გადასწონიდა:

ჩვენ ვუყვარვართ მათ — შდრ. ისინი უყვართ მათ: ზმნის სუფიქსი **-თ მათ**-ნაცვალსახელთანაა დაკავშირებული, — საკმარისია **მას** ვინმართ და **-თ** სუფიქსი ზმნას არ აღმოაჩნდება:

ისინი უყვართ მათ — ისინი უყვარს მას.

„გენერლები **გეყოლებათ** თქვენ, ქართველებს?“ (ილია ჭავჭავაძე, „მგზავრის წერილები“).

ზმნა შეეთანხმა რიცხვში მიცემითს **თქვენ**: მრავლობითობა სახელობითისა ზმნაში არა ჩანს, და ეს იმიტომ, რომ ზმნა ორპირიანია და სახელობითის კორელატად მიცემითია წარმოდგენილი.

ერთპირიან ზმნას „გენერლები“ შეითანხმებდა რიცხვში: გენერლები სეირნობენ, იბრძვიან, მუსაიფობენ, სხედან, დგანან...

არის შემთხვევები, სადაც სახელობითი **-ნ**- სუფიქსიანია და ზმნა მას მაინც არ ეთანხმება:

„(თერგი მიჩუმებულია იმიტომ, რომ) მობანე **კლდენი** გვერდით არ **ახლავს**“ (ი. ჭ.)...

„ჩემი განთიადის **დღენი** ბატონის სახლ-კარში **დამიღამებია**“ (ი. ჭ.).

ძველს ქართულში გვექნებოდა: კლდენი ახლავან... დღენი დამიღამებია... ახალ ქართულში ასეთი შესაძლებლობა გამოირიცხა.

სახელობითის სინტაქსური უფლებები, ამრიგად, **შეპირობებულია** მეორე, **კორელატი, სახელის უფლებით**; მაშასადამე, როცა ვამბობთ: თუ სახელობითი ადამიანს აღნიშნავს, ზმნა მას რიცხვში ეთანხმებაო, ეს გუ-

ლისხმობს **ერთბირიან** ზმნებს. ორბირიან ზმნებთან ამ წესს სავალდებულო ხასიათი სრულებითაც არა აქვს.

სტუმრები მოდიან — მაგრამ: **...სტუმრები მყავს... სტუმრები მიყვარს... სტუმრები მძულს...**

არ ითქმის ახალი ქართულით: სტუმრები მიყვარან... მძულან... მაგრამ აუცილებელია: სტუმრები **გვიყვარს ჩვენ**, **გიყვართ თქვენ**, **უყვართ მათ...** სტუმრები **გძულს ჩვენ**, **გძულთ თქვენ**, **სძულთ მათ...**

მიცემითის სინტაქსური უპირატესობა აქ ცხადი და უეჭველია.

მაგრამ სახელობითისა და მიცემითის ხვედრი წონა ასეთი სიცხადით ყოველთვის როდია მოცემული; ხშირად ძნელი გადასაწყვეტია, რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა, რომელს უნდა შეუთანხმდეს ზმნა, მიცემითისა თუ სახელობითს:

(მათ რა ეგონათ, თუ) **„მეხრები მბრძანებლებად გამოუჩნდებოდნენ“?** აქ ზმნა შეთანხმებულია სახელობითთან, შეუძლებელი არ იყო მიცემითს შეთანხმებოდა: არ ეგონათ, თუ მეხრები **მათ** მბრძანებლებად **გამოუჩნდებოდათ...**

შეიძლება ერთმა და იმავე ზმნამ ერთს კონტექსტში უპირატესობა მიანიჭოს სახელობითს, მეორეში კი — მიცემითს:

„სტანციებში ცხენები ხშირად **აკლდებათ**“ (ი. ჭ., „მგზ. წერ.“).

მათ აკლდებათ ცხენები — ზმნა შეთანხმებულია მიცემითთან **მათ**.

შდრ. გაკვეთილს **აკლდებიან მოწაფეები** — გაკვეთილებს **აკლდებიან მოწაფეები** — აქ ზმნა ეთანხმება სახელობითს.

პირველს შემთხვევაში — **მათ აკლდებათ ცხენები** — **აკლდება** ინვერსიული ზმნაა, მეორე შემთხვევაში — **მოწაფე აკლდება** გაკვეთილს — პირდაპირი წყობა გვაქვს: **მოწაფე რეალურადაც** სუბიექტია და ზმნის აგებულების თვალსაზრისითაც, **გაკვეთილს** — რეალურადაც ობიექტია და ვერბალურადაც (შდრ. ინვერსიული წყობის შემთხვევა: **მოლარეს ფული დააკლდა... მზეს ძალა აკლდება...**).

კონტექსტის გარეშე აღებულ **აკლდება**-ზმნას ორნაირი მრავლობითი შეუძლია მოგვცეს:

პირდაპირი წყობისა: **აკლდებიან** ისინი მას...

ინვერსიული წყობისა: **აკლდებათ** მათ ის...

რა მიმართებაშია **სახელობითისა** და **მიცემითის** სინტაქსური ძალის ზრდა ამ სახელების ფუნქციასთან — აღნიშნონ **რეალური სუბიექტი** გინა **რეალური ობიექტი**?

როგორც აქ, ისე ზემოთ თქმულიდან ჩანს, რომ **-ებ-**იანი სახელობითიცა და მიცემითიც სწორედ იმ შემთხვევებში ითანხმებდნენ ზმნას მრავლობითში, როცა რეალურად მოქმედს, აქტიურ, სახელებს გვაგვარაუდებინებდა ზმნის შინაარსი (მხედველობაში გვაქვს მესამე პირი).

ასე იყო დასაწყისში, მაგრამ ამ ფაქტორებამდის ვერ დაიყვანება ყველა ის შემთხვევა, სადაც სახელობითმა და მიცემითმა ზმნა შეთანხმა დროთა ვითარებაში:

სახელები: **ჩვენ, თქვენ** თანაბრად ითანხმებენ ზმნას რიცხვში იმისდა მიუხედავად, რეალური სუბიექტია გადმოსაცემი თუ რეალური ობიექტი, სახელობითის როლში გამოდიან ეს სახელები, თუ მიცემითისაში:

RS — ჩვენ, თქვენ — სახელობითშია: **RO — ჩვენ, თქვენ** — სახელობითშია:

ჩვენ ვაქებთ

ჩვენ გვაქო

თქვენ აქებთ

თქვენ გ-აქო-თ

RS — ჩვენ, თქვენ — მიცემითშია: **RO — ჩვენ, თქვენ** — მიცემითშია:

ჩვენ გვ-იქია ის

ის გვ-აქებ-ს ჩვენ

თქვენ გ-იქია-თ ის

ის გ-აქებ-თ თქვენ¹

ანალოგიისა და სხვა მომენტების წყალობით (იხ. ზემოთ) ფართოდ გაეხსნა გზა ისეთ პროცესებს, რომელთაც სტიქიური ხასიათი აქვთ.

მათ მოქმედებასაც იქითკენ მივყავართ, რომ **რეალური სუბიექტისა და რეალური ობიექტის სინტაქსური დაპირისპირება, პრინციპულად მოხსნილი ორპირიან (და სამპირიან) ქართულ ზმნაში, ფაქტობრივადაც თანდათანობით ნაკლებ ხელშესახები ხდება, — ჩვენ, თქვენ** — სახელთა შეპირისპირებისას კი ნოლამდის დადის.

ტექსტში წარმოდგენილი მასალა მხოლოდ საილუსტრაციოა. ის მოწოდებულია ხელშესახები გახადოს, რამდენად **რთულია** ქართული მარტივი წინადადების მექანიზმი და რა **ტენდენციები ახასიათებს** მის განვითარებას.

სირთულის წყაროა ზმნის პოლიპერსონალიზმი: ზმნაში სუბიექტის პირისა და რიცხვის გარდა ობიექტის პირისა და რიცხვის აღნიშვნა.

პირთა აღნიშვნა, როგორც მორფოლოგიური ფაქტი, ქართულ ზმნაში მტკიცე და ურყევა: რეალურად (გარკვეული აფიქსით) თუ პოტენციურად (ნოლ-აფიქსით) სამივე პირი აღინიშნება, სუბიექტისაც და ობიექტისაც.

რიცხვის (მრავლობითის) აღნიშვნაში რყევა გვაქვს: ამ მხრივ მნიშვნელობა აქვს, ერთპირიანია ზმნა თუ ორპირიანი, პირდაპირი წყობისაა თუ ინვერსიულისა, რა ბრუნვაშია სახელი — მიცემითში თუ სახელობითში, რეალური სუბიექტია იგი თუ ობიექტი.

არ შეიძლება **ქართული სინტაქსის შესახებ** ვილაპარაკოთ და ეს გამოვგრჩეს ისევე, როგორც არ შეიძლება **ქართული მორფოლოგიის** შესახებ ვმსჯელობდეთ და ზმნის ორპირიანობა შეუმჩნეველი დაგვრჩეს.

¹ პრინციპულად არაფერს ცვლის ისეთი შემთხვევა, სადაც **RS** მესამე პირია და ზმნაში მისი მრავლობითობაა ჩანს: მათ გაქვს თქვენ — შდრ. მან გ-აქო-თ თქვენ.

ОСНОВНЫЕ ТЕНДЕНЦИИ РАЗВИТИЯ СИНТАКСИЧЕСКОГО МЕХАНИЗМА ПРОСТОГО ПРЕДЛОЖЕНИЯ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Полиперсонализмом грузинского глагола определяются все основные особенности синтаксического строя простого предложения: полиперсональный глагол спрягается не только по лицам и числам *субъекта*, но и *объекта*, причем падежи субъекта и объекта зависят от глагола. Таким образом, снимается противоположность между подлежащим и прямым дополнением, известная нам из русского и ряда европейских, – древних и новых, – языков: прямое *дополнение* выступает в роли такого же «*главного*» члена предложения, как и *подлежащее*. Тем самым синтаксическая связь между глаголом и морфологически с ним связанными именами (S,O) уже не может быть охвачена понятием простого согласования или управления: налицо *взаимное управление* (согласование) имен и глагола, *координация*, причем основной координатой является глагол, подлежащее же и дополнение заменяются большой и малой координатами.

Сказанное касается, в равной мере, как древнегрузинского (памятн. V-XI вв.), так и новогрузинского (XII-XX вв.) литературного языков. Сохранивши основы синтаксической структуры, грузинское простое предложение при всем том проделало значительную эволюцию на протяжении последних 8 веков.

Эволюция выразилась в изменении *согласования глагола во множ. числе* с субъектом и объектом, стоявшими в именительном и в дательном падежах.

Множ. число дат. пад. в древнегруз. глаголе *никогда* не выражалось; множ. число именит. пад. в древнегруз. яз. *всегда* отмечалось в глаголе (будь то реальный субъект или объект), если именит. пад. был образован при помощи суффикса **-n**; но с тем же именит. падежом глагол *никогда* не согласовывался, если множ. число было образовано посредством суффикса **-eb**.

Все содержание процесса эволюции синтаксической структуры простого предложения находит свое выражение в том, что глагол в ряде случаев уже согласуется как с дательным, так и с именительным падежом типа **-eb**. Процесс начинается с тех случаев, когда этими падежами обозначается *реальный* субъект, в дальнейшем распространяясь на другие случаи (по аналогии или же под влиянием диалектных норм); так обстоит дело с именами III лица.

Что же касается I и II лиц. множ. числа, в новогрузинском языке глагол с ними *всегда* согласуется независимо от того, в функции дательного или именительного падежей, *реального субъекта* или *объекта* они выступают. Тем самым процессы *координации* в новогрузинском языке находят более резкое выражение, чем в древнегрузинском литературном языке¹.

¹ Впервые напечатано в «Сообщениях АН Груз. ССР», т. II (1941), стр. стр. 197-202, 561-568.

შემოკლებათა განმარტება

გ ა მ ო ც ე მ უ ლ ი ძ ე გ ლ ე ბ ი:

- ა ბ ო : „წმინდა მოწამე აბო ტფილელი“ (ამოღებული ხელნაწ. №19, იხ. ქვ.), საეკლესიო მუზეუმის გამოცემა, ტფილ., 1899.
- ა დ ი შ.: «Адышское Евангелие», Материалы по археологии Кавказа, вып. XIV, Москва, 1916.
- ა თ ო ნ. კ რ ე ბ.: „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაბე-ბით“, საეკლესიო მუზეუმის გამოცემა, ტფილ., 1901 (გამოყენებულია გვ. გვ. 1-176, აგრეთვე „დამატება“, გვ. გვ. 279-352).
- გ რ. ხ ნ ძ თ.: „შრომად და მოღვაწეობად წმ. გრიგოლისი არქიმანდრიტი-სა და ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ...“ ნ. მ ა რ ი ს გამოცემა: Тексты и разыск. по арм. – груз. филологии, кн. VII, СПб, 1911.
- თ უ ა ლ თ ა დ.: „თუალთად: ეპიფანს კვბრელისა: თქუმული... ათორმეტთა მათ თუალთათჳს“, მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, Сборн. матер. для опис. местн. и плем. Кавказа, вып. 24, 1898.
- ი. ბ ო ლ .: „იონე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი“, საეკლესიო მუზეუმის გამოცემა, ტფილ., 1911.
- ი ო ს. ა რ ი მ.: „წიგნი: რ“ი: დაწერა იოსებ არიმათიელმ“ნ...“ ნ. მ ა რ ი ს გამოცემა: Тексты и разыск. по арм.-груз. филологии, кн. II, СПб, 1900.
- ი პ ო ლ ი ტ ე: იპოლიტე, თარგმანებად ქებად ქებათად, ნ. მ ა რ ი ს გამოცემა: Тексты и разыск. по арм.-груз. филологии, кн. III, СПб, 1901.
- კ ი მ ე ნ ი: „ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები“, ნაწ., I: კიმენი, კ. კ ე - კ ე ლ ი ძ ი ს რედაქციით. რუს. სამეცნ. აკად. გამოცემა, ტფილ., 1918.
- ო თ ხ თ ა ვ ი: „სახარებად ოთხთავი ორთა ჯელნაწერთაგან შ ი გ და შ ყ ე წელთათად, გამოსცა ვლადიმირე ბ ე ნ ე შ ე ვ ი ჩ მ ა ნ“, ნაკვეთი I, II, СПб, 1909.
- რ ა ვ ა ხ.: „ცხოვრებად: და: წამებად: წ“დისა: ანტონ რავანისი“... ი. ყ ი ფ - შ ი ძ ი ს გამოცემა. Христианский Восток, т. II, вып. I, СПб, 1913.

- ს ა ბ ა: „ცხოვრებად საბა ასურისად“, სვ. ჯ ა ნ ა შ ი ა ს გამოცემა, „არილი“, ტფილ., 1925.
- ს ა ს. პ ო ე ზ.: „ძველ-ქართული სასულიერო პოეზია“, წ. I, პ. ი ნ გ ო - რ ო ყ ვ ა ს რედაქციით, საეკლესიო მუზეუმის გამოცემა, ტფილ., 1913.
- ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ ვ.: „მგვეტათვს: სახისა: სიტყუდ...“, ნ. მ ა რ ი ს გამოცემა, *Тексты и разыск. по арм.-груз. филологии, кн. V, СПб, 1903.*
- ს ე რ ა პ.: „...ცხოვრებად და მოქალაქობად... სერაპიონისი“, მოსე ჯ ა ნ ა შ - ვ ი ლ ი ს გამოცემა: „ქართული მწერლობა“, წ. II, ტფილ., 1909.
- წ ა მ ე ბ.: „წამებად ყრმათა წათად რიცხვთ ცხრათად...“, ნ. მ ა რ ი ს გამოცემა, *Тексты и разыск. по арм.-груз. филологии, кн. V, СПб, 1903.*
- წ ა რ ტ ყ უ ე ნ. ი ე რ.: „... წარტყუენვად იერუსალმისად...“, ნ. მ ა რ ი ს გამოცემა: *Тексты и разыск. по арм.-груз. филологии, кн. IX, СПб, 1909.*
- ხ ა ნ მ ე ტ ი: „ხანმეტი ტექსტების ნიმუშები“, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, ტფილ. უნივ. მოამბე, ტ. II, 1922—23.
- ხ ა ნ მ ე ტ ი მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი: „ხანმეტი მრავალთავი“, ა. შ ა ნ ი ძ ი ს გამოცემა, ტფილ. უნივ. მოამბე, ტ. VII, 1926.
- ჯ ს ნ ა კ ო ნ ს ტ.: „სასწაულებრივი ჯსნა კონსტანტინეპოლისა სპარსთა და სკვთთა ზედამოსლვისაგან“, საეკლესიო მუზეუმის გამოცემა, ტფილ. 1903.
- ჰ ა ე მ ე ტ ი: „ჰაემეტი ტექსტების ნიმუშები“, ა. შ ა ნ ი ძ ი ს გამოცემა, ტფილ., უნივ. მოამბე, ტ. III (1923).

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ ი:

- ხ ე ლ ნ ა წ. №19: მრავალთავი, ე. წ. „სვანური მანუსკრიპტი“, უთარილო (IX—Xს.) უნივერსიტეტის სიძველეთ-საცავისა (ყოფ. საეკლ. მუზ. ფონდიდან: „აბოს ცხოვრება“, — იხ. ზემ. — აქედან არის ამოღებული).
- ხ ე ლ ნ ა წ. №38: „დავითნი“ 974 წლ. დათარიღებული ხელნაწერი უნივერსიტეტის სიძველეთ-საცავისა (ყოფ. საეკლ. მუზ. ფონდიდან)¹.
- ხ ე ლ ნ ა წ. №86: „ჟამის წირვად წდისა იაკობ მოციქულისა“..., უთარილო

¹ ვის ფონდიდან არის, იმიტომ აღვნიშნეთ, რომ უნივერსიტეტის სიძველეთ-საცავის ხელნაწერებში საეკლ. მუზ. ფონდისას თავისი ნუმერაცია აქვს და წერაკითხვის ფონდისას — თავისი.

- (X საუკ.) ხელნაწერი უნივერსიტეტის სიძველეთ-საცავისა (ყოფ. საეკლ. მუზ. ფონდიდან).
- ხ ე ლ ნ ა წ. №1104: უთარილო ხელნაწერი (X საუკ.) უნივერსიტეტის სიძველეთ-საცავისა (ყოფ. საეკლ. მუზ. ფონდიდან); ძველი ნუმერაციით №1142.
- ხ ე ლ ნ ა წ. №1109: ე. წ. „უდაბნოს მრავალთავი“, უთარილო ხელნაწერი (IX-X ს.) უნივერსიტეტის სიძველეთ-საცავისა (ყოფ. საეკლ. მუზ. ფონდ.); ძველი ნუმერაციით: №1147.
- ხ ე ლ ნ ა წ. №1133: „სამოციქულო“, უთარილო (დაახლ. X საუკ.) ხელნაწერი უნივერსიტეტის სიძველეთ-საცავისა (ყოფ. წერა-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების ფონდიდან).
- ხ ე ლ ნ ა წ. №2251: „ითიკა ვასილი დიდისა“: საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების სიძველეთ-საცავის ხელნაწერი.
- ხ ე ლ ნ ა წ. №2124: „ცხორებად... იოანე ოქროპირისაჲ“, 968 წლით დათარიღებული ხელნაწერი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სიძველეთ-საცავისა.
- შ ა ნ ი ძ ე ა., პრეფიქსები: სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულს ზმნებში, ტფილ., 1920.
- ხ უ ნ დ ა ძ ე ს ი ლ.: ქართ. გრამ.: ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1907.
- ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ., ქართ. გრამ.: ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1906.
- Б е р н ш т е й н С. И., Известия: «Основные вопросы синтаксиса в освещении А. А. Шахматова»: Изв. Отд. рус. яз. и слов. Рос. Акад. Наук, 1920, т. XXV, Петрогр., 1922.
- Б о г о р о д и ц к и й, Курс рус. грам.: Общий курс русской грамматики, изд. 2-ое, Казань, 1907.
- Б у д д е, Основы: Основы синтаксиса русского языка, Казань, 1913.
- Б у д д е, К учению, ЖМП.: К учению о синтаксисе простого предложения: Ж. М. Н. Просв., 1894, март.
- Б у с л а е в, Опыт: Опыт исторической грамматики русского языка, ч. I – Этимология, ч. II – Синтаксис, Москва, 1858.
- В в е д е н с к и й, Логика: Логика, как часть теории познания, изд. 2-ое, СПб, 1912.
- В у н д т, Введение в психологию, перевод под. Ред. Проф. Н. Ланге, Одесса, 1912.
- Г о в о р о в, Элемент. грам.: Опыт элементарного руководства при изучении русского языка практическим способом, Элементарная грамматика, изд. 2-ое, Москва, 1897.
- Г р о т, К вопросу о реформе логики, Опыт новой теории умственных процессов, Лейпциг, 1882.

- Д е р ж а в и н, Маленькая грамматика, Москва – Петроград, 1923.
- Д у р н о в о, Грам. Слов.: Грамматический Словарь (Грамматические и лингвистические термины), Москва – Петроград, 1924.
- З и г в а р т, Логика: Логика, т. I: Учение о суждении, понятии и выводе, СПб, 1908.
- К е р н, Педаг. Сбор.: Грамматическое предложение и логическое суждение, перевод М. Фота: Педагогический Сборник, издав. при Глав. управ. военно-учеб. заведений, СПб, Май, 1903.
- К р а с н о г р с к и й, Синтаксис рус. яз.: Учебный курс синтаксиса русского языка, СПб, 1887.
- Л и т . Э н ц .: Литературная Энциклопедия, Словарь литературных терминов. Москва – Ленинград, 1925.
- Л о с с к и й, Логика, ч. I, Петроград, 1922.
- М а р р, Основные таблицы к грамматике древне-грузинского языка, СПб, 1908.
- М и л л ь, Система логики: Система логики силлогистической и индуктивной, перевод В. Ивановского, Москва, 1900.
- М и н т о, Логика: Дедуктивная логика, изд. 6-ое, Москва, 1909.
- М и р о п о л ь с к и й, Рус. грамм.: Курс русской грамматики, СПб, 1884.
- О в с я н и к о - К у л и к о в с к и й, Руководство: Руководство к изучению синтаксиса русского языка, Москва, 1907.
- П о р ж е з и н с к и й, Введение: Введение в языкознание, изд. 4-ое, Москва, 1916.
- П е т е р с о н, Синтаксис: Очерк синтаксиса русского языка, Москва – Петроград, 1923.
- П е т е р с о н, Рус. яз.: Русский язык. Пособие для преподавателей, Москва – Ленинград, 1925.
- П е ш к о в с к и й, Наш яз. II, III: Наш язык, ч. II: Элементы морфологии и синтаксиса, Москва – Ленинград, 1925; ч. III: Заключительный курс, Москва – Ленинград, 1927.
- П е ш к о в с к и й, Синтак.: Русский синтаксис в научном освещении, изд. 2-ое, Москва, 1920.
- П о т е б н я, Из записок: Из записок по русской грамматике, I. Введение, II. Составные члены предложения и их замены, изд. 2-ое, Харьков, 1888.
- С л а н с к и й, Грамматика, как она есть: Грамматика, как она есть и как должна быть, СПб, 1886.
- С т р е м н и н и н, Род. яз. I: Неограмматическое направление и школьная действительность: Родной язык в школе, кн. I, 1919 – 22, Москва – Петроград, 1923.
- Ф о р т у н а т о в, Преп. Грам. РФВ: О преподавании грамматики русского языка в средней школе: Русский Филологический Вестник, т. 53, вып. II, 1905, №2.
- Ф р а н к, Предмет знания. Об основах и пределах отвлеченного знания, Петрогр., 1915.
- Ц а г а р е л и А., Обз. морф.: Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков, СПб, 1872.
- Ш а х м а т о в, Синтаксис: Синтаксис русского языка, вып. I: Учение о предложении и о словосочетаниях, Ленинград, 1925.

- A r i s t o t e l e s: Philosophische Werke, Bd. III: Organon, herausgegeben von Eugen Rolfes, Lpz., 1925.
- B l ü m e l: Einführung in die Syntax, Heidelberg, 1914.
- B r e n t a n o, Psychologie: Psychologie vom empirischen Standpunkt, Lpz., 1874.
- B r u g m a n n, Syntax: Die Syntax des einfachen Satzes im Indogermanischen: Indogermanische Forschungen, Beiheft zum 43, Bd., Brl. – Lpz., 1925.
- B r u g m a n n, Kurze Vergl. Gram.: Kurze vergleichende Grammatik der indogermanischen Sprachen, Strassburg, 1904.
- B ü h l e r, Theorie des Satzes: Kritische Musterung der neuern Theorien des Satzes: Indogermanisches Jahrbuch, Bd. VI, 1918.
- G a b e l e n t z, Sprachwissenschaft: Die Sprachwissenschaft, ihre Aufgaben, Methoden und bisherigen Ergebnisse, Lpz., 1869.
- G a b e l e n t z, Ideen, Zeitschrift: Ideen zu einer vergleichenden Syntax: Zeitschrift für Völkerpsychologie und Sprachwissenschaft, Bd. VI, 1869.
- D e l b r ü c k, Vergl. Synt. I, III: Vergleichenden Syntax der indogermanischen Sprachen (im Grundriss) Th. I, Strassburg, 1893. Th. III, Strassburg, 1900.
- D i t t r i c h, Probleme: Die Probleme der Sprachpsychologie und ihre gegenwärtigen Lösungsmöglichkeiten, Lpz., 1913.
- G r a m m a i r e g é n é r a l e: Grammaire générale et raisonnée... Ed. 4, Paris, 1780.
- E b b i n g h a u s (– D ü r r), Grundzüge der Psychologie, Bd. II, Lpz., 1913.
- E r d m a n n (Joh. Ed.), Geschichte der Philosophie: Grundriss der Geschichte der Philosophie, I. Bd., 4. Aufl., Brl., 1896.
- E r d m a n n (Benno), Logik: Logik, Logische Elementarlehre, 3. Aufl., Brl. – Lpz., 1923.
- J e l l i n e k, IF: Zur Geschichte einiger grammatischer Theorien und Begriffe: Indogermanische Forschungen, Bd. XIX (1906).
- J e r u s a l e m, Urtheilsfunction: Die Urtheilsfunction. Eine psychologische und erkenntniskritische Untersuchung, Wien, 1895.
- L i p p s, Logik: Grundzüge der Logik, 3. Aufl., Lpz., 1923.
- M a i e r E., Psychologie des emotionalen Denkens, Tübingen, 1908.
- M a r b e, Untersuchungen: Experimentell-psychologische Untersuchungen über das Urteil. Eine Einleitung in die Logik, Lpz., 1901.
- M e i l l e t, Linguistique historique: Linguistique historique et linguistique générale, Paris, 1921.
- M i k l o s i c h, Vergl. Gram. Slav. Spr. IV: Vergleichende Grammatik der slavischen Sprachen, Wien, 1868 – 74.
- P a u l, Prinzipien: Prinzipien der Sprachgeschichte, 4. Aufl., Halle a. S., 1909.
- P o r z i g, Stand: Aufgaben der indogermanischen Syntax: Stand und Aufgaben der Sprachwissenschaft, Festschrift für W. Streitberg, Heidelb., 1924.
- P r a n t l, Geschichte: Geschichte der Logik im Abendlande, Bd. I, Lpz., 1855.
- R o z w a d o w s k i, Wortbildung: Wortbildung und Wortbedeutung. Eine Untersuchung ihrer Grundgesetze, Heidelb., 1904.
- S c h u p p e, Grundriss: Grundriss der Erkenntnistheorie und Logik, 2. Aufl., Brl., 1910.
- S c h u p p e, Subjectlose Sätze: Zeitschrift für Völkerpsychologie und Sprachwissenschaft, Bd. XVI.

-
- S t e i n t h a l, Geschichte der (Sprachwiss.): Geschichte der Sprachwissenschaft bei den Griechen und Römern mit besonderer Rückicht auf die Logik, T. I-II, Brl., 1890-91.
- T h i e b a u l t, Grammaire philosophique: Grammaire philosophique ou la métaphysique, la logique et la grammaire, réunies en un seul corps de doktrine, T. I - II., Paris, 1802.
- W e g e n e r, Der Wortsatz, Indogermanische Forschungen, Bd. 39, Hf. 1-2.
- W u n d t, Grundriss: Grundriss der Psychologie, 9. Aufl., Lpz., 1909.
- W u n d t, Logik: Logik, I: Allgemeine Logik und Erkenntnistheorie, 4. Aufl., Stuttg., 1919
- W u n d t, Völkerpsychologie I-II: Völkerpsychologie. Eine Untersuchung der Entwicklungs-gesetze von Sprache, Mythos und Sitte, Bd. I-II: Die Sprache, 3. Aufl., Lpz., 1912.
- W u n d t, Sprachgeschichte: Sprachgeschichte und Sprachpsychologie... Lpz., 1901.
-

პირთა სახელების საძიებელი

- ადელუნგი 421.
ანდლულაძე ნ. 467.
აპოლონიოს დისკოლოსი 276, 391, 407, 530.
არისტოტელე 281, 282, 284, 290, 395, 560, 570.
- ბეკერი 283, 395.
ბენეშევიჩი 608.
ბერნშტეინი 372.
ბიულერი 314, 315, 316, 552, 561, 571.
ბლიუმელი 333, 334, 552, 562, 572.
ბოგოროდიცკი 273-275.
ბოეთიუსი 280, 281, 282, 288, 289, 290.
ბოპი 395.
ბრენტანო 310, 311, 316, 317, 374, 551, 561, 571.
ბრუგმანი 321, 334-336, 395, 401, 402, 405, 552.
ბუდე 376, 388-393, 407, 530, 553, 562, 572.
ბუსლაევი 272, 275.
- გაბელენცი 322-325, 333, 365, 371.
გოგოროვი 273, 275.
გრიმი 395.
გროტი 288.
- დელბრიუკი 277, 281-293, 376-378, 391, 395, 401, 552.
დერჟავინი 376, 392, 407, 530, 553, 562, 572.
დიონისე თრაკიელი 276, 277, 391, 392, 395.
- დიტრიხი 332.
დიური 317.
დურნოვო 350-351.
- ებინგჰაუსი 317.
ერდმანი ბ. 293, 294, 299.
ერდმანი ი. 287, 288.
- ეგენერი 321, 333, 552, 562, 572.
ვედენსკი 293, 294, 297, 299.
ვლადისლავლევი 281, 289.
ვოლფი 280, 282.
ვუნდტი 293-294, 300-306, 308-309, 311, 314, 316, 317, 320, 321, 329-334, 336, 365, 368, 370, 376, 377, 417, 418, 426, 551, 461, 562, 571, 572.
- ზიგვარტი 292-294, 302.
ზივერსი 334, 335.
ზიუტერლინი 321, 331, 333, 552, 562, 572.
- თიბო 385.
თოფურია ვ. 256, 261, 467, 526.
- იელინეკი 421.
იერუშალემი 309-311, 316, 551, 561, 571.
იესპერსენი 589.
ინგოროცვა პ. 609.
- კეკელიძე კ. 608.
კერნი 299, 334, 335, 336.
კიულბე 313, 314.
კრასნოგორსკი 273, 275, 291.

- ლიფსი 293, 294, 295, 299.
ლოსკი 298, 299.
- მაიერი 283.
მარბე 311-316, 320, 561, 571.
მარი 427, 439, 466, 473, 608.
მარტი 374.
მაუტნერი 296, 430.
მახი 430.
მეიე 274, 275.
მიკლოშიჩი 401.
მილი 290.
მინტო 289, 293, 294.
მიროპოლსკი 272, 275.
მიულერი ფ. 555, 564, 574.
მორისი 380.
- ოვსიანიკო-კულიკოვსკი 334, 336-340,
369, 372, 552, 562, 572.
ოკამი 311.
- პავლოვიჩი 267
პაული 264, 300-304, 309, 314,
316, 321, 323-334, 336, 365,
368, 369, 395, 551, 561,
562, 571.
პეტერსონი 376, 378, 380-383, 388,
393, 399, 552, 562, 572.
პეშკოვსკი 299, 334, 351-363, 369,
372, 376, 383-389, 392, 393,
403-405, 414, 430, 552, 562,
572, 580.
პორჟეზინსკი 421.
პორციგი 373-375.
პოტებნია 299, 336, 384.
პრანტლი 281, 289.
პულდორი 421.
- რისი 333, 334, 378, 401, 589.
როზვადოვსკი 331-333, 552, 562, 572.
როთეკენი 314.
- სანქციუსი 283.
სვედელიუსი 370.
სლანსკი 299.
- ფორტუნატოვი 334, 340-352, 356,
359, 365, 369, 372, 378,
387, 401, 403, 405, 552,
562, 572.
ფრანკი 297.
- ყიფშიძე ი. 608.
- შანიძე ა. 427, 433, 439, 441, 466-
468, 528, 555, 565, 575, 609.
შახმატოვი 334, 363-366, 368-374,
552, 564, 573.
შლაიხერი 426.
შლეგელი 283.
შტაინთალი 277, 287, 299, 303, 407.
შუპე 293, 294, 299.
შუხართი 264, 426, 428.
შჩერბა 580.
- ცაგარელი ალ. 427.
- ხუნდაძე ს. 274, 275.
- ჯავახიშვილი ივ. 609.
ჯანაშვილი მ. 274, 275, 608, 609.
ჯანაშია ს. 609.
- ჰელიასი 282.
ჰერბარტი 303, 304, 306, 311,
551, 561, 571.
ჰერმანი 283.
ჰორნი 399.
ჰუსერლი 374, 375.

საგნობრივი საძიებელი

აბსოლუტივი 337-339, 390, 392.

აბსოლუტური ზმნა 263, 437, 439, 442-443, 466, 529-531, 541-543, 548, 555-556, 558.

აგებულება სიტყვისა, შესიტყვებისა 397.

ადგილმდებარეობა (სიტყვისა) 325, 405.

აზრი 271-275, 282-284, 286-288, 334-342, 346-252, 356-358; ა-ის საგანი 343-344, 347; ა-ის ფორმა 279; ა. და არსი 284, 286; ა. და მეტყველება 286; ა. და წინადადება 288.

აზროვნება 357; ა-ის აქტი 334, 341, 395.

ანალიზური ფუნქცია არის მოცემული წინადადებაში 314.

ანალოგია 400, 580, 603.

აორისტი (ნამყო ძირითადი) 439-440, 444, 450, 555, 556, 559.

აპერცეფცია 305-308; აპერცეფციონიზმი და ასოციაციონიზმი 306.

აპოზიტი 282.

„არაგრამატიკული“ შესიტყვება 389.

არაინდოევროპული ენები და ზოგადი ენათმეცნიერება 394.

არაინვერსიული ფორმები ზმნისა 600-601.

არაცვალეზადი სიტყვები 391.

არსებითი სახელი 362, 367, 374, 588.

ასოციაცია და აპერცეფციის აქტი 307; ა-ის პროცესი 352; ასოციაციონისტური ფსიქოლოგია 303.

ატრიბუტი 279-280, 374; ატრიბუტული წინადადება 417.

აუცილებლობა იმენანტიზმისა აღწერისას 398.

აფიქსი 403; აფიქსებიანი ენა 582.

აქტი მსჯელობისა 294.

აქტიური (პირი) 428.

აღმნიშვნელი 350, 398.

- აღსანიშნი 350, 398.
- აღქმის პროცესი 307.
- აღწერა (ენის მოვლენისა, მეტყვე-
ლებისა) 318, 328, 398, 550; ა-
ის მეთოდოლოგია 394; ა. და
ახსნა ენობრივი მოვლენისა 400;
ა-კლასიფიკაცია 394-396; ა ღ -
წ ე რ ი თ ი ანალიზი 263, 398;
ა. გრამატიკა 395, 579-581,
585, 589; ა. ენათმეცნიერება
400.
- აწმყო 443, 447-448, 452-453; ა-ს
ჯგუფი დრო-კილოთა 441.
- ახსნა მეტყველების მოვლენებისა
318; ა-ვაგება ენობრივი მონაცე-
მისა 328.
- ბგერა 279, 385, 404, 584; ბ-თა
ცვლილება 584; ბ გ ე რ ი თ ი
შედგენილობა სიტყვისა 583.
- ბრუნვა 533; ბ-თა დაბოლოება 423;
ბ-თა მნიშვნელობა 584;
ბ რ უ ნ ვ ა დ ი სიტყვა 423, 554;
ბ რ უ ნ ვ ა უ ც ვ ლ ე ლ ი ობიექ-
ტი 442, 537, 547; ბ.-ც ვ ა -
ლ ე ბ ა დ ი ობიექტი 441-442,
464, 530, 536-538, 547-549.
- ბრუნება 423-425, 584.
- ბრძანებითი კილო 354.
- გაბატონება-დამოკიდების პრინციპი
(მახმატოვთან) 368-369.
- გაბატონებული სიტყვა 366-367, 411;
გ. წარმოდგენა 365, 368-371, 552.
- გაკვირვებითი წინადადება 379-380.
- გამოთქმათა ანთროპომორფიზმი
429-431.
- გამოთქმულობა 374.
- გამოხატულება ბგერებით 374.
- განსაზღვრება 298-299, 356, 362,
368, 387, 413, 551-552, 554,
580, 587-588.
- განსაზღვრება სუბიექტისა და პრე-
დიკატისა 293-295.
- განუსაზღვრელი სუბიექტი 431.
- განყენებული და კონკრეტული 374.
- გაობიექტივება 310.
- გარდამავალი ზმნა 262, 439-441, 469,
555, 600.
- გარდამავალი კატეგორია 579.
- გარდაუვალი ზმნა 439-441, 555, 600;
გარდაუვალ-გარდამავალი და აბსო-
ლუტურ-რელატიურიზმები 442.
- გარეგანი მეტყველება 364.
- გარემოება 299, 387, 414, 540, 551,
554, 588.
- გარეფორმა მსჯელობისა 310.
- გარჩევა სტრუქტურული და ფუნქციო-
ნალური ცნებებისა 588.
- გაძლიერება მიცემითი ბრუნვის
სინტაქსური როლისა 594.

- გვარი 584, 598.
- გნოსეოლოგია 290.
- გრამატიკა 275-278, 282-283, 374, 394-395, 581-582; ისტორიულ-შედარებითი გ. 1; გ რ ა მ ა - ტ ი კ უ ლ ი ანალიზი (წინადადებისა) 345; გ. კატეგორია 322-324, 327-328; გ. მნიშვნელობა 288; გ. პრედიკატი 321-325; გ. სუბიექტი 321, 323-325; გ. და არაგ. კლასები 341; გ. სქესი 374; გ. ფორმა 353; „გ. წინადადება“ 388, 390.
- გრამატიციზმი ლოგიკაში 289; გრამატიცისტული ლოგიკა 290.
- გ უ - პრეფიქსის გაბატონება 601.
- დადასტურება 285.
- დამატება 258, 262, 269-271, 298, 321, 329, 337, 355, 367, 377, 387-388, 392, 412, 533-534, 537-540, 542-549, 551, 554-555, 580-582, 587-589.
- დამთავრებული მთლიანობა 376; დ ა მ თ ა ვ რ ე ბ უ ლ ო ბ ა , წინადადება-ცნების არსებითი ნიშანი (პორციგით) 374.
- დამოკიდებული, არათავისთავადი ნაწილი შესიტყვებისა 343; დ. სიტყვა 366, 367, 408; დ. ფორმა სიტყვისა 367; დ. წევრი წინადადებისა 390; დ. წარმოდგენა 370; დ. წინადადება 419.
- დამოკიდებულება ორ სიტყვას შორის 405-407; დ-ის აღმნიშვნელი აფიქსები 580.
- დამოუკიდებელი წევრი წინადადებისა, შესიტყვებისა 343, 390.
- დამტკიცება 285.
- დამუშავებული სახეობა ლოგიციზმისა 551.
- დამხმარე სიტყვა 584.
- დასკვნა 279, 286-287.
- დასუსტება სახ ბრ. სინტაქსური როლისა ქართულში 594.
- დაწერილი ენა 418; დ. წინადადება 377, 385, 418.
- დაღესტნის ენები 422.
- დეპენდენტი 408, 541.
- დიდი კოორდინატი 535-541, 543, 545, 548, 557.
- დომინანტი 408, 542, 544-545, 548, 554.
- დრო ზმნისა 355, 391, 583.
- ე ბ'იანი მრავლობითი 425, 520, 524, 527, 542-543, 546-549, 558, 595-599, 603.
- ეგზისტენციალური მსჯელობა 311.
- ევროპული საგრამატიკო აზროვნება 269.

ელიფსი 280, 421.

ენა 319-320; ე. და მეტყველება 319; ენის მნიშვნელობა აზროვნების პროცესში 347; ენების განსხვავება 278; ენებში საერთოს საკითხი 278; ენის სტრუქტურა 400; ე. ფილოსოფია 394; ე. ფსიქოლოგია 374-375.

ენობრივ-გრამატიკული თვალსაზრისი წინადადებისა და მისი ნაწილების კვლევისას 271, 550.

ენობრივი აზროვნება 430-433; ე. და აზროვნებითი კატეგორიები 553; ე. და რეალობის კატეგორია 429; ე., მაგრამ არა სინტაქსური საზომი წინადადების დახასიათებისას 553; ე. კატეგორია 337, 550; ე. მასალა 414; ე. მოვლენის მდინარი ხასიათი და სირთულე 579; ე. მომენტი — აზრისა და არსის სამყარო 286; ე. ნიშნები 271, 552; ე. საზომი 376; ე. სუბიექტი 429.

ენათმეცნიერება 269-271, 394, 582.

ერთპირიანი ზმნა 437, 606.

ერთსიტყვიანი გამოთქმა 373.

ერთწევრიანი წინადადება 336, 366.

ეტიმოლოგია (სასკოლო გრამატიკაში) 269, 580; 585-586; (მეცნიერული) 580-584.

ექსპერიმენტული შესწავლა როული ფსიქიკური ფენომენებისა 311, 314.

ენებულო, პასიური (პირი) 428.

ვოკატივი 336.

ვოლუნტარიზმი და ინტელექტუალიზმი 306; ვოლუნტარისტული ფსიქოლოგია 304.

ზედსართავი სახელი 361-362, 367, 374, 588.

ზმნა 276-277, 279, 281, 285, 337-340, 353, 360, 362, 367-368, 374-377, 391, 406, 423, 426-428, 554; ზ. და შესიტყვება 416-417; ზ. — კოორდინაციის ცენტრი 544; ზ. — წინადადების ეკვივალენტი 416-417; ზმნის თვალსაზრისით აქტიური სახელი (რეალ. სუბ.) 434; ზ. თვალსაზრისით უმოქმედო სახელი (რეალ. ობ.) 434; ზ. მმართველი სახელი 543; ზ. სირთულე 426.

ზმნისართი 276, 279, 362, 387, 390-392, 588.

ზმნური პრედიკაცია 338; ზ მ ნ უ - რ ო ბ ა 339, 355.

ზოგადი ანუ რაციონალური გრამატიკა 277-282, 582; ზ. მეცნიერული გრამატიკის შეუძლებლობა 582; ზ. ენათმეცნიერება 544, 580-582.

თავისთავადობა: შემასმენლის „განსაკუთრებული თ.“ პეშკოვსკისთან 360.

თანამიმართება წარმოდგენათა 356; თ. სუბიექტსა და პრედიკატს შორის 353.

- თანამიმდევრობა წინადადების ნა-
წილთა 345; სიტყვათა თ. 322,
325, 331, 419.
- თანდებული 584, 588; თ-თა მნიშ-
ვნელობა 584.
- თვალსაჩინო სახე 349.
- თვითებითი (აბსოლუტური) სახეო-
ბის ზმნები 437.
- თ'იანი ფორმები 602.
- თურმეობითი 445-446, 461-462.
- თურქულ-თათრული ენები 582.
- თქმის ხატოვანება 430.
- თხრობითი კილო 354; თ. წინადა-
დება 379.
- იმანენტიზმი მეთოდოლოგიური 376,
553-554; ი მ ა ნ ე ტ უ რ ი სა-
ზომი ენობრივი მოვლენის კვლე-
ვისას 271, 544; ი. ანალიზი
სტრუქტურისა 418.
- იმპერატივი 336.
- იმპერსონალები 336.
- ინდოევროპეისტიკა 426; ი ნ დ ო -
ე ვ ო პ უ ლ ი ენათმეცნიერე-
ბა 270, 394; ი.-ე. ენები 263,
405, 422, 582.
- ინდოეთის საგრამატიკო აზროვნება
269.
- ინვერსიული ზმნა 599-601, 603,
605.
- ინტელექტუალისტური ფსიქოლო-
გია 303.
- ინტონაცია 297-298, 351, 367,
378-382, 399-400, 402, 405-406,
419-420, 584; ი ნ ტ ო ნ ა ც ი -
უ რ ი ერთიანობა 378.
- ინფინიტივი 387.
- ირიბი ბრუნვა 355, 390-392.
- ისტორიული გრამატიკა 580; ი.
ენათმეცნიერება 580; ი. თვალსაზ-
რისი 395; ი. მეთოდი 270; ი-შე-
დარებითი გრამატიკა 269, 579,
586; ი-შედარებითი ენათმეცნიე-
რება 269; ი-შედარებითი მეთოდი
394-395, 400.
- კავკასიური ენები 582.
- კავშირი 276, 279, 390-391, 584;
კ. (კობულა) ლოგიკაში 290.
- კატეგორიები ენისა, რეალობისა
და ცნობიერებისა 398.
- „კერძო ენათმეცნიერება“ 582.
- კითხვითი წინადადება 379.
- კილო ზმნისა 356, 390, 584.
- კლასიფიკაცია 579-580.
- კომუნიკაცია 364-373.
- კონიუნქტივი 444, 446, 450-451,
455, 459, 463-465.
- კონკრეტული და განყენებული 374.

კონსტრუქციის ფიგურები 280.

კონტექსტი 299.

კოორდინატი 534-535, 541, 544, 557; კ. დ ი დ ი 536-541, 543, 545-548, 557; კ. მ ც ი რ ე 536-541, 543, 545-549, 557; კ. უ მ ც ი რ ე ს ი 537-540, 543, 546-549, 557; ძ ი რ ი თ ა დ ი კ. 539, 543, 546, 557.

კოორდინაცია 534, 538, 542, 557-558; კ-ის ცენტრი 539-540.

კობულა 282-283.

ლოგიკა 289-290, 395; ლ. პორ-როიალისტებისა 277-278; ლ. და გრამატიკა 282-284, 288-289; ლოგიკური კატეგორიები 277, 376, 550; ლ. მნიშვნელობა 288; ლ. ობიექტი 427; ლ. სუბიექტი 427; ლ-ისა და ენობრივის ურთიერთობა 293; ლოგიციზმი 272-280, 351, 376, 393, 395, 544, 550, 551; ლ. გრამატიკაში 289; ლ. მორფოლოგიაში 362; ლ-ის დასაბუთება ზოგად გრამატიკაში 280; ლ-ის ფსიქოლოგისტური ინტერპრეტაცია 326; ლ-ის პრიმიტიული და დამუშავებული სახეობანი 551; ლოგიკის-ტური გრამატიკა 290.

ლექსემა 404.

ლექსიკა 584.

მათანხმებელი 415.

მაპრედიცირებელი აქტი (მოძრაობა) აზრისა 336-340.

მართვა 408-415, 419, 532, 541-542, 545, 554, 556; მ.-შეთანხმების ცენტრი 554; მ ა რ თ უ ლ ი სიტყვა 356, 410; 415, 532; მ. სახელი 533, 536-538, 554; მ. ზმნა 411, 554.

მარტივი ფუძე 584; მ. წინადადება 421, 528.

მარცვალი 385, 404.

მაქცევარი 438.

მახვილი 329-331, 379, 403, 584.

მდინარი ხასიათი ენობრივი მოვლენისა 579.

მეთოდოლოგიური იმანენტიზმი 261, 376, 396-398, 413-420, 552-554; მ. ლოგიციზმი 280; მ. ტრანს-ცენდენტიზმი 265, 376, 396-398, 550, 552-553.

მეკოორდინაციე ზმნა 539-540, 542, 546.

მელოდია 384-385, 552.

მეორე მორფოლოგიური ობიექტი 547-549.

მეორეხარისხოვანი წევრები წინადადებისა 299; მ. შემასმენელი (პრედიკატი) 322-324, 387.

მესამე ჯგუფი დრო-კილოთა 441, 445.

მეტაფიზიკა 278, 395.

- მეტყველი 327, 418; მეტყველება 283, 382, 397; მ-ის ნაწილები 276-278, 280, 283, 362, 387, 391, 396, 421, 580-582, 584, 586. მ. და ცნობიერება (აზროვნება, ფსიქიკური სინამდვილე) 286-288, 318, 340, 346, 395-397; მ-ის სოციალური ფუნქცია 370; მ-ის სტრუქტურა 419; მ-ის ფაქტი თავისთავად 397; მეტყველებით ერთეულები 341; მ. წინადადება (წინადადება მეტყველებაში) 342-351; მ. აზროვნების ფსიქოლოგია 399.
- მექანიკურ-ფიზიოლოგიური და მექანიკურ-ფსიქიკური ფაქტორები ენის ისტორიაში 400.
- მეცნიერული გრამატიკა 581-583, 589.
- მთავარი სიტყვა 415, 554; მ. მმართველი სახელი 412, 542, 544-545, 547-548; 554, 556; მ. წინადადება 419.
- მთლიანი წარმოდგენა 293-294, 307.
- მთლიანობა 363.
- მითოლოგიურობა ენობრივს აზროვნებაში 430.
- მიმართება 285; მ. სინამდვილესთან 374; მ. იღებთან (პოროილის ლოგიკაში) 278.
- მიმართებითი (რელატიური) სახეობის ზმნები 437.
- მიმართულებითი ბრ. 424-425.
- მიმღობა 276-279, 337, 339, 361-363.
- მირთვა 413, 419, 554; მირთული 413-415, 554.
- მიცემითი ბრ. 424-425, 435-436, 478, 528-531, 535, 546, 549, 594-596, 602-605.
- მმართველი სიტყვა 356, 410, 415, 532-534.
- მნიშვნელობა 373-376, 403, 583, 586; მ. და ფორმა სიტყვისა, შესიტყვებისა 586; მნიშვნელობათმეტყველება 374.
- მოთხრობითი ბრ. 423-425, 439-440, 468-469, 528-536, 545-549.
- მორფოლოგია 270, 401, 580-587; მორფოლოგიური ობიექტი 432-435; 466, 532-533, 537, 546-549, 555; მ. და რეალური ობიექტი 433-436; მ. სუბიექტი 429, 431, 433-436, 439, 467, 532-533, 536-538, 547, 555; სიტყვის მ. თვისებები 553; მ-ისა და სინტაქსურის ურთიერთობა ინდო-ევროპულ ზმნაში 426; მორფოლოგიზმი 376, 391-393, 396, 553; მორფოლოგისტური სინტაქსი 391; მ. კვალიფიკაცია წინადადების ნაწილებისა 388.
- მოქმედებითი ბრ. 425.
- მოქმედებითი ზმნა 441.
- მოძღვრება შესიტყვებათა შესახებ 380.

მრავლობითი რიცხვი 425, 467, 594; მრავლობითობა 467, 469, 535-536, 594-595, 604.

მსმენელი 326, 328, 418.

მსჯელობა 271-273, 275, 278-284, 291-293, 301-302, 309, 312-316; ფსიქოლოგიური მ. 342-346, 348, 351-352, 356-357; მ. მეტყველებაში 350; მ. და წინადადება 295-296, 404; მ-ის ნაწილები 275, 283; მ ს ჯ ე ლ ო ბ ი თ ი წარმოდგენა, ჟესტი, წინადადება (მარბესთან) 312.

მცირე კოორდინატი 535-543, 545-549, 557.

მხოლოდობითი რიცხვი 425.

ნათესაობითი ბრ. 424-425.

ნამყო სრული (შედევობრივი I, თურმეობითი I) 445, 561; ნ. უსრული 443, 447, 449, 454; ნ. ჩვეულებითი (ჰაბიტუალისი, პერმანსივი 444-445, 451, 458-459; ნ. ძირითადი (აორისტი) 439, 444, 447, 450, 456-457; ნ. წინარეწარსული (შედევობრივი II, თურმეობითი II) 446, 462; ნ. წინარეწარსული და ნ. ძირითადის ენ'იანი ვნებითი 478.

ნასახლარი ვნებითი 437, 447.

ნაცვალსახელი 276-277, 582.

ნაწარმოები ფუძე 584.

ნაწევარი 276, 279.

ნაწილაკი 283, 399, 415, 584.

-ნ'იანი სახელობითი 425, 596, 603.

ნივთიერი ნაწილები სიტყვისა 387.

ნივთობრივი მნიშვნელობა 581.

ნიშანი 349, 362, 397; ნ-ის წარმოდგენა 365, 371.

ნოლ-ფორმა ურთიერთობისა (მირთვა) 413, 468, 541.

ობიექტი 322, 374, 593, 596, 599; ო-ის პირი 426; ო-ის მრავლობითობა 601; ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი წყობა 438-439, 469; ო. პრეფიქსი 437.

ორობიექტიანი ზმნა 516, 537.

ორპიროვანი ზმნა 435, 437, 593, 606.

ორწევრიანი წინადადება 366-367; ო. მიმართება 435.

პარალელიზმი აზრის (მსჯელობის) ელემენტებისა და წინადადების ნაწილებისა (ელემენტებისა) 292-293, 298.

პარალელური ფორმები ნამყო უსრულში 464.

პარატაქსი 419, 421.

პასიური ვნებული (პირი) 428; პ. აპერცეფცია და ასოციაცია 305.

პაუზა 379-381, 402-403, 552.

- პერმანსივი 444, 451, 458.
- პირი ზმნისა 390, 533, 541, 593;
პ-ის აღნიშვნა 464, 606; პ-ში
მართვა 557; პ ი რ ო ვ ა ნ ი
ფორმა ზმნისა 388; პ. სიტყვა
355, 426.
- პირდაპირი დამატება 441; პ. წყო-
ბა 605.
- პლეონაზმი 280.
- პოტენციალური აღნიშვნა მორფ.
ობიექტისა (სახ. ბრ. მხ. რ.) 468.
- პოლიპერსონალურობა ზმნისა 593-594.
- პრაქტიციზმი საშ. საუკუნეების
გრამატიკისა 276.
- პრედიკატი 280-283, 288, 291,
321-328, 333, 336, 365-366,
370, 374, 377; პ რ ე დ ი კ ა -
ტ უ ლ ი კავშირი წარმოდგენე-
ბისა 364; პრედიკაცია (შესმენი-
ლობა) 335-340.
- პრევერბი 438.
- პრეფიქსი სუბიექტისა, ობიექტისა 438.
- ჟესტი 312; ჟ.-მიმიკის ენა 319-320.
- რაციონალური გრამატიკა 394, 586;
იხ. აგრეთვე: ზოგადი გრამატიკა
- რეალური სუბიექტი 428-429, 431,
433, 596-599, 605; რ. სუბიექ-
ტისა და ობიექტის სინტაქსური
დაპირისპირება 605; რ. ობიექ-
ტი 428, 431, 433, 594, 599,
602, 605; რ. ობიექტი და პასი-
- ურობა 431; რ. ყოფა 288; რ-ად
მოქმედი ობიექტი 428; რ-ად პა-
სიური (უმოქმედო) ობიექტი 433.
- რელატიური ზმნები 437-439, 531-533,
555.
- რელატიურ-გარდამავალი ზმნა 441,
469-470, 528-532, 546-549,
555; რ.-გ ზმნათა კონ. III და
რელატ.-გარდაუვ. ზმნათა კონ.
II 464; რ.-გ. ზმნათა ნამყო წინა-
რეწარსული და რელატ.-გარდაუვ.
ზმნათა ნამყო ძირითადი 464;
რ.-გ.-ზმნიანი წინადადება 531.
- რელატიურ-გარდაუვალი ზმნა 441,
469, 528-532, 546-549, 555;
რ.-გ.-ზმნიანი წინადადება 540.
- რელატიურ-ზმნებიანი წინადადება
263, 543.
- რეპრეზენტაცია 312, 349.
- რთული წინადადება 419, 421.
- რთული ფუძე 584.
- რიტმი 380, 384-385, 552; რ ი ტ -
მ უ ლ - მ ე ლ ო დ ი კ უ რ ი წყო-
ბა 384; რ.-მ. ერთეულები 384-385.
- რიცხვი 536-537, 542, 593; რ-ის
კატეგორია 435; რ-ში შეთან-
ხმება 558.
- რომელობა 485.
- სააზროვნო აქტი 386.
- საგანი და სიმბოლო 320; ს-ის
წარმოდგენა 365, 370-371.

- საკუთარი სახელების ბრუნება 423.
- სამეტყველო სისტემა 265.
- სამსახელიანი შესიტყვება 546-547.
- სამ (და ოთხ) წევრიანი მიმართება 435.
- სამოქმედო (პირი) 428, 431-432.
- საპრედიკაციო პოტენცია სიტყვებისა 284.
- სასკოლო გრამატიკა 341, 580, 585, 589.
- საურთიერთო მართვა 534.
- საწარმოებელი აფიქსები 584.
- სახელი 277-279, 283, 285, 391, 406, 423, 540-541, 554; შეთანხმებადი ს. 387; ს. მართული სახელის მიერ 410; ს. შეთანხმებული სახელთან 410-411, 554; ს-ის სიმარტივე 426; ს-თა რიცხვის აღნიშვნა ზმნაში 468.
- სახელობითი ბრ. 353, 423-425, 435-436, 439-440, 468-469, 478, 528-532, 535-536, 545-549, 594, 599, 603.
- სემასიოლოგია, სემანტიკა 269, 374, 580-587; ს ე მ ა ს ი ო ლ ო გ ი - უ რ ი კლასიფიკაცია 586.
- სემიტური ენები 422; ს. ენათმეცნიერება 270.
- სილექსი 280.
- სინამდვილის ლოგიკა და მეტყველების ფსიქოლოგია 430.
- სინთეზური ფუნქცია არის მოცემული წინადადებაში 314.
- სინტაგმა 384, 404.
- სინტაქსი 269-270, 275-277, 280, 284, 333-334, 350, 363, 374-375, 377, 399-401, 405, 414, 420, 581-589; ს-ის ნაწილები 363; ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი განსვავება მრავლ. -ებ და -ნ სახეობებს შორის 426; ს. კვალიფიკაცია წინად. ნაწილებისა 387; ს. მექანიზმი წინადადებისა 543, 545, 593; ს. ობიექტი 555; ს. სტრუქტურა ძვ. ქართულისა 548; ს. სუბიექტი 564; ს. ურთიერთობა 414, 416; ს. ცნებები (შეთანხმება, მართვა) 406-407; ს. ცნებების შენაცვლება მორფოლოგიურით 361-363.
- სირთულე ენობრივი მოვლენისა 579, 581.
- სისტემატიკა მოვლენებისა 264.
- სიტყვა 278-279, 285, 364, 399, 403, 582; ს. და იდეა 278; ს. და მისი მნიშვნელობა 404; ს. და სიტყვის ნაწილი 403-404; ს. და საგანი 288; ს. და შესიტყვება 401-403; ს. როგორც მორფოლოგიური ერთეული 405; ს. როგორც ფორმაცვალებადი ერთეული ს-ნიშანი პორ-როიასის გრამატიკაში 277; ს-ტიპი 404; ს-ის აგებულება 397; ს-ის ადგილმდებარეობა 405-406; ს-ის

- მატერიალური შინაარსი 403;
ს-ის მნიშვნელობა 403-404,
583; ს-ის ნაწილები 403; ს-ის
სტრუქტურა 587; ს-ის სტრუქ-
ტურული ანალიზი 404; ს-ის
ფორმა 350, 367, 403-406, 583;
ს-ის ფორმების შეხამება შესი-
ტყვებაში 406; ს-ის ფუნქცია
582; ს-თა თანამიმდევრობა 322,
325, 330, 419; ს-თა კლასები
341, 406; ს-თა კლასიფიკაცია
284-285, 412; ს-თა ურთიერთო-
ბა 397, 406; ს-თა შეხამება 291;
წინადადება — სიტყვათა შეხამე-
ბა 291; ს-თა ჯგუფები 379; ს. —
დამოკიდებულ სიტყვასთან, გაბა-
ტონებულ სიტყვასთან მიმართე-
ბის თვალსაზრისით 412.
- სიტყვაწარმოება 586.
- სიტყვიერი გამოთქმა 287.
- სიტყვის წარმოდგენა 329-331,
347-350.
- სპეციფიკური თვისებები ამა თუ
იმ ენისა 398.
- სპეციფიკურ-ინდიფერენტულობა
ნამყო ძირითადის ჯგუფის გარ-
დამავალი ზმნებისა 441.
- სრული და უსრული 374.
- სტატიკური ანალიზი 402, 580.
- სტილისტიკა 581-587.
- სტრუქტურა ენობრივი მოვლენისა
260, 550, 580-582; ს-ის იმანენ-
ტური ანალიზი 418; ს. — მექა-
ნიზმი შესიტყვებისა 406-407;
ს ტ რ უ ქ ტ უ რ უ ლ ი ანალი-
ზი 404, 586; ს. თავისებურება
ენისა 398; ს. ცნებები 581,
587-589; ს. და ფუნქციური ანა-
ლიზი ს-ფუნქციონალური ცნებე-
ბი 581.
- სუბოზიტი 282.
- სუბიექტი 271, 280-283, 287-289,
291-292, 321-322, 326-328,
333, 336, 365-366, 377, 389,
427-429, 593, 599; ფსიქოლო-
გიური ს. 356; ს. და ობიექტი
ზმნისა და შესიტყვების თვალ-
საზრისით 435; ს-ის კატეგორია
371; ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი პირი
426; ს. წყობის რელატიური
ზმნა 438-439; ს. სტილი 583.
- სუბსტანცია 284, 372.
- სუსტად ხაზგასმული წევრი წინა-
დადებისა 329.
- სუფიქსით წარმოდგენა III სუბ.
პირისა 466.
- სქესი 390, 398, 423.
- ტაქტი 404.
- ტერმინი 281.
- ტონებრივი (ტონური) მოდულაცია
329-331.
- ტრადიციული განსაზღვრება სუბი-
ექტისა და პრედიატისა 297;
ტ. გრამატიკა 580, 585-586, 588.

ტრანსცენდენტში მეთოდოლოგიური 376, 393, 400; ტ. და იმანენტიზმი 553; ტ. სიტყვის პრობლემაში 404; ტ. ფუნქციონალური შესახებ მოძღვრებაში 553; ტრანსცენდენტისტი 265, 544; ტრანსცენდენტური საზომი ენობრივი მოვლენის კვლევისას 271.

უარყოფა 285; უარყოფითი ფორმა 405.

უახლოესი ობიექტი 555.

უმოქმედო (პირი) 428.

უმცირესი კოორდინატი 536-540, 542, 546-549, 557.

უპირო ზმნა 368; უპიროვნო წინადადება 417.

უსუბიექტო გამოთქმა 368.

უფორმო სიტყვა 405, 414-415; უ. სიტყვისა და ნაწილაკის გარჩევა 274.

ულვლილება 584; უ-ის პრეფიქსული ხასიათი ქართულში 466; უღვლილებადი სიტყვა 419, 423, 554.

უწყვეტობა 377, 552.

ფილოლოგიური გრამატიკა 276, 394.

ფილოსოფიური გრამატიკა 277, 394.

ფლექსია 580.

ფონეტიკა 269, 581-583; ფონეტიზმი 376, 393, 396, 553;

ფონეტიკური განსაზღვრება წინადადებისა 378; ფ. ფაქტორები ენის განვითარებაში 400; ფ. ცვლილება და მორფოლოგიური კვალიფიკაცია 438.

ფორმა 582; არასინტაქსური ფ. 353; ფ. და მნიშვნელობა სიტყვისა, შესიტყვებისა 583; ფ. — ენის გრამატიკული შესწავლის საგანი 389; ფ. სიტყვისა 552-553; ცვალებადი ფ. 354; ფ-ები ენისა 350; ფ-ის ცნება 350; ფ-ათა დამოკიდებულება 406; ფორმიანი ენები 406; ფ. სიტყვა 408; ფ. და უფორმო სიტყვები 399, 405; ფორმაცვალებადი სიტყვა 415.

ფორმანტი 430.

ფორმალიზმი 396, 552-553.

ფორმალური ლოგიკა 297; ფ. ნაწილები სიტყვისა 387; ფ. ნიშნები 389; ფ. სინტაქსი ბუდესთან 391; ფ-ენობრივი ნიშანი 399.

ფრაზა 274, 384-386, 397, 399, 403, 415-416.

ფსიქიკა 402; ფსიქიკური განაცადი 374; ფ. კორელატი სიტყვისა 349; ფ. ეკვივალენტი წინადადებისა 369; ფ. კორელატი წინადადებისა 369, 372; ფ. სუბსტრატი წინადადებისა 370; ფ. პროცესები, რომლებიც თანახლავან „ენობრივ გამოხატულებას“ 301; ფ-ენობრივი ნიშანი 399.

- ფსიქოლოგია 275, 290, 402;
ფსიქოლოგიზმი 267,
300; შმდ., 321, 335, 339, 351,
358, 375, 391, 393, 394, 403,
544, 550, 550-553; ფსიქო-
ლოგიური ანალიზი ერთეუ-
ლებისა 344; ფ. ერთეულები
341; ფ. კატეგორია 322-329,
337, 376, 550; ფ. კომუნიკაცია
365; ფ. მსჯელობა 327, 365,
368-369, 383, 552; ფ. ობიექტი
324; ფ. პრედიკატი 321-325,
333, 344-345, 365, 368-369; ფ.
სუბიექტი 321-325, 330, 333,
344, 365, 368; ფ. ფუნქციები
ფორმანტებისა 430; ფსიქოლო-
გიურად გაბატონება და ენობ-
რივად დაქვემდებარება შემას-
მენლისა პეშკოვსკისთან 359.
- ფსიქოლოგისტური თვალსაზრისი
წინადადებისა და მისი ნაწილების
კვლევისას 271; ფ. ინტერპრეტა-
ცია ლოგიკის ცნებებისა 297.
- ფუნქცია 398, 422; ფ. ენობრივი
მოვლენისა 580-582; ფ-ები
ენობრივი მონაცემისა 398; ფ-ის
მიხედვით სტრუქტურის შესწავ-
ლა 400; ფ-ათა აღწერა 400;
ფ-ათა შესახებ მოძღვრება 400;
ფუნქციონალური ანა-
ლიზი 592; ფ. და სტრუქტურ-
ული ანალიზი 586; ფ. და
სტრუქტურული მომენტები 586;
ფ. ნიშანი 588; ფ. ცნება 405,
580-582, 587-589.
- ფუძე ზმნისა 389; ფ-ის მნიშვნე-
ლობა 580, 584; ფ-თა წარმოე-
ბა 580; ფ-თა საწარმოებელი
- აფიქსები 589; ფუძე შე-
კუმული ბრუნება 424.
- ქვემდებარე 262, 269-271, 280,
291-292, 298, 321, 328, 337,
344, 353-355, 361, 366-369,
372, 377, 386-392, 412, 414,
421-422, 534, 541-543, 545-548,
554, 580-581, 587-588; გრამა-
ტიკული ქ. 344, 350; ფსი-
ქოლოგიური ქ. 341-344,
352; ლოგიკური ქ. 289;
ქ. და სუბიექტი 551; ქ. და
ფსიქოლოგიური სუბიექტი 552;
ქვემდებარის ლოგიკისტური გან-
საზღვრებანი 271-276; საშუალო
საუკუნეთა გრამატიკაში ქ. არ
გვხვდება 276; ძველ გრამატიკო-
სებს ქ. არ გააჩნიათ 421.
- ქცევათა მნიშვნელობა 584.
- ჟი || -კე ნაწილაკი 602.
- ყურადღება 307.
- შედარებითი მეთოდი 270, 394; შ.
გრამატიკა 581.
- შედევობრივი 445-446, 461-462,
464-465.
- შეთანხმება 354, 408-411, 414,
419, 541, 598; შ. ზმნისა -ებ'
იან სახელობითთან 597; შ. სა-
ხელისა და ზმნისა რიცხვში
410; შ. სახელისა სახელთან
ბრუნვასა და რიცხვში 409; თა-
ნასწორუფლებიანთა შ. 359;
შეთანხმებული 415.

შემასმენელი 269, 280, 289, 291, 298, 321, 326-329, 336, 344, 355, 366, 372, 385-392, 412, 421, 539, 542, 545, 554, 588; გრამატიკული შ. 343-345, 350, 353; ფსიქოლოგიური შ. 341-344, 353; წინადადების შემასმენელი 350; საშუალო საუკუნეთა გრამატიკებში შ. არ გვხვდება 276; ძველ გრამატიკოსებს შ. არ გააჩნიათ 275; შ. და პრედიკატი 551; შ. და ფსიქოლოგიური პრედიკატი 552; შ. — ზმნა 355; შ. — წინადადების უმთავრესი წევრი 354; შ. — პრედიკატი 389; შ-ის თავისთავადობა 354; შ-ის შეთანხმება ქვემდებარესთან 354; შ-ის ლოგიკისტური განსაზღვრებანი 271-276.

შესატყვისობა აზრისა და წინადადებისა — ლოგიციზმის მეთოდოლოგიური პრინციპი 291.

შესიტყვება 318-322, 333-335, 341, 344, 363, 377-379, 381, 399, 403-405, 414-416, 422, 442, 544, 553, 582, 585-586; შ. სინტაქსის საგანი 403, 553; შ. შეთანხმება-მართვის თვალსაზრისით 407; შ-ის აგებულება 397, 584; შ-ისა და სიტყვის გარჩევა 403; შ-ის მექანიზმი 554; შ-ის მნიშვნელობა 583; შ-ის მორფოლოგიური შედგენილობა 416-553; შ-ის ნაწილთა სინტაქსური ურთიერთობა 416, 553-554; შ-ის პოტენციალურად მონაწილე პირი 416; სინტაქსური რაობა 423; შ-ის სტრუქტურა 406, 411, 417, 434, 582-584; შ-ის ტიპები 378; შ-ის ფორმა 350, 407; შ-ის ფუნქცია 378, 417, 582; შ-ის შედგენილობა

407; შ-თა კლასები 341; შ-თა შენაერთები 378.

შესმენილობა (პრედიკაცია) 336-337, 344, 356, 359, 386, 390, 414.

შეტყობინება 370.

შეუძლებლობა ტრანსცენდენტისა აღწერისას 398.

შინაგანი მეტყველება 364.

შინაფორმა: მსჯელობის ფსიქოლოგიური რაობა არის მისი შ. 310.

შორისდებული 279, 319, 336.

ჩ უ ე ნ - ობიექტის მრავლობითობა 595.

ცვალებადი სიტყვები 390, 391.

ცნება 279, 283-284; ც. და აზრი 287.

ცნობიერება: ც-ის და მეტყველების პარალელიზმის საკითხი 398; ც-ის განწყობა 312; ც-ის პროცესები 271; ც-ის ფენომენი 349; ც-სთან მიმართება 429.

ცნობიერ-ფსიქიკური ფაქტორები ენის ისტორიაში 400.

ცოცხალი ენა, ც. მეტყველება 418.

ძირითადი კოორდინატი 539, 543-546, 557; ძ. ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი ფ ო რ - მ ა (სახელისათვის — ბრუნვა, ზმნისათვის — პირი) 534.

ძლიერ ხაზგასმული წევრი წინადადებისა 329.

წართქმა 285, 375-377, 552; წართქმულობა 335.

წარმოდგენა 342, 352; გაბატონებული წ. 328-330; ზოგადი წ. 349; ინდივიდუალური წ. 349; მთლიანი წ. 307; წ. და სიტყვა 402-404; წ. უკანა რიგისა 329; წ-ის აპერცეფციული დაშლა 332; წ-ის დანაწევრების პროცესი 308-309; წ-თა ასოციაცია 352, 404; წ-თა თანამიმართება 352; წ-თა შეკავშირება მიმართებათა სახით 309; წ-თა შეხამება 363, 370.

წარმოება სიტყვის ფუძისა 583.

წინადადება 257, 269-271, 278-282, 286-288, 289, 292, 300, 302, 335, 339-341, 346, 350-351, 357, 373, 375-377, 378, 385, 388, 391, 396, 404, 415, 420-422, 554, 580, 585; წ. და მსჯელობა 295-298; წ. როგორც კვლევის ობიექტი 269; წ. — სიტყვათა შეხამების გარკვეული ფორმა 357; გავრცელებული წ. 330; გაუვრცელებელი წინადადება 330, 352; ერთწევრიანი წ. 336, 366; მეტყველებითი წ. 342; ორწევრიანი წინადადება 366; სრული წ. 342-344, 353; უსრული წ. 342, 353; წაკითხული წ. 418; წ. აზრში 345-350; წ. და კომუნიკაცია 366; წ. და მისი ნაწილები 551; წ. და მსჯელობა 551; წ. და ფსიქიკური მსჯელობა 551; წ-ის ანალიზი 288; წ-ის ეკვივალენტი 320, 419, 544; წ-ის სტრუქტურის ანალიზი 404; წ-ის უნივერსალური განსაზღვრება 384; წ-ის ფსიქიკური კორელატი 316-318;

წ. — შესიტყვების ერთ-ერთი სახე 420; წ. — შესიტყვება, აგებული მართვა-შეთანხმების პრინციპზე ბრუნვადი და უღვლილებადი სიტყვებისაგან 411; წ-ის გენეტური განსაზღვრა 315; წ-ის განსაზღვრა ქართულისათვის 544; წ-ის ლოგიკისტური განსაზღვრებანი 271-276, 358; წ-ის განსაზღვრება ძველ გრამატიკოსებთან 276; წ-ის გრამატიკული განსაზღვრება 353; წ-ის ზოგადლოგიკური განსაზღვრება 353, 357-358; წ-ის ზოგადფსიქოლოგიური განსაზღვრება 353, 357-358; წ-ის განსაზღვრებანი სხვადასხვა ავტორთან 332-334; წ-ის თეორია 329; წ-ის კვალიფიკაცია ფსიქოლოგისტური თვალსაზრისით 271; წ-ის სინტაქსური მექანიზმი 588; წ-ის ფსიქოლოგია 329; წ-ის ფსიქოლოგიური რაობა 358; წ-ის შედგენილობა და მექანიზმი ქართულში 554; წ-ის წარმოქმნა 314; წ-ის წევრები, ნაწილები 280, 282, 330, 366, 375.

წინდებული 276, 279, 390-391.

„წრფელობითი“ 423-426.

ხანმეტი 433, 447.

ჰაბიტუალისი (პერმანსივი, ნამყოფეულებითი) 444, 451, 458.

ჰაემეტი 433, 447.

ჰიპერბატი 280.

ჰიპოტაქსი 419, 421.

შინაარსი

მეორე გამოცემის წინასიტყვაობა	251
პირველი გამოცემის წინასიტყვაობა	262

თავი პირველი: შესავალი

1. საკითხის დასმისათვის მიმართულებათა შესახებ	269
§ 1. ქვემდებარე-დამატების საკითხი და წინადადების საკითხი	269
§ 2. სამი ძირითადი თვალსაზრისი წინადადების რაობის გაგებაში და ქვემდებარე-დამატების შესაბამისი განსაზღვრება	271
2. ლოგიციზმი	272
§ 3. წინადადებისა და ქვემდებარე-დამატების ლოგიკისტური განსაზღვრების ნიმუშები	272
§ 4. წინადადების, ქვემდებარე-დამატების ლოგიკისტურ განსაზღვრებათა ორი სახეობა	275
§ 5. «წინადადება» ცნება (ქვემდებარე-დამატების გარეშე) ფილოლოგიურ გრამატიკაში	276
§ 6. პორ-როილის ზოგადი (რაციონალური) გრამატიკა და მისი ძირითადი პრინციპები	277
§ 7. ცნებები: «წინადადება», «სუბიექტი», «პრედიკატი» ...ზოგად (რაციონალურ) გრამატიკაში	280
§ 8. ცნებები: «მსჯელობა», «წინადადება», «სუბიექტი», «პრედიკატი» საშუალო საუკუნეთა ლოგიკაში	280
§ 9. «სუბიექტ-პრედიკატი» და სინონიმური ტერმინები «სუპოზიტემ-აპოზიტემი»	281
§ 10. ცნებების «სუბიექტი», «პრედიკატი», «ქვემდებარე», «შემასმენელი» დამკვიდრება გრამატიკაში (XIX ს.)	282
§ 11. ზოგადი პირობები ლოგიკის ცნებათა გადმოტანისა გრამატიკაში	284
§ 12. არისტოტელეს «კატეგორიები» და სიტყვათა კლასიფიკაცია	284
§ 13. ლოგოსი («სიტყვა»), აზრი და სინამდვილე არისტოტელეს „ანალიტიკაში“ (ლოგიკაში)	286

§ 14.	ცნებები «მსჯელობა», «წინადადება», «სუბიექტი», «პრედ- იკატი» ლოგიკოს ბოეთიუსთან	288
§ 15.	წინადადების ანალიზი, როგორც ამოსავალი ჯ. ს. მილის ლოგიკისა	289
§ 16.	ლოგიციზმი გრამატიკაში, გრამატიციზმი ლოგიკაში და პრიმიტიული ლოგიციზმის კრიტიკული ანალიზი	290
§ 17.	ლოგიციზმის დასაბუთებული ვარიანტი და ფორმალური ლოგიკის ცნებებთან — «მსჯელობასთან», «სუბიექტ»-«პრე- დიკატთან» გრამატიკული ცნებების «წინადადების», «ქვე- მდებარე»-«შემასმენლის» ფარდობის საკითხი	291
§ 18.	ცნებების «მსჯელობა», «სუბიექტი», «პრედ-იკატი» ნაირგვა- რი არატრადიციული განსაზღვრებანი	292
§ 19.	ლოგიციზმის დასაბუთებული ვარიანტის კრიტიკული ანალიზი	295
	3. ფსიქოლოგიზმი	300
§ 20.	წინადადების განსხვავებული ფსიქოლოგისტური გან- საზღვრება პაულისა და ვუნდტისა	300
§ 21.	ფსიქოლოგიზმის ძირითადი პრინციპი წინადადების გან- საზღვრებისა	301
§ 22.	მსჯელობის ფსიქოლოგიური რაობა ვუნდტის „ლოგიკასა“ და „ფსიქოლოგიაში“, ზიგვარტის „ლოგიკასა“ და პაულის „ენის ისტორიის პრინციპებში“	301
§ 23.	ჰერბარტის ფსიქოლოგიის საწყისები და პაულისეული განსაზღვრება წინადადებისა	303
§ 24.	ვოლუნტარიზმი და აპერცეფციონიზმი, როგორც ვუნდტის ფსიქოლოგიის ნიშანდობლივი პრინციპები	304
§ 25.	«მთლიანი წარმოდგენა» (<i>Gesamtvorstellung</i>), მისი წარმო- ქმნა და დანაწევრება, როგორც «მსჯელობის» საფუძველი ვუნდტთან	306
§ 26.	წარმოდგენილი შინაარსის დანაწევრება, გაფორმება და ობიექტივაცია, როგორც მსჯელობის ფსიქოლოგიური რაობა იერუზალემთან	309
§ 27.	წარმოდგენილის შეწყნარება ან უარყოფა, როგორც მსჯე- ლობის რაობა ბრენტანოს „ფსიქოლოგიაში“	310
§ 28.	მსჯელობათა სახეები მარბეს გაგებით და მსჯელობის ექსპერიმენტული შესწავლის თავისებური შედეგები	311

§ 29.	წინადადება «აზრითი ერთიანობა მეტყველებისა» ბიულერთან	314
§ 30.	წინადადების ფსიქიკური ეკვივალენტის ნაირგვარობა და წინადადების ფსიქოლოგისტური განსაზღვრების უპერსპექტივობა	316
§ 31.	წინადადების ფსიქოლოგისტური განსაზღვრება და ენობრივად განსხვავებულის განუსხვავებლობა	318
§ 32.	«ფსიქოლოგიური სუბიექტი-პრედიკატი» გაბელენცისა და წინადადების წევრები	321
§ 33.	«ფსიქოლოგიური სუბიექტი-პრედიკატი» და წინადადების წევრთა საკითხი პაულთან	323
§ 34.	«გაბატონებული წარმოდგენა», «უკანა რიგის წარმოდგენა» ვუნდტისა და წინადადების წევრთა ფარდობა მათთან ...	329
§ 35.	როზვადოვსკი, დიტრიხი, ზიუტერლინი, ბლიუმელი, რისი წინადადებისა და სინტაქსის შესახებ	332
§ 36.	ფსიქოლოგისტური პრინციპი წინადადების განსაზღვრებისა რიგ სხვა ავტორებთან (კერნი, ოვსიანიკო-კულიკოვსკი, ფორტუნატოვი, პეშკოვსკი, შახმატოვი...)	334
§ 37.	წინადადება — «აზრი, გამოხატული ზმნის უღვლილებადი ფორმით» (კერნი)	334
§ 38.	წინადადების განსაზღვრება ბრუგმანისა	335
§ 39.	წინადადების განსაზღვრება «პრედიკაციის» მეშვეობით ოვსიანიკო-კულიკოვსკის გაგებაში	336
§ 40.	«პრედიკაცია» და ზმნა	338
§ 41.	«ფსიქოლოგიური ქვემდებარე-შემასმენელი» და წინადადება ფორტუნატოვის კონცეფციაში	340
§ 42.	«გრამატიკული ქვემდებარე-შემასმენელი», «შესიტყვება» და წინადადება ფორტუნატოვთან	343
§ 43.	ფორტუნატოვის შეხედულებათა კრიტიკული ანალიზი ..	345
§ 44.	დურნოვო წინადადებისა და ქვემდებარე-შემასმენლის შესახებ	350
§ 45.	«წინადადება», «შემასმენელი», «ქვემდებარე», «დამატება» — ცნებების ფსიქოლოგისტური ინტერპრეტაცია პეშკოვსკის „სინტაქსში“	351
§ 46.	ფსიქოლოგიური მსჯელობა («აზრი») და წინადადების განსაზღვრება პეშკოვსკის „სინტაქსში“	356
§ 47.	პეშკოვსკის ფსიქოლოგისტური კონცეფციის ანალიზი ...	359

§ 48.	«ფსიქოლოგიური კომუნიკაცია» და მისი ნაწილები («სუ-ბიექტი», «პრედიატი»), წინადადება და წინადადების წევრთა იერარქია შახმატოვის კონცეფციაში	363
§ 49.	შახმატოვის შეხედულებათა სქემა და მიმართება სხვა ფსიქოლოგისტურ კონცეფციებთან	368
§ 50.	შახმატოვის სინტაქსური კონცეფციის კრიტიკული ანალიზი	369
§ 51.	სინტაქსისა და წინადადების საკითხის ორიგინალური ინტერპრეტაცია პორცივის მიერ	373
	4. ფონეტიზმი და მორფოლოგიზმი სინტაქსში	376
§ 52.	მეთოდოლოგიური ტრანსცენდენტიზმი, როგორც ლოგიციზმ-ფსიქოლოგიზმის საერთო პრინციპი და საპირისპირო თვალსაზრისი	376
§ 53.	წინადადებისა და მისი წევრების განსაზღვრებანი დელბრიუკისა	376
§ 54.	სინტაქსის ამოცანა, წინადადება, ინტონაციური ერთიანობა, პაუზა პეტერსონის მიხედვით	378
§ 55.	პეტერსონის შეხედულებათა ანალიზი	380
§ 56.	წინადადებისა და მის წევრთა არაფსიქოლოგისტური ინტერპრეტაცია პეშკოვსკისა	383
§ 57.	წინადადების წევრთა საკუთრივ სინტაქსური განსაზღვრებანი — რუსული ენის მასალაზე — პეშკოვსკისა	387
§ 58.	ბუდეს შეხედულებანი წინადადებისა და წინადადების წევრთა შესახებ	388
§ 59.	სინტაქსის ცნებათა მორფოლოგიზაცია ბუდეს შრომებში	391
§ 60.	წინადადების წევრთა მორფოლოგიური ინტერპრეტაცია დერჟავინის „გრამატიკაში“	392
§ 61.	ფონეტიზმი და მორფოლოგიზმი სინტაქსში და ტრანსცენდენტიზმი	392

თავი მეორე: აღწერის მეთოდოლოგიისა და მეთოდოლოგიური იმანენტიზმისათვის

	1. იმანენტიზმის დასაბუთებისათვის ზოგადად	394
§ 62.	ისტორიულ-მედარებიითი ენათმეცნიერება და ენის აღწერის მეთოდოლოგია	394
§ 63.	მეტყველების კავშირი აზროვნებასთან და ენის აღწერის ორიენტაცია ლოგიკასა და ფსიქოლოგიაზე	395

- § 64. ტრანსცენდენტიზმის შეუძლებლობა და იმანენტიზმის აუცილებლობა ენობრივი ფაქტის აღწერისას 396
- § 65. ენობრივი ფაქტის სტრუქტურა და ფუნქცია 398

2. წინადადების საკითხისათვის მეთოდოლოგიური

- იმანენტიზმის თვალსაზრისით 401**
- § 66. შესიტყვება (სინტაგმა), როგორც სინტაქსის საგანი 401
- § 67. შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმის გარკვევა, როგორც სინტაქსის ამოცანა 405
- § 68. შეთანხმება და მართვა, როგორც სინტაქსური ურთიერთობის (სიტყვათა დამოკიდებულების) ორი ძირითადი სახეობა 408
- § 69. სახელის შეთანხმება სახელთან, ზმნისა და სახელის მართვა სახელის მიერ, შუალობითი და უშუალო მართვა .. 409
- § 70. წინადადების წევრთა განსაზღვრების ნიმუში სინტაქსური ურთიერთობის მიხედვით (რუსული ენის მაგალითზე) ... 410
- § 71. «წინადადების ეკვივალენტი», «ატრიბუტული წინადადება», «რთული წინადადება», «მეტყველების სტრუქტურა და სისტემის პოტენციალური არსებობა» 415

თავი მესამე: ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველს ქართულში

1. სახელისა და ზმნის ზოგადი მორფოლოგიური ანალიზი

- § 72. სახელის მორფოლოგიის ზოგადი დახასიათება ძველს ქართულში 423
- § 73. ზმნის პირი ქართულში: ვ-პრეფიქსით აღნიშნული პირველი პირი, მორფოლოგიური სუბიექტი (MS) და მისი მიმართება რეალურ სუბიექტთან (RS) .. 426
- § 74. ზმნის პირი ქართულში: მ-პრეფიქსით აღნიშნული პირველი პირი, მორფოლოგიური ობიექტი (MO) და მისი მიმართება რეალურ ობიექტთან (RO) ... 431
- § 75. მორფოლოგიური სუბიექტ-ობიექტისა და სინტაქსური სუბიექტ-ობიექტის გარჩევის აუცილებლობა ქართულში 434
- § 76. აბსოლუტური და რელატიური სახეობის ზმნები ძველს ქართულში 436

§ 77.	რელატიური სახეობის ზმნათა ორგვარი წყობა: სუბიექტური და ობიექტური	438
§ 78.	ზმნათა დაყოფა სინტაქსური თვალსაზრისით — გარდაუვალ და გარდამავალ ზმნებად	439
§ 79.	აბსოლუტურ-გარდაუვალი, რელატიურ-გარდაუვალი და რელატიურ-გარდამავალი ზმნები ძველს ქართულში	442
2. სხვადასხვა ტიპის ზმნათა უღვლილების პარადიგმები		
§ 80.	აბსოლუტურ-გარდაუვალ ზმნათა უღვლილების პარადიგმები (განმარტებითი შენიშვნებითურთ)	443
§ 81.	რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა უღვლილების პარადიგმები (განმარტებითი შენიშვნებითურთ)	448
§ 82.	რელატიურ-გარდამავალ ზმნათა უღვლილების პარადიგმები (განმარტებითი შენიშვნებითურთ)	452
3. სახელების პირთა და რიცხვთა აღნიშვნა ზმნებში ..		
§ 83.	მორფოლოგიური სუბიექტისა და ობიექტის პირის აღნიშვნა რელატიურ ზმნებში	466
§ 84.	სახელობითისა და მოთხრობითი ბრუნვის, MS-ის, მრავლობითის აღნიშვნა ძველი ქართულის ზმნებში	468
§ 85.	მიცემითი ბრუნვის, MO-ის, მესამე და მეორე პირის მრავლობითის აღნიშვნა ძველი ქართულის ზმნებში	478
§ 86.	მიცემითი ბრუნვის, MO-ის, პირველი პირის აღნიშვნის საკითხი ძველი ქართულის ზმნებში	489
§ 87.	სახელობითი ბრუნვის, MO-ის, მრავლობითის აღნიშვნა ძველი ქართულის ზმნებში	500
§ 88.	ბრუნვაცვალებადი MO-ის სახელობითის მრავლობითის აღნიშვნა ძველი ქართულის ორობიექტიან ზმნებში	516
§ 89.	-ებ-სუფიქსიან სახელობითთან, MO-თან, ზმნის შეუთანხმებლობა რიცხვში	520
§ 90.	-ებ-სუფიქსიან სახელობითთან, MS-თან, ზმნის შეუთანხმებლობა რიცხვში	524
4. მარტივი წინადადების შედგენილობა და სინტაქსური მექანიზმი		
§ 91.	მარტივი წინადადების შედგენილობა	528
	ტაბულა I: ზმნები და MS, MO	528
	ტაბულა II: MS, MO და ბრუნვები	529
	ტაბულა III: სახელთა ბრუნვები და MS, MO ზმნებისდა მიხედვით	530

§ 92.	ზმნის პირთა მართვა, როგორც MS-ის, ისე MO-ის მიერ, ერთის მხრივ, MS-ისა და MO-ის ბრუნვათა მართვა რელატიური ზმნის მიერ, მეორე მხრივ, როგორც სინტაქსური ურთიერთობის თავისებური სახე (— კოორდინაცია) და რიცხვში შეთანხმების კრიტერიუმი	532
§ 93.	ბრუნვაცვალებადი მეორე MO-ის სინტაქსური ძალა აწმყოში, ნამყო ძირითადასა და ნამყო სრულში (თურმეობით I-ში)	536
§ 94.	კოორდინაცია და კოორდინატები (ძირითადი, დიდი, მცირე, უმცირესი) რელატიურ-ზმნიან მარტივ წინადადებაში	538
§ 95.	აბსოლუტურ გარდაუვალ-ზმნიანი წინადადების სინტაქსური მექანიზმი ქართულში	541
§ 96.	-ებ'იანი სახელობითის სინტაქსური როლის კვალიფიკაცია ძველ ქართულში	542

შ ე ჯ ა მ ე ბ ი თ ი ტ ა ბ უ ლ ე ბ ი :

ტაბულა I:	ზმნა და კოორდინატები	545
ტაბულა II:	MS, MO და შესაბამისი სინტაქსური ცნებები	547
ტაბულა III:	ბრუნვები და მათ მიერ გამოცემული სინტაქსური ცნებები	548
ტაბულა IV:	სინტაქსური ცნებები და ბრუნვები, რომლებითაც ისინი გამოიციემიან	548
დასკვნითი დებულებანი	550
„ „	რუსულ ენაზე	559
„ „	ფრანგულ ენაზე	569

დამატება I

გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები	579
რეზიუმე რუსულ ენაზე		590

დამატება II

მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში	593
რეზიუმე რუსულ ენაზე	607
შემოკლებათა განმარტება	608
პირთა სახელების საძიებელი	614
საგნობრივი საძიებელი	616
შემჩნეული შეცდომების გასწორება	

შენიშვნები

1. „გინის რეფლექსები ფერეიდნულში“ ავტორს მოხსენებად წარუდგენია ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების სხდომისათვის 1923 წლის 20 მაისს; გამოქვეყნდა კრებულში „ჩვენი მეცნიერება“, 1923, №2-3.
2. „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების „წელიწდეულის“ წინასიტყვაობა“ გამოქვეყნდა როგორც ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების „წელიწდეულის“ (I-II, 1923-1924) ზოგადი შესავალი.
3. „ჟე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოდიკის ურთიერთობის თვალსაზრისით“ ავტორს წაუკითხავს მოხსენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1924 წლის 8 იანვარს; გამოქვეყნდა ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეულში, I-II, ტფ., 1923-1924.
4. „ზოგადი თვალსაზრისისათვის (პრინციპული შენიშვნები)“ წერილი დათარიღებულია 1924 წლის 27 მარტით; გამოქვეყნდა ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეულში, I-II, 1923-1924.
5. „გრძელი ხმოვნები მთიულურში“ წაკითხულია მოხსენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1923 წლის 11 მარტს; გამოქვეყნდა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბეში, ტფ., ტ. 4, 1924.
6. „გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად (უშუალო დაკვირვებანი)“ მოხსენებად იქნა წაკითხული ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1924 წლის 1 აპრილს; გამოქვეყნდა პროფ. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ კრებულში — „არლი“, ტფ., 1925.
7. „ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენისათვის“ წერილი დათარიღებულია 1924 წლის 16 ოქტომბრით; გამოქვეყნდა კრებულში „ჩვენი მეცნიერება“, №3-4 (15-16), ტფ., 1925.
8. „რეცენზია: Н. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка. Материалы по яфетическому языкознанию, XII. Ленинград, 1925“ გამოქვეყნდა კრებულში: „მომომხილველი“ (საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო), I, ტფ., 1926.

9. „წარმართ“ სიტყვის ისტორიისათვის ავტორს გამოკვლევა დაუწერია 1926 წლის 28 მარტს; წერილი არქივში აღმოჩნდა და გამოსაქვეყნებლად მოამზადა პროფ. ვ. შენგელიამ; გამოქვეყნდა კრებულში „ეტიმოლოგიური ძიებანი“, თბ., 1991.

10. „უღვლილების ერთი თავისებურება ქართულ ზმნაში (პირის აღნიშვნა)“ წერილი გამოქვეყნდა გაზეთში „საქართველოს განათლების მუშაკი“, 1926, №14.

11. „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი“ ავტორს მოხსენებად წაუკითხავს 1926 წლის 23 თებერვალს და 2 მარტს ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე; გამოქვეყნდა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბეში, ტფ., ტ. 7, 1927.

12. „რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში“ გამოქვეყნდა ჟურნალში „ახალ სკოლისაკენ“, ტფ., 1928, №3; ხოლო შემდგომ კრებულში „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბ. 1956.

13. „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, ქვემდებარე დამატების საკითხი ძველს ქართულში (მასალები მეთოდოლოგიური იმანენტისათვის)“ მონოგრაფია გამოქვეყნდა 1928 წელს (ტუ გამოცემა), შემდგომ — 1968 წელს (გამომც. „მეცნიერება“); II გამოცემას ერთვის ორი დამატება: 1. გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები (წაკითხულია მოხსენებად ენიშკის საენათმეცნიერო განყოფილებათა გაერთიანებულ სხდომაზე 1937 წლის 5 თებერვალს; დაიბეჭდა სსრკ მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბეში, 1940 წ., ტ. I.); 2. მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში (დაიბეჭდა საქ. მეცნ. აკადემიის მოამბეში, 1941 წ. ტ. II).

პირველი პერიოდის ნაშრომებიდან ამ ტომში არ შევიდა მხოლოდ „-ონ სუფიქსი მეგრულში“, რადგან ის თემატურად III ტომში განთავსდა.

დასასრულ, ტომის მომზადებაში აქტიური მონაწილეობისათვის სარედაქციო კოლეგია მადლობას უხდის თანამშრომლებს: **მ. აბალაკს, ლ. აზმაიფარაშვილს, ნ. არდოტელს, ე. საბანაძეს, რ. ფარეულიძეს, ზ. ქავთარაძეს, ნ. ჭინჭარაულს, ნ. ხახიაშვილს, რ. ჯანაშიას**, ვინც იკისრა კორექტურის კითხვის მთელი სიმძიმე. ასევე მადლობა ეთქმის ტომის ტექნიკურ რედაქტორს **ლ. ვაშაკიძეს**, ოპერატორებს **თ. გაბროშვილსა და რ. რატაიანს**.

შინაარსი

I. წერილები

ვინის რეფლექსები ფერეიდნულში	5
ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების „წელიწდეულის“ წინასიტყვაობა	22
- ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამა- ტიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით	25
ზოგადი თვალსაზრისისათვის (პრინციპული შენიშვნები) ...	51
გრძელი ხმოვნები მთიულურში	58
გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად (უშუალო დაკვირვებანი)	72
ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენისათვის	109
რეცენზია: Н. Марр. Грамматика древнелитературного гру- зинского языка. Материалы по яфетическому языкознанию, XII. Ленинград, 1925.	128
„წარმართ“ სიტყვის ისტორიისათვის	169
უღვლილების ერთი თავისებურება ქართულ ზმნაში (პირის აღნიშვნა)	172
ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი	180
რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქარ- თულში?	240
II. მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, ქვემდებარე- დამატების საკითხი ძველს ქართულში (მასალები მეთო- დოლოგიური იმანენტიზმისათვის)	249
შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი	631

Contents

I. Articles

Reflexes of vin in Fereidanian	5
Foreword of "Annual" of the Georgian linguistic society	22
A particle -qe in Fereidanian and its importance from the viewpoint of grammatical-logical relation	25
Towards general viewpoint (principal comments)	51
Long vowels in Mtiulian	58
Outer Kakhetia according to dialectology (direct researching)	72
Towards discovering the khanmet'i and haemet'i texts	109
Review: N. Marr. Grammar of old literary Georgian. Materials on Japhetic linguistics, XII, Leningrad, 1925	128
Towards the history of the word çarmart	169
One peculiarity of conjugation in a Georgian verb (person marking)	172
Main peculiarities of Fereidanian	180
Why it is essential to change case order in Georgian?	240

II. A problem of a simple sentence in Georgian, I, the issue of subject and object in old Georgian (materials for methodologic immanentism)	249
Notes	631

Содержание

I. Статьи

Рефлексы звука v в ферейданском говоре грузинского языка . . .	5
Предисловие [редактора] Целидзеули (ежегодник) Грузинского лингвистического общества	22
Частица -ge в ферейданском говоре грузинского языка и ее значение в свете взаимоотношения грамматики и логики	25
Об общих принципах лингвистики	51
Долгие гласные в мтиульском говоре грузинского языка	58
Гаре-Кахетия в диалектологическом отношении	72
По поводу открытия ханметных и хаэметных текстов	109
Рецензия: Н. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка. Материалы по яфетическому языкознанию, XII. Ленинград, 1925	128
К истории слова ṣarṃart-i	169
Одна особенность спряжения глагола в грузинском языке (обозначение лица)	172
Основные особенности ферейданского говора грузинского языка	180
Почему необходимо видоизменить последовательность падежей в грузинском языке?	240
II. Проблема простого предложения в грузинском языке. I. Подлежащее и дополнение в древнегрузинском языке (Материалы по методологическому имманентизму)	249
Примечания	631

ტექნიკური რედაქტორი ლ. გაშაკიძე

ოპერატორები: თ. გაბრეშვილი, რ. ტატიანი